ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Economics and Business Faculty

VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

VIII INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

CHALLENGES OF GLOBALIZATION IN ECONOMICS AND BUSINESS

შრომების კრებული

PROCEEDINGS

შრომების კრებული
Proceedings

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Economics and Business Faculty

VIII International Scientific Conference

Challenges of Globalization in Economics and Business

Proceedings

November 3, 2023
Georgia, Tbilisi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში

შრომების კრებული

3 ნოემბერი, 2023
თბილისი, საქართველო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე უკვე მერვედ ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მეცნიერები და ახალგაზრდა მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ გლობალიზაციის პროცესის გამოწვევებზე, ასევე ეძებენ ახალი ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესების ქმედითუნარიან მექანიზმებს. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომებში აქტუალური და პრობლემური საკითხებია განხილული. გლობალური პროცესების თანამდევი მოვლენები სულ უფრო მეტ ასახვას პოვებს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაზე, ამიტომ ისეთი საკითხები, როგორიცაა: განათლების სისტემის სრულყოფა, საქართველოს ეკონომიკური მოდელი, უმუშევრობის დაძლევის მექანიზმები, საქართველოს ეკონომიკაში ერთობლივ მოთხოვნაზე ფისკალური და მონეტარული ინსტრუმენტების ზემოქმედების თავისებურებები, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, კლასტერული პოლიტიკის ფორმირებისა და სახელმწიფო საწარმოთა მართვის აქტუალური საკითხები, ინოვაციური პროცესების დანერგვის თავისებურებები სხვადასხვა სფეროში, ტურისტული პოტენციალის ათვისების პერსპექტივები, სოციო-კულტურული გამოწვევები და სხვა. არამხოლოდ თეორიულ ინტერესის სფეროს განეკუთვნება, არამედ წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პრაქტიკული ასპექტების ანალიზს. ადგილობრივ და უცხოელ მეცნიერებს საშუალება ჰქონდათ აუდიტორიებში პირისპირ გაეზიარებინათ თავიანთი სამეცნიერო სტატიები და შედეგები.

გიორგი ღაღანიძე - თსუ პროფესორი,
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი

It is already the eighth year that Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business hosts the international conference on the "Challenges of Globalization in Economics and Business". Both local and foreign scientists, as well as young researchers focus on the challenges of globalization processes; in addition, they seek to identify effective mechanisms for solving new economic problems. The scientific papers presented at the international scientific conference deal with the pressing and problematic issues. The consequences of global processes are more and more reflected on the development of any country, therefore, the issues like the improvement of education system, the economic model of Georgia, the unemployment reduction mechanisms, the peculiarities of the impact of fiscal and monetary instruments on the aggregate demand of Georgia, the foreign direct investments implemented in Georgia, important issues of formation of cluster policy and management of state enterprises, peculiarities of the introduction of innovative processes in different areas, perspectives of utilization of tourism potential, socio-cultural challenges and others belong not only to the area of theoretical interest, but they represent the practical analysis of the aspects of economic development. It should be noted that the conference was held remotely for the last two years. Local and foreign scientists had the opportunity to share their scientific articles and results face-to-face in the auditoriums.

Giorgi Gaganidze **-** TSU Professor
Dean of the Faculty of Economics and Business, TSU

ავტორთა სტილი დაცულია.

The Autors' style is preserved.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

ISBN 978-9941-36-193-7 (pdf)

კონფერენციის სარედაქციო კოლეგია:

გიორგი ღაღანიძე - თსუ პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
ვლადიმერ პაპავა - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი;
ავთანდილ სილაგაძე - თსუ პროფესორი, აკადემიკოსი, საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი;
ელგუჯა მექვაბიშვილი - თსუ პროფესორი, თსუ თეორიული ეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი" მთავარი რედაქტორი;
რევაზ გოგოხია - ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალის „ეკონომიკა და ბიზნესი" მთავარი რედაქტორის მოადგილე;
რამაზ აბესაძე - ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი;
იური ანანიაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომეტრიკის კათედრის ხელმძღვანელი;
თეიმურაზ ბერიძე - თსუ პროფესორი;
სიმონ გელაშვილი - თსუ პროფესორი, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
რევაზ გველესიანი - თსუ პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი;
ნუგზარ თოდუა - თსუ პროფესორი, მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი;
ირაკლი კოვზანაძე - თსუ პროფესორი, ფინანსების და საბანკო საქმის კათედრის ხელმძღვანელი;
დავით ნარმანია - თსუ პროფესორი, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი;
ლევან საბაური - თსუ პროფესორი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხელმძღვანელი;
დემურ სიჭინავა - თსუ პროფესორი, ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ხელმძღვანელი;
მირიან ტუხაშვილი - თსუ პროფესორი, მაკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
თემურ შენგელია - თსუ პროფესორი, საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი;
ეთერ ხარაიშვილი - თსუ პროფესორი, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელი;
იოსებ ხელაშვილი - თსუ პროფესორი, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი;
ელინა გაილე-სარკანე - პროფესორი, ლატვია;
ინტა ოსტროვსკა - პროფესორი, ლატვია;
ტალაიბეკ კოიჩუმანოვი - პროფესორი, ყირგიზეთი;
იაცეკ სტროინი - პროფესორი, პოლონეთი;
გიუნტერ ჰოფბაუერი - პროფესორი, გერმანია;
რაინერ ვენერი - პროფესორი, გერმანია;
ტატიანა სობოლიევა - ასოცირებული პროფესორი, უკრაინა;
ნატიკ გურბანოვი - ასოცირებული პროფესორი, აზერბაიჯანი;
მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მარინა ჩავლეიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
მერაბ ხოხობაია - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

გიორგი ღაღანიძე - თსუ პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, თავმჯდომარე;
მანანა ლობჟანიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი, დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
მერაბ ხოხობაია - თსუ ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი;
ლალი ჩიკვილაძე - თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო ლობჟანიძე - თსუ ასისტენტ პროფესორი, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
უჩა გოგრიჭიანი - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
აკაკი მიქაბერიძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ფინანსური მენეჯერი;
ზვიად სიგუა - თსუ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
დავით ნერგაძე - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ბონდო კაკუბავა - თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
რუსუდან მაისურაძე - თსუ დოქტორანტი.

Conference Editorial Board:

Giorgi Gaganidze - TSU Professor, Dean of the Faculty of Economics and Business; Chairman;
Vladimer Papava - TSU Professor, Academician;
Avtandil Silagadze - TSU Professor, Academician, Head of the Department of International Economics and History of Economic Thought;
Elguja Mekvabishvili - TSU Professor, Head of the Department of Theoretical Economics, Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
Revaz Gogokhia - TSU Professor, Deputy Chief Editor of the Faculty magazine "Economics and Business";
Ramaz Abesadze - Doctor of Economic Sciences, Director of the Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Iuri Ananiashvili - TSU Professor, Head of the Department of Econometrics;
Teimuraz Beridze - TSU Professor;
Simon Gelashvili - TSU Professor, Head of the Department of Economic and Social Statistics;
Revaz Gvelesiani - TSU Professor, Head of the Department of Economic Policy;
Nugzar Todua - TSU Professor, Head of the Department of Marketing;
Irakli Kovzanadze - TSU Professor, Head of the Department of Finance and Banking;
Davit Narmania - TSU Professor, Head of the Department of Management and Administration;
Levan Sabauri - TSU Professor, Head of the Department of Accounting and Auditing;
Demur Sitchinava - TSU Professor, Head of the Department of Information Technologies in Economics and Business;
Mirian Tukhashvili - TSU Professor, Head of the Department of Macroeconomics;
Temur Shengelia – TSU Professor, Head of the Department of International Business;
Eter Kharaishvili - TSU Professor, Head of the Department of Microeconomics;
Ioseb Khelashvili - TSU Professor, Head of the Department of Tourism and Hospitality Management;
Elina Gaile-Sarkane - Professor, Latvia;
Inta Ostrovska - Professor, Latvia;
Talaibek Koichumanov - Professor, Kyrgyzstan;
Jacek Strojny - Professor, Poland;
Gunter Hofbauer - Professor, Germany;
Rainer Wehner - Professor, Germany;
Tetiana Sobolieva - Associate Professor, Ukraine;
Natik Gurbanov - Associate Professor, Azerbaijan;
Manana Lobzhanidze - TSU Associate Professor, Deputy Dean of TSU Faculty of Economics and Business;
Marina Chavleishvili - TSU Associate Professor, Deputy Dean of TSU Faculty of Economics and Business;
Merab Khokhobaia - TSU Associate Professor, Head of Scientific Research and Development Department.

Conference Organizing Committee:

Giorgi Gaganidze - Professor, Dean of the Faculty of Economics and Business, Chairman;
Manana Lobzhanidze – Associate Professor, Deputy Dean, faculty of Economics and Business;
Merab Khokhobaia - Associate Professor, Head of the Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;
Lali Chikviladze - Main Specialist, Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;
Nino Lobzhanidze – Assistant Professor, Main Specialist, Department of Scientific Research and Development, faculty of Economics and Business;
Ucha Gogrichiani - Head of Public Relations Department, faculty of Economics and Business;
Akaki Mikaberidze - Financial Manager, Faculty of Economics and Business;
Zviad Sigua - Main Specialist, Educational Service Management Department, faculty of Economics and Business;
David Nergadze - Main Specialist, Public Relations Department, faculty of Economics and Business;
Bondo Kakubava – Head of Material Resources Management Department, faculty of Economics and Business;
Rusudan Maisuradze - Doctoral Student, faculty of Economics and Business.

ს ა რ ჩ ე ვ ი
Contents

ნინო აბესაძე, თამუნა მაზანიშვილი - დამნაშავეობის სტატისტიკური ტენდენციები რეგიონულ ჭრილში საქართველოში
Nino Abesadze, Tamuna Mazanishvili - Statistical Trends of Delinquency in a Regional Context in Georgia 15

პეტრე ადამაძე, ნინო აფციაური, ეკა ჩოხელი - ორგანიზაციული კულტურის მართვის საკითხები ქსელურ სასტუმროებში
Petre Adamadze, Nino Aptsiauri, Eka Chokheli - Issues of Managing Organizational Culture in Chain Hotels 23

ლელა ადუაშვილი - რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა სასურსათო ბაზრებზე
Lela Aduashvili - The Impact of the Russia-Ukraine War on Food Markets 35

ლაშა ავქოფაშვილი - ციფრული მარკეტინგის როლი მყიდველობითი გადაწყვეტილების მიღებაში
Lasha Avkopashvili - The Role of Digital Marketing in Purchasing Decision 43

თეიმურაზ ბაბუნაშვილი - ბიზნესსუბიექტების როლი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში
Teimuraz Babunashvili - The Role of Business Entities in the Development of the Tourism Industry of Georgia 52

გივი ბედიანაშვილი, მურმან ცარციძე, ნინო მიქელაძე, ზვიად გაბროშვილი - გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა: თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები
Givi Bedianashvili, Murman Tsartsidze, Nino Mikeladze, Zviad Gabroshvili - Globalization, Human Capital, and Economic Growth: Modern Challenges and Opportunities 57

ხათუნა ბერიშვილი - სოციალური დემოკრატია და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების თავისებურებები ევროპაში
Khatuna Berishvili - Social Democracy and Features of Development of Business Social Responsibility in Europe 69

ინეზა გაგნიძე - მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში
Ineza Gagnidze - SMEs Challenges under Conditions of Digital 79

ინეზა გაგნიძე - სახარებისეული იგავი ტალანტებზე - დელეგირებული საკუთრების პრობლემა
Ineza Gagnidze - The Gospel Parable of the Talents - The Problem of Delegated Ownership 86

ბერდია გათენაძე - ეკონომიკური მმართველობა ციფრულ სამყაროში
Berdia Gatenadze - Economic Governance in a Digital World 92

სიმონ გელაშვილი - საქართველოს რეგიონებში პროდუქციის გამოშვების, შრომის ანაზღაურებისა და შრომის მწარმოებლურობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი
Simon Gelashvili - Comparative Analysis of Statistical Indicators of Product Output, Labor Remuneration and Labor Productivity in the Regions of Georgia 95

გოგა გელიტაშვილი - საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის დამოუკიდებლობის და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობა
Goga Gelitashvili - The Importance of Independence and Accountability of Banking Regulation and Supervision 104

ირინა გოგორიშვილი - რელიგიის და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთზეგავლენის საკითხისთვის
Irina Gogorishvili – On the Issue of the Mutual Influence of Religion and Economic Policy 110

ნინო გრიგოლაია - გიგ ეკონომიკა და საგადასახდო დაბეგვრის პრობლემები
Nino Grigolaia - The Gig Economy and the Problems of Wage Taxation 119

ლევან დგებუაძე - ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების საინვესტიციო ბუნება საქართველოს მაგალითზე
Levan Dgebuadze - The Investment Nature of the Refund of Overpaid Taxes on the Example of Georgia 124

ინეზა ვაწაძე, მანანა ალადაშვილი, მაია ხეჩიკაშვილი - ქართული საოჯახო ღვინის ტურიზმი: განვითარების შესაძლებლობები, გამოწვევები და მათი დაძლევის გზები
Ineza Vatsadze, Manana Aladashvili, Maia Khechikashvili - Georgian Family Wine Tourism: Opportunities for Development, Challenges and Ways to Overcome Them 133

რაინერ ვენერი - ტაივანის სტრატეგიული როლი გლობალიზებულ ბიზნეს სამყაროში
Rainer Wehner - The Strategic Role of Taiwan in the Globalized Business World 140

შოთა ვეშაპიძე - შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეები და შესაძლებლობები
Shota Veshapidze - Threats and Possibilities of Georgia Participation in International Labor Migration 149

სალომე თვალოძე - მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების გადაცემის არხები
Salome Tvalodze - Transmission Channels of Sustainability-Related Financial Risks 159

ნუგზარ თოდუა, ჩარიტა ჯაში - პოსტ Covid-19-ის პანდემიის გავლენა გენდერისა და მარკეტინგის ზოგიერთ ასპექტზე
Nugzar Todua, Charita Jashi - Impact of Post Covid-19 Pandemic on Certain Aspect of Gender and Marketing 168

ნათია კახნიაშვილი, ხათუნა ბარბაქაძე, ნატო კაკაშვილი - დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული რისკები, პრობლემები და მათი დაძლევის გზები
Natia Kakhniashvili, Khatuna Barbakadze, Nato Kakashvili - Risks, Problems related to the Accumulated Pension System and ways to Overcome Them 175

ლაშა კელიხაშვილი - მთავრობის ვალის დინამიკა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოში
Lasha Kelikhashvili - Government Debt Dynamics and Related Challenges in the World and in Georgia 181

თეა ლაზარაშვილი, ნაზირა კაკულია - „ლურჯი ეკონომიკის“ პოტენციალი და შესაძლებლობები
Tea Lazarashvili, Nazira Kakulia - Potential and Opportunities of “Blue Economy“ 189

თამარ ლაზარიაშვილი - სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიმართულებები საქართველოში
Tamar Lazariashvili - Directions of Sustainable Development of Agriculture in Georgia 197

ეკა ლეკაშვილი, დავით ობოლაძე, გიორგი გაფრინდაშვილი - საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების საკითხისთვის
Eka Lekashvili, Davit Oboladze, Giorgi Gaprindashvili - For the Formation Effective Policy Issue of Establishment of Energy hub of Georgia with the European Union 203

ირმა ლენგ - ბიზნესის გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალები და საქართველოსა და აშშ-ის ადგილი გლობალურ ბიზნეს-გარემოში
Irma Lang - The Driving Forces of Business Globalization and the Positions of Georgia and the USA in the Global Business Environment 210

ნინო ლობჟანიძე, ეთერ ხარაიშვილი - ტანსაცმლის მოდის ეკონომიკური ასპექტები
Nino Lobzhanidze, Eter Kharaishvili - Apparel Fashion Industry: Trends and Challenges 217

მაიკლ ლუკენი - მდგრადობა - განვითარებადი პარადიგმა ეკონომიკაში? გაკვეთილები საქართველოს ენერგეტიკული სისტემის და ევროპის ბატარეის მასალების მიწოდების ჯაჭვების შესწავლიდან
Michael Lüken - Resilience - An Emerging Paradigm in Economics? Lessons from Studying Georgia’s Energy System and European Battery Material Supply Chains 224

დანიელ მაიერი - CDO-ს ფინანსური გავლენა ხელოვნური ინტელექტის დროს: განახლება
Daniel Maier - Financial Impact of the CDO in times of Artificial Intelligence: an Update 233

მარინა მაისურაძე, მარიამ ვარდიაშვილი - არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება
Marina Maisuradze, Mariam Vardiashvili - Applying Methods for Estimation of the Fair Value of the Nonfinancial Assets 240

ელგუჯა მექვაბიშვილი - კონფრონტაციული გლობალიზაცია: გამოწვევები, საფრთხეები და პერსპექტივები საქართველოს ეკონომიკისთვის
Elguja Mekvabishvili - Confrontational Globalization: Challenges, Threats and Prospects for the Economy of Georgia 248

ცირა მიქატაძე - აკვაკულტურის დარგში არსებული გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები
Tsira Mikatadze - Current Challenges in the Field of Aquaculture and Future Prospects 257

მერაბ მიქელაშვილი - მოსეს ლიდერობის ზოგიერთი ბიბლიური გაკვეთილი
Merab Mikelashvili - Some Lessons by Moses from the Bible 263

თეა მუნჯიშვილი, ლია კოზმანაშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი - მცირე ბიზნესის ფინანსური შედეგების პროგნოზირება სიმულაციური პროგრამული მეთოდით
Tea Munjishvili, Lia Kozmanashvili, Leila Kadagishvili, Davit Sikharulidze, Shota Shaburishvili – The Predicting Financial Results of Small Businesses using Simulation Software Method 271

ბაბულია მღებრიშვილი - ჯანსაღი კვება მდგრადი მარკეტინგის კონტექსტში
Babulia Mghebrishvili - Healthy Nutrition in the Context of Sustainable Marketing 280

ბაბულია მღებრიშვილი, გიული ქეშელაშვილი - ჯანსაღი კვება მართლმადიდებლური მარხვის ფონზე
Babulia Mghebrishvili, Giuli Keshelashvili - Healthy Nutrition in the Context of Orthodox Fasting 289

ზუმრუდ ნაჯაფოვა - აზერბაიჯანის ეკონომიკის ნავთობის გარე სექტორის ძირითადი მიმართულებები
Zumrud Nadjafova - Main Directions of the Non-Oil Sector of the Azerbaijani Economy 294

ნუგზარ პაიჭაძე - ადამიანური რესურსების ყოველმხრივი საქმიანი შეფასება
Nugzar Paichadze - Multilateral Business Assessment of Human Resources 299

დავით როინიშვილი - რაციონალურობის მიღმა: თანამედროვე ეკონომიკის პარადიგმების კრიტიკული ანალიზი
David Roinishvili - Beyond Rationality: A Critical Analysis of Contemporary Economic Paradigms 305

ლევან საბაური, ნადეჟდა კვატაშიძე - ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შეფასების განუსაზღვრელობა და სამართლიანი წარდგენა
Levan Sabauri, Nadejda Kvatashidze – Uncertainty about the Estimation of Financial Statement Information and Fair Presentation 311

ნანა სრესელი, რუსუდან სრესელი - აუდიტის ხარისხის ძირითადი მახასიათებლები და მათი შეფასების საკითხები
Nana Sreseli, Rusudan Sreseli - Audit Quality Characteristics and Assessment 319

მარინა ტაბატაძე, ანნა თანდილაშვილი - საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული პრიორიტეტები პოსტკრიზისულ პერიოდში
Marina Tabatadze, Anna Thandilashvili - Structural Priorities of the Georgian Economy in the Post-Crisis Period 328

ნინო ტალიკაძე - გლობალიზაცია და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა - საქართველოს მაგალითი
Nino Talikadze - Globalization and Foreign Visitors Statistics – Georgian Case 339

ეკატერინე უროტაძე, ნათია წაქაძე - ციფრული მარკეტინგის როლი საცალო ვაჭრობაში
Ekaterine Urotadze, Natia Tsakadze - The Role of Digital Marketing in Retail 348

ნინო ფარესაშვილი, ნანული ოქრუაშვილი, მზია ტიკიშვილი, დეა ფირცხალაიშვილი შრომითი დისკრიმინაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და მისი შემცირების გზები
Nino Paresashvili, Nanuli Okruashvili, Mzia Tikishvili, Dea Pirtskhalaishvili – Labor Discrimination in the Higher Education System of Georgia and Ways to Reduce It 355

შორენა ფარჯიანი - პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში
Shorena Pharjiani - Foreign Direct Investments in Georgia 373

რამაზ ფუტკარაძე - საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები
Ramaz Putkaradze - Georgia's Foreign Trade and the Country's Economic Security Challenges 380

რუსუდან ქინქლაძე, კახაბერ მარქარაშვილი - კომუნიკაციის პრობლემები და შესაძლებლობები ქართული ონლაინ მაღაზიების მაგალითზე
Rusudan Kinkladze, Kakhaber Markarashvili - Communication Problems and Possibilities on the example of Georgian Online Stores 389

მაკა ღანიაშვილი - საპენსიო ფონდების ინვესტირების საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს გამოწვევები
Maka Ghaniashvili - Pension Funds International Invetment Practice and Challenges for Georgia 394

ლეილა ღუდუშაური - პრობლემური კრედიტების მართვის გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოს კომერციულ ბანკებში
Leila Ghudushauri - Challenges and Opportunities of Problem Credits Management in Commercial Banks of Georgia 404

შოთა შაბურიშვილი, ნათია ტერტერაშვილი - ელექტრონული კომერციის განვითარების გლობალური ტენდენციები და საქართველო
Shota Shaburishvili, Natia Terterashvili - Global Trends of E-Commerce Development and Georgia 411

თემურ შენგელია - საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების ეკონომეტრიკული ანალიზი და განვითარების პერსპექტივები
Temur Shengelia - Econometric Analysis of the Trade Relations of Georgia and its Development Prospects ...417

გიორგი შიხაშვილი, კახაბერ რუსიძე - სამი ილიას სწავლებანი და მოღვაწეობა სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის სფეროში
Giorgi Shikhashvili, Kakhaber Rusidze - Three Ilia's Teachings and Activities in the field of Socio-Economic Synergism 423

ალექსანდრუ შტრატანი, ნატალია ვინოგრადოვა - ბიუროკრატია და კორუფცია მოლდოვის რესპუბლიკის სამეწარმეო ეკოსისტემაში: მეწარმეების პერსპექტივა
Alexandru Stratan, Natalia Vinogradova - Bureaucracy and Corruption in the Entrepreneurial Ecosystem of the Republic of Moldova: the Perspective of Entrepreneurs 430

მალხაზ ჩიქობავა - ბოლოდროინდელი მაკროეკონომიკური დებატები თანამედროვე მონეტარული თეორიის პრიზმით
Malkhaz Chikobava - Recent Macroeconomic Debates through the Lens of Modern Monetary Theory 438

ნიკოლოზ ჩიხლაძე, პაატა კოღუაშვილი - წმ. პავლე მოციქულის შრომითი მოღვაწეობის და შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ
Nikoloz Chikhladze, Paata Koguashvili - On the Attitude of St. Apostle Paul towards Labor Activity and Work 464

მარიამ ჭურჭელაური - მილსადენი ტრანსპორტის კლასტერის შექმნის გამოწვევები საქართველოში
Mariam Churchelauri - Challenges of Forming of Pipeline Transport Cluster in Georgia 470

ჯემალ ხარიტონაშვილი - მსოფლიო მოაზროვნეები ვაჭრობის შესახებ
Jemal Kharitonashvili - World Thinkers about Trade 478

ლალი ხიხაძე - განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება მდგრადი ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი
Lali Khikhadze - Effective Use of Renewable Energy Resources is a Determining Factor of Sustainable Economic Development 483

მერაბ ხმალაძე - ეროვნული შემოსავლის ზრდის დემოეკონომიკური ფაქტორები
Merab Khmaladze - Demo-economic Factors of Growth of National Income 490

მამუკა ხუსკივაძე, ლია თოთლაძე - საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზისათვის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტში
Mamuka Khuskivadze, Lia Totladze - For the Analysis of the Ecological Situation in Georgia in the context of Air Pollution and Climate Change 496

ნიკო ხუციშვილი - გლობალიზაციის მომავალი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში

Niko Khutsishvili - The Future of Globalization in the Age of Artificial Intelligence 504

მერაბ ჯულაყიძე - ეკონომიკური ზრდის თეორიული საფუძვლები
Merab Julakidze - Theoretical Foundations of Economic Growth 510

გიუნტერ ჰოფბაუერი - ელექტრო მანქანების დატენვის პარამეტრები
მომხმარებელთა შეფასების საფუძველზე: ემპირიული კვლევის ანგარიში
Gunter Hofbauer - Charging Options for Batteries of Electric Cars based on Customers'
Evaluation: an Empirical Study Report 515

დამნაშავეობის სტატისტიკური ტენდენციები რეგიონულ ჭრილში საქართველოში

ნინო აბესაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამუნა მაზანიშვილი
ეკონომიკის მაგისტრი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კრიმინოგენური მდგომარეობის დეტალური სტატისტიკური ანალიზი ქვეყანაში არსებული პრობლემის სწორად დანახვისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მნიშვნელოვანი ბერკეტია. ამიტომაც, დამნაშავეობის შესწავლა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით აქტუალური და ობიექტურად აუცილებელია, ვინაიდან იძლევა ამ მხრივ რეგიონების შედარებითი ანალიზისა და შესაბამისად თითოეული რეგიონისთვის დამნაშავეობის ინტენსივობის შეფასების შესაძლებლობას.

სტატიაში გაანალიზებულია გამოძიების დაწყების, დევნა დაწყებული პირების რაოდენობის მაჩვენებლები რეგიონულ ჭრილში, მოცემულია დამნაშავეებისა და დაზარალებულების ასაკობრივი სტრუქტურის შედარებითი ანალიზი, გამოვლენილი და გაანალიზებულია რეგიონებში დანაშაულის ზრდისა და უმუშევრობის დონის ზრდის ან ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავლის შემცირების კავშირის სიმჭიდროვის მაჩვენებლები. გამოვლენილია შედარებით უსაფრთხო რეგიონები. გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, დემოკრატიული პროცესების განვითარების კვალდაკვალ საზოგადოების ყურადღების ცენტრში სულ უფრო ინტენსიურად ხვდება საქართველოში კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება და გენდერული თანასწორობის პრობლემა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სახეზეა დანაშაულის გამოვლენის გაზრდილი ფაქტები, რაც გამწვავებულ სოციალურ ფონზე საზოგადოების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე უარყოფითი ეფექტის მატარებელია. (აბესაძე, 2023)

ფაქტია, რომ ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს, სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორებთან ერთად, ქვეყანაში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ხარისხიც განსაზღვრავს. სამართალდამცავი ორგანოებისთვის მუდმივად ინტერესის სფეროს წარმოადგენს დამნაშავეობის გეოგრაფიული სტრუქტურის გაანალიზება. მისი კვლევისადმი საზოგადოების ინტერესი ყოველწლიურად იზრდება, რადგან ის გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, არამედ ეკონომიკასა და ზოგადად, ქვეყნის იმიჯზე. (აბესაძე & მაზანიშვილი, თ., 2023)

დამნაშავეობის ინდიკატორების რაოდენობრივი ანალიზი მოითხოვს შესაბამის ინფორმაციულ ბაზას. სტატისტიკურ მონაცემთა ბაზები მნიშვნელოვანია დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენა-ანალიზისათვის, ამის საფუძველზე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოსავლენად. (აბესაძე, ნ., & აბესაძე, სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი, 2018)

დამნაშავეობის შესწავლა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით აქტუალურია, ვინაიდან იძლევა რეგიონების მიხედვით კრიმინალის დონის შედარებითი ანალიზის საშუალებას. შესაბამისად შესაძ-

ლებელია შეფასდეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის დონე თითოეული რეგიონისთვის, შეფასდეს დამნაშავეობის ინტენსივობა და გამოვლინდეს ე. წ. „უსაფრთხო“ რეგიონი. დამნაშავეობის ინტენსივობა წარმოადგენს ქვეყანაში, რეგიონში, ქალაქში და დასახლებულ პუნქტში კრიმინოლოგიური ვითარების რთულ რაოდენობრივ ხარისხობრივ პარამეტრს, რომელიც მიუთითებს დანაშაულებრივ გამოვლინებებზე, მათი ზრდის ტემპებსა ან საზოგადოებრივი საშიშროების დონეზე.

როგორი მდგომარეობაა საქართველოს რეგიონების მიხედვით?

დინამიკაში მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგადად, საკვლევ პერიოდში, (2013-2022) გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და აჭარაში ხოლო ყველაზე დაბალი გურიასა და მცხეთა-მთიანეთში ფიქსირდება. 2022 წელს ყოველ 10000 მოსახლეზე გამოძიება დაწყებული საქმეების რაოდენობამ აჭარაში 226, თბილისში 186 და იმერეთში 154, ხოლო კახეთში 114 შეადგინა განსხვავებული იყო აღნიშნულ პერიოდში გამოძიება დაწყებულ საქმეების საშუალო წლიური მატების ტემპები საქართველოს რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა 1.

საქართველოს რეგიონებში გამოძიება დაწყებულ საქმეების საშუალო წლიური მატების ტემპები (2013-2022)



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2013-2022 წლებში რეგისტრირებული საქმეების რაოდენობის ზრდის ტენდენცია საქართველოს უმეტესი რეგიონებისთვისაა დამახასიათებელი. გამონაკლისს წარმოადგენს კახეთის რეგიონი და თბილისი, სადაც საშუალო წლიური კლების ტემპმა შესაბამისად 1.6% და 1.2% შეადგინა. 2022 წელს 2021 წელთან შედარებით კი გამოძიება დაწყებული საქმეების ყველაზე მკვეთრი მატება 15% დაფიქსირდა შიდა ქართლში, ხოლო ყველაზე მკვეთრი კლება 17% კახეთში.

დიაგრამა 2.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით

რაც შეეხება დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობას, საკვლევ პერიოდში ძირითადად დევნა დაწყებული პირების უმრავლესობა მოდის თბილისზე, აჭარასა და იმერეთზე. თუმცა დამნაშავეობის კოეფიციენტმა, რომელიც გაიანგარიშება თითოეული რეგიონის მოსახლეობის ყოველ 10000 კაცზე, განსხვავებული სურათი აჩვენა. როგორც აღმოჩნდა 2013-2022 წლებში, არც ერთ წელს იმერეთი დანაშაულის მაღალი მაჩვენებლით რეგიონების სამეულში არ ფიქსირდება. სამართლებრივი სტატისტიკით კრიმინოგენური სიტუაცია 2021 წლამდე სტაბილურად მძიმე იყო: თბილისში, აჭარასა და სამეგრელო ზემო-სვანეთში. 2021 წელს კი დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობა ყოველ 10000 კაცზე ყველაზე მაღალი იყო აჭარაში (65), რაჭა-ლეჩხუმსა (62,5) და თბილისში (57,5). 2022 წელს ზემოხსენებულ რეგიონებში სიტუაცია შენარჩუნდა, მაღალი მაჩვენებელი (62,8) დაფიქსირდა შიდა ქართლშიც. რეგიონულ ჭრილში ბოლო ათი წლის მონაცემების ანალიზმა ცხადჰყო, რომ კრიმინოლოგიური დონე სტაბილურად დაბალი იყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, შესაბამისად, მცხეთა-მთიანეთი სამართლებრივი კუთხით ერთ-ერთი უსაფრთხო რეგიონი აღმოჩნდა.

საინტერესოა როგორია დევნა დაწყებული პირების ასაკობრივი სტრუქტურა. კვლევის შედეგების მიხედვით, თბილისში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და მცხეთა მთიანეთში 2022 წელს დამნაშავეების ძირითადი ნაწილი მიეკუთვნებოდა 25-34 წლის ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, კახეთში, შიდა ქართლში, გურიასა და სამცხე-ჯავახეთში უპირატესად გამოიკვეთა 35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის დამნაშავეები.

ცხრილი 1.

დევნა დაწყებული პირების ასაკობრივი სტრუქტურა

	14-17	18-24	25-34	35-44	45-54	55-64	65+
თბილისი	199	1416	2777	2325	1307	521	156
იმერეთი	23	292	682	669	467	248	102
ქვემო ქართლი	28	291	588	557	305	165	65
აჭარა	70	303	750	807	438	189	57
სამეგრელო -ზემო სვანეთი	20	101	367	511	390	195	79
კახეთი	15	182	390	403	274	124	55
შიდა ქართლი	18	175	371	442	324	165	77
მცხეთა-მთიანეთი	3	59	173	118	90	41	10
გურია	4	76	102	114	76	46	19
სამცხე-ჯავახეთი	6	88	190	208	135	96	36
რაჭა-ლეჩხუმი	0	11	25	31	41	20	14

წყარო: საქართველოს პროკურატურა

რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმს, დევნა დაწყებული პირების უმრავლესობა 45-54 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ პერიოდში ყველა რეგიონში დამნაშავე მამაკაცების რიცხოვნობა მკვეთრად აჭარბებს დამნაშავე ქალების რიცხოვნობას.

ასევე აღსანიშნავია რომ დევნა დაწყებული პირების რაოდენობის საშუალო წლიური მატების ტემპის დიაპაზონი ტემპი ყველა რეგიონისთვის მერყეობს 0,1-6,4%-ს შორის, რაც გულისხმობს რომ დევნა დაწყებული პირების რაოდენობა ყოველწლიურად ყველა რეგიონში იმატებს.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით

როგორია დანაშაულის სტრუქტურა შედარებით მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის მაქონე რეგიონებში?

აჭარის რეგიონში ყველაზე გავრცელებული დანაშაულებია ქურდობა, ძალადობა, მუქარა, ოჯახური ძალადობა და ნარკოტიკული საშუალების გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. თუ ქურდობაზე დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობა 2019 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა (51,9%), 2020 წელს კვლავ მატების ტემპი დაფიქსირდა (83,6%). აღსანიშნავია რომ ისეთ დანაშაულებზე, როგორიცაა ძალადობა და მუქარა, 2016 წლამდე სიტუაცია სტაბილური იყო, 2017 წლიდან დანაშაულების რიცხვმა მატება დაიწყო. 2021 წლიდან მოიმატა ნარკოტიკულმა დანაშაულმა. მარტო ერთ, 2022 წელს 2021 წელთან შედარებით ამ სახის დანაშაულის მაჩვენებელი გაზრდილია 72%-ით. (საქართველოს პროკურატურა, თ. გ.)

თბილისში დანაშაულებს შორის ქურდობა დომინირებს და სხვა დანაშაულებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს. საკვლევ პერიოდში ქურდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წელს, ყველაზე დაბალი კი 2020 წელს. თბილისში, 2022 წელს დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობა აღნიშნულ დანაშაულზე შეადგენდა 1902 პირს, რომელიც წინა წლის აღნიშნულ მაჩვენებელზე მეტია 23,7%-ით. (2021 წელს -1538 პირი). საკმაოდ აქტუალურია ნარკოტიკული დანაშაული, 2022 წელს, თბილისში ნარკოტიკულ დანაშაულზე („სსკ-ის 260-ე მუხლი" (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 2023) დევნა დაიწყო 1082 პირის მიმართ, ხოლო 2021 წელს 568 პირის მიმართ. ე.ი აღნიშნული მაჩვენებელი 2022 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 90,5%-ით. მუდმივად იზრდება ოჯახში ძალადობისა და მუქარის შემთხვევები. თუ 2017 წელს მუქარის ბრალდებით დევნა დაიწყო 135 პირის მიმართ, 2020 წელს ეს რიცხვი უკვე 1137 გახდა. შესაბამისად მუქარაზე საშუალო წლიურმა მატებამ საკვლევ პერიოდში შეადგინა 20,8%.

მესამე რეგიონი სადაც კრიმინოლოგიური სიტუაცია შედარებით მძიმეა, არის სამეგრელო ზემო-სვანეთი, სადაც გავრცელებული დანაშაულების სტრუქტურა თბილისისა და აჭარის რეგიონისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. აქ ძირითადად იკვეთება ნარკოტიკული დანაშაული. მართალია 2020 წლიდან სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება (სსკ მუხლი 273[1]) (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 2023) დანაშაულზე 2019 წელს 2018 წელთან შედარებით დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობა 525%-ით გაიზარდა ასევე მაღალ ნიშნულზეა ქურდობის მაჩვენებელი, სხვა დანაშაულებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი სისტემატურად პირველ ადგილს იკავებს. სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში საკმაოდ იკვეთება ოჯახური ძალადობის მზარდი სტატისტიკაც. ოჯახური ძალადობის საშუალო წლიური მატების ტემპი რეგიონში 12,7%-ია, თუმცა 2022 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია 31.2%-ით. ოჯახური ძალადობის ფაქტების მატება შეინიშნება ქვემო ქართლის რეგიონშიც, სადაც ძირითადად ის ხუთი დანაშაულია დომინირებული, რომელიც ზოგადად საკმაოდ აქტუალურია მთლიანი საქართველოს მასშტაბით. მაგრამ 2018 წლიდან დევნა დაწყებული პირების რაოდენობა გაცილებით გაიზარდა სწორედ, ოჯახური ძალადობის დანაშაულზე, როდესაც გაორმაგდა გამოვლენილი ფაქტების რიცხვი. ძალადობის მსხვერპლები ძირითადად ხდებიან 25-44 წლის ასაკობრივ კატეგორიაში მყოფი ქალები. ასევე შესამჩნევია იმავე პერიოდში მუქარის გაოთხმაგებული მაჩვენებელი, რაც როგორც წესი ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარას გულისხმობს და კიდევ უფრო ამძიმებს ოჯახური ძალადობის სტატისტიკას. 2020 წლიდან მნიშვნელოვნად, 41%-ით შემცირდა რეგიონში ნარკოტიკული დანაშაული.

საინტერესოა დაკავშირებული ხომ არ არის აღნიშნულ რეგიონებში დანაშაულის ზრდა უმუშევრობის დონის ზრდასა ან ერთ სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავლის შემცირებასთან. კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშების შედეგად აჭარის რეგიონში დევნა დაწყებულ პირებსა და უმუშევრობის დონეს შორის კორელაციის პირსონის კოეფიციენტი აღმოჩნდა 0,182 ხოლო დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობასა და 1 სულ მოსახლეზე საშუალო თვიურ შემოსავალს შორის 0,078. ორივე შემთხვევაში ძალიან სუსტი კავშირია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ აჭარის რეგიონში დევნა დაწყებული პირების რაოდენობის ზრდა არ არის დაკავშირებული არც უმუშევრობის დონის და არც საშუალო თვიური შემოსავლების ცვლილებასთან.

თბილისში დევნა დაწყებულ პირებსა და უმუშევრობის დონეს შორის კორელაციის პირსონის კოეფიციენტი უდრის 0,407 რომელიც საშუალო დონის კავშირზე მიუთითებს, ანუ გარკვეულწილად უმუშევრობის დონე შესაძლოა გავლენას ახდენდეს დევნადაწყებული პირების რიცხოვნობაზე. ხოლო დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობასა და 1 სულ მოსახლეზე საშუალო თვიურ შემოსავალს შორის კორელაცია არის -0,603. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თ. გ.) ანუ კორელაციის კოეფიციენტი საკმაოდ ძლიერია, თუმცა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია, რაც გულისხმობს იმას რომ 1 სულ მოსახლეზე საშუალო თვიური შემოსავლები შემცირება გაზრდის თბილისის რეგიონში დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობას.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დევნა დაწყებულ პირებსა და უმუშევრობის დონეს შორის კორელაციის პირსონის კოეფიციენტი უდრის 0,694, კავშირი საკმაოდ ძლიერია, რაც გულისხმობს იმას რომ დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობაზე დიდ გავლენას ახდენს უმუშევრობის დონე, ხოლო დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობასა და 1 სულ მოსახლეზე საშუალო თვიურ შემოსავალს შორის კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა არის 0,485, რომელიც საშუალო დონის კავშირზე მიუთითებს. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თ. გ.)

რაც შეეხება დაზარალებული პირების რიცხოვნობას, საქართველოს უმეტეს რეგიონში მზარდი ტენდენცია იკვეთება. ასე მაგალითად, თბილისში დაზარალებული პირების რიცხოვნობა საშუალო წლიურად იზრდება 6,5%-ით, აჭარის რეგიონში 8,2%., იმერეთში 2,4%,ქვემო ქართლში 2,9%-ით კახეთში 4,7%-ით, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 2,7%-ით და ა.შ.

მაშასადამე, დაზარალებული პირების რიცხოვნობის ყველაზე მაღალი საშუალო წლიური მატება დაფიქსირდა აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში, ყველაზე მცირე კი იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. ასევე აღსანიშნავია რომ არცერთ რეგიონში დაზარალებული პირების რიცხოვნობის საშუალო წლიური კლება არ დაფიქსირებულა.

ზოგადად, რეგიონულ ჭრილში კრიმინოგენური ვითარების სტატისტიკური ანალიზით გამოვლინდა, რომ გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და აჭარაში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე დაბალი გურიასა და მცხეთა-მთიანეთში. 2013-2022 წლებში რეგისტრირებული საქმეების რაოდენობა იმატებს ყველა რეგიონში, გარდა კახეთისა და თბილისისა. კახეთში გამოძიება დაწყებული საქმეების რაოდენობა ყოველწლიურად იკლებს 1,6%-ით, ხოლო თბილისში 1,2%-ით. ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა აჭარაში (6,6%). 2022 წელს 2021 წელთან შედარებით გამოძიება დაწყებული საქმეების ყველაზე მკვეთრი მატება 15% დაფიქსირდა შიდა ქართლში, ხოლო ყველაზე მკვეთრი კლება 17% კახეთში.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონულ ჭრილში განხორციელებულმა ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში კრიმინოლოგიური დონე სტაბილურად დაბალი იყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ რომ მცხეთა-მთიანეთი სამართლებრივი კუთხით ერთ-ერთი უსაფრთხო რეგიონია.

კვლევისას გამოიკვეთა რომ, თბილისში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და მცხეთა მთიანეთში 2022 წელს დამნაშავეების ძირითადი ნაწილი მიეკუთვნებოდა 25-34 წლის ასაკობრივ კატეგორიას. აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, კახეთში, შიდა ქართლში, გურიასა და სამცხე-ჯავახეთში გამოიკვეთა დამნაშავეების 35-44 წლის ასაკობრივი კატეგორია. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმს, დევნა დაწყებული პირების უმრავლესობა 45-54 წლის ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

2022 წელს ყველა რეგიონში დამნაშავე მამაკაცების რიცხოვნობა მკვეთრად აჭარბებს დამნაშავე ქალების რიცხოვნობას. ასევე აღსანიშნავია რომ დევნა დაწყებული პირების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს.

თბილისში, ასევე აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში ყველაზე გავრცელებული დანაშაულია ქურდობა, თუმცა სამეგრელო-ზემო სვანეთში ასევე გამოიკვეთა ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულების სიჭარბე, ხოლო რაც შეეხება ქვემო ქართლს, აქ ინტენსიურად ვლინდება ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ოჯახური ძალადობა და მუქარა.

კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშებით აღმოჩნდა, რომ თბილისში, დევნა დაწყებულ პირებსა და საშუალ თვიურ შემოსავლებს შორის არსებობს საკმაოდ ძლიერი კავშირი, სამეგრელო--ზემო სვანეთის რეგიონშიც დევნა დაწყებული პირების რიცხოვნობა მჭიდროდ დაკავშირებულია, როგორც უმუშევრობის დონესთან, ასევე მოსახლეობის შემოსავლების დონესთან.

რაც შეეხება დაზარალებული პირების რიცხოვნობას, საქართველოს უმეტეს რეგიონში მზარდი ტენდენცია იკვეთება. დაზარალებული პირების რიცხოვნობის ყველაზე მაღალი საშუალო წლიური მატება დაფიქსირდა აჭარასა და მცხეთა-მთიანეთში, ყველაზე მცირე კი იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში. ასევე აღსანიშნავია რომ არცერთ რეგიონში დაზარალებული პირების რიცხოვნობის საშუალო წლიური კლების ტემპი არ გამოვლენილა. 2022 წელს, დაზარალებული პირების რიცხოვნობა იკლებს უმრავლეს რეგიონებში, გარდა ქვემო ქართლის, კახეთისა და მცხეთა--

მთიანეთისა. ამასთან 2022 წელს 2021 წელთან შედარებით მცხეთა-მთიანეთში დაზარალებული პირების ყველაზე მაღალი (17,5%) მატების ტემპი დაფიქსირდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ნ., ლორთქიფანიძე ე., აბესაძე ო., სტატია სისხლის სამართლის დანაშაულთა რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ რეგრესიული ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრის სამეცნიერო პუბლიკაცია: „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში.“ გამომცემლობა „უნივერსალი“. 2018. გვ.36-41
2. აბესაძე ო. სისხლის სამართლის დამნაშავეთა სტატისტიკური მახასიათებლები საქართველოში თანამედროვე ეტაპზე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 105 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2023. გვ.18-25
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბ., 2023
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.
5. საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები.
7. ჩ. ფრანკფორტ-ნაჩმიასი, ა. ლეონ-გერერო. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის (თარგმანი ინგლისურიდან). თსუ გამომც., თბ. 2012.
8. https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Crime_and_criminal_justice_statistics
9. საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=2375
10. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე; https://matsne.gov.ge/ka/document/view/16672?publication=0
11. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/131/samartaldarghvevebis-statistika
12. https://info.police.ge/page?id=115 https://pog.gov.ge/public-info/Inner/15

Statistical Trends of Delinque"ncy in a Regional Context in Georgia

Nino Abesadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tamuna Mazanishvili
Master of Economics
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

A detailed statistical analysis of the criminogenic situation is an important lever for correctly seeing the problem in the country and developing an action plan. Therefore, the study of criminality according to territorial characteristics is relevant and objectively necessary, as it provides an opportunity for a comparative analysis of regions and, accordingly, an assessment of the intensity of criminality for each region.

The article analyzes the indicators of the number of persons initiated and prosecuted in a regional context, provides a comparative analysis of the age structure of criminals and victims, identifies and analyzes the indicators of the density of the relationship between the increase in crime and the increase in the level of unemployment or the decrease in the average monthly income per capita in the regions. Relatively safe regions are identified. Relevant conclusions are made.

In general, the statistical analysis of the criminogenic situation in the regional perspective revealed that the highest rate of initiation of investigation is recorded in Tbilisi and Adjara, and the lowest in Guria and Mtskheta-Mtianeti. During the last 10 years, the criminological level has been steadily low in the Mtskheta-Mtianeti region. Accordingly, we can say that Mtskheta-Mtianeti is one of the safest regions from a legal point of view.

The main part of the criminals belonged to the age group of 25-34 years. In Tbilisi, as well as in Adjara and Samegrelo-Zemo Svaneti, the most common crime is theft. As for the number of affected persons, there is an increasing trend in most regions of Georgia. The highest average annual increase in the number of affected persons was recorded in Adjara and Mtskheta-Mtianeti, and the smallest in Imereti and Samegrelo-Zemo Svaneti.

ორგანიზაციული კულტურის მართვის საკითხები ქსელურ სასტუმროებში

პეტრე ადამაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო აფციაური
მაგისტრანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკა ჩოხელი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში „ორგანიზაციული კულტურის მართვის საკითხები ქსელურ სასტუმროებში" განხილულია ორგანიზაციული კულტურის თავისებურებები საქართველოში მოქმედ ქსელურ სასტუმროებში. ორგანიზაციული კულტურა ორგანიზაციებში გავლენას ახდენს დასაქმებულების პროდუქტიულობაზე, შრომით კმაყოფილებაზე, კომპანიისადმი დამოკიდებულებაზე და საბოლოოდ, ორგანიზაციის შედეგიანობაზე. თანამედროვე კონკურენტულ პირობებში, შეიცვალა ადამიანების მოთხოვნილებები ორგანიზაციების მიმართ, შესაბამისად, ეფექტიანი ორგანიზაციები მუდმივად ცდილობდნენ დაამკვიდრონ ისეთი ფასეულობები, წესები, რომელიც ადამიანის ინდივიდუალურ, ავთენტურ ღირებულებებზე, საჭიროებებზე, ჩართულობაზე იქნება მორგებული, რათა უზრუნველყონ კომპანიების წარმატება გრძელვადიან პერიოდში. საქართველოს ბაზარზე მოქმედ საერთაშორისო და ადგილობრივ ქსელურ სასტუმროებში, მმართველობითი და არამმართველობითი პერსონალის გამოკითხვის საფუძველზე, ჩატარებული კვლევის შედეგად, აღნიშნულ კომპანიებში გამოვლინდა ორგანიზაციული კულტურის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც მათი ფუნქციონირებისთვისაა დამახასიათებელი და რომელიც კომპანიებს განსაკუთრებულ იმიჯს უქმნის. შედეგად სტატიაში ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და წინადადებებს სასტუმროებში ორგანიზაციული კულტურის საკითხების შესწავლასთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, ორგანიზაციული კულტურა, სასტუმრო, მენეჯმენტი.*

თანამედროვე კონკურენტულ გარემოში, ორგანიზაციული კულტურის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო იზრდება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, კომპანიებმა იცოდნენ, ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისა და მართვის მექანიზმები ორგანიზაციული ეფექტიანობის მისაღწევად.

კულტურა არის კომპანიის სარკე. იგი ორგანიზაციის გარეთ, დაინტერესებული მხარეების მიერ, აღიქმება როგორც ორგანიზაციის ექო, ბრენდი, რომელსაც ქმნის ორგანიზაციის მიერ დამკვიდრებული ფასეულობები, წესები. ორგანიზაციულ კულტურას განსაზღვრავს ყველაფერი, რაც კომპანიის ფუნქციონირებას უკავშირდება, თუნდაც ელ.ფოსტის საშუალებით, კომპანიისთვის დამახასიათებელი მიმოწერის კორპორატიული სტილი და უკუკავშირის ფორმა, თანამშრომლების საუბრის ტემბრი და სასაუბრო ლექსიკონი, ორგანიზაციული ქცევა, ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა და/ან რაზეც, მომხმარებლები, საკუთარი თანამშრომლები და მესამე მხარე (დაინტერესებული მხარეები) საუბრობს.

ორგანიზაციული კულტურის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ადამიანური რესურსების ცვლილებასთან დაკავშირებული ტენდენციები. ორგანიზაციული კულტურის ფასეულობების გაზიარების მაღალი ხარისხი უზრუნველყოფს სწორედ ორგანიზაციის შედეგებისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. ადამიანების მიერ კი, ხდება იმ ღირებულებების და წესების გაზიარება, რომელიც მათ მოთხოვნილებებთან არის თანხვედრაში. დღეს ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანებისათვის მიუღებელია დაკნინება, შრომის უზურპაცია, დისკრიმინაცია, შრომის დაუფასებლობა. საქართველო არ არის კოლექტიური კულტურა, ადამიანის ინდივიდუალურ, ავთენტურ ღირებულებებს, საჭიროებას, ჩართულობას ჩვენს რეალობაში გადამწყვეტი როლი აკისრია.

თანამედროვე ეტაპზე ადამიანებს განსაკუთრებით სურთ კეთილდღეობა, ცხოვრების და სამსახურის დაბალანსება. კეთილდღეობა ეს არის ადამიანის მენტალური სიმშვიდე, როცა ადამიანს აქვს ფსიქოლოგიური კომფორტი ყოველდღიურობაში.

კვლევის მიზანია ქსელური სასტუმროების ორგანიზაციული კულტურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა და ეფექტური ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის პროცესში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი, ინდუქციის, დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები. ორგანიზაციული კულტურის თავისებურებების გამოსავლენად, კვლევა ჩატარდა 42 ქსელურ სასტუმროში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, საქართველოში ოპერირებს 49 ქსელური ტიპის სასტუმრო, მათგან 27 წარმოადგენს საერთაშორისო ქსელური სასტუმროების ბრენდებს, ხოლო 22 არის ადგილობრივი. ორგანიზაციების გენერალურ და HR მენეჯერებთან პირისპირ ინტერვიუ, შემუშავდა 2 კითხვარი მენეჯერებისთვის და არამენეჯერებისთვის. თითოეული მოიცავდა 10 კითხვას. კითხვარების საფუძველზე, ანონიმურად გამოიკითხა 75 მენეჯერი და 270 არამენეჯერი პერსონალი. მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS სტატისტიკური პროგრამის საშუალებით.

ორგანიზაციული კულტურის როლი. ორგანიზაციული კულტურის მკვლევარები, კულტურის შესახებ, სხვადასხვა მოსაზრებას გვთავაზობს. კულტურა არის არაფორმალური წესების სისტემა, რომელიც ასახავს იმას, თუ როგორ უნდა იქცევიან ადამიანები ხშირად (დილი და კენედი, 2000); ორგანიზაციის კულტურა გულისხმობს ნორმების, ღირებულებების, რწმენისა და ქცევის უნიკალურ კონფიგურაციას, რომელიც ახასიათებს ჯგუფებისა და ინდივიდების გაერთიანებას საქმის შესასრულებლად (ელდრიჯი და კრომბი, 1974); ორგანიზაციული კულტურა გვთავაზობს მნიშვნელობების საერთო სისტემას, რომელიც არის კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების საფუძველი (ფურმენი და განტერი); კულტურა არის ძირითადი ვარაუდების ნაკრები - გამოგონებული, აღმოჩენილი ან შემუშავებული გარკვეული ჯგუფის მიერ, როდესაც ის სწავლობს გაუმკლავდეს გარეგანი ადაპტაციისა და შიდა ინტეგრაციის პრობლემებს (Shain, 2004).

მრავალი საინტერესო შეხედულება არსებობს კორპორატიული კულტურის ფორმირებისა და სახეების შესახებ. შაინის მოსაზრებით, ღირებულებები და ნორმები, რომლებიც კულტურის საფუძველს წარმოადგენს, ოთხი გზით ყალიბდება. პირველი გზის მიხედვით, მას ქმნის ორგანიზაციის ლიდერები, განსაკუთრებით ისინი, ვინც ჩამოაყალიბა ან დააფუძნა ორგანიზაცია. მეორე გზის მიხედვით, კულტურა ყალიბდება კრიტიკული ინციდენტების ირგვლივ - მნიშვნელოვანი მოვლენები, საიდანაც სწავლობენ გაკვეთილებს სასურველი ან არასასურველი ქცევის შესახებ. მესამე, კულტურა ვითარდება ორგანიზაციის წევრებს შორის ეფექტური სამუშაო ურთიერთობების შენარჩუნების აუცილებლობის გამო, რაც ამკვიდრებს ღირებულებებსა და აყალიბებს მოლოდინებს.

და მეოთხე, კულტურაზე გავლენას ახდენს ორგანიზაციის გარემო, რომელიც შეიძლება იყოს დინამიური ან უცვლელი (Shain, 2010)..

ორგანიზაციული კულტურის კლასიფიკაციის შესახებ მრავალი მიდგომა არსებობს. მნიშვნელოვანია ხაზგასმა იმასთან დაკავშირებით, რომ არ არის მისაღები, როცა აღნიშნავენ, რომ რომელიმე ერთი კულტურა მეორეზე უკეთესია, ან არსებობს კარგი და ცუდი კულტურა. კულტურის შეფასებისას, შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი არის ეფექტური და/ან შეუსაბამო. თუ კულტურა შეუსაბამოა, უნდა განხორციელდეს კვლევა იმის დასადგენად, რა უნდა შეიცვალოს და როგორ უნდა განხორციელდეს ცვლილებები. კულტურა ეფექტური ხდება, როცა იგი ორგანიზაციის წევრებს შორის სრულად არის გაზიარებული, რაც თავის მხრივ ორგანიზაციას უნიკალურს ქმნის და რაც განასხვავებს ერთ ორგანიზაციას მეორისგან.

ჰარისონი (1972) ორგანიზაციული კულტურის კლასიფიკაციას ახდენს ოთხი ნიშნით და განასხვავებს შემდეგ სახეებს; 1. ძალაზე ორიენტირებული - კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებელია პიროვნებაზე და არა გამოცდილებაზე; 2. ხალხზე ორიენტირებული – კონსენსუალური, მენეჯმენტის კონტროლი უარყოფილია; 3. ამოცანაზე ორიენტირებული – კომპეტენციაზე ორიენტირებული, დინამიური; 4. როლზე ორიენტირებული – აქცენტი კანონიერებაზე, ლეგიტიმურობასა და ბიუროკრატიაზე (Alvesson, 2016).

შაინი (1984) ორგანიზაციის კულტურას განასხვავებს სამი ნიშნის მიხედვით და განიხილავს შემდეგ სახეებს: 1. ძალაუფლების კულტურა, სადაც დომინანტურია ხელმძღვანელობის სტატუსი; 2. როლის კულტურა, რომელშიც ძალაუფლება დაბალანსებულია ლიდერსა და ბიუროკრატიულ სტრუქტურას შორის. გარემო, სავარაუდოდ, სტაბილურია და როლები და წესები მკაფიოდ არის განსაზღვრული; 3. მიღწევების კულტურა, რომელშიც ხაზგასმულია პიროვნული მოტივაცია და ჩართულობა, ფასდება მოქმედება, ემპათია და გავლენა (Shain, 2010);

ჰენდი (1981) კულტურის ტიპოლოგიაში ყურადღებას ამახვილებს შემდეგი სახის კულტურებზე: 1. ძალაუფლების კულტურა არის ცენტრალური ენერგიის წყარო, რომელიც ეფუძნება კონტროლს. არსებობს მკაცრი წესები და პროცედურები. გარემო არის ძალაუფლებაზე ორიენტირებული; 2. როლური კულტურა, რომელშიც სამუშაო კონტროლდება პროცედურებითა და წესებით და როლით, 3. ამოცანების კულტურა, რომლის მიზანია სწორი ადამიანების შეკრება და მათთან მუშაობის საშუალება. გავლენა უფრო მეტად ემყარება ექსპერტულ ძალას, ვიდრე თანამდებობას ან პირად ძალაუფლებას. კულტურა ადაპტირებადია და გუნდური მუშაობა მნიშვნელოვანი; 4. პიროვნების კულტურა, რომელშიც ინდივიდი არის ცენტრალური წერტილი (Armstrong, 2014).

საქართველოს ბაზარზე მოქმედი სასტუმროებისთვის, რომელთა რიცხვი გამუდმებით იზრდება, დამახასიათებელია სხვადასხვა სახის კულტურა და მას ძირითადად განსაზღვრავს სასტუმროების ტიპი, დამფუძნებლები, დასაქმებულები და ადგილობრივ გარემოში მიმდინარე ტენდენციები (Lashkarashvili&chokheli, 2023).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2023 წლის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 2 162 ეკონომიკური სუბიექტი, რომლებიც ფლობდნენ 2 213 სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებას (ადგილობრივი ერთეულებისა და ფილიალების ჩათვლით). 2022 წელს საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 4.9 მილიონ სტუმარს მოემსახურა, რაც 61.9 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. სტუმართა 60.5 პროცენტს უცხოელები შეადგენენ. მათი უმრავლესობა, 488.9 ათასი (16.4 პროცენტი), ისრაელის მოქალაქე იყო, რაც 2021 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4.3-ჯერ მეტია. ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულები უცხოელი

სტუმრების 6.2%-ს შეადგენდნენ, რომელთა უმეტესობა გერმანიისა (29.4%) და პოლონეთის (28.0%) მოქალაქეებს წარმოადგენენ[1].

ქსელურ სასტუმროებში ორგანიზაციულ კულტურას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორის, გარდა ზევით განხილულისა, შეიძლება გამოვყოთ: დასაქმებულთა ასაკი, სქესი, სამუშაოთი კმაყოფილების დონე, ფუნქცია-მოვალეობების განაწილების სიზუსტე, საჭირო უნარები, გამოცდილება, ხელმძღვანელებთან ურთიერთობა და ა.შ.

კვლევის შედეგები. სიხშირული ანალიზის მიხედვით, კვლევის შედეგებს აქვს შემდეგი სახე:

ცხრილი 1 და ცხრილი 2 გვიჩვენებს, რესპოდენტი მენეჯერების და არამენეჯერების ასაკობრივი განაწილების სიხშირეს. გამოკითხული რესპოდენტი მენეჯერებიდან ყველაზე მაღალი პროცენტული სიხშირე (41,3 %) აქვს 40-49 წელს, შემდეგ მოსდევს 30-39 წელი (40 %). ხოლო არამენეჯერი რესპოდენტებიდან, ყველაზე მაღალი პროცენტული სიხშირე (39,3%) აქვს 30-39 წელს, შემდეგ მოსდევს 18-29 წელი (31,1%), 40-49 წელი (23%), ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტული სიხშირე (2,2%), მენეჯერების მსგავსად (8%) აქვს 50 და მეტ წელს.

ცხრილი 1.

არამენეჯერთა ასაკობრივი განაწილება

ასაკი	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
<18	12	4.4	4.4	4.4
18-29	84	31.1	31.1	35.6
30-39	106	39.3	39.3	74.8
40-49	62	23.0	23.0	97.8
50 და მეტი	6	2.2	2.2	100.0
Total	270	100.0	100.0	

ცხრილი 2.

მენეჯერთა ასაკობრივი განაწილება

ასაკი	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
18-29	8	10.7	10.7	10.7
30-39	30	40.0	40.0	50.7
40-49	31	41.3	41.3	92.0
50 და მეტი	6	8.0	8.0	100.0
Total	75	100.0	100.0	

ცხრილი 3 და ცხრილი 4 გვიჩვენებს, რესპოდენტი მენეჯერების და არამენეჯერების სქესის მიხედვით განაწილების სიხშირეს. გამოკითხული რესპოდენტებიდან, მენეჯერთა 65.9 % არის ქალი, ხოლო 34, 1% - მამაკაცი. არამენეჯერი პერსონალიდან კი, 74,7 ქალია და მხოლოდ 25,3 არის მამაკაცი.

[1] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika

ცხრილი 3.

არამენეჯერთა სქესის მიხედვით განაწილება

სქესი	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
მდედრობითი	178	65.9	65.9	65.9
მამრობითი	92	34.1	34.1	100.0
Total	270	100.0	100.0	

ცხრილი 4.

მენეჯერთა სქესის მიხედვით განაწილება

სქესი	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
მდედრობითი	56	74.7	74.7	74.7
მამრობითი	19	25.3	25.3	100.0
Total	75	100.0	100.0	

ცხრილი 5 და ცხრილი 6 გვიჩვენებს სასტუმროში სამუშაო სტაჟის მიხედვით რესპოდენტთა განაწილების სიხშირეს. რესპოდენტი მენეჯერებიდან ყველაზე მაღალი პროცენტული სიხშირით (44%) გამოირჩევა მენეჯერები 5-10 წლის სამუშაო სტაჟით, შემდეგ მოდის (22%) მენეჯერები 10 წელზე მეტი სტაჟით და ყველაზე დაბალი პროცენტული (7%) სიხშირით მენეჯერები 3 წლამდე სამუშაო სტაჟით. რაც შეეხება არამენეჯერებს, რესპოდენტი არამენეჯერებისგან ყველაზე მაღალი პროცენტული სიხშირით (31,9%) გამოირჩევა 1-3 წლამდე სამუშაო სტაჟის პერსონალი, შემდეგ მოდის (28,9%) 1 წლამდე სამუშაო სტაჟის პერსონალი, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტული სიხშირე აქვს 10 წელზე მეტის სამუშაო სტაჟის პერსონალს.

ცხრილი 5.

სასტუმროში მენეჯერების სამუშაო სტაჟის მიხედვით განაწილება

სამუშაო სტაჟი	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
0-1	5	6.7	6.7	6.7
1-3	5	6.7	6.7	13.3
3-5	15	20.0	20.0	33.3
5-10	33	44.0	44.0	77.3
10 და მეტი	17	22.7	22.7	100.0
Total	75	100.0	100.0	

ცხრილი 6.

სასტუმროში არამენეჯერები სამუშაო სტაჟის მიხედვით განაწილება

სამუშაო სტაჟი	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
0-1	78	28.9	28.9	28.9
1-3	86	31.9	31.9	60.7
3-5	40	14.8	14.8	75.6
5-10	54	20.0	20.0	95.6
10 და მეტი	12	4.4	4.4	100.0
Total	270	100.0	100.0	

ცხრილი 7 და ცხრილი 8 გვიჩვენებს სასტუმროში სამუშაოების კმაყოფილების მიხედვით რესპოდენტთა განაწილების სიხშირეს. კითხვაზე, რამდენად კმაყოფილები არიან სამუშაოთი, რესპოდენტ მენეჯერთა 82,7 % -მა დადებითი პასუხი გასცა, უკმაყოფილო აღმოჩნდა მხოლოდ მენეჯერთა 6,7 %. ხოლო არამენეჯერი რესპოდენტიდან სამუშაოთი კმაყოფილება გამოხატა რესპოდენტთა 71,2 %-მა, ხოლო უკმაყოფილო ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდა 6,7%.

ცხრილი 7.

სამუშაოთი კმაყოფილების მიხედვით მენეჯერთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
ძალიან კმაყოფილი	20	26.7	26.7	26.7
კმაყოფილი	42	56.0	56.0	82.7
ნეიტრალური	8	10.7	10.7	93.3
უკმაყოფილო	5	6.7	6.7	100.0
Total	75	100.0	100.0	

ცხრილი 8.

სამუშაოთი კმაყოფილების მიხედვით არამენეჯერთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
ძალიან კმაყოფილი	52	19.3	19.3	19.3
კმაყოფილი	140	51.9	51.9	71.1
ნეიტრალური	54	20.0	20.0	91.1
უკმაყოფილო	22	8.1	8.1	99.3
ძალიან უკმაყოფილო	2	.7	.7	100.0
Total	270	100.0	100.0	

ცხრილი 9 და ცხრილი 10 გვიჩვენებს, რესპოდენტთა განაწილების სიხშირეს, ბედნიერების მიხედვით. კითხვაზე - ხართ თუ არა ბედნიერი მიმდინარე სამუშაოთი, რესპოდენტ მენეჯერთა 86,5%-მა და არამენეჯერთა 79,1 %-მა უპასუხა დადებითად.

ცხრილი 9.

ბედნიერების მიხედვით მენეჯერთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
დიახ	65	85.3	86.5	86.5
არა	10	13.3	13.5	100.0
Total	75	100.0		

ცხრილი 10.

ბედნიერების მიხედვით არამენეჯერთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
დიახ	216	78.5	79.1	79.1
არა	56	20.7	20.9	100.0
Total	270	100.0		

ცხრილი 11 და ცხრილი 12 გვიჩვენებს, რესპოდენტთა სიხშირულ განაწილებას იმასთან დაკავშირებით, უფრო მაღალი ფინანსური შეთავაზების გამო, დატოვებდნენ თუ არა ორგანიზაციას. მენეჯერ რესპოდენტთა 65,3 %-მა და არამენეჯერ რესპოდენტთა 66,4 %-მა გასცა უარყოფითი პასუხი.

ცხრილი 11.

მაღალი ფინანსური შეთავაზების გამო მენეჯერ რესპოდენტთა მიერ ორგანიზაციის დატოვების ალბათობის განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
დიახ	24	32.0	32.9	32.9
არა	51	65.3	67.1	100.0
Total	75	100.0		

ცხრილი 12.

მაღალი ფინანსური შეთავაზების გამო არამენეჯერ რესპოდენტთა მიერ ორგანიზაციის დატოვების ალბათობის განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
დიახ	92	33.3	33.6	33.6
არა	178	65.9	66.4	100.0
Total	270	100.0		

ცხრილი 13 და ცხრილი 14 გვიჩვენებს, ორგანიზაციაში დასაქმების რეკომენდაციის სიხშირულ განაწილებას. კითხვაზე გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას სხვა ადამიანებს თქვენს ორგანიზაციაში დაეწყოთ მუშაობა. მენეჯერ რესპოდენტთა 91,9%-მა და არამენეჯერ რესპოდენტთა 88,9%-მა დადებითად უპასუხა.

ცხრილი 13.

რეკომენდაციის გაცემის მიხედვით მენეჯერ რესპოდენტთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
დიახ	68	90.7	91.9	91.9
არა	6	8.0	8.1	100.0
Total	75	100.0		

ცხრილი 14.

რეკომენდაციის გაცემის მიხედვით არამენეჯერ რესპოდენტთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
დიახ	240	88.9	88.9	88.9
არა	30	11.1	11.1	100.0
Total	270	100.0	100.0	

ცხრილი 15 გვიჩვენებს, ანაზღაურების მიმართ რესპოდენტ მენეჯერების დამოკიდებულების სიხშირულ ანალიზს. კითხვაზე, როგორია მათი დამოკიდებულება ანაზღაურების მიმართ (რამდენად შეესაბამება სამუშაოს მოცულობა და ანაზღაურება ერთმანეთს), რესპოდენტ მენეჯერთა 73,4 % -მა უპასუხა დადებითად, 1,6%-მა უპასუხა, რომ არ ეთანხმება და 6,8 %-ს კი ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს.

ცხრილი 15.

ანაზღაურების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით
რესპოდენტ მენეჯერთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
სრულიად არ ვეთანხმები	3	4.0	4.0	4.0
არ ვეთანხმები	4	5.3	5.3	9.3
ნეიტრალური	13	17.3	17.3	26.7
ვეთანხმები	29	38.7	38.7	65.3
სრულიად ვეთანხმები	26	34.7	34.7	100.0
Total	75	100.0	100.0	

ცხრილი 16 გვიჩვენებს, ფუნქცია-მოვალეობების განაწილების მიმართ არამენეჯერ რესპოდენტთა დამოკიდებულების სიხშირულ ანალიზს. კითხვაზე, თუ სწორად არის განაწილებული ფუნქცია-მოვალეობები (რამდენად მკაფიო), რესპოდენტთა 89,4 % დადებითად პასუხობს, მხოლოდ 2,2% პასუხობს უარყოფითად.

ცხრილი 16.

ფუნქცია- მოვალეობების მიმართ რესპოდენტთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
არ ვეთანხმები	6	2.2	2.3	2.3
ნეიტრალური	22	8.1	8.3	10.5
ვეთანხმები	34	11.9	12.0	22.6
სრულიად ვეთანხმები	208	76.3	77.4	100.0
Total	270	100.0		

ცხრილი 17 გვიჩვენებს, უნარების გამოყენების მიმართ არამენეჯერ რესპოდენტთა სიხშირულ განაწილებას. რესპოდენტთა 74,8%, ორგანიზაციაში უნარების გამოყენებას ეთანხმება. ხოლო 14,1% - არ ეთანხმება.

ცხრილი 17.

უნარების გამოყენების მიმართ რესპოდენტთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
სრულიად არ ვეთანხმები	8	3.0	3.0	3.0
არ ვეთანხმები	30	11.1	11.1	14.1
ნეიტრალური	30	11.1	11.1	25.2
ვეთანხმები	78	28.9	28.9	54.1
სრულიად ვეთანხმები	124	45.9	45.9	100.0
Total	270	100.0	100.0	

ცხრილი 18 და ცხრილი 19 გვიჩვენებს, ორგანიზაციის ღირებულებებისადმი დამოკიდებულების მიხედვით რესპოდენტთა განაწილებას. რესპოდენტ მენეჯერების მიხედვით საკმაოდ მაღალია, ორგანიზაციის ღირებულებებს იზიარებს მენეჯერთა 91,8 %, არ იზიარებს - 1,4 %. არამენეჯერი რესპოდენტების მიხედვით, ორგანიზაციის ღირებულებებს იზიარებს 77,1%, ნეიტრალურია - 18, 5%, არ იზიარებს - 4,4 %.

ცხრილი 18.

ღირებულებების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით მენეჯერ რესპოდენტთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
არ ვეთანხმები	1	1.3	1.4	1.4
ნეიტრალური	5	6.7	6.8	8.2
ვეთანხმები	13	17.3	17.8	26.0
სრულიად ვეთანხმები	56	72.0	74.0	100.0
Total	75	100.0		

ცხრილი 19.

ღირებულებების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით მენეჯერ რესპოდენტთა განაწილება

	სიხშირე	%	ვალიდური %	კუმულაციური %
არ ვეთანხმები	12	4.4	4.4	4.4
ნეიტრალური	50	18.5	18.5	23.0
ვეთანხმები	58	21.5	21.5	44.4
სრულიად ვეთანხმები	150	55.6	55.6	100.0
Total	270	100.0	100.0	

დასკვნები და რეკომენდაციები. ქსელურ სასტუმროებში ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოვლინდა:

- როგორც მენეჯერულ, ისე არამენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულებიდან ყველაზე მეტია (39%-ზე მეტი) იმ პერსონალის რაოდენობა, რომელთა ასაკი 30-39 წელია;
- დასაქმებულებიდან, მენეჯერთა 69% და არამენეჯერთა 74%-ზე მეტი ქალია;
- მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულებიდან ყველაზე დიდია იმ პერსონალის რაოდენობა (44%), რომელიც კომპანიაში მუშაობს 5-10 წელი, ხოლო არამენეჯერულ პოზოციაზე ყველაზე მაღალია იმ პერსონალის რაოდენობა (31%-ზე მეტი), რომელიც მუშაობს 1-3 წელი;
- სამუშაოთი კმაყოფილია საშუალოდ დასაქმებულების 75%-ზე მეტი და სამუშაო ადგილზე ბედნიერია საშუალოდ დასაქმებულების 83%-ზე მეტი;
- დასაქმებულთა 65%-ზე მეტი თვლის, სხვა ორგანიზაციის მიერ უფრო მაღალი ფინანსური შეთავაზების შემთხვევაში არ დატოვებს სამუშაოს;
- დასაქმებულთა 90%-ზე მეტი გაუწევს სხვა ადამიანებს ორგანიზაციაში მუშაობის დასაწყებად რეკომენდაციას;
- დასაქმებულები დადებითად აფასებს ორგანიზაციაში, ანაზღაურებას (მენეჯერთა 73%-ზე მეტი), ფუნქცია-მოვალეობების განაწილებას (89%-ზე მეტი) და უნარების გამოყენებას (74%-ზე მეტი);

- ორგანიზაციაში ღირებულებებს იზიარებს მენეჯერთა 91%-ზე მეტი და არამენეჯერების 77%-ზე მეტი, რაც არც ისე მაღალი მაჩვენებელია.

ამრიგად, ქსელურ სასტუმროებში ორგანიზაციული კულტურის სრულყოფა მუდმივ ყურადღებას მოითხოვს და დასაქმებულების, განსაკუთრებით არამენეჯერულ პოზიციაზე მომუშავე პერსონალის მოთხოვნილებების შესწავლითა და მათზე მორგებული ფასეულობების შექმნით, რომელიც ადაპტირებული იქნება გარემოში მიმდინარე ტენდენციებთან, კომპანიებს შეუძლიათ წარმატებული მომავლის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alvesson M., Sveningsson S. (2016). Changing Organizational Culture, Cultural change Work in Progress Second Edition.
2. Armstrong's Handbook of Human Resource Management Practice, (2014). 13TH edition.
3. Chokheli E., Nizharadze D. (2022). Efficien Personnel Selection Strategy: Challenges of Matching Human Resource Qualification to Business Requirements in Gorgia., the 5th International Multidisciplinary Academic Conference (IMAC), At: Latvia
4. Chokheli, E. (2019). Importance of service strategies and level of their use: challenges in the management of family hotels in Georgia. nternational Conference on Management, Economics & Social Science-ICMESS; 25-26 march (2019), (p. 4).
5. Chokheli, E. (2023). Symple Model of Startup Management:Challenges and Kay Factors of Success. Semiconductor Optoelectronics, 42(1), 562-573.
6. Edgar H. Schein (2010). Organizational Culture and Leadership, 4th edition.
7. Edgar H. Schein (2004). Organizational Culture and Leadership, 4th edition
8. Lashkarashvili I, Chokheli E. (2023). Factors Affecting Hotel Occupancy Rate: The Contexst Of Service Quality Management In Hotel Industry., Journal of Aeronautical Materials ISSN: 1005-5053 Vol. 43, Issue-01, 2023 pp. 1540-1556
9. Mattone J., Vaidya N. (2016). Cultural Transformations lessons of leadership & Corporate Reinvention.
10. Narmania D., Keshelashvili G., Chokheli E., Kikutadze V. (2022). Challenges of Development of Demand-Oriented Labor Market in Georgia. *International Journal of Social Sciences,* 11(2), 86-98.
11. Nizharadze D., Chokheli E. (2018). Labor Market as an Important Factor to Select Efficient Human Resource (the Case of Georgia) Proceedings of the VIII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society. At: Warsaw, Poland.
12. Paichadze N., Chokheli E., Keshelashvili G., Kharkheli M., Tielidze, S., Tchuradze, G. (2017). The Challenges of Human Resource Management in Georgia. *Economics and Business,* 10(2), 86-101.

Issues of Managing Organizational Culture in Chain Hotels

Petre Adamadze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nino Aptsiauri
Master Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Eka Chokheli
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article „Issues of managing organizational culture in chain hotels“ discusses the peculiarities of organizational culture in chain hotels operating in Georgia. Organizational culture in organizations affects employee productivity, job satisfaction, attitude toward the company, and ultimately, organizational performance. In modern competitive conditions, people's needs towards organizations have changed, therefore, effective organizations constantly try to establish such values, rules that will be adjusted to the individual, authentic values, needs, and engagement of people. As a result of the research carried out in chain hotels, on the basis of a survey of managerial and non-management personnel, the main characteristics of the organizational culture, which creates a special image for the companies, were revealed. As a result, the conclusions and recommendations made in the article are of practical importance along with the study of organizational culture issues.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა სასურსათო ბაზრებზე

ლელა ადუაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში შეფასებულია რუსეთ-უკრაინის ისტორიული როლი და მნიშვნელობა გლობალურ სასურსათო ბაზრებზე; გაანალიზებულია კონფრონტაციული გარემოს გავლენა მსოფლიო მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემაზე; განხილულია რუსეთ-უკრაინის ომის ნეგატიური ეკონომიკური შედეგები სასურსათო ბაზრებზე, როგორც გლობალურ, ასევე საქართველოს დონეზე.

ჩატარებული ბიბლიოგრაფიული კვლევის შედეგად შემუშავებულია დასკვნები და სასურსათო ბაზრებზე რუსეთ-უკრაინის ომის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური გავლენის შესამცირებლად შემოთავაზებულია რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *სასურსათო უსაფრთხოება, სასურსათო ბაზარი, რუსეთ-უკრაინის ომი, სასურსათო კრიზისი.*

მოსახლეობის მუდმივი ზრდისა და ფორმირებული კონფრონტაციული გარემოს გამო მსოფლიო სურსათით უზრუნველყოფის პრობლემის წინაშე დგას. საპროგნოზო მაჩვენებლებით, 2050 წლისათვის მოსალოდნელია მოსახლეობის 9,7 მილიარდამდე ზრდა (United Nations, 2023), მაშინ როდესაც 2019 წლიდან დღემდე 135-დან 345 მილიონამდე გაზრდილია სასურსათო პრობლემებისაგან დაუცველი მოსახლეობის რაოდენობა (World Food Programme, 2023). აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი ასაკის ყოველი მეორე ბავშვი და რეპროდუქციული ასაკის ყოველი მესამე ქალი განიცდის მინიმუმ ერთი მიკროელემენტის დეფიციტს (The Lancent Global Health, 2022). შესაბამისად, იზრდება ე.წ. „ფარული შიმშილის“ განვითარების რისკი (The Institute For Functional Medicine, 2023).

ზემოთ ხსენებულ პრობლემათა მთელ რიგს უკიდურესად ამწვავებს რუსეთის სამხედრო აგრესია უკრაინის მიმართ. ესპერტთა შეფასებით, რუსეთ-უკრაინის ომმა მილიონობით ადამიანს უბიძგა არასწორი კვების რეჟიმისაკენ, ვინაიდან კონფლიქტში ჩართული თითოეული სახელმწიფო წარმოადგენს სასურსათო ბაზრების მნიშვნელოვან ექსპორტიორს. შედეგად, შექმნილმა კონფრონტაციულმა გარემომ ხელი შეუწყო 2020-2023 წლების პერიოდისათვის სასურსათო ფასების ინდექსის 98,1-დან 135,6-მდე ზრდას (FAO, 2023). საყურადღებოა, რომ რუსეთ-უკრაინის საომარი პროცესი აქტიურ ფაზაშია და შექმნილი მდგომარეობა არ იძლევა მისი დასრულების რეალური პროგნოზირების საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილული საკითხი მუდმივი აქტუალურობით სარგებლობს, როგორც სამეცნიერო, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკურ სფეროში.

კვლევის მიზანი და ამოცანები

რუსეთ-უკრაინის, როგორც მსოფლიო სავაჭრო პარტნიორის, ისტორიული როლის ანალიზის საფუძველზე სასურსათო ბაზრებზე მიმდინარე კონფლიქტის ეკონომიკური გავლენის შეფასება და ნეგატიური შედეგების შესამცირებლად რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის დაისახა შემდეგი ამოცანები:

- რუსეთისა და უკრაინის გლობალურ სასურსათო ბაზარზე პოზიციონირების შეფასება;

- საერთაშორისო და ადგილობრივ სასურსათო ბაზრებზე რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის გავლენის ანალიზი;
- სასურსათო ბაზარზე კონფლიქტის შედეგად პროვოცირებული ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შესამცირებლად რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევი პრობლემის ირგვლივ ჩატარებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა, რომლის ფარგლებშიც დამუშავდა Scopus-ში გამოქვეყნებული უახლესი უცხოური სამეცნიერო სტატიები. ნაშრომში წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემები დაფუძნებულია საერთაშორისო (FAO, World Bank, United Nation, WFP და სხვ.) და ადგილობრივი (საქსტატი) მონაცემების ბაზაზე.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზის, დედუქციის, ინდუქციის, შედარების, სინთეზისა და სხვა მეთოდები.

რუსეთ-უკრაინის ომმა მსოფლიო დღის წესრიგში განხილვის აქტუალურ საკითხად აქცია მისი ეკონომიკური როლი სასურსათო ბაზრებზე, ვინაიდან დასახელებული ქვეყნები აგროსასურსათო პროდუქტის ძირითადი ექსპორტიორები არიან. ამ მხრივ, გამორჩეულია მარცვლეულის კულტურები. რუსეთისა და უკრაინის გლობალური საბაზრო წილი მარცვლეული კულტურების მიხედვით, 2019-2021 წლებში, შემდეგნაირადაა გადანაწილებული: ხორბალი - 34%, ქერი, 26%, სიმინდი - 17%, მზესუმზირის ზეთი - 75% (Glauber, J., Laborde, D., Swinnen, J., 2023).

მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვის რეგიონი ისტორიულად მარცვლეულის მთავრი მწარმოებელია, რუსეთი და უკრაინა ძირითად მწარმოებლებად მოგვიანებით ჩამოყალიბდნენ. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში საბჭოთა კავშირი ხორბლისა და სიმინდის წმინდა იმპორტიორს წარმოადგენდა, რაც ეკონომიკურმა დამახინჯებებმა განაპირობა. სწორედ, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად რუსეთსა და უკრაინაში, 2000 წლიდან, იწყება მარცვლეული კულტურების პროდუქტიულობის ზრდა. მათი მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან ჩრდილოეთ აფრიკისა და დასავლეთ აზიის ქვეყნები. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში მკვეთრად შეზღუდა სავაჭრო ნაკადები შავი ზღვიდან (უკრაინის პორტებიდან დაიბლოკა ექსპორტი). შეფერხდა სურსათის ტრანსპორტირება, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სასურსათო ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებას (ხარაიშვილი, ე., გეჩბაია, ბ., 2023). შედეგად, იმპორტიორი სახელმწიფოები იძულებულნი გახდნენ ეძიათ ალტერნატიული, უფრო ძვირი, საექსპორტო გზები (Glauber, J., Laborde, D., Swinnen, J., 2023).

სამხედრო დაპირისპირების კვალდაკვალ გარკვეულ იმედებს აჩენს რუსეთ-უკრაინას შორის მარცვლეულის ექსპორტის შესახებ შეთანხმება, სადაც მთავარი როლი თურქეთმა ითამაშა. თუმცა, კონფლიქტის მიმდინარეობის გამო შეთანხმება საუკეთესო სცენარითაც სუსტია.

რუსეთ-უკრაინის ომს თან ახლავს მრავალი ურთიერთდაკავშირებული ეფექტი. იგი აღიქმება არა როგორც იზოლირებული შოკი, რომლის ეფექტების მიკვლევა შესაძლებელია ერთი წრფივი ღერძის გასწვრივ, არამედ როგორც გლობალური კრიზისების ქსელის ფაქტორი (Hussein, H. & Knol, M., 2023). აღსანიშნავია, რომ სასურსათო მიწოდების ჯაჭვები Covid-19-ის პანდემიამ მეტად დაუცველი გახადა ომის გავლენის მიმართ, ვინაიდან მან სასურსათო ბაზრებზე შექმნა ლოჯისტიკური პრობლემებს ერთობლიობა, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ღირებულებათა გრძელ ჯაჭვზე (ხარაიშვილი, ე., ერქომაიშვილი, გ., ნაცვლიშვილი, ი., ლობჟანიძე, მ., 2021). ამგვარად, მოკლევადიან პერიოდშივე სურსათის მიწოდების მცირე ვარდნა გადაიზარდა საბაზრო პანიკაში, მკვეთრ ინფლაციასა და სასურსათო დაუცველობაში (იმპორტდამოკიდებულ სახელმწიფოებში).

გასათვალისწინებელია, რომ უკრაინის ნაყოფიერი ნიადაგი მარცვლეულის სიმრავლის გამო რეგიონში ცნობილია, როგორც „მსოფლიო პურის კალათა“ (Jacobo, J., Zahn, M., 2023). მისი მიწის ნაკვეთების დაახლოებით 70% გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, სადაც იწარმოება ხორბლის მსოფლიო ბაზრის 10% (Eisele, I., 2022). რა თქმა უნდა, უფრო დიდია რუსეთის წილი. ამ ქვეყნების ძირითადი სავაჭრო პარტნიორები, ხორბლის ბაზარზე, არიან: ეგვიპტე, თურქეთი, ბანგლადეში, ინდონეზია, ნიგერია, იემენი, ტუნისი (იხ. რუკა 1).



რუკა 1. რუსეთ-უკრაინის ხორბლის ესპორტის ღირებულება (მლნ აშშ დოლარი) ქვეყნების მიხედვით 2020-2021 წლებში (OEC, 2023)

2021-2022 წლებში, უკრაინაში, სატელიტურმა დაკვირვებებმა აჩვენა ხორბლის წარმოების შემცირების ნიშნები. მისი ე.წ. „მსოფლიოს პურის კალათის“ როლი საფრთხის ქვეშაა, რადგან ომი მძვინვარებს, ანადგურებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწებს... კიევის ეკონომიკის სკოლის მონაცემებით, ომის შედეგად ქვეყნის სოფლის მეურნეობის სექტორმა 4,3 მილიარდი დოლარი დაკარგა (Kyiv School of Economics, 2023). 2023 წლისათვის უკრაინაში წარმოების პერსპექტივები პესიმისტურია, ვინაიდან მწარმოებლები დგანან უამრავი პრობლემის წინაშე, მათ შორისაა გაზრდილი დანახარჯები (საწვავსა და სხვ. პროდუქტებზე) და საბაზრო გაურკვევლობა.

ხორბლის გლობალურ ბაზარზე კონფლიქტის პოტენციური ზემოქმედების ანალიზით (საერთო წონასწორობის სავაჭრო მოდელის მიხედვით) დგინდება, რომ კონფლიქტი გამოიწვევს ვაჭრობის 60%-ით შემცირებას, ხორბლის ფასების 50%-ით ზრდასა და შექმნის სერიოზულ სასურსათო დაუცველობას. ყველაზე მძიმე სცენარით, 30%-ზე მეტად შემცირდება ხორბლის მსყიდველობითუნარიანობა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დიდად არიან დამოკიდებული უკრაინიდან

ხორბლის იმპორტზე, მათ შორისაა: ეგვიპტე, თურქეთი, მონღოლეთი, საქართველო და აზერბაიჯანი (Lin, F., Li, X., Jia N., Feng, F., Huang, H., Huang, J., Fan, S., Ciais, P., Song, X., 2023).

შექმნილმა კონფრონტაციულმა გარემომ განაპირობა მაღალი ინფლაციური პროცესები განვითარებად და ღარიბ სახელმწიფოებში. 162 ქვეყნიდან 81%-ში სურსათის ფასების ინფლაციამ გადააჭარბა ინფლაციის დონეს (The World Bank, 2023). მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება საქართველოშიც (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1.

ინფლაცია საქართველოში 2023 წელს (საქსტატი, 2023)



საქართველოს სასურსათო ბაზარზე ფასების საერთო დონის ზრდა განპირობებულია იმ ფაქტით, რომ რუსეთი და უკრაინა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი იმპორტიორები არიან. ყველაზე მკაცრი სცენარის მიხედვით, მოსალოდნელია რეალური ეკონომიკური ზრდის 2-3%-ით შემცირება (ნამჩავაძე, ბ., 2022).

ევროპა და მისი მოკავშირეები რუსეთის ფედერაციას მუდმივად უწესებენ ახალ სანქციებს, რომელთაც შეიძლება მოჰყვეს მყისიერი და გრძელვადიანი დამღუპველი შედეგები ევროპულ და გლობალურ კვების სისტემებზე (Kazi, S., Md Monirul, I., Tvana, T. Z., Hoda, M., 2023). ამ მხრივ, დასავლეთის მთავარ გამოწვევას (რუსეთის რეალური დასუსტებისათვის) გლობალური კონტროლის გაძლიერება წარმოადგენს (Papava, V., 2023). მხედველობაში თუ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ბოლო წლებში რუსეთი საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორად ჩამოყალიბდა დაწესებული სანქციები აუცილებლად აისახება საქართველოს ეკონომიკაზეც.

ქართულ სასურსათო ბაზარზე მნიშვნელოვანი გარემოებაა რუსულ ხორბალზე უპრეცედენტოდ მაღალი დამოკიდებულება. 2021 წლისათვის 87 მლნ დოლარის (319 ათასი ტონა) ხორბლის იმპორტი განხორციელდა რუსეთიდან, რაც მთლიანი იმპორტის 94%-ია (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.

ხორბლის იმპორტი (მლნ აშშ დოლარი) და წარმოება (ათასი ტონა)
საქართველოში 2015-2022 წლებში (საქსტატი, 2023)



თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდინარე კონფრონტაციის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა უცნობია, რუსეთისა და უკრაინის, როგორც ორი დიდი ექსპორტიორი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო აქტივობები კვლავ შეფერხდება, რაც მსოფლიოს სურსათით მომარაგებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის (ხარაიშვილი, 2023). მით უმეტეს მაშინ, როდესაც ყოველწლიურად მსოფლიო აწარმოებს დაახლოებით 4 მლრდ ტონა საკვებს, რომლის ერთი მესამედი კლასიფიცირდება დანაკარგების სახით (FAO, IFAD, Unicef, WFP, WHO, 2023). ამასთან, რუსეთის აგრესიული შეჭრის გამო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იუწყება, რომ მოსალოდნელია ათწლეულების განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე მასშტაბური სასურსათო კრიზისი (United Nations, 2023). რეგიონში განვითარებული სამხედრო დაპირისპირება 1,7 მლრდ ადამიანს შიმშილის, ხოლო 276 მლნ ადამიანს მძიმე სასურსათო დაუცველობის წინაშე აღმოაჩენს (Lin, F., Li, X., Jia N., Feng, F., Huang, H., Huang, J., Fan, S., Ciais, P., Song, X., 2023).

დასკვნები და რეკომენდაციები

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა კიდევ უფრო მეტად გაართულა Covid-19-ის შედეგად სასურსათო ბაზრებზე არსებული გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო აქტიურად ჩართულია სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემის მოგვარებაში, მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია სასურსათო ფასების პანდემიამდელ ნიშნულზე დაბრუნება.

სასურსათო კრიზისის მასშტაბების შესამცირებლად მიზანშეწონილი იქნება შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება: დიპლომატიური მოლაპარაკების საფუძველზე რუსეთ-უკრაინის საომარი პროცესების დასრულება; რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მკაცრი კონტრო-

ლი; განვითარებული სამყაროს მხრიდან სასურსათო დაუცველობის წინაშე მდგარი სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა; განვითარებად და ღარიბ სახელმწიფოებში ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა და ინვესტიციების განხორციელება; ბაზრების დივერსიფიკაცია; სასურსათო დანაკარგების მინიმიზაცია და სხვ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გლობალური საკვების მარაგი რისკის ქვეშ დადგება. განგრძობადი ბუნებრივი და ხელოვნურად ფორმირებული კატასტროფები ფართომასშტაბიან გავლენას მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე და მსოფლიო ფატალური შედეგების წინაშე აღმოჩნდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნამჩავაძე, ბ. (2022). *„რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომი საქართველოს ეკონომიკაზე?“* ForbesGeorgia. მოძიებულია: https://forbes.ge/ra-gavlenas-moakhdens-ruseth-ukrainis-omi-saqarthvelos-ekonomikaze/
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). ინფლაცია საქართველოში 2023 წლის მარტი. მოძიებულია: https://shorturl.at/adEMX
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). საგარეო ვაჭრობა > იმპორტი > იმპორტი სასაქონლო პოზიციების მიხედვით (HS 4 ნიშნა) 2015-2023 წლებში. მოძიებულია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). სოფლის მეურნეობა და სასურსათო უსაფრთხოება > სოფლის მეურნეობა > ერთწლიანი კულტურების წარმოება. მოძიებულია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba
5. ხარაიშვილი, ე. & გეჩბაია, ბ. (2023). *„მდგრადი სატრანსპორტო გადაზიდვების გავლენა სასურსათო ბაზრების განვითარებაზე“.* No 2: Journal Innovative Economics and Management, Vol.10, Issue 2, August, pp. 129-139. მოძიებულია: https://iem.ge/ojs/index.php/journal/article/view/141/114
6. ხარაიშვილი, ე., ერქომაიშვილი, გ., ნაცვლიშვილი, ი., ლობჟანიძე, მ. (2021). „სურსათის სატრანსპორტო გადაზიდვების გამოწვევები და პოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში“. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, N3. მოძიებულია: https://rb.gy/64bdq
7. ხარაიშვილი, ე. (2023). *„კონფრონტაციის გავლენა აგროსასურსათო წარმოებაზე: გაურკვევლობა და მოლოდინები“.* საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“, 8 სექტემბერი, თბილისი, Doi: https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-36-55
8. Eisele, I. (2022). *'Five facts on grain and the war in Ukraine'*. Dw.com home – Made for minds. Retrieved from -https://www.dw.com/en/five-facts-on-grain-and-the-war-in-ukraine/a-62601467
9. Food and Agricultural Organization of the United Nations (2023). World Food Situation, *FAO Food Price Index*. Retrieved from - https://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/
10. FAO, IFAD, Unicef, WFP, WHO (2023). *'The State Of Food Security And Nutrition In The World'*. Retrieved from - https://www.fao.org/3/cc3017en/cc3017en.pdf
11. Glauber, J., Laborde, D., Swinnen, J. (2023). *'The Russia-Ukraine war's impact on global food markets: A historical perspective'*. International Food Policy Research Institute, April 6. Retrieved from – https://www.ifpri.org/blog/russia-ukraine-wars-impact-global-food-markets-historical-perspective
12. Hussein, H. & Knol, M. (2023). '*The Ukraine War, Food Trade and the Network of Global Crises'*. Italian Journal of International Affairs, Vol.58, Issue 3, pp. 74-95, Jun 19. Retrieved from – https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/03932729.2023.2211894

13. Jacobo, J., Zahn, M. (2023). '*1 year later: How the war in Ukraine is affecting food supplies, prices around the world*'. AbcNEWS, February 24. Retrieved from - https://abcnews.go.com/International/1-year-war-ukraine-affecting-food-supplies-prices/story?id=97320422
14. Kazi, S., Md Monirul, I., Tvana, T. Z., Hoda, M. (2023). *'Food inflation and geopolitical risks: analyzing European regions amid the Russia-Ukraine war'*. British Food Journal, Vol.125, Issue 7, Pp. 1268-2391, 30 May. Retrieved from - https://rb.gy/xc717
15. Kyiv School of Economics (2023). '*Agricultural War Damages Review'*. Retrieved from - https://rb.gy/c1m7p
16. Lin, F., Li, X., Jia N., Feng, F., Huang, H., Huang, J., Fan, S., Ciais, P., Song, X. (2023). *'The impact of Russia-Ukraine conflict on global food security, Global Food Security,* Vol.36, March, Doi: https://doi.org/10.1016/j.gfs.2022.100661
17. OEC (2023). Where do Russia and Ukraine Export (Wheat)? Retrieved from - https://oec.world/en/visualize/geomap/hs92/export/rus.ukr/show/all/2021/
18. Papava, V. (2023). *'Illegal Globalization is Russia's Main "Ally" against the West'*. SSRN Electronic Journal, February, Doi: 10.2139/ssrn.4354562
19. The Institute For Functional Medicine (2023). '*Micronutrient Malnutrition: Not Limited to Developing Nations'*. Retrieved from - https://www.ifm.org/news-insights/micronutrient-malnutrition-not-limited-to-developing-nations/
20. The Lancet Global Health (2022). '*Micronutrient deficiencies among preschool-aged children and women of reproductive age worldwide: a pooled analysis of individual-level data from population-representative surveys'*, Vol.10, Issue 11, November. Retrieved from - https://rb.gy/7hgp3
21. The World Bank (2023). Food Security Update | World Bank Response to Rising Food Insecurity, Latest Update – September 18. Retrieved from - https://rb.gy/wh24x
22. United Nations (2023). Global Issues, Pupulation. Retrieved from - https://rb.gy/1hgq9
23. World Food Programme (2023). Global Food Crisis. Retrieved from – https://www.wfp.org/emergencies/global-food-crisis

The Impact of the Russia-Ukraine War on Food Markets

Lela Aduashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The paper assesses the historical significance of Russia-Ukraine in relation to international food markets, examines the impact of the conflicting environment on the issue of feeding the world's population, and discusses the detrimental economic effects of the Russia-Ukraine war on food markets, both internationally and in Georgia.

As a result of the bibliographic research, conclusions have been drawn and suggestions have been made to reduce the adverse socioeconomic effects of the Russia-Ukraine war on food markets.

Keywords: *food security, food market, Russia-Ukraine war, food crisis.*

ციფრული მარკეტინგის გავლენა ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე

ლაშა ავქოფაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ციფრული მარკეტინგი დიდ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე. მომხმარებელთა ყიდვის ქცევა დამოკიდებულია ისეთ მაჩვენებლებზე როგორიცაა ფასი, ხარისხი, ბრენდი, აღქმული ღირებულება, სხვადასხვა კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და სერვისების მახასიათებლების კონტრასტის გამო. აღნიშნულ ნაშრომში გაანალიზებულია ციფრული მარკეტინგის გავლენა ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. ციფრული არხები, როგორიცაა ვებგვერდი, ბლოგი, სოციალური მედია - მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფირმის გაყიდვების გაზრდასა და მომხმარებლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, როგორ და რა ასპექტით ზემოქმედებენ ეს არხები მომხმარებლებზე. აღსანიშნავია, რომ თანამედროვეობაში სამყაროს გაციფრულება მნიშვნელოვანი გამოწვევაა ფირმებისთვის, ამიტომ ისინი მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ გაყიდვების ზრდის პროცესში, რათა მომხმარებელს ჰქონდეს ზუსტი და სანდო ინფორმაცია ონლაინ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. სტატია ყურადღებას ამახვილებს ციფრული რეკლამების, სოციალური მედიის, ბლოგების, მიმოხილვების გავლენას მომხმარებელთა ყიდვის ქცევაზე. სტატიაში განხილულია სხვადასხვა უახლესი კვლევა.

საკვანძო სიტყვები: *ონლაინ ყიდვა, მომხმარებელთა ქცევა, ციფრული მარკეტინგი, სოციალური მედია.*

მომხმარებლის მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილება ფართოდ იქნა გამოკვლეული თანამედროვე მარკეტინგულ ლიტერატურაში. აღნიშნული არის პროცესი, რომელიც იწყება მაშინ, როდესაც მომხმარებელი აღიარებს საჭიროებას, ეძებს ვარიანტებს, აფასებს ალტერნატივებს და შემდეგ ირჩევს გარკვეულ პროდუქტსა და მომსახურებას. მაშასადამე, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილება არის საფეხურების სერია, რომელსაც მომხმარებლები გადიან ფაქტობრივი შესყიდვის დაწყებამდე. მომხმარებელთა ყიდვის ქცევა, ყალიბდება მათი წარსული გამოცდილების მიხედვით, ფირმის შეთავაზებების გამოყენებისას და შეძენილი პროდუქტის კმაყოფილებით კონკრეტული მოთხოვნის დაკმაყოფილების დროს. ბოლო წლების განმავლობაში, ციფრული მარკეტინგი დღითიდღე ვითარდება. აღნიშნულის განვითარება ასევე COVID-19 პანდემიამ დააჩქარა, როდესაც იზოლაციის პირობებში მომხმარებლებს უწევდათ ონლაინ ყიდვის განხორციელება.

ყიდვის პროცესის მიმდინარეობა. მომხმარებელთა ონლაინ ყიდვის გადაწყვეტილების მიღება არის დინამიური პროცესი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ეტაპს. ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტრადიციული მოდელი მოიცავს ხუთ ეტაპს: პრობლემის შეცნობა, ინფორმაციის მოძიება, ალტერნატივების შეფასება, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ყიდვის შემდგომი ქცევა (Alba & Hutchinson, 1987). აღნიშნული მოდელი არის მომხმარებელთა ყიდვის ქცევის ყველაზე ხშირად გამოყენებული ჩარჩო და ფართოდ გამოიყენება მომხმარებელთა კვლევაში. მოდელის ცალკეული ელემენტები განიხილება როგორც დისკრეტული ეტაპები და მომ-

ხმარებლები გადადიან ერთი ეტაპიდან მეორეზე, საბოლოოდ იღებენ გადაწყვეტილებას ყიდვის შესახებ. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების ლიტერატურაში აღიარებულია, რომ გადაწყვეტილების მიმღებები არიან მოქნილები და აყალიბებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებს, როდესაც ისინი ადაპტირებენ და პასუხობენ გადაწყვეტილების ამოცანებს (Xu et al., 2021). გადაწყვეტილების მიღება ცვლის გადაწყვეტილების პრობლემის სტრუქტურას ისე, რომ თითოეული გადაწყვეტილების მიმღები შეიმუშავებს სხვადასხვა პროცესებს. ამრიგად, ინდივიდები ქმნიან უფრო რთული პროცესების ნაკადებს და მიჰყვებიან სხვადასხვა გზას შემუშავებული მოდელის მეშვეობით (Bhatnagar & Ghose, 2004). მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებლები იყენებენ ტრადიციული მოდელის ეტაპებს, ეტაპები რეალურად არ წარმოადგენს პროცესის მკაფიოდ განსაზღვრულ საფეხურებს. მომხმარებლები მუდმივად მოძრაობენ ეტაპებს შორის, რაც იწვევს სპაგეტის ფორმის პროცესებს, რომლებსაც, პირველ რიგში, არ აქვთ მკაფიო სტრუქტურა და ქაოტურად გამოიყურება (Staniewski & Awruk, 2022).

მომხმარებელთა მახასიათებლების გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმდინარეობაზე. მომხმარებლის ინდივიდუალურ მახასიათებლებში განსხვავებები ნიშნავს, რომ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესები არ არის ერთგვაროვანი (Chowdhury et al., 2009), მაგრამ დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიმღების მახასიათებლებთან (Cowley & Mitchell, 2003). მომხმარებლები ავლენენ განსხვავებულ ნიმუშებს გადაწყვეტილების მიღებისას მათი მახასიათებლების მიხედვით (Dorn et al., 2010). კარიმის კვლევამ აჩვენა, რომ ყიდვის პროცესზე გავლენას ახდენს მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების სტილი და პროდუქტის შესახებ ინფორმაციის არსებობა (Engel et al., 1969). ეს ინდივიდუალური მახასიათებლები განსაზღვრავს მომხმარებელთა მოტივაციას და შესაძლებლობებს (Wang, 2021) და, შესაბამისად, შეუძლია ახსნას განსხვავებები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, მაქსიმიზატორები და პროდუქციის ცოდნის დაბალი დონის მქონე მომხმარებლები ასრულებენ უფრო მეტ ციკლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვიდრე დამაკმაყოფილებელი და მაღალი დონის ცოდნის მქონე პირები (Engel et al., 1969). იმისი გაგება, თუ როგორ ქმნიან ონლაინ მომხმარებლები ყიდვის გადაწყვეტილების მიღების პროცესს, მნიშვნელოვანია მარკეტერებისთვის, რადგან მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს აირჩიოს ყიდვის ნებისმიერი ეტაპიდან გასვლა (Grunert et al., 2018).

გადაწყვეტილების მიღების სტილი არის „მაკრომოტივაციური კონსტრუქცია“, რომელიც გავლენას ახდენს ყიდვის გადაწყვეტილების პროცესზე (Cowley & Mitchell, 2003). ინდივიდები განსხვავდებიან გადაწყვეტილების მიღების სტილით (მაქსიმიზატორები და დამაკმაყოფილებლები) და ძალისხმევისა და რესურსების ოდენობით, რომლებსაც ისინი გამოყოფენ გადაწყვეტილების პროცესისთვის. ამიტომ ისინი მიჰყვებიან გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა გზას (Gu et al., 2013). მაქსიმიზატორები მიდრეკილნი არიან იპოვონ საუკეთესო ვარიანტი და მოტივირებულნი არიან განახორციელონ ინფორმაციის ინტენსიური ძებნა და შეფასება არჩევანის გაკეთებამდე. საპირისპიროდ, დამაკმაყოფილებელი მიზნად ისახავს საკმარისად კარგი ვარიანტის არჩევას. ისინი ნაკლებ ძალისხმევას უთმობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს და განიხილავენ ნაკლებ ალტერნატივას. ონლაინ ყიდვის კონტექსტში, მაქსიმიზატორები და დამაკმაყოფილებლები მუდმივად იღებენ გადაწყვეტილებებს ყიდვის პროცესში. მოტივირებულნი არიან სხვადასხვა მიზნით გადაწყვეტილების ქცევაში, ისინი იღებენ გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა სტრატეგიას და, შესაბამისად, მიჰყვებიან მრავალფეროვან პროცესებს. დამაკმაყოფილებლები აყალიბებენ გადაწყვეტილების მიღების სტრატეგიას გამარტივებითა და შემცირებული ძალისხმევით, ხოლო მაქსიმიზატორები ცდილობენ ალტერნატიული ვარიანტებიდან ოპტიმალური არჩიონ. ამიტომ მოსალოდნელია, რომ

მაქსიმიზატორები აჩვენებენ უფრო რთულ და განმეორებით პროცესებს, ვიდრე დამაკმაყოფილებლები, განსაკუთრებით ინფორმაციის მოძიებისა და შეფასების ეტაპებზე (Karimi et al., 2018).

მომხმარებლის ცოდნა გავლენას ახდენს საწყის წერტილზე და ასევე პროცესების განვითარებაზე (Heitmann et al., 2007) ინდივიდის გადაწყვეტილების მიღების უნარის კარნახით (Iyengar et al., 2006). მაღალი დონის ცოდნის მქონე მომხმარებლები შერჩევითად აფასებენ ინფორმაციას და ნაკლებ ძალისხმევას იყენებენ (Kaas, 1982), რაც ამარტივებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ისინი იწყებენ პროცესს ბრენდის შესახებ ინფორმაციის და სიტუაციური მახასიათებლების ნაკრების შეგროვებით, რადგან მათ უკვე იციან პროდუქტის მახასიათებლები და შესაძლო ალტერნატივები (Kamis et al., 2008). მათ შეუძლიათ ასახონ თავიანთი წინა გამოცდილება, ადვილად ამოიცნონ მნიშვნელოვანი მახასიათებლები და ჩამოაყალიბონ არჩევანის კრიტერიუმები (Griffis et al., 2012), განასხვავონ შესაბამისი და არარელევანტური ინფორმაცია და სწრაფად დაიწყონ ალტერნატივების შედარება კრიტერიუმებთან (Karimi et al., 2015). ცოდნის დაბალი დონის მქონე მომხმარებლებს არ შეუძლიათ მეხსიერებიდან ალტერნატივებისა და არჩევანის კრიტერიუმების შესახებ ინფორმაციის მოძიება. ისინი საჭიროებენ უფრო მეტ კოგნიტურ ძალისხმევას გადაწყვეტილების მიღებისთვის (Griffis et al., 2012) და აყალიბებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესის სხვადასხვა შაბლონს. ისინი იწყებენ პროცესს პროდუქტის მახასიათებლების საერთო გაგების (კონცეფციის ფორმირების) შემუშავებით და პოტენციური განხილვის ნაკრების შექმნით (Kamis et al., 2008). სპროულისა და არქერის აზრით, დაბალი დონის ცოდნის მქონე მომხმარებლებს გასავლელი ექნებათ უფრო რთული პროცესები, რადგან ისინი შეასრულებენ დამატებით ნაბიჯებს თავიანთი „კონცეფციის ფორმირების“ მისაღწევად. თუმცა, არ არსებობს ემპირიული მტკიცებულება, რომელიც ასახავს ონლაინ ყიდვის გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელსაც მიჰყვება თითოეული მომხმარებლის არქეტიპი (Kamis et al., 2008).

მომხმარებელთა მახასიათებლების გავლენა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ შედეგებზე. ყიდვის ქცევის გააზრება და წარმატებული პლატფორმების შექმნა, რომლებიც მხარს უჭერენ მომხმარებელთა გადაწყვეტილებებს, მოითხოვს გადაწყვეტილების მიღების პროცესის შედეგების უკეთ გააზრებას (Karimi et al., 2015). ყიდვის პროცესის შედეგი შეიძლება შეფასდეს მომხმარებელთა კმაყოფილებით (Conti et al., 2022) როდესაც მომხმარებლები გადიან ყიდვის გზას, იცვლება კმაყოფილების ბუნება, რომელსაც ისინი განიცდიან (LaBarbera & Mazursky, 1983) შეძენის შემდეგ მომხმარებელთა კმაყოფილება აისახება პროდუქტის მოხმარებაზე (McKinney et al., 2002).

არჩევანით და გადაწყვეტილების მიღების პროცესით კმაყოფილება. კმაყოფილება განისაზღვრება, როგორც მომხმარებელთა მოლოდინების შესრულება (McKinney et al., 2002). აღნიშნული არის შეძენის პროცესის ყველა ეტაპის გამოცდილების შედეგი (Hollebeek & Macky, 2019). თუმცა, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის კვლევებმა შეისწავლა კმაყოფილება ყიდვის პროცესთან დაკავშირებით (Oliver, 2014). პროცესით კმაყოფილება და არჩევანით კმაყოფილება კონცეპტუალურად განსხვავებულია და განსხვავდება მათი ძირითადი ზომებითა და მახასიათებლებით (Kohli et al., 2004). კმაყოფილების კვლევები ძირითადად ფოკუსირებულია არჩევანის კმაყოფილებაზე, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესის შედეგზე (Polman, 2022) და უგულებელყოფს თავად გადაწყვეტილების მიღების პროცესით კმაყოფილების მნიშვნელობას. გადაწყვეტილების მიღების პროცესით კმაყოფილება, რომელიც შეისწავლის გამოცდილებას ყიდვის გადაწყვეტილების მიღებისას (Scheibehenne et al., 2010) არის თანაბრად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებასთან დაკავშირე-

ბული შედეგი. ვინაიდან მომხმარებელთა სხვადასხვა არქეტიპი მიჰყვება გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა პროცესს, ვესტბრუკის (1978) აზრით მათი გამოცდილება გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული შედეგების შესახებ იქნება მრავალფეროვანი (Westbrook et al., 1978). ჰეიტმანი და სხვ. (2007) მიუთითეს, რომ ყიდვის გადაწყვეტილებაში ჩადებული შეფასების ძალისხმევა განსხვავებულად მოქმედებს არჩევანისა და პროცესის კმაყოფილებაზე. გაზრდილი ძალისხმევა ზრდის არჩევანის კმაყოფილებას, ხოლო ეს უარყოფით გავლენას ახდენს პროცესით კმაყოფილებაზე (Griffis et al., 2012). მომხმარებელთა მახასიათებლები, როგორიცაა გადაწყვეტილების მიღების სტილი და პროდუქტის ცოდნა, განსაზღვრავს შეფასების ძალისხმევას, რომელიც გამოყოფილია გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, გავლენას ახდენს გარკვეულ პროცესთან დაკავშირებულ მექანიზმებზე, როგორიცაა პროცესისთვის დათმობილი დრო და გამოკვლეული ალტერნატივების რაოდენობა (Nevado-Catalán et al., 2023).

ინდივიდუალური მახასიათებლების გავლენა არჩევანით კმაყოფილებაზე. მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების სტილი, როგორც მაკრომოტივაციური კონსტრუქცია, გავლენას ახდენს მათ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების პროცესზე და კმაყოფილების გრძნობაზე (Schwartz et al., 2002) მაქსიმიზატორები, რომლებიც მიზნად ისახავენ საუკეთესო ალტერნატივის პოვნას, მოტივირებული არიან განახორციელონ ინფორმაციის ინტენსიური ძებნა და შეაფასონ მრავალი ალტერნატივა არჩევანის გაკეთებამდე (Itani et al., 2020) მეტი ვარიანტის შეფასებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ კმაყოფილებაზე არჩევანით (Schwartz et al., 2002) ზოგიერთმა კვლევამ აჩვენა, რომ მაქსიმიზატორები, მათ მიერ განხილული ალტერნატივების დიდი რაოდენობის გამო, განიცდიან სინანულის გრძნობას და ნაკლებად კმაყოფილი არიან. ამ კვლევებმა შეაფასა გადაწყვეტილების მიმღებთა საერთო ემოციური მდგომარეობა (მაგ. (Srinivasan et al., 2016)), ცხოვრებით კმაყოფილება და სინანული (მაგ. (Sproule & Archer, 2000)). მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების სტილის გავლენის შესწავლა კმაყოფილებაზე ფაქტობრივი არჩევანის ქცევაში (Gu et al., 2013), მაგრამ შეზღუდულია გაგება მაქსიმიზატორებისა და დამაკმაყოფილებელთა დონის კმაყოფილების არჩევანისა და პროცესით რეალურად. ონლაინ ყიდვის კონტექსტში, სადაც ბევრი ალტერნატივაა ხელმისაწვდომი, მაქსიმიზატორები ეძებენ და აფასებენ მეტ ვარიანტს დამაკმაყოფილებელებთან შედარებით (Engel et al., 1969). ალტერნატივების რაოდენობის გავლენის შედეგები არჩევანით მომხმარებელთა კმაყოფილებაზე არათანმიმდევრულია (Völkner & Werners, 2002). ერთი არგუმენტი არის ის, რომ მეტმა ვარიანტმა შეიძლება შექმნას პრობლემები მაქსიმიზატორებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ შეისწავლონ ყველა არსებული ალტერნატივა და, შესაბამისად, შეიძლება ეჭვი შეიტანონ მათ არჩევანში (Griffis et al., 2012). საპირისპირო თვალსაზრისი არის ის, რომ ონლაინ გარემოში არსებობს მრავალი შესაძლებლობა ალტერნატივების მოსაძებნად და იდენტიფიცირებისთვის, რაც შეიძლება დაეხმაროს მაქსიმიზატორებს მიაღწიონ ოპტიმიზაციის უფრო მაღალ ხარისხს ოფლაინ გამოცდილებასთან შედარებით. ფაქტობრივად, ქცევის მაქსიმიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს როგორც უკეთესი, ასევე უარესი შედეგები, დამაკმაყოფილებლებთან მიმართებით (Srinivasan et al., 2016). ჩოვდჰურის (2009) აზრით, დამაკმაყოფილებლები ასრულებენ ზედაპირული ძიების პროცესებს და მათი გამარტივებული გადაწყვეტილების მიღების პროცესები ხელს არ უწყობს მათ გადაწყვეტილების მიღებაში. ამის საპირისპიროდ, მაქსიმიზატორები მოტივირებულნი არიან იპოვონ საუკეთესო ვარიანტი და განახორციელონ ინტენსიური პროცესები, მოიძიონ მეტი ინფორმაცია და შეადარონ ბევრი ალტერნატივა. რამდენადაც ისინი უფრო მეტ ძალისხმევას ხარჯავენ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, ისინი მიდრეკილნი არიან მიაღწიონ ისეთ წერტილს, სადაც

დარწმუნებულნი არიან თავიანთ არჩევანში. მათი გადაწყვეტილების დასაბუთების უნარი ზრდის მათ ნდობას და კმაყოფილებას არჩეული ვარიანტით (Griffis et al., 2012). დასაბუთება არის გადაწყვეტილების მიმღებთა არჩევანის ამოცანების ერთ-ერთი გამოწვევა (Peattie, 2017). ყიდვის ზედაპირული პროცესი, რომელიც დიდად არის დამოკიდებული გამარტივების სტრატეგიებზე, ართულებს მომხმარებლებისთვის არჩევანის პროცესს, რადგან ისინი აფასებენ ხელმისაწვდომი ალტერნატივების მხოლოდ მცირე ნაწილს. ალტერნატივების დიდი რაოდენობა ქმნის პროდუქტის ხარისხის საერთო განაწილების უკეთეს განცდას, იწვევს უფრო ინფორმირებულ არჩევანს და ზრდის ნდობას არჩევანის მიმართ (Völkner & Werners, 2002). ჰეიტმანის (2007) აზრით, შეფასების ძალისხმევასა და არჩევანით კმაყოფილებას შორის პოზიტიური კავშირია. ამიტომ, მაქსიმიზატორები უფრო კმაყოფილნი იქნებიან, ვიდრე დამაკმაყოფილებლები თავიანთი არჩევანით ონლაინ სავაჭრო გარემოში, სადაც ბევრი ვარიანტია ხელმისაწვდომი (Heitmann et al., 2007).

ელექტრონული ლოიალურობა. მომხმარებელთა ლოიალობა დღევანდელობაში ნებისმიერი ორგანიზაციისთვის არის მთავარი ფაქტორი კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად, ამიტომ ახალი მომხმარებლის შეძენა უფრო ძვირია, ვიდრე არსებულის შენარჩუნება. მომხმარებელთა ლოალობის დამსახურება ინტერნეტ სივრცეში უფრო ძვირია, შესაბამისად, თუ მომხმარებლები არ იქნებიან ლოიალურები და ისინი არ მიიღებენ გადაწყვეტილებას, გაიმეორონ შესყიდვა. სინამდვილეში, კონკურენტები მხოლოდ რამდენიმე დაწკაპუნებით არიან დაშორებული მომხმარებლებისგან. ამიტომ, მომხმარებელთა ლოიალობა მენეჯერებისთვის საკმაოდ რთულ პროცესად იქცა. ლოიალობის გაზრდა იწვევს მომხმარებელთა შემოსავლის ნაკადების პროგნოზირებას და შემოსავლის თანდათან ზრდას (García et al., 2019). კანდამპულისა და სუჰარტანტოს მიხედვით, მომხმარებელთა ლოიალობის 5 პროცენტიანი ზრდით, მოგება იზრდება 25%-დან 85%-მდე სხვადასხვა ინდუსტრიებში (Cai et al., 2023). კომპანიები ყოველწლიურად კარგავენ მომხმარებელთა დიდ რაოდენობას მათ მიმართ ყურადღების ნაკლებობის გამო. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი სტრატეგია არის მცდელობა უზრუნველყოს უნაკლო, მაღალი ხარისხის და მარტივი მომსახურება. კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ კონკურენტული უპირატესობა მომხმარებელთა მუდმივი, მაღალი ხარისხის მომსახურებით (Chang et al., 2009). მომსახურების ხარისხს აქვს ძალიან ძლიერი გავლენა მომხმარებელთა კმაყოფილებაზე და კომპანიის მუშაობაზე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მომხმარებლების დაკმაყოფილებისა და შესანარჩუნებლად ერთ-ერთი ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საკითხია (Murad et al., 2018). სანტოსის მიხედვით, ელექტრონული სერვისის ხარისხი განისაზღვრება, როგორც მომხმარებლის ზოგადი აღქმა, განსჯა და შეფასება ვირტუალურ გარემოში მოწოდებული ელექტრონული სერვისის უპირატესობისა და ხარისხის შესახებ (Santos, 2003). დღესდღეობით, ონლაინ მაღაზიის მენეჯერები თვლიან, რომ მომხმარებლების მოთხოვნები არის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრამა სისტემაში, რათა მათ შეძლონ გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება მომხმარებლებთან. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა მაღალი ხარისხის პროდუქტებსა და სერვისებზე ყურადღების მიქცევა. სემეჯინის მიხედვით, ოფლაინ სერვისის ხარისხი გავლენას ახდენს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და ლოიალობაზე (Wibowo et al., 2021).

კუმავატისა და ბამბუს (2022) კვლევაში გაანალიზდა ციფრული მარკეტინგის გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე. გამოიკვლიეს ონლაინ ყიდვის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენეს, რომ მომხმარებელთა სავაჭრო ქცევებზე დიდ გავლენას ახდენს ციფრული მარკეტინგი. ციფრული მარკეტინგი გავლენას ახდენს მომხმარებელთა გადაწყვეტილე-

ბის მიღების პროცესზე და მომხმარებლები ყიდულობენ სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტებს ციფრულ მედია პლატფორმებზე. გამოკითხვის თანახმად, ზოგიერთი ონლაინ ვებგვერდი და პლატ-ფორმა, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე და შესყიდვის გადაწყვეტილებებზე, არის Facebook, LinkedIn და YouTube. ციფრული პლატფორმების გამოყენება ტექნოლოგიის მეშვეობით ბრენდის ცნობადობის მაქსიმალურად გაზრდისთვის არის გასაღები დღევანდელ ბიზნეს გარემოში კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. (Kumawat & Bhamboo, 2022).

დასკვნა. დღევანდელობაში, მნიშვნელოვანია ინტერნეტის როლი საზოგადოების ცხოვრებაში. მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად არის სოციალური მედიისა და ინტერნეტის მომხმარებელი. აქედან გამომდინარე, ფირმებმა უნდა განავითარონ ონლაინ გაყიდვების მიმართულება. ონლაინ ყიდვის განვითარებაზე დადებითი გავლენა იქონია COVID-19 პანდემიამ. მომხმარებელთა ნაწილმა პანდემიის გამო ონლაინ ყიდვა უსაფრთხოდ მიიჩნია. იმისთვის, რომ მომხმარებელს გაუადვილდეს ონლაინ ყიდვა, საჭიროა მას მივაწოდოთ სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ. რელევანტურობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბრენდის მიმართ ლოიალობაზე; ამიტომ, კომპანიებმა უნდა განაახლონ ინფორმაცია საკუთარი პროდუქციის შესახებ, გაიგონ ის თუ რა აინტერესებთ მომხმარებლებს. იმისათვის, რომ ონლაინ გაყიდვები გაიზარდოს, საჭიროა რომ კომპანიებმა ჩაატარონ კვლევა, რათა გაიგონ თავიანთი მომხმარებლების საჭიროებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alba, J. W., & Hutchinson, J. W. (1987). Dimensions of Consumer Expertise. *Journal of Consumer Research, 13*(4), 411–454. https://doi.org/10.1086/209080
2. Bhatnagar, A., & Ghose, S. (2004). Online information search termination patterns across product categories and consumer demographics. *Journal of Retailing, 80*(3), 221–228. https://doi.org/10.1016/J.JRETAI.-2003.10.001
3. Cai, X., Cebollada, J., & Cortiñas, M. (2023). Impact of seller- and buyer-created content on product sales in the electronic commerce platform: The role of informativeness, readability, multimedia richness, and extreme valence. In *Journal of Retailing and Consumer Services* (Vol. 70). https://doi.org/10.1016/j.jretconser.2022.103141
4. Chang, H. H., Wang, Y. H., & Yang, W. Y. (2009). The impact of e-service quality, customer satisfaction and loyalty on e-marketing: Moderating effect of perceived value. *Total Quality Management and Business Excellence, 20*(4), 423–443. https://doi.org/10.1080/14783360902781923
5. Chowdhury, T. G., Ratneshwar, S., & Mohanty, P. (2009). The time-harried shopper: Exploring the differences between maximizers and satisficers. *Marketing Letters, 20*(2), 155–167. https://doi.org/10.1007/-S11002-008-9063-0/METRICS
6. Conti, M., Gathani, J., & Tricomi, P. P. (2022). Virtual Influencers in Online Social Media. *IEEE Communications Magazine, 60*(8), 86–91. https://doi.org/10.1109/MCOM.001.2100786
7. Cowley, E., & Mitchell, A. A. (2003). The Moderating Effect of Product Knowledge on the Learning and Organization of Product Information. *Journal of Consumer Research, 30*(3), 443–454. https://doi.org/-10.1086/378620
8. Dorn, C., Burkhart, T., Werth, D., & Dustdar, S. (2010). Self-adjusting recommendations for people-driven Ad-Hoc processes. *Lecture Notes in Computer Science (Including Subseries Lecture Notes in Artificial Intel-*

ligence and Lecture Notes in Bioinformatics), 6336 LNCS, 327–342. https://doi.org/10.1007/978-3-642-15618-2_23/COVER

9. Engel, J. F., Kollat, D. T., & Blackwell, R. D. (1969). Personality measures and market segmentation: Evidence favors interaction view. *Business Horizons, 12*(3), 61–70. https://doi.org/10.1016/0007-6813(69)-90009-3
10. García, J. J. L., Lizcano, D., Ramos, C. M. Q., & Matos, N. (2019). Digital marketing actions that achieve a better attraction and loyalty of users: An analytical study. In *Future Internet* (Vol. 11, Issue 6). https://doi-.org/10.3390/fi11060130
11. Griffis, S. E., Rao, S., Goldsby, T. J., & Niranjan, T. T. (2012). The customer consequences of returns in online retailing: An empirical analysis. *Journal of Operations Management, 30*(4), 282–294. https://doi.org/-10.1016/J.JOM.2012.02.002
12. Grunert, K. G., Hieke, S., & Wills, J. (2018). Sustainability labels on food products: Consumer motivation, understanding and use. *Food Policy, 44*, 177–189. https://doi.org/10.1016/J.FOODPOL.2013.12.001
13. Gu, Y., Botti, S., & Faro, D. (2013). The Impact of Choice Closure on Satisfaction. *Journal of Consumer Research, 40*(2), 268–283. https://doi.org/10.1086/670252
14. Heitmann, M., Lehmann, D. R., & Herrmann, A. (2007). Choice Goal Attainment and Decision and Consumption Satisfaction. *Https://Doi.Org/10.1509/Jmkr.44.2.234, 44*(2), 234–250. https://doi.org/-10.1509/JMKR.44.2.234
15. Hollebeek, L. D., & Macky, K. (2019). Digital Content Marketing's Role in Fostering Consumer Engagement, Trust, and Value: Framework, Fundamental Propositions, and Implications. In *Journal of Interactive Marketing* (Vol. 45, pp. 27–41). https://doi.org/10.1016/j.intmar.2018.07.003
16. Itani, O. S., Krush, M. T., Agnihotri, R., & Trainor, K. J. (2020). Social media and customer relationship management technologies: Influencing buyer-seller information exchanges. *Industrial Marketing Management, 90(June),* 264–275. https://doi.org/10.1016/j.indmarman.2020.07.015
17. Iyengar, S. S., Wells, R. E., & Schwartz, B. (2006). Doing Better but Feeling Worse. *Https://Doi.Org/10.1111/j.1467-9280.2006.01677.X, 17*(2), 143–150. https://doi.org/10.1111/J.1467-9280.2006.01677.X
18. Kaas, K. P. (1982). Consumer habit forming, information acquisition, and buying behavior. *Journal of Business Research, 10*(1), 3–15. https://doi.org/10.1016/0148-2963(82)90013-3
19. Kamis, A., Koufaris, M., & Stern, T. (2008). Using an attribute-based decision support system for user-customized products online: An experimental investigation. *MIS Quarterly: Management Information Systems*, *32*(1), 159–177. https://doi.org/10.2307/25148832
20. Karimi, S., Holland, C. P., & Papamichail, K. N. (2018). The impact of consumer archetypes on online purchase decision-making processes and outcomes: A behavioural process perspective. In *Journal of Business Research* (Vol. 91, pp. 71–82). https://doi.org/10.1016/j.jbusres.2018.05.038
21. Karimi, S., Papamichail, K. N., & Holland, C. P. (2015). The effect of prior knowledge and decision-making style on the online purchase decision-making process: A typology of consumer shopping behaviour. *Decision Support Systems*, *77*, 137–147. https://doi.org/10.1016/J.DSS.2015.06.004
22. Kohli, R., Devaraj, S., & Mahmood, M. A. (2004). Understanding Determinants of Online Consumer Satisfaction: A Decision Process Perspective. *Journal of Management Information Systems*, *21*(1), 115–136. https://doi.org/10.1080/07421222.2004.11045796
23. Kumawat, M. A., & Bhamboo, U. (2022). DIGITAL MARKETING AND CONSUMER BUYING BEHAVIOR: AN EMPIRICAL STUDY. *International Journal of Current Science, 12*, 2250–1770. www.ijcspub.org
24. LaBarbera, P. A., & Mazursky, D. (1983). A Longitudinal Assessment of Consumer Satisfaction/Dissatisfaction: The Dynamic Aspect of the Cognitive Process. *Https://Doi.Org/10.1177/002224378302000406,*

20(4), 393–404. https://doi.org/10.1177/002224378302000406
25. McKinney, V., Yoon, K., & Zahedi, F. (2002). The Measurement of Web-Customer Satisfaction: An Expectation and Disconfirmation Approach. *Https://Doi.Org/10.1287/Isre.13.3.296.76, 13*(3), 296–315. https://doi.org/10.1287/ISRE.13.3.296.76
26. Murad, S. A., Murad, D. F., Wandanaya, A. B., & Fernando, E. (2018). Critical success factor online service quality in online marketing: A systematic literature review. *Proceedings of 2018 10th International Conference on Information Technology and Electrical Engineering: Smart Technology for Better Society, ICITEE 2018*, 158–163. https://doi.org/10.1109/ICITEED.2018.8534931
27. Nevado-CatalÁn, D., Pastrana, S., Vallina-Rodriguez, N., & Tapiador, J. (2023). An analysis of fake social media engagement services. In *Computers and Security* (Vol. 124). https://doi.org/10.1016/j.cose.2022.103013
28. Oliver, R. L. (2014). *Satisfaction: A Behavioral Perspective on the Consumer.* https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=TzrfBQAAQBAJ&oi=fnd&pg=PP1&dq=oliver+2014+customer+satisfaction&ots=LqUDiUQaQt&sig=ofKmX99hTX73HLYReCP2gfUIV1A&redir_esc=y#v=onepage&q=oliver 2014 customer satisfaction&f=false
29. Peattie, K. (2017). Towards Sustainability: The Third Age of Green Marketing. *The Marketing Review, 2*(2), 129–146. https://doi.org/10.1362/1469347012569869
30. Polman, E. (2022). Why are maximizers less happy than satisficers? Because they maximize positive and negative outcomes. *Journal of Behavioral Decision Making, 23*(2), 179–190. https://doi.org/10.1002/BDM.647
31. Santos, J. (2003). E-service quality: A model of virtual service quality dimensions. *Managing Service Quality: An International Journal, 13*(3), 233–246. https://doi.org/10.1108/09604520310476490/FULL/XML
32. Scheibehenne, B., Greifeneder, R., & Todd, P. M. (2010). Can there ever be too many options? A meta-analytic review of choice overload. *Journal of Consumer Research, 37*(3), 409–425. https://doi.org/10.1086/651235/2/M_37-3-409-FG1.JPEG
33. Schwartz, B., Ward, A., Lyubomirsky, S., Monterosso, J., White, K., & Lehman, D. R. (2002). Maximizing versus satisficing: Happiness is a matter of choice. *Journal of Personality and Social Psychology, 83*(5), 1178–1197. https://doi.org/10.1037/0022-3514.83.5.1178
34. Sproule, S., & Archer, N. (2000). A buyer behaviour framework for the development and design of software agents in e-commerce. *Internet Research, 10*(5), 396–405. https://doi.org/10.1108/-10662240010349408/FULL/XML
35. Srinivasan, S., Rutz, O. J., & Pauwels, K. (2016). Paths to and off purchase: quantifying the impact of traditional marketing and online consumer activity. *Journal of the Academy of Marketing Science, 44*(4), 440–453. https://doi.org/10.1007/S11747-015-0431-Z/METRICS
36. Staniewski, M., & Awruk, K. (2022). The influence of Instagram on mental well-being and purchasing decisions in a pandemic. In *Technological Forecasting and Social Change* (Vol. 174). https://doi.org/10.1016/j.techfore.2021.121287
37. Völkner, P., & Werners, B. (2002). A simulation-based decision support system for business process planning. *Fuzzy Sets and Systems*, *125*(3), 275–287. https://doi.org/10.1016/S0165-0114(00)00105-6
38. Wang, X. (2021). The motivations and uses of mainstream and social media during the COVID-19 pandemic in China: A structural equation modeling approach. In *Computers in Human Behavior Reports* (Vol. 4). https://doi.org/10.1016/j.chbr.2021.100098
39. Westbrook, R. A., Newman, J. W., & Taylor, J. R. (1978). Satisfaction/Dissatisfaction in the Purchase Decision Process. *Https://Doi.Org/10.1177/002224297804200408, 42*(4), 54–60. https://doi.org/10.1177/-

002224297804200408
40. Wibowo, A., Chen, S. C., Wiangin, U., Ma, Y., & Ruangkanjanases, A. (2021). Customer behavior as an outcome of social media marketing: The role of social media marketing activity and customer experience. In *Sustainability (Switzerland)* (Vol. 13, Issue 1, pp. 1–18). https://doi.org/10.3390/su13010189
41. Xu, X., Huang, D., & Shang, X. (2021). Social presence or physical presence? Determinants of purchasing behaviour in tourism live-streamed shopping. *Tourism Management Perspectives, 40*, 100917. https://doi.org/10.1016/J.TMP.2021.100917

The Role of Digital Marketing on Purchasing Decision

Lasha Avkopashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Consumer buying behavior depends on such indicators as price, quality, brand, perceived value, due to the contrast of characteristics of products and services offered by different companies. Thus, in the digital age, many companies are spending a lot of resources to gather information about changing consumer buying behavior. Digital marketing has a huge impact on consumer buying behavior. It even has the power to change a customer's buying decision. Digital channels such as website, blog, social media - play an important role in increasing the sales of the firm and improving the relationship with the customers. Therefore, it is important to understand how and to what extent these channels affect consumers. It should be noted that the digitalization of today's world is an important challenge for companies, so they should be involved as much as possible in this process so that customers have accurate and reliable information when making decisions about online purchases. This article focuses on the impact of digital ads, social media, blogs, reviews on consumer buying behavior. The article discusses various recent studies.

The consumer buying decision has been extensively researched in the contemporary marketing literature. It is a process that begins when a consumer recognizes a need, searches for options, evaluates alternatives, and then selects a particular product or service. Therefore, the buying decision is a series of steps that consumers go through before making an actual purchase. Consumers' purchasing behavior is shaped by their past experience using the firm's offerings and satisfaction with the purchased product while satisfying a particular need. In recent years, digital marketing is evolving day by day. The development of the aforementioned was also accelerated by the COVID-19 pandemic, when under conditions of isolation, consumers had to buy online.

Keywords: *Online Shopping, Consumer Behavior, Digital Marketing, Social Media.*

ბიზნესსუბიექტების როლი საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში

თეიმურაზ ბაბუნაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

თანამედროვე მსოფლიოში ტურისტული ინდუსტრია საკმაოდ სწრაფად ვითარდება, რაც გამოწვეულია ტურისტულ ბაზარზე მზარდი მოთხოვნებიდან გამომდინარე. ეს გამოიწვია მოსახლეობის ეკონომიკურმა გაძლიერებამ მთელ რიგ ქვეყნებში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო საგრძნობლად მზარდი ნაბიჯებით იმკვიდრებს ადგილს მსოფლიოს ტურისტულ რუკაზე, რაც განაპირობებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლების დაინტერესებას ჩვენი ქვეყნისადმი. ამაში განსაკუთრებით გააქტიურებულია ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართულ ბიზნესსუბიექტების როლი და მათი პოტენციალი: ტრანსპორტის, სასტუმრო ინდუსტრიის, მომსახურების სფეროს, გასტრონომიისა და ღვინის წარმოების კუთხით, რომელთა წარმომადგენლების ძალისსხმევის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შემოსული ტურისტები ეცნობიან ქართულ კულტურას ტრადიციებს, მენტალობას, სამზარეულოს, ფლორას და ფაუნას და დატვირთული ემოციების ფონზე თან მიაქვთ ქართული სტუმართმასპინძლობის დაუვიწყარი მოგონებები. ზემოთაღნიშნული ნათლად წარმოაჩენს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის აქტიურ თანამშრომლობას საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის უფრო გაფართოების მიზნით საერთაშორისო დონეზე.

***საკვანძო სიტყვებ**ი: ბიზნესსუბიექტები, ტურიზმი, ინდუსტრია, პრიორიტეტი, ინფრასტრუქტურა.*

ტურიზმის ინდუსტრიის განვითრება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად არის განსაზღვრული და აქედან გამომდინარე აქტიურად ხორციელდება როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში, ინფრასტრუქტურული, სატრანსპორტო, სასტუმრო ინდუსტრიის და სხვა ლოკაციების კეთილმოწყობისა და მოწესრიგების კუთხით.

მსოფლიოს მრავალი ქევეყნისთვის ტურიზმი შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამ მხრივ საქართველოს მთელი წლის განმავლობაში შეუძლია ტურისტების მიღება რომლის საშუალებასაც იძლევა როგორც ბუნებრივი პირობები, ასევე, კერძო სექტორის გააქტიურება რაც მათთვის ძირითად ეკონომიკურ შემოსავალს განსაზღვრავს. აქვე უნდა აღინიშნოს ხელისუფლების როლი ამ პროცესებში, კერძოდ საქართველოს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა საერთაშორისო დონეზე და ამის ნათელი დადასტურება იყო ბერლინში გამართული მსოფლიო ტურისტულ გამოფენაში „ბერნალიუმი“, სადაც საქართველო, როგორც მასპინძელი ქვეყანა ამ ღონისძიებისა, წარმოდგენილი იყო მისი მრავალფეროვნებით, როგორც ხელოვნების, გასტრონომიის, ღვინის დარბაზის და იმ ტრადიციების დემონსტრირებით, რაც ჩვენს ქვეყანას თავისი ადგილის დამკვიდრებაში უწყობს ხელს მსოფლიოს ტურისტული რუკაზე. ამ და სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში, აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა სფეროს ბიზნესსუბიექტები, რომელთა ძალისხმევით ეს ღონისძიებები სულ სხვა დატვირთვას იძენენ.

ცნობილია, რომ ტურისტების დიდი ნაწილი განვითარებული ქვეყნებიდან სტუმრობენ მათთვის სასურველ ადგილებს. ამ სახელმწიფოებიდან გამყვანი ტურიზმი 10%-ს აღემატება და ამ ქვეყ-

ნების რიცხვი დაახლოებით 2 ათეულს არ აღემატება. კოვიდის კრიზისამდე დასავლეთ-ევროპის, ჩრდილო-ამერიკის ქვეყნების და იაპონიის გარდა ავანსცენაზე გამოჩნდნენ უკვე აღმოსავლეთ-აზიის ქვეყნების, სპარსეთის ყურის, ჩინეთის, კორეისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ამ მხრივ საგრძნობლად გააქტიურებულია აფრიკის რიგი ქვეყნების ტურისტების შემოდინება. გაიზარდა ასევე რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ამ ქვეყნებიდან შემოსულ მოქალაქეთა რიცხვი. ასე რომ ჩვენი ტურისტული ბაზარი საკმაოდ მრავალეროვანი და მრავალფეროვანი გახდა. ამის გათვალისწინებით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მომსახურების სფერო და მასში დასაქმებული ჩვენი მოქალაქეების რიცხვი, ბიზნესსექტორში გაიზარდა მათი მწარმოებლობა, ამაღლდა სატრანსპორტო მომსახურების ხარისხი, კეძო სექტორი ცდილობს დაამკვიდროს საერთაშორისო სტანდარტები საკუთარი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და სხვ. ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე ხდება ის რეალობა, რაც წარმოჩნდება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში ტურიზმის ინდუსტრიის ადგილზე და როლზე. აქ საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს ის რომ ტურისტული ინდუსტრია გახდა ეკონომიკური მეცნიერების დაინტერესების ობიექტი, რომელიც მთლიანად ასახავს ქვეყნის ეკონომიკის სისტემაში ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული დარგებისა და სფეროების ფუნქციონალურ ერთობლიობას, ამას ემატება ტურიზმის ინდუსტრიის ორი სტრუქტურული დონე: მაკრო და მიკრო დონე, სადაც უშუალოდ ამ ინდუსტრიის სუბიექტები და მომხმარებლები სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში არიან თანხვედრაში. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა მკვლევარებისა და პრაქტიკოსების ინტერესი, რომლებიც იცნობიერებენ მოთხოვნის მოცემულობას ტურიზმში, რაც გარკვეულ წილად მოქმედებს ბიზნესში მონაწილე სუბიექტების საქმიანობაში ფასებზე, თვითღირებულებაზე, ხარისხზე, ასევე, ტექნოლოგიურ პროცესებზე და ა.შ.

ტურიზმის ეკონომიკური განვითარების საშუალებად მოხსენება ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ტურიზმს დაეკისრა შემდეგი ფუნქციები: ეკონომიკის ინფრასტრუქტურული განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, ტურისტული პროდუქტების ტექნოლოგიის დახვეწა და ტურისტული ნოუ-ჰაუს გამარტივება, წახალისება. ყოველივე ეს ამჟამადაც აქტიურად გამოიყენება, რაც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას დასაქმების კუთხით, ასევე ინვესტიციებიდან გამომდინარე შემოსავლის მოცულობისა და მთლიანად ეკონომიკაზე ზოგადი ეფექტის მოხდენას, აქვე უნდა აღინიშნოს ტურიზმის პირველადი და მეორადი ეკონომიკური ეფექტების მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ეფექტი ტურისტულ დანახარჯებთან კავშირში იმყოფება და ისინი ბიზნესისთვის საკმაოდ საინტერესო სფეროს წარმოადგენს, ასევე, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ ტურიზმი როგორც დამოუკიდებელი ცალკე სექტორი არ არსებობს. ამას უცხოელი ექსპერტებიც აღიარებენ და ისინი გამოსავალს ტურიზმის სხვადასხვა სექტორების ტრანსპორტის, სასტუმრო ინდუსტრიის, კვების ობიექტებისა და ფულის ხარჯვის სხვა მომსახურეობაზე უნდა იყვნენ აქცენტირებული.

რაც შეეხება საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის დინამიკას, შემოსული და გასული ტურისტების შეფარდებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2021 წელს შემოსული ტურისტების გაწეულმა დანახარჯებმა ქვეყნის ბიუჯეტში შეადგინა 1,24 მილიარდი აშშ დოლარი. ამ დროს საქართველოს მხრიდან უცხოეთში მოგზაურობის მიზნით გასული მოქალაქეების მიერ გაწეულმა დანახარჯმა შეადგინა 184,7 მლნ. აშშ დოლარი. რაც შეეხება 2022 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველოს ეკონომიკამ 3,517 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო.

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიას დღეისათვის გარკვეული პრობლემები გააჩნია, რომლის გადაწყვეტა გარკვეულწილად შესაძლებელია, რამდენადაც აუცილებელია მომსახურების ხარისხის ამაღლება და მოსაწესრიგებელია უსაფრთხოების საკითხი, რომელიც კვლავ უპირველეს

ამოცანად რჩება. ვინაიდან ტურისტების ერთიან სივრცეში მოხვედრა ყოველთვის ვერ განსაზღვრავს გაწეული შრომის შედეგს და მიღებული კაპიტალი არაეფექტიანად გამოიყენება.

როდესაც საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის პრობლემებზე კეთდება აქცენტი, ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს ისეთ მიმართულებებზე, სადაც არ არის საჭირო დიდი კაპიტალდაბანდების ჩადება. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს, ასევე, ის პოზიციები, თუ ტურისტების მრავლად შემოდინების პირობებში რთულდება მომხმარებელზე ყურადღების გამახვილება, ამისათვის საჭიროა მოძველებულის ახლებურად ჩანაცვლება ან განსხვავებული ფორმით სერვისის მიწოდება.

ასევე, თავისი სიმწვავით და მნიშვნელობით შეიძლება ითქვას, რომ ტურისტულ ინდუსტრიაში ლიდერ პოზიციაზეა ადამიანური რესურსების პრობლემა, როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური სიძნელეებით. იკვეთება, კვალიფიციურ და პროფესიონალურ კადრების დეფიციტი. კიდევ უფრო მწვავდება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის რეალიზაცია და შედეგობრივი ეფექტი. ამ მდგომარეობის გამოსწორება ჩვენი აზრით შესაძლებელია მოხდეს უშუალოდ კერძო სექტორის გააქტიურებით და სახელმწიფოს შესაბამისი ინსტიტუტების მხრიდან ინვესტირების სწორი მიმართულებების განხორციელებით. საჭიროა საქართველოს ტურისტულმა ინდუსტრიამ გადახედოს ტურისტული შეთავაზებების „მენიუს“. დღეს სამწუხაროდ დივერსიფიცირებული და მრავალფეროვანი ტურისტული შეთავაზებების დეფიციტია, რაც თანამედროვე ტურისტის მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, რაც ტურისტული ბაზრის მომსახურებისა და შევსების აუცილებლობას მოითხოვს, ვინაიდან მიწოდება-მოთხოვნა ბაზარზე არათანაბრად ნაწილდება, არა და ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა არც თუ უმნიშვნელოდ აქტიურობს მაგრამ ეფექტი იგვიანებს. აქ კი ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა იქნეს გადატანილი ინფლუენსერ მარკეტინგზე, სადაც შესაბამისად ინვესტირების მასშტაბების გაზრდა უნდა მოხდეს.

დღეისათვის რიგ უცხოეთის ქვეყნებში კერძოდ, აშშ, კანადა, საფრანგეთი, იტალია და სხვა, ძალზე სეიოზული კაპიტალის ინვესტირება ხდება ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიის ინფლუენსერ მარკეტინგში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღეს განვითარებული ტურისტული ინდუსტრიის მქონე თითქმის ყველა ქვეყანაში, ინფლუენსერი კამპანია ხორციელდება „ინსტაგრამზე“ - 80%, „ფეისბუქზე“ - 47% და „იუთუბზე“ - 37%.

საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მიმართულებები, ჯერ კიდევ ძიების პროცესშია და საკმაოდ ნელა მიმდინარეობს. არა და ამ კუთხით მოვლენების განვითარება უფრო მეტს იმსახურებს. კერძოდ, საქართველოს ტექნოლოგიურ სივრცეში ჯერ კიდევ 2019 წლიდან მოქმედებს საიტი https://influencer.ge/ რომელიც გამოირჩევა საკმაოდ საინტერესო სახის მომსახურებით: ინფლუენსერ სტარატეგია, ინფლუენსერ ღონისძიება და ინფლუენსერ კონსულტაცია.

ყოველივე ეს მიანიშნებს კერძო სექტორის იმ ბიზნესსუბიექტების აქტივობაზე, რომელსაც ის თავისი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე მეტი აქტიურობით აკეთებს ქვეყნის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების მიმართულებით. აქ შეიძლება გამოიკვეთოს როგორც ბიზნესის წარმომადგენელთა ვიწრო ინტერესები, ასევე საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე სულ სხვა ღონისძიებების პერსპექტივა.

ზემოთაღნიშულიდან გამომდინარე, არსებობს კიდევ ერთი საინტერესო პოზიცია: როგორ თანაფარდობაშია ერთმანეთთან ეკონომიკის მოცემულობისა და ტურიზმის ინდუსტრიის ზრდა.

მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულია და საკმაოდ აღიარებულია ორი სახის სხვადასხვა პოზიცია, კერძოდ: ერთი პოზიციის მიხედვით ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და აღმავლობა კანონზომიერად და უცილობლად იწვევს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას; ხოლო მეორე პოზიციის თანახმად კი, ტურიზმის ინდუსტრიის დაჩქარებულმა და სტაბილურმა ზრდამ ქვეყნის ეკონომიკის

ზრდის პროვოცირება მოახდინა და როგორც იტყვიან შედეგიც დაიდო. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ქვეყნისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს ტურიზმის ინდუსტრიის ყოველმხრივი ხელშეწყობა და მთავარ პრიორიტეტად აღიარება, ხოლო მეორენი სრულად აღიარებენ საქართველოს გეოსტრატეგიულ მდებარეობას და შესაბამისად აქცენტირება კეთდება სატრანზიტო ფუნქციის შესრულებაზე. არა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ეს მიმართულება დღითიდღე უფრო ძლიერდება. შეიძლება აღინიშნოს ბოლო პერიოდში საქართველოს ჩართულობა ენერგეტიკული რესურსების (აზერბაიჯანი-ევროპა ელექტრო ენერგიის) ტრანზიტში. საქართველოს მხარეს ადეკვატური პოზიცია მხოლოდ მაშინ ექმნება, როდესაც კიდევ უფრო ჩაუღრმავდებით ორი ქვეყნისთვის მაგისტრალური მიმართულების ყველა შუქჩრდილებს შემდგომში გამოიკვეთება შესაბამისი ანალიზის შედეგად ადეკვატური პოზიცია.

ამრიგად საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის ინდუსტრიაში ბიზნესსუბიექტების ადგილისა და როლის შეცნობა და მისი წარმოჩენა, მარტივ თემატიკას არ წარმოადგენს. მართლია გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWETO) პოზიცია, საერთოდ ტურიზმის ინდუსტრიის თაობაზე სრულიად ნათელია, მაგრამ ჩვენი აზრით, ამ კუთხით უთუოდ საჭიროა მეტი კონკრეტულობა. აქ ყურადღება უნდა იქნას გადატანილი როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ინდუქციური და დედუქციური გზით საქართველოს ეკონომიკაზე მოქმედი და მასზე ამსახველი ფაქტების, მოვლენების და მონაცემების სრულად და სისტემურად გაანალიზებაზე.

ამ პოზიციის სრულად გაცნობიერება სერიოზული ნაბიჯია ტურიზმის სექტორში დღეს არსებული მოცემულობის წარმოსაჩენად და შემდეგ კი ტურიზმის ინდუსტრიის სრულიად ახალი რეალობის - მდგრადი ტურიზმის საზოგადოებრივი და ეკონომიკური მოვლენების სივრცეში შესაღწევად. ეს პირობა ძალზედ საყურადღებოა საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის. სწორედ ამ კუთხით იყო წარმოჩენილი გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWETO) პოზიცია და ამ უკანასკნელის მოთხოვნას, დიდი ღირებულება აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. ეს კი საბოლოო ჯამში ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში, კერძოდ საქართველოში, ტურიზმის მდგრადობის რეალიზაციის მოცემულობას რეალობად აქცევს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციალი ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაში მონაწილე ბიზნესსუბიექტების მხრიდან იმ მომსახურებების გაუმჯობესებაში და სრულყოფაში, რომელიც ქვეყნის ტურისტული განვითარების გადაწყვეტის ამოცანას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიკაშვილი ლ. „ტურიზმის საფუძვლები“, თბ. 2021;
2. კიკნაძე საბა - http://turistuli imiji saqartvelos rogorme unda gausuftaot.
3. Lund – Durlacher – D – (2020), Turismos und Klimawandel berlin: Springer Berlin/Heidelberg.
4. Stehen j. Page, J.C. (2020) Turismos: a Modern synthesis, berlin: Taylor & Franceis Group.

The Role of Business Entities in the Development of the Tourism Industry of Georgia

Teimuraz Babunashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Georgian Business President of the Academy of Sciences

SUMMARY

In the modern world, the tourism industry is developing quite rapidly, which is due to the growing demands of the tourism market. This was caused by the economic empowerment of the population in a number of countries. In this regard, it should be noted that Georgia is gaining a place on the world tourist map with significantly increasing steps, which causes the interest of representatives of many countries in our country. In this, the role of business entities involved in the tourism industry and their potential is especially activated: in terms of transport, hotel industry, service sector, gastronomy and wine production, as a result of the efforts of their representatives, tourists who come to our country get to know Georgian culture, traditions, mentality, mindset, flora and fauna, and busy Against the backdrop of emotions, they bring with them unforgettable memories of Georgian hospitality. The above clearly shows the active cooperation of the state and the private sector in order to further expand the tourism industry in Georgia at the international level.

Key words: *business subject, tourism, industry, priority, infrastructure.*

გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა: თანამედროვე გამოწვევები და შესაძლებლობები

გივი ბედიანაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მურმან ცარციძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო მიქელაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზვიად გაბროშვილი
მაგისტრანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კონფრონტაციულ გლობალურ გარემოში ადამიანისეულ კაპიტალთან და ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებული თემატიკა იძენს განსაკუთრებულ აქტუალობას. თანამედროვე გამოწვევების და შესაძლებლობების ფონზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით ადამიანისეულ კაპიტალს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ადამიანისეული კაპიტალის და ეკონომიკური ზრდის სისტემური ანალიზი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა ჯანმრთელობა, განათლება, მომუშავეთა შემოსავლები და მოთხოვნადი უნარ-ჩვევები, საქართველოს, როგორც მცირე ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე, ცალკეული რეკომენდაციების შემუშავება. კვლევა შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ დაფინანსებული 2023 წლის სამეცნიერო საგრანტო პროექტის „თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ადამიანისეული კაპიტალის ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე საქართველოში“ ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანისეული კაპიტალი, გლობალიზაცია, ეკონომიკური ზრდა, თანამედროვე გამოწვევები, პრობლემების გადაჭრის გზები*

ადამიანისეული კაპიტალის და ეკონომიკური ზრდის პრობლემატიკის განხილვისას აუცილებელია გლობალიზაციის თანამედროვე პირობების გამოვლენა და მისთვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებების გათვალისწინება (Bedianashvili, 2023). აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის პანდემიის მთელი პერიოდისათვის ნიშანდობლივი ტურბულენტური გლობალიზაცია, უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყების და დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე, შეიცვალა კონფრონტაციული ხასიათის გლობალიზაციით (Papava, 2022a). კონფრონტაციული გლობალიზაცია უფრო მკაფიოდ დაფიქსირდა მიმდინარე 2023 წლის გლობალური მნიშვნელობის მოვლენების ფონზე. გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის პროცესი შეიძლება გაანალიზდეს სხვადასხვა კონტექსტით (Papava, 2022b; Papava & Maisaia, 2023; Silagadze, 2022; Bedianashvili, 2021; Veshapidze, Karchava, 2022; Veshapidze et al., 2022).

კონფრონტაციული გლობალიიზაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი მაკროსისტემური გამოწვევაა განუზღვრელობის მაღალი დონე. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტო-

რების მიერ განპირობებული განუზღვრელობის ზრდა თავისი რეალურად მოქმედებით ატარებს მაკროსისტემურ ხასიათს.

თვით ეკონომიკის განუზღვრელობის ზრდის შესახებ მიუთითებს ეკონომიკური პოლიტიკის განუზღვრელობის დინამიკა, რომელიც გამოირჩევა ბოლო ათწლეულში ზრდის ტენდენციით, როგორც გლობალური მასშტაბით, ისე მსოფლიოს მთელ რიგ განვითარებულ და განვითარებად ეკონომიკებში (Bedianashvili, 2021, 2023).

ამასთან განუზღვრელობის ზრდასთან დაკავშირებული შოკები მნიშვნელოვნად ზემოქმედებს როგორც ეკონომიკაზე, ისე საზოგადოების ყველა სხვა სფეროზე, რაც განპირობებულია ამ შოკების მაკროსისტემური ხასიათით.

ადამიანისეული კაპიტალის კონტექსტით განუზღვრელობის გამოწვევის საპასუხოდ ფრიად აქტუალურია მეწარმეთა და სპეციალისტთა მომზადებისას მომავლის უნარ-ჩვევებზე და განუზღვრელობის პირობებში ადაპტაციის უნარების განვითარებაზე ორიენტირება, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით (ბედიანაშვილი და სხვ., 2021; ბედიანაშვილი და სხვ., 2023; Barak, Bedianashvili, 2021; Zhylinska et al., 2020).

კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში ადამიანისეული კაპიტალის კონცეფცია კვლავ აქტუალური და დიდი მნიშვნელობისაა. ადამიანისეული კაპიტალი გულისხმობს ადამიანების ცოდნას, უნარებს, გამოცდილებას, განათლებას და ნიჭს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მატერიალური და არამატერიალური ღირებულების შესაქმნელად.

კონფრონტაციული გლობალიზაცია ხასიათდება სახელმწიფოებს შორის დაძაბული ურთიერთობებით, მძაფრი კონკურენციით, პოლიტიკური და ეკონომიკური კონფლიქტებით. ასეთ ვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და მოზიდვა გლობალური კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ადამიანისეული კაპიტალი ხდება მთავარი რესურსი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას კონფრონტაციული გლობალიზაციის პერიოდში.

ეკონომიკური ზრდის და განვითარების პრობლემების არაერთმა მკვლევარმა აღნიშნა ფიზიკურ კაპიტალთან ერთად ადამიანისეული კაპიტალის დიდი მნიშვნელობა.

ადამიანისეული კაპიტალის თანამედროვე თეორიის წარმოშობის პერიოდად მიიჩნევა 1960-იანი წლები, ამერიკელი მეცნიერების თ. შულცის (Schultz,1961) და გ. ბეკერის (Becker,1964) ნაშრომების გაჩენის შემდეგ.

ნეოკლასიკური ზრდის თეორიის თანახმად, ჯერ კიდევ სოლოუს (Solow, 1956) და სვანის (Swan, 1956) მიერ, აღნიშნული იყო, რომ კაპიტალისა და შრომის გარდა, ტექნოლოგიური განვითარების როლი ეკონომიკურ ზრდაში დიდია.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე და ათვისებაზე ორიენტირებული ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის განათლების მნიშვნელობაზე ყურადღებას პირველები ამახვილებენ ნელსონი და ფელპსი (Nelson, Phelps, 1966).

ენდოგენური ეკონომიკური ზრდის თეორიაში რომერმა (Romer, 1986, 1990) ხაზგასმით აღნიშნა ადამიანისეული კაპიტალის პრიორიტეტულობა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში ახალი იდეების გენერირების კონტექსტით.

ეკონომიკური ზრდის ენდოგენური მოდელების ჯგუფში წარმოდგენილია ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკური ზრდაზე პროდუქტიულობის ცვლილების გზით ზემოქმედება. მოდელების ეს ჯგუფი მოცავს სხვა მექანიზმებს, რომლებშიც პროდუქტიულობის ზრდას განაპირობებს R&D სექტორი. ეს მოდელები არ გულისხმობს მასობრივ განათლებას. აქ მოაზრება სპეციალიზებული სამეც-

ნიერო ან საინჟინრო მიმართულების განათლება. ეს მოდელები განიხილავენ ადამიანისეული კაპიტალისა და ეკონომიკური ზრდის დამაკავშირებელ ყველაზე ზოგად მექანიზმებს. აღნიშნული უპირატესად თეორიული მოდელების შედეგების გამოყენებით შესაძლებელია ადამიანისეული კაპიტალის ზომასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის უფრო კონკრეტული კავშირების დადგენა.

შეიძლება გამოიყოს კვლევის პრობლემისადმი მიძღვნილი უცხოელი ავტორების ლიტერატურული წყაროები, რომლებშიც წარმოდგენილია თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მასალები (მაგალითად: სმითი, 2007; Barro, 2001; Becker, 1964; Blaug, 1976; Bulina et al., 2020; Deming, 2022; Jones, 2014; Kuznets, 1955; Lucas, 2015; Mankiw et al., 1992; Manuelli, Seshadri, 2014; Mincer, 1958; Sharma, 2018; Schultz, 1961; Solow, 1991; Uzawa,1965; Weil, 2007). ვფიქრობთ, ცალკეული საინტერესო კვლევებია წარმოდგენილი საქართველოშიც (მაგალითად: ბედიანაშვილი, ბიჭია, ნაცვლიშვილი, 2021; ბედიანაშვილი, ცარციძე, მიქელაძე, გაბროშვილი, 2023; მიქელაძე, 2023; ტყემალაძე, 2021; ცარციძე, 2022; ცარციძე & ლაცაბიძე, 2021; Bedianashvili, 2023; Shelia & Tukhashvili, 2023; Totladze, 2020; Totladze & Khuskivadze, 2022; Mikeladze, 2023).

ეკონომიკურ ზრდასთან და განვითარებასთან მიმართებაში ადამიანისეული კაპიტალის დღევანდელი მეცნიერული კონცეპტუალური წარმოდგენების შესახებ ნათლად მეტყველებს ადამიანისეული განვითარების ინდექსი (Human Development Index – HDI) და ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი (Human Capital Index – HCI).

დიაგრამა 1.

ადამიანისეული კაპიტალის ინდექსის (HCI) და ადამიანისეული განვითარების ინდექსის (HDI) დინამიკა საქართველოსთვის, ირლანდიისთვის, ლატვიისთვის და ლიეტუვასთვის



წყარო: World Bank და UNDP მონაცემებზე დაყრდნობით აგებულია ავტორების მიერ

ადამიანისეული განვითარების ინდექსი არის საშუალო მიღწევის ინტეგრალური საზომი ადამიანისეული განვითარების ძირითად განზომილებებში: ხანგრძლივი და ჯანსაღი ცხოვრება, ცოდნა და ცხოვრების ღირსეული სტანდარტი. ამასთან, HDI არის ნორმალიზებული ინდექსების გეომეტრიული საშუალო სამივე მაჩვენებლისთვის [UNDP, 2015].

ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი მუშავდება მსოფლიო ბანკის მიერ 2018 წლიდან რეგულარულად 2-3 წელიწადში ერთხელ და რაოდენობრივად ასახავს ჯანმრთელობისა და განათლების წვლილს მომავალი თაობის მუშაკების პროდუქტიულობაში (World Bank, 2018).

ჩვენი აზრით, ადამიანისეული განვითარების ინდექსი და ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი ეკონომიურ ზრდაზე ადამიანისეული ფაქტორის ზემოქმედების კვლევის, შესაბამისი პოლიტიკის ფორმირების და რეალიზაციის კონტექსტით მნიშვნელოვნად ავსებენ ერთმანეთს.

ემპირიული კვლევის ფორმატში ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე შესაძლო გავლენის დადგენის მიზნით, გამოყენებული გვაქვს რამდენიმე მცირე ქვეყნის მონაცემები. საქართველოსთან ერთად გამოიყო ე. წ. ბენჩმარკ ქვეყნები, რისთვისაც მოსახლეობის რიცხოვნობა, ქვეყნის ფართობი და განვითარების დონეა გათვალისწინებული. ბენჩმარკ ქვეყნებად შერჩეულია 3 ევროპული (ევროკავშირის წევრი) ქვეყანა: ირლანდია, ლატვია და ლიეტუვა.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოსთვის ადამიანისეულ კაპიტალზე გაწეული ხარჯები არ იწვევს ეკონომიკურ ზრდას, რაც შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით იყოს ახსნილი. მაგალითად, ანალიზისთვის ხელმისაწვდომი და არსებული პერიოდი არ არის საკმარისად დიდი ისეთი დროითი მწკრივის ანალიზისთვის, როდესაც სტრუქტურული ცვლადების ანალიზი ხდება და მათზე გაწეული ხარჯების ეკონომიკაზე ასახვას წლები სჭირდება. შესაბამისად, დროითი ლაგის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია. ასევე, საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთ ეტაპზეა, როდესაც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რაც მიმდინარე ხარჯებთან შედარებით კაპიტალურ ხარჯებზე აქცენტირებას გულისხმობს. ჩვენ მიერ განხილული ხარჯები კი მიმდინარე ხარჯების ნაწილია, რასაც მეტი ყურადღება ეთმობა განვითარების გარკვეული ეტაპის მიღწევის შემდეგ. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული მოვლენა ასევე დასტურდება სხვა ქვეყნების მაგალითზეც, რომლებიც მხოლოდ გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ აკეთებენ აქცენტს განათლებასა და გარემოს დაცვაზე.

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში გაიზარდა ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, რაც დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ - სხვა ქვეყნებშიც. გაუმჯობესებული ეკონომიკური აქტივობისა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების შემცირების შედეგად დასტაბილურდა ჯანდაცვის ხარჯების წილი მთლიან სამამულო პროდუქტთან („მთლიანი სამამულო პროდუქტი“ როგორც GDP-ის ქართულენოვანი თარგმანის შესახებ, იხილეთ: პაპავა, სილაგაძე, 2019). ამასთან, სტაბილურ დონეზეა შენარჩუნებული განათლებაზე გაწეული ხარჯები, თუმცა 2023-2024 წლებში მოსალოდნელია მისი ზრდა არა მარტო ნომინალურ მოცულობაში, არამედ - პროცენტულ გამოსახულებაშიც.

რაც შეეხება გარემოს დაცვას, მასზე გაწეული ხარჯები კვლავ დაბალ დონეზეა პროცენტულად შენარჩუნებული, თუმცა ნომინალში ეს მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება.

ანალიზი აჩვენებს, რომ ხარჯვითი პოლიტიკა ითვალისწინებს ადამიანისეულ კაპიტალს, როგორც განვითარების ტენდენციის შენარჩუნებისა და ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს.

მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი პრობლემებისა, საქართველოში მართლაც მკაფიოდ შეინიშნება პოზიტიური ტენდენციები, განსაკუთრები ბოლო წლებში, რასაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს (იხ. დიაგრამა 2-3).

დიაგრამა 2.

ადამიანისეულ კაპიტალზე გაწეული ხარჯები (მლნ ლარი)

წყარო: აგებულია ავტორების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

დიაგრამა 3.

ადამიანისეულ კაპიტალზე გაწეული ხარჯები (%-ულად GDP-სთან)



წყარო: აგებულია ავტორების მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე

ადამიანისეული კაპიტალის განხილვისას ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წამოადგენს შემოსავლები. ამიტომ, ემპირიული კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ადამიანისეულ კაპიტალთან მიმართებაში შემოსავლების ფაქტორის მოდელირება ხელოვნური ინტელექტის (მანქანური დასწავლის) საფუძველზე (Breiman, Random, 2001; Lundberg, Lee, 2017; Lundberg et al., 2020; Pedregosa, 2011; Shapley,1951). აქ აქტუალურია გაირკვეს ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ შემოსავლებზე (აღსანიშნავია, რომ მსგავსი კვლევები არსებობს სხვა ქვეყნებისთვისაც, მაგალითად, Chakrabarty, Biswas, 2018).

საქართველოს 2019 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევის ანალიზმა მანქნაური დასწავლის საშუალებით გამოავლინა მნიშვნელოვანი კანონზომიერებები შემოსავალს როგორც დამოკიდებულ ცვლადსა და სხვა ცვლადებს შორის, როგორებიცაა ასაკი, განათლება, სქესი, ნამუშევარი საათები და ა. შ. (იხ. ბედიანაშვილი და სხვ., 2023). სამეცნიერო ინტერესებიდან გამომდინარე, გაანალიზებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2021 წლის სამუშაო ძალის გამოკვლევა (https://www.geostat.ge/en/modules/categories/130/labour-force-survey-databases) მსგავსი მანქანური დასწავლის მეთოდებით. მიუხედავად იმისა 2021 წელს მსოფლიოში იყო Covid-19 პანდემია, 2019 და 2021 წლების გამოკითხვებს შორის იყო მეთოდოლოგიური სხვაობა, საერთო სურათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და დარჩა იგივე.

ამ კვლევამაც დაგვანახა, რომ შემოსავლებზე მოქმედ ფაქტორებს შორის ძირითადია: სქესი, კვირაში ფაქტობრივად ნამუშავარი საათების ხანგრძლივობა, ასაკი, განათლება (უპირატესედ მაგისტრატურა/რეზიდენტურის).

დიაგრამა 4.

2021 წლის მოდელის შემაჯამებელი გრაფიკები ინდივიდუალური კლასებისთვის




II
Age
Sex
M_Actually_worked
Education_Master or equivalent
Education_Secondary general education_upper secondary
nace_502
Atipical_Work_Yes
nace_853
H2_6_Income_sources_No
Education_Vocational education on the base of secondary general education_except higher pofessional education
isco_23
isco_54
nace_851
isco_13
nace_841
Permanency_of_the_job_Until retirement
isco_91
H2_2_Income_sources_No
isco_52
nace_842
−0.2
−0.1
0.0
0.1
0.2
SHAP value (impact on model output)
High
Feature value
Low


III
M_Actually_worked
Age
Sex
Education_Master or equivalent
nace_842
Education_Secondary general education_upper secondary
Education_Vocational education on the base of secondary general education_except higher pofessional education
isco_13
Atipical_Work_Yes
isco_54
nace_502
nace_412
isco_52
Permanency_of_the_job_Until retirement
H2_6_Income_sources_No
nace_853
nace_851
Permanency_of_the_job_Permanent
isco_21
H2_2_Income_sources_No
−0.2
−0.1
0.0
0.1
0.2
SHAP value (impact on model output)
High
Feature value
Low



წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით აგებულია ავტორების მიერ

განხორციელებული კვლევის შედეგად, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- ❖ თანამედროვე მსოფლიო, გლობალური და ეროვნული ეკონომიკები ხასიათდებიან პრინციპულად ახალი კონფრონტაციული გლობალიზაციის თავისებურებებით, ამასთან, კონფრონტაციული გლობალიიზაციის ეტაპზე მნიშვნელოვანი მაკროსისტემური გამოწვევაა განუზღვრელობის განსაკუთრებით მაღალი დონე;
- ❖ კონფრონტაციული გლობალიზაციის კონტექსტში ადამიანისეული კაპიტალის კონცეფცია კვლავ აქტუალურია და იძენს უფრო გაზრდილ მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან მომართებაში;
- ❖ ემპირიული ანალიზი ეკონომეტრიკული მოდელების საფუძველზე გვიჩვენებს, რომ ცალკეული მიმართულების დანახარჯები ადამიანისეული კაპიტალის განვითარებაზე ვერ ზემოქმედებს ეკონომკურ ზრდაზე, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც დანახარჯების გრძელვადიანი ეფექტების ბუნებით, ისე ქვეყნის განვითარების მოცემულ ეტაპზე ამ დანახარჯების სტრუქტურის თავისებურებებით;
- ❖ ფრიად მნიშვნელოვანია სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ჯანდაცვის სისტემისა და სოციალური უზრუნველყოფის. უდავოა, რომ ჯანმრთელ, განათლებულ და მოტივირებულ ადამიანებს შეუძლიათ უფრო ეფექტიანად იმუშაონ და მეტი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში;
- ❖ ემპირიული ანალიზი მანქანური დასწავლის საფუძველზე მიგვანიშნებს მომუშავეთა შემოსავლებში პროფესიული და უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შედარებით სუსტ როლზე, რაც მიუთითებს შესაბამისი ინსტიტუტების თვისებრივი განვითარების აქტუალობაზე;
- ❖ მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა, მათ შორის პროფესიული განათლების სისტემის რადიკალური გარდაქმნა უნდა განხორციელდეს საშუალო, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სისტემის ერთობლივად განვითარების კომპლექსში.

- ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანისეული კაპიტალის ზეგავლენის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის ბაზრის, მისი ინფრასტრუქტურისა და ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითარება. საჭიროა ასევე შრომის ბაზრის კვლევის, ანალიზისა და პროგნოზირების მექანიზმის შემუშავება, მისი მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადების მიზნით პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემის სწორი ორიენტირებისათვის;
- კონფრონტაციული გლობალიზაციის ეტაპზე განუზღვრელობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში ადამიანისეული კაპიტალის თვისებრივი განვითარების კონტექსტით ფრიად აქტუალურია მეწარმეთა და სპეციალისტთა მომზადებისას მომავლის უნარ-ჩვევებზე, ასევე მათი ადაპტაციის უნარების განვითარებაზე ორიენტირება, რა თქმა უნდა, მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი გ., ცარციძე მ., მიქელაძე ნ., გაბროშვილი ზ. (2023). თანამედროვე გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მაკროასპექტი. *ეკონომისტი.* 19 (3), 60-84. https://doi.org/10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03.Givi.Bedianashvili/-Murman.Tsartsidze/Nino.Mikeladze/Zviad.Gabroshvili
2. ბედიანაშვილი გ., ბიჭია ქ., ნაცვლიშვილი ე. (2021). სამეწარმეო აქტიურობის განვითარება, შრომის ბაზარი და უმაღლესი განათლების თანამედროვე გამოწვევები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 21-31.
3. მიქელაძე ნ., (2023). სახელმწიფო ხარჯებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირი: ვაგნერის კანონი საქართველოსთვის. *ეკონომიკა და ბიზნესი.* №1, 169-189.
4. პაპავა ვ., სილაგაძე ა., 2019. ერთი საკვანძო ეკონომიკური ტერმინის – "Gross Domestic Product"-ის ქართული სახელწოდების შესახებ. *ეკონომიკა და ბიზნესი*. №1, გვ. 180-182.
5. სმითი ა. (2007). *გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ*. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.
6. ტყემალაძე ი. (2021). დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში საქართველოში. *გლობალიზაცია და ბიზნესი*. 12, 55-161. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.021
7. ცარციძე მ. (2022). პროფესიული განათლება და ადამიანისეული კაპიტალის განვითარების სირთულეები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი,* 6, 211-217.
8. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. (2021). შრომის ბაზარი და არაფორმალური დასაქმების თავისებურებები გლობალური პანდემიის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი. 12, 123-132. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.017
9. ხუსკივაძე მ., თოთლაძე ლ. (2022). ადამიანკაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები. *ეკონომიკა და ბიზნესი,* 3, 91-107.
10. Acemoglu D. (2022). Confronting the challenges of the post-Covid world. Prospects of the Global Economy after Covid-19. Centre for Economic Policy Research, L., EC1V 0DX. 7-38.
11. Ahir H., Bloom N., & Furceri D. (2023). Global Economic Uncertainty Remains Elevated, Weighing on Growth. February 2, online at https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/01/26/global-economic-uncertainty-remains-elevated-weighing-on-growth.

12. Altmann A., Tolo L., Sander O. & Lengauer T. (2010). Permutation importance: a corrected feature importance measure, *Bioinformatics*, 26(10), 1340–1347.
13. Baker S., R., Bloom N., Davis S. J., 2016. Measuring Economic Policy Uncertainty. The Quarterly Journal of Economics. 131(4), 1593–1636. https://doi.org/10.1093/qje/qjw024
14. Barak M., & Bedianashvili G. (2021). Systematic Inventive Thinking (SIT): A Method for Innovative Problem Solving and New Product Development. *Proceedings on Engineering Sciences.* .3(1),111–122.
15. Barro R. J. (2001). Human capital and growth. *American Economic Review* (Papers and Proceedings), 91(2), 12–17.
16. Becker G.S., 1964. *Human Capital*. – Columbia University Press.
17. Bedianashvili G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 pandemic crisis. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 15(2),191-197.
18. Bedianashvili G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(2), 174-179.
19. Blaug M. (1976). The Empirical Status of Human Capital Theory: A Slightly Jaundiced Survey. *Journal of Economic Literature*, 14(3), 827–855.
20. Breiman L. (2001). Random Forests. *Machine Learning.* 45, 5–32.
21. Bulina A., Mozgovaya K., & Pakhnin M. (2020). Human capital in economic growth theory: Classical models and new approaches. St Petersburg University Journal of Economic Studies, 36(2), pp. 163-188. https://doi.org/10.21638/spbu05.2020.201.
22. Chakrabarty N. & Biswas S. (2018). A Statistical Approach to Adult Census Income Level Prediction. *International Conference on Advances in Computing, Communication Control and Networking (ICACCCN)*, Greater Noida, India, 207-212.
23. https://doi.org/10.1109/ICACCCN.2018.8748528.
24. Deming D. J. (2022). Four Facts about Human Capital. *Journal of Economic Perspectives*, 36(3), 75-102.
25. Eurostat (2008). NACE Rev. 2. Statistical Classification of Economic Activities in the European Union. Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg.
26. Jones B.F. (2014). The Human Capital Stock: A Generalized Approach. American Economic Review, 104(11), 3752–3777.
27. Kuznets S. (1955). Economic Growth and Income Inequality. *American Economic Review*. 45(1), 1-28.
28. Lucas R.E. (2015). Human Capital and Growth. *American Economic Review: Papers and Proceedings*, 105(5), 85–88.
29. Lundberg S. M., & Lee S.-I. (2017). A Unified Approach to Interpreting Model Predictions. In I. Guyon, U. V. Luxburg, S. Bengio, H. Wallach, R. Fergus, S. Vishwanathan, & R. Garnett (Eds.), *Advances in Neural Information Processing Systems 30*, 4765–4774. Curran Associates, Inc.http://papers.nips.cc/paper/7062-a-unified-approach-to-interpreting-model-predictions.pdf
30. Lundberg S. M., Erion G., Chen H., DeGrave, A., Prutkin J. M., Nair B., Katz R., Himmelfarb J., Bansal N. & Lee S.I. (2020). From local explanations to global understanding with explainable AI for trees. *Nat Mach Intell*. 2, 56–67. https://doi.org/10.1038/s42256-019-0138-9
31. Mankiw N.G., Romer D., Weil D.N. (1992). A Contribution to the Empirics of Economic Growth. *Quarterly Journal of Economics*, 107(2), 407–437.
32. Manuelli R.E., Seshadri A. (2014). Human Capital and the Wealth of Nations. *American Economic Review*, 104(9), 2736–2762.
33. Mikeladze N, 2023. Capital Spending and Economic Growth Correlation in Georgia. *Innovative Economics and Management*, 10(1), 76-87.

34. Mincer J. (1958). Investment in Human Capital and Personal Income Distribution. *Journal of Political Economy*, 66(4), 281–302.
35. Papava V., Maisaia V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(3), 116-120.
36. Papava V. (2022a). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJW-gp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I
37. Papava V. (2022b). On Illegal Globalization, or Can Globalization Ever End? Eurasia Review, December 19. https://www.eurasiareview.com/19122022-on-illegal-globalization-or-can-globalization-ever-end-oped/
38. Pedregosa F., Varoquaux, G., Gramfort A., Michel V., Thirion B., Grisel O., Blondel M., Prettenhofer P., Weiss R., Dubourg V., Vanderplas J., Passos A., Cournapeau D., Brucher M., Perrot M., & Duchesnay E. (2011). Scikit-learn: Machine Learning in Python. *Journal of Machine Learning Research,* 12, 2825–2830.
39. Sachs J., Lafortune G., Kroll C., Fuller G., Woelm F. (2022). From Crisis to Sustainable Development: the SDGs as Roadmap to 2030 and Beyond. Sustainable Development Report 2022. Cambridge: Cambridge University Press.
40. Schultz T.W. (1961). Investment in Human Capital. *American Economic Review*, 51(1), 1–17.
41. Shapley L., 1951. *Notes on the N-Person Game — II: The Value of an N-Person Game*. RAND Corporation.
42. Shelia M., Tukhashvili M. (2023). Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia. In: Maximova, S.G. (eds) Complex Social Systems in Dynamic Environments. Lecture Notes in Networks and Systems, vol 365. Springer, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-031-23856-7_31
43. Sharma R. (2018). Health and economic growth: Evidence from dynamic panel data of 143 years. PLoS ONE 13(10), 1-20: e0204940. https://doi. org/10.1371/journal.pone.0204940
44. Silagadze A. (2022). Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences,* 16(3), 130-135.
45. Solow R.M. (1991). Growth Theory. In: Companion to Contemporary Economic Thought. M. Bleaney, D. Greenaway, I. Stewart (eds.). London, Routledge.
46. Shapley, L. (1951). *Notes on the N-Person Game — II: The Value of an N-Person Game*. RAND Corporation.
47. Tahir M., Hayat A., Rashid K., Afridi M.A. and Tariq Y.B. (2020). Human capital and economic growth in OECD countries: some new insights, *Journal of Economic and Administrative Sciences*, 36(40), 367-380. https://doi.org/10.1108/JEAS-07-2019-0073
48. Totladze L. (2020). The Impact of Government Expenditure on Education and R&D as Factor of Homan Capital on Economic Growth. *Ekonomisti.* 2, 79-86.
49. Totladze L., Khuskivadze M. (2022). Impact of Human Capital and Innovation Determinants on Economic Growth: Evidence from Georgia. *International Journal of Business & Management Studies.* 3(09), 28-33. DOI: 10.56734/ijbms.v3n9a4.
50. UNDP. February 19, 2015. What is Human Development? https://hdr.undp.org/content/what-human-development
51. Uzawa H. (1965). Optimum Technical Change in an Aggregative Model of Economic Growth. *International Economic Review*, 6(1), 18–31.
52. Veshapidze S., & Karchava L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 16(4), 152-157.
53. Weil D. (2007). Accounting for the effect of health on economic growth. *The Quarterly Journal of Economics*, 122(3), 1265–1306.

54. World Bank. (2018). The Human Capital Project. © World Bank, Washington, DC. http://hdl.handle.net/-10986/30498
55. World Bank. (2020). The Human Capital Index 2020 Update: Human Capital in the Time of COVID-19. © World Bank, Washington, DC. http://hdl.handle.net/10986/34432

Globalization, Human Capital, and Economic Growth: Modern Challenges and Opportunities

Givi Bedianashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Murman Tsartsidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nino Mikeladze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Zviad Gabroshvili
Master Stundent
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In the confrontational global environment, the topics related to human capital and economic growth gain special relevance. Against the backdrop of contemporary challenges and opportunities, human capital is of particular importance in relation to economic growth. The aim of the present study is a systematic analysis of human capital and economic growth, taking into account such factors as health, education, incomes of workers and required skills, developing separate recommendations based on the peculiarities of Georgia as a small country. The study was carried out within the framework of the 2023 scientific grant project "Impact of human capital on economic growth in Georgia in the conditions of modern globalization" funded by the Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Keywords*: human capital, globalization, economic growth, modern challenges, ways to solve problems*

სოციალური დემოკრატია და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების თავისებურებები ევროპაში

ხათუნა ბერიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალურ გარემოში, ქვეყნები, რომლებიც იზიარებენ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის კონცეფციას, მუდმივად ფართოვდებიან. სოციალური პასუხისმგებლობა არის სწორედ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საკვანძო საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ და გარემოსდაცვით საკითხებზე. ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებს, სადაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ღონისძიებებს დიდი ხნის ისტორია გააჩნიათ, აქტიურად უერთდებიან განვითარებადი ქვეყნებიც. საზოგადოებისათვის ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ასოცირდება ბიზნესისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებთან (გადასახადების გადახდა, ბიზნესის გამჭვირვალედ წარმართვა,ზრუნვა სოციალურ და გარემოს დაცვით საკითხებზე და ა.შ). წინამდებარე სტატიაში განხილულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის თავისებურებანი საქართველოში და სოციალურ-დემოკრატიული მოდელის ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური პასუხისმგებლობა, ბიზნესი,სოციალურ-დემოკრატიული მოდელი, ბიზნესის გარემოს ლიბერალიზაცია.*

საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრობლემამ 2005 წლიდან შეიძინა აქტუალობა, ამ პერიოდში ქართულმა ბიზნეს სექტორმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს „სოციალურ სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმი, 2007 წელს შეიქმნა გაეროს პროგრამის „გლობალური შეთანხმების“ წარმომადგენლობა საქართველოში - „გლობალური შეთანხმება საქართველო“. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში მრავალი ფაქტორი აბრკოლებდა, მათ შორის ძირითადია: ეკონომიკური სირთულეები და პოლიტიკური არასტაბილურობა. ევროპასთან ინტეგრაციის სწრაფვამ განაპირობა ბსპ- დარგში სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და საზოგადოების ერთიანი სტრატეგიის განსაზღვრა. ბიზნესის გარემოს ლიბერალიზაციამ, სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების შემცირებამ, საგადასახადო სისტემის პოზიტიურმა ცვლამ არსებითად შეცვალა მიდგომები ბსპ-ს მიმართ. ქვეყანაში ინვესტიციების ზრდამ მოითხოვა კომპანიების ჩართულობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებაში, რაც გახდა ის ინსტრუმენტი, რითიც შესაძლებელია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა აქტიურად 2005 წლიდან დაიწყო, მრავალი ქართული კომპანიისათვის ის დღესაც სიახლეს წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად ქართული კომპანიები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. მომხმარებელიც დიდწილად აქცევს ყურადღებას კომპანიების ჩართულობას სოციალური კეთილდღეობის ცალკეულ ასპექტში და შესაბამისად მეტად ლოიალურები ხდებიან იმათ მიმართ, ვინც დიდ რესურსებს დებს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. **[**CDCS ,2021 „სოციალური ინტეგრაციის ახალი სტრატეგია“გვ. 8**].** ამ ფონზე მეტად საინტერესო ხდება იმ გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, რომელიც დაგროვდა სოციალურ-დემოკრატიული მოდელის ქვეყნებში.

საზოგადოებრივი შეხედულებები ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საზღვრებზე მუდმივად განიცდიდა ტრანსფორმაციას. მათ ფორმირებაზე ზეგავლენას ახდენდა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესები, ტექნოლოგიური განვითარების დონე. სოციალურ-დემოკრატიული მოდელის ქვეყნები ხასიათდება იმით, რომ სოციალური სტატუსის, ქონებრივი მდგომარეობის, შრომითი წვლილის და ა.შ. მიუხედავად, საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობის პრინციპი განსაზღვრულია მათი სოციალური პოლიტიკით.

დანიელი სოციოლოგები თვლიან, რომ სოციალ-დემოკრატები უფრო განავითარებენ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფციას, რომელიც უზრუნველყოფს სწორედ ყველაზე მაღალი სტანდარტების და არა მინიმალური მოთხოვნილებების თანასწორობას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ისინი ასეთ თანასწორობას ამჯობინებენ სახელმწიფოსა და ბაზარს შორის ორმაგი სტანდარტების დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევად, ჯერ ერთი, საჭიროა შემოსავლების დონის ამაღლება და მომსახურებათა ხარისხის ზრდა იმ დონემდე, რომელიც თანაზომადია ახალი საშუალო კლასის სტანდარტებთან და, მეორე, მუშებისთვის გარანტირებული უნდა იყოს უფლებების დაცვის ისეთივე ხარისხი, როგორიც საზოგადოების უფრო მაღალუზრუნველყოფილ ფენებშია - აღნიშნავს გ. ესპინგ-ანდერსენი [Esping-Andersen G, 2016: 341]. სოციალურ-დემოკრატიული რეჟიმის ყველაზე შესამჩნევი ნიშანია – შესაძლებლობისა და შრომითი საქმიანობის ერთიანობა. ის გულისხმობს სრული დასაქმებისა და გამოყენებული ძალისადმი საზღაურის შესაბამისობის გარანტიებს. ერთი მხრივ, დასაქმების უფლებას გააჩნია თანაბარი სტატუსი შრომითი შემოსავლების დაცვის უფლებასთან, მეორე მხრივ კი დანახარჯები საყოველთაო კეთილდღეობის უნივერსალური მოდიფიცირებადი სისტემის შენარჩუნებაზე მეტია. ეს ნიშნავს, რომ მთელი ძალა მიმართული უნდა იყოს სოციალური პრობლემების გადაჭრისა და შემოსავლების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენებისკენ. ასეთი მიზნების მიღწევის ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა და სოციალური გადარიცხვების ხარჯზე მცხოვრებთა რიცხვის შემცირებაა.

ამრიგად, სოციალ-დემოკრატიული მიდგომის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს შემდეგი:

- ყველა მოქალაქის უფლება თანაბარ სოციალურ უზრუნველყოფაზე;
- დამსაქმებელსა და მუშაკს შორის ურთიერთობებს მკაცრად აკონტროლებს სახელმწიფო;
- სოციალური ღონისძიებების მიმართულების განსაზღვრას და მათ დაფინანსებას ახორციელებს სახელმწიფო;
- გადასახადების მაღალი დონე;
- სავალდებულო სოციალური დაზღვევა;

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გამო, სოციალურ-დემოკრატიული მოდელი განსხვავდება ბიუროკრატიის ყველაზე მაღალი ხარისხით. ის სახელმწიფო სხვა მოდელებთან შედარებით, საკუთარ თავზე იღებს წამყვან როლს მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხებზე. სახელმწიფო ხარჯების წილი მშპ-ში მოცემული მოდელის ქვეყნებში 50%-ზე მეტს შეადგენს. ამ ხარჯების ძირითადი ნაწილი მიდის სოციალური დანიშნულების ობიექტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ტრანსფერტული გადასახადებიც, რომელთა წყალობითაც ხდება ეროვნული პროდუქტის გადანაწილება მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების სასარგებლოდ.

სოციალურ-დემოკრატიული მოდელის კიდევ ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს საწარმოო დემოკრატიის განვითარებული სისტემა, შრომითი ურთიერთობების რეგულირება ზოგა-

დეროვნულ დონეზე და არა ცალკეული საწარმოების ან დარგების მიხედვით. გამოიყენება ის ქმედითი საშუალებები, რომლებიც გვაძლევს უმუშევრობის დონის მინიმიზაციის შესაძლებლობას.

უკანასკნელ პერიოდში ყველაზე აქტუალურია სოციალური სახელმწიფოს შვედური მოდელი. სწორედ მას, როგორც წესი, იყენებენ მკვლევარები სოციალურ-დემოკრატიული ტიპის მოდელის ილუსტრაციისთვის. შვედურ მოდელს ზოგჯერ ეგალიტარულს უწოდებენ. მას საწყისი დაედო გასულ საუკუნეში, როდესაც მიღებულ იქნა საყოველთაო საპენსიო უზრუნველყოფის გადაწყვეტილება. ამ დროიდან სახელმწიფო ახორციელებდა რეფორმებს „ჰორიზონტალური“ გათანაბრების მიმართულებით (ჯანმრთელებსა და ავადმყოფებს, ბავშვიან და უბავშვო ოჯახებს, მომუშავეებსა და უმუშევრებს შორის), ასევე „ვერტიკალური“ გათანაბრების (მდიდრებსა და ღარიბებს შორის) მიზნით. სამედიცინო და სოციალური დახმარება გახდა ხელმისაწვდომი ყველასთვის, შემოსავლისა და პროფესიის მიუხედავად. შვედეთის მიერ არჩეული განვითარების გზა არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. განსაკუთრებით შვედური კაპიტალიზმის სოციალური მიმართულების კრიტიკა გაძლიერდა კრიზისულ პერიოდებში, მაგრამ ყველაფერ ამას ხელი არ შეუშლია ქვეყნისთვის, წასულიყო ამ გზით და მოეხდინა მისი სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება.

უთუოდ, სოციალური პოლიტიკის ასეთმა „ეგალიტარულმა“ ხასიათმა განაპირობა ეკონომიკის რესტრიქტული (შემზღუდველი) ხასიათი. ასეთი რესტრიქტულობა ეხება როგორც მოსახლეობის პირად, ისე, მეწარმეების შემოსავლებს და რეალიზებულია პროგრესული საგადასახადო სისტემის საშუალებით, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ამოვიღოთ პირველადად განაწილებული შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში. თავის მხრივ, მკაცრი საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ფინანსურ ბაზას სხვადასხვა სახის ტრანსფერტული გადასახადებისთვის და მაღალხარისხიანი სოციალური მომსახურებების ფართო ქსელს. ტრანსფერტული გადასახადების მნიშვნელოვან როლს მოჰყვა შვედური სახელმწიფოს აქტიური ჩარევა სოციალური დაზღვევის ორგანოების ფუნქციონირებაში, რომლებიც იმყოფებიან მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და მნიშვნელოვანწილად ფინანსდებიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გადასახადების დონე შვედეთში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

ასეთი ინსტიტუციური მოწყობა ყველაზე კარგად შეიძლება იქნეს დახასიათებული, როგორც საზოგადოება მსხვილი და ცენტრალიზებული ინსიტუტების სიჭარბით. მის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს, ჯ. ლინდბეკის [Lindbek. J., 2020: 26] თვალსაზრისით, წარმოადგენს:

- სახელმწიფო სექტორის მნიშვნელოვანი ხარჯები და მაღალი გადასახადები, რომლებიც ასახავს საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების ამბიციებს;
- ინტერვენციების მაღალი ხარისხით გამორჩეული სტაბილიზაციური პოლიტიკა, რომელიც თავდაპირველად განკუთვნილია სრული დასაქმების ორგანიზაციისთვის შრომის ბაზარზე უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის აქტიურ პოლიტიკასთან ერთად.
- სახელმწიფოს ცდები, ზემოქმედება მოახდინოს ერთობლივი დანაზოგის დონეზე, კრედიტებისა და ინვესტიციების შეთავაზებაზე, აგრეთვე, მათ განთავსებაზე სახელმწიფო დანაზოგების, კაპიტალის ბაზრის, გადასახადებისა და სუბსიდიების რეგულირების საშუალებით;
- ადგილობრივი ადმინისტრაციების მკაცრი კონტროლი ცენტრალური მთავრობის მხრიდან;
- ხელფასის ცენტრალიზებული დადგენა ეროვნულ დონეზე;

- კერძო სექტორში მიღებული გადაწყვეტილებების ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი: მწარმოებლებს შორის ბატონობს მსხვილი ფირმების მცირე ჯგუფი, საფინანსო აქტივების ფლობა, აქციების ჩათვლით, აგრეთვე, კონცენტრირებულია რამდენიმე ინსტიტუტში – სამ ან ოთხ ბანკში, ექვს სადაზღვევო კომპანიაში და რამდენიმე საინვესტიციო კორპორაციაში;
- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელსაც, თუმცა ერწყმის ნახსენები ცენტრალიზებული სტრუქტურები.

სახელმწიფოს ასეთი აქტივობა არ შეიძლება არ აისახოს შვედების ცხოვრების ხარისხზე. ჯ. ლინდბეკი [Lindbek J., 2020: 52] აღნიშნავს, რომ:

- ჯინის კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში;
- აღინიშნება სიღარიბის შედარებით დაბალი დონე;
- განსხვავება ხელფასში მამაკაცებსა და ქალებს შორის, აგრეთვე მნიშვნელოვნად შემცირებულია;
- ადგილები, რომლებიც დამნაშავეობის წყაროს წარმოადგენს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, შვედეთში პრაქტიკულად არ არსებობს;
- შვედეთში უმუშევრობის დაბალი დონეა;
- სოციალურ მომსახურებათა მაღალი სტანდარტები, რომლებსაც უმთავრესად, სახელმწიფო იძლევა.

ყველაფერი ეს თავის კვალს ამჩნევს საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობისადმი. ერთი მხრივ, ცხოვრების საკმაოდ მაღალი დონე ამცირებს სოციალურ დაძაბულობას, მაშასადამე, კსპ-ს მრავალი ინსტრუმენტის (მაგალითად, ქველმოქმედების) აქტუალობაც, რომელიც გვეხმარება ამ დაძაბულობის შემცირებაში. მეორე მხრივ, შვედური საზოგადოება გაზრდილი მოთხოვნილებით ბიზნესისადმი განსაკუთრებით მკაცრად ადევნებს თვალყურს ეთიკური ნორმების დაცვას, განსაკუთრებით კი სამეწარმეო სფეროში.

ამას მოწმობს ეს ფაქტიც: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის „გლობალური გენდერულ უთანასწორობის ანგარიშში“ [Corporate Social Responsibility.,2022: 76] მითითებულია, რომ შვედეთი და სხვა სკანდინავიური ქვეყნები „თავიანთი პრაქტიკული მიღწევებით გენდერული თანასწორობის დარგში არიან ჭეშმარიტი ლიდერების რიცხვში... და, ამრიგად, წარმოადგენენ ნიმუშს საერთაშორისო შედარებებისთვის“. გენდერული უთანასწორობის რეიტინგი ზომავს სხვაობას სქესებს შორის ცალკეული ქვეყნების მიხედვით ეკონომიკური, პოლიტიკური და საგანმანათლებლო კრიტერიუმების, აგრეთვე, ჯანმრთელობის მაჩვენებლების საფუძველზე.

„Global 100-ის“ 2022 წლის რეიტინგში, შვედური კომპანიები ჩართული არიან კორპორაციული სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მსოფლიო 100 ლიდერის რიცხვში. რეიტინგი ითვალისწინებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორებიცაა: ნახშირორჟანგის გამონაბოლქვი, მართვის დივერსიფიკაცია, საგადასახადო დისციპლინის დაცვა და სხვა [Hohnen, P., Potts, J., 2022: 312].

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კიდევ ერთ საზომს წარმოადგენს დოუ-ჯონსის მდგრადი განვითარების მსოფლიო ინდექსი. ეს რეიტინგი მოიცავს მხოლოდ იმ კომპანიებს, რომელთა საქმიანობა აკმაყოფილებს უმაღლეს მოთხოვნებს გარემოსთან, შრომის დაცვასთან, ადამიანის უფლებებთან მიმართებაში. 2022 წელს მასში შევიდა 425 კომპანია მსოფლიოს 32 ქვეყნიდან, მათ შორის ისევ შვედური კომპანიები *Nestle, Danfoss*, *Atlas Copco, Elextrolux, Sandvik, SKF, SCA, Swedbank, Telia Sonero da Volvo.* 2022 წელს სამი შვედური კომპანია დასახელებულია მასში ოქროსა და ვერცხლის კლასის ლიდერებად.

Goldman Sachs და *UBS* – უმსხვილესი მსოფლიო საინვესტიციო ბანკები და სპეციალისტებია ფასიანი ქაღალდების ოპერაციების დარგში. ისინი ჩვეულებრივ, აძლევენ მაღალ შეფასებებს შვედურ კომპანიებს მათი საქმიანობის მდგრადობის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, *Goldman Sachs* შეჰყავს კონცერნები *Volvo* და *SKF* მსოფლიო ასპარეზზე თავისი განუყოფელი ფავორიტების რიცხვში, მაგრამ, ამავე დროს, ეს ფირმები შედიან სამრეწველო სექტორში საუკეთესოთა ათეულშიც. ბანკი თვლის, რომ თავის ლიდერობას შვედური კომპანიები განსაკუთრებით უნდა უმადლოდნენ გამჭვირვალობასა და ფართო საინფორმაციო ღიაობას ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებთან მიმართებაში. *UBS* აგრეთვე თვლის შთამბეჭდავად შვედური კომპანიების მიღწევებს მდგრადობის დარგში, განსაკუთრებით გამოირჩევიან რა ამ თვალსაზრისით კომპანიები *Assa Abloy, Atlax Copco, Sandvik* და *SKF*.

მდგრად ინვესტიციებზე სპეციალიზებული საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის „Robeco-SAM“ შეფასებით, შვედეთი მეორე ადგილზეა 150 ქვეყნიდან Robeco Sam-ის ქვეყნის მდგრაობის რეიტინგით (2022 წ.აპრილი) გარემოს დაცვის, სოციალური და მმართველობის (ESG) ინდიკატორების შესაბამისად.

საერთაშორისო მასშტაბით, შვედეთი კვლავ წარმატებულია ენერგეტიკისა და ეკოლოგიური ტექნოლოგიების მიმართულებით და 180 ქვეყანას შორის მე-5 ადგილს იკავებს 2022 წლის ეკოლოგიური საქმიანობის ინდექსის შესაბამისად. (Enviromental perfomance index 2022).

შვედეთმა, აგრეთვე, მსოფლიოში პირველმა დაავალდებულა სახელმწიფო კომპანიები, წარმოედგინათ ანგარიშები მდგრადი განვითარების შესახებ.[1] ეს ანგარიშები უნდა პასუხობდეს მდგრადი განვითარების დარგში გლობალური ინიციატივის სტანდარტებს (Global Reporting Initiative, GRI).

საპენსიო უზრუნველყოფის შვედური სახელმწიფო სისტემის ოთხი ფონდი – P1, P2, P3 და P4 (ე. ი. Allmanna Pensionsfonder, ანუ საყოველთაო საპენსიო დაზღვევის ფონდები) – ახორციელებს თანამშრომლობას ბაზართან ეთიკურ საკითხებში თავისი საბჭოს ჩარჩოებში. თავის საქმიანობაში ეს საბჭო აღწევს პოზიტიურ ცვლილებებს კომპანიების მუშაობაში შვედეთის ფარგლებს გარეთ, რომლებიც შემჩნეული არიან გარემოს დაცვაზე და ადამიანის უფლებებზე არსებული საერთაშორისო კონვენციების დარღვევაში. მაგალითად, მზა ტანსაცმლის ქსელი *H&M* ითვლის დაახლოებით 4500 მაღაზიას მსოფლიოში. სულ ახლახან მის ასორტიმენტში გამოჩნდა Conscious collection ბრენდის ტანსაცმლის ახალი ეკოლოგიური ხაზი. *H&M* აწარმოებს აქტიურ მუშაობას თავის მიმწოდებლებთან, აღწევს რა მათ წარმოებებში მშრომელთა უფლებების დაცვასა და გარემოზე მავნე ზემოქმედებების შემცირებას. *H&M* პროდუქცია შემოდის დაახლოებით 700 მწარმოებლისაგან, რომელთაგან მრავალი ბაზირებულია იმ ქვეყნებში, სადაც ბავშვთა შრომის გამოყენება და უსაფრთხოება სამუშაო ადგილებზე წინანდელივით პრობლემას წარმოადგენს. *H&M*-თან მოქმედებს საინსპექციო ჯგუფი 70 ადამიანის შემადგენლობით, რომელიც აკონტროლებს მიმწოდებლების მიერ კომპანიის კორპორაციული ქცევის კოდის დაცვას. შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით *H&M* აწარმოებს აგრეთვე, მიმწოდებელთა სწავლებას.

მკაცრმა კანონმდებლობამ გარემოს დაცვის დარგში ეკოლოგიური პრობლემატიკის გაცნობიერებისა და გაგების მაღალ დონესთან ერთად შვედური კომპანიები მათ საქმიანობაში გარემოს დაცვის ამოცანათა ინოვაციური და ეფექტური გადაჭრის გზაზე დააყენა. საწარმოო ტექნოლოგიე-

[1] მდგრადი განვითარება ისეთი განვითარებაა, რომელიც, ბრუნტლანდის კომისიის (რომელსაც ოფიციალურად ეწოდება გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისია) განსაზღვრებით, აკმაყოფილებს რა დღევანდელობის მოთხოვნებს, საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ბი, რომლებიც ზიანს არ აყენებენ გარემოს, განსაკუთრებით კი სამრეწველო წარმოების სფეროში, ამჟამად, არცთუ იშვიათად შვედური ექსპორტის საგანია.

შვედური კომპანიები ლიდერის პოზიციებს იკავებენ აგრეთვე მსოფლიოში სუფთა და საწმენდი ტექნოლოგიების – „კლინტეკის“ დარგში. (ტერმინი „კლინტეკი“ გამოიყენება იმ პროდუქციისა და მომსახურების აღსანიშნავად, რომლებიც, აუმჯობესებენ საექსპლუატაციო მახასიათებლებს, მწარმოებლურობასა და ეფექტურობას, ხელს უწყობენ დანახარჯების, ნედლეულის ხარჯის, ენერგომოხმარების, ნარჩენებისა და დამაბინძურებელი გამონაბოლქვის შემცირებას). ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა ხელს უწყობს აგრეთვე კონკურენტუნარიანობის გამტკიცებას და შვედური მრეწველობის ზრდას.

შვედეთის გარდა სხვა სკანდინავიური ქვეყნებიც ახორციელებენ მსგავს მიდგომას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი, ახდენენ რა, ამასთანავე, თავიანთი სპეციფიკის დემონსტრირებას.

დანიაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა სოციალურ პოლიტიკაში მოგვიანებით დაიწყო და ჰქონდა გაცილებით ნაკლები მასშტაბები, ვიდრე შვედეთში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანია თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ სოციალ-დემოკრატიული მოდელის სახელმწიფოებს. ხ. ქრისტოფერსენი აღნიშნავს, რომ „დანიელებს მიაჩნდათ“ რომ ბაზარი აყენებს სერიოზულ შეზღუდვებს და, მაშასადამე, საჭიროა მისი მნიშვნელოვანი კორექტირება, იმ შემთხვევაში თუ მიზანი მდგომარეობს მაქსიმალურად შესაძლო კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ამიტომ მოქალაქეთა ინდივიდუალური უპირატესობები, რომლებიც ასახვას პოვებს ბაზარში, კორექტირებულ უნდა იქნეს ზოგადი კეთილდღეობიდან გამომდინარე. ე. ი. არ შეიძლება არ ვაღიაროთ ის, რომ დანიაში სახელმწიფოს როლი ბაზრის რეგულირებაში საკმაოდ მაღალია.

დიდი ბრიტანეთის კვალდაკვალ, 2008 წლის 16 დეკემბერს დანიაში მიღებულ იქნა კანონი (Act amending the Danish Financial statements act (Accounting for CSR in large businesses), რომელიც 2009 წლიდან ყველა მსხვილ კომერციულ ორგანიაზაციას ავალდებულებს, ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოადგინოს ანგარიშგება სოციალური პასუხისმგებლობის დარგში თავისი საქმიანობის შესახებ. მოცემული კანონის მიღება წარმოადგენდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაზე სამთავრობო გეგმის ნაწილს, რომელიც წარმოდგენილ იქნა 2008 წლის 14 მაისს (Action Plan for Corporate Social Responsibility (CSR) და მიზნად ისახავდა კომერციული ორგანიზაციების სტიმულირებას სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებში.

ამასთან ერთად, საკვანძო მომენტს ამა თუ იმ კეთილდღეობის შეთავაზებაში წარმოადგენს მოქალაქეთა უფლებების თანაზომადობა მათ ვალდებულებებთან. ამავე დროს განიხილება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: როგორია სახელმწიფოსა და სოციალური პარტნიორების როლი კსპ-ს პროგრამების რეალიზაციაში და როგორ დაუკავშიროთ ერთმანეთს სახელმწიფო პოლიტიკა და ბიზნესის ინტერესები იმისათვის, რომ გადავჭრათ სოციალური პრობლემები და ამავე დროს არ დავარღვიოთ კაპიტალისტური ბაზრის დინამიკა და მოქნილობა. დანიური მოდელისთვის (და ამაშია სწორედ მისი მსგავსება ლიბერალურ მოდელთან) ძალზე მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ნებაყოფლობითობის პრინციპი. და სწორედ ეს პრინციპი წარმოშობს რამდენიმე სერიოზულ პრობლემას.

საზოგადოებისთვის ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს უფრო ინტეგრაციული სოციალური სახელმწიფოსა და ფარული სეგმენტაციის მქონე შრომის ბაზრის ახალი ტიპის პოლიტიკური სახეა (მომავალი მოლოდინი). ბიზნესისთვის სოციალური პასუხისმგებლობა – ეს სტრატეგიაა, რომელიც წარმოიქმნა პასუხად დინტერესებულ ჯგუფთა მოლოდინის ლეგიტიმიზაციისა და

მოგების მიღების მოთხოვნაზე. სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გადაჭრადი დილემა მდგომარეობს საზოგადოების პრობლემების გაერთიანებაში ბიზნესის ინტერესებთან.

დანიაში, ისევე, როგორც გერმანიაში, ძირითადი ყურადღება ეთმობა სოციალურ პასუხისმგებლობას შრომის ბაზარზე. დანიური მოდელის ეს ნიშანი აახლოებს მას კონტინენტურ მოდელთან. ცხრილში, სადაც წარმოდგენილია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტული ინტერპრეტაცია, ახდენს იმ ადგილის დემონსტრირებას, რომელიც უკავია კსპ-ს შრომით ბაზარზე დანიის სოციალურ პოლიტიკაში

ფაქტობრივად აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა შრომის ბაზარზე იქცა ეროვნულ პრიორიტეტად და ეს არ არის შემთხვევითი**.** იან ჰეტლანდ მიულერი [Ian Hetland Miuler., 2018, 211] აღნიშნავს, რომ „ბიზნესის ეთიკა წარმოადგენს საკვანძო ფაქტორს კადრების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის დანიის შრომის შეზღუდულ ბაზარზე. მეწარმეები, რომლებიც ახდენენ კსპ-ს საკითხების იგნორირებას, მომავალში შეიძლება წააწყდნენ კვალიფიციური კადრების უკმარისობას, რაც საფრთხის ქვეშ დააყენებს მათ გლობალურ კონკურენტუნარიანობას“.

ამიტომ სოციალური პოლიტიკის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა ზომები ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე მოქალაქეთა შრომაში ჩაბმა, ახალგაზრდებთან მუშაობა, უმუშევართა სწავლება და გადამზადება მათი უსწრაფესი დასაქმების მიზნით და ა. შ., იქცა კსპ-ს ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად, რომელსაც საზოგადოება მოელის როგორც ბიზნესის, ისე სახელმწიფოსაგან.

ცხრილი 1

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის
სტანდარტული ინტერპრეტაცია დანიაში [Blair R. Fisher., 2021. 43]

კსპ-ს მიმართულება	მიზანი	ინსტრუმენტების მაგალითები
საშინაო სოციალური პასუხისმგებლობა	სამუშაოდან გათავისუფლების თავიდან აცილება	ზომები ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებაზე; ავადმყოფობის გამო შვებულების შემცირების მეთოდები; დასაქმების რეჟიმი, რომელიც ხელს უწყობს ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნებას; თითოეულისთვის სამუშაოზე მოწყობის შესაძლებლობა; სწავლება მთელი ცხოვრების მანძილზე; პენსიაზე გასვლის მოქნილი პროგრამები
	მუშაკების შენარჩუნება, რომლებიც რისკავენ, იყვნენ გათავისუფლებული სამუშაოდან	აქტიური დახმარება დაავადებებისადმი განწყობილ პირებს ან ასაკის, ფიზიკური ან გონებრივი დაავადებების გამო შეზღუდული შრომისუნარიანობის მქონე პირებს; არაფორმალური „მოქნილი“ და „რბილი“ სამუშაო ადგილები; სოციალური პუნქტები კოლექტიურ ხელშეკრულებებში

საგარეო სოციალური პასუხისმგებლობა	უმუშევართა და სამუშაოდან გათავისუფლებულთა ინტეგრირება	მთლიანობაში, სამუშაო ადგილებისა და სპეციალიზებული სამუშაო ადგილების შექმნა: ხელფასის სუბსიდირების ფორმალური სქემები („მოქნილი“ და „რბილი“ სამუშაო ადგილების სქემები); სწავლება სამუშაო ადგილზე კერძო და სახელმწიფო სექტორებში; განათლება და პროფესიული მომზადება; სამუშაო ადგილების როტაცია ან რეაბილიტაციის სქემები

ასეთი პოლიტიკის კიდევ ერთ მიმართულებად იქცა ხანდაზმულ მოქალაქეთა აქტივობის გაზრდა, რაც აგრეთვე ხელს უწყობს შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის ზრდას. სოციოლოგების მონაცემებით, დანია ქვეყანაა, სადაც ყველაზე კარგად ეპყრობიან მოხუცებს. პენსიაზე გასვლა ამ ქვეყანაში არ ნიშნავს, რომ ადამიანი გამოდის სოციალური ცხოვრებიდან. პირიქით, ის აგრძელებს მნიშვნელოვანი სოციალური როლის თამაშს და ფართო შესაძლებლობები გააჩნია იმისათვის, რომ ცხოვრების აქტიური წესით იცხოვროს.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვა აუცილებელია ბიზნესსექტორის განვითარებისთვის. ეს არის საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის, სტაბილურობის უზრუნველყოფის, მდგრადი განვითარების და ბიზნესრეპუტაციის გამყარების დამატებითი ინსტრუმენტი.

დასკვნა

სოციალური დემოკრატია და ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების თავისებურებები ევროპაში

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში მრავალი ფაქტორი აბრკოლებდა, მათ შორის ძირითადია: ეკონომიკური სირთულეები და პოლიტიკური არასტაბილურობა. ევროპასთან ინტეგრაციის სწრაფვამ განაპირობა ბსპ- დარგში სახელმწიფოს, კერძო სექტორისა და საზოგადოების ერთიანი სტრატეგიის განსაზღვრა. ბიზნესის გარემოს ლიბერალიზაციამ, სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების შემცირებამ, საგადასახადო სისტემის პოზიტიურმა ცვალამ არსებითად შეცვალა მიდგომები ბსპ-ს მიმართ. ქვეყანაში ინვესტიციების ზრდამ მოითხოვა კომპანიების ჩართულობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებაში, რაც გახდა ის ინსტრუმენტი, რითიც შესაძლებელია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მოპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა აქტიურად 2005 წლიდან დაიწყო, მრავალი ქართული კომპანიისათვის ის დღესაც სიახლეს წარმოადგენს. ამ ფონზე მეტად საინტერესო ხდება იმ მდიდარი გამოცდილების შესწავლა და გაზიარება, რომელიც დაგროვდა სოციალური დემოკრატიული მოდელის ქვეყნებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიშვილი ხ. „საერთაშორისო ბიზნესის ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა“. თბ. 2018
2. კორპორატიული სოციალური პასუხისმგბელობის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, გაეროს „გლობალური შეთანხმების“ საქართველოს პროგრამა საქართველოში, თბ., 2022.
3. მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა – დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბ., 2022
4. Социальная Отметственность Компании: Практическая Польза для Бизнеса, Ассоциация Менеджеров, М., 2022.
5. Blair R. Fisher. The Rules of the Game. Promo,December 2021.P 43.
6. Esping-Andersen G. The Three Worlds o Welfare Capitalism. N.Y 2016.
7. Hohnen, P., Potts, J., Corporate social Responsibility: An Implementation Guide for Business, International Institute for Sustainable Development, 2022.
8. Ian Hetland Miuler Corporate Social Responsibility, Discussion Paper, Australian Government, Corporation an Markets Advisory Committee, November, 2018.
9. Carroll, Archie B., Corporate Social Responsibility, Evolution of a Definitional Construct, Business & Society, Vol. 38, No. 3, 2020.
10. Corporate Social Responsibility: A Draft International Strategic Framework, UK Government, 2022.
11. CSR an Developing Countries – What Scope for Government Action? Sustainable Development Innovation Briefs, Issue 1, February, 2022.
12. CSR, Sustainability, Ethics and Governance https://doi.org/10.1007/978-3-030-68386-3_5
13. Corporate Social Responsibility (CSR): The Role of Government in promoting CSR.

Journal of the Knowledge Economy (2023)

14. Lindbek J., The Political Economy of CSR in Western Europe, Corporate Governance, vol. 8, No 6, 25. 26, pp. 2020.
15. Porter, M. E., & Kramer M. R., The Competitive Advantage of corporate Philantgropy, Harvard Business reviw, December 2014
16. Toft, K. H., & Rendtorff, J. D. (2021). Corporate Social Responsibility.

Social Democracy and Features of Development of Business Social Responsibility in Europe

Khatuna Berishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The development of social responsibility of business in our country was hindered by many factors, the main ones being: economic difficulties and political instability. The pursuit of integration with Europe led to the definition of a unified strategy of the state, private sector and society in the BSP field.

Liberalization of the business environment, reduction of trade and investment barriers, positive changes in the tax system have essentially changed approaches to BSP. The increase in investment in the country has required the involvement of companies in the promotion of public welfare, which has become the tool by which it is possible to gain a competitive advantage of the country. Despite the fact that the implementation of social responsibility of business started actively in 2005, it is still a novelty for many Georgian companies. Against this background, it becomes very interesting to study and share the rich experience accumulated in the countries of the social democratic model.

მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში

ინეზა გაგნიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმოდგენილი ნაშრომი დაფინანსებულია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტით „ციფრული ტრანსფორმაცია მცირე და საშუალო ფირმებში: გამოწვევებირ და პერსპექტივებირრრ მდგრადი განვითარებისათვის“

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გამოწვევები, როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით. 2021 წელს მსოფლიოში იყო აქტიური 332,99 მლნ მცირე და საშუალო ზომის ფირმა, რაც შეადგენდა მსოფლიოში არსებული ფირმების 90%-ს, ხოლო მათში დასაქმებულთა რაოდენობა სამუშაო ძალის 50%-ზე მეტი იყო. აშშ-ში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ფირმების საერთო რაოდენობის 99,9%-ია. 2022 წელს დაახლოებით 24,3 მლნ აქტიური მცირე და საშუალო საწარმო იყო ევროკავშირის 27 ქვეყანაში და შეადგენდა არასაფინანსო ბიზნეს სექტორის მთლიანი რაოდენობის (NFBS) 99,8%-ს. ამ ფირმებში დასაქმებული იყო 84,9 მლნ ადამიანი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით საქართველოში 2020 წელს ფირმების 99,6% იყო მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელშიც დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორის 59,3% და მათი წილი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელში 58%-ს შეადგენდა. საზოგადოდ, ციფრულ ტრანსფორმაციას თან სდევს სამუშაო ადგილების გაქრობა. ხელოვნური ინტელექტი მარტივ და განმეორებად ოპერაციებს ჩაანაცვლებს. ამ გამოწვევების დასაძლევად მკვლევრები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბება და თანამშრომლებში ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარება.

საკვანძო სიტყვები: *მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, მცირე და საშუალო ბიზნესი, ციფრული ტრანსფორმაცია*

2021 წელს მსოფლიოში 332,99 მლნ მცირე და საშუალო ფირმა იყო, რაც შეადგენდა მსოფლიოში არსებული ფირმების 90%-ს, ხოლო მათში დასაქმებულთა რაოდენობა სამუშაო ძალის 50%-ზე მეტი იყო. აშშ-ში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი ფირმების საერთო რაოდენობის 99,9%-ია.

„2022 წელს დაახლოებით 24,3 მლნ აქტიური მცირე და საშუალო ზომის საწარმო იყო ევროკავშირის 27 ქვეყანაში და შეადგენდა არასაფინანსო ბიზნეს სექტორის (NFBS) მთლიანი რაოდენობის 99,8%-ს. ამ ფირმებში დასაქმებული იყო 84,9 მლნ ადამიანი“ (Di Bella et al., 2023, 16). სხვა წყაროს მიხედვით, ევროკავშირში 2022 წელს 23,1 მლნ მცირე და საშუალო ბიზნესი იყო. ფირმების უმრავლესობა 21,6 მლნ იყო მიკრო-ფირმა (9-ზე ნაკლები დასაქმებულით), 1,35 მლნ იყო მცირე ფირმა (10-49 დასაქმებულით) და დაახლოებით 206592 იყო საშუალო ზომის ფირმა 50-249 დასაქმებულით (www.statista.com).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მონაცემებით საქართველოში 2020 წელს ფირმების 99,6% იყო მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელშიც დასაქმებული იყო ბიზნეს სექტორის 59,3%.

ვინაიდან ევროკავშირში მცირე და საშუალო ფირმები საკმაოდ დიდ როლს თამშობენ ეკონომიკის განვითარებაში, მათი ციფრული ტრანსფორმაციისთვის მომზადდა „ციფრული მცირე და საშუალო ბიზნესის მანიფესტი ევროპის ციფრული მომავლისთვის“ (DIGITAL SME's Manifesto for Europe's Digital Future). მანიფესტის საფუძველზე განისაზღვრა მისაღწევი მიზნები: 1. ციფრული ინფრასტრუქტურა, 2. ციფრული განათლება და უნარები, 3. ციფრული ტრანსფორმაცია და 4. ციფრული მთავრობა.

ევროკავშირში ასევე შემუშავდა პოზიციის დოკუმენტი „უნარები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის 2030“ ("Skills for SMEs 2030") ციფრული ათწლეულის საგზაო რუქის კონსულტაციების კონტექსტში. მისი მიზანია ევროპაში მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული უნარების გაზრდა, პროცესის მონიტორინგის ჩათვლით.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია თავისი შინაარსით არის საწარმოო პროცესში კიბერ-ფიზიკური სისტემების ტექნოლოგიური ინტეგრაცია. ინტერნეტის საფუძველზე იგი ზემოქმედებს ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილეზე. ამ ახალ პროცესს მცირე და საშუალო ბიზნესი სიფრთხილით ეკიდება. იმ დროს, როცა დიდი კომპანიები აქტიურად ცდილობენ გაციფრულების პოტენციალისა და რისკების გათვალისწინებას თავის ბიზნეს-მოდელებში და ნერგავენ ინოვაციურ პროცესებს, მცირე და საშუალო ბიზნესი ამის გამო მძიმე მდგომარეობაშია. აღნიშნულის მიზეზი შიდა და ნაწილობრივ გარე ფაქტორებია. ეს ეკონომიკური პოლიტიკის მესვეურებს აიძულებს გაითვალისწინონ შექმნილი მდგომარეობა, ვინაიდან, მაგალითად, გერმანიაში 2017 წელს 690000 მცირე და საშუალო ფირმა იყო. მათ შორის დაახლოებით 5% სრულად იყო ქსელში გაერთიანებული, ხოლო მესამედი მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა ამ მიმართულებით (Schröder, 2017).

ღირებულებათა ჯაჭვში გენერირებული მონაცემების ინტეგრირება მოითხოვს სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების გაერთიანებას, როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მის გარეთ. ასე მაგალითად, ისეთი ფუნქციონალური სფეროები, როგორიცაა შესყიდვების, წარმოების და გაყიდვების განყოფილებები, იძულებული გახდებიან თავისი მონაცემები რეალურ დროში გაცვალონ. ეს არაა მარტივი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის იმის გამო, რომ მათ არ აქვთ საკმარისი რესურსი გადაწყვეტილებების ტექნოლოგიური მზაობის შესაფასებლად და მათ გამოსაყენებლად. მენეჯმენტი სუსტია და არ იცის მეთოდური მიდგომა სიახლეების დასანერგად. გერმანიაში, ათიდან ოთხ მცირე და საშუალო ბიზნესს არ აქვს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესაბამისი სტრატეგია. დიდ კომპანიებში ეს მაჩვენებელი ათიდან ორია (Schröder, 2017, 4).

საზოგადოდ, ინტერფეისის ტექნოლოგიის სტანდარტებისა და ნორმების არარსებობა კიდევ ერთი მიზეზია საიმისოდ, რომ საინფორმაციო სისტემების ინტეგრაციაში ინვესტიციები ან არ ხორციელდება, ან გადადებულია. მცირე და საშუალო ბიზნესი ბრკოლდება არამარტო არასწორი სტანდარტების, არამედ მონაცემთა უსაფრთხოების გამო. მცირე და საშუალო ბიზნესი იღებს იმ სტანდარტებს, რასაც მათ სთავაზობენ დიდი ფირმები. თუმცა, საერთო სტანდარტების არარსებობა ურთულებს მცირე და საშუალო ბიზნესს მიუერთდეს ღირებულებათა ჯაჭვის ქსელებს განსხვავებული სტანდარტებითა და ნორმებით. ეს კი ქმნის მანევრირების საშუალებას.

შროდერი (2017) აღნიშნავს - შიში, რომ გაციფრულებას სამუშაო ადგილების გაქრობა მოყვება გერმანიაში საკმაოდ დაუსაბუთებელია. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია თავისი პოტენციალის გამოვლენას მხოლოდ თანამშრომელთა პრაქტიკული ცოდნის, გამჭრიახობითა და ადაპტაცი-

ის უნარით შეძლებს. თუმცა, ის სიმართლეა, რომ მარტივი, განმეორებადი სამუშაო ადგილები ჩანაცვლდება ახალი სამუშაოებითა და ახალი ბიზნეს-მოდელებით. გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესი ინოვაციური და კონკურენტუნარიანია საერთაშორისო დონეზე. ქვეყანას აქვს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შესაბამისი მნიშვნელოვანი ტექნიკური ნოუ-ჰაუ და კარგი განათლებისა და მომზადების მქონე სამუშაო ძალა. ჩარჩო პირობები გაუმჯობესდა გასული წლების მანძილზე, რაც იყო მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ტექნოლოგიების, გამჭოლი საკითხების, დანერგვის მხარდამჭერი და ცნობადობის გასაზრდელი ღონისძიებების გატარების შედეგი.

მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევა ისაა, რომ ჩამოაყალიბოს მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურები და თანამაშრომლებში განავითაროს ინტერდისციპლინური აზროვნება. მხოლოდ ამგვარად იქნება შესაძლებელი თანამშრომელთა არსებული კვალიფიკაციისა და გამოცდილების გამოყენება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის მიღწევების დასანერგად და საწარმოო პროცესების მუდმივად გაუმჯობესებაზე ზრუნვისთვის.

მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია მოითხოვს ამოცანების გადანაწილებას და ახალ ვალდებულებებს, რომლებიც ხელშეწყობილი უნდა იყოს სხვადასხვა ტრენინგებითა და სწავლებებით. აუცილებელია კონსენსუსზე ორიენტირებული კონცეფციები მონაცემთა დაცვისა და მობილური სამუშაოების შესახებ, რომლებიც გამჭვირვალედ უნდა დამუშავდეს სამუშაო ადგილებზე წესების განსაზღვრაზე პასუხისმგებელ ორგანოებთან ერთად.

მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ფართოზოლიანი კავშირის გაფართოვება, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენისა და სათანადო ტექნოლოგიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მონაცემების სტაბილურ და მაღალი სიჩქარით გადაცემას. თუ შესაძლებელი იქნება მონაცემების გადაცემის ერთიანი, უსაფრთხო და ღია სტანდარტების განსაზღვრა, მცირე და საშუალო ბიზნესი შეძლებს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის თანმდევი გამოწვევების გადალახვას.

ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანწილად ცვლის მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობას, ქმნის რა კონკურენციულ უპირატესობებსა და ამავე დროს თანმდევ რიკებსაც. გაურკვეველია, თუ როგორ გავლენას მოახდენს ციფრული ტექნოლოგიები სამეწარმეო სპეციფიკურ ბიზნეს საქმიანობაზე. მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევები განსხვავებულია ქვეყნების ეკონომიკის განვითარების მიხედვით. ევროპული ქვეყნების მონაცემთა ორი ბაზის (DESI და SAFE) გამოყენებით Skare et al., (2023) შეისწავლეს მცირე და საშუალო ბიზნესის მომხმარებელთან წვდომის, ზრდადი კონკურენციის, შიდა დაფინანსებისა და გარე საფინანსო რესურსებთან ხელმისაწვდომობის საკითხი, ასევე, ახალ რესურსებზე ზრდადი დანახარჯები, კვალიფიციური მენეჯერებისა და სამუშაო ძალისა დეფიციტი, შიდა რყევები, გლობალური კრიზისები და რეგულირების პრობლემები. მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ციფრული ტრანსფორმაცია აძლიერებს მცირე და საშუალო ბიზნესის უნარსა და მოქნილობას გადაჭრან ძირითადი ბიზნეს ამოცანები და ის რომ უკვე გაციფრულებული მცირე და საშუალო ბიზნესი ზემოჩამოთვლილ პრობლემებს შედარებით მარტივად წყვეტს.

ზოგიერთი ავტორი მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებს ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში განიხილავს დარგისა და კონკრეტული ფირმების მაგალითზე. ასე მაგალითად, Lepore et al., (2023) შეისწავლეს ფეხსაცმლის მწარმოებელი ორი იტალიური ფირმა. კვლევამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა განსაკუთრებით უწყობს ხელს ტექნოლოგიური შესაძლებლობების კომპეტენციების განახლებას. თუმცა, ამ ეფექტზე გავლენას ასევე ახდენს ღია ინოვაციების მეთოდები, რომლებსაც კომპანიები იყენებენ. უნივერსიტეტებთან კავშირის ეფექტიანობაზე სხვა მეცნიერ-მკვლევრებიც ამახვილებენ ყურადღებას (Dominici & Gagnidze, 2021; Vesperi & Gagnidze, 2021).

მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის გამოწვევები ნიგერიაში უკავშირდება ციფრული სტრატეგიის ტრენინგების, ბიზნეს საქმიანობაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისა და დაცული კიბერუსაფრთხოების სიმცირეს. ამ გამოწვევებთან ერთად Ifeoluwa et al., (2022) თავის ნაშრომში ჩამოთვალეს მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის 23 ბარიერი, რომელთა შორის სხვა მეცნიერთა მიერ აღწერილის მსგავსია 9 გამოწვევა, ხოლო 14 მათ მიერაა გამოვლენილი.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოშიც, სხვა ქვეყნების ანალოგიურად, მცირე და საშუალო ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში. ბუნებრივია, ციფრული ტრანსფორმაცია გამოწვევაა ქართული საწარმოებისთვისაც. ჯულაყიძე და სხვები (2023) აღნიშნავენ, რომ „საქართველოში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების (მსს) მხოლოდ 9%-ს აქვს დახვეწილი ფუნქციონალის მქონე ვებგვერდი მაშინ, როდესაც ევროკავშირის ანალოგური მაჩვენებელი 63%-ს შეადგენს. განსხვავება შედარებით ნაკლებია, როდესაც საქმე ფიქსირებული ფართოზოლოვანი მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მქონე საწარმოებს ეხება (საქართველოში არსებული მსს-ების 30%, ევროკავშირში არსებული მსს-ების 48%-თან... საქართველოს მსს-ების მხოლოდ 2% ყიდის პროდუქტსა თუ მომსახურებას ონლაინ (ევროკავშირის მსს-ების19%-ისგან განსხვავებით), ხოლო ქართული საწარმოების მხოლოდ 1% (ევროკავშირის მსს-ების 9%-ისგან განსხვავებით) ყიდის პროდუქტსა თუ მომსახურებას ონლაინ საქართველოს საზღვრებს გარეთ“)“ (გვ.8; 10).

იმ პირობებში, როცა მცირე და საშუალო ბიზნესი ასეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და მოსალოდნელია მნიშვნელოვანი ცვლილებები რაც ციფრულ ტრანსფორმაციას უკავშირდება, გვსურს ვიმსჯელოთ 2023 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშზე „სამუშაოების მომავალი“, რომელსაც ეს ორგანიზაცია 2016 წლიდან აქვეყნებს. პირველივე ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ იმდროინდელი დაწყებითი კლასის მოსწავლეები შრომით საქმიანობას დაიწყებდნენ 65%-ით შეცვლილ შრომის ბაზარზე. 2023 წელს გამოქვეყნებული მორიგი ანგარიში მოიცავს 803 კომპანიის, 27 ინდუსტრიული კლასტერისა და 45 ქვეყნის ეკონომიკის კვლევას. ანგარიშში მოცემულია მომავალი 5 წლის მანძილზე მოსალოდნელი ტენდენციები და ძირითადი მიგნებები, მათ შორის რამოდენიმეს აღვნიშნავთ, კერძოდ:

- ✓ ტექნოლოგიების დანერგვა დარჩება ბიზნესის ტრანსფორმაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში;
- ✓ სამუშაო ადგილების შექმნისა და გაქრობის ყველაზე დიდი ეფექტი გარემოს დაცვის, ტექნოლოგიებისა და ეკონომიკის განვითარების ტენდენციებიდან იქნება გამოწვეული;
- ✓ ტექნოლოგიების უმეტესობის გავლენა სამუშაო ადგილების რაოდენობაზე დადებითი იქნება მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში;
- ✓ დამსაქმებლები პროგნოზირებენ სტრუქტურული შრომის ბაზრის შემცირებას სამუშაო ადგილების 23%-ით მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში;
- ✓ მოსალოდნელია სამუშაო ადგილების ფართომასშტაბიანი ზრდა განათლებაში, სოფლის მეურნეობაში, ციფრულ კომერციასა და ვაჭრობაში;
- ✓ ყველაზე დიდი დანაკარგები მოსალოდნელია ადმინისტრაციული, ტრადიციული უსაფრთხოების, წარმოებისა და კომერციის მიმართულებით არსებულ სამუშაო ადგილებში;
- ✓ დასაქმებულთათვის ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნება რჩება ყველაზე მნიშვნელოვან უნარებად 2023 წელს;
- ✓ გამოკითხული კომპანიები აცხადებენ, რომ ინვესტიცია სწავლებაში და სამსახურში სამუშაო ადგილებზე ტრენინგში, ასევე, პროცესების ავტომატიზაცია არის ყველაზე გავრცელებული სტრატეგიები, რომლებიც მიიღება მათი ორგანიზაციის ბიზნეს მიზნების მისაღწევად;

- ✓ ბიზნესის 45% ხედავს სათანადო უნარების განვითარებისთვის ტრენინგების დაფინანსებას, როგორც ეფექტიან ინტერვენციას, რომელიც უნდა უზრუნველყოს მთავრობამ, რათა ნიჭი დასაქმებასთან დააკავშირონ (FoJ, 2023, 4).

სამუშაო ადგილების ციფრული ტრანსფორმაციის, მათი გაქრობისა და ახლების გამოჩენის შესაძლებლობებზე მრავალი სხვა ორგანიზაციაც მიუთითებს, კერძოდ:

- ✓ „2016 წლის ოქსფორდის უნივერსიტეტისა და Citi-ს (ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფინანსო ინსტიტუტი) ერთობლივი კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში სამუშაო ადგილების 57% ავტომატიზაციის რისკის ქვეშაა. Financial Times-ის 2016 წლის გამოშვებაში აღნიშნული იყო, რომ 2000-2010 წლებში აშშ-ში გამქრალი სამუშაო ადგილების მთლიანი რაოდენობის 85% ახალმა ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლა. ინგლისის ბანკის შეფასებით უახლოეს 20 წელიწადში სამუშაოების 2/3 ავტომატიზებული იქნება“ (Nuttall 2018);
- ✓ თუ მთავრობები არ მოემზადებიან ახალი ცვლილებებისთვის 2050 წლისთვის უმუშევრობის დონე G-20 ქვეყნებში გაიზრდება 24%-მდე (ან მეტად) (Daheim & Wintermann 2016, 9).

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს რომ, მცირე და საშუალო ბიზნესი დგას დიდი გამოწვევების წინაშე. მათი ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, მოსალოდნელია მრავალი სამუშაო ადგილის გაქრობა და ახლის გამოჩენა. იმავდროულად, საყურადღებოა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულია მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ეს კი კრიტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის არსებობასა და სამთავრობო დროულ ჩარევას. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ აგროსასურსათო სექტორში მცირე და საშუალო საწარმოების წილი დიდია. შესაბამისად, თანამედროვერრციფრული ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვანი სტიმული იქნებარსექტორის მდგრადი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოების მიზნების მიღწევაში.რ

საზოგადოდ, უნივერსიტეტებს ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ტრენინგებისა და ინტერდისციპლინური სწავლების შეთავაზებაში. დამატებით აღვნიშნავთ, რომ სასურველია მცირე და საშუალო ბიზნესის ფირმები მაქსიმალურად გაერთიანდნენ კლასტერებში ვინაიდან მათ მნიშვნელობას მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშით დამატებით გაესვა ხაზი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკაში მონიშნულია შესაძლო კლასტერები რეგიონების მიხედვით (UNIDO, 2019). კლასტერში გაერთიანებული ფირმების ერთიანი მიზანი, ერთმანეთთან სასიცოცხლო ურთიერთკავშირი განაპირობებს მათ ძალისხმევას ერთობლივად გადალახონ გამოწვევები. ვინაიდან კლასტერი არის სისტემა და ქსელი, ის ხასიათდება სინერგიით (Gagnidze, 2023, 2281). ეს კი მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში არსებული გამოწვევების ეფექტიანად გადასალახად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯულაყიძე მ., ლორთქიფანიძე მ., პაპავა გ. (2023) საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების გაციფრულების მიმოხილვა, პოლიტიკის დოკუმენტი #2023/07, ISET-ის კვლევითი ნაშრომების სერია, თბ.
2. Di Bella, L., Katsinis, A. and Lagüera-González, J. (2023) SME Performance Review 2022/2023, ISBN 978-92-9469-591-8, doi:10.2826/69827 https://single-market-economy.ec.europa.eu/system/files/2023-06/Annual-%20Report%20on%20European%20SMEs%202023.pdf

3. Dominici, G. and Gagnidze, I. (2021), “Effectiveness of Entrepreneurial Universities: Experiences and Challenges in Digital Era (A Systemic Approach)”, *Interdisciplinary Description of Complex Systems*, Vol. 19 No. 1, pp. 13-30, DOI 10.7906/indecs.19.1.2
4. Gagnidze, I. (2023), "Industry 4.0 and industry 5.0: can clusters deal with the challenges? (A systemic approach)", Kybernetes, Vol. 52 No. 7, pp. 2270-2287. https://doi.org/10.1108/K-07-2022-1005
5. Ifeoluwa, A.O., Uwitonze, A. P. and Rusu, L. (2022) International Journal of Innovation in the Digital Economy (IJIDE) 13(1) DOI: 10.4018/IJIDE.311510
6. Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2023). “Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia)”. ID: “MCAES-23-RA-021” Medicon Agriculture & Environmental Sciences, Vol. 4, No. 5, pp.5-15.
7. Lepore, D., Vecciolini, C., Micozzi, A., & Spigarelli, F. (2023). Developing technological capabilities for Industry 4.0 adoption: An analysis of the role of inbound open innovation in small and medium-sized enterprises. *Creativity and Innovation Management*, 32(2), 249–265. https://doi.org/10.1111/caim.12551
8. MANIFESTO FOR EUROPE’S DIGITAL FUTURE. A WAY FORWARD FOR THE EU MANDATE 2019-2024. European Digital SME Alliance.
https://www.eesc.europa.eu/sites/default/files/files/manifesto_for_eu_digital_future.pdf
9. Mapping Emerging and Potential Manufacturing and Agri-Business Clusters in Georgia (2019). EU4Business EU Innovative Action for Private Sector Competitiveness in Georgia (EU IPSC) ENI/2018/401-351 UNIDO project ID: 180316 https://www.gda.ge/shared/userfiles/images/UNIDO_Final%20cluster%20mapping%20report%20in%20Georgia.pdf
10. Number of small and medium-sized enterprises (SMEs) in the European Union (EU27) from 2008 to 2022, by size https://www.statista.com/statistics/878412/number-of-smes-in-europe-by-size/
11. Nuttall, G. (2018 10 May) The revolution is coming are we ready; https://www.nicva.org/article/the-revolution-is-coming-are-we-ready
12. OECD ilibrary, https://www.oecd-ilibrary.org/sites/00e218ce-en/index.html?itemId=/content/component/00e218ce-en
13. Schröder, Ch. (2017) The Challenges of Industry 4.0 for Small and Medium-sized Enterprises a good society – social democracy, A PROJECT BY THE FRIEDRICH-EBERT-STIFTUNG 2015–2017. Plus Friedrich-Ebert-Stiftung Publisher: Division for Economic and Social Policy, ISBN: 978-3-95861-543-4
https://library.fes.de/pdf-files/wiso/12683.pdf
14. Shettima, M. and Sharma, N. (2019) Impact of Digitalisation on Small and Medium Enterprises in Nigeria. ISSN NO: 1301-2746 http://adalyajournal.com
15. Skare, M., Mercedes de Obesso, M., and Ribeiro-Navarrete, S. (2023). Digital transformation and European small and medium enterprises (SMEs): A comparative study using digital economy and society index data. International Journal of Information Management. 68, 102594,
https://doi.org/10.1016/j.ijinfomgt.2022.102594.
16. SKILLS FOR SMES STRATEGY 2030. European Digital SME Alliance. Retrieved from
https://www.digitalsme.eu/digital/uploads/Skills-for-SMEs-Strategy-2030.pdf
17. Vesperi, W. and Gagnidze, I. (2021), “The Impact of the 4th Industrial Revolution on the Higher Education System: Rethinking the Role of Universities”, Nata, R. V. (Ed.), *Progress in Education*, Vol. 68 Chapter 6, Nova Science Publishers, Inc., New York, NY, pp. 143-169, **DOI**: https://doi.org/10.52305/WPPN2619.
18. The World Bank. Retrieved from https://www.worldbank.org/en/topic/smefinance

19. Future of Jobs Report 2023, Insight Report, The World Economic Forum, ISBN-13: 978-2-940631-96-4, https://www.weforum.org/reports/the-future-ofjobs-report-2023/
20. Daheim, C. and Wintermann, O. (2016) "2050: The Future of Work". Findings of an International Delphi-Study of The Millennium Project. Retrieved from https://www.bertelsmann-stiftung.de/fileadmin/files-/BSt/Publikationen/GrauePublikationen/BST_Delphi_E_03lay.pdf

SMEs Challenges under Conditions of Digital Transformation

Ineza Gagnidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Industry 4.0 and digital transformation is profoundly transforming SMEs' business activities. SMEs represent about 90% of businesses and more than 50% of employment worldwide. In 2020, 99.6% of active enterprises in Georgia were SMEs. A digitalisation journey of a business requires a long-term vision along with skills and capacity development. With this base the challenge for SMEs is to create flexible organisational structures and to boost their employees' interdisciplinary thinking. At the end the author gives a brief conclusion.

სახარებისეული იგავი ტალანტებზე - დელეგირებული საკუთრების პრობლემა

ინეზა გაგნიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია სახარებისეული იგავი ტალანტების შესახებ მათეს სახარებიდან (მთ. 25:14-30), სადაც უფალი მსახურებს აძლევს ხუთ, ორ და ერთ ტალანტს, იმ პირობით რომ დააბანდონ და სარგებელი მიიღონ. საკითხი განხილულია დელეგირებული საკუთრების პრობლემის პრიზმით. იგავში ნახსენები ტალანტები სხვადასხვა მეცნიერის მიერ განსხვავებულადაა გაგებული. ზოგიერთი მათგანი, გერი ნორთი, რეი სათენი, ბაბულია მღებრიშვილი, მურმან ცეცხლაძე და ინეზა გაგნიძე მათ პირდაპირი მნიშვნელობით - მატერიალურ ქონებად განიხილავენ. მათი აზრით, ტალანტი მიწაში დასაფლელად არაა განკუთვნილი და მან სოციალურად სასარგებლო ფუნქცია უნდა შეასრულოს, ასევე ხაზგასასმელია სარგებლის მიღების ლეგიტიმურობის მოსაზრებაც. ნიკო ჩიხლაძე და ირინა გოგორიშვილი ტალანტებს ნიჭს (ცოდნას, ჭკუას) ადარებენ და მათი ინდივიდისა და საზოგადოების სასარგებლოდ გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებენ. ნაშრომში განხილულია რეი სათენის ხუთპუნქტიანი შეთანხმების მოდელი და გერი ნორთის მიერ იგავის განხილვისას ჩამოყალიბებული თეოლოგიური გზავნილები. გერი ნორთი უფლისთვის მოგების მომტან მსახურებს ადარებს მეწარმეებს, ხოლო ერთი ტალანტის დამბრუნებელ მსახურზე ქონების გადაცემას გაფლანგვად მიიჩნევს.

საკვანძო სიტყვები: *სახარებისეული იგავი, ტალანტი, სარგებელი*

მრავალი მეცნიერი განიხილავს სახარებისეულ იგავებს, რომელთა შორის იგავი ტალანტებზე ხშირადაა დისკუსიის საგანი. ჩვენ ეს იგავი განვიხილეთ გ. მენქიუს ეკონომიკის პრინციპებთან მიმართებაში (გაგნიძე, 2013). მათეს სახარებაში იგავი ტალანტებზე ასეა გადმოცემული:

- „ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწესნ მონათა თვისთა და მისცის მათ მონაგები თვისი.

- და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი ქანქარი და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა, და მეყსეულად წარვიდა.

- ხოლო წარვიდა რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას ზედა და შესძინა სხუაიღა ხუთი ტალანტი. ეგრეთვე, რომელმან-იგი ორი მიიღო, შესძინა სხუაი ორი.

- შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი იგი მათ მონათაი და სიტყუა-ყო მონათა მათ თანა.

- და წარმოდგა, რომელმან ხუთი ქანქარი მოიღო, და მოართუა მას სხუაი-ღა ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი იგი ქანქარი მომეც მე, აჰა ესერა სხუაი-ღა ხუთი ქანქარი შევსძინე.

- ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო, სახიერო და სარწმუნოო! მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. .... (ასევე განმეორდა 2 ქანქარის მქონეს შემთხვევაშიც)

- მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მოეღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი, და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიეს.

- და შემეშინა, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუეყანასა; აჰა ესერა შენი შენთანა არს.

- მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მედგარო! უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიეს.

- ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.

- მოუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მიეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი“ (მთ. 25:14-29).

სახარების ამ იგავში ჩანს ბატონის გონიერება, დავალების გაცემის დროს მისი სირთულისა და შემსრულებელთა უნარის გათვალისწინების გამო („მისცა კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა“). ასევე, აღსანიშნავია მესაკუთრის გადაწყვეტილება მიღებული შრომითი შედეგების მიხედვით მომუშავეთათვის დიფერენცირებული ჯილდოს გაცემისა და დაწინაურების შესახებ („მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“). შევნიშნავთ, რომ დავალების მიმცემს (ბატონს) კარგად ესმის მითითების შესრულების აუცილებლობა და შესაძლო საფინანსო რისკზე საკუთარი პასუხისმგებლობაც. აღნიშნული კარგად ჩანს მის მითითებაში მოსამსახურისთვის გაცემული ვერცხლის ვაჭრობაში დაბანდების შესახებ („ჯერ-იყო შენდა დადებად ვერცხლი ჩემი სავაჭროსა, და მომცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ“). მესაკუთრის ბუნებაც კარგადაა აღწერილი სახარებაში: ისინი „მკიან იქ, სადაც არ დაუთესიათ და კრეფენ იქ, სადაც არ დაუბნევიათ“ და ამასთან თავადაც კარგად უწყიან საკუთარი ქცევის წესების შესახებ.

გვსურს მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ ბატონის პასუხზე როცა მას ტალანტები მოგებით დაუბრუნეს. ორივე წარმატებულ მსახურს ასე მიმართა უფალმა - „კეთილ, მონაო, სახეირო და სარწმუნოო! მცირედსა ზედა სარწმუნოიქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა“ (მთ. 25:21,23), სადაც ბატონის სიხარულში შესვლის უფლება უახლოესი წრის წარმომადგენელად ჩათვლას, მისი გუნდის წევრობას ნიშნავს. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ უფრო წარმატებულს (5/10 ტალანტის მფლობელს) მისცა დამატებით ის ერთი ტალანტი, რომელიც წაართვა მესამე მსახურს (ვინც მიწაში დაფლა ტალანტი). ეს ბატონის გონივრულობაზე მიუთითებს, ვინაიდან მან სტიმულირების მეთოდებშიც (მ.შ. საკუთრების დელეგირების კუთხითაც) დიფერენცირება მოახდინა და უფრო წარმატებულს მეტი ნდობა გამოუცხადა და მეტად წაახალისა.

იგავიდან იმისი ამოკითხვაცაა შესაძლებელი, რომ ყველა დაბანდება მოგებას ვერ მოიტანს, რაც სიფრთხილისკენ მოგვიწოდებს ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ უფალმა უუნარო მსახურს მაინც გამოუცხადა ნდობა და მისცა თავის გამოჩენის შანსი, როცა ერთი ტალანტი უბოძა სავაჭროდ დასაბანდებლად.

ქართველი მეცნიერები თავის ნაშრომებში აქტიურად განიხილავენ ზემოაღნიშნულ იგავს. ნ. ჩიხლაძე და ი. გოგორიშვილი ტალანტებს ადარებენ ნიჭს (ცოდნას, ჭკუას). მაგალითად ნ. ჩიხლაძე წერს, რომ უფალმა „სხვადასხვა ადამიანს ნიჭი განსხვავებული ოდენობით მიჰმადლა. ეს ნიჭი განსაზღვრულ საქმიანობას უნდა მოხმარდეს და რაც მთავარია, განმრავლდეს უფლისა და კაცთა სასიკეთოდ.... უფლისათვის მიუღებელია, ვინც არ ამრავლებს ტალანტებს (მინებს), არ იქმს კეთილ და ღვთივსათნო საქმეებს. თანაც დიდს დიდობით, პატარას კი პატარობით მოეკითხება. ვინც ტალანტების გამამრავლებელია მოიპოვებს ცათა სასუფეველს („ბატონის სიხარულს“), ვინც ფლავს მას (მტერნი უფლისანი), საშინელი სამსჯავრო ელის“ (ჩიხლაძე, 2013, 135-136).

ი. გოგორიშვილის აზრით, „უფალი ცოდნას კი არ გვაძლევს, არამედ მხოლოდ ნიჭს, მაგრამ ცოდნის სიყვარულით გაცნობიერებას ითხოვს – ჭკუას ითხოვს. ორი ტალანტის გაცემა ნიშნავს შედარებით მცირე შესაძლებლობების მიცემას, ხოლო 5 ტალანტში იგულისხმება მეტი - სავარაუდოდ სიყვარულის უნარის გაცნობიერებაც. სწორედ აქ ძევს განსხვავება ხუთსა და ორ ტალანტს შორის“ (გოგრიშვილი, 2022, 129).

ჩვენ ადრე ვწერდით ამერიკელი მეცნიერის გ. ნორთის შესახებ, რომელმაც ბიბლიის ეკონომიკურ კომენტარებს 9000 გვერდამდე მოცულობის ნაშრომი მიუძღვნა (გაგნიძე, 2022). გ. ნორთი ტალანტების შესახებ იგავს განიხილავს, დელეგირებული საკუთრების პრობლემის რაკურსით (North, 2012, 6902-6913). მისი აზრით ამ იგავის თეოცენტრული პრინციპი იყო უფლის საკუთრება მის ქონებაზე და მისი დაბანდების პირობებზე. ადამიანი უფლის ქონებას განკარგავს როგორც უფლის მეურვე. უფალი ამ იგავის ბოლოს თითოეულს როგორც მეურვეს განსჯის (იერარქია).

რეი სათენმა (Sutton, 1987) იგავზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ხუთპუნქტიანი შეთანხმების მოდელი. ეს პუნქტებია: **პირველი** - ბატონი მოუწოდებს მოსამსახურეებს თავისთან (სუვერენიტეტი); **მეორე** - ის ახდენს მათზე უფლების დელეგირებას, როგორც საკუთარ ეკონომიკურ წარმომადგენლებზე მათთვის თანხის გადაცემით (იერარქია/წარმომადგენლობა); **მესამე** - იმის მიუხედავად, რომ ეს არაა პირდაპირ აღნიშნული, ის მათ უბრძანებს გააფართოვონ წარმოება (კანონი/მბრძანებლობა). ვინაიდან, სამივე მათგანი დაუყოვნებლივ მოქმედებს მისი არაცხადი ბრძანების შესასრულებლად; **მეოთხე** - ის ბრუნდება და აწესებს პოზიტიურ სანქციებს: აქებს მოგებით დაბრუნებულ დაქირავებულებს; **მეხუთე** - შექება მოიცავს მმართველობას (თანმიმდევრულობა, უწყვეტობა). ამის შემდეგ ის აწესებს ნეგატიურ სანქციებს იმ მეურვის მიმართ, რომელიც მოგების გარეშე დაბრუნდა (მემკვიდრეობის ჩამორთმევა) - ბრძანება ასეთია „და უხმარი ეგე მონაი განხადეთ ბნელსა მას გარესკნელსა...“ (მთ. 25;30)

გ. ნორთის აზრით ეს იგავი შეიცავს რამდენიმე თეოლოგიურ გზავნილსაც, თუმცა, მათ შორის ის გამოყოფს სამ მათგანს, კერძოდ: **პირველი** - ყველაფერი ეკუთვნის უფალს; **მეორე** - ის დროებით აძლევს სამართავად ამ რესურსებს ადამიანებს; **მესამე** - ადამიანები ვალდებულნი არიან გაზარდონ ის ქონება, რაც მათ უფალმა ანდო სამართავად. გ. ნორთი გამოყოფს ასევე მეორად გზავნილებსაც - **პირველი,** დასაწყისში უფალი ითხოვდა მოსამსახურეებს ემოქმედათ დამოუკიდებლად დროის განუსაზღვრელ პერიოდში. უფალმა მათ წინასწარ არ განუსაზღვრა, თუ როგორ ემოქმედათ. **მეორე,** მან დაუწესა მოგების კონტროლის სისტემა, აღმავალი იერარქია.

გ. ნორთის აზრით, უფალმა (შევნიშნავთ, რომ გ. ნორთის ნაშრომში უფალი ასევე მოხსენიებულია როგორც მაგისტრი - Master - ი.გ.) წასვლამდე გონივრულად მოახდინა თავისი საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიცირება. დაქირავებულებს უფლება ჰქონდათ დამოუკიდებლად მიეღოთ კაპიტალის მართვის შესახებ გადაწყვეტილებები. შედეგებზე ისინი ლეგალურად პასუხისმგებელნი იყვნენ. **მესამე,** მეურვეობის პირველი ნაბიჯის მიღმა უფალს ჰქონდა თავისი გეგმები. ის საკუთრების დელეგირების ეტაპს იყენებდა როგორც ტესტს (გამოცდას). დაქირავებულები, რომლებმაც, მიიღეს 100%-იანი უკუგება (5 და 2 ტალანტის მიმღებები), პროდუქტიულობისთვის დაჯილდოვდნენ. ნათელია, რომ ეს ჯილდო ეყრდნობოდა მათი საქმიანობის შედეგების ისტორიას.

გ. ნორთი აღნიშნავს, რომ სარგებლის განაკვეთის განხილვა ორი მიზეზითაა მნიშვნელოვანი. **პირველი,** უფლის სამეფოს შესახებ იგავის მიხედვით, სარგებლის მიღება კანონიერად ითვლება. საბოლოოდ უფალი თითოეულთან მიდის და ითხოვს უკუგებას იმ ყველაფრისგან, რაც ადამიანებს მიანდო სამეურვეოდ. **თავისი სამეფოდან წასულმა ბატონმა იცხოვრა საკუთარი სახსრების გამოყენების გარეშე. შესაბამისად, მას აქვს უფლება, მიიღოს მინიმალური უკუგება - სარგებელი. მეორე,** იგავში მკვეთრად განსხვავდება მოგება სარგებლისგან. ორმა მეურვემ მიიღო მოგება 100%-ით. მინიმალური მოთხოვნა კი იყო სარგებლის გადახდა. ზარმაცმა მოსამსახურემ არ ისურვა მინიმალურ რისკზე წასვლა, თუნდაც თანხა კრედიტორისთვის გადაეცა და მინიმალური სარგებელი მისგან მიეღო.

გ. ნორთის მოსაზრებით თითოეული მეურვე (მოსამსახურე) უნდა გამხდარიყო მეწარმე, ანდა თავად უნდა მოეძია მეწარმე, რომელიც თანხას პროდუქტიულად გამოიყენებდა. **ტალანტი მიწაში დასაფლელად არ იყო განკუთვნილი. მას სოციალურად სასარგებლო ფუნქცია უნდა შეესრულებინა.**

გ. ნორთი ასკვნის, რომ იგავის ორი წარმატებული მოსამსახურე იყვნენ მეწარმეები. მათ იპოვეს ინვესტიციის განხორციელების გზა და შემოქმედის თანხით, მოგება მიიღეს. როგორც იგავიდან ჩანს, მოგების ეს ნორმა უფრო მაღალი იყო, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ თანხას გამსესხებელთან დააბანდებდნენ. ამრიგად, მეწარმე ისაა, ვინც გაცილებით მეტს რისკავს, ვიდრე ის, ვინც ფულს დებს ბანკში. ამას ეკონომისტები უწოდებენ გაურკვეველ რისკს, რომლის წინასწარ შეფასებაც შეუძლებელია.

გ. ნორთის შეხედულებით სარგებელი ეკუთვნის შემოქმედს. მსახური იყო ლეგალურად ვალდებული რომ დაეცვა ბატონის ინტერესები, ხოლო სარგებლის მიღება მიმოქცევაში გასაშვებ თანხაზე იყო მისდამი არსებული მინიმალური მოთხოვნა. მან ეს ვერ შეძლო. შემოქმედის მხრიდან მსახურის წარსული საქმიანობის შეფასება ზუსტი იყო; მან ამ მონას მხოლოდ ერთი ტალანტი მიანდო, რადგან კომპეტენცია ადრე არ გამოუვლენია. მეტი რომ მიეცა - მეტი გაიფლანგებოდა. მსახური თვლიდა რომ არაფერი უნდა მიეცა მფლობელისთვის, იმის გარდა რაც მას ანდეს, ანუ ერთი ტალანტი.

გ. ნორთის აზრით, ბატონს შეეძლო თანხის გაორმაგება, თუ ის პირველ ორ მსახურს მისცემდა თანხას. თუმცა, მან ეკონომიკურად უსაფრთხო გზა აირჩია და რისკი შეამცირა პორტფელის დივერსიფიცირებით. საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში მოგების ნორმა დაბალია, მაგრამ უკუგება საიმედო. თუმცა, ბატონი მოტყუვდა.

ზემოაღნიშნულ იგავის გააზრებისას მოგების მიღების აუცილებლობაზე მიუთითებენ ქართველი მეცნიერები, კერძოდ, მ. ცეცხლაძე (2021) და ბ. მღებრიშვილი (2021).

მ. ცეცხლაძის აზრით „ხშირად დომინირებს მცდარი აზრი, რომ ქრისტიანობა უარყოფს კერძო საკუთრებას. რა თქმა უნდა ამ ქვეყნად ყველაფრის მფლობელი ღმერთია: „უფლისა არს ქუეყანაი და სავსებაი მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა...“ (ფსალ.23). მაგრამ ამქვეყნიური მატერიალური ღირებულებები სწორედ ადამიანებისთვის შექმნა, ამასთან, მეტს აძლევს იმას, ვინც მეტს ფლობს ან უკეთ განაგებს: „რადგან ვისაც აქვს, მას მიეცემა, და ვისაც არა აქვს, ისიც წაერთმევა, რაცა აქვს“ (მარ. 4:25). ამასვე გულისხმობს იგავი ტალანტების შესახებ: მას უფრო მეტი მიეცემა, ვინც მინდობილ ტალატებს უფრო მეტს შემატებს, ხოლო ვინც არ შემატებს, რაც აქვს მიცემული, ისიც წაერთმევა (მთ. 25:14-30). იმავეს მიგვანიშნებს „იგავი მინაზე” (ლუკ.19:11-27)“ (ცეცხლაძე, 2021, 427).

ბ. მღებრიშვილის აზრით, „განხილული იგავი პირდაპირ მიანიშნებს ადამიანებს იმაზე, რომ უნდა იშრომონ და თანაც მომგებიანად. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ საქმე არ არსებობს რისკის გარეშე. მართალია, ერთი ტალანტის მფლობელმა ვერცხლის დაბანდება ვერ გაბედა მისი მფლობელის შიშით, მაგრამ გამოჩნდა, რომ შიში უნდა დაეძლია, უნდა გაერისკა და ვერცხლი დაებანდებინა. სიზარმაცეს და გაურისკაობას სიკეთე არ მოაქვს არც ცალკეული ადამიანისთვის და არც მთელი საზოგადოებისთვის. ადამიანმა უნდა იშრომოს და თან შეეცადოს, რომ მისი შრომა იყოს სარგებლის მომტანი. ასეთია შრომისა და მოგების მართმადიდებლური და სახარებისეული ფილოსოფია“ (ბ. მღებრიშვილი, 2020, 308).

ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი არ ემხრობა ტალანტების მატერიალური ფორმით განხილვას. ნ. ჩიხლაძე აღნიშნავს - „არ უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი აღთქმის ეს ნაწილი ახდენს მე-

ვახშეობის ერთგვარ ლეგალიზებას, ანუ ამ იგავის პირდაპირი აღქმა დაუშვებელია“ (ჩიხლაძე, 2013, 149). ავტორი ამ მოსაზრებას ასაბუთებს წმ იოანე ოქროპირის ნაშრომიდან ციტირებით, სადაც წმ მამა განასხვავებს სულიერ და ნივთიერ სიმდიდრეს და მოგვიწოდებს სულიერი სიმდიდრის დაგროვებისკენ.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ სახარების ამ იგავით ჩანს საკუთრების დელეგირების პროცესში სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობა. უფალმა დაუშვა სარგებლის დაუბრუნებლობის შესაძლებლობაც კი იმის საჩვენებლად, რომ მოგება შეიძლება ყოველთვის ვერ მოიტანოს დელეგირებულმა საკუთრებამ და ამაზე პასუხისმგებელი საკუთრების გამცემიც უნდა იყოს და მიმღებიც. გასათვალისწინებელია ასევე, შრომის შედეგების წახალისების აუცილებლობის და დიფერენცირების უფლისმიერი ქცევის გააზრებაც. სახარებისეული იგავის უნიკალურობა კიდევ ერთხელ დასტურდება წარმოდგენილი მცირე ფორმის ნაშრომითაც. ერთიდაიგივე იგავის სხვადასხვა შინაარსით განხილვის მიუხედავად, ყველა მოსაზრება მისაღებია და მათი მართებულობა კიდევ ერთხელ ადასტურებს სახარების საუფლო სიბრძნის უნივერსალურობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაგნიძე, ი. (2022) „გერი ნორთი და მისი წიგნი „ბიბლიის ეკონომიკური კომენტარები“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.73-79. http://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/2115
2. გაგნიძე, ი. (2020) ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების აღმწერი პრინციპები და მართლმადიდებლური სწავლება. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.100-106. https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
3. გოგორიშვილი, ი. (2022) „უფალი არის უსაზღვრო ცოდნა სიყვარულით გასხივოსნებული“, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.125-130. https://tsu.ge/assets/media/files/7/siaxle%202022/%E1%83%92%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-2022.pdf
4. მღებრიშვილი, ბ. (2020) „მომგებიანად მუშაობისა და სიმდიდრის მართლმადიდებლური ფილოსოფია“. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ. 306-311 https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
5. ჩიხლაძე ნ., მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013. – 250 გვ.
6. ცეცხლაძე, მ. (2021) „მართა - მარიამის იგავის“ ეკონომიკური გააზრება“. VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული, თსუ, თბ., გვ.425-432. https://tsu.ge/assets/media/files/7/konf%202021.pdf
7. North, G., “An Economic Commentary on the Bible”, A multi-volume exposition, 2012, Third Edition, Point Five Press, https://www.garynorth.com
8. Sutton, R. R. (1987) *That You May Prosper: Dominion By Covenant*, 2nd ed. (Tyler, Texas: Institute for Christian Economics, [1987] 1992), ch. 2. (http://bit.ly/rstymp)

The Gospel Parable of the Talents - The Problem of Delegated Ownership

Ineza Gagnidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The work discusses the Gospel parable about the talents from the Gospel of Matthew (Matthew 25; 14-29), where the Lord gives the servants five, two and one talents, with the condition that they invest them and receive benefits. The talents mentioned in the parable are understood differently by different scholars. Some of them consider talents as material property. Some scientists compare knowledge/intelligence under talents and point to the need to use them for the benefit of the individual and society. It is also important to emphasize the legitimacy of receiving benefit.

Key words*: Gospel parable, talent, benefit.*

ეკონომიკური მმართველობა ციფრულ სამყაროში

ბერდია გათენაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიში განხილულია ეკონომიკური მმართველობის განვითარებადი ლანდშაფტი ციფრული ეპოქის კონტექსტში. გამოკვლეულია გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც წარმოიშობა ციფრული ტექნოლოგიების მზარდი ინტეგრაციით ეკონომიკურ სისტემებში. კვლევაში ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა ადაპტირდნენ მთავრობები, ბიზნესები და ინდივიდები ეკონომიკური მმართველობის ამ ახალ ერაში.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური მმართველობა; ციფრული სამყარო; ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა.*

ციფრული რევოლუცია XXI საუკუნის განმსაზღვრელი ძალაა, რომელიც რადიკალურად ცვლის ჩვენი ცხოვრების, მუშაობის და ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროსთან ურთიერთობის წესს. იმ უამრავ სფეროს შორის, რომელსაც ეხება ციფრული ტრანსფორმაცია, ეკონომიკური მმართველობა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას, სადაც ტექნოლოგიების, მონაცემებისა და პოლიტიკის შერწყმა ცვლის გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. ციფრული ინფორმაციის განუწყვეტელი გაცვლით, ავტომატიზებული პროცესებითა და ინოვაციური ფინანსური ტექნოლოგიებით გამორჩეულ გარემოში, ეკონომიკური მმართველობა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკის შემქმნელთა ინსტიტუტებით. მას სულ უფრო მეტად მართავს ალგორითმები, ხელოვნური ინტელექტი და დეცენტრალიზებული მართვის სისტემები.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური მმართველობის კონცეფცია, რომელიც ტრადიციულად ორიენტირებულია სამთავრობო ორგანოებსა და მარეგულირებელ ორგანოებზე, საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა. ისტორიულად, მთავრობებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და განხორციელებაში, რომელიც გავლენას ახდენდა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, სავაჭრო ხელშეკრულებებზე, გადასახადებსა და ფულად სისტემებზე. თუმცა, ციფრული ტექნოლოგიების გამოჩენამ წამოიწყო ეკონომიკური მმართველობის ახალი ერა, სადაც სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის საზღვრები სულ უფრო ბუნდოვანი ხდება.

ციფრულმა ეპოქამ მოახდინა ტექნოლოგიების უპრეცედენტო ინტეგრაცია, რომლებიც რევოლუციას ახდენენ ეკონომიკურ მმართველობაში. მისი გამოყენებით შესაძლებელი გახდა უფრო ზუსტი გადაწყვეტილეების მიღება და ამ პროცესის ასწრაფება.

ხელოვნურმა ინტელექტმა (AI) გაამარტივა ფინანსური ოპერაციები, ინვესტიციების სექტორში რობოტ-მრჩევლებიდან დაწყებული საფონდო ბირჟაზე ალგორითმული ვაჭრობით დამთავრებული.

ბლოკჩეინის ტექნოლოგიამ, რომელიც ცნობილია თავისი როლით კრიპტოვალუტებში, როგორიცაა ბიტკოინი, აჩვენა პოტენციალი მოახდინოს რევოლუცია ფინანსური ტრანზაქციების განხორციელების გზაზე, გააძლიეროს უსაფრთხოება და შეამციროს შუამავლების რაოდენობა.

ისეთი ცნობილი მეცნიერების ნამუშევრები, როგორიცაა სმიტი (2019), ჩენი (2021) შეისწავლის დიგიტალიზაციის გავლენას ფინანსურ ბაზრებზე და მარეგულირებელზე.

სმიტის კვლევა გვაწვდის ინფორმაციას დიდი მონაცემების ანალიტიკის როლზე მონეტარული პოლიტიკის ფორმირებაში, ხოლო ჩენი და სხვ. განიხილავენ ბლოკჩეინის ტექნოლოგიის დანერგვასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და შესაძლებლობებს ტრანსსასაზღვრო ფინანსურ ტრანზაქციებში.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს არის ის, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი ხდება მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მაჩვენებლის - პროდუქტიულობის ზრდა, სამივე მიმართულებით (შრომითი, კაპიტალის და ინოვაციური პროდუქტიულობა). შესაბამისად, ზოგიერთი მკვლევარის მიერ წამოჭრილი საკითხი, რომელიც შეეხება ხელოვნური ინტელექტის უარყოფით მხარეს, კერძოდ სამუშაოს შემცირებას, აბსურდულია და არ უნდა გვეშინოდეს, პირიქით ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძლევა გარკვეული სამუშაო პროცესების ავტომატიზაციისა, რაც გულისხმობს უფრო სწრაფ და ზუსტ შესრულებას, შესაბამისად პროდუქტიულობის ზრდას (Baker, 2023).

ინტელექტუალური ავტომატიზაციის ეკონომიკური სარგებელი უზარმაზარია, პოტენციურად ტრილიონ დოლარს შეადგენს ეკონომიკური ზრდისთვის (Eurasia Review, 2023).

სტატისტიკა აჩვენებს, რომ გლობალური ციფრული ტრანსფორმაციის ბაზარი სავარაუდოდ გაიზრდება 470 მლრდ დოლარიდან 2020 წელს 1 ტრილიონ დოლარამდე 2025 წლისათვის. ციფრული ანალიტიკოსების აზრით, ციფრული ტრანსფორმაცია ორგანიზაციებს ორჯერ დიდ დროის წაართმევს და მინიმუმ ორჯერ ძვირი დაუჯდება, ნაწილობრივ მათი მუშახელის ციფრული მზადყოფნის ნაკლებობის გამო. აქედან გამომდინარე, მთავარი გამოწვევაა ბიზნესებმა გააგრძელონ თავისი სამუშაო ძალის უნარების განვითარება (Eurasia Review, 2023).

ციფრული უნარების მქონდე ადამიანებზე მოთხოვნა მაღალია, მაგრამ მიწოდება დაბალი. აუცილებელია ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის მჭიდრო პარტნიორობა. ციფრული რევოლუცია მოითხოვს თანამშრომლების მინიმუმ 50%-ის ხელახალი კვლაიფიკაციის ამაღლებას და მათი ძირითადი უნარების 40%-ის განახლებას, ციფრული ინტენსივობის და მოთხოვნების ზრდის დასაკმაყოფილებლად (Eurasia Review, 2023).

დასკვნები და რეკომენდაციები

ციფრული სამყაროდან სარგებლის სრულად მისაღებად და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად აუცილებელია მთავრობები, ბიზნესები და ორგანიზაციები მოემზადონ პროაქტიული ციფრული სტრატეგიებით. ამისათვის, მნიშვნელოვანია სამივე მხარის თანამშრომლობა აკადემიურ წრეებთან. დღესდღეობით, ძალიან ცოტა აკადემიურ დაწესებულებას აქვს ხედვა ან გამოყოფილი რესურსი ამ მიმართულებით. ამ პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა უფრო მეტი ინვესტიციების განხორციელება მეცნიერების განვითარების, ტექნოლოგიების მიმართულებით. ზოგადად, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა უნდა იყოს პრიორიტეტული მსოფლიო მასშტაბით - ეს არის ჩვენი მომავალი.

ტექნოლოგიები უნდა გამოვიყენოთ, როგორც ინსტრუმენტი რუტინული საქმის შესასრულებლად. ამისათვის, ქვეყნებმა, ბიზნესებმა და ინდივიდებმა კარგად უნდა დაფიქრდნენ და გააანალიზონ თუ სად და როგორ შეიძლება მოერგოს ავტომატიზაციის პროცესები თავიანთ საქმიანობაში,

გამოიკვლიონ საუკეთესო და ეფექტური გზები კვალიფიკაციის ასამაღლბლად და გამოიყენონ ერთობლივი მიდგომა ახალი სისტემებისა და სტრატეგიების შემუშავება-დანერგვისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უნდა გვესმოდეს, არის ის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ზრდის პროდუქტიულობას. რის შედეგადაც, ადამიანს საშუალება აქვს ფოკუსირება მოახდინოს მისთვის უფრო საინტერესო სამუშაოზე და რუტინული საქმეები რობოტებს გადააბაროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chen, L., et al. (2021). Blockchain Technology and Cross-Border Financial Transactions: Challenges and Opportunities. International Journal of Finance, 30(2), 189-207.
2. Smith, J. (2019). Data-Driven Decision-Making in Monetary Policy: A Review. Journal of Financial Economics, 45(3), 321-336.
3. Betz, B. (2023, April 4). *Japan to increase chip-gear spending by 82%, higher than any nation*. Fox Business. https://www.foxbusiness.com/markets/japan-increase-chip-gear-spending-82-higher-than-any-nation
4. Gates, B. (2023, March 21). *The Age of AI has begun*. gatesnotes.com. https://www.gatesnotes.com/The-Age-of-AI-Has-Begun
5. *The New World Economy — Jeffrey D. Sachs*. (2023, January 10). Jeffrey D. Sachs. https://www.jeffsachs.org/newspaper-articles/febj7gnedfemn5b2wh46pbwarye53f
6. *What is productivity?* (2023, February 13). McKinsey & Company. https://www.mckinsey.com/featured-insights/mckinsey-explainers/what-is-productivity
7. https://www.eurasiareview.com/22102023-bullets-and-bitcoin-financing-conflict-analysis/
8. https://www.eurasiareview.com/26102023-closing-digital-skills-gap-could-spur-global-economic-growth-by-11-5-trillion
9. https://www.eurasiareview.com/17062023-ai-job-loss-and-productivity-growth-analysis/

Economic Governance in a Digital World

Berdia Gatenadze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

This research paper explores the evolving landscape of economic governance in the context of the digital age. It delves into the challenges and opportunities presented by the increasing integration of digital technologies into economic systems. The paper examines how governments, businesses, and individuals are adapting to this new era of economic governance, and highlights key areas of concern and potential avenues for improvement.

Keywords: *Digital World; Economic Governance; Knowledge-based economy.*

საქართველოს რეგიონებში პროდუქციის გამოშვების, შრომის ანაზღაურებისა და შრომის მწარმოებლურობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი

სიმონ გელაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით შემდეგი ეკონომიკური მაჩვენებლები: პროდუქციის გამოშვება, შრომის ანაზღაურება და შრომის მწარმოებლურობა; გამოვლენილია მათი ცვლილების გრძელვადიანი, 2010-2022 წლების ტენდენციები და ჩატარებულია მათი სტატისტიკური ანალიზი. ამასთან, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებულია შესაბამისი მაჩვენებლები, მოცემულია მათი ურთიერთშედარება და რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სხვადასხვა მარტივი და რთული სტატისტიკური მეთოდი, კერძოდ: დაჯგუფების, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების, დროითი მწკრივების, ვარიაციული ანალიზის და სხვ.

ჩატარებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მიღებული მაჩვენებლები ძლიერ განსხვავებულია რეგიონების, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის, დასაქმებულთა საშუალოთვიური ანაზღაურების სიდიდისა და შრომის მწარმოებლურობის დონის მიხედვით. ასევე, განხორციელდა აღნიშნული მაჩვენებლების ურთიერთშედარება, რის შედეგადაც გამოვლინდა განსხვავებული ტენდენციები და გარკვეული დისპროპორციები საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: *ადმინისტრაციული რეგიონი, პროდუქციის გამოშვება, შრომის ანაზღაურება, შრომის მწარმოებლურობა, ვარიაციის დიაპაზონი.*

ქვეყნის ადმინისტრაციული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის შეფასება შეუძლებელია მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმის გაანგარიშების გარეშე. ამ მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონების ეკონომიკური აქტიურობის მახასიათებელი ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშებას, როგორიცაა: პროდუქციის გამოშვების მოცულობა, შრომის ანაზღაურების სიდიდე და შრომის მწარმოებლურობის დონე. ეს, უპირველეს ყოვლისა, საშუალებას იძლევა დადგინდეს რეგიონების ეკონომიკური უთანაბრობის ხარისხი და სხვადასხვა სახის დისპროპორცია, რაც კარგი საფუძველი იქნება ცალკეულ რეგიონებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამების განსახორციელებლად.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით დადასტურდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების ეკონომიკური განვითარების მეტ-ნაკლებად სტაბილური ტენდენციები დაირღვა 2020-2021 წლებში, რაც COVID-19 პანდემიამ განაპირობა. მნიშვნელოვნად შეიცვალა ქვეყნის განვითარების მაკროეკონომიკური პარამეტრები, დამძიმდა მოსახლეობის სოციალური ფონი და ცხოვრების წესი (Gelashvili, 2020).

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა მრავალი სტატისტიკური მეთოდი და მიღებული მონაცემების საფუძველზე გაანგარიშებული იქნა სხვადასხვა შეფარდებითი, საშუალო და ვარიაციის კონკრეტული მაჩვენებლები. მათი ურთიერთშედარებით ნათლად გამოიკვეთა ის რეგიონები, სადაც მაღალი და დაბალია გამოშვებული პროდუქციის მოცულობის, შრომის ანაზღაურებისა და შრომის მწარმოებლურობის დონე. აღნიშნული მაჩვენებლები საშუალებას იძლევა დადგინდეს საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების არათანაბარი ეკონომიკური აქტიურობა, რაც უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ თანმდევი სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე.

კვლევის ძირითადი შედეგები

რეგიონის ეკონომიკური აქტიურობისა და განვითარების დონის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია გამოშვებული პროდუქციის მოცულობა. როგორც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, მთლიანად საანალიზო პერიოდში, ანუ 2010-2022 წლებში, როგორც ქვეყანაში, ისე მის რეგიონებში პროდუქციის გამოშვების მოცულობას აბსოლუტურ სიდიდეებში ნათლად გამოხატული ზრდადი ტენდენცია ახასიათებს. მაგრამ ეს პროგრესული ტენდენცია როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მის ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა: აჭარა, ქ. თბილისი და სამცხე-ჯავახეთი, დაირღვა მხოლოდ 2020 წელს, რაც ე. წ. კოვიდ-19 პანდემიამ გამოიწვია. 2021 წლიდან კი ყველა რეგიონში კვლავ გაგრძელდა ზრდის ტენდენცია და 2022 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა მნიშვნელოვნად გადააჭარა კორონაპანდემიის წინა, 2019 წლის სიდიდეს. რა თქმა უნდა, გარკვეულ ინტერესს იწვევს პოსტპანდემიური და პრეპანდემიური წლების მაჩვენებელთა ურთიერთშედარება (Mindorashvili et al, 2021). როგორც გამოვლინდა, პოსტპანდემიურ, 2022 წელს, პრეპანდემიურ, 2019 წელთან შედარებით, პროდუქციის გამოშვების მოცულობა განსაკუთრებით გაიზარდა მცხეთა-მთიანეთში, იმერეთსა და შიდა ქართლში (6); ზრდის ტემპმა შეადგინა, შესაბამისად, 187,0, 180,7 და 163,0 პროცენტი. ამავე წლებში პროდუქციის გამოშვების მოცულობა შემცირდა მხოლოდ ერთ რეგიონში - სამცხე-ჯავახეთში - 9,6 %-ით.

მთელ საანალიზო პერიოდში პროდუქციის გამოშვების მოცულობა ყველაზე მეტად გაიზარდა შემდეგ რეგიონებში: მცხეთა-მთიანეთში (9,5-ჯერ), აჭარაში (8,2-ჯერ), კახეთში (6,6-ჯერ) და იმერეთში (6,4-ჯერ). ამავე პერიოდში ყველაზე ნაკლები ზრდა დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (3,6-ჯერ), სამეგრელო-ზემო სვანეთში (3,8-ჯერ) და ქვემო ქართლში (3,9-ჯერ).

რეგიონების ეკონომიკური განვითარების შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მათი პოზიციონირება პროდუქციის გამოშვების წილის მიხედვით. ამისათვის მოვიტანოთ შემდეგი გაანგარიშებითი ცხრილი:

ცხრილი 1.

ადმინისტრაციული რეგიონების წილი
პროდუქციის გამოშვების მიხედვით, პროცენტი

	2010	2012	2014	2015	2017	2018	2019	2020	2021	2022
საქართველო, სულ	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**	**100**
ქ. თბილისი	**65,3**	**67,7**	**64,6**	**65,5**	**63,9**	**64,2**	**62,7**	**61,6**	**60,6**	**63,5**
აჭარის ა. რ.	**5,4**	**6,7**	**7,8**	**8,1**	**8,3**	**8,5**	**9,3**	**8,3**	**9,1**	**8,5**
გურია	**0,7**	**0,5**	**0,6**	**0,7**	**0,9**	**0,8**	**0,8**	**0,9**	**0,9**	**0,7**
იმერეთი	**5,7**	**5,1**	**5,2**	**5,0**	**5,9**	**6,1**	**5,7**	**6,0**	**7,3**	**7,0**
კახეთი	**1,7**	**1,7**	**2,8**	**2,1**	**2,4**	**2,3**	**2,7**	**2,6**	**2,6**	**2,2**
მცხეთა-მთიანეთი	**1,5**	**1,6**	**2,1**	**2,0**	**2,0**	**1,9**	**2,2**	**2,7**	**2,7**	**2,8**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**0,2**	**0,1**	**0,1**	**0,1**	**0,2**	**0,2**	**0,2**	**0,2**	**0,2**	**0,1**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**4,4**	**3,3**	**4,2**	**4,3**	**4,5**	**3,8**	**4,4**	**4,9**	**4,0**	**3,2**
სამცხე-ჯავახეთი	**1,5**	**1,4**	**1,7**	**1,6**	**1,9**	**1,9**	**2,1**	**1,9**	**1,9**	**1,3**
ქვემო ქართლი	**7,1**	**8,7**	**8,0**	**7,8**	**7,7**	**7,7**	**7,7**	**8,4**	**8,2**	**8,1**
შიდა ქართლი	**2,6**	**2,9**	**2,6**	**2,6**	**2,2**	**2,3**	**2,1**	**2,5**	**2,4**	**2,4**

წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

ცხრილი 1-ის ანალიზის საფუძველზე, პირველ რიგში, მიზანშეწონილია გრძელვადიანი, 2010-2022 წლების ტენდენციების დადგენა და ცალკეული ადმინისტრაციული რეგიონის წილი მთლიანად ქვეყნის მიხედვით გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში. საანალიზო პერიოდში სტაბილური ტენდენციები ვლინდება გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე შიდა ქართლის რეგიონებში. მეტ-ნაკლებად უმნიშვნელო ზრდის ტენდენცია ახასიათებს აჭარას, იმერეთს, მცხეთა-მთიანეთსა და ქვემო ქართლს, ხოლო შემცირების ტენდენცია დაფიქსირდა ორ რეგიონში - თბილისსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

2022 წელს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის წილის მაჩვენებლით, მოწინავე პოზიციაზეა ქ. თბილისი (63,5%), რაც არ არის გასაკვირი, რადგან აქ თავმოყრილია ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოთა უდიდესი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ 12-წლიან პერიოდში ეს მაჩვენებელი შემცირდა (2010 წელს იყო 65,3%). შემდეგი პოზიცია უკავია აჭარის ა. რ.-ს (8,5%), რომელიც 2010 წლის მე-4 პოზიციიდან გადავიდა მეორეზე და მისი წილი 5,4%-დან 8,5%-მდე გაიზარდა). მესამე პოზიციაზეა ქვემო ქართლი (8,1%), სადაც 2010 წელთან შედარებით, ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ 1 პროცენტული პუნქტით. ყველაზე მცირე წილით ბოლო პოზიციებზე არიან: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (0,1%) და გურია (0,7%). ეს ორი რეგიონი ამავე პოზიციებზე იყო 2010 წელსაც და გრძელვადიან პერიოდში მათი წილები გამოშვებული პროდუქციის მოცულობაში თითქმის უცვლელია (Gelashvili, 2023).

რეგიონის ეკონომიკური აქტიურობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია პროდუქციის გამოშვების მოცულობა საშუალოდ ერთ დასაქმებულზე, ანუ შრომის მწარმოებლურობის დონე. ჩვენ გავიანგარიშეთ ეს მაჩვენებელი საქართველოს ყველა რეგიონის მიხედვით (შედეგები წარმოდგენილია მე-2 ცხრილში):

ცხრილი 2.

პროდუქციის გამოშვება რეგიონების მიხედვით
(საშუალოდ ერთ დასაქმებულზე, ათასი ლარი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საქართველო, სულ	**33,4**	**38,2**	**43,2**	**42,8**	**44,0**	**47,9**	**51,2**	**54,0**	**56,7**	**62,7**	**65,7**	**76,1**	**97,7**
ქ. თბილისი	**36,7**	**41,0**	**46,6**	**44,9**	**45,3**	**50,0**	**54,6**	**55,8**	**58,2**	**64,1**	**64,2**	**75,2**	**95,6**
აჭარის ა. რ.	**22,4**	**28,1**	**34,5**	**32,9**	**37,3**	**42,1**	**46,2**	**45,0**	**50,3**	**59,1**	**56,2**	**70,3**	**94,3**
გურია	**22,7**	**20,9**	**23,5**	**32,0**	**33,5**	**38,5**	**39,1**	**36,8**	**37,9**	**40,1**	**50,0**	**52,4**	**75,7**
იმერეთი	**21,5**	**27,2**	**27,1**	**26,4**	**28,7**	**32,0**	**33,2**	**43,5**	**48,3**	**46,6**	**52,3**	**72,9**	**98,8**
კახეთი	**15,4**	**20,8**	**24,0**	**32,9**	**39,0**	**32,8**	**31,3**	**38,6**	**40,7**	**51,6**	**58,3**	**60,7**	**73,3**
მცხეთა-მთიანეთი	**44,2**	**46,9**	**55,4**	**67,8**	**72,0**	**71,3**	**68,1**	**70,9**	**69,5**	**84,1**	**113,4**	**124,0**	**166,7**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**14,3**	**13,7**	**14,5**	**16,5**	**15,6**	**17,1**	**19,8**	**23,5**	**31,5**	**35,0**	**46,9**	**38,6**	**53,9**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**29,2**	**33,2**	**32,3**	**42,6**	**41,4**	**47,3**	**50,4**	**57,7**	**52,6**	**65,2**	**84,2**	**72,1**	**87,9**
სამცხე-ჯავახეთი	**26,0**	**31,6**	**38,3**	**47,4**	**48,5**	**56,4**	**56,7**	**62,9**	**63,6**	**71,3**	**75,5**	**76,6**	**88,5**
ქვემო ქართლი	**50,2**	**57,1**	**60,3**	**58.7**	**59,7**	**63,6**	**60,6**	**70,5**	**76,6**	**83,1**	**98,9**	**108,2**	**133,2**
შიდა ქართლი	**28,5**	**33,7**	**48,0**	**41,6**	**44,9**	**46,0**	**44,5**	**44,4**	**48,7**	**50,4**	**60,8**	**69,4**	**97,2**

წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

ცხრილი 2-ის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია რეგიონებში შრომის მწარმოებლურობის დონის როგორც 12-წლიანი ტენდენციის გამოვლენა, ისე საანალიზო პერიოდის ყოველი წლის მიხედვით კონკრეტული მაჩვენებლების სტატისტიკური შეფასება. 2010 წელს შრომის მწარმოებლურობის ყველაზე მაღალი დონე იყო ქვემო ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში, ხოლო ყველაზე დაბალი კი - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ასევე კახეთში. რეგიონების პოზიციონირება აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით განსხვავებული იყო 2022 წელს, როდესაც ყველაზე მაღალი აღმოჩნდა მცხეთა-მთიანეთში და ქვემო ქართლში. თუმცა, 2010 წელსაც ამ ორ რეგიონს ასევე ეკავა მოწინავე პოზიციები. 2022 წელს შრომის მწარმოებლურობის ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, აგრეთვე გურიაში. აღსანიშნავია, რომ შრომის მწარმოებლურობის ყველაზე მაღალი დონის მქონე მცხეთა-მთიანეთის რეგიონი 3,1-ჯერ აღემატება ანალოგიური მაჩვენებლით ყველაზე დაბალი დონის რეგიონს - რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო პერიოდისათვის საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ რეგიონში შრომის მწარმოებლურობის დონეს ნათლად გამოხატული ზრდის ტენდენცია აქვს, რაც მათში მცხოვრები დასაქმებული მოსახლეობის მიერ გაწეული შრომის ეფექტიანობის ზრდაზე მიუთითებს.

ნებისმიერი ქვეყნისა და მისი ადმინისტრაციული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური თანასწორობის ხარისხის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების სიდიდე (4).

ცხრილი 3.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი (ლარი)

	2010	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
საქართველო, სულ	**593**	**900**	**940**	**999**	**1 068**	**1 130**	**1 191**	**1 305**	**1589**
ქ. თბილისი	**753**	**1 078**	**1 135**	**1 209**	**1 286**	**1 350**	**1 394**	**1 539**	**1843**
აჭარის ა. რ.	**443**	**771**	**794**	**808**	**867**	**953**	**946**	**1 035**	**1340**
გურია	**286**	**515**	**493**	**547**	**601**	**618**	**679**	**700**	**952**
იმერეთი	**370**	**590**	**618**	**667**	**691**	**723**	**843**	**944**	**1145**
კახეთი	**340**	**494**	**531**	**554**	**627**	**690**	**759**	**827**	**1012**
მცხეთა-მთიანეთი	**433**	**738**	**766**	**795**	**818**	**902**	**1 045**	**1 096**	**1434**
რაჭა-ლეჩხუმიდა ქვემო სვანეთი	**309**	**435**	**454**	**484**	**495**	**557**	**606**	**635**	**847**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**416**	**597**	**630**	**682**	**758**	**793**	**879**	**899**	**1070**
სამცხე-ჯავახეთი	**349**	**524**	**578**	**611**	**641**	**712**	**815**	**849**	**1049**
ქვემო ქართლი	**509**	**707**	**711**	**754**	**791**	**851**	**998**	**1 073**	**1292**
შიდა ქართლი	**358**	**548**	**585**	**592**	**658**	**707**	**762**	**856**	**1034**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 3-ის მონაცემები საშუალებას იძლევა დადგინდეს შრომის ანაზღაურების როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური რაოდენობრივი ტენდენციები, კერძოდ: მთლიანად საანალიზო პერიოდისათვის ყველა ადმინისტრაციულ რეგიონში მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი. თუმცა, ეს ზრდა ძლიერ არათანაბარი იყო ცალკეული რეგიონების მიხედვით (გელაშვილი და ოქრუაშვილი, 2022). ასე, მაგალითად, 2022 წელს 2010 წელთან შედარებით, ხელფასის ყველაზე უფრო მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა 4 რეგიონი: გურია, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი. თითოეულ მათგანში ხელფასი 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. პირიქით, ყველაზე უფრო მცირე ზრდის ტემპი გამოვლინდა ქ. თბილისში, იმერეთში, ქვემო ქართლში და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

შრომის ანაზღაურებაში არსებული მნიშვნელოვანი რეგიონული დისპროპორციის ზომის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა დასაქმების შედარებით დაბალი დონის რეგიონებში.

კვლევის პროცესში გავიანგარიშეთ საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით შრომის მწარმოებლურობის დონისა და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მაჩვენებელთა რხევადობის არე, ანუ ვარიაციის დიაპაზონი, ასევე არითმეტიკული საშუალო მთელი საანალიზო პერიოდისათვის (შედეგები წარმოდგენილია მომდევნი ცხრილში): მათ საფუძველზე მარტივად შეიძლება ოსცილაციის კოეფიციენტების გაანგარიშება (ვარიაციის დიაპაზონი უნდა გაიყოს საშუალო სიდიდეზე), რაც საანალიზო მაჩვენებლების შედარებითი ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

ცხრილი 4.

ვარიაციის დიაპაზონი 2010-2022 წლებში

	შრომის მწარმოებლურობის დონე			**შრომის საშუალო თვიური ანაზღაურების სიდიდე**		
	ვარიაციის დიაპაზონი (R)	**საშუალო დონე (ŷ)**	**R/ŷ**	**ვარიაციის დიაპაზონი (R)**	**საშუალო დონე (ŷ)**	**R/ŷ**
საქართველო, სულ	**64,3**	**54,9**	**1,171**	**991**	**970**	**1,027**
ქ. თბილისი	**58,9**	**56,3**	**1,046**	**1090**	**1149**	**0,949**
აჭარის ა. რ.	**71,9**	**47,6**	**1,511**	**897**	**785**	**1,143**
გურია	**54,8**	**38,7**	**1,416**	**666**	**512**	**1,301**
იმერეთი	**77,3**	**43,0**	**1,798**	**775**	**654**	**1,185**
კახეთი	**57,9**	**40,0**	**1,448**	**672**	**573**	**1,173**
მცხეთა-მთიანეთი	**122,5**	**81,1**	**1,510**	**1001**	**831**	**1,205**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**40,2**	**26,2**	**1,534**	**538**	**471**	**1,142**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**58,7**	**53,.6**	**1,095**	**654**	**683**	**0,958**
სამცხე-ჯავახეთი	**62,5**	**57,2**	**1,093**	**700**	**625**	**1,120**
ქვემო ქართლი	**83,0**	**75,4**	**1,101**	**783**	**790**	**0,991**
შიდა ქართლი	**68,7**	**50,6**	**1,358**	**676**	**599**	**1,129**

წყარო: ცხრილში მოტანილი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ავტორის მიერ.

მიღებული კონკრეტული შედეგების შეფასებისა და მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე რამდენიმე საინტერესო ასპექტი გამოვლინდა, კერძოდ: 2010-2022 წლებში შრომის მწარმოებლურობის ყველაზე მაღალი საშუალო დონე აღმოჩნდა მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ხოლო ყველაზე დაბალი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და გურიის რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხივე რეგიონმა იგივე პოზიციები დაიკავა ვარიაციის დიაპაზონის მიხედვითაც. რაც შეეხება შრომის მწარმოებლურობის დონის მიხედვით გაანგარიშებულ ოსცილაციის კოეფიციენტს, ყველა რეგიონში მისი სიდიდე 1-ზე მეტია, რაც, ზოგადად, პოზიტიური მაჩვენებელია.

2010-2022 წლებში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ანაზღაურება იყო ქ. თბილისსა და მცხეთა-მთიანეთში (შესაბამისად, 1149 და 831 ლარი), ხოლო ყველაზე დაბალი - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონსა და გურიაში (შესაბამისად, 471 და 512 ლარი)(6). ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ქ. თბილისში შრომის საშუალო თვიური ანაზღაურების სიდიდე 2,4-ჯერ აღემატება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის ანალოგიურ მაჩვენებელს. ეს კი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებს შორის შრომის ანაზღაურების ძლიერ დისპროპორციაზე.

როგორც აღმოჩნდა, ადმინისტრაციული რეგიონების უმეტესობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურების მიხედვით გაანგარიშებული ოსცილაციის კოეფიციენტის სიდიდე მეტია ერთზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვარიაციის დიაპაზონი აჭარბებს საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. შინაარსობრივად ეს ნიშნავს, რომ საანალიზო პერიოდში მაჩვენებლის საბაზისო ზრდის ტემპი ძალიან მაღალია (300 % და მეტი), თუმცა, შესაძლებელია ჯაჭვური ზრდის ტემპი არ იყოს მა-

ღალი. ჩვენ შემთხვევაში მხოლოდ სამ რეგიონში (ქ. თბილისი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი) მივიღეთ ერთზე ნაკლები სიდიდის ოსცილაციის კოეფიციენტი.

საქართველოს რეგიონებში პროდუქციის გამოშვებისა და შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპების შედარებითი ანალიზის მიზნით, გავიანგარიშეთ შესაბამისი მაჩვენებლები, რომელთა ანალიზიდან ირკვევა, რომ 2022 წელს 2010 წელთან შედარებით, პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი, როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მის ყველა ადმინისტრაციულ რეგიონში, საკმარისად მაღალი იყო. ქვეყნის საერთო ზრდის ტემპზე უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვს აჭარას, მცხეთა-მთიანეთს, კახეთსა და იმერეთს. მათგან პირველ-მეორე პოზიციაზეა მცხეთა-მთიანეთი და აჭარა (შესაბამისად, 9,5-ჯერ და 8,2-ჯერ). პროდუქციის გამოშვების დაბალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა შემდეგ სამ რეგიონში: რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (3,6-ჯერ), სამეგრელო-ზემო სვანეთში (3,8-ჯერ) და ქვემო ქართლში (3,9-ჯერ) (5).

საინტერესო ტენდენცია გამოვლინდა პროდუქციის გამოშვების მოცულობისა და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების წლიური ზრდის ტემპების ურთიერთშედარებისას, კერძოდ: 2010-2022 წლებში როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მის ყველა ადმინისტრაციულ რეგიონში, შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება პროდუქციის გამოშვების ანალოგიურ მაჩვენებელს.

კვლევის პროცესში გაანგარიშებული და გაანალიზებული არაერთი მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის ზომა ჯერ კიდევ დიდია. რეგიონების ეკონომიკური უთანასწორობა მრავალი სხვადასხვა ფაქტორის გავლენის შედეგია. ეკონომიკური უთანასწორობა დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და ზრდის სიღარიბის მაჩვენებლებს (Simon Gelaschwili & Matthias Theodor Vogt, 2016). ეკონომიკის არათანაბარი განვითარება ართულებს ასევე მრავალი სხვა პრობლემის, როგორიცაა სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრას.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ დასაქმების სტატისტიკური მაჩვენებლები ძლიერ განსხვავებულია დროის, რეგიონების, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის, შრომის ანაზღაურებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

- საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში გამოშვებული პროდუქციის მთლიანი მოცულობიდან ნახევარზე მეტი მოდის თბილისზე. მომდევნო პოზიციებზე არიან აჭარა და ქვემო ქართლი. აღსანიშნავია, რომ თბილისში უფრო მეტი პროდუქცია იწარმოება, ვიდრე დანარჩენ 10 რეგიონში ერთად აღებული.
- 2022 წელს შრომის მწარმოებლურობის ყველაზე მაღალი დონე იყო მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ხოლო ყველაზე დაბალი დონე დაფიქსირდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.
- დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის ზრდა ძლიერ არათანაბარი იყო ცალკეული რეგიონების მიხედვით, კერძოდ: 2022 წელს 2010 წელთან შედარებით, ხელფასის ყველაზე უფრო მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა 4 რეგიონი: გურია, მცხეთა-მთიანეთი, აჭარა და სამცხე-ჯავახეთი. თითოეულ მათგანში ხელფასი 3-ჯერ და მეტად გაიზარდა. პირიქით, ყველაზე უფრო დაბალი ზრდის ტემპი გამოვლინდა თბილისში, იმერეთში, ქვემო ქართლში და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

- საანალიზო პერიოდში როგორც მთლიანად საქართველოში, ისე მის ყველა ადმინისტრაციულ რეგიონში, პროდუქციის გამოშვების ზრდის მაღალი ტემპი დაფიქსირდა. ასევე, გაიზარდა შრომის ანაზღაურების მაჩვენებლის მიხედვით გაანგარიშებული ზრდის ტემპიც, თუმცა, პროდუქციის გამოშვების მოცულობა უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე შრომის საშუალოთვიური ანაზღაურების სიდიდე.
- შრომის მწარმოებლურობის დონისა და დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მაჩვენებელთა მიხედვით გაანგარიშებული ოსცილაციის კოეფიციენტი ყველა რეგიონში 1-ზე მეტია, რაც, ზოგადად, პოზიტიური მაჩვენებელია.
- მაშასადამე, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის ხარისხი ჯერ კიდევ მაღალია, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს სოციალურ თანასწორობაზე. მისი ზომის შესამცირებლად აუცილებელია დიფერენცირებული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გატარება ცალკეული რეგიონების თავისებურებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელაშვილი, ს., დანელია მ. (2023). პროფესიული განათლებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური ტენდენციები თანამედროვე საქართველოში. მე-5 ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“, თბილისი.
2. გელაშვილი, ს., აბესაძე, ნ., მინდორაშვილი, მ. (2022). მრეწველობაში დასაქმების თანამედროვე ტენდენციები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალური გამოწვევები და მდგრადი განვითარება“. ბათუმი.
3. გელაშვილი, ს., ოქრუაშვილი, მ. (2022). გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XIV, № 4, გვ. 86-100.
4. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასი რეგიონების მიხედვით: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi
5. რეგიონული სტატისტიკა: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika
6. ძირითადი მაჩვენებლების შედარება საქართველოს რეგიონების მიხედვით: http://regions.geostat.ge/regions/list.php
7. Gelashvili S. (2023). MODERN STATISTICAL TRENDS OF EMPLOYMENT AND OUTPUT OF PRODUCTS IN THE REGIONS OF GEORGIA. Journal Innovative Economics and Management, Volume 10, Issue 2, August 2023, pp. 36-46. https://iem.ge/ojs/index.php/journal/article/view/133
8. Gelashvili S. (2020). On the formation of a system of coronastatistics indicators. Journal. "Globalization and Business", # 10, Tbilisi, pp. 63-69.
9. Mindorashvili M., Abesadze N., Gelashvili S. (2021). Program-methodological issues of the statistical study of the impact of COVID-19 on the standard of living of the population. Proceedings of the Paata Gugushvili Institute of Economics International Scientific Conference "Economic, Social, Ecological and Technological Challenges of the XXI Century".
10. Simon Gelaschwili, Matthias Theodor Vogt (2016). Aspects of poverty in modern Georgia. GÖRLITZ-ZGORZELEC JG. XIX, BEITRAG 1.

Comparative Analysis of Statistical Indicators of Product Output, Labor Remuneration and Labor Productivity in the Regions of Georgia

Simon Gelashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses the following economic indicators according to the administrative regions of Georgia: production output, labor remuneration, and labor productivity. The long-term trends of their change, 2010-2022, are identified and their statistical analysis is carried out. In addition, based on official statistical data, relevant indicators are calculated, and their mutual comparison and quantitative and qualitative assessments are given.

Various simple and complex statistical methods are used in the research process: grouping, relative and average values, time series, variation analysis, etc.

As a result of the conducted analysis, it was determined that the obtained indicators are very different depending on the regions, the volume of the released products, the amount of the average monthly salary of the employees and the level of labor productivity. Also, a mutual comparison of the mentioned indicators was carried out, as a result of which different trends and certain disproportions were revealed according to the administrative regions of Georgia.

Key words: *administrative region, output of products, labor remuneration, labor productivity, range of variation.*

საბანკო საქმიანობის რეგულირებისა და ზედამხედველობის დამოუკიდებლობის და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობა

გოგა გელიტაშვილი
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

გამოცდილება აჩვენებს, რომ გასული ათწლეულების თითქმის ყველა დიდი ფინანსური კრიზისის დროს საბანკო სექტორის რეგულირებაში პოლიტიკური ჩარევა მხოლოდ ამძაფრებდა სიტუაციას. პოლიტიკური ზეწოლა არა მხოლოდ ზოგადად ასუსტებდა რეგულირებას, არამედ ართულებდა მარეგულირებლებისა და ზედამხედველების მიერ ნორმატივების დაცვის უზრუნველმყოფი ზომების მიღებას მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბანკების მიმართ, რაც აფერხებდა საბანკო სექტორის ფუნქციონირებას როგორც კრიზისის დასაწყისში, ისე შემდგომ ეტაპზე, კრიზისის სიღრმის აღიარებას, ანელებდა აუცილებელ ჩარევებს და ზრდიდა ხარჯებს.

ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია მიiეiები, რის გამოც საბანკო სექტორის მარეგულირებლებისა და ზედამხედველებისთვის აუცილებელია არა მხოლოდ ხელისუფლებისგან, არამედ თვით ამ სფეროსგან დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ხარისხის უზრუნველყოფა, რათა ჯეროვნად შესრულდეს მათზე დაკისრებული მოვალეობები საბანკო სექტორის მდგრადობის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით. ასევე, დასაბუთებულია მარეგულირებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების აუცილებლობა ხელისუფლების მიერ მათთვის მინიჭებული ფართო უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *საბანკო რეგულირება, საბანკო ზედამხედველობა, დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება, ცენტრალური ბანკი.*

საბანკო რეგულირება წარმოიშვა ცენტრალური ბანკების მიერ ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად. ბევრ ქვეყანაში სწორედ ცენტრალური ბანკია პასუხისმგებელი ბანკების ზედამხედველობაზე, მაშინ როდესაც სხვებში ცალკე სტრუქტურა (უფრო ხშირად - სააგენტო) ფუნქციონირებს. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი სააგენტოების საჭიროებას ბოლო დრომდე დიდი ყურადღება არ ექცეოდა, უკანასკნელ ათწლეულში ვითარება შეიცვალა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო.

პირები, რომლებიც დაკავებული იყვნენ კრიზისით მოცულ ქვეყნებში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებით და გატარებით, ბოლოდროინდელი ფინანსური კრიზისების დროს ცდილობდნენ ჩარეულიყვნენ მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობაში, რასაც ხშირად მძიმე შედეგები მოჰყვა: პოლიტიკური ჩარევა, როგორც წესი, იწვევს ფინანსურ არასტაბილურობას ან/და ამძაფრებს მას.

ძირითადი ნაწილი. 1994 წლის ვენესუელის საბანკო კრიზისის შესახებ თავის ანგარიშში ცენტრალური ბანკის ყოფილ პრეზიდენტს მიზეზად მოჰყავს არაეფექტიანი რეგულირება, სუსტი ზედამხედველობა და პოლიტიკური ჩარევა, როგორც ფაქტორები, რომლებმაც დაასუსტეს ბანკები კრიზისის წინა პერიოდში. თავის წიგნში „კოლაფსი“ რუთ დე კრივოიმ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ „უნდა გააძლიეროს საბანკო ზედამხედველობა, უზრუნველყოს ზედამხედველი ორგანოს საკმა-

რისი დამოუკიდებლობა და პოლიტიკური მხარდაჭერა საჭირო მოცულობით მისი მოვალეობების შესასრულებლად“.[1]

1997-1998 წლებში, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, მარეგულირებელ და საზედამხედველო პროცესში პოლიტიკურმა ჩარევამ შეაფერხა კრიზისის სიმძიმის აღიარება, ზომების მიღება და საბოლოოდ უფრო მეტად გაამწვავა იგი. მაგალითად, კორეაში საკმარისი დამოუკიდებლობის არარსებობა აფერხებდა ზედამხედველობას. მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკები ექვემდებარებოდნენ ქვეყნის ცენტრალურ ბანკს და საბანკო ზედამხედველობის ბიუროს, კორეის სპეციალიზებული ბანკები და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები რეგულირდებოდნენ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ. სამინისტროს სუსტმა ზედამხედველობამ ხელი შეუწყო არასაბანკო დაწესებულებების მიერ გადაჭარბებული რისკების აღებას და კრიზისის განვითარებას. კორეაში შემდგომში განახორციელეს საზედამხედველო სისტემის რეფორმა, რათა გაეფართოებინათ ავტონომიურობა და გამოესწორებინათ ხარვეზები რეგულირებასა და ზედამხედველობაში.

ინდონეზიაში საბანკო სექტორის პრობლემები განპირობებული იყო ნორმატივების არასაკმარისი დაცვისა და ზედამხედველების სურვილის უქონლობით, მიეღოთ ზომები ბანკების პოლიტიკური კავშირების წინააღმდეგ. კრიზისის დადგომასთან ერთად, ცენტრალური ბანკის მიერ პრობლემური ბანკებისთვის ლიკვიდობის უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროცედურები გაუქმდა. ინდონეზიის „ფინანსურ სექტორში ქმედებების კომიტეტი“, რომელიც შედგებოდა ეკონომიკური მიმართულების სამინისტროების რამდენიმე ხელმძღვანელისგან და რომელსაც ხელმძღვანელობდა კოორდინაციაზე პასუხისმგებელი მინისტრი, აქტიურად ერეოდა ინდონეზიის ბანკების რესტრუქტურიზაციის სააგენტოს მუშაობაში და საეჭვოს ხდიდა სააგენტოს საქმიანობის სანდოობას.

იაპონიის ფინანსთა სამინისტროში ფინანსური ზედამხედველობის დამოუკიდებელი ფუნქციის უქონლობა ასუსტებდა ქვეყნის ფინანსურ სექტორს და ხელს უწყობდა საბანკო სექტორის პრობლემების გახანგრძლივებულ ხასიათს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა თვალშისაცემი პირდაპირი პოლიტიკური ზეწოლა სამინისტროზე მოთხოვნით, უფლება მიეცათ სუსტი ბანკებისთვის გაეგრძელებინათ ფუნქციონირება, სისტემას აკლდა გამჭვირვალობა და არსებობდა ეჭვი, რომ ხდებოდა საბანკო სექტორის ვალდებულებების მთავრობის გარანტიებით ირიბი უზრუნველყოფა. მოგვიანებით, იაპონიის მთავრობამ დააფუძნა ფინანსური მომსახურების ახალი სააგენტო საბანკო სექტორის, დაზღვევისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრების ზედამხედველობის მიზნით, რაც ნაწილობრივ ნაკარნახევი იყო ზედამხედველობის დამოუკიდებლობის გაზრდის მისწრაფებით.

პოლიტიკური ჩარევებისგან თავისუფალი რეგულირებისადმი ინტერესის გამომწვევი ფაქტორი ასევე იყო დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკების წარმატებული ბრძოლა ინფლაციასთან. 1990-იანი წლების ბოლოდან თანდათანობით გაიზარდა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც „გამოიყვანეს“ ცენტრალური ბანკები პოლიტიკური კონტროლიდან, რადგან არსებობდა დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკების მიერ მონეტარული სტაბილურობის მიღწევის (ინფლაციის რეგულირების) სულ უფრო მეტი წარმატებული მაგალითი. ცენტრალური ბანკების დამოუკიდებლობა ათავისუფლებს მათ პოლიტიკური ზეწოლისგან და გამორიცხავს ინფლაციური შედეგების მქონე გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის განხორციელებას.

დამოუკიდებლობასთან მიმართებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ჩნდება - ანგარიშვალდებულების საკითხი. დამოუკიდებელ მარეგულირებელს შეუძლია გაატაროს საკუთარი სტრატეგია პოლიტიკური უმრავლესობის სურვილის საწინააღმდეგოდ. ზოგიერთი ანალიტიკოსი დამო-

[1] De Krivoy, R., 2000. Collapse: The Venezuelan banking crisis of 1994. Group of Thirty, Washington, DC.

უკიდებელ მარეგულირებლებს უწოდებს „ხელისუფლების მეოთხე შტოს“, რაც გულისხმობს, რომ ისინი არ ექვემდებარებიან ტრადიციულ სამ შტოს, რომლებიც აბალანსებენ განვითარებულ დემოკრატიულ სისტემებს. შესაძლოა ეს ფაქტი გაზვიადებული ჩანდეს, მაგრამ ის მიუთითებს ანგარიშვალდებულების შესაბამისი ფორმების არსებობის აუცილებლობაზე დამოუკიდებლობის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების დაბალანსების მიზნით.

მარეგულირებლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ისე რეგულირებადი დარგისგან დამოუკიდებლობის მიღწევა. თუმცა, ფინანსური სტაბილურობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, პოლიტიკური დამოუკიდებლობა რჩება უმთავრეს მიზნად, ვინაიდან ბევრ ეროვნულ ხელისუფლებას მუდმივი ინტერესი გააჩნია საბანკო სისტემის, და, შესაბამისად, საბანკო რეგულირებისა და ზედამხედველობის მიმართ, და იმის გამოც, რომ ჯერ კიდევ საკმაო ოდენობით არსებობს ფინანსური რეგულირებისა და ზედამხედველობის მექანიზმებში პოლიტიკური ჩარევის მცდელობები (Gelitashvili, Burdiashvili, & Chelidze, 2023).

კანონების მიღებით, პოლიტიკოსები ადგენენ და განსაზღვრავენ რეგულირებისა და ზედამხედველობის შესაბამის მიზნებს. მაგრამ კანონების ძალაში შესვლის შემდეგ, მარეგულირებლებს უნდა ჰქონდეთ უფლება გადაწყვიტონ, როგორ მიაღწიონ ამ მიზნებს და პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში.

შეკავებისა და დაბალანსების სისტემა, ზოგადად, საბანკო სექტორის ზედამხედველებს საშუალებას აძლევს უკეთესად იყვნენ დაცული ჩარევებისგან და ხელს უწყობს უფრო ეფექტიან და ყოვლისმომცველ გონივრულ რეგულირებას. რაც უფრო სუსტი და/ან ნაკლებია შეკავებისა და დაბალანსების მექანიზმები, მით უფრო დიდია ხელისუფლების ცდუნება, ჩაერიოს ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში, მაგალითად პრობლემური ბანკების მიმართ. ეს მათ საშუალებას მისცემს გააგრძელონ ფუნქციონირება, რაც, სავარაუდოდ, მომავალში უფრო მეტ დანახარჯებს გამოიწვევს საზოგადოებისთვის. ცუდად განვითარებული შეკავებისა და დაბალანსების სისტემა ასევე ხელს უწყობს ძირითადი პრუდენციული წესების შესუსტებას.

შეკავებისა და დაბალანსების სისტემას შეუძლია დაეხმაროს სუსტი რეგულირების განმტკიცებას და საზედამხედველო ორგანოების დროული და სწორი ქმედებების მეშვეობით თავიდან აიცილოს კრიზისი ადრეულ ეტაპზე. მართალია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების აუცილებლობას შეუძლია შეანელოს პირველი რეაგირება კრიზისზე, მაგრამ ეს ნაკლებად სავარაუდოა, როდესაც ყველა დაინტერესებული მხარეა წარმოდგენილი და მათი უმრავლესობა მზადაა დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები და შეზღუდოს დაკავშირებული ხარჯები.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოების დამოუკიდებლობა ყველაზე პროგრესული გზაა, მას დრო სჭირდება. ქვეყნები, რომელთა პოლიტიკური სისტემები განიცდიან შეკავებისა და დაბალანსების მექანიზმების ნაკლებობას, მარეგულირებელი დამოუკიდებლობის გზაზე უნდა ამოდიოდნენ ოპტიმალური საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდების დაცვის აუცილებლობიდან. თუ ქვეყანაში არსებული საზედამხედველო მეთოდები და მექანიზმები ითვლება სუსტად, ხოლო ნორმატივები დიდად განსხვავდება ოპტიმალური საერთაშორისო სტანდარტებისგან, როგორც ეს არის ჩამოყალიბებული, მაგალითად, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ძირითად პრინციპებში“[1], ადგილობრივმა და, რაც მთავარია, უცხოელმა ინვესტორებმა შეიძლება თავი აარიდონ ინვესტირებას ქვეყნის ეკონომიკაში, რაც მას საშუალებას წაართმევს ისარგებლოს ინვესტიციების უპირატესობებით.

[1] Basel Committee on Banking Supervision, 2012. Core Principles for Effective Banking Supervision.

დამოუკიდებელი მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოების ანგარიშვალდებულება წარმოადგენს ფაქტიური დამოუკიდებლობის გარანტიას. არ არსებობს აბსოლუტური დამოუკიდებლობა, ვინაიდან ყველაზე თანასწორუფლებიანმა და დამოუკიდებელმა პარტნიორებმაც კი აუცილებლად უნდა ითანამშრომლონ და შეათანხმონ თავიანთი ქმედებები. გარდა ამისა, პოლიტიკური ლეგიტიმაცია გულისხმობს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების ანგარიშვალდებულების მოთხოვნას იმ უფლებამოსილებების გამოყენების პროცესში, რომელიც მათ დელეგირებული აქვთ ხელისუფლების მიერ. ბევრი ანალიტიკოსი ამ საკითხში ხედავს დილემას: თუ მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატის ნაწილი, ის არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი; და თუ დამოუკიდებელია, რა ფორმით და ვის წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული?

ეს მოსაზრება ეფუძნება საკითხის არასწორ გაგებას. მართებულად განსაზღვრული დამოუკიდებლობა გულისხმობს მარეგულირებელ ორგანოზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების შესახებ ანგარიშვალდებულების მექანიზმებს მის მიმდინარე საქმიანობაში ჩაურევლობის პირობებში. არ არსებობს კომპრომისი დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის; ეს ორი კონცეფცია ავსებს ერთმანეთს. ანგარიშვალდებულება აუცილებელია ფაქტიური დამოუკიდებლობისთვის: რაც უფრო მაღალია დამოუკიდებლობის ხარისხი, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ანგარიშვალდებულების მექანიზმები (Gelitashvili, Chelidze, & Mosiashvili, 2023).

დამოუკიდებელი მარეგულირებლების ფუნქციონირების უფრო დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნების მაგალითი აჩვენებს, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებლები, ჩვეულებრივ, არ იქცევიან, როგორც უპასუხისმგებლო „ხელისუფლების მეოთხე შტო“. მარეგულირებლების ქცევა, ძირითადად, წარმოადგენს ერთგვარ დიალოგს: ისინი ცდილობენ გაარკვიონ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ზრახვები და მოსაზრებები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტოები კვლავ ექვემდებარებიან გარკვეული სახის კონტროლს ერთგვარი თვითცენზურის სახით.

ვთვლით, რომ ანგარიშვალდებულება უკეთ არის უზრუნველყოფილი, როდესაც არაფორმალურ კონტროლს ავსებს ოფიციალური მექანიზმები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჭეშმარიტი ანგარიშვალდებულების 7 კრიტერიუმი. მათგან ყველაზე მთავარია, რომ დამოუკიდებელ სააგენტოს გააჩნდეს მკაფიო სამართლებრივი საფუძველი. მისი უფლებამოსილებები და ფუნქციები სასურველია განისაზღვროს შესაბამისი კანონით, რათა შემცირდეს დავების ალბათობა მარეგულირებელ ორგანოსა და სამთავრობო უწყებებს/სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის.

ასევე ნათლად და საჯაროდ უნდა იყოს გაცხადებული მისი ამოცანები, როგორიცაა ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და ცალკეული ბანკების მდგრადობის უზრუნველყოფა/შენარჩუნება, მეანაბრეებისა და საბანკო მომსახურების მომხმარებლების დაცვა. უფლებამოსილებების ზუსტი განსაზღვრა აადვილებს მარეგულირებლის მიერ მათი განხორციელების ხარისხის შეფასებას. ამოცანების გასაჯაროვება იცავს მას ბრალდებებისგან იმ ინსტიტუტების მხრიდან, რომელთა ზედამხედველობასაც ის ახორციელებს საკუთარი მანდატის ფარგლებში.

მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული: ა) მარეგულირებლის ურთიერთდამოკიდებულება აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან, ის საკითხები, რომლებიც უნდა აცნობოს, კონსულტაცია გაიაროს ან მოითხოვოს ნებართვა ფინანსთა სამინისტროსგან ან სხვა უწყებისგან, და რა ფორმით უნდა განხორციელდეს აღნიშნული; ბ) საკანონმდებლო ორგანოს მიმართ მარეგულირებლის ანგარიშვალდებულების პროცედურები მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების გამოყენების შესახებ.

მიუხედავად აუცილებელი გარანტიებისა, რომლებიც გააჩნიათ დამოუკიდებელი მარეგულირებელი და ზედამხედველი უწყებების თანამდებობის პირებს უსამართლო გათავისუფლების წინააღმდეგ, ანგარიშვალდებულება მოითხოვს, რომ კანონით განისაზღვროს, საბოლოოდ ვინ არის/არიან პასუხისმგებელი მაღალი თანამდებობის პირების თანამდებობაზე დანიშვნასა და გადაყენებაზე, და შესაბამისი პროცედურები.

მარეგულირებელი ორგანო პასუხისმგებელი უნდა იყოს საკუთარი ბიუჯეტის მართვაზე.

მარეგულირებლის მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, იმდენად, რამდენადაც ეს დასაშვებია მარეგულირებლისა და რეგულირებადი ინსტიტუტების საქმიანი საიდუმლოების დასაცავად.

დაბოლოს, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის შეზღუდვა ან გაუქმება (მაგალითად, ფინანსური კრიზისის დროს), უნდა განისაზღვროს სათანადო მექანიზმები და გარემოებები, რომელთა შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამოქმედება.

დასკვნები და რეკომენდაციები. გასული ათწლეულების განმავლობაში ქვეყნიური, რეგიონული თუ გლობალური ფინანსური კრიზისები არაერთხელ გაღრმავდა საბანკო საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობაში პოლიტიკური ჩარევის შედეგად. ამჟამად, სულ უფრო მეტი ექსპერტი და ანალიტიკოსი აღიარებს, რომ მარეგულირებლები, რომლებსაც ევალებათ საბანკო სისტემის მდგრადობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, თავიანთ მოვალეობებს უფრო ეფექტიანად ასრულებენ, როდესაც დამოუკიდებელი არიან პოლიტიკური გავლენისგან. დამოუკიდებელი მარეგულირებლები ზრდიან რეგულირების ხარისხს და ხელს უწყობენ ბაზრის შეუფერხებელ და მდგრად ფუნქციონირებას.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი მარეგულირებლები პრაქტიკაში წარმატებით ფუნქციონირებენ, მათი ჩამოყალიბება და, განსაკუთრებით, დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების შენარჩუნება სირთულეებთან არის დაკავშირებული, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. პოლიტიკური კონტროლისგან დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო შესაძლოა მის ნაცვლად დაექვემდებაროს ზეწოლას იმ დარგის მხრიდან, რომელსაც არეგულირებს. პოლიტიკური კონტროლისგან თავისუფლებამ, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ხარვეზები ანგარიშვალდებულების კუთხით.

აუცილებელია იმის დადგენა, არის თუ არა საკმარისად განვითარებული კონკრეტულ ქვეყანაში პოლიტიკური ინსტიტუტები, განსაკუთრებით შეკავებისა და დაბალანსების სისტემები, რაც უზრუნველყოფს მარეგულირებელ და საზედამხედველო დამოუკიდებლობას.

აგრეთვე, ვთვლით, რომ შემოთავაზებული მექანიზმები უნდა შემოწმდეს ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ძირითად კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სათანადო წონასწორობა ფაქტიურ დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Gelitashvili, G., Burdiashvili, R., & Chelidze, M. (2023). Discussion Issues on the Essence of Banking Regulation and Supervision. *International Reviewed and Refereed Scientific Journal «Economics». Volume 105, Issue 3-4*, 122-133.
2. Gelitashvili, G., Chelidze, M., & Mosiashvili, V. (2023). Banking Regulation and Supervision from the 2007-2009 Global Financial Crisis to the Coronavirus Pandemic: Lessons and Consequences. *Refereed and Reviewed International Scientific Journal «Economics and Finance», №3*, 98-112.
3. Basel Committee on Banking Supervision. (2012). Core Principles for Effective Banking Supervision. Basel.

4. Čihák, M., Demirgüç-Kunt, A., Mohseni-Cheraghlou, A., & Martinez Peria, M.S. (2012). Bank regulation and supervision around the world: a crisis update, Policy Research Working Papers (No. WPS 6286). Washington, DC.
5. Dagher, J. (2018). Regulatory cycles: revisiting the political economy of financial crises, IMF Working Paper (No. 18/8). Washington, DC.
6. De Krivoy, R. (2000). Collapse: The Venezuelan banking crisis of 1994. Group of Thirty, Washington, DC.
7. Demirguc-Kunt, A., Detragiache, E., & Merrouche, O. (2013). Bank capital: lessons from the financial crisis. *J. Money, Credit Bank*, 45, 1147–1164.
8. Kara, G.I. (2016). Bank capital regulations around the World: what explains the differences? *Financ. Econ. Discuss.* Ser. 2016, 1–40.
9. Laeven, L., & Valencia, F. (2018). Systemic banking crises revisited (No. WP/18/206), IMF Working Paper. Washington, DC.

The Importance of Independence and Accountability of Banking Regulation and Supervision

Goga Gelitashvili
PhD Student
Georgian Technical University
Faculty of Business Technologies

SUMMARY

Experience shows that during almost all major financial crises of the past decades, political interference in the regulation of the banking sector only exacerbated the situation. Political pressure not only weakened regulation in general, but also made it difficult for regulators and supervisors to take appropriate action against troubled banks. This impeded the functioning of the banking sector both in the early and late stages of the crisis, and also delayed awareness of the depth of the crisis, the necessary interventions, and entailed increased costs.

The article discusses and analyzes the reasons why regulators and supervisors of the banking sector need to ensure a significant degree of independence not only from the government, but also from the industry itself, in order to properly fulfill their responsibilities in order to achieve and maintain the stability of the banking sector. Also, there is substantiated the necessity of accountability of the regulatory bodies in the process of implementation of the broad powers granted to them by the government.

Keywords: *banking regulation, banking supervision, independence, accountability, central bank.*

რელიგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთზეგავლენის საკითხისთვის

ირინა გოგორიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომის მიზანია რელიგიასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კავშირურთიერთობათა გამოვლენა და მათი გაანალიზება განვითარების ტენდენციათა დახასიათებით. რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე პოლიტიკაში და მათ შორის ურთიერთობა მუდმივად იცვლება. სახელმწიფოს მმართველობა არ შეიძლება იყოს გამიჯნული მისი ხალხის რელიგიური შეხედულებებისგან, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის ლიდერებსა და კანონმდებლებზე. რელიგიური და ეკონომიკური პოლიტიკის კანონები ასახავს ქვეყნის საზოგადოების განვითარების ტენდენციებს. სტატიაში გამოკვეთილია გზები, რომლითაც რელიგიური რწმენა, პრაქტიკა და თემები ყალიბდება ერის პოლიტიკური მოლოდინებისა და საჭიროებების მიხედვით. ნაშრომში განხილულია რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობა და მიდგომა ქრისტიანული რელიგიის აღქმის მიმართ. იმის გამო, რომ რელიგია და პოლიტიკა მუდმივად იცვლება და ადაპტირდება, ამ ორ ერთეულს შორის ურთიერთობის ფუძემდებლური იდეოლოგიები მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, ისინი პერიოდულად ხელახლა ინტერპრეტირებული და მოდიფიცირებულია რაც გლობალურ მსოფლიოში მიმდინარე დესეკულარიზაციის პროცესის საფუძველზე ხორციელდება.

საკვანძო სიტყვები: *რელიგია, ეკონომიკური პოლიტიკა, ქრისტიანობა, სეკულარიზაცია და დესეკულარიზაცია*

ცნობილი მეცნიერის რობერტ სვირენგას (Robert Svearenga) თქმით, „ადამიანები მოქმედებენ პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად მათი ძირითადი რწმენის შესაბამისად. მათი ღირებულებები, ზნე-ჩვეულებები და მოქმედებები, იქნება ეს ხმის მიცემის კაბინაში, სამსახურში თუ სახლში, არის ღმერთის ან ღმერთების პროდუქტი, რომლებსაც ისინი თვლიან თავიანთი სამყაროს და არსების ცენტრად“ (Wald 2018: 39). მეცნიერი წარმოგვიდგენს ყოვლისმომცველ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს რელიგია ცხოვრების ყველა ასპექტზე. რელიგიას აქვს უნარი გავლენა მოახდინოს ადამიანების ყოველდღიურ გადაწყვეტილებებზე, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ ისინი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად.

ამ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობაზე. რელიგიაც და პოლიტიკაც როგორც „ცოცხალი არსებები“, ფუნქციონირებენ როგორც დამოუკიდებელი ერთეულები, რომლებიც ადაპტირდებიან და იცვლებიან თავიანთ გარემოსთან, ისევე როგორც ადამიანები. ისინი ერთად განსაცვიფრებელ გავლენას ახდენენ ინდივიდებზე, თემებზე, ქვეყნებზე და მსოფლიოზეც კი. რელიგია და პოლიტიკა ფუნქციონირებს როგორც სიმბიოზური ურთიერთობა, რომელსაც შეუძლია ერთმანეთისთვის როგორც სარგებლის ასევე ზიანის მიყენება ან ურთიერთშევსება.

ნაშრომის მიზანია რელიგიასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კავშირურთიერთობათა გამოვლენა და მათი გაანალიზება განვითარების ტენდენციათა დახასიათებით.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს ლოგიკური ანალიზისა და სოციალური სტატისტიკის მეთოდების გამოყენება, ცნობილი ამერიკელი და ევროპელი მეცნიერების ნაშრომები და ესსეები.

პოლიტიკა და რელიგია ყოველთვის ურთიერთდაკავშირებული იყო. თუმცა, ურთიერთობის ბუნება იცვლებოდა. მე-17 საუკუნემდე რელიგია იყო პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურის, ისევე როგორც ომისა და მშვიდობის საკითხების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. 1648 წელს ვესტფალიის მშვიდობისა და ცენტრალიზებული განვითარების პერიოდის დადგომის შემდეგ სახელმწიფოებში, ჯერ დასავლეთ ევროპაში, შემდეგ კი ევროპული კოლონიზაციის შედეგად მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც, მნიშვნელოვნად შემცირდა რელიგიის პოლიტიკური მნიშვნელობა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

რელიგიის როლის ასეთმა შეზღუდვამ არ გამოიწვია ის ფაქტი, რომ პოლიტიკამ და რელიგიამ შეწყვიტეს კონტაქტი. ისინი ერთმანეთს ემთხვეოდა, მაგრამ კავშირი ცალმხრივად ითვლებოდა - ეს იყო პოლიტიკა, ეკონომიკასთან და სხვა მენტალურ სფეროებთან ერთად, რამელიც უკვე გავლენას ახდენდა რელიგიაზე. სახელმწიფოს მიერ გარკვეული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად რელიგია მნიშვნელოვან, ინსტრუმენტის როლს თამაშობდა. იქ, სადაც რელიგია ინარჩუნებდა მნიშვნელობას პოლიტიკისთვის, იგი არსებითად საერო პოლიტიკური რიტუალების რიტორიკულ „შემკულობაზე“ გამოიყენებოდა და არ გულისხმობდა რაიმე რეალობას ამ „შემკულობების“ მიღმა.

შეუძლია თუ არა რელიგიას გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე?

პოლიტიკის ცალმხრივი გავლენა რელიგიაზე და, ზოგადად, რელიგიის უუნარობა საზოგადოების „სერიოზულ“ სფეროებზე გავლენის მოხდენისა აშკარად და საკმაოდ გამართლებული ჩანდა. ცნობილია მაქს ვებერის თეზისი კაპიტალიზმის სულისკვეთებაზე პროტესტანტული ეთიკის გავლენის შესახებ. ვებერმა აღწერა, თუ როგორ გაუხსნა რეფორმაციამ გზა რაციონალური ინდუსტრიული კაპიტალისტური სისტემის წარმოქმნას, რომელიც გახდა თანამედროვე სამყაროს განმსაზღვრელი ძალა. თუმცა, მისი ნამუშევარი მთავრდება სამწუხარო მოსაზრებებით, რომ ეს კაპიტალისტური სისტემა ახლა ეყრდნობა „მექანიკურ საფუძველს“ და აღარ სჭირდება იდეალისტური საყრდენი - არც პროტესტანტიზმისგან თავისი ამქვეყნიური ასკეტიზმით და არც სხვა რელიგიური ტრადიციისგან. „თანამედროვე ეკონომიკური სტრუქტურის“ „გრანდიოზულმა კოსმოსმა“, რომელიც დაკავშირებულია მექანიკური მანქანების წარმოების ტექნიკურ და ეკონომიკურ წინაპირობებთან“ გვერდი აუარა თავის ქრისტიანულ საყრდენებს და გადაიქცა „რკინის გალიად“, რომელიც „ჩვენს დროში ყოველ ადამიანს დაუძლეველ იძულებას უქმნის. ფორმირებულ ცხოვრების სტილს ექვემდებარებიან არა მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მასთან თავიანთი საქმიანობით, არამედ ზოგადად ყველა, ვინც ჩაეფლო ამ მექანიზმში დაბადების მომენტიდან“ Reinhard Bendix (1962).

მაქს ვებერიულმა მოსაზრებებმა მტკიცედ დაიპყრო მეცნიერთა ფანტაზია და გახდა სეკულარიზაციის თეორიის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მეფობდა რელიგიის სოციოლოგიაში თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში. ეს საუკეთესოდ შეაჯამა რელიგიის ამერიკელმა სოციოლოგმა პიტერ ბერგერმა, რომელმაც განაცხადა, რომ ქრისტიანობა იყო „საკუთარი მესაფლავე“: მან აღზარდა ურჩხული, რომელზეც მას გავლენა აღარ შეეძლო და რომელიც ნელ-ნელა ანადგურებდა როგორც თავად ქრისტიანობის, ისე ნებისმიერი ადამიანის სოციალურ ფესვებს. რელიგია არის დამოკიდებული ცვლადი, „ზედნაშენი“, მარქსისტული ტერმინოლოგიის გამოყენებით, რომელიც მუდმივად განიცდის გავლენას - ან უკეთესად, ზეწოლას „ბაზისიდან“, ანუ ეკონომიკისგან, მაგრამ ასევე იგი დამოკიდებულია პოლიტიკაზე, რომელიც არეგულირებს რელიგიას არსებული კონიუნქტურის მიხედვით (Berger P.L. and Luckmann T. 1969). ეს დოგმა მნიშვნელოვნად შეირყა 1970-

იანი წლების ბოლოს, როდესაც მოხდა რამდენიმე მოვლენა, რამაც მეცნიერები აიძულა გადაესინჯათ პოლიტიკასა და რელიგიას შორის ურთიერთობის საკითხი - ამჯერად საპირისპირო გავლენის კონტექსტში, ანუ როგორ მოქმედებს რელიგია პოლიტიკაზე.

პირველი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1979 წლის ირანის რევოლუცია, რის შედეგადაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომლებმაც განსაზღვრეს კურსი ისლამური რესპუბლიკის შექმნისთვის. ირანში მომხდარმა მოვლენებმა დაამტკიცა: პოლიტიკური მსოფმხედველობა სულიერებასთან კავშირის თვალსაზრისით არის სერიოზული ფაქტორი, რომელიც არ შეიძლება ადვილად ჩამოიწეროს იმ ნიშნებით, რომ დასავლური სტილის მოდერნიზაცია შეუქცევადია და ნებისმიერი მოდერნიზებული საზოგადოება დროთა განმავლობაში დაემსგავსება ევროპულ პროტოტიპებს - მათ შორის სეკულარიზაციასთან მიმართებაში, ანუ შემცირდება რელიგიის სოციალური მნიშვნელობა. ასეთი განწყობები შეაჯამა ფრანგმა ფილოსოფოსმა მიშელ ფუკომ, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ირანულ მოვლენებს: „ირანის რეჟიმის აგონია, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება, არის პროცესის ბოლო ეტაპი, რომელიც დაიწყო თითქმის სამოცი წლის წინ: ისლამური ქვეყნების მოდერნიზაციის ევროპული მოდელით“. მან ასევე დასძინა: ისლამი, რომელიც „არის არა მხოლოდ რელიგია, არამედ ცხოვრების წესი, ისტორიისა და ცივილიზაციის ნაწილი, რისკავს იქცეს გიგანტურ ფეთქებად კასრად დიდი რაოდენობის ხალხისთვის... ნებისმიერ მუსულმანურ სახელმწიფოში შეიძლება ველოდოთ რევოლუციას, რომელიც დაფუძნებულია საუკუნოვან ტრადიციებზე.“ Johanna Oksala, (2012).

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც შეცვალა წარმოდგენა რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობის შესახებ, მოხდა მსოფლიოს სრულიად განსხვავებულ ნაწილში - აშშ-ში. საუბარია „ახალი ქრისტიანული მემარჯვენეების“ ფორმირებასა და აყვავებაზე, რომელიც 1970-იანი წლების მეორე ნახევარში გავლენიან სოციალურ და პოლიტიკურ ძალად იქცა. ახალი ქრისტიანული მემარჯვენეები გაჩნდნენ ამერიკის „კულტურული ომების“ კონტექსტში, როდესაც სოციალური პროგრესისტები და კონსერვატორები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ტრადიციულ ოჯახის, აბორტის, რელიგიური განათლების, მორალის ხელოვნებასა და მედიაში და ა.შ. სფეროში. ამერიკელი საზოგადოების მორალური დაცემით შეშფოთებული, კონსერვატიული ქრისტიანები (ძირითადად პროტესტანტები) პოლიტიკაში წავიდნენ აშშ-ს „სულიერი და მორალური ფასეულობების“ აღორძინების ლოზუნგით, რომელიც, მათი აზრით, ეყრდნობოდა იუდეველ-ქრისტიანული კულტურის საფუძველს. ამ მოძრაობამ გააერთიანა მილიონობით ამერიკელი თავისი დროშის ქვეშ, ახალი ქრისტიანული მემარჯვენე სწრაფად გახდა კარგად ორგანიზებული საარჩევნო ძალა, რომელმაც რონალდ რეიგანი და რესპუბლიკური პარტია 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებამდე მიიყვანა.

ეს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა რელიგიური ტრადიციების ბოლო აგონია, რომლებიც ცდილობდნენ მსოფლიოსთვის გაეხსენებინათ თავიანთი ყოფილი ძალაუფლება, არამედ მტკიცებულება ახალი ეპოქის დაწყების შესახებ, რომელშიც რელიგიები კვლავ გადაიქცევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ძალად. საბჭოთა კავშირის დაშლა, „რელიგიური აღორძინება“ პოსტსაბჭოთა სივრცეში - და მთლიანად აღმოსავლეთ ევროპაში - გახდა სეკულარული იდეოლოგიების ღრმა კრიზისისა და ათეისტური სისტემის იდეის დაშლის სიმბოლო, რელიგიის ადამიანური ცხოვრებიდან გადატანის საფუძველზე.

სამოცდაათიანი წლების ბოლოს გაჩენილი ტენდენციები მას შემდეგ არათუ არ გაქრა, არამედ პირიქით, გაღრმავდა. პოლიტიკური ისლამი, ცალკეული „მუსლიმური სახელმწიფოების“ ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორიდან, გადაიქცა ტრანსნაციონალურ მოძრაობად, რომელიც დღეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ მთელ ახლო აღმოსავლეთზე, არამედ იმ რეგიონებზეც კი, რომლე-

ბისთვისაც ისლამი არასოდეს ყოფილა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, მაგალითად, თანამედროვე დასავლეთ ევროპა. ამერიკელი ქრისტიანული მემარჯვენე არა მხოლოდ რჩება უკიდურესად გავლენიან ძალად, რომელიც ასოცირდება რესპუბლიკურ პარტიასთან და ხშირად მოიხსენიება ჯორჯ ბუშის და ახლა ექსპრეზიდენტ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობასთან დაკავშირებით, არამედ იგი შევიდა გლობალურ ტრანსნაციონალურ სივრცეში და გახდა ალიანსების საფუძველი.

რეალურად, რელიგიის პოლიტიზაცია არ შემოიფარგლება ზემოთ აღნიშნული კონტექსტებით. მსგავსი პროცესები შეეხო მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან რელიგიურ ტრადიციას - ინდუიზმს (ინდუისტური ნაციონალიზმი), ბუდიზმი (ჩინეთთან დაპირისპირება ტიბეტის გამო), იუდაიზმი (რაბინატის როლი ისრაელის პოლიტიკაში) და ა.შ. რელიგიური ფაქტორი „ზედნაშენის“ ელემენტიდან თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურის ერთ-ერთ დამხმარე ელემენტად იქცევა.

თავად პოლიტიზებაზე არანაკლებ გასაკვირი იყო ის, რომ რელიგიურმა აღმავლობამ წინა პლანზე წამოსწია არა პროგრესული ძალები რელიგიურ ტრადიციებში. პირიქით, პიტერ ბერგერის აზრით, „ეს არის კონსერვატიული/მართლმადიდებლური/ტრადიციონალისტური მოძრაობები, რომლებიც ყველგან იზრდება. ეს ის მოძრაობებია, რომლებმაც უარყვეს პროგრესული ინტელექტუალების მიერ თანამედროვეობასთან მიმართებაში ჩამოყალიბებული პროგრამა. კონსერვატიული ძალების წარმატება ეწინააღმდეგებოდა რელიგიის სოციოლოგების პროგნოზებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ თანამედროვე სამყაროში რელიგიურ ტრადიციებს, ძირითადად, მხოლოდ ორი გზა აქვს - სექტის გზა და ჩაკეტვა საკუთარ საზღვრებში. რელიგიის მიმართ მზარდი გულგრილი სამყაროს სახე, ან დენომინაციის გზა, თანამედროვე სამყაროს ღირებულებებთან ადაპტაცია და „ჭეშმარიტების მონოპოლიური ფლობის“ პრეტენზიების უარყოფა. ამ სახის ადაპტაციის სიმბოლო იყო ვატიკანის მეორე კრება, რომელმაც დააფიქსირა კათოლიკური ეკლესიის კურსი მოდერნიზაციისკენ, რაც გარდაუვალად ითვლებოდა.

ქანქარა სწრაფად გადატრიალდა სხვა მიმართულებით - რელიგიური ტრადიციების ფარგლებში ყველაზე კონსერვატიული და თუნდაც ფუნდამენტალისტური ტენდენციებისკენ. მოვიყვან მაგალითს რუსეთთან დაკავშირებით: 21-ე საუკუნის დასაწყისამდე მკვლევარები ხშირად წერდნენ, რომ რუსული მართლმადიდებლობის შიგნით არის რამდენიმე ძირითადი მიმართულება - ფუნდამენტალისტური, ცენტრისტული და ლიბერალური. თუმცა, მას შემდეგ ლიბერალური ფრთა ან გაქრა ან ღრმად ჩავარდა მიწისქვეშეთში, ხოლო ცენტრი შესამჩნევად გადაინაცვლა მარჯვნივ.

რელიგიის ძალა, როგორც არააღქმული რეალობა

იმის გაცნობიერებას, რომ რელიგია არის სრულფასოვანი ფაქტორი, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენა, ხელს უშლის ინტელექტუალების „საერო მიკერძოებულობას“, ანუ მათ, ვინც მოწოდებულია გაიაზროს თანამედროვე სამყაროს ძირითადი გარდაქმნები. „საერო მიკერძოებულობაში“ იგულისხმება რელიგიის სერიოზულად აღქმის უარყოფა. ეს „ხიდი“ ინტელექტუალების აღქმით დღემდე ჩატეხილია ჩვენ ვსაუბრობთ ღრმად ფესვგადგმულ რწმენაზე, რომლის თანახმადაც რელიგიას და რელიგიურობას, რა თქმა უნდა არ შეუძლია ისეთ „სერიოზულ“ სფეროზე გავლენის ძალად გადაქცევა, როგორიც არის პოლიტიკა. ამ პრობლემას მეოცე საუკუნის დასაწყისში მიაპყრო ყურადღება უდიდესმა ქართველმა ინტელექტუალმა ილია ჭავჭავაძემ თავის უკვდავ ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივი“ სადაც იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „ჩატეხილი ხიდი“ ინტელექტუალებსა (არჩილი) და საზოგადოების სხვა ფენებს (ეკონომიკურ ინტერესებს - გიორგი) შორის სამშობლოსადმი ქრისტიანულ სიყვარულში (კესო) უნდა/შეიძლება აღდგეს. სხვა გზას ილია არც კი განიხილავს, რადგან იგი რეალობის შეზღუდული აღქმაა რასაც პრაქტიკაში მიმდინარე

პროცესები და მოვლენები ეწინააღმდეგება. დღეს დესეკურალიზაციის მაგალითად შესაძლებელია აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის დ. ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის რიტორიკა მოვიყვანოთ (Why Trump Should Get the Christian Vote, (2016).

პიტერ ბერგერი წერდა, რომ მძვინვარე რელიგიურობის თანამედროვე სამყაროში, ფაქტობრივად, სეკულარობის მხოლოდ ორი კუნძულია. უპირველეს ყოვლისა, დასავლეთი და ჩრდილოეთ ევროპა, რომელიც თავისი ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე - კერძოდ, ანტირელიგიური ფრანგული განმანათლებლობის იდეების ძლიერი გავლენით - განიცადა ღრმა და ფუნდამენტური სეკულარიზაცია. ვესტერნიზებული, უაღრესად განათლებული ელიტა არსებობს მსოფლიოს ყველა კუთხეში და აყალიბებს სოციალური რეალობის დომინანტურ აღწერას, რომელიც - სავსებით მათივე „სეკულარული მიკერძოების“ შესაბამისად - ასახავს სამყაროს გაცილებით ნაკლებად რელიგიურად, ვიდრე სინამდვილეშია. ელიტების საერო ოპტიკა მათ მიერ შექმნილ აღწერილობებს ბრმას ხდის რელიგიურობის ყველაზე აშკარა გამოვლინების მიმართაც კი. რელიგიური აღორძინების ტიპიური რეაქცია არის მისი მხოლოდ „დროებითი სირთულეების“ წარმოჩენის მცდელობა, რის შემდეგაც სეკულარიზაციის გამარჯვებული ტენდენცია გააგრძელებს თავის ტრიუმფალურ მსვლელობას. ეს ყველაფერი უფრო მოგვაგონებს ერთგვარ კვაზირელიგიურ რწმენას გონიერებისა და პროგრესის ტრიუმფში და არა იმის განცხადებას, თუ რა ხდება სინამდვილეში. ცხრილ 1-ში მოცემულია აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის მოსახლეობის მიკუთვნება რელიგიური კონფესიებისადმი რაც გვიჩვენებს რეალურად როგორ შეიცვალა სეკულარიზაციის მიმართ დამოკიდებულება და ჩამოყალიბებული რეალობა. ამერიკელ და ევროპელ მკვლევარებს თუ ვენდობით (ცხრილი მათი კვლევების საფუძველზეა შედგენილი) საქართველოში არარელიგიურების (ანუ ათეისტების თუმცა ესეც სადავოა) რაოდენობა იმდენად მცირეა (37 ათასზე ნაკლები), რომ ისინი არ გაითვალისწინეს, ან მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც არარელიგიურია ამას ხმამაღლა არ აღიარებს, რადგან იცის, რომ „ათეისტობა“ მისი აზროვნების სიმწირეზე მეტყველებს.

ცხრილი 1.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რელიგიური ლანდშაფტი
(გამოკითხულ რესპონდენტთა %-ში)

	მართლ-მადიდებლები	**კათო-ლიკები**	**ისლამის მიმდე-ვრები**	**არარელი-გიურები**	**სხვები**
მოლდავეთი	**92**	**-**	**-**	**2**	**6**
საბერძნეთი	**90**	**-**	**2**	**4**	**4**
საქართველო	**89**	**2**	**9**	**-**	**-**
სომხეთი	**89**	**2**	**-**	**2**	**7**
სერბეთი	**88**	**4**	**2**	**4**	**2**
რუმინეთი	**86**	**5**	**-**	**1**	**8**
უკრაინა	**78**	**10**	**-**	**7**	**5**
ბულგარეთი	**75**	**1**	**15**	**5**	**4**
ბელორუსი	**73**	**12**	**-**	**3**	**11**
რუსეთი	**71**	**-**	**10**	**15**	**4**
პოლონეთი	**1**	**87**	**-**	**7**	**5**
ხორვატია	**4**	**84**	**2**	**7**	**3**

ლიეტუვა	**3**	**75**	**-**	**6**	**17**
უნგრეთი	**-**	**56**	**-**	**21**	**22**
ესტონეთი	**25**	**1**	**-**	**45**	**29**
ბოსნია	**35**	**8**	**52**	**3**	**2**
ლატვია	**31**	**23**	**-**	**21**	**25**
ჩეხეთი	**1**	**21**	**-**	**72**	**6**

წყარო: PEW Research Center 2015-2017.

სეკულარული იდეოლოგიების კრიზისი

პოლიტიკაში რელიგიური ფაქტორის მზარდ მნიშვნელობაზე საუბრისას თავიდან ავიცილეთ კითხვა, თუ რატომ ხდებოდა ასე. რა თქმა უნდა, არსებობს თითოეული კონკრეტული შემთხვევისთვის უნიკალური მიზეზები, მაგრამ არის ერთი ფუნდამენტური გარემოება, რომელიც რელიგიურ ტრადიციებს წინა პლანზე უბიძგებს. საუბარია სეკულარული პოლიტიკური იდეოლოგიების კრიზისზე და, შესაბამისად, რწმენაზე, რომ სეკულარულ პოლიტიკურ პროექტებს შეუძლია დამაჯერებელი პასუხის გაცემა თანამედროვე საზოგადოებების წინაშე არსებულ გამოწვევებზე. რელიგიაზე უარი აღარ განიხილება, როგორც რაიმე მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა, რომლის წყალობითაც შეიძლება ოპონენტების დამარცხება ეკონომიკური კეთილდღეობისთვის ბრძოლაში ან ბიუროკრატიული სტრუქტურების უფრო ეფექტური ფუნქციონირების მიღწევა.

მე-20 საუკუნის მოდერნიზაციის მთავარი იდეოლოგიები, რომლებიც შეიცავდა მძლავრ სეკულარიზაციის კომპონენტს, პოპულარობას კარგავს. ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებაზე საუბრისას მართებულად მიუთითებენ მე-20 საუკუნეში ორი დიდი პოლიტიკური პროექტის - „კომუნიზმისა“ და „ლიბერალიზმის“ არსებობაზე. თითოეულმა ამ პროექტმა უპასუხა კითხვას, თუ როგორ უნდა შევქმნათ ძლიერი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერს მსოფლიოში.“ „ძლიერი სახელმწიფოსთვის“ (ამ ოცნების გულისთვის) შესაძლებელი გახდა რელიგიური ტრადიციების გაუქმება და პროგრესული იდეალისკენ სწრაფვა. თუმცა, მე-20 საუკუნის ბოლოს ორივე ეს პროექტი ჩაიშალა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ სსრკ-ს სულისკვეთებით განვითარების სოციალისტურ გზას დღეს ბევრი მომხრე ჰყავდეს. მაგრამ ლიბერალური გზა, რომელიც დაფუძნებულია დასავლური ინსტიტუტების უბრალოდ კოპირებაზე, ასევე არ გამოიყურება მიმზიდველად. ასეთი იდეოლოგიური ვაკუუმის პირობებში, რელიგიურ ტრადიციებთან, ზოგიერთ მითიურ ფესვებთან დაბრუნება უფრო ლოგიკურად გამოიყურება. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია საკითხს კიდევ უფრო ღრმად ჩავუღრმავდეთ: საუბარია არა მხოლოდ სეკულარული პოლიტიკური იდეოლოგიების, არამედ, როგორც ასეთი, სეკულარული მსოფლმხედველობის კრიზისზე. მეცნიერების ყოვლისშემძლეობისა და სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის რწმენა შესამჩნევად შესუსტდა - ან თავად შეიძინა კვაზირელიგიური ხასიათი (მაგალითად ქვანტური ფიზიკის მოდელები), როდესაც ღმერთის ადგილს იკავებს აბსოლუტური ცოდნა, რომელსაც კაცობრიობა ერთ დღეს მიაღწევს. როგორც არ უნდა გვინდოდეს მეცნიერებას მართლაც არ ძალუძს უპასუხოს ძირითად მორალურ და პრაქტიკულ კითხვებს, რომლებიც თანამედროვე ადამიანებს აწუხებთ:

- რა არის სამართლიანი საზოგადოება?
- როგორ ავიცილოთ თავიდან ომები?
- როგორ მოვაგვაროთ მიგრაციული კრიზისი?

უფრო მეტიც, მრავალი მიღწევები, მაგალითად, ბიოტექნოლოგიის სფეროში, მხოლოდ ამრავლებს ეთიკურ დილემებს, რომლებსაც არ აქვთ მეცნიერულად მკაფიო გადაწყვეტა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მეცნიერებმა ვერასოდეს ვერ გადაჭრეს სიკვდილის, ტანჯვის, ავადმყოფობის, სიღარიბის პრობლემები - ზოგადად, ყველა ის პრობლემა, რომელიც, ფაქტობრივად, აწუხებს ადამიანებს ყოველდღიურად. ყველა ეს გამოწვევა მოითხოვს რელიგიურ პოსტულატებსა და მიდგომებს, რადგან მათ აქვთ ძლიერი ეთიკური, სიმბოლური, ფიგურალური, პოეტური შინაარსი, რაც დღეს უფრო აქტუალურია, ვიდრე ოდესმე. მაგალითად, კამათში ადამიანის სიცოცხლის ღირებულებაზე ან მასზე ნებაყოფლობით უარის თქმაზე. პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროში აქტიური ინტელექტუალური მუშაობა მიმდინარეობს სეკულარიზმის ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიებისგან „დასახსნელად". მაგალითად, პოლიტიკური ლიბერალიზმის ბანაკში იურგენ ჰაბერმასი ამას აკეთებს - პოსტ-სეკულარული საზოგადოების თეორიის კონტექსტში, რომელსაც ის ავითარებს. მეორე ბოლოში - მემარცხენე - სოციალიზმთან მიმართებაში მსგავს სამუშაოს ახორციელებენ ეგრეთ წოდებული თეოლოგიურ-პოლიტიკური შემობრუნების წარმომადგენლები - ალენ ბადიუ, სლავოი ჟიჟეკი, ჯორჯო აგამბენი - რომლებმაც სერიოზულად დაიწყეს პავლე მოციქულის მემკვიდრეობის შესწავლა, წამყვანი მემარცხენე აზროვნების იმ კრიზისიდან გამოსვლის იმედით, რომელშიც ის აღმოჩნდა მე-20 საუკუნის დასასრულს.

დასკვნა

ცხადი ხდება, რომ რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობა დღევანდელ გლობალიზაციის სამყაროში გარდაუვალია. რელიგიას აქვს ძალა გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად, რადგან:

რელიგია არის იდენტიფიკატორი, რომელიც აკავშირებს ადამიანებს სხვა ადამიანებთან, მათ ირგვლივ საზოგადოებასთან, საზღვრებს მიღმა მყოფებთან, მათ წინაპრებთან და წარმოსახვით სამყაროსთან, რომელიც არის ეგზისტენციალური;

გლობალიზაცია და რელიგია ერთმანეთში გადახლართული გახდა, რელიგიებმა გაზარდეს თავიანთი გავლენა პოლიტიკურ სისტემებზე, როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივზე. პოლიტიკურმა გლობალიზაციამ და მსოფლიოს მოქალაქეებმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი მსოფლიო რელიგიების ურთიერთქმედებას მსოფლიო პოლიტიკაში;

რელიგია გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი და არა როგორც რწმენის სისტემა. ინსტრუმენტი გამოიყენება სხვადასხვა გზით, სოციალური ცვლილებებიდან პოლიტიკურ პროგრესამდე. დღევანდელ დროში რთული იქნება რელიგიის გამიჯვნა პოლიტიკისგან და გლობალიზაციის რელიგიისგან. რელიგიასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა კვლავ შეიცვლება მსოფლიოს გლობალიზაციასთან ერთად. მთლიანობაში, გლობალიზაცია კარგია რელიგიისა და პოლიტიკისთვის, რადგან ის ზრდის მათ ურთიერთზეგავლენას და განვითარების საკითხებში არჩევანის მეტი თავისუფლების საშუალებას იძლევა;

ფაქტიურად ჩვენს თვალწინ, რელიგიური დისკურსი სულ უფრო და უფრო შორდება სხვებს - ეროვნულ, ეთნიკურ და ა.შ. ევროპაში და ნაწილობრივ უკვე სხვა ქვეყნებშიც, სირიელი, თურქი, ალჟირელი, უზბეკი, ტაჯიკი მიგრანტების პრობლემა ისლამის პრობლემაში გადაიშალა - ყოველ შემთხვევაში მედიაში. რელიგიური ფაქტორი, რომელიც წარმოიშვა, არა მხოლოდ არ გაქრა, არამედ შეძლო ყველა დანარჩენის ჩახშობა. ეთნიკური და თუნდაც სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებები ისევ რელიგიური გახდა, როგორც მე-17 საუკუნეში - შესაძლოა არა არსებითად, მაგრამ მაინც საზო-

გადოებრივ ცნობიერებაში. რეალობაში ჩვენ ეს უკვე ვიხილეთ, რაც გამოიხატა ისლამური ტერორისტული დაჯგუფების „ხამასის“ ისრაელის ღაზას სექტორზე თავდასხმაში და რასაც ომი მოჰყვა;

სეკულარული იდეოლოგიებისა და მსოფლმხედველობის კრიზისის გათვალისწინებით, არ არსებობს საფუძველი ვირწმუნოთ, რომ რელიგია, როგორც ჯინი, კვლავ შეძლებს იმ ბოთლში ჩაძირვას, რომელშიც ის ბოლო საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდა.

მიმდინარეობს ბრძოლა რელიგიური ტრადიციების შინაარსისთვის, რომლის შედეგზე სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული მშვიდობა დედამიწაზე. სახელმწიფო, როგორც საკუთარი, ისე უცხო ადამიანებისთვის, მხოლოდ ძალადობის აპარატს და ურჩხულს ჰგავს და ქრისტიანობის გარეშე, ეკლესიის გარეშე მას არ შეუძლია თავის დაღწევა ამისგან. შესაძლოა, ეს დაკავშირებულია ქილიაზმის (გამოცხ. 21:1) ინსტიტუციასთან - დედამიწაზე დამკვიდრებამდე ქრისტესა და ქრისტიანთა ათასწლიანი სამეფოს უკანასკნელ განკითხვამდე. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მოხდეს, თავად ეკლესიამ ჯერ უნდა მიატოვოს თავისი პოლიტიკური გავლენის ესკალაცია, კონკურენცია ძალაუფლებასთან სიახლოვისთვის სხვა სარწმუნოებასთან და კონკურენცია თავად მთავრობასთან.

ყოველივე ამის შემდეგ, ქრისტეს ძალის მწვერვალია გოლგოთაზე აღმართული ჯვარი, როგორც ადამიანის ახალი ღირსების ნიშანი, როგორც უარის თქმა მსოფლიოს აწმყოსა და მომავლისთვის ბრძოლის ყველა პოლიტიკურ და ძალისმიერ მეთოდზე. რელიგიური ცნობიერება მის ბირთვში ან რელიგიური ინსტიტუტების „მიღმა“ კაცობრიობისთვის კვლავაც უაღრესად მნიშვნელოვანი რჩება, ყოველ შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე გასულ საუკუნეებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია. გამოცხადება იოანე ღმრთისმეტყველისა, თ.21 (1);
2. Berger P.L. The Desecularization of the World: A Global Overview // The Desecularization of the World: Resurgent Religion and World Politics / ed. by P.L.Berger. Grand Rapids: William B. Eerdmans Publishing Company, 1999. 2-287;
3. Berger P.L. and Luckmann T. (1969[1963]) Sociology of Religion and Sociology of Knowledge. In: Birnbaum N and Lenzer G (eds), Sociology and Religion: A Book of Readings. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall, 410–418; https://discovery.ucl.ac.uk/id/eprint/10044419/1/Hjelm_SC%20IV%20JCS%20archive%20version.pdf
4. Johanna Oksala, (2012). Foucault, Politics, and Violence. Evanston: Northwestern University Press; https://www.academia.edu/48454262/_b_Johanna_Oksala_b_i_Foucault_on_Freedom_i_Cambridge_Cambridge_University_Press_2006_
5. Kenneth Wald , Allison Calhoun-Brown (2018). Religion and politics in the United States. Row-man & Littlefield;

https:/www.amazon.com/Religion-Politics-United-States-Kenneth/dp/1538105136

6. Reinhard Bendix (1962). Max Veber an intellectual Portrait. 282-311; https://www.google.ge/books/edition/Max_Weber/C_j_2nOUIpcC?hl=ka&gbpv=1&dq=inauthor:%22Reinhard+Bendix%22&printsec=frontcover
7. Why Trump Should Get the Christian Vote. (2016, November 5). Capitol Ministries. Re-trieved from https://capmin.org/resources/ministry-updates/trump-get-chris-tian-vote/

On the Issue of the Mutual Influence of Religion and Economic Policy

Irina Gogorishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The purpose of the article is to identify the connections between religion and economic policy and analyze them, characterizing development trends. Religion plays an important role in modern politics, and the relationship between the two is constantly changing. The governance of a state cannot be separated from the religious beliefs of its people, which influence the country's leaders and legislators. Laws on religious and economic policies are reflected in society. The article highlights how religious beliefs, practices and themes are shaped by the political expectations and needs of a nation. The work examines the relationship between religion and politics, as well as the approach to the perception of the Christian religion. Since religion and politics are constantly changing and adapting, the ideology underlying the relationship between these two entities is constantly being questioned, periodically rethought and modified as a result of the ongoing process of desecularization in the global world.

Key words: *religion, economic policy, Christianity, secularization and desecularization*

გიგ ეკონომიკა და საგადასახდო დაბეგვრის პრობლემები

ნინო გრიგოლაია
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ალტე უნივერსიტეტი

თანამედროვე შრომის ბაზარზე გამოვლენილია ორი ტენდენცია. პირველი ტენდენცია - შრომით უნარებზე მოთხოვნის ცვლილებაა. საბაზისო წიგნიერება, ფიზიკური შრომა და დიპლომები დასაქმების და შემოსავლების მიღების სულ უფრო ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა. მეორე ტენდენციაა - ციფრული პლატფორმებით (აპლიკაციებით) მოქმედი ბიზნესი - გიგ ეკონომიკა, რომელიც ზრდის შემოსავლების დიფერენციაციას, რაც აუცილებლად წარმოქმნის საშემოსავლო გადასახადით დაბეგრის ადაპტაციის საჭიროებას.

შემუშავებულია დასკვნა, რომ საგადასახადო სისტემები ისე უნდა რეფორმირდეს, რომ არ მოხდეს თვითდასაქმებულების ზედმეტად სტიმულირება გადასახადებისგან თავის აცილების კუთხით, რადგან ეს საფრთხეს უქმნის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალურ დაცვას.

გამოყენებული იქნა შედარებითი და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები. კვლევის ემპირიულ ბაზას წარმოადგენდა მონაცემები სარეიტინგო და ანალიტიკური სააგენტოებიდან, სტატისტიკური მონაცემები OECD-დან, Eurofund-დან და Eurostat-იდან.

საკანძო სიტყვები: *გიგ ეკონომიკა; ციფრული პლატფორმა; ონლაინ ფრილანსინგი; აუთსორსიგი.*

თანამედროვე სამყაროში შრომის ბაზრის ცვლილება გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით და გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, არასტანდარტული დასაქმების ფორმების რაოდენობის ზრდაში. ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დასაქმების სტრუქტურასა და ხელფასებზე ბოლო ათწლეულების განმავლობაში (Goos & Manning, 2007). მოთხოვნა ტრადიციულ, რუტინულ სამუშაოებთან დაკავშირებულ პროფესიებზე მცირდება, რაც ერთი მხრივ გამოწვეულია შესაბამისი განათლების მქონე პირთა რაოდენობის ზრდით და მეორე მხრივ, ახალი ტექნოლოგიების დანერგვითა და დასაქმების ახალი ფორმების გაჩენით (Salvatori, 2018). იქნება თუ არა მიმდინარე ცვლილებები, მომგებიანი (სამუშაო ძალის მოქნილობისა და ადაპტირების გაზრდით) თუ საზიანო (ავტომატიზაციის, გლობალიზაციის, შრომის ბაზრის დერეგულირებისა და მსხვილი დამსაქმებლების მზარდი ძალაუფლების შედეგად, სამუშაოს ძალის ხარისხის შემცირებით)?

შრომის ბაზრის ცვლილებები აჩენს არსებით კითხვებს გადასახადებთან დაკავშირებით. დღევანდელ შრომის ბაზარზე, იზრდება მუშაკთა წილი, რომლებიც იღებენ შემოსავალს ტრადიციული თანამშრომელი-დამსაქმებელი ურთიერთობის მიღმა და არსებობს შეშფოთება, რომ ეს ზრდა მოტივირებულია საგადასახადო სისტემებში ჩაშენებული, გადასახადებისგან თავის აცილების სტიმულებით. სხვადასხვა ტიპის დასაქმების დაბეგვრის განსხვავებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს შრომის ბაზარზე და ჩნდება კითხვა: როგორ უნდა მოერგოს საგადასახადო სისტემა არასტანდარტული სამუშაოების გაფართოებას?

შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე გლობალური ტენდენცია, რომელიც გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე და რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს ადეკვატური ცვლილებები დაბეგვრის სისტემაში, განსაკუთრებით საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრაში.

პირველი ტენდენცია - შრომით უნარებზე მოთხოვნის ცვლილებაა. საბაზისო წიგნიერება, ფიზიკური შრომა და დიპლომები სულ უფრო ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა დასაქმების და შემოსავლების მიღების. შრომით უნარებზე მოთხოვნის ცვლილება ეხება მილიონობით ადამიანს და იმისათვის, რომ წარმატებას მივაღწიოთ შრომის ციფრულ სამყაროში აუცილებელია შესაბამისი შემეცნებითი უნარები, მათ შორის ციფრული, სოციალურ-ემოციური, პროფესიული, ასევე მოტივაცია გაუმკლავდნენ ცვლილებებს და დაეუფლონ ახალ შრომით უნარებს, როგორც სამუშაო ადგილზე, ასევე, მის გარეთ.

ზემოთ ხსენებული უნარების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მყარი საფუძველი ადამიანურ კაპიტალში და სწავლება მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ მიზნებისათვის მიზანშეწონილია ზრდასრულთა განათლების შესაძლებლობების გაფართოება, ინფრასტრუქტურაში ინვესტირება და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. შესაბამისად, საჭიროა დაფინანსების წყაროები, მათ შორის, კარგად ორგანიზებული როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი საგადასახადო ადმინისტრირება, სუბსიდირების სისტემის რეფორმირება და საერთაშორისო კომპანიების მიერ გადასახადებისგან თავის არიდების შემცირება.

შრომითი უნარებზე მოთხოვნის ცვლილება მოითხოვს საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ნაწილში უფრო მოქნილ მიდგომას, შესაძლოა გამოქვითვების დიფერენცირება ციფრულ პროფესიებში მომზადების გაზრდილი ხარჯების დაფინანსების მიზნით.

მეორე ტენდენციაა - ციფრული პლატფორმებით (აპლიკაციებით) მოქმედი ბიზნესი - გიგ ეკონომიკა. საიტებისა და აპლიკაციების ფართო სპექტრი ამცირებს ხარჯებს და ხელს უწყობს დასაქმების სტრუქტურის ცვლილებას. რთულია დიჯიტალიზაციის გავლენის გამოყოფა დასაქმების დინამიკაზე მოქმედი სხვა ფაქტორებისაგან, მაგალითად, როგორიცაა ზოგადი ეკონომიკური ვარდნა ან წარმოების საზღვარგარეთ გადატანა. თუმცა ზოგიერთი გავლენა აშკარაა.

McKinsey Global Institute-ის ანგარიში აშშ-ს შრომის ბაზარზე მიუთითებს, რომ რეცესიიდან გამოსვლას თან ახლდა ნაკლები სამუშაო ადგილის შექმნა. ეკონომიკური კრიზისის დროს მსხვილი კომპანიები ცდილობენ გაზარდონ პროდუქტიულობა არა გამომუშავების გაზრდით ან ინოვაციების დანერგვით, არამედ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებით. ქარხნების ავტომატიზაცია გახდა მუდმივი პროცესი და ეკონომიკური შენელების ან რეცესიის პერიოდში სამუშაო ადგილები რისკის ქვეშ იმყოფება. გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს ნახევრად კვალიფიციური მუშაკების რაოდენობის შემცირებას. რობოტები ცვლიან მუშებს კონვეიერებზე და საინფორმაციო სისტემები იწყებენ ოპერაციების შესრულებას, რომლებსაც ადრე ასრულებდნენ ბუღალტერები, ოფისმენეჯერები და სხვა ოფისის თანამშრომლები. ისინი შეიცვლებიან დაბალანაზღაურებადი (იმ შემთხვევაში, როდესაც ავტომატიზაცია არ არის ეკონომიკურად მომგებიანი) და მაღალანაზღაურებადი (იმ შემთხვევებში, როდესაც საჭიროა ციფრული ინსტრუმენტების შექმნისა და გამოყენების უნარები) მუშაკებით. სავარაუდო შედეგები იქნება მოსახლეობის დიფერენციაცია შემოსავლის დონის მიხედვით, უმუშევრობის ზრდა, ასევე, დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობების მქონე რეგიონებში ადამიანთა შემოსავლისა და ცხოვრების დონის შემცირება.

ამრიგად, დიჯიტალიზაცია აჩქარებს მზარდ უფსკრულს დაბალ და მაღალანაზღაურებად თანამშრომლებს შორის. ციფრული კომპანიები ხელფასების ყველაზე დიდ ზრდას აჩვენებენ, მაგრამ სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით მათი წილი ეკონომიკის მთლიან სტრუქტურაში მცირეა. ამიტომ, შემოსავლების დიფერენციაცია აუცილებლად გამოიწვევს პროგრესული დაბეგვრის საკითხის აქტუალიზაციას. ბოლო კვლევების ფონზე, პროგრესულმა დაბეგვრამ შეიძლება გარკვე-

ულ პირობებში ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან პერიოდში.

დასაქმების ზოგიერთი ახალი ფორმა ტრადიციული დასაქმების მოდიფიკაციაა დაქირავებული-დამქირავებელის ურთიერთობაში, რომლის დროსაც დამსაქმებელი ხელფასის გადახდისას გამოქვითავს საშემოსავლო გადასახადს (მუშაკთა გაზიარება, სამუშაო ადგილების დაყოფა, დროებითი მართვა, დისტანციური მუშაობა IT ტექნოლოგიებზე დაყრდნობით), არ საჭიროებს საგადასახადო ადმინისტრირების კორექტირებას.

სხვა ფორმები - ციფრული პლატფორმის მუშაობა (გიგ ეკონომიკა) შეიძლება ჩაითვალოს აუთსორსინგის ევოლუციად. აუთსორსინგმა გავრცელება დაიწყო 90-იანი წლებიდან, როცა დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის გაჩდა შუამავალი კერძო დასაქმების სააგენტოების სახით. კომპანიები სულ უფრო ხშირად მიმართავენ სპეციალიზებულ ქოლ ცენტრებს, მონაცემთა დამუშავების ცენტრებს, კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუღალტრულ და მარკეტინგულ მომსახურებას და ა.შ. შემდეგ ციფრულმა ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლეს შუამავალი დასაქმების სააგენტოები და ახლა სერვისის მიმწოდებლის ძებნა ხორციელდება აპლიკაციების გამოყენებით. უმეტეს შემთხვევაში, თანამშრომელი ითვლება თვითდასაქმებულად ან შტატგარეშედ დასაქმებულად (ფრილანსერები). ხშირ შემთხვევაში ასეთი თვითდასაქმება არსებითად ფიქტიურია, ფაქტობრივად, ის წარმოადგენს შრომით ურთიერთობას (Gromov, 2021) და გამოიყენება კომპანიების მიერ შრომითი ხარჯების შესამცირებლად.

ციფრული პლატფორმების ყველაზე ცნობილი მაგალითებია ტაქსისა და საკვების მიწოდების სერვისები. საყოფაცხოვრებო მომსახურებებთან დაკავშირებული პლატფორმები, კერძოდ დასუფთავება, მოვლა ან მებაღეობა. ახალი პლატფორმებია მედიკამენტების და ამანათემის მიწოდება, პროფესიული, კრეატიული, მულტიმედიური, ტექნოლოგიური, წერის და თარგმანის მომსახურება, გაყიდვებისა და მარკეტინგის მხარდაჭერა.

ციფრული პლატფორმების მუშაობა მხოლოდ ნაწილობრივაა დაკავშირებული ციფრულ ეკონომიკასთან, ისინი ძირითადად არიან მიკრომეწარმეები და როგორც წესი, ეს არის ძალიან დაბალ ანაზღაურებადი სამუშაო, რომელიც მოითხოვს დაბალ კვალიფიკაციას: კერძოდ, სოციალური ქსელებში კონტენტის მოდერნიზაციას, პროდუქტების ონლაინ კატალოგიების შექმნას, YouTube-ზე ვიდეო მასალების განთავსებას და ა.შ.

ონლაინ ფრილანსინგი, სადაც გამოცდილი თვითდასაქმებულები – მთარგმნელები, ბუღალტერები და სხვები პოულობენ ახალი კლიენტებს, ადგენენ საკუთარი წესებსა და პირობებს. უმრავლესობა სამუშაოს მაძიებლებისა ციფრული პლატფორმების საშუალებით (ყოველ შემთხვევაში განვითარებად ქვეყნებში) მასობრივი პროფესიის ადამიანები არიან, ლურჯი საყელოს მუშაკები (მძღოლები, კურიერები, დამლაგებლები, ტექნიკური მუშები) და ნაცრისფერი საყელოს მუშაკები (დამრიგებლები, ფიტნეს ტრენერები და კონსულტანტები, ექთნები და ძიძები).

რაც შეეხება ციფრული პლატფორმების დაბეგვრას, მაგალითად, ბელგიის მთავრობამ შემოიღო ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი სამუშაო პლატფორმებისთვის, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, რადგან ეწინააღმდეგებოდა თანასწორობისა და არადისკრიმინაციის პრინციპს. ესტონეთმა Uber-ის მძღოლებისთვის გამარტივებული საგადასახადო პროცედურები შემოიღო. შვედეთში Uber-ის ზრდამ გამოიწვია ტაქსის წესების გადახედვა, მათ შორის დაბეგვრის ჩათვლით. საფრანგეთში სპეციალური მოთხოვნები შემოიღეს ნაცრისფერი საყელოს მუშებისთვის (პედაგოგები, ფიტნეს ტრენერები და კონსულტანტები, ექთნები და ძიძები). დაწყებულია მთელი რიგი სამართლებრივი პროცესები პლატფორმის მუშაკების დასაქმების სტა-

ტუსის ან პლატფორმების ინდუსტრიული კუთვნილების დასადგენად მთელ ევროპაში. სასამართლოები ამ საქმეებზე იღებენ განსხვავებულ გადაწყვეტილებებს, თითოეული საქმის სპეციფიკური მახასიათებლებისა და ეროვნული ჩარჩოს გათვალისწინებით. ბევრი ბოლო გადაწყვეტილება (2020 წლის შუა რიცხვებიდან) პლატფორმის მუშაკებს თანამშრომლებად აცხადებენ.

გადასახადებთან გამკლავება რთული ამოცანაა პლატფორმის მუშაკებისთვის, რომელთაგან ბევრი ახალგაზრდაა, გამოუცდელია ფინანსებში და მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე მუშაობს პლატფორმის კომპანიებში. მათ ხშირად არ იციან, რომ საგადასახადო კანონმდებლობა მათ განიხილავს, როგორც ბიზნესის მფლობელებს ან თვითდასაქმებულებს, არ ესმით, რომ მათ უნდა გამოთვალონ და გადაიხადონ გადასახადები, ან რომ ექვემდებარებიან თვითდასაქმების გადასახადებს. ეს უცოდინრობა გასაგებია, რადგან ადამიანებს, რომლებიც ადრე მხოლოდ ხელფასს იღებდნენ, არ აქვთ გამოცდილება საგადასახადო სისტემაში.

მაგრამ ტექნოლოგიების მიღწევებმა და პლატფორმის ეკონომიკის განვითარებამ გაუადვილა პლატფორმის მუშაკებს იმ ვალდებულებების შესრულება, რაც ადრე შეუძლებელი იყო ტრადიციული მცირე ბიზნესისთვის. პლატფორმის კომპანიებმა მილიონობით ადამიანს საშუალება მისცეს გახდნენ ბიზნესის მფლობელები ბიზნესის დასაწყებად მცირე ან არანაირი ხარჯებით. ამან საშუალება მისცა უფრო მეტ ადამიანს, ვიდრე ოდესმე, შეესრულებინათ დამატებითი სამუშაო, ხშირად ნახევარ განაკვეთზე. გარდა ამისა, ტექნოლოგიის მიღწევებმა შეცვალა ბიზნესის მფლობელების გზა მიიღონ და განახორციელონ გადახდები, აკონტროლონ შემოსავლები და ხარჯები.

შედეგად, მცირე ბიზნესისთვის „ძველი“ საგადასახადო რეჟიმი აღარ არის გონივრული მოდელი. მეცნიერები გვთავაზობენ თავიანთ ვარიანტებს მზარდი ციფრული ეკონომიკის მუშაკებისთვის გადასახადების შეცვლისთვის. პირველი, ონლაინ პლატფორმების მიერ გადასახადის დაკავება ამ პლატფორმებთან მომუშავე ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლიდან. ამ შემთხვევაში, პლატფორმის კომპანიები, ტრადიციული დამსაქმებლების მსგავსად, აკავებენ პლატფორმის მუშაკების მთლიანი შემოსავლის ფიქსირებულ პროცენტს, რათა დაფარონ თავიანთი თვითდასაქმებული და საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებები. მეორეც, შემოთავაზებულია ასეთ პირებს მიეცეს სტანდარტული გამოქვითვა, რომლითაც მეწარმეებს შეუძლიათ გამოიყენონ. ჩვეულებრივი სტანდარტული გამოქვითვის მსგავსად, ეს გამოქვითვა არჩევითი იქნება და გადასახადის გადამხდელს შეუძლია უარი თქვას მასზე, თუ ფაქტობრივი ხარჯები მას აღემატება. ასეთი გამარტივებული საგადასახადო რეჟიმი ხელს შეუწყობს კანონთან შესაბამისობის გაუმჯობესებას, ასევე გაზრდის ეფექტიანობას საგადასახადო დაცვასთან დაკავშირებული დროის, ხარჯებისა და შფოთვის შემცირებით (Thomas, 2017).

ამრიგად, შრომითი უნარებზე მოთხოვნას აქვს სტაბილური ცვლილების ტენდენცია. ეს განპირობებულია მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებით, რამაც გამოიწვია შრომის ბაზარზე ახალი გლობალური ტენდენციების გაჩენა. შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ზრდა აქტუალურს ხდის საშემოსავლო გადასახადის პროგრესული დაბეგვრის შემოღების საკითხს. დასაქმების ახალი ფორმების გაჩენა, როგორიცაა ციფრულ პლატფორმაზე მუშაობა მოითხოვს მათ საგადასახადო რეგულირებას. ფირმებს შეუძლიათ ფულის დაზოგვა იმ მუშაკების დაქირავებით, რომლებიც ირჩევენ დასაქმების არასტანდარტულ ფორმებს. თუმცა, ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას როგორც ბიუჯეტს, ასევე დასაქმებულთა სოციალურ დაცვას. საგადასახადო და შეღავათების სისტემები ისე უნდა რეფორმირდეს, რომ არ მოხდეს თვითდასაქმებულების დასაქმება მხოლოდ გადასახადების დაზოგვის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Goos M, Manning A. (2007) Lousy and Lovely Jobs: the Rising Polarization of Work in Britain, The Review of Economics and Statistics.
2. Salvatori A. (2018) The Anatomy of Job Polarisation in the UK / A. Salvatori // Journal for Labour Market Research. — 2018. — Vol. 52, № 8. — URL: https://doi.org/10.1186/s12651-018-0242-z.
3. Thomas K.D. (2017) Taxing the Gig Economy / K.D. Thomas // University of Pennsylvania Law Review.
4. Gromov V.V. (2021) Introduction of the Personal Tax-free Allowance in Russia and its Budget Implications / V.V. Gro-mov // Journal of Tax Reform.

The Gig Economy and the Problems of Wage Taxation

Nino Grigolaia
Professor
Alte University

SUMMARY

Two trends can be seen in the modern labor market. The first trend is the change in demand for work skills. Basic reading and writing skills, physical labor and diplomas offer fewer and fewer employment and income opportunities. The second trend is – companies working with digital platforms (applications) – gig economy, which increases the differentiation of incomes, which inevitably increases the need to adjust taxation to income tax.

It concludes that tax systems should be reformed so that the self-employed are not over-incentivized by tax evasion, as this endangers household revenues and the social security of the population.

Comparative and statistical analysis methods were used. Data from rating and analysis agencies as well as statistical data from OECD, Eurofund and Eurostat formed the empirical basis of the research.

Keywords*: gig economy; digital platform; Online Freelance; outsourcing.*

ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების საინვესტიციო ბუნება საქართველოს მაგალითზე

ლევან დგებუაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზედმეტად გადახდილი თანხები „ე.წ. ჩათვლის“ მექანიზმის შედეგად წარმოიშვება, რომელიც ძირითადად ახასიათებს დამატებული ღირებულების გადასახადს (შემდგომში - დღგ). დღგ-ის ბუნება მოიცავს უამრავ ანაზღაურებას კერძო სექტორის სხვადასხვა აქტივობებზე ინვესტიციების ხელშეწყობისთვის, უფრო მაღალი ზრდისა და საექსპორტო პოტენციალის სექტორების სტიმულირებისთვის. ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებას, უფრო კონკრეტულად, საექსპორტო ანაზღაურებას აქვს მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მთლიან შიდა პროდუქტზე (შემდგომში - GDP). ნაშრომში გაანალიზებული და განხილულია ბიუჯეტში ზედმდეტად გადახდილი თანხების გადამხდელთათვის დაბრუნების ზეგავლენა მომხმარებაზე და GDP-ზე.

საკვანძო სიტყვები: *ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება (შემდგომში - REF), მოხმარება, ექსპორტი, მთლიანი შიდა პროდუქტი, საგადასახადო შემოსავლები.*

დღგ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან გადასახადს მსოფლიოში მისი ორი ძირითადი თვისების გამო: მას იყენებენ ბევრ ქვეყანაში და გააჩნია შემოსავლების გენერირების მაღალი პოტენციალი. ის მოქმედებს 160 ქვეყანაში და მისი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ნაერთ გადასახადებში 30%-ზე მეტს შეადგენს [1].

დღგ-ის დაბრუნება წარმოადგენს ფუნქციას წმინდა ექსპორტისა GDP-ში.

„საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით ჩათვლის მეთოდი“ უზრუნველყოფს იმას, რომ ამ არაპირდაპირ გადასახადს იხდის საბოლოო მომხმარებელი. ამ მეთოდის მიხედვით გადამხდელს შეუძლია მისი ჩათვლა იმავე ან სხვა გადასახადების მიმდინარე ან მომავალ ვალდებულებებში. ზოგ შემთხვევებში (მაგალითად, ექსპორტიორები) გადამხდელებს უგროვდებათ დღგ-ის ზედმეტობები, ვინაიდან მათი რეალიზაციები დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით იბეგრება, ეს თანხები მათ უნდა აუნაზღაურდეთ დაუყოვნებლივ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ნიშნავს რომ ექსპორტი დაბეგვრადია.

დღგ-ის ზედმეტობის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია შემდეგი: ექსპორტი და სხვა ნულოვანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაციები; ინვესტირება და მარაგების დაგროვება ახალ ბიზნესში; დღგ-ის შემცირებული განაკვეთების არსებობა; დღგ-ის უკუდაბეგვრის მექანიზმი.

მიუხედავად ამისა, მისი მახასიათებელი - ზედმეტად გადახდილი დღგ-ის დაბრუნების სისტემა/-მექანიზმი - სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საგადასახადო ადმინისტრაციებისათვის. დღგ-ის დაბრუნების მექანიზმი მიდრეკილია თაღლითობისაკენ/გაყალბებისაკენ. ეს უკანასკნელი კი იწვევს ხაზინის შემოსავლების დანაკარგებს, უარყოფითად აისახება სახელმწიფო შემოსავლებზე. ამიტომ, საგადასახადო ადმინისტრაციები არ აბრუნებენ ზედმეტობებს იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია კანონშეუსაბამობა გადამხდელებში და თაღლითური სქემების აღმოჩენის მექანიზმი სუსტია.

თაღლითობის შემცირების მიზნით, ზოგმა ქვეყანამ შეზღუდა გადამხდელები დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების უფლებაში.

დღგ-ის დაუბრუნებლობა ზრდის ფასებს, ქმნის ბიზნესისთვის ნაღდი ფულის წვდომის სირთულეს, ზრდის ხარჯებს და ამცირებს ინვესტიციებს. დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მექანიზმის გარეშე ის ემსგავსება ბრუნვის გადასახადს, რაც დამატებით ტვირთად აწვება გადამხდელს. სახელმწიფო თუ არ აბრუნებს ზედმეტობებს, ეს ნიშნავს რომ ამით აფერხებს ბიზნესს და უზღუდავს წვდომას მათივე თანხებზე, შესაბამისად ზღუდავს ინვესტიციებს.

ყოველივე აღნიშნული სირთულის დაძლევის საშუალებაა ქვეყანას გააჩნდეს დღგ-ის დაბრუნების ეფექტიანი მენეჯმენტ სისტემა.

დღგ-ის ადმინისტრირების რეფორმა საქართველოში

დღგ-ს სტანდარტული „ერთი განაკვეთის“ სისტემის მიხედვით, დღგ-ის დაბრუნება უნდა იყოს კორელირებული ეკონომიკის სტრუქტურასთან: რაც უფრო მაღალია ექსპორტის წილი და კაპიტალის ფორმირება (ინვესტიცია) მთლიან გამომუშავებაში, მით უფრო მაღალია მთლიანი დღგ-ის წილები დასაბრუნებელი. რაც უფრო მაღალია საბოლოო მოხმარების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მით უფრო დაბალია დღგ-ის ანაზღაურება. მაგრამ ეს ურთიერთობები ხშირად არ არის დადასტურებული პრაქტიკაში, რაც მიუთითებს დაბრუნების პოლიტიკაში ან განხორციელებაში გარკვეულ ხარვეზებზე.

საქართველოს ძველი დღგ-ის სისტემა ავტომატურად ამტკიცებდა ფულადი სახსრების დაბრუნების ყველა მოთხოვნის მხოლოდ 9 პროცენტს. კანონის თანახმად, გადასახადის გადამხდელებს უნდა წარმოედგინათ გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მიზნით. საქართველოს შემოსავლების სამსახური (GRS) ყურადღებას ამახვილებდა ფულადი სახსრების მოთხოვნებს და ამოწმებდა ყველა მათგანს. დეკლარაციები წარდგენილი საგადასახადო კრედიტის მოთხოვნით არ მოწმდებოდა სპეციალიზებული ავტომატური სისტემის მეშვეობით. შედეგად, გადასახადის გადამხდელები არ მოითხოვდნენ ზედმეტად გადახდილი ფულადი თანხის დაბრუნებას და ზედმეტობა დროთა განმავლობაში გაიზარდა 1,6 მილიარდ ლარამდე (დაახლოებით 0,5 მილიარდი აშშ დოლარი)[1].

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში (რომელიც მრავალპარტნიორთა ინიციატივაა), ხელისუფლება შეთანხმდა დღგ-ს ზედმეტობის დაბრუნების დამუშავების სისტემა დაენერგა, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში. ეს მოიცავს TADAT (საგადასახადო ადმინისტრაციის დიაგნოსტიკური კვლევის ინსტრუმენტი) სტანდარტს, რომელიც მოითხოვს ყველა საკრედიტო დეკლარაციის 90 პროცენტის დამტკიცებას თანხის დასაბრუნებლად 30 დღის განმავლობაში, რისკების ანალიზს, პოსტ აუდიტს და რამდენიმე წინასწარ შემოწმებას. ასევე შემუშავდა არსებული საკრედიტო მარაგის მნიშვნელოვნად შემცირების სტრატეგია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით საქართველომ უზრუნველყო დღგ-ს ავტომატური სისტემის (AVS) განვითარების შესაძლებლობების ფართო განვითარება, რომელიც დაინერგა 2019 წლის თებერვალში, კარგად მუშაობს და შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა დამტკიცებული საკრედიტო ანაზღაურების რაოდენობაც და თანხაც. ავტომატურად დამტკიცებული საკრედიტო დეკლარაციების რაოდენობამ 90 პროცენტს გადააჭარბა. მოთხოვნილი ფულადი თანხის დაბრუნების მოცულობა კვლავ რჩებოდა დაბალი, მთლიანი კრედიტების მხოლოდ 28 პროცენტი დაბრუნდა[2],

[1] წყარო: შემოსავლების სამსახური
[2] წყარო: შემოსავლების სამსახური

რადგან გადასახადის გადამხდელებს უწინდებურად უნდა გაეგრძელებინათ ზემდეტად გადახდილ თანხის დაბრუნებაზე გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის/განაცხადების წარდგენა. თუმცა, 2019 წლის ივლისში, საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომელიც საშუალებას აძლევდა შემოსავლების სამსახურს საგადასახადო კრედიტით წარდგენილი დეკლარაციების შედეგად წარმოქმნილი ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება განხორციელებულ იყო გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის გარეშე. 2020 წლის 16 ნოემბრიდან დაწყებული[1], საქართველოს შემოსავლების სამსახური იყენებს ამ სიახლეს დღგ-ს დაბრუნებაზე. რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების გავლენა მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე

აღსანიშნავია, რომ 2010-2022 წლებში საქართველოში სულ ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნებებში, დღგ-ის დაბრუნების საშუალო თანაფარდობის მაჩვენებელი შეადგენს 98,1%-ს. ხოლო, იგივე პერიოდში დღგ-ის შემოსავლების საერთო საგადასახადო შემოსავლებში საშუალო წლიური თანაფარდობის წილი შეადგენს 43,7%-ს[2].

თუ, დავაკვირდებით 2010-2022 წლების მონაცემებს, ჯამურად დიდი წილი დღგ-ის დაბრუნებებისა მოდის მომსახურების სექტორზე - 61%, მრეწველობაზე - 32% და სოფლის მეურნეობაზე - 3% (იხ. დიაგრამა 2).

[1] 2019 წლის 14 თებერვლის საქართველოს ფინანსთა მინისტრის #42 ბრძანება (მუხლი 7, პუნქტი 1[1])
[2] წყარო: შემოსავლების სამსახური

დიაგრამა 2.



თუ დავაკვირდებით ცხრილი 1-ის მონაცემების ზოგიერთ ტრენდს, ვნახავთ, რომ თუ 2017 წელს დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნებამ შეადგინა 217,8 მლნ ლარი, 2022 წელს ეს მაჩვენებელი გაზრდილია 10-ჯერ. შესაბამისად, დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნების თანაფარდობა GDP-სთან თუ 2017 წელს 0,6% შეადგენს, 2022 წლისათვის მისი მაჩვენებელი გაზრდილია 5 ჯერ და შეადგენს 3,2%-ს.

დღგ-ის შემოსავლებიც მზარდია, თუ 2017 წელს მისი თანაფარდობა GDP-სთან 2,78%-ს შეადგენს, 2022 წელს გაორმაგებულია და 5,33%-ი შეადგინა.

ცხრილი 1.

დღგ-ის მონაცემი ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე საქართველოში, 2017-2022წ.

	2017	2018	2019	2020	2021	2022
GDP (მიმდინარე ფასი. მლნ ლარი)	40,761.7	44,599.3	49,252.7	49,266.7	60,003.3	71,754.2
საბოლოო მოხმარება, შინამეურნეობები	27,213.8	29,728.4	33,864.2	38,663.1	48,847.8	53,613.4
დღგ-ის შემოსავლები (მლნ. ლარი)	4122.6	4426.9	5239.0	4837.2	6029.5	7452.9
დღგ-ის ზედმეტობის დაბრუნებები (მლნ.	217.8	509.4	608.5	1026.4	1908.1	2208.4
დღგ-ის განაკვეთი	18	18	18	18	18	18
დღგ-ის დაბრუნების თანაფარდობა GDP-	0.6	1.2	1.2	2.1	3.2	3.2
დღგ-ის შემოსავლის თანაფარდობა GDP-	2.78	2.67	3.58	4.58	5.33	5.33
დღგ-ის თანაფარდობა საბოლოო	3.22	2.95	3.97	4.91	5.85	5.85
დღგ-ის შემოსავლის თანაფარდობა საგადასახადო შემოსავლებთან	42.2	42.1	45.9	44.1	45.1	42.9

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, შემოსავლების სამსახური, სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზედმეტად გადახდილი გადასახადების სწრაფმა და შეუფერხებელმა დაბრუნებამ პირველ რიგში უნდა გაზარდოს კომპანიების საბრუნავი საშულებები და სხვა თანაბარ პირობებში მას გავლენა უნდა ქონდეს როგორც მოხმარებაზე, ისე ექსპორტის წახალისებაზე და ინვესტიციების ზრდაზე. საქართველოს მაგალითზე გავაანალიზოთ ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების მომხმარებაზე გავლენა, რომელიც თავის მხრივ ძირითადად დამოკიდებულია ქვეყნის მოქალაქეების მთლიან შემოსავალზე, ანუ GDP-ზე. ამ კავშირის დადგენაში და შეფასებაში გამოყენებულია წლიური მონაცემები 2010-2022 წლებისათვის (ცხრილი 2).

ცხრილი 2.

წელი	CO	GDP	REF
2010	20,316.20	26,640.66	122.37
2011	22,135.87	28,601.59	64.58
2012	23,060.20	30,436.89	132.65
2013	23,646.58	31,537.36	81.09
2014	24,998.97	32,938.10	89.05
2015	25,946.34	33,935.02	106.92
2016	24,478.79	34,921.11	141.84
2017	26,287.04	36,612.46	181.12
2018	27,814.61	38,385.51	408.97
2019	29,821.06	40,298.01	459.99
2020	32,436.87	37,573.69	739.96
2021	37,126.13	41,505.98	1,253.22
2022	36,440.24	45,701.70	1,314.85

შენიშვნა: მონაცემები მუდმივ ფასებში, მლნ ლარში; CO -მოხმარება, REF - ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნება

როგორც კორელაციური ანალიზი გვიჩვენებს ამ ცვლადებს შორის კავშირი საკმაოდ მაღალია და დაბრუნებებსა და მოხმარებებს შორის კორელაცია 95%-საც კი აღწევს (ცხრილი 3).

ცხრილი 3.

Covariance Analysis: Ordinary Sample: 2010 2022 Included observations: 13			
Correlation	REF	CO	Y
REF	1.00		
CO	0.95	1.00	
Y	0.83	0.92	1.00

თუმცა, რაოდენობრივი ანალიზის ჩატარება აღნიშნულ მწკრივებზე არ არის გამართლებული არსებული მოდიფიკაციით, რადგან სამივე მათგანი ე.წ. განშლადი (არასტაციონალური) მწკრივებია და რეგრესიული ანალიზისათვის შედეგების დამახინჯებას გამოიწვევს.

სტანდარტული ერთეულოვანი ფესვის (Unit root) ტესტის საფუძველზე დავტესტეთ აღნიშნული მწკრივები და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი სტაციონალურები ხდებიან პირველ განსხვავებაზე, ანუ არიან I(1) პროცესები.

ცხრილი 4.

Null Hypothesis: D(Y) has a unit root
Exogenous: Constant
Lag Length: 1 (Automatic - based on SIC, maxlag=2)

		t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic		-4.648659	0.0061
Test critical values:	1% level	-4.297073	
	5% level	-3.212696	
	10% level	-2.747676	

*MacKinnon (1996) one-sided p-values.
Warning: Probabilities and critical values calculated for 20 observations and may not be accurate for a sample size of 10

Null Hypothesis: D(CO) has a unit root
Exogenous: Constant
Lag Length: 0 (Automatic - based on SIC, maxlag=2)

		t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic		-2.937242	0.0725
Test critical values:	1% level	-4.200056	
	5% level	-3.175352	
	10% level	-2.728985	

*MacKinnon (1996) one-sided p-values.
Warning: Probabilities and critical values calculated for 20 observations and may not be accurate for a sample size of 11

Unit root test results

Unit Root with Break Test on D(REF)

Null Hypothesis: D(REF) has a unit root
Trend Specification: Trend and intercept
Break Specification: Intercept only
Break Type: Innovational outlier

Break Date: 2020
Break Selection: Minimize Dickey-Fuller t-statistic
Lag Length: 1 (Automatic - based on Schwarz information criterion, maxlag=2)

		t-Statistic	Prob.*
Augmented Dickey-Fuller test statistic		-6.500254	< 0.01
Test critical values:	1% level	-5.347598	
	5% level	-4.859812	
	10% level	-4.607324	

*Vogelsang (1993) asymptotic one-sided p-values.

აღსანიშნავია 2 ფაქტორი: მოხმარების (CO) შემთხვევაში იგი სტაციონალურია პირველ სხვაობაზე მხოლოდ 10%-იან დონეზე, თუმცა მონაცემების რაოდენობის სიმწირის გათვალისწინებით შესაძლებელია მისი რეგრესიაში გამოყენება. დაბრუნებების შემთხვევაში, რადგან მწკრივს 2020 წლიდან მოყოლებული (ზემოთაღწერილი რეფორმის გამო) აქვს მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილება (break), გამოყენებული იყო ერთეულოვანი ფესვი ბრეიქით (breakpoint unit root test), სადაც 2020 წელი მითითებული იყო როგორც ერთჯერადი დონის ცვლილება. აღნიშნული ტესტის მიხედვით დაბრუნებების მწკრივი რეფორმის გათვლისწინებით სტაციონალურია პირველ განსხვავებაზე.

მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინეთ, რომ საანალიზო მონაცემები სტაციონალური იყო პირველ განსხვავებაზე, შესაძლებელია რაოდენობრივ ანალიზში გამოყენებული იყოს ე.წ. ცდომილების შესწორების მეთოდი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ცვლადებს შორის აღმოჩნდა გრძელვადიანია თანაკავშირი ე.წ. კოინტეგრაცია (cointegration).

როგორც იოჰანსონის ტესტი გვიჩვენებს, ამ სამ ცვლადს შორის არსებობს კოინტეგრაციის 1 ვექტორი, რაც საშუალებას გვაძლევს რეგრესიული ანალიზისას განოვიყენოთ ცდომილების შესწორების მეთოდი.

ცხრილი 5.

იოჰანსონის კოინტეგრაციის ტესტი.

Johansen Cointegration Test

Date: 07/21/23 Time: 11:53
Sample: 2010 2022
Included observations: 13
Lags interval (in first differences): 1 to 1
Endogenous variables: CO REF Y
Deterministic assumptions: Case 3 (Johansen-Hendry-Juselius): Cointegrating relationship includes a constant. Short-run dynamics include a constant.

Rank Tests

Unrestricted Cointegration Rank Test (Trace)

Hypothesized No. of CE(s)	Eigenvalue	Trace Statistic	0.05 Critical Value	Prob.** Critical Value
None *	0.927517	39.63499	29.79707	0.0027
At most 1	0.621200	10.76651	15.49471	0.2263
At most 2	0.007994	0.088285	3.841465	0.7664

Trace test indicates 1 cointegrating equation(s) at the 0.05 level
* denotes rejection of the hypothesis at the 0.05 level
**MacKinnon-Haug-Michelis (1999) p-values

მას შემდეგ, რაც აღმოვაჩინეთ რომ ცვლადები პირველ განსხვავებაზე არიან სტაციონალურები და მათ შორის არსებობს კოინტეგრაცია, შესაძლოა ჩვენ გამოვიყენოთ ენგელ გრეინჯერის 2 საფეხუროვანი მიდგომა: შევაფასოთ რეგრესია არასტაციონალურ მწკრივებზე:

$$y_t = \beta_0 + \beta_1 x_t + \varepsilon_t \qquad (1)$$

სადაც, y არის დამოკიდებული ცვლადი, ხოლო x დამოუკიდებული. რეგრესია (1)-დან ამოვიღოთ ნარჩენობითი წევრი (რეზიდუალი) და იგი გამოვიყენოთ შემდეგ საფეხურზე ე.წ. შეზღუდული ცდომილების კორექციის მოდელის ასაგებად.

ამისათვის, შეფასებული რეზიდუალი უნდა ჩავსვათ ახალ რეგრესიაში 1 პერიოდის ლაგით, სადაც გამოყენებული იქნება დამოკიდებული და დამოუკიდებელი წევრების პირველი განსხვავებები.

$$A(L)\,\Delta y_t = \gamma + B(L)\,\Delta x_t + \alpha\hat{\varepsilon}_{t-1} + \nu_t. \qquad (2)$$

რეგრესია (2) წარმოადგენს ცდომილების კორექციის მოდელის ტიპურ შემთხვევას, რომელიც გამოყენებულია ჩვენს შემთხვევაში დაბრუნებების მოხმარებაზე გავლენის შესაფასებლად.

ჩვენს რეგრესიას აქვს შემდეგი ფორმა:

ცხრილი 6.

Dependent Variable: LOG(CO)-LOG(CO(-1))
Method: Least Squares
Date: 07/21/23 Time: 11:55
Sample (adjusted): 2011 2022
Included observations: 12 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
LOG(Y)-LOG(Y(-1))	0.661776	0.247533	2.673487	0.0255
LOG(REF)-LOG(REF(-1))	0.051604	0.032473	1.589146	0.1465
RESID01(-1)	-0.762836	0.310948	-2.453261	0.0366

R-squared	0.205799	Mean dependent var	0.048688
Adjusted R-squared	0.029309	S.D. dependent var	0.050320
S.E. of regression	0.049577	Akaike info criterion	-2.958243
Sum squared resid	0.022121	Schwarz criterion	-2.837017
Log likelihood	20.74946	Hannan-Quinn criter.	-3.003126
Durbin-Watson stat	1.607019		

სადაც, RESID01 წარმოადგენს მოხმარებას, GDP-ს და დაბრუნებებს შორის დონეებზე გაკეთებული მოდელი თავის გრძელვადიან წონასწორობას და იმისათვის, რომ ცდომილების შესწორების მოდელი იყოს სტაბილური, აღნიშნული კოეფიციენტი უნდა იყოს უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენი მოდელი აკმაყოფილებს.

როგორც რეგრესიიდან ჩანს, დაბრუნებების კოეფიციენტი მხოლოდ 15%-იანი ალბათობით არის მნიშვნელოვანი, თუმცა მასში არსებული ცვლილებებისა (breaks) და შესაფასებელი რეგრესიის თავისუფლების ხარისხის სიმცირის გამო, მაინც შესაძლებელია მოვახდინოთ მისი ინტერპრეტაცია.

არსებული კოეფიციენტი წარმოადგენს მოკლევადიან ელასტიკურობებს (რადგან ცვლადები აღებულია ლოგარითმის ქვეშ) და შეიძლება ინტერპრეტირდეს როგორც: ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნების 1%-ით ზრდა იწვევს მოხმარების 0.05%-ით ზრდას. 2022 წლის მონაცემებზე დაყრდობით რეალური დაბრუნების 1% იყო 13.1 მლნ ლარი, ხოლო რეალური მოხმარების 0.05% კი 18.8 მლნ ლარი.

ჩვენს შეფასებებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას რომ, დაბრუნებების 1 რეალური ლარით ზრდა იწვევს მოხმარების 1.4 ლარით ზრდას. შედეგად ვასკვნით, რომ ყოველ 13,15 მლნ ლარის ზედმეტობის გადამხდელთათვის დაბრუნება იწვევს მოხმარების ზრდას 18,8 მლნ ლარით.

დასკვნა

დღგ არის საგადასახადო სისტემების ძირითადი კომპონენტი მთელ მსოფლიოში. დღგ-ის დაბრუნების სისტემა გავლენას ახდენს როგორც მოხმარებაზე, ასევე GDP-ს დონეზე. გავლენა უფრო ძლიერია, თუ მას უკავშირდება მზარდი კერძო ინვესტიცია. ეკონომეტრიული ანალიზი ცხადყოფს, რომ ზედმეტად გადახდილი თანხები დაბრუნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მოხმარებაზე და GDP-ს დონეზე, უფრო ხელშესამჩნევია მომსახურების, მრეწველობის და სასოფლო-სამეურნეო სექტორში.

არაადეკვატურად განსაზღვრულმა საგადასახადო პოლიტიკამ შეიძლება შექმნას არახელსაყრელი ბიზნეს გარემო და გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე [1].

ამ ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც კარგი საინფორმაციო ბაზა პოლიტიკის შემქმნელებისთვის დღგ-ის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების და დღგ-ის შესრულების გაზრდისკენ მიმართული აქტივობების განხორციელებისას. მკაფიოდ განსაზღვრულ პოლიტიკას შეუძლია გააუმჯობესოს ქვეყნის განვითარება და კონკურენტუნარიანობა.

სახელმწიფომ უნდა გაზარდოს თავისი ძალისხმევა ბიზნესისათვის მათივე კუთვნილი ზედმეტად გადახდილი თანხების მყისიერად უკან დაბრუნებისთვის - რათა მოხდეს მათი სტიმულირება, ნაღდ ფულთან შეუფერხებელად/დროულად წვდომის მიზნით. აღნიშნული კი, ბიზნესისთვის საინვესტიციო ბუნების მნიშვნელობის შემძენია, ვინაიდან ახალისებს მოხმარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. How to Manage Value-Added Tax Refunds, International Monetary Fund, 2021,
2. Graham Harrison and Russell Krelove, VAT Refunds: A Review of Country Experience, 2017
3. Abramovsky, Phillips, Warwick, Redistribution, efficiency and the design of VAT: a review of the theory and literature, 2017

ელექტრონული გვერდი:

1. https://taxation-customs.ec.europa.eu/sites/default/files/taxation_trends_report.pdf.
2. http://www.vatlive.com/vat-rates/international-vat-and-gst-rates/.
3. https://www.nbs.rs/internet/cirilica/80/index.
4. https://taxation-customs.ec.europa.eu/system/files/2022-12/VAT%20in%20the%20Digital%20Age_Final%20Report%20Volume%202.pdf
5. https://www.geostat.ge/ka
6. https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

The Investment Nature of the Refund of Overpaid Taxes on the Example of Georgia

Levan Dgebuadze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

VAT is a key component of the tax systems around the world. The VAT refund system affects both consumption and GDP level. The impact is even stronger if it is associated with increasing private investment. Econometric analysis reveals that the refund of overpayments has a significant impact on consumption and GDP levels, more noticeable in the services, industry and agricultural sectors.

An inadequately defined tax policy can create an unfavorable business environment and affect economic growth and development [1].

The findings presented in this paper can be used as a good information base for policy makers in implementing activities aimed at refunding VAT overpayments and increasing VAT compliance. Clear policies can improve country's development and competitiveness.

The government should step up its efforts to give businesses the prompt refund of their overpayments - to incentivize them to have smooth/timely access to cash. The above is important for business as an investment because it renews consumption and GDP level of country.

ქართული საოჯახო ღვინის ტურიზმი: განვითარების შესაძლებლობები, გამოწვევები და მათი დაძლევის გზები

ინეზა ვაწაძე
ტურიზმის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მანანა ალადაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაია ხეჩიკაშვილი
გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღვინის ტურიზმი მსოფლიოში მიჩნეულია ტურიზმის მდგრად სეგმენტად და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობაში დომინირებს საოჯახო მეურნეობები, რომლებიც თავიანთი საქმიანობის მოცულობის შესაბამისად მიეკუთვნებიან მცირე მასშტაბის მეურნეობებს. როდესაც ქართული ღვინის ტურიზმზე ვმსჯელობთ, ჩვენ ვთვლით, რომ საკითხი ეხება მცირე საოჯახო მევენახეობა-მეღვინეობის საწარმოებს. საქართველოში არსებობს საოჯახო ღვინის ტურიზმის განვითარების უნიკალური შესაძლებლობები, რომელთაგან მნიშვნელოვანია ტურისტის ურთიერთობა მევენახეობა-მეღვინეობის საწარმოო პერსონალთან, რის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა საოჯახო მეურნეობები. ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე დადგენილი იქნა ძირითადი მოტივები, რომელთა გამო ტურისტები ერთვებიან ღვინის ტურიზმში. შესაბამისად გამოიკვეთა კვლევის მიმართულება და მეთოდი. კვლევის მეთოდად გამოყენებული იყო სატელეფონო გამოკითხვა (ინტერვიუ), ხოლო გამოკითხვა ეხებოდა ღვინის ტურისტული პროდუქტის მწარმოებლების საჭიროებებს. გამოიკვეთა ღვინის ტურისტული პროდუქტის მწარმოებლების საჭიროებანი, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ღვინის ტურიზმის განვითარების და ღვინის ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

საკვანძო ტერმინები: *ღვინის ტურიზმი, მევენახეობა-მეღვინეობა, ღვინის ტურისტული პროდუქტი, საოჯახო მეურნეობები*

ღვინის ტურიზმის არსი ასახულია დღეისათვის ყველაზე მეტად გავრცელებულ ღვინის ტურიზმის ცნების განმარტებაში. ამ განმარტების მიხედვით ღვინის ტურიზმი არის ვენახებისა და ღვინის საწარმოების მონახულება და დათვალიერება, ფესტივალებსა და ღვინისადმი მიძღვნილ სხვა ღონისიებებზე დასწრება, რომლის დროსაც ვიზიტორთა ძირითადი სამოტივაციო ფაქტორია ღვინის დეგუსტაცია და რეგიონის მევენახეობა-მეღვინეობის ატრიბუტების გაცნობა [Hall and Macionis 1998, Hall et al. 2000, Carlsen and Charters 2006].

ღვინის ტურიზმი არის ტურისტული მომსახურება, რომელსაც ტურისტი ყიდულობს ღვინის ტურისტული პროდუქტის მწარმოებლისგან იმ მიზნით, რომ მისი მოხმარებით დაიკმაყოფილოს მევენახეობასა და მეღვინეობასთან დაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების გაცნობის სურვილი დასვენებისათვის დამახასიათებელ სასიამოვნო გარემოში.

დღეისათვის ღვინის ტურიზმი აღმავლობის გზაზეა და წარმოადგენს ტურიზმის მდგრად სეგმენტს მთელ მსოფლიოში საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით ტურიზმის განვითარების

სტრატეგია ღვინის ტურიზმს მიიჩნევს ტურიზმის რეგიონალური განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად [Taylor R, 2006). ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღვინის საწარმოების, როგორც მოსანახულებელი ადგილების განვითარებასა და მარკეტინგში (Getz & Braun, 2006; Petrevska & Deleva, 2014).

ლიტერატურის მიმოხილვა. ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებითა და ისტორიულ-კულტურული რესურსების სიმრავლით საქართველო ერთ-ერთი უნიკალური ქვეყანაა ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის. საქართველოს აქვს ყველა სიკეთე, რაც აუცილებელია ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის: მეღვინეობა-მევენახეობის ისტორია, ღვინის წარმოების უნიკალური ტექნოლოგია, ვაზის ჯიშების სიმრავლე და ბუნებრივი პირობები, რომელიც ხელს უწყობს უნიკალური ღვინის წარმოებას. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქვევრის ღვინის დაყენების მეთოდი შევიდა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში[1].

ღვინის ეროვნული სააგენტოს 2023 წლის ანგარიშის მიხედვით მიმდინარე წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით, მსოფლიოს 56 ქვეყანაში საქართველოდან ექსპორტირებულია 43,4 მლნ ლიტრი ღვინო, ზრდა 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 27%-ია. ღვინის ექსპორტით მიღებული შემოსავალი გაიზარდა 26%-ით და 126,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.[2]

საქართველოში ბოლო პერიოდის განმავლობაში სულ უფრო ხშრად ტარდება ღვინის თემატიკის უამრავი ფესტივალი, ღონისძიება, გამოფენა და კონკურსი, რაც ხელს უწყობს ღვინის ტურიზმით დაინტერესებული ტურისტების მოზიდვას. წელს მეორედ, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით იმართება ფესტივალი „ღვინის დღები 2023“, რომელშიც 23 მუნიციპალიტეტში 850 მეღვინე ერთი კვირის განმავლობაში მიიღებს მონაწილეობა. მეხუთედ ტარდება „ქართული ღვინის ფესტივალი“ „მეიდან ჯგუფთან“ ერთად. 21 ოქტომბერს, „ღვინის კლუბი“ ქართული ღვინის დღეების, „ღვინობისთვე 2023“-ის ფარგლებში, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ატარებს საფესტივალო აქციას: „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე 2023“.

ასევე, მეორედ მასპინძლობს საქართველო მსოფლიოში ღვინის და ალკოჰოლური სასმელების ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კონკურსს IWSC 2024 Wine Judging jn Georgia. გასულ წელს, კონკურსზე **დარეგისტრირებული ქართული 487 ღვინიდან მედალი გადაეცა 288 ღვინოს (16 ოქრო, 63 ვერცხლი და 209 ბრინჯაო). მნიშვნელოვანია, რომ დარეგისტრირებულ150 საწარმოს შორის უმეტესობა იყო მცირე და საშუალო მარნები[3].**

ფესტივალები, გამოფენები და კონკურსები საშუალებას აძლევს საოჯახო მარნებს შესთავაზონ თავიანთი პროდუქცია როგორც ქართველ მომხმარებლებს, ასევე ქართული ღვინის ექსპორტით დაინტერესებულ უცხოელებს.

მსოფლიო მეღვინეობაში დომინირებს საოჯახო მეურნეობა [Rauhut Kompaniets O, & Nilson H, 2019]. ასევეა საქართველოშიც. მაგალითად ე, ხარაიშვილის გამოკვლევით საქართველოში მევენახეობაში დასაქმებული მეურნეობის 75%-ზე მეტი მცირე მასშტაბისაა [ხარაიშვილი ე, 2017] ფერმერებს არა აქვთ ინფორმაცია ბაზრების შესახებ, უმეტესობას არა აქვს განათლება ფერმერული მეურნეობის სფეროში, განიცდიან წარმოებისათვის საჭირო რესურსების ნაკლებობას. დაბალია ყურძნისა და ღვინის წარმოების რაოდენობა ვენახებით დაკავებული მიწის ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით, კერძოდ ერთ ჰექტარზე 19 ჰექტოლიტრი, ე. ი 1900 ლ ღვინო იწარმოება, მაშინ როდე-

[1] https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870
[2] https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/15389
[3] https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/iwsc-is-zhiurim/437499

საც მევენახეობა-მეღვინეობის ახალ ქვეყნებში იწარმოება 62 ჰექტოლიტრი, ე. ი 3,2-ჯერ უფრო ნაკლები. წარმოების მცირე მასშტაბები მნიშვნელოვნად ზღუდავს ფინანსურ რესურსებს, კვალიფიციურ სამუშაო ძალასა და სხვა ფაქტორებზე ხელმისაწვდომობას და ა. შ.

ავტორი თვლის, რომ ასეთ ვითარებაში აქტუალურია მევენახეობა-მეღვინეობაში კოოპერატივების ფორმირება. გამოკითხულ ფერმერთა და მეღვინეთა უმეტესობისთვის დღეისთვის დარგში არსებული კოოპერატივების ფორმა არაფორმალური გაერთიანებით უფროა წარმოდგენილი, ვიდრე ლეგალური სტატუსის სახით. საოჯახო მეურნეობისა და მცირე ღვინის ქარხნებზე დაკვირვებით დაადგინა, რომ მათ აქვთ დაბალი შემოსავალი, რაც ზღუდავს ინვესტიციებსა და კრედიტებზე ხელმისაწვდომობას, საკუთარი თუ დაქირავებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, წარმოებულ ყურძნისა და ღვინის რეალიზაციის შესაძლებლობას. მკვლევარს მიაჩნია, რომ მევენახეობა-მეღვინეობის სექტორში მცირე მასშტაბის ფერმერებისა და ღვინის მწარმოებელთა კოოპერატივებად გაერთიანება გამოიწვევს: საბითუმო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, სამეურნეო რესურსების (სასუქის, შხამქიმიკატების და ა. შ. დიდი რაოდენობით შესყიდვის დროს შესაძლებელი იქნება დანახარჯების შემცირება) შეძენაზე გაწეული ხარჯების შემცირებას, მიწისა და ტექნიკური საშუალებების გაერთიანება მნიშვნელოვნად გაზრდის მწარმოებლურობას. მევენახეობაში კოოპერატივების შექმნა მნიშვნელოვნად შეამცირებს ღვინის კომპანიებზე დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ღვინის ფასის მიხედვით, გაიზრდება საექსპორტო ბაზრებზე წვდომის, ასევე დამატებითი ცოდნისა და რესურსების მიღების შესაძლებლობები და ა. შ. [ხარაიშვილი ე., 2017]

გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ღვინის ტურით მიღებული შთაბეჭდილების შექმნაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირადი ურთიერთობები, რომელიც ყალიბდება ტურისტსა და მეღვინეს, ასევე ღვინის საწარმოს პერსონალს შორის. ტურისტები მოითხოვენ, რომ ყურადღებით ეპყრობოდნენ ტურის დროს. ამ ნიშნის მიხედვით ტურისტები ღვინის დიდ საწარმოს სტუმრობასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ მცირე საწარმოების დათვალიერებას, სადაც უფრო თბილად ღებულობენ მას, ხოლო ღვინის საწარმოს დათვალიერების დროს გაწეული კარგი მომსახურება შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი ამ საწარმოში განმეორებითი სტუმრობისთვის. [Roberts L. and Sparks B, 2006].

ამავე ავტორების კვლევაში გამოკითხულთა ყურადღების ცენტრში იყო ღვინის დეგუსტაცია, ნაწილი ღვინოსთან ერთად ინტერესდებოდნენ ადგილობრივი საკვები პროდუქტებით, ნაწილი დაინტერესებულია რეგიონის ხელოსნური ნაწარმით, მაგალითად ხის დამუშავების საგნებით. აღმოჩნდა, რომ რეგიონის ვიზიტორთათვის ტურით განცდილი შთაბეჭდილებების გაძლიერების თვალსაზრისით რეგიონის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს. რესპონდენტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ინფორმაციის სამ წყაროს: ბეჭდვითს, საინფორმაციო ცენტრებიდან მოწოდებულს და ხალხში გავრცელებულ ხმებს.

გამოკითხულთ უმრავლესობისათვის ღვინის ტური საინტერესო აღმოჩნდა არა მხოლოდ ღვინის ასპექტში, არამედ იმითაც, რომ დატკბა ბუნებით და ადგილობრივი სილამაზით, გაეცნო რეგიონის ისტორიას. რეგიონის, ღვინისა და საჭმლის გაცნობა, საუბარი ადგილობრივ მოსახლეობასთან, ურთიერთობა ღვინის საწარმოს თანამშრომლებთნ, ღვინისა და საჭმლის შეხამების საჭიროების გაცნობა, ყველაფერი ერთად ქმნის ტურის შესახებ სასიამოვნო მოგონებების შესალებლობას [Roberts L. and Sparks B. 2006].

ამრიგად, ლიტერატურის მიმოხილვით ირკვევა, რომ მსოფლიოს მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში ღვინის ტურიზმი, როგორც პრაქტიკული საქმიანობა, მიზნად ისახავს ღვინის ტურისტული პროდუქტის წარმოებას და მოხმარებას. ღვინის ტურიზმი წარმო-

ადგენს ბიზნესის წარმოების შედარებით ახალ სფეროს. მისი განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას. ღვინის ტურისტული ბიზნესის ძირითადი მიზანია ღვინის ტურისტული პროდუქტის წარმოებასა და რეალიზაციის ეფექტიანობის სისტემატური გაზრდა, რაც ნიშნავს ერთის მხრივ, ღვინის ტურისტულ პროდუქტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მეორეს მხრივ, ღვინის ტურისტული პროდუქტის წარმოებისა და რეალიზაციისაგან მიღებული მოგების გაზრდას. ქართული საოჯახო ღვინის ტურიზმში არსებული პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი დაძლევის გზების ძიება წარმოადგენს წინამდებარე სტატიის ძირითად მიზანს.

გამოკვლევის მეთოდი. პრობლემების გამოსაკვეთათ მოვახდინეთ ღვინის საოჯახო მარნების გამოკვლევა, რისთვისაც გამოვიყენეთ როგორც Google Drive-ის აპლიკაცია, ასევე რაოდენობრივი კვლევის გავრცელებული მეთოდი-მასობრივი გამოკითხვა, რაც ხორციელდებოდა რეგიონებში ღვინის ტურისტული პროდუქტის მწარმოებელთა სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით და სპეციალურად შედგენილი ანკეტების დამუშავებით მივიღეთ საინტერესო შედეგები.

კვლევის შედეგები. საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2023 წლის ოქტომბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 842 ღვინის საწარმო, აქედამ 6 მსხვილი საწარმოა, 27 საშუალო და 809 მცირე.[1] მიუხედავად იმისა, რომ კითხვარი დაეგზავნა თითქმის ყველა მოქმედ კომპანიასა და მარანს, აქტიურობის მაჩვენებელი დიდი მაინც არ იყო, თუმცა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები მაინც გამოიკვეთა. სულ გამოკითხული იყო 144 რესპონდენტი (კითხვების რაოდენობა 12). ორი ანუ 1,4% იყო მსხვილი საწარმო, ექვსი საწარმო (4,2%) იყო საშუალო ღვინის კომპანია. 136 (94,4%) საოჯახო ტიპის მარანი, აქედან ღვინის ტურიზმს ეწეოდა 122 (84,7%) საწარმო, მხოლოდ ღვინის წარმოებით დაკავებული იყო 22 საწარმო (15,2%), (თუმცა აქედან 13 მეწარმე მომავალში ფიქრობდა ღვინის ტურიზმის წარმოებას), ამიტომ შემდგომი გამოკითხვა გავაგრძელეთ ღვინის ტურიზმის მწარმოებლებთან.

ტურისტებს ღვინის დეგუსტაციას სთავაზობდა 122-ივე მარანი, მარნის დათვალიერებას და ღვინის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაცნობას 93%, ვენახების დათვალიერებას და რთველში მონაწილეობას 91, 8%, ღამისთევას კვებითი მომსახურებით - 19,6%, ღამისთევას კვებითი მომსახურების გარეშე 21,3%, სხვა მომსახურებას (მხოლოდ კვებას ღამისთევის გარეშე)-38%.

კითხვაზე, რამდენი ტურისტის მიღება შეგიძლიათ საშუალოდ - 11,4%-ს შეუძლია 10 კაცის მიღება, 37,7%-ს 15-დან 20კაცამდე, 30,3%-ს 25-დან 30 კაცამდე, 40-დან 50 კაცამდე 13 %-ს, ხოლო 70-ზე მეტი ტურისტის მიღება შუძლია 7,3%-ს.

კითხვაზე გაამართლა თუა არა თქვენი მოლოდინები ღვინის ტურიზმმა, რესპონდენტების 89%-მა უპასუხა, რომ მთლიანად გაამართლა, 9,8 %-ს ნაწილობრივ გაუმართლდა იმედები და მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა გასცა უარყოფითი პასუხი.

კითხვაზე, თუ რამდენია ტურის საშუალო ღირებულება კაცზე, პასუხები ასეთი იყო: თუ მხოლოდ დეგუსტაცია უნდათ - 25-30 ლარი, დეგუსტაცია კვებასთან ერთად - 70-150 ლარი და ამ მომსახურების შეთავაზება მარნების 26,2% -ს შეუძლია, 3,2%-მა გვიპასუხა, რომ ტურის საშუალო ღირებულება კაცზე არის 150 ლარი და მეტი.

ტურისტები ძირითდად იყვნენ საქართველოდან, ყოფილი საბჭოთ კავშირის ქვეყნებიდან, აზიიდან, ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. კითხვაზე თუ რა გავლენას ახდენს ღვინის ტურისტთა სტუმრობა ღვინის ადგილზე გაყიდვაზე, რესპონდენტთა 86 %-მა უპასუხა, რომ ახდენს

[1] http://br.geostat.ge/register.geo/

არსებით გავლენას, 9%-ის აზრით ახდენს უმნიშვნელო გავლენას, ხოლო 4,9%-ის აზრით არ ახდენს არსებით გავლენას. თუმცა ყველა რესპონდენტს მიაჩნია მეღვინეობისა და ტურიზმის მჭიდრო კავშირის გარეშე ღვინის წარმოება არსებითად შემცირდება.

საოჯახო მარნების ღვინის ტურისტულ ბიზნესის დიდ უმრავლესობაში ჩაბმული არიან ოჯახის წევრები. გამოკითხულ რესპონდენტთა 72, 9%-ს აქვს კვალიფიციური მუშახელის პრობლემა. ღვინის წარმოებას და ღვინის ტურიზმს ერთნაირი სარგებელი მოაქვს 80,3%-სთვის, უფრო მეტი სარგებელი მოაქვს ღვინის წარმოებას 5,7%-სთვის, უფრო მეტი ღვინის ტურიზმს 4,9%-სთვის, არ აქვს გარკვეული 9%-ს. მეწარმეებს ღვინის ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროდ მიაჩნიათ ფინანსური დახმარება (89,3%), თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება (72,9%), ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (62,2%) და იაფი კრედიტი.

დასკვნები და რეკომენდაციები. ლიტერატურული წყაროების შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ ტურისტები ღვინის დიდ საწარმოს სტუმრობასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებენ მცირე საოჯახო საწარმოების დათვალიერებას, სადაც უფრო თბილად ღებულობენ მას. საოჯახო ღვინის ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი პირობა ადამიანების პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაა.

როგორც ვნახეთ, გამოკითხული 144 მარნიდან 122 მარანი დაკავებულია ღვინის ტურიზმით, და 89 %-ის აზრით ღვინის ტურიზმმა მთლიანად გაამართლა მათი მოლოდინები. მნიშვნელოვანია ასევე, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა 86%-მა დაადასტურა, რომ ღვინის ტურისტთა სტუმრობა არსებით გავლენად ახდენს ღვინის ადგილზე გაყიდვაზე. ღვინის წარმოებას და ღვინის ტურიზმს ერთნაირი სარგებელი მოაქვს 80,3%-სთვის, აღსანიშნავია ასევე, რომ ყველა რესპონდენტს მიაჩნია მეღვინეობისა და ტურიზმის მჭიდრო კავშირის შედეგად გაიზრდება ღვინის წარმოება.

ჩვენი აზრი საოჯახო ღვინის ტურიზმი სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს და გააჩნია განვითარების დიდი პოტენციალი. ღვინის ტურიზმის, როგორც საოჯახო ბიზნესის ობიექტით, როგორც სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით უნდა დაინტერესდეს სახელმწიფო და უფრო აქტიური ნაბიჯები უნდა გადადგას მცირე მარნების დასახმარებლად:

- დაეხმაროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში
- უნდა შეიქმნას მცირე მარნებზე მორგებული გრძელვადიანი ფინანსირების პროგრამები
- საბანკო სექტორი უნდა დაეხმაროს მცირე და საშუალო მარნებს დაბალპროცენტიანი სესხების აღებაში
- კარგი იქნება თუ მცირე მარნების მფლობელთათვის დაიწყება საგანმანათლებლო პროექტები (პროფესიონალი კადრების გადამზადება, უცხო ენაში მომზადება).
- მნიშვნელოვანია ქართული ღვინის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ამიტომ კარგი იქნება შეიქმნას ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, სადაც განთავსდება ვიდეომიმოხილვები მარნების შესახებ.
- ასევე კარგი იდეაა ონლაინ მაღაზიები, რომლებიც ღვინის მოყვარულებისათვის უკვე მარტივად არის ხელმისაწვდომი. ეს იქნება კარგი რეკლამა და გაიზრდება საოჯახო მარნების ცნობადობა, რაც საშუალებას მისცემს საოჯახო მარნებს მიიზიდონ როგორც ადგილობრივი, ასევე ღვინის ექსპორტით დაინტერესებული უცხოელები.

საოჯახო მეურნეობებისათვის მევენახეობა-მეღვინეობა ტრადიციული დარგია, ხოლო ტურიზმი ინოვაციას წარმოადგენს. ღვინის ტურიზმი უნდა ჩაითვალოს სტრატეგიად, რომელიც დაფუძნებულია მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ოჯახის ტრადიციული საქმიანობის და ტურიზმის, როგორც საოჯახო მეურნეობის ინოვაციური საქმიანობის ერთობაზე. ღვინის ტურიზმი განხილული

უნდა იქნეს საოჯახო მეურნეობის - საოჯახო მევენახეობა-მეღვინეობის და ტურიზმის ერთობლიობის ბიზნეს-მოდელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარაიშვილი ე., (2017), ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში, თბილისი, 204 გვ.
https://tsu.ge/assets/media/files/7/biblioteka/gvinis%20baz.pdf
2. Carlsen J., Charters S (2006) Global Wine Tourism : Reserch, Management and Marketing, London: [AB] pp.1-12
3. Getz, D. and Brown, G. (2006) Comparison and benchmarking between wine tourism destinations: lessons from a case study of the Okanagan Valley, British Columbia. International Journal of Wine Marketing, 18(2), 78-97 Retrived from https://www.deepdyve.com/lp/emerald-publishing/benchmarking-wine-tourism-development-the-case-of-the-okanagan-valley-JtAA9bHFZb
4. Hall C.M., Macionis N., Wine tourism in Australia and New Zealand, 1998, pp. 267–298
5. Hall, CM., Longo, A.M., Mitchell, R. and Johnson, G. (2000) Wine tourism in New Zealand. pp. 150–176
6. Petrevska B, Deleva S. (2014) Empirical Investigation on Gastronomy and Wine Tourism, Journal of Applied Economics and Business, 2 (4), 3-44. Retrived fromhttps://www.researchgate.net/publication/308037397-_Empirical_Investigation_on_Gastronomy_and_Wine_Tourism
7. Rauhut Kompaniets O, & Nilson H, (2019). Wine Tourism and Family Enterprises in Southern Sweden: Problems, Challenges and Potentials, Proceedings the 4th annual conferense of the international place branding association, Department of Planning and Regional Development, University of Thessaly, Volos, Greece, 2019, pp 243-263
8. Roberts L. and Sparks B. Enhancing the Wine Toirism Experience: the Customers Viewpoint (2006). Global Wine Tourism: Research, Management and Marketing Edited by Jack Carlsen and Stephen Charters pp 47-55
9. Taylor R. Wine Festivals and Tourism: Developing a Longitudinal Approach to Festival Evaluation (2006). Global Wine Tourism: Research, Management and Marketing Edited by Jack Carlsen and Stephen Charters p.179-195
10. https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870
11. https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/15389
12. https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/iwsc-is-zhiurim/437499
13. http://br.geostat.ge/register.geo/

Georgian Family Wine Tourism: Opportunities for Development, Challenges and Ways to Overcome Them

Ineza Vatsadze
Invitied Lecturer, Doctor of Tourism
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Manana Aladashvili
Invitied Lecturer, Academic Doctor of Business Administration
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Maia Khechikashvili
Invitied Lecturer, Academic Doctor of Geography
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Georgia has all the good things that are necessary for the development of wine tourism: the history of wine-growing, the unique technology of wine production, the abundance of grape varieties and the natural conditions that contribute to the production of unique wine.

Wine tourism is a relatively new field of business. Its development significantly contributes to solving socio-economic problems in rural areas. The identification of existing problems in Georgian family wine tourism and the search for ways to overcome them is the main goal of this article. In order to identify the problems, we investigated family wine cellars, for which we used a common method of quantitative research - a mass survey, which was carried out through telephone interviews of producers of wine tourism products in the regions.

Out of 144 wineries surveyed, 122 wineries are engaged in wine tourism, and 89% believe that wine tourism fully met their expectations. It is also important that 86% of the surveyed respondents confirmed that the visit of wine tourists has a significant impact on the sales of wine on the spot. Wine production and wine tourism have the same benefits for 80.3%, it is also worth noting that all respondents believe that wine production will increase as a result of the close connection between winemaking and tourism.

Family members are involved in the vast majority of family winery wine tourism businesses. 72.9% of the interviewed respondents have the problem of qualified labor, entrepreneurs consider financial assistance (89.3%), raising the qualifications of employees (72.9%), organizing the infrastructure (62.2%) and cheap credit necessary for the development of wine tourism.

In our opinion, family wine tourism is getting bigger and bigger and has great potential for development. The state should take more active steps to help small wineries:

- to help in order of infrastructure
- Long-term financing programs tailored to small wineries should be established
- Banking sector should help small and medium wineries to get low interest loans
- It would be good if educational projects were started for owners of small wineries (training of professional personnel, training in a foreign language).
- It is important to raise awareness about Georgian wine, so it would be good to create a single electronic platform where video reviews about wineries will be posted.
- Online stores are also a good idea, which are already easily accessible for wine lovers. This will be a good advertisement and will increase the awareness of family wineries, which will allow family wineries to attract both local and foreigners interested in exporting wine.

Key words: *wine tourism, viticulture-winemaking, wine tourism product, family farms*

The Strategic Role of Taiwan in the Globalized Business World

Rainer Wehner
Professor, Doctor of Philosophy
Technical University of Applied Sciences Würzburg-Schweinfurt

Recent discussions and publications about Taiwan often highlight the political controversy with China, while mostly overseeing its geopolitical and economic importance of the country. In the past, Taiwan often found itself in the focus of different invaders who valued the location of this small island. Nowadays, Taiwan plays a major role in the globalized business world, that's why China as well as the US show great interest in the country. Besides its geographic location and its political influence in the Western-Pacific, Taiwan has a leading position in the worldwide production of computer chips and semiconductors. Taiwan Semiconductor Manufacturing Corporation (TSMC), for example has a market share of 54% of the worldwide chip production. Together with some other Taiwanese chip producing companies the country is holding a worldwide market share of 63%. Based on that figures the country claims a strategic position on the world market because the highly specialized chips are produced only in Taiwan. As Taiwan is not accepted by the United Nations (UN) as a sovereign country, it is officially a part of China. Therefore, the Chinese President, Xi Jinping, wants to reunite Taiwan with China in the near future. The fact that Taiwan, as an open democratic country, does not want to reunite with autocratic China leads to massive tensions between the two countries. Accordingly, China tries to prevent Taiwan's international recognition and integration into international agreements and even threatens Taiwan to use military force. A reunition with China, either peaceful or hostile, will have worldwide impacts on the production and distribution of microchips.

Keywords: *China, Semiconductor, Chip, TSMC, Xi Jinping*

Introduction

While the conflict between China and Taiwan is evolving, the Chinese president Xi Jinping announced several times to solve the "Taiwan problem" (Huaxia, 2021). The "Taiwan problem" occurred in 1949 when the leader of the Chinese nationalist party Chiang Kai-shek lost in the civil war against Mao Zedong´s communist party and fled to Taiwan. Since that time Taiwan saw itself as a sovereign state and even as the legal representative of China. At latest when the UN appointed in 1971 the Peoples Republic of China as the legal representative, it was clear that Taiwan is legally a Chinese province. Even if Taiwan developed over years politically and economically as a sovereign country, it is not accepted by the UN. While Xi Jinping has always been highlighting his preference for a "peaceful reunification" based on a "one country, two systems" model, he also pointed out that Beijing will never promise to renounce the use of force and will take all necessary actions (Morris, 2022). Beijing's proposal of a "one country, two systems" model for Taiwan, which is also applied in Hongkong is rejected by both political parties in Taiwan. Chinas violent measures against the democratic institutions and the civil society in Hongkong have destroyed the illusions that Taiwan will ever accept this model. Furthermore, Beijing´s actions against Taiwan, like the permanent violation of Taiwanese territory, over the past years have made a peaceful reunification towards a "One China" politically unfeasible (Yang, 2022). A forced takeover of Taiwan by the Chinese will on the other side cause a political and economic disaster, because the U.S. president recently stated that U.S. forces will defend Taiwan in case of a Chinese military invasion (Brunnstrom & Hunni-

cut, 2022). As this paper focuses on the strategic role of Taiwan and especially on the influence on the world market, the conflict between China and the U.S. is not the main topic. Even Taiwan is a small island it is an interesting country in many respects. With 65% Taiwan is dominating the world market for computer chips. Added to this are the country's geological location in the western Pacific and its pro-U.S. attitude. A Chinese takeover will therefore give Beijing the control of one of the most important industries in the world as well as a wider control of the Western Pacific. For that reason, the author tries to answer the following research question: "Why is Taiwan of strategic importance for the world market". The fact that there is little research being done on that topic creates a research gap, the author is trying to resolve. The paper follows the literature research method. To get a better insight into the topic, it is based on qualitative research methods and contains little quantitative data. The research therefore it is based on secondary sources, papers, statistics, and online publications.

Historical Background and Geopolitical importance

To get an insight into the complicated relationship between China and Taiwan the author starts with a brief historical and geopolitical introduction. Taiwan is located in a strategically valuable position in the Western Pacific. It is an excellent starting point to execute operations anywhere in North- and Southeast Asia. The first to take advantage of Taiwan's strategic attributes were the Dutch and the Spanish, who established bases in the 17th century (Jacobs, 2011). In 1662, Chinese ruled the first time Taiwan, after Zheng Cheng-gong sieged the Dutch castle "Zeelandia" (Osterhoff, 1986). The Chinese dominance lasted until they lost the Sino-Japanese War in 1895 and enabled Japan to claim occupational ownership on Taiwan. The Japanese governed Taiwan until their loss in World War II in 1945 (Corcuff, 2002). During the time of the Japanese government of Taiwan, there was the Xinhai-Revolution in 1911 on mainland China that ended with the resignation of the Chinese emperor and the foundation of the Republic of China (ROC), including Taiwan. In the following years, the Chinese nationalist party, Koumintang (KMT), governed the country. In 1925, Chiang Kai-shek was elected as their leader and was appointed as the president of the ROC in 1928. In the 1930s, Chiang Kai-shek faced Japanese aggression and an ascending communist opposition, led by Mao Zedong. After the defeat of Japan in World War II, the race between the nationalists and communists turned to a civil war that ended with the victory of the communists in 1949. As a result, the nationalists with Chiang Kai-shek retreated to Taiwan and Mao proclaimed the establishment of the People´s Republic of China (PRC) (Britannica, 2022). That was the beginning of what Xi Jinping calls the Taiwan issue. Chiang Kai-shek, who claimed himself as the leader of the ROC and the legal representative of China, saw his retreat to Taiwan only as a temporary stay. This turned out to be a mistake because Mao Zedong was able to establish his power and the communist regime on mainland China. After an unsuccessful attempt of the PRC to take over Taiwan with military forces at the beginning of the 1950´s, the U.S. and the ROC signed a mutual defence treaty in 1954, where the United States pledged support for Taiwan in case of an attack by the PRC (CSIS, 2022). The reason for the strong support of the ROC by the U.S. could be seen as a counter action against the trend that time to establish communist regimes in Asian countries. Furthermore, in the support of a U.S. friendly country in an interesting geographical position. With the support of the U.S. Taiwan´s economy and society flourished. However, in 1971 the United Nations General Assembly recognized the PRC as the only legitimate representative of China. The ROC was no longer a member of the U.N. (CSIS, 2022). In the following years, more and more countries established formal diplomatic relations with the PRC without acknowledging the ROC as a sovereign state. Only 13 countries plus the Vatican City recognize Taiwan´s statehood. As a result, most countries in the world accept Chinas view on Taiwan as a Chinese province. Therefore, the reunification to a One-China is according to President Xi Jinping an internal affair in which no other country

has the right to interfere. Recently, he expressed that his main goal will from now on be the unification of the two countries rather than a bilateral cooperation. This statement becomes more serious when put into context with the events in Hongkong and Macao and is one of the main reasons why Taiwan currently is considered a political hot spot in East Asia (Liao, 2021).

Taiwan's Economy

Taiwan successfully transformed an agricultural-based economy into a modern, globally recognized manufacturing industry. The foundation for this success was laid short after World War II when Taiwan was financially supported by the United States (U.S.). With these funds, education and infrastructure were improved and the country opened itself for Foreign Direct Investments (FDIs). In the 1980s, the island had managed to market its various products like toys, electronics, and umbrellas worldwide (Standen, 2022). By that time Taiwanese companies were able to gain huge profits from export and already started to invest into a new branch, the production of semiconductors, where they immediately received global recognition for their complexity and highly innovative manufacturing processes (Hofer, 2022). But it was not only the production of microchips that enhanced the country´s strategic role in the world. Taiwan's location on the Western Pacific Maritime Trade Route was a perfect location for international trade. This route connects the East Asian countries like China, Hong Kong, Japan, or South and North Korea with the Southeastern countries of Asia. Moreover, to take advantage of its strategically convenient location, the Taiwanese authorities pursued a very favorable trade policy (Ma, 2023). Todays, figures show that Taiwan is ranked among the top industrialized countries in the world (Statista, 2023).

Internationally, Taiwan has made its way to successfully becoming one of the Four Asian Tigers alongside South Korea, Hong Kong, and Singapore (Bloomenthal, 2021). The characteristics of those are that they have been focusing on exports and experienced fast industrialization (CFI Team, 2023). Due to a comparably minor domestic market Taiwan made great efforts to strengthen its international trade and it exported goods of nearly half a billion US-Dollars during the past year. Consequently, Taiwan has become the world's second-largest electronic circuit component exporter and the fifth-largest semiconductor device exporter in the global hi-tech supply chain (Ma, 2023). As Taiwan is a small island without any significant sources of raw materials it is dependent on imports for production. With an import quote of over 90% of raw materials and capital goods the question about the most important trading partners arises. Having a look at the figures it turns out that Mainland China is an indispensable partner for both imports and exports. Mainland China and Hong Kong accounted for 39% of Taiwan's exports last year. It is interesting that despite a rising political tension between Taiwan and China in the recent years, Taiwan has bought an increasing number of products from mainland China, and vice versa. Over the last five years, Taiwan's imports from mainland China have surged by about 87% whereas the exports to mainland China grew by 71% between 2016 and 2021 (CNBC, 2022).

Chart 1:

Taiwan's exports in 2022, by major trade partner (Statista, 2023)



The chip economy in Taiwan

Producing over 65% of the world's semiconductors and over 90% of the smallest, most advanced chips, Taiwan plays a strategic role as the biggest manufacturer of computer chips worldwide. The reason for this is the fact, that Taiwan hosts some of the world's leading semiconductor manufacturers, including Taiwan Semiconductor Manufacturing Company (TSMC). TSMC is the world's largest contract chip manufacturer and plays a vital role in producing chips for a wide range of applications. The company's advanced manufacturing capabilities and expertise have made the island the center for chip production. Taiwan is furthermore known for its technological innovations in the semiconductor industry and has also developed a strong semiconductor supply chain ecosystem. This ecosystem enables efficient and streamlined chip production, contributing to Taiwan's competitive position in the global chip economy (semi, 2023). Moreover, through the establishment of strategic partnerships with big multinational companies like Apple, AMD, etc. Taiwanese semiconductor companies strengthen the country's position in the global chip market and provide a steady demand for its chip manufacturing services. These factors collectively contribute to Taiwan's significance in the chip economy, allowing the country to play a crucial role in meeting global demand for semiconductors and the industry itself. (The Economist, 2023)

Chart 2:

Advanced Microchip Production relies on Taiwan (Statista 2, 2023)



After examining these figures, the question arises how Taiwan could gain such a strategic position in the semiconductor industry. One of the main factors were Taiwan´s early investments in research and development (R&D). With the support of the Taiwanese government who implemented policies and initiatives to strongly support the development of the semiconductor industry the Taiwanese companies realized a long-term strategic plan (Samuel P.S. 1987). Furthermore, the Taiwanese government created an interesting business environment and opened the country for investors. The inflow of foreign direct investments to the island is constantly high and one of the reasons why Taiwan´s economy could evolve to such a strategic importance.

Foreign Direct Investments (FDIs)

Taiwan´s attitude towards FDIs is highly welcoming. The country has initiated multiple measures in order to attract investors including both foreign entities, but also Taiwanese companies that are located overseas. Science parks, governmental tax incentives as well as tariff exemptions and low-interest loans contribute to the matter. The measures taken by the Taiwanese government are so far developed, that starting from investments of 500 million NTD (approximately 17 Million USD), a Taiwanese manager will be assigned to oversee the investment project and guarantee a smooth process. The Ministry of Economic Affairs (MOEA) and the Department of Investment Services (DOIS) both help potential investors with various bureaucratic tasks, like retrieving application forms, providing a “relaxed working visa” and a simple permit process. Taiwanese authorities are specifically promoting investments in the “5+2 Innovative industries” which include semiconductors, smart machinery, biomedicine, Internet of Things (IoT), green energy, national defence and advanced agriculture (Shroff, 2020).

Chart 3:

Value of approved foreign direct investments (FDI)
into Taiwan in 2021, by leading country or region of origin



The biggest amount of FDIs to Taiwan is coming from the British Overseas Territories (BOTs). The BOTs are former British colonies, which are known as tax havens. Many companies are registered there but do not mainly operate from or in those destinations. But as already mentioned Taiwan´s geographical proximity to major tech markets is another fundamental advantage of the country. (Li & Ting-Fang, 2023)

Geopolitical role

Even Taiwan is a relatively small island with about 35,000 square kilometers, its geographical position makes it to a strategic important location not only for China, but also for the U.S. Taiwan is situated in the western pacific and is segregated from Mainland China by the Taiwan Strait, an approx. 180 km wide waterway between the two countries. The Taiwan Strait is furthermore the direct connection between the East Chinese Sea with Japan, China, Noth- and South Korea to the South Chinese Sea with the Philippines, Brunei and Vietnam as well as the entrance to the Pacific Ocean. (CfR, 2023).

This specific location offers Taiwan not only a huge economic advantage concerning the maritime routes to the Indo Pacific Ocean, it marks also an important position in the so called First Island Chain.

Chart 4:

Taiwan's Location Along the First Island
Chain Anchors a Network of U.S. Allies (CfR, 2023)

The Island Chain concept was introduced in the 1950s by the U.S. to ensure free trade and prevent the former USSR and China to build naval basis in the Pacific and restrict sea access to these two countries (financial express, 2022). As a result, China had and still has no direct access to the Pacific Ocean and, with the U.S. and its regional allies surrounding Taiwan, the First Island Chain can decide over the dominance in the Pacific Ocean. Meanwhile, as China developed economically but also in in the field of military power it is not willing to accept this situation anymore. Having a look at the big picture, Taiwan claims a strategic geopolitical position that can change the whole political situation. As China sees self-ruled Taiwan as a breakaway province it will sooner or later bring the island under Beijing's control. If Taiwan is going to be reunited with the People's Republic of China, dominance in the East-Asian region would change and the Chinese could establish a higher military presence in the direction of Japan, the Philippines, and the U.S. China´s President Xi Jinping has said "reunification" with Taiwan "must be fulfilled" - and has not ruled out the possible use of force to achieve this. Even though the U.S. promised to support Taiwan in case of a Chinese invasion, military threats are continuing. (Bomping, 2020)

Apart from considering military factors, economic factors also play a big role in the geographical significance of Taiwan. As already mentioned, Taiwan has a worldwide leading position in advanced technology. If there is a reunification, China can use existing infrastructure, customer base, and expertise to secure a unique position in the world economy. Moreover, the control of the important maritime routes in the Pacific would ensure global influence and power. (Thompson, 2020)

Conclusion

The findings in this paper show clearly Taiwan´s strategic role in todays globalized business world. After a long time of occupation Taiwan developed in the last decades to one of the most liberal democracies and the biggest producer of semiconductors and advanced computer chips in the world. Roughly 65% of the worlds micro-chip production comes from Taiwan. As meanwhile nearly every business is dependent on microelectronics, Taiwan´s strategic position in that sector is obvious. As the political and economic development of Taiwan was and still is supported by the U.S. Taiwan, among some other countries in the Pacific Ocean, can be counted as a U.S. friendly country. Even if the U.S. is not acknowledging Taiwan as a sovereign state, it is supporting the independency of the country even militarily in the in the case of an unprecedented attack by China (Lang, 2022). The acknowledgement of Taiwan as a sovereign state is a major problem but has historical roots. Since the UN appointed 1971 the Peoples Republic of China and not the Republic of China (Taiwan) as the legal representative of China, Taiwan is only accepted as a Chinese province by most nations. In the past this status was not of big importance because the country could develop politically and economically. Meanwhile, triggered by the trade conflict between China and the U.S. China claims sovereignty over the country based on the One-China Principle. This brings Taiwan again into a strategic position. At the moment Taiwan is geographically part of the First Island Chain, a U.S. construction to secure free trade but also a kind of political dominance of the U.S. in the Western Pacific Ocean. A reunition with China would shift the geopolitical power of Taiwan´s location to China. Moreover, it would transform China into the biggest chip producer that is able to control the complete world market. This situation is dangerous for the whole world economy by giving one country the ability to control economic development. The reunification of China and Taiwan will therefore be in the focus of public in the next years. Will it be peaceful, countries have to deal with China as a kind of a monopolist in the chip sector who can decide whether they deliver or not. A hostile takeover of Taiwan would even be more problematic because there will be an immediate shortage of semiconductors in the case of destructed production sides.

Besides the strategic role Taiwan has in the economic and geopolitical sphere there is the field of Foreign Direct Investments (FDIs). Despite ongoing conflicts and threats Taiwan attracts huge amounts of FDIs, especially from Tax Havens in the Caribbean. Nobody knows where that money comes from and there is slight chance to retrieve data to identify the investors. But obviously there is room for further research in that field.

References

1. Bloomenthal, A. (2021). Four Asian Tigers: What They Are, Economic Strengths Explained. Investopedia. https://www.investopedia.com/terms/f/four-asian-tigers.asp.
2. Bomping, B. J. E. a. C. (2020). The Taiwan Frontier and the Chinese Dominance for the Second Island Chain - Australian Institute of International Affairs https://www.internationalaffairs.org.au/australianoutlook/taiwan-frontier-chinese-dominance-for-second-island-chain/. December 8, 2020.
3. Britannica (2022). https://www.britannica.com/summary/Chinese-Civil-War
4. Brunnstrom, D. & Hunnicut, T. (2022). Biden says U.S. forces would defend Taiwan in the event of a Chinese invasion. https://www.reuters.com/world/biden-says-us-forces-would-defend-taiwan-event-chinese-invasion-2022-09-18/
5. CFI Team. (2023). Four Asian Tigers. Corporate Finance Institute. https://corporatefinanceinstitute.com/resources/economics/four-asian-tigers/.
6. CfR (2023). Concil on foreign Relations. https://www.cfr.org/blog/why-taiwan-important-united-states. June 20, 2023.

7. CNBC (2022). https://www.cnbc.com/2022/08/05/taiwans-trade-with-china-is-far-bigger-than-its-trade-with-the-us.html
8. Corcuff, S. (2002). The Taiwan Republic of 1895 and the Failure of the Qing Modernizing Project. In S. Corcuff, Memories of the Future: National Identity Issues and the Search for a New Taiwan (Bd. 5, S. 13-18).
9. CSIS (2022). Center for Strategic and International Studies. https://www.csis.org/programs/international-security-program/isp-archives/asia-division/cross-strait-security-initiativ-0
10. The Economist. (2023). Taiwan's dominance of the chip industry makes it more important. The Economist, March 6, 2023.
11. Financial express (2022). https://www.financialexpress.com/business/defence-island-chain-strategy-steps-to-checkmate-china-2565232/. June 8, 2022
12. Hofer, J. (2022). TSMC aus Taiwan: Unbekannt und doch so wichtig für die Welt. *Handelsblatt*. https://www.handelsblatt.com/technik/it-internet/tsmc-das-vielleicht-wichtigste-unternehmen-der-welt-haelt-seinen-namen-im-hintergrund/28488716.html.
13. Huaxia (2021). Resolving Taiwan question a historic mission of CPC: Xi. Xinhua. http://www.xinhuanet.com/english/special/2021-07/01/c_1310037420.htm
14. Jacobs, J. B. (2011). The history of Taiwan. The China Journal. 65, 195-203
15. Lang, T. (2022). A closer look on U.S. – Taiwan geopolitical relations. https://www.viettonkinconsulting.com/general/a-closer-look-at-u-s-taiwan-geopolitical-relations. December 7, 2022
16. Li, L., & Ting-Fang, C. (2023). Subscribe to read | Financial Times. Financial Times. https://ig.ft.com/taiwan-economy/. May 31, 2023.
17. Ma, Y. (2023). Topic: International trade in Taiwan. Statista. https://www.statista.com/topics/8576/international-trade-in-taiwan/#topicOverview.
18. Morris, L. (2022). Listen to Xi Jinping about Taiwan. https://warontherocks.com/2022/11/listen-to-xi-jing-ping-about-taiwan/
19. Osterhoff, J. (1986). Zeelandia, a Dutch Colonial City on Formosa (1624–1662). In R. T. Ross, Colonial Cities: Essays on Urbanism in a Colonial Context (S. 58-60).
20. Samuel P.S. Ho. (1987). Economics, Economic Bureaucracy, and Taiwan's Economic Development. *Pacific Affairs*, *60*(2), 226–247. https://doi.org/10.2307/2758133
21. Semi (2023). https://www.semi.org/en/blogs/semi-news/semi-works-with-taiwan-semiconductor-ecosys-tem-to-address-4-key-industry-growth-challenges
22. Standen, S. (2022). Stamp of Success: how Made in Taiwan contributed to an economic miracle. The Boar. https://theboar.org/2022/08/stamp-of-success-how-made-in-taiwan-contributed-to-an-economic-miracle/.
23. Statista, (2023). https://www.statista.com/topics/2311/taiwan/#topicOverview
24. Thompson, L. (2020). Why Taiwan Has Become The 'Geographical Pivot Of History' In The Pacific Age. Forbes. https://www.forbes.com/sites/lorenthompson/2020/09/29/why-taiwan-has-become-the-geographical-pi-vot-of-history-in-the-pacific-age/. September 29, 2020
25. Yang, W. (2022). Will China´s emboldened Xi Jinping take a gamble on Taiwan? https://www.dw.com/en/will-chinas-emboldened-xi-jinping-take-a-gamble-on-taiwan/a-63683310
26. Chart 1: Statista (2023). Key economic indicators of Taiwan - statistics and facts. https://www.statista.com/topics/9094/key-economic-indicators-of-taiwan/#topicOverview.
27. Chart 2: Statista (2023). https://www.statista.com/chart/30041/global-semiconductor-wafer-fabrication-capacity-by-type-and-location/
28. Chart 3: Statista (2023). https://www.statista.com/statistics/1292945/taiwan-approved-inward-foreign-direct-investment-by-industry/
29. Chart 4: CfR (2023). Concil on foreign Relations. https://www.cfr.org/blog/why-taiwan-important-united-states. June 20, 2023.

შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეები და შესაძლებლობები

შოთა ვეშაპიძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ამ სტატიის კვლევის მიზანია შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეების გაანალიზება და მისი დაძლევა. კვლევის საგანია მიგრაციის გამომწვევი სოციალურ-პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეკონომიკური ფაქტორები. კვლევის ამოცანებს შეადგენს საქართველოში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობის დინამიკა, პერსონალური ტრანსფერების ანალიზი, რუსეთიდან გაზრდილი მიგრაცია.

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორებია დაბალი შემოსავალი, ცუდი სამუშაო პირობები, ცუდი საცხოვრებელი პირობები, დაბალი განვითარების შესაძლებლობები, რაც უბიძგებს ადამიანების დიდ ნაწილს, რომ სამუშაო ადგილები საზღვარგარეთ ეძიონ. შრომის საერთაშორისო მიგრაციაში საქართველოს მონაწილეობის საფრთხეების დაძლევის თანამედროვე პრიორიტეტებია: არალეგალური მიგრაციის ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია, დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში, უცხოელთა ინტეგრაცია.

საკვანძო სიტყვები: *იმიგრანტი, ემიგრანტი, პერსონალური ტრანსფერები, ლეგალური მიგრაცია.*

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტების თანახმად, მიგრაცია ეწოდება ქმედებას, როდესაც ადამიანი ტოვებს თავის ჩვეულ საცხოვრებელ ადგილს, ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო საზღვრებს მიღმა, დროებით ან სამუდამოდ და სხვადასხვა მიზეზის გამო. აღნიშნული ტერმინი მოიცავს ადამიანთა რიგ კარგად განსაზღვრულ იურიდიულ კატეგორიებს, როგორიცაა შრომითი მიგრანტი, ასევე მათ, ვისი სტატუსი ან გადაადგილების საშუალება არ არის კონკრეტულად განსაზღვრული საერთაშორისო კანონმდებლობით, როგორიცაა, მაგალითად, საერთაშორისო სტუდენტები. [7].

მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვა სახეს იძენდა, სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა, მაგრამ როგორც განვითარების აუცილებელი მომენტი, ყოველთვის იყო და დარჩება მომავალშიც. მიგრაციული პროცესები და ხალხთა მასების დიდმასშტაბიანი ტერიტორიული გადაადგილებები ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან დაიწყო, ყველაზე ადრეული მიგრანტები იყვნენ უძველესი ადამიანები, რომლებიც წამოვიდნენ აფრიკის კონტინენტიდან და გავრცელება ევრაზიაში დაიწყეს. მიგრაციული პროცესები ფართომასშტაბიან სახეს იღებს დღეისთვის და წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელზეც მსჯელობს საერთაშორისო ორგანიზაციები და ქვეყნები. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები საკმაოდ ბევრია, თუმცა ევროპის პარლამენტმა განაზოგადა და მიგრაციის გამომწვევი რამდენიმე ძირითადი მიზეზი ჩამოაყალიბა, ესენია: სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები, დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორები, გარემო ფაქტორები. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ ეკონომიკური ფაქტორია; დაბალი შემოსავალი, ცუდი სამუშაო პირობები, ცუდი საცხოვრებელი

პირობები, დაბალი განვითარების შესაძლებლობები უბიძგებს ადამიანების დიდ ნაწილს, რომ სამუშაო ადგილები საზღვარგარეთ ეძიონ და შრომითი მიგრაციის ნაწილი გახდნენ.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ასევე განმარტა შრომითი მიგრაცია, როგორც ადამიანების გადაადგილება ერთი ქვეყნიდან მეორეში, დასაქმების მიზნით.[5]. საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ, იგივე ტერმინს შემდეგნაირად განმარტავს: პირის საქართველოდან შრომითი მოწყობის სახელმწიფოში გასვლა უცხოელ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის სხვა სახელმწიფოდან საქართველოში შემოსვლა ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით.[9]. ეს განმარტება, როგორც ვხედავთ აერთიანებს, როგორც შრომით ემიგრანტს, ასევე შრომით იმიგრანტს.

ძირითადი ნაწილი

საქართველო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო შრომითი მიგრაციის პროცესებში. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო დატოვა ქვეყანა და საზღვარგარეთ დაიწყო მუშაობა. მიგრაცია უკიდურესად მრავალფეროვანი ფენომენია, მისი გავლენის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაზე ძალიან ბევრ ასპექტზე არის დამოკიდებული, მაგალითად, გასათვალისწინებელია სამუშაო ძალის კვალიფიკაცია. შრომითი მიგრაცია გავლენას ახდენს დასაქმების დონეზე, ინფლაციაზე, ცხოვრების დონეზე და სხვა ეკონომიკურ ფაქტორზე ორივე მხარისთვის – როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნებისთვის.

ცხრილი 1.

საქართველოში იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობა 2014-2022 წლებში

წელი	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
იმიგრანტთა რიცხობნობა, კაცი	82 161	92 557	90 228	83 239	88 152	96 864	89 996	74 008	179,778
ემიგრანტთა რიცხობნობა, კაცი	88 704	95 965	98 288	85 451	98 935	105 107	74 264	99 974	125,269
მიგრაციული სალდო, 1 000 კაცზე	-1.8	-0.9	-2.2	-0.6	-2.9	-2.2	4.2	-7.0	14.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

ცხრილში 1 მოცემულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, იმიგრანტთა და ემიგრანტთა რაოდენობა 2014-2022 წლებში, საიდანაც თუ ჩავშლით ემიგრანტთა რაოდენობას ასაკობრივ ჭრილში აღმოვაჩენთ, რომ დაახლოებით 80-90% ემიგრანტებისა არის 15-64 წლამდე, რაც წარმოადგენს სამუშაო ასაკის ადამიანებს. საქართველოს მოქალაქეები სამუშაოს საძიებლად, ძირითადად, მიდიან რუსეთში, საბერძნეთში, იტალიაში, გერმანიასა და აშშ-ში. მიგრაციის სალდო ცხრილში მოცემული პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში უარყოფითია, ხოლო 2020 წელს დადებითი, რაც იმით არის გამოწვეული, რომ პანდემიის პერიოდში შეზღუდული იყო თავისუფალი გადაადგილება. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ემიგრანტთა რაოდენობა, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში რთული სოციალური ფონით, ქვეყანა ებრძოდა პანდემიისგან გამოწვეულ სიძნელეებს, გაზრდილი იყო უმუშევრობა, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა კი ამჯობინა, რომ საზღვარგარეთ ეპოვნა სამსახური, რათა უზრუნველყო ოჯახები. 2022 წელს ემიგრანთრა ზრდის პარალელურად საგრძნობლად გაიზარდა იმიგრანტთა რაოდენობაც, რაც განპირობებულია რუსეთ-უკრაინის ომის გამო. მიგრაციის სალდო დადებით მაჩვენებელს დაუბრუნდა. ეს მაჩვენებელი დადებითი იყო 2020 წელს. 2022 წელს კი კიდევ უფრო გაიზარდა. 2020 წელს მიგრაციის დადებითი სალდო 15 732 იყო, ანუ ყოველ 1000 კაცზე 4,2, 2022 წელს კი, შესაბამისად 54 509 და14.7.

როგორც ეისითის კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოდან რესპონდენტთა გამგზავრების ძირითადი მიზანი სამუშაოს ძიებაა. მოქალაქეების აზრით ქვეყნიდან გადინება ძირითადად სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირდება: დაბალი პენსიები და შემოსავლები - 69%, სამუშაო ადგილების ნაკლებობა - 62%, გაძვირებული პროდუქცია და მომსახურება (საკვები, ტანსაცმელი და აშ.) – 42%. მოსახლეობის თითქმის მეხუთედი - 18% ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას და დაბალ ხარისხს უსვამს ხაზს, 16%-სთვის ემიგრაციის ძირითად მიზეზს საზოგადო უპერსპექტივობის განცდა წარმოადგენს.[1].

ერთ-ერთი საუკეთესო სტატისტიკური ინსტრუმენტი შრომის ეკონომიკური გავლენის შესაფასებლად ემიგრაციის ქვეყნის ეკონომიკაზე არის საგადასახდელო ბალანსი. კერძოდ, პირველადი შემოსავალი და მეორადი შემოსავალები. მეორადი შემოსავალი გვიჩვენებს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ტრანსფერები თავის მხრივ აერთიანებს ბევრ სხვადასხვა მუხლს და მათ შორის ფიზიკური პირების გზავნილებსაც.

ცხრილი 2.

მეორადი შემოსავლები საქართველოში 2013-2023 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

წლები	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023*
მეორადი შემოსავლები	1,425.32	1,119.55	1,121,08	1,273.08	1,363.78	1,375.12	1,809.65	2,303.71	3,053.20	1,454.05

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

ზემოთ ნაჩვენებ ცხრილში სწორედ ნაჩვენებია მეორადი შემოსავლების ოდენობა საქართველოში. შევნიშნავთ, რომ 2020 წელს წინა წელთან შედარებით 31%-ით არის გაზრდილი, რაც სავრაუდოდ გამოწვეულია პანდემიის ეფექტით, გაზრდილია ასევე 2021 წელს, რაც ნიშნავს, რომ პანდემიის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა გადმორიცხვები. ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა 2022 წელსაც, წინა წელთან შედარებით თითქმის 33%-ით გაიზარდა. ცხრილში ასევე ვხედავთ 2023 წლის პირველი და მეორე კვარტალის მაჩვენებელს და სავარაუდოა, რომ წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება მეორადი შემოსავლების სიდიდე.

უფრო უკეთ, რომ შეგვექმნას წარმოდგენა შრომითი მიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხის ოდენობაზე, უნდა გავაანალიზოთ საგადასახდელო ბალანსის ერთ-ერთი მუხლი: პერსონალური ტრანსფერები (მიმდინარე ტრანსფერები რეზიდენტ და არარეზიდენტ შინამეურნეობებს შორის), რომელიც უშუალოდ გვიჩვენებს ფიზიკური პირების მიერ შესრულებულ ტრანზაქციებს. ცხრილში 3 მოცემულია პერსონალური ტრანსფერების ოდენობა, რომელიც 2017 წლის შემდეგ შეუქცევადად იზრდება და ჩარიცხვების სიდიდემ პანდემიის შემდეგ 2021 წელს 2 075.01 და 2022 წელს 2,892.33 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. ცხრილში ასევე ნაჩვენებია 2023 წლის პირველ და მეორე კვარტალში დაფიქსირებული მაჩვენებელი.

ცხრილი 3.

პერსონალური ტრანსფერები 2013-2022 წლებში (მლნ აშშ დოლარი)

წლები	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
პერსონალური ტრანსფერები	1,237.53	874.54	862.45	1,049.11	1,185.80	1,281.73	1,544.57	2,075.01	2,892.33	1,377.15

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data

საქართველოს ეკონომიკისთვის ემიგრანტთა მიერ გადმორიცხული ფულადი გზავნილები წარმოადგენს ერთ-ერთ საყრდენს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე ნაჩვენებია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გასაჯაროებული სტატისტიკა ფულადი გადარიცხვებისა და ჩარიცხვების შესახებ კონკრეტულად 2020 წლის აგვისტოდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით. როგორც ვხედავთ, ჩარიცხვები თავდაპირველად სტაბილურად 200 მილიონი აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობდა, თუმცა მიმდინარე წლის მაისში მან რეკორდულად მაღალ ნიშნულს მიაღწია და 500 მილიონ აშშ-ზე მეტი შეადგინა. თუ შევადარებთ, მაგალითად, მიმდინარე წლის სექტემბრის ჩარიცხვებს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან, შევამჩნევთ, რომ მიმდინარე წელს ჩარიცხვები გაზრდილია 84.6%-ით.

გრაფიკი 1.

საქართველოში ჩარიცხვებისა და გადარიცხვების ოდენობა
2020 წლის აგვისტოდან 2022 წლის სექტემბრის ჩათვლით (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. – https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 97.5% 23 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანაზე მოდის. იმავე 23 ქვეყანაზე მოდიოდა გასული წლის სექტემბერში მთელი ფულადი გზავნილების 92.2%. ამ ქვეყნებს შორის ლიდერობენ რუსეთი, იტალია, აშშ, საბერძნეთი, რაც საკმაოდ ლოგიკურია, რადგან ემიგრანტთა დიდი ნაწილი სწორედ ამ ქვეყნებში მიგრირებს.

ჩარიცხვების ოდენობის მატება შესაძლოა ავხსნათ ერთი მხრივ, იმით რომ გაზრდილია მიგრანტთა ოდენობა, რაც იმას ნიშნავს, რაც უფრო მეტი ადამიანია ემიგრაციაში, მით უფრო მეტ თანხებს ურიცხავენ ისინი თავიანთ ოჯახებს. მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზრდილია გზავნილების ოდენობა რუსეთიდან, რაც, სავარაუდოა, რომ განპირობებულია რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებით. გაზრდილია რუსეთიდან მიგრანტთა ნაკადები, შესაბამისად, ამანაც იქონია გავლენა ჩარიცხვების ოდენობის ზრდაზე.

საქართველო აქტიურადაა ჩართული შრომითი მიგრაციის პროცესებში. ბოლო ხანს, მნიშვნელოვანი გამოწვევაა გაზრდილი ემიგრაცია და ასევე, გაზრდილი იმიგრაციული ნაკადები უკრაინიდან, ბელარუსიდან და განსაკუთრებით კი რუსეთიდან. უკრაინის ომის დაწყებიდან მნიშვნელოვნად არის მომატებული ნაკადები რუსეთის ფედერაციიდან. იქედან გამომდინარე, რომ რუსეთის მოქალაქეებს საქართველოსთან აქვთ უვიზო მიმოსვლა, მათთვის შედარებით მარტივია დარიალის სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გავლით საზღვრის კვეთა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ 27 სექტემბერს ნაწილობრივი ინფორმაცია გაასაჯაროვა, სულ 10 დღის მონაცემები, სადაც მოცემული იყო რუსეთის რამდენმა მოქალაქემ გადმოკვეთა და გადაკვეთა საქართველოს საზღვარი ყველა გამშვები პუნქტიდან: გადმოკვეთა - 78 742 ადამიანმა, ხოლო გადაკვეთა - 62 120 ადამიანმა (წყარო: https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/15448). ამავე სტატისტიკით ირკვევა, რომ 2022 წელს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი რუსეთის 1 459 546-მა მოქალაქემ გადმოკვეთა. 2021 წელს საქართველოს საზღვარი ჯამში რუსეთის 292 512-მა მოქალაქემ გადმოკვეთა.

(წყარო: https://formulanews.ge/News/83920). გაზრდილ მიგრაციას თან სხვადასხვა ეფექტები ახლავს. აუცილებელია მათი ჩამოსვლისა და დარჩენის მიზეზების გამოკვლევა, რათა შეფასდეს გავლენა ეკონომიკაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული გარემოებების გამო გაიზარდა ფასები მაგალითად, უძრავი ქონების ყიდვასა და გაქირავებაზე, სურსათზე, ამასთანავე გამყარდა ლარის კურსი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, 2022 წელს რუსეთიდან ვიზიტორების შემოსვლის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად დაჩქარდა და იანვარ-ივნისში 247 ათასი ვიზიტორი შემოვიდა. თუმცა 2019 წლის იანვარ-ივნისთან შედარებით, რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა მაინც 3-ჯერ ნაკლებია. 2022 წლის იანვარ-ივნისში რუსი ვიზიტორების წილი საქართველოს ვიზიტორების ჯამურ რაოდენობაში 15.2% იყო, რაც 2018-2019 წლების მაჩვენებელს ჩამორჩებოდა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ზოგიერთისთვის მხოლოდ შუალედური პუნქტია და მათი ნაწილი ჩვენი გავლით სხვა ქვეყანაში გადადის, თუმცა საყურადღებოა, რომ მათი დიდი ნაწილი საქართველოში რჩება, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ მარტიდან საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულ კომპანიების 93% ინდივიდუალური საწარმოა. ეს იმას მიანიშნებს, რომ რუსეთის მოქალაქეების ნაწილი საქართველოში საცხოვრებლად და ბიზნესის საკეთებლად გადმოვიდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთიდან გაზრდილ მიგრაციას თან სხვადასხვა ეფექტები ახლავს. აუცილებელია მათი ჩამოსვლისა და დარჩენის მიზეზების გამოკვლევა, რათა შეფასდეს გავლენა ეკონომიკაზე. რაც უკვე შეგვიძლია ვთქვათ არის ის, რომ გაზრდილია ფასები მაგალითად, უძრავი ქონების ყიდვასა და გაქირავებაზე. პროფესორ ვლადიმერ პაპავას აზრით, შემომსვლელთა გავლენა ინფლაციაზე, ეს იმდენად არ არის დამოკიდებული მათ რაოდენობაზე, რამდენადაც მათ მსყიდველობითუნარიანობაზე - რაც მაღალი იქნება, მით მეტად გაიზრდება ფასები. ინფლაციისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის მთავარ გამოსავლად პაპავა მიიჩნევს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის სექტორის განვითარებას. მისი აზრით, უნდა გაფართოვდეს პროექტი "აწარმოე საქართველოში", საიდანაც უნდა იქნეს ამოღებული ტურისტული კომპონენტი და მეტი დაფინანსება და მხარდაჭერა უნდა მოხდეს ზემოთნახსენები სექტორების. [2, 3].

მიგრაციული პროცესების მართვა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. საქართველოში შრომითი მიგრაციის საკანონმდებლო რეგულირება საკმაოდ მწირია, თუმცა ეტაპობრივად მთავრობა იღებს შესაბამის კანონებს. 2013 წლის 15 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო #59 დადგენილება „მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“. ამ პროცესში მნიშვნელოვანია საერთაშორისო ინსტრუმენტების, ევროპის აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის რიგი სახელმწიფოების საკანონმდებლო რეგულირების მოდელების ცოდნა და გაზიარება. აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივამ სერიოზული ბიძგი მისცა მიგრაციის მართვის სისტემის განვითარებას ქვეყანაში. საქართველო არის ევროკავშირის ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობისთვის“ ერთ-ერთი წევრი 2009 წლიდან, რის ფარფლებშიც ხორციელდება არალეგალურ მიგრაციასთან ერთობლივი ბრძოლა და ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა. შესაბამისად, იგი ითვლისწინებს თანამშრომლობას მიგრაციასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორიცა შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, შრომის ბაზარი და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხი.

საყურადღებოა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მუშაობა საქართველოში, რომელიც 1993 წლიდან დაიწყო. ქვეყნის მასშტაბით ის უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ რეაგირებას მიგრანტთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, დაბრუნებულ პირთა და მანსპინძელი თემების ჰუმანიტარულ საჭიროებებზე პირდაპირი ჰუმანიტარული დახმარების, რეკრეაციული აქტივო-

ბების და სხვადასხვა ძალისხმევის საშუალებით. საქართველოს დინამიურ სოციო-ეკონომიკურ კონტექსტში, IOM-მა წლების განმავლობაში იმუშავა მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე - როგორებიცაა საგანგებო მდგომარეობასა და კრიზისზე რეაგირება, იმიგრაციის და საზღვრის მართვა, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია, მიგრანტების დაცვა და დახმარება, მიგრანტთა ჯანმრთელობის დაცვა, შრომითი მიგრაცია და ადამიანური რესურსის განვითარება - ასევე მხარი დაუჭირა მიგრაციის პოლიტიკის შემუშავებასა და კვლევას და უზრუნველყო მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურის შესაძლებლობების გაძლიერება.

ბოლო ათწლეულში, საქართველოსთვის მიგრაციის მართვის პროცესი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნულ პერიოდში მიგრაციული პროცესების მართვის სისტემის ჩამოყალიბების, გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შემუშავდა 2013-2015 და 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიები. 2020 წლის 30 დეკემბრის N 810 დადგენილებით კი ძალაში შევიდა 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია, რომლის მიზანია, მოერგოს ახალ რეალობას და გააგრძელოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება. სტრატეგიის მიზნები და სექტორული პრიორიტეტები განისაზღვრა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული – ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური - განზომილებით. სტრატეგიაში გამოყოფილია შემდეგი პრიორიტეტები: მიგრაციის მართვის გაუმჯობესება; ლეგალური მიგრაციის ხელშელწყობა; არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა; დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია; დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში; თავშესაფრის სისტემის განვითარება; უცხოელთა ინტეგრაცია. [11].

ანალიტიკოსები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ საქართველოში არსებული პრობლემების დასაძლევად, მნიშვნელოვანია, ემიგრანტებს გარემო პირობები უჩენდეს საქართველოში დაბრუნების სურვილს და არა ძალიან სუბიექტური მიზეზები. ისიც გასაცნობიერებელია, რომ ჩვენ ერთად ვქმნით ასეთ გარემოს, რა თქმა უნდა პირველ რიგში ნდობის მანდატით, რომელსაც ამ გარემოს შექმნის პასუხისმგებელ პირებს ვანიჭებთ და მეორეს მხრივ აქტიური მოქალაქეობით, რომლითაც ამ პასუხისმგებლობის შენარჩუნებას ვუწყობთ ხელს. [1].

დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში შეუძლებელია არ იქნას გათვალისწინებული მიგრაციული პროცესების გავლენა ქვეყანაში ეკონომიკურ განვითარებაზე, დასაქმების დონეზე, საგადასახდელო ბალანსზე თუ სხვა ფაქტორებზე. მისი გავლენა, ერთი მხრივ, შეიძლება უარყოფითი იყოს, თუმცა, მეორე მხრივ, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა პოზიტიური. მიგრაციას, რთულ გამოწვევებთან ერთად, აქვს შესაძლებლობათა დიდი პოტენციალი, რომელიც სრულყოფილად უნდა იქნეს ათვისებული და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე - მისი განვითარებისკენ მიმართული.

ინდივიდები მიგრაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებენ სხვადასხვა ალტერნატივების გათვალისწინებით და მათთვის საუკეთესოდ მორგებული ვარიანტის არჩევით. ემიგრაციაში წასვლა რისკთან და გაურკვევლობასთან არის დაკავშირებული, ძირითად შემთხვევაში გადაწყვეტილებას უკიდურეს შემთხვევაში იღებენ, თუკი ვერ ხედავენ ქვეყანაში განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობებს. ნებისმიერმა გამგზავნმა ქვეყანამ და მათ შორის საქართველომ უნდა შეძლოს ემიგრანტებისგან მიღებული სარგებლის სწორად გამოყენება. ვგულისხმობ, რომ, პირველ რიგში, მიგრანტებისგან გადმორიცხული თანხები წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან ბერკეტს და ფულის შემოდინების წყაროს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ არსებითია დაბრუნებული მა-

ღალკვალიფიციური კადრების ინტეგრაცია, რადგან აღნიშნულ მიგრანტებს აქვთ გამოცდილება უცხოეთში სხვადასხვა სფეროში მუშაობის, მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების, შესაბამისად მათი გამოცდილების გაზიარება და ცოდნის გამოყენება ქვეყანას დაეხმარება. თუმცა აქ მნიშვნელოვანია არ მოხდეს ე.წ. ინტელექტის გადინება („ტვინების გადინება"), რაც გულისხმობს განათლებული და ნიჭიერი ადამიანების ემიგრირებას წარმოშობის ქვეყნიდან, რაც განპირობებულია წარმოშობის ქვეყანაში შესაძლებლობათა ნაკლებობით. მაღალკალიფიციური კადრების გადინება ქვეყნისთვის უარყოფითი შედეგის მომტანია, ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობას.

ამგვარად, მსოფლიო შრომის ბაზარზე ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა, რომელიც საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მეშვეობით ხდება, უკვე ნორმა გახდა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ ხელი შეუწყოს ლეგალურ შრომით მიგრაციას. ასევე გაატაროს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა, სხვადასხვა ქვეყანასთან უზრუნველყოს შესაბამისი თანამშრომლობა, რათა წაახალისოს ლეგალური შრომითი მიგრაცია. არალეგალური შრომითი მიგრაცია საფრთხეს წარმოადგენს, როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ასევე გამგზავნი და მიმღები ქვეყნისთვის. აღნიშნულის აღსაკვეთად კი ყველაზე გონივრულია შრომის ლეგალური მიგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება.

მეორე მხრივ, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან მიგრირებულ ინდივიდებს იღებს. 2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით გაიზარდა იმიგრანტთა რიცხვი, რომელმაც გადააჭარბა ემიგრანტთა რაოდენობას აღნიშნულ წელს. ეს ყოველივე გამოიწვია რუსეთიდან მიგრირებულ პირთა ნაკადების საგრძნობლად გაზრდამ. ქვეყანამ ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს იმიგრანტთა ინტეგრაციას. მეორეს მხრივ, საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქის სტატუსის მინიჭებისას. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებები არ უნდა გაუთანაბრდეს ქვეყნის მოქალაქის უფლებებს. მაგალითად, მათ არ უნდა ჰქონდეთ უძრავი ქონების (მიწის, სტრატეგიული ობიექტების და ა. შ.) სრული საკუთრების (განკარგვის) უფლება. მათთვის დასაშვები უნდა იყოს, უძრავი ქონების მხოლოდ კონტრაქტის საფუძველზე იჯარით სარგებლობა. მხოლოდ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ უნდა შეიძლებოდეს უცხო ქვეყნის პირთათვის ანგარიშების გახსნა და ა. შ., ისეთი გათვლებით, რომ დაცული იქნეს ეროვნული ინტერესების პრიორიტეტული მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაპანაძე მ. (2023). უკეთესი ცხოვრების ძიებაში-მიგრაცია. https://act-global.com/ka/georgia/insight/uketesi-tskhovrebis-dziebashi-migratsia
2. მაჩაიძე რ. (2022). რუსი მოდის, რუსი მიდის?! https://kvirispalitra.ge/article/97191-rusi-modis-rusi-midis/
3. მაჩაიძე რ. (2023). საგანგაშო სტატისტიკა. https://kvirispalitra.ge/article/100281-sagangasho-statistika/
4. ტუხაშვილი მ. (2004). საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის ძირითადი ტენდენციები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ჟურნალი „დემოგრაფია", 1(6).
5. ტუხაშვილი მ. (2014). საქართველოს შრომით ემიგრანტთა დემოგრაფიული და სოციალურ-კვალიფიციური სტრუქტურა. კრებულში: დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული II.
6. ტუხაშვილი მ. (2017). საქართველოს გარემიგრაციული პრობლემები. სამეც. შრ. კრებული. მიგრაცია 1. თბ. უნივერსალი, გვ.5-15
7. მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონიhttps://migration.commission.ge/files/glosaary.pdf.

8. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის. https://faolex.fao.org/docs/pdf/geo216923.pdf
9. საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ. https://migration.commission.ge/index.php?article_id=216&clang=0
10. ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია. https://www.gov.ge/wp-content/uploads/-2022/11/khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf
11. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. https://migration.commission.ge/files/-ms_2021-2030_geo.pdf
12. Bedianashvili G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 17(2), 174-179.
13. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016a). European Values: What Can We Implement from Them and How Can We Implement Them in Georgia. *Globalization & Business*. *(1).* 40-46. (In Georgian).
14. Gvelesiani, M., & Veshapidze, S. (2016b). Values: Limits and Contradictions. *Globalization & Business*, *(1).* 35-39. (In Georgian).
15. Otinashvili, R., Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). IMPACT OF ECONOMIC CRIME ON THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE STATE. Three Seas Economic Journal 4 (1), 10-17
16. Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, 3-4(98-99), 90-108
17. Papava, V. (2021). On Pseudo De-Globalization, Silk Road Of Global Value Chains And Role Of Georgia – OpEd. https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/.
18. Papava, V. (2022a). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23, https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/.
19. Papava, V. (2022b). On Sanctionomics. *Eurasia Review,* March 14. Available at: https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped.
20. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *16*(1).
21. Veshapidze, S., & Karchava, L. (2022). Contradictions of Globalization under the COVID-19 Pandemic. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(4).
22. Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023). International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. *"Ekonomisti"* #1, 58–69.
23. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2021). Institutional Evolution of Higher Education in Georgia. The New Economist, 16(2), 1–1. DOI: https://doi. org/10.36962/NEC6102202133
24. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022a). On State Intervention in the Economy through the Budget in Georgia. *WORLD ECONOMY AND INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONS. - International Scientific Collection - Vol. 5.* Kyiv – CUL. https://doi.org/10.5281/ zenodo.5807500
25. Veshapidze, S., & Zoidze, G. (2022b). Value Choices of the Community in the Context of the COVID-19 Pandemic. *DOI: https://doi. org/10.5281/ zenodo*, *6373197*.
26. Veshapidze, S., Babuadze, N., & Beridze, T. (2015). EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING). *ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES.(10-11 July, 2015). PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY. Tbilisi*, 79-83.

27. Veshapidze, S., Zubiashvili, T., & Chiabrishvili, K. (2021). Globalization and New Opportunities for Georgia. Globalization and Business. 12, 32-36. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.003
28. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10 (2), 22-32 DOI: 10.37708/ep.swu.v10i2.2
29. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. *Cambridge Scholars Publishing. P. 125;*
30. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022b). Transformation of Economic Policy Priorities Under Covid-19. *Three Seas Economic Journal*, *3*(2), 35-43.
31. Zubiashvili, T., Silagadze, A., & Kutubidze, I. (2023). The Impact of Migration on the Development of Economy and Demography of Georgia in the Period of Globalization *Bull. Georg. Natl. Acad. Sci*, *17*(3).

Threats and Possibilities of Georgia Participation in International Labor Migration

Shota Veshapidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The purpose of the research of this article is to analyze the threats of Georgia's participation in international labor migration and to overcome it. The subject of research is socio-political, demographic, economic factors causing migration. The tasks of the research include the dynamics of the number of immigrants and emigrants in Georgia, analysis of personal transfers, increased migration from Russia.

As a result of the research, it has been established that the important economic factors of the security of Georgia's participation in international migration are low income, poor working conditions, poor living conditions, low development opportunities, which prompts a large part of people to look for jobs abroad. The modern priorities for overcoming the threats of Georgia's participation in international labor migration are: bringing illegal migration into the legal framework, reintegration of returned migrants, involvement of the diaspora in the country's development, integration of foreigners.

Key words: *immigrant, emigrant, personal transfers, legal migration.*

მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკების გადაცემის არხები

სალომე თვალოძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისოდ არის აღიარებული, რომ მდგრადობასთან დაკავშირებული ფაქტორები ფინანსური რისკების წყარო შეიძლება გახდეს და მათი სათანადო მართვა მნიშვნელოვანია კომპანიების, ფინანსური ინსტიტუტებისა და მთლიანად ფინანსურის სექტორისა და ეკონომიკის გრძელვადიანი მდგრადობისთვის. ეს ნაშრომი ხაზს უსვამს აღიარებულ საერთაშორისო კონსენსუსს მდგრადობასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი რისკის, კლიმატის ცვლილების შესახებ, რომელიც უარყოფითად მოქმედებს შინამეურნეობებზე, ბიზნესებსა და ფინანსურ ინსტიტუტებზე. კვლევა განიხილავს, თუ როგორ გადაეცემა კლიმატთან დაკავშირებული რისკები ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორს, უპირველეს ყოვლისა, ორი განსხვავებული არხით: კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით გამოწვეული ფიზიკური რისკები და დაბალი ემისიების ეკონომიკის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გარდამავალი რისკები. ფიზიკური და გარდამავლობის რისკები გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ გარემოზე და შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს. ნაშრომი ხაზს უსვამს ამ რისკებიდან გამომდინარე მაკროეკონომიკურ შედეგებს, ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობაზე შესაძლო გავლენას და პოტენციურ ფინანსური სტაბილურობის რისკებს. ამ რისკებს შორის რთული ურთიერთქმედების გააზრებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილების გამოწვევების გადასაჭრელად, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისა და გლობალურ ეკონომიკაში რისკების პროაქტიულად შესამცირებლად.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკები, კლიმატის ცვლილება, ფინანსური სტაბილურობა.*

მდგრადი განვითარება, განვითარების ისეთ გზას გულისხმობს, რომელიც დღევანდელი თაობის მოთხოვნების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების ინტერესების ხარჯზე არ მოახდენს. აღნიშნული კონცეფციის ფორმულირება პირველად 1987 წელს, გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის ანგარიშში „ჩვენი საერთო მომავალი" მოხდა. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი განვითარებისათვის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. ქვეყნის მდგრადობის ანალიზისას მნიშვნელოვანია ამ განმარტებით ხელმძღვანელობა და იმის გაცნობიერება, რომ მომავალი თაობების ინტერესების დაცვა სცდება გარემოსდაცვით საკითხებს და უფრო ფართო სოციალურ, ეკონომიკურ და მმართველობით მიზნებს მოიცავს. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ შედეგებზე, ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე და, საბოლოოდ, მის გრძელვადიან განვითარებაზე. როდესაც ქვეყნები ვერ ახერხებენ სათანადოდ და პროაქტიულად გაუმკლავდნენ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გრძელვადიან გამოწვევებს, ასეთი გამოწვევები საბოლოოდ შეიძლება გადაიზარდოს პრობლემებში, რომლებიც დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს, რათა არ შეფერხდეს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება.

უკვე საერთაშორისოდ არის აღიარებული, რომ მდგრადობასთან დაკავშირებული ფაქტორები ფინანსური რისკის წყარო შეიძლება გახდეს და მათი სათანადო მართვა მნიშნველოვანია კომპანიების, ფინანსური ინსტიტუტებისა და მთლიანად ფინანსურის სექტორისა და ეკონომიკის გრძელვადიანი მდგრადობისთვის.

მზარდად კომპლექსურ და ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვის აუცილებლობა, უკეთეს ანგარიშვალდებულებასა და კორპორაციული მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მზარდ მოლოდინებთან ერთად, ახალ გამოწვევებს წარმოადგენს გრძელვადიანი ფინანსური შედეგებით. ეს ასეა როგორც ფინანსური ინსტიტუტების და კომპანიების დონეზე, ასევე საინვესტიციო პორტფელის დონეზე და ზოგადად, ფინანსური სისტემის და ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის დონეზეც.

მდგრადი დაფინანსება ფართო კონცეფციაა, რომელიც ფინანსური სისტემის მდგრადობასთან შესაბამისობას გულისხმობს. მდგრადი დაფინანსება გულისხმობს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (Environmental, Social, Governance; ESG) ფაქტორების ინტეგრაციას ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ESG ფაქტორები მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, რომლებიც ტრადიციულად არ არის ფინანსური ანალიზის ნაწილი, მაგრამ შეიძლება ფინანსური მნიშვნელობა ჰქონდეს. ეს შეიძლება მოიცავდეს იმას, თუ როგორ რეაგირებენ კორპორაციები კლიმატის ცვლილებაზე, რამდენად კარგია მათი წყლის რესურსების მართვის პრაქტიკა, რამდენად ეფექტურია მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა უბედური შემთხვევებისგან დაცვაში, როგორ მართავენ მიწოდების ჯაჭვებს, როგორ ეპყრობიან დასაქმებულებს და აქვთ თუ არა კორპორაციული კულტურა, რომელიც ქმნის ნდობას და ხელს უწყობს ინოვაციებს.

დიაგრამა 1.

კავშირი ESG და SDGs შორის

წყარო: United Nations, Deutsche Bank

ESG ფაქტორებს შეიძლება ჰქონდეს მატერიალური გავლენა ფირმების მუშაობაზე და უფრო ფართოდ, ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე. ამასთან, ESG საკითხების გათვალისწინებით, კომპანიებს, ფინანსურ ინსტიტუტებსა და ინვესტორებს შეუძლიათ მოიძიონ შესაძლებლობები, რომლებიც თანხვედრაშია როგორც ფინანსურ მიზნებთან, ასევე გაეროს მდგრადი განვითარების გრძელვადიან მიზნებთან (იხ. დიაგრამა 1). ზოგადად, ESG-ის ფაქტორები შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: „ESG ფაქტორები არის გარემოსდაცვითი, სოციალური ან მმართველობითი საკითხები, რომლებმაც შეიძლება დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინოს სუბიექტის, სახელმწიფოს ან ფიზიკური პირის ფინანსურ მაჩვენებელზე ან გადახდისუნარიანობაზე“.

როგორც ზემოთ მოცემულ განმარტებაშია ნათქვამი, ESG ფაქტორებს შეიძლება ჰქონდეთ უარყოფითი ან დადებითი ზემოქმედება. თუმცა, ფინანსური სტაბილურობის კუთხით უფრო მეტ ყურადღებას უარყოფით მხარეზე ამახვილებენ რისკის მართვისადმი პრუდენციული მიდგომის შესაბამისად. ნეგატიურად, ESG ფაქტორებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ინსტიტუტების ფინანსურ შედეგებზე ფინანსური რისკის კატეგორიების მატერიალიზებით, როგორიცაა საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, ლიკვიდობის და დაფინანსების (funding) და რეპუტაციული რისკები (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2.

ESG რისკების გამომწვევი ფაქტორები, მათი გადაცემის არხები და გავლენა ფინანსური რისკის კატეგორიებზე



წყარო: European Banking Authority (EBA), 2021 – www.eba.europe.eu

მდგრადობასთან ანუ ESG საკითხებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი რისკი გარემოსდაცვითი რისკია. გარემოსდაცვითი რისკებიდან, თავის მხრივ, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები გამოირჩევა, რადგან კლიმატის ცვლილება ცხადად გამოხატული და მიმდინარე საფრთხეა გრძელვადიანი შედეგებით, რომლებიც მნიშვნელოვან რეაგირებას მოითხოვს (EBA, 2021; FSB, 2021; FSB, 2022; BCBS, 2021; BCBS, 2022; NGFS, 2020). გარდა ამისა, ის ასევე არის ყველაზე ფართოდ შესწავლილი, გამოკვლეული და აღიარებული გარემოსდაცვითი რისკი.

ამასთან, გარემოსდაცვითი რისკები და მათი სათანადო მართვის მნიშვნელობა მუდმივად იზრდება. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2021 წლის გლობალური რისკის ანგარიშის მიხედვით[1], გარემოსდაცვითი საკითხები გრძელვადიან რისკებს შორის დომინირებს, როგორც ალბათობის, ისე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამასთან, გარემოსდაცვითი საკითხებიდან მომდინარე რისკების რაოდენობა ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება და ხუთ ყველაზე მნიშვნელოვან, როგორც მოხდენის ალბათობის, ასევე ზემოქმედების სიძლიერის მიხედვით, გრძელვადიან რისკებს შორის სულ მცირე სამი რისკი გარემოსდაცვით საკითხებს უკავშირდება. კერძოდ, ასეთ რისკებს მიეკუთვნება ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები და კატასტროფები, კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და მიტიგაციისკენ მიმართული მოქმედებების წარუმატებლობა, ბიომრავალფეროვნების კარგვა, ბუნებრივი რესურსების კრიზისი და სხვა.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევები უპრეცედენტოა. კლიმატის ცვლილებები ეკონომიკურ შედეგებზე მრავალი არხის საშუალებით ახდენს გავლენას. ტემპერატურის ზრდა, ზღვის დონის მატება, ნალექების ცვალებადობა და ექსტრემალური მოვლენები (წყალდიდობა, გვალვა, ხანძრები) ეკონომიკაზე მრავალი მიმართულებით მოქმედებს. მათ შორის სიმდიდრის განადგურებით, შემოსავლების და ეკონომიკური ზრდის შემცირებითა და მერყეობის ზრდით (Deryugina & Hsiang, 2014; Mersch, 2018), და შემოსავლებისა და სიმდიდრის განაწილებაზე ზემოქმედებით (IMF, 2017; Bathiany et al, 2018). ამასთან, ამ არხებს შორის კომპლექსური ურთიერთკავშირი არსებობს, რაც მათ შესწავლასა და მოდელირებას ართულებს (Schneider, 1997). უფრო მეტიც, კლიმატის ცვლილების გავლენა არაერთგვაროვანია როგორც გეოგრაფიული (Tol, 2018), ასევე შემოსავლის დონის (Hsiang 2019) თვალსაზრისით.

ამასთან, უკვე საერთაშორისოდაა აღიარებული, რომ კლიმატის ცვლილება ფინანსური რისკების წყაროა (Carney, 2015; NGFS, 2019; Aglietta and Espagne, 2016; Batten et al., 2016; Scott et al., 2017). ამასთან, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ადამიანის კეთილდღეობასა და გლობალური სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური სისტემების მართვაზე. შესაბამისად, კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობისთვის.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები ეკონომიკას და ფინანსურ სექტორს ორი ძირითადი არხით გადაეცემა: კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფიზიკური რისკი (Carney, 2015; Carbon Tracker Initiative, 2011; Johnson, 2012; Battiston et al., 2017; Stolbova et al., 2018; Trinks et al., 2018) და დაბალი ემისიის ეკონომიკაზე (low-carbon economy) გადასვლის პროცესში წარმოქმნილი გარდამავლობის რისკი (Carney, 2015; Dietz et al., 2016; Dafermos et al., 2018).

ფიზიკური რისკი წარმოიქმნება ამინდისა და კლიმატის ცვლილებებიდან, რაც გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ფიზიკური რისკი განიხილება როგორც მწვავე, როცა ის გამოწვეულია კლიმატთან და ამინდთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენებით, მაგალითად როგორიცაა გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი, ხანძარი, ქარიშხალი და სხვა. ფიზიკური რისკი ითვლება ქრონიკულად თუ

[1] https://www3.weforum.org/docs/WEF_The_Global_Risks_Report_2021.pdf

იგი გამოწვეულია კლიმატის ეტაპობრივი ცვლილებით, როგორიცაა გლობალური დათბობა, ზღვის დონის მატება და სხვა.

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე და აზიანებს ინფრასტრუქტურას და კერძო საკუთრებას, ამცირებს სიმდიდრეს და პროდუქტიულობას. ასეთმა მოვლენებმა შეიძლება შეაფერხოს ეკონომიკური აქტივობა და ვაჭრობა, შექმნას რესურსების დეფიციტი და გამოიწვიოს კაპიტალის უფრო პროდუქტიული გამოყენებიდან (მაგ. ტექნოლოგიები და ინოვაციები) რეკონსტრუქციასა და ჩანაცვლებაზე გადამისამართება. სამომავლო დანაკარგებთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ ასევე შეიძლება ასახვა ჰპოვოს უფრო მაღალ პრევენციულ დანაზოგებსა და დაბალ ინვესტიციებში.

ფიზიკური ეფექტები მხოლოდ მომავალ რისკებს არ წარმოადგენს; ის დღეს უკვე ახდენს გავლენას ეკონომიკასა და ფინანსურ სისტემაზე (NGFS, 2019). მთლიანობაში, მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკურმა ხარჯებმა სტიქიური უბედურებების შედეგად 30-წლიან საშუალო წლიურ მნიშვნელობას, 140 მილიარდ აშშ დოლარს, ბოლო 10 წლის განმავლობაში შვიდ შემთხვევაში გადააჭარბა (Munich Reinsurance Company, 2019). ამასთან, 1980-იანი წლებიდან ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების რიცხვი სულ მცირე სამჯერ გაიზარდა (Munich Reinsurance Company, 2018).

უფრო გრძელვადიან ჰორიზონტზე, ბუნებრივ გარემოში დაჩქარებული ცვლილებები გავლენას მოახდენს სხვადასხვა რეგიონის სასიცოცხლო უნარზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საშუალო ტემპერატურა, პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით, 1.5-2°C-ზე მეტით გაიზრდება. ეს გამოწვეული იქნება ადამიანის ჯანმრთელობასთან, საკვების უსაფრთხოებასთან, წყლის რესურსებთან, სიცხესთან და ზღვის დონის მატებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკებით (IPCC, 2018).

შეფასებები აჩვენებს, რომ ემისიების შესამცირებლად საჭირო ქმედებების არარსებობის შემთხვევაში, კლიმატის ცვლილების ფიზიკური გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე საუკუნის მეორე ნახევარში არსებითი იქნება. უფრო სიღრმისეული კვლევების მიხედვით, საშუალო გლობალური შემოსავალი საუკუნის ბოლომდე შეიძლება მეოთხედით შემცირდეს (Burke, 2015). გარდა ამისა, ამ სცენარებში გაზრდილი ალბათობა ისეთი დამანგრეველი მოვლენებისა, როგორიცაა მასობრივი მიგრაცია, პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტები, მიუთითებს, რომ კვლევები, სავარაუდოდ, სრულყოფილად ვერ აფასებენ ასოცირებული რისკების ზომასა და ვადებს. ეს კი ნიშნავს, რომ ფიზიკური რისკების გავლენა ეკონომიკაზე გაცილებით მასშტაბური შეიძლება აღმოჩნდეს (NGFS, 2019).

უფრო ნაკლები კვლევები არსებობს, რომლებიც ფინანსური სტაბილურობისთვის ფიზიკური რისკებს რაოდენობრივ აფასებს, ვიდრე მთლიანად ეკონომიკისთვის. მაგრამ მოსალოდნელია, რომ დანაკარგები ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი იქნება. არსებული კვლევების მიხედვით, საშუალო ტემპერატურის მატების მიხედვით, რისკის ქვეშ შეიძლება ფინანსური ღირებულების 17%-მდე აღმოჩნდეს (NGFS, 2019). ერთ-ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ თუ გლობალური ზედაპირის საშუალო ტემპერატურა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით 2.5°C-ით მოიმატებს, მსოფლიო ფინანსური აქტივების თითქმის 2%-ს ემუქრება რისკი (Dietz, Bowen, et al., 2016). 5ᲐC-ით დათბობის შემთხვევაში კი დანაკარგები შესაძლოა მართვადი აქტივების გლობალური მარაგის 5%-ს გაუტოლდეს (The Economist Intelligence Unit, 2015).

თუ დანაკარგები დაზღვეულია, უფრო ხშირი და მძიმე ბუნებრივი მოვლენები პირდაპირ გავლენას ახდენს სადაზღვევო ფირმებზე ანაზღაურებაზე მაღალი მოთხოვნის მეშვეობით, ხოლო მათ კლიენტებზე, ირიბად, მაღალი სადაზღვევო პრემიების საშუალებით. თუ დანაკარგები არ არის დაზღვეული, ტვირთი ეკისრება შინამეურნეობებს, კომპანიებს და საბოლოოდ, მთავრობის ბიუ-

ჯეტს. მსესხებლების ვალის გადახდისუნარიანობის ცვლილებამ ან გირაოს ღირებულების შემცირებამ შეიძლება საკრედიტო რისკები გაზარდოს ბანკებისა და სხვა კრედიტორებისთვის. კრედიტორების სავარაუდო შემოსავლების ცვლილება ასევე აისახება ფინანსურ ბაზრებზე, რაც თავის მხრივ ინვესტორებსა და აქტივების მფლობელებზე მოახდენს გავლენას.

ფინანსურ სისტემასა და მაკროეკონომიკას შორის არსებულმა უკუკავშირმა (feedback loops) შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს ეს ზემოქმედება და რისკები. მაგალითად, გირაოს სახით გამოყენებული აქტივების დაზიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ზარალი, რამაც აიძულოს ბანკები შეზღუდონ სესხების გაცემა გარკვეულ რეგიონებში. ეს კი დაზარალებულ რაიონებში რეკონსტრუქციისთვის ხელმისაწვდომ დაფინანსებას შეამცირებს. ამავდროულად, ეს დანაკარგები შინამეურნეობების სიმდიდრეს ამცირებს და, თავის მხრივ, შეიძლება მოხმარების კლებაში აისახოს.

გარდამავლობის რისკი დაბალის ემისიის ეკონომიკაზე გადასვლასთანაა დაკავშირებული და გაუფასურებული აქტივების ფასის ცვლილებით (აქტივები, როგორიცაა ქვანახშირი და ნავთობი, რომლებიც არ იქნება გამოყენებული წიაღისეული საწვავის მოხმარებიდან ეტაპობრივი ამოღების დროს) წარმოიქმნება და ამ პროცესში კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკის, ტექნოლოგიების და ბაზრის განწყობის ცვლილებებიდან მომდინარე ეკონომიკურ შეფერხებებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ისინი შეიძლება წარმოიშვას გარემოსდაცვითი და სხვა დაკავშირებული რეგულაციებისა და პოლიტიკების ცვლილებებით; ინოვაციებითა და არსებული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის ცვლებით (მაგ., განახლებადი ენერგიის გაიაფება ან ატმოსფერული სათბურის გაზების ემისიების შემცირების საშუალებების განვითარება); ან ინვესტორებისა და მომხმარებლების განწყობის ცვლილებით უფრო მწვანე გარემოს მიმართ. გარდამავლობასთან დაკავშირებული ცვლილებების მოსალოდნელ მასშტაბს და სინქრონულ ხასიათს აქვს იმის პოტენციალი, რომ იმაზე დიდ გავლენა ჰქონდეს, ვიდრე ადრე იყო მოსალოდნელი (BIS, 2020). გარდამავლობის რისკის მამოძრავებელი ფაქტორები გლობალურია, თუმცა რისკის გამომწვევი ფაქტორების სპეციფიკური ბუნება განსხვავდება ქვეყნებისა და ეკონომიკების მიხედვით.

დაბალი სათბურის გაზების ეკონომიკაზე გადასვლა ენერგეტიკის, ურბანულ, ინფრასტრუქტურისა და სამრეწველო სისტემებში სწრაფ და სიღრმისეულ ტრანსფორმაციას მოითხოვს. ამ ცვლილებებთან დაკავშირებული ეკონომიკური და ფინანსური ტრანსფორმაციის მასშტაბები დიდია, რაც ეკონომიკისთვის და ფინანსური სისტემისთვის როგორც რისკებს, ასევე შესაძლებლობებს ქმნის.

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) შეფასებების მიხედვით ენერგეტიკის სფეროში საჭირო დამატებითი ინვესტიციები, რომელიც თავსებადია 1.5°C სცენართან, 2016-2050 წლებში ყოველწლიურად 830 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს (IPCC, 2018). ევროკავშირის შეფასებით კი, ევროკავშირის კლიმატისა და ენერგეტიკის მიზნების მისაღწევად დაახლოებით წლიურად, 180 მილიარდ ევროს საინვესტიციო გაპი არსებობს (EC, 2018). მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი ინვესტიციის დამატებითი ცვლილება არ არის დიდი, ის მოითხოვს კაპიტალის მნიშვნელოვან გადამისამართებას მწვანე დაფინანსებისკენ. ინვესტიციების ეს ცვლილება ეკონომიკაში დღევანდელთან შედარებით მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს გამოიწვევს და სხვადასხვა კვლევები ცდილობს რაოდენობრივად განსაზღვროს ასეთი გარდამავალი ზემოქმედება. 31 მოდელის შედეგების შეჯამების შედეგად, IPCC (2014) დაასკვნა, რომ დათბობის 2°C-მდე შეზღუდვის ხარჯები (66% ალბათობით) 2030 წლისთვის გლობალური მთლიანი მოხმარების 1-4%-ს შორის იქნება.

გარდამავლობასთან დაკავშირებული ეკონომიკური ხარჯები წარმოიქმნება შეფერხებული ტრაფნსფორმაციით და ზოგიერთ სექტორში, მაგალითად, ავიაციაში ან ცემენტისა და ფოლადის წარმოებაში, თავდაპირველად უფრო ძვირადღირებულ, დაბალი-ემისიის ტექნოლოგიებზე გადას-

ვლის აუცილებლობით. თუმცა, ეს ხარჯები და ზუსტი გარდამავლობის გზები ქვეყნებს შორის განსხვავდება, კაპიტალის არსებული მარაგის მიხედვით და შეიძლება მეტ-ნაკლებად განსხვავებული იყოს პოლიტიკური, ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო. გარდა ამისა, გარდამავლობის ხარჯები და გზები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, რაც დამოკიდებულია სამომავლო გადაწყვეტილებებზე (მაგ. ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში, მთავრობის მოულოდნელი გადაწყვეტილება განახლებადი ენერგიისთვის სუბსიდიების შემცირების შესახებ ან მომხმარებელთა უეცარი გადასვლა უფრო მწვანე არჩევანისკენ).

დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლის შეფერხება ნიშნავს, რომ მომავალში საჭირო იქნება ემისიების უფრო მკვეთრი (და უფრო ძვირი) შემცირება პოლიტიკის მოცემული მიზნის მისაღწევად. გადასვლის სიჩქარე და დრო გადამწყვეტია: მოწესრიგებული/დაბალანსებული სცენარი, მკაფიო სიგნალით, არსებული ინფრასტრუქტურის შეცვლისთვის და ტექნოლოგიურ პროგრესისთვის ენერგიის ხარჯების გონივრულ დონეზე შესანარჩუნებლად ქვეყნებს ადექვატურ დროს მისცემს (ESRB, 2016). ამის საპირისპიროდ, უწესრიგო, მოულოდნელი, არაკოორდინირებული, გაუთვალისწინებელი ან ნახტომისებური გადასვლა დამღუპველი და ძვირი იქნება, განსაკუთრებით იმ სექტორებისთვის და რეგიონებისთვის, რომლებიც უფრო მოწყვლადია სტრუქტურული ცვლილებების მიმართ.

ფინანსური სისტემისთვის გარდამავლობიდან მომდინარე პოტენციური რისკები ყველაზე დიდია იმ სცენარებში, სადაც კაპიტალისა გადამისამართება და პოლიტიკის ზომების გატარება, როგორიცაა ნახშირბადის გადასახადის შემოღება, მოულოდნელად ან უწესრიგოდ ხდება. გაუფასურებული აქტივების შემცირებული ღირებულება, გამოიწვევს როგორც კაპიტალის, ისე შემოსავლის დაკარგვას მფლობელებისთვის, ასევე გაზრდის საბაზრო და საკრედიტო რისკებს კრედიტორებისთვის და ინვესტორებისთვის. კვლევებში ზარალის შეფასებები დიდია და 1-დან - 4 ტრილიონ აშშ დოლარამდე მერყეობს, როდესაც მხოლოდ ენერგეტიკის სექტორს განიხილავენ, ან 20 ტრილიონ დოლარამდე, როდესაც ეკონომიკას უფრო ფართოდ შევხედავთ (IEA და IRENA, 2017) . მეტი კვლევაა საჭირო იმის გასაგებად, თუ როგორ იქცევა ეს ზემოქმედება ფინანსურ ბაზრებზე სისტემურ რისკებად, განსაკუთრებით მეორე რიგის ეფექტების გათვალისწინებით. ფართომასშტაბიანმა გადაფასებამ შეიძლება ბაზრების დესტაბილიზაცია მოახდინოს, დანაკარგების პროციკლური კრისტალიზაცია გამოიწვიოს და ფინანსური პირობების მუდმივი გამკაცრებაში აისახოს (PRA, 2018).

წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, რომ კლიმატთან დაკავშირებული რისკები ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორს ორი არხით: კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით გამოწვეული ფიზიკური რისკებით და დაბალი ემისიების ეკონომიკის ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გარდამავლობის რისკებით გადაეცემა. ფიზიკური და გარდამავლობის რისკები გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ გარემოზე და შესაძლოა მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები გამოიწვიოს. ეს ყოველივე კი შესაძლოა ფინანსური ინსტიტუტების მდგრადობაზე უარყოფითად აისახოს და ფინანსური სტაბილურობის რისკები შექმნას. ამ რისკებს შორის რთული ურთიერთქმედების გააზრებით, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები კლიმატის ცვლილების გამოწვევების გადასაჭრელად, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობისა და გლობალურ ეკონომიკაში რისკების პროაქტიულად შესამცირებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Aglietta, M., E. Espagne. (2016). Climate and Finance Systemic Risks, more than an Analogy? The Climate Fragility Hypothesis CEPII Working Paper 2016-10
2. Bathiany, S., V. Dakos, M. Scheffer, and T. M. Lenton. (2018). Climate Models Predict Increasing Temperature Variability in Poor Countries. Science Advances 4(5):EAAR5809.
3. Batten, S., R. Sowerbutts, M. Tanaka. (2016). Let's Talk About the Weather: The Impact of Climate Change on Central Banks Bank of England Staff Working Paper 603
4. Batten, S. (2018). Climate Change and the Macro-Economy: A Critical Review. Bank of England Staff Working Paper No. 706.
5. Battiston, S., A. Mandel, I. Monasterolo, F. Schütze, G. Visentin. (2017). A climate stress-test of the financial system Nat. Clim. Chang., 7 (4) , pp. 283-288
6. BCBS. Climate-related risk drivers and their transmission channels. 2021. www.bis.org/bcbs/publ/d517.pdf
7. BCBS. Principles for Effective Management and Supervision of Climate-related Financial Risks. 2022. https://www.bis.org/bcbs/publ/d532.pdf
8. Bolton, P., Despres, M., Da Silva, L. A. P., Samama, F., & Svartzman, R. (2020). The Green Swan. BIS Books.
9. Burke, Hsiang and Miguel, "Global Non-Linear Effect of Temperature on Economic Production", Nature Vol. 527, pp. 235-239 (12 November 2015).
10. Carbon Tracker Initiative. (2011). Unburnable Carbon: Are the World's Financial Markets Carrying a Carbon Bubble? Investor Watch, London
11. Carney, M. (2015). Breaking the tragedy of the horizon – climate change and financial stability. Speech given at Lloyd's of London.
12. Dafermos, Y., M. Nikolaidi, G. Galanis. (2018). Climate Change, Financial Stability and Monetary Policy, Ecological Economics, Volume 152, Pages 219-234
13. Dietz, S., A. Bowen, C. Dixon, P. Gradwell 'Climate value at risk' of global financial assets Nat. Clim. Chang., 6 (7) (2016), pp. 676-679
14. European Banking Authority. (2021) EBA Report on Management and Supervision of ESG Risks for Credit Institutions and Investment Firms. EBA/REP/2021/18, June 2021
15. ESRB, Too late, too sudden: Transition to a low-carbon economy and systemic risk, 2016; Finansinspektionen, Climate change and financial stability, 2016.
16. FSB. (2021). FSB Roadmap for Addressing Climate-Related Financial Risks.
17. FSB. (2022). Supervisory and Regulatory Approaches to Climate-related Risks: Final report.
18. Hsiang, S, M Burke and E Miguel. (2013). Quantifying the influence of climate on human conflict. Science, vol 341, no 6151.
19. IEA and IRENA, Perspectives for the Energy Transition, 2017.
20. IMF. 2017. "The Effects of Weather Shocks on Economic Activity," in World Economic Outlook, Chapter 3, International Monetary Fund
21. Intergovernmental Panel on Climate Change, IPCC. (2012). Managing the risks of extreme events and disasters to advance climate change adaptation.
22. IPCC.(2018). Global warming of 1.5°C: an IPCC Special Report on the impacts of global warming of 1.5°C above pre-industrial levels and related global greenhouse gas emission pathways, in the context of strengthening the global response to the threat of climate change, sustainable development, and efforts to eradicate poverty.
23. IPCC. (2019). Special report on the ocean and cryosphere in a changing climate.

24. Mersch, Y. (2018). Climate change and central banking. Speech at the Workshop discussion “Sustainability is becoming mainstream,” Frankfurt am Main, November 27.
25. Munich Reinsurance Company (2018), “A stormy year: Natural catastrophe 2017” Geo Risks Research, NatCatSERVICE
26. Munich Reinsurance Company (2019), “Natural Catastrophe Review 2018” Geo Risks Research, NatCatSERVICE
27. NGFS. (2019). A call for action: climate change as a source of financial risk.
28. NGFS. (2020). Guide for Supervisors.
29. Schneider, S. (1997). Integrated assessment modeling of global climate change: Transparent rational tool for policy making or opaque screen hiding value-laden assumptions? Environmental Modeling & Assessment 2(4):229–249.
30. Scott, M., J. van Huizen, C. Jung. (2017). The Bank of England's Response to Climate Change Bank of England Quarterly Bulletin , pp. 98-109 Q2
31. Stolbova, V., I. Monasterolo, S. Battiston. (2018). A financial macro-network approach to climate policy evaluation, Ecol. Econ., 149, pp. 239-253
32. Tol, R. S. J. (2018). The Economic Impacts of Climate Change. Review of Environmental Economics and Policy 12(1):4–25.
33. Trinks, A., B. Scholtens, M. Mulder, L. (2018). Dam Fossil fuel divestment and portfolio performance Ecol. Econ., 146, pp. 740-748

Transmission Channels of Sustainability-related Financial Risks

Salome Tvalodze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Internationally, it is widely acknowledged that factors associated with sustainability can pose financial risks, and the effective management of these factors is vital for the long-term sustainability of companies, financial institutions, and the broader financial sector and economy. This paper highlights the recognized international consensus on the most important sustainability-related risk, climate change, being a source of financial risks, adversely affecting households, businesses, and financial institutions. The study examines how climate-related risks are transmitted to the economy and financial sector, primarily through two distinct channels: the physical risks stemming from climate change impacts and the transition risks associated with the low-emission economy transformation. The paper underscores the macroeconomic repercussions and potential financial instability implications resulting from these risks. By comprehending the intricate interplay between climate change, physical and transition risks, stakeholders can make informed decisions to address the challenges posed by the evolving climate landscape, foster financial stability, and proactively mitigate risks in the global economy.

Impact of Post Covid-19 Pandemic on Certain Aspect of Gender and Marketing

Nugzar Todua
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Charita Jashi
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The COVID-19 pandemic has further aggravated the gender imbalance in all spheres of society, threatening the UN's successful implementation of objectives regarding SDG`s Goals. According to the World Bank, certain progress that was achieved in the direction of gender equality was completely overshadowed by issues that became relevant during the PostCovid-19 period. Post-Covid conditions are characterized by new trends such as decreasing loyalty to traditional global brands and favoring national brands. Consumers have become more conscious regarding their health and wellness. The purpose of this article is to overview some studies related to marketing and gender in COVID-19 and in post period. Based on various sources and scientific papers are directly related to the consequences caused by the pandemic of COVID-19 in gender and marketing. Numerous of publications have been published in the recent period related all over the world, but not in Georgia. Significant important to provide scientific research, which clearly identify existing problems in gender and marketing.

Key words: *Post-COVID-19, gender, marketing, consumer behavior changing, marketing communications, sustainable tourism.*

The coronavirus pandemic has put the whole world in front of unexpected, difficult facts and completely changed all spheres of public life. As a result of the global pandemic, the situation of women in the workplace has become even more difficult. Many studies conducted in the Postcovid period have clearly shown that the pandemic has deepened gender part of the issue, has dramatically changed consumer attitudes and perceptions, leading to different product priorities. According to the World Bank, the risks posed by the Covid-19 pandemic are so comprehensive that they will set back all progress made in the direction of gender equality (World Bank, 2021). Since the beginning of the pandemic, women had to give up many positions in the labor market. The Pandemic didn't create new gender inequality in the workforce, but it did essentially worsen the existing inequality. Pandemic recession reduced women`s involvement in labour market and notable hampered their social status (Albanesi,2020). Women than men experienced more unemployment looses (Alon, 2020). Due to the events of COVID-19, a new expression has been established in the labor market by Economist Nicole Mason, who coined the term „She-Cession" to underline the issues facing women on the labor market (The Gardian, 2020; Bluedorn *et al.,* 2023).

According to gender economics, women around the world are subject to several traditional gender roles, indeed, double burden at work and in the family is a heavy task to overcome (Jashi, 2004). The greatest work of a woman in the family is not recognized by economic compensation and belongs to the care economy (Becker, 1965). This aspect often hinders a woman's professional career advancement and her decent establishment in the labor market (Moreno *et al.,* 2010; Jashi, 2005; Jashi, 2016). As a result of the pandemic, the small and medium-sized enterprises managed by women turned out to be more sensitive to the lockdown (Braunstein, 2023). Therefore, the global trend is that women entrepreneurs have relatively limited financial opportunities and support, which makes their activities more vulnerable to external shocks. An important problem is the em-

ployment of women in the informal sector. Women are mainly employed in domestic households - as caretakers, nannies, cleaners and tutors. According to the 2015 data of the International Monetary Fund, the informal economy in Georgia is 53.07%, which is one of the highest indicators in the world. Most of them are women. Women usual have the responsibility of taking care of the family, which includes cooking, taking care of children, cleaning and etc. COVID -19 has caused many companies to switch to remote work, as a result of which female entrepreneurs are forced to work from home and take care of other family tasks at the same time, which requires additional energy and time from them (IMF, 2015, World Bank, 2020). Women's involvement in informal labor leaves them essentially vulnerable without social protection and protection of labor rights. The government's anti-crisis plan, which offered little social assistance to families who lost their jobs, failed to cover a large part of the self-employed, while they represent a socially vulnerable category of society (Jashi, 2016). The deterioration of gender equality in labor markets is very worrying and threatens the compromise reached and future progress towards Sustainable Development Goal 5 (SGD Goals, 2015).

Changing Consumer Behavior

Many scholars in their scientific works have identified determining factors of consumers changing behavior during Covid -19 pandemic (Reid, 2020). Covid-19 dramatically changed the attitudes and views of buyers which led to the prioritization of totally unique products (Todua & Ivaniadze, 2023; Todua & Jashi, 2021). In the early period of COVID- 19 many consumers demonstrated impulsive buying behavior, which made additional barriers in the consumer markets (Aljanabi,2021). In the post-Covid period, values such as safety and well-being, simple lifestyle and utilization of goods are most important to consumers. The analysis of new behaviors acquired during the coronavirus was well formulated by the Indian professor Sheth in his popular work introduces the characteristics of new behavior due to crisis, they are following (see table 1).

Table 1.

Immediate effects of Covid-19 pandemic on consumer behavior

1	Hoarding - consumer begins to replenish the stock of primary consumption products
2	Improvisation - In times of restrictions, they look for new ways to change established behavior
3	Pent-up demand Postpone consumption for a certain period of time
4	Embracing Digital Tecnologies The widespread use of digital technologies, including the „zoom meetings“; author emphasizes the increasing role of influencer marketing
5	Sore Comes Home Home delivery of everything, variety of products and services
6	Blurring of work life boundaries
7	Reunions with family and friends
8	Discover new talent

source: Sheth, 2020.

It should be noted that acquired behaviors also remain in post-Covid conditions. Interestingly, women are more adaptable to new behavior, for example, unlike men they choose to live alone, independently in retirement. The affection for new technologies has increased even more in the post-Covid period, which has radically

changed the standard model of consumer behavior (Pesach, 2020). Real trading space has been replaced by a virtual one (Pandey, 2021). A shift to remote buying became very popular among women employers, this preference is remained in postcovid period. The scale and volume of e-commerce has increased. Consumers have developed a new lifestyle and behavior pattern that some experts believe will stick around for a long time. Consumer price sensitivity and affordability are most often cited in research as drivers of consumer choice, although quality is still a factor when choosing new brands (Jiang & Wen, 2020). Social media marketing has become a powerful tool in the everyday lives of consumers. Social media activities are becoming an essential component for marketing and play a critical role in crisis management (Todua & Urotadze, 2023**).**

Gender and Sustainable Tourism

It is known that one of the important economic sectors dominated by women, after health and education, is tourism. Georgia is very promising in terms of tourism development and has achieved great success in recent years, not only with its unique natural environment, appropriate infrastructure, development of new technologies, but also with proper management of human resources. 54% women are employed directly in tourism sector, compared to 39 per cent in the broader economy (UN Women, 2017). Women make up the majority of workers in the tourism industry worldwide (Baum, 2013; Santero-Sanchez *et al.,* 2015). Many scholars argue that tourism is a gender-oriented industry (Nguyen, 2022). Tourism sectors were seriously threatened due to virus crisis (Zhang *et al.,* 2020; Alon *et al.,* 2021; Uduji *et al.,* 2021). Women entrepreneurs in tourism have been hit twofold: by the reduction in the direct provision of goods and services to tourists and the drastically reduced demand from tourism supply chains (UNWTO, 2019; Jackman, 2022). It should be noted that tourism is a spatial and geographic phenomenon, the challenges faced by women in tourism are quite different from one region to another (Xu, 2018; Zhang *et al.,* 2022). The coronavirus pandemic has greatly hampered the development of the tourism sector, but it is still difficult to accurately determine the damage caused by COVID-19. On the other hand, it represents a separate threat to the sustainable development of tourism. One of the new aspects that emerged as a result of the pandemic is the need to move a large part of the activity to electronic mode, however, for this, the tourism sector (especially small and medium-sized companies) was not ready; It is desirable that the Georgian tourism business effectively integrates into the Internet space and makes maximum use of Internet-marketing tools, channels for effectively presenting and selling tourist products, to be able to adapt in time to the challenges associated with the pandemic in the world. In this direction, the implementation of targeted support programs by the government is significant - trainings, assistance in marketing activities, etc (Jashi, 2019). This problem is felt especially in mountainous, non-urban regions (Segovia-Pérez *et al.,* 2019). Digital skills, Internet marketing - become especially relevant in the current reality and as studies show, the tourism sector (especially in non-urban regions) is not ready for these challenges (UNWTO, 2021) It is significant to better plan marketing campaigns, well-designed policies to promote recovery, which can mitigate the negative effects of the crisis on women and prevent further setbacks for gender equality. It is reasonable to assume that women will take an active part in these programmes, particularly if local authorities strongly support rural women through long term loans and access to new technology (Jashi, 2016). There are a lot of women that are qualified and knowledgeable in these subjects and they can play enormous positive roles in the future, however, they need support in developing their activities into profitable businesses.

Conclusion

Marketing communications have unique opportunities to reinforce gender roles and represent the needs of girls and women. Breaking gender stereotypes in areas such as media, marketing and advertising gains great importance. Gender equality is a primary indicator of sustainable tourism, where improving women's conditions leads to improved tourism sustainability (Alarcón & Cole, 2019). It is significant to encourage women~s capacity and opportunity, which will facilitate reducing gender pay gap. Nevertheless, the study and knowledge about gender equality in marketing needs for in-depth analysis of the impact of COVID-19, it is essential support more academic researches about above mentioned topics for impeded the barriers existing in post-COVID-19 period.

References

1. Alarcón, D. M., & Cole, S. (2019). No sustainability for tourism without gender equality. *Journal of Sustainable Tourism, 27*(7), 903-919.
2. Albanesi, S., & Kim, J. (2021). Effects of the COVID-19 recession on the US labor market: Occupation, family, and gender. *Journal of Economic Perspectives, 35*(3), 3-24.
3. Alon, T., Doepke, M., Olmstead-Rumsey, J., & Tertilt, M. (2020). *This time it's different: the role of women's employment in a pandemic recession* (No. w27660). National Bureau of Economic Research.
4. Alon, T., Coskun, S., Doepke, M., Koll, D., & Tertilt, M. (2022). From mancession to shecession: Women's employment in regular and pandemic recessions. *NBER Macroeconomics Annual, 36*(1), 83-151.
5. Aljanabi, A. R. A. (2023). The impact of economic policy uncertainty, news framing and information overload on panic buying behavior in the time of COVID-19: a conceptual exploration. *International Journal of Emerging Markets, 18*(7), 1614-1631.
6. Baum,T.(2013). International Perspectives on Women and Work in Hotels, Catering and Tourism, ILO, working paper,1.
7. Becker, G. S. (1965). A Theory of the Allocation of Time. *The economic journal, 75*(299), 493-517.
8. Bluedorn, J., Caselli, F., Hansen, N. J., Shibata, I., & Tavares, M. M. (2023). Gender and employment in the COVID-19 recession: Cross-country evidence on "she-cessions*". Labour Economics, 81*, 102308.
9. Braunstein, E., Galza, C., & Lavopa. (2023). Towards Gender-inclusive Industrialization in a Post-pandemic World, Industrial Analytical Platform.
10. The Gardian. (2020). The 'Shecession': why economic crisis is affecting women more than men, Feminist Economics.
11. Jackman, M. (2022, January). The effect of tourism on gender equality in the labour market: Help or hindrance?. In *Women's Studies International Forum* (Vol. 90, p. 102554).
12. Jashi, Ch. (2005). *Gender Economic Issue (Georgian Case)*. SIDA, UNDP.
13. Jashi, Ch. (2004). Development of Women's Entrepreneurship: the Case of Georgia , Access to Financing and ICT for Women Entrepreneurs in the UNECE Region: Challenges and Good Practices. UNECE
14. Jashi, Ch. (2016). Challenges and Perspectives of Gender Equality of the Agricultural Sector of Georgia, Chapter of the book Gender Equality, Social Protection and rural development in Eastern Europe and Central Asia Insights from the region, FAO.

15. Urotadze, E., & Jashi, Ch. (2020). Marketing Aspects of COVID-19 Epoch. In *Proceedings of 5th International Scientific Conference „Challenges of Globalization in Economics and Business“.*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, Tbilisi (pp 397-404).
16. Jashi, Ch. (2019). Application of social Marketing for Sustainable Tourism Development , The Open Bussiness Journal, August.
17. Jiang, Y., & Wen, J. (2020). Effects of COVID-19 on hotel marketing and management: a perspective article. *International Journal of Contemporary Hospitality Management, 32*(8), 2563–2573.
18. Todua, N., & Urotadze, E.(2023). The Effect of Social Media Marketing on Consumer Behavior of Tourism Destinations. In book: Strategic Planning and Marketing in the Digital World, Edition: University of National and World Economy (Sofia) Chapter: 13, Publishing Complex UNWE.
19. Todua, N., & Ivaniadze, M. (2023). Changes of Online Consumer Behavior in the Fast Food Market in Post-Pandemic Conditions. In *Proceedings of Scientific Conference „The World Economy in the Post-Pandemic Period: Implications and Challenges“.* Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, Tbilisi (pp 115-120).
20. Todua, N., & Jashi, Ch.(2021). Paradoxes of Social Marketing in Healthcare (In the Context of COVID-19 Pandemic). In *Proceedings of 6th International Scientific Conference „ „Challenges of Globalization in Economics and Business“.*Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, Tbilisi (pp 163-168).
21. Kazar,G., Kazar .A., &Tuba Akpınar, T. (2021). Economic and Social Impacts of COVID-19 on European Tourism, In book: Handbook of Research on the Impacts and Implications of COVID-19 on the Tourism Industry , Chapter: 10, Publisher: IGI Global
22. Moreno, A. D., & Mullor E.C. (2020). Gender Dimension of Tourism Work , Alba Sud Publishing Informes en Contraste Series, no. 4.
23. Nguyen, C.P. (2022). Tourism and Gender (in) equality: Global evidence. Tourism Management Perspectives,41, (6)100933.
24. The World Bank, (2021). Country Gender Assessment Georgia, March.
25. Rinaldi, A., & Salerno, I. (2020). The tourism gender gap and its potential impact on the development of the emerging countries. *Quality & Quantity, 54(*5-6), 1465-1477.
26. Pandey, N. (2021). Digital Marketing Strategies for Firms in Post COVID-19 Era: Insights and Future Directions, In book: The New Normal: Challenges of Managing Business, Social and Ecological Systems in the Post COVID-19 Era, Publisher: Bloomsbury Publishing.
27. Profeta, P. (2020). Gender equality and public policy during COVID-19. *CESifo Economic Studies, 66*(4), 365-375.
28. Pesach, M. (2020, May). 5 Successful Marketing Strategies Examples to Adopt During andAfter Covid-19. Retrieved from: https://teamstepup.com/marketing/5-successful-strategies-examplesto-adopt-during-and-after-covid-19/
29. Reid, A. (2020, May). Best Practices for Marketing During and After COVID-19. Retrieved from: https://www.entrepreneur.com/article/349535
30. Santero-Sanchez, R., Segovia-Pérez, M., Castro-Nuñez, B., Figueroa-Domecq, C., & Talón-Ballestero, P. (2015). Gender differences in the hospitality industry: A job quality index. *Tourism Management, 51,* 234-246.
31. Segovia-Pérez, M., Figueroa-Domecq, C., Fuentes-Moraleda, L., & Muñoz-Mazón, A. (2019). Incorporating a gender approach in the hospitality industry: Female executives' perceptions. *International Journal of Hospitality Management, 76,* 184-193.
32. Sheth, J. (2020). Impact of Covid-19 on consumer behavior: Will the old habits return or die?. *Journal of business research, 117,* 280-283.

33. Uduji, J. I., Okolo-Obasi, E. N., Onodugo, V. A., Nnabuko, J. O., & Adedibu, B. A. (2021). Corporate social responsibility and the role of rural women in strengthening agriculture-tourism linkages in Nigeria's oil producing communities. *Journal of Tourism and Cultural Change, 19*(6), 754-780.
34. UNWTO. (2019). Global Report on Women in Tourism, 2nd ed.; UNWTO: Madrid, Spain; UN Women: New York, NY, USA.
35. UNWTO. (2020). Regional report on women in tourism in the Middle East. In Regional report on women in tourism in the Middle.
36. UNICEF, UN WOMEN. (2020). Promoting Positive Gender Roles in Marketing and Advertising: In the Context of COVID-19: Key Considerations for Business.
37. Zhang, Y., Xu, S., & Zhang, J. (2022). Examining the Relationship between Tourism and Gender Equality: Evidence from Asia. *Sustainability, 14*(19), 12156.
38. Zhang, J., & Zhang, Y. (2020). Tourism and gender equality: An Asian perspective. *Annals of Tourism Research, 85,* 103067.
39. Xu, H. (2018). Moving toward gender and tourism geographies studies. *Tourism Geographies, 20(*4), 721-727.
40. Zhao, Y.. & Bacao, F. (2021). How Does Gender Moderate Customer Intention of Shopping via Live-Streaming Apps during the COVID-19 Pandemic Lockdown Period? *Public Health* , *18*(24).
41. Wang, H. (2015). Analysis on the changes in consumer behavior and marketing countermeasure. In SHS Web of Conferences (Vol. 17, p. 01007). EDP Sciences.

პოსტ COVID-19-ის პანდემიის გავლენა გენდერისა და მარკეტინგის ზოგიერთ ასპექტზე

ნუგზარ თოდუა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჩარიტა ჯაში
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიამ საზოგადოების ყველა სფეროში გენდერული დისბალანსი გაამწვავა, რამაც გაეროს განვითარების მიზნების წარმატებით განხორციელებას საფრთხე შუქმნა. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გენდერული თანასწორობის მიმართულებით მიღწეული გარკვეული პროგრესი მთლიანად დაჩრდილა იმ გამოწვევებმა, რომლებიც მეტად თვალსაჩინო გახდა პოსტ COVID -19-ის პანდემიის პერიოდში.

ნაშრომი დამყარებულია მრავალფეროვან სამეცნიერო წყაროებზე, რომლებიც COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულ მძიმე შედეგებს ასახავს და გენდერისა და მარკეტინგის თვალსაზრისით არსებულ რეალურ პრობლემებს წარმოაჩენს. სტატიაში აღნიშნულია, რომ პანდემიით გამოწვეული პირველი დარტყმა ეკონომიკის სექტორებმა მიიღო, სადაც ქალთა სამუშაო ძალა დომინირებდა, რამაც გენდერული უთანასწორობის ზრდა გამოიწვია.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებზე, რომლებმაც ტრადიციული მარკეტინგული მიდგომა გარდაქმნა. ბოლო ხანებში მომხმარებელთა ქცევის სტანდარტული მოდელი რადიკალურად შეიცვალა და რეალური სავაჭრო სივრცე ვირტუალურით ჩანაცვლდა, რამაც სოციალური მედია მარკეტინგის უდიდესი როლი წარმოაჩინა.

ნაშრომში ასახულია პოსტკოვიდური ვითარება ტურიზმის სფეროში, რომელიც თავისი სპეციფიკური გენდერული მახასიათებლით პანდემიამდე წარმატებული იყო. ტურიზმის სფეროში მომსახურების შემცირებამ და ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნის მკვეთრმა ვარდნამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ადგილობრივ დასაქმებულებს, რომელთა შორის უმრავლესობა ქალები არიან. დღეისათვის ტურისტულ ბაზარზე დაკარგული პოზიციების აღდგენისათვის ინტენსიური ბრძოლა მიმდინარეობს. ტურისტულმა ბიზნესმა მნიშვნელოვანი ტრანფორმირება განიცადა ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით. სოციალური მედიის მარკეტინგული მიდგომები, ტურისტული ონლაინაპლიკაციები, ონალინგაყიდვისა და გაყიდვისშემდგომი მომსახურების ფორმები ციფრული ტექნოლოგიების ერაში კარგად მუშაობს, რაც ტურიზმის ინდუტრიაში ქალთა ჩართულობას აძლიერებს. ამიტომ მარკეტინგისა და გენდერის კუთხით პოსტკრიზისულ ზემოქმედების ანალიზს უცხოელი მკვლევრები დიდ ყურადღებას აქცევენ. სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი პუბლიკაციების ნაკლებობაა. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის აღმოფხვრის მცდელობაა, რაც შესაბამისი კვლევების სტიმულირებას ხელს შეუწყობს.

საკვანძო სიტყვები: *პოსტ COVID-19, გენდერი, მარკეტინგი, მომხმარებელთა ქცევის ცვლილება, მარკეტინგული კომუნიკაციები, მდგრადი ტურიზმი.*

დაგროვებით საპენსიო სისტემასთან დაკავშირებული რისკები, პრობლემები და მათი დაძლევის გზები

ნათია კახნიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხათუნა ბარბაქაძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნატო კაკაშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საპენსიო პოლიტიკა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელია. მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციები, რომელიც უკავშირდება მოსახლეობის დაბერების პროცესს, ზრდის მოთხოვნას საპენსიო სისტემის რეფორმების ეფექტურ განხორციელებაზე. შობადობის შემცირება და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა დაკავშირებულია დისბალანსთან, რომელიც წარმოიქმნება დამსაქმებელსა და პენსიონერთა შორის. ამრიგად, ნებისმიერი ქვეყნის უმთავრესი მიზანია შექმნას ისეთი საპენსიო სისტემა, რომელიც ეფექტურად შეძლებსარსებულ დემოგრაფიულ ტენდენციებთან გამკლავებას და ხანდაზმული მოსახლეობის შემოსავლით ღირსეულ უზრუნველყოფას. საქართველოში პენსიის დაფინანსების მთავარ წყაროს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა. თუმცა აუცილებელი გახდა განხორციელებულიყო საპენსიო სისტემის რეფორმა, რის შედეგადაც განისაზღვრა დაგროვებით პრინციპზე დამყარებული საპენსიო მოდელი. აღნიშნული სქემის ფარგლებში პენსიის ოდენობა დამოკიდებულია დასაქმებულის მიერ შეტანილი საპენსიო შენატანითა და განხორციელებული ინვესტიციებით. აღსანიშნავია სისტემასთან დაკავშირებული რისკები, პრობლემები და სამომავლო ტენდენციების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: *საპენსიო სისტემა, რისკი,ინვესტიცია საინვესტიციო პორტფელი, საპენსიო უზრუნველყოფა.*

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ხანდაზმული მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც ეყრდნობა ისეთ პრინციპებს, როგორიცაა: პენსიების ადეკვატური ოდენობის უზრუნველყოფა, რომელიც დაცული იქნება სახელმწიფო გარანტიებით, ასევე მნიშვნელოვანია თაობათა სოლიდარობისა და საპენსიო შენატანების აუცილებლობის პრინციპები. ამ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილია ე.წ. სვეტების სისტემა (Pillar system), რომელიც თავის მხრივ მოიცავს სამ სვეტს. თითოეული სვეტის საპენსიო სქემა განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც დაფინანსების პრინციპებით, ასევე მონაწილე პირთა ოდენობით. საპენსიო სისტემის თითოეული სვეტის სქემის მიზანია ადეკვატური საპენსიო შემოსავლის უზრუნველყოფა, საპენსიო ხარჯების ფისკალური მდგრადობა და მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებების მიმართ უფრო ეფექტიანი რეაგირება. ბოლო წლების განმავლობაში, საერთაშორისო პრაქტიკაში მზარდია დაგროვებითი პენსიის კუთხით გატარებული რეფორმები და შესაბამისად, დაგროვებითი პენსიის როლიც.

საქართველოში პენსიის დაფინანსების მთავარ წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა. თუმცა შეიქმნა დაგროვებითი საპენსიო სქემა. აღნიშნული სქემის ფარგლებში პენსიის ოდენობა

დამოკიდებულია სამუშაო პერიოდისგანმავლობაში გადახდილი საპენსიო შენატანებზე და განხორციელებულინვესტიციებზე.

აღნიშნული რეფორმების გატარებიდან რამოდენიმე წლის შემდეგგამოიკვეთა რიგირისკები და პრობლემები.

თანამედროვე ეპოქაში საპენსიო სისტემა მუდმივ წინააღმდეგობაშია იმ სოციალურ და ეკონომიკურ პირობებთან, რომელიც დემოგრაფიულ პროცესებთანაა დაკავშირებული. გამომდინარე იქედან, რომ ბოლო ათწლეულშიშეინიშნება სიცოცხლის საშუალო ასაკის მატება, შრომის უნარიანი მოსახლეობის თანაფარდობა საპენისოასაკის მოსახლეობასთან მნიშვნელოვნად იკლებს, შესაბამისად სოციალური დაცვის სისტემები სულ უფრო მეტ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს ფინანსურ მდგრადობას.

საპენსიო უზრუნველყოფა ინდივიდის შრომით საქმიანობასთან პირდაპირ კავშირშია, შესაბამისად მისი ზომა, ვადა თუ გადახდის პირობები უშუალოდ კავშირშია სამუშაო პროცესის ხანგრძლივობასთან, გამოცდილებასთან თუ სხვა. ეს უკანასკნელი შესაბამისად იწვევსსხვადასხვა თაობის განსხვავებულ შემოსავლებსა და განსხვავებულსოციალურ სტატუსს.

მსოფლიოში საპენსიო სისტემა ფორმირდება შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, რომლითაც განისაზღვრება საპენსიო ასაკი, პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეწყვეტის და სხვა პრინციპები. საქართველოში მოქმედებს „კანონი სახელმწიფო პენსიის შესახებ“, რომელიც ვრცელდება: საქართველოს მოქალაქეებზე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე; პენსიის დანიშვნის თაობაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. აღნიშნული კანონიეყრდნობა ისეთ ძირითად პრინციპებს როგორიცაა: ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის წინაშე თანასწორობა, საყოველთაოობა, მუდმივობა, თაობათაშორის სოლიდარობა, პენსიის მიღების სახელმწიფო გარანტია („კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ“, 2018).

საქართველოში საპენსიო რეფორმა 2018 წელს დაიწყო. განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის საპენსიო რეფორმის განხორციელების უფრო ხანგრძლივი გამოცდილებით, რთულია წარმატებული საპენსიო რეფორმის მაგალითების მოძებნა. (კუკავა და სხვ 2023) საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და მას ჭირდება გამართული საპენსიო სქემა. ამისათვის აუცილებელია დაგროვებითი საპენსიო სისტემის თანმდევი რისკების გაანალიზება და სწორი მართვა.

მნიშვნელოვანია: **მაკროეკონომიკური რისკი,** რომელიც დაკავშირებულია ინფლაციასთან. მსგავსი ტიპის საპენსიო მოდელის დროს აკუმულირებული რესურსები შეიძლება გაუფასურდეს. რაც უფრო რისკიანია საპენსიო ინვესტიციები, მით უფრო მაღალია უკუგება. რისკიანობის ზრდასთან ერთად საპენსიო დანაზოგების დაკარგვის რისკებიც იზრდება. თუმცა დაბალ რისკიანი განთავსებით საპენსიო ფონდების მმართველები ვერ ახერხებენ ინფლაციის ბალანსს, რაც კიდევ უფრო რთულდება პანდემიით და ომით გამოწვეული შოკების დროს. ამდენად, რთულდება არჩევანის გაკეთებასაპენსიო დანაზოგების ნაკლებად და მეტად რისკიან განთავსებას შორის. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, („კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ“, 2018) დაგროვილი საპენსიო აქტივები განთავსებულია განსხვავებულ რისკიანობისა და მოსალოდნელი შემოსავლიანობის მქონე საინვესტიციო კონსერვატიულ, დაბალანსებულ ანდინამიურრპორტფელებში. 2023 წელს სექტემბრის დინამიური ფონდის მოცულობა შეადგენდა 2,873 მლნ ლარს, მასში ჩართული იყო 908,800 მონაწლე, ამონაგებმა 0.20% შეადგინა, დაბალანსებული პორტფელის მოცულობა შეადგენდა 600 მლნ ლარს, მასში ჩართული იყო 201,900 მონაწილე, ამონაგებმა 0.26%

შეადგინა, კონსერვატიული პორტფელის მოცულობა კი იყო 461 მლნ ლარი, მასში 167,900 ადამიანი-იყო ჩართული, სადაც ამონაგებმა 0.43% შეადგინა (Business time,2023).

გარკვეული რისკების მატარებელია **საკანონმდებლო ცვლილებებიც,** 2022 წლის ოქტომბერში მოხდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ" კანონში ცვლილებების ინიცირება, რაც ითვალისწინებს საინვესტიციო შესაძლებლობების გაფართოებას. (კანონიპდაგროვებითი პენსიის შესახებნ, 2022) თუმცა შემოთავაზებული ცვლილებებით არ იხსნება მთავარი შეზღუდვა: გლობალურ ინსტრუმენ-ტებში ფონდს მხოლოდშეუძლია 20%-ის განთავსება და, შესაბამისად, პორტფელის მხოლოდ 20% შეიძლება იყოს დოლარში დენომინირებული, დანარჩენი კი ადგილობრივი ბაზრისთვის არის გან-კუთვნილი. გამოდის, რომ ₾2.53 მლრდ. ლარზე-ზე მეტი (970 მლნ. აშშ დოლარზე მეტი) უნდა დაბან-ddეს საქართველოში, მაშინ როცა კაპიტალის ადგილობრივი ბაზარიასე განუვითარებელია. ქარ-თული ბიზნესი ძირითადათ სახსრების მოზიდვას კომერციული ბანკების მეშვეობით ცდილობსდა არა ფინანსური ინსტრუმენტების გზით. საპენსიო სააგენტოს კი, ცხადია, ფინანსური ინსტრუმენ-ტებში ინვესტირება შეუძლია და არა სესხების გაცემა.

ასევე საგულისხმოა **ასიმეტრიული ინფორმაციის რისკიც.** აკუმულირებული თანხების ინვეს-ტირება შესაძლებელია განხორციელდეს მაღალი, საშუალო და დაბალი რისკის მქონე საინვესტი-ციო პორტფელში. როდესაც პირი თავად არ ახორციელებს ინვესტირებას, ხოლო საპენსიო ფონდი განკარგავს აღნიშნულ სახსრებს, არასწორმაინფორმაციამ და ასევე მოსახლეობაში არსებულმაუნ-დობლობის ფაქტორმა, შესაძლოა სქემის მონაწილეები შეცდომაში შეიყვანონ. ამიტომ მნიშვნელო-ვანიამოსახლეობის **ცნობიერების დონე.** სწორად მიწოდებულ და გაცნობიერებულ ინფორმაციას საპენსიო სქემის რისკების დადებით და უარყოფით მხარეების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს. მა-გალითად, ესტონეთში საპენსიო სისტემის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა სახელმწი-ფოს მხრიდან მუდმივად განხორციელებულმა რეკლამებმა და საინფორმაციო აქტივობებმა. სომ-ხეთში კი სწორედ ინფორმაციული ასიმეტრიულობა გახდა აღნიშნული სისტემის კრახის მიზეზი.

დაგროვებითმა საპენსიო სისტემამ შესაძლებელია **სოციალურ უთანასწორობამდეც** მიგვიყ-ვანოს, ვინაიდან სისტემაში არ მონაწილეობენ თვითდასაქმებულები, უცხოეთში მცხოვრები საქარ-თველოს მოქალააქეები და 40 წელს გადაცილებული მოსახლეობის ნაწილი. ამ კატეგორიის მოსახ-ლეობა საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგ მიიღებს შედარებით დაბალპენსიას. მოსახლეობის შე-მოსავლებში კი უთანასწორობის მაღალი დონის არსებობა იწვევს სოციალურ დაძაბულობას საზო-გადოებაში და ხელს უშლის მას მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიღწევა-ში (კახნიაშვილი, 2023).

საქართველოს მაგალითზე, აღნიშნულისისტემის რისკს მიეკუთვნება **სისტემაში ჩართულთა დაბალი მაჩვენებელი.** დაგროვებითი საპენსიო სისტემა ხელს უწყობს დანაზოგების შექმნას. და-ნაზოგების ზრდა კი პირდაპირპროპორციულია სისტემაში ჩართულ პირთა ოდენობაზე, გამომდი-ნარე იქედან, რომ აღნიშნული რეფორმა არ ითვალისწინებსყველა ასაკის შრომისუნარიანი მოსახ-ლეობის სისტემაში ჩართვას, ის სარისკოა.

ლიკვიდურობის რისკის დროს ფონდსწარმოიქმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდე-ბულებების დაფარვის აუცილებლობასთან ფულით ან სხვა ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის რისკის ეფექტური მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ფლობას, შესაბამისი საკ-რედიტო ხაზების დაფინანსების ხელმისაწვდომობას და მხარეების მიმართ არსებული მოთხოვნე-ბის დადგენილ ვადებში - აკუმულირების უნარს. საპენსიო აქტივები ინახება საქართველოსკომერ-ციულ ბანკებში ნომინალური მფლობელის ანგარიშზე, გახსნილი სააგენტოს და სპეციალური დე-პოზიტარის, ეროვნულ სახაზინო ანგარიშებზე და ინვესტიციებში ვადიან ანაბრებში, ასევე სადეპო-

ზიტო სერთიფიკატებში. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სახით არსებული საპენსიო აქტივები მარტივად რეალიზდება, რათა დაკმაყოფილებული იქნას ლიკვიდურობის მოთხოვნები (საპენსიო სააგენტო 2021).

2023 წლის თებერვლის მდგომარეობით, საინვესტიციო პორტფელის ყველაზე მსხვილი ნაწილი იყო სადეპოზიტო სერთიფიკატები და ვადიანი ანაბრები, რაც პორტფელის 59.8%-ს შეადგენდა. საქართველოს სახაზინო ობლიგაციები პორტფელის 16.1%-ს,ხოლო უცხოური ობლიგაციები - 7.3%-ს შეადგენდა, საიდანაც აშშ-ს ობლიგაციებზე 6.5% მოდის, ხოლო ევროობლიგაციებზე მხოლოდ 0.8%. გლობალურ აქციებში საპენსიო დანაზოგის 9.2% აკუმულირდა, 7.5% მიმდინარე ანგარიშებზე, ხოლო 0.1% ადგილობრივ კორპორაციულ ობლიგაციებშია შენახული. (კუკავა, 2023) ასევე მნიშვნელოვანია სხვა ფინანსური რისკებიც, როგორიცაა სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები. აღსანიშნავია რომსაპენსიო სააგენტოს რისკის მართვისა და კონტროლის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება „დაცვის სამი ხაზის“ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს გამჭირვალობასა და სიცხადეს რისკების ფლობასთან და რისკების ანგარიშვალდებულებასთან მიმართებით.

რისკების მართვის ჩარჩო დოკუმენტი აღწერს საპენსიო სააგენტოს რისკის მართვის ჩარჩო სტრუქტურას, რომელიც მოიცავს იმ ორგანიზაციულ მოწყობას, რომლის მეშვეობითაც საინვესტიციო საბჭო, სამეთვალყურეო საბჭო და მენეჯმენტი ამტკიცებს და იღებს გადაწყვეტილებებს საპენსიო სააგენტოს რისკის სტრატეგიისა და რისკის მართვის მიდგომებთან დაკავშირებით. (საპენსიო სააგენტო 2023).

სწორად ფორმირებული და ეფექტიანი საპენსიო სისტემის გარეშე შუძლებელიამოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, შესაბამისად, იგი ნებისმიერი ქვეყნისათვის სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. აღსანიშნავია რომ დაგროვებითი საპენსიო სქემის საშუალებით შესაძლებელია კაპიტალის საინვესტიციო ბაზის ჩამოყალიბება და ქართული კაპიტალის ბაზრის განვითარება (კაკაშვილი, ბარბაქაძე 2021).

დასკვნები და რეკომენდაციები

საპენსიო სისტემის წინაშე არსებული გამოწვევის გასამკლავებლად აუცილებელია შემდეგი სახის რეკომენდაციების გათვალისწინება: ფონდში აკუმულირებული თანხების ეფექტიანი განთავსება უმნიშვნელოვანესია, აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მმართველობის ეფექტიანი სისტემითა და მონიტორინგის დანერგვით, საკმაოდ მნიშვნელოვანია საინვესტიციო საბჭოს საქმიანობა იყოს ღია და გამჭირვალე ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის.

მნიშვნელოვანია სისტემაში ჩართულ მხარეებს სრულფასოვნად მიეწოდოს ინფორმაცია,რომელიც იქნება ყველასათვის გასაგები და გამჭირვალე. საბოლო ჯამში ეს გაზრდის ნდობას სისტემის მიმართ და შეამცირებს უკმაყოფილებას, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახება მონაწილეთა რაოდენობაზე. აუცილებელია ყოვლთვიურად წარედგინოს მოსახლეობას ანგარიშები განხორციელებული ინვესტიციების შესახებ, ასევე მომავალში აუცილებელია დაინერგოს პრაქტიკა იმისა, რომ მონაწილე დამოუკიდებლად მიიღებს გადაწყვეტილებას თუ სად განახორცილებს თავისი თანხის ინვესტირებას.

ასევე სავალუტო რისკებისაგან დაზღვევის შესაძლებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია განისაზღვროს ინვესტირების ზღვრები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. საკმაოდ მნიშვნელოვანია თითეული რესურსის ინვეტირების დროს გათვალისწინებული იყოს ინფლაციის მაჩვენებელი. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, დაზღვევის ამოქმედება საპენსიო შენატანებ-

ზე და სხვადასხვა წამახალისებელი რეფომების გატარება მნიშვნელოვნად იმოქმედებს საპენსიო სისტემაზე და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

დაგროვებითი საპენსიო სისტემა, სწორად განხორციელებელი ინვესტიციების ფონზე უზრუნველყოფს „ღირსეულ სიბერეს“, ზრდის დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობას, ავითარებს ფინანსური ინსტიტუტების ბაზარს და საბოლოოდ ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას, არალეგალური საქმიანობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებას. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არა მარტო ის ხარვეზები და უარყოფითი მოვლენები, რომლებიც გასული წლების საქართველოს ეკონომიკისათვის იყო თანმხლები, არამედ საჭიროა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება, რომ მომავალში მივიღოთ უფრო განვითარებული და ეფექტური დაგროვებითი საპენსიო სისტემა (კახნიაშვილი, 2018).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Business Time. (2023). საპენსიო სააგენტო თითოეული საინვესტიციო პორტფელის მიხედვით სექტემბრის ანგარიშს აქვეყნებს. თბილისი.
2. ბარბაქაძე, ხ., & კაკაშვილი, ნ. (2023). საპენსიო სისტემების განვითარების ძირითადი მიმართულებები და პერპექტივები. ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“ 2, 37-51.
3. კაკაშვილი, ნ., & ბარბაქაძე, ხ. (2021). სიცოცხლის დაზღვევის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. ახალი ეკონომისტი. №3-4, 62-63.
4. კანონი, ს. (2018). „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ . თბილისი.
5. კანონი, ს. (2022). „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. თბილისი.
6. კახნიაშვილი ნ. (2018). The Impact of Macroeconomic Indicators of Public Finance On Economic Growth in Georgia. ინოვაციური ეკონომიკა და მართვა 2. გვ. 217-219;
7. კახნიაშვილი ნ. (2023). ინკლუზიური ბიზნეს მოდელები და ქართული რეალობა,. ბიზნესი და კანონმდებლობა #1გვ. 113-117.
8. კუკავა, მ., საღარეიშვილი, მ., ჟამურაშვილი, ლ., & ალიბეგაშვილი, ნ. (2023). ქართული საპენსიო რეფორმის მომავალი,. თბილისი.
9. სააგენტო, ს. ს. (2021). დაგროვებითი საპენსიო სქემის ფინანსური ანგარიშგება;. თბილისი.
10. საკანონმდებლო მაცნე. (2023). https://www.matsne.gov.ge/. Retrieved from https://www.matsne.-gov.ge/
11. 11.საქართველოს ეროვნული ბანკი. (2023). https://finedu.gov.ge/ge/dagrovebiti-sapensio-sqema. Retrieved from https://finedu.gov.ge/ge/dagrovebiti-sapensio-sqema
12. სსიპ „საპენსიო სააგენტო“. (2021). https://back.pensions.ge/uploads/docs/reports/financial-statements/06-2021-IFRS.pdf.
13. სსიპ „საპენსიო სააგენტო“. (2020). https://idfi.ge/public/upload/Analysis/The%20Future%20of%20the%20Georgian%20Pension%20Reform.pdf.
14. სსიპ „საპენსიო სააგენტო“. (2020). https://www.pensions.ge/ka/risk-control/risk-governance-framework.
15. სსიპ „საპენსიო სააგენტო“. (2023, 03 10). https://pensions.ge/ka/public-information/news/Statistics-of-the-pension-agency.
16. სსიპ „საპენსიო სააგენტო“. (2023). https://www.pensions.ge/. Retrieved from https://www.pensions.ge/: https://www.pensions.ge/

Risks, Problems related to the Accumulated Pension System and Ways to Overcome

Natia Kakhniashvili
Doctor of Business Administration
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Khatuna Barbakadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nato Kakashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The pension policy is one of the important constituents of the social policy of the state. The current trends in the world, which are related to the process of population aging, increase the demand for effective implementation of pension system reforms. Declining birth rates and increasing life expectancy are linked to an imbalance between employers and retirees. Thus, the main goal of any country is to create such a pension system that can effectively deal with the current demographic trends and provide a decent income for the elderly population. Only the state budget was the main source of pension financing in Georgia. However, it became necessary to reform the pension system, as a result of which a pension model based on the principle of accumulation was defined. The amount of pension within the mentioned scheme depends on the pension contribution made by the employee and the investments made. It is worth noting the risks, problems and determination of future trends related to the system.

მთავრობის ვალის დინამიკა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოში

ლაშა კელიხაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მთავრობის ვალი ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედს და მეცნიერული განსჯის საგანს წარმოადგენს. ამასთანავე, მზარდი ვალის პოტენციური ეფექტები სოციოეკონომიკურ მდგომარეობაზე მრავალმხრივია. თანამედროვე სეხედულებების მიხედვით, მთავრობის მხრიდან საკრედიტო რესურსის მობილიზება ქვეყნისთვის ნაკლებად წარმოადგენს პრობლემას, თუკი მოზიდული რესურსი ეფექტიანად იხარჯება. მიუხედავად ამისა, ხარჯვის ეფექტიანობის შესაძლებლობას ეჭვქვეშ აყენებს არაერთი ეკონონმისტი, რომელთა მიხედვითაც, საკრედიტო რესურსი, პირველ რიგში, ქვეყნის მმართველი რგოლების ინტერესების შესაბამისად იხარჯება. მთავრობის ვალთან დაკავშირებული საკითხების აქტუალურობა განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ წლებში, პანდემიით გამოწვეული კრიზისის შედეგად მისი მკვეთრი ზრდის და გლობალური საპროცენტო განაკვეთების ზრდის პირობებში, რომელიც მკვეთრად ზრდის მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯებს და ერთის მხრივ ასუსტებს ფისკალური პოლიტიკის კონტრციკლური რეაგირების შესაძლებლობას, ხოლო მეორეს მხრივ ამცირებს სახელმწიფო დანახარჯების ეფექტიანობას.

საკვანძო სიტყვები: *მთავრობის ვალი; ფისკალური პოლიტიკა; საპროცენტო ხარჯები.*

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა ბაზების მიხედვით, ბოლო ათწლეულებია ფაქტობრივად არ არსებობს სუვერენული სახელმწიფო, რომლის მთავრობასაც ვალი არ გააჩნია (IMF Datamapper, 2023). აღნიშნულის გამო, მთავრობის ვალი და მისი გავლენა ძირითად მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, მათ შორის ეკონომიკურ ზრდაზე, არაერთი ეკონომისტის საკვლევი პრობლემების არეალშია მოქცეული. საკითხი განსაკუთრებით აქტუალური კორონავირუსის პანდემიის შემდეგ დადგა. აღნიშნულ პერიოდში, ერთის მხრივ ადგილი ქონდა ვალების მკვეთრ ზრდას, მეორეს მხრივ კი გლობალური პოლიტიკის გამკაცრების შედეგად, ამ ვალების მომსახურების ტვირთვის დამძიმებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ სტატიაში განხილურია ერთის მხრივ მთავრობის გლობალური ვალის ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში, მეორეს მხრივ კი ვალის მზარდ ტემპისა და მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრების შედეგად, სახელმწიფოთა წინაშე წარმოქმნილი გამოწვევები.

მთვრობის ვალის ევოლუცია

მე-18 საუკუნემდე, მთავრობის მიერ საკრედიტო რესურსის მობილიზება ძირითდად საომარი მოქმედებების დაფინანსებისთვის ხდებოდა (Stasavage, 2011). სახელმწიფოთა მიერ ვალის აკუმულირების მნიშვნელოვანი მაპროვოცირებელი მოვლენა გახდა დენთის გამოგონება. კერძოდ, აღნიშნული მოვლენის შედეგად, აუცილებელი გახდა გადაიარაღებასა და ციხესიმაგრეების ახალ, დენთსაწინააღმდეგო სტანდარტზე გადასაყვანად მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევა (Dreli-

chman & Voth, 2014). შუა საუკუნეების კონფლიქტები, ცალკეული კვლევების მიხედვით, თანამედროვე ფისკალური პოლიტიკის და სახელმწიფო ვალის ფორმირების ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალადაც კი ითვლება (Yun-Casalilla & O'Brien, 2015). მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ვესტფალიის სამშვიდობო შეთანხმების შედეგად, შედარებით მშვიდობიანმა პერიოდმა დაისადგურა (Yun-Casalilla, O'Brien, 2015) და ამ პერიოდიდან უფროდაუფრო იკვეთება სახელმწიფო ერთეულის მიერ საკრედიტო რესურსის გამოყენების მიზნობრიობის ცვლილების ტენდენციები. ამის ძირითადი მიზეზი გახდა სამთავრობო რგოლის როლის შეზღუდვით, სახელმწიფო ინსტიტუტების როლის გაძლიერება და ურბანიზაციის ზრდის პირობებში საზოგადოებრივ საქონელზე მოთხოვნის ზრდა. შედეგა, საკრედიტო რესურსით, ნაცვლად ომების დაფინანსებისა, უფროდაუფრო აქტიურად ფინანსდებოდა საზოგადოებრივი დოვლათი როგორიცაა წყალგაყვანილობისა და საგზაო ინფრასტრუქტურა, განათლება და სხვა. ამ პროცესს დამატებით ხელი შეუწყო ფინანსური გლობალიზაციის გაღრმავების შედეგად საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდამ (Eichengreen et al., 2019).

გარდა საზოგადოებრივი საქონლის პერმანენტული დაფინანსებისა, 1900-იანი წლებში, ვალის ნიშნული მნიშვნელოვნად იზრდებოდა საომარი მოქმედებების დაფინანსების და ეკონომიკური/ფინანსური კრიზისების პერიოდებში. კერძოდ, 1914-1945 წლებში ვალის GDP-სთან შეფარდების სამი მნიშვნელოვანი პიკური პერიოდი პირველ მსოფლიო ომს, „დიდ დეპრესიასა" და მეორე მსოფლიო ომს ემთხვევა. 1960-იანი წლების ბოლოდან ვალის GDP-სთან შეფარდება მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ასევე აღინიშნება მკვეთრი ზრდის ეპიზოდები, ძირითადად ეკონომიკური კრიზისების/რეცესიების დროს. კერძოდ 1960-იანი წლების შემდეგ ვალმა მნიშვნელოვანი ზრდის ფაზები გაიარა OPEC-ის საფასო პოლიტიკით გამოწვეული ნავთობ კრიზისის, 1980-იანი წლების აზიის ენერგოკრიზისის, 1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისის და 2008 წლის ეკონომიკურ/ფინანსური კრიზისის პირობებში.

დიაგრამა 1.

მოწინავე 20 ეკონომიკის ჯამური მთავრობის ვალის ჯამურ GDP-სთან ფარდობის მაჩვენებელი 1800-2015 წლებში ისტორიული მოვლენების ჭრილში



წყარო: IMF

მთლიანობაში, 1900-იან წლების 70-იან წლებამდე ვალის დინამიკა გარკვეულწილად თანხვედრაშია კეინზიანურ კონტრციკლურ ფისკალურ პოლიტიკასთან. თუმცა 1970-იანი წლებიდან მეტად შეესაბამება ბიუკენენის მიერ შემოთავაზებულ ე.წ. „ნახევრად კეინზიანიზმის“ თეორიას (Tempelman J., 2007). კერძოდ, აღნიშნული პერიოდიდან, განხილული ქვეყნების ჯამური ვალის ჯამურ GDP-სთან შეფარდების მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც გარკვეულწილად, პოლიტიკის არაკონტრციკლურობისა და მთავრობის მიერ ჭარბი ხარჯვისკენ მიდრეკილებაზე მეტყველებს. ამ ტენდენციებმა ცალკეულ ქვეყნებში გადახდისუნარიანობის შესუსტება ან/და სავალო კრიზისებიც კი გამოიწვია (Reinhart, Rogoff, 2009).

მთვრობის ვალის გლობალური ტენდენცია COVID 19-ის პანდემიის პირობებში

ფისკალური დისციპლინის საკითხი განსაკუთრებით მკვეთრად დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დადგა COVID-19 პანდემიის ფონზე. პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური რეცესიის ეფექტების შესარბილებლად მსოფლიოს ქვეყნების აბსოლიტურმა უმრავლესობამ ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკის გატარება დაიწყო და 2020 წლის ბოლოს, გლობალური ვალის გლობალურ GDP-სთან შეფარდების მაჩვენებელმა რეკორდულ 99%-იან ნიშნულს მიაღწია (Gaspar et al., 2021).

მთავრობის ვალის მაჩვენებელმა, შედარებით მკვეთრი ზრდა მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში განიცადა (იხ. დიაგრამა 2). კერძოდ, IMF-ის „ფისკალური მონიტორის“ ბაზაში არსებული მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყანათა ჯგუფის მთავრობის ჯამური ვალის ჯამურ GDP-თან შეფარდების მაჩვენებელი 2019-დან 2020 წლის ბოლომდე 19 პროცენტული პუნქტით (პპ), 104%-დან 123%-მდე გაიზარდა (IMF, 2023). რაც შეეხება განვითრებად და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანათა ჯგუფს, მაჩვენებელი იმავე პერიოდში 10 პროცენტული პუნქტით 56%-დან 66%-მდე გაიზარდა.

არსებული პროგნოზებით საშუალოვადიან პერიოდში, განვითარებული ქვეყნების მთავრობების ვალის GDP-სთან შეფარდების მაჩვენებელი პანდემიამდელთან შედარებით მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება, თუმცა სტაბილიზაციისკენაა მიმართული. იგივე მაჩვენებელი მზარდი ტენდენციით ხასიათდება განვითარებადი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის.

დიაგრამა 2. მთავრობის ვალის GDP-სთან ფარდობის მაჩვენებელი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით და საქართველოსთვის



წყარო: IMF Fiscal Monitor
(* აღნიშნავს პროგნოზს)

დიაგრამა 3. ქვეყნების რაოდენობა მთავრობის ვალის GDP-სთან ფარდობის მიხედვით



წყარო: IMF Fiscal Monitor

მთავრობის ვალის აგრეგირებულ დონეზე მნიშვნელოვანი ზრდის პარალელურად, პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ქვეყნების რიცხვიც, რომელთა ვალმა მათსავე GDP-ს გადააჭარბა (იხ. დიაგრამა 3). კერძოდ, 2020 წელს, ასეთი ქვეყნების რიცხვმა 33-ს მიაღწია და 2019 წელთან შედარებით 18-ით გაიზარდა (IMF, 2023). აღსანიშნავია, ისიც, რომ 2019 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 128-დან 95-მდე შემცირდა ისეთი ქვეყნების რაოდენობა, რომელთათვისაც მაჩვენებელი [0%-60%] ინტერვალში იყო მოქცეული. 2022 წლისთვის აღნიშნული ქვეყნების რიცხვი 106-მდე გაიზარდა, თუმცა არსებული პროგნოზებით მომდევნო წლებში მათი რიცხვის მკვეთრი ზრდა მოსალოდნელი არ არის.

მთავრობის ვალის გლობალური ზრდის პირობებში, საქართველომ ვალის შედარებით სტაბილური დონის შენარჩუნება შეძლო. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს მთავრობის ვალის GDP-სთან ფარდობის მაჩვენებელმა საქართველოსთვის 60.2%-ს მიაღწია, აღნიშნული მაჩვენებელი შემდგომ ორ წელში მნიშვნელოვნად შემცირდა და არსებული პროგნოზებით, 2028 წლამდე მისი მოსალოდნელი მნიშვნელობა 35%-40%-ის ფარგლებშია მოქცეული.

გლობალური მონეტარული პოლიტიკის გავლენა მთავრობის ვალის მომსახურების ხარჯებზე

2018 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, განვითარებად ქვეყნებში მთავრობის ვალის GDP-სთან შეფარდობის მაჩვენებლის ერთი პროცენტული პუნქტით ზრდა ასოცირებულია საპროცენტო ხარჯების GDP-სთან შეფარდების მაჩვენებლის საშუალოდ 0.04 პროცენტული პუნქტით ზრდასთან (იხ. დიაგრამა 4). ამასთანავე, ინდივიდუალური ქვეყნებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალი ან დაბალია მათი საკრედიტო პორტფელის მახასიათებლების გათვალისწინებით (სესხებზე საშუალო პროცენტი და პროცენტის ტიპი (ცვლადი/ფიქსირებული).

შესაბამისად, ვალის GDP-სთან შეფარდების მნიშვნელოვანი ზრდა, რომელსაც ადგილი ქონდა 2020 წელს და გარკვეულწილად ნარჩუნდება მომდევნო წლებშიც, განვითრებად ქვეყნებს სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ფისკალური წნეხის ქვეშ მოაქცევს მომდევნო წლებში (პაპავა, ჭარაია, 2021).

დიაგრამა 4. მთავრობის ვალის საპროცენტი ხარჯებსა და მთავრობის ვალის მოცულობას შორის კავშირი განვითარებად ქვეყნებში (2018 წ).



წყარო: IMF; Kose, Kurlat, et al.

დიაგრამა 5. მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკების პოლიტიკის განაკვეთების დინამიკა



წყარო. Bank for International Settlements (BIS)

ვალის მოცულობის ზრდის შედეგად შექმნილ გამოწვევებს, ამძიმებს ის გარემოებაც, რომ, 2022 წლის მარტიდან გლობალურად დაიწყო მონეტარული პოლიტიკის მკვეთრი გამკაცრება, რაც გლობალური ინფლაციის პროვოცირებითაა გამოწვეული (ჩიქობავა, კაკულია, ლაზარაშვილი, 2022). ამასთანავე, პოლიტიკის გამკაცრება უპრეცენდენტოდ დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობს (იხ დიაგრამა 5).

მონეტარული პოლიტიკის გლობალური გამკაცრება თავის მხრივ აისახა გლობალური „ბენჩმარკების“ EURIBOR და SOFR განაკვეთებზე. კერძოდ, EURIBOR განაკვეთი, 2014 წლის შემდეგ პირველად გახდა დადებითი და 2023 წლის ივლისის მდგომარეობით, თითქმის გაუთანაბრდა 2008 წლის ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისის დაწყებამდე არსებულ დონეს. ანალოგიურ ტენდენციას იმეორებს SOFR განაკვეთები.

დიაგრამა 4.

EURIBOR და SOFR განაკვეთების დინამიკა



წყარო: ECB; Federal Reserve Bank of St. Louis

შედეგად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს მასშტაბით (მათ შორის საქართველოშიც) საკრედიტო რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილის საპროცენტო განაკვეთები მიბმულია ზემოხსენებულ განაკვეთებზე, მოსალოდნელია რომ 2022 წლიდან, განსაკუთრებით მწვავე შედეგების მომტანი იქნება იმ ქვეყნებისთვის, რომელთა ვალის პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი ცვლად პროცენტშია მობილიზებული და მონეტარული პოლიტიკის ცვლილება მკვეთრ გავლენას ახდენს მათ საპროცენტო დანახარჯებზე.

აღნიშნული ორი მოვლენის (მთავრობის ვალის ზრდის და ვალზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის) ერთობლივი ზემოქმედების შედეგად, მოსალოდნელია, ვალის პორტფელის მომსახურების ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ერთის მხრივ საფრთხეს უქმნის ფისკალურ სტაბილურობას და ამცირებს ფისკალური პოლიტიკის კონტრციკლური რეაგირების შესაძლებლობას (Sutherland & Hoeller, 2012), მეორეს მხრივ კი ზღუდავს სახელმწიფოთა უნარს პროდუქტიულად გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსი (Stiglitz, 2015; Teles, Mussolini, 2014).

უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო განაკვეთების ამ ტენდენციებიდან გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოში მთავრობის ვალის მომსახურების (პროცენტის) ხარჯების ფარდობა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან მზარდი ტენდენციით ხასიათება და არსე-

ბული პროგნოზებით მაჩვენებელი 2027 წლისთვის 6.6%-ს აღწევს (ისტორიულად, მაჩვენებელი 3%-4% ინტერვალში იყო მოქმცეული). აღნიშნული მნიშვნელოვანწილად განპირობებულია უკანასკნელ წლებში, მთავრობის ვალში ცვლად საპროცენტო განაკვეთიანი სესხების წილის ზრდით, რომელიც გლობალური მონეტარული პოლიტიკის ცვლილებაზე მკვეთრად რეაგირებენ. კერძოდ, 2013 წელთან შედარებით ასეთი სესხების წილი გაზრდილია 27%-დან 49%-მდე.

დიაგრამა 5.

მთავრობის ვალის პროცენტის ხარჯები და მისი ფარდობა ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებთან



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

დასკვნები და რეკომენდაციები

მთავრობის ვალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთანავე, არსებული პროგნოზებით ვალის მაჩვენებელი მომდევნო წლებში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში მზარდ ტენდენციას ინარჩუნებს, რაც ფისკალური პოლიტიკის მოქნილობას მნიშვნელოვნად ასუსტებს. ამასთანავე, მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის გლობალური მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების შედეგად მთავრობის ვალზე საპროცენტო დანახარჯების ზრდა. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, რომელსაც არსებული პროგნოზებით მნიშვნელოვნად ეზრდება ვალის მომსახურების ხარჯები. საქართველოსთან მიმართებაში, მიზანშეწონილია ეტაპობრივად გადაიხედოს საკრედიტო რესურსის მობილიზების პოლიტიკა და საპრეოცენტო ხარჯების გაუთვალისწინებელი მერყეობის თავიდან ასაცილებლად, მთავრობის ვალის პორტფელში გაიზარდოს ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხების წილი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვ., ჭარაია, ვ.. (2021). “საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის პრობლემა COVID-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში”. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.
2. ჩიქობავა, მ., კაკულია, ნ., ლაზარაშვილი, თ.. 2022. წამყვანი ქვეყნების ცენტრალური ბანკების ანტიინფლაციური პოლიტიკა და გლობალური რეცესიის საფრთხე. ჟურნალი ეკონომისტი, 2022 N4.
3. გველესიანი რ. 2015 ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობის პრობლემები. თბილისის. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, გვ. 9-18
4. მექვაბიშვილი ე. „გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების პოლიტეკონომიური ანატომია“, ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, ტ.VIII, #2, 2015
5. სილაგაძე ა. "ეკონომიკური დოქტრინები", თბილისი, 2010
6. Barry J. Eichengreen ; Asmaa A ElGanainy ; Rui Pedro Esteves ; Kris James Mitchener, 2019. Public Debt through the Ages. IMF Working Papers, Working Paper No. 2019/006. Public Debt Through the Ages (imf.org).
7. Drelichman, M. and H.-J. Voth 2014. Lending to the Borrower from Hell: Debt, Taxes, and Default in the Age of Philip II, Princeton: Princeton University Press.
8. Kose, M. Ayhan, Peter Nagle, Franziska Ohnsorge, and Naotaka Sugawara. 2021. Global Waves of Debt: Causes and Consequences. Washington, DC: World Bank. doi:10.1596/978-1-4648-1544-7. License: Creative Commons Attribution CC BY 3.0 IGO.
9. Reinhart M. Rogoff K, (2010). This Time Is Different: Eight Centuries of Financial Folly. Princeton, NJ: Princeton University Press.
10. Sutherland, Douglas, and Peter Hoeller. 2012. Debt and Macroeconomic Stability: An Overview of the Literature and Some Empirics. OECD Economics Department Working Papers, No. 1006. Paris: OECD Publishing.
11. Stasavage, D. 2011 States of Credit: Size, Power, and the Development of European Polities, Princeton: Princeton University Press;
12. Stiglitz, J. 2015. The Great Divide: Unequal Societies and What We Can Do About Them. Published by W. W. Norton & Company. ISBN-10: 0393352188. ISBN-13:987-0393352184.
13. Yun-Casalilla, B. and P. O’Brien, eds. 2015. The Rise of Fiscal States. A Global History 1500-1914, Cambridge: Cambridge University Press.
14. Teles, Mussolini, C.. 2014. Public debt and the limits of fiscal policy to increase economic growth. European Economic Review. Volume 66, February 2014, Pages 1-15.
15. Tempelman, H. Jerry 2007. James M. Buchanan on Public-Debt Finance. The Independent Review, v., X, n. 2, Fall 2005, ISSN 1086-1653.
16. www.imf.org/external/datamapper/datasets
17. www.mof.ge/shesrulebis_angarishi
18. www.bis.org/
19. www.ecb.europa.eu/home/html/index.en.html
20. https://www.stlouisfed.org/

Government Debt Dynamics and Related Challenges in the World and in Georgia

Lasha Kelikhashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The paper aims to evaluate current trends in public debt around the world, including Georgia. The paper assesses historical background of public debt and the main drivers of borrowing from past centuries to this time.

Current tendencies shows that global public debt to global GDP ratio has reached the historical peak in 2020 and continues going up. On the one hand, increased public debt makes fiscal policy less flexible for countercyclical responses globally. On the other hand, it makes countries to cover increasing interest payments. The latter is becoming bigger and bigger challenge for the countries, which has borrowed most of its credit resource in floating interest rates and current tightening path of global monetary policy affects their interest payments even more dramatically.

Public debt of Georgia is historically stable and maintained at a sustainable level but about the half of the debt (49% by 08.2023) bears floating interest rates. As a result, current monetary policy trends severely affects the size of interest payments even for Georgia and by 2027 it reaches 6.6% of consolidated budget revenues (historically, this figure was in a range of 3%-4%). This trend, like other countries, makes Georgian authorities to spend increased budgetary resources on unproductive interest payments. The recommended action in this situation is not one time by nature. It requires country authorities to reconsider their borrowing approach, and gradually increase the Share pf fixed-rate bearing loans in public debt portfolio.

„ლურჯი ეკონომიკის“ პოტენციალი და შესაძლებლობები

თეა ლაზარაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ნაზირა კაკულია
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოკეანის როლი მსოფლიო ეკონომიკაში

საზღვაო და სანაპირო ეკოსისტემების სასარგებლო თვისებების და წარმოებული „მომსახურების“ სპექტრი საკმაოდ ფართოა და ურთიერთდაკავშირებულია: ესენია ძვირფასი საზღვაო ორგანიზმების საარსებო გარემო; რესურსები აკვაკულტურისთვის; სანაპირო ხაზების სტაბილიზაცია და ბუნებრივი მოვლენებისაგან დაცვა; შესაძლებლობები ტურიზმისა და დასვენებისათვის; რესურსები ადგილობრივი წარმოებისათვის და გლობალური მიქწოდების ჯაჭვისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ ერთი საარსებო გარემოს არარაციონალური გამოყენება გარდუვალად იწვევს სხვა „მომსახურების“ და ძვირფასი რესურსების დაკარგვას. ეკოსისტემებს, ეკონომიკურ აქტივობებს, ანთროპოგენურ ზემოქმედებასა და კლიმატის ცვლილების პროცესებს შორის ურთიერთკავშირის გაგებას და დაკვირვებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია სანაპირო და საზღვაო რესურსების მდგარდი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

„ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფცია თავაზობს მართვის ტრადიციული დარგობრივი მიდგომებიდან, ეკოსისტემურზე გადასვლას, ეყრდნობა რა პოლიტიკის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა: სანაპირო ზონების ინტეგრირებული მრთვა, საზღვაო სივრცითი დაგეგმარება, დაცული საზღვაო ტერიტორიების შექმნა [1].

მართვის ეკოსისტემური მიდგომა „ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფციასთან მიმართებაში.

- სისტემური და მოქნილი მიდგომა
- ყველა ასპექტისა და ურთიერთკავშირის აღრიცხვა

1. ეკოსისტემის ელემენტებს შორის კავშირების დადგენა სახეებისა და საარსებო ადგილების ჩათვლით.
2. ადამიანის საქმიანობის კუმულაციური ზემოქმედების შეფასება.
3. რესურსების მართვა მრავალჯერადი გამოყენებისათვის.
4. ცვალებადი გარემოს შესწავლა და მასთან ადაბტაცია.
5. ადამიანის კეთილდღეობაში ეკოსისტემური მომსახურების პირდაპირი და ირიბი წვლილის გათვალისწინება.

„ლურჯი ეკონომიკის“ დარგების განსაზღვრისა და კლასიფიკაციის მიმართ სხვადასხვა მიდგომები არსებობს.

მსოფლიო ბანკის კლასაიფიკაცია
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

საქმიანობის სახეები	დარგები
ცოცხალი ზღვის რესურსების ჭერა და ვაჭრობა	ზღვის პროდუქტებისა და ტევზის დაჭერა, ზღვის ცოცხალი რესურსების გამოყენება ფარმაციაში, სასუქებისა და ქიმიური დანამატების წარმოებისათვის.
არაცოცხალი აეაგანახლებადი ზღვის რესურსების მოპოვება და გამოყენება	მინერალების, ენერგეტიკული რესურსების მოპოვება, მტკნარი წყლის წარმოება
განახლებადი არაამოწურვადი რესურსების გამოყენება	განახლებადი ენერგია ოფშორულ ზონებში
საზღვაო კომერციული საქმიანობა და ვაჭრობა	საზღვაო ტრანსპორტი და საზღვაო ვაჭრობა, სანაპირო ტურიზმი და რეკრეაცია, სანაპირო ზონების განვითარება
საქმიანობა, რომელსაც წვლილი შეაქვს გარემობუნების დაცვაში	ნახშირბადის სეკვესტრი, სანაპიროების დაცვა, ხმელეთზე განლაგებული სამრეწველო საწარმოების ნარჩენების მართვა

„ლურჯი ეკონომიკის“ სექტორებს ღოგორც წესი მიაკუთვნებენ დარგებს, რომლებიც დაკავშირებული არიან იოკეანეებთან, ზღვებთან და სანაპიროებთან, მიუხედავად იმისა თუ სად ფუნქციონირებენ ისინი, უშუალოდ საზღვაო გარემოში (ნაოსნობა, აკვაკულტურა, ენერგიის წარმოება), თუ ხმელეთზე (პორტები, გემთმშენებლობები, წყალმცენარეების წარმოება და ა.შ).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია „ლურჯი ეკონომიკის“ 11 საბაზისო და 6 ფორმირებად დარგს გამოყოფს. საბაზისო დარგებს მიეკუთვნება ისეთი ტრადიციული სფეროები, როგორიცაა: თევზჭერა, ნაოსნობა და ტურიზმი. ფორმირებად დარგებს - ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური სექტორები-აკვაკულტურა, ღრმაწყლებიდან მოპოვება, ბიოტექნოლოგიები და განახლებადი ენერგეტიკა.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის კლასიფიკაცია დარგების მიხედვით

ტრადიციული დარგები	ფორმირებადი დარგები
• თევჭერა • ზღვის პროდუქტების გამოშვება • ნაოსნობა • საპორტო ინფრასტრუქტურა • გემთმშენებლობა და გემების რემონტი • შელფებზე გაზისა და ნავთობის მოპოვება • საზღვაო მშენებლობა • საზღვაო ბიზნესის	• ქარის ოფშორული ენერგია • ოკეანის განახლებადი ენერგია • ზღვის ბიოტექნოლოგიები • ზღვის მაღალტექნოლოგიური პროდუქტები და მომსახურება • ღრმაწყლიან ზონებში ნავთობისა და გაზის მოპოვება • ზღვის აკვაკულტურა

მომსახურებასაზღვაო სამეცნიერო-კვლევცითი და საცდელ-საკონსტრუქ-ტორო სამუსაოები და განათლება • გათხრითი სამუშაოები	

ვარაუდობენ, რომ „ლურჯი ეკონომიკის“ სექტორებში ახალი ტექნოლოგიები კომერციულ სტადიას მიაღწევენ მომდევნო 10 წლის განმავლობაში. ამ პროცესის მხარდაჭერა მოწოდებულია გაეროს ოკეანეების მეცნიერებათა ათწლეულის მიერ (2021-2030).

ზღვები და ოკეანეები უზარმაზარ არეალს ქმნიან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ინოვაციებისა და ექსპერიმენტებისათვის. მსოფლიო ბანკი ვარაუდობს, რომ მსოფლიოში საკვები პროდუქტების 10%-ის მიღება შესაძლებელია ზღვის წყალმცენარეებისაგან. უკვე დღეისათვის მიმდინარეობს ვირუსსაწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებების ტესტირებები, 5რომლებიც ზღვის ორგანიზმებისგანაა მიღებული, ხოლო „ლურჯი ეკონომიკის“ ყველაზე ინოვაციური მოთამაშეები მუშაობენ ოკეანეში ენერგიის წარმოების ტექნოლოგიების ღირებულების შემცირებაზე.

ფორმირებადი დარგები

- ქარის ოფშორული ენერგია - ექსპერტების შეფასებით სანაპირო ქარის მცურავი ელექტროსადგურები ქმნიან სტიმულებს ოფშორული ქარის ენერგიის განვთარებისათვის, რომლის დამატებული ღირებულება 2030 წლამდე ფასდება, 230 მლრდ აშშ დოლარად. ქარის ოფშორული ენერგიის განვითარებაში ლიდერს დიდი ბრიტნეთი წარმოადგენს, რომლის წილად მსოფლიო სიმძლავრის 30% მოდის.
- ტალღის ენერგია - პროგნოზი კეთდება, რომ ტალღის ენერგიის ბაზარი გაიზრდება 107 მლნ აშშ დოლარამდე 2025 წლისთვის (2020 წელს - 44 მლნ აშშ დოლარი იყო) – 2021 წელს დაიწყო აშშ-ში ორეგონის შტატის შელფზე ტალღის ენერგო სადგურის მშენებლობა (პროექტის ღირებულება 80 მლნ აშშ დოლარი) რომელიც 2023 წელს უნდა ჩაეშვას ექსპლუატაციაში და მისი მაქსიმალური სიმძლავრე 20 მეგავატი უნდა იყოს.
- მცურავი მზის ელექტროსადგურები- ექსპერტების შეფასებით თუკი მსოფლიოში ფიდროენერგო სადგურების რეზერვუარების 20%-ის დაფარვა მოხდება მოტივტივე მზის ელექტროსადგურებით ეს ენერგიის გლობალური წარმოების 40%-ს დაფარავს. ამ კუთხით სინგაპური გამოირჩევა. 2021 წელს სინგაპურში თენგის წყალსაცავზე დასრულდა მოტივტივე მზის პანელების ფერმის მშენებლობა, რომელიც 122000 მზის პანელისაგან შედგება და 45 ფექტარს ფარავს. იგი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოტივტივე 60 მეგავატ-პიკი სიმძლავრის მზის ფოტოვოლტურ სისტემად.
- წყლის გამამტკნარებელი ქარხნები - ტექნოლოგია გამოიყენება სასმელი წყლის დეფიციტის აღმოფხვრისთვის. ტექნოლოგიების შედარებით აქტიურ გამოყენებას ხელს უწყობს მათი ღირებულების შემცირება, თუმცა დღევანდელ პირობებში ქარხნების 67% მდებარეობს მაღალშემოსავლიან ქვეყნებში. აღსანიშნავია მაროკო, სადაც ქ. აგადირეში შენდება აფრიკაში უმსხვილესი წყლის გამამტკნარებელი ქარხანა, რომლის სიმძლავრემ 274 ათას მკუბ/დღეში უნდა შეადგინოს. ქარხანამ უნდა უზრუნველყოს რეგიონში მცხოვრები 2,3 მლნ ადამიანი მტკნარი წყლით. წყლის გამოყენება აგრეთვე მოხდება სასოფლო-სამეურნეო მიწის 15 ათასი ჰექტრის მოსარწყავად.

- მოქცევითი ტალღის ენერგია - მოქცევი ელექტროსადგურები გამოიყენებენ დედამიწის ბრუნვის ენერგიას. ისინი შენდება ზღვის ნაპირებზე სადაც დღის განმავლობაში ფიქსირდება წყლის მოცულობის მკვეთრი ცვლილება. მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ მოქცევის ელექ-ტროსადგურს დღეისათვის წარმოადგენს კორეის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე სიხვის ხელოვნურ ყურეში განთავსებული სადგური, რომლის სიმძლავრე 254 მეგავატია. იგი 2011 წლიდან ფუნქციონირებს.

- ზღვის აკვაკულტურების გაშენება ხმელეთზე - საშუალებას იძლევა ზღვებისა და ოკეანეე-ბის დაბინძურებისა და თევზჭერის შემცირებას. აშშ-ს კომპანია Attlantic Sapphire იყენებს ორაგუ-ლის გაშენების ტექნოლოგიას Blue House კონტეინერებში ხმელეთზე ფლორიდის შტატში. კომპანი-ამ 2020 წელს დაიწყო წარმოება და მისი უახლესი სამიზნეა - 9,5 ათასი ტ/წ, ხოლო 20314 წლისთვის - 222 ათასი ტ/წ [5].

- ზღვის ბიოტექნოლოგიერბი - წყლის ბიოლოგიური გარემოს პოტენციალის პრაქტიკულ გა-მოყენებას გააჩნია რიგი პერსპექტიული მიმართულებები:

- ბიოენერგეტიკა;
- ფუნქციური კვები პროდუქტებისა და წამლების შემუშავება;
- მინერალების მოპოვება;
- კვების პროდუქტების;
- ძვირფასი სახეობის წყალმცენარეებისა და თევზების გაშენება.

მსოფლიოში მრავალი ეროვნული სტრატეგია და მართვის მიდგომები გამოიყენება. ევროკავში-რი - მდგრადი განვითარების საერთო მიდგომები პირველად ფორმულირებულ იქნა ევროკავშირის მიერ 2007-2008 წლებში: ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკა (2007) და ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივა (2008). დოკუმენტში ნათქვამია, რომ აუცილებელია ქვეყნების მიერ მიღებულ იქნას მდგრადი საზღვაო სტრატეგიები, მართვის ინტეგრირებული სისტემები, ჩატარდეს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შეფასებები, ცოდნის ბაზის შექმნა, ეკოლოგიური ინ-დიკატორებისა დავ მონიტორინგის პროგრამის შემუშავება. 2012 წელს ევროკავშირმა განსაზღვრა „ლურჯი ეკონომიკისნ 5 მამოძრავებელი ფაქტორი: აკვაკულტურა; განახლებადი ენერგია; სასარ-გებლო წიაღისეულის ღრმაწყლებში მოპოვება; ბიოტექნოლოგიები; საზღვაო და სანაპირო ტურია-მი. 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებში დაიწყო საზღვაო და სანაპირო ტერიტორიების სივრცითი დაგეგმარების ინსტრუმენტების დანერგვა, შესაბამისი დირექტივების მიღების გზით. 2021 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა „ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადი განვითარებისათვის ახალი მიდგომა ევ-როკავშირში, ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც აღწერს ევროკავშირის პრიორიტეტებს საზღვაო და სა-ნაპირო ზონის გარემოს ეკოსისტემური მართვის სფეროში. დოკუმენტი მოიცავს ამოცანებს სივ-რცობრივი დაგეგმარების, დიკარბონიზაციის, ბიომრავალფეროვნების აღდგენის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების, „ცირკულარული“ მოდელებისა და კვების სისტემის მდგრადო-ბის ამაღლების ნაწილში და სფეროში, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებისა და პროფესიული უნა-რების განვითარებას.

ინდოეთი - სამთავრობო დოკუმენტებში „ახალი ინდოეთის ხედვა 2030“, რომელიც 2019 წელს იქნა წარმოდგენილი „ლურჯი ეკონომიკა“ გამოყოფილია, როგორც ქვეყნის განვითარების საკვან-ძო მიმართულება. 2020 წელს ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ეკონომიკურმა საკონსულტაციო საბ-ჭომ წამოაყენა ქვეყნის „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების სტრატეგიის პროექტი საზოგადო სა-ზოგადო განხილვისთვის. პროექტში გამოყოფილია ის ეტაპები, რომლებიც აუცილებელია მთავრო-ბის დონეზე იქნას მიღებული ქვეყნის ოკეანის რესურსების გამოყენების მიზნით. დოკუმენტში გა-

მოყოფილია 7 თემატური სფერო: ოკეანის ეკონომიკის აღრიცხვისა და მართვის სისტემა; სანაპირო საზღვაო რაიონების ტერიტორიული დაგეგმარება და ტურიზმი; საზღვაო თევზჭერა; აკვაკულტურა და საზღვაო გადაზიდვები; სასარგებლო წიაღისეულის ზოლზე და და ღრმაწყლებში მოპოვება; ზღვის ენერგია და უსაფრთხოება; „ლურჯი ეკონომიკის“ ახალი დარგების განვითარება, ადამიანური კაპიტალის განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა.

- ინდონეზია - 2014 წელს ინდონეზიის პრეზიდენტმა ჯოკო ვიდოდომ აღმოსავლეთაზიუ სამიტზე აღნიშნა, რომ ინდონეზიაში საზღვაო დოქტრინის რეალიზაციის დაწყების შესახებ. ინდონეზიის საზღვაო დოქტრინის დოკუმენტური გაფორმება მოხდა 2017 წელს „ეროვნული საზღვაო პოლიტიკის“ გამოსვლით. მას საფუძვლად დაედო: ადამიანური რესურსების განვითარება; საზღვაო უსაფრთხოება; ზღვის რესურსების მართვის ინსტიტუციალიზაცია; საზღვაო ეკონომიკა; ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა; საზღვაო დიპლომატია. მათ საფუძველზე შემუშავებულ იქნა 76 პროგრამა. ექსპერტების შეფასებით არსებული დოკუმენტი წარმოადგენს ქოლგისებურ პროგრამას, რომელიც არ თავაზობს ახალ გადაწყვეტილებებს და დამატებით ბიუჯეტური მხარდაჭერის გამოყოფას, თუმცა იძლევა ფინანსირების სხვა ფორმების მოზიდვის შესაძლებლობებს, მ.შ. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმაში.
- კანადა - 1997 წელს აკანადამ მიიღო კანონი ოკეანეების შესახებ და გახდა პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც შეიმუშავა ყოველმხრივი და კომპლექსური კანონმდებლობა ეკონომიკის ოკეანის სექტორების მართვისთვის. „ლურჯი ეკონომიკის“ მართვის სრულყოფის მიზნით კანადის სამინისტრო მეთევზეობისა და ოკეანეების მართვის კუთხით შეიმუშავებს „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების სტრატეგიას 2040 წლამდე. სტრატეგიის მიზნებია: საზღვაო გარემოს შესწავლა და დაცვა; მდგრადი ეკონომიკური შესაძლებლობების მხარდაჭერა; „ლურჯ ეკონომიკაში“ საერთაშორისო ლიდერობა. სტრატეგიის რეალიზაციის შეფასება მოხდება ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიზნების მიღწევის საფუძველზე. სტრატეგია დაეფუძნება ეკოსიტემურ და პრევენციულ მიდგომას, მდგრადი განვითარების პრინციპებს, ეკონომიკური დივერსიფიკაციის წახალისებას და კომპლექსურ მართვას.
- კორეის სახალხო რესპუბლიკა - 2010 წელს კორეის სახალხო რესპუბლიკის სახაელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა „ლურჯი ეკონომიკური ზონის“ შექმნას შანდუნის ნახევარკუნძულზე კორეის სახალხო რესპუბლიკის საზღვაო ეკოსისტემის განვითარებისათვის. 2012 წელს კორეის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ 8 სანაპირო რაიონის შექმნის გეგმა დაამტკიცა საზღვაო ეკონომიკის წვლილის გაზრდის მიზნით. 2016 წელს კი კორეის სახალხო რესპუბლიკის XIII ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში შემუშავდა ახალი დებულებები, რომელიც კონტროლის გამკაცრებას ეხებოდა. კერძოდ არაკანონიერ თევჭერას, სანაპირო ეკოსისტემის დაცვას, ჭაობების უფრო მეტად აქტიურ აღდგენას და საზღვაო ეკოსისტემების აქტიურ მართვას.
- ნორვეგია - 2017 წლის აპრილში ნორვეგიის მთავრობამ განსაზღვრა „ოკეანის“ დღის წესრიგი და შეიმუშავა „ოკეანის ეროვნული სტრატეგია“. 2013 წელს სტრატეგია იქნა განახლებული და მასში გამოიყო 3 პრიორიტეტი: „ლურჯი ეკონომიკის“ გაციფრულების განვითარება და კადრების მომზადება მისი განვითარებისათვის კლიმატის ცვლილება და „მწვანე“ და მთელი სანაპირო ზონის გასწვრივ ღირებულების შექმნა. ნორვეგიის „ლურჯი ეკონომიკის“ სტრატეგიაში აქცენტი კეთდება „ოკეანის კლიმატის“ განვითარებაზე ოკეანის დარგებს შორის ურთიერთქმედების გაფართოების სტიმულირების გზით.
- სეიშელის კუნძულები - 2015 წელს სეიშელის მთავრობამ შექმნა „ლურჯი ეკონომიკის“ დეპარტამენტი ფინანსებისა და ვაჭრობის სამისნისტროს სტრუქტურაში, რომელსაც შემდგომ დაერ-

ქვა ფინანსების, ვაჭრობის და „ლურჯი ეკონომიკის“ სამინისტრო. დეპარტამენტის მთავარი მიზანი იმ ინიციატივების კოორდინაციაში მდგომარეობს, რომლებიც დაკავშირებულიაოკეანისა და ზღვის რესურსებთან ოკეანის ტერიტორიების მდგრადი გამოყენების პროექტების რეალიზაციის ხელშეწყობაში. 2018 წელს მთავრობამ დაამტკიცა „ლურჯი ეკონომიკის“ განვიტარების საგზაო რუკა 2018-2030წლებისთვის, რომელიც ოკეანის მდგრადი განვითარებისადმი კომპლექსურ მიდგომას წარმოადგენს მდგრადი განვითარება 2030-ის დღის წესრიგისა და პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახაებ შესაბამისად. საგზაო რუკაში მთავარი ინიციატივების სახით გამოიყოფა ზღვის სივრცითი დაგეგმარება და ინოვაციური დაფინანსება [3].

საერთაშორისო სტანდარტები. ოკეანის ეკოსისტემის სწრაფი დეგრადაციის პირობებში რესურსების არარეგულირებადი მოპოვება, ზღვის ორგანიზმების საარსებო არეალის განადგურება, კლიმატის ცვლილება, წყლის დაბინძურება და მდგრადი მართვის პრაქტიკაზე გადასვლის საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას მსოფლიოს დღის წესრიგში.

ჩამოთვლილ პრობლემებს გარდა კოლოგიური ხასიათისა, გაჩნიათ დიდი ფინანსური დანაკარგებიც, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ რისკებზე, ადამიანების კეთილდღეობას, ხარსისხიან და უსაფრთხო ცხოვრებას ეხება.

გლობალური აქტუალური ტენდენციის ფონზე, როგორიცაა მაგალითად - ეკონომიკური ზრდის ახალი წყაროების ძიება, მდგრად განვითარებაზე გადასვლა, გლობალური და ეროვნული მიზნების მიღება ნახშირორჟანგის გამოფრქვევის შემცირებისათვის, „ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფციისადმი ყურადღება მუდმივად იზრდება, ისევე როგორც იმ პროდუქტებისა და საერთასორისო ინიციატივების რიცხვი, რომლებიც პრაქტიკულ რეალიზაციასთან არის დაკავშირებული.

გაეროს კონფერენციამ ვაჭრობისა და განვითარების შესახებ 2017 წელს გამოუშვა ბიოვაჭრობის პრინციპები და კრიტერიუმები, დამატებითი რეკომენდაციების ნაკრები მთავრობებისა და კომპანიებისათვის ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებაზე დაფუძნებაზე საქონლისა და მომსახურების, შეგროვების წარმოებისა და კომერციალიზაციის მდგრადი საქმიანობის ორგანიზაციისათვის. 2020 წელს მოხდაამ პრინციპების განახლება და გამოყენების სფეროს გაფართოება საზღვაო საქონლისა და მომსახურების კუთხით. გაეროს ინფორმაციით ეს პრინციპები უკვე 65 ქვეყანაშია დანერგილი.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს მოლაპარაკებები მავნე თევზაობის სუბსიდირების შეწყვეტის შესახებ. თუმცა მოლაპარაკებები გრძელდება სუბსიდირების გაუქმების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის მიზნით.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის წევრები 2018 წლიდან შეთანხმდნენ შეემცირებინათ სასათბურე გაზების გამოფრქვევა მინიმუმ 50%-ით 2050 წლისთვის 2008 წელთან შედარებით „საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის სტრატეგიის სასათბურე გაზების გამოფრქვევის შემცირების კუთხით“ ფარგლებში. აღნიშნული ინიციატივის მხარადაჭერის მიზნით, ნაოსნობის საერთაშორისო პალატამ და საზღვაო სამრეწველო დარგების სხვა ასოციაციებმა შეთავაზეს შეექმნათ სასათბურე გაზების გამოფრქვევის შემცირების მხარდაჭერის კვლევისა და განვითარების ფონდი. ფონდის მუშაოის დაფინანსება შესაძლებელია მოხდეს ნაოსნობაში წიაღისეული საწვავის გამოყენებაზე გადასახადის შემოღების ხარჯზე. აღნიშნული თემის განხილვა და კვლევა დღესაც მიმდინარეობს, მ.შ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ.

„ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადი განვითარება მოითხოვს მნიშვნელოვან ფულად დაბანდებებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „ლურჯი ეკონომიკის“ განვითარებაში ინვესტიციებს, მ.შ. „ლურჯი ეკონომიკის“ ინოვაციურ დარგებში, შეიძლება შესვლის მაღალი დანახარჯები ქონდეს და ვერ შეძ-

ლოს დაბანდების სწრაფი უკუგება. ასეთ სიტუაციაში წარმოიშვება დაფინანსების ინოვაციური მექანიზმების დანერგვის საჭიროება, მ.შ. გამოყენებულ იქნას შერეული დაფინანსება და „ლურჯი“ ობლიგაციები. ექსპერტების შეფასებით „ლურჯ ეკონომიკაში“ ინვესტიციების ამონაგების თანაფარდობა 5:1- ს შეადგენს [5].

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მსოფლიობანკმა სეიშელის კუნძულებთან ერთობლივად გამოუშვა მსოფლიოში პირველად „ლურჯი“ ობლიგაციები 15 მლნ აშშ დოლარის ოდენობის, თევჭერის სფეროში მდგრადი პროექტების მხარდასაჭერად. 2019 წელს მსოფლიო ბანკმა Morgan Stanley- სთან ერთად გამოუშვა 10 მლნ აშშ დოლარის ოდენობის „ლურჯი“ ობლიგაციები ოკეანეების პლასტიკური ნარჩენებით დაბინძურების პრობლემის გადაჭრის მიზნით და შვეიცარულ კომპანიასთან swiss ერთობლიობაში 2,6 მლნ აშშ დოლარის თანხაზე მტკნარი წყლისა და ზღვის ცხოველების საარსებო გარემოს დაცვისა და აღდგენისათვის. მსოფლიო ბანკის ინიციატივის შემდგომ რიგმა სხვა საფინანსო დაწესებულებებმა დაიწყეს და გეგემავენ „ლურჯი“ ობლიგაციები გამოშვებას.

„ლურჯი ეკონომიკის“ დაფინანსება შიძლება დააჩქაროს საპასუხისმგებლო პოლიტიკისა ად ბიზნეს-პრაქტიკების დანერგვა, თუკი დაფუძნებული იქნება გლობალურ პრინციპებსა და სტანდარტებზე. ასეთი პრინციპების მაგალითს წარმოადგენს გაეროს მდგრადი ოკეანეების პრინციპების გლობალური შეთანხმება ან/და „ლურჯი ეკონომიკის“ მდგარდი დაფინანსების ინიციატივა (UNEP) [5].

დასკვნა

მზარდი გამოწვევების მიუხედავად, ოკეანე უზარმაზარ შესაძლებლობებს სთავაზობს ადამიანებს რესურსების ასათვისებლად. უზარმაზარი პოტენციალის მატარებელია ოკეანის განახლებადი ენერგეტიკა: ტალღების ენერგია, მოქცევის ენერგია, ოფშორული ქარის ენერგია, ზღვის ენერგია, ზღვის ბიოენერგია და ა.შ.

ოკეანის ფსკერი „მწვანე გადასვლისათვის“ შეიცავს კაცობრიობისათვის აუცილებელ მინერალებს, ზღვის ბიოტექნოლოგიები საშუალებას იძლევა ახალი ფარმაცევტული საშუალებების, წამლების, კოსმეტისკის, მეცხოველეობისათვის საკვები დანამატების შემუშავებას და ატმოსფეროში მეთანის გამოტყორცნის შემცირების საშუალებას.

ეროვნული შემოსავლების ფორმირება ხდება „ლურჯი ეკონომიკის“ მდგრადი და კომპლექსური მართვით, რომელიც დაფუძნებულია ისეთ ინსტრუმეტებზე, როგორიცაა: სანაპირო ზონების ინტეგრირებული მართვა, საზღვაო სივრცითი დაგეგმარება, დაცული ზღვის ტერიტორიების შექმნა.

„ლურჯი ეკონომიკის“ განვითარების თანამედროვე გამოწვევები ქმნიან მათი მართვისადმი საერთაშორისო მიდგომების ფორმიორების აუცილებლობას. „ლურჯი ეკონომიკის“ სფეროში იქმნება საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმატები, ფორმირდება საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა ოკეანის რესურსების ასათვისებლად, იქმნება „ლურჯი ეკონომიკის“ პროექტების ფინანსირების ახალი მექანიზმები, მუშავდება ინდიკატორები „ლურჯი ეკონომიკის“ დარგების პროგრესის შესაფასებლად, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის გაზრდაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Blue growth: unlocking the potential of the oceans (H2020-BG-2014-2015), Blue Growth: demonstrating an ocean of opportunities (H2020-BG-2016-2017), Blue Growth: sustainably harvest the potential of aquatic and marine resources, while protecting biodiversity and enhancing climate resilience (H2020-BG-2018-2020).
2. Sumaila, U.R., Walsh, M., Hoareau, K. et al. Financing a sustainable ocean economy. Nat Commun 12, 3259 (2021). https://doi.org/10.1038/s41467-021-23168-y
3. P. Ramirez-Monsalve, J Van Tatenhove 'Mechanisms of power in maritime spatial planning processes in Denmark, Ocean & Coastal Management' (2020).
4. Taylor S. et al. (2017). Eunomia. Green Jobs in the Blue Economy – A Bottom-up Approach. No 11.066100/-2015/716324/SFRA/ENV.C2 . Final Report to DG Environment of the European Commission.
5. The EU Blue Economy Report 2022. European Union, 2022.

Potential and Opportunities of "Blue Economy"

Tea Lazarashvili
Associate Professor
Caucasus International University
Nazira Kakulia
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

A common consensus among countries to understand the concept of "blue economy" and to increase the use of the potential of the world's oceans was first achieved within the framework of the UN concept ~Rio+20~ for sustainable development in 2012. In 2015, the idea of the concept became the basis for defining the 14th goal of sustainable development of the United Nations "Underwater resources".

The concept of "blue economy" is aimed at the systematic and sustainable development of those sectors of the economy, which are related to the use of the resources of the world's oceans and seas, and expresses the aspiration of the world community, between ensuring ecological security and social well-being of the earth's population.

Keywords: *"blue economy", sustainable development, ecological security, "blue bonds".*

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიმართულებები საქართველოში

თამარ ლაზარიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში გაანალიზებულია მდგრადი სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაში. საანალიზო პრობლემა შესწავლილია ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით.

სტატიაში წარმოდგენილია მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლო მიმართულებები და იდენტიფიცირებულია ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც აფერხებს სოფლის მეურნეობის მოცემული მიმართულებით განვითარებას საქართველოში.

ნაშრომის ბოლოს შემუშავებულია დასკვნები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოში მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი სოფლის მეურნეობა, გამოწვევები, განვითარების ინსტრუმენტები.*

სოფლის მეურნეობა მსოფლიოს უდიდესი ინდუსტრიაა. აღნიშნულ დარგში ერთ მილიარდზე მეტი ადამიანია დასაქმებული და გამოიმუშავებს 1.3 ტრილიონი დოლარის ღირებულების საკვებს ყოველწლიურად. სოფლის მეურნეობა კვლავ პრიორიტეტულ სექტორად რჩება მშპ-ში შტანილი წვლილისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019). თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დარგს, რომელშიც ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 50%-ია დასაქმებული, მთლიან შიდა პროდუქტში მხოლოდ 10% წილი შეაქვს, ხოლო სოფლის მეურნეობაში გადამამუშავებელ საწარმოთა მთლიანი წილი მშპ-ში დაახლოებით 4%-ს შეადგენს. ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის დარგი საქართველოში ვერ იყენებს რესურსებს ეფექტიანად (ლიპარტელიანი, ნ., 2022).

აუცილებელია იმ პრობლემების შესწავლა, რაც ქვეყნის ექსპორტის ზრდას შეუწყობს ამ მხრივ აღსანიშნავია აგროსასურსათო წარმოების შესაძლებლობების გამოვლენა. ამ სფეროში პრობლემად მიიჩნევა წარმოების მცირე მასშტაბები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კონკურენტულ უპირატესობას. ასევე, შესამუშავებელია ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები ქართული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების სტიმულირების მიზნით (ლაზარიაშვილი, თ., 2022).

გლობალიზაციის პირობებში აგროსასურსათო წარმოების ზრდის პოტენციური შესაძლებლობების ეფექტიანად გამოყენება სასურსათო უსაფრთხოების გადაჭრის აუცილებელი გზაა (Lazariashvili, T., 2021).

აგროსასურსათო პროდუქტებზე მოსახლეობის ზრდის ტენდენცია კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ სფეროს განვითარებისადმი ინტერესს და მნიშვნელობას (ლაზრიაშვილი, თ., 2022).

ბოლო წლებში საქართველომ გარკვეულ პროგრესს მიაღწია ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და დივერსიფიკაციაში, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა საექსპორტო პორტფელის მკვეთრი გაფართოება, რათა გაგრძელდეს ეკონომიკური ზრდა და შემცირდეს სასურსათო პროდუქტების უარყოფითი სავაჭრო სალდო. ამისათვის კი მდგრადი სოფლის მეურნეობა მიზნად ისახავს საკვების უსაფრთხოებას, ნიადაგის ნაყოფიერებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, მწვანე პრინციპე-

ბის დანერგვას წარმოებაში, არაგანახლებადი რესურსების შემცირებას, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას პასუხისმგებლიანი წარმოების შესახებ.

მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიცირება/განვითარება, სოციალური მდგომარეობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ერთ-ერთი მიმართულებაა (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019). მდგრადი რომ იყოს, სოფლის მეურნეობა უნდა აკმაყოფილებდეს დღევანდელი და მომავალი თაობის მოთხოვნილებებს, ამასთან, უზრუნველყოს მომგებიანობა, გარემოს ჯანმრთელობა და სოციალური და ეკონომიკური თანასწორობა. მდგრადი საკვები და სოფლის მეურნეობა (SFA) ხელს უწყობს სურსათის უსაფრთხოების ოთხივე საყრდენს - ხელმისაწვდომობას, ხელმისაწვდომობას, გამოყენებას და სტაბილურობას - და მდგრადობის განზომილებებს (ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური; FAO, 2023).

მდგრადი განვითარების კონცეფცია უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1. მაქსიმალური ეფექტიანობით უნდა იყოს გამოყენებული ბუნებრივი რესურსები ბუნებაზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე;
2. ცოცხალი რესურსებით საგებლობისას არ მიადგეს ზიანი ბიო მრავალფეროვნებას და დასახული იქნას გზები მისი აღწარმოების და გამრავალფეროვნებისათვის;
3. უნდა მოიცავდეს რესურსების მართვის პრინციპების განვითარებას, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება სამომავლო რისკები;
4. აუცილებელია არსებული რესურსების ბაზაზე თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება;
5. საჭიროა ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ მთავარი პრიორიტეტების გამოყოფა და სრულყოფა;
6. ტრადიციული ენერგორესურსების ნაცვლად ენერგო განახლებადი რესურსებით ჩანაცვლება უნდა მოხდეს შესაბამისი ტექნოლოგიების განვითარების გზით. მდგრადი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად სწორედ განახლებადი ენერგეტიკა უნდა იქნეს მიჩნეული;
7. საჭიროა ბუნებრივი რესურსების კონსევაციის და გამოყენების ჰარმონიზაცია.

ეკონომიკური უსაფრთხოება ქვენის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. იგი არის ეკონომიკის ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე, ასევე ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე. ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტია როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ისე მისი შემადგენელი სექტორები და ელემენტები. ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდწილად განაპირობებს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ამიტომ მნიშვნელოვანია მძლავრი ბიძგი მიეცეს ეროვნულ წარმოებას, რათა შემცირდეს უცხოურ პროდუქციაზე დამოკიდებულება.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიხედვით, სოფლის მეურნეობაში მდგრადი პრაქტიკისა და ინოვაციების დანერგვით შესაძლებელია:

- მოსავლის პროდუქტიულობის გაზრდა;
- გარემოსდაცვითი რესურსები დაზოგვა და დაცვა;
- ეკონომიკური ზრდისა და ადამიანების კეთილდღეობის ხარისხის გაუმჯობესება;
- ეკოსისტემების მედეგობის ზრდა;

- სამთავრობო დახმარების მიღება, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მთავრობები ახალისებენ ინოვაციებისა და მდგრადი მიდგომების დანერგვას სოფლის მეურნოებაში.

სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი როლის მატარებელიარ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. აღნიშნულზე მეტყველებს სოფლის მეურნეობის წილი ქვეყბის მთლიან შიგა პროფუქტში (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი 1.

სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიგა პროდუქტში, %



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba

საქართველოში სოფლის მეურნეობარ პრიორიტეტულ სფეროდაა მიჩნეული. ამას განაპირობებს ისიც, რომ ქვეყანას მიწის დამუშავების და სასოფლო – სამეურნეო კულტურების მოყვანის მრავალწლიანი ისტორია აქვს, მიუხედავად გაწეული ძალისხმევისა, სოფლის მეურნეობა მაინც რჩება არაერთი მწვავე პრობლემის წინაშე, მათ შორისაა: გაუმართავი ინფრასტრუქტურა, დაბალი კვალიფიკაცია, ტექნოლოგიებისა და სხვადასხვა რესურსების ნაკლებობა, თუნდაც ინფორმაციული. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი არის ცოდნის დაბალი დონე. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა პანდემიის პერიოდში. შესაბამისად მდგრადი განათლების გამოწვევების შესწავლა და მისი ასახვა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მიმართულებებში დღეს პრიორიტეტულია (ხარაიშვილი, ე., ლობჟანიძე, ნ., 2022).

საქართველოს სოფლის მეურნეობის კიდევ ერთი პრობლემა მცირემიწიანობაა. ქვეყნის ტერიტორიული სიმცირისა და ურბანიზაციის დაბალი მაჩვენებლის გამო, სოფლის მეურნეობით დაკავებულ შინამეურნეობაზე მცირე მიწის ფართობი მოდის. მცირე მიწაზე წარმოება კი ვერ ჩაითვლება ვერც მასშტაბიან ბიზნესად და ვერც მოგების მომტან საქმედ. ამასთან აღსანიშნია შემდეგი გარემოებაც, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებამ წარმოების ეფექტიანობა და პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაზარდა. დამხმარე საშუალებებით მოსავლიანობის მკვეთრი ზრდა დღეს უკვე შესაძლებელია. მაგალითად, საქართველოში ერთ ჰექტარზე, საშუალოდ,დაახლოებით 2.7 ტონა ხორბალი და სიმინდი მოჰყავთ, როცა ბელგიაში, ნიდერლანდებში და ირლანდიაში ერთ

ჰექტარზე 9 ტონამდე მოსავალი მოდის, ამ სურათს განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების განვითარების დონე, რაც არასახარბიელოა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ბოლო წლებში სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს აგრო სექტორის გაძლიერებაზე. ამ იდეის ირგვლივ განხორციელდა ისეთი პროექტები როგორებიცაა: „დანერგე მომავალი“, „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, აგროწარმოების მხარდაჭერის პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტები და სხვა. სახელმწიფო პროგრამები მიმართულია სოფლის მეურნეობის პოტენციალის ბოლომდე ათვისებისკენ და იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლებისკენ. და ბოლოს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეობის როლი ქვეყნის ეკონომიკაში ძალზედ საგულისხმოა, მით უფრო განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონეა. მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკის გატარება და ინვესტირება, რაც მრავალრიცხოვანი შინამეურნეობების ეფექტიანობის ამაღლებას დააჩქარებს. რის შედეგადაც შიდაწარმოება განვითარების მაღალ ნიშნულს მიაღწევს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი წილით არის წარმოდგენილი მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. ამ ზომის საწარმოებში მნიშვნელოვანი გამოწვევებია მდგრადი განვითარების თვალსაზრისით (Kharaishvili, E., Lobzhanidze, N., 2023).

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას.

სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში მნიშვნელოვანია აგროტურიზმის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა (Kharaishvili, E., Natsvlishvili, I., Lazariashvili, T., 2020).

აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები და პრიორიტეტები უნდა შეესაბამებოდეს ზოგადად სოფლის მდგრადი განვითარების შესაძლებლობებს (Kharaishvili, E., Suknishvili, M., 2021).

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 7 სტრატეგიული მიმართულება და შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა მიხედვით შემუშავდება კონკრეტული სამოქმედო გეგმა - პრიორიტეტების, განხორციელების ვადების და დაფინანსების წყაროების გათვალისწინებით (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019).

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია:

1. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
2. ინსტიტუციური განვითარება;
3. მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება;
4. რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;
5. სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
6. სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
7. კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

საქართველოში, ერთის მხრივ, საფუძვლიანად მოიშალა (ან ამჟამადაც მიმდინარეობს) წინა სისტემისთვის დამახასიათებელი,რ სოფლის მეურნეობის სექტორული ხელშემწყობი სამსახურები და, მეორე მხრივ, მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი რეალობებიდან გამომდინარე, გლეხუ-

რი და სხვა საშუალო თუ მსხვილი მეურნეობების განვითარების ხელშემწყობი სამსახურების წარმოქმნა ან ძველი სამსახურების ტრანსფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ რეგიონულ დონეზე არის შესაძლებელი ინტენსიური ურთიერთობა სხვადასხვა მასშტაბის მწარმოებლებთან, შესაძლებელია საჭიროებებისა და მოთხოვნები ფიქსირება, ადგილობრივი სეციალისტების მობილიზება და ინფორმაციისა და კონსულტაციის განხორციელება, სოფლის მეურნეობის მომსახურერ სამსახურების კოორდინაცია. რაიონულ დონეზე არსებულმა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოებმა უნდა შეიძინონ ინფორმაციულ-კონსულტატური და ტექნიკური მომსახურების ფუნქცია, რაც ხელს შეუწყობს მთლიანად დარგის მდგრად განვითარებას.

დღეს სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვნად ეყრდნობა საწვავს, რაც არაგანახლებადი ენერგიაა. ერთადერთი გზა ამ გამოწვევის დასაძლევად არის ენერგოეფექტიანი ფერმერული სისტემების გამოყენება და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა მდგრადი სოფლის მეურნეობისთვის. ამ სფეროში ყველაზე პერსპექტიული მიმართულებებია:

- მზის ენერგიით მომუშავე მაღალი ეფექტიანი საირიგაციო სისტემების დაყენება;
- ბიო საწვავის ათვისება;
- ბიომასის ენერგიის კონვერტაცია (კულტურებიდან და ორგანული ნარჩენებიდან);
- ქარის/მზის ენერგიის ინსტალაცია ფერმერული საწარმოებისთვის, და სხვა.

ძირითადი ამოცანები, რომლებიც დგას დარგის წინაშე, ეს არის ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და ხარისხიანი საკვები პროდუქტების წარმოება, ეკოსისტემის შენარჩუნება და მისი სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება, მაშასადამე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. აღნიშნული ამოცანის შესრულება უნდა განხორციელდეს უკვე არსებული კონცეფციის ორგანული სოფლის მეურნეობის ჩარჩოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლაზარიაშვილი, თ. (2022). აგროსასურსათო წარმოების განვითარების შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პირობებში. IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურის ცვლილება და საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები". 2022 წლის 9 სექტემბერი, გორი)
2. ლაზარიაშვილი, თ. (2022). *საქართველოს აგრორურისტული ბაზრის პოტენციალის შეფასება (კახეთის მაგალითზე).*VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში". თსუ, 4 ნოემბერი
3. ლიპარტელიანი, ნ. (2022). მდგრადი სოლის მეურნეობა და მისი სარგებელი <https://businessformula.ge/News/8752>
4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2019). *საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027* <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395>
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2023). *სოფლის მეურნეობა და სასურსათო უსაფრთხოება > სოფლის მეურნეობა* <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba>
6. ხარაიშვილი, ე., ლობჟანიძე, ნ. (2022). „მდგრადი განათლების გამოწვევები დისტანციური სწავლების პირობებში (საქართველოს მაგალითზე)". ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა." ტომი 9, №2.

7. Food and Agriculture Organization of the United Nations (2023). '*Sustainable Food and Agriculture'* <https://www.fao.org/sustainability/en/>
8. Kharaishvili, E., & Lobzhanidze, N. (2023). "Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises (Case of Georgia)". ID: "MCAES-23-RA-021"
9. Kharaishvili, E., Natsvlishvili, I., Lazariashvili, T. (2020). "Impact of agro tourism on economic development of related sectors in the context of sustainable". Markets and Business Systems, N4(2), 20.
10. Kharaishvili, E. & Suknishvili, M. (2021). "Agribusiness development trends in Georgia: modern challenges and solutions". Economics. Ecology. Socium, N5(4). <https://ees-journal.com/index.php/journal/article/-view/182>
11. Lazariashvili, T. (2021). *DIRECTIONS FOR DEVELOPING THE PRODUCTION OF LOCAL AGRO-FOOD PRODUCTS IN GEORGIA*; International Scientific and Practical Internet Conference „ORGANIZATION'S STRATEGY VS REALITIES OF THE VUCA-WORLD", Kyiv, SHEI KNEU named after V. Hetman. November 10

Directions of Sustainable Development of Agriculture in Georgia

Tamar Lazariashvili
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article analyzes the importance of sustainable agriculture for the country's economic growth and development. The analytical problem is examined considering economic, social, cultural and political factors.

The article presents the possible directions of development of sustainable agriculture and identifies the main challenges that impede the development of agriculture in this direction in Georgia.

At the end of the paper, conclusions are developed and recommendations are made towards sustainable agricultural development in Georgia.

Keywords: *sustainable agriculture, challenges, development tools.*

საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების საკითხისთვის

ეკა ლეკაშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამრეწველო პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი
დავით ობოლაძე
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევების ცენტრი
გიორგი გაფრინდაშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პოზიციონირება ევროკავშირის საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკის კონტექსტით დისკუსიის საგანი გახდა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის, რუსული ენერგორესურსების იმპორტზე ევროკავშირის მზარდი დამოკიდებულების და საფრთხეების ფონზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების საკითხისთვის რეკომენდაციების შეთავაზება. ნაშრომი ბიბლიოგრაფიული კვლევის მეთოდს ეყრდნობა. შესწავლილია საქართველოს და ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის განმსაზღვრელი ჩარჩო დოკუმენტები; გაანალიზებულია საქართველოს, როგორც ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკური და ეკონომიკური სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისები; შემუშავებულია რეკომენდაციები საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკისთვის.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, ვეროკავშირი, ენერგეტიკული პოლიტიკა, ენერგეტიკული ჰაბი*

პრობლემის აქტუალურობა: ქვეყნის ენერგეტიკული საფრთხეების (ენერგიის არასაკმარისი მოცულობით მიწოდება, მაღალი ფასები, მიწოდების წყვეტილობა, სეზონური მიწოდების სირთულეები, ხარისხის სტანდარტებისგან გადახრა და ა.შ.) განხილვა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლიანობის და დანაკარგების კონტექსტით ზედაპირული მსჯელობის ფორმას იღებს, თუ არ დავაკავშირებთ მას ეროვნულ ღირებულებებთან და ინტერესებთან, როგორიცაა პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, ქვეყნის პოლიტიკური კურსი და სხვა. ამიტომაც, ენერგეტიკა კვლავ პოლიტეკონომიკური მეცნიერების ძირითად საკვლევ მიმართულებას წარმოადგენს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს სტრატეგიული მიზნად დასახულ იქნა ევროკავშირში გაერთიანება, რაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს და არჩევანს აყალიბებს. 2014 წელს ევროკავშირთან „ასოცირების შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ განისაზღვრა საქართველოსთვის ყველა სფეროში, მათ შორის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სფეროებში საკანონმდებლო დონეზე ევროკავშირთან ინტეგრირების გაღრმავების ვალდებულებები. 2016 წელს საქართველომ ხელი მოაწერა „ენერგეტიკულ გაერთიანებაში“

გაწევრიანების ოქმს, რაც განსაზღვრავს საქართველოში ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვის პირობებს.

საქართველოს პოზიციონირება ევროკავშირის საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკის კონტექსტით დისკუსიის საგანი გახდა რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის, რუსული ენერგორესურსების იმპორტზე ევროკავშირის მზარდი დამოკიდებულების და საფრთხეების ფონზე.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირების საკითხისთვის რეკომენდაციების შემუშავება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები: 1. საქართველოს და ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის განმსაზღვრელი ჩარჩო დოკუმენტების შესწავლა; 2. საქართველოს, როგორც ენერგეტიკული ჰაბის პოლიტიკური და ეკონომიკური სამეცნიერო-პრაქტიკული თვალსაზრისების ანალიზი. 3. რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს ევროკავშირთან ენერგეტიკული ჰაბის დაფუძნების ეფექტიანი პოლიტიკისთვის.

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები: ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხის კვლევაში დომინანტი პოზიციები უკავია საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალისტურ სკოლას, რომელთა წარმომადგენლებიც ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს ენერგეტიკულ პოლიტიკაზე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების, სამხედრო კონფრონტაციისა და რეგიონალური კონფლიქტების კონტექსტის გათვალისწინებით. ამ მიდგომის მიხედვით, იმპორტიორი ქვეყნებისთვის უმნიშვნელოვანესია გარანტირებული წვდომა ენერგიის გარე წყაროებზე, თუნდაც სამხედრო ძალის გამოყენებით. ექსპორტიორი ქვეყნების შემთხვევაში კი, გარდა ეკონომიკური სარგებლისა, ძალზედ მნიშვნელოვანია ენერგეტიკული რესურსების გამოყენება პოლიტიკურ იარაღად.

კვლევის თეორიული საფუძვლები ეყრდნობა საქართველოს ენერგეტიკის პოლიტიკის დოკუმენტების, პროექტების, ენერგეტიკის პოლიტიკის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების შესწავლას, ასევე, ევროკავშირის გენერალურ დირექტივებს, რადგან ისინი განსაზღვრავენ ენერგეტიკის პოლიტიკის პრიორიტეტებს, როგორებიცაა ენერგეტიკის მდგრადი განვითარება, ენერგოეფექტიანობის ამაღლება და განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენება.

ძირითადი ტექსტი: ევროკავშირისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხია რუსეთის ენერგეტიკული გავლენისგან თავის დაღწევა, რისთვისაც ცდილობს მოიპოვოს ენერგიის იმპორტის ალტერნატიული წყაროები. ნაბუკოს ბუნებრივი გაზსადენის წამყვანი პროექტის ჩაშლა, რომელიც ევროკავშირისთვის თურქეთის გავლით ბუნებრივი აირის ტრანზიტის ხელშეწყობას გულისხმობდა, შეუთავსებელი აღმოჩნდა პოლიტიკური ფაქტორების, მათ შორის, მხარეთა განსხვავებული ინტერესების გამო. დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირების ფონზე განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა აშშ-დან ევროპაში ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების საკითხმა და ამ გზით ევროპის მიერ რუსულ ნავთობსა და გაზზე დამოკიდებულების შემცირებამ. ევროპამ გააააქტიურა რეგიონულ ენერგეტიკულ მოთამაშეებთან (თურქეთი და აზერბაიჯანი) როლების დაბალანსებული გადანაწილების, ენერგორესურების იმპორტის დივერსიფიკაციის და ბუნებრივი აირის უსაფრთხო და უწყვეტი, სტაბილური მიწოდების, ბუნებრივი აირის და ნავთობის ახალი საბადოების აღმოჩენის, ენერგომოხმარების ზრდის შედეგად კლიმატურ ცვლილებებზე გავლენის შემცირების, დეკარბონიზაციის და სხვა საკითხები. ამ კონტექსტით ევროკავშირი ქმნის უსაფრთხო ენერგოსერვისების მიწოდებას მისი წევრი ქვეყნებისთვის. უფრო კონკრეტულად, ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ ევროპას ძალიან ცოტა ალტერნატივა აქვს იმისთვის, რომ ჩაანაცვლოს რუსეთის გაზი მოკლევადიან პერიოდში. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ევროპას შეუძლია დააჩქაროს კასპიის რე-

გიონიდან მილსადენების განთავსება ევროპისკენ რუსეთის გვერდის ავლით და ასევე, შეისწავლოს ენერგიის ახალი წყაროები ევროპაში, გაზარდოს ძალისხმევა ახალი შიდა ენერგორესურსების შესაქმნელად, გაზარდოს ევროპული გაზსადენებისა და ელექტროგადამცემი ხაზების ურთიერთკავშირი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირის ენერგომომარაგების იმპორტზე დამოკიდებულების ზრდის ძირითადი მიზეზი იყო ევროკავშირის ნავთობისა და გაზის წარმოების განახევრება და ნახშირის წარმოების 17%-ით შემცირება (Raszewski, 2022) ამასთან, ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული სტრუქტურა განსხვავდება არა მხოლოდ რესურსების განსხვავებულობის გამო, არამედ წლების განმავლობაში ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკების მრავალფეროვნების გამო.

მეორეს მხრივ, „საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერგიის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით. ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის დარგში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა“. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა მოიცავს ქვეყნის ენერგეტიკის დარგის პრიორიტეტებს და დარგის განვითარების სტრატეგიულ და ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებს.[1] საქართველოს როლი ევროპის ერთიან ენერგეტიკულ პოლიტიკაში გამოიკვეთაა კასპიის და შავი ზღვის რეგიონების მნიშვნელობიდან გამომდინარე. კასპიის რეგიონი ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი წყაროა: აზერბაიჯანის, ყაზახეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის ბუნებრივი გაზის რეზერვები, ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით დაახლოებით 14,700 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენს (https://www.iea.org/). ამასთან, საქართველო 2017 წლის ივლისიდან ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრია, რითაც უფრო მჭიდრო პოლიტიკურ ასოცირებას მიაღწია (პოლიტიკური ბარიერი). ასევე, აქვს ვალდებულება დანერგოს ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის გამჭვირვალობის პრინციპები (ორგანიზაციული ბარიერი), რითაც შეზღუდავს შესაძლო კორუფციული, მონოპოლისტური და პოლიტიკური ზეგავლენის საფრთხეებს. ევროკავშირისთვის არსებითად მნიშვნელოვანია კასპიის ბუნებრივი გაზის მიწოდება ე.წ. გაზის სამხრეთი კორიდორით, რომელმაც საქართველოზე უნდა გაიაროს. ამ პროექტის განხორციელებით მკვეთრად იზრდება საერთაშორისო დაინტერესება საქართველოს სტაბილურობით და უსაფრთხოებით, ისევე როგორც ქვეყნის ენერგეტიკული უზრუნველყოფის შესაძლებლობებით. აღნიშნული პროექტის მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ ენერგეტიკული უსაფრთხოების ფარგლებს და ქვეყნისათვის უდიდეს პერსპექტივებს აჩენს (პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების ბარიერი).

საქართველოს ენერგეტიკის პოლიტიკის მიზნებს შორის არის: ე) საქართველოს, როგორც რეგიონის სატრანზიტო ქვეყნის, როლის გაზრდა. მას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, აქვს იმის პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას[2].

---

[1] http://www.matsne.gov.ge 30028002009001016288

[2] საქართველოს დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. 24.06.2015. N 3758-IIს

საქართველოს, როგორც ევროკავშირის ენერგეტიკული ჰაბის ფორმირება დაკავშირებულია კვლავ მის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პოზიციონირებასთან, რომელსაც აზერბაიჯანთან და თურქეთთან თანამშრომლობის გზით შეძლებს. თავის მხრივ, თურქეთი თავს არ იკავებს მოსკოვთან ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობისგან. ის „ცისფერი ნაკადის" შემდეგ თავის ტერიტორიაზე აშენებს „თურქეთის ნაკადსაც", რითაც, ერთის მხრივ, პრობლემებს იცილებს სატრანზიტო ქვეყნების მხრიდან და მეორეს მხრივ, ამ და სხვა პროექტების განხორციელებით გახდება „ენერგეტიკული ჰაბი, ცენტრი". თურქეთი ენერგეტიკულ სფეროში რუსეთთან ერთად თანამშრომლობს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა აზერბაიჯანი, კატარი, ირანი, აშენებს ატომურ ელექტროსადგურს, შეძლებისდაგვარად ეძებს ენერგიის ალტერნატიულ მიმწოდებლებსა და წყაროებს, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ენერგეტიკული უსაფრთხოების თვალსაზრისით. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ თურქეთი წარმატებით იყენებს რუსეთ-უკრაინის კრიზისს, რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკულ დაპირისპირებას და ზეწოლის პოლიტიკას, შესაბამისად, თურქეთი ენერგეტიკულ სფეროში მნიშვნელოვან მოთამაშედ ყალიბდება.

კვლევითი მასალების დამუშავების შედეგად გამოვლინდა ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის წარუმატებლობის მთავარ მიზეზები. მათ შორისაა:

- ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმის ჩარჩო-პირობები, რაც ზღუდავს ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო ენერგეტიკული მოთამაშის შესაძლებლობებს (Goldthau and Sitter, 2014);
- Nabucco-ს[1] და სამხრეთ ნაკადის[2] პროექტების შეჩერება, რითაც უპირატესი მდგომარეობა მოიპოვა თურქულმა ნაკადმა[3]. (Vatansever 2017, 9);
- ევროკავშირის საგარეო ენერგეტიკულ პოლიტიკის სახელმწიფოებრივ პოლიტიკად გადაქცევა (Prontera, 2019, 4).
- ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის შედეგების მზარდი დამოკიდებულება შიდა და გარე აქტორებზე, რომელიც თავის მხრივ ემყარება საჯარო და კერძო პირთა ურთიერთქმედებებს (Bocse, 2021), შიდა აქტორებში იგულისხმება ევროკავშირის ინსტიტუტები, თანამეგობრობის წევრი ქვეყნები, ინდუსტრიის წარმომადგენლები, ლობის ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა.
- თურქეთი, „თურქული ნაკადის" გარდა, ატარებს ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის" (SGC)[4] მილსადენების ნაწილს, რომლებიც გაზს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას აზერბაიჯანიდან აწვდის. თურქეთს არ აქვს დამატებითი რუსული გაზის საჭიროება. მან მხოლოდ იმ მიზნით შეიძლება აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთთან, რომ „გაზპრომისგან" შეძენილი გაზის ნაწილი ევროპაში თვითონ გაიტანოს. Siddi (2019) ამტკიცებს, რომ ევროკავშირის პოლიტიკა ენერგეტიკის დივერსიფიკაციის შესახებ სამხრეთ გაზის საშუალებით თურ-

[1] გაზსადენის მაგისტრალის პროექტი - ავსტრიის, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის და უნგრეთის მონაწილეობით.

[2] „სამხრეთის ნაკადის" პროექტი ითვალისწინებდა რუსეთის ბუნებრივი აირის გადაქაჩვას შავი ზღვის სანაპიროდან ბულგარეთამდე, საიდანაც ის უნდა მიეწოდებინათ სამხრეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის, მათ შორის უნგრეთის, სერბიისა და ავსტრიისთვის.

[3] მილსადენი, რომელიც აკავშირებს რუსეთს თურქეთთან, იმავდროულად ახორციელებს შემდგომ გადაზიდვებს აღმოსავლეთ ევროპაში

[4] Southern Gas Corridor - სამხრეთ გაზის დერეფანი, რომელიც საქართველოს გავლით აკავშირებს აზერბაიჯანულ გაზს ევროპულ ბაზართან.

ქეთის პოზიციებს აძლიერებს[1]. ამდენად, თურქეთი უკვე ნაწილორივ ასრულებს ევროპისკენ გაზის მიწოდების ჰაბის ფუნქციას.

- რუსული გაზპრომი აძლიერებს ბუნებრივი გაზის ექსპორტის სტრატეგიას არაპირდაპირი გზით. რუსული გაზპრომი ცდილობს გააძლიეროს თავისი კონკურენტუნარიანობა SGC-ზე პროექტების საშუალებით.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოების კუთხით მთავარი პრობლემებია: 1) მზარდი მოთხოვნა ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში და სტრატეგიული რეზერვების სიმცირე; 2) რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სტრატეგიული ენერგეტიკული ობიექტი; 3) რუსეთის სახელმწიფო და კომერციული კომპანიების მიერ საქართველოში სტრატეგიული ენერგეტიკული აქტივების ფლობა; 4) არასაიმედო, მოძველებული ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა; 5) ეკონომიკური კრიზისი, რასაც სერიოზული გავლენა აქვს ენერგიის ფასზე; 6) ტერორიზმის გაზრდილი რისკი; 7) კლიმატის ცვლილება 8) ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგიის არ ქონა (მარგველაშვილი, 2021).

ამრიგად, კვლევები ცხადყოფს, რომ ბოლო ათწლეულებია რუსეთის მიერ ენერგეტიკული საკითხები პოლიტიკური ვაჭრობის საგნად იქცა, რამაც კვლავ მკაფიოდ გაუსვა ხაზი ევროპულ ქვეყნებში ენერგეტიკული დივერსიფიკაციის საჭიროებას. საქართველო, როგორც ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა, საჭიროებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს არამარტო ენერგეტიკული საფრთხეების შემცირებას, არამედ არსებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობით განპირობებული შესაძლებლების სარგებლიანად გამოყენებას.

დასკვნები და რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია საქართველოში ენერგეტიკის მართვის ინსტიტუტების და მეთოდების გაუმჯობესების გზების სრულყოფა ევროკავშირის ენერგეტიკულ სფეროში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.
2. ასამაღლებელია ენერგეტიკის კანონმდებლობის დაგეგმვის და მართვის ხარისხი, რადგან არასაკმარისი ეფექტიანობა შეიძლება გახდეს ყველა სხვა რისკის გაძლიერების მიზეზი.
3. ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ და პოლიტიკურ, არამედ ასევე სექტორის მართვის და ფუნქციონირების იურიდიულ გარემოს და პროფესიული კადრებით უზრუნველყოფის რისკებს.
4. ყურადღება გამახვილდეს ისეთ ენერგეტიკულ საფრთხეებზე, რომელიც შეიძლება იწვევდეს: ენერგიის არასაკმარისი მოცულობით მიწოდებას, მაღალ ფასებს, მიწოდების წყვეტილობას, სეზონური მიწოდების სირთულეებს, ხარისხის სტანდარტებისგან გადახრას და ა.შ.
5. უნდა შეფასდეს რისკების გავლენა მოკლე და გრძელვადიანი პერიოდისთვის, ერთჯერადი ან განმეორებადი შემთხვევებისთვის; ასევე, მათი გავლენა ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებზე - პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილობაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე, პოლიტიკურ კურსზე და ა.შ.
6. აუცილებელია ქვეყანაში რეგულარულად ტარდებოდეს ენერგეტიკული უსაფრთხოების კვლევები და მზადდებოდეს შესაბამისი რეკომენდაციები.

[1] https://bm.ge/ka/article/rodis-gadaiqceva-turqeti-kaspiuri-gazis-habad/122898 (26.07.23)

7. გასაძლიერებელია საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების ხელშეწყობა, რათა დადებითად გადაწყდეს, მათ შორის მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის საკითხი.
8. განსაზღვროს პრიორიტეტები და გაეწიოთ მათ საკმარისი პოლიტიკური მხარდაჭერა.
9. მნიშვნელოვანია, რუსულ კომპანიებს შეეზღუდოთ გავლენის გავრცელება საქართველოს ენერგეტიკულ აქტივებზე, ვიდრე ქვეყანაში არ ჩამოყალიბდება გამჭვირვალე, დამოუკიდებელი და სწორი მმართველობის პირობები.

გამოყენეული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - www.nsc.gov.ge
2. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის პროექტი, 2014 - www.energy.gov.ge
3. მარგველაშვილი მ. (2021). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რისკები და მათი შერბილების მიმართულებები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუტი.
4. Goldthau, A. and Sitter, N. (2014) A liberal actor in a realist world? The Commission and the external dimension of the single market for energy, Journal of European Public Policy, Vol. 21, Issue 10, pp. 1452-1472. DOI: 10.1080/13501763.2014.912251
5. Atansever, A. (2017) 'Is Russia building too many pipelines? Explaining Russia's oil and gas export strategy', Energy Policy, Vol. 108, pp. 1-11.
6. Prontera, A. (2019) Beyond the EU Regulatory State: Energy Security and the Eurasian Gas Market, London-/New York: Rowman & Littlefield.
7. Bocse, Alexandra-Maria (2021) International Networks, Advocacy and EU Energy Policy-Making. London: Palgrave Macmillan.
8. Raszewski, S., (2022).*When one door closes, another opens: How the failure of the Turkey - Austria natural gas pipeline project has led to recovery, resilience and scalability of successor projects, Energy Policy*, Volume 167, 1-9.
9. Hasanov, F. J., Mahmudlu, C., Deb, K., Abilov, Sh., Hasanov O. (2020). *The roe of Azeri natural gas in meeting European Union Energy security needs*. *Energy Strategy Reviews.* 28 100464.
10. Lekashvili E.R., Gaprindashvili G.J**. (**2022). *Actualization of Coordinated Industrial Policy Issues: European Experience for Georgia.* "Challenges for Business: Decision-Making under the Current Conditions". VI INTERNATIONAL CONFERENCE, SIMM-2022". Kyiv NEU named after Vadym Hetman. 180-187.
11. Siddi, M. (2019). *The EU's Botched Geopolitical Approach to External Energy Policy: The Case of the Southern Gas Corridor. Geopolitics*, Vol. 24, Issue 1, 124-144. https://doi.org/10.1080/14650045.2017.1416606.
12. Fawcett, T., Rosenow, J., & Bertoldi, P. (2018). *Energy efficiency obligation schemes: their future in the EU.* Springer. Retrieved from https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s12053-018-9657-1.pdf?pdf=button%20sticky
14. European commision. (2022). DIRECTIVE OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL Retrieved from https://eurlex.europa.eu/legalcontent/EN/TXT/?uri=COM%3A2022%3A222%3AFIN&qid=1653033811900
15. Energy.ec.europa.eu., (2022). Energy efficiency first principle. Retrieved from https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-efficiency-targets-directive-and-rules/energy-efficiency-directive_en

16. European Commission. (2021). Commission proposes new Energy Efficiency Directive. Retrieved from https://commission.europa.eu/: https://commission.europa.eu/news/commission-proposes-new-energy-efficiency-directive-2021-07-14_en
17. Office of Energy Efficiency & Renewable Energy. (2022). Energy Efficiency. https://www.energy.gov/eere/energy-efficiency
18. Energy.ec.europa.eu., (2022). Energy Efficiency Targets. Retrieved from https://energy.ec.europa.eu/topics/energy-efficiency/energy-efficiency-targets-directive-and-rules/energy-efficiency-targets_en
19. Energy Transparency Index, 2021. 2nd International Edition. Retrieved from https://dixigroup.org/en/analytic/energy-transparency-index-2021-ii-international-edition-2/

For the Formation Effective Policy Issue of Establishment of Energy Hub of Georgia with the European Union

Eka Lekashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Head of the Industrial Policy Research Center
Davit Oboladze
Associate Professor
State Educational University of Physical Education and Sports of Georgia
Research Center of the Sports, Economics and Business
Giorgi Gaprindashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Georgia's positioning in the context of the European Union's foreign energy policy has become the subject of discussion in the light of the current Russia-Ukraine war, the growing dependence of the European Union on the import of Russian energy resources and threats. The purpose of the study is to offer recommendations for the issue of effective policy formation of the establishment of an energy hub of Georgia with the European Union. The work is based on the bibliographic research method. The framework documents defining the energy policy of Georgia and the European Union have been studied; The political and economic scientific-practical points of view of Georgia as an potential energy hub of EU are analyzed; Recommendations have been developed for the effective policy of establishing an energy hub of Georgia with the European Union.

Key words: *Georgia, Russian Federation, energy policy, energy hub*

ბიზნესის გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალები და საქართველოსა და აშშ-ის ადგილი გლობალურ ბიზნეს-გარემოში

ირმა ლენგ
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XXI საუკუნეში ქვეყნების აქტიურმა სწრაფვამ გლობალიზაციისკენ კიდევ უფრო გააძლიერა ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება. მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მსოფლიოს თითოეული ქვეყანა ცდილობს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვას (The World Bank, 2022).

XX საუკუნის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად ჩაერთო. საქართველომ პარტნიორული ურთიერთობები მრავალ ქვეყანასთან დაამყარა და განვითარების მთავარ გზად მსოფლიო და რეგიონულ სამეურნეო სტრუქტურებში ინტეგრაცია აირჩია. ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, როგორც ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრინციპი, საქართველოს გამოარჩევს მსოფლიოში ყველაზე კონკურენტულ სავაჭრო პოლიტიკის მქონე ქვეყანად (MESDG, 2023).

გლობალიზაცია გავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებაზე, მოიცავს რა საზოგადოებრივი ურთიერთოებების ყველა სფეროს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივსა თუ კულტურულს, ის მეტ-ნაკლებად მონაწილეა მათში მიმდინარე პროცესებზე.

ქვეყნის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად გლობალიზაციის პროცესი წარმოადგენს კატალიზატორს, რომელიც სრულიად ცვლის ქვეყნების ეკონომიკურ სისტემას და ახდენს კულტურულ ტრანსფორმაციას (შაბურიშვილი შ. , 2017).

საინტერესოდ გადმოგვცემს გლობალიზაციის შინაარსს ნიუ-იორკ თაიმსის პოლიტიკური რეპორტიორი, განსაზღვრავს რა „გლობალიზაციას“ პარადიგმის ცვლილებების თვალსაზრისით. ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ თანამედროვე მსოფლიო „ცივი ომის“ პერიოდს 1989 წელში დაცემამდე (Friedman T. L., 1999).

ცხრილი 1.

ცივი ომი	გლობალიზაცია
ჩაკეტილი სივრცე/დანაყოფი	ინტეგრაცია (ერების, ბაზრების და ტექნოლოგიების)
კედელი (იზოლირებული სისტემა)	ქსელი (კომპლექსური სისტემა)
მსოფლიოს ქვეყნების 8%-ს აქვს თავისუფალი ბაზარი	მსოფლიო ქვეყნების 28%-ს აქვს თავისუფალი ბაზარი
განსხვავებული, ცალკეული კულტურები	გლობალური კულტურა
ნელი სვლა/წონა (მეგატონი)	სწრაფი სვლა/სიჩქარე (მეგაბიტი)
ერთი ძალა/ინდივიდის ბაზარი	კავშირები/ინდივიდების, ბაზრების ძალა

ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორების მიხედვით, პრიორიტეტულია გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალები: საერთაშორისო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მრავალეროვნული ტნკ საქმიანობა და ტექნოლოგიების წარმოება-საერთაშორისო გავრცელება. საერთაშორისო ბიზნესი თავის განვითარების პიკს აღწევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებში. საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის მთავარ შემადგენელ კომპონენტს. თანამედროვე ტრანსნაციონალური კორპორაციები გადამწყვეტ როლს თამაშობენ საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობების განვითარებაში, ისინი წარმოადგენენ ინოვაციური საქმიანობის და ტექნოლოგიური ტრანსფერის უმნიშვნელოვანეს სუბიექტებს.

გლობალიზაციის განვითარების პროცესში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ძირითად ელემენტს. ის ქმნის პირდაპირ, სტაბილურ და გრძელვადიან კავშირებს ეკონომიკებს შორის. კოფის ინდექსი (KOF), რომელიც მოიცავს გლობალიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს, ეყრდნობა მსოფლიო ბანკის, ვაჭრობისა და განვითარების შესახებ გაეროს კონცეფციის წლიურ ანგარიშებს. 2019 წლის მაჩვენებლით აშშ - 82,41%-ით 23 - ე ადგილზე, ხოლო საქართველო - 75,55% - ით 42-ე ადგილზე.

დიაგრამა 1.



გლობალური ბიზნეს-გარემოს რთული სტრუქტურიდან გამომდინარე ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია როგორც შიდა, ისე გარე მოქმედ ფაქტორებზე. გლობალიზაციის ეპოქაში ბიზნესზე უამრავი მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს. PESTEL ფაქტორები, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ, ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ და სამართლებრივ ფაქტორებს, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის მაკრო გარემოზე.

საერთაშორისო ვაჭრობაში მსოფლიოს ყველა ქვეყანა არის ჩართული და თითოეული სახელმწიფო მეტნაკლებად განიცდის გლობალიზაციის გავლენას. სახელმწიფოები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ვაჭრობის გარიგებებში, რათა გაიუმჯობესონ ეკონომიკური კეთილდღეობა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად გაიღრმავონ პოზიციები საერთაშორისო არენაზე.

ორივე ქვეყანა წარმოადგენს მრავალმხრივ ორგანიზაციათა წევრ ქვეყნებს, როგორიცაა UN, WTO, NATO, IMF და World Bank. საქართველოს გაფორმებული აქვს FTA თანამეგობრობის თითქმის ყველა ქვეყანასთან, ევროკავშირთან, თურქეთთან და ჩინეთთან (MESDG, 2023). საქართველოს თა-

ვისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, როგორც “დამაკავშირებელი ჰაბი” მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვან დატვირთვას სძენს.

აშშ-ის ეკონომიკა წამყვან როლს ასრულებს გლობალურ ფინანსურ სისტემაში. ყველაზე კონკურენტუნარიანი მთავარი მყიდველი ქვეყანა მსოფლიოში FTA-თ ვაჭრობს ვმო-ს წევრ თითქმის 20 ქვეყანასთან (USTR, 2023).

თითქმის სამი ათწლეულია საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებულია “ხელშეკრულება ინვესტიციების შესახებ“. 2016-2022 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებს 638 332 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია აქვს საქართველოში განხორციელებული (NSOG, 2022).

დიაგრამა 2.

საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას. ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, რომელიც მოიცავს საერთაშორისო დონეზე პარტნიორ ქვეყნებთან თავისუფალი ხელშეკრულებების არსებობას. აღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს მისცემს შანს საერთაშორისო ბაზარზე პროდუქცია შეიტანოს შემცირებული ან ნულოვანი საბაჟო გადასახადით, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარება საქართველოს ექსპორტის ზრდას და შესაბამისად ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებული თითქმის 3 500 დასახელების პროდუქცია GSP-ით გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისგან, რაც ამცირებს პროდუქციის ღირებულებას და ზრდის ქართული საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას აშშ-ის ბაზარზე.

თითქმის ერთ ათეულ წელზე მეტია რაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის “მაღალი დონის დიალოგი“ გაიმართა. აღნიშნული პროექტი მოიცავს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობასა და სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებას, რომელიც მოიცავს საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის FTA - თავისუფალი ვაჭრობის არსებობას. აღნიშნული პროექტი პერიოდულად ისევ მოლაპარაკებების დონეზე განიხილება და ჯერ კიდევ არ არის საბოლოო შედეგი მიღებული.

საქართველოსა და მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის აშშ-ის ბიზნეს გარემოს გასაანალიზებლად გამოვიყენოთ PESTEL ანალიზი მასში შემავალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, გარემოსდაცვითი და სამართლებრივი ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ორივე ქვეყნის მაკრო გარემოზე (ლენგ, 2022).

<u>პოლიტიკური ფაქტორები</u>: ქვეყნების დემოკრატიის ინდექსი ზომავს მსოფლიოს ქვეყნების დემოკრატიის დონეს. 2020 წელს აშშ წარმოდგენილია "ნაკლოვანი დემოკრატიის" კატეგორიაში

7,92 ქულით 25-ე ადგილზე, ხოლო საქართველო, როგორც ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყანა 5,31 ქულით 91-ე ადგილზე (EIU, 2020).

ადამიანის თავისუფლების ინდექსი (HFI, 2020) წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების ფართო საზომს. 2020 წელს საქართველო (7,87), ხოლო აშშ (8,44) ქულებით არიან წარმოდგენილი.

<u>ეკონომიკური ფაქტორიები</u>: 2019 წლის შეერთებული შტატების მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), როგორც ეკონომიკური ზრდის საზომი ინდიკატორი დაახლოებით 21,43 ტრილიონი აშშ დოლარია, ხოლო 2020 წლის მაჩვენებელი 20,94 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს (The World Bank, 2022). საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2020 წელს დაახლოებით 15.9 მილიარდი აშშ დოლარი იყო, ხოლო 2019 წლის რეალური მშპ 17,5 მილიარდი აშშ დოლარი.

ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსები ზომავს კეთილდღეობას მსოფლიოს 167 ქვეყანაში. 2019-2020 წლებში 53-ე ადგილზე საქართველოა, ხოლო აშშ მე-18 ადგილზე (The Legatum Institute, 2020).

ბიზნესის კეთების ინდექსი რომელიც შემუშავებულია მსოფლიო ბანკის მიერ, იმ სახელმწიფო რეგულაციების შეფასებას წარმოადგენს. 2020 წლის ანგარიშში საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით ლიდერთა შორისაა მე-7 ადგილზე 83.7 ქულით, ხოლო აშშ მე-6 ადგილზე 84,0 ქულით (Doing Business, 2020).

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში წარმოადგენს სახელმწიფოთა გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგებს (GCI, 2019). საანალიზო 2019 წლის პერიოდში 141 ქვეყანას შორის საქართველო 74-ე ადგილზეა, ჯამური 60.6 ქულით, ხოლო აშშ მე-2 ადგილზე 83.7.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყოველწლიურად იკვლევს 180 ქვეყანას და განსაზღვრავს მათი თავისუფლების დონეს. 2020 წლის კვლევის მიხედვით საქართველო სარეიტინგო ქულამ მსოფლიო რეიტინგში 77.1 ქულა შეადგინა მე-6 ადგილზეა, ხოლო აშშ-ი 76.6 ქულით მე-3 პოზიციას ინარჩუნებს (IEF, 2022).

<u>სოციალური ფაქტორები</u>: ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI, 2020) ითვალისწინებს მოცემულ ქვეყანაში არსებულ ადამიანთა ჯანმრთელობას, განათლებას და შემოსავალს. 2019 წლის მონაცემში საქართველოს რეიტინგი 0,812 ქულით 61-ე ადგილზე, ხოლო აშშ მე-17 ადგილზეა 0,926 ქულით. ჯინის ინდექსი (Gini Index, 2019) მიზნად ისახავს შემოსავლის უთანასწორობის განსაზღვრას ერში. 2019 წლის მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩება აშშ-ს.

<u>ტექნოლოგიური ფაქტორები</u>: გლობალური ინოვაციის ინდექსი ყოველწლიურად აფასებს ინოვაციური ეკოსისტემების ეფექტიანობას მთელს მსოფლიოში. 2019 წლის ანგარიშში საქართველო 91-ე ადგილს, ხოლო აშშ მე-2 ადგილს იკავენებ (GII, 2022).

<u>გარემო ეკოლოგიური ფაქტორები</u>: გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი გარემო ეკოლოგიური ფაქტორების ყველაზე ზუსტ ინფორმაციას იძლევა (EPI, 2020). საქართველოს რეიტინგია - 102 (41,3) ქულით, ხოლო აშშ (69,3) ქულით 24-ე ადგილზეა.

<u>სამართლებრივი ფაქტორები</u>: კორუფციის აღქმის ინდექსი (CPI, 2022), ზომავს კორუფციის აღქმის დონეს საჯარო სექტორში. 2020-2019 წლებში საქართველოს ჯამური 55-56 ქულებია 45-ე ადგილზე. აშშ-ს ჯამური ქულებია 67 ქულით 27-25-ე ადგილზეა.

ცხრილი 2.

მეტა-მატრიცა 2019-2020					
ფაქტორები	საერთაშორისო ინდექსები	საქართველო		აშშ	
		ქულა	ადგილი	ქულა	ადგილი
პოლიტიკური	დემოკრატიის ინდექსი	5.31		7.92	
		5.42		7.96	
	ადამიანის თავისუფლების ინდექსი	7.87	40	8.44	17
ეკონომიკური	მშპ (ტრილიონი აშშ $)	15.9		20.94	
		17.5		21.43	
	ლეგატუმის კეთილდღეობის ინდექსი		53		18
			53		18
	ბიზნესის კეთების ინდექსი	83.7	7	84	6
	გლობალური კონკურენტუნარიანობის	60.6	74	83.7	2
	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები	76.6	3	77.1	6
		76.8	2	75.9	8
სოციალური	ადამიანის განვითარების ინდექსი	0.812	61	0.926	17
	ჯინის ინდექსი	41.5		35.9	
ტექნოლოგიური	გლობალური ინოვაციის ინდექსი		91		2
ეკოლოგიური	გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი	41.3	102	24	69.3
სამართლებრივი	კორუფციის აღქმის ინდექსი	56	45	67	25
		56	44	69	23

PESTEL ანალიზის შედეგად მიღებული შედეგების შეჯამება მეტა - მატრიცაში

დასკვნები და რეკომენდაციები

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული სახელმწიფოების მთავარი მიზანია ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად საერთაშორისო არენაზე პოზიციების გამყარება. გლობალიზაციის ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განვითარებას. PESTEL ანალიზი საუკეთესო მექანიზმია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური და სამართლებრივი ფაქტორების წარმოსაჩენად, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის მაკრო გარემოზე. საერთაშორისო ორგანიზაციების რეიტინგებზე დაყრდნობით მოხდა შედეგების შეჯამება მეტა - მატრიცაში.

მიუხედავად საქართველოში არაერთი სისტემური რეფორმის წარმატებული და ეფექტიანად განხორციელების, დღეისათვის ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, რომლის დაძლევა სხვადასხვა მიმართულებით აქტიურ მუშაობას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. CPI. (2022). *Corruption Perception Index.* Transparency International. Retrieved from https://www.transparency.org/
2. Doing Business. (2020). *Doing Business 2020*. Retrieved from https://www.worldbank.org/en/news/feature/2019/10/24/doing-business-2020-sustaining-the-pace-of-reforms: https://www.doingbusiness.org
3. EIU. (2020). *The Economist Intelligence Unit*. Retrieved from https://www.eiu.com.
4. EPI. (2020). *Environmental Performance Index.* Retrieved from https://epi.yale.edu.
5. Friedman, T. L. (1999). The Lexus and The Olive Tree: Understanding Globalization.
6. GCI. (2019). *The Global Competitiveness Report 2019.* World Economic Forum. Retrieved from www.gcr.weforum.org
7. GII. (2022). *Global Innovation Index.* Retrieved from https://www.globalinnovationindex.org.
8. Gini Index. (2019). *Gini Index .* Retrieved from https://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI.
9. HDI. (2020). *Human Development Report 2020 .* The Next Frontier: Human Development and the Anthropocene (PDF)., United Nations, Development Programme. Retrieved December 15, 2020, from www.hdr.undp.org.
10. HFI. (2020). *Cato Institute. The HUMAN FREEDOM INDEX 2020*. Retrieved from https://www.cato.org/.
11. IEF. (2022). *Index of Economic Freedom.* The Heritage Foundation. Retrieved from https://www.heritage.org
12. KOF. (n.d.). *KOF Swiss Economic Institute.* Retrieved from https://kof.ethz.ch/
13. MESDG. (2023). *MINISTRY OF ECONOMY and SUSTAINABLE DEVELOPMENT of GEORGIA.* Retrieved from https://www.economy.ge/.
14. NSOG. (2022). *National Statistics Office of Georgia*. Retrieved from www.geostat.ge.
15. The Legatum Institute. (2020). *The Legatum Prosperity Index 2020*. Retrieved from https://www.prosperity.com/rankings.
16. *The World Bank*. (2022). Retrieved 2022, from https://www.worldbank.org/.
17. USTR. (2023). *Office of the sUnited States Trade Representative. Executive Office of the President.* Retrieved from https://ustr.gov/trade-agreements/free-trade-agreements.
18. ლენგ, ი. (2022). საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნეს-გარემოს PESTEL - ანალიზი. *ეკონომიკა და ბიზნესი, XIV*(3), 128-149. doi:doi:10.56079
19. შაბურიშვილი, შ. (2017). ინკლუზიური ბიზნესის განვითარების თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში. *გლობალიზაცია და ბიზნესი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი*.

The Driving Forces of Business Globalization and the Positions of Georgia and the USA in the Global Business Environment

Irma Lang
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses the business environments of Georgia and the United States in the context of the global economy. The significance of this essay is in researching the phenomenon of business globalization and presenting its driving forces, as well as the variables affecting Georgia's foreign commerce in the context of globalization and future connections between the two countries. Georgia and the United States have a long history of political, economic, and cultural interaction. PESTEL analysis was used to examine the political, economic, social, technological, environmental, and legal aspects that have a substantial impact on the macro-environments of both countries. The countries' bilateral relations have undergone qualitative changes. The period 2019-2020 is used to compute the particular weight of US trade with Georgia, both in terms of exports and imports. Furthermore, the benefits of GSP and FTA trading frameworks for Georgian exports are investigated. Leading international organizations' 2019-2020 reports were utilized to examine the economic, investment, and financial indicators of the countries. Based on the acquired data, relevant conclusions were drawn in Meta-Matrix. The rating scores of Georgia and the United States of America were also investigated. Despite the execution of a number of structural reforms in Georgia, the country's metrics in global rankings are relatively low, according to the article. This necessitates further government activities aimed at enhancing the business environment.

Keywords: *globalization, business environment, international trade, PESTEL analysis, meta-matrix.*

ტანსაცმლის მოდის ეკონომიკური ასპექტები

ნინო ლობჟანიძე
ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეთერ ხარაიშვილი
პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტანსაცმლის მოდის ეკონომიკა მოიცავს სამ ძირითად პროცესს: წარმოებას, რაც მოიცავს ტანსაცმლის დამზადებასა, დისტრიბუციას, ტანსაცმლის გადაცემას მწარმოებლიდან მომხმარებელამდე და მოხმარებას, ტანსაცმლის გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ მოხმარება მართავს წარმოებას და განაწილებას, სამივე პროცესი მრავალი თვალსაზრისით განუყოფელია. მთლიანი სისტემის კონკურენტუნარიანობა სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა დონისაა, რადგან ტანსაცმელი მოდურია ტრენდებისა და სეზონების მიხედვით.

განვითარებულ ქვეყნებში ტანსაცმლის მოდა იმდენად სწრაფად და იმდენად იცვლება, რომ თვალყურის დევნება რთულია. ადამიანებმა შეიძლება იფიქრონ, რომ უძველეს კულტურებში ან იზოლირებულ საზოგადოებებში ტანსაცმლის, საცხოვრებლის, ხელსაწყოების და ადათ-წესები სტატიკური რჩებოდა თაობების განმავლობაში. თუმცა ეს ასე არ იყო, დღეს ტანსაცმლის ეკონომიკის ძირითად მახასიათებლებს ფესვები აქვს სწორედ შორეულ წარსულში.

პირველი ინდისტრიული რევოლუციის ორი მთავარი კერა იყო სოფლის მეურნეობა და ტექსტილი. სწორედ აქედან იწყება მოდისა და ეკონომიკის კვეთა (ინდუსტრიული რევოლუცია 1.0). მოდის ინდუსტრია ბიზნესის იმ სეგმენტს წარმოადგენს, რომელიც წლების განმავლობაში სულ უფრო მრავალფეროვანი და მაღალბიუჯეტიანი ხდება.

ნაშრომში მიმოხილულია ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის ისტორიული ტენდენციები, სოციალური და ეკოლოგიური ასპექტები, მიმდინარე ბარიერები და პროგნოზები. განსაკუთრებით ხაზი გასმულია მოდის ინდუსტრიის მომგებიანობასა და ეკოლოგიური ნორმების დაცვას შორის ბალანსის მიღწევის გამოწვევებზე.

კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს, მსოფლიო წყაროების ბიბლიოგრაფიული ანალიზი, სტატისტიკური შედარება წლებისა და ქვეყნების მიხედვით, ბრენდის პროფილის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: *ტანსაცმლის მოდა, წარმოება, მოხმარება, დისტრიბუცია, ინდუსტრიული რევოლუცია.*

ისტორიული მოვლენები, პოლიტიკა და ეკონომიკა მოდის განვითარების რეალური ფაქტორებია. ამის ნათელი მაგალითია 40-იანი წლების მოდა, როდესაც ქსოვილების ნაკლებობამ, მსუბუქი მრეწველობის მუშაობის შემცირებამ და კაცობრიობის სიცოცხლისთვის საფრთხემ მოდა ბოლო რიგებამდე დააბრუნა. 1940-1946 წლებში ცხოვრების ყველა სფეროში განმსაზღვრელი მოვლენა იყო მეორე მსოფლიო ომი. მან გავლენა მოახდინა ადამიანების ცხოვრების წესზე და, შესაბამისად, მოდაზე და მის მიმართ დამოკიდებულებაზე. ამ ეპოქაში მნიშვნელოვანი იყო არა ტანსაცმლის სილამაზე, არამედ პრაქტიკულობისა და მინიმალიზმის გადაუდებელი საჭიროება. ბევრმა წამყვანმა დიზაინერმა შექმნა მოდელები, რომლებიც შეესაბამებოდა ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრების წესს. იკერებოდა ქურთუკები დიდი ქუდებითა და პიჟამოებით „თავშესაფრისთვის“, კომფორტული

დაბალი ფეხსაცმელი, მოცულობითი ჩანთები, რომლითაც შეიძლებოდა ყველაფრის ტარება, მათ შორის გაზის ნიღბების. ტყავის ნაცვლად ფეხსაცმელს ამზადებდნენ ჩალის, თექის, კანაფის, ტყავის, ცელოფნისა და ხის დეტალებისგან. სწორედ ამ რთულ დროს შექმნილმა კომპონენტებმა განსაზღვრა XX საუკუნის 40-იანი წლების მოდის ისტორიის თავისებურებები (Minikar). წლების განმავლობაში მოდის ინდუსტრიაზე გარემო პირობების გავლენა ძალიან დიდი იყო, ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება და ამის დასტურია კოვიდ პანდემიით გამოწვეული ე.წ. „სახლის სამოსის“ ტენდენციის წინ წამოწევა და ყველა მიმართულებით სტილის დამკვიდრება.

ტანსაცმლის მოდის გლობალური ბაზარი ტენდენციებსა და სეზონურობას მისდევს. ტანსაცმლის ბაზარი მოიცავს ყველა სახის ტანსაცმელს, სპორტული ტანსაცმლიდან ბიზნეს ტანსაცმელამდე, ძვირფასი ტანსაცმლიდან დაწყებული ძვირადღირებული ნივთებით დამთავრებული. მას შემდეგ, რაც 2021 წელს ბაზარი გამოჯანმრთელდა კოროვირუსული (COVID-19) პანდემიის გავლენისგან, 2022 წელს მაღალმა ინფლაციამ მეტი სირთულე შეუქმნა ტანსაცმლის გლობალურ ინდუსტრიას. წარმოების ღირებულება გაიზარდა და მომხმარებელთა ნდობა დაეცა. ტანსაცმლის გლობალური ბაზრის შემოსავალი 2022 წელს 1,53 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც მცირედით შემცირდა წინა წელთან შედარებით. თუმცა, გაკეთდა პროგნოზი, რომ 2023 წელს შემოსავალი გაიზრდებოდა 1,7 ტრილიონ დოლარზე მეტად.

ქვეყნები, რომლებიც წარმოადგენენ ამ ტანსაცმლის მოთხოვნის უმრავლესობას, არის შეერთებული შტატები და ჩინეთი, ორივე არსებითად მაღალ შემოსავალს გამოიმუშავებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა. ალბათ არ არის გასაკვირი, რომ ეს ორი ქვეყანა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ვაჭრობაში. 2021 წელს ჩინეთი ლიდერობდა ტანსაცმლის ექსპორტის ყველაზე მაღალი ღირებულების რეიტინგში. ტანსაცმლის იმპორტის ღირებულებით აშშ მეორე ადგილზე იყო ევროკავშირის შემდეგ. ქალის ტანსაცმლის ბაზრიდან მიღებული შემოსავალი გაცილებით მაღალია, ვიდრე მამაკაცის ან ბავშვის ტანსაცმლის. მხოლოდ შეერთებულ შტატებში, ქალის ტანსაცმელმა გამოიმუშავა დაახლოებით 163 მილიარდი დოლარის შემოსავალი. ეს უფრო მეტია, ვიდრე აშშ-ს მამაკაცისა და ბავშვთა ბაზრები ერთად. ტანსაცმლის ინდუსტრიაში მრავალი განყოფილებაა, რომელთაგან ბევრი ერთმანეთს ემთხვევა. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული არის მეორადი ტანსაცმლის ინდუსტრია, რომელიც, სავარაუდოდ, გაიზრდება, რადგან იზრდება მომხმარებლის მოთხოვნა ეკოლოგიურად გააზრებული ტანსაცმლის ვარიანტებზე. ფუფუნების ბაზარი ასევე საკვანძო ბაზარია ტანსაცმლის ინდუსტრიაში; პროგნოზირებულია, რომ ის გაორმაგდება 2022 წლიდან 2028 წლამდე (Sky Ariella, 2023).

ტანსაცმლის მოდის ტენდენციები დროსა და სივრცეში

Fashion United-ის მიხედვით, ინდუსტრიას ჰყავს 3,384.1 მილიონი სამუშაო ძალა. მისი ღირებულება 3 ტრილიონ დოლარს უტოლდება. ეს ნიშნავს, რომ ის შეესაბამება მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2%-ს (Fashion United).

შეერთებული შტატების ერთობლივმა ეკონომიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა გამოკითხვა 2019 წელს, სადაც დაადასტურა, რომ მხოლოდ შეერთებულ შტატებში მომხმარებლებმა თითქმის 380 მილიარდი დოლარი დახარჯეს ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე. ინდუსტრია, რომელიც მოიცავს ყველაფერს, ტექსტილისა და ტანსაცმლის ბრენდებიდან დამთავრებული საბითუმო ვაჭრობით, იმპორტიორებითა და საცალო ვაჭრობით, ქვეყანაში 1,8 მილიონზე მეტი ადამიანია დასაქმებული. მისი რიცხვი მხოლოდ გაიზარდა და პოსტ-პანდემიური სცენარი ოპტიმისტურია (JEC, 2019).

მოდის ინდუსტრია აგრძელებს პოზიტიურ ზრდას, განსაკუთრებით განვითარებად ბაზრებზე დასავლეთის, აზიისა და ევროპის რეგიონებში. რაც შეეხება ექსკლუზიურად აზიურ ბაზარს, გასულ წელს პროგნოზირებული იყო ტანსაცმლის მსოფლიო მოთხოვნის 38%-იანი წილი (statista).

ფართო ხედვისთვის, ყოველდღიურად 3000 მილიარდი ტექსტილისა და სამკერვალო კომპანია შემოდის ბაზარზე. ამ კომპანიების უმეტესობა მომხმარებლების დიდი ნაწილისთვის უცნობი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ ნიშნავს რომ ისინი არ განვითარდებიან თავიანთ საზოგადოებასა და წრეში.

Forbes-ის მიხედვით, ტანსაცმლის უმსხვილესი კომპანიების რეიტინგში არის Louis Vuitton Moët Hennessy (LVMH), რომელიც მოიცავს უზარმაზარ ძვირადღირებულ ბრენდებს, როგორიცაა Louis Vuitton, Christian Dior და Givenchy. ჯგუფს ფრანგი მილიარდერი ბერნარ არნო მართავს. კომპანიის საბაზრო ღირებულება 194 მილიარდი აშშ დოლარია და აქტივები 108 მილიარდ აშშ დოლარზე მეტია, რაც მას 73-ე უმსხვილეს საჯარო ვაჭრობაში მყოფ ორგანიზაციას აქცევს მსოფლიოში (Forbes).

სპორტული ტანსაცმლის გიგანტმა Nike-მა მეორე ადგილი დაიკავა კატეგორიაში და ჩამოიტოვა ტანსაცმლის სხვა რეიტინგული კომპანიები, 35 ადგილით დაწინაურდა და გახდა 244-ე უდიდესი საჯარო ვაჭრობის კომპანია მსოფლიოში (Nike). იმავდროულად, ფეხსაცმლის მწარმოებელი Adidas-იც დაწინაურდა, რომელიც 400 საუკეთესოს შორის მოხვდა, 25 მილიარდ დოლარზე მეტი გაყიდვით (Adidas).

მოდის ინდუსტრიაში დასაქმებულია პროფესიონალები, დაწყებული უმაღლესირტექნიკური დონით და ტრენინგებით დამთავრებული დიპლომის გარეშე.

მოდის დიზაინერები ინდუსტრიაში ყველაზე მაღალანაზღაურებად მუშაკებს შორის არიან. სექტორის შემოქმედებითი ძალა ყოველწლიურად საშუალოდ $78,870 გამოიმუშავებს. ეს პროფესიონალები კონცენტრირებულნი არიან ტანსაცმლის ინდუსტრიებში, როგორიცაა წარმოება და საბითუმო ვაჭრობა.

ტანსაცმლის წარმოების ინდუსტრიაში დასაქმებულია ასირათასზე მეტი თანამშრომელირშეერთებულ შტატებში.რინდუსტრიაში დასაქმება კვლავ მოიცავს პროფესიებს, რომლებიც ტრადიციულად ასოცირდება ტანსაცმლის წარმოებასთან. ისინი შეესაბამება სამკერვალო მანქანების ოპერატორებს, მკერავებსა და ტექსტილის მანქანების ოპერატორებს და შაბლონების შემქმნელებს.

როდესაც საქმე ეხება მუშაკებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ტანსაცმლის დამზადებაზე, მნიშვნელოვანი დისკუსია იმართება თანამშრომლების ჯანმრთელობისა და სამუშაო მდგომარეობის შესახებ (Clay).

ტანსაცმლის მსოფლიო წამყვან ექსპორტიორ ქვეყნებს შორის ლიდერობს ჩინეთი და ევროკავშირის ქვეყნები, შესაბამისი 32.8%-თა და 28.1%-ით, რომლებსაც მოსდევს ბანგლადეში, ვიეტნამი, თურქეთი, ინდოეთი, მალაიზია, დიდი ბრიტანეთი და ინდონეზია (იხ. დიაგრამა 1, დიაგრამა 2).

დიაგრამა 1.

ტანსაცმლის წამყვანი ექსპორტიორების წილი
მთლიან ექსპორტში 2021 წელს, ქვეყნების მიხედვით



წყარო: https://www.statista.com/statistics/1094515/share-of-the-leading-global-textile-clothing-by-country/

დიაგრამა 2.

ტანსაცმლის წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნები
2021 წელს, ღირებულების მიხედვით (მილიარდი აშშ დოლარი)



წყარო: https://www.statista.com/statistics/1198302/apparel-leading-exporters-worldwide-by-value/

რაც შეეხება მსოფლიოს ლიდერ ტანსაცმლის იმპორტიორ ქვეყნებს, ამ შემთხვევაში წამყვანი ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატებია, რომელთაც მოსდევს იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, კანადა, კორეის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, შვეიცარია და ავსტრალია (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3.

ტანსაცმლის წამყვანი იმპორტიორი ქვეყნები
2021 წელს, ღირებულების მიხედვით (მილიარდი აშშ დოლარი)



წყარო: https://www.statista.com/statistics/1198349/apparel-leading-importers-worldwide-by-value/

საქართველოს ტექსტილის ბაზრის ტენდენციები

საქართველოში ტექსტილისა და ტანსაცმლის ექსპორტ-იმპორტის ანალიზი აჩვენებს, რომ ტექსტილის ძირითადი იმპორტი შემდეგი ქვეყნებიდან ხორციელდება: ჩინეთი, თურქეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და გერმანია. იმპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჩინეთის შემთხვევაშია დაფიქსირებული. 2018 წელს, იმპორტის ღირებულებამ 3 397 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო თურქეთის შემთხვევაში 2015 წელს ამ მაჩვენებელმა 2 000-ს აშშ დოლარს გადააჭარბა. ტანსაცმლის ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა თურქეთი, ჩინეთი, იტალია, ესპანეთი, გერმანია.

ტექსტილის ძირითადი ექსპორტი შემდეგ ქვეყნებში ხდება: ნიდერლანდები, სომხეთი და აზერბაიჯანი, ხოლო ტანსაცმლის ძირითადი ექსპორტი განხორციელებულია თურქეთში.რასევე, აზერბაიჯანსა და იტალიაში. პერსპექტივაში საქართველოში ტანსაცმლის ინდუსტრიის სექტორში

კვლავ ზრდის ტენდენცია იკვეთება (საქართველოს ტანსაცმლის ინდუსტრია 2023-2027 წწ), თუმცა, აუცილებელია გლობალურ ბაზარზე გამოვლენილი ნეგატირი მხარეების გათვალისწინება.

მოდის ინდუსტრია მიუხედავად ზემოთ აღწერილი ბარიერებისა უდაოდ იზრდება პოზიტიური ტემპით 5.46%-ით 2017 წლიდან.რთუმცა, არსებობს პროგნოზები ზრდის უფრო მაღალი ტემპებ-ით 2020-2022 წლებში. გლობალური მოდის ბაზარზე 2020-დან 2025 წლამდე მოსალოდნელია დაფიქ-სირდეს 5,5%-იანი წლიური ზრდის ტემპი (CAGR) (Sky Ariella, 2023).

დასკვნა

მოდის ინდუსტრიის საკითხების ირგვლივ დისკუსიებირკომპლექსური და მნიშვნელოვანია.-რმისი გავლენა გარემოზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე უზარმაზარია.რუდაოა, რომ გლობა-ლური მოდის ბაზარი ძალიან მომგებიანიარდა დასაქმებულია მრავალი ადამიანი მთელს მსოფლი-ოში, მაგრამ ინდუსტრია არ ასრულებს ამ ამოცანებს ყველაზე ეკოლოგიურად სუფთა გზით.

მოდის ინდუსტრიას გლობალური მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფერო-ებში.რთუმცა, მას სერიოზული ცვლილება სჭირდება.რჩვენ უნდა გავაგრძელოთ დისკუსიები, რომლებიც ხელს შეუწყობს სექტორის სოციალური ეკოლოგიური და ეკონომიკური პოზიტიური ზემოქმედების ზრდას.

ისევე როგორც მოდას აქვს ტრანსფორმაციის ძალა, მას აქვს განადგურების ძალა.რმთავარია ვიცოდეთ, როგორ წარვმართოთ მისი ძალა დადებითი გავლენისკენ და ინდუსტრიაში შემოვიტა-ნოთ პოზიტიური ცვლილებები, რაც გულისხმობს ბალანსს მომგებიანობის შენარჩუნებასა და ეკო-ლოგიური ნორმების დაცვას შორის, რაც საბოლოო ჯამში მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმ-თავრეს მისიას წარმოადგენს ეკომეგობრული მდგრადი მოდის ჩამოყალიბების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Clay A. Modern Day Slavery in the Fashion Industry. https://thefashionglobe-com.translate.goog/modern-day-slavery?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=en&_x_tr_pto=wapp
2. **Kiron I. (2022). Industrial Revolution and Its Impact in Textile Industry. https://textilelearner.net/industrial-revolution-and-its-impact-in-textile-industry/**
3. Kovaleski A. (2023). THE 10 LARGEST CLOTHING COMPANIES IN AMERICA AND THE WORLD. https://www-zippia-com.translate.goog/advice/largest-clothing-companies/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=en&_x_tr_pto=wapp
4. Minikar. Fashion and Style. Read more at: https://minikar.ru/ka/schaste/moda-i-stil-vremen-vtoroi-mirovoi-voiny-moda-i-stil-vremen-vtoroi/
5. Sabanoglu T. (2022), "*Share in world exports of the leading clothing exporters in 2021, by country".* Retrieved from - https://www.statista.com/statistics/1094515/share-of-the-leading-global-textile-clothing-by-country/
6. Sabanoglu T. (2022), *"Leading exporting countries of clothing worldwide by value in 2021(in billion U.S. dollars)".* Retrieved from - https://www.statista.com/statistics/1198302/apparel-leading-exporters-worldwide-by-value/
7. Sabanoglu T. (2022), *"Leading importing countries of apparel worldwide by value in 2021(in billion U.S. dollars)".* Retrieved from - https://www.statista.com/statistics/1198349/apparel-leading-importers-worldwide-by-value/

8. Smith P. (2023), "*Number of stores of the H&M Group worldwide as of 2022, by selected region".* Retrieved from - https://www.statista.com/statistics/268522/number-of-stores-worldwide-of-the-hundm-group-by-country/
9. Smith P. (2023), "Inditex Group's sales worldwide from 2004 to 2022(in billion euros)". Retrieved from - https://www.statista.com/statistics/268817/sales-of-the-inditex-group-worldwide/
10. Fashion United. Global Fashion Industry Statistics. https://fashionunited-com.translate.goog/global-fashion-industry-statistics?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=en&_x_tr_pto=wapp&_x_tr_hist=true
11. Joint Economic Committee Democrats. (2019). THE ECONOMIC IMPACT OF THE FASHION INDUSTRY. https://www-jec-senate-gov.translate.goog/public/index.cfm/democrats/2019/2/the-economic-impact-of-the-fashion-industry?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=en&_x_tr_pto=wapp
12. Sky Ariella (2023), "28 Dazzling fashion industry statistics [2023]: How much is the fashion industry worth". Retrieved from - https://www.zippia.com/advice/fashion-industry-statistics/#:~:text=Out%20of%20the%20global%20workforce,world's%20clothes%2C%20shoes%20and%20accessories

Apparel Fashion Industry: Trends and Challenges

Nino Lobzhanidze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Eter Kharaishvili
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The two main foci of the first industrial revolution were agriculture and textile. This is where the intersection of fashion and economy begins (Industrial Revolution 1.0). The fashion industry is a segment of business that has become increasingly diverse and high-budget over the years.

The paper reviews historical trends, social and environmental aspects, current barriers and projections of the apparel fashion industry. The challenges of achieving a balance between the fashion industry's profitability and compliance with environmental norms are particularly emphasized.

The research methodology is bibliographic analysis of international sources, statistical comparison by years and countries, brand profile analysis, quantitative research conducted by the authors to investigate the preferences of the population of Georgia in relation to the variability of the fashion industry. As the focus of the research, we selected the so-called "Fast Fashion". The reason for choosing the aforementioned focus is the main current challenge. Because within the framework of "Fast Fashion", non-environmentally friendly clothing is produced in environmentally harmful ways, and its price and quality are very low. For quantitative studies, sample sizes were determined based on methodology developed by G. Cochran.

Keywords: *Fashion Industry, industrial revolution, clothing industry, trend.*

Resilience - An Emerging Paradigm in Economics? Lessons from Studying Georgia's Energy System and European Battery Material Supply Chains

Michael Lüken
Associate Professor, Dr.
New Vision University (Tbilisi)

The pursuit of resilience in the face of disruptive events, including natural disasters, geopolitical tensions, and supply chain vulnerabilities, has become increasingly critical in the quest for economic stability and growth. This paper draws insights from two distinct yet illuminating case studies – the European battery ecosystem and Georgia's energy system – to unravel strategies for navigating the intricate interplay between resilience and efficiency in the modern world, while a comprehensive theoretical framework on this interplay is yet to be developed. Both case studies underscore the importance of diversifying supply sources and adopting sustainable development principles. In conclusion, a holistic approach, harmonizing business-level actions and political decision-making, is necessary to foster resilience in the face of a world characterized by unpredictability and rapid change.

Keywords: *Resilience, Efficiency, Supply Chains, Geopolitical Risks, Case Studies*

Introduction

In light of global shocks in recent years, such as the COVID-19 pandemic and Russia's invasion of Ukraine, societies have experienced heightened pressure. Consequently, there is a growing inquiry regarding how we can effectively endure and navigate these crises. This prompts the question: Is there a universal approach to crisis management that may prove more effective than handling each crisis on an individual basis? Or: How can an individual, an organization or a society fortify itself against unforeseeable crises?

Resilience is defined as the capacity of a system to endure external shocks without compromising its ability to maintain its normal function. This concept, initially articulated by Holling in 1973 in the context of system dynamics, has gained increasing attention across a variety of research domains in recent years, spanning psychology, social sciences, and environmental sciences. The concept has also found application within economics and business administration, particularly in areas like supply chain management and risk management, as evidenced by Ponomarov and Holcomb (2009). One pertinent question arises: What criteria must an organization satisfy to fortify itself against unforeseeable crises, such as technological advancements, economic downturns, or market fluctuations?

Notably, a universally accepted foundational theory of resilience remains elusive (Ponomarov and Holcomb 2009), and definitions of resilience exhibit heterogeneity and contradictions (Brand and Jax 2007). In this paper, we will adopt the definition proposed by Christopher and Peck (2004) and Schmidt et al. (2023): A system's capacity to recover to its original state or even to transition to a new and improved state following an external disruptive event (see Fig. 1). As opposed to the idea of robustness, this definition acknowledges that the system may first diminishing its primary functionality in response to the shock. It's important to emphasize that resilience pertains to the response to sudden and externally driven shocks, rather than internal developments or gradual, smooth external trends.



Fig. 1: Schematic system performance in reaction to a disruptive event (Sarker and Lester 2019)

In addition to the impact of natural disasters, pandemics, and large-scale financial or political crises, the potential repercussions of climate change can further exacerbate the frequency and severity of disruptions faced by societies and economies. The recent flooding in Georgia's Racha region during the summer of 2023, while still lacking a comprehensive economic impact analysis to our knowledge, might serve as an example. These repercussions encompass events like extreme weather conditions and associated consequences such as infrastructure damage or reduced crop yields (IPCC 2022).

In the context of applying the concept of resilience to economic recovery following disruptive events, such as the COVID-19 pandemic, Hynes et al. (2022) highlight a prevalent challenge, stemming from the predominant focus of economic theory on equilibrium states and distortions occurring near the equilibrium. The dynamics of how a market or economy self-organizes during its return to equilibrium from a state significantly distant from it remain a subject of limited understanding.

Recent literature asks about potential trade-offs between resilience and efficiency, especially in supply chain and risk management (Goel et al. 2021, Golgeci et al. 2020, Ivanov et al. 2014), as well as in infrastructure planning (Markolf et al. 2022). For instance, the drive to minimize costs has led to supply chains optimized for efficiency, featuring just-in-time production and lean inventories. While this approach proves effective under normal circumstances, it leaves minimal capacity to absorb disruptions. The COVID-19 pandemic laid bare the fragility of such supply chains, as sudden lockdowns and transportation disruptions resulted in shortages and disturbances, ultimately hampering economic growth (Goel et al. 2021). The pursuit of short-term allocative efficiency can occasionally render systems relatively vulnerable (Hynes et al. 2022).

During and following recent economic crises, governmental intervention played a substantial role in the process of reorganization. Hynes et al. (2022) describe this as "resilience by intervention" in contrast to inherent "resilience by design" and argue that their balance enables economies to incorporate resilience without compromising long-term efficiency or other economic objectives.

The post-disruption recovery is especially crucial for emerging economies like Georgia. Such economies tend to experience more profound and protracted impacts from uncertainty shocks (Carrière-Swallow and Céspedes 2013, Poshakwale and Ganguly 2015). Factors contributing to this include limitations in institutional and financial capacity, infrastructure, and economic diversification. Furthermore, their sensitivity to international shocks may have increased over time due to deeper integration into the global market (Poshakwale and Ganguly 2015).

While a comprehensive theoretical framework has yet to materialize, the objective of this paper is to contribute to our understanding of how economies can navigate disruptive events. We seek to provide insights through two case examples: the stability of Georgia's energy system and ongoing concerns surrounding supply chains in battery manufacturing.

Results

Case example 1: Resilience of Georgia's energy system

Energy serves as the fundamental backbone underpinning any advanced society and constitutes an indispensable prerequisite for sustaining economic growth, societal order, and national security (Roege et al. 2014). The stability of such a system is of crucial significance, as exemplified by the profound collapse of Puerto Rico's power infrastructure in the aftermath of Hurricanes Irma and Maria in 2017. This catastrophic event severely impeded the recovery of critical infrastructure systems, ultimately hindering the broader economic restoration efforts (Sarker and Lester 2023).

Comprehending the factors influencing the resilience of the energy system is of critical importance. A recent study has undertaken an analysis of the resilience of Georgia's energy system, employing literature-based resilience metrics (Nikvashvili 2022).

Notably, the ongoing political instability stemming from the Russian invasion of Ukraine has raised substantial concerns regarding Georgia's dependency on Russia as its primary energy trade partner. Tsulukidze (2022) analyzes the potentially disastrous effects of relying on Russian energy imports.

According to the World Energy Council (2021), energy import dependency can be assessed through metrics encompassing a country's reliance on net energy imports for total consumption and the diversity of energy suppliers. It has been revealed that the proportion of Georgia's net energy imports relative to total consumption has shown an upward trend over the period spanning 2013 to 2020 (see Fig. 2), indicating a growing potential for distortion of the energy system.



Fig. 2: Georgia's energy import dependency, measured by the share of net imports in total consumption (Nikvashvili 2022).



Fig. 3: Share of total expenses (in USD) on import, by country and energy source combined for the years 2012 - Q1 2022 (Nikvashvili 2022).

In addition to monitoring the overarching trend in energy import dependence, it is imperative to analyze the degree and structure of market concentration. Georgia's expenditure on energy imports has been largely channeled through a small-size group of countries, including Russia, Azerbaijan, Ukraine, Turkey, Romania, Bulgaria, and Turkmenistan (see Fig. 3). Notably, Russia's share in Georgia's oil imports has increased from 16% to 25% during the years 2018-2020, whereas electricity import shares from Russia have decreased to 21% over the same period (Nikvashvili 2022, Tsulukidze 2022).

Unfortunately, the prevailing conditions in the countries from which Georgia sources its energy are less than favorable. As per the Fragile States Index 2023, both Russia and Turkey hold a "high warning" status, while Azerbaijan is categorized as "elevated warning" (The Fund For Peace 2023).

The vulnerability of the energy sector to the impacts of climate change and natural disasters represents a significant area of concern, particularly concerning the potential effects on energy infrastructure. This encompasses the disruption of power transmission lines and damage to oil and gas infrastructure. The study provides an overview of such events within Georgia in recent years; however, it notes a lack of data to formulate a comprehensive assessment (Nikvashvili 2022).

On a more positive note, a thorough analysis of electricity blackout statistics, reveals an encouraging trend toward enhanced electricity reliability (Nikvashvili 2022). Nonetheless, it is noteworthy that Georgia's electricity reliability situation still lags behind the average of countries within the same income group (see Fig. 4).

In light of these considerations, the study underscores the critical imperative for Georgia to prioritize the formulation of policies aimed at fortifying energy independence. This involves the diversification of energy imports and the optimal utilization of the nation's domestic energy production capacity, particularly within the domain of hydroelectric energy (Nikvashvili 2022). While there has been progress in enhancing electricity reliability, there remains room for further improvement.



Fig. 4: SAIDI Index of electricity availability (Nikvashvili 2022).

Case example 2: Resilience of battery material supply chains

Batteries assume a pivotal role in the electrification of diverse applications, such as mobility. Notably, a substantial proportion of the value creation and performance of electric vehicles hinges on the battery. However, Europe's present-day dependence on battery cell imports is expected to persist, even as the European Union actively encourages domestic battery cell production (Bünting et al. 2023). A swift technological innovation and its subsequent market introduction may result in a scarcity of raw materials due to the limited geological availability and the associated time lag in adjusting raw material supply in response to market demands. A recent study (Bünting et al. 2023) examined the risks associated with material supply chains for battery production within the European Union, on the background of growing concerns related to supply chain risks, especially in the context of mounting geopolitical tensions and resulting disruptions in global trade flows.

It turns out that the stability of essential battery raw materials is expected to deteriorate, despite ongoing raw material projects announced in Europe, driven by a substantial expansion in battery cell production capacities (see Fig. 5). Among these materials, lithium stands out as a bottleneck in the ramp-up of battery cell manufacturing in Europe, with exceedingly high spot market prices indicating the absence of a functional lithium market. Furthermore, the availability of nickel is a matter of concern, and Europe's failure to secure access to this material through strategic partnerships could lead to significant value-added steps in battery cell manufacturing occurring outside of Europe, with Russia being a prominent source. The market for manganese precursors is relatively small and highly concentrated, with China dominating manganese ore refining. There may be opportunities for Georgia, with its manganese reserves, to emerge as an additional supply source for European battery cell manufacturing while simultaneously improving working conditions in its manganese mining sector. The geopolitical risk associated with cobalt remains elevated, as the Democratic Republic of the Congo remains the leading producer, and China plays a pivotal role in refining (Bünting et al. 2023).

Bünting et al. (2023) conclude that ensuring the resilience of supply chains is imperative to safeguard the intended expansion of European battery production. Based on an extensive study spanning various industry sectors, Schmidt et al. (2023) identify three factors that generally contribute to supply chain resilience:

1. Robustness: Process standardization and redundancy capacities to mitigate the reduction of supply chain performance during crises.
2. Agility: Responsiveness, flexibility, transparency, monitoring, and systematic risk management, along with decentralized production and storage sites to enhance crisis management.

3. Indirect factors: Ongoing learning processes and the cultivation of a modern company culture.

On this foundation, Bünting et al. (2023) propose four sets of measures to enhance the resilience of battery raw material supply chains (see Fig. 6):

1. Implement Digitalization and Transparency: Enhance supply chain agility through real-time monitoring and information sharing along the supply chain.
2. Diversify Supply Chains, Improve Recycling: Develop new production sites, additional suppliers, and flexible production methods to reduce dependencies and enhance the agility and robustness of supply chains. The diversification of suppliers is crucial to strike a balance between low-risk but more expensive procurement options (e.g., newly established European sites) and cost-efficient but riskier sources.
3. Balance Security of Supply and Storage Costs: Strive for buffer capacities in supply chains while addressing concerns related to high storage costs.
4. Implement Consistent Risk and Security Management: Deploy early warning systems and emergency plans, and maintain an open, diverse company culture to effectively manage disruptions.

Manufacturers of battery cells and components are already taking steps to secure raw materials. Measures include supplier diversification, the establishment of long-term delivery contracts, and improved procurement planning tools (Köster et al. 2022). The potential for recycling and enhancing material efficiency has not been fully realized to date. The significant increase in used traction battery returns is anticipated post-2030, and the establishment of efficient recycling processes, including recycling-friendly cell design, should be undertaken already now (Bünting et al. 2023).

Passing on rising raw material prices to end customers, while generally a potential response to material shortages, may not effectively reduce supply chain risks, as buyers lack the capability to substitute critical materials in response to price signals.



Fig. 5: Europe's potential own supply in the battery value chain (left) and the global risks (right). (Bünting et al. 2023). HHI: Herfindahl–Hirschman Index of market concentration. WGI: Worldwide Governance Indicators.



Fig. 6: Success factors for supply chain resilience and derived proposed measures. Arrows indicate the effect of measures on the various dimensions of resilience. Bünting et al. (2023), based on Schmidt et al. (2023).

Conclusions

Although an all-encompassing economic theory that comprehensively outlines the interplay and trade-offs between resilience and efficiency remains elusive, there is much to learn from case studies, such as the two examples presented in this paper. Adopting a pragmatic approach to resilience may be the most prudent course of action as we prepare for future disruptions.

What common lessons can we extract from these two case studies? One resounding recommendation is the necessity of diversifying supply sources in both scenarios. In a world marked by mounting risks related to geopolitical tensions and the resulting distortions in trade flows, this diversification becomes imperative. For companies within the European battery ecosystem, it is of utmost importance to diversify their supply chains, enhance their influence over these supply chains through collaborations and direct investments, and incorporate geopolitical risks into their analyses and decision-making processes. A similar imperative extends to the realm of energy supply in Georgia.

Another noteworthy commonality between these two seemingly disparate case studies is the potential of sustainable development principles to contribute positively. This manifests as the rigorous recycling of materials with the overarching aim of achieving a circular economy in the context of European battery materials, and the exploration of domestic renewable energy sources within the framework of the Georgian energy system.

A holistic approach, encompassing actions at the business and political decision-making levels, is indispensable and should receive strategic priority. The development of institutional capacity to effectively respond to and mitigate shocks is also of great importance, necessitating the integration of measures taken at the regulatory and corporate levels.

From the perspective of interdisciplinary governance research, comprising economics, business administration, and political sciences, we are embarking on a challenging journey towards understanding how societies and economies can integrate resilience and efficiency: ”The establishment of resilience as a public good appear to be well positioned to help navigate tensions between efficiency and resilience. However, none of these concepts are a silver bullet.“ (Markolf et al. 2022).

References

1. Brand, F. S., & Jax, K. (2007). Focusing the meaning (s) of resilience: resilience as a descriptive concept and a boundary object. Ecology and society, 12(1).
2. Bünting, A., Sprung, C., Dietrich, F., Bierau-Delpont, F., Vorholt, F., Gieschen, J.-H., Kowal, J., Marscheider, J., Zehbe, K., Trunk, M., Lüken, M., Bechberger, M., Oehl-Schalla, N., Korzynietz, R., Solmaz, S., Wolf, S., Neupert, S., Kirchhofer, T., Beermann, V. (2023): Resilient Supply Chains in the Battery Industry. Online publication. https://www.ipcei-batteries.eu/fileadmin/Images/accompanying-research/publications/-2023-03-BZF_Studie_Lieferketten-ENG.pdf, accessed on 28.10.2023.
3. Carrière-Swallow, Y., & Céspedes, L. F. (2013). The impact of uncertainty shocks in emerging economies. Journal of International Economics, 90(2), 316-325.
4. Christopher, M., Peck, H. (2004). Building the resilient supply chain. International Journal of Logistics Management, 15(2), 1–13.
5. Goel, R. K., Saunoris, J. W., & Goel, S. S. (2021). Supply chain performance and economic growth: The impact of COVID-19 disruptions. Journal of Policy Modeling, 43(2), 298-316.
6. Golgeci, I., Yildiz, H. E., & Andersson, U. R. (2020). The rising tensions between efficiency and resilience in global value chains in the post-COVID-19 world. Transnational Corporations Journal, 27(2).
7. Holling, C. S. (1973). Resilience and stability of ecological systems. Annual review of ecology and systematics, 4(1), 1-23.
8. Hynes, W., Trump, B. D., Kirman, A., Haldane, A., & Linkov, I. (2022). Systemic resilience in economics. Nature Physics, 18(4), 381-384.
9. IPCC [International Panel on Climate Change] 2022. Summary for Policymakers In: Pörtner, H.-O., Roberts, D. C., Tignor, M., Poloczanska, E. S., Mintenbeck, K., Alegría, A., Craig, M., Langsdorf, S., Löschke, S., Möller, V., Okem, A., Rama, B. (eds.): Climate Change 2022: Impacts, Adaptation and Vulnerability. Contribution of Working Group II to the Sixth Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change. Cambridge University Press, Cambridge, UK and New York, NY, USA, 3–33.
10. Ivanov, D., Sokolov, B., & Dolgui, A. (2014). The Ripple effect in supply chains: trade-off 'efficiency-flexibility-resilience' in disruption management. International Journal of Production Research, 52(7), 2154-2172.
11. Köster, H., Neubert, D. P., Dierksmeier, K., Adelmann, L., Lentge, H., Schmidt, P. (2022): Securing raw material supply: Benchmarking of measures of foreign manufacturing companies and recommendations for action. Online publication. https://www.deutsche-rohstoffagentur.de/DE/Gemeinsames/Produkte/-Downloads/DERA_Rohstoffinformationen/rohstoffinformationen-52.pdf, accessed on 28.10.2023.
12. Markolf, S. A., Helmrich, A., Kim, Y., Hoff, R., & Chester, M. (2022). Balancing efficiency and resilience objectives in pursuit of sustainable infrastructure transformations. Current Opinion in Environmental Sustainability, 56, 101181.
13. Nikvashvili, N. (2022). Adapting The Concept of Resilience to Energy Systems – Georgian Case Study. Bachelor Thesis, submitted to the International School of Economics at Tbilisi State University, 24.06.2022. The unpublished manuscript is available by the author of this paper upon request.
14. Ponomarov, S. Y., & Holcomb, M. C. (2009). Understanding the concept of supply chain resilience. The international journal of logistics management, 20(1), 124-143.
15. Poshakwale, S., & Ganguly, G. (2015). International shocks and growth in emerging markets. Global Finance Journal, 26, 29-46.

16. Roege, P. E., Collier, Z. A., Mancillas, J., McDonagh, J. A., & Linkov, I. (2014). Metrics for energy resilience. Energy Policy, 72, 249–256.
17. Sarker, P., & Lester, H. D. (2019). Post-disaster recovery associations of power systems dependent critical infrastructures. Infrastructures, 4(2), 30.
18. Schmidt, A., Wolf, S., Kerbusch, J. (2023). Lieferkettenresilienz: Krisenfest oder effizient?. In: Wittpahl, V. (eds) Resilienz. Springer Vieweg, Berlin, Heidelberg, 131-147.
19. The Fund For Peace (2023): Fragile State Index Annual Report 2023. Online publication. https://fragilestatesindex.org/wp-content/uploads/2023/06/FSI-2023-Report_final.pdf, accessed on 28.10.2023.
20. Tsulukidze, M. (2022). Should Georgia worry about the dependence on Russian energy? https://iset-pi.ge/en/blog/3147-should-georgia-worry-about-the-dependence-on-russian-energy published online on 16.03.2022, accessed on 28.10.2023.
21. World Energy Council (2021). World Energy Trilemma Index 2021. Online publication. https://www.worldenergy.org/assets/downloads/WE_Trilemma_Index_2021.pdf?v=1634811254, accessed on 28.10.2023.

Financial Impact of the CDO in times of Artificial Intelligence: an Update

Daniel Maier
Master of Science
Technische Hochschule Ingolstadt

The purpose of this research is to examine whether the Chief Digital Officer (CDO) has a financial influence on organizational level by considering his role as key driver for company-own Artificial Intelligence (AI) utilization. This is done by putting the role in context with current research regarding the impact of AI activities and the upper echelon theorem and by verifying the results via statistical analysis. Therefore, the scientific approach can be classified both theoretical and analytical. In a first step, the existing knowledge about the CDO role, the impact of AI activities and the upper echelon theorem will be presented. In a second step, the findings will be examined by conducting a statistical analysis among the annual reports of the 40 biggest German companies from the years 2016-2022. Hereby, the CDO appearance and AI utilization will be measured as binary variables and put in context with two key financial company metrics. As a result, no connection could be found between the CDO position and company financial success, regardless of the company-internal application of AI.

Keywords: *CDO, Chief Digital Officer, AI, Artificial Intelligence, Upper Echelon*

Introduction

More than 10 years ago, David Willis, then Vice President of the Gartner Research Institute, considered the role of the Chief Digital Officer (CDO) to be the most defining strategic management role of the past decade. Background for this assumption is the anticipated importance of digital transformation for the success and survival of companies (Berman et al., 2020). In this context, digital transformation describes digitalization measures of companies, which encompass all processes, services, products, and the entire business model. These are thus massive change processes that cannot be managed by a traditional C-level position such as the CEO alone (Hess & Sciuk, 2022).

This assessment has also been shared by practice, considering the perception of digitalization as a highly complex business challenge and the resulting, at times annual, doubling of the number of CDOs in companies (Singh & Hess, 2017). At the same time, one digital technology in particular has been in the focus of business attention in recent years, which is assumed to have a significant impact on company performance: Artificial Intelligence (AI). AI is the simulation of human intelligence that enables computer-based decisions in complex contexts without a solid database or predefined parameters (Akter et al., 2022). In contrast to existing digital technologies, AI is thus characterized by independence from human intervention and offers enormous potential in terms of streamlining and optimization (Akter et al., 2022). Based on efficient analysis capabilities in the environment of Big Data, enormous automation potentials, and the replacement of cost-intensive and repetitive human labor, AI is assumed to have a massive impact on companies' financial metrics according to the scientific literature (Enholm et al., 2021). This perception is also reflected in practice, considering the forecast of global AI investments until 2030. According to the consulting firm Next Move Strategy Consulting, the Artificial Intelligence market volume is expected to increase from just under 100 billion in 2021 to 2,000 billion USD in 2030. In percentage terms, this would be an increase of more than 1,800% (Next Move Strategy Consulting, 2023). However, similar to the emer-

gence of CDO positions in companies, there is currently a research gap regarding the verification of the financial impact and whether the predicted potential can actually be realized. If the CDO poses the responsible position for managing the digital transformation and AI is a key technology within this transformation, the question arises whether the CDO alone and the combination of both phenomena lead to a measurable financial impact within the organization. This leads to the following two research questions:

Q1: Does the CDO have a significant impact on organizational financial performance?

Q2: Does the combination of AI application and CDO have a significant impact on organizational financial performance?

Both phenomena have to be analyzed separately to evaluate the moderating effect of AI utilization.

Results

The Chief Digital Officer

Main mission of a CDO is the promotion of innovation by applying new digital technologies. This implies single company functions like marketing, sales or production, but also the digitalization of the overall company in a generalist manner (Kunisch et al., 2022). Being a top management position at the C-level below of the CEO, he can be considered as an upper echelon with a distinct field of responsibilities in comparison the company chairman (Singh & Hess, 2017). Specifically, he evaluates the potential of emerging digital technologies, presents them to the other members of the board, and is ultimately responsible for their realization and implementation (Firk et al., 2021). In this context, he thus acts as an institutional entrepreneur (Tumbas et al., 2018). The perspective of a CDO is also more holistic than that of a Chief Information Officer (CIO) or a Chief Technology Officer (CTO) in that, when deciding to use a new technology, he or she not only considers the organization itself, but rather the entire business model with all stakeholders involved (Firk et al., 2021). The superordinate goal is the strategic transformation of the analog business model into a digital one, focusing on cost optimization and the realization of revenue potential (Firk et al., 2021; Hess & Sciuk, 2022). The financial impact has already been elicited in a literature analysis, with an influence on company performance found on the basis of the Upper Echelon Theory and the Attention-Based view theory (Hofbauer & Maier, 2022). However, this relationship has not yet been quantitatively verified, which is why a financial impact would only have to occur theoretically (Hofbauer & Maier, 2022). A statistical analysis is therefore required to verify the actual impact on financial performance.

Upper Echelon theory

The performance impact of top management positions is one major field of interest of strategic management research. Especially the Upper Echelon Theory poses an influential theorem in this context as it has been used for numerous investigations regarding the emergence of new top management positions. Examples are in this context the Chief Strategy Officer and the Chief Marketing Officer (Menz & Scheef, 2014; Nath & Mahajan, 2008). Developed in 1984 by Hambrick and Mason, the theory indicates that every organization is not solely defined by its resources and business model but is also reflected by its top managers in the C-suite (Hambrick & Mason, 1984). Their decisions and perceptions of certain situations significantly direct the organization and are accountable for company success and survival (Hambrick, 2007). Under the premise that we live in a world with high uncertainty and limited information, the subjective perceptions of the upper echelons are highly dependent on their experience, skills and area of responsibility (Hambrick et al, 1996; Hambrick, 2007). Therefore, ac-

cording to the Upper Echelon Theory, the company success is mainly defined by the person who is in charge for a specific functionality. In the case of the CDO this would be the application of digital technologies and the execution of the digital transformation, contributing to financial success and survival of the company (Tumbas et al., 2018). As a verified empirical finding, a positive impact of the CTO on company performance measured by the Return-on-Assets (ROA) could already be identified for instance (Medcof, 2008).

Business impact of Artificial Intelligence activities

Despite of being a relatively new research area, there are already some findings available regarding the impact of AI activities on organizational level. A case study on the success of AI-based transformation projects within SMEs, for example, assumes that such transformation projects have a positive impact on both organizational performance and individual processes (Wamba-Taguimdje et al., 2020). Increased automation at the process level, improved interactions within organizations, and optimization of existing processes are cited as reasons for this (Wamba-Taguimdje et al., 2020). Furthermore, there is already a study on how a focus on AI affects operational performance from an investment and strategy perspective. For example, sales can increase due to personalized and more flexible marketing. At the same time, cost relief occurs due to higher automation and improved customer service (Mishra et al., 2022). Also, based on an online survey of 152 U.S. business analyst experts, the increased analytical capability of AI can be the key to optimal resource allocation and resource use within the company and thus has a positive impact on performance (Akter et al., 2016). Also, the stock prices of AI-using listed companies were slightly less affected by the strong negative shocks during the COVID-19 pandemic than digital-averse companies (Ho, 2022). This tends to show a positive influence of AI on the robustness of the institutional market value, while there are already contradictory findings, indicating a negative correlation between the Tobin's Q as indicator for company value and AI efforts (Maier & Hofbauer, 2022). Moreover should be stated that the financial impact of AI cannot be observed immediately after implementation but only after an overall transformation of the company processes (Enholm et al., 2022). Due to this circumstance, an examination in AI context should always cover a significant period of time.

Statistical verification

According to the existing findings regarding the financial impact of upper echelons, AI activities and the CDO as the digital transformation upper echelon including AI, it can be stated the CDO has an impact based on the theory. To statistically verify or falsify this finding, a correlation and regression analysis are applied. The underlying sample consists of the 40 biggest German companies listed in den DAX-index between the years 2016 and 2022. The annual reports of the respective fiscal years are analyzed regarding hints of CDO presence and AI activity. Both independent variables are measured binary with the values 0 if there is no mention of the termini within the annual report while 1 is counted if there was at least one specific mention of the term. This method leads to a total of 265 datasets as two companies have to be excluded because of a lack of available data. As dependent variables the financial impact is measured in two ratios analogous to previous research: the influence on the performance is analyzed by applying the ROA and the effect on the company value is examined through the Tobin's Q. Additionally, several control variables are used, mainly posing components of the target variables. As the information examined is panel data with high interdependencies, the regression models have to be tested for autocorrelation and heteroskedasticity (Liang & Zeger, 1986). This is done by applying the Durbin-Watson test and Breusch-Pagan test (Breusch & Pagan, 1979; Greene, 2003). Furthermore, a Hausman test

provides the decision whether to use a random effects estimator or a fixed effects estimator, both able to generate more valid results than standard OLS estimators in the specific case of panel data (Greene, 2003). Findings are only accepted as validate results when they have a p-value below 0.1, following this scale:

- p<0.01: highly significant
- p<0.05: significant
- p<0.1: lowly significant
- p>0.1: no significance detectable

Table 1

shows the identified correlations between the examined variables:

	FY	ROA	Tobins Q	CDO	Net income	Total assets	Total equity	Market cap	AI effort
FY	1.00	0.05	-0.04	0.07	0.11*	0.03	0.12*	0.05	0.28***
ROA	0.05	1.00	0.05	-0.03	0.29***	-0.11*	0.01	0.09	0.03
Tobins Q	-0.04	0.05	1.00	-0.20***	-0.28***	-0.30***	-0.44***	-0.12**	-0.14**
CDO	0.07	-0.03	-0.20***	1.00	0.05	0.54***	0.26***	0.06	0.13**
Net income	0.11*	0.29***	-0.28***	0.05	1.00	0.27***	0.72***	0.54***	0.23***
Total assets	0.03	-0.11*	-0.30***	0.54***	0.27***	1.00	0.62***	0.24***	0.23***
Total equity	0.12*	0.01	-0.44***	0.26***	0.72***	0.62***	1.00	0.57***	0.38***
Market cap	0.05	0.09	-0.12**	0.06	0.54***	0.24***	0.57***	1.00	0.39***
AI effort	0.28***	0.03	-0.14**	0.13**	0.23***	0.23***	0.38***	0.39***	1.00
*p<0.1; **p<0.05; ***p<0.01									

Table 1: Correlation matrix – full sample (own study)

As we can, see there is a highly significant correlation between the CDO and Tobin's Q, indicating a negative impact on the company value. In contrast, no significant connection can be found for the ROA, while the influence is here also slightly negative. Interestingly, same circumstances appear considering the AI effort. Also, this variable correlates significantly and negative with the Tobin's Q, while there is no verified connection to the ROA. Furthermore, CDO and AI effort have a significant positive correlation. This can be interpreted as the presence of a CDO is favorable for organizational AI activities and vice versa. Moreover, the number of AI activities increased over time, observable by the significant correlation between AI effort and fiscal year. This phenomenon cannot be verified for the CDO despite of the fact that the number of CDOs increased from three positions within the DAX in 2016 to seven in 2022. To further examine these findings, table 2 shows the regressions between the CDO occurrence and the financial metrics.

	ROA	Tobins_Q
CDO	**0.011**	**-0.112**
p-Value	0.157	0.214
Standard error	-0.011	-0.187
Net income	**0.000*** **	**0.000**
p-Value	0.000	0.364
Standard error	0.000	0.000
Total assets	0.000	0.000
p-Value	0.727	0.443
Standard error	0.000	0.000
Total equity	**0.000*** **	**0.002** **
p-Value	0.000	0.050
Standard error	0.000	0.000
Market cap	**0.000**	**0.000*** **
p-Value	0.536	0.000
Standard error	0.000	0.000
AI effort	**0.000**	**0.031**
p-Value	0.949	0.774
Standard error	-0.006	-0.097
Constant	0.033***	1.734***
p-Value	0.007	0.000
Standard error	-0.010	-0.189
Observations	263	263
R^2	0.338	0.109
Adjusted R^2	0.323	0.088
F Statistic	131.463***	29.929***
*p<0.10; **p<0.05; ***p<0.01		

Table 2: Regressions (own study)

Following the results of the Hausman test, for both models a random effects estimator was applied. The first model shows that there is a marginal positive influence of 0.011 on the ROA, which cannot be verified due to a p-value above 0.10. In contrast to this, the impact of the CDO on the Tobin's Q is slightly negative with a regressions strength of -0.112. This finding would correspond with the respective result in the correlation matrix, but also cannot be verified due the relatively high p-value at 0.214. As a result, the regression models find no significant impact of the CDO on the financial metrics. To further investigate the specific moderating influence of AI the process was repeated in a second step by excluding all companies without AI activities over the defined time period and by including only CDO-led organizations. This approach allows an investigation of the distinct impact of the combination of CDO and AI and reduces the sample size to 70 datasets. Table 3 shows the results of the correlations.

	FY	ROA	Tobins Q	CDO	Net income	Total assets	Total equity	Market cap	AI effort
FY	1.00	-0.16	-0.19	0.17	0.13	0.03	0.16	-0.02	0.57***
ROA	-0.16	1.00	0.59***	-0.26**	0.06	-0.55***	-0.43***	-0.22*	-0.25**
Tobins Q	-0.19	0.59***	1.00	-0.33***	-0.35***	-0.42***	-0.56***	-0.28**	-0.18
CDO	0.17	-0.26**	-0.33***	1.00	-0.12	0.41***	0.03	-0.09	0.10
Net income	0.13	0.06	-0.35***	-0.12	1.00	0.19	0.77***	0.70***	0.19
Total assets	0.03	-0.55***	-0.42***	0.41***	0.19	1.00	0.55***	0.23*	0.24**
Total equity	0.16	-0.43***	-0.56***	0.03	0.77***	0.55***	1.00	0.67***	0.36***
Market cap	-0.02	-0.22*	-0.28**	-0.09	0.70***	0.23*	0.67***	1.00	0.25**
AI effort	0.57***	-0.25**	-0.18	0.10	0.19	0.24**	0.36***	0.25**	1.00
*p<0.1; **p<0.05; ***p<0.01									

Table 3: Correlation matrix – combination of AI and CDO (own study)

It appears that the negative correlation between CDO and Tobin's Q is even stronger now and also highly significant by exclusively considering CDO-led and AI active companies. Furthermore, the CDO correlates significantly negative with the ROA this time, while this is also the case with AI effort. Both findings could not be observed in the full sample analysis. Moreover, AI effort still correlates negatively with Tobin's Q but not on significant level anymore. Apart from this, the second regression analysis adds no more value to this research as the findings were similar to the first findings and also not significant which prevents an observability in practice.

Conclusions and Recommendations

In conclusion, there cannot be found a statistically verified influence of the CDO on company financials considering the ROA and Tobin's Q as organizational performance indicators. Despite of the findings for AI activities and CDO impact according to strategic management theory and some significant correlations in both correlation matrices, there is no significant regression measurable which would verify this connection. This applies equally to the combination of AI and CDO on organizational level. Thus, the upper echelon theory cannot be validated for the CDO position. Nevertheless, an increase in AI activities can be proven, while also an absolute increase in CDO positions was explored.

As a limiting factor it has to be considered that both AI effort and CDO occurrence were measured only as binary variables. Future research should therefore use a more sophisticated approach by measuring the degree of influence of CDO and AI within the organization at least as ordinary variables. This can be done for example by conducting interviews with company experts and by developing scales for measuring the AI and CDO implementation level. Furthermore, an extension of the examined time period would lead to more profound findings due to the late observability of AI activity impacts.

References

1. Akter, S., Michael, K., Uddin, M. R., McCarthy, G., & Rahman, M. (2022). Transforming business using digital innovations: *The application of AI, blockchain, cloud and data analytics. Annals of Operations Research*, 308(1), 7-39
2. Akter, S., Wamba, S. F., Gunasekaran, A., Dubey, R., & Childe, S. J. (2016). How to improve firm performance using big data analytics capability and business strategy alignment? *International Journal of Production Economics*, *182*, 113-131
3. Berman, S., Baird, C. H., Eagan, K., & Marshall, A. (2020). What makes a Chief Digital Officer successful? *Strategy & Leadership*, 48(2), 32-38
4. Breusch, T. S., & Pagan, A. R. (1979). A Simple Test for Heteroscedasticity and Random Coefficient Variation. *Econometrica*, 47(5), 1287
5. Enholm, I. M., Papagiannidis, E., Mikalef, P., & Krogstie, J. (2021). Artificial Intelligence and Business Value: A Literature Review. *Information Systems Frontiers*, 24
6. Firk, S., Hanelt, A., Oehmichen, J., & Wolff, M. (2021). Chief Digital Officers: An Analysis of the Presence of a Centralized Digital Transformation Role. *Journal of Management Studies*, 58(7), 1800–1831
7. Greene, W. H. (2003). *Econometric analysis (5th ed.)*. Upper Saddle River, N.J.: Prentice Hall
8. Hambrick, D.C. (2007). Upper Echelons Theory: An Update. *The Academy of Management Review*, 32(2), 334-343

9. Hambrick, D. C. & Mason, P. A. (1984). Upper Echelons: The Organization as a Reflection of Its Top Managers. *The Academy of Management Review*, 9(2): 193-206
10. Hambrick, D.C., Cho, T.S. & Chen, M.-J. (1996). The Influence of Top Management Team Heterogeneity on Firms' Competitive Moves. *Administrative Science Quarterly*, 41(4), 659-684
11. Hess, T., & Sciuk, C. (2022). Das Zusammenspiel von Chief Executive Officer und Chief Digital Officer bei der digitalen Transformation. *HMD Praxis der Wirtschaftsinformatik*, 59(3), 840-853
12. Ho, L. T., Gan, C., Jin, S., & Le, B. (2022). Artificial Intelligence and Firm Performance: Does Machine Intelligence Shield Firms from Risks? *Journal of Risk and Financial Management*, *15*(7), 302
13. Hofbauer, G. & Maier, D. (2022). Literature analysis about the impact of the CDO on company success. *Economics and Business - Referential and Reviewed International Scientific-Analytical Journal of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business*, 2022, Vol. 3, ISSN 1987-5789
14. Kunisch, S., Menz, M., & Langan, R. (2022). Chief digital officers: An exploratory analysis of their emergence, nature, and determinants. *Long Range Planning*, 55(2), 101999
15. Liang, K.-Y., & Zeger, S. L. (1986). Longitudinal data analysis using generalized linear models. Biometrika, 73(1), 13–22
16. Maier, D. & Hofbauer, G. (2022). Does Artificial Intelligence (AI) matter? Impact of AI efforts on company performance and value. *Proceedings of the 20th Jubilee International Scientific Conference „Management and Engineering '22" (ISCME) (Technical University of Sofia)*
17. Medcof, J.W. (2008). The organizational influence of the Chief Technology Officer. *R&D Management*, 38(4), 406-420
18. Menz, M. & Scheef, C. (2014). Chief Strategy Officers: Contingency Analysis of their Presence in Top Management Teams. *Strategic Management Journal*, 35, 461-471
19. Nath, P. & Mahajan, V. (2008). Chief Marketing Officers: A Study of Their Presence in Firms' Top Management Teams. *Journal of Marketing*, 72(1), 65-81
20. Next Move Strategy Consulting (2023). Artificial intelligence (AI) market size worldwide in 2021 with a forecast until 2030 (in million U.S. dollars). Retrieved from https://www-statista-com.thi.idm.oclc.org/statistics/1365145/artificial-intelligence-market-size/
21. Mishra, S., Ewing, M. T., & Cooper, H. B. (2022). Artificial intelligence focus and firm performance. *Journal of the Academy of Marketing Science*, 50(6), 1176–1197
22. Singh, A. & Hess, T. (2017). How Chief Digital Officers Promote the Digital Transformation of their Companies. *MIS Quarterly Executive*, 16(1), 1-17
23. Tumbas, S., Berente, N. & vom Brocke, J. (2018). Digital innovation and institutional entrepreneurship: Chief Digital Officer perspectives of their emerging role. *Journal of Information Technology*, 33(3), 188-202
24. Wamba-Taguimdje, S.-L., Fosso Wamba, S., Kala Kamdjoug, J. R., & Tchatchouang Wanko, C. E. (2020). Influence of artificial intelligence (AI) on firm performance: The business value of AI-based transformation projects. *Business Process Management Journal*, *26*(7), 1893–1924

არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება

მარინა მაისურაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მარიამ ვარდიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და მისი საქმიანობის შედეგებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შესაფასებლად გამოყენებული მეთოდები.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების ღირებულების შეფასებაში მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის განმსაზღვრელი როლი განაპირობა ფინანსური ინსტრუმენტების და საფინანსო ინსტიტუტების ახალი ფორმების გამოჩენამ.

ფასს 13-ის „სამართლიანი ღირებულების შეფასება", შემოღებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასებაში და შეფასების მეთოდიკაში მეთოდები.

სტატიაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით განხილულია არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ღირებულებით შეფასების მეთოდები და ავტორთა მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *სამართლიანი ღირებულება, საბაზრო მიდგომა, დანახარჯების მიდგომა, შემოსავლების მიდგომა.*

ფასს 13-ის - „სამართლიანი ღირებულების შეფასება" თანახმად, შეფასების მეთოდიკის გამოყენების მიზანია, განისაზღვროს ფასი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ნებაყოფლობით საფუძველზე, აქტივების გაყიდვის, ან ვალდებულების გადაცემის ოპერაციის განხორციელება ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში. (ფასს 13, 2023) ეს განმარტება ხაზს უსვამს ბაზრის მონაწილეთა მნიშვნელობას და ვარაუდობს, რომ ტრანზაქცია მოწესრიგებული იქნება.

მოცემული სტანდარტი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე სხვა სტანდარტით მოითხოვება ან ნებადართულია სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ან განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნება სამართლიანი ღირებულების შეფასებების შესახებ.

სამართლიანი ღირებულების განმარტებაში ძირითადი აქცენტი გადატანილია საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებულ შეფასებაზე, რაშიც უპირატესობა ენიჭება ძირითადი ბაზრის ინფორმაციას, რომელიც ხასიათდება აქტივების და ვალდებულებების ყველაზე მაღალი დონით და მოცულობით.

ფასს 13 განსაზღვრავს ძირითადი და ხელსაყრელი ბაზარის ცნებას, განიხილავს საოპერაციო და სატრანსპორტო ხარჯების აღრიცხვას სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, დეტალურად აღწერს სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებს.

საწარმო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს იყენებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, სხვადასხვა ხარისხით და მრავალი კომბინაციით. (Maisuradze, M., 2018)

შეფასების სამი ყველაზე გავრცელებული მეთოდიკაა:

1. საბაზრო მიდგომა - ძირითადად გამოიყენება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებისას;
2. შემოსავლების მიდგომა - ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი, ყველაზე ხშირად გამოიყენება ბიზნესის შეფასებაში;
3. დანახარჯების მიდგომა - მიმდინარე ჩანაცვლების ღირებულების მეთოდი ძირითადად გამოიყენება ძირითადი საშუალებების შეფასებისას.

საწარმომ სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, ისეთი მეთოდი უნდა გამოიყენოს, რომელიც თავსებადი იქნება ზემოაღნიშნული მიდგომებიდან ერთ-ერთთან, ან რამდენიმესთან. შეფასების რამდენიმე მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების შესაბამისი მაჩვენებლები უნდა შეფასდეს, შეფასების მნიშვნელობების დიაპაზონის გონივრული განსჯის საფუძველზე. სამართლიანი ღირებულების შეფასება იქნება ამ დიაპაზონიდან ის მნიშვნელობა, რომელიც მოცემულ გარემოებებში ყველაზე ზუსტად ასახავს სამართლიან ღირებულებას.

„რეალური ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულმა მეთოდებმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ემპირიული ამოსავალი მონაცემების მაქსიმალურად გამოყენება და მინიმალურად უნდა ეყრდნობოდეს არაემპირიულ ამოსავალ ინფორმაციას“. (Maisuradze, M., Vardiashvili, M. 2016/6/9)

ვინაიდან, ფასს 13-ის შესაბამისად, სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს, ანუ გასვლის ფასი, საწარმომ აქტივის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს იმდენად, რამდენადაც ბაზრის მონაწილეები-პოტენციური მყიდველები შეაფასებდნენ მოცემულ აქტივს.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არ არის ფასები კოტირებული, ბევრ აქტივსა და ვალდებულებას არ გააჩნია აქტიური ბაზარი - საიდანაც შესაძლებელია საბაზრო გარიგების საფუძველზე მონაცემების მიღება, ასეთ შემთხვევაში სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება დანახარჯთა მეთოდი და შემოსავლების მეთოდი.

საჯარო სექტორში გარდა აღნიშნული მეთოდებისა გამოიყენება მომსახურების ერთეულების მეთოდი რომლის მიხედვითაც, „აქტივის გამოყენებითი ღირებულება განისაზღვრება აქტივის ჩანაცვლების ამორტიზებული ღირებულების ან აქტივის რეპროდუქციის ღირებულების შემცირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გაუფასურებული აქტივიდან მოსალოდნელი სასარგებლო ერთეულების შემცირებულ რაოდენობასთან შესაბამისობა“. (Vardiashvili, M.,2018)

1. საბაზრო მიდგომა

საბაზრო მიდგომაში გამოიყენება ის ფასები და სხვა შესაფერისი ინფორმაცია, რომლებიც გენერირდება საბაზრო ოპერაციებში მსგავსი ან ანალოგიური აქტივებით, ვალდებულებებით ან აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფებით.

აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული, სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მაჩვენებელია ბაზარზე დაფუძნებული შეფასებით შესრულებული გარიგების დროს გაყიდვის ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასი, რომელიც კორექტირებულია აქტივის გასვლასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გათვალისწინებით. თუ არ არსებობს აქტივის გაყიდვის ხელშეკრულება და ამ აქტივით ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას წარმოადგენს აქტივის საბაზრო ფასი, რომელიც შემცირებულია მის გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების ოდენობით. საბაზრო ფასის მიახლოებით ფასს, როგორც წესი,

წარმოადგენს მყიდველის მიერ შეთავაზებული მიმდინარე ფასი ან ბოლო გარიგებაში დაფიქსირებული ფასი. (მაისურაძე მ, 2017)

აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ფასს 13 მოითხოვს საბაზრო ფასების (ძირითადი ბაზრის) გამოყენებას, რომელიც დაფუძნებულია ბაზრის მონაცემებზე. ძირითადი ბაზარი აქტივის (ან ვალდებულების) ყველაზე ლიკვიდური ბაზარია, სადაც არის აქტივების (ვალდებულების) გაყიდვის ყველაზე დიდი რაოდენობა. ძირითადი ბაზრის ფასები ყველაზე მეტად მისაღებია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის.

ძირითადი ბაზრის არსებობის შემთხვევაში, გამოყენებული უნდა იქნეს ყველაზე ხელსაყრელი ბაზრის ფასები. ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელიც საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად გაიზარდოს ის თანხა, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ან მაქსიმალურად შემცირდეს თანხა, რომელიც გადასახდელი იქნებოდა აქტივის გადაცემისას, საოპერაციო დანახარჯებისა და ტრანსპორტირების დანახარჯების გათვალისწინების შემდეგ. ამრიგად, ძირითადი ბაზარი გარიგების მოცულობის თვალსაზრისით ყველაზე დიდია, და ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი, კი არის ბაზარი, საუკეთესო გაყიდვის ფასებით, გარიგების ხარჯების გათვალისწინებით.

მაგალითად, კომპანია არის რამდენიმე კლინიკის მფლობელი და მას აქვს აგრეთვე ქვედანაყოფი, რომელიც ყიდის სამედიცინო აპარატურას. კომპანია აპირებს მომავალში აღნიშნული ქვედანაყოფის გაყიდვას და სურვილი აქვს გაყიდვის მიზნებისათვის სამედიცინო აპარატურა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით. ამჟამად ეს აპარატურა იყიდება სამ ბაზარზე, კომპანია სამივესთან რეგულარულად ახორციელებს გარიგებებს. კომპანიას სურს 2023 წლის 30 მარტის მდგომარეობით შეაფასოს 10 ახალი სამედიცინო აპარატურის სამართლიანი ღირებულება.

აღნიშნული აპარატურის გაყიდვების მოცულობა და ფასები ბაზარზე მოცემულია N1 ცხრილში:

ცხრილი N1

გაყიდვების მოცულობა და ფასები ბაზრების მიხედვით

ბაზარი	გაყიდვის ფასი (ლარი)	გაყიდული აპარატურის რაოდენობა (ცალი)	ბაზრის მოცულობა (ცალი)	საოპერაციო ხარჯები პროდუქციის ერთეულზე (ლარი)	ტრანსპორტის ხარჯები პროდუქციის ერთეულზე (ლარი)
ბაზარი 1	22,000	6,000	10,0000	400	350
ბაზარი 2	20,000	3,000	200,000	200	500
მაზარი 3	16,000	1,500	80,000	100	400

კომპანიას სურს შეაფასოს სამედიცინო აპარატურა (ერთეული) 21,100 ლარად, რადგანაც ეს არის ყველაზე მაღალი ფასი სამედიცინო აპარატურის და ბაზარი 1 წარმოადგენს ყველაზე დიდ ბაზარს კომპანიისთვის.

ფასს 13 თანახმად, აქტივის სამართლიანი ღირებულება არის ამ აქტივის ძირითად ბაზარზე არსებული გაყიდვის ფასი. ძირითადი ბაზარი არის ბაზარი, სადაც ხორციელდება ყველაზე დიდი მოცულობის და დონის საქმიანობა მოცემულ აქტივთან დაკავშირებით, კონკრეტული კომპანიის გა-

ყიდვების მიუხედავად. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ბაზარი 1-ში ყიდის ყველაზე მეტ სამედიცინო აპარატურას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აქტივის ძირითადი ბაზარია, ბაზარი 2.

ფასს 13-ის თანახმად, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ფასი არ უნდა და რეგულირდეს საოპერაციო ხარჯებით, მაგრამ არ უნდა მოიცავდეს სატრანსპორტო ხარჯებს. საოპერაციო ხარჯები არ ითვლება აქტივის მახასიათებლად, ის სპეციფიკურია ცალკეული ოპერაციისათვის.

ამდენად, 10 ცალი სამედიცინო აპარატურის სამართლიანი ღირებულება იქნება:

20,000 – 500 = 19,500 * 10 = 195,000 ლარი.

აქტივის ყველაზე ხელსაყრელი ბაზარია - ბაზარი 1, ამ ბაზარზე აქტივს აქვს ყველაზე მაღალი ფასი 21,250 ლარი (22,000 – 400 - 350 = 21,250). მაგრამ ამ შემთხვევაში ბაზარი 1 ფასები არ გაითვალისწინება, რადგან არსებობს მთავარი ბაზარი.

შეფასების მეთოდებში, რომლებიც საბაზრო მიდგომას მიესადაგება, ხშირად გამოიყენება, როგორც დაკვირვებადი ფასები, ისე საბაზრო მულტიპლიკატორები, რომლებიც მიიღება შესადარისი მაჩვენებლების გარკვეული ერთობლიობისგან. ცალკეული შესადარისი მაჩვენებლისთვის მულტიპლიკატორები შეიძლება სხვადასხვა დიაპაზონში იყოს. ამ დიაპაზონიდან შესაფერისი მულტიპლიკატორის შერჩევას განსჯა და გადაწყვეტილების მიღება ესაჭიროება. კერძოდ, კონკრეტული შეფასებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების განხილვა.

მაგალითად, უძრავი ქონების ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება იმავე რეგიონში მდებარე ანალოგიური უძრავი ქონების ფასები. კოეფიციენტის შერჩევა ხდება გასაყიდი საოფისე ფართის შემთხვევაში, კვადრატული მეტრის ან სასტუმროს შემთხვევაში, ნომრის რაოდენობის და ფასის მიხედვით.

2. დანახარჯების მიდგომა

დანახარჯთა მიდგომა ასახავს თანხას, რომელიც საჭირო იქნებოდა მიმდინარე მომენტში აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩასანაცვლებლად, მას ხშირად ჩანაცვლების მიმდინარე ღირებულებას უწოდებენ. ბაზრის მონაწილე გამყიდველის პოზიციიდან, ფასი, რომლის მიღებაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის გაყიდვის შედეგად, ეყრდნობა იმ თანხას, რომელსაც ბაზრის მონაწილე მყიდველი გადაიხდის შესადარისი სარგებლიანობის მქონე შემცვლელი აქტივის შესაძენად, ან ასაშენებლად, მორალური ცვეთის გათვალისწინებით. ამის მიზეზი ისაა, რომ ბაზრის მონაწილე მყიდველი არ გადაიხდის აქტივის შესაძენად იმაზე მეტს, რა თანხაც დაუჯდებოდა მოცემული აქტივის საექსპლუატაციო სიმძლავრის ჩანაცვლება. მორალური ცვეთა მოიცავს აქტივის ფიზიკურ დაზიანებას, ტექნოლოგიურ მოძველებას და გარეგნულ დაძველებას და უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ცვეთა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის მიზნებისთვის (პირვანდელი ღირებულების განაწილება), ან საგადასახადო მიზნებისთვის (სასარგებლო მომსახურების დადგენილი ვადების გამოყენება).

მაგალითად, კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია და მოახდინა აქტივების იდენტიფიცირება, ერთ-ერთი აქტივია სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა. აღნიშნული პროგრამა შვილობილი საწარმოს მიერ შეძენილი იყო სამი წლის წინ და რეგულარულად ანახლებდა. პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი ამჟამად სთავაზობს ახალ, განახლებულ ვერსიას 2.0, მისი წინა 1.0 ვერსიის გაყიდვა აღარ ხდება. ახალი 2.0 ვერსია მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის

წინა ვერსიის ყველა ფუნქციას. განსხვავება, რომელიც ანალიზის შედეგად დადგინდა, ისაა, რომ ახალი ვერსია უფრო სწრაფი და მოსახერხებელია, მაგრამ აქვს იგივე ფუნქციები.

პროგრამული უზრუნველყოფის ძველი ვერსიის შეძენისა და განახლებისათვის გაწეული ხარჯების ანალიზი და ახალი ვერსიის შესაძენად საჭირო ხარჯები მოცემულია N2 ცხრილში.

ცხრილი N2

(ლარი)

ღირებულების ელემენტები	ვერსია 1.0	ვერსია 2.0
ლიცენზიის შეძენა 1.0	150,000	180,000
მონტაჟი	15,000	20,000
განახლება 1.3	4,000	0
განახლება 1.5	6,000	0
	175,000	200,000

შემძენმა კომპანიამ უნდა განსაზღვროს შეძენილი არამატერიალური აქტივის სამართლიანი ღირებულება, ანუ 1.5 ვერსიის მიმდინარე ღირებულება.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დანახარჯთა მეთოდის გამოყენებით ძველი ვერსიის ჩანაცვლების ღირებულება იქნება 175,000 ლარსა და 200,000 ლარს შორის. ვინაიდან ახალი ვერსია გამოირჩევა მაღალი სიჩქარით და მომსახურებისათვის უფრო მეტად სასარგებლოა, ვიდრე ძველი ვერსია, ძველი ვერსიის სასარგებლო გამოყენების ღირებულება იქნება 200,000 ლარზე ნაკლები, მაგრამ ეს იქნება 175, 000 ლარზე მეტი.

დანახარჯთა მეთოდის გამოყენება არ ითვალისწინებს აქტივის ფაქტიურ საბაზრო მოთხოვნას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩანაცვლების ღირებულების შეფასება არ ითვალისწინებს ბაზრის მონაწილეების მოთხოვნას მიიღონ აქტივის ზუსტი ასლი. გარდა ამისა დანახარჯთა მეთოდი არ ითვალისწინებს აქტივისგან მოსალოდნელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ამ მიზეზის გამო დანახარჯების მიდგომა ნაკლებად გამოიყენება აქტივების რეალური ღირებულების შესაფასებლად, ვიდრე საბაზრო მიდგომა და შემოსავლების მიდგომა. ხშირად ეს მეთოდი გამოიყენება სხვა მეთოდებით სამართლიანი ღირებულების შეფასების გადასამოწმებლად - რეალურობის დასადგენად.

3. შემოსავლების მიდგომა

შემოსავლების მიდგომის ეკონომიკური არსი მდგომარეობს იმაში, რომ აქტივი ღირს იმდენი, რამდენი შემოსავლის მოტანაც შეუძლია მას. ეს მეთოდი ითვალისწინებს მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებას. დისკონტირებული ღირებულება იქნება აქტივის სამართლიანი ღირებულება. ამდენად ამ მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია შეფასდეს აქტივიდან მისაღები მომავალი ფულადი ნაკადები და დისკონტირების განაკვეთი. ამავე დროს, ფულადი ნაკადები და დისკონტის განაკვეთი შესაბამისობაში უნდა იყოს. მაგალითად, ნომინალური და ფაქტობრივი ფულადი ნაკადები, რომელიც ინფლაციის გავლენას ითვალისწინებს, ისეთი დისკონტირების განაკვეთით უნდა იყოს დისკონტირებული, რომელიც ითვალისწინებს ინფლაციის ეფექტს. სამართლიანი ღირებუ-

ლების შეფასებისას, მნიშვნელოვანია რისკების შეფასება. რისკი შეიძლება შეფასდეს დისკონტის განაკვეთის შეფასებით ან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებით.

შემოსავლის მეთოდის გამოყენებისას გამოიყენება რისკის შეფასების სხვადასხვა მიდგომა:

1. დისკონტირების განაკვეთის კორექტირების და
2. მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი.

დისკონტირების განაკვეთის კორექტირების მეთოდში გამოიყენება სახელშეკრულებო ან ფულადი ნაკადების საუკეთესო შეფასება, ყველაზე დიდი ალბათობით მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, რომლის მიღებაც შესაძლებელია აქტივიდან.

მაგალითად, 2,000 ლარის ღირებულების აქტივიდან, ერთი წლის, ორი წლის და სამი წლის შემდეგ მოსალოდნელია ფულადი ნაკადები, შესაბამისად 10, 50, 20 პროცენტიანი ალბათობით.

მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება და საუკეთესო შეფასება მოცემულია N3 ცხრილში.

ცხრილი N3

ფულადი ნაკადების მიღების დრო	საპროცენტო განაკვეთი	დისკონტის კოეფიციენტი	აქტივის ნომინალური ღირებულება (ლარი)	მიმდინარე ღირებულება (ლარი)	ალბათობა (%)	ჯამი
1 წლის შემდეგ	5	0.9524	2000	**1904.80**	10	190.48
2 წლის შემდეგ	6	0.8900	2000	1780.00	50	890.00
3 წლის შემდეგ	7	0.8163	2000	1626.60	20	325.20
ჯამი						**1405.68**

მოცემულ მაგალითში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება ტოლია 1405.68 ლარის, ხოლო ყველაზე საუკეთესო შეფასება ტოლია 1904,80 ლარის.

მოსალოდნელი დღევანდელი ღირებულების მეთოდში ამოსავალ ბაზად გამოიყენება ფულადი ნაკადების ნაკრები, რომელიც წარმოადგენს ყველა მომავალი შესაძლო ფულადი ნაკადის ალბათობებით შეწონილ საშუალო მნიშვნელობას.

4. დასკვნა

აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდებს გარკვეული დადებითი მხარეები გააჩნია, კერძოდ: აქტივების გამოყენებიდან მომავალი ფულადი ნაკადების ობიექტური შეფასება, აქტივების შესახებ მაქსიმალურად შესადარისი ინფორმაცია და საწარმოს საქმიანობის შედეგების ეფექტური შეფასება.

თუმცა, დადებით მხარეებთან ერთად უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, ესენია: სამართლიანი ღირებულების პირობითობა; აქტიური ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში განუსაზღვრელობის მა-

ღალი დონე, რადგან სტანდარტულის გარდა არსებობს იშვიათი აქტივი, რომლისთვისაც, შეიძლება არა თუ აქტიური ბაზარი, არამედ ერთეული გარიგებაც კი არ არსებობდეს, ამგვარი აქტივების შესაფასებლად სტანდარტში არაფერია ნათქვამი.

ამასთან, სტანდარტი არ ადგენს შეფასების მეთოდს უსასყიდლოდ მიღებული და ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი აქტივებისათვის.

ჩვენი მოსაზრებით, ამგვარი აქტივების შესაფასებლად მიზანშეწონილია შემოსავლების მეთოდის გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფასს 13, სამართლიანი ღირებულების შეფასება, https://saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/766
2. Maisuradze, M. (2018/8/15). Application of the Entity Assets Measurement Methods in Preparing the Financial Statements. Ecoforum Journal, http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/827.
3. Maisuradze, M., Vardiashvili, M. (2016/6/9). MAIN ASPECTS OF MEASUREMENT OF THE FAIR VALUE OF NONFINANCIAL ASSETS. 9-10 June, 2016 - 15th International Scientific Conference on Economic and Social Development announces invited session - Human Resources Development. (pp. 385-391). Varazdin Development and Entrepreneurship Agency (VADEA): Varazdin Development and Entrepreneurship Agency (VADEA).
4. file:///C:/Users/user/Downloads/esd_Book_of_Proceedings_Varazdin_2016_Online%20(3).pdf
5. Vardiashvili, M. (2018/8/15). Theoretical and Practical Aspects of Impairment of Non-Cash-Generating Assets in the Public Sector Entities, according to the International Public Sector Accounting Standard (IPSAS) 21. Ecoforum Journal, http://www.ecoforumjournal.ro/index.php/eco/article/view/828/524 2018
6. მაისურაძე, მ. (2017). აქტივების შეფასების ზოგიერთი საკითხი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, (გვ. 302-306). თბილისი. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf
7. https://ifrscommunity.com/knowledge-base/valuation-techniques-fair-value/ valuation Techniques (IFRS 13 Fair Value Measurement)
8. https://www.accountingtools.com/articles/fair-value-accounting.html
9. https://www.grantthornton.global/globalassets/1.-member-firms/global/insights/insight-content-blocks-and-media/ifrs/ifrs-13/insights-into-ifrs-13-2021.pdf

Applying Methods for Estimation of the Fair Value of the Nonfinancial Assets

Marina Maisuradze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Mariam Vardiashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The fair value measurement methods have certain positive sides, namely: Objective measurement of the cash flows coming from the use of the assets, the assets-related maximally possible comparable information, and an effective assessment of the results of activity of an entity.

However, in line with the positive sides, there are also negative side effects: In the absence of an active market there is a high level of uncertainty, as there is a rare asset except for the standard ones, for which there can be no active market, not even a single transaction. The standard says nothing about measurement of such assets

Moreover, the standard does not provide the measurement method for the assets that have been obtained free of charge and as a result of inventory.

In our opinion, it seems to be desirable to use the Revenues Method for measuring such assets.

კონფრონტაციული გლობალიზაცია: გამოწვევები, საფრთხეები და პერსპექტივები საქართველოს ეკონომიკისთვის

ელგუჯა მექვაბიშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგი, საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული არსებითი ცვლილებების გათვალისწინებით, ჩვენ თვალწინ, კიდევ ერთხელ იცვლება. რუსეთ-უკრაინის და პალესტინა („ჰამასის") -ისრაელის ომები მნიშვნელოვანი გარდამტეხი მომენტია ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც კონფრონტაციული გლობალიზაციის ფონზე მიმდინარეობს. ეს უკანასკნელი არსებით ზეგავლენას ახდენს ეროვნული სახელმწიფოების, როგორც ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე და საგრძნობლად უზღუდავს მათ მანევრირების სივრცეს. მნიშვნელოვანია მისი გავლენა საქართველოზე, რასაც ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს. კონფრონტაციული გლობალიზაცია შეიცავს საფრთხეებს, რისკებს და ამავე დროს ქმნის ახალ შესაძლებლობებს გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის წარმატებული პოზიციონირებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას საფრთხეების მინიმიზირებისა და სარგებლის მაქსიმიზირების ეგზისტენციური შინაარსის ამოცანა.

საკვანძო სიტყვები: *კონფრონტაციული გლობალიზაცია, ახალი მსოფლიო წესრიგი, საქართველოს ეკონომიკა, „შუა კორიდორის" მეგაპროექტი, „აბრეშუმის გზის" პროექტი.*

გლობალიზაცია, რომელიც ამ სამი ათეული წლის წინ დაიწყო საბჭოთა ბლოკის დაშლის ფონზე, მისი „არქიტექტორების" ჩანაფიქრით, საყოველთაო კონვერგენციის „დროშის ქვეშ" უნდა განხორციელებულიყო. დღეს კი პირიქით, ჩვენ „დიდი დივერგენციის" წინაშე ვიმყოფებით, რომლის გამოხატულება კონფრონტაციული „გლობალიზაციაა" (Papava, 2022; Папава, 2022; Roubini, 2022 და სხვ.). ეს უკანასკნელი ვლინდება, როგორც „ცხელი ომების" სახით (რუსეთ-უკრაინის ომი, ისრაელის ომი ტერორისტული ისლამური ორგანიზაციების წინააღმდეგ), ასევე „ენერგეტიკული ომისა" და „სასურსათო ომის" სახით, რაც ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს.

როგორც ევროკავშირის ერთერთი უმაღლესი წარმომადგენელი ჟ.ბორელი აღნიშნავს: „მსოფლიო სისტემა მრავალმხრივ კრიზისშია... ჭარბობს ძალისმიერი პოლიტიკა და უნდობლობა მთავარ მოთამაშეებს შორის... დღეს ყველაფერი იარაღად გადაიქცა, მათ შორის ის ფაქტორებიც, რომლებიც ადრე დაახლოებისთვის გამოიყენებოდა - ინვესტიცია, ენერგეტიკა, სურსათი, მიგრაცია" (Politicano, 2023). საინტერესო ფაქტია, რომ ზოგიერთი მკვლევარი კონფრონტაციული გლობალიზაციის დაწყებამდე საკმაო დროით ადრე აკეთებდა პროგნოზს მსგავსი სცენარით მსოფლიოში მოვლენების განვითარების შესაძლებლობაზე. მაგალითად, პოლონელი პროფესორი გჟ. კოლოდკო წერდა: „ჩვენ ვიმყოფებით უფრო დიდი კატასტროფის წინაშე, ვიდრე ამჟამინდელი კრიზისია (იგულისხმება 2007-2009წწ. გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი - ე.მ.). იქნება უფრო დიდი უთანხმოება, რასაც მოჰყვება უფრო მწვავე კონფლიქტები და არა მხოლოდ ეკონომიკური" (Kolodko,2014).

კონფრონტაციული გლობალიზაცია სერიოზულ გამოწვევებს აყენებს მსოფლიოს წინაშე; ეგზისტენციური პრობლემებია პატარა ქვეყნების მიმართაც, რაც უკავშირდება მათი მანევრირების სივრცის უკიდურესად შევიწროებას ახალ გეოპოლიტიკურ, გეოსტრატეგიულ და გეოეკონომიკურ ვითარებაში.

რა კონკრეტული გამოწვევები თუ საფრთხეები შეიძლება წარმოიშვას საქართველოს ეკონომიკაში და განვითარების როგორი პერსპექტივა შეიძლება გამოჩნდეს ახალ ვითარებაში? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობას ისახავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი.

„კონფრონტაციული გლობალიზაციის“ ცნების ვიწრო და ფართო გაგების შესახებ

თანამედროვე პირობებში „ტურბულენტური გლობალიზაციის“ ტრანსფორმირებას „კონფრონტაციულ გლობალიზაციაში“, ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, პაპავა, 2022) უკავშირებს რუსეთ-უკრაინის ომს და მისგან გამოწვეულ „ენერგეტიკულ და სასურსათო ომებს“. ჩვენი აზრით, ეს არის „კონფრონტაციული გლობალიზაციის“ ცნების ვიწრო გაგება, რომლის გვერდით ასევე, არსებობს მისი ფართო გაგებაც. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ასრებული კონფრონტაცია არ არის მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური. ის ზოგად ცივილიზაციურ ხასიათს ატარებს და მისი ფესვები კაცობრიობის განვითარების ისტორიის სიღრმეებში უნდა ვეძებოთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, აუცილებელია გლობალიზაციის ორი ზოგადცივილიზაციური მოდელის - ტრანსოკეანური და ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის განხილვა.

მეინსტრიმული ტრანსოკეანური გლობალიზაციის ძირითადი ბირთვი და წამყვანი ძალა დღეს აშშ-ია, რის გამოც მას შეიძლება ეწოდოს “Pax-Americana” (მექვაბიშვილი, 2009). ეს მოდელი ემყარება დასავლური ფასეულობებისთვის უნივერსალური ხასიათის მინიჭებას და მსოფლიოში მისი საყოველთაო გავრცელების პარადიგმას, ანუ თუ ჩვენ ყველას ერთნაირი ფასეულობები, იდეოლოგია, ინტერესები, ცხოვრების წესი და ა.შ. გვექნება, მაშინ ადვილად მოხერხდება ურთიერთგაგება და თანმშრომლობა -ასეთია მათი ფუნდამენტური თეზისი. აშშ-ის გადაქცევა გლობალიზაციის ტრანსოკეანური მოდელის მთავარ სუბიექტად ერთბაშად არ მომხდარა. მას წინ უძღოდა მკვეთრი ცვლილებები მისი პოლიტიკური ელიტის იდეოლოგიაში, ამ ქვეყნის გადაქცევა მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ეკონომიკურ და სამხედრო ძალად (მექვაბიშვილი, 2023). ტრანსოკეანური ტრანსფორმაციის არქეტიპი, თავდაპირველად, დაკავშირებული იყო ევროპის ძლიერ საზღვაოსნო ქვეყნებთან (პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი). XX საუკუნის 10-20-იანი წლების მიჯნიდან იწყება აშშ-ის დომინანტად გადაქცევა.* ტრანსოკეანური ტიპის გლობალიზაციის ისტორიული წანამძღვრები 1500-ანი წლიდან იწყება და ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას უკავშირდება, როგორიც იყო კოლუმბის ზღვაოსნობა ამერიკის კონტინენტზე და ვასკო და გამას მოგზაურობა ინდოეთში. გლობალური საოკეანო სისტემის წარმოქმნას ხელი შეუწყო უნიკალური სანავიგაციო ხელსაწყოს - კომპასის გამოგონებამ და საოკეანო გემების მშენებლობამ (მექვაბიშვილი, 2009).

ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის არქეტიპი გაცილებით ძველია. მისი წინარე ფორმები ჩვენ შეიძლება დავინახოთ - დარიოსის, ალექსანდრე მაკედონელის სამეფოების და რომის იმპერი-

* აშშ-ის ოცდამეერვე პრეზიდენტმა ვუდრო ვუილსონმა 1915 წელს ჩამოაყალიბა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დოქტრინა, რომელიც დღემდე მოქმედებს: „ჩვენ ამერიკელი ნაცია შევქმენით თავისუფლებისთვის და არ ვიფარგლებით მხოლოდ ამერიკით, არამედ მსოფლიოში ყველა ადამიანს გავხდით თავისუფალს და თუკი ამას არ ვიზამთ, ამერიკის დიდება გაქრება, მისი ძალა კი აორთქლდება“ (Heklacca, 2004).

ის სახით. ის ასევე უკავშირდება X საუკუნეში ჩინეთის მმართველობას, რომელიც ისტორიაში ცნობილია „ჩინეთის ოქროს საუკუნისა“ და „ჩინეთის რენესანსის“ სახელწოდებით. ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის არქეტიპის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს XIII საუკუნეში ჩინგიზ-ხანის მეთაურობით მონღოლთა „ოქროს ურდოს“ შექმნა. „ჩინგიზ-ხანი“ მონღოლურად „მსოფლიოს მმართველს“ ნიშნავს და მისი იმპერია უზარმაზარ ტერიტორიაზე იყო განვრცობილი - აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებიდან სირიამდე, იაპონიისა და სამხ. ჩინეთის ზღვებამდე. ამ იმპერიაში ცხოვრობდა იმჟამინდელი მოსახლეობის დაახლოებით 40%. ასეთი ფართო მასშტაბის არ ყოფილა არც მანამდე და არც მის შემდეგ არსებული რომელიმე სხვა იმპერია. ეს იყო უზარმაზარი ევრაზიული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სისტემა. 1350 წელს მონღოლთა იმპერიის დაცემით, არსებითად დასრულდა შიდაკონტინენტურ სივრცეში ხალხთა გლობალური ორგანიზაციის ყველაზე გრანდიოზული მცდელობა და დაიწყო ტრანსოკეანური ორგანიზაციის ფორმის ჩამოყალიბება, რომელსაც ამერიკელი სოციოლოგი ჟ. მოდელსკი უწოდებს „გლობალურ ლიდერობას“ (Modelski, Tompson, 1995; Модельский, 2000).

თანამედროვე პირობებში ტრანსკონტინენტური გლობალიზაციის უდავო ლიდერი ჩინეთია, რომელიც BRICS-ის* წამყვანი წევრია: მის წილად მოდის ამ გაერთიანების მიერ შექმნილი მსპ-ის დაახლოებით 70% (IDD, 2023). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო წლების მანძილზე გლობალურ მსპ-ში BRICS-ის წილის ზრდა მნიშვნელოვნად აღემატება G7-ის წილის ზრდას, რის შედეგადაც, „ბლუმბერგის“ პროგნოზით, 2028 წელს BRICS-ის წილი გაიზრდება 35%-ით, ხოლო G7- ის წილი შემცირდება27,8%-მდე (Poliet,2023). აღსანიშნავია ის, რომ BRICS-ის გაცხადებული მთავარი მიზანი გლობალური მასშტაბით აშშ-თან კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად მასში გაერთიანებული ქვეყნების შესაძლებლობებისა და ძალისხმევის კოორდინაცია-გაერთიანებაა.

ჩინეთმა, რომელიც 1970-იან წლების ბოლომდე კარჩაკეტილ ჩამორჩენილ აგრარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სიღრმისეული რეფორმების განხორციელების გზით შეძლო ეკონომიკის ძირეული რესტრუქტურიზაცია, რამაც უზრუნველყო მისი სწრაფი ზრდა (ათწლეულების მანძილზე ზრდის საშუალო წლიური ტემპი 10%-ს შეადგენდა). ამჟამად ჩინეთის ეკონომიკა მეორე ადგილზეა მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ. ჩინეთი აწარმოებს გლობალური მსპ-ის 18%-ს, ხოლო სამომხმარებლო პარიტეტის (PPP) მიხედვით კი მსოფლიოში პირველ ადგილს იკავებს. სერიზულ ექსპერტულ წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ 2050 წლისთვის ჩინეთი გადაასწრებს აშშ-ს მსპ-ის მაჩვენებელში. ქვეყნის ეკონომიკურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა გლობალური მასშტაბით მისი გააქტიურება. ამ მიმართულებით მოძრაობა 2013 წლიდა დაიწყო, როცა ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა გამოაცხადა გლობალური პროექტი - „ერთი გზა ერთი სარტყელი“. 2023 წელს ჩინეთში გამოქვეყნდა დოკუმენტი - „გლობალური ცივილიზაციური ინიციატივა“, რომელიც მოიცავს, მათი გაგებით, მომავალი მსოფლიო წესრიგის სამ ფუნდამენტურ პრინციპს:

- უნივერსალურ ფასეულობებზე უარი;
- მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ინტერესთა დაბალანსება;
- უფრო უსაფრთხო მსოფლიო.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩინეთში გამოქვეყნებული დოკუმენტები: „გლობალური განვითარების ინიციატივა (Global Development Initiative)“ და „გლობალური უსაფრთხოების ინიციატივა (Global Security Initiative)“, რომლებიც შეიცავს გლობალიზაციის პროცესში ჩინეთის მონაწილეობის

* BRICS - ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხ. აფრიკა. გაერთიანებას ჰყავს სამი კანდიდატი ქვეყანა - ირანი, არგენტინა, ალჟირი და ასევე გაერთიანებაში შესვლის მსურველი ათი ქვეყანა - ინდონეზია, საუდის არაბეთი, თურქეთი, ეგვიპტე, ტაილანდი, ნიგერია, ბანგლადეში, სირია და ტაჯიკეთი.

ფუნდამენტურ პრიორიტეტებს, მათი განხორციელების გზებს და მექანიზმებს. ჩინეთი ყოველთვის ხაზს უსვამს გლობალიზაციაში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის გადამწყვეტ როლს მათი სუვერენიტეტის დაცვის პირობებში და გლობალური კოოპერირების მნიშვნელობას.

აღნიშნულის მიუხედავად, იმის იმედი, რომ „კონფროტაციული გლობალიზაცია“ მალე დამთავრდება და ადგილს დაუთმობს „კარგ გლობალიზაციას“ (Bodrik,2022), სამწუხაროდ, საფუძველს მოკლებულია. „კონფროტაციული გლობალიზაცია“ კიდევ დიდხანს გაგრძელდება. უფრო მეტიც, დედამიწაზე ამოწურვადი რესურსების დეფიციტის გაძლიერებასთან და საქონლის მსოფლიო ბაზრების „გადავსებასთან“ ერთად ის კიდევ უფრო მწვავე ხასიათს შეიძენს. თუმცა ამას, რომ თავი დავანებოთ, უკვე დღეს, კონფროტაციული გლობალიზაცია უაღრესად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე, აძლიერებს მისი დესტაბილიზაციის საფრთხეს. მაგალითად, რუსეთ-უკრაინის ომმა მნიშვნელოვნად გაზარდა ფასები ენერგიაზე, საკვებზე და მინერალურ სასუქებზე, რომელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომწოდებლები მსოფლიო ბაზარზე რუსეთი და უკრაინა იყვნენ. რუსეთის მიერ უკრაინაში სამხედრო ინტერვენციის დაწყებამდე ხორბლის მსოფლიო ბაზრის დაახლოებით 25% ამ ორ ქვეყანას ეკავა. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნები დაახლოებით 40%-ით იყვნენ დამოკიდებული რუსეთიდან მიწოდებულ ბუნებრივ გაზზე. ბოლო პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა, დავალიანება გაიზარდა განსაკუთრებით გავითარებად ქვეყნებში; გაძვირდა საბანკო დაკრედიტება და შემცირდა მისი რენტაბელობა, რამაც საგღძნობლად შეკვეცა კერძო სექტორის დაფინანსება; რისკების დივერსიფიკაციის ხარისხის საგრძნობი გაუარესების გამო გაიზარდა მაკრო და მეგა ფინანსური სისტემებისა და კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციის ვოლატირულობა. ახლო აღმოსავლეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები ახალი დიდი საფრთხის შემცველია მსოფლიო ეკონომიკისთვის. სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავების შემთხვევაში არ არის გამორიცხული 1979-იანი წლების მსოფლიო ენერგეტიკული მსგავსი კრიზისის წარმოქმნა, რომელიც შეიძლება ყოვლისმომცველ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონფროტაციული გლობალიზაციაში სწორი პოზიციონირება ჩვენი ქვეყნისთის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოს პოზიციონირება გლობალურ ეკონომიკაში კონფრონტაციული გლობალიზაციის კუთხით

საქართველო პატარა და რესურსებით არც თუ ისე მდიდარი ქვეყანაა, თუმცა მას აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, რომლისგან გამომდინარე შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ასღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკონომიკურ ურთიერთობაში, როგორც სატრანზიტო (საკომუნიკაციო) და ენერგეტიკულმა ჰაბმა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ სამხრეთ კავკასია და ცენტრალური აზია, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისიდან ცალკე რეგიონებად განიხილებოდა, დღეს სულ უფრო ხშირად აღიქმება ერთიან გეოგრაფიულ სივრცედ და „ამ ორი რეგიონის შერწყმა „კავკაზიას“ ქმნის, რომელიც ჩვენი დროის ერთ-ერთ ნიშანდობლივ პროცესს წარმოადგენს“ (ავდალიანი, 2023. იხ. აგრეთვე: Ismailov, Papava, 2005).

ამჟამად აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი სამი გზა არსებობს:

1. ჩრდილოეთის, ანუ ჩინეთიდან რუსეთის გავლით ევროპაში;
2. სამხრეთის, ანუ ჩინეთიდან ირანისა და ავღანეთის გავლით ევროპაში;
3. ჩინეთიდან ცენტრალური აზიის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ევროპაში.

კონფროტაციულმა გლობალიზაციამ არსებითად შეცვალა მათი გამოყენების პერსპექტივა. ჩრდილოეთის მიმართულება, თუმცა ყველაზე მიმზიდველია ეკონომიკური თვალთახედვით, მაგრამ დღეს ის დაკეტილია და თუნდაც რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრების შემდეგ დიდი ხნის მანძილზე მისი ამოქმედება შესაძლებელი არ იქნება, რაც განსაკუთრებით შეეხება უკრაინის დერეფანს.

სამხრეთის მიმართულება ყოველთვის არასტაბილური იყო და შუა აღმოსავლეთში მოსალოდნელი ომის საფრთხიდან გამომდინარე, ის კიდევ უფრო სახიფათო გახდება. მაშასადამე, რჩება მესამე, ანუ „შუა დერეფნის“ მიმართულება, რომლის საკვანძო რგოლი საქართველოა. შესაბამისად, განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა „შუა დერეფნის“ მეგაპროექტმა, რომელიც თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ცნობილი „აბრეშუმის გზის“ პროექტის აქტუალიზაციას და გულისხმობს უკვე არსებული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კავშირების გაფართოებას მათზე ახალი სისტემების დაშენების გზით.

ამჟამად წარმატებით ფუნქციონირებს „ტრასეკას“ სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც მოიცავს:

- ბაქო - თბილისი - ყარსი სარკინიგზო მონაკვეთს;
- „სამხრეთ გაზის დერეფანს“, ანუ ბაქო - თბილისი - ერზრუმის გაზსადენს;
- ტრანსადრიატიკულ მილსადენ - “TAP”- ს და ტრანსანატოლიურ მილსადენს - “TANAP”-ს;
- ბაქო - თბილისი - სუფსა და ბაქო - თბილისი - ჯეიჰანი ნავთობის მილსადენებს.

შუა დერეფნის მიმართულების პერსპექტიულობას ბევრი ფაქტი მოწმობს. ასე მაგალითად: მიმდინარე წელს ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმდა ხელშეკრულება აზერბაიჯანის ბუნებრივი გაზის ევროპისთვის გაორმაგებული მოცულობით მიწოდების თაობაზე. დერეფნის აქტიური გამოყენება დაიწყეს ავსტრიის, დანიის, ფინეთის და სხვა ქვეყნის გადამზიდავმა კომპანიებმა (Forbs- Georgia, 2023). ასევე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო 2023 წლის 7 ოქტომბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტისა და საქრათველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა, რომელზედაც აღინიშნა მზადყოფნა ყულევის პორტის გაფართოებისა და ბაქო - ახალქალაქი - ერზრუმის სარკინიგზო ხაზის ტვირთბრუნვის 5-ჯერ გაზრდის შესახებ.

არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც კონფრონტაციული გლობალიზაციის ჭრილში „შუა დერეფნის“ ენერგეტიკული კორიდორის აქტუალურობას ზრდის. გარდა იმისა, რომ საომარი მოქმედებებისა და დაწესებული მკაცრი სანქციების გამო ევროპის რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება არსებითად შემცირდა, რუსეთის აგრესიამ ნათლად აჩვენა მისი, როგორც არასაიმედო პარტნიორის სახე და ევროპა ენერგორესურსების ალტერნატიული წყაროების მოძიების აუცილებლობის წინაშე დააყენა. შესაბამისად, გაიზარდა ევროპის მხრიდან მოთხოვნა კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის გაზის საბადოებზე. დღეს აშკარაა, რომ მხოლოდ აზერბაიჯანი ვერ შეძლებს ამ გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ამიტომ მეტად აქტუალურია კასპიის ზღვის მეორე ნაპირზე არსებული მდიდარი საბადოების ათვისების დაწყება, რომლის ევროპისთვის მიწოდება თურქმენეთის გაზთან ერთად, სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორიის გავლით მოხდება. „ტრანსკასპიური მილსადენის“ აშენება, ექსპლოატაციაში გაშვება და საქართველოს გავლით ბუნებრივი გაზის ევროპაში ტრანზიტი, ვფიქრობთ, არც ისე შორეული პერსპექტივაა.

„შუა დერეფნის“ მეგაპროექტის მეტად მნიშვნელოვანი და პერსპექტიული კომპონენტია შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი. 1,195 კმ. სიგრძის კაბელის საშუალებით სამხრ.კავკასიის ენერგოსისტემა პირდაპირ დაუკავშირდება ევროპის ენერგო სისტემას. აღნიშნული პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნა ევროპის ქვეყნების მეოთხე მინისტერიალზე რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში, 2023 წლის ივლისში. აღსანიშნავია, რომ ამას წინ უძღოდა 2022 წლის 17

დეკემბერს აზერბაიჯანის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობათა შორის „მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტარატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულების გაფორმება. ეს პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის იმ თვალსაზრისით, რომ ის აჩენს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ ჰაბად გადაქცევის პერსპექტივას. საქართველო არა მხოლოდ გაატარებს ენერგოშემცველებს, არამედ გაზრდის ელექტროგენერაციას, რაც პირველ რიგში, მოხდება განახლებადი ენერგიის გენერირების ხარჯზე. ამ საკითხის აქტუალურობას ნათლად აჩვენებს ის გარემოება, რომ ევროპაში უკვე მოქმედებს „ევროპის მწვანე შეთანხმების“ (EU Green Deal) პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს 2050 წლისთვის ევროპის გადაქცევას ნახშირბადნეიტრალურ პირველ კონტინენტად. ასევე ნავარაუდევია, რომ 2030 წლისთვის ევროკავშირში მოხმარებული მთელი ენერგიის 45% განახლებადი ენერგიის წყაროებიდან იქნება მიღებული.

„შუა დერეფნის“ მეგაპროექტში ჩართვას საქართველოსთვის მულტიპლიკაციური ეფექტი ექნება: აშენდება ახალი თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიზრდება მოთხოვნა მაღალი კლასიფიკაციის საინჟინრო-ტექნიკურ პერსონალზე, მოიმატებს უცხოური ინვესტიციები, ჩამოყალიბდება ხელსაყრელი ბიზნესგარემო, დაინერგება მოწინავე ტექნოლოგიები, განსაკუთრებით მისი ციფრული მიმართულება, ამაღლდება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება, რაც ეროვნულ-სახელმწიფო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს.

გლობალურ ლოგისტიკაში საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის როლის ამაღლების კიდევ ერთი ასპექტი არსებობს, რომელიც დღევანდელი კონფროტაციული გლობალიზაციის პირობებში ძალიან რთულად წარმოსადგენია, თუმცა თეორიულად მას აქვს არსებობის უფლება. საკითხი შეეხება საქართველოს გავლით „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ სატრანზიტო დერეფანს, რომელიც შეიძლება გაჩნდეს სიტუაციის ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში: რუსეთის დამარცხებას უკრაინის ომში თან მოსდევს ავტორიტარული რეჟიმის დაცემა და დემოკრატიული ძალების გამარჯვება. რუსეთის ნორმალური დემოკრატიული ხელისუფლება უარს ამბობს იმპერიალისტურ ექსპანიონისტურ პოლიტიკაზე და მეზობლებთან პარტნიორულ, ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას იწყებს. საქართველო მშვიდობიანი გზით იბრუნებს თავის იურისდიქციას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე. იხსნება აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთი და ჩრდილოეთის ქვეყნები სარკინიგზო ტრანსპორტით უკავშირდებიან, როგორც სამხრეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებს (სამტრედიის სარკინიგზო კვანძი, ამ შემთხვევაში, ცენტრალურ როლს თამაშობს). საქართველო ენერგეტიკულთან ერთად ნამდვილ სატრანსპორტო ჰაბად იქცევა და დიდ ეკონომიკურ სარგებელს იღებს. თუმცა ეს მომავლის საკითხია და აწმყოს დავუბრუნდეთ.

თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის კონფროტაციული გლობალიზაციიდან მომდინარე საფრთხეებისა და რისკების სწორად კლასიფიცირება»

საფრთხეები:

- ყველაზე დიდი საფრთხეა რუსეთ-უკრაინის ომი და ისრაელის კრიზისი, რომლის ახლო აღმოსავლეთის ომში გადაზრდის დიდი ალბათობა არსებობს. ამ უმწვავესი კონფლიქტის დარეგულირება თუ ვერ მოხერხდა, ყველა გლობალური ეკონომიკური პროექტის განხორციელება დიდი ეჭვის ქვეშ დადგება. ეს, რა თქმა უნდა, ეხება „შუა დერეფნის“ პროექტს, რომლის აქტიური მონაწილე საქართველოა.

- დიდი საფრთხე რუსეთიდანაც მომდინარეობს, რომელიც „შუა დერეფანს“ განიხილავს „ჩრდილოეთის დერეფნის“ რეალურ კონკურენტად და ყველაფერს გააკეთებს მის შესაფერხებლად. ამას მოწმობს რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ქ. ოჩამჩირეში რუსეთის სამხედრო საზღვაო ბაზის გაფართოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება.

რისკები:

- აშშ და ევროკავშირი დღეს არნახული ერთიანობის დემონსტრირებას ახდენს რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით. დაწესებულია უმკაცრესი სანქციები აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ, უკრაინა იღებს უზარმაზარ სამხედრო, ფინანსურ და სხვა სახის დახმარებას. თუმცა, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკურ სფეროში აშშ და ევროკავშირი არიან სტრატეგიული კონკურენტები. ევროკავშირის მიერ „შუა დერეფნიდან“ დიდი სარგებლის მიღება, შესაძლებელია სულაც არ შედიოდეს აშშ-ის ინტერესში, რამაც შეიძლება განსაზღვროს მისი დამოკიდებულება აღნიშნული პროექტის მიმართ.
- გასათვალისწინებელია ე.წ. „ხაფანგის დიპლომატია“, რასაც ხშირად მიმართავს ჩინეთი. ის გასცემს კრედიტებს ამა თუ იმ მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობაზე და კრედიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში ეუფლება ამ ობიექტებს. ამას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, აფრიკაში, სადაც ბევრი, მათ შორის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი ჩინელების ხელში გადავიდა და ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩინეთთან ჩვენი ეკონომიკური ურთიერთობა ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის კონტექსტით წარიმართოს.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე კონფროტაციული გლობალიზაცია განხილული უნდა იქნეს ზოგადცივილიზაციურ ჭრილში, როგორც ტრანსკონტინენტური და ტრანსოკეანური მოდელების დაპირისპირება. გლობალიზაციის მეინსტრიმული ტრანსოკეანური მოდელი “Pax-Americana” დღეს სერიოზულ გამოცდას გადის და სულ უფრო ნათლად იკივეთება მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის კონტურები.

კონფრონტაციული გლობალიზაცია საქართველოსთვის საფრთხეებისა და რისკების შემცველიცაა და ასევე ახალ შესაძლებლობასაც აჩენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაში წარმატებული პოზიციონირებისთვის. ჩვენი ამოცანაა ორგანულად ჩავერთოთ აღმოსავლეთ-დასავლეთის, კონკრეტულად კი - ჩინეთ-ევროკავშირის თანხვედრ ინტერესებში და ამ მიზნით მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩინეთთან და ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. „შუა დერეფნის“ მეგაპროექტიდან გამომდინარე, საქართველო წინათ არასდროს ყოფილა მისთვის ასეთ მომგებიან სიტუაციაში, რასაც, რა თქმა უნდა, შესაბამისი რეალიზება ჭირდება. ამ მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია:

- არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების მოდერნიზაცია და ახლის აშენება;
- მთელი „დერეფნისთვის“ ერთიანი გამჭოლი გადაზიდვების ტარიფის დადგენა;
- სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება;
- სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრების შექმნა და ტვირთბრუნვის მართვის ოპტიმიზირება;
- ტრანსეროვნული კომპანიის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთის მფლობელის „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომსახურებას და სხვ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვ. (2022). პანდემია, ომი და ეკონომიკური სანქციები: ტურბულენტურიდან კონფრონ-ტაციულ გლობალიზაციამდე http://alion.ge/pandemia-omi–da–ekonomikuri–sanktsiebi
2. Папава В., Тапладзе Т. (2022) О некоторых модификации глобализации. კრებულში: ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები, 2022 წლის 27 ნოემ-ბერი
3. Rubini N. (2022). Russia's War and the Global Economy. Project syndicate. https://www.project-syndicate.org/onpoint/russias-war-and-the-global-economy-by-nouriel-roubini-2022-02
4. Politicano, 15 სექტემბერი, 2023
5. Kolodko G. The Irreversibility of Globalisation. Project Syndicate, 2022. www.project-syndicate.org
6. მექვაბიშვილი ე. (2009). ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექ-ტივები. თბ.: *„ინოვაცია“.*
7. მექვაბიშვილი ე. (2023). გლობალიზაციის მეტამორფოზები: პოლიტეკონომიური ასპექტი, *„ეკო-ნომიკა და ბიზნესი“ #3.*
8. Несласса А. (2004). Глобальная трансформация: сушность, генезис, прогноз, «Мировая экономика и международные отношения» (МЭ и МО), №1.
9. Modelski G., Thompson W. (1995). Leddings Sectors and Worlds Powers: The Co-evolution of global politics and economics. ***Colombia*** 1995
10. Модельски Дж. (2005). Эволюция глобальной политики "Полис", #4
11. JDD (Journal du Dimanch), 13 აპრილი, 2023 წ.
12. https://new.thecradle.co/articles/irans-non-oil-trade-with-brics-nations-nears-40bn-per-year
13. Poliet Th. The BRIGS Currency Project Picks up Speed. Analysis-eurasiaview.com|18072023-the-brigs-currency-project-picks-up-speed-analysis
14. www.project-syndicate.org|commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05
15. interpressnews.ge/ka|article|765890-svla-dsavletisken-chineti-da-samxret-kawkasia
16. Ismailov E., Papava V. (2005). The Central Caucasus: Problems of Geopolitical Economy
17. Forbs-georgia 2023, 7 ივლისი.

Confrontational Globalization: Challenges, Threats and Prospects for the Economy of Georgia

Elguja Mekvabishvili
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In summary, contemporary confrontational globalization necessitates an examination within a broader civilizational framework, characterized by the conflict between transcontinental and transoceanic paradigms. The prevailing transoceanic model of globalization, notably the "Pan-Americana," faces a significant challenge at present, with the contours of a multipolar global order progressively crystallizing.

Confrontational globalization entails threats and risks for Georgia while also providing a fresh opportunity for successful positioning our country's economy in the global arena. Notably, the advent of the "Middle Corridor" megaproject presents an unprecedented advantageous position for Georgia, demanding a meticulous realization. To this end, we endorse the following imperative actions:

- The modernization of extant transport infrastructure and the construction of novel facilities;
- The establishment of a unified transshipment tariff encompassing the entire "corridor";
- The refinement of the legal framework;
- The establishment of transportation and logistics hubs and the optimization of cargo flow management;
- The establishment of a transnational company providing services to cargo owners under a "one window" principle.

Our fundamental objective is to seamlessly align with the shared interests of the East-West axis, notably the China-EU connection, and to leverage to the fullest extent the free trade agreements concluded with both China and the EU.

აკვაკულტურის დარგში არსებული გამოწვევები

ცირა მიქატაძე
ეკონომიკის დოქტორი, თსუ მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფაში თევზის წარმოების მნიშვნელობა და დარგში მწარმოებლების წინაშე არსებული გამოწვევები, აკვაკულტურის დარგის განვითარების პრობლემები.

დღეისთვის აკვაკულტურა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინდუსტრია, გრძელვადიანი, მდგრადი მდგომარეობისთვის. ზღვის პროდუქტებზე მოთხოვნა იზრდება. საქართველო ჰიდრორესურსებით მსოფლიოს ხუთეულშია, ხოლო აკვაკულტურა ძალზე სუსტადაა განვითრებული. მაშინ როცა ქვეყანას აქვს რესურსი, როგორც მტკნარი წყლის, ასევე საზღვაო სივრცეში მისი განვითარების. აკვაკულტურას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების და თვითუზრუნველყოფის კუთხით, ამასთან გააჩნია კარგი საექსპორტო პოტენციალი. ნაშრომში გაანალიზებულია დარგში არსებული პრობლემები, სახელმწიფო უწყებებსა და დარგობრივ ფერმერებს შორის აქტიური კომუნიკაციით დარგის განვითერბის ხელშეწყობის აუცილებლობა, კერძო და საჯარო სექტორის ერთობლივი ძალისხმევა, წარმოების საჭიროებების იდენტიფიცირება და ეფექტიანი ღონისძიებებიოს შემუშავება დარგში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

საკვანძო სიტყვები: *აკვაკულტურა; სასურსათო უსაფრთხოება; თევზის წარმოება; კერძო სექტორი*

მთელ მსოფლიოში გამუდმებით იზრდება მოთხოვნა ზღვის პროდუქტებზე. ამიტომ აკვაკულტურა მზარდი დარგია. იგი უამრავ სარგებელს სთავაზობს მსოფლიოს სტრესული კვბის სისტემების დივერსიფიცირებაში, წვლილი შეაქვს იმ ინდუსტრი-ებში, რომლებიც აწარმოებენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს.

აკვაკულტურა - წყლის ცოცხალი ორგანიზმის (თევზი, მოლუსკი, კიბოსნაირი, წყლის მცენარეები) ისეთი საშუალებების გამოყენებით მოშენებაა (კულტივირება, გამ-ოზრდა, გამრავლება) რომელთა მიზანია წარმოების გაზრდა გარემოს ბუნებრივი შესაძ-ლებლობების მიღმა.

FAO-ს (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) ბოლო კვლევების მიხედვით თევზის წარმოება მსოფლიოში ბოლო 50 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდება. მისი ყველაზე დიდი მომხმარებელები და იმპორტიორები არიან ევროკავშირი, ჩინეთი, იაპონია და აშშ. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში უფრო მეტი პოპულარობით ზღვებისა და ოკიანეების თევზეული სარგებლობს, ღია წყლებში თევზეულის შეზღუდული რესურსების გამო აკვაკულტურას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. აკვაკულტურის როლი საერთო რეწვაში იზრდება და 43%-ს შეადგენს, აქედან 54% აზიაზე მოდის, ხოლო 18% ევროპაზე.

თევზის საერთაშორისო ვაჭრობაში დიდი წილი მაღალფასიან სახეობებს (ორაგულს, სიგას, კრევეტებსა და მოლუსკებს) აქვთ, ასევე, შედარებით იაფფასიან ტოლაპიას, სომს, პანგანუსს და კობრს უკავია. ამ უკანასკნელზე საკმაოდ დიდი მოთ-ხოვნაა და მისი ძირითადი მწარმოებლები აზია და სამხრეთ ამერიკაა.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში ქართულ პროდუქციას უზარმაზარ ბაზართან წვდომის საშუალება მიეცა. მეწარმეებს ახალი შესაძლებლობების ფანჯარა გაეხსნათ, თუმცა მათ ადგილობ-რივი ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უჭირთ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგა-ნიზაციის რეკომენდაციით წელიწადში 1 სულ მოსახლეზე მინიმუმ 19კგ თევზს ანგარი-შობენ. ჩვენ წელიწადში 53 ათ. ტონამდე თევზი გვჭირდება, ჩვენი მოხმარება კი 30 ათას ტონას შეადგენს, საიდანაც მაქსიმუმ 5 ტონამდე ვაწარმოებთ.

საქართველო ჰიდრორესურსებით მსოფლიოს ხუთეულშია, ხოლო აკვაკულ-ტურის განვითარებით ბოლოდან მესამე ადგილზეა. ქვეყანას აქვს რესურსი, როგორც მტკნარი წყლის, ასევე, საზღავაო სივრცეში აკვაკულტურის განვითარების (საქარ-თველოს 860 ტბა და 42 წყალსაცავი აქვს), მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების და თვითუზრუნველყოფის კუთხით, ამასთან, გააჩნია კარგი საექსპორტო პოტენციალი.

საქართველოში თევზის წარმოება საწარმოო დონეზე სუსტად ვითარდება. სექტორის 90% ფერმერულ მეურნეობებზე მოდის და ეს ტენდენცია წლებია არ იცვლება. აკვაკულტურის სექტორი წარმოდგენილია შინამეურნეობებით და წვრილი მეურნეობებით, რომელთა წლიური წარმადობა არ აღემატება 8-10 ტონას. ამ მასშტაბის წარმოება ძირითადად სეზონური ხასიათისაა და ორიენტირებულია გაზაფხული-ზაფხულის პერიოდზე, როცა ტურისტული ნაკადები იზრდება.

საქართველოში ყოველწლიურად 30 ათ. ტონამდე თევზი იმპორტირდება, საკუთარი წარმოება კი 5 ათ. ტონამდეა წელიწადში, მაშინ როცა ბაზა, საშუალება და რესურსი საკმაოდ დიდია. გასულ წელს ქვეყნის ტერიტორიაზე ტბორებსა და წყალ-საცავებში წარმოებული თევზის 61% ოჯახურ მეურნეობაზე მოდიოდა თუ არ ჩავთ-ვლით ზუთხისებრ სახეობას, სადაც წარმოებული პროდუქციის 93% საწარმოებზე მოდის.

2022 წელს თევზის წარმოება შემცირდა და ჯამურმა წარმოებამ 2,792 ტ. შეადგინა, რაც 69 ტ-ით ნაკლებია 2021 წლის რეკორდულ მაჩვენებელზე. თევზებს შორის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ცისარტყელა კალმახი, რაც ორაგულისებრთა ოჯახს მიეკუთ-ვნება. მიზეზი ისაა, რომ იგი ცივი წყლის თევზია (მთის მდინარეების სიმრავლე და გამრავლების სიმარტივე კარგ გარემოს უქმნის მას). კალმახის შემდეგ ყველაზე გავრ-ცელებულია კობროსებრთა ოჯახი, შედარებით მცირეა ზუთხისებრი და ლოქოსებრი.

წარმოების უდიდესი ნაწილი კახეთსა და შიდა ქართლის რეგიონებზე მოდის. ეს გამოწვეულია რეგიონების თბილისთან სიახლოვით, რაც მთავარ სარეალიზაციო ბაზარს წარმოადგენს. შემდეგ მოდის გურია, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, აჭარა.

საქართველოში წარმოებული თევზი	
ცისარტყელა კალმახი	1016 ტ
კობრისებთა ოჯახი	572 ტ
სქელშუბლა	410 ტ
თეთრი ამური	232 ტ
ზუთხისებრი	178 ტ
ლოქოსებრი	32 ტ

თევზის წარმოება რეგიონების მიხედვით	
კახეთი	985 ტ
შიდა ქართლი	928 ტ
გურია	227 ტ
სამეგრელო- ზემო სვანეთი	168 ტ
სამცხე- ჯავახაეთი	138ტ
იმერეთი	123 ტ
აჭარა	112 ტ

ფერმერულ მეურნეობებში წარმოებული თევზისგან განსხვავებით შავი ზღვის სანაპიროზე დაჭერილი თევზი (ქაფშია) ქვოტებით განისაზღვრება, რომელსაც სახელ-მწიფო აწესებს სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერის საფუძველზე (წლიურად 60-90 ტო-ნამდე).

თევზის მოხმარება საქართველოში დაბალია და შეადგენს 8-10 კგ-ს, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი ევროპაში 25 კგ-ია, აზიაში კი 30-40 კგ. (ჩინეთში ეს მაჩევნებელი 1 სულზე 42 კგ-ს შეადგენს, ხოლო წელიწადში აწარმოებენ 69 მლნ ტონას, რაც მსოფლიო წარმო-ების 62%-ს შეადგენს).

ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება ძირითადად ხდება იმპორტირებული თევზით. ადგილობრივი წარმოება მთლიანი მოხმარების 10-15%-ს აკმაყოფილებს, იმპორტირებული თევზის 90% გაყინულია, ხოლო 10% მოდის ცოცხალ თევზსა და თევზის ფილეზე. იმპორტის 57% სომხეთიდანაა (რომელსაც ზღვა საერთოდ არა აქვს და აკვაკულტურა საქართველოზე უკეთესადაა განვითარებული), 28% თურქიდან, დანარ-ჩენი 15% მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან (ნორვეგია, ისლანდია, ესპანეთი). ახლი და გაცი-ვებული თევზი იმპორტირდება ნორვეგიდან და თურქეთიდან. დაბალი ღირებულების გამო იზრდება იმპორტი თურქეთიდან. ადგილობრივი წარმოების გამო ზაფხულში იმპორტი კლებულობს.

იმპორტთან შედარებით ექსპორტი მცირეა თურქეთის მიმართულებით და ძირითადად წარმოდგენილია ზღვაში დაჭერილი თევზით. 2022 წელს 19 ათ. ტონა თევზის იმპორტი განხორციელდა (49 მლნ დოლარი), ხოლო ექსპორტმა 949 ტონა (5 მლნ დოლარი) შეადგინა. თევზის იმპორტის გაზრდა გამოიწვია მოთხოვნის მკვეთრმა ზრდამ რაც მიგრანტების შემოსვლას მოჰყვა. პანდემიამდე ფერმერული მეურნეობის ძირითადი აქცენტი ტურისტულ სეზონზე იყო ორიენტირებული. პანდემიის გამო ტურიზმის სეზონის შეჩერებას მოჰყვა მასზე დამოკიდებული წარმოების შემცირება და უკანასკნელ პერიოდში მკვეთრი ზრდა.

აღსანიშნავია, რომ ქართული ხიზილალა იმპორტულთან შედარებით ადვილად შედის კონკურენციაში (ფასითაც და ხარისხითაც უმჯობესია ბევრზე). ქართულ პროდუქციას სტაბილური ფასი აქვს და იმპორტულზე 70%-ით ნაკლებია (1 კგ ფასი 150-160 ლ-მდე მერყეობს).

როგორია დარგის გამოწვევები?

მსოფლიოში არსებული ტენდენციით ტბორებსა და აუზებში მოშენებული თევზის წილი მთლიან წარმოებაში იზრდება, ხოლო მცირდება ზღვასა და მდინარეში დაჭე-რილი თევზის წილი. საქართველოს აკვაკულტურის განვითარების მაღალი პოტენ-ციალი აქვს, მაგრამ წარმოების მასშტაბები პოტენციალის მხოლოდ 9%-ის ათვისების საშუალებას იძლევიან. ჩვენთან წარმოებული თევზის მოხმარების საშუალო მაჩვენებელი 22 ათ. ტონიდან 30 ათ. ტონამდე მერყეობს. ეს კი მიუთითებს, რომ არსებული სიმძლავრეების ათვისების და ახალი ფერმერული მეურნეობების განვი-თარების შემთხვევაში ქვეყანაში წარმოებული თევზით შესაძლებელი იქნება არამარტო ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილება, არამედ ახალი ბაზრების ათვისებაც. აღსანიშნავია, რომ მთიან ადგილებში ფერმერები განსაკუთრებით გემოვნური თვისებების მქონე თევზს ზრდიან და პატარა მეურნეობებში გაშენებული თევზი გაცილებით მაღალხარისხიანია.

მიღებულია კანონი აკვაკულტურის შესახებ და შემუშავებულია ნორმატიული ბაზა, რაც ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას.

ბუნებრივი პირობების მიუხედავად სექტორი ნელი ტემპით ვითარდება და პრობლემების მოგვარება და დარგის განვითარება კერძო სექტორის წარმომადგენელთა ძალაზეა დამოკიდებული. 2015 წელს შეიქმნა ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია „ფორეჯი“, რომელიც აერთიანებს მწარმოებელებს და ეხმარება მათ ინფორ-მაციის და რესურსების მოპოვებაში. დარგის

გარკვეული პრობლემები აუცილებლად საჭიროებს საჯარო სექტორის ჩარევას რადგან ცდება კერძო სექტორის ძალისხმევას.

არასაკამარისი ცოდნის გამო თანამედროვე ტექნოლოგიებზე წვდომა შეუსაბამოა, ამიტომ მათ მუშაობას უფრო ექსპერიმენტული ხასიათი აქვს. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა იხტიოლოგების დეფიციტი (სპეციალისტები, რომლებიც ფერმერებს დაავა-დების დაძლევაში ეხმარებიან), რის გამოც ისინი ხშირად ანტიბიოტიკებს იყენებენ, რაც გადარჩენის დროებითი საშუალებაა და თევზს ქიმიკატებით გაჯერებულს ხდის.

ფერმერული მეურნეობები წარმოების პროცესის უმთავრეს პრობლემად თევზის დაავადებებს მიიჩნევენ. ქვეყანაში არსებული ლაბორატორიები არ იძლევიან საშუალებას ყველა ტიპის ბაქტერიასა და ვირუსზე ანალიზის ჩატარებისა, ამიტომ სათანადო კვლევით ლაბორატორიის არარსებობის გამო თევზსაშენებს დაავადებების პრევენცია უჭირთ, რაც ხშირად მათი დახურვის მიზეზია. აკვაკულტურის შესახებ კანონის ერთ-ერთი მოთხოვნა - თევზის ჯანმრთელობის კონტროლი საწარმოებში ვერ ხერხედება ლაბორატორიების უქონლობის გამო. ამავე მიზეზით ვერ ხერხდება ევროპის ბაზრისთვის ყველა იმ მაჩვენებლის შემოწმება, რომელიც ევროკავშირის მიერ მესამე ქვეყნებისთვისაა გაწერილი. ქართველი მეწარმეები ხელშეკრულებას აფორმებენ უცხოურ კომპანიებთან რაც ძნელია პატარა მეურნეობებისთვის; ისინი ხშირად გადადიან თურქეთში დაავადების იდენტიფიკაციისათვის. ასევე, არასაკმარისია საჭირო პრეპარატები.

დარგის პრობლემაა თევზის საკვების სიძვირე, რომელიც ბუნებრივიცაა და კომბინირებულიც. კომბინირებულის გამოყენება ვერ ხერხდება სიძვირის გამო, რაც ამცირებს ეკონომიკურ სარგებელს რადგან მეწარმეებმა, მომხმარებლები რომ არ დაკარგონ, ცდილობენ არ გაზარდონ სარეალიზაციო ფასი. მიუხედავად იმისა, რომ თევზის საკვების ძირითადი ინგრედიენტი - თევზის ფქვილი იწარმოება ჩვენს ქვეყა-ნაში, იმ საწარმოების მოწყობა, რომლებიც თევზის საკვებს უნდა აწარმოებდნენ ძვირადღირებულია, ხოლო ჩვენი წარმოება არასაკმარისი, რაც ინვესტირებისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორია.

დარგისთვის ასევე პრობლემატურია გამრავლებასთან დაკავშირებული საკითხი, რაც ქვირითის და ლიფსიტის არსებობაში გამოიხატება, მცირეა იმ მსხვილ მეურნეობათა რიცხვი, რომლებსაც ქვირითი საკუთარი წარმოებისთვის გამოჰყავთ და სხვასაც აწვდიან; ამასთან, მიწოდებას ხშირად აფერხებს გავრცელებული დავაადებების და მკურნალობის არასათანადო პირობებებით გამოწვეული მაღალი სიკვდილიანობა, რის გამოც მსხვილი მომხმარებლები იმპორტირებულ თევზს ანიჭებენ უპირატესობას.

შავი ზღვის სანაპიროზე საქართველოში დაჭერილი თევზი ევროპაში აღიარე-ბულია, რის გამოც ჩვენს მეწარმეებს ეძლევათ საშუალება ნედლი პროდუქტი და მისი გადამუშავებით მიღებული პროდუქცია (თევზის ფქვილი და თევზის ზეთი) გაიტანონ ევროპის ქვეყნებში; თუმცა გატანა ხდება ძალზე მცირე რაოდენობებით თურქეთისა და საბერძნეთის ბაზარზე, რადგან ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე მიღებული სათანადო დოკუმენტაცია ყოველთვის არაა ხელმისაწვდომი. ევროკავშირს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები და რეგულაციები აქვს. უცხოური ლაბორატორიების მომსახურება დიდი ფინანსურ და დროით დანახარჯებს უკავშირდება, რის გამოც აღარ რჩება ეკო--ნომიკური სარგებელი.

ჩვენს ქვეყანაში შავი ზღვის სანაპიროზე მოპოვებული ქაფშიის ნაწილი იყიდება თურქეთის ბაზარზე მალფუჭებადობის გამო, დანარჩენის გადამუშავებას ახდენენ თევზის ფქვილის და ზეთის სახით.

ამგვარად, დარგის გამოწვევად რჩება იხტიოლოგების ნაკლებობა, დაბალი ხარისხის ქვირითი, ძვირადღირებული საკვები, დაავადებების გავრცელება და დაბალი მწარმოებლურობა. მიუხედავად იმისა, რომ კომბინირებული საკვების ძირითადი კომპონენტის – ქაფშიის რესურსი ქვეყანას გააჩნია, წარმოების მცდელობამ ვერ გაამართლა დაბალი ხარისხის და საქართველოს ბაზრის მასშტაბების სიმცირის გამო. სპეციალისტების აზრით, აქ უმნიშველოვანესია მასშტაბური წარმოების განვითარება. სახელმწიფოს აქტიური ჩარევით და უცხოური ინვესტიციების მოზიდვით თანამედროვე კომბინირებული საკვების საწარმოს შექმნით, რაც ხელს შეუწყობს დარგის წარმატებით ფუნქციონირებას.

ასოციაცია „ფორეჯმა“ შექმნა საწარმო რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ზოგი-ერთი ქვეყნიდან ქვირითის იმპორტს და შემდგომ ლიფისტების გამოზრდას. ისინი ცდილობენ უწყვეტად მიაწოდონ მწარმოებლებს ქვირითი და ლიფსიტები, რაც მათ თევზის სტაბილურად წარმოების საშუალებას აძლევს.

დარგის განვითარებას ესაჭიროება სათანადო განათლებული კადრები. სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტრო პერიოდულად იწვევს უცხოელ სპე-ციალისტებს, მაგრამ აუცილებელია ქართველი პროფესიონალი კადრების მომზადება, რომლებიც ადგილობრივ პირობებს უკეთ იცნობენ. მნიშვნელოვანია სამეცნიერო- კვლევითი მხადაჭერა, ახალგაზრდების დაინტერესება და დარგის პოპულარიზაცია, საკონსულტაციო ცენტრების შექმნა ფერმერებისთვის, ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე აპარატურით. ამ საქმეში სახელმწიფოს მხარდაჭრა კერძო ინვესტი-ციების მოსაზიდად, რათა ეს ძვირადღირებული, მაგრამ აუცილებელი მომსახურება შეიქმნას, რომელიც შესაძლებელია რეგიონის სხვა ქვყნებისთვისაც იყოს ხელმისაწვდომი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და (FAO)-ს თანამშრომლობის შედეგად დასრულდა აკვაკულტურის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ლაბორატორიული სერვისების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვარშანიძე, ნ. (2020). ლურჯი ეკონომიკა - გამოწვევები და პერსპექტივები;
2. ვარშანიძე, ნ. (2021) ლურჯი ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციები და გამოწვევები. პროფესორ გ. წერეთლის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღ-ვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული „ეკონომიკის განვი-თარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“.
3. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (2022) მეთევზეობა და აკვაკულტურა. გაერთიანებული ერები. https//www.fao.org. /fishery/en/ aquacolture
4. სააგენტო: ს.ს. (2021) ანგარიში 2021. https//mta.gov.ge/uploands/2021
5. ევროკაშირი საქართველოსთვის ENPAPDM: (2021) სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა.
6. Jons R., Dewey B., and Seaver B. (2022) აკვაკულტურა. რატომ სჭირდება მსოფლიოს სურსათის წარმოების ახალი ტალღა. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.
7. FAO (2020) The State of World Fisheris and Aquacolture 2020. https//www.fao.org. 3(ca 9929 en/ca 9929en.pdf page =92)
8. EUMOFA (2022) About US. https//www.eumofa eu/about -us.

Current Challenges in the Field of Aquaculture and Future Prospects

Tsira Mikatadze
Invited Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses the importance of fish production for the food supply of the population and the challenges faced by producers in this area, as well as the problems in the development of the aquaculture sector.

Today, aquaculture is an extremely important industry for long-term, sustainable development. The demand for seafood is increasing. Georgia is one of the five largest water resources in the world and aquaculture is very poorly developed. While the country has the resources of both fresh water and marine space for its development. Aquaculture can play an important role in the country's food security and self-sufficiency while also having good export potential. The paper analyzes the problems on the ground, the need to promote the development of the field through active communication between government agencies and local farmers, the joint efforts of the private and public sectors, the identification of production needs and the development of effective measures to address them the challenges in this area.

Keywords: *aquaculture; Food inspection; fish production; private sector*

მოსეს ლიდერობის ზოგიერთი ბიბლიური გაკვეთილი

მერაბ მიქელაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

21-ე საუკუნეში ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ბიბლიას ცოტა ან არაფერი აქვს საერთო ლიდერობასთან და პიროვნებებს, რომლებიც ცხოვრობდნენ საუკუნეების წინ, არაფერი აქვთ შესათავაზებელი ლიდერობის სფეროში. თუმცა, ბიბლია ლიდერობის მაგალითების უდიდეს კოლექციას იტევს; სწორედ მოსეს მსგავს ლიდერებს ბევრი რამის შემოთავაზება შეუძლიათ ლიდერობის გასაზრებლად. ეფექტური ლიდერობისთვის დამახასიათებელი თვისებების ყველა თუ არა უმეტესი მდგენელი, მომდინარეობს ბიბლიიდან და ისეთი ლიდერიდან, როგორიც არის მოსე. ბიბლიის სწავლების მიხედვით: ***„რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი.“ (ეკლესიასტე 1:9)***

ამიტომ, გონივრულია, დავუბრუნდეთ ლიდერობის თეორიების ფესვებს და ვისწავლოთ პირველი გაკვეთილები ისეთი ლიდერებისგან, როგორიცაა მოსე.

მან, როგორც ყველა დროის უდიდესმა მენეჯერმა და ლიდერმა ღვთის შემწეობით დაამარცხა ეგვიპტის ძლევამოსილი ფარაონი, გაათავისუფლა ექვსასი ათასი მონა მონობისაგან და ხალხად აქცია. მოსეს კანონებმა, რომლებიც ჩამოყალიბდა ორმოცი წლის განმავლობაში, როდესაც ის ისრაელელებთან ერთად უდაბნოში ხეტიალობდა, საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანობის ეთიკურ ნორმებს

საკვანძო სიტყვები: *ლიდერობა, ლიდერი, ზნეობრივი ლიდერობა, ბიბლიური ლიდერი*

წმინდა წერილი მოგვიწოდებს, რომ გულდასმით და კრიტიკულად დავფიქრდეთ ჩვენს მისწრაფებაზე რომ ვუხელმძღვანელოთ ან ვიყოთ მმართველები. ბოლოს და ბოლოს, სწორედ მმართველები იყვნენ ისინი, ვინც უფალი ჯვარს აცვა **„სიბრძნეს, რომელიც ვერ შეიცნო ვერცერთმა მთავარმა ამა ქვეყნისა, ვინაიდან, რომ შეეცნოთ, ჯვარს აღარ აცვამდნენ დიდების უფალს.“ (პირველი კორინთელთა მიმართ 2:8)**

მაგრამ სკეპტიციზმი ლიდერობის, ძალაუფლებისა და ლიდერის და მისი მიმდევრების- ურთიერთობების შესახებ არ არის საბოლოო ქრისტიანული პასუხი ლიდერობის საკითხზე. წმინდა წერილი ასევე დადებითად აფასებს ლიდერობის აუცილებლობას და უამრავ ისტორიას გვთავაზობს იმათ შესახებ, ვინც მოწოდებულია თავის თავზე აიღოს ეს ტვირთი: **“გახსოვდეთ თქვენი წინამძღვარნი, რომელნიც გიქადაგებდნენ ღვთის სიტყვას, და მათი სიცოცხლის აღსასრულის შემყურენი ჰბაძავდეთ მათ რწმენას.“ (ებრაელთა მიმართ 13:7)** პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ ნათქვამია: **„მე მომბაძეთ, როგორც მე ვბაძავ ქრისტეს“ (პირველი კორინთელთა მიმართ 11:1)**

როგორც ეს ტექსტები გვიჩვენებს, ბიბლიური მტკიცებულებები არ გვაძლევს უფლებას უარვყოთ ლიდერობის კონცეფცია; მეორეს მხრივ, ის ასევე არ აღწერს ლიდერობას ჩვენს დროში გავრცელებული იდენტური ტერმინებით. ასე რომ, ჩვენს წინაშე დგება ამოცანა ვიფიქროთ ლიდერობის გამოწვევებზე იმ მაგალითების ფონზე, რომლებსაც ვპოულობთ ბიბლიურ ისტორიებში.

ბიბლიური ლიდერის არქეტიპია მოსე, რომელმაც ისრაელის ხალხი გამოიყვანა ეგვიპტის ტყვეობიდან და უდაბნოში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ აღთქმული მიწის საზღვრებამდე მიიყვანა. მი-

სი ისტორიის ყურადღებით წაკითხვა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ერთგული და ბრძენი ლიდერის რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი არსებობს.

პირველ რიგში, მოსეს ლიდერობა ღვთის თანაგრძნობის გამოვლინება იყო. როდესაც ღმერთმა მოსეს მიმართა ცეცხლმოკიდებული მაყვლოვანიდან, მან განაცხადა:

„თქვა უფალმა: ვიხილე ჩაგვრა ჩემი ერისა ეგვიპტეში და მომესმა ზედამხედველებისგან გამწარებულთა ღაღადი. რაკი გავიგე მისი გასაჭირი. ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში"(გამოსვლა 3:7-8)

ხალხის ტანჯვამ შეაძრწუნა ღმერთის გული და ამიტომ უხმო მოსეს, როგორც მათი განთავისუფლების ინსტრუმენტს. თუ მოსე გადაწყვეტდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, მაშინ მას უნდა გაეზიარებინა ღმერთის გულის ტკივილი. ეს იყო ღვთის სურვილი, რომ ხალხი გათავისუფლებულიყო მათი ზედამხედველებისგან.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რომლის წინაშეც ღმერთი დღეს გვაყენებს როგორც ლიდერებს, არის იმის დადგენა, თუ სად იტანჯება ხალხი მკაცრი ზედამხედველების მმართველობის ქვეშ. ნამდვილი ლიდერობა შეუძლებელია თანაგრძნობის გარეშე იმათ მიმართ, ვისაც უნდა უწინამძღვრო.

მოგვიანებით ამ ისტორიაში, ოქროს ხბოს შემთხვევის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ მოსეს თავის ხალხთან იდენტიფიცირების მთელ სიღრმეს, როდესაც ის თხოვს ღმერთს მათი ცოდვების მიტევებას და სთავაზობს კიდეც, რომ ამოშალოს იგი ღმერთმა საკუთარი წიგნიდან, რათა გამოსყიდოს ხალხის ცოდვა:

„უთხრა მოსემ ხალხს: დიდი ცოდვა გაქვთ ჩადენილი. ახლა ავალ უფალთან, ვინძლო ვაპატიებინო თქვენთვის ეს ცოდვა.

დაბრუნდა მოსე უფალთან და უთხრა: დიდი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალხმა: ოქროს ღმერთები გაიკეთა.

ახლა მიუტევე მათ ეს ცოდვა, თუ არა და, ამომშალე შენი დაწერილი წიგნიდან." (გამოსვლა 32:30-32).

მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი უარყოფს მოსეს თხოვნას, ეს ეპიზოდი ნათლად აჩვენებს მოსეს საკუთარ ხალხზე ზრუნვის მასშტაბს.

მეორე რიგში, მოსემ თავის თავზე აიღო ლიდერობა არა იმის გამო, რომ მას ეს სურდა, არამედ იმიტომ, რომ მოულოდნელად ზეციურად მოუწოდეს. ისტორიაში, როცა ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი **(გამოსვლა 3:1-10),** ჩვენ ნათლად ვხედავთ ღმრთისადმი მოკრძალებული შიშით აღვსილ მოსეს, რომელიც ჩუმი სიხარულით ისმენს ღმერთის სიტყვებს: **„ჩამოვედი, რომ ვიხსნა იგი ეგვიპტელთაგან და წავიყვანო მაგ ქვეყნიდან მადლიანსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც ღვარად მოედინება თაფლი და რძე, ქანაანელთა, ხეთელთა, ამორეველთა, ფერიზეველთა, ხივიელთა და იებუსეველთა ქვეყანაში." (გამოსვლა 3:9),**

სწორედ ამის შემდეგ მიმართავს ღმერთი მოსეს და ეუბნება მას:

„ახლა გაგგზავნი ფარაონთან, რომ გამოიყვანო ეგვიპტიდან ჩემი ერი, ისრაელიანები." (გამოსვლა 3:10)

მან აღმოაჩინა, რომ მოწოდებული იყო ღვთის და არა საკუთარი განზრახვის შესასრულებლად და ამოცანა, რომლისთვისაც ის იყო მოწოდებული ადამიანურად შეუძლებელი ჩანდა: დაპირისპირებოდა უძველესი ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ძლევამოსილ მმართველს მოთხოვნით „გაუშვი ჩემი ხალხი". ეს საზოგადოებრივი წინააღმდეგობა ეგვიპტის ძალაუფლებისადმი არ იყო ამბიციური პროექტი, რომელიც თავად მოსემ მოიფიქრა; პირიქით, ეს იყო ღმერთის მოულოდნელი მოწოდე-

ბის მოსმენის შედეგი, წარმოედგინათ ახალი განმათავისუფლებელი შესაძლებლობა და ემოქმედათ რწმენით, რათა ის რეალობად ქცეულიყო.

მოსეზე ცნობების ერთ-ერთი გასაოცარი თანმიმდევრული მახასიათებლები ის არის, რომ მან ღვთისგან მიიღო ხელმდასმა. ცეცხლმოკიდებული მაყვლოვანის ბუჩქის ისტორიაში, ფარაონთან დრამატული კონფლიქტის დროს, თუ სინას მთაზე ასვლისას ღვთის კანონის მისაღებად, მოსე უცვლელად არის წარმოდგენილი, როგორც წინამძღოლი, ვინც უსმენდა ღმერთს და რომელიც არა მხოლოდ ხელმძღვანელობდა ამით საკუთარ ქმედებებში, არამედ აყალიბებდა ღვთის ხალხის ცხოვრებას. ის იყო ღვთის სიტყვის ერთგული მიმღები და მასწავლებელი, ვისაც ღვთის სიტყვა ხალხამდე მიჰქონდა. მოსეს ეს თვისება აღწერილია ღმერთის მიმართვაში აარონისა და მარიამის მიმართ:

„თქვა: ისმინეთ ჩემი სიტყვები. თუ ვინმე გყავთ უფლის ქადაგი, ხილვაშივეცხადები, სიზმარში ვლაპარაკობ მასთან.

ასეთი არ არის ჩემი მორჩილი მოსე. მთელი ჩემი ერის ერთგულია იგი.

პირისპირ ველაპარაკები მას, ცხადლივ, და არა იგავურად. უფლის ხატებას ჭვრეტს იგი. რატომ არ გეშინიათ, ჩემს მორჩილს მოსეს რომ ჰკიცხავთ?“ (რიცხვნი 12:6-8)

მოსესთვის შესაძლებელი იყო „ღვთის მთელი სახლის“ მინდობა, რადგან ის შევიდა ღვთის თანდასწრებით და უსმენდა მას.

თუმცა, მოსე მხოლოდ დაკვირვებელი და განმჭვრეტი ფიგურა არ არის. ის უსმენდა ღმერთს და შემდეგ მოქმედებდა იმის მიხედვით, რაც მოისმინა. ის დაბრუნდა ეგვიპტეში და წარდგა ფარაონის წინაშე. მან დაჟინებით მოსთხოვა ღვთის ხალხს პასექის დღესასწაულის დაწესება:

ის ხელმძღვანელობდა ხანგრძლივ პილიგრიმულ მოგზაურობას ზღვის და უდაბნოს გავლით; მან გულმოდგინედ შეადგინა კიდობანისა და ღვთისმსახურების ინსტიტუტის პროექტი **(გამოსვლა 25:25-31)** მან შეარჩია 70 უხუცესი, რომლებმაც გაინაწილეს პასუხისმგებლობა მართვაზე **(რიცხვნი 11:16-25).**

რასაკვირველია, ინსტიტუციური მშენებლობა, რომლითაც ის იყო დაკავებული, მოითხოვდა უდაბნოში ხანგრძლივი მოგზაურობისთვის შესაფერისი დროებითი ფორმების შექმნას; მას არასოდეს აუშენებია ქალაქი ან ტაძარი. მაგრამ შესაძლოა სწორედ ამ მიზეზით ის გვთავაზობს ლიდერობის კარგ მოდელს დღეს, გარდამავალ და გაურკვევლობის ეპოქაში. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ის უსმენდა ღმერთს, რათა გაერკვია ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ღვთის მოხეტიალე ხალხის გადარჩენისა და კეთილდღეობის სტრუქტურას. შემდეგ კი ის ცდილობდა განეხორციელებინა ღვთის გეგმა, ელიდერა ხალხისთვის მაშინაც კი, როცა ისინი აგრძელებდნენ წუწუნს და „ჯიუტობას“.

ხალხის დაუმორჩილებლობა ერთდროულად მოითხოვდა მოსესგან კიდევ ერთი თვისების ქონასა და გამოავლენას - მის თავმდაბლობას. ისინი, ვინც ლიდერობენ, ხშირად ექვემდებარებიან სიამაყისა და თვითდამკვიდრების ცდუნებებს

ამიტომ რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ რიცხვთა წიგნის იმავე პასაჟში, სადაც წერია, რომ ღმერთი პირისპირ ელაპარაკა მოსეს და მიანიჭა მას ძალაუფლება, ასევე ვკითხულობთ შემდეგს:

„მოსე უთვინიერესი კაცი იყო დედამიწის ზურგზე“. (რიცხვნი 12:3)

ამასვე ეხება იესოს ქადაგება „ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ მიწას“. (მათეს სახარება 5:5)

თავმდაბლობის ეს თვისება ჩანს „გამოსვლის“ მესამე თავში. როდესაც მოსემ მოისმინა ღვთის მოწოდება ისრაელების ეგვიპტიდან გაყვანის შესახებ, მან პროტესტი გამოთქვა:

„უთხრა მოსემ ღმერთს: მე ვინ ვარ, ფარაონთან რომ წავიდე და გამოვიყვანო ისრაელიანები ეგვიპტიდან?“ (გამოსვლა 3:11).

მოსე ნათლად აცნობიერებდა საკუთარ ნაკლოვანებებს, მათ შორის მჭერმეტყველობასთან დაკავშირებით:

„უთხრა მოსემ უფალს: გევედრები, უფალო! მჭევრმეტყველი კაცი არ ვყოფილვარ არც გუშინ, არც გუშინწინ და არც მას მერე, რაც ლაპარაკი დამიწყე შენს მორჩილს. ბაგემძიმე და ენამძიმე ვარ.“(გამოსვლა 4:10).

ეს შეზღუდვები აიძულებდა მას რადიკალურად დაყრდნობოდა ღმერთს, რომელიც მასთან ყოფნას ჰპირდებოდა. ამასთან ერთად, ის იძულებული გახდა დაყრდნობოდა თავის ძმას აარონს, რომელიც იყო მოსეს საჯარო წარმომადგენელი, როდესაც ის ფარაონის წინაშე წარსდგა. მოსემ იცოდა, რომ მარტო ვერ შეძლებდა ამ მისიის შესრულებას. მას სჭირდებოდა თავისი ძმის დახმარება. და ეს ყველაფერი წარმატებით დასრულდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ღვთის ძალა დაეხმარებოდა. თავმდაბალმა ლიდერებმა კარგად იციან, რომ მათი საქმიანობის წარმატება არ არის დამოკიდებული მათ ბრწყინვალებაზე ან ნებისყოფაზე: **„თუ უფალი არ ააშენებს სახლს, ამაოდ გაირჯებიან მისი მშენებლები; თუ უფალი არ დაიცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობს გუშაგი.“ (ფსალმუნი 126:1).**

ზემოთმოტანილი მახასიათებლების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსეს, როგორც ლიდერის მოქმედება ეფუძნებოდა ღრმა ნდობას ღმერთის მიმართ, რაც მას საშუალებას აძლევდა, რომ დარჩენილიყო საკუთარი ხედვის ერთგული, თუნდაც წინააღმდეგობის პირობებში. ის არ ცდილობდა პოპულარობის მოპოვებას და საზოგადოებრივი აზრის კვლევების სათავეში ყოფნას; ამის ნაცვლად, ის მიჰყვებოდა იმ კურსს და ხედვას, რომელიც ღმერთისგან მისთვის იყო მოცემული.

„რიცხვნნი“ მე-12 თავში მოთხრობილ ამბავში აარონი და მირიამი შურით საუბრობენ მოსეს წინააღმდეგ, მაგრამ ის არ ცდილობს უარყას მათი კრიტიკა მისი ლიდერობის მიმართ. ამის ნაცვლად, ის მიენდო ღმერთს, რომ დაიცავდა მას არაკეთილმოსურნეებისაგან. უდაბნოში ხეტიალის ისტორიის განმავლობაში ხალხი დროდადრო ეწინააღმდეგებოდა და ჩიოდა მოსეს ხელმძღვანელობაზე, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ის ზოგჯერ ღრმად იმედგაცრუებული იყო, არასოდეს ყოყმანობდა და საფრთხის ქვეშ არ აყენებდა თავის მისიას. მან არ დაივიწყა ღვთის მიერ მისთვის მიცემული მოწოდება და 40 წლის მანძილზე ერთგული დარჩა, მიუხედავად საზოგადოებრივი აზრის ცვალებადობისა - იქნებოდა ეს თაყვანისცემა თუ აჯანყება.

რა თქმა უნდა დელიკატური საკითხია იპოვო განსხვავება მოწოდებისადმი ურყევ ერთგულებასა და სხვების რჩევებისადმი ჯიუტ წინააღმდეგობას შორის. ეჭვგარეშეა, განსხვავება დამოკიდებულია მოწოდების ჭეშმარიტებაზე, რომლის ერთგული რჩება ძლიერი ლიდერი. თუმცა, ძალიან ბევრს, ვინც დღეს ლიდერობისკენ მიისწრაფვის, ამოძრავებს ხალხის აღიარების სურვილი და იყენებს ამ აღიარებას, როგორც წარმატების ბარომეტრს. მოსე, კი პირიქით, არის ლიდერის მაგალითი, რომლის თვალი აღთქმული მიწისკენ, როგორც ჯილდოსკენ იყო მიპყრობილი.

და ბოლოს, მოსეს ისტორია გვახსენებს ჭეშმარიტებას, რომ უდიდესი ლიდერებიც კი ვერასოდეს მთლიანად ვერ ასრულებენ თავიანთ საქმეს. მათ უნდა განჭვრიტონ არა მხოლოდ საკუთარი მოკვდავობა, არამედ სხვა ლიდერების აღზრდისა და ჩამოყალიბების აუცილებლობაც, რათა მათ გააგრძელონ გაკვალული გზა. უთხრა მოსემ ისრაელის ხალხს:

„წინასწარმეტყველს, როგორც მე ვარ, შენი წიაღიდან, შენი მოძმეებიდან, დაგიდგენს უფალი, შენი ღმერთი. მას უსმინე.

მითხრა უფალმა: კარგი ქნეს, რომ ეს თქვეს.

შენ რომ ხარ, ისეთ წინასწარმეტყველს დავუდგენ მოძმეთა წრიდან, ბაგეზე დავუდებ ჩემს სიტყვებს და ის გამოგიცხადებს ყველაფერს, რასაც მე ვუბრძანებ.“ (მეორე რჯული 18:15-18)

და გამოყო იესო ნავინი მოსემ, როგორც თავისი რჩეული მემკვიდრე და დაავალა მას ღმერთის მფარველობით: **„შენ უნდა წაჰყვე ამ ერს იმ ქვეყანაში, რომლის მიცემაც ფიცით აღუთქვა უფალმა მის მამა-პაპას, შენ უნდა დაუნაწილო მათ სამკვიდროები.“ (მეორე რჯული 31:7)**

ბრძენი ლიდერების პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია ლიდერების შემდეგი თაობის იდენტიფიცირება და აღზრდა, რომელსაც მიჰყვება მათი ხელკურთხევა დაუმთავრებელი საქმეების გასაგრძელებლად.

სხვადასხვა ტრადიციებისა და წყაროების ანალიზის გარეშე, რომლებიც ერთად ქმნიან „გამოსვლის“ ეპოქას, ადვილად შეიძლება განვსაზღვროთ ორი წინააღმდეგობრივი ტენდენცია მოსეს შესახებ ბიბლიურ თხრობაში. ერთის მხრივ, არცერთ ბიბლიურ გმირს არ ეთმობა იმდენი ადგილი, რამდენიც მოსეს, და არცერთი მათგანისთვის ღვთიურ ძალას არ მიუენიჭებია ის, რაც მოსეს მიენიჭა. ღმერთმა გამოუცხადა მას თავისი დაფარული სახელი და დააკისრა უზარმაზარი მისია.

ბიბლიური გადმოცემის თანახმად, მოსე ერთადერთი შუამავალია ღმერთსა და ხალხს შორის. მხოლოდ ათი მცნება იყო ღვთის მიერ საყოველთაოდ გაცხადებული ყველა დანარჩენი კანონი, მცნება და მითითება ღვთის მიერ პირდაპირ მიეცა მოსეს, რომელიც იწერდა მათ და უამბობდა ხალხს. ღვთის ნებით, მან დააარსა უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები, რომლებმაც შემდგომში ჩამოაყალიბა ებრაული საზოგადოება და მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდა: მღვდელმსახურება, საკურთხეველი, რიტუალური სამსახური, სასამართლო ინსტანციები. მას ასევე მიეწერება ჯარის ფორმირება. ის იყო პირველი, ვინც ასრულებდა ამ ინსტიტუტების არსებობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

მეორე მხრივ,“ გამოსვლის“ მთელ ეპოპეაში მოსე წარმოდგენილია მხოლოდ როგორც ინსტრუმენტი ღმერთის ხელში. ეპოსის მთავარი გმირი თავად ღმერთია. გადამწყვეტ მომენტებში მოსე თითქმის ყოველთვის დაბნეულია, ზოგჯერ კი უმწეო. ის ელოდება ღვთის მითითებებს და ძალიან იშვიათად იღებს ინიციატივას. მოსე ღმერთს ეკამათება მხოლოდ მასზე დაკისრებული მისიის თავიდან აცილების ან ებრაელი ხალხის დაცვის მცდელობის დროს. ხუთწიგნეულში **(ბიბლიის პირველი ხუთი წიგნის სახელწოდება - დაბადება, გამოსვლა, ლევიანელთა, რიცხვნი, მეორე რჯული) მოსეს ზოგჯერ „ღვთის მსახურს“ უწოდებენ (რიცხვნი 12:7, 8; გამოსვლა 14:31; მეორე რჯული. 34:15).**

მცირე შეცდომის გამო ღმერთი მოსეს ართმევს უფლებას დააგვირგვინოს თავისი ცხოვრების მთავარი საქმე. ტრადიციულ ბიბლიურ ეგზეგეტიკაში ეს ტენდენცია ჩვეულებრივ აიხსნება მოსეს გაღმერთების შიშით. აქედან მოდის „ანტიგმირის“ თვისებები მოსეს სახებაში; ამიტომ, მოსეს საფლავის თაყვანისცემის თავიდან ასაცილებლად, საიდუმლოდ ინახება ის ადგილი, სადაც ის მდებარეობს.

მიუხედავად ამისა, მოსეს დემითოლოგიზებული სურათი ემსახურებოდა სხვადასხვა დროისა და ცივილიზაციის ლიდერის პროტოტიპს. ბევრი სხვა ლიდერის მსგავსად, მოსე არ იზრდებოდა თავის ხალხში, არამედ ის მათთან მოდის გარედან. დედის მიერ გადარჩენილი, ის ფარაონის სასახლეში იზრდებოდა. მას უფსკრული აშორებს თავისი დამონებული ძმებისგან, რომელიც წარმოიშვა მოსეს მიერ მიღებული განსხვავებული ცხოვრების წესისა და განათლების შედეგად, როგორც ჩანს ეგვიპტელი „ბრძენკაცებისა და ჯადოქრების“ სულისკვეთებით.:

„უთხრა უფალმა მოსეს და აარონს:

თუ გეტყვით ფარაონი, სასწაული მოახდინეთო, უთხარი აარონს: აიღე შენი კვერთხი და წინ დაუგდე ფარაონს! გველად იქცევა კვერთხი.

მივიდნენ ფარაონთან მოსე და აარონი და ისე მოიქცნენ, როგორც უფალს ჰქონდა მათთვის ნაბრძანები. წინ დაუგდო აარონმა თავისი კვერთხი ფარაონს და მის მსახურებს, და იქცა გველად.

უხმო ფარაონმა ბრძენკაცებსა და ჯადოქრებს. და მათაც, ეგვიპტის გრძნეულებმა, თავიანთი ჯადოსნობით იგივე გააკეთეს.

მოისროლეს თავ-თავიანთი კვერთხები და იქცნენ გველებად. მაგრამ შთანთქა აარონის კვერთხმა მათი კვერთხებ“ (გამოსვლა 7:8-12)

ახალგაზრდობიდან მოსეს გამძაფრებული სამართლიანობის გრძნობა ჰქონდა. მან მოკლა სასტიკი ეგვიპტელი ზედამხედველი. მისი მზადყოფნა, იბრძოლოს უსუსურებისთვის, მისი სიმამაცე და ფიზიკური ძალა აღაფრთოვანებს რეღუელის ქალიშვილებს. ისინი ფიქრობენ, რომ ის ეგვიპტელია.

მოსე არის ლიდერი, რომელიც გამსჭვალულია წმინდა მოვალეობა-მისიის შესასრულებლად, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდაც კი. მისი მისიაა:

- ✓ ისრაელის მონობისგან გათავისუფლება და ეგვიპტიდან გამოყვანა;
- ✓ გაფანტული დამონებული ტომების ხელახალი აღზრდა და მათი ერთიანი, ახალი რელიგიით შთაგონებულ ერად ჩამოყალიბება;
- ✓ ხალხის დაბრუნება მამათა სამშობლოში.

ეჭვებისა და ყოყმანის გადალახვით, მოსე იწყებს თავისი განზრახვის განხორციელებას და არანაირი რეალური ძალის გარეშე, გარდა სულიერი ძალისა, პოტენციური ლიდერის თვისებებისა და საკუთარი მოწოდების ღრმა რწმენისა, ის წარსდგება ძველი აღმოსავლეთის ყველაზე ძლიერი იმპერიის მმართველის წინაშე, რომელიც აღიარებულია ეგვიპტის ხალხის ღვთაებად. ფარაონის ირონიას, გადამწყვეტ უარს იმ კაცის თხოვნის შესრულებაზე, რომელიც საკუთარ თავს უცნობი ღმერთის მაცნედ წარმოაჩენს, არ შეუძლია მოსეს სულის დარღვევა. როგორც ლიდერმა, მან იცის, როგორ მოაქციოს წარუმატებლობის ჯაჭვი თავის სასარგებლოდ - ამგვარად, ის სარგებლობს იმ უბედურებებით, რომლებიც იმპერიას დაატყდა თავს.

წარმატებისა და წარუმატებლობის მონაცვლეობა თითოეული ლიდერის ხვედრია. მიუწვდომელი მიზნის მისაღწევად გამუდმებული ბრძოლის დროს, იცვლება მოსეს პიროვნებაც და მისი ხალხთან ურთიერთობაც. ქარიზმატული ლიდერიდან ის ინსტიტუციონალურ ლიდერად იქცევა. თავდაპირველად ის ხალხის აღიარებას პრობლემების დაუყოვნებლივ გადაჭრის გზით იმსახურებს, ის თვითონ სახალხო რევოლუციური ლიდერის სულისკვეთებით, ერთპიროვნულად ასრულებს ყველა ადმინისტრაციულ, სასამართლო და საკანონმდებლო ფუნქციებს. მოსეს და ხალხს შორის გარკვეული გაუცხოების დროს, რომელიც დაკავშირებული იყო კანონის გამოქვეყნებასთან და ოქროს ხბოს, როგორც კერპის თაყვანისცემასთან მოსე ქმნის რიგ ახალ ინსტიტუტებს.

ხალხი ხშირად უარს ამბობს მოსეს ავტორიტეტზე. იწყება ღია ბუნტები. მოსეს როგორც ინსტიტუციონალური ლიდერის რეაქცია, (განსხვავებით ქარიზმატული ლიდერობის პერიოდისა) მუდმივად ერთი და იგივეა: სასტიკი სასჯელი. როდესაც ხალხი, წინაპართა სამშობლოში ჩასვლისას, სულმოკლეობას გამოხატავს და მზად არის უარი თქვას საბოლოო მიზნის მიღწევაზე, მოსე მიდის დასკვნამდე, რომ ეგვიპტის მონობისგან გამოსული თაობის ფსიქოლოგია გამოუსწორებელია.

ახალი თაობის აღზრდისთვის ხანგრძლივი პროცესია საჭირო. მოსესთვის ცხადი ხდება, რომ მას არ მიეცემა საკუთარი მისიის ბოლო ეტაპის დასრულების შანსი. ის მთავარ ამოცანას იმაში ხედავს, რომ მოამზადოს ხალხი ქანაანში საცხოვრებლად და იქ იდეალური საზოგადოების შესაქმნე-

ლად. მოსეს ლიდერობა პატერნალიზმის სახეს იღებს. ის არის მფარველი, მასწავლებელი, აღ-მზრდელი, მქადაგებელი, რომლისთვისაც, ანტიკური მმართველებისგან განსხვავებით, ნორმაა არა წარსული, არამედ მომავალი.

ბიბლიური მოსე არის კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი, რომელიც დგას ზღვარზე, სადაც ისტორია ქმნის ლეგენდებს, ლეგენდები კი ისტორიას

დასკვნა

მოსეს ლიდერობის ზემოთმოტანილი ისტორიები, გვთავაზობს ბიბლიურ მოდელს იმის გასააზ-რებლად, თუ როგორ შეგვიძლია ერთგულად შევასრულოთ ლიდერის როლები, მაგრამ აქ აღწერი-ლი მოდელი ასევე ასახავს იმ გზას, ვინ არის ყველაზე ჭეშმარიტი ლიდერი, ვინც: **„ თუმცა ღვთის ხატი იყო, ნაძარცვად არ შეურაცხავს ღვთის სწორად ყოფნა. მაგრამ თავი დაიმცრო, მონის ხატი შეიმოსა და გარეგნობით კაცის მსგავსებად იქცა.“ (ფილიპელთა მიმართ 2:6 -7).**

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ იესო. მაგრამ ისევე როგორც მოსეს მოკრძალებული მსახურების ნიმუში, ასევე ჩვენი ლიდერობა უნდა ასახავდეს, ჭეშმარიტი ლიდერობის ნიმუშს, რო-მელიც ქრისტემ შექმნა. როდესაც ვფიქრობთ ჩვენს მოწოდებაზე ლიდერობისთვის, ღმერთმა მოგ-ვცეს თავმდაბლობა ვთქვათ: **"ვინ ვარ მე, რომ მივდივარ ფარაონთან და უნდა გამოვიყვანო ის-რაელიანები ეგვიპტიდან?"** და თუ ღმერთი დაჟინებით მოგვიწოდებს ლიდერობისკენ, მაშინ ღმერ-თმა მოგვცეს გამბედაობა, წავიდეთ ამ გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, თბილისი, „პალიტრა L“, 2013
2. http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/igavni/igavni-30.htm
3. THE OXFORD BIBLE COMMENTARY, John Barton, Oriel and Laing Professor of the Interpretation of Holy Scripture, University of Oxford, John Muddiman, Fellow of Mansfield College, Oxford, Oxford University Press 2001
4. Derek Prince, BIBLICAL LEADERSHIP, 1991 by Derek Prince Ministries–International
5. Моисей о менеджменте : Давид Браун ; М. : Слово, 2006
6. Моисей, Петр Люкимсон, М. : Молодая гвардия, , 2013
7. https://akademician.files.wordpress.com/2019/08/churchill-moses.pdf

Some Lessons by Moses from The Bible

Merab Mikelashvili
Professor
Georgian Technical University

SUMMARY

In the 21-st century, people can think that The Bible doesn't have much in common with leadership and the people, who lived centuries ago, don't have anything to offer to the idea of leadership. But, The Bible includes a huge collection of leadership examples; leaders like Moses offer a lot that help analyze leadership. According to The Bible: "What has been will be again, what has been done will be done again; there is nothing new under the sun." (Ecclesiastes 1:9).

Therefore it's reasonable to go back to the roots of leadership and learn from the leaders like Moses. He was one of the greatest managers of all time, who, by the help of the God, has defeated the Pharaoh of Egypt and has freed six-hundred thousand slaves. Law of Moses that were formed during 40 years while wondering into deserts with the Israeli people, had formed the ethical norms of the Christianity.

Keywords: *leadership, leader, ethical leader, biblical leader*

მცირე ბიზნესის ფინანსური შედეგების პროგნოზირება სიმულაციური პროგრამული მეთოდით[1]

თეა მუნჯიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლია კოზმანაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლეილა ქადაგიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დავით სიხარულიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაანალიზებულია საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებაში გამოყენებული მათემატიკური მეთოდები, მოდელები და ალგორითმები, „სკორინგის" სახელით ცნობილი სტატისტიკური მეთოდები და სხვა; ჩვენს მიერ შემუშავებული სიმულატორით FinSim-ით (მისამართი: FinSim.tsu.ge) შესაძლებელი გავხადეთ: - ალტმანის, სპრინგეიტის, ტაფლერის მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მოდელირება. ამ მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება ხორციელდება ერთი და მრავალი (მოდელში შემავალი ყველა) ცვლადით; FinSim-ით მოწმდება ჰიპოთეზები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებლის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ ანუ დასაბუთებულია შერჩეული ეკონომიკური მაჩვენებლებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობა; ანალიზისთვის აღებული იქნა მე-4 კატეგორიის 6 რეალური კომპანიის 3 წლის ფაქტობრივი ფინანსური მონაცემები: შპს ნიკა 95, შპს სეფო, შპს ოფისები, შპს კომერცია, შპს მეგობრობა, შპს ფარმაკონი. მოდელირების საფუძველზე შეირჩევა საწარმოს განვითარების ოპტიმალური ვარიანტი და ეს ვარიანტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს ფინანსური მდგრადობის მონიტორინგის ჩასატარებლად; საანალიზო საწარმოთა ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე შეფასდა მათი ფინანსური მდგრადობა; საწარმოთა განვითარების არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში გაკეთდება პროგნოზი მათი მოსალოდნელი მომავალი შედეგების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური მდგრადობა, Z-სკორინგის მოდელები, პროგრამული პაკეტი, გაკოტრება.*

სახელმწიფო შემოსავლების რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა დაწესებულებათა (ფინანსური ინსტიტუტები, კორპორატიული ორგანიზაციები, ფირმები, კომპანიები და სხვა, შემდეგში - ფინანსური ობიექტი) გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდობის პროგნოზირება. შესაბა-

[1] ნაშრომი მომზადებულია ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის 2023 წლის საფაკულტეტო გრანტის ფარგლებში

მისად, აქტუალურია განვითარებადი ქვეყნისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის შეფასების ობიექტური და გამოსაყენებლად მარტივი ხერხებისა და მეთოდიკის შექმნა და ქვეყნის მასშტაბით დანერგვა. ნებისმიერი შეფასება, როგორც ცნობილია, ემყარება, პირველ რიგში, ფინანსური ობიექტის ამსახველ მაჩვენებელთა სიმრავლის განსაზღვრას, მათ მნიშვნელობათა ანალიზსა და განზოგადებას.

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, საწარმოთა ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზირების მიმართულებით, ძირითადად გამოიყენება ისეთი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, როგორებიცაა: ალტმანის, სპრინგეიტის, ტაფლერის, ოლსონის, ლისის, ძვიჟევსკის და სხვა. ნებისმიერ მოდელში კოეფიციენტების მნიშვნელობების განსაზღვრის საფუძვლად აღებულია მოცემული ქვეყნის დარგის გაკოტრებული და ფინანსურად მდგრადი საწარმოების ამსახველი მრავალწლიანი სტატისტიკური მონაცემები. სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით განისაზღვრება კოეფიციენტების მნიშვნელობები.

2019 წლამდე, საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები გათავისუფლებულები იყვნენ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალდებულებისგან. ამიტომ საქართველოს საწარმოების გაკოტრებული და ფინანსურად მდგრადი ამსახველი მრავალწლიანი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.

ჩვენს მიერ აღებული იქნა ანალიზისთვის მე-4 კატეგორიის 6 რეალური კომპანიის 3 წლის ფაქტობრივი ფინანსური მონაცემები, ეს კომპანიებია: შპს ნიკა 95, შპს სეფო, შპს ოფისები, შპს კომერცია, შპს მეგობრობა, შპს ფარმაკონი.

რადგან მხოლოდ 3 წლის სტატისტიკური მონაცემებია აღებული, საწარმოთა გაკოტრების პროგნოზირების გადაწყვეტის ერთ-ერთი რაციონალური გზა არის სიმულაციური მოდელირება. ნებისმიერი სიმულატორის და, მათ შორის, საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზირების სიმულატორების დანიშნულებაა:

1. ზოგადი მოდელის საფუძველზე, რომელიც შეიძლება ეტალონურ მოდელად ჩაითვალოს, შემუშავდეს მოცემული საწარმოს რეალურ საქმიანობაში გამოყენებადი კონკრეტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი;
2. მოდელის საფუძველზე შეფასებულ იქნას კონკრეტული საწარმოს ფინანსური მდგრადობა და განხორციელდეს გაკოტრების პროგნოზი.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზირების ნებისმიერ მოდელში, ეკონომიკური არსიდან გამომდინარე, შერჩეული მაჩვენებლების გარდა, მნიშვნელოვანია ამ მოდელის b_i კოეფიციენტების მნიშვნელობების განსაზღვრა, რაც ამჟამად სტატისტიკური მონაცემების დამუშავებით ხორციელდება.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, b_i კოეფიციენტების მნიშვნელობები შეიძლება **სიმულაციის მეთოდით განისაზღვროს.**

აღსანიშნავია, რომ ამჟამად არსებული საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებაში გამოყენებული მათემატიკური მოდელების ავტორებისა და მკვლევართა გარკვეული ნაწილის განცხადებით, ნებისმიერი მათემატიკური მოდელი მოცემული ტიპის საწარმოებისა და ქვეყნისთვის უნივერსალურია და მისი გამოყენება შეიძლება ყველა ქვეყანაში. ეს თეზისი საფუძველს მოკლებულია და იგი მტკიცდება ექსპერიმენტებით.

სიმულაციის მეთოდით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება (არსებული მოდელებიდან კონკრეტული საწარმოს ადეკვატური მოდელისა და ამ მოდელში შემავალი კოეფიციენტების შერჩევა) განხილულია სტატიაში. მისი რეალიზა-

ცია ხორციელდება ჩვენს მიერ შემუშავებული პროგრამული პაკეტით FinSim. პროგრამა მრავალენოვანია. მასთან მუშაობა შეიძლება ქართულ, ინგლისურ და სხვა ენებზე. FinSim-ის **დანიშნულებაა:**

პირველი - შემუშავდეს მოცემული საწარმოს რეალურ საქმიანობაში გამოყენებადი, საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზირების კონკრეტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, მეორე - სწავლებისას ათვისებულ იქნეს S_i-ური საწარმოსთვის, ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავების ტექნოლოგია და მის საფუძველზე ვირტუალური საწარმოს მაგალითზე მოდელში შემავალი არგუმენტების მოდელირების შედეგად შემუშავებულ იქნას საწარმოს ფინანსურად მდგრადად ფუნქციონირების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები.

FinSim-ით S_i-ური საწარმოსთვის, ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს ადგენს სპეციალური უფლებებით აღჭურვილი პირი ე.წ. ანალიტიკოსი. მას უფლება აქვს, შეიტანოს ცვლილებები მონაცემებში, კონკრეტული საწარმოსათვის შეიმუშაოს კონკრეტული მოდელი და მოდელში შემავალი მოძებნილი კოეფიციენტების მნიშვნელობები დააფიქსიროს მონაცემების ბაზაში. S_i-ური საწარმოსთვის ფინანსური მდგრადობის შეფასებისა და გაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შედგენა სწავლების რეჟიმშიც ხორციელდება სტუდენტის მიერ. განსხვავება შემდეგია - სწავლების რეჟიმში შეუძლებელია ცვლილებების შეტანა მონაცემებში და კოეფიციენტების გამოთვლილი მნიშვნელობების დაფიქსირება მონაცემების ბაზაში.

FinSim-ით მოდელის შემუშავების დაწყებამდე, აუცილებელია, განხორციელდეს საწარმოების მიერ წარმოდგენილი პირველადი მონაცემების ანალიზი. საწარმოს ფინანსური საქმიანობის მონაცემები მოთავსებულია ვებგვერდზე https://reportal.ge. Si-ური საწარმოს მონაცემები ანალიტიკოსის მიერ გადმოიწერება Excel-ში.

ჩვენს მიერ აღებული იქნა მე-4 კატეგორიის 6 რეალური კომპანიის ფინანსური მონაცემები, რომელიც დამუშავებული იქნა FinSim-ში, შედეგად რეალიზებულია საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაკოტრების პროგნოზის შეფასება სამი მოდელით: ალტმანის მოდელით - არასამრეწველო საწარმოებისათვის, პირობითი სახელით Altman3, სპრინგეიტისა და ტაფლერის მოდელებით. ცხრილიდან ჩანს, რომ Altman3-ში გამოიყენება 7 მაჩვენებელი, ხოლო სპრინგეიტისა და ტაფლერის მოდელებში 6 მაჩვენებელი. ამ მოდელებში 6 მაჩვენებლიდან Altman3-დან გამოიყენება შესაბამით 4 და 3 მაჩვენებელი.

საწარმოთა სიაში საწარმოს დამატებას და ანალიტიკოსისთვის ამ საწარმოსთან მუშაობის უფლების მიცემას ადმინისტრატორი განსაზღვრავს.

ცხრილი 1.

№	მაჩვენებლების სია	FinSim-ში გამოყენებული მოდელები		
		Altman3	Springeit	Tafler
1	აქტივები სულ(ბალანსის ვალუტა)	√	√	√
2	სამუშაო(საბრუნავი) კაპიტალი	√	√	
3	გაუნაწილებელი მოგება	√		
4	მოგება გადასახადებისა და %-ის გადახდამდე (EBIT)	√	√	
5	სააქციო (საკუთარი) კაპიტალი	√		
6	მოკლევადიანი ვალდებულებები	√	√	√
7	გრძელევადიანი ვალდებულებები	√		√
8	ამონაგები(შემოსავალი) რეალიზაციიდან		√	√
9	მოგება გადასახადებით დაბეგვრამდე (EBT)		√	
10	მოგება რეალიზაციიდან			√
11	საბრუნავი (მიმდინარე) აქტივები			√

ახალი საწარმოსთვის მოდელში შემავალი მაჩვენებლების მნიშვნელობების ბაზაში ჩაწერა აუცილებლად დაწყებული უნდა იქნეს Altman3 მოდელით. მონაცემების ჩაწერისას, დანარჩენი ორი მოდელის Altman3-ის გამოყენებული იდენტური მაჩვენებლების მნიშვნელობების ჩაწერა პროგრამულად ხორციელდება. დანარჩენი ორი მოდელისთვის, **რედაქტირების რეჟიმში** ხორციელდება მხოლოდ განსხვავებული მაჩვენებლების მნიშვნელობების ჩაწერა. მოდელებისთვის ბაზაში ჩაწერილი უნდა იქნას მინიმუმ ბოლო 3 წლის მონაცემები.

ნებისმიერი ახალი მონაცემების დამატების, წაშლის ან რედაქტირებისას, ხორციელდება მოდელში შემავალი b_i კოეფიციენტების მნიშვნელობების დადგენა, ბაზაში ფიქსირება და წლების მიხედვით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება.

მონაცემების დამატების ან რედაქტირებისას, შესაბამის ველებში არგუმენტების მნიშვნელობების ჩაწერისა და ღილაკზე „ოპერაციები მონაცემებზე“ დაწკაპუნების შემდეგ, Altman3, Sprigeit, Tafler ეტალონური მოდელებისთვის ამოიხსნება წრფივი ოპტიმიზაციის ამოცანა, რომლის დროსაც ხორციელდება:

1. Z-ის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობების გამოთვლა;
2. Z-ის მნიშვნელობის 0,1 ბიჯით ცვლილებისას გამოითვლება Z-ის მნიშვნელობები;
3. Z-ის მნიშვნელობათა სიმრავლიდან აირჩევა ის ვარიანტი, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს ფინანსურად მდგრადობას;
4. კოეფიციენტების მოძებნილი მნიშვნელობები ჩაიწერება ცხრილის სვეტში „მნიშვნელობა1“ და დაფიქსირდება ბაზაში. კოეფიციენტების მოძებნა ხორციელდება არგუმენტების საშუალო მნიშვნელობებით;

5. დამატებული /სურ.1/ ან წაშლილი მონაცემების გათვალისწინებით, არგუმენტების საშუალო მნიშვნელობებით გადაითვლება წლების მიხედვით Z-ის მნიშვნელობები. შედეგები გამოიტანება ამავე გვერდზე /სურ. 2/.

	წელი	Arg1	Arg2	Arg3	Arg4	Arg5	Arg6	Arg7
Select	2020	77916	13423	-28392	7264	1599	321	46156
Select	საშუალო	77916	13423	-28392	7264	1599	321	46156

სურ. 1.

დამატებული მონაცემები



სურ. 2.

მოდელირების შედეგი

სურ. 1-ზე ასახულია სიტუაცია: მონიშნულია სტრიქონი “Altman3”. ველებში მონაცემების ჩაწერისა და ღილაკზე „ოპერაციები მონაცემებზე“ დაწკაპუნების შემდეგ:

- დამატებულია 2020 წლის მონაცემები;
- გამოთვლილია არგუმენტების 2020 წლის მნიშვნელობათა საშუალო (ცხადია, ამ შემთხვევაში საშუალო მნიშვნელობა ერთი წლის მონაცემის ტოლია), რის მიხედვითაც გამოთვლილია Z-ის მნიშვნელობები და მნიშვნელობათა სიმრავლიდან ამორჩეულია საწარმოს ფინანსური მდგრადობის ამსახველი Z-ის შესაბამისი კოეფიციენტების მნიშვნელობა. სისტემის მიერ ავტომატურად ამორჩეული Z-ისა და მისი შესაბამისი კოეფიციენტების მნიშვნელობების ამსახველი სტრიქონი, თვალსაჩინოებისთვის, ჩვენს მიერ მონიშნულია.
- შედეგი ასახულია ცხრილის სვეტში „მნიშვნელობა1“ და ჩაწერილია ბაზაში.

- ამავე დროს, ხორციელდება ახლად მიღებული მოდელის შემოწმება და ჩვენს მიერ ჩაწერილი მომავალი წლის მონაცემებით Z-ის გამოთვლა/სურ.3/. როგორც სურ.3-დან ჩანს, შემდეგ წელს საწარმოს ფინანსური მდგომარეობა კარგია - „საწარმო ფინანსურად მდგრადია, გაკოტრების ალბათობა მცირეა“. სურ. 4 და 5-ზე ნაჩვენებია საწარმოს ფინანსური მდგომარეების შეფასება სამი წლის მონაცემების გათვალისწინებით.

საწარმო	წელი	Z	აქტივები სულ (ბალანსის ვალუტა)	სამუშაო (საბრუნავი) კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მოგება გადასახდებისა და %-ის გადახდამდე (EBIT)	სააქციო (საკუთარი) კაპიტალი	მოკლევადიანი ვალდ-ები	გრძელევადიანი ვალდ-ები	რჩევა
შპს ნიკა95	2020	1.112	77916	13423	-28392	7264	1599	321	46156	საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა
შპს ნიკა95	საშუალო	1.112	77916	13423	-28392	7264	1599	321	46156	საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა

სურ.3

საპროგნოზო წლის საწარმოს ფინანსური შეფასება



სურ. 4.

მოდელირების შედეგი სამი წლის მონაცემების დამატების შემდეგ

საწარმო	წელი	Z	აქტივები სულ (ბალანსის ვალუტა)	სამუშაო (საბრუნავი) კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მოგება გადასახდებისა და %-ის გადახდამდე (EBIT)	სააქციო (საკუთარი) კაპიტალი	მოკლევადიანი ვალდ-ები	გრძელვადიანი ვალდ-ები	რჩევა
შპს ნიკა95	2019	1.2249	75890	10691	0	0	1599	296	51394	საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა
შპს ნიკა95	2020	0.9329	77916	13423	-28392	7264	1599	321	46156	დიდი ალბათობი გაკოტრებულია
შპს ნიკა95	2021	1.1687	74675	11232	-20260	8132	1599	0	34783	საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა
შპს ნიკა95	საშუალო	1.106	76160	11782	-16217	5132	1599	206	44111	საწარმო ფინანსურად მდგრადია. გაკოტრების ალბათობა მცირეა

სურ. 5.

სამი წლის მონაცემების გათვალისწინებით
საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება

ანალოგიური სამუშაოები ჩატარებულია კვლევის ობიექტებად შერჩეული საწარმოებისათვის, კერძოდ: შპს ნიკა 95, შპს სეფო, შპს ოფისები, შპს კომერცია, შპს მეგობრობა, შპს ფარმაკონი.

მოდელირების შედეგები გამოიტანება კლიენტის კომპიუტერში Excel-ის გარემოში. მიიღება ოთხი სახის უწყისი:

- ყველა საწარმოსა და მოდელის უწყისი წლების მიხედვით;
- შერჩეული საწარმოს და მოდელის უწყისი წლების მიხედვით;
- შერჩეული საწარმოს ყველა მოდელის უწყისი წლების მიხედვით;
- ანალიტიკოსის მიერ შემუშავებული მოდელების უწყისი;
- ერთი ცვლადით მოდელირების უწყისი.

შედეგები, რომელიც იქნა მიღებული 6 საწარმოზე, შესაძლებლობას გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ გაკოტრების ზღვარზე არცერთი კომპანია არ იმყოფება. ხოლო, მათი ფინანსური მდგრადობა მოკლე პერიოდში იცვლება. საწარმოს საშუალება აქვს, სწორად წარმართოს ბიზნესის შემდგომი საქმიანობა ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით.

ჩვენს მიერ შემუშავებული სიმულატორით FinSim (მისამართი: FinSim.tsu.ge) შესაძლებელია:

1. ალტმანის, სპრინგეიტისა და ტაფლერის მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების მოდელირება. ამ მოდელებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასება ხორციელდება ერთი და მრავალი (მოდელში შემავალი ყველა) ცვლადით;
2. FinSim-ით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ინტეგრირებული მაჩვენებლის სტრუქტურისა და შინაარსის შესახებ ჰიპოთეზების შემოწმება ანუ შერჩეული ეკონომიკური მაჩვენებლებით საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების შესაძლებლობის დასაბუთება;
3. შერჩეულ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის არსებული მხოლოდ ლოგიკური კავშირების საფუძველზე და საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ცალკეული მაჩვენებლისა და მაჩვენებელთა ერთობლიობის საიმედოობა/არასაიმედოობის ალბათობის გაანგარიშება;
4. გაანგარიშებული იქნეს ცალკეული მაჩვენებლისა და მაჩვენებელთა ერთობლიობის ხვედრითი წილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველ მონაცემებში;

5. საწარმოს მოსალოდნელი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ცალკეული მაჩვენებლისა და მაჩ-ვენებელთა ერთობლიობის ხვედრითი წილის ზემოქმედების მოდელირების განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **Tea Munjishvili, Zviad Sigua, Teona Shugliashvili** "Digital Transformation in Education_Self-study System "Cyber3s" Digital Management in Covid-19 Pandemic and Post-Pandemic Times: Proceedings of the International Scientific-Practical Conference (ISPC 2021). Springer International Publishing. (193-204 pp.)
2. **Tea Munjishvili, Akaki Mikaberidze** "The computer simulator-a modern training method of objects of an economic profile" International Journal of Advanced Trends in Computer Science and Engineering. 2019
3. **T Munjishvili, T Shugliashvili** CAPITAL STRUCTURE DETERMINANTS OF SMES IN CONDITIONS OF MODERN CHALLENGES - Ф 59 Фінансові інструменти сталого розвитку. 2023
4. **T Munjishvili** „Predicting of Enterprise's Financial Stability by Simulation Models", Globalization & Business, 2018
5. **Leila Kadagishvili,** "Challenges of the Priority Sectors of Entrepreneurship in Georgia", Governing Business Systems, Springer, Cham. 2018. 67-85pp.
6. **S Shaburishvili, L Kadagishvili,** "Challenges to the development of small and medium business in Georgia", Вісник Хмельницького національного університету. Економічні науки, 2018, pp.14-18
7. **Lia Kozmanashvili,** საქართველოს საგადასახადო სისტემის პრობლემები კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის პირობებში. «Central Ukrainian Scientific Bulletin. Economic Sciences», **Thesis** VIIIth International Scientific and Practical Conference. November 25, 2020 ISSN 2663-1636 (Print). 2020.
8. **Lia Kozmanashvili**, SOME PROBLEMS OF THE GEORGIAN TAX SYSTEM IN THE POST-PANDEMIC PERIOD, "THE PROBLEMS OF DEVELOPMENT OF THE WORLD AND NATIONAL ECONOMY, TAKING INTO ACCOUNT THE PANDEMIC AND RUSSIAN-UKRAINIAN WAR PERSPECTIVES", **Proceedings of Materials of International Scientific Conference Dedicated to the** 100**th Birth Anniversary of Doctor of Economic Sciences, Professor Giorgi Papava, 7-8 October, 2023.** (294-297 pp.).
9. www.saras.gov.ge
10. www.reportal.ge
11. www.kiber3.tsu.ge
12. https://rms.reportal.ge/
13. https://www.rs.ge/

Tea Munjishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lia Kozmanashvili
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Leila Kadagishvili
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
David Sikharulidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Shaburishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In the article Mathematical methods, models and algorithms used in the evaluation of financial sustainability of the enterprise, statistical methods known as ~scoring~, etc. are analyzed; With the simulator we developed with FinSim (address: FinSim.tsu.ge) we have made it possible: - Modeling the financial sustainability assessment of the enterprise with Altman, Springgate, Tafler models. The financial sustainability of the enterprise is assessed by one and many (all included in the model) variables; FinSim examines the hypotheses on the structure and content of the integrated indicator of the assessment of the financial condition of the enterprise, i.e. it is substantiated in the selected economic indicator to be able to assess the financial condition of the enterprise Loyalty; Actual financial data of 3 years of 6 real companies of the 4th category were taken for analysis: Nika 95 LLC, Sefo Ltd., Offices Ltd., Commerce, LLC Friendship, Pharmacon LLC. On the basis of modeling, the optimal option for the development of the enterprise is selected and this option can be used to monitor the financial sustainability of the enterprise; Based on the factual data of the analysis enterprises, their financial sustainability was assessed; If the existing trends in enterprise development are maintained, a forecast will be made about their expected future results.

Keywords*: Financial Sustainability, Z-Scoring Models, Software Package, Bankruptcy.*

ჯანსაღი კვება მდგრადი მარკეტინგის კონტექსტში

ბაბულია მღებრიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიის ავტორი ჯანსაღ კვებას, განიხილავს რა ადამიანის ჯანმრთელად ყოფნის აუცილებელ პირობად, ახასიათებს მას მდგრადი განვითარებისა და მდგრადი მარკეტინგის კონტექსტში. მისი აზრით, ჯანსაღ კვებასა და მდგრად განვითარებას შორის ორმხრივი კავშირი არსებობს. ერთი მხრივ, ჯანსაღი კვება ხელს უწყობს ადამიანების ჯანმრთელად ყოფნას და ამ გზით მათ აქტიურობას მდგრადი განვითარების მიღწევაში. მეორე მხრივ, სწორედ მდგრადი განვითარებით და მდგრადი მარკეტინგის განხორციელებით არის შესაძლებელი ჯანსაღი საკვების საწარმოებლად პირობების შექმნა და ადამიანის ჯანმრთელად ყოფნისთვის ხელის შეწყობა. სტატიის ავტორი იზიარებს მოსაზრებას, რომ ჯანსაღი კვებით საზოგადოების დასაინტერესებლად აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სოციალური მარკეტინგი, რომლის შესაძლებლობები საქართველოში, ჯერჯერობით, ან/ვერ გამოიყენება. სტატიის ავტორს მიაჩნია, რომ ქართული ტრადიციული სამზარეულოს გონივრულად გამოყენება ჯანსაღ კვებას უზრუნველყოფს იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მიწა და წყალი, ჰაერი და ტყე, მთელი გარემო სათანადოდ იქნება დაცული არახელსაყრელი ზემოქმედებისგან.

საკვანძო სიტყვები: *ჯანსაღი კვება, ჯანმრთელობა, მდგრადი განვითარება, მდგრადი მარკეტინგი, სოციალური მარკეტინგი*

მდგრადი განვითარების გარეშე საფრთხე შეექმნება არა მხოლოდ მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ დღევანდელ თაობასაც. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ეს ჭეშმარიტებაა თანამედროვე საზოგადოების მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე ნაწილისთვის, რაც დასტურდება უკრაინაში წამოწყებული და უკვე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარე ომით. ომი და მდგრადი განვითარება ურთიერთსაპირისპირო ცნებებია. შუაგულ ევროპაში მიმდინარე ომის პირობებში რომელ მდგრად განვითარებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?! ადამიანების ნაწილი დაიღუპა, ნაწილს მოუწია საცხოვრებელი ადგილების დატოვება და სხვა ქვეყნებისთვის თავის შეფარება. ნაწილი ადამიანებისა ადგილზე დარჩა და მუდმივი საფრთხის პირობებში აგრძელებს არსებობას. განადგურდა უკრაინის ბევრი რეგიონის გარემო ნაწილობრივ ან მთლიანად. ომმა შეცვალა არა მხოლოდ დაპირისპირებული ქვეყნების, არამედ ბევრი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, გააუარესა ადამიანების ცხოვრების პირობები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მსოფლიო საზოგადოების ძირითადი ნაწილი მაინც იბრძვის მდგრადი განვითარების მიმართულებით დასახული მიზნების მიღწევისთვის. ასეა საქართველოშიც. ქვეყანა ცდილობს, ეროვნულ პრიორიტეტად აღიარებული, მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად განსაზღვრული, ამოცანების რეალობად გადაქცევას.

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანია ადამიანების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიღწევა. ჯანმრთელობის უზრუნვლყოფის მდგრადი განვითარების მიზნებში შეტანა შემთხვევითი არ არის, რადგან მხოლოდ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, სრულფასოვნად, საკუთარი ოჯახისა და მთლიანად ქვეყნის წინაშე. ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევა არის ის ძირი-

თადი მიზანი, რომლის განხორციელებაზეც უშუალოდ არის დამოკიდებული მდგრადი განვითარების დანარჩენი მიზნების შესრულება [Mghebrishvili, B. 2019:2]. ამიტომ არის საჭირო ზრუნვა ადამიანების ჯანმრთელობისთვის. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტია [2021-2024 სამთავრობო პროგრამა, 2020:37]. ამ მიმართულებით საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ ჯანდაცვის სისტემაში პრობლემები, ჯერ კიდევ, მაინც ბევრია. ამასთან, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შექმნით ვერ გადაწყდება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, თუ თვითონ ადამიანებმა არ იზრუნეს საკუთარ ჯანმრთელობაზე და ბიზნესმა არ განახორციელა საქმიანობა მდგრადი მარკეტინგის პრინციპების შესაბამისად.

ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ცხოვრების ჩვეულებრივ პირობებში, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, ვლინდება ჯანსაღი კვებითა და ფიზიკური აქტივობით, რომელიც, თავის მხრივ, ფიზიკური ვარჯიშით, სპორტით დაკავებით არის შესაძლებელი. ამჯერად ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა ჯანსაღი კვება, რომელიც თანამედროვე საქართველოს აქტუალური პრობლემაა [თოდუა ნ. (2018:45]. ჯანსაღ კვებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის შესრულება ავადმყოფი ადამიანების განკურნებაში. ის დაავადებათა თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაცაა.

კვლევის შედეგები

ჯანსაღ კვებასა და მდგრად განვითარებას შორის ორმხრივი კავშირი არსებობს. ჯანსაღი კვება, ადამიანების ჯანმრთელობის უზრუნველყოფაში თავისი როლის შესრულებით, ქმნის პირობებს მდგრადი განვითარებისთვის, რადგან მხოლოდ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებს შეუძლიათ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში მონაწილეობის მიღება. ამასთან, სწორედ მდგრადი განვითარება, ბიზნესსაქმიანობის მდგრადი მარკეტინგის პრინციპების საფუძველზე განხორციელება, ქმნის პირობებს იმისთვის, რომ ადამიანები იყვნენ ჯანმრთელნი და იზრუნონ ჯანსაღ კვებაზე. ასეთი ურთიერთქმედების პირობებში შესაძლებელი ხდება საზოგადოების სწორი მიმართულებით განვითარება. სამწუხაროდ, ყველა ადამიანი არ არის ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი. ასეთ ადამიანებს, თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ან არ შეუძლიათ საზოგადოებისთვის სარგებლობის მოტანა ან შეგნებულად ხელს უშლიან საზოგადოების სწორი მიმართულებით განვითარებას. ადამიანთა იმ ნაწილს, რომელიც ხელს უშლის მდგრად განვითარებას, ჩვენი შეხედულებით, არ ესმის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა დედამიწისთვის, ადამიანთა საზოგადოებისთვის ან კიდევ ყველაფერს, შეგნებულად, აკეთებს ისე, რომ თვითონ ნახოს სარგებელი. უცოდინარი ადამიანების სწორ გზაზე დაყენება, ვფიქრობთ, შესაძლებელია, მთავარია მათთან ურთიერთობის ენის გამონახვა, მათი სწავლება და დარწმუნება. ამ ტიპის ადამიანების მდგრადი განვითარებით დაინტერესების ერთ-ერთ გზად გვესახება მათი სწორად ინფორმირება მდგრად განვითარებასა და ადამიანების ჯანმრთელობას, აგრეთვე, ჯანმრთელობასა და ჯანსაღ კვებას შორის კავშირზე. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ყველაფერს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს უქვემდებარებენ, მათ შორის საზოგადოების მიმდინარე და მომავალ კეთილდღეობასაც, მათთან ურთიერთობა არ არის მარტივი. ამ კატეგორიის ადამიანების მდგრადი განვითარების მიმართ დამოკიდებულება, სავარაუდოდ, არ შეიცვლება, თუ მათ სარგებელს საფრთხე შეექმნება. ეს ადამიანები მით უფრო საშიში არიან, რაც უფრო მაღალი ადგილი უკავიათ საზოგადოებაში, იერარქიული კიბის მაღალ საფეხურზე იმყოფებიან. მაგრამ, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და საზოგა-

დოებამ უნდა იბრძოლოს მათ „გონზე მოსაყვანად“, უნდა დაანახოს მათ, რომ მხოლოდ მდგრადი განვითარების პირობებშია შესაძლებელი ჯანსაღი კვება, რომელზეც არის დამოკიდებული ადამიანების ჯანმრთელობა.

ჯანსაღ კვებას ყურადღება უძველეს წარსულშივე მიექცა. ჯერ კიდევ ჰიპოკრატე ამბობდა: „დაე, თქვენი საკვები თქვენი წამალი იყოს, ხოლო წამალი-კვება“. ადამიანები უძველეს დროშივე მიხვდნენ, რომ საკვები აძლევდა მათ ენერგიას და რაც უფრო სრულყოფილი იყო მათი კვება, მით უფრო მეტი შანსი არსებობდა იმისთვის, რომ მათ ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებები მიეღოთ და გაეხანგრძლივებინათ სიცოცხლე. დღეს ადამიანების მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს ჯანსაღად კვება, რაც, საკმაოდ ხშირად, გამოწვეულია არა ფინანსების ნაკლებობით, არამედ საცალო სავაჭრო ქსელში არაჯანსაღი კვების პროდუქტების დიდი რაოდენობით არსებობითა და ცხოვრების აჩქარებული რიტმით. მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასა და ჯანსაღი კვების პრობლემის გადაწყვეტაში საცალო ვაჭრობას დიდი როლის შესრულება შეუძლია. ამისთვის საჭიროა საცალო სავაჭრო საწარმოების სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს საცალოდ მოვაჭრეების დარწმუნებას სოციალური პასუხისმგებლობით ფუნქციონირების ხელსაყრელობასა და მომგებიანობაში როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, ისე თვითონ საცალოდ მოვაჭრეებისთვის [მღებრიშვილი ბ., ურუტაძე ე., ვეშაგური მ. (2023)].

სოციალური პასუხისმგებლობით მუშაობა ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: მარკეტინგული ეთიკის მოთხოვნების აქტიურად დაცვა; გარემოს დაცვის საკითხების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა; საზოგადოების სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება [მღებრიშვილი ბ., ურუტაძე ე., ვეშაგური მ. 2022:323]. ე.ი. საცალო ვაჭრობის მენეჯერების ზნეობრივად მუშაობა, მათ მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს ეთიკური ნორმებისა [Mghebrishvili B. (2014)] და გარემოს დაცვა [[Mghebrishvili B., Mghebrishvili A., Atoshvili T. (2020)], აგრეთვე, საზოგადოების სოციალური პრობლემების მოგვარებაში ჩართვა აუცილებლობას წარმოადგენს. ასეთი მიდგომით საცალო ვაჭრობა ჯანსაღი კვების პრობლემის მოგვარებაში დიდ წვლილს შეიტანს. საზოგადოების ჯანსაღი კვებით დაინტერესებაში, სხვა საშუალებებთან ერთად, დიდი როლის შესრულება სოციალურ მედიას შეუძლია. სოციალური მედია თავისი ქსელებით სერიოზულ ბერკეტს ფლობს მომხმარებლებზე ზემოქმედებისთვის [ჯაში ჩ. (2020)] და ეს ბერკეტები აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ადამიანების საკეთილდღეოდ.

ჯანსაღი კვების, და საერთოდ კვების, მიმართ სხვადასხვა ერში, საუკუნეების განმავლობაში, განსხვავებული დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. ამას საფუძვლად მათი ცხოვრების განსხვავებული ბუნებრივი, სამეურნეო და სოციალური პირობები, აგრეთვე, რელიგიური რწმენა, დაედო. ცხადია, განსხვავებულ გარემოპირობებში ცხოვრება განსხვავებული კვების პროდუქტების შექმნის შესაძლებლობას იძლევა. ადამიანები საუკუნეების განმავლობაში თავიანთ საკვებ პროდუქტებს ქმნიდნენ იმ ნედლეულისგან, რომელსაც არსებული ბუნებრივი გარემოს პირობებში მოიპოვებდნენ. შექმნილი კვების პროდუქტები, როგორც წესი, ადამიანებს არსებული კლიმატის პირობებში ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებას აძლევდა. ამის შედეგია ის, რომ ყველა ხალხს თავისი, ისტორიულად ჩამოყალიბებული, ტრადიციული სამზარეულო აქვს, რაც დამოკიდებულია წეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე, რეგიონის გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებზე [კოღუაშვილი პ., გახოკიძე რ. (2022)]. საქართველოშიც, სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩამოყალიბდა განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, კვების კულტურა, რომელსაც დღეისთვის დაცვა სჭირდება.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, როცა აქტიურად მიმდინარეობს ერების დაახლოების პროცესი, სხვადასხვა ერის კვების კულტურაც, გარკვეულწილად, იცვლება, თუმცა, მაინც ინარჩუნებს თავის ტრადიციულ სახეს. ამას, სავარაუდოდ, განაპირობებს ის გარემოება, რომ კვების კულტურა გენეტიკური კოდის მატარებელია. თითქოს ადამიანს „ახსოვს“, თუ როგორ იკვებებოდნენ მათი წინაპრები უძველეს წარსულში [კოღუაშვილი პ., გახოკიძე რ. (2022)] და, მისდაუნებურად, ცდილობს თვითონაც მსგავსად იკვებოს. ეს პროცესი სხვადასხვა ერში, ჩვენი აზრით, მეტნაკლებად ერთნაირად მიმდინარეობს. მიუხედავად აღნიშნულისა, გლობალიზაციის ეპოქაში მაინც არსებობს ალბათობა იმისა, რომ ტრადიციული კერძები გაქრეს ერების სამზარეულოებიდან. არც ერთმა ერმა არ უნდა დაუშვას, რომ ტრადიციული ჯანსაღი კვების პროდუქტები თანამედროვე არაჯანსაღი კვების პროდუქტებით ჩანაცვლდეს.

ადამიანი, პირველ რიგში, ბიოლოგიური არსებაა. ის კვების გარეშე სიცოცხლეს ვერ შეინარჩუნებს. მაგრამ, თუ საკვები ჯანსაღი არ იქნება, ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ამიტომ არის საჭირო ზრუნვა საკვების სიჯანსაღეზე. ეს კარგად იცოდნენ ყველა ერის წარმომადგენლებმა და ცდილობდნენ ისეთი საკვები პროდუქტების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მათ სიამოვნებასაც მოუტანდა და ჯანმრთელად ყოფნაშიც დაეხმარებოდა. თუმცა, გამონაკლისები ყველა ერში და ყველა დროში ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. ადამიანთა ნაწილი დიდი სიამოვნებით მიირთმევს არაჯანსაღ საკვებს. მაგრამ, ამან ტრადიციულ სამზარეულოს საფრთხე არ უნდა შეუქმნას. ქართული სამზარეულო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რასაც განაპირობებს საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები. პირველ რიგში, ბუნებამ მისცა ქართველ ხალხს შესაძლებლობა, რომ მრავალფეროვანი საკვები პროდუქტები შეექმნა. ამ საკვები პროდუქტებით ქართველები კვებაზე მოთხოვნილებასაც იკმაყოფილებდნენ და ჯანმრთელობასაც ინარჩუნებდნენ. ამასთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილი შემდეგს აღნიშნავდა: საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნების საფუძველზე ქართველმა ერმა შექმნა მრავალნაირი საკვები და სასმელი, რომლითაც ის თავის ჯანმრთელობასაც იცავს და გემოვნების მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებს. ამის დასადასტურებლად მარტო ჩურჩხელას მაგალითიც საკმარისია. ტრადიციული ქართული კვების პროდუქტები განსხვავებულია საქართველოს კუთხეების მიხედვითაც. ამ პატარა ქვეყანაში მთებიც არის და დაბლობებიც, ზღვაც და ნახევრად უდაბნოც. ასეთ პირობებში, ცხადია, განსხვავებული პირობები არსებობს ტრადიციული საკვების შექმნისა და გამოყენებისთვის. ასეც მოხდა. განსხვავებული ტრადიციული კვების პროდუქტები შექმნეს საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა მთასა და ბარში, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. ამ კვების პროდუქტების შენარჩუნება ყველა ქართველის ვალია.

საკვები პროდუქტების წარმოებისთვის აუცილებელია ნაყოფიერი მიწის, სუფთა წყლის, სუფთა ჰაერის, ბიოლოგიური მრავალფეროვნების, ე.ი. ცოცხალი საკვების, შენარჩუნება [კოღუაშვილი პ. (2010)]. ასე რომ, მიწისა და წყლის, ჰაერისა და ტყის, მთელი გარემოს გაფრთხილება აუცილებელია. ადამიანებმა უნდა იცხოვრონ მდგრადი განვითარების პრინციპებით, რომ არ მიაყენონ ზარალი დედაბუნებას. ასეთ პირობებში საფრთხე არ დაემუქრება ადამიანების კვებას. ჯანსაღი გარემო ხომ ჯანსაღი საკვები პროდუქტების შექმნის საშუალებას იძლევა. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: ჯანსაღი კვება პირდაპირ არის დაკავშირებული მდგრად განვითარებასთან. მხოლოდ მდგრადი განვითარების პირობებშია შესაძლებელი როგორც თანამედროვე, ისე მომავალი თაობების ჯანსაღად კვება და მათი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა.

ჯანსაღი კვება არის იმის გარანტია, რომ ადამიანის ორგანიზმი იქნება ჯანსაღი. მაგრამ, ადამიანებს, პირველ რიგში, ბავშვებსა და ახალგაზრდებს, უჭირთ ჯანსაღად კვება. მათ ეძნელებათ, რომ

უარი თქვან მათთვის საყვარელ საკვებზე, იქნება ეს სხვადასხვა ტკბილეული თუ ცხიმებით გაჯერებული სწრაფი კვების ობიექტების პროდუქტები [7]. როგორც პრაქტიკა უჩვენებს, არაჯანსაღი კვების პროდუქტები ადვილი ასატანია ახალგაზრდობაში, მაგრამ ასაკის მომატებასთან ერთად ადამიანს მათი მიღება ჯანმრთელობის პრობლემებს უქმნის. ასაკში ცხოვრება უადვილდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ჯანსაღად იკვებებოდნენ მთელი ცხოვრების მანძილზე და ასაკში შესულებიც ჯანსაღად იკვებებიან.

მაინც რას ნიშნავს ჯანსღი კვება? ჯანსაღ კვებაში იგულისხმება ადამიანის მიერ ორგანიზმისთვის საჭირო ნივთიერებების, კერძოდ, ცილების, ჯანსაღი ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალების, ვიტამინების, წყლის, რეგულარულად, საკმარისი რაოდენობითა და საჭირო თანაფარდობით მიღება. ჯანსაღად კვება, ნამდვილად, არ ნიშნავს მკაცრ აკრძალვებს. ის არის ადამიანის მიერ ჯანსაღი წარმოების პროდუქტების დაბალანსებულად მიღება. ცხადია, კვების ყველა პროდუქტს თავისი დანიშნულება აქვს. სწორედ, საკვები პროდუქტების დანიშნულების შესაბამისად და ოპტიმალური თანაფარდობით გამოყენება განაპირობებს ადამიანის დიდხანს და ჯანმრთელად ცხოვრებას. ეს ინფორმაცია რეგულარულად უნდა მიეწოდოს ადამიანებს. ამისთვის არსებობს საზოგადოებრივი ინსტიტუტები.

როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ერს აქვს თავისი კვების კულტურა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ქართული სამზარეულო, ტრადიციული ქართული კვების კულტურა სხვა ერების კვების კულტურას სჯობია. მაგრამ, ის, ნამდვილად, უნიკალურია. ქართული სამზარეულო საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და სულ უფრო სრულყოფილი ხდებოდა. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ქართული კვების კულტურა ქართულ ღვინოს ეფუძნება. ბევრმა ქართულმა კვების პროდუქტმა (პური, ღვინო . . .) საუკუნეებს გაუძლო, დღემდე მოაღწია და შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მხოლოდ ქართველებში, არამედ უცხოელებშიც. ქართული კვების კულტურა უნდა შევინარჩუნოთ. ეს, როგორც უკვე ითქვა, არ არის მარტივი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს უნიკალური კვების კულტურის დასაცავად დიდი სიფრთხილე გვმართებს [კოღუაშვილი პ. (2010)], რადგან ერების დაახლოების პროცესი კვების კუთხითაც ხორციელდება. ახალგაზრდა თაობას იზიდავს სიახლე ცხოვრებაში და ეს კვებასაც ეხება. სიახლის გამოდევნებამ არ უნდა დაგვაკარგინოს ჩვენი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, მათ შორის ქართული სამზარეულო. ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა საზოგადოების, პირველ რიგში მოზარდებისა და ახალგაზრდების, სათანადოდ ინფორმირება.

ამერიკულმა ონლაინმედიამ (Thrillist.som) გამოაქვეყნა ევროპის იმ ქვეყნების სია, რომლებიც უნიკალური სამზარეულოთი და სასმელებით გამოირჩევიან. 48 ქვეყნიდან საქართველო მეოთხე ადგილზე მოხვდა იტალიის, ესპანეთის და საფრანგეთის შემდეგ [10]. გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ყურადღებაა გამახვილებული მწვანილებისა და სანელებლების ფართო ასორტიმენტზე, ქინძისა და გამხმარი გულყვითელას უნიკალურ კომბინაციებზე, საკვებიდან „ნავის ფორმის“ აჭარულ ხაჭაპურზე, კუჭმაჭზე. ასეთი სამზარეულო არ უნდა დაიკარგოს ჩვენი ჩვევებისა და ცხოვრების წესის შეცვლის გამო. „კულინალურ ტრადიციებს მთელ მსოფლიოში აფასებენ“ [10], რადგან მასში ვლინდება ყოველი ერის თვითმყოფადობა. შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა, სპეციალისტებმა ახალ თაობაში უნდა გააღვივონ ეროვნულ ტრადიციებზე, მათ შორის ქართულ სამზარეულოზე, ზრუნვის სურვილი.

ქართული სამზარეულოს გონივრულად გამოყენება დაეხმარება ადამიანებს ჯანსაღად ცხოვრებაში. ზომიერება კვებაში და ჯანსაღი პროდუქტების მიღება ხელს შეუწყობს ადამიანების ჯან-

მრთელობის შენარჩუნებას და სიცოცხლის გახანგრძლივებას, შესაბამისად, მათ შრომას საკუთარი ოჯახისა და მთელი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ადამიანების, პირველ რიგში ახალგაზრდების, ჯანსაღი ცხოვრების წესით დასაინტერესებლად მუშაობა ბავშვობის ასაკიდან უნდა დაიწყოს. ჯერ ოჯახის წევრები, შემდეგ კი საზოგადოებრივი ინსტიტუტები (საბავშო ბაღი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები) მუდმივად უნდა აწვდინდნენ ინფორმაციას საზოგადოებას ჯანსაღ საკვებსა და ჯანსაღად კვების მნიშვნელობაზე როგორც თვითონ ადამიანისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის. უნდა წახალისდეს საგანმანათლებლო ღონისძიებები ჯანსაღი კვების აქტუალურობის, ჯანმრთელი ცხოვრების წესისა და სასურსათო პროდუქტების მარკირების მნიშვნელობის შესახებ [თოდუა ნ. 2018:50]. ცხადია, არაჯანსაღი საკვების მწარმოებელი და გამსაღებელი ბიზნესი ამ პროცესს დაუპირისპირდება და ეს დაპირისპირება იქნება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი. არც ის იქნება ადვილი დაარწმუნო ადამიანი, რომ ესა თუ ის საკვები პროდუქტი გრძელვადიან პერსპექტივაში მათ ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედებს. მაგრამ, ამ მიმართულებით მუშაობა აუცილებელია. არაჯანსაღი საკვების მიღება მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს, თუ ადამიანები ვერ შეძლებენ მასზე, მთლიანად, უარის თქმას. დღეს, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ბრძოლა ადამიანების არაჯანსაღი საკვებისგან დასაცავად აუცილებელია, რადგან, როგორც უკვე ითქვა, სავაჭრო ობიექტებში დიდი რაოდენობით არის გასაყიდად გამოტანილი კვების არაჯანსაღი პროდუქტები. ისინი, თავიანთი გემოვნებითი თვისებებით და მიწოდებული ინფორმაციის გავლენით, იზიდავენ ბავშვებსა და ახალგაზრდებს. ამიტომ, ამ მიმართულებით მუშაობა არ არის და ვერც იქნება მარტივი. მაგრამ, ამ ბრძოლას მდგრადი განვითარების აუცილებლობა გვავალდებულებს და უნდა ვიბრძოლოთ. ჯანსაღი კვება, ვარჯიშთან ერთად, ჩვენი ცხოვრების წესად უნდა ვაქციოთ. ამით დავიცავთ საკუთარ და სხვა ადამიანების ჯანმრთელობას და ჩვენ წვლილს შევიტანთ ქვეყნის განვითარებაში.

ჯანსაღი კვების კამპანიაში დიდი როლის შესრულება შეუძლია სოციალურ მარკეტინგს. მისი გამოყენებით შესაძლებელია ადამიანების შეხედულებების, ამა თუ იმ პროდუქტთან დამოკიდებულების, შეცვლა. დღეს პოპულარულია ე.წ. ჯანმრთელობის რწმენის მოდელის გამოყენება. ეს მოდელი ითვალისწინებს მომხმარებლის დარწმუნებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ უნდა მოიხმაროს ზუსტად ის საქონელი და მომსახურება, რომელიც კონკრეტულ ვითარებაში მისთვის აუცილებელი და ფასეულია [თოდუა ნ., ჯაში ჩ. 2021:164]. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პიროვნება, რომელიც სოციალური მედიის გამოყენებით დაარწმუნებს ადამიანებს კონკრეტული პროდუქტის მოხმარების აუცილებლობაში, თვითონ უნდა იყოს მისაბაძი საზოგადოებისთვის ან კომპეტენტური ამ სფეროში.

საზოგადოების დარწმუნების კუთხით, სოციალური მარკეტინგის შესაძლებლობების შესახებ, ბევრი კვლევა არსებობს თანამედროვე მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, სოციალური მარკეტინგის დახმარებით, შესაძლებელია ჯანმრთელობის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შეცვლა [Jashi Ch. (2017)]. ეს შესაძლებლობა აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ჯერჯერობით სოციალური მარკეტინგის შესაძლებლობები საქართველოში ან/ვერ გამოიყენება. თსუ მარკეტინგის კათედრაზე ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ჯანსაღი კვების მნიშვნელობის შესახებ მომხმარებელთა არასათანადო ინფორმირება და ცოდნა ხელს უშლის სოციალური კამპანიების განხორციელებას საქართველოში [Todua N., Jashi Ch. (2018)]. მაშასადამე, პირველ რიგში, საჭიროა, ჯანსაღ კვებასთან მიმართებით, საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლება, რადგან, საქართველოში ჩატარებუ-

ლი ერთ-ერთი კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების მხოლოდ 35% აცნობიერებს კვებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის რისკებს [Todua N. 2019:212]. ჯანსაღ კვებაზე მიღებული ცოდნა ადამიანებს გაუჩენს ინტერესს ჯანსაღი კვების მიმართ, ინტერესს კი მოყვება შესაბამისი ქმედება. დაინტერესება, გათვითცნობიერება და აღქმა, ჯანსაღ კვებასთან მიმართებით, ქართველი მომხმარებლის ქცევის ცვლილების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორებია [Todua N., Jashi Ch. (2018)]. ეს რეალობა უნდა გაითვალისწინონ, ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებით, მოსახლეობასთან მომუშავე საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა და ცალკეულმა სპეციალისტებმა.

დასკვნა

ჯანსაღი კვების მდგრად განვითარებასთან კავშირში გააზრებამ საშუალება მოგვცა, გაგვეკეთებინა დასკვნა იმის თაობაზე, რომ მდგრადი განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის ჯანსაღი კვება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. სწორედ ჯანსაღი კვების შედეგია, ძირითადად, ადამიანების ჯანმრთელად ყოფნა, რომლის გარეშე მდგრადი განვითარება ვერ მიიღწევა. უმეტეს შემთხვევაში ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებს აქვთ საზოგადოებრივად აზროვნებისა და შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობა. ჯანსაღი კვება შესაძლებელია ჯანსაღი პროდუქტებით, რომელთა წარმოების საშუალებასაც მდგრადი გარემო იძლევა, მდგრადი გარემოს არსებობა კი მდგრადი მარკეტინგის განხორციელებასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ამიტომ, არამარტო სახელმწიფო სტრუქტურების, არამედ მთელი ბიზნესსექტორისა და ყოველი ადამიანის ვალია გარემოზე ზრუნვა, რაც საკუთარ და ირგვლივ მყოფი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას ნიშნავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოდუა ნ. (2018). ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებულ მყიდველობით ქცევაზე სასურსათო პროუქციის მარკირების გავლენა. ჟურნალი გლობალიზაცია და ბიზნესი, თბილისი, № 5(1), 45-52.
2. თოდუა ნ., ჯაში ჩ. (2021). სოციალური მარკეტინგის პარადოქსები ჯანდაცვაში (Covid-19-ის პანდემიის კონტექსტში). მე-6 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ - მასალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, გვ. 163-168.
3. კოღუაშვილი პ. (2010). კვების ტიპები და ნორმები თანამედროვე მსოფლიოში. https://iberiana.wordpress.com/saqartvelo/kveba/
4. კოღუაშვილი პ., გახოკიძე რ. (2022). ტრადიციული კვება მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის ძირითადი ფაქტორია. ჟურნალი „ეკონომისტი“, თბილისი, გვ. 39-52.
5. მღებრიშვილი ბ., ურუტაძე ე., ვეშაგური მ. (2022). ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მე-7 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“- მასალები, თბილისი, გვ. 321-329.
6. მღებრიშვილი ბ., ურუტაძე ე., ვეშაგური მ. (2023). საცალო ვაჭრობის სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები ქვეყნის მდგრადი განვითარების მიღწევაში. ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი № 1. თბილისი.
7. როგორ დავიწყოთ სწორი კვება. (2022). https://yourland.ge/rogor-davitskot-swori-kveba/

8. სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. დეკემბერი 2024, გვ. 34-35; 36-38.
9. საქართველოში კვების ეროვნული კვლევა. https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2018/11/3-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%-E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A0%-E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%95%-E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90.pdf
10. ქართული სამზარეულო ევროპის ქვეყნების საუკეთესო ოთხეულში მოხვდა. (2019). https://www.doctrina.ge/qarthuli-samzareulo-evrop/
11. ჯაში ჩ. (2020). სოციალური მედიის ახალი მარკეტინგული კონტექსტი (კონცეპტუალური მიმოხილვა). ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი, თბილისი, #1, გვ.152-162.
12. Mghebrishvili, B. (2010). Contradictory Nature of Marketing Ethic.Journal of Economics and Business Iv.Javakhishvili Tbilisi State University, pp.135-140.
13. Mghebrishvili, B. (2014). The Ethics and Retail Management EE. In Proceedings of 2 nd InternationalScientific and Practical Conference – Strategic Imperatives of Modern Management (SIMM-2014). Kiev,Ukraine, pp. 42-44.
14. Mghebrishvili, B. (2018). Some Aspects of Social Marketing Development in Georgia. In Proceedings of 4 th International Scientific and Practical Conference – Strategic Imperatives of Modern Management (SIMM-2018). Kiev, Ukraine, 345-351.
15. Mghebrishvili, B. (2019). Situation of Health and Welfare in Georgia in the Context of Sustainable Development and Sustainable Marketing. Journal Ecoforum. Vol.8 (1)
16. Mghebrishvili, B., Mghebrishvili, A., & Atoshvili, T. (2020). Care about Environment Protection in theConditions of Effectiveness of Sustainable Development Conception (Exa mple of Georgia). InProceedings of 5th International Scientific and Practical Conference – Strategic Imperatives of Modern Management (SIMM-2020). Kiev, Ukraine, pp. 253-258.
17. Todua, N. (2017). Influence of Food Labeling Awereness on healthy behavior of Georgian Consumers. Journal Ecoforum, Vol. 6, No.2.
18. Todua, N. (2019). Attitude of Georgian Consumers to Healthy Nutrition. In Proceedings of 46 thInternational Academic Conferences. International Institute of Social and Economic Sciences. At Sapienza University of Rome, Italy, pp. 208-219.
19. Todua, N. & Jashi, Ch. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. Bulletin of the Georgian Academy of sciences, Tbilisi, 12 (2), pp. 183-190.
20. Jashi Ch. (2017). Changing Helth Behavior of Youth Through Social Marketing. Journal Ecoforum Vol. 6, No.2.

Healthy Nutrition in the Context of Sustainable Marketing

Babulia Mghebrishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The author of the article considers healthy diet as a necessary condition for human health, and characterizes it in the context of sustainable development and sustainable marketing. She presents an opinion that there is a mutual relationship between healthy nutrition and sustainable development. On the one hand, healthy diet helps people to be healthy and thus they are able to be active in achieving sustainable development goals. On the other hand, sustainable development and sustainable marketing creates conditions to produce healthy food and support people to stay healthy.

The author of the article shares the opinion that in order to achieve increased public interest in healthy food, social marketing should be recognized as one of the main tools. However, this possibility has not being yet actively used in Georgia. The author of the article believes that the Georgian traditional cuisine can provide healthy nutrition only if the land and water, air and forest, the entire environment of Georgia will be properly protected from harmful effects.

Keywords: *healthy nutrition, health, sustainable development, sustainable marketing, social marketing*

ჯანსაღი კვება მართლმადიდებლური მარხვის ფონზე

ბაბულია მღებრიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიული ქეშელაშვილი
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიის ავტორები ჯანსაღ კვებას მართლმადიდებლური მარხვის კონტექსტში განიხილავენ. მათ მიაჩნიათ, რომ უფლის მიერ მარხვის დაწესების ერთ-ერთი მიზანი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყო, რაც, პირველ რიგში, ჯანსაღი კვებით მიიღწევა, მარხვა კი ჯანსაღ კვებას წარმოადგენს. სტატიაში გამოკვეთილად არის ჩამოყალიბებული, მათი ავტორების აზრით, კვებითი მარხვის ძირითადი შედეგები: ნაყროვანების თავიდან აცილება; ძლიერი ნებისყოფის ჩამოყალიბება; ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარება; თავშეკავების უნარის გამომუშავება; მოთმინების უნარის განვითარება; ზედმეტი წონის პრობლემის გადაწყვეტა. სტატიის ავტორები სთვლიან, რომ საუკუნეების განმავლობაში მარხვა და ჯანსაღი კვება მთლიანად ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგრამ, დღეს, როცა სავაჭრო ქსელი არაჯანსაღი პროდუქტებით არის სავსე, მარხვა შეიძლება არ დაემთხვეს ჯანსაღ კვებას, მიუხედავად საკვების ზომიერად მიღებისა. ამიტომ, მათი აზრით, საჭიროა მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება პროდუქტის სიჯანსაღესთან დაკავშირებით, ჯანმრთელობისთვის მარხვისა და ჯანსაღი კვების მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

საკვანძო სიტყვები: *მარხვა, ჯანსაღი კვება, ჯანმრთელობა*

საზოგადოებამ ჯანსაღი კვების საჭიროება უძველეს დროშივე გაითავისა და მისმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ის თავისი ცხოვრების წესად აქცია. ჯანსაღი კვების მნიშვნელობის გაცნობიერებაში ადამიანებს დაეხმარა წმინდა წიგნი, რომელშიც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადამიანის მოვალეობად არის წარმოდგენილი. ბიბლია ადამიანს ღვთის ტაძრად სთვლის და [მღებრიშვილი ბ. (2018)] ხაზგასმით მიუთითებს მისი დაცვის აუცილებლობაზე. ადამიანის დაცვა, პირველ რიგში, მისი ჯანმრთელობის დაცვას გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ძირითად იარაღს კი ჯანსაღი კვება წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ უფლის მიერ მარხვის დაწესების ერთ-ერთი მიზანი ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყო. ეს კი, ჩვენი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ მარხვა ჯანსაღ კვებად იყო განსაზღვრული უფლის მიერ. უფალმა მარხვა სამოთხეშივე დააკანონა, როცა ადამს უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში, მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო (დაბ. 2, 16,17). ძველ აღქმაში მარხვის შესახებ დებულებებს ბევრგან ვხვდებით (II რჯ. 9,18; ეს. 58, 4-10; იოვ. 2,15; იონ. 3,5-7). მარხვას დიდი ყურადღება მიექცა ახალ აღქმაშიც, რომელშიც ის „წარმოდგენილია, როგორც თავშეკავების, სინანულისა და სულიერი ზრდის საშუალება“ [მამაცაშვილი თ. (2016)]. წმიდა ბასილი დიდის აზრით, მარხვა და კაცობრიობა ერთი ასაკისანი არიან . . . [მამაცაშვილი თ. (2016)]. მიუხედავად ამისა, საზოგადოებამ ვერ შეძლო უფლის ამ მცნების სათანადოდ შესრულება. დღეს ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი არ ან ვერ იცავს მარხვას და არც ჯანსაღ კვებას სთვლის მნიშვნელოვნად. ამიტომ არის საჭირო საზოგადოების უფრო

მეტად ინფორმირება მარხვისა და ჯანსაღი კვების მნიშვნელობაზე ადამიანების ჯანმრთელობისთვის, მათ ურთიერთკავშირზე.

ადამიანს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის სტიმული სჭირდება. მარხვა და ჯანსაღად კვება არის ის გზა, რომელიც ადამიანებს საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის დიდ შესაძლებლობებს აძლევს, მათი მეშვეობით მიღებული შედეგი კი წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ სტიმულს, რომელიც ადამიანებს მარხვის დაცვისა და ჯანსაღი კვებისკენ უბიძგებს და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ეხმარება.

კვლევის შედეგები

კვება ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ, თუ კვება არ იქნება ჯანსაღი, ადამიანს შეექმნება ჯანმრთელობის პრობლემები და ზოგჯერ შედეგი შეიძლება ფატალურიც კი აღმოჩნდეს. როგორც უკვე აღინიშნა, ჯანსაღი კვება ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი იარაღია. სწორედ ჯანსაღი კვება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ადამიანი საზოგადოების სრულფასოვანი წევრი გახდეს. ამიტომ მიექცა წმინდა წერილში ამ საკითხს ყურადღება. მართალია, წმინდა წერილში კვებაზე მსჯელობისას ჯანსაღი კვება არ არის ნახსენები, მაგრამ მარხვაში, ჩვენი აზრით, ჯანსაღი კვება იგულისხმება. მარხვა იცავს ადამიანს ზედმეტი საკვების მიღებისგან, რაც მას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებაში ეხმარება. თუმცა, მარხვა მხოლოდ ჯანსაღი კვება არ არის. არ შეიძლება მისი გაიგივება მხოლოდ ცხოველური საკვების მიღებისგან თავის შეკავებასთან და არც ზომიერად კვებასთან. მარხვა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი მარხვა, როცა ადამიანი თავს იკავებს ბოროტი ქმედებებისგან. ე.ი. კვებითი მარხვა სულიერი მარხვით არის გამაგრებული.

კვებითი მარხვის დაცვა აწრთობს ადამიანს და ხელს უწყობს მის შემკობას უფლისთვის მისაღები თვისებებით. კვებითი მარხვის დაცვით მიღებული შედეგები ვლინდება შემდეგში:

- ✓ სასურველი საკვების მიღებისგან თავის შეკავება ადამიანს გემოთმოყვარეობის თავიდან აცილების საშუალებას აძლევს, გემოთმოყვარეობა კი შვიდი მომაკვდინებელი ცოდვიდან ერთ-ერთია [ლოცვანი სრული კრებული. 2012:455];
- ✓ საყვარელი და სასურველი კვების პროდუქტების მიღებაზე უარის თქმა აწრთობს ადამიანს და მას უფრო ნებისყოფიანს და ძლიერს ხდის, ძლიერება კი სულიწმიდის შვიდ ნიჭში შედის [ლოცვანი სრული კრებული. 2012:454];
- ✓ სასურველი და თან არაჯანსაღი კვების პროდუქტების მიუღებლობით, ადამიანი თავიდან იცილებს ჯანმრთელობის პრობლემებს არა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში, არამედ მომავალშიც;
- ✓ სასურველ საკვებზე უარის თქმით ადამიანი ხდება თავშეკავებული, რაც მომავალში მას ბევრ პრობლემას აცილებს თავიდან;
- ✓ კვების საყვარელი პროდუქტების მიღებისგან თავის შეკავებით ადამიანს უნვითარდება მოთმინების უნარი, მოთმინება კი სულიწმიდის ცხრა ნაყოფიდან ერთ-ერთია [ლოცვანი სრული კრებული. 2012:455];
- ✓ ზომიერი კვება ზედმეტი წონის თავიდან აცილების მეტად მნიშვნელოვანი გზაა, რაც სიმსუქნით გამოწვეული დაავადებებისგან იცავს ადამიანს.

გემოთმოყვარეობის (ნაყროვანების) ვნებისგან ადამიანის გათავისუფლება მარხვის ის შედეგია, რომელიც მას მომავალში ბევრი სნეულებისგან დაიცავს, რადგან ზომაზე მეტი საკვების მიღე-

ბა ადამიანს, იოანე ოქროპირის შეგონებით, „აახლოებს სიბერესთან“, ამასთან, „აჩლუნგებს გრძნობებს, აბნელებს აზრს, აბრმავებს გამჭრიახ გონებას. . . [16]. წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე ადამიანებს აფრთხილებს, რომ „ჭამისა და სმისგან მრავალი სნეულებაა, გარნა მარხვისა და მოთმინებისგან არც ერთი“ [15]. ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ ადამიანებს.

ნაყროვანება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, იგივეა, რაც გაუმაძღრობა, ღორმუცელობა, მსუნაგობა, სიხარბე. ამ ვნებებისგან გათავისუფლება თითოეული ადამიანის ვალია, რადგან ამ ეპითეტებით ამკობენ ადამიანებს, რომელთაც შინაგანი კულტურის დაბალი დონე აქვთ და ხშირად ამ თვისებების გამო დაცინვის ობიექტსაც წარმოადგენენ. ნაყროვანება ცოდვაა არა მარტო მართლმადიდებლური თვალსაზრისით, არამედ სამედიცინო თვალსაზრისითაც. ადამიანები ზედმეტი კალორიების მიღებით ხშირად იქმნიან ჯანმრთელობის პრობლემებს, რითაც აზარალებენ ოჯახის წევრებს და საერთოდ მთელ საზოგადოებას. ჯანმრთელობაშერყეული ადამიანები სრულფასოვნად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს ოჯახსა და სამსახურში. მათ არც საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების გადაჭრაში შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

მარხვითა და სწორი კვებით ნებისყოფის გამომუშავება ადამიანს კარიერულ წინსვლაში ეხმარება, რადგან მას აქვს დასახული მიზნის მიხედვით მოქმედების, წინააღმდეგობების გადალახვის უნარი. ნებისყოფის გამომუშავება აძლიერებს ადამიანს და გამოუმუშავებს მას მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისთვის ბრძოლის უნარს.

როგორც უკვე აღინიშნა, კვებით მარხვას უკავშირდება ადამიანის მიერ ისეთი მნიშვნელოვანი უნარის გამომუშავება, როგორიცაა თავშეკავება. თავშეკავებული ადამიანი არის თავისი თავის უფალი. მას შეუძლია წინ აღუდგეს საკუთარ თავს საჭიროების შემთხვევაში. ეს უნარი ძალიან მნიშვნელოვანია ცოდვილი მიდრეკილებებისგან გასათავისუფლებლად, რადგან თავშეკავებას, ეფრემ ასურის აზრით, თან ახლავს ჯანმრთელობა და სიფხიზლე [15]. წმ. ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მოსაზრებით, თუ ადამიანს არ შეუძლია, რომ საკუთარ „თავს რაიმე აუკრძალოს, თავი შეიკავოს ჭამისა და სმისგან, იგი თავისი თავის უფალი ვერ იქნება“ [15] და ვერც წარმატებებს მიაღწევს ცხოვრების დიდ გზაზე. თავშეკავებასთან არის უშუალოდ დაკავშირებული მოთმინების უნარის გამომუშავებაც. მოთმინება კი, პრობლემების თავიდან აცილების, აგრეთვე, არსებული პრობლემების დროულად მოგვარების საშუალებაა. თავშეუკავებლობა მძიმე ვნებაა. მას უკავშირდება სხვადასხვაგვარი ცოდვა და ცოდვით დაცემა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანისთვის თავშეკავების უნარის გამომუშავება, რაც მარხვით მიიღწევა.

მარხვა ჯანსაღი კვებაა და ის ადამიანის ჯანმრთელობას ვერ შეუქმნის პრობლემებს იმ შემთხვევაში, თუ სწორად შეირჩევა კვების რაციონი მარხვის დროს. აუცილებელია, რომ ცხოველური წარმოშობის ცილოვანი და ცხიმოვანი პროდუქტები მცენარეული წარმოშობის პროდუქტებით სწორად ჩანაცვლდეს. კვების რაციონის შერჩევასთან ერთად საჭიროა ზომიერების დაცვა. წმიდა მაქსიმე აღმსარებელი პირდაპირ გვეუბნება, რომ იმ ადამიანის მარხვა, „ვინც ხორცს არ ჭამს და სხვა საკვებს გადამეტებულად მიიღებს, ღვინოს უზომოდ სვამს... უსარგებლოა ... [15]. საკვების ზედმეტი რაოდენობით მიღება, როგორი საკვებიც არ უნდა იყოს ის, არის ნაყროვანება, რომელსაც აბბა ისაია ვნებების დედას უწოდებს [16].

წარსულში, როცა ადამიანები, ძირითადად, ბუნებრივი პროდუქტებით იკვებებოდნენ, მარხვა მთლიანად ჯანსაღ კვებას წარმოადგენდა. მაგრამ, დღეს, როცა არაჯანსაღი კვების პროდუქტების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, მარხვის დროსაც შეიძლება, რომ ადამიანის კვება არ იყოს ჯანსაღი მიუხედავად ზომიერად კვებისა. ამიტომ არის საჭირო მთელი საზოგადოების, მათ შორის მორწმუნე ადამიანების, ინფორმირება პროდუქტების სიჯანსაღისა და არაჯანსაღი კვების პრო-

დუქტების ადამიანის ჯანმრთელობაზე არასასურველი გავლენის მოხდენის შესახებ. ამიტომ გახდა დღეს აქტუალური ჯანსაღი კვების საკითხი, რომლის მისაღწევად ყველა გზა უნდა იქნეს გამოყენებული. ერთ-ერთი გზა არის მარხვა, რომელიც ადამიანებს ზომიერად კვებას აჩვევს და ბევრ პრობლემას აცილებს თავიდან.

დასკვნა

ჯანსაღი კვების მართლმადიდებლური მარხვის ფონზე განხილვამ საშუალება მოგვცა, რომ გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნები:

- ✓ მარხვა და ჯანსაღი კვება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან;
- ✓ უფლის მიერ მარხვის დაწესების ერთ-ერთი მიზანი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა იყო;
- ✓ მარხვა თავიდანვე გააზრებული იყო ჯანსაღ კვებად და საუკუნეების განმავლობაში მარხვა და ჯანსაღი კვება ერთმანეთს ემთხვეოდა;
- ✓ დღეს, როცა სავაჭრო ქსელი სავსეა არაჯანსაღი კვების პროდუქტებით, მარხვა შეიძლება არ დაემთხვეს ჯანსაღ კვებას;
- ✓ საჭიროა, მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირება მარხვის, ჯანსაღი კვებისა და პროდუქტების სიჯანსაღის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკლესია ჯანმრთელობისთვის საზიანოს არაფერს ითხოვს (2005). ჟურნალი კარიბჭე 01.03. თბილისი. http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/markhva/169-eklesia-janmrthe-lobisthvis-sazianos-arafers-ithkhovs.html?fbclid=IwAR3SOTRg0E8lvVFXkjozqoXU5-jXu4RwLn3--h3ATgIABep9aXUHK3zMYuI
2. თარაშვილი ნ. (2004). რისთვისაა საჭირო მარხვა. გაზეთი საპატრიარქოს უწყებანი #44 (302) . თბილისი https://www.orthodoxy.ge/markhvebi/markhvis_sachiroeba.htm
3. ლოცვანი სრული კრებული (2012). დაიბეჭდა შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსების ლოცვა-კურთხევით. თბილისი.
4. მამაცაშვილი თ. (2016). მარხვის მნიშვნელობა და მისი შენახვა დღეს. ჟურნალი კარიბჭე 08.07. თბილისი. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/akhali-ambebi/5361-markhvis-mnishvne-loba-da-misi-shenakhva-dghes.html
5. მღებრიშვილი ბ. (2018). ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ბიბლიური გაგება და მდგრადი განვითარება. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის, -გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში,- მასალები. გვ. 285-288. https://www.researchgate.net/publication/337607594_Biblical_sense_of_human_health_care_and_sustainable_development
6. ნოზაძე თ. (2013). სწორი მარხვა ჯანმრთელობის საწინდარია. ამბიონი საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი http://www.ambioni.ge/swori-marxva-janmrtelobis-sawindaria
7. პავლე მოციქულის ეპისტოლენი, პირველი კორინთელთა მიმართ. ბიბლია (1989). საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, გვ.1134-1147.
8. სახარება მათესი. ბიბლია (1989). საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, გვ. 959-990.
9. სახარება ლუკასი. ბიბლია (1989). საქართველოს საპატრიარქო. თბილისი 1989. გვ. 1011-1044.

10. ძველი აღთქმა / თანამედროვე ქართულ ენაზე / დაბადება (დაბ). https://allgeo.org/index.php/ka/1359-2019-07-12-19-27-56
11. ძველი აღთქმა / თანამედროვე ქართულ ენაზე / მეორე რჯული (რჯლ.) https://allgeo.org/index.php/ka/1363-2019-07-19-21-10-56
12. ძველი აღთქმა / თანამედროვე ქართულ ენაზე / ესაია წინასწარმეტყველი(ეს). https://allgeo.org/index.php/ka/1397-2019-09-09-23-35-22
13. ძველი აღთქმა / თანამედროვე ქართულ ენაზე / იოველ წინასწარმეტყველი (იოვ.) https://allgeo.org/index.php/ka/1422-2019-09-20-11-11-34
14. ძველი აღთქმა / თანამედროვე ქართულ ენაზე / იონა წინასწარმეტყველი (იონ.) https://allgeo.org/index.php/ka/1425-2019-09-20-20-46-41
15. წმინდა მამათა შეგონებანი მარხვის შესახებ http://xareba.net/728-markhva.html
16. წმინდა მამები ხორციელი და სულიერი მარხვის შესახებ https://zneoba.ge/7529/

Healthy Nutrition in the Context of Orthodox Fasting

Babulia Mghebrishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Giuli Keshelashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The authors of the article discuss healthy diet in the context of Orthodox fasting. They believe that one of the purposes of establishing fasting by the Lord was to take care of human health, which is primarily achieved by healthy food, and fasting is the form of healthy diet. The main results of food fasting are clearly defined in the article. The authors state that these effects on human body are: prevention of overeating; building the willpower; solving health problems; learning how to cope with food cravings; development of patience; solving the problem of excess weight. The authors of the article believe that for centuries, fasting and healthy nutrition completely coincided with each other. However, today, when the industrial market is full of unhealthy products, fasting may not exactly mean healthy eating, despite the fact that both times people are expected to eat in moderation. Therefore, the authors highlightthe importance of providing the right information to the population in regards to healthy products, along with information about the importance of fasting and healthy diet for human body.

Key words: *fasting, healthy nutrition, health*

Main Directions of the Non-Oil Sector of the Azerbaijani Economy

Zumrud Nadjafova
Dissertation candidate at the Department of Applied Economics
Azerbaijan State Economic University

The main priority sectors in the development of the non-oil sector in Azerbaijan are considered to be agriculture, tourism, information and communication technologies, and manufacturing. International financial institutions particularly highlight the importance of the agricultural and tourism industries. Thus, 44% of the country's employed population work in this area. For this reason, to develop agriculture in the country, consistent government programs are being implemented, reforms are being carried out, and the latest technologies are being used.

Azerbaijan has made very good progress in channeling oil revenues into the non-oil sector. Last year, Azerbaijan's non-oil growth amounted to 20 percent, which is a record figure in the history of the country's independence.

Keywords: *non-oil sector, economic diversification, country's export potential, tourism, Azerbaijan*

Today, non-oil sector products produced in Azerbaijan, including electrical machinery and equipment, spare parts, chemical products, construction materials, finished textile products, etc., are exported to various regions. According to the decrees and confirmed development programs of the country's presidents, funds were spent to diversify the economy and create the basis for the development of the non-oil sector to support small and medium-sized businesses, allocate preferential government loans to persons engaged in these activities, direct subsidies to agriculture, and reconstruct transport and communication infrastructure throughout the country in billions of US dollars. These expenses soon bore fruit and became the reason for a great recovery in the non-oil sector of the economy.

Last year, VAT receipts in the non-oil sector increased by 17 percent. The highest growth rates of tax revenues in the non-oil sector of the Azerbaijani economy in 2021 were recorded in the catering sector - 84.1 percent, retail trade - 53.7 percent, industry - 29.3 percent and in the service sector - 19.7 percent.

In 2021, added value in the non-oil industry of Azerbaijan increased by 17.8 percent. The share of the non-oil industry in non-oil GDP reached 9.6 percent in 2021, which exceeds the figures for 2020 (8.5 percent) and 2019 (7.6 percent).

The growth rate of the non-oil economy increased by 7.2 percent. The non-oil industry grew by almost 20 percent.

With global trade growth forecast at 10.8 percent in 2021, Azerbaijan's non-oil exports increased by 47.2 percent. This increase in non-oil exports is a record figure.

Azerbaijan's non-oil exports in 2021 increased by $870 million compared to 2020 and amounted to $2.7 billion. At the end of last year, the share of fruits and vegetables in non-oil exports amounted to $630.4 million. In 2021, Azerbaijan recorded a doubling of exports of ferrous metals and products made from them, cotton yarn by 3.1 times, sugar by 19.2 percent, chemical products by 2.9 times, cotton fiber by 58 .3 percent, aluminum and products made from it – by 66.2 percent.

The largest importers of Azerbaijani non-oil products are Turkey, Georgia, Switzerland, and a number of other countries.

In the near future, industrial zones, to which the Azerbaijani government attaches special importance, will act as the basis and driving force of the non-oil industry.

It is expected that due to the increased role of the non-oil sector as the main source of economic growth, a steady increase in the share of non-oil revenues in the state budget will also be achieved.

According to forecasts of the Ministry of Economy of Azerbaijan, by 2025 the share of the non-oil sector in GDP will be 72.9 percent, and the oil sector - 27.1 percent.

Table of the projected GDP volume of Azerbaijan for 2021-2025. and the share of the non-oil and oil sectors in GDP

Year	GDP volume (billion manat)	Share and volume of the non-oil sector of GDP (billion manats and %)	Share and volume of the oil sector of GDP (billion manats and %)
2021	82,2	55,1 bln manat (67%)	27,1 bln manat (31%)
2022	87,5	59,6 bln manat (68,1%)	27,9 bln manat (31,9%)
2023	92,4	64,5 bln manat (69,8%)	27,9 bln manat (30,2%)
2024	97,9	69,5 bln manat (71%)	28,4 bln manat (30%)
2025	106,2	74,8 bln manat (72,9%)	27,8 bln manat (27,1%)

In recent years, the creation of an intersectoral balance to ensure economic stability in Azerbaijan and the efficient use of natural and material resources remains a pressing issue. State programs and measures implemented by the government have laid the foundation for the development of the non-oil sector.

Currently, the state has chosen the development of the non-oil sector as a priority. Therefore, the country's attention is focused on improving the well-being of the population, transitioning to an export-oriented economy and increasing its competitiveness.

The development of the non-oil sector requires diversification of the economy. In this regard, one of the important issues facing the state is to accelerate the diversification process. The development of individual regions also plays an important role in this area. Creating a favorable environment for the development of the non-oil sector in Azerbaijan and stimulating the economic activity of the private sector is one of the important tasks facing the state.

Development of the agro-industrial complex

Ensuring the development of the non-oil sector in order to improve economic efficiency and increase competitiveness is one of the main economic priorities of our state. As a result of the successful economic policy pursued in the country for this purpose, along with the achievement of economic diversification, the share of the non-oil sector in GDP has increased significantly.

Due to its special importance in the socio-economic life of the country, the production and processing of agricultural products, which is one of the priority areas of the non-oil sector, has been identified as one of the key sectors of the economy.

A number of legislative acts, including state programs, have been adopted to strengthen state support for the rapid development of such agricultural sectors as cotton growing, viticulture, sericulture, tobacco growing, meet the demand for agricultural products, improve the supply of raw materials to processing enterprises and expand the processing industry.

Recently, an important role has been played in increasing the export potential of the country, increasing the innovative potential of small and medium-sized enterprises operating in the production and processing of agricultural products, achieving high productivity, forming integration between producers, processors and consumers on a large scale, and the use of intensive methods. Important steps have been taken to create agricultural parks.

Azerbaijan is already taking comprehensive measures to create a new profile of the agricultural sector - Agroparks.

It is known that new forms of agricultural development are emerging in the world. Our country is also taking appropriate measures to benefit from this experience. One of these progressive methods is agricultural parks.

The business model of the Agropark is an economic entity that combines production, processing, logistics and other services of agricultural products into one chain. The processes of production and processing of agricultural products in agricultural parks, agrotechnical and logistics, sanitary and phytosanitary, marketing, sales (domestic market and export) and other services, production of raw materials, processing processes are carried out with high profitability. At the same time, environmental protection, efficient use of land and water resources, their protection are ensured, as well as a solid basis for the development of crop production, livestock farming, processing and other industries. Agricultural parks are characterized as a center that combines production, processing, purchasing, research, trading and social functions based on the principles of sustainable development.

Tourism as a priority direction of the Azerbaijani economy in the non-oil sector

Modern Azerbaijan is a country where the state is taking the necessary measures to accelerate the pace of economic development through tourism. Regulatory and legal acts that help achieve this goal include the Law “On Tourism”, adopted in 1999, state tourism development programs and many other laws and decrees adopted to this day in the country. The country takes an active part in international tourism events, and relations are being established with many countries in the world in the field of tourism. The tourism potential of Azerbaijan is regularly broadcast on various foreign channels. In addition, the number of accommodation facilities for tourists is increasing.

Having studied the tourism of Azerbaijan, we can come to the conclusion that this industry is indeed a priority in the country. Considering that the effective development of any industry depends on government support, the leadership of our country is taking all necessary measures to ensure the development of tourism. These include the adoption of targeted programs, the issuance of decrees, the opening of hotels, advertising of the country's tourism potential, participation in international events, etc. An increase in tourists leads to the opening of jobs and increased income for the population. As a result, the development of the tourism industry increases the level of socio-economic development of the country. Thus, Azerbaijan needs to further develop the

tourism industry. To do this, it is proposed to use the experience of countries where the tourism industry is one of the leading sectors of the economy.

Export of non-oil products of Azerbaijan

In 2022, Azerbaijan reached a historical maximum in the export of non-oil products since the beginning of independence. According to official data, exports in this sector have increased sharply compared to 2021. Last year, Azerbaijan's total exports amounted to $38.1 billion, in the non-oil sector - $3 billion. In 2021, exports amounted to $22.2 billion, and the non-oil sector - $2.7 billion.

In January of this year, exports to the non-oil sector increased by 22.6% compared to the same period in 2022 and amounted to $284.5 million.

The Center for Analysis of Economic Reforms and Communications also told Turan that in 2022, exports of the non-oil sector increased by 10.3%. It was noted that last year, exports of chemical products increased by 57.7%, ferrous metals and products made from them - by 17.5%, aluminum fiber - by 15.4%, tea - by 35.6%: "Export agricultural and agro-industrial products amounted to $912.4 million... The cost of agricultural products, which occupies a significant place in the structure of non-oil and gas exports, increased by 35.4% compared to the corresponding period last year."

The Ministry of Economy also noted that fruits and vegetables, cotton fiber, and chemical industry products predominate among export products: "The range of non-oil export products increased by 10 percent compared to 2021. Azerbaijan sells non-oil products to more than 100 countries, and in the past "This market geography has expanded this year.~

Conclusion

Today, the main goal of the state's economic policy is to achieve rapid development of the non-oil sector in the republic, to form a national economy based on the development of entrepreneurship, diversified, competitive and sustainable economic growth. As a result of the country's successful economic reforms in recent years, a number of significant achievements have been achieved in this area, and the business and investment climate has been improved. Macroeconomic and financial stability has been restored, trade surpluses have been restored and foreign exchange reserves have increased significantly. Trends in the modern world show that the work done for the comprehensive development of the country's economy must be continued. Our existing economic capabilities must be able to respond more effectively to the effects of the global economic downturn. This need has also driven the development of strategic roadmaps for national economies and major economic sectors. The processes have created new challenges for adaptation to the current global economic crisis in our country and minimized the consequences of economic reforms in key strategic goals in accordance with the systemic nature of a number of measures in socio-economic development in the medium and long term between organic coherence and mutual compromise through the creation the formation of a qualitatively new model of economic development is one of the main priorities.

All this means that successful reforms in the Azerbaijani economy are already producing positive results. The fact is that the export of non-petroleum products to foreign markets has increased due to the increase in production in the non-petroleum sector in our country. It is almost certain that this increase will accelerate in the near future and the volume of strong currency that will enter our country will increase significantly.

References

1. “Acceleration of socio-economic development in the Republic of Azerbaijan Decree of the President of the Azerbaijan Republic.” Baku, 2019.
2. Central Intelligence Agency, 01/08/2015https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/
3. Source: State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan, 2015 69
4. SSCRA, “Macroeconomic indicators of economic and social development of the country in 2015”, 01/19/2018http://stat.gov.az/news/?id=3090
5. SSCRA, “Macroeconomic indicators of economic and social development of the country in 2015”, 01/19/2016http://stat.gov.az/news/?id=3090
6. SSCRA, “On the number of employed people and their wages,” 02.12.2015http://www.stat.gov.az/news/?id=2678
7. SSCRA, “On the number of employed people and their wages,” 02.12.2015http://www.stat.gov.az/news/?id=2678
8. State Customs Committee, Customs Statistics of Foreign Trade of the Republic of Azerbaijan (01/01/2015-11/30/2015) http://customs.gov.az/files/aarayish201501122208cap.pdf , 01/11/2018
9. State Customs Committee, Customs Statistics of Foreign Trade of the Republic of Azerbaijan (01/01/2014-11/30/2014) http://customs.gov.az/files/201412.pdf, 01/11/2018
10. The Central Bank of the Republic of Azerbaijan, “New operational framework for exchange rate policy”, http://www.cbar.az/releases/2015/02/16/newoperational-framework-for-exchange-rate policy/

ადამიანური რესურსების ყოველმხრივი საქმიანი შეფასება

ნუგზარ პაიჭაძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიანური რესურსენის ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია ორგანიზაციას გააჩნდეს მისი (ადამიანური რესურსების) საქმიანი შეფასების სწორი და გამართული მეთოდიკა. მასში იგულისხმება ადამიანური რესურსების (პერსონალის) ვარგისიანობის ხარისხის განსაზღვრა, ორგანიზაციაში მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში. სწორედ აღნიშნულ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სტატია.

სტატიაში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ადამიანური რესურსების შეფასებითი ფაქტორები და მაჩვენებლები, ადამიანური რესურსების შესაფასებელ ინფორმაციათა მოძიების ძირითადი მეთოდები, ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების მთავარი ამოცანები და ეტაპები, ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების პროცედურის სახეობები, ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების პროცედურების შესრულების მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: *ადამიანური რესურსები, ადამიანური რესურსების (პერსონალის) შეფასების ძირითადი ფაქტორები და მაჩვენებლები, ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების ეტაპები და სახეობები, ადამიანური რესურსების შესაფასებელი პროცედურების შესრულების მეთოდები.*

მოკლედ ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების ფაქტორებისა და მაჩვენებლების შესახებ

ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის აუცილებელია არსებობდეს მისი (ადამიანური რესურსების) საქმიანი შეფასების სწორი მეთოდიკა. მასში იგულისხმება ადამიანური რესურსების (პერსონალის) ვარგისიანობის ხარისხის განსაზღვრა ორგანიზაციაში მათზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში (პაიჭაძე ნ, 2019; პაიჭაძე ნ. 2003).

სამუშაოზე დასაქმებულ ადამიანთა თვისებებს, რომლებიც ექვემდებარება შეფასებას, უწოდებენ **ფაქტორებს.** მათი რაოდენობა, პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაბამის სპეციალისტთა მოსაზრებით, არ უნდა აღემატებოდეს 30-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიხედვით პერსონალის ხარისხის განსაზღვრა რთული იქნება. პერსონალის შეფასების ფაქტორთა მნიშვნელობის ხარისხი ხასიათდება მისი მაჩვენებლებით, ასევე, კრიტერიუმებით ზღურბლი მაჩვენებლებით (მაქსიმალური და მინიმალური).

შეფასებითი მაჩვენებლების სახეობებია: აბსოლუტური და შეფარდებითი, არსებითი და არაარსებითი, მისაღები და მიუღებელი, ხისტი და რბილი. ამ მაჩვენებლებისამი წაყენებული მოთხოვნებია: ობიექტის დახასიათების სისრულე და ობიექტურობა, ინდივიდუალურობა, შესადარისობა როგორც წინა პერიოდთან, ასევე, სხვა პირებთან და ა. შ.

შეფასემის ფაქტორები იყოფა ორ შემდეგ ჯგუფად: **ძირითადი და დამხმარე (დამატებითი)**. პირველს მიეკუთვნება ფაქტორები, რომელთა გარეშე შეუძლებელია მოცემულ სუბიექტზე წარმოდგენის შექმნა, ხოლო,მეორენი ეხმარება პირველ მათგანს ობიექტზე წარმოდგენის შექმნაში.

გამოყოფენ ადამიანური რესურსების შეფასების შემდეგ ძირითად ფაქტორებს:

I. საქმიანობა და მისი შედეგები:

1. შრომის სირთულე და ხარისხი;
2. მიზნის მიღწევა;
3. ინდივიდუალური შედეგის ხარისხობრივი და რაოდენობრივი დახასიათებანი;
4. ორგანიზაციის საერთო წარმატებაში შეტანილი წვლილი;
5. ტექნოლოგიური სირთულე, საქმისადმი ტექნოლოგიური მიდგომა;
6. შესასრულებელ სამუშაოთა კომპლექსურობა და მასშტაბურობა;
7. სამუშაოს ცოდნა, მისი პრობლემებისა და მოსალოდნელი სიტუაციების ცოდნა და ა.შ.

II. მომუშავეთა საქმიანი თვისებები:

1. დისციპლინიანობა, აკურატულობა, დავალების ვადაში შესრულება;
2. მზადყოფნა დამატებითი სამუშაოსადმი;
3. წინააღმდეგობათა გადალახვისა და საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი;
4. ურთიერთობა სწავლებისა და თვითსწავლებისადმი;
5. ინიციატივიანობა;
6. საქმიანობის ოპტიმიზაციისა და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების უნარი;
7. დაშვებულ შეცდომათა რაოდენობა;
8. კონფლიქტურ სიტუაციაში ქცევის თავისებურებანი;
9. ორგანიზატორული უნარ-ჩვევები და ა. შ.

III. პროფესიონალიზმი:

1. ინტელექტუალური განვითარების დონე;
2. ანალიზისა და განზოგადების უნარ;
3. თეორიული და სპეციალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების ფლობა;
4. ლოგიკა და აზროვნების სიცხადე;
5. ძიებისადმი მიდრეკილება და ა. შ.

IV. მორალური თვისებები:

1. შრომისმოყვარეობა;
2. პრინციპულობა;
3. სიცხადე;
4. პასუხისმგებლობა და კეთილშობილება;
5. თვითკრიტიკულობა და ა. შ.

V. პოტენციალი:

1. ემოციური და ნერვულ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა;
2. დამოუკიდებლობა, შეუპოვრობა;
3. თვითკონტროლი;
4. რეაქციის სიჩქარე და ა. შ.

ხელმძღვანელებისათვის არსებობს შეფასების შემდეგი დამატებითი ფაქტორები:

1. საქმიანობისა და რესურსების (მიზნებისა და მათი კორექტირების, რესურსების განაწილებისა და მათი კონტროლის და ა. შ.) დაგეგმვა;

2. დაქვემდებარებულთა მუშაობის ორგანიზება, ზრუნვა მათ მოტივირებასა და განვითარებაზე;

3. კრიტიკული სიტუაციების მართვა;

4. ლიდერობა;

5. დოკუმენტებთან მუშაობა;

6. უფლებამოსილებათა დელეგირება;

7. ინოვაციების განხორციელება და სხვ. (Веснин В.,2008).

ადამიანური რესურსების შესაფასებელ ინფორმაციათა მოძიების ძირითადი მეთოდებია: გასაუბრება (ინტერვიუ), ანკეტური გამოკითხვა, ჯგუფური მეთოდი და ა. შ.

ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების ამოცანები და მეთოდები

ადამიანური რესურსების ი საქმიანი შეფასების მთავარი ამოცანებია:

1. შესაფასებელი მომუშავის ფუნქციური როლის დადგენა;

2. მომუშავის შემდგომი განვითარების პროგრამის შემუშავება;

3. განსაზღვრულ კრიტერიუმებთან ხელფასის შესაბამისობის ხარისხის დადგენა და სიდიდის განსაზღვრა;

4. მომუშავის მოტივაციის საშუალებათა განსაზღვრა და ა. შ.

ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების პროცესის ნორმალურად შესასრულებლად აუცილებელია ჩატარდეს წინასწარი ისეთი მუშაობა, როგორიცაა:

ა) ადამიანური რესურსების შეფასების მეთოდიკის შემუშავება. ზოგჯერ მიზანშეწონილია ასეთი მეთოდიკის შეძენა და მისი მისადაგება კონკრეტული ორგანიზაციის პირობებთან;

ბ) შესაბამისი შემფასებელი კომისიის შექმნა;

დ) შეფასების შედეგების პროცედურის დადგენა;

ე) შეფასების პროცესის დოკუმენტური და ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხების დამუშავება;

ვ) შესაბამისი სპეციალისტების შემფასებლებთან კონსულტაციების ჩატარება (პაიჭაძე ნ, ჩოხელი ე. და სხვ., 2011; პაიჭაძე ნ და სხვ. 2009).

ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების ეტეპებია:

1. შეფასებისათვის წინასწარი ინფორმაციის შეგროვება და განზოგადება;

2. ხელმძღვანელის მომზადება დაქვემდებარებულ თანამშრომლებთან შესაფასებელი საუბრის ჩასატარებლად;

3. შესაფასებელი საუბრისა და სხვა სამუშაოების ჩატარება და მისი შედეგების შეფასება;

4. ხელმძღვანელის მიერ ადამიანური რესურსების შრომითი საქმიანობის შეფასების საკითხებზე საექსპერტო დასკვნის ფორმირება და მისი წარდგენა საექსპერტო კომისიაში;

5. საექსპერტო დასკვნაში არსებული წინადადებების საფუძველზე საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების მიღება.

ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების პროცედურის სახეობებია:

I. შესაფასებელ მონაცემთა წყაროების მიხედვით:

1. საქმიანობის მიხედვით (სირთულე, ეფექტიანობა, ხარისხი და ა.შ.);

2. მიზნის მიღწევის მიხედვით (რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედეგი, ინდივიდებისა და ქვედანაყოფების ღვაწლი მთელი ორგანიზაციის საერთო შედეგში და ა. შ.);

3. მომუშავის მიერ ამა თუ იმ პიროვნული თვისების (ცოდნა, უნარ-ჩვევები,ხასიათის სახეობა და სხვ.) ფლობა, მათი გამოხატვის ხარისხისა და მუშაკის მიერ ამა თუ იმ ფუნქციის დაუფლებულობის მიხედვით;

II. შესაფასებელ მონაცემთა ისეთი წყაროების მიხედვით, როგორიცაა:

1. მომუშავის შესაფასებლად გამოყენებული დოკუმენტები (ავტობიოგრაფია, რეზიუმე, დახასიათება, შესამოწმებელი თხზულება);

2. საკადრო გასაუბრების (ინტერვიუების) შედეგები;

3. დისკუსიაში მონაწილეობის შედეგები;

4. ასტროლოგიური პროგნოზები:

5. წარმოებრივი დავალების შესრულების ან სპეციალურ სიტუაციაში ქცევის შესახებ ანგარიშები და ა. შ.;

III. შეფასების პროცედურის განხორციელების საშუალებების მიხედვით,

IV. შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რომელთა დახმარებით ხდება კარგი (საუკეთესო) ან ცუდი მაჩვენებლის არჩევა;

V. სუბიექტების მიხედვით (კანდიდატები ან მომუშავეები, რომლებიც ახდენენ თვითშეფასებას);

VI. კონტინგენტის მოცვის ხარისხის მიხედვით. იგი შეიძლება იყოს **გლობალური**, როცა შეფასება ხდება მთლიანობაში და **ლოკალური**, როცა აფასებენ მომუშავეთა რომელიმე ჯგუფს ან ცალკეულ მუშაკს;

VII. პერიოდის მიხედვით. შეფასება შეიძლება მოხდეს როგორც განსაზღვრულ კალენდარულ დროს, ასევე, მთელ პერიოდში.

შესაფასებელი პროცედურების შესრულების მეთოდებია:

1. სტანდარტულ შეფასებათა მეთოდი. ამ მეთოდისას, თანამშრმლის მუშაობის ცალკეული ასპექტის დასახასიათებლად, ავსებენ სპეციალურ ფორმას. აღნიშნული მეთოდი მარტივია და ადვილია გამოსაყენებლად. აღნიშნული ფორმა შეიძლება შეავსოს პერსონალის სამსახურის მუშაკმა. იგი წინასწარ, ხელმძღვანელთან ერთად, ყურადღებით განიხილავს შესაფასებელი პიროვნების მუშაობას, რაც ამცირებს შეფასებაში სუბიექტივიზმს;

2. ანკეტური მეთოდი. იგი გულისხმობს მუშაკთა შეფასებას ანკეტების საშუალებით. არსებობს მისი მარტივი და რთული ვარიანტი, მარტივი ფორმისას შემფასებელი ანკეტაში თითოეული მახასიათებლის გასწვრივ აკეთებს აღნიშვნას ან ტოვებს მას ცარიელს. გართულებული ვარიანტისას კი თითოეული პოზიციის შეფასება ხდება „ფრიადიდან“ „არადამაკმაყოფილებლამდე“ სკალის მიხედვით. შედეგების საერთო შეფასებად ითვლება შეფასებათა ჯამი;

ანკეტაში შეტანილია ისეთი შემფასებელი მაჩვენებლები, როგორიცაა: მწარმოებლურობა, მუშაობის ხარისხი, ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი შრომით კოლექტივში, პიროვნული თვისებანი, უნარი ერთობლივად იმუშაონ საერთო შედეგების მისაღწევად, საიმედოობა, ინიციატივიანობა, ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე, ორგანიზაციული ჩვევები, ფსიქოლოგიური თვისებები (დამოუკიდებლობა, პრინციპულობა და სხვ.), საზოგადოებრივი აქტიურობა და ა. შ. როგორც უკვე აღინიშნა, ანკეტაში შესაფასებელ თვისებათა ჩამონათვალი არ უნდა აღემატებოდეს 30-ს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება გამოცდილი სპეციალისტებისთვისაც კი;

3. იძულებითი არჩევის მეთოდი. მოცემული მეთოდისას ექსპერტები მუშაკთა შესაფასებლად ირჩევენ კონკრეტული მუშაკისთვის ყველაზე შესაფერის მაჩვენებელს (მაგალითად, გულმოდგინება, მუშაობის გამოცდილება, ყურადღებიანობა და სხვ.);

4. აღწერითი მეთოდი. იგი გულისხმობს მომუშავის ღირსებისა და ნაკლოვანებების თანმიმდევრულ დაწვრილებით დახასიათებას. ხშირად მიმართავენ ამ მეთოდის კომბინირებას წინა მეთოდთან;

5. გადამწყვეტი სიტუაციის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი ემყარება განსაზღვრულ სიტუაციებში მომუშავის „სწორი" და „არასწორი" ქცევების აღწერას და შემდეგ მის განაწილებას რუბრიკების მიხედვით, მუშაობის ხასიათიდან გამომდინარე;

6. ქცევაზე მეთვალყურეობის სკალის მეთოდი. აღნიშნული მეთოდიც ემყარება შეფასებას მის გადამწყვეტ სიტუაციებში, მაგრამ იგი წინა მეთოდისგან განზხვავებით, გულისხმობს იმის ფიქსაციას, თუ რამდენჯერ და როგორ მოქმედებდა ადამიანი მასში;

7. ქცევით მოქმედებათა რეიტინგების სკალის მეთოდი. იგი გულისხმობს ანკეტების შევსებას, რომლებიც შეიცავენ მუშაობის 6-10 მნიშვნელოვან მახასიათებელს. მოცემულ მახასიათებელთა ფორმულირება ხდება როგორც შემფასებლების, ასევე, ექსპერტების მიერ 5-6 გადამწყვეტი სიტუაციის ანალიზის საფუძველზე. ამ მახასიათებლებიდან გამოომდინარე, ექსპერტი აფასებს მომუშავის კვალიფიკაციას. ამ შეფასებათა საფუძველზე აკეთებენ მომავლისთვის პროგნოზს.

8. ჯგუფური მეთოდით შეფასება. ამ მეთოდის არსი ისაა, რომ ადამიანის მუშაობა განიხილება ჯგუფში. ამასთან, მას ანაწილებენ ცალკეულ შემადგენელ ნაწილებად და აფასებენ თითოეულ მათგანს. შემდეგ ადგენენ როგორც წარმატებულად, ასევე, წარუმატებლად შეფასებულ თანამშრომელთა სიას. თანამშრომლისადმი ან თანამდებობისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან მათი შედარების საფუძველზე გამოაქვთ საბოლოო დასკვნა;

9. "დამოუკიდებელ მსაჯულთა" მეთოდი. მოცემული მეთოდისას მუშაობის შეფასება ხდება მათთვის მანამდე უცნობი პირების (6-7 კაცი) მიერ „ჯვარედინი" დაკითხვის საფუძველზე;

10. 360 გრაგუსიანი მეთოდი. მისი არსი ისაა, რომ მომუშავეს აფასებს ყველა, რომლებთანაც კონტაქტშია იგი მუშაობის პროცესში.ამ დროს ავსებენ საერთო და ექსპერტის თითოეული დონისათვის განკუთვნილ განსაკუთრებულ ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი პოტენციურად კონფლიქტურია;

11. სიტუაციური ინტერვიუ. მოცემულ შემთხვევაში მომუშავეებს ურიგებენ ერთნაირი სიტუაციების აღწერილობას და აძლევენ შეკითხვებს მათ შესაძლებელ მოქმედებებზე. ამ მეთოდის ნაკლია მისი მომზადების სირთულე და დიდი დანახარჯები;

12. სიტუაციის მოდელირების მეთოდი. მოცემული მეთოდი უმეტესად გამოიყენება შესაფასებელ ცენტრებში და ხელს უწყობს, რომ შეფასება იყოს უფრო დასაბუთებული და ობიექტური. ამ დროს შეფასების კრიტერიუმებია: ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი, სიმტკიცე (გაბედულება), მოქნილობა, მდგრადობა, მუშაობის სტილი;

13. ჯგუფური დისკუსიის მეთოდი. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს, რომ თანამშრომელი რომელიმე პრობლემის განმხილველ სხდომაზე წამოაყენებს და იცავს თავის აზრს (9-15 კაციან ჯგუფში). დისკუსიას იწერენ ფირზე და შემდეგ ხდება მისი შეფასება მართვის რამდენიმე დონით მაღლა მდგომი ორგანოს სპეციალისტების მიერ, რამდენადაც უშუალო ხელმძღვანელები, როგორც წესი, ტენდენციურები არიან დაქვემდებარებულთა შეფასებისას (პაიჭაძე ნ., 2019)).

ცხადია, არსებობს ადამიანური რესურსების შეფასების სხვა მეთოდებიც (Бирман Л., 20018; Маслов Н., 2019).

დასკვნები და წინადადებები

სტატიაში სათანადო ყურადღება ექცევა ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: ადამიანური რესურსების შეფასებითი ფაქტორები და მაჩვენებლები, ადამიანური რესურსების შესაფასებელ ინფორმაციათა მოძიების ძირითადი მეთოდები, სადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების მთავარი ამოცანები და ეტაპები, ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების პროცედურის სახეობები, ადამიანური რესურსების საქმიანი შეფასების პროცედურების შესრულების მეთოდები.

ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია სათანადო ყურადღება დაეთმოს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული ფაქტორების, პროცესებისა და პროცედურების სწორ მართვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაიჭაძე ნ, ადამიანური რესურსების მართვა, თბ.,2019.
2. პაიჭაძე ნ. პერსონალის მართვა, თბ., 2003.
3. Веснин В. Управление персоналом. М.,2008.
4. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე. და სხვ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, 2011.
5. პაიჭაძე ნ., ცარციძე მ. და სხვ. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, 2009.
6. Бирман Л. Управление человеческими ресурсами. М.,2018.
7. Маслов Н. Управление человеческими ресурсами. М.,2019.
8. Армстронг М. Практика яеловеческими ресурсами. М.,2012.

Multilateral Business Assessment of Human Resources

Nugzar Paichadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

For the effective management of human resources, it is necessary for the organization to have a correct and properly managed method of its (human resources) multilateral business assessment. This article is devoted to the mentioned problem. In this article there are discussed such issues as: evaluation factors and indicators of human resources, basic methods of searching information for evaluating human resources, main tasks and stages of human resources business evaluation, types of procedures for human resources business evaluation, methods of performing procedures for human resources business evaluation.

რაციონალურობის მიღმა: თანამედროვე ეკონომიკის პარადიგმების კრიტიკული ანალიზი

დავით როინიშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატია არის იმ ნაშრომების სერიის ნაწილი, სადაც გამოთქმული და შემოწმებულია ჰიპოთეზა ადამიანების ირაციუნალურობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა, როგორც მეცნიერება (მაგალითისათვის სარგებლიანობის თეორია), უმეტესწილად ადამიანებს განიხილავს როგორც რაციონალურ არსებებს, ეს კვლევა გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ზემოთ აღნიშნული დაშვება არ ასახავს ინდივიდების რეალურ ქცევას და შესაბამისად მიიჩნევს, რომ ადამიანები სინამდვილეში არ არიან რაციონალურები. ნაშრომი პასუხს გასცემს აღნიშნული იდეის მცირე ნაწილს, კერძოდ იმას, მიჰყვებიან თუ არა ადამიანები თავიანთ გადაწყვეტილებებში იმ რაციონალურ ანალიზს, რომელსაც თანამედროვე ეკონომიკა გვთავაზობს.

კვლევა პირველად მონაცემებს იყენებს, რომელთა მოსაპოვებლად ექსპერიმენტული მიდგომაა გამოყენებული. ჩატარდა გამოკითხვა და ექსპერიმენტი, რის შედეგადაც მოხდა ადამიანების ქცევაზე დაკვირვება და მონაცემების მიღება.

გამოკითხვაში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის 300-მდე სტუდენტმა მიიღო.

ექსპერიმენტი ქალაქ თბილისის მაშტაბით ჩატარდა, მისი მიზანია იმის დადგენა, იღებენ თუ არა ადამიანები გადაწყვეტილებებს იმ პოსტულატების მიხედვით, რომელსაც თანამედროვე ეკონომიკა გვთავაზობს.

სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნული გამოკითხვისა და ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი და დასკვნა ადამიანების ირაციონალური ქცევის შესახებ. ასევე, განხილულია საზოგადოების კეთილდღეობის ზრდისათვის ამ საკითხის აქტუალურობა და მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: *თანამედროვე ეკონომიკა, რაციონალური ქცევა, ირაციონალურობის პროგნოზირება, კეთილდღეობის მაქსიმიზაცია.*

ადამიანების უმეტესობამ, იმის მიუხედავად, სწავლობდნენ თუ არა ეკონომიკას, დაახლოებით მაინც იცის, ვინ არის *ჰომო ეკონომიკუსი,* ანუ ადამიანი ეკონომიკური. ეს არის ინდივიდი, რომელიც ფიქრობს და ირჩევს ყოველთვის სწორად, იღებს თანმიმდევრულ და სრულიად ლოგიკურ, რაციონალურ გადაწყვეტილებებს. თუ თქვენ უნივერსიტეტში ეკონომიკას სწავლობდით, ალბად იცანით, ვიზეც არის საუბარი. ეს არის ადამიანი, რომელიც ეკონომიკის უმეტეს სახელმძღვანელოებშია აღწერილი და რომლის თანახმადაც ჰომო ეკონომიკუსს უნდა ჰქონდეს ხელოვნული ინტელექტის სააზროვნო შესაძლებლობები, უსასრულო ნებისყოფა და დისციპლინა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში ჩვენს გარშემო ადამიანებს რეალურად, სრულიად არ ახასიათებთ მსგავსი თვისებები. მაგალითად, მაღაზიაში ჩასვლისას სასურველი პროდუქტების ფურცელზე ჩამოწერა უწევთ, რადგან, სხვა შემთხვევაში, დაავიწყდებათ; ხურდის დათვლა კალკულატორის გარეშე უჭირთ; დაბადების დღეზე მისვლისას იმდენ ტკბილეულს მიირთმევენ, რომ შემდეგ ზედმეტ წონაზე ნერვიულობა უწევთ, ვინაიდან ყველა ადამიანი ვერ ახერხებს თავისთვის ოპტიმალური დიეტის შერჩევას. იგივე ეხება სიგარეტის მოწევასა და ალკოჰოლის მოხმარებას. ამ არასასურველ ჩვევებს ყოველ-

წლიურად რამდენიმე ასეული ათასი სიცოცხლე ეწირება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით არ იქნება მართებული მტკიცება იმისა, რომ ადამიანები საკუთარ არჩევანში ყოველთვის კეთილდღეობის მაქსიმიზაციის პრინციპით ხელმძღვანელობენ. უფრო მეტიც, მწეველები, ალკოჰოლზე დამოკიდებულებისა თუ ზედმეტი წონის მქონე ადამიანების უმრავლესობა მზადაა ფულიც კი გადაიხადოს ამ მავნე ჩვევებისაგან განთავისუფლებისათვის. ანუ ჩვენ ვსაუბრობთ არა ჰომო ეკონომიკუსზე "ადამიან ეკონომიკურ"-ზე, არამედ *ჰომო საპიენსზე.*

თუ ინდივიდი გადაწყვეტს გახდეს ჰომო ეკონომიკუსი, მაშინ მისი გადაწყვეტილებები ყოველთვის იქნება არა იდეალურად სწორი, არამედ მოუკერძოებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მცდარი, მაგრამ ისინი ვერ იქნება სისტემატიური, ანუ იქნება არაპროგნოზირებადი. ადამიანი ეკონომიკურისაგან განსხვავებით ჰომო საპიენსები შეცდომებს საკმაოდ პროგნოზირებადად უშვებენ. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც სტუდენტები, რომელებიც მიცემული სამუშაო ვადის მიუხედავად ესსეს დაწერას ბოლო რამდენიმე დღეში ცდილობენ, რის გამოც ჩაბარებული ესსეების ძირითადი ნაწილის გადმოგზავნა დედლაინამდე რამდენიმე წუთით ადრე ხდება, ზოგიც კი საერთოდ ვერ ასწრებს. შესრულებული სამუშაოს ხარისხიც აღნიშნული მიზეზის გამო იკლებს. ხშირად ამ პრობლემის გადაჭრას დავალების შესრულებისათვის გამოყოფილი დროის გაზრდით ცდილობენ, რაც რეალურად მხოლოდ სიზარმაცის პერიოდის ზრდას ნიშნავს, რადგან, სტუდენტები ამ შემთხვევაშიც, მაინც ბოლო რამდენიმე დღეში შეეცდებიან დავალების შესრულებას.

არჩევანის თავისუფლების იდეის მომხრეები უარყოფენ ნებისმიერ ჩარევას ადამიანის არჩევანში. ისინი თვლიან, რომ საზოგადოებამ და სახელმწიფომ ინდივიდებს ვარიანტების მაქსიმალური რაოდენობა უნდა შესთავაზოს, რის შემდეგაც ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, სრულიად დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და ამ პროცესში ყოველგვარი ჩარევა დაუშვებელია. ერთადერთ ალტერნატივად ისინი სახელმწიფოს ერთპიროვნული დიქტატს მიიჩნევენ და არც განიხილავენ ამ ორი უკიდურესობის შორის სხვა ბევრად უფრო ოპტიმალური სტრატეგიების არსებობის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში არასწორი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ თითქმის ყველა და თითქმის ყოველთვის იღებენ რაციონალურ გადაწყვეტილებებს, რომელიც ახდენს მათი კეთილდღეობის მაქსიმიზაციას. ეს გზავნილი ძირფესვიანად არასწორია. ქვემოთ მოყვანილი ექსპერიმენტების ანალიზისას ვნახავთ, რომ შესაძლებელია საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაზრდა, ადამიანის რაციონალურობის დაშვების გაუქმებით და ირაციონალურობის პროგნოზირების შესწავლით.

კვლევის მიზანი

ეს სტატია ეჭვქვეშ აყენებს ადამიანების რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარს. ქვემოთ მოყვანილი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზით პასუხს გასცემს ინდივიდების რაციონალურობის შესახებ დაშვების მართებულობას.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა პირველადი მონაცემების ანალიზს ეფუძნება. მათ შესაგროვებლად ექსპერიმენტული მიდგომაა გამოყენებული. ჩატარებულია ერთი გამოკითხვა და ერთი ექსპერიმენტი, რომლის ფარგლებშიც დავაკვირდით და შევისწავლეთ ადამიანების ქცევა კონკრეტულ სიტუაციაში. აღნიშნული ექსპერიმენტი მიზნად ისახავდა ადამიანის ქცევის ბუნების დადგენას, ის არ ატარებდა

სტატისტიკურ ხასიათს. რადგან ნაშრომში ადამიანის ზოგადი ბუნების კვლევა არ განიხილება, როგორც სტატისტიკური ექსპერიმენტი, პირველ ექსპერიმენტში მათში მონაწილე ინდივიდები არ არიან შერჩეული შემთხვევითობის პრინციპით.

გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ჩატარდა და შემდეგი სახე აქვს: წარმოიდგინეთ მეგობართან ერთად მაღაზიაში ფანქრის საყიდლად შედიხართ, რომელიც 9 ლარი ღირს. ყიდვა გადაწყვეტილი გაქვთ, მაგრამ უცებ მეგობარი ამბობს, რომ ზუსტად იგივე ფანქარის ფასი მეორე მაღაზიაში, რომელიც 20 წუთის სავალზეა, 1 ლარია. როგორი იქნება თქვენი გადაწყვეტილება? დახარჯავთ თუ არა 20 წუთს მაღაზიამდე გასეირნებაში იმისათვის, რომ 8 ლარი დაზოგოთ? ეს კითხვა საერთოდ ჯამში 294 სტუდენტს დავუსვით, საიდანაც უმეტესობამ - 248 სტუდენტმა თქვა, რომ გაისეირნებდა 20 წუთს 8 ლარის ეკონომიის მიზნით.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ ავტობაზრობაზე მანქანის საყიდლად წაბრძანდით. შესანიშნავი მანქანა შეარჩიეთ, რომლის ფასიც 15000 ლარია, მზად ხართ ახალი შენაძენისთვის, მაგრამ უცებ მეგობარი გეუბნებათ, რომ 20 წუთის სავალზე ზუსტად ასეთივე მანქანის ფასი 14992 ლარს შეადგენს. კითხვა იგივეა, გაისეირნებთ თუ არა ამ მანძილზე რომ 8 ლარი დაზოგოთ? ამ კითხაზე იგივე 294 სტუდენტიდან 260 სტუდენტმა თქვა რომ 8 ლარის გამო ამ მანძილის გავლა არ უღირდათ და შესაბამისად არც გაისეირნებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსს გამოკითხვებს სხვა მკვლევარებიც მიმართავენ, მაგალითად, ამოს ტვერსკი და დანიელ კანემანი (ა. ტვერსკი, დ. კანემანი 1981).

ეკონომიკის თვალსაზრისით ასეთი შედეგები საინტერესოა. როგორ მოხდა, რომ ზუსტად ერთი და იგივე სიტუაციაში ადამიანებმა სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღეს? ღირს გასეირნების 20 წუთი 8 ლარის დასაზოგად თუ არა? 20 წუთი სეირნობის დანახარჯები: დროის, ენერგიისა თუ ალტერნატიული ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, 8 ლარიც უცვლელია. ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც სტუდენტებს უნდა მიეღოთ, ეს არის - უღირთ თუ არა 8 ლარის ეკონომია 20 წუთი გასეირნებად. რეალურად ხომ საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამ ეკონომიას 9 ლარის ღირებულების პროდუქტის ყიდვისას ეწევით, თუ 15000 ლარის ღირებულებისას. რატომ მოხდა, რომ პირველ შემთხვევაში აბსოლუტური უმრავლესობამ 8 ლარის ეკონომიიდან მიღებული სარგებელი სეირნობის დანახარჯებზე მეტად შეაფასა, მაგრამ მეორე, ანალოგიურ სიტუაციაში მიიჩნიეს, რომ 8 ლარის ეკონომია სასეირნო დანახარჯებად არ ღირდა?

კლასიკური ეკონომიკის პოსტულატების მიხედვით, ყველა ადამიანის გადაწყვეტილებები რაციონალურია და მთლიანად ეფუძნება მიღებულ ინფორმაციას. ინდივიდებს მკაფიოდ ესმით და სრულად აანალიზებენ საქონლისა და მომსახურების რეალურ ღირებულებას, ასევე, იმ სარგებელს, რასაც მიიღებენ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას. დაშვებების ამ სისტემით შეიარაღებული ყველა რაციონალური ადამიანი ბაზარზე ახდენს სარგებლიანობის მაქსიმიზაციას.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ამ ნაშრომში გამოთქმულია ვარაუდი, რომ ადამიანები სინამდვილეში მარტივად ექვემდებარებიან ყურადღების გადამტან სხვადასხვა სახის ფაქტორებს, მათ შორის იმ გარემოს, რაშიც იმყოფებიან, უადგილო ემოციებს, სოციალურ ზეგავლენასა თუ სხვა ფორმის ირაციონალურობას. ამის მაგალითები ქცევითი ეკონომიკის სფეროში სხვადასხვა კვლევებშიც გვხვდება.

შედეგები: ექსპერიმენტი

ზემოთ მოყვანილი გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ადამიანები არ იღებენ გადაწყვეტილებებს იმ ალგორითმით, რომელსაც ეკონომიკის ძირითადი პოსტულატები გვთავაზობს. როგორც ვნახეთ, ორ, ეკონომიკურად იდენტურ სიტუაციაში, მათ სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები მიიღეს. მაგრამ რამდენად ირაციონალურები შეიძლება იყვნენ ადამიანები თავიანთ გადაწყვეტილებებში? და საერთოდ იციან თუ არა ინდივიდებმა რა მოსწონთ და რა სურთ? ამ კითხვას პასუხს ექსპერიმენტით გავცემთ.

ექსპერიმენტი შემდეგი სახისაა: ოთხ იდენტურ იისფერი შეფერილობის ყუთზე დატანილია სხვა და სხვა ფორმის ლაქები. ყველა ყუთი ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავდება, მაგრამ ესთეტიკური თვალსაზრისით თითქმის ერთი და იგივეა. ექსპერიმენტში მონაწილე ინდივიდი ოთახში შესვლისას ამ ოთხ ყუთს ხედავს, მკვლევარი გოგონა თხოვს მას, აირჩიოს ის ყუთი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონება, ასევე, დაასახელოს ის თანხა, რომელსაც გადაიხდის თითოეული ყუთის შესაძენად. აქვე განუმარტავს, რომ მისი არჩევანის დაფიქსირება ფურცელზე დაწერით და დახურულ ყუთში ჩაგდებით ხდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ექსპერიმენტში მონაწილე მოქალაქეების პასუხი სრულიად ანონიმურია თავად მკველარებისთვისაც კი. ყუთების ქვეშ მითითებულია რიცხვები: 3, 7, 11, 124, რაც აღნიშნავს იმას, თუ გამოკითხულებიდან უკვე რამდენს მოეწონა ესა თუ ის ყუთი. მაგალითად თუ პირველ ყუთს შეესაბამება ციფრი 3, ნიშნავს იმას, რომ თქვენამდე სამმა ადამიანმა აირჩია ის, როგორც ყველაზე ლამაზი. თუ მეორეს ქვეშ რიცხვი 124 ერთვის, ნიშნავს რომ 124 გამოკითხულს ყველაზე მეტად ეს ყუთი მოეწონა და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს რიცხვები გამოგონილია და სინამდვილეში ექსპერიმენტში მონაწილე ინდივიდამდე არანაირი 155 ადამიანი გამოკითხული არ ყოფილა, მაგრამ მონაწილე ამის შესახებ ინფორმირებული არ არის.

საინტერესოა, მოახდენს თუ არა არარსებული ადამიანების არჩევანი გავლენას იმაზე, თუ რა მოსწონთ ადამიანებს.

ადამიანები ზოგადად საკმაოდ მგრძნობიარეები არიან სოციალური წნეხის მიმართ. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შესანიშნავმა მკვლევარმა სოლომონ აშმა (ს. აში, 1995) ჩაატარა კვლევების სერია იმის გამოსავლენად, თუ რამდენად ექვემდებარებიან ინდივიდები სოციალურ წნეხს, სადაც უმარტივეს კითხვებზე პასუხის გაცემისას ადამიანები შეცდომებს თითქმის არ უშვებდნენ, თუ ისინი მარტო, სხვებისაგან განცალკევებულად მონაწილეობდნენ ექსპერიმენტში, დაშვებული შეცდომებს კი შემთხვევითობის პრიცნიპით უშვებდნენ. მაგრამ, როდესაც იგივე კითხვები დაუსვეს ჯგუფთან ერთად, სადაც დანარჩენი წევრები შენიღბული მკვლევარები იყვნენ, რომლებიც შეგნებულად არასწორ პასუხებს სცემდნენ, ექსპერიმენტის მონაწილეები 30-40% შემთხვევებში ეთანხმებოდნენ ჯგუფის აზრს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი აშკარად არასწორი იყო. შემდგომ 130 ექსპერიმენტი ჩატარდა მსოფლიოს 70 ქვეყანაში: გერმანიაში, იაპონიაში, ნორვეგიაში, კუვეიტიში და სხვა. ყველა შემთხვევაში შედეგები დაახლოებით ერთი და იგივე იყო. გამოკითხულების 30-40% ეთანხმებოდა ჯგუფის არასწორი მოსაზრებას. აშმა მოახერხა ასეთი ქცევის მიზეზების აღწერა. ესენია სოციალური წნეხის მიმართ მგრძნობიარობა და კრიტიკის შიში (სოლომონ ე. აში, 1956). ჩვენი ექსპერიმენტი აშის მარტივი აშკარა კითხვებისაგან განსხვავებით არც თუ ისე სწორხაზოვან გადაწყვეტილებებს მოითხოვს. თუკი დაახლოებით 40% შემთხვევებში ადამიანები მოხვდნენ ჯგუფის ზეგავლენის ქვეშ ისეთ უმარტივეს საკითხებზეც კი როგორიცაა, სამი ხაზიდან ყველაზე გრძელის გამოვლენა, მაშინ როდესაც ერთ ერთი აშკარად დანარჩენზე ბევრად გრძელია. რა მოხდება, თუ ინდივიდებს მოუწევთ უფრო რთული და ნაკლებად ნაცნობი ამოცანების შესრულება? ამ კითხვაზე პასუხი მუზაფარ შერიფის ექსპერიმენტებმა გას-

ცა. რომელმაც დაადგინა, რომ ასეთ შემთხვევაში ადამიანები არათუ ეთანხმებიან ჯგუფის მოსაზრებას, არამედ დარწმუნებულებიც კი არიან თავიანთ სისწორეში და ინდივიდუალური საუბრის დროსაც კი ამტკიცებენ თავიანთი პიზიციის მართებულობას.

შესაბამისად, ამ კვლევაში მოყვანილი ექსპერიმენტი თავისუფალი უნდა იყოს ისეთი ფაქტორებისაგან, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ მონაცემების გადაადგილება. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ზემოთ აღწერილი სოციალური წნეხი. სწორედ ამ ფაქტორის აღმოსაფხვრელად, ექსპერიმენტის მონაწილე ოთახში სრულიად მარტო რჩება და მისი გაკეთებული არჩევანიც არავისთვისაა ცნობილი.

გამოკითხულთა დაახლოებით 60%-ის სიმპატია იმ ყუთმა დაუმსახურა რომელსაც რიცხვი 124 შეესაბამებოდა და მის სანაცვლოდ საშუალოდ 6 ლარის გადახდისათვის იყვნენ მზად. დარჩენილი 40% კი თითქმის თანაბრად გადანაწილდა დანარჩენ სამ ყუთზე და გადახდისათვის მზადყოფნაც 1 დან 2 ლარამდე მერყეობდა. ექსპერიმენტის მსვლელობისას ყუთებსა და მათზე მიმაგრებულ რიცხვებს შემთხვევითობის პრინციპით ვანაცვლებდით, რიცხვი 124 ხან პირველ კოლოფზე იყო მიმაგრებული, ხან მეორეზე და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში შედეგები თითქმის იდენტური დარჩა, გამოკითხულების დაახლოებით 60%-ს ის ყუთი მოსწონდა, რომლიც, მათი აზრით, უმეტესობას მოეწონა, ანუ რასაც რიცხვი 124 ეწერა. გადახდისათვის მზადყოფნაც არჩეული ყუთსათვის მეტი იყო, ვიდრე დანარჩენებისათვის.

ამდენად, სოციალური წნეხის, კრიტიკის შიშისა თუ სხვა ფაქტორის ქვეშ ადამიანებმა შეიძლება მიიღონ არაეფექტიანი და დიდწილად არასწორი გადაწყვეტილებები. მიუხედავად შეთავაზებული არჩევანის მრავალფეროვნებისა, ადამიანებმა არ მოახდინეს ის რაციონალური ანალიზი, რომელსაც თანამედროვე ეკონომიკა გვთავაზობს და დაშვებულ ხარვეზებსაც არა შემთხვევითი, არამედ სისტემატიური და შესაბამისად პროგნოზირებადი ხასიათი აქვთ.

დასკვნა

თუ თანამედროვე ეკონომიკა ყოველდღიური რეალობის ანალიზს შესაძლოა თავს ეფექტიანად ვერ ართმევს და თუ ადამიანები ერთი და იგივე შეცდომებს სისტემატურად უშვებენ, მაშინ რატომ არ უნდა იქნას შემოშავებული ახალი სტრატეგიები, მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელიც დაეხმარება საზოგადოებას, მიიღოს მისთვის ნამდვილად სწორი გადაწყვეტილებები, რაც გაზრდის საყოველთაო კეთილდღეობას და ცხოვრების დონეს. ისევე, როგორც სტუდენტს, რომელიც შეჭიდებულია რთულ საგანს, რომელსაც საკუთარი ძალებით ვერ დაძლევს და უარს იტყვის სწავლის გაგრძელებაზე, შეგვიძლია მარტივად დავეხმაროთ, მცირე მინიშნებებითა და სწორი მიმართულების მიცემით მივიყვანოთ სასურველ შედეგამდე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akerlof, George A., Janet L. Yellen, and Michael L. Katz. “An Analysis of Out-of-Wedlock Childbearing in the United States.” Quarterly Journal of Economics 111 (1996): 277–317.
2. Ariely, Dan. 2009. “*Predictably Irrational”*. New York, NY: HarperCollins.
3. Ariely, Dan. and Wallsten, Tom. "Seeking Subjective Dominance in Multidimensional Space: An Explanation of the Asymmetric Dominance Effect," Organizational Behavior and Human Decision Processes (1995).
4. Asch, Solomon. “Opinions and Social Pressure.” In Readings About the Social Animal, ed. Elliott Aronson, 13. New York: W. H. Freeman, 1995.

5. Christakis, Nicholas A., and James H. Fowler. “The Spread of Obesity in a Large Social Network over 32 Years.” New England Journal of Medicine 357 (2007): 370-79.
6. Clark, Andrew E., Ed Diener, Yannis Georgellis, and Richard E. Lucas. “Lags and Leads in Life Satisfaction: A Test of the Baseline Hypothesis,” DELTA Working Paper 2003-14, 2003.
7. Cooper, Arnold C., Carolyn Y. Woo, and William C. Dunkelberg. “Entrepreneurs’ Perceived Chances for Success.” Journal of Business Venturing 3, no. 2 (1988): 97– 108.
8. Holland, Rob W., Henk Aarts, and Merel Hendriks. “Smells Like Clean Spirit.” Psychological Science 16 (2005): 689-93
9. Kirsch, Irving. "Antidepressants Proven to Work Only Slightly Better Than Placebo," Prevention and Treatment (June 1998).
10. Sherif, Muzafer. “An Experimental Approach to the Study of Attitudes.” Sociometry 1 (1937): 90–98.
11. Thaler, Richard H., and Cass R. Sunstein. 2009. “*Nudge”*. New York, NY: Penguin.

Beyond Rationality: A Critical Analysis of Modern Economic Paradigms

David Roinishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

This article is part of a series of studies where the hypothesis about the irrational behavior of individuals is discussed and examined.

While economics often treats individuals as rational agents (e.g., in utility theory), this research challenges the assumption and suggests that it does not accurately reflect real human behavior. The paper aims to address a small aspect of this notion: whether people adhere to the rational analysis offered by modern economics in their decision-making.

Primary data based on experimental approach is used in the research. A survey and an experiment were conducted, both focusing on human behavior and data collection.

Participation in the survey was taken by up to 300 students from various universities in Georgia.

The experiment was conducted throughout the city of Tbilisi, its purpose is to determine whether people make decisions according to the postulates offered by the modern economy.

The article presents the analysis and conclusion of the results of the survey and experiment about the irrational behavior of people. Also, the relevance and importance of this issue for increasing the welfare of the society is discussed.

Keywords*: modern economics, rational behavior, predicting irrationality, welfare maximization.*

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შეფასების განუსაზღვრელობა და სამართლიანი წარდგენა

ლევან საბაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნადეჟდა კვატაშიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2023 წლის იანვრიდან ამოქმედდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ფასსს) მიერ შეტანილი შესწორება ბასს 8-ში - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები". შესწორება ეხება „სააღრიცხვო შეფასებების" განმარტებას. შესწორების მიზანია სააღრიცხვო პოლიტიკასა და სააღრიცხვო შეფასებებს შორის განსხვავებაში მეტი სიცხადის შეტანა. განსხვავების სწორი იდენტიფიცირება გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიან წარდგენაზე, ვინაიდან ცვლილებები შეფასებებში დაკავშირებულია ინფორმაციის არსებობის, შეფასების და შედეგის განუსაზღვრელობებთან, რაც განაპირობებს ინფორმაციისადმი შესაბამის მიდგომებს და მათ გამჟღავნებას ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ასევე ცვლილებების სწორი იდენტიფიცირება განსაზღვრავს მათი ასახვის წესს - ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში აისახება რეტროსპექტულად, ხოლო ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში - პერსპექტიულად.

საკვანძო სიტყვები: *სააღრიცხვო შეფასებები; არსებობის განუსაზღვრელობა; შეფასების განუსაზღვრელობა; შედეგების განუსაზღვრელობა; ინფორმაციის სამართლიანი წარდგენა.*

იმისათვის, რომ უფრო ნათელი გამხდარიყო განსხვავება „სააღრიცხვო პოლიტიკასა" და „ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების" ცნებებს შორის, საბჭომ ცნება „ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში" ჩაანაცვლა ცნებით „სააღრიცხვო შეფასებები". შესწორებების შედეგად **სააღრიცხვო შეფასება** განისაზღვრა როგორც „ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფულადი თანხა, რომელთანაც დაკავშირებულია შეფასების განუსაზღვრელობა".[1]

აღსანიშნავია, რომ ბასს 8 არ იძლევა „შეფასების განუსაზღვრელობის" განმარტებას [8], ამდენად ვხელმძღვანელობთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გლოსარში მოცემული განმარტებით, სადაც **განუსაზღვრელობა** განმარტებულია როგორ **ვითარება, რომლის შედეგები** დამოკიდებულია ისეთ სამომავლო ქმედებებსა თუ მოვლენებზე, რომელთა მართვა და კონტროლი არ ხორციელდება სუბიექტის მიერ, მაგრამ მათ შესაძლოა გავლენა მოახდინონ ფინანსურ ანგარიშგებაზე [13].

[1] საყურადღებოა, რომ ტერმინი „შეფასება" სხვა ფასს სტანდარტებში ეხება ისეთ შეფასებას, რომელიც არ წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასებას ბასს 8-ში მოცემული განმარტების შესაბამისად. ეს ტერმინი ზოგჯერ შესაძლოა ეხებოდეს ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც გამოიყენება სააღრიცხვო შეფასებების გამოსათვლელად. ბასს 8 „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები". პ. 5; 32ბ.

სააღრიცხვო პოლიტიკა ფინანსურ ანგარიშგებაში წარსადგენი მუხლების შეფასებას შესაძლოა ისეთი მეთოდით მოითხოვდეს, რომელთანაც დაკავშირებულია **შეფასების განუსაზღვრელობა.** სხვაგვარად, სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლოა ისეთი მუხლების შეფასებას მოითხოვდეს ფულად გამოხატულებაში (ფულადი თანხებით), რომლის ოდენობის შესახებ **ინფორმაციის პირდაპირ მიღება,** დაკვირვების შედეგად, შეუძლებელია. **ამიტომ მისი ოდენობა მიახლოებით უნდა შეფასდეს.** ბასს 8-ში მითითებულია, რომ ასეთ შემთხვევაში, საწარმომ უნდა გამოითვალოს სააღრიცხვო შეფასება **სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული** მიზნის მისაღწევად. **სააღრიცხვო შეფასებების გამოთვლის პროცესი გულისხმობს განსჯის ან უახლეს ხელმისაწვდომ და საიმედო ინფორმაციაზე დაფუძნებული დაშვებების გამოყენებას.**

სააღრიცხვო შეფასებები შესაძლებელია იყოს დაკავშირებული:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასთან;
- მარაგების მოძველებასთან;
- უიმედო მოთხოვნებთან;
- ამორტიზებადი აქტივების გამოყენების პერიოდთან ან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ თავისებურებებთან;
- საგარანტიო ვალდებულებებთან.

ბასს 8-ში მითითებულია სააღრიცხვო შეფასებების მაგალითები და მათი მარეგულირებელი სტანდარტები. ესენია:

ა) ზარალის რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, ფასს 9-ის – „ფინან-სური ინსტრუმენტები“ – შესაბამისად [3];

ბ) მარაგის ამა თუ იმ ელემენტის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, ბასს 2-ის – „მარაგები“ – შესაბამისად[7];

გ) აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება, ფასს 13-ის – „სამართლიანი ღირებულება“ – შესაბამისად [4];

დ) ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები, ბასს 16-ის – „ძირითადი საშუალებები“ შესაბამისად [9];

ე) საგარანტიო ვალდებულებების ანარიცხები, ბასს 37-ის – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – შესაბამისად [11].

გარდა ამ ჩამონათვალისა, შეფასების განუსაზღვრელობა გვხდება ამონაგების ცვალებადი ანაზღაურების სიდიდის შეფასების[15] და ბიოლოგიური აქტივების შეფასებების დროს [12].

განუსაზღვრელობები უპირველესად დაკავშირებულია ბაზრის ცვლილებებთან და შედეგად, სააღრიცხვო შეფასებები მოითხოვს დაშვებებისა და ამოსავალი ცვალებადი მონაცემების შერჩევას, რომელიც რთული პროცესია და ძირითადად ეფუძნება პროფესიულ მსჯელობებს. თავის მხრივ, მომდევნო სააღრიცხვო პერიოდებში საჭირო ხდება ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების ცვლილებები. ამდენად, შეფასებები დროთა განმავლობაში მოითხოვენ გადასინჯვას:

- გარემოებების შეცვლისას, რომელსაც ეყრდნობოდა სააღრიცხვო შეფასება;
- ახალი ინფორმაციისა და ახალი მოვლენების არსებობის შემთხვევაში;
- პროფესიული გამოცდილების დაგროვების შედეგად.

შეფასებების გადასინჯვა არ არის დაკავშირებული წინა პერიოდებთან და ამდენად, აისახება პერსპექტიულად. ეს არის:

- აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირება;
- აქტივის დროში გამოყენების სიდიდის კორექტირება, რომელიც წარმოიქმნება აქტივის-/ვალდებულების მიმდინარე მდგომარეობის შეფასებით, **მომავალი** სარგებლის და ვალდებულების მოლოდინით.

I. ინფორმაციის განუსაზღვრელობა

✓ არსებობის განუსაზღვრელობა

ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლების, ხარჯებისა და საკუთარი კაპიტალის შესახებ უნდა შეესაბამებოდეს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლების მოთხოვნებს. მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების დროს შესაძლებელია წარმოიქმნას სიტუაციები, როდესაც გაურკვეველია არსებობს თუ არა აქტივი ან ვალდებულება, ან აქტივი ან ვალდებულება არსებობს, მაგრამ დაბალია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის, ან გასვლის ალბათობა [1]. მაგალითად, გაურკვეველია, უფლება არსებობს თუ არა მაშინ, როდესაც საწარმოსა და მეორე მხარე შორის არსებობს დავა იმის თაობაზე, საწარმოს აქვს თუ არა **ეკონომიკური რესურსის მიღების უფლება** სხვა მხარისგან. სანამ არსებული განუსაზღვრელობა არ გადაიჭრება, მაგალითად, სასამართლოს წესით, გაურკვეველია, საწარმოს აქვს თუ არა უფლება და, შესაბამისად, არსებობს თუ არა აქტივი.

ასევე, მაგალითად, გაურკვეველია მოვალეობა არსებობს თუ არა მაშინ, როდესაც მეორე მხარე კომპენსაციას ითხოვს საწარმოს არამართლზომიერი ქმედებისთვის. შესაძლოა გაურკვეველი იყოს, საწარმომ ამგვარად იმოქმედა თუ არა ან როგორ გამოიყენა კანონის მოთხოვნები. სანამ მოვალეობის არსებობის განუსაზღვრელობა არ გადაიჭრება, მაგალითად, სასამართლოს ძალით, გაურკვეველია, აქვს თუ არა საწარმოს მოვალეობა იმ მხარის წინაშე, რომელიც კომპენსაციას ითხოვს და, შესაბამისად, ვალდებულება არსებობს თუ არა.

ასეთ გაურკვეველ სიტუაციებთან/განუსაზღვრელობებთან დაკავშირებით ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებს (შემდგომში - კონცეპტუალური საფუძვლები) შემოაქვს ცნება „**არსებობის განუსაზღვრელობა**“ და განმარტავს მას როგორც „გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, აქტივი ან ვალდებულება არსებობს თუ არა“. საქმე ისაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი განუსაზღვრელობა ეკონომიკური **სარგებლის შემოსვლის ან გასვლის დაბალ ალბათობასა და შესაძლო შედეგების განსაკუთრებულ ფართო დიაპაზონთან ერთად,** შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ აქტივის ან ვალდებულების აღიარება, რომელიც შეფასებულია მხოლოდ ერთი თანხით, არ იძლევა შესაბამის ინფორმაციას. იმის მიუხედავად, აღიარდება თუ არა აქტივი ან ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლებელია მაინც აუცილებელი იყოს მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესახებ ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის მიწოდება.

✓ შეფასების განუსაზღვრელობა

ასაღიარებელი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე გავლენას ახდენს შეფასების განუსაზღვრელობა. კონცეპტუალური საფუძვლებით **შეფასების განუსაზღვრელობა** არის განუსაზღვრელობა, რომელიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც შეუძლებელია ფინანსურ ან-

გარიშებში ასახული ფულადი თანხების **პირდაპირ მოძიება და ამის ნაცვლად უნდა შეფასდეს მათი ოდენობა.**

ზოგ შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის დონე იმდენად მაღალია, რომ საეჭვოა, ამ შეფასებით მიიღწევა თუ არა აქტივის ან ვალდებულების და მასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯების ან საკუთარი კაპიტალის ცვლილებების საკმარისად **სამართლიანად წარდგენა.** კონცეპტუალური საფუძვლებით მიჩნეულია, რომ შეფასების განუსაზღვრელობის დონე შესაძლოა ძალიან მაღალი იყოს, თუ მაგალითად, აქტივის ან ვალდებულების მაჩვენებლის შეფასების **ერთადერთი გზა ფულად ნაკადებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდების გამოყენებაა** და, გარდა ამისა, ერთი ან რამდენიმე ქვემოთ განხილული გარემოება არსებობს:

ა) **შესაძლო შედეგების დიაპაზონი** განსაკუთრებით ფართოა და თითოეული მოსა-ლოდნელი შედეგის ალბათობის შეფასება განსაკუთრებით რთული;

ბ) ეს მაჩვენებელი **განსაკუთრებით მგრძნობიარეა** სხვადასხვა მოსალოდნელი შედეგის ალბათობის შეფასების მცირე ცვლილების მიმართ. მაგალითად, როდესაც მომავალი ფულადი ნაკადების შემოსვლის ან გასვლის ალბათობა დაბალია, მაგრამ ამგვარი ფულადი ნაკადების ოდენობა განსაკუთრებით მაღალი იქნება, თუ მათი შემოსვლა ან გასვლა მატერიალიზდება;

გ) აქტივის ან ვალდებულების მაჩვენებლის შესაფასებლად აუცილებელია ისეთი ფულადი ნაკადების **განსაკუთრებით რთული ან განსაკუთრებით სუბიექტური მეთოდებით** განაწილება, რომლებიც დაკავშირებული არ არის მხოლოდ შესაფასებელ აქტივთან ან ვალდებულებასთან.

განხილული სიტუაციებისათვის შესაძლებელია სასარგებლო ინფორმაცია იყოს მაჩვენებელი, რომელიც ეყრდნობა ისეთ შეფასებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი დონის განუსაზღვრელობა, თანდართული შეფასების აღწერილობასა და მასზე მოქმედი განუსაზღვრელობის ახსნასთან ერთად. სხვა შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს აქტივის ან ვალდებულების და მასთან დაკავშირებული შემოსავლების, ხარჯების ან საკუთარი კაპიტალის ცვლილებების საკმარისად სამართლიანად წარდგენას, ყველაზე სასარგებლო ინფორმაცია შესაძლოა იყოს სხვა მაჩვენებელი (რომელსაც ახლავს აუცილებელი აღწერილობები და ახსნა), რომელიც **ცოტათი ნაკლებად შესაბამისია, მაგრამ მის შეფასებასთან უფრო ნაკლები დონის განუსაზღვრელობაა დაკავშირებული.**

✓ შედეგის განუსაზღვრელობა

კონცეპტუალური საფუძვლებით **შედეგის განუსაზღვრელობა** არის გაურკვევლობა, რომელიც დაკავშირებულია აქტივიდან მისაღები ან ვალდებულებასთან დაკავშირებით საწარმოდან გასასვლელი **ეკონომიკური სარგებლის ოდენობასთან,** ან ამგვარი ეკონომიკური **სარგებლის მიღების ან გასვლის დროსთან.**

შეფასების განუსაზღვრელობა განსხვავდება შედეგის განუსაზღვრელობისაგან და არსებობის განუსაზღვრელობისგან:

(ა) შედეგის განუსაზღვრელობა იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც გაურკვეველია მისაღები ან გასასვლელი ეკონომიკური **სარგებლის ოდენობა,** ან მისი მიღების ან გასვლის **დრო;**

(ბ) არსებობის განუსაზღვრელობა იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც გაურკვეველია, **არსებობს თუ არა აქტივი ან ვალდებულება.** არსებობის განუსაზღვრელობა გავლენას ახდენს აქტივის ან ვალდებულების აღიარებაზე.



როდესაც აქტივის ან ვალდებულების შეფასება ხდება მომავალ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შეფასების გათვალისწინებით, ერთ-ერთი განსახილველი ფაქტორია ამ ფულადი ნაკადების შეფასებული ოდენობის ან წარმოქმნის ვადებში მოსალოდნელი შესაძლო ცვალებადობა. ასეთი ცვალებადობები გაითვალისწინება შესაძლო ფულადი ნაკადების დიაპაზონიდან ერთი თანხის შერჩევისას, რაზედაც საფუძვლებში მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები.

II. განუსაზღვრელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სამართლიანი წარდგენა

როდესაც შეუძლებელია ამა თუ იმ მაჩვენებლის პირდაპირ განსაზღვრა აქტიური ბაზრის ემპირიული ფასების მეშვეობით და ამის ნაცვლად უნდა შეფასდეს, მაშინ წარმოიქმნება შეფასების შეუსაბამობა. შეფასების **განუსაზღვრელობის დონე,** რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ შეფასების საფუძველთან, შესაძლოა გავლენას ახდენდეს **იმაზე, ამ შეფასების საფუძვლით მიღებული ინფორმაციით მიიღწევა თუ არა საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების სამართლიანი წარდგენა.**

კონცეპტუალურ საფუძვლებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დასაბუთებული შეფასებების გამოყენება ფინანსური ინფორმაციის მომზადების პროცესის არსებითი ნაწილია, რაც „არ **აკნინებს ინფორმაციის სარგებლიანობას,** თუკი ეს შეფასებები ნათლად და სწორად არის აღწერილი და ახსნილი. შეფასებასთან დაკავშირებული მაღალი დონის განუსაზღვრელობაც კი ყოველთვის არ უშლის ხელს იმას, რომ ამგვარი შეფასებით მიღებული ინფორმაცია სასარგებლო იყოს“. ასე, შესაძლოა მოვლენის შესახებ ყველაზე შესაბამისი ინფორმაცია იყოს შეფასება, რომელიც ხასიათდება **მაღალი დონის განუსაზღვრელობით.** უფრო მეტიც, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა **შეფასების განუსაზღვრელობის დონე** იმდენად მაღალია, რომ საეჭვო გახდეს, ეს შეფასება უზრუნველყოფს თუ არა ამ მოვლენის **სამართლიანად წარდგენას.** კონცეპტუალური საფუძვლებით მიჩნეულია, რომ ასეთ შემთხვევაში, ზოგჯერ ყველაზე სასარგებლო ინფორმაცია შესაძლოა იყოს შე-

ფასება, რომელსაც მაღალი დონის განუსაზღვრელობა უკავშირდება და თან ახლავს შეფასების აღწერა და მასზე მოქმედი განუსაზღვრელობის ახსნა. ხოლო თუ ეს ინფორმაცია ვერ უზრუნველყოფს მოვლენის საკმარისად სამართლიანად წარდგენას, ყველაზე სასარგებლო ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს სხვა ტიპის შეფასებას, რომელიც ცოტათი ნაკლებად შესაბამისია, მაგრამ მის განსაზღვრასთან უფრო დაბალი დონის განუსაზღვრელობა არის დაკავშირებული.

ბასს 37-ში - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები", აღნიშნულია, რომ „შეფასებების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების მომზადების არსებითი ნაწილია, რაც არ ამცირებს მის საიმედოობას. განსაკუთრებით ეს ეხება ანარიცხებს, რომლებიც უფრო მეტ განუსაზღვრელობასთანაა დაკავშირებული, ვიდრე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა მუხლების უმეტესობა". მიჩნეულია, რომ საწარმოს შეუძლია განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგების დიაპაზონი და საკმარისად საიმედოდ შეაფასოს ვალდებულება, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება ანარიცხების აღიარებისათვის.

ბასს 36-ით - „ აქტივების გაუფასურება" შესაძლოა აქტივის გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება განისაზღვროს მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს იდენტური აქტივის აქტიური ბაზრის კოტირებული ფასი. თუმცა, ზოგჯერ შეუძლებელია გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, ფასების საიმედოდ შეფასების საფუძვლების არარსებობის გამო. ასეთ შემთხვევაში, აქტივის გამოყენების ღირებულება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებად [10].

ბასს 41-ში - „სოფლის მეურნეობა", აღნიშნულია, რომ შესაძლებელია ბიოლოგიური აქტივის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ამავდროულად, ისეთი ბიოლოგიური აქტივის თავდაპირველი აღიარებისას, რომლისთვისაც არ არსებობს კოტირებული საბაზრო ფასები, სამართლიანი ღირებულების ალტერნატიული შეფასებები არასაიმედოდ არის მიჩნეული. ასეთ შემთხვევაში, ამგვარი ბიოლოგიური აქტივი უნდა შეფასდეს თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. როდესაც შესაძლებელი გახდება ამგვარი ბიოლოგიური აქტივის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება, საწარმომ იგი უნდა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, როდესაც დაშვებები არ ეფუძნება ბაზრის დაკვირვებად ინფორმაციას, ფასს 7 – „ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება", მოითხოვს ინფორმაციის გამჟღავნებას ამოსავალ ბაზად გამოყენებული ალტერნატიული მეთოდებისა და დაშვებების შედეგების შესახებ [2].

ბასს 8-ში მითითებულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სტანდარტი, რომელიც სპეციალურად მოცემული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან გარემოებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისა და გამოყენებისას, რომლის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია, რომელიც:

ა) შეესაბამება მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროებას; და

ბ) საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება:

- **(i)** სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- **(ii)** გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;
- **(iii)** ნეიტრალურია, ე.ი. თავისუფალია სუბიექტური დამოკიდებულებისაგან;
- **(iv)** არის წინდახედული; და
- **(v)** არის დასრულებული ყველა არსებით ასპექტში.

III. დასკვნა

ბასს 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ მოითხოვს, რომ საწარმომ განმარტებით შენიშვნებში წარადგინოს ინფორმაცია მომავალთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი დაშვებებისა და განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული სხვა ძირითადი წყაროების შესახებ, რომელთა გამოც მომავალ საფინანსო წელს არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკი. ამ აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებით, განმარტებითი შენიშვნები უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას:

ა) მათი ბუნების შესახებ; და

ბ) მათი საბალანსო ღირებულების შესახებ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის [6].

იშვიათ შემთხვევებში, აქტივის ან ვალდებულების შეფასება დაკავშირებულია იმდენად მაღალი დონის განუსაზღვრელობასთან, რომ ვერ მიიღება სასარგებლო ინფორმაცია ამ აქტივების ან ვალდებულებების შესახებ, მიუხედავად გამოყენებული შეფასებების აღწერილობისა და ამ შეფასებებზე მოქმედი განუსაზღვრელობების ახსნისა. ამგვარ იშვიათ შემთხვევებში, აქტივი ან ვალდებულება არ აღიარდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები
2. ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტები: გამჟღავნება
3. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები
4. ფასს 13 სამართლიანი ღირებულება
5. ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან
6. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგება
7. ბასს 2 მარაგები
8. ბასს 8 სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები
9. ბასს 16 ძირითადი საშუალებები
10. ბასს 36 აქტივების გაუფასურება
11. ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.
12. ბასს 41 სოფლის მეურნეობა.
13. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გლოსარი

Uncertainty about the Estimation of Financial Statement Information and Fair Presentation

Levan Sabauri
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nadejda Kvatashidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

From 2023, the amendments to IAS 8 are intended to provide more clarity to the distinction between accounting policies and accounting estimates. The correct identification of differences affects the fair presentation of financial statement information. To clarify the difference between these concepts, the Board replaced the concept of "changes in accounting estimates" with the concept of "accounting estimates". As a result of the amendments, the accounting estimate is defined as "the amount of money reflected in the financial statements which is subject to estimation uncertainty."

აუდიტის ხარისხის ძირითადი მახასიათებლები
და მათიშეფასების საკითხები

ნანა სრესელი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რუსუდან სრესელი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფინანსური ანგარიშგების საიმედობისა და კაპიტალის ბაზრებზე ინვესტორების ნდობის შესანარჩუნებლად აუდიტის ხარისხის გაუმჯობესება და სრულყოფა ფუნდამენტური ელემენტია. ეს ნაშრომი იკვლევს აუდიტის ხარისხის მრავალფეროვან სფეროს, მის სხვადასხვა მახასიათებლებს და შესაფასებლად გამოყენებულ მეთოდოლოგიას. ბოლო წლებში გახმაურებული კორპორატიული სკანდალების და მარეგულირებელი რეფორმების გამო, აუდიტის ხარისხმა დიდი ყურადღება მიიპყრო. ნაშრომში განხილულია აუდიტის ხარისხის კონცეპტუალური ჩარჩო, ისეთი ასპექტების გათვალისწინებით, როგორიცაა აუდიტორის დამოუკიდებლობა, პროფესიული სკეპტიციზმი, აუდიტორული ფირმის რეპუტაცია და მარეგულირებელი ზედამხედველობა. თითოეული მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიტორების მიერ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიუკერძოებელი და ზუსტი შეფასების უზრუნველსაყოფად. ნაშრომი ასევე იკვლევს მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება აუდიტის ხარისხის შესაფასებლად, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მიდგომების ჩათვლით. ემპირიული კვლევები, აუდიტის ინსპექტირების ანგარიშები და თვითშეფასების კითხვარები არის აუდიტის ხარისხის სხვადასხვა განზომილების შესაფასებლად გამოყენებული ინსტრუმენტები. ნაშრომი განიხილავს თითოეული მეთოდის უპირატესობებსა და შეზღუდვებს, ნათელს მოჰფენს გამოწვევებს. ნაშრომი იკვლევს აუდიტის ხარისხის როლს კორპორატიული მმართველობის კონტექსტში და მის გავლენას ფინანსურ ბაზრებზე. აუდიტის ხარისხისა და კომპანიის საქმიანობის კავშირს, აქციების ფასებისა და ფინანსური ინფორმაციის სანდოობას.

საკვანძო სიტყვები: *აუდიტის ხარისხი, ხარისხის შეფასება, ფინანსური ანგარიშგება, შიდა კონტროლი, აუდიტის რისკი*

აუდიტი, როგორც დისციპლინა, მისი ფინანსური დამკვირვებლის ტრადიციული როლიდან მნიშვნელოვნად განვითარდა და იქცა მრავალფუნქციურ საქმიანობად, რომელიც მოიცავს რისკების მართვას, შესაბამისობის დადგენას და საკონსულტაციო მომსახურებას. აუდიტის ხარისხი არის ყოვლისმომცველი ცნება, რომელის მახასიათბლებია: კომპეტენცია, დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, სათანადო პროფესიონალურ ზრუნვა და ეთიკური სტანდარტების დაცვა. ეს მახათიათბლები ერთობლივად განსაზღვრავს, თუ რამდენად უზრუნველყოფს აუდიტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სამართლიან შეფასებას. შესაბამისი ხარისხის მქონე აუდიტი უზრუნელყოფს ფინანსური ანგარიშგების სანდოობას, რაც ხელს უწყობს კაპიტალის ბაზრის ეფექტურობას და ნდობას ინვესტორებს, დაინტერესებულ მხარეებს და საზოგადოებას შორის. დაბალი ხარისხის აუდიტის პირობებში შესაძლოა ფინანსური ანგარიშგება არ იყოს სწორი, რომელიც თავის მხრივ ინვესტორებისა და სხვა მხარეებისათვის შესაძლოა ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. 21-ე საუკუნეში

დაფიქსირდა რამდენიმე გახმაურებული კორპორატიული სკანდალი, როგორიცაა Enron[1] და WorldCom[2], რომლებმაც ხაზი გაუსვეს აუდიტის ხარისხის მნიშვნელოვან როლს ფინანსურ ბაზრებზე. შესაბამისად, სტანდარტების გამოშვებაზე პასუხისმგებელმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ამ გამოწვევას უფრო მკაცრი სტანდარტების, ქცევის (ეთიკის)კოდექსების და აუდიტის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვით უპასუხეს.

საკვლევი თემის აქტუალობა

თანამედროვე ბიზნეს გარემოში, რომელიც გამოირჩევა სხვადასხვა სირთულეებით, მარეგულირებელის მიერ დაწესებული კონტროლით და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნით გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ, აუდიტის როლი მნიშვნელოვანი გახდა ფინანსური და კორპორატიული ხარისხიანი მართვის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის მნიშვნელობა ფართოდ არის გაგებული, აუდიტის ხარისხის მახასიათებლები ბოლომდე არ არის შეფასებული, ასევე არ არის ფართოდ განხილული მახასიათებლების შესაფასებელი მეთოდოლოგიები. ეს პრობლემა მოითხოვს აუდიტის ხარისხის მრავალგანზომილებიანი ასპექტების ყოვლისმომცველ შესწავლას და მისი შეფასების ჩარჩოს შემუშავებას. საკვლევი თემის გასააზრებლად მნიშვენლოვანია შემდეგი ძირითადი კითხვების ჩამოყალიბება:

- ✓ რა ფუნდამენტური მახასიათებლები განსაზღვრავს აუდიტის ხარისხს? საჭიროა აუდიტის ხარისხის სხვადასხვა განზომილების იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია, რომელიც მოიცავს ასპექტებს, როგორიცაა აუდიტორის დამოუკიდებლობა, პროფესიული სკეპტიციზმი, აუდიტის პროცესი და კომუნიკაციის ეფექტურობა.
- ✓ როგორ შეიძლება ამ მახასიათებლების ეფექტურად შეფასება? აუცილებელია. აუდიტის ხარისხის შეფასების სანდო და ფართომასშტაბიანი მეთოდოლოგიების შემუშავება ასეთი მეთოდები უნდა იყოს ადაპტირებადი აუდიტის მრავალფეროვან გარემოსთან და უზრუნველყოს ქმედითი ღონიშძიებების შემუშავება აუდიტორებისთვის, მარეგულირებლებისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.
- ✓ რა გავლენას ახდენს აუდიტის ხარისხის განსხვავებული დონეები ფინანსური ანგარიშგების სანდოობაზე და კორპორატიული მართვის პრაქტიკაზე? აუდიტის ხარისხის გავლენის გააზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე და უფრო ფართო ბიზნესის ეკოსისტემაზე გადამწყვეტია, როგორც მარეგულირებელებისთვის, ასევე ფინანსური ბაზრის მონაწილეებისთვის.
- ✓ რა გავლენას ახდენს რეგიონული და კონტექსტუალური ფაქტორები აუდიტის ხარისხსა და შეფასებაზე? აუდიტის ხარისხის მახასიათებლები და შეფასების მეთოდები შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციის, ეკონომიკური სფეროს და ორგანიზაციული სტრუქტურების მიხედვით. ამ ვარიაციების გამოკვლევამ შეიძლება გამოავლინოს აუდიტის ხარისხის გლობალური მდგომარეობა.
- ✓ როგორ შეიძლება რომ განვითარებადი ტექნოლოგიები, როგორიცაა მონაცემთა ანალიტიკა და ხელოვნური ინტელექტი, ინტეგრირებული იყოს აუდიტის ხარისხის შეფასებაში? ვინაიდან ტექნოლოგია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიტში, მისი პოტენციალის შესწავლა აუდიტის ხარისხის შეფასების გასაუმჯობესებლად აუცილებელია.

---

[1] აშშ კომპანია, რომლის მენეჯმენტმის თაღლითობამ და საბუღატლრო ჩანაწერების შეცვლამ, გამოიწვია კომპანიის გაკოტრება.

[2] აშშ-ში ზომით მეორე საკომუნიკაციო კომპანიის მენეჯმენტმა აქციაზე ფასების შენარჩუნების მიზნით, შემოსავლის შესახებ ინფორმაცია არასწორად გაზარდეს, რამაც საბოლოოდ კომპანიის გაკოტრება გამოიწვია.

ლიტერატურის მიმოხილვა

აუდიტის ხარისხი ფინანსური ანგარიშგების და კორპორატიული მართვის კრიტიკული ასპექტია და გადამწყვეტია ფინანსური ინფორმაციის სანდოობის უზრუნველსაყოფად. წლების განმავლობაში, მკვლევარები იკვლევდნენ აუდიტის ხარისხისა და მისი შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმებს. ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა უზრუნველყოფს აუდიტის ხარისხის მახასიათებლებთან და მათ შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების, მეთოდოლოგიებისა და დასკვნების განხილვას.

<u>აუდიტის ხარისხის მახასიათებლები</u>

დამოუკიდებლობა და ობიექტურობა - აუდიტორთა დამოუკიდებლობა აუდიტის ხარისხის ქვაკუთხედია. DeAngelo[1] (1981) ამტკიცებდა, რომ დაინტერესებული მხარეების მიერ დამოუკიდებლობის აღქმა ფუნდამენტურია აუდიტორების ობიექტურად მოქმედების უზრუნველსაყოფად. აუდიტის ხარისხი უმჯობესდება, როდესაც აუდიტორები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს თავიანთი კლიენტებისგან, რაც ამცირებს ინტერესთა პოტენციურ კონფლიქტს (Simunic, 1980[2]). მკვლევრებმა შეაფასეს მარეგულირებელი ჩარჩოებისა და აუდიტორის უფლებამოსილების გავლენა აუდიტორის დამოუკიდებლობაზე (Abbott[3] and Parker, 2000; Francis, 2004).

პროფესიული სკეპტიციზმი და განსჯა - აუდიტორების მიერ პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენა აუდიტის ხარისხის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, პროფესიული სკეპტიციზმი გულისხმობს აუდიტორის მიერ მტკიცებულებების კრიტიკულ შეფასებას და მატერიალური უზუსტობების იდენტიფიცირების უნარს (Hurt[4] et al., 2013). აუდიტორებმა უნდა გამოიყენონ ჯანსაღი მსჯელობა მენეჯმენტის წარმოდგენებისა და მტკიცებულებების შეფასებისას აუდიტის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კვლევამ გამოიკვლია პროფესიულ სკეპტიციზმზე გავლენის ფაქტორები და მისი გავლენა აუდიტის ხარისხზე (Glover et al., 2021)[5].

კომპეტენცია და გამოცდილება - აუდიტორების კომპეტენცია და გამოცდილება აუცილებელია აუდიტის ხარისხისთვის. კომპეტენტური აუდიტორები ფლობენ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს და ცოდნას, რომელიც საჭიროა მაღალი ხარისხის აუდიტის ჩასატარებლად (Zerni[6] et al., 2007). მუდმივი პროფესიული განვითარება, განათლება და ტრენინგი გადამწყვეტია აუდიტორთა კომპეტენციის შესანარჩუნებლად და ამაღლებისთვის. კვლევებში შეაფასებულია კავშირი აუდიტორის გამოცდილებასა და აუდიტის ხარისხს შორის (Reffett[7] et al., 2010).

---

[1] ემერეტუს პროფესორი სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი, აშშ
[2] ემერეტუს პროფესორი, სიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტი. კანადა
[3] ვისკოსინის უნივერსიტეტი, აშშ
[4] პროფესორი, ბეილორის უნივერსიტეტი, აშშ
[5] პროფესორი, აშშ ბუღალტერთა ასოციაციის აუდიტის განყოფილების პრეზიდენტი.
[6] აღრიცხვისა და ფინანსების განყოფილება, ვაასას უნივერსიტეტი, ფინეთი
[7] პროფესორი, მაიამის უნივერსიტეტი, აშშ

აუდიტის ხარისხის შეფასება

აუდიტის ხარისხის მოდელები: შემუშავებულია სხვადასხვა მოდელი აუდიტის ხარისხის შესაფასებლად. Pcaob[1] (2004) მიერ შემოთავაზებული აუდიტის ხარისხის მოდელი მოიცავს კომპონენტებს, როგორიცაა ლიდერობა, დამოუკიდებლობა, კულტურა და მარეგულირებელი გარემო. კიდევ ერთი ფართოდ გამოყენებული მოდელია აუდიტის ხარისხის ჩარჩო (Lennox[2], 2005), რომელიც აერთიანებს აუდიტორის მახასიათებლებს, აუდიტის პროცესს და ანგარიშგებას. მკვლევარებმა გამოიყენეს ეს მოდელები აუდიტის ხარისხის შესაფასებლად და გასაზომად (ვუ და ჟანგი, 2018).

დაინტერესებული მხარეების შეფასება - დაინტერესებული მხარეების, მათ შორის აქციონერებისა და ფინანსური ანალიტიკოსების შეფასება გამოყენებული იქნა აუდიტის ხარისხის შესაფასებლად (Simunic, 1984). ეს კვლევები ხშირად მოიცავს გამოკითხვებს ან ინტერვიუებს აუდიტის პროფესიის მიმართ დაინტერესებული მხარეების ნდობის შესაფასებლად. (Beaudoin et al. (2015) შეისწავლა, თუ როგორ მოქმედებს აუდიტორის დამოუკიდებლობის შესახებ დაინტერესებული მხარეების აღქმა აუდიტის ხარისხზე.

აუდიტის ხარისხის მახასიათებლები

დამოუკიდებლობა და ობიექტურობა - დამოუკიდებლობა მაღალი ხარისხის აუდიტის ერთ-ერთი ფუნდამენტური ატრიბუტია. ის უზრუნველყოფს, რომ აუდიტორები თავისუფალნი არიან ინტერესთა კონფლიქტისგან, მიკერძოებისგან ან არასათანადო გავლენისგან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ უნარს, უზრუნველყონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მიუკერძოებელი და ობიექტური შეფასება. დამოუკიდებელ აუდიტორს უფრო მეტად შეუძლია ზუსტად განსაზღვროს და შეატყობინოს მატერიალურ შეცდომებს. ობიექტურობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დამოუკიდებლობასთან, მოითხოვს აუდიტორებს შეინარჩუნონ ნეიტრალური და მიუკერძოებელი აზროვნება მთელი აუდიტის პროცესში, რაც მათ საშუალებას მისცემს მიიღონ პროფესიული გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე დაყრდნობით და არა პირად ან ფინანსურ მოტივებზე.

პროფესიული კომპეტენცია და სათანადო გულისხმიერება - აუდიტორთა კომპეტენცია აუდიტის ხარისხის გადამწყვეტი მახასიათებელია. აუდიტორებს უნდა ჰქონდეთ საჭირო ცოდნა, უნარები და გამოცდილება აუდიტის ეფექტურად განსახორციელებლად. ეს მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების ცვლილებების განახლებას, ასევე იმ ინდუსტრიის სირთულეების გააზრებას, რომელშიც ოპერირებს აუდირების ობიექტი. სათანადო კომპეტენცია აუდიტორებისგან მოითხოვს შრომისმოყვარეობისა და პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენას აუდიტის დაგეგმვისა და განხორციელებისას. ის მოიცავს სისტემურ და დისციპლინირებულ მიდგომას აუდიტორული მტკიცებულებების შეგროვებისა და შეფასების მიმართ, ასევე მზადყოფნას დაუპირისპირდეს მენეჯმენტის მტკიცებები საჭიროების შემთხვევაში.

აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის ელემენტების შერჩევა (ნ.სრესელი, 2018) საკმაოდ სპეციფიკურია და მათი ჩამოყალიბების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს აუდიტორული ფირმის მასშტაბი, პრაქტიკული საქმიანობის სპეციფიკა, ორგანიზაციული სტრუქტურა, დასაქმებული აუდიტორების რიცხოვნება და კომპეტენცია.

ეთიკური ქცევა და პროფესიული განსჯა: - ეთიკური ქცევა აუდიტის ხარისხის აუცილებელი ელემენტია. აუდიტორები უნდა დაიცვან ეთიკის კოდექსი, რომელიც მოიცავს შემდეგ ძირთად

[1] Public Company Accounting Oversight Board, - აუდიტის ზედამხედველობის საერთაშორისო ინსტიტუტი

[2] მკვლევარი, ჰონგკონგის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი.

პრინციპებს: პატიოსნება, ობიექტურობა, პროფესიული კომპეტენცია, კონფიდენციალურობა და პროფესიული ქცევა. ეთიკური ქცევა უზრუნველყოფს, რომ აუდიტორებმა შეინარჩუნონ დაინტერესებული მხარეების ნდობა. გარდა ამისა, პროფესიული მსჯელობა არის ის კრიტიკული მახასიათებელი, რომელიც აუდიტორებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები რთულ და ორაზროვან სიტუაციებში. აუდიტორებმა უნდა გამოიჩინონ მსჯელობა იმ სფეროებში, სადაც ფინანსური ანგარიშგების საერთასორისო სტანდარტები (ფასს) უზრუნველყოფს მოქნილობას სიტუაციებში, როდესაც ისინი აწყდებიან მოულოდნელ ან რთულ საკითხებს აუდიტის პროცესში. აუდიტის ხარისხის ეს მახასიათებლები ფუნდამენტურია ფინანსური ანგარიშგების სანდოობის უზრუნველსაყოფად და ფინანსურ ბაზრებზე ნდობის შესანარჩუნებლად. ამ მახასიათებლების შეფასება და გაძლიერება არის აუდიტის კვლევისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი თემა. მაღალი ხარისხის აუდიტი ხელს უწყობს ფინანსური ანგარიშგების სიზუსტეს და გამჭვირვალობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის ინვესტორებისთვის, კრედიტორებისთვის, მარეგულირებლებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

აუდიტის ხარისხის შეფასების მოდელები

აუდიტის ხარისხის შეფასების მოდელები არის ანალიტიკური ჩარჩოები და მეთოდოლოგიები, რომლებიც გამოიყენება აუდიტის პროცესის ეფექტურობისა და სანდოობის შესაფასებლად. ეს მოდელები ეხმარება დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის მარეგულირებლებს, ინვესტორებს და თავად აუდიტორებს, განსაზღვრონ ჩატარებული აუდიტის ხარისხი. განხილულია აუდიტის ხარისხის შეფასების რამდენიმე საერთო მოდელი და მათ ძირითადი მახასიათებლები:

- ✓ საჯარო ზედამხედველობის საბჭოს (POB- Public oversight board) მოდელი, რომლის მახასიათებლებია - დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, აუდიტის პროცესი, ანგარიშგების გამჭვირვალობა და სისწორე
- ✓ აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB - ***International Auditing and Assurance Standards Board)***) მიერ შემუშავებული მოდელი, რომლის მახასიათებლებია -პროფესიული სკეპტიციზმი, რისკის შეფასება და რეაგირება, აუდიტის მტკიცებულება, კომუნიკაცია.
- ✓ ამერიკული ინსტიტუტის სერტიფიცირებული ბუღალტერთა (AICPA) მოდელი - დამოუკიდებლობა და სათანადო კომპეტენცია, აუდიტის პროცესი და მტკიცებულება:
- ✓ მარეგულირებელი მოდელები (მაგ., PCAOB - რისკების შეფასება და შდეფასებულ რისკებზე რეაგირება, აუდიტის დოკუმენტაცია, ხარისხის კონტროლი.
- ✓ ინსტიტუციური მოდელები (მაგ., CFA ინსტიტუტი) - aუდიტორის დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და გამჟღავნება, თანმიმდევრულობა და შედარება.

ეს მოდელები ხელს უწყობს აუდიტის ხარისხის მუდმივ ამაღლებას, შეფასებისა და გაუმჯობესების სტრუქტურირებული ჩარჩოს მიწოდებით. ისინი გადამწყვეტ როლს ასფრულებენ ფინანსური ანგარიშგების და ბაზრებისადმი ნდობის შენარჩუნებაში.

კვლევის შედეგები

წარმოდგენილია კვლევის შედეგები რომლებიც დაკავშირებულია „აუდიტის ხარისხის ძირითადი მახასიათებლებისა და მათი შეფასების საკითხებთან“

- დამოუკიდებლობა და ობიექტურობა - ემპირიული კვლევებმა თანმიმდევრულად აჩვენებს, რომ აუდიტორთა დამოუკიდებლობა და ობიექტურობა მნიშვნელოვნად მოქმედებს აუდიტის ხარისხზე. აუდიტორები, რომლებიც უფრო დამოუკიდებლები არიან თავიანთი კლიენტებისგან, უფრო მაღალი ხარისხის აუდიტს ახორციელებენ. ეს ხშირად იზომება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა არააუდიტორული მომსახურების საფასური აუდიტის საფასურთან შედარებით.
- ✓ გამოცდილება და ექსპერტიზა არის მნიშვნელოვანი. კვლევა აჩვენებს, რომ აუდიტორის გამოცდილება უშუალოდ არის დაკავშირებული აუდიტის ხარისხთან. აუდიტორები, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება და სპეციალიზებული ცოდნა კონკრეტულ ინდუსტრიაში და ფინანსური ანგარიშსგების სტანდარტში, უნარი შესწეთ განახორციელონ მაღალი ხარისხის აუდიტი, რადგან, შეუძლიათ უკეთ განახორციელონ რთული საკითხების იდენტიფიცირება და გადაჭრა.
- ✓ ხარისხის კონტროლის მექანიზმები აუმჯობესებს აუდიტის ხარისხს: აუდიტორული ფირმები, რომლებიც ახორციელებენ ხარისხის კონტროლის მექანიზმებს, როგორიცაა შიდა მიმოხილვები და მონიტორინგის სისტემები, უფრო მაღალი ხარისხის აუდიტს ატარებენ ეს მექანიზმები ხელს უწყობს აუდიტის მუშაობაში არსებული შეცდომებისა და ხარვეზების იდენტიფიცირებას და გამოსწორებას, სანამ ისინი გავლენას მოახდენენ აუდიტორის საბოლოო მოსაზრებაზე.
- ✓ აუდიტორული ფირმის ზომა და რეპუტაცია: ემპირიული დასკვნები მიუთითებს, რომ უფრო დიდი აუდიტორული ფირმები დამკვიდრებული რეპუტაციით, უფრო მაღალი ხარისხის აუდიტის ატარებენ. აუდიტორული ფირმის რეპუტაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს აუდიტის ხარისხის აღქმაზე და უფრო დიდ ფირმებს ხშირად აქვთ მეტი რესურსი და გამოცდილება მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად,
- ✓ მარეგულირებელი ზედამხედველობა - როგორიცაა შეერთებულ შტატებში საჯარო კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის ზედამხედველობის საბჭოს (PCAOB) ინსპექტირება, დაკავშირებულია აუდიტის ხარისხის გაუმჯობესებასთან. კვლევებმა აჩვენა, რომ აუდიგტის გაზრდილი მარეგულირებელი შემოწმება უფრო მკაცრი და მაღალი ხარისხის აუდიტს უზრუნველყოფს.

დასკვნა

აუდიტის ხარისხის შეფასება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების სანდოობის უზრუნველყოფის კრიტიკულ კომპონენტს. კვლევით ნაშრომში წარმოდგენილია მახასიათებლები, რომლებიც უზრუნველყოფს აუდიტის ხარისხს და მისი შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგიებს. ლიტერატურული წყაროების მიმოხილვამ აჩვენა, რომ აუდიტის ხარისხი არის მრავალწახნაგოვანი კონცეფცია, რომელიც მოიცავს რამდენიმე ძირითად ელემენტს. უპირველესია აუდიტორის დამოუკიდებლობა და ობიექტურობა, რომლების აუდიტის ხარისხის ფუნდამენტური მახასიათებლებია. აუდიტორებმა უნდა შეინარჩუნონ პირადი დამოუკიდებლობა აუდირების ობიექტისგან, რათა უზრუნველყონ მიუკერძოებლობა და ფინანსური დარღვევების გამოვლენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, პროფესიული კომპეტენცია და გამოცდილება არის ის ფუნდამენტური თვისებები, რომელიც აუდიტორებს უნდა გააჩნდეთ. აღრიცხვის ძირითადი პრინციპების, ბიზნესის დარგის და აუდიტის სტანდარტების ცოდნა პირდაპირ გავლენას ახდენს მათი მუშაობის ხარისხზე. გარდა ამისა, ეთიკური ჩარჩო, რომელშიც აუდიტორები მუშაობენ, გადამწყვეტია. ეთიკური

ქცევა არის არა მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნა, არამედ მორალური იმპერატივიც, რადგან პროფესიული ეთიკისადმი ერთგულება, საფუძვლად უდევს აუდირებული ფინანსური ანგარიშგების სანდოობას. აუდიტის ხარისხის შეფასება რთული პროცდესია და მოიცავს სხვადასხვა მიდგომებს, როგორიცაა შესაბამისობაზე დაფუძნებული შეფასება, პროცესზე დაფუძნებული შეფასება და შედეგზე დაფუძნებული შეფასება. თითოეული მიდგომა გვთავაზობს განსხვავებულ შეხედულებებს აუდიტის ეფექტურობის შესახებ და ყოვლისმომცველი შეფასების უზრუნველსაყოფად ისინი ხშირად გამოიყენება კომბინაციაში. მნიშვნელოვანია ვაღიაროთ ბიზნესისა და ფინანსების განვითარებადი ბუნება, რომელიც გამოწვეულია ტექნოლოგიური მიღწევებითა და გლობალური კავშირებით. ციფრულ ეპოქაში აუდიტი ქმნის ახალ გამოწვევებს, მაგრამ ასევე წარმოადგენს აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებს მონაცემთა ანალიტიკის, ხელოვნური ინტელექტისა და ავტომატიზაციის საშუალებით. ამ ინოვაციებს შეუძლია გააუმჯობესოს აუდიტის ეფექტურობა და აუდიტორებს მიაწოდოს ძლიერი ინსტრუმენტები რისკებისა და თაღლითობის გამოსავლენად. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიტის ხარისხის ფორმირებაში. მარეგულირებელი ორგანოები და სტანდარტების შემქმნელები მუდმივად ადაპტირდებიან აუდიტის სფეროში წარმოქმნილი საკითხებისა და გამოწვევების გადასაჭრელად. რეგულაციების გაძლიერებამ და აუდიტის სტანდარტებში საერთაშორისო ჰარმონიზაციის ხელშეწყობამ შეიძლება კიდევ უფრო გააუმჯობესოს აუდიტის ხარისხი გლობალურ დონეზე. აუდიტის ხარისხის მახასიათებლები და შეფასების ტექნიკა განაგრძობს განვითარებას დინამიური ბიზნეს გარემოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ამ სფეროში მომავალი კვლევები ფოკუსირებული უნდა იყოს ტექნოლოგიურ მიღწევებთან ადაპტაციაზე, აუდიტის მეთოდოლოგიების დახვეწაზე და მარეგულირებელი ჩარჩოების გაძლიერებაზე აუდიტის ხარისხის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის ხარისხის კვლევა მოითხოვს აუდიტორების, მარეგულირებელი ორგანოების, სტანდარტების დამდგენთა და აკადემიური მკვლევარების ერთობლივ ძალისხმევას. მათ ერთად შეუძლიათ გააძლიერონ ფინანსური ანგარიშგებისადმი საზოგადოების ნდობა და ხელი შეუწყონ ფინანსური ბაზრების სტაბილურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი 220 - „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“.
2. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი (ხკსს) ISQC 1 – „ხარისხის კონტროლის ფირმებისათვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარშგების აუდიტისა და მიმოხილვის და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“
3. ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის დებულება. დამტკიცებულია ბაფის აუდიტის რეგულირების კომიტეტის მიერ 01.05.2014 # 3/2014 ოქმი
4. სრესელი ნ.გ. (2018). აუდიტის ხარისხის კონტროლის აქტუალური საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ 26-27 ოქტომბერი, (270-273),
5. DeAngelo, L. E. (1981). Auditor size and audit quality. Journal of Accounting and Economics, 3(3), 183-199.
6. Johnstone, K. M., & Bedard, J. C. (2003). Audit firm portfolio management decisions. The Accounting Review, 78(4), 925-948.

7. Public Company Accounting Oversight Board (PCAOB). (2017). Auditing Standard No. 7: Engagement Quality Review.
8. Lennox, C. S., & Pittman, J. A. (2010). Big 4 office size and audit quality. The Accounting Review, 85(5), 1519-1553.
9. International Auditing and Assurance Standards Board (IAASB). (2015). International Standard on Auditing (ISA) 220: Quality Control for an Audit of Financial Statements.
10. Glover, S. M., & Prawitt, D. F. (2009). The quality of audit evidence. Contemporary Accounting Research, 26(3), 801-838.
11. DeFond, M. L., & Zhang, J. (2014). A review of archival auditing research. Journal of Accounting and Economics, 58(2-3), 275-326.
12. American Institute of Certified Public Accountants (AICPA). (2016). Statement on Auditing Standards No. 132: The Auditor's Consideration of an Entity's Ability to Continue as a Going Concern.
13. Krishnan, J. (2003). Audit quality and the pricing of discretionary accruals. Auditing: A Journal of Practice & Theory, 22(1), 109-126.
14. Securities and Exchange Commission (SEC). (2003). Final Rule: Revision of the Commission's Auditor Independence Requirements. Federal Register, 68(152), 45150-45194.

Audit Quality Characteristics and Assessment

Nana Sreseli
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Rusudan Sreseli
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Audit quality is fundamental in maintaining the integrity of financial reporting and upholding investor confidence in the capital markets. This research paper delves into the multifaceted realm of audit quality, exploring its various characteristics and the methodologies employed to assess it. Audit quality has gained increased attention in recent years due to high-profile corporate scandals and regulatory reforms aimed at enhancing transparency and accountability. This paper begins by examining the conceptual framework of audit quality, considering aspects such as auditor independence, professional skepticism, audit firm reputation, and regulatory oversight. Each of these dimensions plays a vital role in ensuring that auditors fulfill their duty to provide an unbiased and accurate assessment of a company's financial statements. The paper also investigates the methods employed to evaluate audit quality, including both quantitative and qualitative approaches. Empirical studies, audit inspection reports, and self-assessment questionnaires are among the tools used to assess various dimensions of audit quality. The paper discusses the advantages and limitations of each method, shedding light on the challenges faced by researchers, regulators, and practitioners in effectively measuring and improving audit quality. Furthermore, the paper delves into the role of audit quality in the context of corporate governance and its impact on financial markets. It examines the link between audit quality and firm performance,

stock prices, and the reliability of financial information. The results of this analysis have implications for investors, regulators, and auditors seeking to understand the broader consequences of audit quality. This research paper serves as a comprehensive overview of the audit quality concept, its characteristics, and the methods used to assess it. It emphasizes the crucial role of audit quality in financial reporting and corporate governance, providing valuable insights for both academic and practical purposes. Understanding the complexities of audit quality is imperative for ensuring financial markets' continued stability and reliability.

Keywords*: Audit Quality, Assurance, Financial Reporting, Internal Controls, Audit Risk*

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული პრიორიტეტები პოსტკრიზისულ პერიოდში

მარინა ტაბატაძე
ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანნა თანდილაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბიზნეს-ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორი მისი კონკურენტულობის ამაღლება, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფაა. დღეს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიზანს განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა და პროცესების პროგნოზირებადობა შეადგენს.

ეკონომიკის პოსტკრიზისული რეაბილიტაციის წარმატება გლობალური ეკონომიკის სპეციფიკასა და მსოფლიო ბაზრების მიერ კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევის უნართან ერთად, ქვეყნების მიერ საკუთარი გეგმების ეფექტურ რეალიზაციაზე, რეაბილიტაციის დამოუკიდებელი სტრატეგიის განსაზღვრასა და პრიორიტეტების სწორ გადანაწილებაზე იყო მნიშვნელოვნად დამოკიდებული. კრიზისიდან გამოსვლის დინამიკა განისაზღვრა სახელმწიფოს უნარით, ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ ცვლილებებს, ახალი სტრუქტურების ფორმირებას, სწორი პიორიტეტების დადგენას, ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებას.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი საექსპორტო მიმართულების, კრიზისისშემდგომი რეაბილიტაციის პერსპექტივები და დარგისადმი ხელისუფლების მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, განხილულია აგრარული სექტორის განვითარებისათვის ხელისუფლების მმართველობითი და მაკოორდინირებელი როლის ფუნქციური ტრანსფორმაციები და პოსტკრიზისულ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი განვითარების პროგნოზები. შესწავლილია აგროსექტორის როლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და მსოფლიო ბაზრებზე მისი პოზიციონირების საკითხში.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფოს პოსტკრიზისული სტრატეგია, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, სასურსათო უსაფრთხოება, აგრარული სექტორი.*

ეკონომიკის ციკლური განვითარების კონცეფციიდან გამომდინარე, კრიზისის მართვა აუცილებლად მოიცავს ანტიკრიზისული რეფორმების შენდგომი პერიოდის ეკონომიკის რეაბილიტაციის და კრიზისის უარყოფითი შედეგების დაძლევის ეტაპს. ეფექტიანი პოსტკრიზისული რეაბილიტაცია ქვეყნის განვითარების ძირითადი ფაქტორია, მისი ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება გადამწყვეტია ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის.

ანტიკრიზისული რეფორმების წარმატება საქართველოში განაპირობა სახელმწიფოს უნარმა, განეხორციელებინა ეფექტური ინსტიტუციური ცვლილებები, შეექმნა ახალი სტრუქტურული ერთეულები, განესაზღვრა სწორი პრიორიტეტები, მათი გატარებისათვის გამოევლინა პოლიტიკური ნება და უზრუნველეყო იგი შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმებით.

პანდემიური კრიზისის არასტანდარტული ბუნების და ამის შედეგად, ობიექტური ეკონომიკური კანონების შეზღუდული მოქმედების გამო, პოსტკრიზისული რეაბილიტაციის გეგმის მოსა-

ლოდნელი შედეგები ძნელად პროგნოზირებადი და პროცესებიც რთულად სამართავი იყო, ასეთ პირობებში, განსაკუთრებულ პრიორიტეტად ხელისუფლებისათვის პოსტკრიზისული რეაბილიტაცია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის სტრატეგია განისაზღვრა.

„სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება სტიქიური საბაზრო ძალების უარყოფითი გავლენისაგან, მან უნდა იზრუნოს წარმოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე“ **[ტაბატაძე მ., 2019; გვ.70].** ამ საკითხებმა განსაკუთრებული როლი მიანიჭა ეკონომიკის რეაბილიტაციის და განვითარების სტაბილიზაციის სახელმწიფო მხარდაჭერას, „ხელისუფლება-ბიზნესის“ თანამშრომლობის ახალი სტანდარტების დამკვიდრებას საქართველოში.

სახელმწიფოს ანტიკრიზისულ სტრატეგიაში განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს ეკონომიკური მექანიზმების გამოყენების და ეკონომიკის რაციონალური სტრუქტურული ტრანსფორმაციის საკითხი, შესაბამისად, პოსტკრიზისული რეაბილიტაციის პროცესზე არსებითი გავლენა იქონია **ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის სტრატეგიამ,** რისთვისაც ევროკავშირმა 2021 წ. წევრი-ქვეყნებისთვის 1 ტრლნ. ევრო გამოყო, დარგობრივ პრიორიტეტებად კი, **ენერგო და კლიმატ-დამზოგავი მიმართულებები, ე.წ. „ჭკვიანი დარგები“ და ციფრული ბაზარი** განსაზღვრა. გლობალური ეკონომიკური განვითარების ძირითად სტრატეგიად კი, **თვითკმარ ეკონომიკაზე** გადასვლა იქნა მიჩნეული. (**European Commission (2020a).**

კრიზისმა ობიექტურად გახადა აქტუალური ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის, დარგების დივერსიფიკაციის და ეკონომიკური აქტივობების ახალი მიმართულებების შექმნის საკითხი, რამაც სიახლეები მოითხოვა როგორც ეკონომიკური საქმიანობის მართვის სფეროში, ისე, ზოგადად, ხელისუფლების ეკონომიკურ ფუნქციებში, სწორი **დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრაში, ბიზნეს-სექტორის და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებაში.**

ეკონომიკის თანამედროვე სტრუქტურული ტრანსფორმაციის პრიორიტეტები აისახა სამთავრობო დოკუმენტში **- „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2030“.** ჩარჩო-დოკუმენტის თანახმად, 2021-2022 წწ. საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციის სტრატეგიული პრიორიტეტებად განისაზღვრა **ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ექსპორტზე ორიენტირებული და რესურსდამზოგავი დარგების უპირატესი განვითარება, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა, ტურისტული და აგრარული სექტორების განვითარება.**

საქართველოს აგროსექტორის სახელმწიფო მხარდაჭერა

პანდემიური კრიზისის პირობებში სისტემური რისკების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა სექტორული ცვლილებების ოპტიმიზაციას და შესაბამისად, სახელმწიფო **მხარდაჭერის პოლიტიკას** მიენიჭა, საქართველოს დარგობრივი პრიორიტეტების სახელმწიფო უზრუნველყოფის პოლიტიკის გატარება მნიშვნელოვნად განაპირობა მსოფლიო თანამეგობრობის აქტიურმა ჩართულობამ და საერთაშორისო ფონდების ფინანსურმა მხარდაჭერამ. ქართული აგრარული სექტორისათვის ევროკავშირთან სავაჭრო პარტნიორობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჩვენთვის პრეფერენციების ზოგადი სისტემით **(GSP+)** სარგებლობის უფლების მინიჭებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში **(ENP)** ჩართვის შემდეგ, რაც ევროკავშირის ქვეყნებთან ყოვლისმომცველ ვაჭრობაზე გადასვლას ითვალისწინებს.

2021-2022 წწ. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად გაფორმდა 17 სასესხო/საგრანტო შეთანხმება გერმანიის რეკონსტრუქციის განვითარების ბანკთან **(KFW)**, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან **(AFD),** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან **(EBRD),** აზიის განვითარების ბანკთან **(ADB),** რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან **(IBRD),** ევროპის საინვესტიციო ბანკთან **(EIB),** სკანდინავიური გარემოს საფინანსო კორპორაციასთან **(NEFCO)** და სხვა სტრუქტურებთან.

სახელმწიფოს ანტიკრიზისული სტრატეგიის მნიშვნელოვანი მიზანი ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაა. სასურსათო ბაზრებზე მოსალოდნელი დისპროპორციები, განსაკუთრებით მწვავედ აყენებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხს. **სასურსათო უსაფრთხოების** საკითხს მკაფიოდ გამოხატული ეროვნული საზღვრები არ აქვს და ზოგადსაკაცობრიო ნიშანს ატარებს. დღეს მსოფლიოში სურსათის მწარმოებელი ქვეყნების დომინირებული მდგომარეობის განმტკიცება მიმდინარეობს, მოსალოდნელია, მომავალში მსოფლიო სასურსათო ბაზრის უფრო მეტი მონოპოლიზება, სურსათის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების პოლიტიკაში მეტი გაბატონება. რომის დეკლარაციის **(Rome Declaration on sworld Food Security)** თანახმად, მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოება საზოგადოების, მოსახლეობის აუცილებელი საარსებო პირობაა, რაც უზრუნველყოფს დემოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ინტელექტუალურ განვითარებას. ამიტომ, პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში იქმნება სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციები, რაც როგორც წესი, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი ხდება. **(European Commission (2020 b).**

აგრარული სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ განიხილება, რამდენადაც იგი რეალურად არსებული საწარმოო პოტენციალის გარდა, მოსახლეობის ისტორიულ ტრადიციებს და სამეურნეო-საქმიანობით ჩვევებს უკავშირდება. მიუხედავად ტრადიციული ხასიათისა, ჩვენი სასურსათო უზრუნველყოფა იმპორტდამოკიდებულებია, კერძოდ, 2022 წელს სურსათის იმპორტმა საქართველოში 780 მლნ.დოლარი, ექსპორტმა კი 143 მლნ. დოლარი შეადგინა, ასეთი დისბალანსი აგრარული სექტორის სწრაფი განვითარების და ამ პროცესში ხელისუფლების მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. **(საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2022).**

პოსტპანდემიურ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეაბილიტაცია შედარებით სტაბილურად და დადგენილი პროგნოზის მიხედვით წარიმართა, რისი მიზეზიც პანდემიის პერიოდში ამ დარგმა შედარებით დაბალი ვარდნა განიცადა, 2022 წელს საქართველოში 15.2 მლრდ. ლარის აგროსასურსათო პროდუქცია იქნა წარმოებული და ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 112 %-ით გაიზარდა. 2022 წელს საქართველოდან მსოფლიოს 96 ქვეყანაში ექსპორტირებული იყო რეკორდული, - 1.3 მლრდ. აშშ დოლარის აგროპროდუქტი, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 10.3 %-ით აღემატება, 2022 წელს სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებში პროდუქციის გამოშვებამ 7.1 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 45.4%-ით, ხოლო 2021 წლის მონაცემს - 12.2%-ით აღემატება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეაბილიტაცია-განვითრებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დარგის მიმართ სახელმწიფო დახმარების პოლიტიკამ, რაც ძირითადად, **„იაფი კრედიტის“** და **„აწარმოე საქართველოში“** 1000-მდე პროექტში აისახა. **(სსიპი „აწარმოე საქართველოში“, 2022)**

სოფლის მეურბეობის განვითარება უშუალო კავშირშია მთის პრობლემებთან, რასაც **„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“** საქართველოს კანონი არეგულირებს. ადგილობრი-

ვი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, 2021 წელს **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“** დაფინანსდა 754 ინფრასტრუქტურული პროექტი, **„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“** 16 პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან **„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“** ფარგლებში 4200 პროექტი, 2022 წელს კი, იმავე პროგრამით, - 4000 პროექტი, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მთიან რეგიონებში მოსახლეობის დამაგრებას და სასოფლო-სამეურნეო სექტორში მათ დასაქმებას.

სოფლის მურნეობის პოსტკრიზისული განვითარების სტრატეგია

საქართველოს მთავრობამ 2019 წელს დაამტკიცა „საქართველოს **სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“,** მასში განსაზღვრულია სამი სტრატეგიული მიმართულება:

- **კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;**
- **ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;**
- **სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.**

პროგრამა 2022 წლისთვის მოიცავდა 69 აქტივობას, 799 784 428.31 ლარის ბიუჯეტით. დარგის განვითარებისათვის გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინოვაციურ ტექნოლოგიებზე გადასვლა და ფინანსურ ინსტრუმენტებზე ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აგროსექტორის განვითარებაში არსებითი როლი ეკუთვნის თანადაფინანსების მექანიზმის ფართოდ გამოყენებას, ამ მიმართულებით გათვალისწინებულია:

- **სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება;**
- **აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება;**
- **მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების გადაიარაღების თანადაფინანსება;**
- **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობა სახელმწიფო სუბსიდირებით (COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ) და სხვა.**

პროგრამის ფარგლებში 2022 წელს განხორციელდა 1 911 ბენეფიციარისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენის და 43 ბენეფიციარისთვის ახალი საწარმოს შექმნის ან არსებული საწარმოს გაფართოების/გადაიარაღების თანადაფინანსება. 2022 წელს, საპროგნოზო ბიუჯეტი განისაზღვრა 5 მლნ. ლარით (ფაქტიური- 4, 5 მლნ. ლ.). (**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2023)**

პროგრამის ფარგლებში ხაზი გაესვა **ფერმერთა ბაზარზე ინტეგრაციის საკითხს,** ამ მიზნით, 2022 წელს სხვადასხვა აქტივობა განხორციელდა, მათ შორის:

- **ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერის ღონისძიებები;**
- **ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა;**
- **სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;**
- **ვენახების კადასტრის აგება და სხვა.**

პრიორიტეტი ენიჭება საერთაშორისო აგრობაზრებზე ქართული პროდუქციის შესვლას და მის სეგმენტურ პოზიციონირებას, ამ მიზნით 2022 წელს ფართო სამუშაოები ჩატარდა ქართული

აგროპროდუქციის პოპულარიზაციის მიმართულებით, (სახელმწიფო დანახარჯი- 1.444 მლნ. ლარი), კერძოდ:

- **მონაწილეობა იყო მიღებული ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 8 გამოფენა--დეგუსტაციის ღონისძიებაში (მ.შ. 6 საერთაშორისო გამოფენა-საუდის არაბეთი, ლატვია, თურქეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, კატარი);**
- **ჩატარდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 41 გამოფენა/ფესტივალი საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე და 65 დეგუსტაცია (მათ შორის ონლაინ დეგუსტაციები) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით;**
- **44 ბენეფიციარმა დანერგა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები და მოახდინა სერტიფიცირება (ISO-22000 / HACCP / GLOBAL G.A.P / BIO / BRC / IFS / FSSC-22000);**
- **განხორციელდა კადასტრი შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა მთიანეთის რეგიონებში, გადაღებულ იქნა 7 000 ჰა ორთოფოტოები და შემოიხაზა 2 300 ჰა-მდე ვენახის ფართობი.**

(წყარო: საქ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2023)

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობაში **ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას,** რაც ერთ-ერთ სუსტ მხარედ რჩება მთლიანად საქართველოს ეკონომიკისთვის, რამდენადაც, ერთ სულ მოსახლეზე ინოვაციების დაფინანსებით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში მხოლოდ 150-ე ადგილზეა, სოფლის მეურნეობაში ინოვაციური პროცესები აუცილებლად მოითხოვს მათ რეგიონულ კოორდინაციას და დარგობრივი ინოვაციური პროექტების შედგენას.

რამდენადაც საქართველოში ექსტენსიური მიწათსარგებლობის რესურსები, პრაქტიკულად, ამოწურულია, სოფლის მეურნეობაში ყველაზე აქტუალური საკითხი არსებული **სავარგულების გამოყენების ინტენსიფიკაცია** ხდება, მეცნიერულად დასაბუთებულმა მიწათმოწყობამ და სწორმა თესლბრუნვამ, აგროქიმიურმა და მელიორაციულმა ღონისძიებებმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს დამუშავებული სავარგულების ფართობის და ნაყოფიერების ზრდა. აგრარულ სექტორში არსებული პრობლემების დაძლევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს 2024 წლისთვის მიწის სისტემური აღრიცხვის სახელმწიფო პროგრამის დასრულება.

აგრობიზნესის განვითარებისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს **მომსახურების სერვის-ცენტრები და ლოგისტიკური სტრუქტურები,** ამ ცენტრებმა ხელი უნდა შეუწყონ ექსპორტის ზრდას და ბაზრების დივერსიფიკაციას. ეს პროცესი მოითხოვს ევროპული ტექნიკური და სანიტარული სტანდარტების, ხარისხის მართვის, შესაბამისობის **სერტიფიცირების სისტემების** დანერგვას, **სატარიფო ბარიერების** შემცირებას, **საბაჟო პროცედურების** მარეგულირებელი ნორმატივების ჰარმონიზაციას, **ანტიმონოპოლიური მექანიზმების** გაძლიერებას.

ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის და წარმოების პროცესების ხელშეწყობის მიზნით, გრძელდება ფერმერთა ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ, 2022 წელს დარგში განხორციელებული 1,2 მილიარდი ლარის ინვესტიციიდან, სახელმწიფო თანადაფინანსებამ 370 მლნ ლარი შეადგინა.

- სახელმწიფო პროგრამამ – **„დანერგე მომავალი“** 648 ბენეფიციარი მოიცვა, ინვესტიციამ 82 247 438 ლარი შეადგინა (მ.შ.სახელმწიფო თანადაფინანსება 36 834 845 ლარი) დაფინანსდა ხილის ბაღების გაშენება/რეაბილიტაციის, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის და ჭის სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები;
- სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამის – **„ახალგაზრდა მეწარმის“** ფარგლებში, განხორციელდა 449 649 ლარის ინვესტიცია, მ.შ. სახელმწიფო თანადაფინანსება 179 859 ლარი;

- **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამის** ფარგლებში 70 ბენეფიციართან გაფორმდა ხელშეკრულება. ინვესტიცია- 141 176 296 ლარი, მ.შ. სახელმწიფო თანადაფინანსება - 45 463 108 ლარი;
- **სოფლის განვითარების პროგრამის (UNDP)** ფარგლებში, ხელშეკრულება გაფორმდა 44 ბენეფიციართან. ინვესტიცია - 5 666 769 ლარი, მ.შ. სახელმწიფო თანადაფინანსება- 4 175 935 ლარი;
- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამამ – **„ქართული ჩაი“,** 13 ბენეფიციარი დააფინანსა - ინვესტიცია 1 012 783 ლარი, მ.შ. სახელმწიფო თანადაფინანსება-713 487 ლ;
- **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის (DIMMA)** ფარგლებში ინვესტიციამ 167 553 ლარი შეადგინა, მ.შ. სახელმწიფო თანადაფინანსება - 134 042 ლარი;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გაძლიერების მიზნით, 2022 წლის მაისში დაიწყო მათთვის **კენკროვანი კულტურების შესანახი მაცივრების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამები;**
- ფერმერთა და მეწარმეთა **ცოდნისა** და ინფორმირებულობის ასამაღლებლად, გადამზადდა 550-ზე მეტი ფერმერი და აგრარული საკითხებით დაინტერესებული პირი, **საკონსულტაციო მომსახურება** გაეწია 19 640 ფიზიკურსა და იურიდიულ პირს;
- გრძელდება ამორტიზებული სამელიორაციო **სისტემების** რეაბილიტაცია, 2022 წლისთვის წყლით უზრუნველყოფილი იყო 160 200 ჰა, ხოლო დაშრობილი - 43 469 ჰა. მიწის ფართობი;
- **სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის, ფიტოსანიტარიისა და გარემოს დაცვის** სფეროების ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით მიღებულ იქნა 11 საკანონმდებლო აქტი.

უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, 2021-2022 წწ. მომზადდა საინვესტიციო გზამკვლევები, საინვესტიციო პროექტების კატალოგი, 6 სექტორული ბროშურა და ანგარიში საქართველოს შესახებ, მათ შორის, **FDI Intelligence**-ის მიერ მომზადებული **Special Report**, რომელიც დაეგზავნა **fDi Magazine-**ის 15 500 და **fDi Intellegence**-ის ვებგვერდის 36000 გამომწერს, რომელთა დაახლოებით 80% მულტინაციონალური კომპანიების მაღალი დონის მენეჯერები არიან. სააგენტო **„აწარმოე საქართველოში“** ინიციატივით და **USAID**-ის მხარდაჭერით, წამყვანმა საკონსულტაციო კომპანიამ - **OCO Global** შექმნა 780 სამიზნე კომპანიის სია, რომლებთანაც გაიმართა 27 შეხვედრა საქართველოს გაცნობის მიზნით. დარგის საექსპორტო პოტენციალის ზრდის და მსოფლიო ბაზრებზე ქართული აგროპროდუქციის შესვლის თვალსაზრისით, დიდი პერსპექტივები აქვს **მსოფლიო ბანკის** 2021 წლის სამხრეთ კავკასია-ცენტრალური აზიის დერეფნის გაციფროვნების პროექტის განხორციელებას - **„Creating a Framework for the Digitalization of Logistics Corridor between South Caucasus and Central Asia“.**

საქართველოს სოფლის მეურნეობის
დარგობრივი პრიორიტეტები

სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად აამაღლა **მეღვინეობის** რენტაბელობა და გაზარდა მისი პერსპექტივები, რისი შედეგიცაა ის, რომ 2012-2022 წწ. საქართველოდან ღვინის ექსპორტი ხუთჯერ გაიზარდა, - 20 მლნ. ლიტრიდან 103.1 მლნ.ლიტრამდე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ხელისუფლების მხრიდან 2022 წელს მეღვინეობის საწარმოების 20390 მლნ. ლარის ფინანსურმა დახმარებამ. 2012-2022 წწ. ყურძნის გადამუშავება ოთხჯერ გაიზარდა, - 52 ათასიდან, 257 ათას ტონამდე, რაც მეღვინეობის საწარმოო პოტენციალის მნიშვნელოვანმა ზრდამ განაპირობა, კერძოდ, 2013 წელს თუკი საქართველოში 40 ღვინის კომპანია ფუნქციონირებდა, 2023 წლისთვის იგი 2510-მდე გაიზარდა.

ქართული ღვინის პერსპექტიულ მომხმარებლად დღეისათვის აშშ-ის, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, პოლონეთისა და უკრაინის ბაზრები განიხილება, ამასთან, მნიშვნელოვანია პერსპექტიული, ჯერ კიდევ ასათვისებელი ბაზრის სეგმენტების შესწავლა, აუცილებელია დარგის საფასო სტრატეგიების შემუშავება და ფასისმიერი კატეგორიების მიხედვით ბაზრების დივერსიფიცირება. მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის პერსპექტივა **ბიოღვინისა და ქვევრის ღვინის** წარმოებას უკავშირდება, ამ მხრივ საინტერესო პერსპექტივებს ქმნის **იუნესკოს** მიერ ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული მეთოდისათვის **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის** მინიჭება და **ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფში** საქართველოს გაწევრიანება.

საქართველოსათვის მევენახეობასთან ერთად, აგროსექტორის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებად, ტრადიციულად, **მეხილეობა** განიხილება, ხილის წარმოებას მუდამ საექსპორტო დანიშნულება ჰქონდა ჩვენი ქვეყნისთვის, რაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დარგის რაციონალური გაძღოლის სისტემების დამუშავებას და ეფექტიან მართვას. დარგის განვითარებას უზრუნველყოფს „სოფლის განვითარების სააგენტო“ სახელმწიფო პროგრამით,- **„დანერგე მომავალი“,** რომლის ფარგლებშიც 2022 წელს გაშენდა 3 857 ჰა ფართობის ხეხილის ბაღი, დარგის ბიუჯეტმა კი 33,5 მლნ. ლარი შეადგინა.

საბჭოთა პერიოდში ქართული აგროსექტორის ერთ-ერთი მაპროფილებელი დარგი **მეჩაიეობა** იყო, საქართველოზე საბჭოთა კავშირის ჩაის წარმოების 95 % მოდიოდა და მას აბსოლუტურად დომინირებადი ადგილი ეკავა საკავშირო ბაზარზე, ბაზრის დაკარგვას ჩაის პროდუქციაზე მოთხოვნის და, შესაბამისად, ხარისხიანი ბაიხაო-ჩაის ნედლეულის წარმოების მკვეთრი შემცირება, მოგვიანებით, კი, ბაზრის იმპორტული საქონლით სრული ჩანაცვლება მოჰყვა, დღეს ჩაის პროდუქციას ხელისუფლება საექსპორტო პოტენციალის შემცველად განიხილავს და, შესაბამისად, მას სტრატეგიულ დარგობრივ პრიორიტეტებს მიაკუთვნებს. სოფლის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა **„ქართული ჩაი“**, რაც რეალიზებადს გახდის საქართველოში ჩაის მასშტაბური წარმოების იდეას. 2022 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 31.12 ჰა ფართობის რეაბილიტაცია, რაზეც 2022 წელს 1,1 მლნ. ლარი დაიხარჯა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება მაღალ რისკებს მოიცავს და, შესაბამისად, მისი პერსპექტივები უშუალო კავშირშია სასოფლო-სამეურნეო წარმოების **დაზღვევის სისტემის** და ჰეჯირების მექანიზმების დანერგვასთან. უცხოელი ინვესტორების დაინტერესებაც სათანადო პრეფერენციებს და სახელმწიფო გარანტიებს მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია აგროწარმოების სადაზღვევო მომსახურებაში სახელმწიფოს თანადაფინანსება, მთავრობის მიერ სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება და სხვა. ამ აქტივობების მიზანია:

- **აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;**
- **ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორთა მოტივირება;**
- **სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;**
- **სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;**
- **აგროფირმებისა და კერძო პირებისთვის შემოსავლების გარანტირება**
- **აგროწარმოებაში რისკების შემცირება.**

2022 წელს სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების დაზღვევაში ექვსი სადაზღვევო კომპანია მონაწილეობდა, მთავრობამ განახორციელა სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, 2022 წელს გაცემული პოლისების რაოდენობამ 14 586 დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ - 167.3 მლნ. ლარი, დაზღვეული მოსავლის ფართობმა კი, - 16 465 ჰა შეადგინა. 2022 წლის სადაზღვევო აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის დახარჯულმა თანხებმა 8.5 მლნ. ლარი შეადგინა.

სოფლის მეურნეობის განვითარების პერპექტივები უშუალო კავშირშია დარგის ფინანსურ უზრუნველყოფასთან და **საკრედიტო რესურსების** ფართო ხელმისაწვდომობასთან. სოფლის განვითარების სააგენტო აგროწარმოების ხელშეწყობის მიზნით, იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფს მეწარმეებს და ახდენს აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას, 2022 წელს გაიცა 992 მლნ. ლარის 18 861 აგროსესხი და განხორციელდა 30 254 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის საპროცენტო განაკვეთის სახელმწიფო თანადაფინანსება,- 185.5 მლნ.ლარი.

მსოფლიოში ტურისტული ინდუსტრიის პრიორიტეტული განვითარების პირობებში, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოში **აგროტურიზმის** განვითარება, რაც საუკეთესო საშუალებაა უცხოელი ტურისტების მოზიდვისა და ადგილობრივი წარმოების პროდუქციის საზღვარგარეთ პოპულარიზაციისათვის. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, აგროტურიზმის ექსპორტი ხელისუფლებამ თავის პრიორიტეტად აღიარა და მისი მხარდაჭერის სტრატეგია განსაზღვრა. ამ პროგრამის ფარგლებში 2022 წელს განხორციელდა 138 ათასი ლარის ბიუჯეტის 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი, 32 ახალი ღვინის ტურიზმის ობიექტისთვის დამონტაჟდა საგზაო მანიშნებლები, მოეწყო სამთო-საფეხმავლო ბილიკები კახეთში, სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში და იმერეთში.

სოფლის მეურნეობაში **კლასტერული მეურნეობებისა და ფერმერული ტურიზმის** განვითარება აუცილებლად მოითხოვს ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერას სასურსათო ბაზრის დაბალანსების უზრუნველყოფის, დარგის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლების, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნის და უცხოეთში მისი პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამების შემუშავების თვალსაზრისით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ადგილობრივი საქონლის **საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის** სახელმწიფო მხარდაჭერა, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საერთაშორისო სტანდარტების შესაფერისი პროდუქციის წარმოებით, მისი სასაქონლო სახის სრულყოფით, ამ მიზნით აუცილებელია ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის სამართლებრივი უზრუნველყოფა, ბაზარზე მწარმოებლის ქცევის საერთაშორისო ნორმების დანერგვა, საექსპორტო პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება და სათანადო რეკლამირება, მსოფლიო ბაზრების კონიუნქტურის შესწავლა, ეროვნული აგრარული პროდუქციის წარმოების მათზე ორიენტირება და ამ პროცესებში ცნობილი სასაქონლო ბირჟების ჩართვა.

დასკვნები და რეკომენდაციები

მსოფლიო მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე, 2022 წელს საქართველოს სტაბილური ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, ეს პოზიტიური სიახლე ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის, პრიორიტეტული დარგების სწრაფი აღდგენის და ჩვენს ეკონომიკაში ინვესტირებით უცხოელი კრედიტორების ფართო დაინტერესების შედეგია. პოსტპანდემიური პერიოდის წარმატებებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქართველოს ეკონომიკური იმიჯი და აამაღლა ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია საქართველოსთვის უალტერნატივო მომავალია, ამიტომ ენიჭება მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ხელისუფლების მხრიდან ინსტიტუციური, ფინანსური, ადმინისტრაციული მხარდაჭერის თვალსაზრისით. ეს საკითხი აუცილებლად მოითხოვს ევრობაზრებზე ქართული პროდუქციის კონკურენტულ უპირატესობებზე აქცენტირებას, კერძოდ, შედარებით დაბალ ფასებზე, პროდუქციის ორიგინალურობასა და ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე აპელორებას.

ევროპის ბაზრებზე ქართული აგროპროდუქციის ეფექტური პოზიციონირების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფომ თავისი სტრატეგია საექსპორტო პროდუქციის უპირატეს წარმოებაზე, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრასა და პროტექციონისტულ პოლიტიკაზე უნდა დაამყაროს. ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე, ერთობლივი საწარმოების შექმნა, მმართველობით ურთიერთობებში ინოვაციური სისტემების დანერგვა და სხვ.

ხელისუფლების საექსპორტო პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს როგორც საკუთარი რესურსების მაქსიმალური რეალიზაციის, ასევე გლობალურ და რეგიონულ ინტერესებთან ინდივიდუალური მოთხოვნების ჰარმონიზების პრინციპებს. აუცილებელია კონკურენტულ სისტემებში მრავალმხრივი თანამშრომლობის და ეკონომიკური პარტნიორობის მხარდაჭერა, თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვა და ადგილობრივი წარმოების პრიორიტეტული ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ტაბატაძე მ. (2019),** სახელმწიფოს ანრიკრიზისული მართვა, გამ. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი.
2. **Tabatadze, M.** (2020). Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanism of Decentralisation, **Journal of International Economic Research (JIER**), vol. 6(1), p.13-22, Latvia, Riga. ISSN 2500-9737 https://irissymposium.wixsite.com/jier
3. **ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა 2022-2025**, (2021), USAID-აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, **EPRC - ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი,** თბილისი
4. **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2023),** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში. **https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53810)**
5. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, (2016),** საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის **http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=45**

6. **საქართველოს მთავრობა, (2023), დადგენილება** „საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. https://www.matsne.gov.ge/ka/document/ view/5723982? publication=0
7. **საქართველო - მიმოხილვა და ბიზნეს მოლოდინები, 2021.** საქართველოს სავაჭრო პალატა, HBC - ბიზნეს კვლევების სახლი, თბილისი, 2021
8. **USAID, EPRC (2021**), ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ხედვა 2022-2025, https://eprc.ge/-wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf
9. **European Commission (2020a).** 2021-2027 Long-term EU budget & NextGenerationEU https://ec.europa.eu/info/strategy/eu-budget/long-term-eu-budget/2021-2027_en
10. **European Commission (2020b).** The State Aid Temporary Framework https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2022-06/Temporary_framwork.pdf
11. **World Bank,** (2023), https://imedinews.ge/ge/ekonomika/294682/ 10.06.2023
12. **International Monetary Fund (2020), Global Outlook and Policy,** https://www.imf.org/en/Countries/GEO
13. **International Monetary Fund, (2020), World Economic Policy .**
14. https://www.imf.org/en/Countries/GEO
15. **International Monetary Fund, (2021). "Review of the World Economy - Managing a Diverse Post-Crisis Recovery".** https://www.imf. org/en/Publications/WEO/Issues/ 2021/03/23 /world-economic-outlook-april-2021
16. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო,** სსიპი „აწარმოე საქართველოში“, https://www.enterprise.gov.ge;
17. **საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო,** https://www.agro.rda.goc.ge
18. **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.** www.geostat.ge

Structural Priorities of the Georgian Economy in the Post-Crisis Period

Marina Tabatadze
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Anna Thandilashvili
Academic Doctor of Economics, Associate Professor
University of Business Technologies

SUMMARY

The main development factor of the country, is increasing the competitiveness of the economy and ensuring the socio-economic and institutional stability. Today, the priority goal of economic policy is to ensure stability of development and predictability of processes. The success of the post-crisis rehabilitation of the economy, together with the specificity of the global economy and the ability of the world markets to overcome the negative consequences of the crisis, was significantly dependent on the effective realization of their own plans by the countries, the determination of an independent rehabilitation strategy and the correct allocation of pri-

orities. The dynamics of coming out of the crisis was determined by the state's ability to promote institutional changes, the formation of new structures, setting the right priorities and implementing policies to support the economy.

The paper provides forecasts of post-crisis rehabilitation of agriculture, as one of the main export directions, and the main ways of government support to the sector. In the paper it is also discussed the functional transformations of the governing and coordinating role of the government for the development of the sector and the forecasts of the sectoral development of the Georgian economy in the post-crisis period. The work researches role of the agricultural sector in the economic development of the country and its effective positioning on the world markets.

Key words: *post-crisis strategy of the state, sectoral structure of the economy, food security, agrarian sector.*

გლობალიზაცია და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა - საქართველოს მაგალითი

ნინო ტალიკაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

გლობალიზაცია და უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკა ურთიერთდაკავშირებულია რამდენიმე გზით. გლობალიზაცია გულისხმობს ქვეყნების და მათი ეკონომიკის, კულტურისა და საზოგადოებების გაზრდილ ურთიერთკავშირს და ურთიერთდამოკიდებულებას პროდუქტის, სერვისების, ინფორმაციის, ტექნოლოგიებისა და ადამიანების გაცვლის გზით. მეორეს მხრივ, უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკა აკონტროლებს საერთაშორისო ტურისტებისა თუ ვიზიტორების რაოდენობას, რომლებიც შემოდიან კონკრეტულ ქვეყანაში. ამასთან არსებობს რამდენიმე ძირითადი პუნქტი, რომელიც გასათვალისწინებელია გლობალიზაციასა და უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკას შორის, კერძოდ, გლობალიზაციის გავლენა ტურიზმზე, ეკონომიკური გავლენა, კულტურული გაცვლა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, ტურიზმის ხელშეწყობა, ტურიზმის ტენდენციები, ეკონომიკური უთანასწორობა და ა.შ. სწორად გლობალიზაციამ გამოიწვია მობილურობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, ხოლო ტურიზმი არის მნიშვნელოვანი ინდუსტრია და მრავალი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ერთის მხრივ, გლობალიზაციამ ხელი შეუწყო კულტურების, იდეებისა და ტრადიციების გაცვლას. შედეგად, ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი სხვა ქვეყნების კულტურებისა და ცხოვრების სტილის გამოცდილებით და გაგებით. ეს კულტურული გაცვლა განაპირობებს საერთაშორისო ტურიზმს. მეორეს მხრივ, უცხოელი ვიზიტორების სტატისტიკას შეუძლია გლობალიზაციის გავლენის ქვეშ მყოფი ტურისტული ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამდენად, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკაზე საქართველოში, შესწავლილია ტენდენციები და გავლენა სხვადასხვა დარგზე.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა, ტურისტული ხარჯების განაწილება*

ტურიზმი და მოგზაურობა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიად მიიჩნევა. ხოლო გლობალიზაციამ ქვეყნებს საშუალება მისცა გლობალური მასშტაბით თავიანთი ტურისტული ინდუსტრიის უფრო ეფექტური პოპულარიზაციისკენ გზა გაეხსნათ. ტურიზმი შეიძლება წარმოვიდგინოთ ქვეყნის საერთაშორისო კავშირების თუ საქმიანი აქტივობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად. ეს დარგი თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი დარგი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მეტწილად გაუმჯობესებას. ამდენად, ტურიზმს განვითარებადი ქვეყნებისთვის მრავალგვარი (ეკონომიკური, სოციალური) სარგებლის მოტანა შეუძლია. მოცემულ სტატიაში ჩვენ ჩავუღრმავდებით ტურიზმის უახლეს სტატისტიკას, შევისწავლით ძირითად ტენდენციებს, მათ გავლენას სხვადასხვა დარგსა და ინდუსტრიის პერსპექტივებს. ამ სტატისტიკის შესწავლით, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ტურიზმის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ და გავაკეთოთ პროგნოზები მისი სამომავლო ტრაექტორიის შესახებ.

მიღებულია, რომ ტურიზმი გლობალური ეკონომიკის სასიცოცხლო მნიშვნელობის სექტორია, რომელიც ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურ ზრდას და კულტურულ გაცვლას. რამდენად არის ეს მტკიცებულება სიმართლე საქართველოსთვის? ანალიზი დავიწყოთ უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკის მიმოხილვით. მოცემულ რაოდენობრივ ანალიზს შეუძლია დაგვანახოს ინდუსტრიის ზრდისა და პოპულარობის რეალური შესაძლებლობები საქართველოში.

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა

2022 წელს წინა წელთან შედარებით საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა გაიზარდა 173%-ით, რაც უკანასკნელი რვა წლიანი პერიოდის მანძილზე უპრეცენდენტო მაჩვენებელია ზრდის კუთხით, იხ. დიაგრამა 1.

დიაგრამა 1.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, ათასი[1]



დიაგრამიდან 1 ჩანს, რომ 2022 წელს მსგავსი ზრდის მიუხედავად, საერთო ტენდენცია განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობისა არის უარყოფითი. დაკვირვების პერიოდში ყველაზე მაღალი ნიშნული დაფიქსირებულია 2019 წელს და შეადგინა დაახლოებით 644 ათასი განხორციელებული ვიზიტი. ყველაზე დიდი კლება 80%-ის ოდენობით ფიქსირდება მომდევნო, 2020 წელს. საშუალო აბსოლუტური მატება რვა წლიანი პერიოდისთვის შეადგენს დაახლოებით (-7000)-მდე ვიზიტს, ამდენად, საშუალო წლიური მატების ტემპიც უარყოფითია და დადგენილია (-2)%-ის ოდენობით. თუ შენარჩუნდება აღნიშნული ტენდენცია უნდა ვივარაუდოთ განხორციელებული ვიზიტების მომავალშიც შემცირება. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღნიშ-

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ნულ შედეგებზე დიდი გავლენა იქონია COVID 19 პანდემიამ და მისმა თანმდევმა შეზღუდვებმა საერთაშორისო გადაადგილებასთან დაკავშირებით.

საინტერესოა, როგორ არის განაწილებული ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით. მაგალითად 2022 წელს მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით ლიდერობს რუსეთის ფედერაცია 23,1%-ით, მას მოსდევს თურქეთი 19,7%-ით და სომხეთი 15,8%-ით, იხ. დიაგრამა 2.

დიაგრამა 2.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით, 2022 წელი, %[1]



[2]

დიაგრამიდან 2, კარგად ჩანს, რომ ძალიან მწირია ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან შემოდინებული ვიზიტორების რიცხვი (5,8%), ამასთან რვა წლიანი დაკვირვების საფუძველზე იგი ვარირებდა მხოლოდ 4%-დან 8%-მდე და საშუალოდ 5%-ს შეადგენს. 2022 წელს წინა, 2021 წელთან შედარებით განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა ყველაზე მეტად გაიზარდა ირანიდან (455%), რუსეთის ფედარაციიდან (410%) და სომხეთიდან (351%). მიუხედავად ამისა, 2015-2022 პერიოდზე დაკვირვებამ დაგვანახა რომ საშუალოდ პროცენტულად განხორციელებული ვიზიტების მიხედვით საქართველოს ძირითადად სტუმრობენ: თურქეთიდან, სომხეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანიდან.

2022 წელს, როგორც წინა წლებშიც, უცხოელი ვიზიტორების მთავარი დანიშნულების ადგილად რჩება დედაქალი თბილისი, ხოლო მას მოსდევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. ხოლო ყველაზე მცირე ვიზიტების რაოდენობა დაფიქსირებულია კახეთსა და იმერეთის რეგიონებში, იხ. დიაგრამა 3.

[1] წყარო: საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია

[2] *იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან

დიაგრამა 3.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, 2022 წელი, %[1]



ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით საქართველოს სტაბილურად ძირითადად სტუმრობენ 31-50 წლის არარეზიდენტი პირები. ამ უკანასკნელთა პროცენტული გადანაწილება მთლიან ვიზიტორებთან მიმართებით შეადგენს 46-50%-ს. ამასთან, თითქმის თანაბარ გადანაწილებას ვხედავთ 15-30 და 51-70 წლების ასაკობრივ ჯგუფებში, დაახლოებით 22-29%-ის ფარგლებში. ამდენად, საქართველო ნაკლებად უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდული დანიშნულების პუნქტად. ამასთან, სქესობრივ ჭრილში დანახული ვიზიტორების მიხედვით, საქართველოს უფრო მეტად სტუმრობენ მამაკაცები, ვიდრე ქალბატონები. მაგალითად, 2022 წელს უცხოელ ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში 61%-ს შეადგენდა მამაკაცი, შესაბამისად, 39%-ს -ქალბატონი. წინა წელთან შედარებით, მამაკაც ვიზიტორთა რაოდენობა შემცირებულია ორი პროცენტული პუნქტით, ხოლო ქალბატონების გაზრდილია, თუმცა ეს დიდად არ ცვლის საერთო სურათს.

აღსანიშნავია უცხოელ ვიზიტორთა დადებითი კმაყოფილების დონეც განხორციელებული ვიზიტისას. მაგალითად, 2022 წელს, დაახლებით 92% არარეზიდენტი ვიზიტორებისას გამოთქვამს კმაყოფილებას (57,2% ძალიან კმაყოფილი, 35,1% კმაყოფილი), რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის განმეორებითი ვიზიტის ალბათობის მაჩვენებელს.

ტურისტული ხარჯების განაწილება

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ტურისტული ხარჯების განაწილების შესწავლა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმის ეკონომიკური გავლენის უფრო ღრმა გაგებას. და მაინც როგორ ნაწილდება

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯვის მონაცემები საქართველოში? შედეგები ასახულია დიაგრამაზე 4.

დიაგრამა 4.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული საშუალო თვიური ხარჯის განაწილება ხარჯის კატეგორიების მიხედვით, 2022 წელი, %[1]



დიაგრამიდან 4 კარგად ჩანს, რომ დანახარჯების სტრუქტურაში მთავარი დატვირთვა მოდის შემდეგ სამ კატეგორიაზე: 1) საკვები და სასმელი, 2) განთავსება და 3) საყიდლები. შესაბამისად, ტურიზმმა შესაძლოა ერთი მხრივ დიდი გავლენა იქონიოს მოცემულ დარგებში სამუშაო ძალის შექმნასა და შესაბამისად მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირების ნაწილში და მეორე მხრივ, აღნიშნული დარგების განვითარება ხელს შეუწყობს ტურიზმის სამომავლო განვითარებას. ამ ყოველივეს ამყარებს ის ფაქტიც, რომ რვა წლიანი დაკვირვების საფუძველზე ეს სამი სექტორი ინარჩუნებს სტაბილურ ადგილს უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურაში. ასევე, მნიშვნელოვანია ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობაც, რაც 2015 წელთან შედარებით 85%-ით და 2021 წელთან - 52%-ით არის გაზრდილი. მაგალითად, 2022 წელს უცხოეული ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ შეადგინა 6,25. სასურველია აღნიშნული მაჩვენებელმა შეინარჩოს ასეთი მზარდი ტენდენცია. როგორც წესი, გათეული ღამეების საშუალო რაოდენობა ყველაზე მაღალია წლის მესამე კვარტალში.

დანახარჯებთან ერთად მნიშვნელოვანია განვიხილოთ ვიზიტის მიზანიც (იხ. დიაგრამა 5).

[1] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა 5.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, 2022 წელი, %[1]



დიაგრამიდან 5 ჩანს, რომ უცხოელ ვიზიტორთა დიდი ნაწილისთვის (53,6%) ვიზიტის მთავარ მიზანს 2022 წელს წარმოადგენდა დასვენება, გართობა, რეკრეაცია და მხოლოდ შემდეგ მეგობრების/ნათესავების მონახულება (20%). ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზნად ფიგურირებს ტრანტიზი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად. სამწუხაროდ, მიზერული წვლილი (0,5%) უკავია მკურნალობისა და გაჯანსაღების მიზნით ვიზიტთა რაოდენობას. აღნიშნული მაჩვენებელი წლიდან წლამდე მცირდება. ბოლო რვა წლის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ვიზიტის მიზნის მიხედვით გამოკვეთილი მზარდი ტენდენცია ფიქსირდება მხოლოდ დასვენების, გართობის, რეკრეაციის კუთხით, თუმცა ძირითადი სამეული (მიზნების მიხედვით) უცვლელი რჩება.

დასკვნები და რეკომენდაციები

ბოლო წლების განმავლობაში მდგრადმა ტურიზმმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო, როგორც გარემოსდაცვითი პრობლემებისა და პასუხისმგებელი მოგზაურობის პრაქტიკის საჭიროების საპასუხოდ. მომავალში მნიშნელოვანი შესაწავლის საგანს უნდა წარმოადგენდეს მდგრად ტურიზმთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი, როგორიცაა ეკო-სერთიფიკატები, ნახშირბადის გამონაბოლქვი ან ნარჩენების მართვის ინიციატივები. საჭიროა შეფასდეს მიღწეული პროგრესი მდგრადი პრაქტიკის მიღებაში და პოტენციური სარგებელი როგორც გარემოსთვის, ისე ტურის-

[1] წყარო: საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორია

ტული ინდუსტრიისთვის. მეორე საკითხია ტურიზმი და ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტურიზმის სექტორზეც, მაგალითად, მოგზაურების დაგეგმვის, დაჯავშნისა და გამოცდილების შესახებ მოგზაურობებზე. საინტერესო იქნება ისეთი სტატისტიკის მოპოვება რომელიც დაკავშირებულია ონლაინ დაჯავშნის პლატფორმებთან, სამოგზაურო აპებთან და სოციალური მედიის გამოყენებასთან მოგზაურობის გადაწყვეტილების მიღებისას. ეს ყოველივე დაგვეხმარება ვიმსჯელოთ გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ტურისტული გამოცდილების გაღრმავების, ახალი ბაზრების მიღწევისა და ვიზიტორთა ნაკადების მართვის თვალსაზრისით. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი ანალიზით, შეიძლება ტურიზმის ინდუსტრიის როლი საქართველოსთვის გადაჭარბებულად შეფასებულად მივიჩნიოთ. აუცილებელია სწორად შეფასდეს დარგის შესაძლებლობები და სწორად წარიმართოს სამთავრო რესურსები მისი გაძლიერება განვითარებისთვის.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია ტურისტებს შემდეგნაირად განმარტავს: ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით (UNWTO).

საქართველოს ტურიზმის სტატისტიკის არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოვლენილია შემდეგი:

- უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიურ რაოდენობას ახასიათებს კლებადი ტენდენცია და შეადგენს საშუალოდ 2%-ს;
- მოქალაქეობის მიხედვით საქართველოში ძირითადი ვიზიტორები არიან: თურქეთიდან, სომხეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანიდან;
- ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ვიზიტორების რიცხვი არ აღემატება 9%-ს.
- უცხოელ ვიზიტორთა მთავარი დანიშნულების პუნქტი არის დედაქალაქი თბილისი და შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა;
- კახეთსა და იმერეთში დაფიქსირებულია ყველაზე მცირე ვიზიტების რაოდენობა უცხოელ ვიზიტორთა მხრიდან, მიუხედავად ამ რეგიონების წამყვანი ადგილისა ღვინის წარმოების სფეროში;
- საქართველოს ძირითადად სტუმრობენ 31-50 ასაკობრივი კატეგორიის ვიზიტორები, ამდენად იგი ნაკლებად აღიქმება მიმზიდველ ახალგაზრდულ დასვენების ადგილად;
- საქართველოს დაახლოებით 1,5-ჯერ მეტი მამაკაცი სტუმრობს ვიდრე ქალბატონი;
- უცხოეული ვიზიტოების 92% გამოთქვამს კმაყოფილებას განხორციელებული ვიზიტისას, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის განმეორებითი ვიზიტის ალბათობის მაჩვენებელს;
- უცხოელი ვიზიტორების დანახარჯების სტრუქტურაში პირველი ადგილი უკავია ხარჯებს საკვებსა და სასმელზე და შემდეგ განთავსებაზე;
- უცხოელი ვიზიტორების ვიზიტების საშუალო ხანგრძლივობა გაზრდილია 6 დღე-ღამემდე;
- უცხოელ ვიზიტორთა ვიზიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს დასვენება, გართობა, რეკრეაცია და ნაკლებად მკურნალობა და გაჯანსაღება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Azarya, V. (2004). Globalization and international tourism in developing countries: Marginality as a commercial commodity. Current Sociology, 52(6), 949-967
2. Chiu, Y. B., Zhang, W., & Ding, K. (2021). Does globalization influence inbound tourism? Evidence from a dynamic panel threshold analysis. Journal of Travel Research, 60(5), 1074-1084

3. Kellerman, A. (2020). Globalization and spatial mobilities: Commodities and people, capital, information and technology. Edward Elgar Publishing
4. Khan, N., Hassan, A. U., Fahad, S., & Naushad, M. (2020). Factors affecting tourism industry and its impacts on global economy of the world. Available at SSRN 3559353
5. Kheyfets, B., & Chernova, V. (2020). Globalization dynamics in times of crisis. Uncertain Supply Chain Management, 8(4), 887-896
6. Kyrylov, Y., Hranovska, V., Boiko, V., Kwilinski, A., & Boiko, L. (2020). International tourism development in the context of increasing globalization risks: On the example of Ukraine's integration into the global tourism industry. Journal of Risk and Financial Management, 13(12), 303
7. MĂRCUȚĂ, L., DOROBANȚU, D. M., POPESCU, A., TINDECHE, C., & MĂRCUȚĂ, A. (2020). The influence of epidemics on tourism under the conditions of globalization. AgroLife Scientific Journal, 9(1)
8. Sharif, A., Ullah, S., Shahbaz, M., & Mahalik, M. K. (2021). Sustainable tourism development and globalization: Recent insights from the United States. Sustainable Development, 29(5), 957-973

გამოყენებული საიტები:

- **https://www.geostat.ge/ka** - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ:
    1. განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
    2. განაწილება სქესის მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
    3. განაწილება ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
    4. განაწილება ღამეების საშუალო რაოდენობა, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
    5. განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, იხ. ბმული: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika
- **https://www.datalab.ge/ge** - საქართველოს ღია მონაცემების ლაბორატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ:
    1. უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2015-2022
    2. უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა ვიზიტის მიზნის მიხედვით 2015-2022
    3. უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა მოქალაქეობის მიხედვით 2015-2022
- **https://www.unwto.org/** - World Tourism Organization (UNWTO), მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია

Globalization and Foreign Visitors Statistics – Georgian Case

Nino Talikadze
Associate Professor
British Teaching University in Georgia

SUMMARY

Globalization and foreign visitor statistics are interconnected in several ways. Globalization refers to the increased interconnectedness and interdependence of countries and their economies, cultures, and societies through the exchange of goods, services, information, technology, and people. Foreign visitor statistics, on the other hand, track the number of international tourists or visitors entering a particular country. Also there are some key points to consider about the relationship between globalization and foreign visitor statistics: impact of globalization on tourism, economic impact, cultural exchange, data collection and analysis, tourism promotion, , tourism trends, economic disparities and etc. Globalization has led to increased mobility and accessibility, making it easier for people to travel to other countries. And while tourism is a significant industry and a major driver of economic growth for many countries. As globalization promotes economic integration and trade, it can also boost tourism by creating opportunities for people to explore new destinations and cultures. On one hand globalization has facilitated the exchange of cultures, ideas, and traditions. As a result, people from different parts of the world are more interested in experiencing and understanding the cultures and lifestyles of other countries. This cultural exchange drives international tourism. On the othe hand, globalization has made it easier to collect and analyze foreign visitor statistics. With advancements in technology, governments and organizations can track and report visitor numbers more accurately, allowing for better tourism planning and marketing. Thus, the article focuses on the statistics of foreign visitors in Georgia. Also, are explored trends and impacts on verious fields. It is determined that the average monthly number of visits made by foreign visitors is characterized by a decreasing trend and amounts to an average of 2%; Georgia is mostly visited by visitors in the age category of 31-50, thus it is less perceived as an attractive place for youth generation; In the structure of expenses of foreign visitors, the first place is occupied by expenses on food and drinks, followed by accommodation and so on.

In summary, globalization and foreign visitor statistics are closely linked, with globalization driving the growth of international tourism and foreign visitor statistics serving as a valuable tool for countries to understand and manage the impact of globalization on their tourism industries. These statistics also provide insights into the evolving trends and preferences of international travelers.

ციფრული მარკეტინგის როლი საცალო ვაჭრობაში

ეკატერინე ურუტაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნათია წაქაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში ნაჩვენებია, რომ 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული კონკურენციის პირობებში, გაიზარდა ციფრული მარკეტინგის მნიშვნელობა ბიზნესის ყველა სექტორში, მათ შორის საცალო ვაჭრობაში. სტატიაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიურმა პროგრესმა, კონკურენციასთან ერთად, გაზარდა მომხმარებელთა მოთხოვნებიც. ამიტომ საცალოდ მოვაჭრეები ტრადიციულ მარკეტინგს უთავსებენ ციფრულ მარკეტინგს და ასეთნაირად ცდილობენ მომხმარებლების მოზიდვასა და შენარჩუნებას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საცალო ვაჭრობაში ციფრული მარკეტინგი სულ უფრო ვითარდება, იხვეწება და აფართოებს მოქმედების სფეროს. შესაბამისად, საცალო ვაჭრობას პერიოდულად ემატება ახალი ციფრული ტექნოლოგიები და შესაძლებლობები. სტატიაში წარმოდგენილია ციფრული მარკეტინგის სახეები და მათი გამოყენების თავისებურებები საცალო ვაჭრობაში.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული მარკეტინგი, საცალო ვაჭრობა, სოციალური მედია მარკეტინგი, ხელოვნური ინტელექტი.*

საცალო ვაჭრობა ბიზნესის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. მისი ისტორია საქონლის გაცვლით იწყება, რომლის განვითარება დღესაც გრძელდება (Sivakumar, 2007). თანამედროვე ეპოქაში საცალო ვაჭრობის ევოლუციამ ახალი შესაძლებლობები გააჩინა, რასაც ციფრული მარკეტინგიც ხელს უწყობს. მომხმარებელთან ურთიერთობისათვის ციფრული მარკეტინგი იყენებს ყველა ციფრულ მედია საშუალებას, მათ შორის ინტერნეტს, მობილურ მოწყობილობებს და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებს (Vilanova *et al.,* 2021; Pride & Farrell *et al.,* 2016). საქართველოს ბაზარზე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას ეძღვნება რამდენიმე ნაშრომი (Mghebrishvili & Urotadze, 2016; Todua & Jashi, 2018; Todua, 2019; Todua & Urotadze, 2021; Todua & Gogitidze, 2021; Matin et al., 2022), თუმცა, საცალო ვაჭრობის სფეროში ციფრული მარკეტინგის გამოყენების კუთხით, მეცნიერული გამოკვლევების სიმცირეა. აღნიშნული ხარვეზის შევსების ერთგვარი მცდელობაა წინამდებარე ნაშრომი, რომლის მიზანია საცალო ვაჭრობის სფეროში ციფრული მარკეტინგის როლის წარმოჩენა.

საცალო ვაჭრობის სექტორში ციფრული მარკეტინგის თანამედროვე გამოყენება

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ტრადიციული მარკეტინგი, თანდათანობით ციფრულ მარკეტინგად გარდაიქმნება. ციფრული მარკეტინგი, ტრადიციული მარკეტინგისგან განსხვავებით, ბიზნესს მრავალ ინოვაციას სთავაზობს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ციფრული მარკეტინგი მცირე ბიზნესებს საშუალებას აძლევს, მარკეტინგული აქტივობები

ადგილობრივი მომხმარებლების გათვალისწინებით წარმართოს და მათ სარეკლამო ფორმების გაზრდილი ვარიანტები შესთავაზოს (Gordon *et al.,* 2021).

ციფრული მარკეტინგის დაგეგმვისას, მომხმარებელთა მოსაზიდად საძიებო სისტემებში პოზიციონირებისათვის საკვანძო სიტყვების სწორად შერჩევა გადამწყვეტია და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ინვესტიციები მარკეტინგული ბიუჯეტის სულ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. კომპანიების მხრიდან საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის მნიშვნელობის უგულვებელყოფამ, შესაძლოა, დიდი პრობლემები გამოიწვიოს (Erdamin *et al,* 2022). ციფრული და კომპიუტერული ტექნოლოგიების დახვეწამ, საძიებო სისტემის ოპტიმიზაციის მსგავსად, საძიებო სისტემებში განთავსებული რეკლამების განვითარებაზეც საკმაო გავლენა მოახდინა. საძიებო სისტემებში საკუთარი რეკლამების განთავსების მსურველები ყოველდღიურად იზრდება და ამას კომპანია Google-ის სარეკლამო შემოსავლების ზრდაც ნათლად წარმოაჩენს. „Google" მსოფლიოს წამყვანი საძიებო სისტემაა და მისი შემოსავლებიც მუდმივად მზარდია. კომპანია Google-ის სარეკლამო შემოსავლები ყოველწლიურად იზრდება, რაც 2021-2022 წლებში განსაკუთრებულად შესამჩნევი გახდა, კერძოდ, 2022 წელს კომპანიის სარეკლამო შემოსავლებმა 224.47 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა (Bianchi, 2023).

ციფრული მარკეტინგის ერთ-ერთი სახეა იმეილ მარკეტინგი, რომელიც კომპანიის მიერ პოტენციური და არსებული კლიენტებისათვის სარეკლამო შინაარსის მეილების გაგზავნას გულისხმობს (Chaffey, 2019). იმეილების პერსონალიზაცია მომხმარებელთან უფრო ახლო კონტაქტის დამყარებისა და იმეილების წაკითხვის გაზრდის მიზნით გამოიყენება, თუმცა, საჭიროზე მეტი პერსონალური ინფორმაციის მოთავსებამ სათაურის ველსა და ძირითად ტექსტში შეიძლება საპირისპირო რეაქცია გამოიწვიოს (Nobile & Cantoni, 2023).

ციფრული მარკეტინგის ეპოქაში, სოციალური მედია პლატფორმების, როგორც მომხმარებელთან დამაკავშირებელი არხის მნიშვნელობა, განსაკუთრებით გაიზარდა. ორმხრივი შეტყობინებები ანაცვლებს ტრადიციული მარკეტინგისთვის დამახასიათებელ ცალმხრივ შეტყობინებებს. მომხმარებლები თავიანთ სურვილებს აანონსებენ სოციალური მედიის საშუალებით და ბრენდები, რომლებიც ამ მოთხოვნებს არ პასუხობენ, გასაქრობად განწირულნი არიან (Keke, 2022). სოციალური მედია, როგორიცაა „Facebook", „Twitter", „Wechat" და სხვა, მარკეტინგული დისტრიბუციის ერთ-ერთი მთავარი წყარო გახდა. ფირმები, განსაკუთრებით, სოციალური კომერციის სტარტაპები, ცდილობენ მომხმარებლების მოზიდვას სოციალური ქსელების საშუალებით. ეს არა მარტო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გაყიდვებზე, არამედ, საშუალებას აძლევს ფირმებს, მომხმარებელთა სურვილები გამოავლინონ და მათი ინფორმაციული უზრუნველყოფა მოახდინონ (Zhou *et al.,* 2022; Liu *et al.,* 2022). საცალოდ მოვაჭრეები, სოციალურ ქსელებში პოსტების განთავსებით, რეგულარულად ცდილობენ მომხმარებლების ჩართულობის ამაღლებას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საცალოდ მოვაჭრეების მიერ შეთავაზებულ ბრენდებს მაღალი იმიჯი სჭირდება, ვინაიდან მომხმარებლები, სწორედ, თავდაჯერებულ და ძლიერ ბრენდებს ენდობიან (Pezzuti *et al,* 2021). ამასთან, სოციალური მედიის ეფექტიანობა დამოკიდებულია შეთავაზებული პროდუქციის სახეზე, მის კომპლექსურობაზე, ფასზე და ბრენდულობაზე. სოციალური მედიის კამპანიები დიდ შედეგს იძლევა მაშინ, როცა შესაბამისი აქტივობები მიმდინარეობს პირველად საიტებზე. მაგალითად „Facebook" მეტად ეფექტიანია მარკეტინგული კამპანიისათვის, ვიდრე „Instagram" (Dolega *et al.,* 2021).

მომხმარებელთან პირდაპირი, ორმხრივი კავშირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა ლაივ სტრიმ მარკეტინგი. ონლაინ ლაივსტრიმინგი სოციალური მედიის ახალი ფორმაა, რომელმაც პოპულარობა რეალურ დროში კომუნიკაციისა და ინოვაციური ბიზნესკონცეფციით მოიპოვა (Paraman *et al.,* 2022). ლაივ სტრიმ ვაჭრობა, მომხმარებელთან უშუალოდ ეკრანიდან განხორციე-

ლებული პროდუქტის წარდგენით, ბაზარზე გასვლის (GTM-go to market) სტრატეგიას აფართოებს (Bharadwaj *et al.,* 2021). ლაივ სტრიმ ვაჭრობის მაგალითებია: „Amazon Live“, „Facebook Live“, „Taobao Live“ და სხვა. ლაივ სტრიმინგმა მოიტანა ახალი ეკონომიკური აქტივობები. კომპანიები ლაივ სტრიმინგს ხშირად იყენებენ, როგორც მარკეტინგულ საშუალებას ფასებზე ზემოქმედებისათვის. ამის ძირითადი მიზეზია გაყიდვების მოკლე პერიოდში გაზრდის შესაძლებლობა, სტრიმინგით გამოწვეული მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე პროდუქტის საბაზრო ფასის ცვლილება, ბრენდის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რაც ხელს უწყობს ფასების პროგნოზირებას (Luo *et al.,* 2022).

ციფრული მარკეტინგის სწრაფად მზარდი მიმართულებაა ინფლუენსერ მარკეტინგი. ამ ტიპის მარკეტინგის პოპულარობას ორიგინალური შეტყობინებები და მომხმარებელთან ახლო კავშირში განაპირობებს. გარემო სტიმულები, როგორიცაა, მაგალითად, განსახიერების (მიბაძვის) სურვილი, პარასოციალური ურთიერთობები, ინფორმაციულობა და შთაგონება, მომხმარებელთა მიერ ინფლუენსერისა და პროდუქტის აღქმაზე პოზიტიურად მოქმედებს (Weinlich & Semeradova, 2022; Zhang *et al.,* 2023). ამიტომ საცალოდ მოვაჭრემ ყურადღება უნდა მიაქციოს, როგორც ინფლუენსერის სანდოობას, ასევე იმ პლატფორმას, რომელზეც მას ყველაზე მეტი გამომწერი ჰყავს. ინფლუენსერ მარკეტინგი განსაკუთრებით აქტიურია ისეთ სოციალურ ქსელებში როგორიცაა: „YouTube“, „Instagram“ და „Tik Tok“. ბრენდები, რომლებიც სწორად არჩევენ ინფლუენსერებს, სასურველ შედეგებს აღწევენ, ხოლო არასწორად შერჩეულმა ინფლუენსერმა შეიძლება მთლიანად ჩააგდოს მარკეტინგული კამპანია (Ren *et al.,* 2023).

ონლაინქცევის სწრაფი ცვლილება, რომელიც, ძირითადად, გამოწვეულია სმარტფონების მასობრივი გამოყენებით, საცალოდ მოვაჭრეებისაგან მოითხოვს დროულ და გააზრებულ რეაგირებას (Tupikovskaja-Omovie *et al.,* 2021). საპასუხოდ, სულ უფრო მეტი საცალოდ მოვაჭრე იყენებს მობილურ აპლიკაციებს, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, შესყიდვის პროცესი გაიმარტივონ. ზოგიერთი აპლიკაცია მომხმარებელმა შესაძლებელია გამოიყენოს როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ. ასევე, მობილური აპლიკაციები მომხმარებბლებს საშუალება აძლევს, არხებს შორის გადართვა განახორციელონ. საცალოდ მოვაჭრეების მობილური აპლიკაციები შესყიდვებისა და ინფორმაციის მოძიების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ამიტომ აპლიკაციების გამოყენებისას მომხმარებელთა გამოცდილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ აპლიკაციამ მომხმარებლის კეთილგანწყობა დაიმსახუროს, უნდა იძლეოდეს კომფორტულ, ამაღელვებელ, სასიამოვნო, გასართობ, მარტივად და სწრაფად ნავიგაციის გამოცდილებას. ასევე, საგულსხმოა, რომ მომხმარებელს შეეძლოს ცხელი ხაზისა და ჩატბოქსების გამოყენება. აპლიკაცია მომხმარებელს უნდა აწვდიდეს პროდუქტზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესყიდვის პროცესის მიმდინარეობას და ფიზიკური მაღაზიების ლოკაციებს (Molinillo *et al.,* 2020; Molinillo *et al.,* 2022., Ho *et al.,* 2022).

მომხმარებელთან ეფექტიანი კომუნიკაციის დასამყარებლად მარკეტოლოგებს შეუძლიათ, ონლაინ ჩატებით ისარგებლონ (Esmark Jones *et al.,* 2022). ონლაინ ჩატი შეიძლება იყოს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული, ჩატბოტი ან კომპანიაში დასაქმებული პირი (ონლაინ აგენტი), რომელიც მომხმარებელთან კომუნიკაციას ახდენს. კვლევები აჩვენებს, რომ ჩატბოტების დანერგვის შემდეგ მომხმარებლები ონლაინ აგენტების (ადამიანების) მიმართ მეტად ნეგატიურად, ხოლო ჩატბოტების მიმართ ნაკლებად ნეგატიურად არიან განწყობილნი (Tran *et al.,* 2021). როდესაც კომპანიები მომხმარებელს სთავაზობენ ჩატბოტებს, უნდა გაითვალისწინონ ბოტების ადამიანური თვისებები, როგორიცაა საუბრის სტილი, განსახიერების ხარისხი, მომხმარებელთა სპეციფიკური კონტექსტი, რომლებმაც, შეიძლება, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ (Crolic *et al.,* 2021).

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ციფრული მარკეტინგი რევოლუციას ახდენს საცალოდ მოვაჭრეთა მიერ მარკეტინგული კამპანიის კონტენტის შექმნაში, ამცირებს პოტენციური

კლიენტების მოზიდვის დანახარჯებს, აძლიერებს მათ გამოცდილებას და სოციალური მედიის საშუალებით განხორციელებულ აქტივობებს ხელმისაწვდომ სამომხმარებლო ბაზად გარდაქმნის (Van Esch & Stewart Black, 2021). მომხმარებლებს აქვთ საშუალება, შოპინგის დასაგეგმად, მუდმივად ისარგებლონ ხელოვნური ინტელექტითა და მობილური აპლიკაციებით. ახალი ტექნოლოგიების მეშვეობთ, მომხმარებელს შეუძლია, იპოვოს ახალი სავაჭრო ადგილები, მიაგნოს როგორც მაღაზიებს, ასევე სასურველ პროდუქტებს, მიიღოს პერსონალიზებული რეკომენდაციები და სერვისები, იპოვოს საკუთარი ლოკაცია და გზა გაიგნოს სავაჭრო ცენტრებში (Pantano *et al.,* 2021). ხელოვნურ ინტელექტზე დაყრდნობით მართულ ტექნოლოგიებს შორისაა ვიზუალიზაციის ტექნოლოგია. იგი აფართოებს მარკეტინგის კონტექსტს, ვინაიდან მას პროდუქციის შთამბეჭდავად წარმოჩენის უნარი აქვს, რითაც მომხმარებელი იღებს მოხმარების სიმულაციის გამოცდილებას, რაც ზრდის საქონლის შეძენის სურვილს (Petit *et al.,* 2022). მომხმარებლები ასევე აქტიურად იყენებენ ხელოვნური ინტელექტის ხმოვან ასისტენტს (AIVA-ს). სხვა უამრავ ფუნქციასთან ერთად, AIVA მომხმარებელს ეხმარება ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ტრადიციული ონლაინ შესყიდვისაგან განსხვავებით, ის მომხმარებელს ყიდვის პროცესის განსაკუთრებულ გამოცდილებას სთავაზობს, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლის მიერ AIVA-ს გამოყენებასა და, ზოგადად, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (Dellaert *et al.,* 2020)

ონლაინ ციფრულ სერვისებთან ურთიერთობისას მომხმარებელი აგენერირებს დიდი რაოდენობით მონაცემებს, რაც მოქმედებს მათ სავაჭრო ჩვევებზე და სოციალურ ინტერაქციაზე. ამ მონაცემების ერთობლიობას მომხმარებლის გენერირებულ ციფრულ კვალს უწოდებენ (UGDF) (Loufti, 2022). ციფრული კვალის მარკეტინგული მიზნებისთვის გამოყენება მონაცემებით პერსონალიზაციის საშუალებას იძლევა. მონაცემებით პერსონალიზაცია კი მარკეტინგული გადაწყვეტილებების მიღებისა და აუდიტორიის სეგმენტაციის პროცესია, რომელიც ეფუძნება ინდივიდების შესახებ ინფორმაციას და არა მათი ჩვევების ისტორიას (Olson *et al.,* 2021). მონაცემებით პერსონალიზაციის მარკეტინგული მიზნებისათვის გამოსაყენებლად საჭიროა სამი საფეხურის გავლა: მონაცემების მოპოვება, მონაცემების ანალიზი და პრობლემის გადაჭრა (Kenza *et al.,* 2023).

უცხოეთის მსგავსად, საქართველოში საცალოდ ვაჭრობის სექტორშიც აქტიურად გამოიყენება ციფრული მარკეტინგი. დღეისათვის რთულად წარმოსადგენია მსხვილი საცალოდ მოვაჭრე, რომელსაც საკუთარი ვებ გვერდი ან სოციალური მედია გვერდი არ ჰქონდეს. საქართველოს ბაზარზე ასევე აქტიურად გამოიყენება ინფლუენსერ და ლაივ სტრიმ მარკეტინგი. ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ვირტუალური რეალობით კი ყურადღებას მიჰაუსი იპყრობს (mihouse.ge).

დასკვნა

თანამედროვე პირობებში ციფრული მარკეტინგის როლი საცალო ვაჭრობის სექტორში ყოველდღიურად მზარდია. ციფრული მარკეტინგის განვითარებით გამოწვეულმა სწრაფმა ცვლილებებმა საცალოდ მოვაჭრეები აიძულა, აეთვისებინათ და ყოველდღიურობაში გამოეყენებინათ ახალი ტექნოლოგიები, როგორც არსებული კლიენტების შესანარჩუნებლად, ასევე ახალი მყიდველების მოსაზიდად. მომხმარებლების მიერ კომპიუტერებისა და სმარტფონების ხშირი გამოყენება საცალოდ მოვაჭრეების მხრიდან ტრადიციული მარკეტინგიდან ციფრულ მარკეტინგზე გადართვის ძირითადი მიზეზია. ციფრული მარკეტინგი საშუალებას აძლევს საცალოდ მოვაჭრეებს, მონაცემების პერსონალიზაციის გზით მომხმარებელზე საჭირო ინფორმაცია მოიპოვონ, შესაბამისი ინფლუენსერისა და ლაივ სტრიმერის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია მაქსიმალურად მიიტანონ მომხმარებლამდე, აპლიკაციებისა და ვირტუალური რეალობის წყალობით უკეთ აჩვენონ

მომხმარებლებს, როგორც პროდუქტი, ასევე სავაჭრო სივრცე, ხელოვნური ინტელექტის მიერ მართული ტექნოლოგიებით მათ შესთავაზონ, სახლიდან გაუსვლელად მოიძიონ საჭირო ინფორმაციები და სრულად აღიქვან პროდუქტი. ქართველი საცალოდ მოვაჭრეები აქტიურად იყენებენ ციფრულ მარკეტინგს და სხვადასხვა სიახლეს სთავაზობენ მომხმარებელს. ამასთან, საჭიროა, ქართველმა საცალოდ მოვაჭრეებმა მაქსიმალურად გაითვალისწინონ უცხოური გამოცდილება და კიდევ მეტი სიახლე დანერგონ, რაც ყიდვის პროცესს გაამარტივებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bharadwaj, N., Ballings, M., Naik, P. A., Moore, M., Arat, M. M. (2021). A New Livestream Retail Analytics Framework to Assess the Sales Impact of Emotional Displays. *Journal of marketing. 86* (1), 27-47.
2. Bianchi., T. (2023). Google: annual advertising revenue 2001-2022. Retrieved from: https://www.statista.com/statistics/266249/advertising-revenue-of-google/
3. Chaffey, D. (2019). Digital business and e-commerce management. 7th ed. Pearsons Education Limited, Harlow.
4. Crolic, C., Thomaz, F., Hadi, R., Stephen, A. T. (2021). Blame the Bot: Anthropomorphism and Anger in Customer–Chatbot Interactions. *Journal of marketing. 86* (1), 132-148
5. Dellaert, B. G. C., Shu, S. B., Arentze, T. A. Baker, T. Diehl. K., Donkers, B., Fast, N. J., Haubl, G., Johnson, H., Karmakar, U. R., Oppewal, H., Schmitt, B. H., Schroeder, J., Spiller, S. A., Steffel, M. (2020). Consumer decisions with artificially intelligent voice assistants. *Marketing letters.,31* (4), 335-347.
6. Dolega, L., Rowe, F., Branagan, E. (2021). Going digital? The impact of social media marketing on retail website traffic, orders and sales. *Journal of Retailing and Consumer Services. 60.* 102501
7. Erdamin, A., Arilla, R., Ponzoa, J. M. (2022). Search engine optimization: the long- term strategy of keyword choice. *Journal of business research. 144* , 650-662.
8. Esmark Jones, C. L., Hancock, T., Kazandjian, B., Voorhees, C. M. (2022). Engaging the Avatar: The effects of authenticity signals during chat-based service recoveries. *Journal of Business Research. 144*, 703-711.
9. Gordon, B. R., Jerath, Katona, Z., Narayanan, S., Shin, J., Wilbur, C. (2021). Inefficiencies in Digital Advertising Markets. *Journal of Marketing. 85* (1), 7-25.
10. Ho, X, H., Nguyen, D. P., Cheng, J. M. S., Le, A. N. H. (2022). Customer engagement in the context of retail mobile apps: A contingency model integrating spatial presence experience and its drivers. *Journal of retailing and consumer services. 66*. 102950
11. Keke. M. E. (2022) The use of digital marketing in information transport in social media: The example of Turkish companies. *Transportation Research Procedia. 63*, 2579-2588.
12. Kenza, B., Soumaya, O., Mohamed, A. (2023). A Conceptual Framework using Big Data Analytics for Effective Email Marketing. *Procedia Computer Science. 220*, 1044-1050.
13. Liu, Z., Han, S., Li, C., Gupta, S., Sivarajah, U. (2022). Leveraging customer engagement to improve the operational efficiency of social commerce start-ups. *Journal of business research. 140*, 572-582.
14. Luo, S., Shyu M-L., Dayarana, K., Silalahi A. D. K., Shih, I-Tung. (2022). A business model predicting the impact of live-stream marketing on firms' stock price - An event study. *Heliyon. 8* (12). el2522.
15. Matin, A., Khoshtaria, T., & Todua, N. (2022). The Impact of Social Media Influencers on Brand Awareness, Image and Trust in their Sponsored Content: An Empirical Study from Georgian Social Media Users. *International Journal of Marketing, Communication and New Media, 10*(18), 88-114.
16. Mghebrishvili, B., & Urotadze, E. (2016). Functions of retailing. In *Proceedings of the 23rd International Academic Conference*, Venice (pp. 356-360).

17. Mihouse.ge (2023). Retrieved from: https://mihouse.ge/index.php?route=information%2Finformation&information_id=4&fbclid=IwAR1WiPIj_wO-gtNqNRF5Fbib1znqP-DXS7c3h9FX0iW82OP6xA2grEckG84
18. Molinillo, S., Aguilar-Illescas, R., Anaya-Sánchez, R., Carvajal-Trujillo, E. (2022). The customer retail app experience: Implications for customer loyalty. *Journal of Retailing and Consumer Services. 65.* 102842.
19. Molinillo, S., Navarro-García, A., Anaya-Sánchez, R., Japutra, A. (2020). The impact of affective and cognitive app experiences on loyalty towards retailers. *Journal of retailing and consumer services. 54.* 101948.
20. Nobile, T. H., Cantoni, L. (2023). Personalisation (In)effectiveness in email marketing. *Digital Business, 3* (2), 100058.
21. Olson, E. M., Olson, K. M., Czaplewski, A. J., Key, T. M. (2021). Business strategy and the management of digital marketing. *Business Horizons, 64* (2), 285-293.
22. Pantano, E., Dennis, C., De Pietro, M. (2021). Shopping centers revisited: The interplay between consumers' spontaneous online communications and retail planning. *Journal of retailing and consumer services, 61,* 102576
23. Paraman, P., Annamalah, Vlachos, P., Ahmed, S., Balasubramaniam, A., Kadir, B., Raman, M., Hoo, W. C. (2022). Dynamic Effect of Flow on Impulsive Consumption: Evidence from Southeast Asian Live Streaming Platforms. Journal of Open Innovation: *Technology, Market, and Complexity, 8* (4), 212.
24. Petit, O., Javornik, A., Velasco, C. (2022). We Eat First with Our (Digital) Eyes: Enhancing Mental Simulation of Eating Experiences via Visual-Enabling Technologies. *Journal of retailing, 98* (2), 277-293
25. Pezzuti, T., Leonhardt, J. M., Warren, C. (2021). Certainty in Language Increases Consumer Engagement on Social Media. *Journal of Interactive Marketing, 53*, 32-46.
26. Pride, W. M., Ferrell, O. C (2015) Marketing. 18th ed. Published by Cengage learning.
27. Ren, S., Karimi, S., Bravo Velazquez, A., Cai, J. (2023). Endorsement effectiveness of different social media influencers: The moderating effect of brand competence and warmth. *Journal of Business Research, 156*. 113476.
28. Sivakumar, A. (2007). Retail marketing. 1st ed. Excel books, New Delhi.
29. Todua, N. (2019). Using social media marketing for attracting foreign tourists to Georgian destinations. *Globalization and Business, 7*, 39-48.
30. Todua, N., & Gogitidze, N. (2021). Features of the Use of Digital Marketing in the Banking Sector. *The New Economist, 16* (3-4), 7-15.
31. Todua, N., & Jashi, Ch.(2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 12*(2), 183-190.
32. Todua, N., & Urotadze, E. (2021). The Role of Smart Technologies in the Georgian Tourism Industry. *Transformations,* 20-29.
33. Tran, A.D., Pallant, J.I., Johnson, L.W. (2021). Exploring the impact of chatbots on consumer sentiment and expectations in retail. *Journal of Retailing and Consumer Services, 63*. 102718
34. Tupikovskaja- Omovie, Z., Tyler, D. (2021). Eye tracking technology to audit google analytics: Analysing digital consumer shopping journey in fashion m-retail. *International Journal of Information Management*. 59.
35. Van Esch, P., Stewart Black, J. (2021). Artificial Intelligence (AI): Revolutionizing Digital Marketing. *Australasian Marketing Journal, 29* (3), 199-203.
36. Villanova, D. Bodapati, A. V., Puccinelli, N., Tsiros, M., Goodstein, R. C., Kushwaha, T., Suri, R., Ho, H., Brandon, R., Hatfield, C. (2021). Retailer Marketing Communications in the Digital Age: Getting the Right Message to the Right Shopper at the Right Time. *Journal of Retailing, 97* (1). 116-132.

37. Weinlich, P., Semerádová, T. (2022). Emotional, cognitive and conative response to influencer marketing. *New Techno Humanities, 2* (1), 59-69.
38. Zhang, P., Chao, Ch-W., Chiong, R., Hasan, N. Aljaroodi, H.M., Tian, F. (2023). Effects of in-store live stream on consumers' offline purchase intention. *Journal of Retailing and Consumer Services, 72,* 103262.
39. Zhou. Q., Zhang, X., Cao, Y., Wei, W., Wu,B., (2022). The influence of firms social relationship with customers on online retail channel. *Journal of cleaned production, 376,* 134128.

The Role of Digital Marketing in Retail

Ekaterine Urotadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Natia Tsakadze
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In the twenty-first century, with increased competition due to technological progress, the importance of digital marketing has increased in all business sectors, and the retail sector is no exception. Technological progress, along with competition, has also increased the demands of the customers, what satisfied the customers in the past, may not even be enough to attract the attention of the customers. Retailers combine traditional marketing with digital marketing to attract and retain customers. Digital marketing is constantly evolving, improving and expanding its scope. New faces and abilities are added periodically. The article presents the types of digital marketing and focuses on their role and application in retail.

Key words: *Digital Marketing, Retail, Social Media Marketing, Artificial Intelligence.*

შრომითი დისკრიმინაცია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და მისი შემცირების გზები

ნინო ფარესაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნანული ოქრუაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მზია ტიკიშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დეა ფირცხალაიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დღეისათვის, დემოკრატიის შემდგომი განვითარების მიმართულებით, ჩვენს ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი პროგრესული ძვრებისა და საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნის მიუხედავად, იმის შესახებ, რომ შრომითი ურთიერთობები თანამშრომელთა თანაბარი მოპყრობის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს, ქვეყანაში კვლავ მწვავედ დგას შრომითი დისკრიმინაციისა და უთანასწორობის პრობლემა, რომელიც არსებობს ისეთი პიროვნული მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა სქესი, ასაკი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, ქრონიკული დაავადება და სხვა. აღნიშნული მეტად ნეგატიურად აისახება დასაქმებულთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, ჯანმრთელობაზე და შესაბამისად მათი შრომის პროდუქტიულობაზე. დისკრიმინაციის ზეგავლენით ჩამოყალიბებული სტრესული გარემო არასახარბიელოდ აისახება განათლების სისტემაში, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების სისტემაში მომუშავე პერსონალის შრომის ნაყოფიერებაზე და მოტივაციაზე. სწორედ ამიტომ, დისკრიმინაციის რეგულირების პოლიტიკის შემუშავება და არადისკრიმინაციული, თანამშრომელთა თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება უმაღლესი განათლების სისტემაში ფუნციონირებადი დაწესებულების უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს.

საკვანძო სიტყვები: *უმაღლესი განათლების სისტემა, უთანასწორობა, შრომითი დისკრიმინაცია, არადისკრიმინაციული საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა.*

უმაღლესი განათლების და მასში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთა როლი საზოგადოებაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ისინი უდიდეს ზეგავლენას ახდენენ როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე საზოგადოების და კაცობრიობის განვითარების დონეზე (Szromek & Wolniak, 2020).

ეს თეზისი განსაკუთრებით დაადასტურა 21-ე საუკუნის მესამე ათწლეულის დასაწყისის გლობალურმა მოვლენებმა. პროფესორ-მასწავლებელთა როლი უმნიშვნელოვანესი და უდიდესია საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების ერთგული სპეციალისტების მომზადებაში. ისინი უზ-

რუნველყოფენ ქვეყნის პროგრესს და საზოგადოების საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

კვალიფიციური და საერთაშორისოდ აღიარებული აკადემიური პერსონალი უმაღლესი განათლების საერთაშორისო ბაზარზე უნივერსიტეტების წარმატების საწინდარია. ადგილობრივი და გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალების მომზადება დიდწილად უნივერსიტეტების მაღალი დონის პროფესორ-მასწავლებლების დაკომპლექტებას უკავშირდება, რაც წარმოადგენს მეტად უმნიშვნელოვანეს, თუმცა არასაკმარის გარემოებას სტუდენტებისათვის თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად. აღნიშნულთან დაკავშირებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს უნივერსიტეტებში პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური საგანმანათლებლო მომსახურების აღმოჩენის მოტივაციური მექანიზმის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რაშიც თავის გამოხატულ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტებში არსებული ჯანსაღი, არადისკრიმინაციული გარემო.

ბოლო პერიოდში არაერთი სამეცნიერო კვლევა და ნაშრომი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო და სამეცნიერო შრომით კმაყოფილებას და მისი შრომითი მოტივაციის ზრდას განსაზღვრავს უნივერსიტეტებში არსებული ჯანსაღი, არადისკრიმინაციული გარემო, სადაც შრომითი ურთიერთობები მთლიანად ეფუძნება სამართლიანობისა და დაუსაბუთებული პრივილეგიების არარსებობის პრინციპებს.

შრომითი უფლებების დაცვისა და განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, შრომითი თანასწორობის უზრუნველყოფა და დაცვა, დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ფასეულობა და პრინციპია. დასაქმების სფეროში არსებული დისკრიმინაცია წარმოადგენს მეტად გავრცელებულ და მასშტაბურ მოვლენას, რომლის ზოგიერთი სახე თანამედროვე პირობებში ირიბი სახით წარიმართება, იძენს შენიღბულ ფორმას და ნაკლებად შესამჩნევი ხდება. თუმცა ის ნეგატიური შედეგები, რომელიც შრომით დისკრიმინაციას გააჩნია პიროვნებაზე და მის ცხოვრებაზე, სულ უფრო მზარდი და მასშტაბური ხდება.

საქართველოში არსებული შრომითი დისკრიმინაციის შესახებ გარკვეული კვლევები ტარდება, რომლებიც ძირითადად უკავშირდება გენდერულ პრობლემებს (PAICHADZE, KHARADZE, GIORGOBIANI, & NIKVASHVILI, 2019), (Kharadze, et al., 2023).

უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული შრომითი დისკრიმინაციის მასშტაბების, ფორმების, გამომწვევი მიზეზებისა და დისკრიმინაციის პრობლემატიკისადმი უმაღლესი განათლების სფეროში დასაქმებულ პირთა დამოკიდებულების საკითხები ნაკლებადაა შესწავლილი, რაც სათანადო მეცნიერულ კვლევას საჭიროებს. აღნიშნული პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ საგრანტო პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული შრომითი დისკრიმინაციის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც შეამცირებს აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს უმაღლესი განათლების სისტემაში მომუშავე პერსონალის შრომის ნაყოფიერებასა და მოტივაციას აღზარდონ კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემაში დისკრიმინაციის ფართოდ არსებულმა ფაქტებმა ცხადად წარმოაჩინა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების აქტუალობა.

ნაშრომის მიზანია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დისკრიმინაციის ფაქტობრივი მდგომარეობისა და მასშტაბების შეფასება, დისკრიმინაციის განმაპირობებელი ფაქტორებისა და მიზეზების დადგენა, უმაღლესი განათლების კერძო და სახელმწიფო სექტორში დისკრიმინაციის პრიორიტეტული ფორმების გამოვლენა, დისკრიმინაციის განათლების სისტემაში

მომუშავე პერსონალის პირად ცხოვრებაზე და მის შრომის ნაყოფიერებაზე უარყოფითი ზეგავლენის შეფასება და დისკრიმინაციის შემცირების კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში, ისე როგორც ნებისმიერ სფეროში დასაქმებულთა შრომითი უფლებების თანასწორობის გარანტს წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუცია. 2014 წელს საქართველოში მიღებულმა კანონმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", და 2020 წელს განხორციელებული შრომის კოდექსის რეფორმამ ახალ დონეზე აიყვანა დასაქმების სფეროში არსებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. აღნიშნული ნორმატიული აქტების საფუძველზე, დისკრიმინაცია შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ცალკეულ პირთათვის შრომითი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა ან ამ მხრივ უპირატესობების მინიჭება ვინმესთვის სხვის საზიანოდ. დისკრიმინაციის ცნება ასევე მოიცავს განსხვავებას თანამშრომლებთან მიმართებაში, გამოწვეული მათი ისეთი თვისებებით, რაც გავლენას არ ახდენს მათ პროდუქტიულობაზე. შრომითი დისკრიმინაცია არის არათანაბარი შესაძლებლობები თანაბარი პროდუქტიულობის მქონე მუშაკებისთვის. დისკრიმინაცია არის განსხვავებულად ქცევა ისეთი სოციალური იდენტობის ჯგუფის ადამიანების მიმართ, როგორიცაა რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ასაკის ან სხვა კატეგორიის ადამიანთა მიმართ, რომელიც არ არის დაკავშირებული კონკრეტული ჯგუფის წევრების კვალიფიკაციასთან, წვლილთან ან საქმიანობასთან. იგი ჩვეულებრივ განიხილება, როგორც უსამართლო და ხშირად უკანონო (DiTomaso, 2020).

დისკრიმინაცია რთული ფენომენია, რომელსაც აქვს არასასურველი შედეგები პიროვნულ და ორგანიზაციულ დონეზე. იგი მნიშვნელოვნად ამცირებს დასაქმებულთა მუშაობით კმაყოფილებისა და პროდუქტიულობის დონეს და აუარესებს დასაქმებულთა ჯანმრთელობას (Di Marco , et al., 2016).

სამუშაო ადგილზე დისკრიმინაცია არის ფსიქო-სოციალური რისკის ფაქტორი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ჯგუფის ადამიანთა სტრესი და ჯანმრთელობის გაუარესება. სამუშაო ადგილის დისკრიმინაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამშრომლების ჯანმრთელობაზე, ხშირ შემთხვევაში კი გვევლინება ხანგრძლივი ავადმყოფობის მიზეზად (Clark, et al., 2021).

მთელი რიგი კვლევები ადასტურებს, რომ დისკრიმინაცია იწვევს მუშაობის ეფექტიანობის შემცირებას (Petrean, 2018).

შრომითი დისკრიმინაციის უარყოფითი როლის შესწავლის მიზნით ჩატარებულმა კვლევებმა ნათელი მოჰფინა დისკრიმინაციის მავნე შედეგებს პირად და ორგანიზაციულ დონეზე. აღნიშნული კვლევები წარმოაჩენს იმ გარემოებას, რომ დისკრიმინაციული სამუშაო გარემო, მთელ რიგ შემთხვევაში ერთნაირად საზიანო შეიძლება იყოს როგორც დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის, ასევე იმ პირთათვის, ვინც ავლენს მიკერძოებულ დამოკიდებულებას სხვა პირთა მიმართ (Jones et al., 2016).

შრომითი დისკრიმინაციის უარყოფითი შედეგების დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევები წარმოაჩენს იმ რეალობას, რომ დისკრიმინაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ტოქსიკური გარემო ორგანიზაციაში იწვევს პერსონალში ზომიერ და მძიმე სომატური სიმპტომების გამოვლინებას (Rasool et al., 2021).

ამერიკელ მეცნიერთა მიერ სულ ახლახან ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ შრომითი დისკრიმინაცია მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული მუშაკთა ჰიპერტენზიისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მომატებულ რისკთან, დისკრიმინაციის უარყოფითი ზემოქმედება დიდ გავლენას ახდენს მუშაკთა ჯანმრთელობაზე და მიუთითებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ მთავრობისა და დამსაქმებლების პოლიტიკის ჩარევის აუცილებლობაზე (Lockwood et al., 2021).

შრომითი დისკრიმინაციის დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის შესწავლის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები და ამ მიმართულებით არსებული დასაბუთებული მეცნიერული მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ დისკრიმინაცია წარმოადგენს დაავადების

განვითარების რისკ-ფაქტორს და ხელს უწყობს განსხვავებებს ჯანმრთელობაში (Jian et al., 2021), (Williams et al., 2019), (Cuevas s et al., 2020).

შრომითი დისკრიმინაციის პიროვნებებისა და ორგანიზაციისათვის მიყენებულ ზიანთან ერთად, მეცნიერები იკვლევენ იმ ნეგატიურ შედეგებს, რასაც დისკრიმინაცია უყენებს მთელს საზოგადოებას ეკონომიკური ზრდის შემცირებით, ეთნიკური უთანასწორობის გაძლიერებით, პოლიტიკური კონფლიქტების გაღვივებითა და სოციალური ერთიანობის საფრთხის ქვეშ დაყენებით (Fibbi et al., 2020). დისკრიმინაცია მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ეკონომიკასა და ეროვნულ ერთიანობას (Carcill & Valfort, 2020).

კიდევ უფრო არსებითია და მასშტაბურია შრომითი დისკრიმინაციის უარყოფითი ზეგავლენა უმაღლესი განათლების სისტემაში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერთა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე და აკადემიურ პროდუქტიულობაზე. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია დისკრიმინაცია როგორც სტრესის გამომწვევი და სტრესის კავშირი აღნიშნულ პირთა ფიზიკურ ჯანმრთელობასთან, დაავადებებთან, მიმდინარე და მომავალ საქმიანობასთან (Katharine et al., 2016).

დღეისათვის შრომის ბაზარზე პროფესორ-მასწავლებლები დისკრიმინაციულ პროცესებთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი კატეგორიაა, რადგან მათთან შრომითი ხელშეკრულების დადებას უნივერსიტეტებში წინ უსწრებს არჩევნები შესაბამის თანამდებობაზე კონკურსის გზით, სადაც ხშირად ხდება თანასწორობის პრინციპის დარღვევის პირობა. დღეისათვის მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი პოსტსოციალისტური ქვეყნების უნივერსიტეტებში მწვავედ დგას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულთა დისკრიმინაციის პრობლემა. უნივერსიტეტებში არსებული დისკრიმინაცია უარყოფითად აისახება საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის შრომით კმაყოფილებასა და მოტივაციაზე. პერსონალის შრომითი კმაყოფილება საუნივერსიტეტო სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის საკვანძო ფაქტორია. მხოლოდ კომპეტენტურ, მოტივირებულ და ერთგულ მასწავლებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ ეფექტური, ხარისხიანი განათლება (Mirza et al., 2020).

კვლევის მეთოდოლოგია

დისკრიმინაციის, როგორც პერსონალის მუშაობის მოტივაციაზე და შრომის ნაყოფიერებაზე უდიდესი გავლენის მქონე ფაქტორის კვლევა, განხორციელდა ორ ეტაპად, რომელიც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს დაეფუძნა. პირველ ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა ფოკუს ჯგუფებს. თვისებრივი კვლევის მონაწილეები შეირჩა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დასაქმებულთაგან. მეორადი ინფორმაციის ანალიზმა და ჩატარებულმა ფოკუს ჯგუფებმა მოგვცა ჰიპოთეზების ფორმულირებისა და შემდგომი კვლევისათვის პრიორიტეტების დადგენის შესაძლებლობა. მეორე ეტაპზე ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა გამოკითხვის მეთოდით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა წინასწარ შედგენილი და ტესტირებული სტრუქტურიზებული კითხვებისგან შემდგარი ანკეტა. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული მეთოდით. შერჩევის ფორმირება მოხდა საალბათო მეთოდის საფუძველზე.

კვლევის არე მოიცავდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, კერძოდ, ბათუმში, თელავსა და გორში განთავსებულ როგორც კერძო, ისე სახელწიფო უნივერსიტეტების თანამშრომლებს. 2022-2023 წლისათვის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით უმაღლესი განათლების სისტემაში პერსონალი შეადგენდა 10 605-ს, 5164 სახელწიფო და 5441 კერძო უნივერსიტეტებში. მიღებული ანკეტების რაოდენობის მიხედვით შეგვიძლია კვლევის შედეგების განზოგადება.

გამოკითხვის შედეგები დამუშავდა სტატისტიკური პროგრამა SPSS-ის საშუალებით. ანალიზის პროცესში გამოყენებულ იქნა როგორც მარტივი, ასევე რთული სტატისტიკური პროცედურები, მათ შორის: სამომხმარებლო ცხრილები, კროსტაბულაციური ანალიზი, ხი-კვადრატ ტესტი და კრუსკალ ვალის ტესტი.

ჰიპოთეზები, რომლის შემოწმებაც მოხდა რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით:

H1 დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების არსებობა ორგანიზაციაში ახდენს სტრესული გარემოს ჩამოყალიბებას.

H2 დისკრიმინაცია მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს უმაღლესი განათლების სისტემის როგორც კერძო ისე სახელმწიფო სექტორში მომუშავე პირთა ჯანმრთელობაზე და პირად ცხოვრებაზე.

H3 უმაღლესი განათლების სისტემაში არასაკმარისადაა გამოხატული მენეჯერის როლი ორგანიზაციაში დისკრიმინაციულ ფაქტებზე რეაგირებისა და მის საფუძველზე არსებული კონფლიტების მართვაში.

H4 ასაკი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს რესპონდენტების დისკრიმინაციის ფაქტებზე მენეჯერის მხრიდან რეაგირების შესახებ შეხედულებებისა და ხედვის ჩამოყალიბებაზე.

H5 უმაღლესი განათლების სიტემაში დასაქმებულთა ხედვა და მოსაზრებები დისკრიმინაციის ფაქტების აღკვეთის გზებისა და კონკრეტული ღონისძიებებისადმი განსხვავდება იმის მიხედვით, ყოფილა თუ არა ეს პიროვნება დისკრიმინაციის ობიექტი.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში არსებულ შრომითი დისკრიმინაციის ხშირ შემთხვევებზე და ფართო გავრცელებაზე მეტყველებს გამოკითხულ რესპონდენტთა მიერ დაფიქსირებული პასუხები ისეთ კითხვებზე, როგორიცაა ყოფილხართ თუ არა დისკრიმინაციის ობიექტი და გსმენიათ თუ არა კოლეგის დისკრიმინაციის შესახებ. მიღებული პასუხები წარმოაჩენს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მეტად არასახრაბიელო და არაჯანსაღ ვითარებას. კერძოდ, რესპონდენტთა 32 % მიიჩნევს რომ პროფესიული კარიერის განმავლობაში თვითონ წარმოადგენდა დისკრიმინაციის ობიექტს, ხოლო გამოკითხულთა 64,4%-ს სმენია კოლეგის დისკრიმინაციის ფაქტის შესახებ. /იხ. დიაგრამა1, დიაგრამა2/

დიაგრამა1.

რესპონდენტის ყოფნა დისრიმინაციის ობიექტის როლში



დიაგრამა 2.

რესპონდენტის ინფორმირებულობა კოლეგის დისკრიმინაციის შესახებ



კითხვაზე, თუ რას უკავშირდებოდა მათ ორგანიზაციაში არსებული დისკრიმინაცია, 44,5% აღნიშნავს, რომ დისკრიმინაცია უკავშირდებოდა მუშაობის პროცესს, რესპონდენტთა 24,2% დისკრიმინაციას უკავშირებს სამსახურში აყვანას, 18, 3 % - სამსახურიდან გათავისუფლებას, 13 % კი მიიჩნევს, რომ დისკრიმინაცია სამივე ზემოთ აღნიშნულ შემთხვევას უკავშირდებოდა /იხ. დიაგრამა 3.

დიაგრამა 3.

პროცესები, რომელსაც უკავშირდება ორგანიზაციაში არსებული დისკრიმინაცია



კითხვაზე, თუ რა წარმოადგენს უმაღლესი განათლების სისტემაში დისკრიმინაციის გამომწვევ მიზეზებს, რესპონდენტებმა დააფიქსირეს შემდეგი პასუხები: საზოგადოებრივი სტერეოტიპები - 25,3%, შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის მარეგულირებელი არაეფექტიანი სამართლებრივი სისტემა-23,6%, პერსონალური მტრობა 13%, ეკონომიკური მიზეზები (დამსაქმებელთა სურვილი, შეამცირონ ხარჯები, დაზოგონ ფული) - 12,4%, უმუშევრობა - 9,8%, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური არასტაბილურობა - 9%, შრომის ბაზარზე არსებული მწვავე კონკურენცია - 6,2% /იხ. დიაგრამა 4.

დიაგრამა 4.

რესპონდენტთა აზრი შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის გამომწვევი მიზეზების შესახებ



ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა მოსაზრება, რომ დისკრიმინაციის ამა თუ იმ ფორმის არსებობა ორგანიზაციაში ქმნის სტრესულ გარემოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, დასმულ კითხვაზე, არის თუ არა ორგანიზაციაში სტრესული გარემო დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის გამო, მხოლოდ რესპონდენტთა 40, 9% -მა გასცა უარყოფითი პასუხი, 48.8 %-მა დააფიქსირა დადებითი პასუხი. (15,5% დიახ და 33,3% ნაწილობრივ) / იხ.დიაგრამა5. აღნიშნული გარემოება ახდენს პირველი ჰიპოთეზის დადასტურებას.

დიაგრამა 5.

რესპონდენტთა აზრი დისკრიმინაციის, როგორც
ორგანიზაციაში სტრესის გამომწვევი მიზეზის შესახებ



მნიშვნელოვანია აგრეთვე კვლევა იმის შესახებ განათლების როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში ახდენს თუ არა დისკრიმინაცია გავლენას პიროვნების სამუშაო შედეგებზე, მის პირად ცხოვრებაზე და ჯანმრთელობაზე, რაზეც პასუხს გვცემს კროსტაბულაციური ცხრილი 1 და ხი-კვადრატ ტესტის მონაცემები - /იხ.ცხრილი 1./

ცხრილი 1.

დისკრიმინაციის გავლენა პიროვნების სამუშაო შედეგებზე, მის პირად ცხოვრებაზე და ჯანმრთელობაზე უმაღლესი განათლების კერძო და სახელმწიფო სექტორში

		დასაქმების სფერო	
		კერძო სექტორი	**სახელმწიფო სექტორი**
		Column N %	Column N %
დისკრიმინაცია პირდაპირ ასახვას პოვებს პიროვნების სამუშაო შედეგებზე	არასდროს	1.1%	6.4%
	ზოგჯერ	13.2%	11.6%
	ხშირად	37.9%	39.3%
	ყოველთვის	44.8%	40.5%
	არ მაქვს პასუხი	2.9%	2.2%
როგორ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციაში დისკრიმინაცია თქვენს პირად ცხოვრებაზე?	მნიშვნელოვნად ნეგატიურ	13.5%	24.0%
	ნეგატიურ	48.9%	43.9%
	პოზიტიურ	4.6%	5.1%
	არ ახდენს ზეგავლენას	21.0%	15.4%
	არ მაქვს პასუხი	12.1%	11.5%
როგორ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციაში დისკრიმინაცია თქვენს ჯანმრთელობაზე?	მნიშვნელოვნად ნეგატიურ	13.8%	28.7%
	ნეგატიურ	49.7%	45.8%
	პოზიტიურ	2.0%	1.2%
	არ ახდენს ზეგავლენას	15.5%	8.1%
	არ მაქვს პასუხი	19.0%	16.2%

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს:

დისკრიმინაცია რომ პირდაპირ ასახვას პოვებს პიროვნების სამუშაო შედეგებზე, ამას ადასტურებს რესპონდენტთა უმრავლესობა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში. მოდას წარმოადგენს კატეგორია - ყოველთვის, კერძოდ, კერძო სექტორში ყოველთვის/ხშირად კატეგორიებს უკავიათ 44.8% / 37.9%, ხოლო სახელმწიფო სექტორში - 40.5% / 39.3%.

მეორე კითხვაზე- როგორ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციაში დისკრიმინაცია თქვენს პირად ცხოვრებაზე?, რესპონდენტთა უმრავლესობის მიერ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში ფიქსირდება კატეგორია - ნეგატიური (48.9% / 43.9%), დისკრიმინაცია პირად ცხოვრებაზე გავლენას რომ არ ახდენს, კერძო სექტორში სახელდება 21%-ის მიერ, ხოლო სახელმწიფო სექტორში - 15.4%-ის მიერ.

შემდეგ კითხვაზე - თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციაში დისკრიმინაცია თქვენს ჯანმრთელობაზე?, აქაც ასევე, უმეტესად ნეგატიური პასუხი ფიქსირდება ორივე სფეროში: კერძო / სახელმწიფო - 49.7% / 45.8%), ამასთან მნიშვნელოვნად ნეგატიურს და ნეგატიურს ერთად, მეტად დიდი წილი უკავიათ კერძო და სახელმწიფო სექტორშიც: 63.5% / 75.4 %, დისკრიმინაცია მათ ჯანმრთელობაზე რომ არ ახდენს ზეგავლენას, კერძო სექტორში სახელდება რესპონდენტთა 15.5%-ის მიერ, ხოლო სახელმწიფო სექტორში მხოლოდ 8.1%-ის მიერ, როგორც მონაცემებიდან

ჩანს, დისკრიმინაცია რესპონდენტთა ჯანმრთელობაზე სახელმწიფო სექტორში უფრო მეტად ახდენს გავლენას.

ხი-კვადრატ ტესტის შედეგების მიხედვით დასაქმების სფერო გავლენას ახდენს სამივე ცვლადზე, პირველ რიგში ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, (მაქსიმალური სტატისტიკური კავშირი), შემდეგ კი შემდეგი თანმიმდევრობით: პირად ცხოვრებაზე და პიროვნების სამუშაო შედეგებზე (სტატისტიკური მნიშვნელოვნების 0.01 დონე), ამდენად, ადგილი აქვს მეორე ჰიპოთეზის ჭეშმარიტებას.

ცხრილი 2

ხი-კვადრატ ტესტის მონაცემები

Pearson Chi-Square Tests		
		დასაქმების სფერო
დისკრიმინაცია პირდაპირ ასახვას პოვებს პიროვნების სამუშაო შედეგებზე	Chi-square	14.671
	df	4
	Sig.	.005
როგორ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციაში დისკრიმინაცია თქვენს პირად ცხოვრებაზე?	Chi-square	15.196
	df	4
	Sig.	.004
როგორ ზეგავლენას ახდენს ორგანიზაციაში დისკრიმინაცია თქვენს ჯანმრთელობაზე?	Chi-square	30.230
	df	4
	Sig.	**.000**

დისკრიმინაციულ ქმედებებზე რეაგირება და მის საფუძველზე არსებული კონფლიქტების მართვა წარმოადგენს მენეჯერის მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას და მოვალეობას. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დავინტერესდით, როგორია მენეჯერის (სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელის) როლი დისკრიმინაციული ფაქტების აღკვეთისა და მასზე ობიექტური, სამართლიანი რეაგირების დროს. კითხვაზე, მიუმართავთ თუ არა მენეჯერისათვის დისკრიმინაციის შემთხვევაში, რესპონდენტებმა დააფიქსირეს შემდეგი პასუხები: უმრავლესობას - 62,3%-ს არასოდეს, ზოგჯერ - 25,4%, ხშირად - 5,2%, და მხოლოდ 7,1% - ყოველთვის (იხილეთ დიაგრამა 6). აღნიშნული მიუთითებს დისკრიმინაციულ ქმედებებზე მენეჯერის მოკრძალებული როლის შესახებ, რაც შეიძლება შეფასდეს როგორც მეტად უარყოფითი ფაქტი. კვლევამ წარმოაჩინა მეტად არასახარბიელო ვითარება, კერძოდ კი ის ფაქტი, რომ კონფლიქტის გადაჭრის პროცესში მენეჯერისადმი ნდობას გამოხატავს რესპონდენტთა მხოლოდ 7.1%. აღნიშნული ადასტურებს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში არასაკმარისადაა გამოხატული მენეჯერის როლი ორგანიზაციაში დისკრიმინაციულ ფაქტებზე რეაგირებისა და მის საფუძველზე არსებული კონფლიქტების მართვაში.

დიაგრამა 6.

რესპონდენტთა დამოკიდებულება არასათანადო
მოპყრობისას მენეჯერთან მიმართვის შესახებ



რესპონდენტის დისკრიმინაციის მსხვერპლად ყოფნა-არყოფნაზე შემთხვევაში, მნიშვნელოვანია შეგვესწავლა თუ რა სახის რეაგირებას თვლის საჭიროდ რესპონდენტი, თუ მიუმართავს მენეჯერისთვის დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის არსებობის შემთხვევაში, და თუ ჰქონია მენეჯერს რეაგირება ამ ფაქტზე, ხდება თუ არა მისი მხარდაჭერა თანამშრომელთა მხრიდან და რა ფორმით ავლენენ ამ მხარდაჭერას. როგორც კვლევით ვლინდება დისკრიმინაციის მსხვერპლად ყოფნას აღიარებს რესპონდენტთა 32%, რაც, როგორც აღვნიშნეთ მეტად სავალალო შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც უშუალოდ მათთვის, ისე თვითონ უმაღლესი დაწესებულებებისათვის.

კვლევის ფარგლებში შევეცადეთ უმაღლესი განათლების სისტემაში დასაქმებული პერსონალის ხედვისა და მოსაზრებების შესწავლა იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს თანამშრომელმა, რომელიც განიცდის შევიწროებას და არასათანადო მოპყრობას სამსახურში. ამ შემთხვევაში შევეცადეთ შეგვესწავლა ის განსხვავებები, რაც არსებობს რესპონდენტების შეხედულებებს , რომლებიც ყოფილან დისკრიმინაციის ობიექტი და იმ რესპონდენტების შეხედულებებს შორის, რომლებსაც არ განუცდიათ დისკრიმინაციული ქმედებები. მათი განსხვავებული ხედვები იძლევა გარკვეული დასკვნების შესაძლებლობას, ის თუ, რამდენად იცვლება პიროვნების დამოკიდებულება და ხედვა მას შემდეგ რაც უშუალოდ წააწყდება დისკრიმინაციულ ქმედებას და გახდება დისკრიმინაციის ობიექტი. აღნიშნულ საკითხებზე, კერძოდ დისკრიმინაციის მსხვერპლად ყოფნა/არყოფნა ახდენს თუ არა გავლენას რესპონდენტის შეხედულებებზე ზემოთ განხილულ საკითხებთან მიმართებით, გვიჩვენებს ცხრილი 3, რომელშიც მოცემულია კრუსკალ ვალის ტესტის (Kruskal-Wallis Test) შედეგები.

ცხრილი 3.

დისკრიმინაციის მსხვერპლად ყოფნა-არყოფნის
ცვლადის კავშირი დისკრიმინაციის მოგვარების გზებთან

	რა სახის რეაგირება უნდა გააკეთოს თანამშრომელმა არასათანადოდ მოპყრობისას	მიგიმართავთ თქვენი მენეჯერისთვის დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის არსებობის შემთხვევაში?	ჰქონია მენეჯერს დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირება მისი ინფორმირების შემდეგ?	ხდება თქვენს ორგანიზაციაში დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერა თანამშრომელთა მხრიდან?	რა ფორმით ახდენენ კოლეგები დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერას?
N	756	756	759	759	759
Median	3.00	1.00	2.00	3.00	3.00
Chi-Square	3.369	33.412	17.818	3.919	8.138
df	2	2	2	2	2
Asymp. Sig.	.186	**.000**	**.000**	.141	**.017**

ტესტის შედეგებით ვლინდება, რომ ცვლადი - ყოფილხართ დისკრიმინაციის მსხვერპლი? მაქსიმალურ სტატისტიკურ კავშირშია (0.01 დონეზე) დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის არსებობის შემთხვევაში მენეჯერისთვის მიმართვის ცვლადთან და მენეჯერის ინფორმირების შემდეგ დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების ცვლადთან, ასევე სტატიკური კავშირი აქვს რა ფორმით ახდენენ კოლეგების მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერის ფორმასთან სტატისტიკური მნიშვნელობის 0.05 დონეზე. ასე რომ, დისკრიმინირებულ და არადისკრიმინირებულ რესპონდენტთა შეხედულებები ამ საკითხებთან მიმართებაში განსხვავებულია.

ცვლადებთან „რა სახის რეაგირება უნდა გააკეთოს თანამშრომელმა არასათანადოდ მოპყრობისას?“ და „ხდება თქვენს ორგანიზაციაში დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერა თანამშრომელთა მხრიდან?“ დისკრიმინაციის მსხვერპლი თუ არამსხვერპლი რესპონდენტების პასუხები ერთნაირი ტენდენციით გამოირჩევა. ანუ ცვლადი - ყოფილხართ დისკრიმინაციის მსხვერპლი? გავლენას არ ახდენს (არ აქვს სტატისტიკური კავშირი) აღნიშნულ ცვლადებთან.

ის რესპონდენტები, ვინც თავს დისკრიმინაციის მსხვერლად მიიჩნევენ, კითხვებზე რა სახის რეაგირებას თვლიან საჭიროდ, მენეჯერისთვის დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის არსებობის შემთხვევაში მიმართვაზე მენეჯერის რეაგირებაზე, თანამშრომელთა მხრიდან მათ მხარდაჭერაზე და მხარდაჭერის ფორმებზე გვაქვს შემდეგი მონაცემები (ცხრილი 4):

ცხრილი 4.

დისკრიმინაციის მოგვარების გზების შესახებ
დისკრიმინაციის მსხვერპლ რესპონდენტთა ხედვა

დისკრიმინაციის მსხვერპლის შეხედულებები		%
რა სახის რეაგირება უნდა გააკეთოს თანამშრომელმა არასათანადოდ მოპყრობისას	იმ პიროვნებასთან ისაუბროს, ვინც შეავიწროვა და არასათანადოდ მოეპყრა	24.7%
	მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრება	12.3%
	მიმართოს მენეჯერს	21.0%
	მიმართოს სასამართლოს	13.6%
	მიიპყროს სხვების ყურადღება იმაზე, რაც ხდება	18.5%
	რადგანაც აზრი არ აქვს არანაირ ქმედებას, უსიტყვოდ შეეგუოს არსებულ დისკრიმინაციას	4.9%
	სხვა	4.9%
მიგიმართავთ თქვენი მენეჯერისთვის დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის არსებობის შემთხვევაში?	არასდროს	48.1%
	ზოგჯერ	33.3%
	ხშირად	7.4%
	ყოველთვის	11.1%
ჰქონია მენეჯერს დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირება მისი ინფორმირების შემდეგ?	არასდროს	30.9%
	ზოგჯერ	23.9%
	ხშირად	20.6%
	ყოველთვის	14.8%
	არ მაქვს პასუხი	9.9%
ხდება თქვენს ორგანიზაციაში დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერა თანამშრომელთა მხრიდან?	არასდროს	17.3%
	ზოგჯერ	40.7%
	ხშირად	17.3%
	ყოველთვის	17.7%
	არ მაქვს პასუხი	7.0%
რა ფორმით ახდენენ კოლეგები დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერას?	უცხადებენ თანადგომას	30.5%
	ხელმძღვანელთან ერთად განიხილავენ გამოვლენილ ფაქტებს	10.3%
	მსჯელობენ ამ ფაქტის აღკვეთის, პრევენციის შესახებ	16.5%
	სხვა სახის დახმარება	16.5%
	არ ახდენენ რეაგირებას	16.9%
	არ მაქვს პასუხი	9.5%

ცხრილი 4-ის მიხედვით გამოიკვეთა უმეტესად შემდეგი:

არასათანადო მოპყრობისას:

იმ პიროვნებასთან ისაუბროს, ვინც შეავიწროვა და არასათანადოდ მოეპყრა - 24.7%

- მიმართოს მენეჯერს - 21%

- მიიპყროს სხვების ყურადღება იმაზე, რაც ხდება 18.5 %

მენეჯერისთვის მიმართვაზე დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის არსებობის შემთხვევაში - 48% ასახელებს რომ არ მიუმართავს, მხოლოდ11% ადასტურებს მიმართვას.

ჰქონდა თუ არა მენეჯერს რეაგირება დისკრიმინაციის ფაქტზე მისი ინფორმირების შემდეგ - სამწუხაროდ, რესპონდენტთა უმრავლესობა - 30. 9% აფიქსირებს რომ არასდროს არ მოუხ-

დენია რეგაირება მენეჯერს. 20.6%-ის მიერ სახელდება რომ ყოველთვის ახდენს რეაგირებას აღნიშნულ ფაქტებზე.

თანამშრომელთა მხრიდან ხდება თუ არა დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერა, აქაც სამწუხაროდ, რესპონდენტთა უმრავლესობა - 40.7% აფიქსირებს რომ ზოგჯერ ხდება, კატეგორიები „ყოველთვის“ და „არასდროს“თითქმის ერთნაირად სახელდება (17.7% / 17.3%).

რა ფორმით ახდენენ კოლეგები დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერას? - რესპონდენტთა 30.5 %-ის მიერ მიიჩნევა, რომ ეს გამოიხატება კოლეგების მხრიდან თანადგომით.

აქვს თუ არა განსხვავებული შეხედულებები მოცემულ საკითხებზე სხვადასხვა ასაკის რესპონდენტებს, კერძოდ 35 წლამდე და 35 წელს გადაცილებულებს, გვიჩვენებს ხი-კვადრატ ტესტი (ცხრილი 5), ხოლო ასაკსა და მოცემულ ცვლადებს შორის დამოკიდებულებას კროსტაბულაციური ცხრილის მონაცემებზე აგებული დიაგრამები.

ცხრილი 5.

ასაკის გავლენა დისკრიმინაციის ფაქტებზე მენეჯერის მხრიდან რეაგირების შესახებ

		ასაკი
რა სახის რეაგირება უნდა გააკეთოს თანამშრომელმა არასათანადოდ მოპყრობისას	Chi-square	**19.324**
	df	6
	Sig.	**.004**
მიგიმართავთ თქვენი მენეჯერისთვის დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის არსებობის შემთხვევაში?	Chi-square	3.399
	df	3
	Sig.	.334
ჰქონია მენეჯერს დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირება მისი ინფორმირების შემდეგ?	Chi-square	**29.608**
	df	4
	Sig.	**.000**
ხდება თქვენს ორგანიზაციაში დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერა თანამშრომელთა მხრიდან?	Chi-square	**18.531**
	df	4
	Sig.	**.001**
რა ფორმით ახდენენ კოლეგები დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერას?	Chi-square	4.625
	df	5
	Sig.	.463

როგორც ხი-კვადრატ ტესტის შედეგები გვიჩვენებს, 35 წლამდე და 35 წელს გადაცილებულ რესპონდენტთა შეხედულებები სრულიად სხვადასხვაგვარია დისკრიმინაციის ფაქტებზე მენეჯერის მხრიდან რეაგირებაზე (ასაკი მაქსიმალურ სტატისტიკურ კავშირშია მოცემულ ცვლადთან), ასევე თანამშრომელთა მხრიდან დისკრიმინაციის მსხვერპლის მხარდაჭერაზე და არასათანადოდ მოპყრობისას თანამშრომლის რეაგირებაზე (მოცემულ ცვლადებთან ასაკის ცვლადს გააჩია 0.01 სტატიტიკური მნიშვნელობის დონე). ასე რომ ჰიპოთეზა H6 აღმოჩნდა ჭეშმარიტი: ასაკი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს რესპონდენტების დისკრიმინაციის ფაქტებზე მენეჯერის რეაგირების შესახებ ხედვისა და აღქმის ფორმირებაზე.

რაც შეეხება კოლეგების მხრიდან მხარდაჭერის ფორმებზე და მენეჯერთან მიმართვაზე დისკრიმინაციის ფაქტის არსებობაზე, ამ მხრივ ასაკის ორივე ჯგუფის ტენდენცია ერთგვაროვანია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამები გვიჩვენებს ასაკის დამოკიდებულებას ზემოთმოყვანილ ცვლადებთან

დიაგრამა 7.

სხვადასხვა ასაკის რესპონდენტთა დამოკიდებულება არასათანდო მოპყრობის დროს მისი რეაგირების სახესთან



თუ რა ფორმით ახდენენ კოლეგები დისკრიმინირებულ რესპონდენტთა მხარდაჭერას ასაკის ჭრილში, ჩანს ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან /იხ.დიაგრამა 8/

დიაგრამა 8.

სხვადასხვა ასაკის რესპონდენტთა შეხედულება კოლეგების მხრიდან დისკრიმინაციაში მყოფ რესპონდენტთა მხარდაჭერაზე:



ასაკის ორივე ჯგუფში უმრავლესობა თანადგომას უცხადებს, რიგით მეორე კატეგორიად 35 წლამდე ასაკის რესპონდენტები ასახელებენ რომ მსჯელობენ ამ ფაქტის პრევენციის შესახებ, ხოლო 35-ს გადაცილებულთა აზრით არ ხდება რეაგირება ამ ფაქტზე.

დასკვნა

- უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული დისკრიმინაცია, ქვეყანაში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, კვლავ მასშტაბურია. დღეისათვის უმაღლესი განათლების სფეროში, ისევე როგორც საქრთველოს მთელს შრომის ბაზარზე, შრომითი დისკრიმინაცია წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას, რაც უმაღლესი დაწესებულებების წინაშე აყენებს უნივერსიტეტებში არსებული ანტიდისკრიმინაციული გარემოს ჩამოსაყალიბებლად მთელი რიგი ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.
- უმაღლესი განათლების სიტემაში დასაქმებული პერსონალის პროფესიული კარიერის განმავლობაში არსებულ დისკრიმინაციის ფორმებს შორის დომინანტი და ყველაზე ხშირად გამოხატულ ფორმას მუშაობის პროცესში ანუ სამუშაო ადგილზე დისკრიმინაცია წარმოადგენს.
- კვლევის შედეგები აჩვენებს იმ გარემოებას, რომ უნივერსიტეტები ვერ უზრუნველყოფენ არადისკრიმინაციულ გარემოს, რაც ნეგატიურად აისახება უმაღლესი განათლების როგორც კერძო, ის სახელმწიფო სისტემაში მომუშავე პირთა ჯანმრთელობაზე და პირად ცხოვრებაზე.
- უმაღლესი განათლების სიტემაში დისკრიმინაციას შრომის ბაზარზე ყველაზე არსებითად შრომის ბაზარზე დისკრიმინაციის მარეგულირებელი არაეფექტიანი სამართლებრივი სისტემა და არსებული საზოგადოებრივი სტერეოტიპები წარმოადგენს.
- დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების არსებობა ახდენს ორგანიზაციაში სტრესული გარემოს ჩამოყალიბებას .
- უმაღლესი განათლების სისტემაში არასაკმარისადაა გამოხატული მენეჯერის როლი ორგანიზაციაში დისკრიმინაციული ფაქტებზე რეაგირებისა და მის საფუძველზე არსებული კონფლიტების მართვაში.
- უმაღლესი განათლების სიტემაში დასაქმებულთა ხედვა და მოსაზრებები დისკრიმინაციის ფაქტებზე მენეჯერის მხრიდან რეაგირების შესახებ. დისკრიმინაციის ფაქტების აღკვეთის გზებისა და კონკრეტული ღონისძიებებისადმი შეხედულებებისა და ხედვის ჩამოსაყალიბებაზე გავლენას ახდენს დასაქმებულის ასაკი და აგრეთვე ის ფაქტი, ყოფილა თუ არა ეს პიროვნება დისკრიმინაციის ობიექტი.
- უნივერსიტეტებმა მთელი ძალისხმევა უნდა წარმართონ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტები, არადასკრიმინაციული გარემოს შექმნით, ახდენენ პერსონალის განვითარებისა და თვითრეალიზაციის მოტივაციურ გარემოს, როდესაც მაღალია შემოქმედებითი საქმიანობა, აკადემიურ პერსონალს უჩნდება მოტივაცია აიმაღლოს თავიანთი სამეცნიერო, ინოვაციური პოტენციალი და მზად არიან შეუერთდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.
- არადისკრიმიციული გარემოს შექმნის ეფექტიანი მექანიზმების ფორმირება, სტუდენტებისათვის პროფესორ-მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური საგანმანათლებლო მომსახურების აღმოჩენისა და უნივერსიტეტის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანიის მიღწევის მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებაა. უპირველეს ყოვლისა, უნივერსიტეტების ხელმძღვანელობამ გააცნობიეროს ის გარემოება, რომ ნებისმიერი დისკრიმანიის ფაქტი და გამოვლინება, მეტად მაღალი სენსიტიურობით აისახება მთელს აკადემიურ პერსონალზე, ის თავისთავად განასზღვრავს გაუცხოებას და უნდობლობას, როგორც კოლეგების, ისე ხელმძღვანელების მიმართ.

- ქვეყნის უმაღლეს განათლების სისტემაში არსებული დისკრიმინაციული პროცესების აღმოსაფხვრელად, აუცილებლად მიგვაჩნია ნებისმიერმა უმაღლესმა დაწესებულებამ თავისი საქმიანობა შეუსაბამოს ქვეყანაში არსებულ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, შიდა რეგულაციების განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავებისას მაქსიმალურად უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული ნორმატიული აქტით.
- უმაღლესი დაწესებულებაში არადისკრიმინაციული, ჯანსაღი გარემოს შექმნისათვის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება უნდა მოახდინოს სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე. დისკრიმინაციის პიროვნების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე უდიდესი ზეგავლენიდან გამომდინარე, დისკრიმინაციის არსებული ცალკეული გამოვლინებაზე არასაკმარისი რეაგირება და კონტროლი, ცალსახად შეიძლება შეფასდეს, როგორც სამსახურებრივი გულგრილობის მეტად მძიმე ფაქტად და დისკრიმინაციის ირიბად ხელის შეწყობად.
- დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ, პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა. ამასთან, დისკრიმინაციის ნებისმიებრ ფაქტზე რეაგირებისას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი სამართლებრივი დარეგულირების პროცესში შრომის ინსპექციის ჩართულობა,იმ სტუქტურის, რომელსაც საქართველოში 2021 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შესული შრომის ინსპექციის გაფართოებული მანდატის მიხედვით, მინიჭებული აქვს შრომითი უფლებების დარღვევებზე რეაგირების უფლებამოსილება.
- უმაღლეს დაწესებულებებში შრომითი დისკრიმინაციის პრევენციის რეალური მექანიზმების სისტემის შექმნის მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია დისკრიმინაციის საკითხებთან და შრომით უფლებებთან დაკავშირებით პერსონალის სწავლებისა და ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს ძალისხმევის გაზრდა, კერძოდ კი ტრენინგების ორგანიზება თანამშრომელთა დისკრიმინაციის შემთხვევაში საკუთარი შრომითი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გზებისა და საშუალებების შესახებ.
- აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს უნივერსიტეტების პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის გაზრდას, რამეთუ არადისკრიმინაციული საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო ზრდის განცდას, რომ მისი შრომა და აქტიური აკადემიური საქმიანობა წარმოადგენს მისი სამსახურებრივი წინსვლისა და პიროვნული აღიარების უმთავრეს ფაქტორს.
- არაჯანსაღი და კონფლიქტური სამუშაო გარემო არა მხოლოდ უნივერსიტეტიდან მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის გადინების, არამედ ზოგადად უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამიტომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი თანამშრომლებს შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში შრომითი დისრიმინაციის პრევენციისა და თანამშრომლებისადმი მიკერძოეუბული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად, აუცილებლად გვესახება აკადემიური პერსონალის შერჩევის, სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული საქმიანობის მიხედვით შეფასებისა და წახალისების სამართლიანი და ობიექტური სისტემის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Brain Behav. Immun. 89, 465–479/
2. Clark, A., Stenholm , S., Pentti , J., Salo , P., Lange , T., Török , E., . . . Hulvej, R. N. (2021). Workplace discrimination as risk factor for long-term sickness absence: Longitudinal analyses of onset and changes in workplace adversity. PLoS One.
3. Cuevas, A.G., Ong, A.D., Carvalho, K., et al., 2020. Discrimination and systemic inflammation: a critical review and synthesis. Global Public Health
4. Di Marco , D., López-Cabrera , R., Arenas , A., G, G., G , A., & Mucci, N. (2016). Approaching the Discriminatory Work Environment as Stressor: The Protective Role of Job Satisfaction on Health. Frontiers in Psychology. 7:1313. doi: 10.3389/fpsyg.2016.01313
5. DiTomaso, N. (2020). Discrimination in Work and Organizations. Oxford Research Encyclopedia of Business and Management., https://doi.org/10.1093/acrefore/9780190224851.013.193/
6. Jian Li, Timothy A. Matthews, Thomas Clausen and Reiner Rugulies (2023) Workplace Discrimination and Risk of Hypertension: Findings From a Prospective Cohort Study in the United States. Journal of the American Heart Association. Originally published26 Apr 2023https://doi.org/10.1161/JAHA.122.0273742023;12:e027374/
7. Jones, K. P., Peddie, C. I., Gilrane, V. L., King, E. B., & Gray, A. L. (2016). Not So Subtle: A Meta-Analytic Investigation of the Correlates of Subtle and Overt Discrimination. Journal of Management, 42(6), 1588-1613
8. Katharine R. O'Brien, Samuel T. McAbee, Michelle R. Hebl and John R. Rodgers. The Impact of Interpersonal Discrimination and Stress on Health and Performance for Early Career, STEM Academicians. Frontiers in Psychology. Volume 7 - 2016 | HYPERLINK "https://doi.org/10.3389/fpsyg.2016.00615" https://doi.org/10.3389/fpsyg.2016.00615
9. Kharadze, N., Tikishvili, M., Giorgobiani, M., Katsitadze, N., Pirtskhalaishvili, D., & Dugladze, D. (2023). Study of married women's attitude towards retirement age. *Asia Life Sciences, Volume - 13 , Issue 07*.
10. Lockwood KG, Marsland AL, Matthews KA, Gianaros PJ. Perceived discrimination and cardiovascular health disparities: a multisystem review and health neuroscience perspective. *Annals of the New York Academy of Sciences* 2018; 1428:/ HYPERLINK "https://nyaspubs.onlinelibrary.wiley.com/toc/17496632/2018/1428/1" \o "View Health Neuroscience" Volume1428, Issue1 , Pages 170-207/
11. Munawar S. Mirza , Sania Zahra Malik , Ameema Mahroof .(2020) Overall and by Factor Level of Job Satisfaction Among the Faculty of an Online University in Pakistan. Journal of Research and Reflections in Education. Vol.14, No 2, pp 180-193
12. PAICHADZE, NUGZAR; KHARADZE, NATALIA; GIORGOBIANI, MAIA; NIKVASHVILI, MAIA;. (2019). CAREER MANAGEMENT TRENDS IN TERMS OF GENDER. *European Journal of Economics and Business Studies*.
13. Petrean, A. C. (2018). Consequences of Discrimination at the Workplace. Acta Universitatis Danubius. Administration, Vol 10, No 1/.
14. Rasool, S.F.;Wang, M.; Tang, M.; Saeed, A.; Iqbal, J. HowToxic Workplace Environment Effects the Employee Engagement: The Mediating Role of Organizational Support and Employee Wellbeing International Journal of Environmental Research and Public Health 021, 18, 2294. HYPERLINK "https://doi.org/10.3390/" https://doi.org/10.3390/
15. Rosita Fibbi • Arnfinn H. MidtbøenPatrick Simon.Migration and Discrimination.Paris, France Patrick SimonMay 2020 Fibbi et al., Migration and Discrimination, IMISCOE Research Series, HYPERLINK "https://doi.org/10.1007/978-3-030-67281-2_3" https://doi.org/10.1007/978-3-030-67281-2_3

16. Stéphane Carcillo, Marie-Anne Valfort. Combating discrimination in the labour market. In Notes du conseil d'analyse économique Volume 56, Issue 2, 2020, pages 1 to 12.Pages: 1-12
17. Szromek , D. R., & Wolniak, R. (2020). Job Satisfaction and Problems among Academic Staff in Higher Education. Journals Sustainability Volume 12 Issue 12 4865. https://doi.org/10.3390/su12124865
18. Williams, D.R., Lawrence, J.A., Davis, B.A., Vu, C., 2019. Understanding how discrimination can affect health. Health Services Research. 54 (S2), 1374–1388. /

Labor Discrimination in the Higher Education System of Georgia and Ways to Reduce It

Nino Paresashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Nanuli Okruashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Mzia Tikishvili
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Dea Pirtskhalaishvili
Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article examines the forms of labor discrimination in the higher education system of Georgia, the causes, and the negative consequences associated with labor discrimination in the organization. Based on the research, the authors have developed specific recommendations, the implementation of which will ensure the reduction of the level of labor discrimination and its negative consequences in higher educational institutions.

Keywords: *Higher education. Inequality.Labor discrimination. Anti-discrimination policy*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

შორენა ფარჯიანი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

მოცემულ სტატიაში შესწავლილია საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დინამიკაში, 1996 წლიდან 2022 წლის ჩათვლით. გეოგრაფიულ ჭრილში, ჯამური მაჩვენებლებიდან გამოვლენილია უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები. 2007 წლიდან 2022 წლის ჩათვლით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის მიხედვით, წარმოდგენილია ის სექტორები, სადაც ყველაზე მაღალი მოცულობით განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. 2013-2022 წლებში პუი-ს სტრუქტურა გაშლილია კომპონენტების მიხედვით და გამოკვეთილია სააქციო კაპიტალის, რეინვესტიციების და სავალო ვალდებულებების პროცენტული გადანაწილება საერთო მაჩვენებლებიდან. საგარეო სექტორის სტატისტიკიდან წარმოდგენილია საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის აქტივების და ვალდებულებების მაჩვენებლები. სტატიაში, ასევე, მოყვანილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური მაჩვენებლები, მათ შორის პუი-ს უმსხვილესი ნაკადების მიმღები ქვეყნები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფების და ანალიზის ხერხები და მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი); წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია;*

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (პუი) შეუძლია უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას და გააძლიეროს საზოგადოების კეთილდღეობა.

საქართველო ხასიათდება ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობით, ამდენად, მუდმივად აქტუალურია საქართველოში განხორციელებული უცხოური საინვესტიციო ნაკადების მახასიათებელი ინდიკატორების კვლევა, ქვეყნის სუვერენული საკრედიტო რეიტინგის და ადგილობრივი საინვესტიციო გარემოს შეფასება.

საქართველო, საინვესტიციო ნაკადებისადმი თავისი გახსნილი პოლიტიკით, ერთ-ერთი პირველი იყო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, სისტემური ტრანსფორმაციის პირობებში მყოფი ქვეყნისთვის დამახასიათებელი საინვესტიციო შიმშილის ფონზე, ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ინდიკატორად იქცა და აქტუალობას დღემდე არ კარგავს ქვეყანაში განხორციელებული უცხოური საინვესტიციო ნაკადების მოცულობის შეფასება სტატიკაში თუ დინამიკაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და შემდგომ, ეფექტურად მართვის პროცესში მნიშვნელოვანია მიმღები ქვეყნის საინვესტიციო გარემო, რაც მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, თითოეული ქვეყნის შემთხვევაში უნიკალურია. საქართველომ, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ, ბოლო ათწლეულების განმავლობაში რთული და მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ქვეყნის წარმატებას ასახავს სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის წამყვანი პოზიციები, თუმცა, კვლავ რჩება პრობლემური მიმართულებები, რომლებიც მოითხოვს მკვეთრი და ეფექტური რეფორმების გატარებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
დინამიკა და სტრუქტურა საქართველოში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორია და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ამსახველი სტატისტიკური ანგარიშის, საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანი კომპონენტია [2].

საგადასახდელო ბალანსი საქართველოს და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს ასახავს ორი ძირითადი ანგარიშის შესაბამისად, ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. სწორედ კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის ფინანსური ნაწილი ასახავს რეზიდენტების და არარეზიდენტების მიერ განხორციელებულ პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებს, სარეზერვო აქტივებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებული სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის. პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები [3].

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCDAT) სტატისტიკური მონაცემების მიხედვით[1], პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა ნაკადებმა, 1990 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, შეადგინა 33,5 ტრლნ აშშ დოლარი. მათ შორის, თითქმის 62% ($20,7 ტრლნ) მიიღო განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, ხოლო 38% ($12,8 ტრლნ) - განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა. განხილულ პერიოდში უმსხვილესი საინვესტიციო ნაკადების მიმღები ქვეყნები იყვნენ: აშშ ($5,9 ტრლნ); ჩინეთი ($2,6 ტრლნ); გაერთიანებული სამეფო ($2,1 ტრლნ); ჰონგკონგი ($1,8 ტრლნ); სინგაპური ($1,2 ტრლნ); გერმანია ($1,1 ტრლნ); ბრაზილია ($1,1 ტრლნ); კანადა ($1 ტრლნ); ირლანდია ($0,9 ტრლნ); ნიდერლანდები ($0,8 ტრლნ); ესპანეთი ($0,8 ტრლნ); მექსიკა ($0,7 ტრლნ); ინდოეთი ($0,7 ტრლნ) [7].

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიცხვშია საქართველოც, რომელმაც, 1990-2021 წლების განმავლობაში, მიიღო 23,04 მლრდ-მდე აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რაც საერთო გლობალური მაჩვენებლის 0,07%-ს შეადგენს [7].

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთვარ ინდიკატორად იქცა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემებით, 1996 წლიდან 2022* წლის[2] ჩათვლით, ქვეყანაში განხორციელებული პუი-ს ჯამურმა მაჩვენებელმა თითქმის 25.3 მლრდი აშშ დოლარი შეადგინა [5]. საწყის ეტაპზე ტრანსნაციონალური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაკადების დაფიქსირება განაპირობა საქართველოზე გამავალი მილსადენების პროექტებში, კერძოდ, ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალზე განხორციელებულ სამუშაოებში განხორციელებულმა ინვესტი-

[1] https://unctad.org/topic/investment/world-investment-report

[2] * - 2022 წლის მონაცემები არის წინასწარი მონაცემები.

ციებმა. 2005 წლიდან საქართველოში განხორციელდა არაერთი რეფორმა საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ სფეროებში და საინვესტიციო ბაზარზე შემოსვლის ბარიერების მოხსნის მიმართულებით. გააქტიურდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მაღლი ნაკადები დაფიქსირდა 2007 წელს, რაც მესაკუთრის ცვლილებით უფრო აიხსნება, ვიდრე საწარმოო პროცესების მდგრადი გაჯანსაღებით. 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა საინვესტიციო ნაკადები მინიმუმამდე შეამცირა. 2009-2011 წლებში საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები სტაბილური მაჩვენებლით იზრდებოდა [1]. პუი-ს დინამიკა კლებით ხასიათდება საარჩევნო წლებში, მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ 2012, 2016 და 2020 წლების მონაცემები, რის ძირითად ფაქტორადაც საარჩევნო წლის მოლოდინები და პოსტსაარჩევნო განუსაზღვრელობა სახელდება. 2019-2020 წლებში პუი-ს კლების მთავარ ფაქტორად ასევე შეგვიძლია დავასახელოთ პანდემია და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სტაგნაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალ ნაკადებზე უარყოფითი გავლენა იქონია ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობასთან დაკავშირებულმა დავებმა, თუმცა, აღნიშნული სახელმწიფო აქტივის სამომავლოდ გამოყენება მიმდინარე პერიოდში აქტიურ განხილვაშია.

1996 წლიდან პუი-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (საქსტატის კორექტირებული მონაცემებით) ფიქსირდება 2022* წელს ($2.0 მლრდ აშშ დოლარი; ჯამური მაჩვენებლის 7.91%), შემდეგ 2017 (7.87%) და 2014 (7.26%) წლებში.

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1996-2022 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)



1996-2022* წლებში განხორციელებული პუი-ს მიმდინარე მაჩვენებლებს ინვესტორი ქვეყნების მიხედვით თუ დავაჯგუფებთ და გადავხედავთ საინვესტიციო ნაკადების გეოგრაფიას, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებიდან 3.7 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიციით (საერთო მაჩვენებლის 14.74%) ლიდერობს გაერთიანებული სამეფო [5].

დიაგრამა №2

საქართველოში განხორციელებული პუი ინვესტორი ქვეყნების მიხედვით 1996-2022* წწ.
(მლრდ აშშ დოლარი)



ჯამური მონაცემებით, 2019 წლის ჩათვლით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა იყო აზერბაიჯანი, თუმცა, 2020 და 2022* წლებში შემცირებული ვალდებულებების ფონზე[1], აზერბაიჯანს მესამე პოზიცია უკავია გაერთიანებული სამეფოს და ნიდერლანდების შემდეგ [5].

1996-2022* წლებში, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 31.5% (7.97 მლრდ აშშ დოლარი) მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, 17,3% უკავია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თნამეგობრობაში (დსთ) შემავალი ქვეყნების ჯგუფს (4.38 მლრდ აშშ დოლარი), ხოლო სხვა დანარჩენი ქვეყნებიდან განხორციელდა ჯამური მაჩვენებლის 49,7 %-ს პუი (12.6 მლრდ აშშ დოლარი), საერთაშორისო ორგანიზაციების წონა შეადგენს 1.4%-ს, ხოლო, ჯამური ინვესტიციების 0,06%-ის შემთხვევაში ქვეყანა უცნობია [5].

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სიაში მოხვდა ოფშორული ზონაც. უცხოელ ინვესტორზე მორგებული საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით, საქართველოს მოქალაქეები ოფშორებს ხშირად რეინვესტიციისთვის იყენებდნენ. მსხვილი ქართული კომპანიების ნაწილი ევროკავშირის ტერიტორიაზეა რეგისტრირებული, შესაბამისად, მათი ბრუნვის ნაწილი უცხოურ ინვესტიციებად აღიქმება [1].

ეკონომიკის სექტორების მიხედვით პუი-ს განაწილება ხელმისაწვდომია 2007 წლიდან. 2007-2022* წლებში, საქსტატის ჯამური მაჩვენებლების მიხედვით (21.8 მლრდ აშშ დოლარი), საქართველოში ყველაზე მასშტაბური პუი-ს ნაკადები განხორციელდა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორში (4.13 მლრდ აშშ დოლარი, საერთო მაჩვენებლის 18.9%), საფინანსო (3.53 მლრდ აშშ დოლარი, საერთო მაჩვენებლის 16.2%) და ენერგეტიკის (2.94 მლრდ აშშ დოლარი, 13.5%) სექტორებში. სწორედ ამ სამ სექტორზე მოდის ქვეყანაში შემოსული საინვესტიციო ნაკადების თითქმის ნახევარი [5].

[1] შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, პუი-ს შემცირების მიზეზი შეიძლება იყოს: არარეზიდენტი სუბიექტის მიერ წილის დათმობა რეზიდენტის სასარგებლოდ, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის რეკლასიფიკაცია პორტფელის ინვესტორად, რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულების შემცირება.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგენელ კომპონენტებს თუ დავაკვირდებით ბოლო 10-წლიან დინამიკაში, ვნახავთ, რომ სააქციო კაპიტალის მაჩვენებელი (ვალდებულებები პირდაპირი ინვესტორის მიმართ) ყველაზე მაღალი იყო 2016 წელს და შეადგენდა 1,81 მლრდ აშშ დოლარს (წლიური პუი-ს 109,4%), თუმცა იმავე წლის სავალო ვალდებულებების მაჩვენებელი იყო უარყოფითი, -466,2 მლნ აშშ დოლარი[1], რამაც შესაბამისად შეამცირა წლიური პუი-ს მაჩვენებელი.

რეინვესტირებული შემოსავლების მაჩვენებელი, რაც გულისხმობს სხვაობას მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის, დინამიკაში ყველაზე მაღლი იყო 2022 წლის წინასწარი მონაცემებით და აბსოლუტურ მაჩვენებელში შეადგინა 1.3 მლრდ აშშ დოლარი (წლიური პუი-ს 64.5%) [5].

დიაგრამა №3

პუი კომპონენტების მიხედვით (მლნ აშშ დოლარი)
% - ხვედრითი წონა საერთო მაჩვენებლიდან



საგარეო სექტორის სტატისტიკა ასევე ეფუძნება საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკას. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) საქრთველოს ეროვნული ბანკის მიერ ქვეყნდება და ასახავს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ პერიოდის ბოლოს იანგარიშება, როგორც პერიოდის დასაწყისში ნაშთს დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, მოცულობის სხვა ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა ცვლილება. ოპერაციული ცვლილება შეესაბამება საგადასახდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ტრანზაქციებს. სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული (+), ან წმინდა დებეტური (-) [6].

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ -28.33 მლრდ აშშ დოლარი (-76.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2022 წლის მშპ-ს (24,61 მლრდი აშშ დოლარი მიმდინარე ფასებში) -115.1 პროცენტი იყო. გასული წლის მონაცემების მიხედვით, იგივე მაჩვენებელი -142.9 პროცენტს შეადგენდა (წმინდა სსპ - $-26,62 მლრდ; წლიური

[1] 2016 წლის I კვარტალში ადგილი ჰქონდა სესხის კაპიტალიზაციას. აღნიშნული ოპერაცია თანაბრად არის ასახული სავალო ვალდებულებების შემცირების და სააქციო კაპიტალის ზრდის მიმართულებით.

მშპ მიმდინარე ფასებში - $18,63 მლრდ). წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია 2022 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.7 მლრდ აშშ დოლარით გაუარესდა [6].

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საერთაშორისო აქტივები შეადგენდა 14.2 მლრდ აშშ დოლარს (38.4 მლრდ ლარი), რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2.8 მლრდ აშშ დოლარით მეტია. მთლიანმა საერთაშორისო ვალდებულებებმა 42.5 მლრდ აშშ დოლარი (114.9 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 4.5 მლრდ აშშ დოლარით აღემატება[1] [6].

საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო ვალდებულებებიდან, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ჯამურად შეადგინა 22.3 მლრდ აშშ დოლარი, მათ შორის, სააქციო კაპიტალი და რეინვესტირებული შემოსავლები შეადგენდა თითქმის 19 მლრდ აშშ დოლარს, ხოლო სხვა კაპიტალი - 3.3 მლრდ აშშ დოლარს. საქართველოს საინვესტიციო აქტივებიდან, საზღვარგარეთ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები შეადგენდა 3,3 მლრდ აშშ დოლარს, მათ შორის, 3 მლრდ აშშ დოლარამდე ეკუთვნოდა სააქციო კაპიტალის და რეინვესტირებული შემოსავლების მაჩვენებელს, ხოლო 270 მლნ აშშ დოლარი სხხვა კაპიტალში აღირიცხა [6].

დასკვნა

ამრიგად, 1996 წლიდან 2022 წლის წინასწარი მონაცემების ჩათვლით, საქართველოში ჯამურად 25.3 მლრდ აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. დინამიკაში, ყველაზე მაღლი საინვესტიციო ნაკადები, მათ შორის, ყველაზე მაღალი რეინვესტიციის მაჩვენებელი დაფიქსირდა 2022 წლის წინასწარი მონაცემებით. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა იყო გაერთიანებული სამეფო, ხოლო უმსხვილესი ნაკადების მიმღები ეკონომიკური სექტორი - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ - 28.33 მლრდ აშშ დოლარი (-76.5 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2022 წლის მშპ-ს (24,61 მლრდი აშშ დოლარი მიმდინარე ფასებში) - 115.1 პროცენტი იყო. გასული წლის მონაცემების მიხედვით, იგივე მაჩვენებელი - 142.9 პროცენტს შეადგენდა (წმინდა სსპ - $-26,62 მლრდ; წლიური მშპ მიმდინარე ფასებში - $18,63 მლრდ). წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია 2022 წელს წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1.7 მლრდ აშშ დოლარით გაუარესდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ფარჯიანი შ., (2016). *ეკონომიკურ ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის სტატისტიკური კვლევა.* სადისერტაციო ნაშრომი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.
2. BPM6, Companion document to the sixth edition of the Balance of Payments and International Investment Position Manual. International Monetary Fund (IMF) in 2014;

[1] https://nbg.gov.ge/media/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%98%E1%83%AA-7

3. OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment, FOURTH EDITION, 2008;
4. https://elibrary.worldbank.org/doi/10.1596/978-1-4648-1683-3_ch1
5. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi
6. https://nbg.gov.ge/
7. https://unctad.org/

Foreign Direct Investments in Georgia

Shorena Pharjiani
Associate Professor
Sulkhan-Saba Orbeliani University

SUMMARY

Foreign direct investment (FDI) is considered as one of the fundamental resources of stable long-term investment. To the extent that Georgia is characterized by low access to finance, the discussion of the characteristic indicators of foreign investment flows, the assessment of the local investment environment and the analysis of the country's sovereign credit ratings are constantly relevant in the society. In this article, the volume of direct foreign investments made in Georgia from 1996 to 2022* is studied in dynamics, from the total indicators, in terms of geography, the largest investor countries are identified. From 2007 to 2022*, according to the types of economic activity, the sectors where the highest volume of direct foreign investments were made in Georgia are presented. In the period 2013-2022*, the structure of FDI is expanded according to components and the percentage distribution of share capital, reinvestments and debt obligations from the total indicators is highlighted. From the foreign sector statistics, in addition to the main indicators of the balance of payments financial report, the indicators of assets and liabilities of the net international investment position of Georgia are presented. The article also provides global figures for foreign direct investment, including countries receiving the largest FDI flows. Statistical observation, collection-grouping and analysis techniques and methods are used in the research process.

keywords: *foreign direct investment (FDI); net international investment position.*

საქართველოს საგარეო ვაჭრობა და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები

რამაზ ფუტკარაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, შესაბამისად ქვეყანამ მას მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. პატარა სახელმწიფოებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოება ყოველთვის დღის წესრიგშია. ხშირად ისტორიულ კავშირებთან და დიდ სახელმწიფოებთან გეოგრაფიული სიახლოვესთან ერთად, მცირე სახელმწიფოები აღმოჩნდებიან დაპირისპირებისას უთანასწორობაში. ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ მათი საგარეო ეკონომიკური უსაფრთოება ძირითადი დაკავშირებულია ნატოსა და ევროკავშირის წევრობასთან.

ნაშრომში განხილულია საქართველოს საგარეო ვაჭრობა ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით. აღნიშნულია, რომ აუცილებელია საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია. ბოლო პერიოდში საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა იზრდება რაც გარკვეულ რისკებთან და საფრთხეებთან არის დაკავშირებული. აუცილებელია ეტაპობრივად ქვეყნის უარყოფითი სალდოს შემცირება და ადგილობრივი ექსპორტის გაზრდით. საქართველოს, ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი ქვეყანის საგარეო ვაჭრობაში დაბალია ევროკავშირის წილი.

საკვანძო სიტყვები: *საგარეო ვაჭრობა, საგარეო, ეკონომიკური უსაფრთხოება, ექსპორტი, ეკონომიკური ინტეგრაცია.*

თანამედროვე მსოფლიო ვაჭრობის განვითარებამ, ეკონომიკის გლობალიზაციამ, კოვიდ 19 პანდემიამ და ტექნოლოგიების განვითარებამ მცირე ქვეყნებისთვის განვითარების შესაძლებლობებთან ერთად ახალი გამოწვევები წარმოშვა. საგარეო ვაჭრობის საშუალებით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლა ხორციელდება ექსპორტ-იმპორტის საშუალებით. თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები ცდილობენ გაზრდონ სავაჭრო კავშირები და მონაწილეობა საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებებში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევოდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო-ში) გაწევრიანება. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებულია გაამარტივოს სავაჭრო ურთიერთობები ქვეყნებს შორის და იმოქმედოს, როგორც სავაჭრო დავების მოგვარების ინსტიტუტმა. საქართველო 2000 წლის 14 ივლისიდან ამ ორგანიზაციის წევრია.

საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები 2012-2022 წლებში. საქსტატის მონაცემების მიხედვით ქვეყნის ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები მზარდი ტენდენციით ხასიათდება. ქვეყნის ექსპორტმა 2007 წელს, ქვეყნის ისტორიაში პირველად გადააჭარბა მილიარდ აშშ დოლარსღ 2022 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 19131.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 33.4%-ით მეტია. ქვეყნის ექსპორტი გაიზარდა 31.6%-ით და 5583.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი კი გაიზარდა 34.2%-ით და 13547.7 მლნ.

აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2022 წელს, 7964.3 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.4 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ქვეყნის ექსპორტის, იმპორტის, სავაჭრო ბრუნვისა და სავაჭრო სალდოს მაჩვენებლები რეკორდულია [8].

ქვეყნის საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევების შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიულ სტრუქტურისა და სასაქონლო სტრუქტურის ტენდენციებს [3, 4, 5, 6].

დიაგრამა 1.

საქართველოს ექსპორტი 2012-2022 წლებში

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება იმპორტს, მონაცემები ასევე მზარდია, მაგრამ იმპორტის ზრდა ბევრად უფრო მაღალია ექსპორტთან შედარებით. 2012 წლიდან 2022 წლამდე იმპორტის სტაბილური ზრდა შეინიშნება და განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი 2022 წელს ფიქსირდება. მცირე კლება იყო 2020 წელს რაც კოვიდ 19 პანდემიასთან შეიძლება დავაკავშიროთ, რამაც რეალურად ყველა სავაჭრო (და არა მარტო) მაჩვენებელზე უარყოფითად იმოქმედა. თუმცა 2021-2022 წლებში იმპორტის მაჩვენებელი იმაზე მაღალია, ვიდრე ოდესმე დაფიქსირებულა საქართველოში.

დიაგრამა 2.

საქართველოს იმპორტი 2012- 2022 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

აღსანიშნავია, რომ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, 2012-2022 წლებში საქართველოსთვის დამახასიათებელია უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო [6, 8, 9, 13]. ეს თვალსაჩინოა ბოლო 5 წლის მონაცემებითაც, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდო 2018-2022 წლებში

	2018	*2019*	*2020*	*2021*	*2022*
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 981.7	-5 720.3	-4 708.3	-5 856.4	-7 964.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თუ საქართველოს საგარეო სავაჭრო მონაცემებს რეგიონული კუთხით განვიხილავთ დავინახავთ რომ ექსპორტის მხრივ საქართველოსთვის ლიდერობს აზიის ქვეყნები და ამის შემდეგ მოდის ევროპა. აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ 2006 წლამდე ქვეყნის ძირითად საექსპორტო დანიშნულების ადგილს ევროპის კონტინენტი წარმოადგენდა.

2022 წელს საქართველოს ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვამ 29%-ით გაიზარდა, 3922.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 20.5% დაიკავა. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში გაიზარდა 20%-ით, 863 მლნ. აშშ დოლარი და საქართველოს მთლიანი ექსპორტის 15.4% შეადგინა. იმპორტი ევროკავშირიდან 32%-ით გაიზარდა და 3060.5 მლნ. აშშ დოლარი და საქართვე-

ლოს მთლიანი იმპორტის 22.6% შეადგინა. (2021 წელი – 23%). ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 16%-ით გაიზარდა, რამაც 741 მლნ. აშშ დოლარი და ევროკავშირში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 86% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა 2022 წელს 32%-ით გაიზარდა და 6405 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ბრუნვის 34% , 2021 წელი - 34%). საქართველოს ექსპორტი გაიზარდა 33%-ით და 2685 მლნ. აშშ დოლარი შადგინა (მთლიანი ექსპორტის 48%, 2021 წელი - 48%). ქვეყნის იმპორტი კი გაიზარდა 32%-ით გაიზარდა და 3723 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი იმპორტის 28%, 2021 წელი - 28%). მაღალია საქართველოდან დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტის მოცულობა, რამაც 2022 წელს 1104 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 43%).

ანუ საქართველოს დსთ-ს ქვეყნებთან სავაჭრო ბრუნვა, ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვას აღემატება 63%-ით. ხოლო ექსპორტის მაჩვენებელი დსთ-ს ქვეყნებში, საქართველოს ევროკავშირში ექსპორტს აღემატება 211%-ით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
ბრუნვის მიხედვით, 2022 წელი (მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში ინტეგრაცია და მდგრადი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია კონკურენტუნარიანობისა და უპირატესობის გარეშე. გლობალური კონკურენციის პირობებში პატარა ქვეყანები ახალი გამოწვევების წინაშე დგანან. საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა და სწორი სავაჭრო და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება პატარა ზომის ქვეყნების ეკონომიკებისთვის აუცილებელია. ცხადია ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო ჭრილში განხილვა ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან კავშირშია.

საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით. საქსტატის ინფორმაციით 2022 წელს საექსპორტო ათეულის პირველი ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა - 1024.2 მილიონი აშშ დოლარით, ეს კი მთლიანი ექსპორტის 18.3 %-იას. მეორე ადგილი დაიკავა მსუბუქმა

ავტომობილებმა 905.7 მილიონი აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის - 16.2%), მესამე ადგილი დაიკავა ფეროშენადნობებმა 459.8 მილიონი აშშ დოლარით (8.2%). საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი 11%-ით გაიზარდა და 1262 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელმა 40%-ით მოიმატა და 4 331 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი ექსპორტის გაზრდა. [12, 14, 15].საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წინა წელთან შედარებით 18.3% გაიზარდა, 3704.2 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და მთლიანი ექსპორტის 66.2% შეადგინა. აღნიშნული ზრდა განხორციელდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე: სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 1024 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 26%); აზოტოვანი სასუქები - 281 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 135%); ღვინო - 252 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 6%); ელექტროენერგია - 84.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 437%); ძვირფასი ლითონის მადნები - 84.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 92%); ოქრო - 81.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 27%); ტკბილი გაზიანი სასმელები - 82.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 43%); ტრიკოტაჟის ნაწარმი - 74.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 18%); ხილი - 36.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 13%); მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 58 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 75%) და სხვ.

2022 წელს საქართველოდან 101663 ტონა ღვინის ექსპორტი განხორციელდა. საერთო ჯამში კი 252 მლნ. აშშ დოლარის პროდუქციაა. რუსეთში ღვინის ექსპორტი გაზრდილია წინა წელტან შედარებით დაახლოებით 50%-ით. მეორე ადგილს იკავებს პოლონეთი და რუსეთ -უკრაინის ომის მიუხედავად მესამე ადგილზეა უკრაინა. ექსპორტის მნიშნელოვანი ზრდა შეინიშნება თურქეთსა და ტაჯიკეთში, თურქეთში - 68%, ტაჯიკეთში - 88% და სხვ.

დიაგრამა N4

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფები, 2022 წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლის უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი იყო მსუბუქი ავტომობილები. მათი იმპორტის მაჩვენებელია 1714 მლნ. აშშ დოლარი და ეს მთელი იმპორტის 12.7%-ს შეადგენდა. მეორე ადგილი დაიკავა ნავთობმა და ნავთობპროდუქტებმა 1335.2 მლნ. აშშ დოლარით (რაც იმპორტის 9.9 %-ის), მესამე ადგილი დაიკავა სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა, მათ 775.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (იმპორტის 5.7%). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტმა 37%-ით გაიზარდა და 1851 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტმა კი 33-ით გაიზარდა და 11598 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 5.

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები, 2022 წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

დასკვნა

საქართველოს მთავარ გამოწვევად საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ უსაფრთხოებაში რჩება უარყოფითი სავაჭრო დეფიციტი, რომელმაც 2022 წელს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 41.6%-ს შეადგენს. საქართველოს სავაჭრო სალდო გაზრდილია მასშტაბურად და 2022 წელს 7.9 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აუცილებელია ეტაპობრივად აღნიშნული სალდოს შემცირება.

ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევად რჩება საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია. აუცილებელია საგარეო ვაჭრობის დივერსიფიკაცია. ბოლო პერიოდში საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა იზრდება, რაც გარკვეულ რისკებთან და საფრთხეებთან არის დაკავშირებული.

საქართველოს საქონლის ექსპორტი დსთ-ს ქვეყნებში 2022 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 33%-ით. საქართველო ევროკავშირის პოტენციური კანდიდატი ქვეყანაა, მიუხედავად ამისა დაბალია ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირის წილი.

აუცილებელია სტრატეგიის შენუშავება სასოფლო-სამეურნეო სექტორისთვის, მისი წარმოების გაზრდისა და საესპორტო პოტენციალის ამაღლებისათვის.

ცნობილია, რომ აზერბაიჯანი არაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი. მიგვაჩნია მისი ვმო-ის წევრობა მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს მხარეებს შორის სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას. ასევე სავაჭრო ურთიერთობებში იმ დისბალანსის გასწორება, რაც არსებობს, რიგ საქონელზე არსებობს განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მართებულადაა აღნიშნული, რომ: საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობას და თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ნაბიჯებით ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის ეკონომიკურად მიმზიდველ, მშვიდობიან და უსაფრთხო რეგიონად გადაქცევას.

„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“. (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 78). მიგვაჩნია, ნატოსა და ევროკავშირის წევრობა, ქვეყანას აძლევს საკმარის ძალას, რათა შეძლონ სრულად დაიცვან თავიანთი სუვერენიტეტი და წინააღმდეგობა გაუწიონ ნებისმიერ დაპირისპირებას, თუ ეკონომიკურ გამოწვევას. ასე მაგალითად, პატარა ქვეყნები, როგორიცაა ესტონეთი, ლატვია ან ლიეტუვა, რომ არ იყვნენ ნატოსა და ევროკავშირის წევრები, შესაძლოა საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია (2023). თბილისი. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2022) 2022 წლის წლიური ანგარიში. თბილისი.
3. აბესაძე რ. (2022). საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი XV. თბილისი, გვ.9-27.
4. ვეშაპიძე შ. (2023) საქართველოს საგარეო ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე პრიორიტეტები. ჟურნალი ,,ეკონომისტი“, N3, 2023. გვ. 85-99.
5. ვეშაპიძე შ. ფუტკარაძე რ. (2023). საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე. ჟურნალი ,,ეკონომისტი“, N1. გვ. 58-69.
6. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. (2022).
7. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - https://www.mfa.gov.ge/
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) https://www.geostat.ge/ka

9. **ფუტკარაძე რ. (2023). საქართველოსა და აზერბაიჯანის სავაჭრო ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: ,,მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკების განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით", მასალების კრებული. თბილისი. გვ. 542-549.**
10. Atanelishvili T., Silagadze A., Silagadze N. (2020) Some economic problems of the post-Soviet states after the global financial crisis. Bull. Georg. Natl. Acad. Sci. 14(3): 149–154.
11. Basilia T., Silagadze A., Chikvaidze T. (2001) Post-Socialistic Transformation: Georgian Economy at the Threshold of the XXI Century. Tbilisi (in Georgian). https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1555410?publication=0
12. Putkaradze R. (2010). Perspectives of Georgia-European Union trade relacions. Istanbul international annual conference on the economic cooperation and development within the black sea basin Countries. Donetsk Nacional University. Collection of Scientific Works. Part I. Istambul-Donetck.
13. Putkaradze R. (2012). ACTUAL ISSUES OF THE FOREIGN TRADE OF GEORGIA. Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane JAvakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli NATIONAL ECONOMIES AND GLOBALIZATION. 28-29 June. pp. 51-58
14. Putkaradze R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: Administracja i Zarządzanie. Scientific Journal Nr 107. Poland.
15. Putkaradze, R. (2010). Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. Universali, Tbilisi. (In Georgian).
16. Putkaradze, R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. ZeszytyNaukowe UNIWERSYTETU PRZYRODNICZO-HUMANISTYCZNEGO w SIEDLCACH Seria: AdministracjaiZarządzanie, Poland.
17. Putkaradze, R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. Journal, Ecoforum Journal. Volume 8, Issue 1(18).
18. Putkaradze, R., Chania, M. (2018) The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. **European Journal of Marketing and Economics**, v. 1, n. 1, p. 63-66.
19. Silagadze, A. (2013). Some Aspects of Development of Post-Soviet economy — «Actual Problems of Economies of Post-communist Countries at Current Stage». TSU: Paata Gugushvili Institute of Economics. Tbilisi, pp.66-69. (Georgian Language).
20. Silagadze, A., Atanelishvili, T., & Silagadze, N. (2022). Covid Depression and Search for a New Paradigm. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 16(1)
21. World Trade Organization (2022). World Trade Statistical Review.
22. Zubiashvili, T., Veshapidze, Sh. Labor Emigration and Employment in Georgia. (Coauthorship). Humanities and Social Sciences Review, Volume 09, Number 01, 2019, USA.pp.127-136. http://www.universitypublications.net/hssr/0901/html/E9X94.xml

Georgia's Foreign Trade and the Challenges Facing the Country's Economic Security

Ramaz Putkaradze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

In terms of globalization, external economic security of the country is one of the main elements of national security; therefore, the country should pay more attention to it. External economic security is always on the agenda for small states, including Georgia. Having historical ties and geographical proximity to great powers, small states find themselves at a disadvantage in confrontation. The experience of the Baltic countries proves that external economic security of these countries is mainly related to NATO and EU membership.

Diversification of foreign trade is critical. This is evidenced by the experience of both developing and developed countries. Recently, trade relations between Georgia and Russia have been increasing, which is associated with certain risks and dangers.

Georgia's negative foreign trade balance has increased at large and amounted to $ 7.9 billion in 2022. It is essential to gradually reduce the negative trade balance by increasing local exports. The country has quite great export potential, which isn't properly used. The main characteristic of Georgia's foreign trade is low level of export and negative trade balance.

Georgia's export of goods to the CIS countries in 2022 increased by 33% compared to the previous year. Georgia is a potential candidate country for the European Union. Notwithstanding, the share of the European Union in the country's foreign trade is low.

It's important for Georgia to develop and strengthen trade and economic relations with the members of international community. Widening the scale of trade and economic relations with its strategic partner countries is of special importance for Georgia.

Diversification of export is very important for Georgia and consequently, the EU market is one of the main priorities for the country. The Association Agreement signed between Georgia and the European Union will open the EU single market for Georgia. According to 2022 data, the EU accounts for 26% of total trade turnover of Georgia, 22% of export and 28% of total import.

The role and position of Georgia in foreign trade of the EU is very modest. According to the 2022 data, Georgia holds 87th position among the EU importer countries, 62th place among exporter countries and 76^{1h} position in the total trade turnover. In the concluding part of the paper theoretical and practical conclusions and recommendations are made.

Keywords: *foreign trade, foreign economic security, export, economic integration.*

კომუნიკაციის პრობლემები და შესაძლებლობები ქართული ონლაინ მაღაზიების მაგალითზე

რუსუდან ქინქლაძე
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კახაბერ მარქარაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

მოცემულ ნაშრომში განხილულია ციფრულ ეპოქაში ქართული ონლაინ მაღაზიების წინაშე მდგარი კომუნიკაციის პრობლემები, აგრეთვე მათი განვითარებისა და დახვეწის შესაძლებლობები. ხაზგასმულია როგორც კომუნიკაციის მნიშვნელობა ელექტრონული კომერციის სფეროში, აგრეთვე მისი როლი ნდობის ჩამოყალიბებაში. ასევე გამოკვეთილია სანდო ონლაინ მაღაზიების მახასიათებლები და ყველა ის ბარიერი, რომელიც ონლაინ ვაჭრობას ახლავს თან. ყოველივე ზემოთხსენებულის გაანალიზების შედეგად თვალსაჩინო ხდება ქართულ ონლაინ მაღაზიათა არამხოლოდ ძლიერი, არამედ სუსტი მხარეებიც და ისახება მათ წინაშე არსებულ პრობლემათა გადაჭრის ეფექტური ინსტრუმენტები. ნაშრომის მიზანია, წარმოადგინოს სტრატეგიული კომუნიკაციის როლი ონლაინ მაღაზიების წარმატებაში, კონკრეტულად კი ეს კვლევა შეისწავლის სტრატეგიული კომუნიკაციის ელემენტებს და იმას, თუ როგორ შეუძლიათ საქართველოში ონლაინ მაღაზიებს გამოიყენონ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები ნდობის გასამყარებლად და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: *ონლაინ მაღაზია, კომუნიკაციის პრობლემები და შესაძლებლობები.*

ციფრულმა ეპოქამ რევოლუცია მოახდინა სამყაროსთან ურთიერთობის გზაზე, მასთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენდა ელექტრონული კომერციის შექმნა და მისი ჩამოყალიბება. საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, ონლაინ მაღაზიები სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება, რაც მომხმარებელს უქმნის მეტ კომფორტს მიიღონ სასურველი ნივთი თუ სერვისი სახლიდან გაუსვლელად. გარდა ამისა, ონლაინ მაღაზიები გამოირჩევიან პროდუქციის ფართო ასორტიმენტისა და კონკურენტული ფასების შეთავაზებითაც, თუმცა როგორც ნებისმიერი ახალი ტექნოლოგია, ასევე ონლაინ ვაჭრობაც იწვევს უსაფრთხოებისა და ნდობის საკითხების ეჭვქვეშ დაყენებას, საიდან გამომდინარეც ბევრი მომხმარებელი ყოყმანობს ან უარს ამბობს ონლაინ შესყიდვებზე. ამ ბარიერების დასაძლევად და მომხმარებლებთან ნდობის გასამყარებლად, საქართველოში წარმოდგენილმა ონლაინ მაღაზიებმა ეფექტურად უნდა გამოიყენონ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების მთელი რიგი მახასიათებლები. სტრატეგიული კომუნიკაცია აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებსა და ინვესტორებთან ურთიერთობის როგორც დასამყარებლად, აგრეთვე შემდგომ მათ შესანარჩუნებლადაც. საქართველოში ონლაინ კომერციის შესაძლებლობებისა და გამოწვევების გაცნობიერებითა და საკომუნიკაციო საშუალებების ეფექტური გამოყენებით, ონლაინ მაღაზიებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან, ასევე მათი კონკურენტუნარიანობა და პოპულარობა გაზარდონ ბაზარზე.

ციფრულ ეპოქაში ქართული ონლაინ მაღაზიების კომუნიკაციის პრობლემებისა და შესაძლებლობების თემა აქტუალური და მნიშვნელოვანი არის რამდენიმე მიზეზის გამო.

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ ონლაინ საცალო ვაჭრობის სექტორი საქართველოში სწრაფად იზრდება, უფრო და უფრო მეტი მომხმარებელი მიმართავს ონლაინ მაღაზიებს პროდუქციისა და სერვისების შესაძენად. სწორედ ამ ფაქტორიდან გამომდინარე, ბაზარი კონკურენტუნარიანია, შესაბამისად, ონლაინ მაღაზიები საზოგადოების თვალში ნდობის მოსაპოვებლად, ბრენდის რეპუტაციის ჩამოყალიბებლად და დაინტერესებულ მხარეებთან პოზიტიური ურთიერთობების შესანარჩუნებლად მთელ რიგ გამოწვევებს აწყდებიან.

ქართული ონლაინ მაღაზიების წინაშე არსებული საკომუნიკაციო გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესწავლით, ამ კვლევას შეუძლია ხელი შეუწყოს იმ გზების იდენტიფიცირებას, რომლებითაც ონლაინ მაღაზიებს შეუძლიათ განასხვავონ თავი თავიანთი კონკურენტებისგან და დაამყარონ უფრო ძლიერი ურთიერთობები მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან და საზოგადოების ფართო მასებთან.

აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ ციფრული ეპოქა მუდმივად ვითარდება და ონლაინ მაღაზიებს მართებთ ფეხი აუბან ამ ცვლილებებს, რათა მეტად კონკურენტუნარიანები დარჩნენ. ზემოთხსენებული კი, რასაკვირველია, მოითხოვს სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტისა და სტრატეგიის ღრმა გაგებას, რაც კვლევის ფარგლებსა და თეორიულ ნაწილში იქნება წარმოდგენილი. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ შეიძლება ამ ინსტრუმენტების გამოყენება კონკრეტული მიზნების მისაღწევად.

ელექტრონული კომერციის ზრდამ შეცვალა ბიზნესის ურთიერთქმედება მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, თუმცა ამავდროულად შექმნა არამხოლოდ ახალი შესაძლებლობები, აგრეთვე გამოავლინა ახალი საკომუნიკაციო გამოწვევებიც.

ონლაინ ვაჭრობის ზრდასთან ერთად, მომხმარებლებსა და ონლაინ მაღაზიებს შორის ნდობის ჩამოყალიბება ელექტრონული კომერციის წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ნდობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს მომხმარებელთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძინონ თუ არა ონლაინ და ამას ადასტურებს ეროვნული საცალო ვაჭრობის ფედერაციის გამოკითხვაც, რომლის თანახმადაც მომხმარებელთა 69% ამბობს, რომ ონლაინ ვაჭრობისადმი ნდობა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს შესყიდვის გადაწყვეტილების მიღებისას (National Retail Federation, 2021).

მაგალითის სახით შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიულმა კომუნიკაციამ გადამწყვეტი როლი ითამაშა კომპანია Amazon-ის მიერ გლობალური პოპულარობის მოხვეჭასა და საცალო ვაჭრობის წარმატებაში, კარგად და ზედმიწევნით დაგეგმილმა კომუნიკაციამ შეძლო და ჩამოაყალიბა ძლიერი ურთიერთობები მომხმარებლებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის პოტენციურ კლიენტებთან, თანამშრომლებთან და ინვესტორებთან. 2020 წელს ამაზონმა აამოქმედა ეფექტური კრიზისული კომუნიკაციის სტრატეგია COVID-19 პანდემიის გამოწვევის ფონზე, კომპანიამ დაუყოვნებლივ აცნობა უსაფრთხოების ზომების შესახებ თითოეულ თანამშრომელს თუ მომხმარებლებს საკომუნიკაციო არხების, კერძოდ, პრესრელიზის, სოციალური მედიისა და ელექტრონული ფოსტის საინფორმაციო ბიულეტინის მეშვეობით. აღნიშნული ღია, გამჭვირვალე და გულწრფელი მიდგომა არამხოლოდ დაეხმარა საზოგადოებას იმ შეშფოთების გადალახვაში, რასაც პანდემია იწვევდა მოსახლეობაში, არამედ გააძლიერა Amazon-ის რეპუტაცია და მომხმარებელთა ლოიალობა (Mourdoukoutas, 2020).

გამოკითხვა, რომელიც ჩატარდა ონლაინ მაღაზიების წარმომადგენლებთან, იძლევა ღირებულ ინფორმაციას მათი კომუნიკაციის სტრატეგიების, გამოწვევებისა და შესაძლებლობების თა-

ობაზე. სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით ძირითადი დასკვნები გამოიკვეთა მომხმარებელთა უკმაყოფილების ფაქტორებთან, მომხმარებელთა გამოხმაურების როლთან, სამომავლო კომუნიკაციის სტრატეგიებთან, არხების თანმიმდევრულობასთან, გაუმჯობესების გეგმებთან, ეფექტურობის შეფასებასა და ციფრულ ეპოქაში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

ერთ-ერთ თვალსაჩინო აღმოჩენას წარმოადგენდა მომხმარებელთა უკმაყოფილების საერთო წყაროების იდენტიფიცირება, მათ შორის, დაგვიანებული მიწოდება, აგრეთვე შეუსაბამობები მიღებულ ნივთებსა და მოლოდინებს შორის.

ასევე გამოიკვეთა, რომ სწორად მომხმარებელთა გამოხმაურება არის ონლაინ მაღაზიების განვითარების განმაპირობებელი, მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამავდროულად მკაფიო გახდა რამდენად ღირებულია ლოიალობის პროგრამების განხორციელება, ნეგატიური გამოხმაურებისას კომპენსაციის ღონისძიებების გატარება მომხმარებელთა პრობლემების გადასაჭრელად და პოზიტიური ურთიერთობების შენარჩუნებისთვის.

გარდა ამისა, ინტერვიუმ ნათელი მოჰფინა კომუნიკაციის სტრატეგიების განვითარებასაც. როგორც გამოირკვა, ონლაინ მაღაზიები იყენებენ ინტეგრირებულ მარკეტინგულ კამპანიებს, რომლებიც მოიცავს როგორც ოფლაინ, ასევე ონლაინ რეკლამას. მათი მიზანია ბაზრის ტენდენციებზე წინ დარჩენა და საკომუნიკაციო მიდგომების მორგება სამიზნე აუდიტორიის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

საუბრისას აღინიშნა, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიების გასაუმჯობესებლად გამოიყენება ავტომატიზაცია და ანალიტიკა. აშკარაა, რომ ონლაინ მაღაზიები აღიარებენ პროცესების ავტომატიზაციის მნიშვნელობას, ვინაიდან აღნიშნულის მეშვეობით შესაძლებელია მომხმარებლის ქცევისა და პრეფერენციების შესახებ ინფორმაციის მიღება, ხოლო მონაცემებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტრატეგიების დახვეწასა და ონლაინ სავაჭრო გამოცდილების გაძლიერებაში.

საკომუნიკაციო სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება მჭიდროდ არის დაკავშირებული ბაზარზე პოზიციონირებასთან და გაყიდვების ეფექტურობასთან. წარმატებული საკომუნიკაციო ძალისხმევა აისახება მაღაზიის საბაზრო მდგომარეობასა და მთლიან ბრუნვაზე. აღნიშნული ფაქტორი ონლაინ მაღაზიების განვითარებისთვის უწყვეტი შეფასების მაღალ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

საბოლოო ჯამში, ონლაინ მაღაზიის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ციფრულ ეპოქაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა მოწინავე ანალიტიკისა და ავტომატიზაციის განხორციელება. შესაბამისად, ონლაინ მაღაზიები მომხმარებლის ქცევის გაანალიზებას და პერსონალიზებული გამოცდილების შეთავაზებას ცდილობენ მათ წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად და მომხმარებელთათვის დამაკმაყოფილებელი ონლაინ სავაჭრო მოგზაურობის უზრუნველსაყოფად.

რაოდენობრივი გამოკითხვა მიუთითებს, რომ მიუხედავად უკმაყოფილების შემთხვევებისა, მომხმარებლები აგრძელებენ შესყიდვების პერმანენტულად განხორციელებას ქართული ონლაინ მაღაზიებიდან, რაც მეტყველებს ამ უკანასკნელთა პოტენციალსა და მნიშვნელობაზე ციფრულ ლანდშაფტში. თუმცა, იმისათვის, რომ განვითარდნენ და განსხვავდებოდნენ, ონლაინ მაღაზიებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ მომხმარებელთა ნდობის მოპოვებას და შენარჩუნებას. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით, კერძოდ: პროდუქტის მკაფიო და ზუსტი აღწერილობის მიწოდება, გამჭვირვალე დაბრუნებისა და გაცვლის პოლიტიკის განხორციელება, მომხმარებელთათვის სწრაფი და თავაზიანი სერვისის შეთავაზება, აგრეთვე მათ ვებგვერდებზე მომხმარებელთა ავთენტური მიმოხილვების ჩართვა.

ამავდროულად აშკარა გახდა ისიც, რომ მიწოდების ზუსტი დროის უზრუნველყოფა და ხარისხის კონტროლის მკაცრი ზომების დაცვა მომხმარებელთა იმედგაცრუების თავიდან ასაცილებ-

ლად აუცილებელ კომპონენტებს წარმოადგენს. ეფექტური და გამჭვირვალე კომუნიკაცია კი, ნებისმიერი პრობლემის მარჯვედ გადაჭრასა და წარმოშობილი ზიანის სათანადო კომპენსაციასთან ერთად, გადამწყვეტია მომხმარებლის საერთო გამოცდილების გასაუმჯობესებლად. ამრიგად, ონლაინ მაღაზიებმა აქტიურად უნდა მოუსმინონ თავიანთ მომხმარებლებს, დაუყოვნებლივ მოაგვარონ მათი პრობლემები და მოარგონ თავიანთი სერვისები კლიენტთა საჭიროებებს.

გარდა ამისა, ქართული ონლაინ მაღაზიების გამოცდილ მომხმარებლებთან სიღრმისეული ინტერვიუების მიხედვით, რესპონდენტთა მიერ ხაზგასმული პრობლემები ძირითადად ელექტრონული კომერციის სუბიექტების ლოიალობის, სანდოობისა და გამჭვირვალობის განვითარების აუცილებლობას ეხება. ყოველივე ზემოთხსენებულის გათვალისწინებით, იკვეთება, რომ მომხმარებელთა გამოხმაურების პასუხისმგებლობითა და თავაზიანად განხილვა, პრობლემების პროაქტიული გადაწყვეტა და მათი სერვისების მუდმივი გაუმჯობესება გადამწყვეტი ნაბიჯია მომხმარებელთა ნდობის აღსადგენად და გასაძლიერებლად.

დასასრულს, ქართული ონლაინ მაღაზიების მომავალი წარმატება მდგომარეობს მომხმარებელთა კმაყოფილების პრიორიტეტიზაციასა და თითოეულ დაინტერესებულ მხარესთან სანდო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. საკომუნიკაციო გამოწვევების მოგვარება, მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგიების დანერგვა და განვითარებადი ტექნოლოგიების გამოყენება ონლაინ კომერციის სუბიექტებს დაეხმარება ციფრულ ლანდშაფტში წარმატებული ნავიგაციის განხორციელებაში. მუდმივი გაუმჯობესება, მათ შორის ლოგისტიკის გაძლიერება, პერსონალიზაცია და მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული ინფორმაციის გამოყენება კი ქართულ ონლაინ მაღაზიებს ბაზარზე თავიანთი პოზიციის გაძლიერებისა და ციფრულ ეპოქაში განვითარების შესაძლებლობას მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abzianidze, T. (2023, January). E-commerce, Digital Transformation and the Environment, in the Context of Covid-19. In *Digital Management in Covid-19 Pandemic and Post-Pandemic Times: Proceedings of the International Scientific-Practical Conference (ISPC 2021)* (pp. 87-93). Cham: Springer International Publishing.
2. Al-Debei, M. M., Akroush, M. N., & Ashouri, M. I. (2015). Consumer attitudes towards online shopping: The effects of trust, perceived benefits, and perceived web quality. *Internet Research*.
3. Aral, S., & Walker, D. (2014). Tie strength, embeddedness, and social influence: A large-scale networked experiment. *Management Science*, *60*(6), 1352-1370.
4. A SEM-NCA approach towards social networks marketing: Evaluating consumers' sustainable purchase behavior with the moderating role of eco-friendly attitude.
5. National Retail Federation 2021. Aligning tech investments with consumer expectation. ***NRF 2021*** – Chapter 1: Mobile applications, payments and the in-store experience are among high priorities.

Communication Problems and Possibilities on the example of Georgian Online Stores

Rusudan Kinkladze
Associate Professor
Technical University University
Kakhaber Markarashvili
Master of Business Administration

SUMMARY

This paper discusses the communication problems faced by Georgian online stores in the digital era, as well as the opportunities for their development and improvement. Both the importance of communication in the field of e-commerce and its role in building trust are emphasized. The characteristics of reliable online stores and all the barriers associated with online shopping are also highlighted. As a result of the analysis of all the above, not only the strengths, but also the weaknesses of Georgian online stores become visible, and effective tools for solving the problems faced by them become visible. The purpose of the paper is to present the role of strategic communication in the success of online stores, specifically this study will examine the elements of strategic communication and how online stores in Georgia can use different communication tools to build trust and improve relationships with stakeholders.

საპენსიო ფონდების ინვესტირების საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს გამოწვევები

მაკა ღანიაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, მოწვეული ლექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა შენატანებზე დაფუძნებული სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემა. 5 წლის განმავლობაში საპენსიო სააგენტო საპენსიო ფონდების ინვესტირება მხოლოდ დაბალრისკიან პორტფელში ახორციელებდა. 2023 წლის აგვისტოდან საინვესტიციო საბჭოს უკვე აქვს უფლება დაგროვილი საპენსიო აქტივების ინვესტირება მოახდინოს როგორც დაბალრისკიან, ასევე საშუალო და მაღალრისკიან აქტივებში, მათ შორის გლობალურ ბაზრებზე. რამდენად იქნება საპენსიო სისტემის რეფორმა წარმატებული, დიდწილად საინვესტიციო აქტივობებზეა დამოკიდებული. საპენსიო აქტივების მართვისას დაშვებული შეცდომების გადასახადის გადამხდელების ფულით დაკომპენსირების საშუალება ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებნით, საქართველოს არ ექნება, რადგან დაგროვებითი სისტემის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ გადასახადის გადამხდელები მოსახლეობაში პენსიონერთა წილისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდის პირობებში, ველარ უმკლავდებიან პენსიონერთათვის ღირეული სიბერის უზრუნველსაყოფად საჭირო საპენსიო ანარიცხების გაცემას. ქვემოთ მოცემული სტატიის მიზანია, დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედებიდან 5 წლის თავზე შევაფასოთ თუ რა მდგომარეობაა საინვესტიციო მიმართულებით, გავავლოთ პარალელები სხვა ქვეყნების გამოცდილებასთან და განვსაზღვროთ ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას დღეს საქართველოს საპენსიო სისტემა. სტატიაში განხილულია დაგროვებითი საპენსიო ფონდების საინვესტიციო აქტივობები, გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: *საპენსიო ფონდი; ინვესტიციები; აქტივების დივერსიფიკაცია*

მსოფლიო პრაქტიკას რომ გადავხედოთ, ხშირად საპენსიო ფონდების წარუმატებელ გამოცდილებებს შევხვდებით, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში. საპენსიო სისტემის ყველაზე წარმატებული ქვეყნების ათეულს ისეთი ქვეყნები შეადგენენ, როგორიცაა ნორვეგია, შვეიცარია, ისლანდია, ირლანდია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, დანია და ჩეხეთის რესპუბლიკა.[1] ამ ქვეყნებში სხვა ქვეყნებთან შედარებით უზრუნველ სიბერეს საპენსიო სისტემების მდგრადობასთან ერთად განაპირობებს მათი ეკონომიკური სიჯანსაღე და სიმდიდრე. საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და არ აქვს „უფლება“, დაგროვებითი საპენსიო სისტემის დაწყებული რეფორმა არ შედგეს. ამასთანავე, საქართველოს არც იმის ფუფუნება აქვს მხოლოდ სოციალური პენსიის იმედზე იყვნენ პენსიონერები, რადგან სოციალური განაცემების წნეხი ბიუჯეტზე წლიდან წლამდე იზრდება, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ვერც პენსიონერთა ღირსეულ სიბერეს უზრუნველყოფს. შესაბამისად, დღეს საქართველო არის გამოწვევის წინაშე - ერთი მხრივ, გადაუდებელი საჭიროების გამო სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემის ამოქმედება და, მეორე მხრივ, ამ სქემის წარმატება-წარუმატებლობა და ის

[1] 2022 Global Retirement Index | Natixis Investment Managers

რისკები, რომელიც რეფომას გრძელვადიან პერიოდში ახლავს თან. რამდენად ეფექტიანი იქნება ფონდის საინვესტიციო საქმიანობა ამაზე ბევრია დამოკიდებული.

საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პორტფელებს შორის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება საერთაშორისო აქციების შესყიდვის პროცენტული მაჩვენებელია და რისკებიც სწორედ აქედან გამომდინარეობს, რადგან აქციების ღირებულება საფონდო ბირჟებზე ხშირად მერყეობს. ფულის აქციებში ჩადებისას მოგება უფრო გრძელვადიან პერიოდშია მოსალოდნელი და, შესაბამისად, ამ პაკეტს უპირატესად ირჩევენ ისინი, ვისაც პენსიაში გასვლამდე დიდი დრო აქვთ დარჩენილი. საქართველოში მოქმედი რეგულაციების თანახმად, უცხოური აქციების წილი მაღალრისკიან პორტფელში - 40-დან 60%-მდეა დასაშვები, საშუალორისკიანში - 20-დან 40%-მდე, დაბალრისკიანში კი - 20%-მდე. საინვესტიციო საბჭოს 2023 წელს განახლებული სტრატეგიის მიხედვით, ეს მაჩვენებლები, შესაბამისად - 55%, 35% და 20%-ით განისაზღვრა. კონსერვატიული (ნაკლებადრისკიანი) საინვესტიციო ფონდის მიზნობრივ პორტფელად განისაზღვრა პორტფელი, რომლის დაახლოებით 20% განთავსებულია საერთაშორისო აქციებში, ხოლო 80% საქართველოში, ფულად სახსრებსა და ობლიგაციებში. დაბალანსებული (საშუალორისკიანი) საინვესტიციო ფონდის მიზნობრივ პორტფელად განისაზღვრა პორტფელი, რომლის დაახლოებით 35% განთავსებულია საერთაშორისო აქციებში, ხოლო 65% საქართველოში, ფულად სახსრებსა და ობლიგაციებში. დინამიური (მაღალრისკიანი) საინვესტიციო ფონდის მიზნობრივ პორტფელად განისაზღვრა პორტფელი, რომლის დაახლოებით 55% განთავსებულია საერთაშორისო აქციებში, ხოლო 45% საქართველოში, ფულად სახსრებსა და ობლიგაციებში.

კანონით დადგენილი 30-დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, იმ ბენეფიციართა აქტივები, რომლებმაც საკუთარი სურვილით არ აირჩიეს საინვესტიციო პორტფელის რისკიანობა, 2023 წლის 7 სექტემბრიდან ავტომატურად გადანაწილდა შემდეგი პრინციპით: 40 წლამდე ასაკის მონაწილის საპენსიო აქტივები და მომავალი საპენსიო შენატანები განთავსდა მაღალრისკიან საინვესტიციო პორტფელში; 40-დან 50 წლამდე ასაკის მქონე მონაწილის - საშუალორისკიან საინვესტიციო პორტფელში; 50 წელი ან 50-ზე მეტი წლის მონაწილის - ნაკლებრისკიან საინვესტიციო პორტფელში. თუმცა, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტმა 2023 წლის სექტემბრის დასაწყისში „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მსჯელობა დაიწყო. კანონპროექტის მიხედვით, საპენსიო დანაზოგის ყველა ბენეფიციარი დაბალრისკიან პორტფელში 2028 წლის იანვრამდე ავტომატურად დარჩება. საპენსიო დანაზოგის ბენეფიციარებისთვის კი პორტფელების არჩევის ვადა გახანგრძლივდება. რამდენად გამართლებულია კონსერვატიული პოლიტიკის კიდევ 5 წლით გადავადება და რას მოუტანს ეს საქართველოს საპენსიო სისტემას?

ლიტერატურის მიმოხილვა

ბუნებრივია, რომ უცხოურ ბაზრებზე განთავსებულ პორტფელურ ინვესტიციებზე გავლენას ახდენს ორივე ქვეყნის ბაზრის განვითარების დონე, როგორც იმ ქვეყნის რომლის საპენსიო ფონდების ინვესტირებაც ხდება, ასევე იმ ქვეყნის, სადაც ხდება პორტფელის ინვესტირება. საინვესტიციო შესაძლებლობებზე გავლენას ახდენს ორმხრივი სავაჭრო ნაკადები და როგორც კლტურული, ასევე გეოგრაფიული მსგავსება და განსხვავებები (Chan et al, 2005). საპენსიო ფონდების ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად მათზე დაწესებულია შეზღუდვები საკანონმდებლო ნორმებით, რაც გავლენას ახდენს მათ ოპერირებაზე საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე (Morales et al., 2017).

გლობალურ ბაზრებზე რაოდენობრივი შეზღუდვები გამოიყენება საერთაშორისო ინვესტიციების მოცულობის შესაზღუდად იმ იდეით, რომ შიდა აქტივები, აღიქმება ნაკლებად სარისკოდ,

რამაც უკეთ უნდა დაიცვას მონაწილეების პენსიები. ერთი-ერთი ყველაზე პოპულარული არგუმენტი საპენსიო ფონდების შიდა ინვესტირების სასარგებლოდ ისაა, რომ საპენსიო დანაზოგების ინვესტირებამ შიდა ბაზრებზე ხელი უნდა შეუწყოს კაპიტალის ადგილობრივი ბაზრის განვითარებას. თუმცა ეს არგუმენტი გამართლებულია მაშინ, თუ შიდა ბაზარი იმ დონზეა განვითარებული, რომ საპენსიო ფონდების აქ კონცენტრაციამ და ინვესტირებამ ხელი არ შეუშალოს პენსიონერთა საუკეთესო ინტერესების დაცვას. საპენსიო სააგენტოს მთავარი ამოცანა საპენსიო დანაზოგების მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული მართვაა, პირველ რიგში ბენეფიციარების დანაზოგების ინფლაციისგან დაცვა და არა კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარება და საპენსიო დანაზოგების მაქსიმალურ ზრდაზე ორიენტირებული საინვესტიციო პოლიტიკა შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნები იყოს. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალის შიდა ბაზრის განვითარების ხელშეწყობა შეიძლება იყოს კარგი განზრახვა, ის გულისხმობს პენსიონერების კეთილდღეობის დაქვემდებარებას შიდა ბაზრების განვითარების მიზნის სასარგებლოდ იმ სიტუაციაში, როდესაც ეს ორი მიზანი ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისეთ განვითარებად ქვეყნებში, სადაც ფინანსური სექტორი ნაკლებ განვითარებული და ძალიან მცირეა, ადგილობრივმა ბაზარმა შეიძლება ვერ უზრუნველყოს საპენსიო ფონდები ფინანსური აქტივების იმ რაოდენობით, რომელიც საჭიროა სწრაფად მზარდი საპენსიო ფონდებისთვის (Chan-Lau, 2005). შიდა ბაზრის სიმცირე აქტუალური საკითხია საქართველოს შემთხვევაშიც. საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის მიხედვით[1], 2025 წელს საპენსიო ფონდების აქტივების ჯამური ღირებულების 6.55 მლრდ. ლარამდე გაზრდა იგეგმება, რაც 2021 წელთან შედარებით 3.25-ჯერ ზრდას გულისხმობს. 2028 წელს იგივე მაჩვენებელი 12.1 მლრდ. ლარს მიაღწევს, რაც 2021 წლის მაჩვენებლის 6.02-ჯერ მეტია. ამიტომ, საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო მიზნებისთვის აქტუალური არის საკითხი თუ რამდენად შეძლებს, საერთაშორისო ინვესტიციებზე დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, კაპიტალის შიდა ბაზარი ფონდის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნების საპენსიო ფონდების მოცულობა აღემატება შიდა ფინანსური ბაზრების მოცულობას, ამან შეიძლება გამოიწვიოს აქტივების ფასების „დამახინჯება“, რადგან საპენსიო პორტფელში დასაშვები შიდა ფასიანი ქაღალდების მაღალი ზღვრული ნორმის გამო, ამ ფასიან ქაღალდებზე ჩნდება დიდი მოთხოვნა (Pedraza & Pulga, 2019). საკუთრების კონცენტრაცია ასევე ასოცირდება მეორად ბაზრებზე დაბალ სავაჭრო აქტივობასთან, რაც კვლავ ფასების არასწორ ფორმირებაზე ახდენს გავლენას (Leaño & Pedraza, 2018; Pedraza, 2019).

ვინაიდან სავალუტო რისკის ჰეჯირება ძვირია, მნიშვნელოვანი ხდება სავალუტო ვალდებულებების დენომინაცია. ასეთ შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში, საშინაო ვალუტაში არსებული ვალდებულებები ხდება საპენსიო დანაზოგების შიდა ინვესტირების მომხრეების არგუმენტი. მეორე მხრივ, საერთაშორისო ინვესტიციების დაშვების სურვილის კიდევ ერთი მიზეზი არის ვალუტის კურსის არასტაბილურობის თავიდან აცილება საინვესტიციო პორტფელში (Thomas et al., 2014). ინფლაციისა და ეროვნული ვალუტის მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხი საქართველოსთვისაც გამოწვევაა, ვინაიდან ორნიშნა რიცხვთან მიახლოებული ინფლაციის შემთხვევაში საპენსიო დანაზოგი დაკარგავს ეფექტურობას (ბერიძე ლ., აბუსელიძე გ., 2021). გარდა ამისა, აქციების შიდა ბაზარი ძალიან კონცენტრირებულია და საერთაშორისო ინვესტიციები მეტი დივერსიფიკაციის საშუალებას აძლევს საპენსიო ფონდებს, რაც გრძელვადიან პერიოდში ხშირად აბალანსებს მოკლევადიან სავალუტო რისკებს (Cetorelli et al., 2007).

[1] https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/kapitalisbazris_strategia/2023/cmds_sakartvelos_kapitalis_-bazrebis_ganvitarebis_strategia_2023_2028.pdf

საშინაო და საგარეო აქტივებს შორის რისკის დივერსიფიკაციამ, განსაკუთრებით შიდა და უცხოურ სახელმწიფო ობლიგაციებს შორის, შეიძლება მნიშვნელოვნი გავლენა მოახდინოს პორტფელის განაწილებაზე. მაგალითად, მაშინ როცა ფიქსირებული განაკვეთის მქონე სუვერენული ობლიგაციები ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთებისა და დეფოლტის რისკს, შიდა საპენსიო ფონდისთვის ეს რისკი შეიძლება საერთაშორისო ბაზრებზე ინვესტირებით იყოს დაბალანსებული. პორტფელის შერჩევის თეორიამ (portfolio selection theory) აჩვენა, რომ საინვესტიციო პორტფელის რისკი შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს საერთაშორისო აქციებში ინვესტირებით (Solnik, 1995) და რომ გლობალური პორტფელი უზრუნველყოფს რისკ-ანაზღაურების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას (Michaud et al. 1996; Laster 1998; Clarke and Tullis 1999; Grinblatt and Keloharju 2001).

საერთაშორისო დივერსიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს ბოლო ათწლეულის სტატისტიკა. თუ 2002 წელს საერთაშორისო აქტივები საპენსიო ფონდების მთლიანი მოცულობის 16%-ს შეადგენდა, 2019 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი 36%-მდე[1] გაიზარდა. თუმცა ზრდა არათანაბარი იყო გლობალური მასშტაბით - ბევრ ქვეყანაში საპენსიო ფონდები მცირედ ან საერთოდ არ ცვლიდნენ პორტფელის ბალანსს. მთლიანობაში, მარეგულირებელი ნორმებით დაწესებული შეზღუდვების გამო, საერთაშორისო დივერსიფიკაციის ნაკლებობა ბევრ საპენსიო ფონდს იმაზე ნაკლებ ამონაგებს აძლევს ვიდრე მათი პოტენციალი ამის საშუალებას იძლევა. ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ადეკვატური საპენსიო უზრუნველყოფის კრიზისია. ამ დილემის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იქნება ფონდებმა უკეთ გაითვალისწინონ საერთაშორისო დივერსიფიკაციის უპირატესობები და მარეგულირებლებმა გადახედონ შეზღუდვებს, რომლებიც აწესებს გლობალურ ბაზრებზე საინვესტიციო ზღვრებს (Afanador, Davis and Pedraza, 2021).

კორონა ვირუსით გამოწვეულმა ეკონომიკურმა შოკებმა წინა პლანზე წამოწია საერთაშორისო დივერსიფიკაციის მნიშვნელობა ლიკვიდურობის საჭიროებიდან გამომდინარეც. მაგალითად, საპენსიო ფონდები ჩილეში, კოლუმბიაში და პერუში არაპროპორციულად ყიდდნენ უცხოურ ფასიან ქაღალდებს, რათა დაეკმაყოფილებინათ საპენსიო ფონდების განაღდების მზარდი მოთხოვნა კრიზისის დასაწყისში. ლიკვიდობაზე ასეთი ხელმისაწვდომობა რთული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო ფონდების საინვესტიციო კალათები დიდწილად კონცენტრირებული იქნებოდა მხოლოდ შიდა ბაზრებზე.

საინვესტიციო საქმიანობის უცხოური გამოცდილება და საქართველოს რეალობა

საპენსიო აქტივები გლობალური ფინანსური ბაზრების ძალიან დიდი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანმა საპენსიო აქტივებმა 2019 წლის ბოლოს მიაღწია 48.1 ტრილიონ აშშ დოლარს, ზრდა არ იყო მუდმივი სხვადასხვა პერიოდისათვის. მაშინ, როცა საპენსიო შენატანებმა პიკს მიაღწია 2005 წელს, ისინი შემცირდა 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ. საპენსიო აქტივებმა განიცადეს შემცირება გლობალურ მშპ-სთან მიმართებით 2008-2011 წლებში. 2012 წლის შემდეგ, გლობალური საპენსიო აქტივები განიცდიდა ზომიერ ზრდას და მშპს-ს 25%-დან 30%-მდე გაიზრდა 2019 წლის ბოლოსთვის. მორიგი ჩავარდნა COVID-19-ით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს მოჰყვა. 2022 წელს გლობალური საპენსი აქტივები 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ ყველაზე დიდი მასშტაბით შემცირდა. საპენსიო აქტივები 2023 წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 47.9 ტრილიონ აშშ დოლარს, რაც 1 წლის განმავლობაში 16.7%-იანი კლე-

[1] Annual Survey of Investment Regulations of Pension Funds and Other Pension Providers (OECD) 2022

ბაა. ეს გამოწვეული იყო როგორც ფიქსირებული შემოსავლის, ისე კაპიტალის ბაზრების კორექტირებით[1].

2023 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სქემის მთლიანი საპენსიო აქტივების ღირებულება 3.93 მილიარდი ლარი იყო. ამ პერიოდისათვის წმინდა ამონაგებმა 693 მილიონი ლარი შეადგენა. საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობა კი 1 მილიონ 448 ათასი ადამიანით განისაზღვრა.

გრაფიკი 1.

საქართველოს დაგროვებითი საპენსიო ფონდის მოცულობა (მლნ. ლარი)



წყარო: სქართველოს საპენსიო სააგენტო[2]

საპენსიო სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2023 წლის სექტემბრის ბოლოსთვის დინამიური ფონდის მოცულობა შეადგენდა 2.873 მლნ ლარს, 908.800 მონაწლით. დინამიური პორტფელის სექტემბრის თვის ამონაგებმა 0.2% შეადგინა. დაბალანსებული პორტფელის მოცულობა შეადგენდა 600 მლნ ლარს 201.900 მონაწილით, სექტემბერში ამონაგებმა 0.26% შეადგინა. ამავე პერიოდისათვის კონსერვატიული პორტფელის მოცულობა 461 მლნ ლარით განისაზღვრა, მასში 167.900 ადამიანია ჩართული. პორტფელის სექტემბრის ამონაგებმა 0.43% შეადგინა.

[1] https://www.thinkingaheadinstitute.org/research-papers/global-pension-assets-study-2023/

[2] ყველა წლისთვის მოცემულია წლის ბოლოს არსებული მაჩვენებელი, 2023 წლის შემთხვევაში მოცემულია მონაცემები ოქტომბრის თვის მდგომარეობით

გრაფიკი 2.

საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო
პორტფელების განაწილება რისკიანობის მიხედვით
(2023 წ. 30 სექტემბერი, მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს საპენსიო სააგენტო

საქართველოს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭო ფულს დებს სხვადასხვა ფონდებში. ამ ეტაპზე თანხები ნაწილდება 4 საინვესტიციო ფონდში ამერიკის, ლათინური ამერიკის, განვითარებული ევროპისა და განვითარებული აზიის მიმართულებებით. შერჩეულ ფონდებს შორისაა: SPDR S&P500 ETF (უმსხვილესი ამერიკული კომპანიები) Vanguard FTSE Europe ETF (უმსხვილესი ევროპული კომპანიები) Vanguard FTSE Pacific ETF (უმსხვილესი აზიური კომპანიები) iShares MSCI Emerging Markets ETF (განვითარებად ბაზრებზე წარმოდგენილი კომპანიები). საერთო ჯამში, ზემოხსენებული 4 ფონდი 4 000-მდე საერთაშორისო კომპანიას აერთიანებს, მათი პროპორცია კი საბაზრო კაპიტალიზაციის მიხედვითაა გადანაწილებული.

იმისათვის რომ საქართველოს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა უკეთ შევაფასოთ, გავავლოთ პარალელები იმ ქვეყნების გამოცდილებასთან, რომელთაც უკვე ათწლეულზე მეტია აქვთ დაგროვებითი საპენსიო სქემის ფონდების მართვის გამოცდილება. OECD-ის 2022 წლის კვლევის მიხედვით[1], ქვეყნების უმეტესობას აქვს რაოდენობრივი საინვესტიციო ლიმიტები, რომლიც სავალდებულოა საპენსიო ფონდების საინვესტიციო პროცესისთვის. ეს ლიმიტები, როგორც წესი, გამოიხატება სხვადასხვა აქტივში (როგორიცაა აქციები, უძრავი ქონება, ობლიგაციები, საცალო საინვესტიციო ფონდები, კერძო საინვესტიციო ფონდები, სესხები და საბანკო დეპოზიტები) ინვესტირების მაქსიმალური ზღვრების დაწესებაში. ქვეყნები, რომელიც არ აწესებენ რაიმე სახის ჭერს ამა თუ იმ აქტივში ინვესტირებასთან დაკავშირებით, არიან მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე იურისდიქციები, მაგალითად, ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო და შეერთებული შტატები. თუმცა საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანი პირობაა ყველა ქვეყანაში.

რისკების მაღალი დონიდან გამომდინარე, მკაცრად რეგულირდება ინვესტიციები აქციებში. კვლევის წევრ OECD-ის 22 და 40 არაწევრ იურისდიქციაში დაწესებულია აქციების ბაზარზე ინვეს-

[1] Annual Survey of Investment Regulation of Pension Funds and Other Pension Providers – 2022 edition. კვლევა მოიცავს OECD-ის 22 ქვეყანასა და დამატებით 40 ქვეყანას, რომლებიც, ძირითადად, არიან International Organisation of Pension Supervisions (IOPS)-ის წევრი ქვეყნები. კვლევაში განხილულია საქართველოს მაგალითიც

ტირების ზედა ზღვარი. ზოგიერთ ქვეყანაში ეს რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულ საპენსიო გეგმებზე, როგორც ესაა მაგალითად გერმანიასა და კორეაში. საინვესტიციო ლიმიტები, როგორც წესი, ნაკლებად მკაცრია ლისტინგში მყოფ აქციებზე, ვიდრე არასალისტინგო აქციებზე. მაგალითად, ფინეთში არსებობს 10%-იანი ლიმიტი აქციებზე, რომლებიც ლისტინგის წევრი არ არიან, მაგრამ 70%-იანი ლიმიტია ლისტინგში მყოფი აქციებისთვის. აქტივების წილი, რომლის ინვესტიცია საპენსიო ფონდებს შეუძლიათ აქციებში, ყველაზე დაბალია კონსერვატიულ ფონდებში (მაგალითად 5%-იანი ლიმიტი ჩილეში). ბევრ ქვეყანაში აქციებში ინვესტიციების ლიმიტები უფრო მაღალია საპენსიო ფონდების შედარებით ახალგაზრდა წევრების პორტფელისთვის. ისევე როგორეც ეს არის საქართველოში, როცა რისკიანობის გადანაწილება საწყის ეტაპზე ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით მოხდა. თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში“ დაგეგმილი ცვლილებების მიღების შემდეგ ეს სურათი კიდევ მინიმუმ 5 წლით შეიძლება შეიცვალოს.

რაც შეეხება ობლიგაციების ბაზარზე ინვესტირების პრაქტიკას - მარეგულირებელი ლიმიტები ნაკლებად მკაცრია სახელმწიფო ობლიგაციებისთვის, სხვა ტიპის ობლიგაციებთან შედარებით. მაგალითად, საბერძნეთში, საპენსიო ფონდებს არ შეუძლიათ თავიანთი აქტივების 70%-ზე მეტის ინვესტირება კორპორაციულ ობლიგაციებში, მაგრამ არ აქვთ არანაირი ზღვარი სახელმწიფო ობლიგაციებზე. ანალოგიურად, უნგრეთში არ არის შეზღუდული ინვესტიციები სახელმწიფო ობლიგაციებში, მაგრამ არსებობს 10%-იანი ლიმიტი კორპორაციული ობლიგაციებისთვის და 25%-იანი ზღვარი იპოთეკური ობლიგაციებისთვის.

ზოგიერთი ქვეყანა სრულიად კრძალავს ინვესტიციებს უძრავ ქონებაში, კერძო საინვესტიციო ფონდებში ან სესხებში. პირდაპირი ინვესტიცია უძრავ ქონებაში დაუშვებელია კოლუმბიაში, კოსტა რიკაში, ჩეხეთში, ირლანდიაში, იტალიაში, იაპონიაში, ლიტვაში, მექსიკაში, პოლონეთში, პორტუგალიაში, თურქეთში, ალბანეთში, სომხეთში, ხორვატიაში, ჰონკონგში (ჩინეთი), ინდოეთში, ყაზახეთში, კოსოვოში, მალდივებზე, ნიგერიაში, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკაში, პაკისტანში, პერუში, რუმინეთში, რუსეთში, ტაილანდსა და ურუგვაიში. თუმცა, ჩამოთვლილი იურისდიქციების უმეტესობაში აკრძალულია მხოლოდ პირდაპირი ინვესტიციები და შეიძლება დაშვებული იყოს, მაგალითად, უძრავ ქონებაში ინვესტიციები უძრავ ქონებაში ობლიგაციებისა და აქციების, ან უძრავი ქონების საინვესტიციო ტრესტების მეშვეობით.

ასევე განსხვავებული ვითარებაა ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით, მაშინ როცა საქმე ეხება საზღვარგარეთ ინვესტირებისთვის ზღვარის დაწესების პრაქტიკას. ზოგიერთი ქვეყანა საზღვარგარეთ ინვესტიციებს უშვებს მხოლოდ შერჩეულ გეოგრაფიულ ზონებში, როგორიცაა OECD ქვეყნები, ევროკავშირის რეგულირებადი ბაზრები ან ევროპის ეკონომიკური ზონა (EEA). ფინეთს, ისლანდიას, ისრაელს, მექსიკას და სლოვაკეთის რესპუბლიკას აქვთ ჩამონათვალი ე.წ. „ნებადართული“ ქვეყნების, სადაც საპენსიო ფონდებს ინვესტირების უფლება აქვთ. უცხოურ ბაზრებზე ინვესტირების შეზღუდვის ორი ძირითადი ტიპი არსებობს - კონკრეტული შეზღუდვები აქტივების კლასის ტიპის მიხედვით და შეზღუდვები უცხოური აქტივების საერთო წილზე. მაგალითად, არ არსებობს ლიმიტი აქტივების პროპორციაში, რომლის ინვესტირებაც სომხურ საპენსიო ფონდს შეუძლია საზღვარგარეთ. თუმცა, სომხეთში საპენსიო ფონდებს არ შეუძლიათ თავიანთი აქტივების 40%-ზე მეტის ინვესტირება უცხოური მთავრობების ან უცხოური ცენტრალური ბანკების მიერ გამოშვებულ ან გარანტირებულ ფასიან ქაღალდებში.

მიუხედავად იმისა, რომ OECD-ის ბევრი ქვეყანა, მათ შორის ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, ირლანდია, იაპონია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ნორვეგია, გაერთიანებული სამეფო და აშშ, არ აწესებენ რაიმე სახის ლიმიტებს რომელიმე ერთი ემიტენტის ფასიან ქაღალ-

დებში ინვესტიციების განთავსებაზე, არსებობს მოთხოვნა პორტფელების დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით. იაპონიაში კანონი ადგენს, რომ საპენსიო ფონდი უნდა ცდილობდეს თავიდან აიცილოს ინვესტიციების კონცენტრაცია კონკრეტული აქტივების კატეგორიაში.

დროთა განმავლობაში, საინვესტიციო რეგულირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების უმეტესობამ გამოიწვია ლიმიტების შერბილება და მეტი დისკრეცია მისცა საპენსიო პროვაიდერებს ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, 2005 წელს კანადამ გააუქმა უცხოური ინვესტიციების ლიმიტი (პორტფელის 30%). შერბილდა საინვესტიციო ლიმიტები პერუში, სადაც წლების განმავლობაში ასევე თანდათან გაიზარდა პორტფელში უცხოური ინვესტიციების ლიმიტის ზედა ზღვარი. 2021 წელს მარეგულირებელი ნორმები კიდევ უფრო შემსუბუქდა ბევრ ქვეყანაში. მაგალითად, მექსიკა ეტაპობრივად ზრდის საინვესტიციო ლიმიტებს აქციებზე. ლატვიამ გაზარდა საინვესტიციო ლიმიტი აქციებში 2021 წელს 75%-დან 100%-მდე, თუმცა რჩება 50%-იანი ლიმიტი 2017 წლის ბოლომდე რეგისტრირებულ გეგმებზე. კენიამ დაუშვა საპენსიო აქტივების 10%-მდე ინვესტიციები ისეთ სავალო ინსტრუმენტებში, რომლებიც გამოშვებულია ინფრასტრუქტურული ან საბინაო პროექტების დასაფინანსებლად.

დასკვნები და რეკომენდაციები

გრძელვადიან პერიოდში იმისათვის, რომ საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა იყოს წარმატებული, რაშიც იგულისხმება ბენეფიციარების საუკეთესო ინტერესების დაცვა და ინფლაციის დამარცხება, გლობალურ ბაზრებზე ინვესტირება მნიშვნელოვანია. მართალია, საქართველოს საპენსიო აქტივების გლობალურ ბაზარზე გატანის პერიოდი ფინანსურ ბაზრებზე არსებული დიდი მერყეობის[1] პერიოდს ემთხვევა, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული გამოცდილება, რომლის მიხედვითაც გრძელვადიან პერსპექტივაში აქციების ბაზარი მზარდია. ამიტომ დათქმა, რომელიც საქართველოში რეფორმის ამოქმედებიდან 5 წლის შემდეგ საპენსიო დანაზოგების პორტფელის რისკიანობას ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით გადანაწილებას ითვალისწინებდა, გამართლებულია. თუმცა არსებობს კანონპროექტი, რომლიც ამის შეცვლას ითვალისწინებს და იმ 5 წლიან პერიოდს, რომელიც 2023 წლის აგვისტოში დასრულდა კიდევ 5 წლიანი პერიოდი ემატება. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები დაამტკიცა საქართველოს დაგრვებითი პენსიის ფონდების საინვესტიციო პორტფელი ნაკლებრისკიან აქტივებში დარჩება, რაც გრძელვადიან პერიოდში, ჩემი აზრით, შეაფერხებს საინვესტიციო საბჭოს მთავარი მიზნის შესრულებას - ინფლაციის დამარცხებას.

მარეგულირებელი ნორმებით დაწესებული შეზღუდვების გამო, საერთაშორისო დივერსიფიკაციის ნაკლებობა ბევრ საპენსიო ფონდს იმაზე ნაკლებ ამონაგებს აძლევს ვიდრე მათ ამის პოტენციალი აქვთ. ახალი შეზღუდვების დაწესება მაშინ, როდესაც საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ არსებული რედაქციითაც კი, საკმაოდ ბევრ მარჟებს და მოთხოვნებს აწესებს (საქართველოს კანონი განსაზღვრავს საინვესტიციო პორტფელებში ალოკაციას აქტივების კლასის მიხედვით, დასაშვებ და დაუშვებელ საინვესტიციო აქტივებს, საინვესტიციო მოთხოვნებსა და შეზღუდვებს) და შედარებით ნაკლებ არეალს ტოვებს საინვესტიციო მანევრირებისათვის, კიდევ უფრო მოუქნელს და ნაკლებშემოსავლიანს გახდის საინვესტიციო პროცესს, რაც მომავალში ბენეფიციარების საპენსიო ანარიცხებზე მოახდენს გავლენას.

[1] 2022 წელს აქციების გლობალური ბაზარი დაახლოებით 22%-ით შემცირდა. ეს გამოწვეულია ბევრი ფაქტორით - დაწყებული კორონა ვირუსით გამოწვეული ეკონომიკური რყევებით, გაგრძელებული რუსეთ-უკრაინის ომით და დასრულებული საომარი ვითარებით ღაზას სექტორში

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე ლ., აბუსელიძე გ., (2021) საპენსიო რეფორმა - მიზნები და სავარაუდო შედეგები. ეკონომიკური პროფილი №1(21), გვ. 45–61. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2021.21.05
2. ჭელიძე დ., (2021) „საპენსიო რეფორმა საქართველოში“, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციის მასალები გვ. 74-75.
3. ქართული საპენსიო რეფორმის მომავალი (2023). IDFI. https://idfi.ge/public/upload/Analysis/The%20Future%20of%20the%20Georgian%20Pension%20Reform.pdf
4. საქართველოს საპენსიო სააგენტო, 2022 წლის ანგარიში. www.pensions.ge
5. საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია. https://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/kapitalisbazris_strategia/2023/cmds_sakartvelos_kapitalis_bazrebis_ganvitarebis_strategia_2023_2028.pdf
6. საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“
7. Annual Survey of Investment Regulations of Pension Funds and Other Pension Providers (OECD). 2022
8. Afanador, J., Davis, R., Pedraza, A. (2021). Estimating the Gains from International Diversification The Case of Pension Funds. World Bank Group. Policy Research Working Paper 9635
9. Cetorelli, N., Hirtle, B., Morgan, D.P., Peristiani, S. and Santos, J.A., (2007). Trends in financial market concentration and their implications for market stability. Economic Policy Review, 13(1).
10. Chan-Lau, J. A. (2005). Pension funds and emerging markets. Financial Markets, Institutions and Instruments. https://doi.org/10.1111/j.0963-8008.2005.00081.x
11. Clarke, R. G., & Tullis, R. M. (1999). How much international exposure is advantageous in a domestic portfolio? Journal of Portfolio Management. https://doi.org/10.3905/jpm.1999.319729
12. Grinblatt, M., & Keloharju, M. (2001). What makes investors trade? Journal of Finance. https://doi.org/10.1111/0022-1082.00338
13. Laster, D. S. (1998). Measuring Gains from International Equity Diversification. The Journal of Investing. https://doi.org/10.3905/joi.1998.408466
14. Leaño, M., & Pedraza, A. (2018). Ownership concentration and market liquidity: Evidence from a natural experiment. Economics Letters, 167, 56-59.
15. Morales, A. E. P., Fuentes, O., Searle, P., & Stewart, F. (2017). Pension funds and the impact of switching regulation on long-term investment. The World Bank.
16. Michaud, R. O., Bergstrom, G. L., Frashure, R. D., & Wolahan, B. K. (1996). Twenty Years of International Equity Investing. The Journal of Portfolio Management. https://doi.org/10.3905/jpm.1996.409579
17. Pedraza, A., 2015. Strategic interactions and portfolio choice in money management: Theory and evidence. Journal of Money, Credit and Banking, 47(8), pp.1531-1569.
18. Pedraza, A. (2019). Strategic information aggregation and learning from prices. Journal of Corporate Finance, 58: 208-225
19. Pedraza, A. & Pulga, F. (2019). Asset Price Effects of Peer Benchmarking: Evidence from a Natural Experiment. International Review of Economics & Finance 62: 53-65
20. Solnik, B. H. (1974). Why Not Diversify Internationally Rather Than Domestically? Financial Analysts Journal. https://doi.org/10.2469/faj.v30.n4.48
21. Thomas, A., Spataro, L., & Mathew, N. (2014). Pension funds and stock market volatility: An empirical analysis of OECD countries. Journal of Financial Stability, 11, 92-103.

Pension Funds International Investment Practice and Challenges for Georgia

Maka Ghaniashvili
Business Administration Academic Doctor, Invited Lecturer
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article discusses global investment practices for DB and DC pension plans and draws parallels with Georgian reality. Pension reform in Georgia began in 2019. Finding instances of effective pension reform in emerging economies proves challenging. After 5 years, since August 2023, the Georgian Pension Agency has started investing in the global financial markets. The agency is tasked with maximizing pension savings through portfolio management, primarily to protect savings from inflation. With the consideration of best international practices, the investment mandate of the Georgian Pension Agency should be further expanded, and the riskiness of the investments should be increased within reasonable limits. The agency should be given more flexibility in setting limits for placement in low-risk, medium-risk, and high-risk assets to reflect the changing situation; otherwise, it is difficult to imagine keeping up with inflation.

პრობლემური კრედიტების მართვის გამოწვევები
და შესაძლებლობები საქართველოს კომერციულ ბანკებში

ლეილა ღუდუშაური
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრობლემური კრედიტები, ანუ ვადაგადაცილებული სესხები ერთ-ერთ ურთულეს გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული არამდგრადი ეკონომიკური განვითარების ფონზე. ეს საკითხი კომერციული ბანკებისა და მათი მომხმარებლის პრობლემას სცდება, იძენს მასშტაბურ ხასიათს და წარმოადგენს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ გამოწვევას.

ნაშრომში განხილულია პრობლემური კრედიტების წარმოშობის მიზეზები და მართვის გამოწვევები საქართველოს საბანკო სფეროში, შესწავლილია მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები, გასაკუთრებული ყუადღებაა გამახვილებული არსებულ ვითარებაში ვადაგადცილებული სესხების ამოღების პერსპექტივებსა და შესაძლებლობებზე, რათა მაქსიმალურად შემცირდეს მსგავსი სესხების რაოდენობა ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელში.

საკვანძო სიტყვები: *პრობლემური სესხები; ეროვნული ბანკი; კომერციული ბანკები; საკრედიტო პორტფელი.*

სესხის ვადაგადაცილებას მრავალი მიზეზი იწვევს, მათგან ყველაზე ხშირია დიდი ვალდებულებები. ასეთ დროს მომხმარებელი ვეღარ ახერხებს ვალის დაფარვას და არსებულის დასაფარად ახალს იღებს. ასევე, ინფორმაციის ნაკლებობა. ხშირია შემთხვევა, როდესაც საკრედიტო პროდუქტებზე მსესხებლებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია, თუმცა იღებენ კრედიტს, რომლის დაფარვაც არ შეუძლიათ. გარდა ამისა, სამსახურის დაკარგვა, თავის მხრივ, იწვევს ვალის გადაუხდელობას, ხოლო მომატებული ჯარიმა და სარგებლის მაღალი განაკვეთი, მომხმარებლის გადახდისუნარიანობას უფრო მეტად აუარესებს.

ვადაგადაცილებული პორტფელის მართვა საბანკო სექტორში, ზეგავლენის ფაქტორების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკებს აქვთ შესაბამისი განყოფილებები, რომლებიც ანხორციელებენ პრობლემური კრედიტების იდენტიფიცირებას, მონიტორინგსა და დაფარვის ქმედითი გზების ძიებას, უაღრესად მნიშვნელოვანია სწორად დაგეგმილი ღონისძიებები, ეროვნული ბანკის ჩართულობა, რადგან ვადაგადაცილებული კრედიტების არაეფექტური მართვა, გადაუხდელი სესხების მოცულობის ზრდა იწვევს ფინანსურ რისკებს და შესაძლებლია კომერციულმა ბანკმა ფუნქციონირება შეწყვიტოს.

პრობლემური სესხების წარმოშობის მიზეზები

სესხის გადაუხდელობის პრობლემა საქართველოში ჯერ კიდევ 2004-2005 წლებში იღებს სათავეს, მაშინ როცა იწყება საბანკო სისტემის აღზევებასთან ერთად საკრედიტო ბუმი. ამას ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის შემოდინებამ საქართველოში, ბანკების მიმართ ნდობის ზრდამ და ასევე დადებითმა მოლოდინებმა სამომხმარებლო და იპოთეკურ სესხებზე. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ფი-

ნანსური სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მზარდი იყო ქართულ ეკონომიკაში. მონოპოლიური უპირატესობა რამდენიმე ბანკის ხელში აღმოჩნდა, არ არსებობდა საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვარი და არც უცხოური ვალუტის რეზერვის მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ბანკს შეეძლო დაეწესებინა ზემოაღნიშნული შეზღუდვები, პირიქით, მან ამ პროცესს განვითარების საშუალება მისცა (https://bm.ge/ka/news/ekonomika/11/published/-).

2008 წლის კრიზისამდე სწრაფი ტემპით იზრდებოდა მოთხოვნა სესხებზე, რაც ძირითადად უძრავ ქონებაზე ფასების კატასტროფული ზრდით იყო გამოწვეული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2008 წლის მეორე ნახევრიდან სესხების ამოღების სერიოზული პრობლემა გაჩნდა. ქვეყნის ეკონომიკა ძალიან მგრძნობიარე გახდა საგარეო ფაქტორების მიმართ. მოსახელეობა ვეღარ იხდიდა ვალს და შინამეურნეობებიც ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. დაეცა ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა (https://www.geostat.ge/ka/modules/categories/537/metadata-fasebis-statistika-).

გარდა ამისა, ვადაგადაცილების პრობლემაზე ზეგავლენას ახდენდა ის ფაქტორი, რომ 2017 წლამდე არ არსებობდა არანაირი ვალდებულება კომერციული ბანკებისათვის მომხმარებლებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ვადაგადაცილების შესახებ. არ არსებობდა სების მიერ დადგენილი ზოგადი წესი, რაც თითოეულ ბანკს უფლებას აძლევდა, სესხის რისკი თუ პირობა თავად დაედგინათ. ამგავრი ინფორმაციის არქონა კიდევ ერთი მიზეზია ვადაგადაცილებული სესხების მოცულობის ზრდისა (https://bm.ge/ka/news/ekonomika/11/published/-)**.** სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ ვადაგადაცილებული სესხების სტატისტიკაზე, პრობლემა სააშკარაოზე გამოიტანა ლარის კრიზისმა. 2015 წელს ლარის გაუფასურებამ მაქსიმუმს მიაღწია, რამაც სხვა პრობლემებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, უცხოურ ვალუტაში აღებული სესხების გაძვირება გამოიწვია. მომხმარებელთა 90%, რომელთაც სესხი უცხორ ვალუტაში ჰქონდათ და შემოსავალს ლარში იღებდნენ, უმეტესად ვერ იხდიდნენ ვალდებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მწვავე მდგომარეობა არსებობდა საბანკო სექტორში, საქართველოს ეროვნული ბანკი და ასევე მთავრობა ღიად არ საუბრობდა ამ პრობლემებზე. საყურადღებოა, რომ ეროვნული ბანკის მიერ 2017 წელს ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ სიღარიბის დონემ მოიმატა. გამოკითხული მოსახლეობის 43%-მა განაცხადა, რომ გაზრდილმა ფასებმა გააუარესა მათი ეკონომიკური მდგომარეობა. კრედიტი, რომელიც მათთვის შემოსავლის წყარო იყო ახლა დიდი ვალდებულება გახდა. მოსახლეობის 50 % სიღარიბის ზღვარზე აღმოჩნდა (https://bm.ge/ka/article/-). 2018 წელს ეროვნული ბანკი წერდა: „ბოლო წლებში შინამეურნეობების დავალიანება მაღალი ტემპით იზრდება და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, მზარდია იმ ფიზიკური პირების დაკრედიტება, რომელთაც შემოსავლებთან მიმართებაში ვალის მაღალი ტვირთი აქვთ, ხშირ შემთხვევაში, სესხები გაიცემა ისე, რომ არ ხდება მსესხებლის შემოსავლისა და გადამხდელუნარიანობის სათანადო შესწავლა. ამასთან, მსესხებლის დიდ ნაწილს არ უფიქსირდება დასაქმებით ან სხვა ფორმის წყაროდან მიღებული შემოსავალი, და ასეთი მსესხებლის მნიშვნელოვან ნაწილს აქვს მიმდინარე ვადაგადაცილება არსებულ ვალდებულებებზე. ამასთან, უარესდება ამ ნაწილის სოციალური მდგომარეობა“ (https://www.nbg.gov.ge).

სწორედ აქედან იწყება ეროვნული ბანკის მიერ ქმედითი, თუმცა დაგვიანებული ნაბიჯების გადადგმა პრობლემის მოსაგვარებლად. ერთი მხრივ, ეს იყო ლარის ათპუნქტიანი გეგმის შემუშავება, რომლის მიზანიც იყო სასესხო ბაზრის დარეგულირება, მეორე მხრივ, კი გაიზარდა ბანკებისათვის უხოური ვალუტის რეზერვაცია, რასაც უნდა შეემცირებინა ამ ვალუტაში გაცემული სესხების რაოდენობა. გარდა ამისა, ,,ეროვნულმა ბანკმა ფიზიკური პირების ჭარბვალიანობის გამოწვევების საპასუხოდ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა: 2019 წლიდან პასუხიმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო აამოქმედა, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში მოქმედი ყველა ლიცენზი-

რებული სესხის გამცემი ობიექტის დაქვემდებარებას დაკრედიტების ერთიან წესებზე, როგორც მომხმარებელთა უფლებების, ასევე საკრედიტო სტანდარტების დაცვის კუთხით. საბანკო და საკრედიტო ინსტიტუტები ვალდებული არიან შეაფასონ ფიზიკური პირის შემოსავლები სესხის გაცემამდე და უზრუნველყონ დებულებით გათვალისწინებული კოეფიციენტური ზღვრების-სესხის მომსახურების კოეფიციენტისა (PTI) და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტის (LTV) დაცვა. ამასთან, კოეფიციენტების მოცულობა დამოკიდებულია ვალუტის სახეობაზე, რაც უზრუნველყოფს გაცვლითი კურსის მერყეობისგან გამოწვეული ზიანისგან დაცვას.

აღნიშნულ პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობდა კომერციულ ბანკებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამასთან, გადადგმულ იქნა ისეთი თანმიმდევრული ნაბიჯები, როგორებიცაა: მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებების გატარება, მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შეზღუდვა და სხვა.“ (ლ. ღუდუშაური, № 2, 2022, გვ. 120).

ამ და სხვა რეგულაციების მიღებამ, რომლებიც წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, შედარებით დაასტაბილურა მდგომარეობა, მაგრამ 2020 წლიდან კომერციული ბანკები ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ და, შესაბამისად, ვადაგდაცილების ზღვარიც გაიზარდა, ეს გამოწვევა გახლდათ კოვიდ-19. პანდემიამ მსესხებლების მნიშვნელოვან ნაწილს ფინანსური სირთულეები შეუქმნა, თუმცა მისი ნეგატიური გავლენა განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა შემოსავალთან შედარებით სესხის მომსახურების მაღალი ტვირთის მქონე ფიზიკური პირებისთვის.

ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური შოკის შესარბილებლად და შინამეურნეობების გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად, სახელდობრ: პანდემიის პირობებში კრედიტორები პროაქტიულად სთავაზობდნენ მსესხებლებს სესხების (გასაკუთრებით, იპოთეკური სესხების) რესტრუქტურიზაციას, პროლონგაციას, დროებით გადავადებას და სხვა საშეღავათო შესაძლებლობებს, ამიტომ რისკის სტანდარტული საზომი, როგორიცაა დეფოლტი და ვადაგადაცილება შენატანზე, ამ პერიოდში ნაკლებად ფიქსირდებოდა (სებ, ანგარიში 2021, გვ.34).

რაც შეეხება 2022 წლისა და 2023 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს, უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ ხდება სიტუაციის დასტაბილურება და ვადაგადაცილებული სესხების წილის შემცირება გაცემული სესხების საერთო მოცულობაში. (https://bm.ge/ka/about/-).

პრობლემური სესხების მართვის ძირითადი მიმართულებები

ვადაგადაცილებული პორტფელის მართვა საბანკო სექტორში, ზეგავლენის ფაქტორების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ კომერციული ბანკები წარმატებით ფუნქციონირებენ, მათ აქვთ შესაბამისი განყოფილებები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური კრედიტების იდენტიფიცირებას, მონიტორინგსა და დაფარვის ქმედითი გზების ძიებას, უაღრესად მნიშვნელოვანია სწორად დაგეგმილი ღონისძიებები, ეროვნული ბანკის ჩართულობა, რადგან ვადაგადაცილებული კრედიტების არაეფექტური მართვა, გადაუხდელი სესხების მოცულობის ზრდა იწვევს ფინანსურ რისკებს და შესაძლებლია კომერციულმა ბანკმა ფუნქციონირება შეწყვიტოს.

ვადაგაცილებული სესხის დამუშავების პროცესში რიგი გარემოებებია გასათვალისწინებელი, კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთან მუდმივ კომუნიკაციას, მისი შემოსავლებისა და წყაროს დეტალურ შესწავლას, სესხის დამუშავებას ვადაგადაცილების მიხედვით, გადახდის დაგეგმვას და შესაბამისი ქმედებების მონიშვნას.

ვადაგდაცილებული სესხების პრობლემის გადასაჭრელად კომერციულმა ბანკებმა უნდა განახორციელონ დიდი ხნის მქონე ვადაგადაცილებული სესხების რესტრუქტურიზაცია და დამტკიცებული სესხების პროლონგაცია, აგრეთვე სარგებლის განაკვეთების შემცირება, რათა მომხმარებელს შეუმსუბუქდეს ფინანსური ტვირთი. აღნიშნული ხელს შეუწყობს მათ ფინანსურ სტაბილურობას, გადახდისუნარიანობის ზრდას და, შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულებების გადახდას.

უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები მხოლოდ თავიანთი ძალებით ვერ შეძლებენ ვადაგადაცილებული სესხების პრობლემის გადაჭრას, აუცილებელია სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის ქმედითი ჩართულობა და მხარდაჭერა. ძალზედ მნიშვნელოვანია სების ჩართულობა ბანკების საკრედიტო პორტფელის მართვაში, მას უნდა ჰქონდეს ისეთი რეზერვი შექმნილი, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში შეძლებს რისკების გადაფარვასა და ამავდროულად, მყისიერ რეაგირებას მოახდენს. იმისათვის, რომ კომერციულმა ბანკებმა თავიდან აიცილონ ვადაგაცილებული კრედიტების მაღალი მოცულობა საკრედიტო პორტფელში, აუცილებელია უკვე დანერგილი მეთოდების განვითარება და სრულყოფა, აგრეთვე ახალი გზების ძიება.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ეროვნული ბანკის მიერ 2023 წელს მიღებული შემდეგი რეგულაციები: 1. იმის გათვალისწინებით, რომ არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების 2022 წელს დაფიქსირებული მაღალი ზრდის მაჩვენებელი შემცირებულია, ხოლო აქტივობა მდგრად დონეზე ნარჩუნდება, 2023 წლის 1-ელი ნოემბრიდან არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ვადის ლიმიტი 3-დან 4 წლამდე იზრდება; 2. 2024 წლის პირველი იანვრიდან არაჰეჯირებული მოქალაქეებისთვის 300 ათას ლარამდე ოდენობის სესხი მხოლოდ ლარში გაიცემა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსახლეობის სავალუტო რისკებისაგან დაცვას ისახავს მიზნად, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში ევროკავშირსა და აშშ-ში გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის გამო, დოლარისა და ევროს სესხებზე განაკვეთების მზარდი ტენდენცია ისედაც უარყოფითად აისახება მსესხებლების ვალის ტვირთზე.

დასკვნები და რეკომენდაციები

ვადაგადაცილებული სესხების პრობლემა საქართველოში საბანკო სექტორის განვითარებასთან ერთად აქტუალობას არ კარგავს. პრობლემური სესხების მოცულობა დამოკიდებულებაშია როგორც შიდა საბანკო პოლიტიკასთან, ასევე ისეთ გარე ფაქტორებთან, როგორიცაა ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები, მათი სტაბილურობა. ვადაგდაცილების ძირითად მიზეზებია:

პირველი - არასტაბილური შემოსავლები - ნებისმიერი ტიპის ვალდებულება მიბმული უნდა იყოს სტაბილურ შემოსავალზე. თუ მსესხებლის შემოსავალი არ არის სტაბილური და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ რაღაც პერიოდის განმავლობაში ვერ მიიღებს შემოსავალს, იგი პოტენციური პრობლემური გადამხდელია და რაღაც მომენტში აუცილებლად დადგება სესხის ვერგადახდის ან ვადაგადაცილების პრობლემის წინაშე; მეორე-პასუხისმგებლობის და ფინანსური განათლების დაბალი დონე; მესამე - მსესხებლების ინფორმირებულობის დაბალი დონე; მეოთხე - მაღალი საპროცენტო განაკვეთები; მეხუთე - ზოგადად ეკონომიკური სტაბილურობის დაბალი დონე, რომლის ანარეკლია არასტაბილური სამუშაო ადგილები, ფორსმაჟორული სიტუაციები, შემოსავლის მოულოდნელად დაკარგვა და ა.შ.

ქვეყნის შიდა და მსოფლიო საფინანსო კრიზისებმა, 2019 წლის კოვიდ პანდემიამ კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა საკრედიტო პორტფელს, მისი მნიშვნელობა მთლიანი სესხების 2%-დან 4%-მდე გაიზარდა. რეგიონებში ჩავარდნილი ტურისტული სეზონი, დაკარგული სამსახურები და სხვა პანდემიისაგან მიღებული ზიანი, ბევრისთვის დიდი ვალის მომტანი გახდა. თუმცა, სიტუაციის დას-

ტაბილურებასთან ერთად, ბანკებმა კიდევ ერთხელ გადახედეს რისკების მართვის პოლიტიკას და ახალი სესხების გაცემასთან მიმართებაში შედარებით კონსერვატულები გახდნენ.

პრობლემები შეექმნათ ბიზნესებს, რომლებსაც თავიანთი მოდელი აგებული ჰქონდათ სწრაფ სასესხო მომსახურებაზე, რომელთა გაცემა ხდებოდა სამომავლო რისკების გათვალისწინების გარეშე. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრინციპის დამკვიდრებით, რაც გულისხმობს კრედიტის გაცემას მხოლოდ მსესხებლის გადახდისუნარიანობის შესწავლის შემდეგ, ხელი შეეწყო კლიენტთა სავალო ვალდებულებების დროულად დაფარვის სამომავლო რისკების შემცირებას. ამრიგად, სახეზეა საკრედიტო პორტფელის გაუმჯობესება, ეს გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა, რეგულაციით, რაც გულისხმობს შემდეგს: აღარ გაიცემა სესხი, რომელიც შემოსავალთან არაპროპორციულად მაღალი ტვირთის მქონეა. 2022 წლიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებელთა პასუხისმგებლობა: ფარავენ ვალდებულებას, შემცირდა ვადაგაცილების მაჩვენებელიც. ეს პოზიტიური შედეგების სრული ჩამონათვალი არ არის. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ვადაგდაცილებული სესხების პროცენტული მაჩვენებლის შემცირება წინა წლებთან შედარებით. ბოლო პერიოდში ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხი უმჯობესდება. გარკვეული პერიოდულობით, მცირეოდენი მერყეობა შეინიშნება გაუარესების მიმართულებით, მაგრამ საერთო ჯამში ვადაგადაცილებული სესხები მთლიანი საკრედიტო პორტფელის 3%-ზე ნაკლებია.

ვადაგაცილებული სესხის დამუშავების პროცესში რიგი გარემოებებია გასათვალისწინებელი, კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელთან კომუნიკაციას, მისი შემოსავლებისა და წყაროს დეტალურ შესწავლას, სესხის დამუშავებას ვადაგადაცილების მიხედვით, გადახდის დაგეგმვას და შესაბამისი ქმედებების მონიშვნას.

ვადაგადაცილებული მსესხებლები, როგორც წესი, ხვდებიან „კრედიტინფო საქართველოს“ ნეგატიურ სიებში. სამწუხაროა, რომ მიუხედავად ვადაგადაცილებული სესხების არც თუ ისე „საგანგაშო“ მოცულობისა, ნეგატიურ სიებში მოხვედრილი ადამიანების რიცხვი საკმაოდ დიდია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ვადაგადაცილებაში მოხვედრილი კრედიტების დიდი ნაწილი მცირე (1000 ლარამდე) სესხებია. ეს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენის ნაწილია, რომელსაც ნეგატიურ სიაში მოხვედრა კიდევ უფრო ურთულებს სოციალურ მდგომარეობას.

პრობლემური სესხი მოქალაქისთვის შემდგომი სოციალური პრობლემების მაპროვოცირებელია, მაგრამ ის ასევე პრობლემურია საბანკო სისტემისთვისაც. ეს მოქალაქეები მათი მომავალი კლიენტები არიან. ზოგადად, სახელმწიფოსთვის ეკონომიკური და სოციალური საფრთხე შეიძლება პოლიტიკური პრობლემის შემცველიც გახდეს, ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის მდგრადობის გარანტიაა და ის ვერ ჩამოყალიბდება საბანკო სისტემის განვითარების გარეშე. თუკი გავითვალისწინებთ იურიდიულ ასპექტებს, რაც მოქალაქეების საკრედიტო ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას ეხება და ასევე სხვა დარღვევებს, რომლებზეც რიგი მოქალაქეებისა პრეტენზიებს გამოთქვამენ ბანკების მისამართით, იკვეთება ბანკსა და კლიენტს შორის სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა, რაც გამოიხატება კლიენტების უფლებების დაცვის გაძლიერებაში და არსებული ხარვეზების გამოსწორებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკი (2022). ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. www.nbg.gov.ge
2. საქართველოს ეროვნული ბანკი (2021). ,,ფიზიკური პირების პასუხისმგებლიანი დაკრედიტების შესახებ დებულება“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 17 დეკემბრის ბრძანება № 176/04. www.nbg.gov.ge
3. საქართველოს ეროვნული ბანკი (2021). „საკრედიტო კავშირების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნის წესი“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 15 ნოემბრის ბრძანება № 296, www.nbg.gov.ge
4. საქართველოს ეროვნული ბანკი (2021). ფინანსური სტაბილურობის ანგარიში. www.nbg.gov.ge
5. ღუდუშაური ლ. (2022). პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ჩარჩო საქართველოში: გამოწვევები და გადაწყვეტის გზები. ჟურ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XIV, №2, გვ.120–136. https://doi.org/10.5679/2022/7
6. https://www.nbg.gov.ge
7. http://creditinfo.com/
8. https://bm.ge/ka/about/

Challenges and Opportunities of Problem Credits Management in Commercial Banks of Georgia

Leila Ghudushauri
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Problem loans, that is, overdue loans, are one of the most pressing problems against the backdrop of unstable economic development in the country. This issue goes beyond the problem of commercial banks and their clients, becomes large-scale and represents a public-state challenge.

The article examines the causes and problems of managing problem loans in the banking sector of Georgia, it also examines internal and external factors affecting the solvency of clients, and also focuses on the prospects and possibilities for collecting overdue loans in the current situation in order to reduce the number of similar loans as much as possible in general bank's loan portfolio.

Key words: *problem loans; National Bank; commercial banks; Loan portfolio.*

There are many reasons for a loan to be overdue, the most common of which are large liabilities, at which point the consumer is no longer able to repay the debt and takes out a new loan to pay off the existing one. Plus the lack of information. Often they do not have proper information about loan products, but receive a loan that they cannot repay. Job loss, which in turn leads to debt by default, increased fines and interest, further worsens the consumer's solvency.

The National Bank of Georgia has taken effective measures to solve this problem. On the one hand, it was the development of a ten-point plan for the lari, the purpose of which was to regulate the credit market, on the other hand, the foreign currency reserve for banks was increased, which was supposed to reduce the number of loans issued in this currency. In addition, the National Bank has taken a very important step in response to the problems of over-indebtedness of individuals: since 2019, it has launched a system of responsible lending, the purpose of which is to subject all licensed credit institutions operating in the country to uniform lending rules. both from a consumer protection and credit standards perspective. Banking and credit organizations are required to assess the income of an individual before issuing a loan and ensure compliance with the limits of the ratios provided for by regulation - the loan servicing ratio (PTI) and the loan collateral ratio (LTV). In addition, the size of the odds depends on the type of currency, which provides protection against damages caused by exchange rate fluctuations.

In this process, the National Bank of Georgia worked closely with commercial banks and international organizations. At the same time, such consistent steps were taken as: taking measures to protect consumer rights, limiting the maximum effective interest rates and others.

In addition to the above, the National Bank has taken important steps to mitigate the economic shock caused by the pandemic and maintain the solvency of households, namely: during the pandemic, lenders actively offered borrowers loan restructuring (foreclosure, mortgage loans), extension, temporary deferment and other concessions, so standard risk measures such as default and arrears of contributions were less common during this period.

The experience of credit institutions has shown that in order for banks to be able to remove problem loans and, accordingly, increase their loan portfolio, they should consider the following:

• A bank employee must have a close relationship with the client, participate as much as possible in the management process, that is, have constant control over day-to-day decisions, which allows for appropriate control. Making such a decision requires changes both in the structure of the unit and in the motivation of employees.

• Special control over clients' transactions, through which they can monitor their reliability.

• High level of participation of the National Bank of Georgia and the state.

• Increasing financial education of consumers.

ელექტრონული კომერციის განვითარების გლობალური ტენდენციები და საქართველო

შოთა შაბურიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნათია ტერტერაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური განვითარება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. თანამედროვე ინოვაციებმა მთელი მსოფლიო შეცვალა, ხელი შეუწყო საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთოებების გაღრმავებას. ელექტრონულმა კომერციამ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა და ტრანსფორმაცია განიცადა. დარგის მეცნიერებმა და ექსპერტებმა ფართოდ გამოიკვლიეს და გაანალიზეს სხვადასხვა ტენდენციები, რომელშიც ვლინდება ბიზნესის ამ ტიპის ძირითადი უპირატესობები და გამოწვევები. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და მომხმარებელთა ქცევის შეცვლა ბევრ შესაძლებლობას ქმნის ბიზნესის მოდელებისა და მომხმარებლამდე პროდუქტის დაყვანის მეთოდების ტრანსფორმაციისთვის. თუმცა, მკვლევარები ასევე მიუთითებენ, ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებული სარგებლიანობის გამოკვეთის სირთულეებზე, რასაც საქართველოში, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: *ელექტრონული კომერცია; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ბიზნესის ადმინისტრირება; ციფრული ტრანსფორმაცია, გლობალიზაცია.*

ინტერნეტის გამოყენებით სამეწარმეო საქმიანობის წარმართვა გაცილებით ეფექტიანია ტრადიციულ მიდგომებთან შედარებით. ბიზნესის წარმოება ინტერნეტში წარმოადგენს საქმიანი აქტივობის ნაწილის გადატანას ციფრულ სივრცეში, ე. ი. კომპანია იყენებს რა ბიზნესის ტრადიციულ ხერხებს, დამატებით ელექტრონული კომერციის მეშვეობით ანიჭებს მათ ციფრულ შესაძლებლობებს.

ელექტრონული კომერცია არის ბიზნეს პროცესების ნებისმიერი სახის წარმოება, სადაც ურთიერთქმედება სუბიექტებს შორის მიმდინარეობს ელექტრონული სახით (გაბისონია, 2020). ასეთ პროცესს ხელი შეუწყო ინფორმაციულმა ტექნოლოგიების განვითარებამ. ინტერნეტზე წვდომის ზრდამ ერთი მხრივ, აამაღლა მწარმოებლურობა და მეორე მხრივ, ბაზარზე გაჩინა ახალი ტიპის მომხმარებელი - ციფრული მომხმარებელი, რომლის მოთხოვნები განსხვავებულია სტანდარტული მომხმარებლისგან (შაბურიშვილი & ტერტერაშვილი, 2023).

ელექტრონული ვაჭრობის წილი მთლიან გაყიდვებში მნიშვნელოვნად გაიზარდა COVID-19-ის პერიოდში, როგორც მთელ მსოფლიოში ასევე საქართველოშიც. მობილობის შეზღუდვამ მომხმარებელს უბიძგა მეტი სიხშირით შეეძინა პროდუქცია დისტანციურად. ამ პირობებში კომპანიები იძულებულნი გახდნენ განევითარებინათ სხვადასხვა ციფრული პლატფორმები.

ელექტრონული კომერციის სისტემებმა რიგ შემთხვევებში გააფართოვეს, ხოლო რიგ შემთხვევებში ჩაანაცვლეს საქმიანობის მართვის ტრადიციული საშუალებები და წარმატების მისაღ-

წევად საჭირო მიდგომები (Shaburishvili, Terterashvili, & Ribeiro Ramos, 2023). ელექტრონული კომერციის ბაზრის სწრაფი ზრდის მიუხედავად, ქართული კომპანიების ანალიზი აჩვენებს, რომ 2022 წელს დარეგისტრირებული კომპანიების მხოლოდ 4%-ს ჰქონდა გაყიდვები ელექტრონული კომერციის არხების დახმარებით (საქარათველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2023).

წინამდებარე ნაშრომის მთავარი მიზანია ელექტრონული კომერციის გლობალური ტენდენციების გამოკვეთა, ასევე იმ ძირითადი შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზი, რაც საქართველოში ელექტრონული კომერციის განვითარებას ახლავს თან.

* * *

ელექტრონული კომერცია ცვლის ბიზნეს ურთიერთობებს ისე, როგორც ინტერნეტმა შეცვალა ურთიერთობის გარემო და ინფორმაციაზე დაშვება ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში. ელექტრონული კომერცია სწორედ ელექტრონული ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მან მყარად დაიკავა ადგილი თანამედროვე ბიზნესსა და საქმის წარმოებაში.

მობილური კომერცია ელექტრონული კომერციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციაა. მკვლევარებმა ლი და ბენბასატმა (2003) ხაზი გაუსვეს მობილური მოწყობილობების მზარდ მნიშვნელობას ონლაინ შოპინგის დროს. მობილური აპლიკაციების, მობილურისთვის ოპტიმიზებული ვებგვერდების და მობილური გადახდის სისტემების განვითარება ცვლის მომხმარებელთა ინტერაქციის გზას ბიზნესებთან (Alalwan, 2016). Insider Intelligence (2023)-ის პროგნოზის მიხედვით 2024 წლისთვის, გლობალური საცალო მობილური კომერციის გაყიდვები, სავარაუდოდ, მიაღწევს 4.5 ტრილიონ დოლარს, რაც საცალო ელექტრონული კომერციის გაყიდვების 69.9%-ს შეადგენს. ასევე მოსალოდნელია, რომ 2024 წლისთვის ადამიანების რიცხვი, რომლებიც შეძლებენ ფლობდნენ მობილურ ტელეფონებს და მისი მეშვეობით შეიძენენ პროდუქციას 292 მილიონი გახდება (Chevalier, 2021).

ინტერნეტ შესყიდვებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაცია. ინფლაციის მაჩვენებლები 2022 წელს - 7.5%-დან 9.1%-მდე მერყეობდა. მან გავლენა მოახდინა მომხმარებელთა განწყობებზე და ხარჯვის მისწრაფებაზე (Shaburishvili & Terterashvili, 2022). ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ კვლევას და ფასების შედარებებს (Priebe, 2021).

ელექტრონული კომერციის განვითარების კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გადახდის მრავალვარიანტულობა. განიხილება სხვადასხვა გადახდის ახალი მეთოდის გამოყენება, მათ შორის - კრიპტოვალუტით, უკონტაქტოდ ან QR კოდით გადახდები. მოსახლეების 63%-მა სცადა გადახდის ახალი მეთოდი მხოლოდ პანდემიის გამო. მომხმარებელთა 50%-ზე მეტი კი თავს არიდებს შეძენას იმ ბიზნესებიდან, რომლებიც არ იღებენ ელექტრონულ გადახდებს. მომხმარებელთა ინტერესი და მოთხოვნილება გადახდის მრავალ მეთოდზე მზარდია და მიგვითითებს რომ კომპანიებმა უნდა შესთავაზონ გადახდის სხვადასხვა გზები მომხმარებლებს (Priebe, 2021).

ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანათმცოდნეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ელექტრონულ კომერციაში. ჩეთბოტები და პერსონალიზაციის ალგორითმები აუმჯობესებენ მომხმარებლის გამოცდილებას და ზრდიან გაყიდვებს. ტურელმა და სხვ. (2021) გამოიკვლიეს, თუ როგორ შეიძლება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება - მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტისა და მომხმარებელთა მომსახურების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, რაც ელექტრონული კომერციის ოპერაციების განუყოფელი ნაწილია. ასევე, AR და VR ტექნოლოგიების ინტეგრაცია ელექტრონულ

კომერციაში განვითარებადი ტენდენციაა. მომხმარებელთა მომსახურებისა და მხარდაჭერის ლიდერების 37.5% გეგმავს ჩატბოტების დანერგვას 2023 წელს, ხოლო 36.3% აკეთებს იგივეს AI შესაძლებლობებისთვის (Gupta A., 2021).

ეკოლოგიური მდგრადობა და ეთიკური მოხმარება მნიშვნელოვანი გამოწვევაა ელექტრონულ კომერციაში. სარკისი და სხვ. (2014) განიხილავენ მდგრადი პრაქტიკის მნიშვნელობას ელექტრონული კომერციის მიწოდების ჯაჭვებში, პროდუქტების მოპოვებასა და შეფუთვაში. მათი კვლევის მიხედვით მომხმარებლები სულ უფრო მეტად განიხილავენ ონლაინ შესყიდვების ეკოლოგიურ და ეთიკურ ასპექტებს.

ციფრული ბიზნესის წარმოებისას მნიშვნელოვანი გლობალური გამოწვევაა მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება. მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა გადამწყვეტია მომხმარებლებთან ნდობის შესაქმნელად (Lee & Benbasat, 2003).

ელექტრონული კომერცია არ შემოიფარგლება მხოლოდ განვითარებული ეკონომიკებით. განვითარებადი ბაზრებიც განიცდიან ონლაინ შოპინგის ბაზრის წილის ზრდას, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ინტერნეტის გაზრდილი წვდომა და მზარდი საშუალო კლასი. გუპტა და დოგრა (2017) ხაზს უსვამენ განვითარებად ბაზრებზე ელექტრონული კომერციის ზრდის პოტენციალს და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ეს ტენდენცია ცვლის გლობალური ელექტრონული კომერციის ლანდშაფტს და ქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისთვის.

ეკონიმიკის ციფრული ტრანსფორმაციის მიმართულებით არსებითი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს მთავრობის მხრიდანაც, რაც ბუნებრივია თავის ასახვას ელექტრონული კომერციის სექტორზეც ჰპოვებს. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის ვალდებულება და ტელეკომუნიკაციის ინფრასტრუქტურის განვითარება ეროვნულ პრიორიტეტად ჯერ კიდევ 2014 წელს დამტკიცებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო 2020“, იყო აღიარებული (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014). ევროკავშირის ასოცირების განხორციელების ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების მხარდაჭერის, ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესების და ელექტრონული ვაჭრობის განვითარების კუთხით (ევროკავშირი საქართველოსათვის, 2020). 2022 წელს საქართველოში ციფრული ტრანსფორმაციის საბჭო ჩამოყალიბდა. საბჭოს ფარგლებში სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთად იმუშავებენ, რათა მთლიანად ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია მოხდეს, მათ შორის განვითარდეს ინტერნეტ ტექნოლოგიების მიმართულებებიც, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, დასაქმებას და დამატებით შემოსავლების მობილიზებას შეუწყობს ხელს (ბიზნეს პარტნიორი, 2022).

ონლაინ დანახარჯები სტაბილურად იზრდებოდა ბოლო წლების განმავლობაში და განსაკუთრებით დაჩქარდა 2020 წელს, რაზეც პანდემიამ მოახდინა დადებითი გავლენა. საქართველოში ზრდასრული მოსახლეობის 21.3%-მა, ანუ 630.7 ათასმა ადამიანმა შეიძინა საქონელი ან მომსახურება ინტერნეტით 2019 წლის ივლისიდან და 2020 წლის ივლისამდე პერიოდში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მოსახლეობის გამოკითხვას ყოველწლიურად ივნისი-ივლისის პერიოდში ახორციელებს). ონლაინ მოვაჭრეთა წილი უფრო მაღალია ქალაქის მაცხოვრებლებში (27.4% იგივე პერიოდში), ვიდრე სოფლის მოსახლეობაში (9.1%). ზრდის მიუხედავად, საქართველოში ინტერნეტმოვაჭრეთა წილი ჯერ კიდევ დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, რაც ზრდის პოტენციალზე მიუთითებს (საქარათველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2023). ზრდის მიუხედავად, ელ-კომერციის წილი საცალო გაყიდვების მხოლოდ 1.1%-ია, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ბაზრების მაჩვენებლებს (12% ევროპის საშუალო) (GALT&TAGGART, 2021).

ელექტრონული კომერციის სფეროს განვითარება, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში საქართველოშიც აწყდება გამოწვევებს: ელექტრონული კომერციის პლატფორმებს მუდმივი საფრთხე ემუქრება კიბერთავდასხმებისა და მონაცემთა დარღვევისგან, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მომხმარებლის ინფორმაციას და ნდობას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გადახდის ტრანზაქციების უსაფრთხოებასა და თაღლითობას. ეს მოიცავს ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიცაა გადახდების დაბრუნება. ცუდმა ვებგვერდმა ან აპლიკაციის მომხმარებლის გამოუცდილებამ შეიძლება გამოიწვიოს გაყიდვების შემცირება. ამიტომ, ელექტრონული კომერციის ბიზნესებმა მუდმივად უნდა მოახდინონ პლატფორმების ოპტიმიზაცია. ტექნოლოგიების შენარჩუნება და განახლება საკმაოდ დიდ დანახარჯებს უკავშირდება, რაც განვითარებადი ქვეყნების მცირე საწარმოებისთვის შეიძლება ზედმეტად ძვირი აღმოჩდეს.

აუცილებელია ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინტერნეტ/მობილური ბანკინგის გამოყენების გაზრდა და ლოგისტიკის განვითარება. ამ მხრივ საქართველომ უნდა გამოიყენოს ის არსებული უპირატესობები როგორებიცაა განვითარებული საბანკო სექტორი, ინტერნეტზე მაღალი ხელმისაწვდომობა და ქვეყნის შედარებით ახალგაზრდა მოსახლეობა.

საერთო ანგარიშით, შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული კომერცია არის დინამიური, განვითარებადი სფერო ტენდენციებისა და გამოწვევების ფართო სპექტრით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ელექტრონული კომერციის გარემო მუდმივად იცვლება ტექნოლოგიების წინსვლისა და მომხმარებელთა ქცევის ადაპტირებისას. მეწარმეები და მენეჯერები მუდმივად უნდა იყვნენ ინფორმირებულები და მოერგონ ამ ტენდენციებს, რათა შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა ელექტრონული კომერციის ინდუსტრიაში.

დასკვნა

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ და ციფრული ტრანსფორმაციის პროცესების ზრდამ, ბაზარზე გააჩინა ციფრული მომხმარებელი. ასევე, ონლაინ ვაჭრობის წილი მთლიან გაყიდვებში მნიშვნელოვნად გაიზარდა COVID-19-ის პერიოდში, მობილობის შეზღუდვამ ბევრ ადამიანს უბიძგა მეტი სიხშირით შეეძინა პროდუქცია ონლაინ. ინფლაციის ზრდის პირობრბში ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად მომხმარებლები უპირატესობას ანიჭებენ კვლევას და ფასების შედარებებს, ელექტრონული კომერცია კი ამ შესაძლებლობას ყველაზე უკეთ იძლევა.

საქართველოში ონლაინ დანახარჯების სტაბილური ზრდის მიუხედავად, ელ-კომერციის წილი საცალო გაყიდვებში მკვეთრად ჩამორჩება განვითარებული ბაზრების მაჩვენებლებს. აქედან გამომდინარე აუცილებელია ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა. საქართველომ უნდა გამოიყენოს ის არსებული უპირატესობები როგორებიცაა განვითარებული საბანკო სექტორი, ინტერნეტზე მაღალი ხელმისაწვდომობა და ქვეყნის შედარებით ახალგაზრდა მოსახლეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Alalwan, A. A. (2016). Consumer adoption of mobile banking in Jordan: examining the role of usefulness, ease of use, perceived risk and self-efficacy. *J. Enterp. Inf. Manage. 29(1)*, 118–139.
2. Chevalier, S. (2021, september 6). Retrieved from www.statista.com: https://www.statista.com/statistics/241471/number-of-mobile-buyers-in-the-us/
3. GALT&TAGGART. (2021). *ელექტრონული კომერცია საქართველოში.* თბილისი.
4. Gupta A. (2021). Retrieved from www.gartner.com: https://www.gartner.com/smarterwithgartner/4-key-tech-trends-in-customer-service-to-watch
5. Gupta A., D. N. (2017). TOURIST ADOPTION OF MAPPING APPS: A UTAUT2 PERSPECTIVE OF SMART TRAVELLERS. *Journal of Hospitality and Tourism Technology Vol. 23 No. 2*, pp. 145-161, 2017.
6. Lee, Y. E., & Benbasat, I. (2003). *Interface design for mobile commerce.* pp 48–52.
7. Priebe, K. (2021, May 4). *Mastercard New Payments Index: Consumer Appetite for Digital Payments Takes Off*. Retrieved from www.mastercard.com: https://investor.mastercard.com/investor-news/investor-news-details/2021/Mastercard-New-Payments-Index-Consumer-Appetite-for-Digital-Payments-Takes-Off/default.aspx
8. Sarkis J., F. B. (2014). Framing sustainability performance of supply chains with multidimensional indicators. *Supply Chain Management An International Journal 19(3)*, pp.242 - 257.
9. Shaburishvili, S., Terterashvili, N. (2022). Impact of the COVID-19 pandemic on the digital transformation of business. *Using Information Technologies for Optimizing Processes of Production of Agricultural Products and Management of Enterprises* (pp. 161-165). Dnipro: Luhansk National Agrarian University.
10. Shaburishvili, S., Terterashvili, N., & Ribeiro Ramos, O. (2023). The Role Of Digital Technilogy in Agribusiness. *159-165.* Київ: Eastern Ukrainian National University.
11. Turel O., S. A.-B. (2021). *The impact of social networking sites use on health-related outcomes among UK adolescents.* Elsevier BV.
12. ბიზნეს პარტნიორი. (2022). *https://business-partner.ge/ekonomika/sakartveloshi-tsifruli-transformatsiis-sabcho-chamoqalibdeba?fbclid=IwAR0CVQLPaPoW7ulpHvuxLJYQ5mbI_rg-M_9MI4wtjrZags2k4YilTtx63GY*.
13. გაბისონია, ზ. (2020). ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი. *შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი*, 41-49.
14. ევროკავშირი საქართველოსათვის. (2020). *https://eufordigital.eu/geo/countries/georgia*.
15. *საქარათველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო*. (2023). Retrieved from www.geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba
16. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2014, ივნისი 17). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე*. Retrieved from matsne.gov.ge
17. შაბურიშვილი, შ., ტერტერაშვილი, ნ. (2023). აგრობიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის შესაძლებლობები და გამოწვევები საქართველოში. *მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიასა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით* (გვ. 491-495). თბილისი: უნივერსალი.

Global Trends of E-commerce Development and Georgia

Shota Shaburishvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Natia Terterashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

E-commerce has seen significant growth and transformation over the years. Scientists and experts in the field have extensively researched and analyzed various trends that reveal the main advantages and challenges of this type of business. The development of information technology and the growth of digital transformation processes have given birth to a digital consumer in the market. Also, the share of online shopping in total sales has increased significantly during the COVID-19 period, with mobility restrictions prompting many people to purchase products online more often. In the face of rising inflation, consumers prefer research and price comparisons to make informed decisions, and e-commerce provides this opportunity best.

Despite the steady growth of online spending in Georgia, the share of e-commerce in retail sales is significantly lower than that of developed markets. Therefore, it is necessary to improve the digital infrastructure and promote the introduction of modern technologies. Georgia should use the existing advantages such as a developed banking sector, high access to the Internet and a relatively young population of the country.

Keywords: *Electronic Commerce; Information Technologies; Business Administration; Digital Transformation, Globalization.*

საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების ეკონომეტრიკული ანალიზი და განვითარების პერსპექტივები

თემურ შენგელია
პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების, დემოგრაფიული პროცესების, რეგიონალური ეკონომიკის პრობლემების ანალიზისთვის მეცნიერები იყენებენ გრავიტაციის პრინციპს ასახულს შესაბამის ეკონომეტრიკულ მოდელებში. უკანასკნელი წარმოადგენს ქვეყნის სავაჭრო პოტენციალის ანალიზის ინსტრუმენტს, რომლის გამოყენება მნიშვნელოვანია ისეთი მცირე ეკონომიკის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ნაშრომში წარმოდგენილია საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელების შეფასებისადმი არსებული ძირითადი მიდგომები. საერთაშორისო ვაჭრობის ეკონომეტრიკული ინსტრუმენტები მნიშვნელოვნად გამდიდრდა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ცხადია ისიც, რომ არსებულ მეთოდებს აქვთ ძლიერი და სუსტი მხარეები. ამის გათვალისწინებით, კონკრეტული მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზნებზე და ამოცანებზე. სტატიაში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურული მაჩვენებლების გათვალისწინებისადმი ალტერნატიული მიდგომა, რომელიც ეფუძნება: საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნებს შორის არსებული მანძილისა და მშპ-ს გაანგარიშებას. მოდელში დამატებითი ცვლადების შეყვანით გათვალისწინებულ იქნა საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის სპეციფიკა და თავისებურებები. შესაძლებელი გახდა დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, რომლებიც სრულად ასახავენ იმ თავისებურებებს, რომლითაც ხასიათდება ქვეყანის საგარეო ვაჭრობა.

საკვანძო სიტყვები: *საქართველოს საგარეო ვაჭრობა, ეკონომეტრიკული მიდგომა, წრფივი რეგრესია, დამატებითი ცვლადები, მეთოდოლოგიის სრულყოფა.*

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების ანალიზისთვის მეცნიერები ფართოდ იყენებენ ისააკ ნიუტონის [Newton, 1687] მიერ 1687 წელს ჩამოაყალიბებულ გრავიტაციის პრინციპს, რომლის შესაბამისად, სხეულის მასის ყოველი წერტილი მიზიდულობის ძალით მოქმედებს მასის ყველა სხვა წერტილზე.

ი. ნიუტონის გრავიტაციის კანონის ძირითადი პრინციპების გაზიარების საფუძველზე, გრავიტაციული მოდელირება გახდა ქვეყნებს შორის სავაჭრო ნაკადების ანალიზის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი. ამასთან, კლასიკურ გრავიტაციულ მოდელებში გამოყენებული პარამეტრების ნაკრები კონსერვატიულია. როგორც წესი, ის მოიცავს ამ პროცესში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ ზომას, როგორც ვაჭრობის ზრდის ხელშემწყობ და მათ შორის მანძილს, როგორც დამაბრკოლებელ ფაქტორებს. უკანასკნელ წლებში გაანგარიშებათა საიმედოობის ზრდის მიზნით, მოდელის ზოგიერთ მოდიფიკაციაში შეყვანილია დამატებითი ცვლადები. ისეთები, როგორიცაა: სავაჭრო ბარიერები, სატრანსპორტო ხარჯები, სოციო-კულტურული და სხვა ფაქტორები, რომელებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ სავაჭრო ურთიერთობებათა განვითარებაზე, რამაც ხელი შეუწყო მოდელის თავდაპირველი სახის სრულყოფას და გაანგარიშებათა ვალიდურობის ზრდას. ამავდროულად, ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სავაჭრო ნაკადების მოცულობაზე მათი გავლენის ხა-

რისხის დასადგენად, გრავიტაციული მოდელები პრაქტიკულად არ იყენებენ სხვადასხვა სოციო-ეკონომიკურ ფაქტორებს.

1962 წელს ი. ტინბერგენმა [Tinbergen, 1962] ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის ეფექტიანობის დასადგენად გამოიყენა გრავიტაციული განტოლება. მეცნიერის მიერ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობის მოცულობის ასახსნელად გამოიყენებულ განტოლებაში შეყვნილია ისეთი პარამეტრები, როგორცაა: პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზომა და სავაჭრო დანახარჯები. ეკონომიკური ზომის დასადგენად ი. ტინბერგენის მოდელში ჩართულია ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი, ხოლო მათ შორის მანძილი ავტორის მიხედვით ასახავს მათ სავაჭრო დანახარჯებს. ამ მიდგომის განვითარების შედეგად საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელები გახდა სავაჭრო ნაკადების ემპირიული ანალიზის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

თანამედროვე ეტაპზე ორმხრივი ვაჭრობის მოცულობაზე ზემოქმედი ფაქტორების შესაფასებლად გამოიყენება მოდიფიცირებული გრავიტაციული მოდელების სხვადასხვა სახეები, რომლებიც ეყრდნობა საერთაშორისო ვაჭრობაზე ზემოქმედ ფაქტორთა განსხვავებულ სიმრავლეს. ამ სფეროში კვლევების გასამდიდრებლად, გრავიტაციულ მოდელებში შეყვანილია ისეთი დამატებითი ცვლადები, როგორიცაა: ბუნებრივი და პოლიტიკური საზღვრები, სატრანსპორტო ხარჯები, მონეტარული და მრავალი სხვა ფაქტორი. გრავიტციული მოდელების სრულყოფის სფეროში ჩატარებული კვლევები სისტემატიზებულ იქნა დ. ანდერსონის და ე. ვან ვინკუპის მიერ [Anderson & Van Wincoop 2004]. გარდა ამისა, ამ მეცნიერებმა, საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული მეთოდების პოტენციალის შეფასებისთვის გამოიყენეს ქვეყნების მსგავსების თეორია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ფენომენის ასახსნიელად შვედმა ეკონომისტმა - სტეფან ლინდერმა პირველად გამოიყენა ქვეყნების მსგავსების თეორია. 1961 წელს, ამ ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით მეცნიერმა გამოაქვეყნა თავისი ფუნდამენტური ნაშრომი [Linder, 1961], რომელიც ეხებოდა საერთაშორისო ვაჭრობის დინამიურ ანალიზს. საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე პროცესების ანალიზის შედეგად, ს. ლინდერი მივიდა დასკვნამდე, რომ სამრეწველო საქონლით საერთაშორისო ვაჭრობას პრიორიტეტი ენიჭება იმ ქვეყნებში, რომლებიც ხასიათდებიან მომხმარებელთა მსგავსი ყიდვითუნარით. ს. ლინდერის ქვეყნების მსგავსების თეორიაზე დაყრდნობით, ყველაზე ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობები უნდა განხორციელდეს იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც მომხმარებლებს აქვთ ეკონომიკური განვითარებისა და საშუალო შემოსავალის მსგავსი მაჩვენებლები. ს. ლინდერის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფციის შესაბამისად, ამ ფაქტორებმა პოზიტიური გავლენა უნდა მოახდინონ სავაჭრო ურთიერთობების ზრდაზე. მეცნიერის აზრით, ექსპორტნიორი კომპანიებისთვის ყველაზე პერსპექტიული არის იმ ქვეყნების ბაზრებზე ოპერირება, სადაც მყიდველის პრეფერენციები მსგავსია. ს.ლინდერი ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ფაქტორებს შორის განსხვავება ყოველთვის არ ასახავს საერთაშორისო გაცვლების მოცულობას. მეცნიერის მიდგომები რადიკალურად განსხვავდებოდა საერთაშორისო ვაჭრობის არსებული თეორიებისაგან [Samuelson, 1948; Krugman 2012]. ვაჭრობის მონაცემებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია შეფასდეს ლინდერის თეორიის გამოყენება თანამედროვე საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებათა ანალიზის პროცესში.

არსებული თეორიული მიდგომები მატერიალიზაციას ჰპოვებენ რეალურ პრაქტიკაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გრავიტაციული მოდელის შესაძლებლობების გამოყენება საქართველოს სავაჭრო ნაკადების ანალიზისთვის [Silagadze, 2022; Shengelia ets. 2020; Shengelia ets. 2014.]. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებზე დაფუძნებული გრავიტაციის პრინციპის ემპირიული შემოწმება. ამ საფუძველზე ჩამოყალიბებული კონცეპტუალური მიდგომებიდან გამომდინარე, საქართველოს სავაჭრო ნაკადების მოცულობა შეიძლება გან-

ვიხილოთ, როგორც ფუნქციური დამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს მშპ-ს მოცულობისა და ქვეყნებს შორის გეოგრაფიული მანძილის ზეგავლენას საერთაშორისო ვაჭრობაზე (ი.ტინბერ-გენის მოდელიდან გამომდინარე). გრავიტაციული მოდელის შესაბამისად, სავაჭრო ნაკადები იზ-რდება ეროვნული ეკონომიკის პოზიტიური ცვლილების შესაბამისად და მცირდება გეოგრაფიული მანძილის ზრდასთან ერთად. გაანგარიშებების პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა გრავი-ტაციის კლასიკური მოდელის წრფივი ლოგარითმული ფორმა. კვლევის შედეგების ვალიდურობის ზრდის მიზნით კლასიკურ მოდელში შეყვანილ იქნა ისეთი დამატებითი ცვლადები, როგორიცაა: საზღვარი - BORDER, (ეს ცვლადი მოდელში ტოლია 1-ის თუ საქართველოსა და სავაჭრო პარტნიო-რებს შორის არსებობს საერთო საზღვარი და ის ტოლია 0-ის, თუ ის არ გააჩნიათ). ცხადიაა ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია ზღვაზე გასასვლელი, რაც პოზიტიურად უნდა აისახოს ქვეყნის საერ-თაშორისო ვაჭრობაზე. ამიტომ, განტოლებაში დამატებით შეყვანილ იქნა ისეთი ფიქტიური ცვლადი, როგორიცაა - ზღვა (SEA), რომელიც ტოლია 1-ის, თუ სავაჭრო პარტნიორს აქვს ზღვაზე გასასვლელი და 0-ის თუ კი ასეთი გასასვლელი არ გააჩნია.

ამ თავისებურებების გათვალისწინებით, მოდიფიცირებული გრავიტაციული მოდელი მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\ln(TRADE_{tj}) = \alpha + \beta \ln(GDP\ Geo_t) + \gamma \ln(GDPPartner_{tj}) + \Delta \ln(DIST_j) + \varepsilon_1 BORDER_j + \varepsilon_2 SEA_j \quad (1)$$

სადაც:

$(TRADE_{tj})$ არის t da j ქვეყნებს შორის სავაჭრო ბრუნვის მოცულობა;

$(GDP\ Geo_t)$ - საქართველოს მშპ t დროის პერიოდში;

$(GDPPartner_{tj})$ - პარტნიორი ქვეყნების მშპ t დროის პერიოდში;

$(DIST_j)$ - ქვეყნებს შორის მანძილის მაჩვენებელი;

$(BORDER)$ - ქვეყნებს შორის საერთო საზღვრის მაჩვენებელი;

(SEA) - ქვეყნების ზღვაზე გასასვლელი მაჩვენებელი;

$\varepsilon_1 \varepsilon_2$ - დამატებითი პარამეტრების პროპორციულობის მაჩვენებელი,

a = in (G) - G პროპორციულობის კოეფიციენტი.

მოდელში შევიყვანეთ საქართველოს მსოფლიოს სავაჭრო პარტნიორებთან (32 ქვეყანა) ვაჭ-რობის მონაცემები 2015-2022 წლებში. საინფორმაციო ბაზად გამოყენებულ იქნა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების მაჩვენებლები გაეროს მონაცემთა ბაზის მიხედვით [https:// www. Comtrade.un.org], ნომინალური მშპ მსოფლიო ბანკის მონაცემებიდან გამომდინარე [https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD] და ქვეყნებს შორის მანძილი [https://www.di-stance-betweencountries.com/countries/distance_between_countries.]. მოდელი ცალ-ცალკე არის გაან-გარიშებული ექსპორტისა და იმპორტისთვის. გაანგარიშების შედეგები წარმოდგენილია შემდეგი ცხრილის სახით (იხ.ცხრილი №1).

ცხრილი №1

საქრთველოს საგარეო ვაჭრობის გრავიტაციული მოდელის გაანგარიშება

ცვლადები	ექსპორტი	იმპორტი
GDP Geo	0,11 (0,12)	0,21 (0,14)
GDP Partner	1,08 (0,2)	1,43 (0,03)

Distanse	-1,75 (0,09)	-1,10 (0,10)
Border	1,29 (0,20)	1,88 (0,26)
SEA	0,22 (0,12)	-0,78 (0,14)
დაკვირვებათა (შერჩევის რაოდენობა)	2012	2108
დეტერმინაციის კოეფიციენტი R	0,63	0,64
F-სტატისტიკა	868	765
მოდელის საშუალო ცდომილება	10%	19%
მოდელის მედიანური ცდომილება	7%	10%

შენიშვნა: *ფრჩხილებში წარმოდგენილია სტანდარტული ცდომილება.*

გაანგარიშებებათა შედეგების ანალიზიდან ცხადი გახდა, რომ ამ სახით მოდიფიცირებული მოდელიც კი, რომელშიც შეყვანილია მხოლოდ ორი ფიქტიური ცვლადი, საკმაოდ სრულად აღწერს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაში არსებულ მდგომარეობას. მოდელში საშუალო ცდომილების მაჩვენებელი არ აღემატება 19, ხოლო მედიანური ცდომილება 10 პროცენტს. დეტერმინაციის კოეფიციენტი R-ის მაქსიმალური ოდენობა 0,64, რაც ნორმალურია. F სტატისტიკა აღემატება ფიშერის კრიტერიუმს. გაანგარიშებათა შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაზე დიდ ზეგავლენას ახდენს მშპ-ს მოცულობა, ასევე საერთო საზღვარი (როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაოსნო), t-სტიუდენტის კრიტერიუმის მიხედვით, მოცემული კოეფიციენტები მნიშვნელოვანია. ცვლადები, რომლებიც ასახავენ საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობაზე მანძილის ზეგავლენას უარყოფითია, რაც მეტყველებს იმაზე, რომ გეოგრაფიული მანძილის ზრდა, პოზიტიურად არ აისახება ქვეყნის ექსპორტზე და იმპორტზე.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ საქართველოს იმპორტისთვის ქვეყნის მშპ-ს მნიშვნელობა არის არსებითი, რადგანაც მშპ განსაზღვრავს მოთხოვნას საშინაო ბაზარზე და მისი ზრდის შემთხვევაში იზრდება იმპორტიც. თუმცა, ის მიმღები ქვეყნის მშპ-ს მაჩვენებელზე ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგანაც უკანასკნელი არსებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის პარამეტრებზე.

პარტნიორი ქვეყნის ზღვაზე გასასვლელის კოეფიციენტის ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობისთვის პარტნიორის ზღვაზე გასასვლელს არასაკმარისი ზეგავლენა აქვს. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს გააჩნიათ ვაჭრობის დივერსიფიკაციის მეტი შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს მშპ არსებით ზეგავლენას არ ახდენს ექსპორტის მოცულობაზეც. ეს შეიძლება აიხსნას საექსპორტო საქონლის სტრუქტურით და მისი სიმწირით. ის საქონელი, რომელიც ჩვენ გაგვაქვს მიმღებ ქვეყნებში არ სარგებლობს დიდი მოთხოვნით და შედარებით დაბალკონკურენტუნარიანია.

ანალიზი ცხადყოფს რომ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არსებული პრობლემები მნიშვნელოვნად არის გამოწვეული იმ ფაქტორებით, რომლებიც არ ახდენენ პოზიტიურ ზეგავლენას ქვეყნის სავაჭრო პოტენციალის განვითარებაზე, რაც უნდა გახდეს სერიოზული განსჯისა და სავაჭრო პოლიტიკის სფეროში რადიკალური ცვლილებების საფუძველი.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გრავიტაციული მოდელი წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის კვლევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. მოდელში დამატებითი ცვლადების ჩართვა აფართოებს მისი გამოყენების შესაძლებლობებს. მოდელის აგება და ამ საფუძველზე წარმოებული გაანგარიშებები საკმაოდ ზუსტად ახასიათებს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ტენდენციას. გაანგარიშებების შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვანია საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნადი საქონლის წარმოების საფუძველზე, საექსპორტო პროდუქციის სრულყოფა. ანალიზით დადგინდა, რომ საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები წარმატებულად ვითარდება იმ ქვეყნებთან, რომელთანაც მას აქვს საერთო საზღვარი, პერსპექტივაში მნიშვნელოვანია ზღვის რესურსული პოტენციალის გამოყენება, რომელიც ორიენტირებულ უნდა იყოს იმ ქვეყნებზე, რომლებიც გამოირჩევიან დიდი გეოგრაფიული მანძილით. საერთაშორისო ვაჭრობის გრავიტაციული ეფექტი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს გააჩნია დიდი სავაჭრო პოტენციალი, რომლის ათვისებაც ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის გონივრულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რაც საბოლოო ჯამში დადებითად აისახება მის ეკონომიკურ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Newton I. (1687). Philosophiae Naturalis Principia Mathematica. https://en.wikipedia.org/wiki/Philosophi%C3%A6_Naturalis_Principia_Mathematica
2. Tinbergen J. (1962). Shaping the World Economy: Suggestions for an International Economic Policy. NY: Twentieth Century Fund. 330 p.
3. Anderson J., Van Wincoop E.(2004). Trade Costs. Journal of Economic Literature. 42(3) : 691–751.
4. Anderson J. (1979). Theoretical Foundation for the Gravity Equation. American Economic Review, 69, (1): 106-116
5. Linder S. 1961. An Essay on Trade and Transformation. Uppsala, 170 p.
6. Samuelson P. (1948) International Trade and the Equalisation of Factor Prices. The Economic Journal (58):163–184
7. Krugman P. (2012). International Economics: Theory & Policy/ Krugman P., Obstfeld M., Melitz M. 9th ed. Boston, Pearson Education, Inc. 736 p.
1. Silagadze, A.(2022) Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. Bulletin of the Georgian National Academy of Science. 16 (3): 130-135.
2. Shengelia T, Gelashvili M. (2020) Export potential of Georgia. World Economy and International Economic Relations. (3): 29-33
3. Shengelia T, Berishvil Kh. (2014). Evaluation of the global position of Georgia and its role in the development of business. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine. Nova Science Publishers. 6 (1): 57
4. Shengelia. T., Kozak Y., Kirkitadze Z. (2020). FDI motivation effects on Host countries. World economy and international economic relations. (3):15-20
5. Kozak Y., Shengelia T., Gribincea A. (2020) The current state of the world economy, international economic relations and the paradigm of global issues. World economy and international economic relations. (3):5-11
6. გაეროს საქონლით ვაჭრობის სტატისტიკური ბაზა. https:// www. Comtrade.un.org.

7. მსოფლიო ბანკის მონაცემები. https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?name_desc=false.
8. ქვეყნებს შორის მანძილი. https://www.distance-between-countries.com/countries/distance_between_countries.php?from=Georgia&language=English.

Econometric Analysis of the Trade Relations of Georgia and its Development Prospects

Temur Shengelia
Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

As a result of the research, it was determined that the gravity model is an important tool for international trade research. Including additional variables in the model expands the possibilities of its use. The construction of the model and the calculations made on this basis quite accurately characterize the trend established in the foreign trade of Georgia. As a result of the calculations, it was determined that it is important to improve Georgia's competitiveness, to increase its export potential, to produce goods in demand on international markets, and to perfect export products. The analysis established that Georgia's trade relations are developing successfully with the countries with which it has a common border, in the perspective it is important to use the resource potential of the sea, which should be focused on those countries that are distinguished by a large geographical distance. The gravitational effect of trade shows that Georgia has a great trade potential, the utilization of which depends a lot on the reasonable economic policy of the country, which ultimately has a positive impact on the country's economic development.

სამი ილიას სწავლებანი და მოღვაწეობა
სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის სფეროში

გიორგი შიხაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კახაბერ რუსიძე
ეკონომისტი, გამომცემლობა „მერიდიანის“ დირექტორი

მთელი კაცობრიობის, ცალკეული ერების და ქვეყნების ისტორიის, მათი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ღვთისმეტყველური გააზრებისათვის საჭიროა ღვთაებრივი და ადამიანური ძალების თანაქმედების სინერგიული აღქმა. ასეთი აზროვნების, ქადაგების და მოღვაწეობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სამი ღვთივგანბრძნობილი ილია: წმ. წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი, წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე) და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

სტატიაში ასახულია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის შეცნობა-სიყვარულის, შრომითი საქმიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ.

სინერგია არის ადამიანური და ღვთაებრივი ძალის შერწყმა და ღვთის მოწყალების კარის განღება. საზოგადოებრივი და პიროვნული წინსვლა-განვითარებისთვის აუცილებელია ორი ძალის – ღვთაებრივისა და ადამიანურის გაერთიანება სინერგია. მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას.

საკვანძო სიტყვები. *სამი ილიას სწავლებანი და მოღვაწეობა. შევიცნოთ და გვიყვარდეს ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. პიროვნული შრომა/შრომითი საქმიანობა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმი.*

საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი სულიერი ზესვლაა. რელიგიასთან ერთად, საზოგადოებრივ ცხოვრებას განეკუთვნება შრომა, სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობა. მხოლოდ ღვთაებრივ, ეკლესიურ საწყისებთან მისი სინერგიული შეთანაწყობის საფუძველზე არის შესაძლებელი ჭეშმარიტი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე.

საქართველოს კულტურული, ინტელექტუალური, სამეცნიერო, მატერიალური, სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პოტენციალის აღორძინება სულიერი ამაღლებით უნდა დაიწყოს.

უფლის განგებულებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მფარველი ანგელოზის დღე აღინიშნება 2 აგვისტოს, როდესაც მოიხსენებიან წმ. წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი და წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე). ასეთი ღვთივდადგენილი, ღვთივმონიჭებული გარემოება ცხადად გვიდასტურებს სამი ილიას ღვთივრჩეულობას, ღვთივსათნოობას და ღვთივსულიერი, სინერგიული მოძღვრებით მათი ქადაგებისა და თავდადებული მოღვაწეობის უდიდეს მნიშვნელობას საქართველოსა და მთელი კაცობრიობისათვის. *ქვემოთ გადმოვცემთ მათი წინასწარხილვის, წინასწარხედვის, წინასწარმეტყველების, სწავლებისა და პირადი ცხოვრებისეული მოღვაწეობის უმთავრეს სამერთიან მომენტებს:*

- მარხვა, ლოცვა, უფალი. (ღვაწლი წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- უფალ ღმერთს მიჰყევით. (სწავლება წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- ლოცვა, ღრუბელი, წვიმა. (ღვაწლი წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- ვენახის წამრთმევი დაიღუპება. (სწავლება წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- ილია, ენოქი, მაცხოვარი. (სწავლება იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებიდან).
- ილია, მოსე, ქრისტე. (მაცხოვრის სწავლება და ქმედება ფერისცვალებისას).
- აღმოგვიცენებს კურნებასა და წყალობასა. (წმ. ილია თეზბიტელის კონდაკიდან).
- კვართი, ხალენი, პერანგი. (მაცხოვრის კვართი, ილიას ხალენი, ღვთისმშობლის პერანგი საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის თეოლოგიური, სამერთიანი, სინერგიული გააზრების საფუძველი).
- ღვაწლი, სიკვდილი, უკვდავება. (წმ. ილია მართლის ტროპარიდან).
- წარსული, აწმყო, მომავალი. (წმ. ილია მართალი).
- მამული, ენა, სარწმუნოება. (წმ. ილია მართალი).
- მიწა, გუთანი, შრომა. (წმ. ილია მართალი).
- სწავლა, შრომა, წარმოება. (წმ. ილია მართალი).
- სოფელი, მრეწველობა, ეკონომიკა. (წმ. ილია მართალი).
- სოფლის მეურნეობის უპირატესობა. (წმ. ილია მართალი).
- მთავრობა, ხალხი, მეურნეობა. (წმ. ილია მართალი).
- ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ჭეშმარიტი ბედნიერება სიყვარულშია. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- უფალი განაგებს ყოველივეს. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ოჯახი მცირე ეკლესიაა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ვაზი, ხორბალი, საქართველო. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- სოფელი, წარმოება, აღორძინება. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- უფალი, მეცნიერება, ეკონომიკა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- იხარეთ ორთავ სოფელში. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- საქართველოვ, ძალიან მიყვარხარ. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- დაწყებულია ადამიანის განწმენდა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- კეთილი საქმეები გადაგვარჩენს. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ვიცხოვროთ, ვიშრომოთ ერთმანეთისთვის. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- საქართველო ბოლოჟამს გაბრწყინდება. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ქართველნო, ერთად ღვთისაკენ. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

უმთავრესი მართლმადიდებლური სწავლებანი საკუთარი თავის შეცნობის, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მართვისა და ბოლო ჟამის შესახებ

ამ სფეროს უმთავრესი სწავლებებია:

- შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფ-

ლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს. (დაბ. 1, 27-28).

- აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად. (დაბ. 2, 15).
- გავა ადამიანი, რათა იშრომოს და იმუშაკოს მწუხრის ჟამამდე. (ფსალმ. 103, 23).
- თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს. (2 თეს. 3, 10).
- ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა. (ლუკ. 10, 7).
- მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა. (მათ. 22, 21).
- ჩვენი ბეღლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე. (ფსალმ. 143, 13).
- მოჰმადლე ნაყოფიერებაი მიწასა ჩვენსა; მასაზრდოებელო ჩვენო და ჩვენთა პურთა და ყანათათვის ბარაქის მომცემელო. (ღვთისმშობლის „ბარაქის“ ხატის დაუჯდომელი, კონდაკი 1).
- უფლის ნებით, ძველი აღთქმის ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი წმ. ილია თეზბიტელი ცეცხლოვანი ეტლით იქნა აღტაცებული ზეცად. საეკლესიო გადმოცემით, ილიას ხალენი (მოსასხამი) საქართველოშია დაფლული, სვეტიცხოვლის ტაძარში, წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკვდერში. (http://www.orthodoxy.ge/tveni/ivlisi/elia.htm).
- ეკლესიის სწავლებით, წმ. ილია თეზბიტელი ამა სოფლის უკანასკნელ დღეებში ანტიქრისტეს სამხილებლად ენუქთან ერთად უნდა გამოჩნდეს იერუსალიმში, რათა თავიანთი საკვირველი ქადაგებითა და სასწაულთმოქმედებით ადამიანებს განუცხადონ ის არნახული სიცრუე, რომელიც სულ უფრო მეტად და მეტად ემუქრება და ეპატრონება კაცობრიობას. (http://www.orthodoxy.ge/tveni/ivlisi/elia.htm).
- როგორც წმ. ილია თეზბიტელის ხალენის (მოსასხამის), ისე ქრისტეს კვართის მცხეთაში არსებობას განსაკუთრებით წმ. ნინო აქცევს ყურადღებას, ვინაიდან ორივე სიწმიდე სიმბოლურად ასახავს ორ ეპოქას: წმ. ილია წინასწარმეტყველის ხალენი ძველ აღთქმას, ქრისტეს კვართი ახალ აღთქმას. ამ სიწმინდეების აქ არსებობა მიანიშნებს ამ ქვეყნის ღმრთივრჩეულობაზე. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ქართველ ებრაელებს „ჰურიათა ქართველთა“ ქართულმა ისტორიულმა ტრადიციამ განსაკუთრებული სტატუსი შეუნარჩუნა ისინი არიან მართლები, მათ ამოიცნეს მესია და არ გაისვარეს ხელი წმინდა სისხლით. (http://www.orthodoxy.ge/tveni/ivlisi/elia.htm).
- უფლის ბრძანებით წმ. ილია თეზბიტელი წარდგა მეფე აქაბის წინაშე, ამხილა კერპთმსახური მეფე და სინანულისა და ჭეშმარიტ ღმერთთან მიბრუნებისკენ მოუწოდა, თან განუმარტა, რომ მისი მაგალითით ირყვნებოდა უფლის რჩეული ერი, თუმცა არც მეფემ ისმინა მისი და არც ხალხმა. მეფე აქაბმა და დედოფალმა იეზაბელმა შეიძულეს ილია და დევნა დაუწყეს მას. (http://www.orthodoxy.ge/tveni/ivlisi/elia.htm).
- საზოგადოებრივი კეთილდღეობა სულიერი და ხორციელი საზრდოს ერთიანობით არის განპირობებული. (წმ. ილია მართალი).
- მამული, ენა, სარწმუნოება. (წმ. ილია მართალი).
- დაღუპვისათვის არის განწირული მხოლოდ ვაჭრობაზე დამყარებული ერი, რომელსაც არ აქვს ადგილობრივი წარმოება განვითარებული. (წმ. ილია მართალი).
- მიწა, გუთანი, შრომა. (წმ. ილია მართალი).
- სოფლის მეურნეობის უპირატესობა. (წმ. ილია მართალი).
- ეკონომიკური სიძლიერე საადგილმამულო მრეწველობა. (წმ. ილია მართალი).
- მთავრობა, ხალხი, მეურნეობა. (წმ. ილია მართალი).

- ნამდვილი ბედნიერების საიდუმლო ღმერთისა და მოყვასის სიყვარულში მდგომარეობს. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა გადავწყვიტოთ, საჭიროა ეკონომიკური საქმიანობის და სათანადო განათლების მოწესრიგება თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით, ამასთან, ეკონომიკა განვითარდება, თუ საქართველო შეინახავს ეროვნულ ფასეულობებს. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ჩვენში უამრავი მდინარეა. რამდენი თევზის საშენი შეიძლება გაკეთდეს აქ? (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- კარგი იქნება, თუ ყველა ტაძართან მეურნეობა შეიქმნება. ტაძარს უნდა ჰქონდეს საკუთარი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მრევლი დაამუშავებს. ასევე შესაძლებელია პირუტყვის მოშენებაც. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- შრომა და განსაკუთრებით კი ერთად შრომა, მრევლში სულიერობასაც აამაღლებს, ლოცვასთან ერთად ხომ შრომაც აუცილებელია. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

დასკვნითი ნაწილისათვის

მრავალთა და მრავალთა (მათ შორის, სხვა სარწმუნოებისა და ეროვნების წარმომადგენელთა, როგორც ადგილობრივთა, ასევე უცხოელთა) ზეგარდამო მოვლენილი ხილვებით და აზრით, მათ მიერ პატრიარქისადმი მიმართული ლოცვებით, გალობით, ქებით და ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით გამოხატვით, თვალნათლივ არის გამოკვეთილი, რომ თავისი საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებითა და დაუცხრომელი, თავდადებული მოღვაწეობით, ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულით აღსავსე, *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წარმოგვიდგება, როგორც:*

- მაცხოვრისა და ღვთისმშობლისაგან გამორჩეული პატრიარქი, მათგან საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის სინერგიული მსახურების მისიადაკისრებული მწყემსმთავარი და ივერიის ერთიანობა-გაბრწყინებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და წინამძღოლი;
- ყოველი ადამიანის მიერ საკუთრი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის ეროვნული და გლობალური პრობლემატიკის მართლმადიდებლური სინერგიული გააზრებისა და შესაბამის ქმედებათა მასწავლებელი;
- თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, ღვთივგანბრძნობილი, სინერგიულად მოაზროვნე და მოღვაწე პიროვნება;
- უფლისმიერი ნეტარებებით ზეგარდამო შთაგონებულად მცხოვრები, თვითონაც მარადიული ნეტარების გზაზე მდგარი და ამ გზაზე ყოველი ჩვენგანის, სრულიად საქართველოს და კაცობრიობის დამყენებელი სულიერი მოძღვარი, მასწავლებელი და წინამძღოლი.

სასულიერო, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედება და პირადი მოღვაწეობა გვევლინება როგორც ქართული სახელმწიფოს ღვთივსულიერი, სინერგიული, ჰარმონიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის, ბოლო ჟამთან მისადაგებული ეროვნული კონცეფციის, მოდელის, შესაბამისი სტრატეგიული გეგმის, სათანადო სპეციალური პროგრამების, პროექტებისა და რეალური პრაქტიკული საქმიანობის საფუძველი.

სტატიის ავტორთა სინერგიული ლოცვა-ვედრებანი მაცხოვრისადმი, ღვთისმშობლისადმი, სამი ილიასადმი და პატრიარქისადმი

ლოცვა-ვედრება იესო ქრისტესადმი ქვეყნიური სიკეთეებისა და საცხოვნებელი სულიერ-ხორციელი წყალობის მომადლებისათვის

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი. შეგთხოვთ უფალო, მოგვმადლე შენი დიდი წყალობა, აკურთხე, განწმინდე, განკურნე, განატფე, აღადგინე, ააღორძინე გარემომცველი ბუნება, ჰაერი, მიწა, წყალი, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი გარემო და ყოველი ქვეყნიური სიკეთენი, ნაყოფნი მათნი, ჩვენი მამულ-დედული, სახლ-კარი, კარ-მიდამო, ოჯახები ჩვენი და ჩვენ ყოველნი, მათგან მიმღებელნი შენისა დიდისა საცხოვნებელი სულიერ-ხორციელი საზრდოსი, რათა ვიხაროთ ორთავ სოფელსა შინა, სადიდებელად მამისა და ძისა და წმინდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

ლოცვა-ვედრება იესო ქრისტესადმი ჭეშმარიტების, საკუთარი თავის, გარესამყაროს შეცნობისა და ცხოვრების არსის სინერგიული გააზრებისათვის

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, აღდგომილო მკვდრეთით, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი, მოგვმადლე, რომ ჭეშმარიტების, საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური გარემოს სინერგიული შეცნობის საფუძველზე ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულით წარვმართოთ ამქვეყნიური ცხოვრება, რათა მოვიპოვოთ სანუკვარი გამარჯვება სიკვდილზე და მარადიული სიცოცხლე და ნეტარება ზეციურ საუფეველში, სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

ლოცვა-ვედრება ივერიის ღვთისმშობლის ხატისადმი ივერიის გაბრწყინებისათვის

ჰოი, ყოვლადწმინდაო დედოფალო ღვთისმშობელო, ოდეს წმიდა ხატი შენი გადმობრძანდება ათონის მთის ივერონიდან და დაივანებს ახალ ათონში, მახათას მთაზე და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, მეორედ მოსვლის ნიშთან უფლისკენ წარუძღვება ერსა თვისსა, მაშინ მიჰგვარე შენი წილხვედრი ივერიონნი ძესა შენსა და მაცხოვარსა ჩვენსა იესო ქრისტეს, რათა განაბრწყინვოს, განაღმრთოს და ზეციურ სასუფეველში დაამკვიდროს მისი მცირე ძალის მქონე, მაგრამ ერთგული და გაუტეხელი მორწმუნენი სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

ლოცვა-ვედრება სამი ილიასადმი

მოგმართავთ ვედრებით ღვთივკურთხეულ, ღვთივსათნო, ღვთივგანბრძნობილ სამ დიდ მოღვაწეს ილია თეზბიტელს, ილია მართალს და საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს/ილია ივერიელს: მეოხ გვეყავით ყოველ ადამიანს, საქართველოს და მთელ კაცობრიობას წინაშე უფლისა, რომ აღგვავსოს რწმენით, იმედით, სიყვარულით; შეგვაცნობინოს ღმერთი, სამშობლო, ადამიანი; შეგვეწიოს ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური სინერგიული მოვალეობების აღსრულებაში და ბოლო ჟამის, ანტიქრისტესეულ განსაცდელთა დაძლევაში; სულიერ-ხორციელად განწმენდილნი შეგვახვედროს

მაცხოვრის მეორედ მოსვლას, რათა განგვაღმრთოს და დაგვამკვიდროს თავის სასუფეველში სადიდებელად მამისა და ძისა და წმინდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

საეკლესიო ლოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სადმი ორთავ სოფელსა შინა გახარებისათვის

უწმინდესო და უნეტარესო ილია II, ჩვენო წინამძღოლო, მწყემსო და მოძღვარო, საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის ამაღორძინებელო და სიყვარულის პატრიარქო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის, ჩვენი სულიერ-ხორციელი სიჯანსაღისა და საოჯახო-ყოფითი და საზოგადოებრივ-სამეურნეო კეთილდღეობისათვის, რათა ვიხაროთ ორთავ სოფელსა შინა და ვადიდოთ უფალი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე ყველგან და ყოველთვის და ვმადლობდეთ მას ყველაფრისათვის. ამინ!

+ + +

ვთხოვოთ ჩვენს საყვარელ პატრიარქს, რომ კვლავაც მრავალჟამიერ დაუცხრომლად იღვაწოს და ილოცოს ღმერთის, ღვთისმშობლის, დიდი წმინდანების, წმ. ილია თეზბიტელის და წმ. ილია მართლის წინაშე ერის, სამშობლოსა და ყველა ადამიანისთვის, საქართველოს, კაცობრიობისა და მთელი მსოფლიოს სინერგიული სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარებისა და ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებისათვის, სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. თბილისი, 1989.
2. გ. შიხაშვილი. სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის თემატიკა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებში. თბილისი, „მერიდიანი“, 2021. (წიგნი, სახელმძღვანელო 448 გვ.)
3. გ. შიხაშვილი, კ. რუსიძე. საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის მართლმადიდებლური საფუძვლები. თბილისი, „მერიდიანი“, 2023. (წიგნი, სახელმძღვანელო, 268 გვ.)
4. გ. შიხაშვილი, კ. რუსიძე. მართლმადიდებლური სწავლება საკუთარი თავის შეცნობისა და სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის შესახებ. ეკონომისტთა V ეროვნული კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თბილისი, გრუნი, 2023. (სამეცნიერო სტატია).
5. სამი ილია - სოციალურ-ეკონომიკური სინერგიზმის ღვთივგანბრძნობილი მასწავლებელნი და მოღვაწენი. თბილისი, „მერიდიანი“, 2023. (წიგნი, დამხმარე სახელმძღვანელო, 124 გვ.)

Three Ilia's Teachings and Activities in the field of Socio-Economic Synergism

Giorgi Shikhashvili
Invited Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Kakhaber Rusidze
Economist

SUMMARY

For the theological understanding of the history of the entire humanity, individual nations and countries, their past, present and future, a synergistic perception of the cooperation of divine and human forces is needed. The best example of this kind of thinking, preaching and work is represented by the three God-fearing Ilias: St. Prophet Ilia Tezbitel, St. Ilia the Righteous (Chavchavadze) and Catholicos-Patriarch of Georgia Ilia II.

Bureaucracy and Corruption in the Entrepreneurial Ecosystem of the Republic of Moldova: the Perspective of Entrepreneurs

Alexandru Stratan
Habilitated Doctor, University Professor, Rector,
Academy of Economic Studies of Moldova, AESM
Natalia Vinogradova
PhD, Research Associate Professor,
National Institute for Economic Research, AESM

In this article, the phenomena of bureaucracy and corruption are examined as factors within the entrepreneurial ecosystem of the Republic of Moldova. Despite the measures actively taken by the Government of the country to reduce bureaucracy in business activities and combat corruption, these factors remain prevalent in the work of officials involved in regulating and controlling business activities. The scale of these factors was assessed based on a survey of entrepreneurs carried out in 2022 with the participation of the authors. Assessments of these phenomena in the responses of various groups of entrepreneurs were considered, depending on the size of the enterprise, its location, and type of activity. Based on an analysis of the results of a survey of entrepreneurs, the authors concluded that there is a direct correlation between the high level of bureaucracy and corruption in the entrepreneurial ecosystem of the Republic of Moldova and entrepreneurs' decisions to either close or reprofile their businesses.

Key words: *bureaucracy, corruption, entrepreneurial ecosystem, survey, Republic of Moldova*

Acknowledgments: *This article was prepared within the research project 20.80009.0807.38 "Multidimensional assessment and development of the entrepreneurial ecosystem at national and regional level in order to boost the SME sector in the Republic of Moldova" (State Programme 2021-2023), financed by the state budget of the Republic of Moldova.*

Introduction

Bureaucracy and corruption are two widespread "troubles" of the business environment in many countries, especially in developing countries demonstrating lower economic performance (Jensen et al., 2010; Svensson, 2005), one of which is the Republic of Moldova. In accordance with The National Program for Promoting Entrepreneurship and Increasing Competitiveness in 2023-2027, among the challenges of entrepreneurs in the Republic of Moldova are complicated and time-consuming procedures for interactions with public institutions; excessive regulations; maintaining corruption and nepotism, including in the judicial system (Government of the Republic of Moldova, 2023b).

Even though in the works of the foremost theorist of bureaucracy Max Weber, bureaucracy is defined as "the most technically proficient form of organization, possessing specialized expertise, certainty, continuity, and unity," in most modern studies and dictionaries the term "bureaucracy" has negative connotation. For example, the Dexonline dictionary interprets bureaucracy as "Excessive power of the administration" (Dexonline, 2023). In accordance with Integrity Law No. 82 of 25-05-2017, corruption is the use of a position, contrary to the law, in the private interest.

It is believed that these phenomena are interrelated, and the concept of corruption partly follows from the concept of bureaucratization (Ahmad, 2004; Ionescu et al., 2012), since complicated and convoluted bureaucratic processes can contribute to corruption (Dahlstrom, 2011). As other reasons for the emergence and maintenance of corruption, researchers identify the following factors: low compensation and wage levels in the public sector (UK Department for International Development, 2015); weak transparency in the decision-making system and poor availability of information (UNODC, 2023); instability in the political sphere (Shumetie & Watabaji, 2019); low moral standards and ethical culture among officials (Whitton, 2001).

In 2022, the Republic of Moldova was ranked 91st out of 180 countries in the Corruption Perceptions Index by Transparency International, which indicates that considerable efforts have been made to fight corruption in recent years (Transparency International Moldova, 2023). In the report of the 2023 Economic Freedom Index conducted by the Heritage Foundation, the Republic of Moldova ranks 96th out of 180 countries, registering 58.5 points with -2.8 compared to the previous year. The Republic of Moldova ranks 40th out of 44 countries in Europe, and the overall score is below the regional and world average (Heritage Foundation, 2023). This result underlines the need to continue reforms to liberalize the economy, reduce bureaucracy, and improve the business climate.

Currently, the Government of the Republic of Moldova is taking active measures to reduce bureaucracy and corruption. Thus, legislative changes are being developed that come to reduce the requirements and the bureaucracy that economic agents are obliged to comply with unjustifiably today. The planned changes are aimed at "facilitating business creation and revenue generation, by reducing administrative bureaucracy, including in the fields of hotel, telecommunications, construction, financial markets, electronic commerce; reducing carry-over requirements for businesses; taxation, liberalization restrictions on foreign labor" (Government of the Republic of Moldova, 2023a). Work is also actively underway on the digitalization of public services. According to the Ministry of Economic Development and Digitalization, 47.8% of public services are digitized for entrepreneurs (Ministry of Economic Development and Digitalization of RM, 2023). But if we consider that in the Republic of Moldova, there are more than 500 public services for entrepreneurs, provided by different institutions, it turns out that almost 300 types of services are just awaiting digitalization and currently require a significant investment of time from entrepreneurs and personal interaction between entrepreneurs and officials.

Results

The frequency of such phenomena as bureaucracy and corruption in Moldova can be assessed using data obtained from a survey of entrepreneurs conducted with the participation of the authors. The survey was conducted in 2022 as part of the project "Multidimensional Assessment and Development of the Entrepreneurial Ecosystem at National and Regional Level in Order to Boost the SME Sector in the Republic of Moldova" (State Program, 2020-2023) and aimed to assess a set of entrepreneurial factors ecosystems of the Republic of Moldova, among which were "bureaucracy" and "corruption". A total of 204 entrepreneurs from different regions of the country participated in the survey (Table 1).

Table 1

Characteristics of the enterprises in the sample

Indicator	Values	Number of respondents, pers.	Share, %
Size	Micro (1-9 pers.)	136	66.7
	Small (10-49 pers.)	51	25.0
	Medium (50-249 pers.)	12	5.9
	Large (250 and more pers.)	5	2.5
Area of location	Urban area/Municipality	149	73,0
	Rural area	55	27,0
Development Region	North Development Region	24	11,8
	Center Development Region	27	13,2
	South Development Region	25	12,3
	ATU of Gagauzia	7	3,4
	Mun.Chisinau (the capital)	121	59,3
Type of activity	Agriculture	22	10,9
	Industry	31	15,4
	Trade	51	25,4
	Construction	5	2,5
	Services	72	35,8
	IT	6	3,0
	Transport	9	4,5
	HoReCa	5	2,5

Source: *elaborated by authors based on the entrepreneurs' survey*

Entrepreneurs rated on a 5-point scale how often they encountered bureaucracy and corruption related to the work of state officials involved in the regulation of entrepreneurial activity. Thus, 57.6% of surveyed entrepreneurs often and very often encounter phenomena of bureaucracy, and 46.0% of entrepreneurs often and very often encounter corruption. At the same time, only 24.9% of respondents noted that they rarely or never face bureaucracy in their work, and 32.5% - corruption.

Below we will consider how the assessments of these phenomena differed in the responses of different groups of entrepreneurs.

Thus, depending on the size of the enterprises, within the small and medium-sized enterprises sector (SMEs[1]), a regularity appeared: the smaller the enterprise, the more often it faces bureaucracy and corruption on the part of state officials (Figure 1). At the same time, large enterprises more often than small and medium-sized enterprises noted the maximum level of bureaucracy (33.3%), but did not note the maximum level of corruption at all (Figure 1).

[1] In the Republic of Moldova, the criteria for classifying enterprises into the SME sector are as follows: no more than 249 employees, an annual turnover of up to 100 million MDL, or total assets up to 100 million MDL (1 Euro = 19.2 MDL)

Figure 1

Assessment of bureaucracy and corruption by entrepreneurs, depending on the size of enterprises

Bureaucracy *Corruption*



Source: *own results.*

Depending on the location of the enterprise, entrepreneurs operating in urban areas were more likely to report a high incidence of bureaucracy and corruption compared to their counterparts from rural areas (Figure 2).

Figure 2

Assessment of bureaucracy and corruption by entrepreneurs, depending on the area of location of enterprises

Bureaucracy *Corruption*



Source: *own results.*

By Development Region[1], in terms of bureaucracy and corruption, the maximum frequency was observed more often by enterprises in the capital (Chisinau municipality) (42.1% and 27.9%, respectively) and the Center Development Region (38.5% and 36.0%, respectively) (Figure 3).

[1] The Development region is a functional territorial unit that represents the planning, evaluation, and implementation framework of the regional development policy. Development regions are not administrative-territorial units and do not have legal personality.

Figure 3

Assessment of bureaucracy and corruption by entrepreneurs, depending on the Development Region

Bureaucracy *Corruption*



Source: *own results.*

Depending on the type of activity, manufacturing (industrial) and trading enterprises are relatively more likely to encounter the maximum level of bureaucracy (44.8% and 42.9%, respectively); service sector enterprises – 37.9%, and IT companies – 50.0%. It should be noted that while for most groups of enterprises the share of entrepreneurs who assessed the level of corruption as the maximum was usually lower than the corresponding indicator for the bureaucracy factor, in the field of agriculture and construction entrepreneurs more often noted the maximum level of corruption (Figure 4).

Figure 4

Assessment of bureaucracy and corruption by entrepreneurs, depending on the type of activity of an enterprise

Bureaucracy *Corruption*



Source: *own results.*

The state and trends of a country's entrepreneurial ecosystem can be partially characterized by entrepreneurs' plans for business development. Among the entrepreneurs who participated in the survey, 65.2% plan to develop this business over the next two years, 22.1% - to keep the main work indicators of the enterprise at the same level; 4.4% - close this business and emigrate; 2.0% - close this business and become an employee.

The analysis of the relationship between the plans of entrepreneurs and the assessment of the level of bureaucracy in the country showed that entrepreneurs who plan to develop their business in the next two years, relatively less often estimated bureaucracy at the maximum level (33.0%), while the share of maximum estimates of the frequency of bureaucracy is higher than the average of those entrepreneurs who plan to close this business and become hired workers (50.0% of the worst ratings of the bureaucracy), close the business and emigrate (44.4%), and also significantly reorganize the business or change the type of activity (42.9%) (Figure 5).

Figure 5

Dependence of an entrepreneur's plans on the frequency of encounters with manifestations of bureaucracy, %



Source: *own results.*

Similarly, the level of corruption was rated higher by those entrepreneurs who plan in the next two years: (i) to close this business and become employees (in this group were 50.0% of the worst assessments of the level of corruption), (ii) to significantly reorganize the business or change the type activities (42.9% of the worst assessments), and (iii) close the business and emigrate (33.3% of the worst assessments of the level of corruption) (Figure 6). At the same time, among those entrepreneurs who plan to maintain the main business indicators at the same level or develop the business, the share of the worst assessments of the level of corruption is significantly lower (21.1% and 26.0%, respectively) (Figure 6).

Figure 6

Dependence of an entrepreneur's plans on the frequency of encounters with manifestations of corruption, **%**



Source: *own results.*

Conclusions and Recommendations

A survey of entrepreneurs showed that bureaucracy and corruption are still common phenomena in the work of the state officials, involved in the regulation of entrepreneurial activity, despite the actively taken measures to reduce bureaucracy in business activities and fight corruption.

There is no single group of enterprises in the Republic of Moldova that does not encounter bureaucracy and corruption in its daily activities.

Based on the analysis of the results of a survey of entrepreneurs, the authors suggest that the high level of bureaucracy and corruption in the Republic of Moldova is a factor that complicates entrepreneurial activity and forces entrepreneurs to more often decide to close or change the type of activity of their business.

As recommendations for reducing the level of bureaucracy in business procedures and corruption in the Republic of Moldova, the following can be offered:

- Simplification of administrative procedures related to entrepreneurial activity, such as obtaining licenses and authorizations, drafting reports and reports, etc., which reduces the time and financial costs of enterprises;
- Continuation of the process of digitization of state services for enterprises, which will reduce the necessity of personal interaction between entrepreneurs and officials;
- Reforming the judicial system, including faster and more effective resolution of commercial disputes, can reduce uncertainty and risks for business;
- Activation of the public-private dialogue, conducting proactive consultations of state government representatives with enterprises and business associations for timely identification and elimination of problems;
- Increasing transparency and openness in terms of information on rules and procedures related to business;
- Necessary regular monitoring and assessment of the impact of the introduced changes on the business environment, including by conducting regular business polls, to ensure the effectiveness of the reforms.

References

1. Ahmad, N. (2004). Corruption and Competition in Bureaucracy: a Cross-Country Analysis. *Pakistan Economic and Social Review*, Vol.XLII, 1&2, 61-86.
2. Dahlstrom, C. 2011. *Bureaucracy and the Different Cures for Grand and Petty Corruption*. The Quality of Government Institute, University of Gothenburg, 21 p.
3. Dexonline. (2023). Birocrație. Retrieved from https://dexonline.ro/definitie/birocra%C8%9Bie
4. Government of the Republic of Moldova. (2023a). *Reducing bureaucracy for entrepreneurs* (in Romanian). Retrieved from https://gov.md/ro/content/reducerea-birocratiei-pentru-antreprenori
5. Government of the Republic of Moldova. (2023b). *The National Program for Promoting Entrepreneurship and Increasing Competitiveness in 2023-2027* (in Romanian). Retrieved from https://www.legis.md/cautare/getResults?doc_id=139409&lang=ro#
6. Heritage Foundation. (2023). *2023 Index of Economic Freedom*. Retrieved from https://www.heritage.org/index/download
7. Ionescu, L., Lazaroiu, G., & Gheorghe, I. (2012). Corruption and Bureaucracy in Public Services. *Amfiteatru Economic Journal*, Vol. 14, Iss. Special No. 6, 665-679.

8. Jensen, N.M., Li, Q., & Rahman, A. (2010). Understanding corruption and firm responses in cross-national firm-level surveys. *Journal of International Business Studies*, 41, 1481-1504.
9. Konisky, D. M. (2008). Bureaucratic and public attitudes toward environmental regulation and the economy. *State and Local Government Review*, 40(3), 139-149.
10. Ministry of Economic Development and Digitalization of RM. (2023). *47.8% rate of digitized public services for entrepreneurs are registered.* Retrieved from https://mded.gov.md/sunt-inregistrate-478-de-servicii-publice-digitalizate-pentru-antreprenori/
11. Shumetie, A. & Watabaji, M. D. (2019). Effect of corruption and political instability on enterprises' innovativeness in Ethiopia: Pooled data based. *Journal of Innovation and Entrepreneurship*, 8(1), 1-19. Retrieved from https://doi.org/10.1186/s13731-019-0107-x
12. Sintov, R. (2021). *National Integrity and Anti-Corruption Strategy Impact Monitoring Survey – MOLDOVA 2021*. Centre of Sociological, Politological and Psychological Analysis and Investigations CIVIS, 148 p.
13. Svensson, J. (2005). Eight Questions about Corruption. *Journal of Economic Perspectives*, Vol. 19, No. 3, Pp. 19 – 42.
14. Transparency International Moldova. (2023). *Press release of January 31, 2023*. Retrieved from https://www.transparency.md/2023/01/31/3663/
15. UK Department for International Development. (2015). *Why Corruption Matters: Understanding Causes, Effects and How to Address Them*. Evidence paper on corruption, 110 p. Retrieved from https://assets.publishing.service.gov.uk/media/5a7f86f2e5274a2e87db6625/corruption-evidence-paper-why-corruption-matters.pdf
16. UNODC. (2023). *Transparency as a precondition. In: University Module Series: Anti-Corruption.* Retrieved from https://www.unodc.org/e4j/en/anti-corruption/module-6/key-issues/transparency-as-a-precondition.html
17. Whitton, H. (2001). Implementing Effective Ethics Standards in Government and the Civil Service. OECD, 12 p. Retrieved from https://www.oecd.org/mena/governance/35521740.pdf

ბოლოდროინდელი მაკროეკონომიკური დებატები თანამედროვე მონეტარული თეორიის პრიზმით

მალხაზ ჩიქობავა
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოცემულ ნაშრომში გაანალიზებულია ბოლოდროინდელი მაკროეკონომიკური დებატები თანამედროვე მონეტარული თეორიის (MMT) ასპექტით. თითოეული საკითხის მიხედვით არსებობს ღრმა უფსკრული ორთოდოქსი ეკონომისტების არგუმენტებსა და ჰეტეროდოქსი ეკონომისტების მიერ გავრცელებულ ანალიზს შორის - განსაკუთრებით მათ მიერ, რომლებიც იზიარებენ თანამედროვე მონეტარულ თეორიას. სამწუხაროდ, „საყოველთაო სიბრძნის" დიდი ნაწილი, რომელსაც მისდევენ პოლიტიკოსები და ასევე ფართო საზოგადოება, დიდწილად ეფუძნება ორთოდოქსულ თეორიას. ეს იმიტომ ხდება, რომ ორთოდოქს ეკონომისტებს უფრო მეტი წვდომა აქვთ დომინანტ მედიასაშუალებებთან და ასევე პოლიტიკოსებთან. თუმცა, როგორც კეინზმა 1936 წელს გაგვაფრთხილა, ორთოდოქსული ეკონომიკური თეორია არა მართო მცდარია, არამედ მას მივყავართ სახიფათო პოლიტიკურ რეკომენდაციებთან. MMT გვთავაზობს სასარგებლო ალტერნატივას, რომელიც დაფუძნებულია საიმედო თეორიასა და პოლიტიკურ რეკომენდაციებზე, რომელიც შეესაბამება იმ ეკონომიკას, რომელშიც ვცხოვრობთ.

საკვანძო სიტყვები: *ტყუპი დეფიციტის ჰიპოთეზა, საგადასახდელო ბალანსის შეზღუდვები და სავალუტო კრიზისები, ფიქსირებული და მოქნილი სავალუტო კურსები, ოპტიმალური სავალუტო ზონები, ბანკორი.*

ეკონომისტები, ჩვეულებისამებრ, იზიარებენ შეხედულებას იმის შესახებ, რომ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მზარდი დეფიციტი მიუთითებს იმაზე, რომ „ქვეყანა თავისი შესაძლებლობების მიღმა ცხოვრობს", ჭარბი ადგილობრივი მოთხოვნით, რაც ასტიმულირებს იმპორტს და აღვივებს ინფლაციას, რომელიც ძირს უთხრის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ზღუდავს მის ექსპორტს. ისინი მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი არის ქვეყნის უცხოური სესხების მაჩვენებელი. ამგვარად, ყოველ კვარტალში, რომლის განმავლობაში ქვეყანა იმყოფება საგარეო დეფიციტის მდგომარეობაში, მისი საგარეო ვალდებულებების მარაგი იზრდება. ეს ვალდებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ვალის ან ადგილობრივ ფირმებში სააქციო კაპიტალში მონაწილეობის ფორმით. ამ ლოგიკის მიხედვით, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ზრდადი დეფიციტი მეტყველებს იმაზე, რომ სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯები ეროვნულ ეკონომიკაში სულ უფრო დამოკიდებული ხდება უცხოელი კრედიტორების უეცარ სურვილებზე.

ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ არსებობს ძლიერი და პირდაპირი კავშირი ეროვნული ეკონომიკის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდოსა და მისი მთავრობის ფისკალურ ბალანსს შორის და ისინი შეიძლება „ტყუპი" გახდნენ, ანუ, ერთად გადაადგილდნენ დოლარი დოლარზე მიყოლებით. ეს ცნობილია, როგორც **ტყუპი დეფიციტის ჰიპოტეზა.**

გარდა ამისა, ტყუპი დეფიციტის არგუმენტი ამტკიცებს, რომ თუ ქვეყანას გააჩნია ზრდადი ფისკალური დეფიციტი, ის სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება თავისი სავალო ვალდებულებების უცხოურ შესყიდვებზე, ადგილობრივი მეანაბრეების შესყიდვებთან დამატებით.

ამგვარად, ამ ნარატივის თანახმად, როგორც ზრდადი ფისკალური დეფიციტი, ისე მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის ზრდადი დეფიციტი მიუთითებს უცხოური სავალო ვალდებულებების შესყიდვების მზარდ დამოკიდებულებაზე, რაც ადგილობრივ ეკონომიკას დაუცველს ხდის ეკონომიკური მდგომარეობის მოულოდნელი უცაბედი ცვლილებების მიმართ. ამ თვალსაზრისის მიმდევრები ვარაუდობენ, რომ რისკი იმისა, რომ ქვეყანა ვერ შექმნის საკმარის რეზერვებს საგარეო ვალის დასაფარავად, მით უფრო მეტია, რაც უფრო დიდხანს იარსებებს ეს დეფიციტი. საბოლოო ჯამში, ქვეყანა იძულებული გახდება გამოაცხადოს დეფოლტი თავის საგარეო სავალო ვალდებულებებზე, რასაც სერიოზული შედეგები მოყვება, როგორიცაა კაპიტალის (კერძო ან საზოგადოებრივი) გლობალურ ბაზრებზე მოზიდვის შეუძლებლობა.

ამტკიცებენ, რომ ამ სარისკო ეკონომიკური გარემოს თავიდან აცილების ყველაზე აშკარა გზაა მთავრობის ხარჯების შეზღუდვა და შემზღუდველი მონეტარული პოლიტიკის გატარება (უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები) კაპიტალის მოდინების წახალისების მიზნით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სტრატეგია ამცირებს მათ მიმართ საჭიროებას.

მკაცრი ეკონომიის პოლიტიკის გატარების შედეგები, როგორც წესი, ნეგატიურად ითვლება - რეალური *GDP*-ის ზრდის ვარდნა და უმუშევრობის ზრდა - რაც გულისხმობს იმას, რომ მთავრობებმა, პირველ რიგში, თავიდან უნდა აიცილონ ორმაგი დეფიციტის პრობლემა.

დეფიციტის საწინააღმდეგო არგუმენტებს ემატება მტკიცება იმის შესახებ, რომ ის ამაღლებს საპროცენტო განაკვეთებს (შეზღუდული სასესხო საშუალებებზე კონკურენციის გამო) და წარმოქნის ინფლაციას (ჭარბი მოთხოვნით). მტკიცდება, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთები, თავის მხრივ, გამოდევნის მწარმოებლურ ინვესტიციებს, ქვეყანას ნაკლებ კონკურენტუნარიანად აქცევს საერთაშორისო დონეზე. ინფლაციაც ასევე ძირს უთხრის კონკურენტუნარიანობას. ეს ხელს უშლის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას.

ამრიგად, ორმაგი დეფიციტის ჰიპოთეზა ეყრდნობა პირდაპირ კავშირს ფისკალურ დეფიციტსა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს შორის, რომელიც ითვლება, რომ იწვევს მთელ რიგ არასასურველ შედეგებს. რაში გამოიხატება ამ მტკიცებულებების მართებულობა? როგორც ვნახავთ, არსებობს რამდენიმე კონცეპტუალური და ემპირიული სირთულეები, რომლებიც უკავშირდება ზემოთ გადმოცემულ მოსაზრებას.

დასკვნის სახით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ:

- ტყუპი დეფიციტების ჰიპოთეზა ემყარება კონკრეტულ შეხედულებას მიზეზობრიობის შესახებ, კერძოდ იმას, რომ ფისკალური დეფიციტი განაპირობებს საგარეო დეფიციტს. პრაქტიკაში, მიზეზობრიობა შეიძლება მოქმედებდეს საპირისპირო მიმართულებით.
- გარდა ამისა, ეს ჰიპოტეზა ეყრდნობა კერძო ადგილობრივ დანახარჯებსა და დაზოგვის ფორმების შესახებ გადამწყვეტ დაშვებებს, რომლებიც იშვიათად ხდება.
- დაბოლოს, ჰიპოთეზის „გამოდევნის“ კომპონენტი, რომლითაც ფისკალური დეფიციტი ზრდის საპროცენტო განაკვეთებსა და ინფლაციას და ამცირებს ექსპორტის კონკურენტუნარიანობას, აშკარად მცდარია.

თანამედროვე მონეტარული თეორიის მიხედვით, სუვერენულ მთავრობას, რომელიც საკუთარი ვალუტის ემისიას ახდენს მცურავ რეჟიმში, უფრო მეტი ადგილობრივი პოლიტიკის სივრცე გაჩნია მოქმედებისთვის, ვიდრე ეს ასახულია ტყუპი დეფიციტების ჰიპოთეზაში. მთავრობას შეუძლია გამოიყენოს ეს სივრცე ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით, თუნდაც ეს ნიშნავდეს იმას, რომ გაიზრდება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და გაუფასურდება ვალუტა. ჩვენ ასევე ვაჩვენებთ, რომ გარე სექტორის მდგომარეობას ძალიან მცირე გავლენა აქვს იმაზე, რაც შეიძლება მივიჩნიოთ მდგრად ფისკალურ პოზიციად.

პარადოქსულია, რომ მრავალი ეკონომისტი, რომლებიც განიხილავენ ტყუპი დეფიციტების ურთიერთკავშირს, როგორც საზოგადოებრივ დანახარჯებზე შეზღუდვას, ასევე ამტკიცებენ, რომ დეფიციტური ხარჯები არაეფექტიანია ეროვნული შემოსავლის სტიმულირებისათვის. ორი მტკიცება შინაგანად შეუსაბამოა.

თანამედროვე მონეტარული თეორიის მიხედვით, ეროვნული შემოსავლების მოძრაობა უზრუნველყოფს უნიკალური კავშირის არსებობას მთავრობის, საგარეო და კერძო ადგილობრივი სექტორების ხარჯებსა და შემოსავლის ბალანსებს შორის.

ეს სქემა შეიძლება გამოყენებული იქნეს ტყუპი დეფიციტების ჰიპოთეზის ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლების სადემონსტრაციოდ. სამი სექტორული ბალანსი, რომელიც მივიღეთ მე-6 თავში, შემდეგია:

- კერძო ადგილობრივი ბალანსი $(S - I)$ იქნება პროფიციტული, თუ კერძო ადგილობრივი სექტორი ნაკლებს ხარჯავს თავის შემოსავალთან შედარებით $(S > I)$.
- ფისკალური ბალანსი $(G - T)$ იქნება პროფიციტული, თუ მთავრობა ღებულობს მეტ გადასახადს, ვიდრე ხარჯავს $(G < T)$.
- მიმდინარე ანგარიშის ბალანსი $(X + FNI - M)$ იქნება პროფიციტული, თუ ექსპორტს დამატებული წმინდა შემოსავლების შემოდინება იქნება უფრო მაღალი, ვიდრე იმპორტი და $X + FNI > M$.

სექტორული ბალანსების განტოლება შეიძლება ჩავწეროთ შემდეგი ფორმით (შევნიშნოთ, რომ ფისკალურ ბალანსს გამოვხატავთ, როგორც $(T - G)$):

(1) $(S - I) + (T - G) = (X + FNI - M)$

(1) განტოლება გვეუბნება, რომ საგარეო ბალანსი $(X + FNI - M)$ ტოლია კერძო ადგილობრივ ბალანსს $(S - I)$ დამატებული ფისკალური ბალანსი $(T - G)$. სხვა თანაბარ პირობებში, ფისკალური დეფიციტის ზრდა გამოიწვევს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის (პროფიციტის) ზრდას (ან კლებას).

ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ რა ხდება ეკონომიკაში ამ ბალანსების ფარდობითი სიდიდეების შესახებ დაშვებებით, აღვნიშნავთ რა ყოველთვის, რომ მკაცრი ტოლობა (1) განტოლებაში ყოველთვის უზრუნველყოფილია ეროვნული შემოსავლის მოძრაობებით. ეს ხდება იმიტომ, რომ, ჩვენი დაშვებით, დანაზოგები (S), საგადასახადო შემოსავალი (T) და იმპორტი (M) დადებითი ფუნქციებია შემოსავლის მიმართ და, შესაბამისად, იზრდება ეკონომიკური აქტივობის ზრდისას და ეცემა, როდესაც ხდება გამოშვებისა და შემოსავლის დონის კლება.

მაგალითად, როცა არსებობს საგარეო დეფიციტი $(X + FNI - M < 0)$ და ფისკალური პროფიციტი $(G - T < 0)$, მაშინ უნდა არსებობდეს კერძო ადგილობრივი სექტორის დეფიციტი. განვიხილოთ შემდეგი მონაცემები: თუ $X = 10$ და $M = 20$ (ადგილობრივ ვალუტაში), $(X - M) = -10$ (მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, თუ დავუშვებთ, რომ $FNI = 0$). თუ $G = 20$ და $T = 30$, $(T - G) = 10$ (ფისკალური პროფიციტი). ამ პირობების გათვალისწინებით, კერძო ადგილობრივი ბალანსი, $(S - I)$ ტოლი იქნება $(20 - 30) + (10 - 20) = -20$. ეს ნიშნავს, რომ კერძო ადგილობრივი სექტორი ხარჯავს მეტს, ვიდრე გამოიმუშავებს, რადგანაც $I - S = 20$.

მაშასადამე, საზოგადოებრივი სექტორის ფისკალური ტვირთი (ფისკალური პროფიციტი) ემთხვევა წმინდა დანაზოგების შემოდინებსს საგარეო სექტორიდან, რომელიც აფინანსებს კერძო ადგილობრივი სექტორის დეფიციტურ ხარჯებს. არის თუ არა ეს მდგომარეობა მდგრადი?

ყველა ეს დამოკიდებულია კერძო სექტორის ხარჯების შემადგენლობაზე. თუ საგარეო დეფიციტი ასახავს კერძო სექტორის სესხებს ინვესტიციებისთვის, მაშინ გაზრდილმა საწარმოო სიმძლავრემ შეიძლება წარმოქმნას უკუგება, რომელიც აუცილებელია საგარეო ვალის დონის შესანარჩუნებლად დაბალ და სტაბილურ დონეზე გაურკვეველი დროის მანძილზე.

თუ საგარეო დეფიციტი ასახავს სამომხმარებლო იმპორტის დომინირებას, კერძო ადგილობრივი სექტორის უნარიანობა, შეინარჩუნოს ზრდადი საგარეო სავალო ვალდებულება, შეზღუდულია. კერძო ადგილობრივ სექტორს მხოლოდ წმინდა დაზოგვა შეუძლია $(S - I) > 0$, როცა არსებობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი $(X - M < 0)$, თუ სახელმწიფო ფისკალური დეფიციტი საკმარისად დიდია, ვიდრე მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მხოლოდ კომპენსირებისთვისაა საჭირო. ვთქვათ, $(X - M) = -10$ (ისევე, როგორც ზემოთ). მაშინ, დაბალანსებული ფისკალური შედეგი $(G - T = 0)$ აიძულებს ადგილობრივ კერძო სექტორს დახარჯოს იმაზე მეტი, ვიდრე გამოიმუსავებს $(S - I) = -10$. მაგრამ, მთავრობის დეფიციტი, რომელიც 25-ის ტოლია (მაგალითად, $G = 55$ და $T = 30$), კერძო ადგილობრივ სექტორს საშუალებას მისცემს დაზოგოს 15. ამის ნახვა შესაძლებელია (1) განტოლებიდან გამომდინარე, რომ $(S - I) = (55 - 30) + (10 - 20) = 15$.

თქვენ ასევე შეგიძლიათ ნახოთ, რომ თუ კერძო ადგილობრივი სექტორი ყოველთვის დაბალანსებულია $(S - I = 0)$, მაშინ განტოლება (1) შეიძლება გადავწეროთ, როგორც $(T - G) = (X + FNI - M)$, რომელიც არის პირდაპირი დამოკიდებულება საგარეო და ფისკალურ ბალანსებს შორის.

თვით ამ გამარტივებულ ფორმაში ჩვენ არ შეგვიძლია გამოვიყვანოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბუღალტრული იგივეობიდან. იწვევს თუ არა უფრო მაღალი საგარეო დეფიციტი $(X < M)$ უფრო მაღალ ფისკალურ დეფიციტს $(G > T)$ თუ პირიქით? შესაძლოა, ურთიერთობა ორმხრივია.

ქვეყნის მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობა დროის ნებისმიერ მომენტში აისახება მთელ რიგ საერთაშორისო ფაქტორებზე, როგორიცაა არასრულყოფილი კონკურენცია, შესვლის ბარიერები, მასშტაბის ეკონომია და მსოფლიო ვაჭრობის ზოგადი პირობები, რომლებიც აშკარად სცილდება თავად ქვეყნის კონტროლს. მაგალითად, განვიხილოთ მსოფლიო რეცესია, რომელიც სავაჭრო ეკონომიკას აიძულებს განიცადოს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი, რადგანაც მისი შემოსავლები ექსპორტიდან კოლაფსს განიცდის. ავტომატური სტაბილიზატორების მოქმედების წყალობით, ფისკალური დეფიციტი იზრდება ერთობლივი მოთხოვნის, რეალური GDP-ისა და, შესაბამისად, ეროვნული შემოსავლისა და საგადასახადო შემოსულობების შემცირების გამო. მოკლედ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეიცვალა. საგარეო სექტორში ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის კონტროლს მიღმაა, იწვევს მთავრობის ფისკალური ბალანსის შესაბამის ცვლილებებს ავტომატური სტაბილიზატორების მეშვეობით.

ტყუპი დეფიციტების ჰიპოტეზა გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას სექტორულ ნაკადებს შორის, როდესაც გარღვევა დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის კერძო სექტორში ნულის ტოლი ან სტაბილურია. ფისკალურ დეფიციტში ცვლილებები პირდაპირ ტრანსფორმირდება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტში.

ეს კონსტრუქცია გამოიყენება თავიდანვე აღნიშნული მტკიცებულებების დასასაბუთებლად იმის შესახებ, რომ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი ნიშნავს, რომ ქვეყანა „ხარჯავს მეტს, ვიდრე გამოიმუშავებს“ და ეს დისბალანსი გამოწვეულია ფისკალური დეფიციტით, რომელიც განაპირობებს საგარეო ვალის ზრდას. შესაბამისად, უცხოურ ფინანსურ ბაზრებზე ანგარიშსწორების რისკი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ რეიტინგის დაქვეითების სახით და ა. შ., დაკავშირებულია ფისკალური დეფიციტის ზრდასთან. ქრონიკული მიმდინარე ანგარიშის

დეფიციტის დაძლევა ლოგიკურად უნდა მოიძებნოს ადგილობრივი დანაზოგების ზრდაში, რომელიც ტყუპი დეფიციტის ჰიპოტეზის მომხრეების მტკიცებით, ფისკალური პროფიციტის შედეგია.

ტყუპი დეფიციტის პრობლემის მეორე ძირითადი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მისი მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გარანტირებული არ არის. კერძო ადგილობრივ ბალანსში ცვალებადობის შემთხვევაში, მიმდინარე ანგარიშსა და ფისკალურ ბალანსებს შორის მკაცრი კავშირი არ შეინიშნება. მრავალი ქვეყნის მტკიცებულება ისაა, რომ კერძო ადგილობრივი ბალანსი შორს არის სტაბილურობისგან დროთა განმავლობაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ არგუმენტის გამო ფისკალური შედეგი უნდა დაბალანსდეს დროთა განმავლობაში და კერძო შინამეურნეობები და ფირმები დაიწყებენ თავიანთ შემოსავალზე მეტის დახარჯვას (ანუ, $S-I<0$), მაშინ აღნიშნული კერძო ადგილობრივი დეფიციტი უნდა დაფინანსდეს უცხოური დანაზოგების ხარჯზე და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდო გადავა GDP-ის ეკვივალენტური მნიშვნელობის დეფიციტში, რომელიც კერძო ადგილობრივი დეფიციტის ტოლია.

ფუძემდებლური ეკონომიკური თეორია, რომელიც თავსებადია ამ დაკვირვებასთან, შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ შინამეურნეობების დანახარჯების ზრდა სამომხმარებლო იმპორტზე და/ან ფირმების დანახარჯების ზრდა საინვესტიციო იმპორტზე (ძირითადი აღჭურვილობები) მსოფლიო მოთხოვნის მოცემული მდგომარეობის პირობებში (რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ექსპორტის მაჩვენებელს) გამოიწვევს სავაჭრო დეფიციტს.

უცხოელი დამზოგველები მზად იქნებიან ამ დეფიციტის დასაფინანსებლად, რადგანაც ისინი მზად არიან დააგროვონ წმინდა ფინანსური მოთხოვნები დეფიციტის მქონე ქვეყნის ვალუტაში, ამ ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების მეტი რაოდენობით მიწოდების სანაცვლოდ, ვიდრე ამ ქვეყნის ექსპორტია საზღვარგარეთ.

საპირისპირო იქნებოდა გამოყენებული, თუ იარსებებდა კერძო ადგილობრივი პროფიციტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კერძო ადგილობრივ ბალანსში რყევები შეიძლება გამოწვეული იყოს საგარეო ბალანსის რყევებით, ფისკალური ბალანსის მდგომარეობისგან დამოუკიდებლად.

ტყუპი დეფიციტის ჰიპოტეზა ასევე ამტკიცებს, რომ ფისკალური დეფიციტი განაპირობებს ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთების ზრდას. ეს მტკიცება წარმოიშვება მსესხებლებს შორის კონკურენციის გაძლიერების გამო დანაზოგების შეზღუდული მარაგისთვის, რაც დაკავშირებულია ფისკალური დეფიციტის დაფინანსებასთან სავალო ვალდებულებების ემისიით. შემდეგ, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთები განაპირობებს ქვეყნის ვალუტის გაძვირებას, რაც „გამოდევნის“ ექსპორტს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შემცირების გამო.

ფისკალური დეფიციტი არ ახდენს ზეწოლას საპროცენტო განაკვეთებზე ზრდის მიმართულებით, რადგანაც:

- ოფიციალური საპროცენტო განაკვეთი დგინდება ცენტრალური ბანკის მიერ.
- დანაზოგების მარაგი იზრდება ეროვნული შემოსავლის ზრდის კვალობაზე. ეს დაკვირვება კეინზისათვის კლასიკური სასესხო ფონდების დოქტრინისგან გამიჯვნის ფუნდამენტურ მომენტად იქცა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავრობის უფრო მაღალი დანახარჯები (ან სხვა ხარჯი) წარმოქნის დამატებით დანაზოგებს გაზრდილი ეროვნული შემოსავლის ხარჯზე.
- ბანკები ყოველთვის მზად არიან შესთავაზონ კრედიტები მომხმარებლებს, რომლებიც მათი აზრით, შეძლებენ დააკმაყოფილონ კრედიტის პირობები. ჩვენ გავიგეთ, რომ სესხები ქმნიან დეპოზიტებს და ბანკები შეზღუდულნი არ არიან რაიმე წინასწარ არსებული რეზერვებით (ანუ, დანაზოგებით) სესხების გაცემის საკუთარ აქტივობაში.

მრავალ განვითარებად ქვეყანას გააჩნია სავალუტო სუვერენიტეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ უზრუნველყონ საგადასახადო ვალდებულებების ცხოვრებაში რეალიზება ვალუტაში, რომელიც გამოიშვება მთავრობის მიერ. მნიშვნელობა არ აქვს, გამოიყენება თუ არა ამ ქვეყნებში სხვა ვალუტებიც, რაც ჩვეულებრივი სიტუაციაა. მაგალითად, აშშ დოლარს ხშირად იყენებენ განვითარებად ქვეყნებში ადგილობრივ ვალუტასთან ერთად და მაცხოვრებლები მის გამოყენებას ამჯობინებენ თავიანთი გარკვეული სავაჭრო საქმიანობებისთვის. მაგრამ, როგორც წესი, რეზიდენტებმა მაინც უნდა მიიღონ ადგილობრივი ვალუტა გადასახადების გადასახდელად. ეს ნიშნავს, რომ ემიტენტ მთავრობას შესაძლებლობა აქვს დახარჯოს ფული ამ ვალუტაში.

ამგვარად, ზოგადი პრინციპი ნარჩუნდება მანამ, სანამ ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში არსებობს ხელმისაწვდომი რეალური რესურსები გამოსაყენებლად, მთავრობას შეუძლია მათი ყიდვა თავისი სავალუტო ძალაუფლების გამოყენებით. კერძოდ, რეალური ფისკალური სივრცის ეს კონცეფცია ვრცელდება მილიონობით ადამიანზე, რომლებიც უმუშევრები არიან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს საბაზრო მოთხოვნა მათ მომსახურებაზე, თითოეულ ქვეყანაში მთავრობას შეუძლია მარტივად შეიძინოს ეს მომსახურება ადგილობრივი ვალუტით ისე, რომ არ მოახდინოს ქვეყანაში სამუშაო ძალის ღირებულებაზე ზეწოლა. ამ პროგრამებში ინვესტიცია იზომება რეალური რესურსებით, რომლებსაც ისინი მოიხმარენ ინიციატივის არგამოვლენასთან შედარებით. ეს რესურსები ვრცელდება იმპორტზე და მრავალმა ნაკლებად განვითარებულმა ქვეყანამ უნდა მოახდინოს სურსათის იმპორტირება, როგორც ძირითადი საარსებო წყარო.

მაშინ ისმის კითხვა: ეს ინვესტიცია მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს მიაყენებს ზიანს და არ გამოიწვევს ინფლაციას, რადგანაც მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში უარესდება სავაჭრო დეფიციტის გაფართოების გამო?

ნებისმიერი ღია ეკონომიკა ექვემდებარება საგადასახადელო ბალანსის რყევებს. როგორც წინა თავებიდან გავიგეთ, ეს რყევები ქვეყნებს პრობლემებს უქმნიან, რომლებსაც აქვთ საგარეო დეფიციტები ფიქსირებული გაცვლითი კურსისა და კონვერტირებადი სავალუტო რეჟიმის პირობებში (მაგალითად, ბრეტონ-ვუდსის სქემა), რადგანაც ამ რეჟიმების პირობებში, მთავრობა იძულებულია შეინარჩუნოს ადგილობრივი ეკონომიკა დეპრესიულ მდგომარეობაში იმპორტის შესაკავებლად, რათა ცენტრალურმა ბანკმა შეძლოს პარიტეტის მხარდაჭერა საკუთარი სავალუტო რეზერვების დაკარგვის გარეშე.

მოქნილი გაცვლითი კურსის ეკონომიკაში, გაცვლითი კურსი შთანთქავს გარკვეულ კორექტირებას, ხოლო საგადასახდელო ბალანსი - დანარჩენს. **არ არსებობს თანმიმდევრული ისტორიული მტკიცებულება იმისა, რომ ფისკალური დეფიციტი იწვევდეს გაცვლითი კურსის კატასტროფულ გაუფასურებას მოქნილი გაცვლითი კურსის ქვეყნებში.**

ზოგადად, შიდა ხარჯების ზრდა იმპორტზე მოთხოვნას გაზრდის. ნაკლებად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში კერძო კაპიტალის ფორმირების ზრდა, სავარაუდოდ, უფრო ინტენსიური იქნება იმპორტის თვალსაზრისით. ინვესტიციით წახალისებული ზრდა, სავარაუდოდ, გაზრდის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს, სულ მცირე, მოკლევადიან პერიოდში.

ალტერნატივის სახით, კარგად გამიზნულმა სამთავრობო ხარჯებმა შეიძლება შექმნას ადგილობრივი იმპორტის კონკურენტული აქტივობა. მაგალითად, მუშაკები გარანტირებული დასაქმებით (JG) შეძლებენ აწარმოონ საქონელი და მომსახურება, რომლებიც, ჩვეულებრივ, ქვეყანას შეუძლია შემოიტანოს, როგორიცაა გადამუშავებული საკვები პროდუქტები. გარდა ამისა, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი სისტემების პირობებში, სრული დასაქმების ეკონომიკა, სავარაუდოდ, მოიზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს სტაბილური პოლიტიკური

სისტემის პირობებში. ასე რომ, მაშინ, როცა მიმდინარე ანგარიში შესაძლოა დეფიციტური გახდეს ეკონომიკის ზრდასთან ერთად, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ექსპორტზე ნაკლებ რეალურ რესურსებს ხარჯავს უცხოეთიდან რეალური იმპორტის სანაცვლოდ, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის სალდო გადავა პროფიციტში. მთლიანი წმინდა ეფექტი არ არის ნათელი. სავარაუდოდ, ადგილი ექნება ერთჯერად ცვლილებებს გაცვლით კურსში, რადგანაც ეკონომიკა მოერგება უფრო მაღალი ზრდის ტრაექტორიას, მაგრამ ესენი არ უნდა იყოს მუდმივი ინფლაციური ზეწოლის წყარო.

დაბოლოს, გაუფასურებული ვალუტა ასტიმულირებს ადგილობრივ დასაქმებას, რადგანაც იმპორტირებული საქონელი ძვირდება და ექსპორტი იაფდება, მაგრამ ამ ცვლილებების დისტრიბუციულ ზემოქმედებას დიდწილად იგრძნობენ საშუალო- და მაღალი შემოსავლის მქონე ფენები, ვიდრე ღარიბები, რადგანაც იმპორტირებული ფუფუნების საგნები უფრო გაძვირდება.

მართალია, რომ ვალუტის გაუფასურებამ შეიძლება ზარალი მიაყენოს ქვეყანას, რომელიც მთლიანადაა დამოკიდებული სურსათის იმპორტზე. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ეს არ არის საგადასახდელო ბალანსის შეზღუდვა, როგორც ამას ჩვეულებისამებრ განიხილავენ. ეს რეალური რესურსების შეზღუდვაა: სურსათის არასაკმარისი ადგილობრივი წარმოება. ეს შეიძლება წარმოიშვას ადგილობრივი პოლიტიკის არჩევანიდან, რომელიც მიმართულია სასურსათო კულტურის წარმოების წინააღმდეგ, ან რესურსების არათანაბარი განაწილებიდან გეოგრაფიულ სივრცეში და გარკვეულწილად, თვითნებური ხაზებიდან, რომლებიც გავლებულია ამ სივრცეში სუვერენული სახელმწიფოების გასამიჯნავად.

ამ კონტექსტში, საერთაშორისო ინსტიტუციონალური სტრუქტურა საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) არასრულყოფილია. უკეთესი იქნება, თუ ახალი მრავალმხრივი ინსტიტუტი შეცვლის მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მას დაევალება იმის უზრუნველყოფა, რომ უაღრესად დაუცველ ქვეყნებს ჰქონდეთ წვდომა აუცილებელი რეალური რესურსების მიმართ, როგორიცაა კვების პროდუქტები და არ მოხდეს მათი გარიყვა საერთაშორისო ბაზრებიდან სავაჭრო დეფიციტის ან არასასურველი ფინანსური ნაკადების გამო გამოწვეული გაცვლითი კურსის რყევებით. მარტივი გამოსავალი იქნება, თუ ეს სააგენტო იყიდის ადგილობრივ ვალუტას, რათა უზრუნველყოს მოქნილობა და რომ გაცვლითი კურსი მოსახლეობას, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან შინამეურნეობებს, არ დატოვებს სურსათის გარეშე. ეს არის მარტივი გამოსავალი და სასურველია, ვიდრე ქვეყნების იძულება გაატარონ მკაცრი ეკონომიის კამპანია მხოლოდ იმისათვის, რათა შეინარჩუნონ უფრო მაღალი გაცვლითი კურსი. სააგენტომ ასევე უნდა წაახალისოს ადგილობრივი პოლიტიკა, რომელიც გაზრდის მოსახლეობისათვის აუცილებელი პროდუქციის, განსაკუთრებით სურსათისა და პირველადი საჭიროების სხვა ნივთების წარმოების შესაძლებობას.

რა შეიძლება ითქვას სავალუტო კრიზისებზე? არის თუ არა ისინი დამახასიათებელი მოქნილი სავალუტო კურსის რეჟიმისათვის, განსაკუთრებით ისეთებისთვის, რომლებსაც აქვთ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი?

1990-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკაში სამი ძირითადი სავალუტო კრიზისი დაფიქსირდა. პირველი იყო ევროპული სავალუტო კრიზისი, რომელიც მოჰყვა ბერლინის კედლის დანგრევას. მეორე იყო 1994 წლის მექსიკის სავალუტო კრიზისი, როცა პესო მკვეთრად გაუფასურდა მას შემდეგ, როცა კაპიტალის ნაკადები, მოზიდული აშშ-ში საპროცენტო განაკვეთების ზრდით, მექსიკის საპირისპიროდ დაიძრა. მესამე, იყო აზიის სავალო კრიზისი 1997 წელს.

- რა მოხდა თითოეულ ეპიზოდში? როგორი იყო გაბატონებული მონეტარული სისტემის ძირითადი მახასიათებლები თითოეული კრიზისის დროს, რომელმაც ის დააჩქარა?
- რა გაკვეთილები შეგვიძლია გამოვიტანოთ ამ შედარებით ბოლოდროინდელი მოვლენებიდან?

1992 წელს, როდესაც გერმანიის მთავრობა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ ქვეყნის გაერთიანებაზე გადავიდა, ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად საჭირო ფისკალურ ექსპანსიას თან ახლდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რადგანაც ბუნდესბანკს (გერმანიის ცენტრალურ ბანკს) ინფლაციის ეშინოდა. გერმანული მარკა საგრძნობლად გაძვირდა მაღალი საპროცენტო განაკვეთებით მოზიდული კაპიტალის შემოდინების გამო, რასაც წმინდა ექსპორტის ვარდნა მოჰყვა.

პრობლემა ის იყო, რომ გერმანული მარკა საბაზისო, საორიენტაციო ვალუტას წარმოადგენდა ევროპულ სავალუტო მექანიზმში (*European Exchange Rate Mechanism – ERM*), რომლის მიმართ დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს ფიქსირებული ჰქონდათ თავიანთი ვალუტები. ეს შეთანხმება 1979 წლის მარტიდან მოქმედებდა. ამგვარი შეთანხმების შესაბამისად, იმ ქვეყნებს, რომლებიც ახდენდნენ თავიანთი ვალუტების მიბმას, უნდა გაეზარდათ საკუთარი საპროცენტო განაკვეთები საბაზისო ქვეყანაში განაკვეთების ზრდის შესაბამისად, ფიქსირებული პარიტეტის შესანარჩუნებლად.

თუმცა, სხვა ქვეყნები არ ახორციელებდნენ თანაზომად ფისკალურ ექსპანსიას ადგილობრივ ეკონომიკაზე მზარდი საპროცენტო განაკვეთების მავნე ზემოქმედების საკომპენსაციოდ. აშკარა გახდა, რომ ამ ქვეყნებში ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემისადმი ერთგულება უმუშევრობის ზრდას და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ სირთულეებს ნიშნავდა.

სავალუტო ბაზრებზე მოთამაშეებმა იწინასწარმეტყველეს, რომ საბოლოო, მიბმული ქვეყნები დატოვებდნენ *ERM*-ს და დაუშვებდნენ თავიანთი ვალუტების გაუფასურებას გერმანული მარკის მიმართ. ამან გამოიწვია ამ ქვეყნების ვალუტების გაყიდვა სავალუტო ბაზრებზე, რამაც დაუყოვნებლივ აიძულა ქვეყნები გადაეხედათ ფიქსირებული შეთანხმებებისთვის.

სისტემის ნგრევას სტიმული მისცა სპეკულიანტმა ჯორჯ სოროსმა ბრიტანულ ფუნტზე „მოკლე გაყიდვის“ შეტევით. სავალუტო ბაზრებზე სპეკულიანტს შეუძლია ხელშეკრულების დადება ვალუტის გაყიდვაზე მომავალში წინასწარ დადგენილი ფასით. კონტრაქტი, რა თქმა უნდა, ნიშნავს იმას, რომ როცა კონტრაქტის მოქმედების ვადა დგება, სპეკულიანტმა ასევე უნდა იყიდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალუტა. ამგვარად, თუ კონტრაქტები საკმაოდ დიდია, მან შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ვალუტის ღირებულებაზე და სურვილი აღუძრას სხვა სპეკულიანტებს მიჰყვნენ ამ მაგალითს. ჯორჯ სოროსმა ბრიტანული ფუნტი მოკლე გაყიდვით გადაცვალა გერმანულ მარკაზე. მისმა მოკლე გაყიდვამ დამაქვეითებელი ზემოქმედება მოახდინა ფუნტი სტერლინგის გაცვლით კურსზე. მიბმის შესანარჩუნებლად, ბრიტანეთს მოუწია ფუნტების ყიდვა საკუთარი უცხოური სავალუტო რეზერვების გამოყენებით.

ბრიტანეთი გამოვიდა *ERM*-დან 1992 წლის სექტემბერში მას შემდეგ, რაც ინგლისის ბანკმა 6 მილიარდ ფუნტ სტერლინგზე მეტი დახარჯა უცხოური ვალუტების გაყიდვაზე, რათა შეენარჩუნებინა ვალუტა (სტერლინგი) შეთანხმებულ *ERM*-ის ლიმიტის ფარგლებში, მაშინ, როცა სპეკულაციურმა აქტივობამ მისი ფასი შეამცირა. ბრიტანეთის მთავრობა მზად არ იყო საკუთარი საპროცენტო განაკვეთების ასაწევად გერმანულთან შესაბამისად, რაც, მათი აზრით, სერიოზულ რეცესიას გამოიწვევდა.

ამ შემთხვევაში სპეკულიანტებმა გაიმარჯვეს, რადგანაც ეს მთავრობები აპირებდნენ საკუთარი ვალუტების მიბმას, მაგრამ არ იყვნენ მზად, მიეღოთ მონეტარული პოლიტიკის ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც მოჰყვა მიბმის გადაწყვეტილებას.

მექსიკური პესოს ანუ „ტეკილას კრიზისი“ საერთაშორისო სავალტო ფონდის მმართველმა დირექტორმა მიშელ კამდესიუმ „ოცდამეერთზე საუკუნის პირველი ფინანსური კრიზისი“ (Boughton, 2001) უწოდა, თუმცა აღინიშნა, რომ, ფაქტობრივად, სუეცი იყო პირველი კრიზისი და მექსიკის პრობლემები დაემსგავსა სუეცის კრიზისის გამომწვევ ფაქტორებს. ფაქტები კარგად არის ცნობილი, თუმცა ეკონომისტები თავიანთ ინტერპრეტაციებში ხაზს უსვამენ განსხვავებულ მიზეზებს.

1980-იან წლებში მექსიკამ განიცადა სავალო კრიზისი, რომელმაც განაპირობა ის არასწორი პოლიტიკა, რამაც არსებითად გამოიწვია 1994 წლის სავალუტო კრიზისი. სავალო კრიზისი შედეგი იყო იმისა, რომ მსხვილი კომერციული ბანკები, რომლებიც ეკუთვნოდათ უცხოელებს, ღებულობდნენ მსხვილ სესხებს უცხოურ ვალუტაში მცურავი საპროცენტო განაკვეთებით. ფინანსური რესურსები მიღებული იქნა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნებისგან, რომლებსაც უხვი სავალუტო რეზერვები ჰქონდათ OPEC-ის მიერ 1973-74 და 1970-იანი წლების ბოლოს ნავთობზე ფასების ზრდის შედეგად.

1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების დასაწყისში, აშშ-ის საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა ადგილობრივი ინფლაციის წინააღმდეგ გასამკლავებლად, რის გამოც ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის კერძო ვალის ტვირთი დამძიმდა, რადგანაც მათი საპროცენტო დანახარჯები სწრაფად გაიზარდა. 1981 წლის აშშ-ის რეცესიამ ასევე ზიანი მიაყენა სანედლეულო საქონლის საექსპორტო ბაზრებს, რომლებიც უცხოური სავალუტო წყარო იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკებისთვის. 1982 წელს მექსიკამ განაცხადა, რომ მას აღარ შეეძლო საგარეო ვალების მომსახურება და ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო დაკრედიტება შეწყდა, რაც ხელს უშლიდა დაუფარავი სესხების ნორმალურ რეფინანსირებას მათი დაფარვის ვადების დადგომის კვალობაზე. ვალის დიდი ნაწილი მოკლევადიანი იყო.

საქმეში ჩაერთო საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი დახმარების სანაცვლოდ, დაზარალებული ლათინური ამერიკის ქვეყნები იძულებულნი გახდნენ გაეტარებინათ თავისუფალი საბაზრო რეფორმები და მკაცრი ფისკალური ღონისძიებები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის იდეოლოგიურ პოზიციას. შედაგად მიღებული იქნა საყოველთაო უმუშევრობა და სიღარიბის დონის მკვეთრი ზრდა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის, ასევე და სატარიფო დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შეკვეცის კვალობაზე.

ზრდა განახლდა 1990-იანი წლების დასაწყისში და მკვეთრად ამაღლდა კაპიტალის მოდინება, განსაკუთრებით, აშშ-ის მზარდი ფინანსური სექტორიდან. მექსიკური მთავრობა, რომელიც ორიენტირებული იყო თავისუფალ ბაზარზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელობით ასევე ცდილობდა ეკონომიკა მაქსიმალურად მიმზიდველი ყოფილიყო ფინანსური სპეკულიანტებისთვის.

1991 წლის 11 ნოემბრიდან 1994 წლის 21 დეკემბრამდე, მექსიკის ბანკი არეგულირებდა პესოს ფიქსირებულ პარიტეტს აშშ-ის დოლარის მიმართ ე.წ. „სრიალის რეჟიმის“ ფარგლებში, როდესაც ნებადართული იყო კურსის ცვალებადობა დღიურად გარკვეულ დიაპაზონში. შედეგად, მექსიკის მთავრობა მზად იყო მოეხდინა პესოს კონვერტირება აშშ-ის დოლარებში (და პირიქით) ფიქსირებული კურსით, ეს კი ნიშნავდა, რომ მას ყოველთვის უნდა ჰქონოდა აშშ-ის დოლარის საკმარისი რეზერვები კონვერტირებადობის გარანტირებისთვის. ითვლებოდა, რომ საიმედო კონვერტირებადობა აუცილებელი იყო მექსიკის მთავრობის მონეტარული სანდოობის გასამყარებლად და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებზე ნდობის გასაღვივებლად. სინამდვილეში, უცხოელი სპეკულიანტებიდან მთელი რისკი გადაეკისრა მექსიკის მთავრობას; რისკი, რომელსაც საბოლოოდ მექსიკურმა ეკონომიკამ ვერ გაუძლო.

მექსიკურმა ადგილობრივმა ზრდა გაზარდა მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტი, რომელიც დაიფარა კაპიტალის მასობრივი მოდინებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზეწოლით მთავრობას ჰქონდა მცირედი ფისკალური პროფიციტი, მაგრამ ის იძულებული იყო გაეგრძელებინა სამთავრობო სავალო ვალდებულებების ემისია უცხოელი კრედიტორების მიმართ, რათა მიეწოდებინა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც მოიზიდავდა კაპიტალის მზარდ ნაკადს. ადგილობრივმა ზრდამ ასევე გაზარდა ინფლაცია, რადგანაც საწარმოო სიმძლავრეები გადატვირთული იყო.

ეს მოვლენები ნიშნავდა იმას, რომ პესო უნდა გაუფასურებულიყო, მაგრამ მექსიკის მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და აშშ-ის მთავრობის ზეწოლით შეინარჩუნა მიბმა მაშინაც კი, როდესაც სპეკულიანტებმა დაიწყეს პესოს გაყიდვა აშშ-ის დოლარის სასარგებლოდ. მექსიკის ბანკის სავალუტო რეზერვებმა (ე.წ. „მყარმა“ ვალუტამ) დაიწყო ამოწურვა, რამაც გამოიწვია შემდგომი სპეკულაციური შეტევები.

ადგილი ჰქონდა გარკვეულ პოლიტიკურ არეულობას, რამაც ხელი შეუწყო მექსიკის ეკონომიკის მიმართ ნდობის დაქვეითებას.

ფიქსირებული პარიტეტის მიმართ მექსიკური მთავრობის არაშორსმჭვრეტელურმა ერთგულებამ გამოიწვია ის, რომ მან კიდევ უფრო გააღრმავა კრიზისი, როცა მან დააკმაყოფილა მსხვილი უცხოელი ინვესტორების (განსაკუთრებით, უოლ-სტრიტის ბანკების) მოთხოვნები ე.წ. ტესობონო (*Tesobono*) ობლიგაციების გამოშვების თაობაზე, რომლებიც წარმოადგენდნენ აშშ-ის დოლარებში დენომინირებულ მთავრობის სავალო ვალდებულების ინსტრუმენტებს და მფლობელებს აზღვევდა ნებისმიერი სავალუტო რისკისგან.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ობლიგაციები სულ უფრო მეტად ანაცვლებდა პესოში დენომინირებულ ვალს, რათა უცხოელი ინვესტორები კმაყოფილი დარჩენილიყვნენ. ტესობონოებში გამოკვეთილმა საგარეო (გაცვლითი კურსის) რისკის დაზღვევამ შეამცირა ფასი, რომელიც მთავრობას უნდა გადაეხადა ამ ვალზე, მაგრამ ასევე მკვეთრად გაზარდა პესოს გაუფასურებისადმი დაქვემდებარება.

მიუხედავად მთავრობის შიგნით და მთავრობასა და ცენტრალურ ბანკს შორის არსებული დაძაბულობისა, ფიქსირებული პარიტეტის მდგომარეობა შენარჩუნდა, მიუხედავად იმისა, რომ ცხადი გახდა მთავრობა ვეღარ გააგრძელებდა ვალუტის მხარდაჭერას. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი აგრძელებდა მტკიცებას, რომ მექსიკის პოლიტიკა გონივრული იყო. ჯერ კიდევ აღმასრულებელი საბჭოს 1994 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა განიხილა ახალი „მოკლევადიანი დაფინანსების მექანიზმის“ შემოღება უფლებამოსილი ქვეყნებისთვის, რათა დახმარებოდა საგადასახდელო ბალანსზე მოკლევადინი ზეწოლის შემსუბუქებაში, რომელსაც შეეძლო მათი ვალუტების დესტაბილიზაცია.

თუმცა, სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში, პესოს სპეკულაციური გადინება ძალზე დიდი აღმოჩნდა და 1994 წლის 22 დეკემბერს მექსიკის მთავრობამ შემოიღო პესოს მცურავი გაცვლითი კურსი. 1994 წლის 19 დეკემბრისთვის ერთი აშშ დოლარი იყიდებოდა 3.4662 პესოდ. რვა დღის შემდეგ ერთი აშშ დოლარის კურსი 5.7625 პესომდე გაიზარდა, რაც პესოს 66.2 პროცენტიან გაუფასურებას ნიშნავდა.

მექსიკის მთავრობის გადაწყვეტილება პესოს თავისუფალი ცურვის რეჟიმში გადაყვანის თაობაზე იძულებითი იყო, რადგანაც მას ეწურებოდა სავალუტო რეზერვები, რომელიც აუცილებელი იყო ცენტრალური ბანკისთვის აშშ დოლართან მიმართებაში პესოს მიბმის შესანარჩუნებლად, იმის გამო, რომ სპეკულიანტები ყიდდნენ პესოს და ამცირებდნენ მის ფასს მსოფლიო ბაზრებზე.

გაუფასურების მოკლევადიანი შედეგები მძიმე იყო. ეს სიმძიმე ნაწილობრივ დაკავშირებული იყო მთავრობის შენელებულ ქმედებასთან გადაწყვეტილების მიღებაში. მოვლენები განვითარდა საპრეზიდენტო არჩევნების წელს და როგორც არასტაბილურობა, რომელიც უკავშირდებოდა უმწვავეს კამპანიას (მათ შორის, ერთ-ერთი წამყვანი კანდიდატის, ლუის დონალდო კოლოზიოს მკვლელობას 1994 წლის მარტში), ისე მოქმედი პრეზიდენტის სურვილს, არ ეტარებინა დევალვაციის დაშვების დამღა, ნიშნავდა იმას, რომ მიბმა ძალაში დარჩა ძალზე დიდხანს, მიუხედავად ფინანსური რესურსების მასობრივად გადინებისა.

მიბმა მექსიკური მთავრობისათვის ერთგვარი სტატუსი იყო, რომელმაც გააღვივა ნდობის გრძნობა მის ეკონომიკაში, როდესაც მექსიკა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი გახდა და 1994 წლის დასაწყისში შევიდა NAFTA-ში.

მთავრობამ ასევე მოახდინა კრედიტის ლიბერალიზაცია და საბანკო სისტემის პრივატიზება, რამაც ქვეყანა კაპიტალის სწრაფი შემოდინების წინაშე დააყენა, მისი ფინანსური ინსტიტუტების უნარის შესაბამისი გაზრდის გარეშე, გამკლავებოდნენ საერთაშორისო ფინანსებთან დაკავშირებულ რისკებს. როგორც კი მექსიკა იძულებული გახდა გადასულიყო მცურავ რეჟიმზე, საერთაშორისო ბაზრების რეაქცია მკვეთრი იყო. ინვესტორებმა (როგორც უცხოელმა, ისე მექსიკელმა), რომლებიც ადრე მექსიკას მისაბაძ ნიმუშად თვლიდნენ ლათინური ამერიკისათვის, რამდენიმე დღეში (1994 წლის 20-დან 22 დეკემბრამდე) გასაოცარი მასშტაბებით გაყიდეს პესო.

მიბმის შენარჩუნების სურვილის გათვალისწინებით, მთავრობამ თავისთვის დატოვა ორი არასასურველი ვარიანტი, რადგანაც კაპიტალის გადინება დაჩქარდა და ცენტრალური ბანკის საგარეო რეზერვები სწრაფად შემცირდა.

პირველ რიგში, მათ შეეძლოთ გაეზარდათ საპროცენტო განაკვეთები ინვესტორების წახალისების მიზნით, რათა დაეტოვებინათ ფონდები მექსიკაში. თუმცა, საპროცენტო განაკვეთის საჭირო ოდენობით ზრდა იმდენად დიდი იქნებოდა, რომ ეკონომიკას სერიოზულ რეცესიაში ჩაძირავდა, რამაც შესაძლოა კიდევ უფრო შეამცირა ნდობა და გააგრძელა ზეწოლა პესოს ვარდნაზე.

მეორე, მათ შეეძლოთ დიაპაზონის გაფართოება, რომელშიც ისინი შეძლებდნენ მცოცავი მიბმის მიღწევას, რაც ოდნავ გააუმჯობესებდა მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს და სავარაუდოდ, ნაწილობრივ დააკომპენსირებდა მანიას, რომელმაც მოიცვა სავალუტო ბაზრები პესოს სავარაუდო გაუფასურების გამო. მაგრამ, ამ არჩევანის შედეგები იყო საგარეო ვალის მიხედვით ვალზე მომსახურების გადახდების ზრდა, რომლებიც ეკუთვნოდათ მექსიკურ კომპანიებს და მთავრობის გარდაუვალი გადახდისუუნარობა.

საბოლოოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და აშშ-ის მთავრობის დახმარებების კომბინაციამ მოახდინა ფინანსური სისტემის სტაბილიზაცია და დააშოშმინა საერთაშორისო საინვესტიციო საზოგადოება, რომლებმაც დაგვიანებით გააცნობიერეს, რომ მექსიკის ეკონომიკური საფუძვლები უცვლელი იყო და არ გამართლდა მასიური გადაჭარბებული რეაქცია.

ამგვარად, მექსიკური პესოს კრიზისი მაკროეკონომიკური პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვან გაკვეთილს იძლევა:

- მიუხედავად იმისა, რომ მცურავმა გაცვლითმა კურსმა ეკონომიკა შეიძლება იმპორტირებული ინფლაციის ზემოქმედების ქვეშ დააყენოს გაუფასურების პერიოდებში, ადგილობრივი წარმოებისა და დასაქმების სტაბილიზაციის შესაძლებლობების უპირატესობები მნიშვნელოვანია. ქვეყანა, რომელიც ახდენს საკუთარი ვალუტის მიბმას, კარგავს მონეტარულ პოლიტიკაზე კონტროლს და ფისკალურ პოლიტიკას პასიური როლის თამაშს აიძულებს, რომელიც დესტრუქციული ხდება, როცა ვალუტა მნიშვნელოვნად უფასურდება.

- მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის გამომშვებ მთავრობას შეუძლია გამოუშვას სახელმწიფო სავალო ვალდებულებები, უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ვალდებულებები, რომელსაც ის გამოსცემს, დენომინირებული იყოს მის საკუთარ ვალუტაში და არ აიღოს საკუთარ თავზე სავალუტო რისკი ინდექსირების ან სადაზღვევო შეთანხმებების გზით.

1990-იანი წლების ბოლო ძირითადი სავალუტო კრიზისი დაიწყო 1997 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში - ტაილანდში, მალაიზიაში, ფილიპინებში, სინგაპურში, ინდონეზიაში, რომელიც მოგვიანებით გავრცელდა ინდუსტრიული აღმოსავლეთი აზიის ქვეყანაში - სამხრეთ კორეაში.

კრიზისამდე ორი ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებმა მოიზიდეს დიდი კაპიტალური ნაკადები და მათი ეკონომიკებიც მნიშვნელოვნად გაიზარდა. სწრაფი ზრდის პერიოდი, რომელიც დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოს, თანდაყოლილი იყო კერძო დანაზოგების მაღალი მაჩვენებლებითა და ძლიერი ინვესტიციებით. გარდა ამისა, ინფლაცია დაბალი იყო და მთავრობებს, ძირითადად, ფისკალური პროფიციტები ჰქონდათ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ეკონომიკებს განიხილავდნენ, როგორც მდგრადი განვითარების მოდელებს. გამოთქმა „აზიური სასწაული“ გამოიყენებოდა სწრაფი ზრდისა და ცხოვრების მზარდი დონის აღსაწერად, განსაკუთრებით, ე.წ. „აზიური ვეფხვების“ ოთხ ეკონომიკაში: ჰონგკონგში, ტაივანში, სინგაპურსა და სამხრეთ კორეაში. მრავალმხრივი ორგანიზაციები შეცდომით თვლიდნენ, რომ სწრაფი ზრდა ფისკალური მართებულობისა და თავისუფალი ბაზრის დინამიკის შედეგი იყო, რაც, მათი აზრით, რესურსებს მიმართავდა მათი ყველაზე ღირებული გამოყენებისკენ და ამ ქვეყნებს საშუალებას აძლევდა ყოფილიყვნენ კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე.

მაგრამ, რეალობა სულ სხვა იყო. აზიურმა ქვეყნებმა ააგეს თავიანთი ზრდის სტრატეგია, რომელიც 1960-იანი წლების ბოლოს დაიწყო (იაპონიასთან ერთად), ინდუსტრიალიზაციის, მერკანტილიზმისა და მკაცრი სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის შეხამებით.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც სამხრეთი კორეაა, სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა განვითარების პროცესში და უარყო თავისუფალი ბაზრის ეკონომისტების მიერ შემოთავაზებული რჩევები საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით. საერთაშორისო ორგანიზაციები თვლიდნენ, რომ ზრდა ვაჭრობის ხარჯზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა იყენებს თავის შედარებით უპირატესობას. მაგრამ, სამხრეთი კორეის მთავრობამ აირჩია და მხარი დაუჭირა რამდენიმე საკვანძო მნიშვნელობის დარგებს, როგორც ზრდის მამოძრავებელ ძალას, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მათგანს არ გააჩნდა შედარებითი რესურსული უპირატესობა (მაგალითად, ქიმიური მრეწველობა). კორეის საფეიქრო დარგი მიუთითებს იმაზე, რომ ქიმიური მრეწველობა მხარს უჭერს თავის საკუთარ განვითარებას.

სინამდვილეში, მთავრობები „ბაზარში“ სხვადასხვა გზით ერეოდნენ. ისინი მიზნობრივ დარგებს უზრუნველყოფდნენ კრედიტებით, რომელიც საბაზროზე დაბალი იყო. მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები მიეცა ფირმებს მოგებისა და ინვესტიციების გაზრდის მიზნით. ადგილობრივი ფირმები დაცული იყვნენ იმპორტის მხრიდან კონკურენციისგან. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი კაპიტალდაბანდებები განახორციელა საზოგადოებრივ კვლევასა და განვითარებაში და შედეგები ინდუსტრიას გაუზიარა.

1990-იანი წლების დასაწყისიდან კაპიტალური რესურსები „ვეფხვებიდან“ გადადიოდა ჩინეთსა და ინდოეთში, რომლებიც იაფი შრომითი რესურსებით ახდენდნენ მოზიდვას. ჩინეთისა და ინდოეთის ზრდა გამოწვევად იქცა სხვა აზიური ქვეყნების ექსპორტის უპირატესობის მიმართ, როგორი-

ცაა მალაიზია, ტაივანი, სამხრეთი კორეა, სინგაპური და ტაილანდი, რომლებიც სათავეში ედგნენ ზრდის აზიურ ფაზას 1980-იანი წლების ბოლოს. ინვესტიციების გადაადგილებამ და ჩინეთის ექსპორტის მზარდმა ძალამ შეამცირა ზრდის ტემპები „ვეფხვების“ ქვეყნებში.

ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა კიდევ რამდენიმე შოკს, რომლებმაც ძირი გამოუთხარა სასწაულს. პირველი, ჩინური რენმინბი და იაპონური იენი გაუფასურდა. მეორე, აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ გაზარდა საპროცენტო განაკვეთები, რამაც გაზარდა აშშ-ის დოლარის ღირებულება და დაძაბულობა შემოიტანა მასთან მიბმულ ვალუტებთან მიმართებაში. მესამე, „ვეფხვების“ საექსპორტო შემოსავლების ვარდნა გარღმავდა ნახევარგამტარებზე ფასების გლობალური ვარდნით (1993-1999 წლებში ვარდნამ 36 პროცენტი შეადგინა).

ზრდის ფაზას ასევე თან ახლდა უძრავი ქონების ფასების ბუმი, რაც გამოწვეული იყო მნიშვნელოვანი მოკლევადიანი სესხებით უცხოურ ვალუტაში, რამაც გაზარდა კერძო სექტორზე რისკის ზემოქმედება, რომელიც დამოკიდებული იყო ექსპორტიდან მაღალ შემოსავლებზე ვალების მომსახურებისთვის.

ნამდვილი კრიზისი დაიწყო ტაილანდში 1997 წლის ივლისში. ტაილანდური ბატი მიბმული იყო აშშ-ის დოლართან, რაც აზიურ ეკონომიკებში გავრცელებული პრაქტიკა იყო. მისმა უძრავი ქონების სექტორმა ქვეყნის საგარეო ვალი დასაშვები ლიმიტების ზღვარს მიღმა გაიყვანა, ხოლო კაპიტალის სპეკულაციურმა გადინებამ, რომელიც მოტივირებული იყო დანაკარგების შიშით ვალუტის კურსის ვარდნის მოლოდინით, ზეწოლა მოახდინა გაცვლით კურსზე. აღმოჩნდა რა ზეწოლის წინაშე, ცენტრალურმა ბანკმა ვერ შეინარჩუნა მიბმა, რადგანაც მას არ ჰქონდა უცხოური ვალუტის საჭირო რეზერვები. მას შემდეგ, რაც მთავრობამ 1997 წლის 2 ივლისს ბატი გაუშვა მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმში, მისი ღირებულება 50 პროცენტზე მეტად დაეცა, რადგანაც უცხოელი ინვესტორები მასობრივად იშორებდნენ მას თავიდან, რითაც შექმნეს უზარმაზარი ჭარბი მიწოდება.

ვალუტის კრახმა ფაქტობრივად გააკოტრა ქვეყანა, კერძო სექტორის მიერ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალების დიდი მოცულობის გათვალისწინებით. რადგანაც მათი შემოსავლების დიდი ნაწილი დევალვირებულ ადგილობრივ ვალუტაში იყო დენომინირებული, მათ ვერ შეძლეს მისი გადაცვლა უცხოური ვალუტის საკმარის რაოდენობაზე ვალის მოსამსახურებლად. ადგილობრივ საფონდო ბაზარზე მოხდა მნიშვნელოვანი ვარდნა და რამდენიმე მსხვილი ფინანსური ინსტიტუტი გაკოტრდა.

კრიზისმა გამოავლინა ვალუტის მიბმის შენარჩუნების საშიშროება, რომელიც ცენტრალური ბანკებისგან მოითხოვდა საკმარისი რაოდენობით სავალუტო რეზერვების არსებობას შეთანხმებული პარიტეტის შესანარჩუნებლად. ამან რეგიონში ყველა ვალუტა მოწყვლადი გახადა სპეკულაციური შეტევების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ტაილანდის ეკონომიკის სტრუქტურა ძალიან განსხვავდებოდა „ვეფხვებისგან“, სპეკულიანტებმა მიიჩნიეს, რომ ყველა რეგიონალურ ვალუტას მსგავსი საფრთხე ემუქრებოდა. ეს რწმენა თვითაღსრულებად წინასწარმეტყველებად იქცა და 1997 წლის აგვისტოსთვის ინდონეზიის, მალაიზიისა და ფილიპინების ვალუტებზე სპეკულაციურმა შეტევებმა მათი გაცვლითი კურსის შემცირება გამოიწვია. კრიზისი სექტემბერში გავრცელდა ჰონ კონგში, სინგაპურსა და ტაივანში, ხოლო 1997 წლის ნოემბერში სამხრეთი კორეიდან კაპიტალის გადინებამ მისი გაუფასურება განაპირობა. ბანკებმა, რომლებმაც მოკლევადიანი კრედიტები გასცეს ამ ქვეყნების მიმართ, უარი თქვეს ვალის გადადებაზე და საკრედიტო კრიზისი მყისიერად შეიქმნა.

ნათელია, რომ უფრო ძლიერ მოწინავე ქვეყნებს, როგორიცაა აშშ, იაპონია და ევროკავშირი, შეეძლოთ ჩარეულიყვნენ და ხელი შეეწყოთ უზრუნველყოფილიყო საკმარისი ლიკვიდურობა კაპიტალის გადინების შესაჩერებლად, რომელიც გამოწვეული იყო პანიკით. არა მხოლოდ მათ ცენ-

ტრალურ ბანკებს შეეძლოთ მიეწოდებინათ საკრედიტო ხაზები ცენტრალური ბანკებისთვის აზიის ქვეყნებში, არამედ მოწინავე მთავრობებსაც შეეძლოთ კერძო ბანკებთან შეთანხმებების დადება ვალების გადავადებაზე პანიკის შესაჩერებლად. ამის ნაცვლად, მოწინავე ქვეყნების მთავარი პასუხი მოვიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეშვეობით, რომელიც ტაილანდში პირველად 1997 წლის ივლისში ჩაერია. უშუალოდ კრიზისის წინ, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ჩათვალა, რომ აზიური ეკონომიკები - როგორც განვითარებული (სამხრეთი კორეა), ისე ნაკლებად განვითარებული (მაგალითად, ინდონეზია და ტაილანდი) - სწრაფად გაიზრდებოდა მათი ფინანსური სისტემების ფართომასშტაბიანი დერეგულირების ფონზე. ის თვლიდა, რომ შემდგომი „თავისუფალი საბაზრო“ რეფორმები სასარგებლო იქნებოდა. მიუხედავად ზოგიერთი აღიარებისა იმის შესახებ, რომ კაპიტალის მოზიდვა ძალზე ძლიერი და, შესაძლოა, არამდგრადი იყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ვერ შეძლო მართებულად შეეფასებინა მოწყვლადობა, რომელიც მისმა პოლიტიკურმა რეცეპტებმა (ლიბერალიზაცია და ა. შ.) შექმნა.

1997 წლის ბოლოსათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდი მკაცრად აკრიტიკებდა აზიის მთავრობებს, რომლებსაც ის მოცემული წლის დასაწყისში აქებდა.

ამჟამად აღიარებულია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საპასუხო პოლიტიკის შეცდომების სერიამ კრიზისი გააღრმავა და გაავრცელა. დახმარების ფონდების სანაცვლოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი დაჟინებით მოითხოვდა სავალუტო ბაზრებზე სპეკულაციური შეტევების ქვეშ მყოფ ქვეყნებს განეხორციელებინათ საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა და მნიშვნელოვანი ფისკალური შეზღუდვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოიყენა თავისი სტანდარტული პასუხი „ერთი ზომა მოერგება ყველას“ იმ შემთხვევებში, როცა ფისკალური დეფიციტი მნიშვნელოვანი იყო, ხოლო ინფლაცია - აჩქარებული. ასეთი მიდგომა ეჭვს იწვევდა მშვიდობიან დროსაც კი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის გამოუსადეგარი იყო აზიის ეკონომიკებისათვის, სადაც ფისკალური პროფიციტი და სტაბილური ინფლაციის ტემპები შეიმჩნეოდა.

თავისი ყველაზე მარტივი ფორმით, კრიზისი იყო უკიდურესი ფინანსური ლიბერალიზაციის შედეგი, რამაც ხელი შეუწყო კაპიტალის მასიურ (და თანაბარზომიერი ვალდებულებების) შემოდინებას 1993-1996 წლებში. ვალდებულებები, როგორც წესი, მოკლევადიანი იყო, მაგრამ ფონდები გამოიყენებოდა გრძელვადიანი ინვესტიციებისათვის (მაგალითად, უძრავი ქონების საყიდლად).

როდესაც ექსპორტის ზრდა შენელდა, კაპიტალის მოდინებამ ძალიან სწრაფად დაიწყო უკუქცევა, მაგრამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნებმა უზრუნველყო ის, რომ კრიზისი გასცდა სავალუტო ბაზრების საზღვრებს და გადავიდა მსხვილმასშტაბიან ეკონომიკურ რეცესიაში. რადგანაც კაპიტალის გადინება დაჩქარდა ეკონომიკური პირობების გაუარესებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდი დაჟინებით მოითხოვდა საპროცენტო განაკვეთების კიდევ უფრო გაზრდას და ფისკალური შეზღუდვის გამკაცრებას.

ინდონეზიის გადარჩენის გეგმის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მთავრობა აიძულა დაეხურა 16 გადახდისუუნარო ბანკი, იმის მტკიცებით, რომ ეს აღადგენდა ნდობას დარჩენილი ბანკების მიმართ. შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა და ფონდების პანიკურმა ამოღებამ შეარყია მრავალი კერძო ბანკის გადახდისუნარიანობა. ინდონეზიის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა ფონდების ინექცია (GDP-ის ხუთი პროცენტის ოდენობით) ამ ბანკებში მათ გადასარჩენად, რამაც გაამწვავა რუპიის ვარდნა და რომელიც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაჟინებულ მოთხოვნას საპროცენტო განაკვეთების მკვეთრ ზრდაზე.

მოკლედ რომ ვთქვათ, აზიის ფინანსური კრიზისი იყო კაპიტალის ნაკადების რეგულირების ნაკლებობის შედეგი ვალუტის მიბმასთან ერთად. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ეს ფინანსური ბაზრების მიერ ინტერპრეტირებული იყო, როგორც მთავრობის მხრიდან მისი დაზღვევა სავალუ-

ტო რისკებისგან და, ამგვარად, ადგილი არ ჰქონდა სესხების კერძო სავალუტო ჰეჯირებას. მას შემდეგ, რაც ვალუტებმა კრახი განიცადეს და მცურავ რეჟიმში გადავიდნენ, ამ არაჰეჯირებულმა პოზიციებმა სწრაფად გამოიწვია ბანკროტობა.

მანდელი ამტკიცებდა, რომ, თუ ფული, უპირველეს ყოვლისა, გაცვლის საშუალებაა, მაშინ განსაკუთრებული აზრი არ აქვს იმას, რომ ვალუტის გამოყენება ეროვნული სახელმწიფოს მიერ იყოს შემოსაზღვრული. ბოლოს და ბოლოს, ეროვნული საზღვრები დიდწილად პოლიტიკურად არის განსაზღვრული. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ უაღრესად ინტეგრირებული ეკონომიკების „ეკონომიკური საზღვრები“ არ ემთხვეოდეს ეროვნული სახელმწიფოების პოლიტიკურ საზღვრებს. მაგალითად, შესაძლებელია აშშ-ის აღმოსავლეთი ნაწილი და კანადა ეკონომიკურად უფრო იყვნენ ინტეგრირებულნი, ვიდრე ცალკე აღებული ქვეყნის აღმოსავლეთი და დასავლეთი ზონები ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, შეიძლება გონივრული იყოს „დასავლური“ დოლარი თითოეული ქვეყნის დასავლეთი რეგიონებისათვის და „აღმოსავლური“ დოლარი - აღმოსავლეთი რეგიონებისათვის, ვიდრე აშშ დოლარი და კანადური დოლარი. კიდევ ერთი მაგალითი შეიძლება იყოს ესტონეთისა და ჩეხეთის შემთხვევები, რომელთაგან თითოეულს აქვს რეგიონები, რომლებიც ძალიან ინტეგრირებულია გერმანულ საწარმოო სექტორთან; იქნებ მათ უნდა გამოიყენონ ერთი და იგივე ვალუტა? (რა თქმა უნდა, გერმანია და ესტონეთი იყენებს ევროს, ხოლო ჩეხეთს აქვს საკუთარი ვალუტა; შეიძლება ითქვას, რომ ესტონეთი და ჩეხეთი ბევრად უფრო ინტეგრირებულია გერმანიასთან, ვიდრე საბერძნეთი, რომელიც ასევე იყენებს ევროს).

ოპტიმალური სავალუტო ზონა უნდა იყოს ის, სადაც კაპიტალი და შრომა მოძრავია, ხოლო ხელფასები და ფასები მოქნილი იქნება რეგიონის შიგნით. ეს საშუალებას აძლევს რესურსებს გადაადგილდეს იქ, სადაც ისინი საჭიროა, ხოლო ხელფასები და ფასები უნდა კორექტირდეს წონასწორობის შესანარჩუნებლად. სავალუტო ზონის ფარგლებში გაცვლითი კურსი, ცხადია, ფიქსირებულია, რადგანაც მთელი რეგიონი იყენებს ერთსა და იმავე ვალუტას. ამტკიცებენ, რომ მოქნილი კაპიტალისა და შრომის ბაზრებს შეუძლიათ ფუნქციონირება მოთხოვნისა და მიწოდების გასაწონასწორებლად (ვინაიდან შეუძლებელია სავალუტო კურსების კორექტირება, რათა იკისროს საბაზრო წონასწორობის შენარჩუნების გარკვეული ტვირთი). ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის შიგნით არსებული ყველა ზონა განიცდიდეს ერთსა და იმავე საქმიან ციკლს, რათა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, რომელიც არჩეულია ციკლის საპასუხოდ, ესადაგებოდეს მთელ რეგიონს. მოქნილი სავალუტო კურსების სხვა ვალუტებთან მიმართებაში (OCA-ს გარეთ) ინარჩუნებს გარე წონასწორობას; ანუ, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიში უნდა იყოს დაბალანსებული მოქნილი გაცვლითი კურსებით OCA-ს ფარგლებს გარეთ არსებული რეგიონების (და ქვეყნების) მიმართ.

გარდა მთავრობების მფლანგველობის შეზღუდვისა, OCA-მ უნდა შეამციროს ვალუტების გაცვლასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯები (საკომისიოები, რომლებიც დაწესებულია, პლუს გაცვლითი კურსის მოძრაობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის დაძლევის ხარჯები). არავის მოუწევს კალკულატორების ტარება, რათა მოახდინოს ფასების კონვერტირება გაცვლითი კურსების მიხედვით სავალუტო ზონის ფარგლებში. ბიზნესს არ უწევს საკუთარი თავის დაცვა გაცვლითი კურსის არახელსაყრელი ცვლილებებისგან (OCA-ს გარეშე, მათი ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს ერთ ვალუტაში, მაგრამ მათი შემოსავლები სხვა ვალუტაში იქნება, თუ ისინი ექსპორტიორებია). ერთიან ვალუტაზე გადასვლა ამცირებს ხარჯებს და გაურკვევლობას, ზრდის მომგებიან ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას).

OCA-ს იდეა გაფართოვდა მოწოდებით, რომ მთელი დედამიწა დაიყოს მცირე რაოდენობის უზარმაზარ რეგიონებად, სადაც თითოეულში გამოყენებული იქნება ერთიანი ვალუტა. მაგალითად, აშშ-ის დოლარი შეიძლება მიღებული იქნეს ამერიკის ყველა ქვეყნის მიერ; ევროს რეგიონი

გავრცელდება მთელ ევროპასა და შესაძლოა, აფრიკაზეც; ჩინეთის *RMB* ან იაპონური იენი მიღებული იქნება მთელ აზიაში. თითოეულ რეგიონში გაცვლითი კურსი იქნება ფიქსირებული, მაგრამ თითოეული ძირითადი რეგიონული ვალუტა მოქნილი იქნება ერთმანეთთან მიმართებაში. ამ გზით, გაცვლითი კურსის კორექტირება დააბალანსებს გადახდებს რეგიონებს შორის, ხოლო მოქნილი ბაზრების რეგიონებში შეინარჩუნებს სრულ დასაქმებას. როდესაც ცალკეული ქვეყნები უარს იტყვიან თავიანთ ვალუტებზე, ბაზრები აიძულებენ მთავრობებს უზრუნველყონ დაბალანსებული ბიუჯეტები და დაბალი ინფლაცია.

მანდელის თეორია ხშირად გამოიყენებოდა ევროპული სავალუტო კავშირის (*European Monetary Union – EMU*) შექმნის დროს სასარგებლო არგუმენტად. ამტკიცებდნენ, რომ მაშინაც კი, თუ ქვეყნები, რომლებიც გაწევრიანების მხრივ არ აკმაყოფილებდნენ ზემოთ ჩამოთვლილ წინაპირობებს, საკუთარ ვალუტებზე უარის თქმითა და ევროს მიღებით შეძლებდნენ იპტიმალური სავალუტო ზონად გადაქცევას. ჩვენ დეტალურად განვიხილეთ *EMU*-ს შექმნის შედეგი. დღეს ანალიტიკოსთა უმრავლესობამ (დაგვიანებით) გააცნობიერა, რომ მანდელის იდეის ფატალური ნაკლოვანება იყო მისი უუნარობა ეღიარებინა, რომ ეროვნული ვალუტის სუვერენიტეტი წარმოადგენს იმ გადამწყვეტ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სივრცეს. თავიანთ უწინდელ ვალუტებზე უარის თქმამ დამანგრეველი შედეგები იქონია *EMU*-ის წევრთა უმრავლესობისთვის.

თუ აღიარებული იქნება, რომ ეროვნული სახელმწიფოები საჭიროებენ თავიანთ საკუთარ სუვერენულ ვალუტებს დამოუკიდებელი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მხარდასაჭერად, ეს უწინდებურად ჰაერში ტოვებს სათანადო საერთაშორისო სავალუტო სისტემას. ამ თემაში ჩვენ დავიკავეთ პოზიცია, რომ მოქნილი გაცვლითი კურსი ინარჩუნებს სივრვეს ადგილობრივი პოლიტიკისათვის. ამ პარაგრაფის დარჩენილ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ალტერნატიულ საერთაშორისო საგადახდო სისტემებს, დაწყებული სისტემის განვითარებით, რომელიც მიღებული იქნა მეორე მსოფლიო ომის ბოლოს.

დიდ დეპრესიამდე მრავალმა მსხვილმა კაპიტალისტურმა ქვეყანამ მიიღო ოქროს სტანდარტი, სადაც არსებობდა პირობა იმისა, რომ თავიანთ ვალუტას გაცვლიდნენ ოქროზე ფიქსირებული გაცვლითი კურსით. თუმცა, დიდი დეპრესიის დროს მათ უარი თქვეს ოქროზე კონვერტირებადობაზე, რათა გაენთავისუფლებინათ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა უბედურებასთან გამკლავების მიზნით. მეორე მსოფლიო ომმა, რომელიც მოჰყვა დეპრესიას, ქვეყნები ერთმანეთს დაუპირისპირა, რამაც ნორმალური სავაჭრო ურთიერთობები შეუძლებელი გახადა. ომის დასასრულის მოახლოებასთან ერთად, მოკავშირეებმა დაიწყეს ომისშემდგომი სამყაროს დაგეგმვა და განიხილეს საერთაშორისო სავალუტო რეჟიმის ტიპი, რომელიც უნდა დამკვიდრებულიყო.

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ომამდე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში დიდ როლს ბრიტანული ფუნტი თამაშობდა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები სარგებლობდნენ ოქროს სტანდარტით, გადახდები ხშირად წარმოებდა ფუნტებში (ოქროს მიმართ ფიქსირებული პარიტეტით). მაგრამ, ბრიტანეთის სტატუსი დაეცა, მაშინ როცა ამერიკის სტატუსი ომის პერიოდში ამაღლდა. 1944 წელს საერთაშორისო შეხვედრაზე ბრეტონ ვუდსში, ნიუ-ჰემპშირის შტატში (აშშ), მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერებმა განიხილეს ომის შემდგომი სისტემა. მოლაპარაკებებში ჯ. მ. კეინზი წარმოადგენდა დიდ ბრიტანეთს, ხოლო ჰარი დექსტერ უაიტი - აშშ-ს. თითოეულმა თავისი გეგმა მიიტანა შეხვედრაზე; კეინზი გამოდიოდა „ბანკორის“ გეგმის მომხრედ, ხოლო უაიტი ამტკიცებდა იმას, რასაც შემდგომ ბრეტონ-ვუდსის სისტემა ეწოდა. საერთაშორისო გაცვლითი კურსის სისტემის შექმნის შემდეგ, კონფერენციის შედეგები მოიცავდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (*International Monetary Fund – IMF*) და მსოფლიო ბანკის შექმნას.

ბრეტონ-ვუდსის სისტემა (*The Bretton Woods System – BW*) დიდწილად შეესაბამებოდა აშშ-ის პრეფერენციებს. აშშ-ს უნდა დაეფიქსირებინა საკუთარი დოლარის კურსი ოქროს მიმართ, ხოლო სხვა ქვეყნებს - თავიანთი ვალუტები დოლარის მიმართ. საერთაშორისო გადახდები, ძირითადად, დოლარში უნდა განხორციელებულიყო. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ხელს შეუწყობდა განვითარებას, სისტემისთვის მეტი მოქნილობის მინიჭებით, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო ომამდელი ოქროს სტანდარტის პირობებში. ქვეყნებს, რომლებსაც სჭირდებოდათ დოლარები საკუთარი ვალუტის კურსის დასაცავად მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტისგან, შეეძლოთ მიემართათ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკისთვის (გარდა ამისა, აშშ დოლარებს პირდაპირ აწვდიდა მარშალის გეგმის მეშვეობით). თუმცა, ეს სისტემა კიდევ უფრო მკაცრი იყო, ვიდრე ის, რომელიც წარმოადგინა კეინზმა და ამ სისტემამ სულ რაღაც მეოთხედი საუკუნე იარსება, სანამ 1970-იანი წლების დასაწყისში მასზე უარი არ თქვეს. საინტერესოა შევხედოთ კეინზის წინადადების თავისებურებებს, რომელიც შესაძლოა უფრო წარმატებული ყოფილიყო. ბოლო წლებში, მოქნილი გაცვლითი კურსებისა და აშშ-ის დოლარის დომინირების კრიტიკოსებმა განაახლეს მოწოდებები კეინზის იდეისკენ შემობრუნებაზე: შეიქმნას მეორე, ბრეტონ ვუდსის სისტემაზე უკეთესი სისტემა.

კეინზმა მოითხოვა საერთაშორისო კლირინგული კავშირის (*International Clearing Union – ICU*) შექმნა, რომელიც ეფუძნება საანგარიშო ერთეულს, სახელწოდებით „ბანკორი“ (*Bancor*). ბანკორის ღირებულება უნდა დაფიქსირდეს ოქროსთან მიმართებაში, ხოლო შემდეგ ყველა ქვეყნის ვალუტა, რომლებიც საერთაშორისო კლირინგული კავშირის მონაწილენი იქნებიან, თავიანთ ვალუტებს დააფიქსირებენ ბანკორის მიმართ. ბანკორი გამოყენებული იქნება მხოლოდ საკლირინგო მიზნით ქვეყნებს შორის; ქვეყნები შეძლებენ ბანკორის ნაშთების ყიდვას საერთაშორისო კლირინგული კავშირისგან ოქროს გამოყენებით, მაგრამ ბანკორების გადაცვლა ოქროზე შეუძლებელი იქნება, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ არ იარსებებს ბანკორის პანიკურად თავიდან მოშორების საფრთხე.

თავიდანვე, ბანკორის რეზერვების რაოდენობა ქვეყნებს შორის გადანაწილდება საერთაშორისო ვაჭრობის წინა დონეებზე დაყრდნობით. ქვეყნები, რომლებსაც აქვთ სავაჭრო ბალანსის დადებითი სალდო, დააგროვებენ დამატებით რეზერვებს, მაშინ, როცა დეფიციტის მქონე ქვეყნები რეზერვებს დაკარგავენ. საერთაშორისი საკლირინგო კავშირი შესთავაზებს ოვერდრაფტის შესაძლებლობებს იმ ქვეყნებს, რომლებმაც ამოწურეს თავიანთი რეზერვები. რეზერვები ვერ დატოვებენ სისტემას და საერთაშორისი საკლირინგო კავშირი ყოველთვის შეძლებს გააფართოვოს ბანკორის რეზერვების მიწოდება სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებში ავანსების შექმნით. გარდა ამისა, პროფიციტურ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ ბანკორის რეზერვები დეფიციტური ქვეყნებისთვის სესხების შესათავაზებლად, ინვესტიციებისთვის ან ცალმხრივი გრანტებისთვის.

კეინზი მოითხოვდა ჭარბ ოვერდრაფტებზე და ჭარბ რეზერვებზე გარკვეული დაბეგვრის დაკისრებას ერთი ან ორი პროცენტული პუნქტით, დაბალანსებული ვაჭრობის წასახალისებლად. სხვა შესაძლო ქმედებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს დეფიციტის მქონე ქვეყნების შემთხვევაში, მოიცავს ვალუტის დევალვაციას, კაპიტალის კონტროლს, ოქროს რეზერვების კონფისკაციას და ადგილობრივ პოლიტიკას. ქმედებები, რომლებიც უნდა გატარდეს პროფიციტების მქონე ქვეყნების მიმართ, მოიცავს მოთხოვნებს ადგილობრივი მოთხოვნის გაფართოებაზე, ვალუტის კურსის ამაღლებაზე, ტარიფებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების შემცირებაზე, აგრეთვე საერთაშორისო განვითარების სესხების წახალისებაზე (Keynes 1980: 462-3). დაბოლოს, საერთაშორისი საკლირინგო კავშირს შეეძლო თავისი ძალაუფლება გამოეყენებინა ეკონომიკური განვითარების წახალისებისთვის ოვერდრაფტების გამოყენებით დახმარების აღმოსაჩენად, საქონლის ბუ-

ფერული მარაგების შესაქმნელად, საერთაშორისო საინვესტიციო კორპორაციის შესაქმნელად და ფასების სტაბილიზაციისათვის (Keynes 1980: 190).

ბანკორის გეგმა არასოდეს ყოფილა მიღებული. ბრეტონ-ვუდსის სისტემა ფუნქციონირებდა მანამ, სანამ აშშ-დან დოლარების ნაკადი დანარჩენი მსოფლიოს მიმართ საკმარისი იყო დოლარის აქტივებზე მსოფლიო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. 1960-იანი წლების ბოლოსთვის დოლარი ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა, დოლარზე მოთხოვნების რაოდენობა მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად აჭარბებდა აშშ-ის ოქროს მარაგს და არსებობდა საშიშროება იმისა, რომ მფლობელები ამოწურავდნენ ამ რეზერვებს, თუ დოლარის მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილს წარადგენდნენ გამოსასყიდად. მართლაც, ნებისმიერი მინიშნება დოლარის მნიშვნელოვანი გაუფასურების შესახებ შეეძლო პანიკის გამოწვევა. შიშობდა, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, პრეზიდენტმა ნიქსონმა უარი თქვა ამ სისტემაზე 1970-იანი წლების დასაწყისში, რათა დაეცვა აშშ-ის ოქროს მარაგები. აშშ-მა შემოიღო თავისი ვალუტის მცურავი რეჟიმი და მსხვილი ქვეყნების უმრავლესობამ მის მაგალითს მიბაძა.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ბრეტონ-ვუდსის სისტემის ნაკლოვანებები, კეინზის ბანკორის გეგმასთან შედარებით მოიცავდა შემდეგ მომენტებს:

1. აშშ-ის დოლარი გამოიყენებოდა, როგორც საერთაშორისო სარეზერვო ვალუტა; კეინზის გეგმით, სარეზერვო ვალუტა იქნებოდა ბანკორი; საერთაშორისო ვალუტა და არა რომელიმე ცალკეული ქვეყნის ვალუტა.
2. აშშ-ის დოლარი კონვერტირებადი იყო ოქროზე, რამაც შესაძლებელი გახადა პანიკური ქცევები (ბანკორი არ იყო კონვერტირებადი ოქროზე).
3. საერთაშორისო სავალუტო რეზერვების გაგზავნის „უკუ ნაკადის“ მეთოდი დეფიციტის ქვეყნებში გაცილებით სუსტი იყო ბრეტონ-ვუდსის სისტემის შემთხვევაში, ვიდრე იქნებოდა ბანკორის გეგმით.
4. არავითარი ჯარიმები არ ეკისრებოდათ პროფიციტის ქვეყნებს ბრეტონ-ვუდსის სისტემის ფარგლებში, მაშინ, როცა ბანკორის გეგმით, ქვეყნები, რომლებსაც ექნებოდათ ჭარბი რეზერვები დაგროვებული, იძულებულნი იქნებოდნენ ის „გამოეყენებინათ ან დაეკარგათ“.

როდესაც დოლარზე გარდაუვალმა ზეწოლამ გამოიწვია ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრახი, მსხვილი ქვეყნები შეუერთდნენ აშშ-ს მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლაში. ამ ნაბიჯს მხარი დაუჭირა ზოგიერთმა ნეოკლასიკოსმა ეკონომისტმა, განსაკუთრებით - მილტონ ფრიდმანმა. პრეტენზია იმაში მდგომარეობდა, რომ მოქნილი სისტემა იმოქმედებდა დიდწილად ლეგენდარული მექანიზმის - „ფასებისა და ოქროს მონეტების ნაკადებისნ მსგავსად, რომელიც, სავარაუდოდ, სწრაფად აღმოფხვრიდა ხოლმე დისბალანსს ოქროს სტანდარტის ეპოქაში. ორთოდოქსული მტკიცება მდგომარეობდა იმაში, რომ მოქნილი გაცვლითი კურსის რეჟიმში, სავაჭრო დისბალანსები გამოიწვევს ვალუტების კორექტირებას (პროფიციტი ვალუტას გააძვირებს, დეფიციტი კი გააუფასურებს), რაც ავტომატურად დააბრუნებს გლობალურ ვაჭრობას წონასწორულ მდგომარეობაში.

ბრეტონ-ვუდსის სისტემაზე უარის თქმის თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა გამოცდილებამ ამ მტკიცების სრული დისკრედიტაცია მოახდინა. რა თქმა უნდა, მრავალ ქვეყანას არ შემოუღია თავისუფლად მცურავი გაცვლითი კურსები, მაგრამ ინტერვენციები არასაკმარისად დიდია, რათა აიხსნას სავაჭრო დისბალანსების დაჟინებული არსებობა. გრძელვადიანი სავაჭრო დისბალანსების გარდა, მსოფლიომ განიცადა გაცვლითი კურსის დიდი არასტაბილურობა (განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში), რაც გაცილებით დიდია, ვიდრე მოსალოდნელი იყო მხოლოდ სავაჭრო დისბალანსის გამო. ამრიგად, მოქნილ გაცვლით კურსებზე გადასვლას არ მოჰყოლია დაბალანსებული ვაჭრობა. ისეთ ქვეყნებს, როგორიც აშშ-ია, მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდა მიმდინა-

რე ოპერაციათა ანგარიშის დიდი და მზარდი დეფიციტი, მაშინ, როცა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა იაპონია, ათწლეულების განმავლობაში ჰქონდათ მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის პროფიციტი ისე, რომ ამას არ გამოუწვევია გაცვლითი კურსის კორექტირება წონასწორობის ძიებაში. ამ გამოცდილებამ ზოგიერთი აიძულა გამოსულიყო ახალი ბრეტონ ვუდსის სისტემის ან კეინზის ბანკორის გეგმის გადახედვის მოწოდებით.

ერთ-ერთი სირთულე კეინზის მიდგომასთან მიმართებაში, რომელიც ეხება გაცვლით კურსებს და საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმირებას ბანკორის გეგმის შესაბამისად, გამოიხატება იმაში, რომ, როგორც მრავალი მეინსტრიმული ანალიზი, ის კონცენტრირებულია სავაჭრო დისბალანსებზე და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშზე, მაშინ, როცა კაპიტალის მოძრაობას ძალზე მცირე ყურადღება ეთმობა. სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ, კეინზი არ ითვალისწინებდა და არც დაუჭერდა მხარს კაპიტალის „თავისუფალ“ ნაკადებს. მისი წინადადებით ივარაუდებოდა, რომ ფინანსები ეროვნული დარჩებოდა. ასევე გაითვალისწინეთ, რომ კეინზის წინადადება ინარჩუნებდა მკაცრი ეკონომიის დაწესების შესაძლებლობას მუდმივი სავაჭრო დეფიციტის მქონე ქვეყნებზე, იმის აღიარებით, რომ გაცვლითი კურსის კორექტირებას შესაძლო იყო არ ემოქმედა. შედეგად, ფული, როგორც წესი, განიხილებოდა, როგორც გაცვლის საშუალება. საერთაშორისი საკლირინგო კავშირის შესახებ თავის ნაშრომში კეინზმა დაიწყო იმით, რომ მისი მიზანი იყო საერთაშორისო სავალუტო სისტემის შემუშავება, რომელშიც ვალუტის გაცვლა განხორციელდებოდა ისე, თითქოს ქვეყნები „ვაჭრობდნენ საქონლით საქონლის სანაცვლოდ“ (Keynes 1980: 18). საერთაშორისი საკლირინგო კავშირის ფუნქციონირება ისე იქნებოდა შემუშავებული, რომ ბანკორის რეზერვები არ დაიკარგებოდა უმოქმედო მარაგებში; პირიქით, ერთი ქვეყნის რეზერვები გახდებოდა სხვა ქვეყნის ოვერდრაფტის საფუძველი, რითაც წახალისდებოდა ვაჭრობა. მიუხედავად იმისა, რომ კეინზის შემოთავაზება დააჯარიმებს ქვეყნებს, რომლებიც აგროვებენ საერთაშორისო რეზერვებს, ის მაინც, როგორც ჩანს, იწონდებურად ეფუძნება შეხედულებას იმის შესახებ, რომ ფული (ძირითადად) ახორციელებს საქონლის მიმოქცევას.

დღეს რეალურ სამყაროში ვალუტა გამოიყენება არა მხოლოდ მიმდინარე ანგარიშის, არამედ კაპიტალის ანგარიშის ოპერაციებისთვისაც. აქედან გამომდინარე, თუ კაპიტალი არ არის სრულიად უმოძრაო, არ არსებობს გაცვლითი კურსის კორექტირების მიზეზი მიმდინარე ანგარიშის დისბალანსის აღმოსაფხვრელად. მართლაც, მსოფლიო ფინანსების ზრდასთან ერთად, რომელიც იოლად უვლის გვერდს ეროვნულ შეზღუდვებს, საერთაშორისო ტრანზაქციების დიდი უმრავლესობა პირდაპირ არ უკავშირდება მიმდინარე ანგარიშს.

თუ კაპიტალის კონტროლი არც პოლიტიკურად და არც ტექნიკურად არ არის შესაძლებელი, მაშინ სავალუტო კურსის სისტემის შემუშავება, რომელიც დაფუძნებულია რწმენაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო სისტემა ისე უნდა მოქმედებდეს, თითქოს საქონელი იცვლება საქონელზე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კარგად იფუნქციონირებს. გარდა ამისა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ისეთი განსხვავებული ინტერესების მქონე ქვეყნები და ჯგუფები, როგორიც აშშ-ის, ჩინეთისა და ევროზონის ინტერესებია, გაერთიანდნენ საერთაშორისო საკლირინგო კავშირის მსგავი სისტემის შესაქმნელად, რომელსაც ექნება უფლებამოსილება დასაჯოს სავაჭრო პროფიციტის მქონე ქვეყნები, როგორიცაა იაპონია, გერმანია და ჩინეთი, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ უნდა დაწესდეს მკაცრი ეკონომია მსოფლიოში ყველაზე დიდი სავაჭრო ბალანსის დეფიციტის მქონე ქვეყანაზე, როგორიც აშშ-ია.

კეინზი ამ გეგმით იმედოვნებდა, რომ გააძლიერებდა გარე სტაბილურობას ვალუტის კურსის დაფიქსირებით და რამდენიმე პროცედურების მიღებით სავაჭრო დისბალანსის შესამცირებლად. თუმცა, ქვემოთ განხილული მიზეზების გამო, ეს ძვირი ჯდება, რადგანაც ფიქსირებული გაცვლი-

თი კურსის მქონე ქვეყნის შესაძლებლობა გამოიყენოს ადგილობრივი პოლიტიკა შიდა სტაბილურობის მისაღწევად, შემცირებულია. თუ გაძლიერებული გარე სტაბილურობა თავისთავად არ იწვევს შიდა სტაბილურობასაც, მაშინ არსებობს ალტერნატივა გარე სტაბილურობასა და შიდა სტაბილურობას შორის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმატორული პროექტები, რომლებიც თავმოყრილია ვაჭრობასა და მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დისბალანსზე, არაადეკვატური პასუხებია ახლანდელი სიტუაციის მიმართ, რომელშიც კაპიტალის მოძრაობა ცენტრალურ როლს თამაშობს. აქ ჩვენ გამოვყოფთ საერთაშორისო სავალუტო რეჟიმების ალტერნატიულ მიდგომას, რომელიც ასევე მომდინარეობს კეინზისგან. ეს ალტერნატიული მიდგომა აქტუალურია დღევანდელ კონტექსტში, რადგანაც ის ქვეყნების მიერ მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის მიღებას გულისხმობს.

ისეთი ქვეყანა, როგორიცაა აშშ (ისევე, როგორც იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ევროპული ქვეყნები ევროს მიღებამდე და არგენტინა მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა სავალუტო ფარზე), ქმნის ვალუტას ადგილობრივი გამოყენებისთვის და უზრუნველყოფს მის გამოყენებას, ძირითადად, ამ ვალუტაში გადასახადების გადახდის მოთხოვნით, თუმცა ზოგიერთი მათგანი ასევე ღებულობს კანონებს კანონიერ საგადახდო საშუალებაზე. სახელმწიფო (ხაზინისა და ცენტრალური ბანკის ჩათვლით, რომელიც მოქმედებს, როგორც მთავრობის აგენტი) უშვებს და ხარჯავს მონეტარულ ბაზას (ნაღდი ფული და რეზერვები ცენტრალურ ბანკში), მონეტარული ბაზის რომელიმე ვალუტაში, ოქროსა თუ ნებისმიერ სხვა საქონელში ნებისმიერი ფიქსირებული გაცვლითი კურსით კონვერტირების ყოველგვარი დაპირების გარეშე. ეროვნული სახელმწიფოს შესაძლებლობა, მოიქცეს ასე თავის ვალუტასთან მიმართებაში და შეინარჩუნოს ფისკალური დამოუკიდებლობა, არის ის, რასაც აქ ვგულისხმობთ სუვერენიტეტზე საუბრისას.

სუვერენული მთავრობის შესაძლებლობა განახორციელოს გადახდები, არ შეიზღუდება არც შემოსავლებით, არც რეზერვებით. გარდა ამისა, სუვერენულ ფასიან ქაღალდებზე გადახდილი საპროცენტო განაკვეთი არ ექვემდებარება ნორმალურ „საბაზრო ძალებს“. რადგანაც მოკლევადიანი სამთავრობო სავალო ვალდებულება არსებითად პროცენტების გადამხდელი რეზერვების ეკვივალენტურია და, შესაბამისად, ოვერნაითის ბანკთაშორის ბაზარზე დაკრედიტების ახლო შემცვლელია, ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი ოვერნაითის განაკვეთი არეგულირებს მთავრობის მოკლევადიანი „სესხების“ განაკვეთს.[2] ეს მიუთითებს იმაზე, რომ სუვერენულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს მთავრობის ვალზე იმდენად დაბალი (ან მაღალი) მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები, როგორიც მას სურს. საბაზისო განაკვეთი ნულის ტოლი იქნება თუ ასის, ეს მონეტარული პოლიტიკის საკითხია და არ ექვემდებარება საბაზრო განსაზღვრას.

სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაშია არასუვერენული მთავრობა. „დოლარიზებულ“ ქვეყანაში მთავრობას უნდა შეეძლოს დოლარის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია გამოსცეს თავისი საკუთარი *IOU*-ები, დენომინირებული (ვთქვათ) აშშ დოლარებში, დოლართან პარიტეტის შესანარჩუნებლად ის მზად უნდა იყოს მოახდინოს თავისი *IOU*-ების რეალურად აშშ-ის დოლარებში კონვერტაცია. აქედან გამომდინარე, ის სარგებლობს გადასახადებით და ახდენს *IOU*-ების ემისიას აშშ-ის დოლარის მოსაპოვებლად ხარჯების მოლოდინში; სუვერენული ქვეყნის შემთხვევისგან განსხვავებით, ამ მთავრობას უნდა ჰქონდეს დოლარის დეპოზიტები, სანამ დახარჯავს. გარდა ამისა, სუვერენული ქვეყნისგან განსხვავებით, არასუვერენული მთავრობა პირობას იძლევა მესამე მხარის *IOU*-ების (აშშ დოლარების) მიწოდებაზე, საკუთარი ვალის მოსამსახურებლად (მაშინ, როცა აშშ და სხვა სუვერენული ქვეყნები დებენ პირობას მიაწოდონ მხოლოდ თავიანთი საკუთარი *IOU*-ები). ამის გამო, საპროცენტო განაკვეთი არასუვერენული მთავრობის დოლა-

რით გამოხატულ ვალდებულებებზე დამოუკიდებლად არ არის დადგენილი. რამდენადაც ქვეყანა ფაქტობრივად სესხულობს დოლარებს, განაკვეთი, რომელსაც იხდის დოლარიზებული ქვეყანა, განისაზღვრება სამი ფაქტორით. პირველი, ეს არის საბაზისო განაკვეთი დოლარზე, რომელიც დაწესებულია აშშ-ის (დოლარის ემიტენტის) მონეტარული პოლიტიკით. მეორე, ესაა არასუვერენული მთავრობის კრედიტუნარიანობის საბაზრო შეფასება, რომელიც შეიძლება განისაზღვროს მრავალი ფაქტორით. ეს ორი მოსაზრება განსაზღვრავს ყველაზე დაბალ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც შეიძლება დაუშვას ბაზარმა. მესამე, საპროცენტო განაკვეთი ასევე შეზღუდულია ქვეყნის საჭიროებით, მხარი დაუჭიროს ფიქსირებულ გაცვლით კურსს ან მიაბას ის სხვა ვალუტას. ამგვარად, არასუვერენული მთავრობა, როგორც ვალუტის მოსარგებლე (და არა გამომშვები), დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთის დაწესებას.

აქედან გამომდინარე, კაპიტალის მაღალი მობილურობის სამყაროში, საპროცენტო განაკვეთის დადგენის სახელმწიფო შესაძლებლობა დამოკიდებულია მის მიერ მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის მიღებაზე. მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისათვის. მათ სამართლიანად აწუხებთ ფინანსური და გაცვლითი კურსის კრიზისი, რომელიც განიცადეს არც ისე დიდი ხნის წინ აზიის (1990-იანი წლები) და ლათინური ამერიკის (1980-იანი წლები) ქვეყნებმა (რომელიც მოცემულ თავში ზემოთ განვიხილეთ), რაც გამოწვეული იყო დიდი საგარეო ვალებით, უცხოური ვალუტის რეზერვების შემცირებითა და ბაზრის მოლოდინებით იმის თაობაზე, რომ გაცვლითი კურსის მიბმა ვერ მოხერხდებოდა.

ამის საპირისპიროდ, ქვეყანა, რომელიც ღებულობს თავის საკუთარ ვალუტას მცურავი კურსით, ყოველთვის შეუძლია გამოიყენოს ადგილობრივი გამოუყენებელი რესურსები. მისი მთავრობა გამოუშვებს საკუთარ ვალუტაში დენომინირებულ ვალდებულებებს და თავის ვალს საკუთარ ვალუტაში მოემსახურება. დამოუკიდებლად იმისა, მისი ვალი ადგილობრივი თუ საზღვარგარეთის კომპანიების მფლობელობაშია, ის არ აწყდება გადახდისუუნარობის რისკს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანას შეუძლია უგულებელყოს თავისი სავაჭრო ბალანსი ან მისი გაცვლითი კურსის ცვლილებები, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია ადგილობრივი დასაქმება და ზრდა თავისი პოლიტიკის დღის წესრიგის სათავეში დააყენოს.

სუვერენულ ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს ადგილობრივი პოლიტიკა შიდა სტაბილურობის მისაღწევად. ეს შესაძლებელია უფრო დიდი გარე არასტაბილურობის ფასად. მცურავი გაცვლითი კურსი არ იწვევს გარდაუვალ დაბალანსებულ ვაჭრობას, როგორც ზემოთ იყო განხილული. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, იმპორტი სარგებელია, ხოლო ექსპორტი - ხარჯი. აქედან გამომდინარე, სავაჭრო დეფიციტი ნიშნავს წმინდა სარგებელს. ეს ჩვეულებრივ უგულებელყოფილია სავაჭრო ბალანსის განხილვისას ადგილობრივ დასაქმებაზე სავარაუდო ზემოქმედების გამო. მაგრამ, სანამ ქვეყნის ადგილობრივი პოლიტიკა სტაბილურობისკენ არის მიმართული, მას შეუძლია მიაღწიოს სრულ დასაქმებას სავაჭრო დეფიციტის არსებობის შემთხვევაშიც კი.

ეს, თავის მხრივ, მოითხოვს სავალუტო სუვერენიტეტს, რაც მცურავი გაცვლითი კურსის არსებობით უნდა განხორციელდეს. შესაძლებელია, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა მოახდინოს დამაქვეითებელი ზეწოლა გაცვლით კურსზე, რამაც შეიძლება გარკვეული „გამჭოლი“ ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ინფლაციაზე. სურვილის შემთხვევაში, ადგილობრივი პოლიტიკა შეიძლება გადაიზარდოს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შორის, უფრო მკაცრი ფისკალური პოლიტიკის ჩვეულებრივი მეთოდით, ინფლაციური ზეწოლის შესამცირებლად. თუმცა, მისი სუვერენული ვალუტის გამოყენებით, ქვეყანას შეუძლია ამის ნაცვლად გამოიყენოს დასაქმების

გარანტია, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს სრულ დასაქმებას, აგრეთვე ხელს უწყობს ხელფასებისა და ფასების სტაბილიზაციას.

ქვეყანას, რომელიც ღებულობს ფიქსირებულ გაცვლით კურსს, უნდა ჰქონდეს იმედი, რომ პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს გარე სტაბილურობას, ასევე დაემთხვევა იმ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს შიდა სტაბილურობას. ამის საპირისპიროდ, მცურავი გაცვლის კურსის მქონე ქვეყანას შეუძლია ისარგებლოს სავაჭრო დეფიციტის წმინდა უპირატესობებით, ვაჭრობის გაუმჯობესებული რეალური პირობებით (სავაჭრო დეფიციტი ნიშნავს, რომ იმპორტის „რეალური“ ღირებულება, გამოხატული ექსპორტში, უფრო დაბალია) და სრული ადგილობრივი დასაქმებით; ყველაფერი ეს შეიძლება გარკვეულწილად კომპენსირდეს ვალუტის გაუფასურების შესაძლო ხარჯებით და უფრო მაღალი ფასებით. ქვეყანამ, რომელიც აფიქსირებს გაცვლით კურსს, შეიძლება ვერ შეძლოს „თავის თავს მისცეს უფლება“ იქონიოს სავაჭრო დეფიციტი (გაცვლითი კურსის ზეწოლის გამო) და, სავარაუდოდ, იძულებული გახდება გამოიყენოს ადგილობრივი უმუშევრობა, როგორც საკუთარი ვალუტის მიბმის შენარჩუნების საშუალება. ამ მიზეზების გამო, მოქნილი გაცვლითი კურსი ინარჩუნებს „პოლიტიკის სივრცეს“ დამოუკიდებელი პოლიტიკის ფორმირებისათვის.

ევროპული გამოცდილება, რომელმც მიგვიყვანა საერთო სავალუტო ზონის შექმნამდე, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაგალითი იმისა, თუ რა საზიანო შედეგები მოჰყვება ეროვნული სახელმწიფოებისთვის მოქნილ სავალუტო კურსებზე უარის თქმით სუვერენიტეტის დათმობას. ევროპულმა ქვეყნებმა გაიზიარეს საერთო სავალუტო ზონა და შექმნეს ერთიანი ცენტრალური ბანკი, ევროპაში სტაბილური გაცვლითი კურსების მოპოვების მიზნით. არაფერია არსებითად ცუდი მონეტარულ ინტეგრაციაში, რასაც მივყავართ კავშირის შიგნით ფიქსირებულ გაცვლით კურსამდე; მართლაც, აშშ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სავალუტო კავშირი ფიქსირებული გაცვლითი კურსით ორმოცდაათ შტატს შორის. ძალიან საეჭვოა ის, თუ როგორ განხორციელდა მონეტარული ინტეგრაცია: მინიმალური ზრუნვით ფისკალურ ინტეგრაციაზე, ისე, რომ ცალკეულმა ევროპულმა ქვეყნებმა დაკარგეს თავიანთი სავალუტო სუვერენიტეტი, ფედერალური სუვერენული ფისკალური ინსტიტუტი კი საერთოდ არ ყოფილა შექმნილი.

ინტეგრაციის ევროპული პროცესი ყოველთვის ხასიათდებოდა პოლიტიკური ფაქტორების გადამწყვეტი როლით. მნიშვნელოვანი ჰეტეროგენული ქვეყნებისგან შემდგარი სავალუტო ზონის შექმნა არსებითად პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ვიდრე მათი ეკონომიკური დაახლოების სპონტანური შედეგი. ეს მომდინარეობს იმ იდეიდან, რომ მონეტარული ინტეგრაცია ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კონვერგენციის ხარისხს, რომელიც საჭიროა ეფექტიანი სავალუტო ზონისათვის. ამ გზით, ევროპა გახდა მანდელის ერთ-ერთი ოპტიმალური სავალუტო ზონა (*OCA*).

მაგრამ, პოლიტიკური განზომილების მნიშვნელობის აღიარებისას, ევროპამ უგულებელყო სახელმწიფოსა და პოლიტიკის როლის მნიშვნელობა ინტეგრაციის პროცესში. პირველ რიგში, ევროპამ თავი აარიდა იმ როლს, რომელიც ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია შეასრულოს ფედერალურ დონეზე ოპტიმალური სავალუტო ზონის *ex post* შექმნის პროცესში. იმ სიტუაციაში, როდესაც ქვეყნები, რომლებიც იღებენ საერთო ვალუტას, ჰეტეროგენულია და ხასიათდება ფასებისა და ხელფასების დაბალი მოქნილობით, ასევე წარმოების ფაქტორების დაბალი მობილურობით, ასიმეტრიული შოკების რისკს შეიძლება გაუმკლავდეს ერთიანი ცენტრალური ბანკის ფისკალური ანალოგის შექმნით.

ევროპაში მონეტარული ინტეგრაციის პროცესი ემყარებოდა თეორიულ პოზიციას, რომლის თანახმადაც ფისკალური პოლიტიკა იწვევს დამახინჯებებს და არაეფექტიანია გრძელვადიანი პერიოდისათვის. ზოგადად, სახელმწიფო ჩარევა განიხილება, როგორც ისეთი რამ, რაც მაქსიმალუ-

რად უნდა ავიცილოთ თავიდან, რათა არ დაირღვეს ეკონომიკის სპონტანური მუშაობა. შედეგად, ევროპაში ადაპტირებული იქნა სრულიად უნიკალური პროცესი. ფისკალური უფლებამოსილების მქონე სახელმწიფოსა და ფულის შექმნასა და ადმინისტრირებას შორის ძლიერი კავშირი დასუსტდა იმ დონემდე, რომ წარმოიქმნა ცენტრალური ბანკი, სრულად დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოებისგან, რომელსაც არ გააჩნია ფისკალური დუბლიკატი.

ზოგადად, დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის კონცეფცია ხარვეზიანი და ორაზროვანია, მაგრამ კონკრეტულ ევროპულ გამოცდილებაში ეს კონცეფცია განხორციელდა. ევროპული ცენტრალური ბანკი (*The European Central Bank – ECB*) სრულად დამოუკიდებელია, როგორც თავისი მიზნების დასახვის, ასევე მათ განსახორციელებლად მიღებული პოლიტიკის მიმართ. ამ სტრუქტურაში ცალკეული ეროვნული სახელმწიფოები შეზღუდულნი არიან, რადგან მათ არ შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ ფისკალური ინსტრუმენტები გამოშვებასა და დასაქმებაზე ზემოქმედების მიზნით. ევროპა, როგორც ჩანს, მოჯადოებულ წრეშია მოქცეული. ევროპული ცენტრალური ბანკის ანტიინფლაციური პოზიცია და ევროპული მთავრობების მიმართ მოთხოვნა, იყვნენ „ფისკალურად პასუხისმგებლები“, სერიოზულ სტაგნაციას იწვევს. „ფრთხილი“ (ან შემზღუდველი) მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა ხელს უშლის ინვესტიციებისა და მთლიანად, ერთობლივი მოთხოვნის ზრდას. ბიუჯეტის დეფიციტის ენდოგენური ბუნება ნიშნავს იმას, რომ შენელებული ზრდა ეღობება გადასახადების აკრეფას, რაც იწვევს დეფიციტის გადიდებას. ეს კიდევ უფრო ართულებს ფისკალური პარამეტრების დაცვას და შესაბამისად, დამატებით ნეგატიურ გავლენას ახდენს მოთხოვნაზე.

ამ კონტექსტში, ევროკავშირი ეყრდნობა საგარეო მოთხოვნას, როგორც ეკონომიკური ზრდის ძრავას. მაგრამ ეს წარმოქმნის წრებრუნვას: თითოეული წევრი ქვეყანა ცდილობს გაზარდოს წმინდა ექსპორტი, როგორც ევროპული სავალუტო კავშირის სხვა ქვეყნებთან, ასევე დანარჩენ მსოფლიოსთან, ნაწილობრივ ცდილობს რა გახდეს მწარმოებელი დაბალი დანახარჯებით. რამდენადაც გაცვლითი კურსები ფიქსირებულია ევროპული სავალუტო კავშირის დანარჩენ ნაწილთან, ერთადერთ ალტერნატივას წარმოადგენს ხელფასისა და ფასების შენარჩუნება ან შემცირება წევრ სახელმწიფოებში ან უფრო მაღალი მწარმოებლურობის ზრდის მიღწევა. მოდელი უფრო აძლიერებს ზეწოლას ფისკალური სიმკაცრისა და ნელი ზრდის სასარგებლოდ.

ევროს გამოცდილება უარყოფით გაკვეთილებს იძლევა მათთვის, რომლებიც მხარს უჭერენ მიდგომას „იარე მარტო“ მიბმული გაცვლითი კურსის მიმართ, თუნდაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო ძალაუფლების მქონე დიდი სავაჭრო გაერთიანებების შემთხვევაში.

დასკვნა

სამყარო უკიდურესად შეიცვალა 1940-იანი წლების შემდეგ, როცა შეიქმნა ბრეტონ-ვუდსის სისტემა. ერთი თაობისათვის, ეს სისტემა საკმაოდ კარგად ფუნქციონირებდა, ფიქსირებული, მაგრამ რეგულირებადი გაცვლითი კურსებით. მაგრამ, ის შემუშავებული იყო სამყაროსთვის, რომელშიც კაპიტალის ნაკადები კონტროლდებოდა, ის შედარებით მცირე იყო და მასში დომინირებდა ოფიციალური ნაკადები (საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან, მსოფლიო ბანკისა და აშშ-ის მარშალის გეგმისგან). ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება აიხსნას, მნიშვნელოვანწილად თუ რატომ უარყოფდა კეინზის გეგმა კაპიტალის მოძრაობის როლსა და გავლენას გაცვლით კურსებზე. გარდა ამისა, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაც კი საკმაოდ შეზღუდული იყო, ნაწილობრივ, აშშ-ის ომისშემდგომი აბსოლუტური დომინირების გამო.

დროთა განმავლობაში, აშშ-მა დაკარგა პოზიცია, რადგანაც ევროპა გაჯანსაღდა და აზია მთავარი მწარმოებელი გახდა. ზუსტად ასევე, კერძო კაპიტალის ნაკადები თანდათან იზრდებოდა, შემდეგ კი უსწრაფეს ნაკადებად გადაიქცა, ნაწილობრივ ტექნოლოგიური ცვლილებების, ნაწილობრივ კი „ნეოლიბერალური“ პოლიტიკის გამო, რომელიც მიმართული იყო ფინანსური ბაზრების თავისუფლებისკენ. ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს ექნებოდა ადგილი, ბრეტონ-ვუდსის სისტემამ კოლაფსი განიცადა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჯერ კიდევ ნოსტალგიურად ითხოვს დაბრუნებას ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემაზე, რომელიც დაფუძნებულია კეინზის „ბანკორის“ გეგმაზე, დღევანდელი ეკონომიკური და პოლიტიკური ტენდენციები ამას სრულიად წარმოუდგენელს ხდის. ქვეყნების უმრავლესობას ასევე არ ძალუძს ინდივიდუალურად მიიღოს ფიქსირებული გაცვლითი კურსები, როცა სპეკულაციურ შეტევებს შეუძლია პრაქტიკულად ყველა მიბმის გაწყვეტა, მხოლოდ რამდენიმე თანამედროვე მერკანტილისტური ქვეყნების გამოკლებით, რომლებმაც დოლარის ძალიან დიდი მარაგები დააგროვეს.

მყარი მიბმის სავალუტო კურსები თავისუფლების მნიშვნელოვან ხარისხზე უარის თქმას ნიშნავს, რითაც ადგილობრივ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას გაცვლითი კურსის მძევლად აქცევს. მცურავი კურსი ადგილობრივი პოლიტიკის უფრო მეტი დამოუკიდებლობის საშუალებას იძლევა, რაც უზრუნველყოფს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის სივრცეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მცურავი გაცვლითი კურსის მიღება არ არის პანაცეა. ეს მხოლოდ აუცილებელი პირობაა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. თავისთავად, ის არ უზრუნველყოფს ამ პოლიტიკური დამოუკიდებლობის არც ერუდირებულ გამოყენებას და არც ზრდისა და განვითარებისკენ მიმავალ მარტივ გზას. მსოფლიოში არსებულ ვითარებაში, მცურავი გაცვლითი კურსი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა იმ პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელსაც შეუძლია მეტი ზრდის, დასაქმებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა. საბოლოო ჯამში, ასეთი პოლიტიკის მიღება დამოკიდებულია სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სუბიექტების შესაძლებლობებსა და სურვილზე გააკეთონ ეს.

მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მოქნილი ანუ მცურავი კურსის რეჟიმი სულაც არ არის „თავისუფალი ცურვის“ სისტემა. მოქნილ კურსს შეუძლია გარკვეული ადგილი დატოვოს დისკრეციული ჩარევისათვის. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ისევე როგორც ოფიციალური ტრანზაქციები სავალუტო ბაზრებზე, კვლავ შეიძლება გამოყენებული იქნეს გაცვლითი კურსების „მართვისთვის“ ზოგიერთ შემთხვევაში. კერძოდ, ინტერვენციები შეიძლება საჭირო გახდეს სწრაფი რევალვაციის შემთხვევაში, რათა შემსუბუქდეს კონკურენტული ზეწოლა, რომელიც გამოწვეულია ვალუტის ჭარბად შეფასების გამო. თუმცა, ადგილობრივი, შიდა სტაბილურობის მიღწევა პოლიტიკის უპირველესი მიზანი, ხოლო სრული დასაქმება კი - ადგილობრივი პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი იქნება.

მცურავი გაცვლითი კურსი ქვეყნების თავისუფლებას კიდევ ერთ ხარისხს ანიჭებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის გარკვეულ ხარჯებსაც გულისხმობს. ამგვარ ხარჯებს შორის შეიძლება იყოს განუსაზღვრელობის დიდი ხარისხი სავალუტო კურსებისა და ვაჭრობის პირობების ზოგიერთი ვოლატილურობის შესაძლებლობების გამო, აგრეთვე ინფლაციური პროცესების შესაძლო ამოქმედების ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება ეროვნული ვალუტის ძლიერი გაუფასურებით, რაც იმპორტზე ფასებს ზრდის. ამ თვალსაზრისით, უფრო დიდი სტაბილურობა და დამოუკიდებლობა შესაძლოა მიღწეული იყოს მცურავი გაცვლითი კურსის კომბინაციით კაპიტალის კონტროლთან და სავაჭრო პოლიტიკასთან, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში. ეს ფაქტორები გაამარტივებდა რეგულირებადი გაცვლითი კურსების მიღებას. თუმცა, კითხვა, თუ როგორ უნდა დაინერგოს კაპიტალის ეფექტიანი კონტროლი დღევანდელ მსოფლიო ვითარებაში, ღიად რჩება.

კეინზის გეგმა ეყრდნობოდა საერთაშორისო მმართველობის გარკვეული ფორმის არსებობას. თუ შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნა ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების მიზნით, ფინანსურ განვითარებაზე ყურადღების გამახვილებით, ეს ასევე გააუმჯობესებდა საერთაშორისო ეკონომიკურ მაჩვენებლებს, გაცვლითი კურსებისა და ვაჭრობის პირობებისთვის მეტი სტაბილურობის მინიჭებით.

ამ კუთხით, ევროპული გამოცდილება თვალსაჩინო მაგალითია. პრინციპში, მონეტარული ინტეგრაცია შეიძლება იყოს სწორი პასუხი ევროპის ქვეყნებში უფრო სტაბილური გარე პირობების საჭიროებაზე. თუმცა, არსებული ევროპული შეთანხმებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაცვლით კურსს სტაბილურობას ანიჭებენ, არ მოქმედებენ ეფექტიანად უფრო მეტი ზრდისა და დასაქმების მაღალი დონის გარანტირების მხრივ. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ არ არსებობს ზენაციონალური ინსტიტუტი, რომელიც ითამაშებს სუვერენული ერების მთავრობების როლს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული მონეტარული კავშირი არ ფუნქციონირებს დამაკმაყოფილებლად იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ფიქსირებული გაცვლითი კურსების მსოფლიო რეჟიმს არ შეუძლია ნორმალურად ფუნქციონირება ზენაციონალური ინსტიტუტის გარეშე იმ ამოცანებით, რომელიც კეინზისა და სხვების მიერ გათვალისწინებულის ანალოგიურია. ამგვარი ზენაციონალური ინსტიტუტის მიმართ დაქვემდებარების პოლიტიკური ნება მცირეა და, როგორც ასეთი, ბანკორის ტიპის გეგმა განუხორციელებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bernanke, B.S. (2004) “The Great Moderation”, Board of Governors of the US Federal Reserve System, at the meetings of the Eastern Economic Association, Washington DC, 20 February.
2. Boughton, J.M. (2001) “Was Suez in 1956 the First Financial Crisis of the Twenty-First Century?” Finance and Development, 38(3), September. Available at: http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/2001/09/boughton.htm, accessed 14 June 2017.
3. Keynes, J.M. (1980) The Collected Writings of John Maynard Keynes: Activities 1940–1944. Shaping the Post-War World: The Clearing Union, London: Macmillan.
4. Macroeconomics (2019). William Mitchell, L. Randall Wray and Martin Watts, under exclusive licence to Macmillan Education Limited, 503-530.
5. Mundell, R.A. (1961) “A Theory of Optimum Currency Areas”, American Economic Review, 51(4), 657–65.
6. Pigeon, M.A. and Wray, L.R. (2002) “Demand Constraint and the New Economy” in P. Davidson (ed.), A Post Keynesian Perspective on Twenty-First Century Economic Problems, Cheltenham: Edward Elgar, pp. 158–94.
7. Sardoni, C. and Wray, L.R. (2007) “Fixed and Flexible Exchange Rates and Currency Sovereignty”, Levy Economics Working Paper No. 489, January.

Recent Macroeconomic Debates Through the Lens of Modern Monetary Theory

Malkhaz Chikobava
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

This article analyzes recent macroeconomic debates from the perspective of Modern Monetary Theory (MMT). On each issue, there is a deep gulf between the arguments made by orthodox economists and the analysis that is informed by heterodoxy – in particular by those who adopt Modern Monetary Theory (MMT). Unfortunately, most of the 'conventional wisdom' held by policymakers as well as by the general public is largely based on orthodox theory. This is because orthodox economists have greater access to the dominant media outlets as well as to politicians. However, as Keynes had warned in 1936, orthodox economics is not only wrong, but it leads to dangerous policy recommendations. MMT provides a useful alternative based on sound theory and policy advice appropriate to the kind of economy in which we live.

Keywords: *Double deficit hypothesis, balance of payments constraints and currency crises, fixed and flexible exchange rates, optimal currency areas, Bancor.*

წმ. პავლე მოციქულის შრომითი მოღვაწეობის და შრომისადმი დამოკიდებულების შესახებ

ნიკოლოზ ჩიხლაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი; ქუთაისის უნივერსიტეტი
პაატა კოღუაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; საქართველოს ს/მ აკადემიის ნამდვილი წევრი

ნაშრომში ორი ასპექტით არის განხილული წმინდა მოციქულ პავლეს შრომისადმი დამოკიდებულება, შრომითი მოღვაწეობა - ჩვეულებრივი, ადამიანური შრომა, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების ხარჯვა მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესში, შრომითი დიდაქტიკა, პატიოსანი და ღვთივსათნო შრომის აუცილებლობა და მისიონერული შრომა, უფლისგან დალოცვილი საქმიანობა ღვთის სიტყვის გასავრცელებლად, რომელიც სწორ დაგეგმვას, ფუნქციათა განაწილებას, მონიტორინგს და მენეჯმენტს უკავშირდება. წმ. პავლე მოციქულის თოთხმეტ ეპისტოლეს, რომელსაც ძირითადად ეყრდნობა ნაშრომი, ახალ აღმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათში სიღრმისეულადაა გადმოცემული ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ჭეშმარიტებები, რის გამოც არცთუ იშვიათად „მეორე სახარებასაც“ უწოდებენ.

საკვანძო სიტყვები: *ბიბლია; შრომა; მოციქული; ეპისტოლე.*

წმინდა მოციქულ პავლეს როლი განუზომლად დიდია ღვთის სიტყვის ჩვენამდე მოღწევისა და დედამიწის სხვადასხვა ადგილას ახალი სწავლების გავრცელების საქმეში. ამიტომაა, რომ ამ დაუღალავ მოღვაწეს „ხალხთა მოციქულს“, „სიყვარულის მოციქულს“ ან „წარმართთა მოციქულს“ უწოდებენ. მან თავისი უდრეკი რწმენით, დაუღალავი შრომით და მსახურებით „ცოცხალ, წმიდა და კეთილსასურველ მსხვერპლად“ უძღვნა თავი ღმერთს (რომ. 12:1)

საკუთარი ცხოვრების სირთულეებს თავად ახასიათებს კორინთელების მიმართ წარგზავნილ ეპისტოლეში, რომელსაც შრომა უდევს საფუძვლად, ხოლო „შრომა და რუდუნება“ ყველა ჭირის გადატანას: „...შრომით - უმეტესად, გვემით - უმეტესად, დილეგში გდებით უმრავლესად, სიკვდილის მუქარით - უხშირესად. იუდეველთაგან ხუთგზის ვიწვნიე ორმოცი დარტყმა, ერთის დაკლებით. სამჯერ გამჯოხეს, ერთხელ ჩამქოლეს, სამჯერ გემი დამემსხვრა, დღე და ღამე უფსკრულში დავყავი. ერთავად გზებზე ვიყავი გაკრული, განსაცდელი მდინარეებზე, განსაცდელი ყაჩაღთაგან, განსაცდელი თვისტომთაგან, განსაცდელი წარმართთაგან, განსაცდელი ქალაქში, განსაცდელი უდაბნოში, განსაცდელი ზღვაზე, განსაცდელი ცრუ ძმათა შორის. შრომით და რუდუნებით, ხშირი ღამის თევით, შიმშილით და წყურვილით, მრავალგზისი მარხვით, სიცივით და სიშიშვლით“ (2 კორ. 11, 23-27).

ამ ნაწილში მოხსენიებულ „შრომასა და რუდუნებას“ წმინდა თეოფანე დაყუდებული ასე განმარტავს: „შრომითა და რუდუნებით - ესეც შრომაა, მაგრამ გაძლიერებული, ქანცის გაწყვეტამდე“. წმინდა თეოდორე კვირელი მიიჩნევს, რომ „შრომაში სწავლება, ხოლო რუდუნებაში ხელსაქმე იგულისხმება“. წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით „შრომას განსაცდელი მოყვებოდა, განსაცდელს კი შრომა, ასე შენაცვლებით დაყვებოდა მოციქულს თან და არ აძლევდა მცირეოდენ დროს სიმშვიდისათვის“ (ბიბლ. განმარტებებით, 2021, 23:322)

ცნობილი ღვთისმეტყველი ალ.ლოპუხინი განმარტავს, რომ წმ.პავლე მოექცა 30 წლის ასაკში და მისი მოღვაწეობაც 30 წელს გრძელდებოდა. იგი შეიძლება სამ პერიოდად დავყოთ:

ა) მომზადების პერიოდი - დაახლოებით 7 წელი;

ბ) მოციქულებრივი მოღვაწეობა და მისიონერული მოგზაურობები - თითქმის 14 წელი;

გ) ტყვეობაში ყოფნა კესარიასა და რომში - თითქმის 5 წელი. (Лопухин, 1904-1913:365)

ქრისტიანული სწავლების მიხედვით, რაც მეტია კეთილი საქმე, მით უფრო მალე მწიფდება სულში ჩამოყალიბებული კეთილი განწყობები, უფრო წარმატებულია მარცვლის თესვა სულის მზადყოფნა მოსავლისათვის. ქრისტიანობის ჩასახვის პირველივე წლებში კეთილი თესლის ასეთი მთესველია წმინდა პავლე მოციქული, რომელიც არ სარგებლობს ე.წ. „მოციქულის და მისიონერის პრივილეგიებით". წმინდა წერილის ტრადიციებით ნასაზრდოები მოციქული არ ცნობდა ფიზიკური („ხელით") და ინტელექტუალური შრომის მკაცრ გამიჯვნას (ხელით შრომა სამარცხვინო საქმიანობად მიიჩნეოდა). უფრო მეტიც, იგი ყოველთვის ცდილობდა ღვთის სიტყვის გავრცელებას, მიტანას ხალხის გულამდე რაც შეიძლება ნაკლები წინააღმდეგობა შეხვედროდა. ამიტომ, მოციქული სახარების ქადაგებას საარსებო წყაროდ არ განიხილავს. იგი ცდილობდა არ ეცხოვრა იმ ხალხის ხარჯზე, ვისაც უქადაგებდა. ამით ისინი შეიძლება დაბრკოლებულიყვნენ რწმენაში, ეფიქრათ, რომ მოციქული სარგებლობს მისი მდგომარეობით და ა.შ. უბრალოდ, მას არ უნდოდა მიეცა „საბაბი საბაბის მძებნელთათვის" (2 კორ. 11:12), პირველ რიგში ცრუძმათა და ცრუმოციქულთათვის.

ღმერთისათვის კარგი საქმის კეთებაა საჭირო. პავლე მოციქული თავისი ძირითადი სასულიერო საქმიანობის გარდა კარვებსაც კერავდა და ხელობაც ემარჯვებოდა, რათა საკუთარი თავიც ერჩინა და სხვებსაც მიხმარებოდა (ებრაული ტრადიციით, ხელობას ადამიანი ბავშობიდან ითვისებდა).

თესალონიკელთა მიმართ პირველ ეპისტოლეში წმ. პავლე მიანიშნებს: „ხომ გახსოვთ, ძმანო, ჩვენი შრომა და რუდუნება: დღე და ღამეს ვასწორებდით, რომ არ შეგვეწუხებინეთ, და ასე გიქადაგებდით ღვთის სახარებას" (1 თეს. 2:9). ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს: „მას არ უთქვამს ჩვენი კეთილი საქმეები, არამედ „შრომა" და არა მხოლოდ შრომა, არამედ „რუდუნებაც", ანუ შრომა დიდი გულმოდგინებით... სიტყვებით „რომ არ შევეწუხებინეთ", გვიჩვენებს, რომ თესალონიკელები სიღარიბეში ცხოვრობდნენ" (ბიბლ. განმარტებებით, 2021, 24:147)

მსგავსი აზრია გატარებული მეორე მიმართვაში იგივე ქრისტიანთა კრებულის მიმართ: „უწესოდ როდი ვიქცეოდით თქვენს შორის. არავის პური არ გვიჭამია მუქთად, არამედ დღედაღამ ვშრომობდით, რომ ტვირთად არ დავწოლოდით რომელიმე თქვენგანს. იმიტომ კი არა, რომ ამის უფლება არ გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ მისაბაძ ნიმუშად დაგვესახა თქვენთვის თავი. ვინაიდან თქვენთან ყოფნისას ამას გისახავდით მცნებად: ვისაც შრომა არ სურს, მაშინ ნურც ჭამს." (2 თეს., 3:7-10).

წმინდა პავლე მოციქული თესალონიკელთა მეორე წერილში შეუვალობას გამოხატავს უქნარობისა და სიზარმაცის მიმართ. უწესოდ ყოფნა - უსაქმობაა! ნეტარი ავგუსტინეს განმარტებით წმ. პავლეს დღედაღამ შრომის უნარი ღვთის მადლს უნდა მივაწეროთ, რომ მას შეეძლო სულიერად და ხორციელად იმდენი ეშრომა, რომ სახარებაც ექადაგა და არ ექცია იგი თავისი არსებობის შენარჩუნების საშუალებად (ბიბლ. განმარტებებით, 2021, 24:236)

გალატელთა მიმართ ეპისტოლეში მოციქული ყურადღებას ამახვილებს თითოეული ინდივიდის ღვაწლზე, მონდომებაზე და შრომისუნარიანობაზე: „თვითეულმა თქვენგანმა გამოსცადოს თავისი საქმე და მაშინ ექნება იმის საბაბი, რომ თავისი თავით იქადოდეს და არა სხვისით. (გალატ. 6:4). წმინდა იოანე ოქროპირი განმარტავს, რომ დიდი სიფრთხილით უნდა გამოვიკვლიოთ ჩვენი ნამოქმედარი, არ უნდა აღვასრულოთ ის ამპარტავნებით ან რაიმე საჭიროების გამო, ან სი-

ძულვილით, ან თვალთმაქცობით, ან სხვა რამ ადამიანური განძრახვით (ბიბლ. განმარტებებით, 2021:469)

მეორე მხრივ, გულკეთილი მუშაკი უნდა ხელმძღვანელობდეს პრინციპით: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“ (I ტიმ. 5:18), მაგრამ წმინდა მოციქულს თვითონ თითქმის არასდროს უსარგებლია მისიონერული შრომის ნაყოფით. ამ შემთხვევაში საქმე ეხება სასულიერო პირებს, რომლებიც მოღვაწეობენ მათთვის დადგენილ ღვთის სახლებში. განსაკუთრებული პატივის უნდა ხვდეს წილად იმ სასულიერო პირებს, რომლებიც ასევე საეკლესიო მმართველობის საქმეებს განაგებენ - მათი შრომა სათანადოდ უნდა დაფასდეს, როგორც ყველა მუშაკისა. ეს აზრი გატარებულია როგორც ძველ (II რჯ. 25:4), ისე ახალ აღთქმაში (მთ. 10:10) (Лопухин, 1904-1913)

მოციქულის მიხედვით შრომა არ უნდა იყოს თვითმიზანი, ცოდვიანი სურვილების ან მხოლოდ გამდიდრების საშუალება. იგი უარყოფს ასეთ შრომას: „ხოლო გამდიდრების მოსურნენი საცდურის მახეში ებმებიან და ბევრი შლეგური, მავნე და კაცთა წარმწყმედ-დამღუპველი გულისთქმის ტყვენი ხდებიან“ (1 ტიმ. 6:9).

ადრექრისტიანული კრებულის სტრუქტურაში არ ვხვდებით მკვეთრად გამოხატულ იერარქიას, თუმცა ამის გარკვეული მცდელობები ფიქსირდება. პავლე მოციქული მის მოწაფეს ტიტეს ავალებს დასასრულებელი დაასრულოს და „დაადგინოს ყველა ქალაქში ხუცესნი” (ტიტ. 1:5). წმ.იოანე ოქროპირის მიხედვით წმ.პავლე მოციქული მოწაფეს ავალებს იმას, რაც მისთვის პატივისა და დიდების მომტანია, ხოლო სადაც საფრთხეა, საკუთარ თავზე იღებს. ამასთან, წმ. პავლეს არ სურდა, რომ მრავალი ეკლესიის წინამძღოლობა კუნძულზე ერთ პირს დაკისრებოდა, რითაც მასაც შეუმსუბუქდებოდა ტვირთი და ხელქვეითებიც მეტი ზედამხედველობის ქვეშ იქნებოდნენ (განმარტ., 24:375)

ხუცესნი (ეპისკოპოსნი) სამეურნეო ფუნქციების შემსრულებელი არიან და ისინი „ორმაგი პატივის ღირსნი უნდა იყვნენ, უფრორე კი ისინი, რომელნიც იღწვიან ქადაგებითა და დამოძღვრით. (I ტიმ. 5:17).

ამასთან, ეპისკოპოსს (პრესვიტერს, დიაკონს) ირჩევს კრებული და მათი ხელდასხმა ხდება მოციქულის ან მისი მოწაფეების მიერ. დროთა განმავლობაში მართვაში შეიმჩნევა ცენტრალიზაცია, რამდენადაც ეპისკოპოსს ემორჩილება პრესვიტერები და დიაკვნები. საეპისკოპოსოს შიგნით მსახურება ცენტრალიზებულ ხასიათს იძენს შეუძლებელი ხდება შემთხვევითი პიროვნებების მოხვედრა, თუმცა საეპისკოპოსოთაშორისი იერარქია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული (ჩიხლაძე, 2013: 36-37)

შრომითი ტვირთი უცხო არ უნდა ყოფილიყო პავლე მოციქულისათვის არა მარტო თესალონიკელთა მიმართ ქადაგებისას, არამედ მისიონერული მოგზაურობის პერიოდშიც. ქრისტიანობის გავრცელების პირველ პერიოდში ქრისტიანის ქცევა, რომელსაც იგი პირადი მაგალითით განამტკიცებდა, იყო ყველაზე ღონიერი იარაღი ახალი მოძღვრების დამკვიდრებაში.

ცხრილი

წმ.პავლეს მისიონერული, საგანმანათლებლო და მენეჯერული საქმიანობა[1]

სამოციქულო მოგზაურობა	წელი	წმ.პავლეს საქმიანობა
I	45-51	კვიპროსში ჩასვლა. ქრისტიანული თემების დაფუძნება მცირეაზიურ ქალაქებში: პისიდიის ანტიოქიაში, იკონიაში, ლუსტრასა და დერბედში. 51 წელს იერუსალიმში წმ. პავლე მონაწილეობდა მოციქულთა კრების მუშაობაში.
II	51-55	მოინახულა მის მიერვე დაარსებული ეკლესიები მცირე აზიაში, შემდეგ მაკედონიაში გადავიდა, სადაც დაარსა ქრისტიანული თემები ფილიპეში, თესალონიკესა და ბერიაში. მეორე მოგზაურებიდან დაბრუნებისას, გზად წმინდა პავლემ მოინახულა ეფესო და კესარია.
III	56-58	მოიარა მის მიერვე ადრე დაარსებული ეკლესიები მცირე აზიაში. შემდეგ დააარსა ეკლესია ეფესოში, სადაც ორი წლის განმავლობაში ყოველდღე ქადაგებდა. წერს ეპისტოლეებს გალატელთა, რომაელთა და კორინთელთა (I და II) მიმართ. გადავიდა მაკედონიაში.
IV (სავარაუდოა)	62-66	დიდხანს დაჰყო კუნძულ კრეტაზე და იქ დატოვა თავისი მოწაფე ტიტე. თავად პავლემ მოგზაურობა გააგრძელა მცირე აზიის ქვეყნებში. წერს ეპისტოლეებს ტიმოთეს და ტიტეს მიმართ. 65 წლის გაზაფხულზე მან მოიარა დანარჩენი მცირეაზიური ეკლესიები. 66 წელს გზა გააგრძელა ესპანეთისკენ და დაბრუნდა რომში.

საკუთარი შრომის ნაყოფის ნაწილის ქცევა მოწყალებად, ქრისტიანის ერთ-ერთი პირველი სათნოებაა. წმინდა მოციქული გვასწავლის, როგორ არის უმჯობესი ამ საქმის კეთება: „კვირის ყოველ პირველ დღეს თითოეულმა თქვენგანმა, შეძლებისდაგვარად, გადადოს და შეინახოს, რათა ჩემი მოსვლისას არ იწყებოდეს შეგროვება" (I კორ. 16:2). ნეტარი თეოფილაქტე განმარტავს, რომ „რათა ჩემი მოსვლისას არ იწყებოდეს შეგროვება" ნიშნავს მაშინ არ აკრიბოთ, როცა დარიგება იქნება საჭირო, ხოლო „შეძლებისდაგვარად" მიანიშნებს რასაც ღმერთი გამოუგზავნის და რაც მოსახერხებელი იქნება (ბიბლ. განმარტებებით, 2021, 23:322)

საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა და კანონმორჩილების მოწოდება მოციქულთა ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. პავლე მოციქული რომაელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში აღნიშნავს: „მიეცით ყველას რაც ეკუთვნის: ვისაც ხარკი - ხარკი, ვისაც ბაჟი - ბაჟი, ვისაც შიში - შიში, ვისაც პატივი, - პატივი" (რომ. 13:7). მოციქულებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ამგვარი ელემენტარული წესრიგის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა. (ჩიხლაძე, კოღუაშვილი. 2023)

[1] ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ, მღვდელმთავარ ამბერკი (ტაუშევი) ნაშრომის „სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად. პავლე მოციქულის ეპისტოლეების განმარტება" მიხედვით.

ქრისტიანის მოქალაქეობრივი ვალია ყველას მიაგოს კუთვნილი. მოციქული საუბრობს ამ ნაწილში სამართლებრივ ურთიერთობებზე, რაც კანონით არის დადგენილი. კერძოდ - ხარკი, ანუ პირდაპირი გადასახადები (მიწის და სულადობრივი), ბაჟი - ირიბი გადასახადები ან სავაჭრო გამოსაღებები, შიში - ღვთისა და ჩინოვნიკების მიმართ და პატივი - ყველა მოქალაქისადმი (Лопухин, 1904-1913)

დასკვნა

ქრისტიანული სწავლების მიხედვით, რაც მეტია კეთილი საქმე, მით უფრო მალე მწიფდება სულში ჩამოყალიბებული კეთილი განწყობები, უფრო წარმატებულია მარცვლის თესვა სულის მზადყოფნა მოსავლისათვის.

ქრისტიანობის ჩასახვის და გავრცელების პირველივე წლებში, ურთულეს პერიოდში წმ.პავლე მოციქული უფლის სიტყვის ქადაგების კაშკაშა ჩირაღდნად მოგევვლინა, ვისთვისაც გონების, გულისა და სხეულის დაძაბვა ერთგვარ „მსუბუქ ტვირთად“ იქცა. მისთვის მიუღებელია მოციქულის და მისიონერის პრივილეგიები და უმთავრესია ლოცვისა და შრომის კანონი. ბუმბერაზი მოძღვარი და დიადი საქმეების მკეთებელი მოციქული დღენიადაგ შრომობს, საკუთარ თავსაც ირჩენს და სხვებსაც ეხმარება, ხოლო სახარების ქადაგებას საარსებო წყაროდ არ განიხილავს. ახალქრისტიანენი რომ არ დააბრკოლოს რწმენაში, მოციქული არ სარგებლობს მისი მდგომარეობით, არ განასხვავებს ფიზიკურ და გონებრივ შრომას - მისი მთავარი პრინციპია ქადაგება და სწავლება არ გადაიქცეს ფულის შოვნის გზად, სიამაყის ან სხვის ხარჯზე ცხოვრების მიზეზად.

ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ წმინდა მოციქულისათვის „ჭარბი“ შრომა არ არის თვითმიზანი, არც საშუალება გამდიდრებისა და კარიერული წინსვლისა. იგი პირად მაგალითს აძლევს სხვებს, რითაც ზეცაში მარგალიტებსაც აგროვებს და სხვებსაც გზას უკაფავს მათ შეგროვებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წმიდა წერილი. https://www.orthodoxy.ge/tsmidatserili.htm
2. ჩიხლაძე ნ., (2013) მართლმადიდებლობის ეკონომიკური პარალელები. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი. – 250 გვ.
3. მღვდელმთავარი ამბერკი (ტაუშევი) (2012). სახელმძღვანელო წმინდა წერილის ახალი აღთქმის წიგნების შესასწავლად. პავლე მოციქულის ეპისტოლეების განმარტება. – 330 გვ. https://www.scribd.com/doc/251721970/პავლე-მოციქულის-ეპისტოლეების-განმარტება
4. Архим. Ианнуарий (Ивлиев) Беседы на послания апостола Павла. СпбДА, 2007. https://251516.selcdn.ru/uploads/books/Ivliev%20Epistles.pdf
5. Лопухин А., (1904-1913) Толковая Библия *или* комментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Завета. Петербург.- URL:http://www.bible.in.ua/underl/Lop/
6. ჩიხლაძე ნ., კოლუაშვილი პ., (2023) თეოლოგიურ-ეკონომიკური ნარკვევები. თბილისი, „საარი“.
7. ბიბლია განმარტებებით. ტომი 23. რედ. თ. მამაცაშვილი. თბ., „პალიტრა L“, 2021.
8. ბიბლია განმარტებებით. ტომი 24. რედ. თ. მამაცაშვილი. თბ., „პალიტრა L“, 2021.

On the Attitude of St. Apostle Paul Towards Labor Activity and Work

Nikoloz Chikhladze
Doctor of Economic Science, Doctor of Theology, Professor of Kutaisi University,
Professor of Ak. Tsereteli State University
Paata Koguashvili
Doctor of Economic Science, Professor of Georgian Technical University,
Full Member of Georgian Academy of Agricultural Sciences

SUMMARY

The paper considers the attitude of St. Apostle Paul towards work in two aspects: labor activity - common human labor, spending physical and mental human abilities in the process of wealth creation; and labor didactics - the necessity of honest and pious work, and missionary activity, an activity blessed by the Lord on spreading the Gospel, which It is associated with proper planning, distribution of functions, monitoring and management. The fourteen epistles of St. Apostle Paul, on which the paper is mostly based, occupy an important place in the New Testament. The most important truths of Christianity are conveyed in them in depth, which is why they are often called the Second Gospel.

Keywords: *The Bible; work; Apostle; epistle*

მილსადენი ტრანსპორტის კლასტერის შექმნის გამოწვევები საქართველოში

მარიამ ჭურჭელაური
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ, „ევროპა-კავკასია-აზიის" სატრანსპორტო დერეფნის პროექტის ფონზე, საქართველო მნიშვნელოვან საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას იძენს. დერეფნის მნიშვნელოვანი მონაკვეთი გადის სამხრეთ კავკასიაზე, მათ შორის საქართველოზე რომელიც, უმოკლესი დამაკავშირებელი გზაა სხვადასხვა სატრანსპორტო კავშირებისათვის. საქართველოს სატრანზიტო დერეფნის ფუნქციის გაძლიერებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, როდესაც ორი მსხვილი რეგიონული ნავთობსადენის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქოდსუფსის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის ბაქო-თბილისი-ერზრუმის (შაჰ-დენიზი) პროექტები განხორციელდა, აღნიშნულმა შესაძლებლობა მისცა ენერგომატარებლებს შუა აზიიდან ევროპას დაკავშირებოდნენ. ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მაგისტრალური მილსადენი, რომლითაც ხდება ბუნებრივი აირის მიწოდება რუსეთიდან საქართველოსა და სომხეთში. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება და სატრანსპორტო დარგების კოორდინირებული ფუნქციონირება წარმოადგენს. აღნიშნული კი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კლასტერული განვითარებით მიიღწევა, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბდეს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს, როგორც რეგიონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

საკვანძო სიტყვები: *მილსადენი ტრანსპორტი, სატრანსპორტო დერეფანი, სატრანზიტო ფუნქცია, სატრანსპორტო კლასტერი*

ტრანსპორტის ყველა სახეობამ ერთობლიობაში უნდა შექმნას სატრანსპორტო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად საწარმოო პროცესთა შესრულებას: ტვირთების გადატანას და მგზავრთა გადაყვანას. ამ პროცესის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მისი ძირითადი პარამეტრების (უსაფრთხოება, ეკოლოგიურობა, ეკონომიურობა, კომფორტი) ზღვრულ მნიშვნელობათა დაცვას. ტრანსპორტის ცალკეული დარგების განვითარების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს რთული სისტემის კომპლექსური ხასიათი. ასევე, საჭიროა, ტრანსპორტის ისეთი დაბალანსებული სისტემის შექმნა, რომელიც თითოეული სატრანსპორტო სახეობის მაქსიმალურად რაციონალურ გამოყენებას უზრუნველყოფს.[1]

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევები, რომლებიც ეკონომიკის კლასტერულ განვითარებასთან არის დაკავშირებული.

რატომ კლასტერი? ამ მხრივ საინტერესოა პროფ. ო. სოლველის მოსაზრება იმის შესახებ, რომ:

„1. კლასტერი განსაკუთრებით აძლიერებს გარემოს ინოვაციებისთვის;

კლასტერი ავითარებს ორი სახეობის ძალას, როგორც ევოლუციურს, ასევე კონსტრუქციულს. ორივე ძალა იმართება კონკრეტული ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებებით და ამიტომ, ყველა კლასტერი თავისთავად განსაკუთრებული და უნიკალურია თავისი მახასიათებლებით" (Silvell, 2009, გვ. 7).

კლასტერების თეორია, თავის ნაშრომებში განავითარა მრავალმა უცხოელმა ავტორმა, მათ შორის ო.სოლველმა (2015), ქ.ქეთელსმა (2009), ე.ფეზერმა (2009), ე.ბერგმანმა (2009), მ.გოტსმა (2019), ჰ.დრეველომ (2016) , მ.ჰელფერმა (2016), მ. ბუზარმა (2016) და სხვებმა.

[1] მარგალიტაძე, ი. გეგეშიძე ე სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე. თბილისი 2016.

ქართველ ავტორებს შორის კლასტერებზე აქტიურად წერენ ე. ბარათაშვილი, ი. ბარათაშვილი (2019), ი. გაგნიძე (2012), ბ. გეჩბაია (2017), ლ. ყორღანაშვილი (2007), ე. სეფაშვილი (2007), ი. ჯელია (2010) და სხვები.

XIX საუკუნის ბოლოს, მსოფლიოს ნავთობის წარმოების თითქმის 20% მსოფლიო ბაზრებზე გაედინებოდა, აზერბაიჯანის საბადოებიდან ბათუმის ნავთობის ტერმინალის გავლით. 1904 წელს, ძმები ნობელების ცნობილმა კომპანიამ დაასრულა კონტინენტზე პირველი, ყველაზე დიდი ბაქო-ბათუმის დამაკავშირებელი ნავთობსადენის მშენებლობა. ბათუმის ნავთობტერმინალი შავი ზღვის მნიშვნელოვანი რგოლია ნავთობის ტრანსპორტირებაში, რომელიც უკვე ფუნქციონირების 120 წლიან ისტორიას ითვლის. ბოლო წლებში მოხდა ბათუმის ტერმინალის მოდერნიზაცია და განახლება, რომლის დანახარჯმაც დაახლოებით 60 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ტერმინალი ახდენს ნედლი ნავთობისა და სხვა ნავთობპროდუქტების გადატვირთვებს აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან და საქართველოდან, ემსახურება 8 ტიპის ნედლ ნავთობს, 15 სახეობის რაფინირებული ნავთობპროდუქტებს და აკმაყოფილებს ქვეყნის გადატვირთვების 56%-ს. .საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას იძლევა ქვეყანამ მოახდინოს ენერგორესურსების ტრანსპორტირება სხვადასხვა მიმართულებით. ამისათვის მას, როგორც სატრანზიტო ქვეყანას გააჩნია შესაბამისი მილსადენი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადები (Baku-Tbilisi-Cheyhan pipeline – BTC) - კასპიის საბადოების ნავთობსადენის მაგისტრალი, რომელიც მიემართება აზერბაიჯანიდან, საქართველოს და თურქეთის ტერიტორიების გავლით ხმელთაშუა ზღვის პორტ ჯეიჰანამდე. 1999 ნოემბერს სტამბულის სამიტზე ხელი მოეწერა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ძირითადი საექსპორტო მილსადენის „სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას“. ნავთობსადენის მშენებლობა 2003 წელს დაიწყო და 2005 წელს დასრულდა. ნავთობსადენის საწყისი წერტილი სანგაჩალის ტერმინალია, ნავთობი მოიპოვება კასპიის ზღვის „აზერი-შირაქგუნეშლის“ საბადოში (აზერბაიჯანი), საბოლოო წერტილი კი - ჯეიჰანის ტერმინალია (თურქეთი). მისი სიგრძე 443 კილომეტრია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, 249 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე და 1076 კილომეტრი თურქეთში ჯეიჰანის საზღვაო ტერმინალამდე.მილსადენი მთელ სიგრძეზე მიწაშია ჩამარხული. უმაღლეს წერტილში, სადაც იგი კავკასიის მთებს კვეთს მილსადენი ზღვის დონიდან 2800 მეტრის სიმაღლეს აღწევს. მილსადენი ყოველდღიურად ახდენს საქართველოს გავლით დაახლოებით 1 მლნ ბარელ ნედლ ნავთობის ტრანსპორტირებას თურქეთის ხმელთაშუა ზღვის პორტამდე (ჯეიჰანამდე). „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ მილსადენის კომპანია დაარსებულია ენერგოკომპანიების კონსორციუმის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს მილსადენის ოპერატორი კომპანია ბრიტიშ პეტროლეუმი BP (British Petroleum) BTC სხვა წევრები არიან: სოკარი (SOCAR-აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია), ტეპაო (TPAO თურქეთი), სტატოილი (Statoil -ნორვეგია), ინპექსი (INPEX - იაპონია), ტოტალ ფინა ელფი (Total Fina Elf-საფრანგეთი), ენი (Eni- იტალია) და სხვა.

„ბაქო-სუფსის მილსადენი“-ს (WREP) აშენება 1995 წელს დაიგეგმა და ექსპლუატაციაში 1999 წლის აპრილში შევიდა რომლის მეშვეობით ნავთობის ტრანსპორტირება ხდება „ჩირაგგუნაშლი“-ს (აზერბაიჯანი) საბადოებიდან საქართველოს გავლით, სუფსის ტერმინალით და შემდგომ ევროპის მიმართულებით. მილსადენის სიგრძე 837 კმ, დიამეტრი კი 530 მმ-ია. მილსადენის სიმძლავრე წელიწადში 7,5 მილიონი ტონა ნავთობს შეადგენს. მილსადენის ოპერატორი არის BP.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების საერთო სიგრძე დაახლოებით 2000 კმ-ს შეადგენს. მათი მშენებლობა 1959 წელს დაიწყო და განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობდა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. ქვეყნის დამოუკიდებლობის საწყის პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალიზებული ეკონომიკის დაშლის პირობებში ინფრასტრუქტურის მშენებლობის ტემპიც მკვეთრად დაეცა. მაგისტრალური გაზსადენების მშენელობა-რეაბილიტაციის სამუშაოები განახლდა 2007 წლიდან (პირველ ეტაპზე უცხოელი დონორების, აშშ-ს MCC და USAID ფინანსური დახმარების ხარჯზე). [1]

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი (SPC), რომელიც ახდენს აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში გაზის ტრანსპორტირებას „შაჰდენიზის“ საბადოდან. სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის სიგრძე აზერბაიჯანსა და სა-

[1] 2020 წლის ბუნებრივი გაზის ქსელის განვითარების 10 წლიანი გეგმა. თეიმურაზ გოჩიტაშვილი, სნგკ

ქართველოს მონაკვეთზე 691 კმ-ს შეადგენს, საქართველოს მონაკვეთზე კი მისი სიგრძე 249 კმ-ია. საზღვარზე გაზსადენი თურქეთის მხარის მიერ აშენებულ განშტოებას უერთდება, რომელიც SCP-ს ერზრუმთან ადგილობრივი გაზმომარაგების სისტემასთან აკავშირებს.

პროექტის ღირებულებამ 1 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მილსადენი კონსორციუმის საკუთრებაა, რომელშიც ბრიტიშ პეტროლეუმუ (BP), სტატოილი (Statoil), სოკარი (SOCAR), ლუკოილი (LukOil), NICO, Total და TPAO მონაწილეობენ. BP-ი პროექტის ტექნიკური, Statoil-ი - კომერციული ოპერატორია. დამატებითი ეტაპების დასრულებისა და სრული წარმადობით ამუშავების შემდეგ გაზსადენი წელიწადში 21-24 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზს გაატარებს.

საქართველოს უფლება აქვს შეიძინოს გატარებული გაზის 5% შეღავათიან ფასად 2068 წლამდე. SCP-ის გაფართოებით საქართველო იღებს სარგებელს კერძოდ: ის ხდება საერთაშორისო დონის სატრანზიტო ქვეყანა, ვინაიდან გაზი საქართველოს გავლით 8 ქვეყანას მიეწოდება.

ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი XX საუკუნის 60-იან და 80-იან წლებში აშენდა. აშენებიდან მისი რეაბილიტაცია არ განხორციელებულა. გაზსადენი საქართველო-რუსეთის საზღვრიდან იწყება და საქართველო-სომხეთის საზღვრამდე გრძელდება (221 კმ). მილსადენი უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის მიწოდებას საქართველოსა და სომხეთისათვის. გაზსადენის რეაბილიტაცია განხორციელდა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ, რომელიც 2006 წელს დაიწყო და 2010 წელს დასრულდა.

სამშენებლო სამუშაოები უცხოურმა და ქართულმა კომპანიებმა განახორციელეს.მილსადენის სისტემის ყველაზე მაღალი წერტილია ზღვის დონიდან 2 420 მეტრი კავკასიონის ქედზე. ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენი შედგება ორი მილისაგან:

1) 28 (700) ხაზი (ჩრდილოეთის მონაკვეთი რუსეთის საზღვრიდან საგურამომდე 137 კმ), რომელიც 1970 წლების შუა პერიოდში აშენდა;

2) 48 (1220) ხაზი, (სამხრეთის მონაკვეთი საგურამოდან საქართველო სასომხეთის საზღვრამდე 101 კმ მონაკვეთი) რომელიც 1980 - იან წლებში აშენდა. ორივე მილსადენი ჩრდილო-სამხრეთის დერეფანში პარალელურ რეჟიმში მუშაობს. მილსადენი გაზით ამარაგებს საქართველოს და სომხეთს. ბუნებრივი აირის მომწოდებელია რუსეთის „გაზპრომი“, ქართული მხარე ტრანზიტის საფასურს იღებს – გაზით, მიწოდებული რაოდენობის 10%-ს. მილსადენის ფუნქციონირებაზე პასუხს აგებს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია.

2020 წელს სამხრეთ-კავკასიური (SCP) და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენებით (NSGP) ჯამურად თითქმის 22.4 მილიარდ კუბური მეტრის მოცულობის ბუნებრივი გაზის ტრანზიტი განხორციელდა, როცა 2019 წელს ეს მაჩვენებელი 19 მილიარდი კუბური მეტრი იყო. წლიური ზრდა 17%-ს აღემატება. საქართველოში სამხრეთ-კავკასიური მაგისტრალური გაზსადენით 19.7 მლრდ კუბურ მეტზე მეტი მოცულობის ბუნებრივი გაზის ტრანზიტი განხორციელდა, რუსული გაზის მოცულობა თითქმის 2.6 მილიარდი კუბური მეტრი იყო. შიდა წარმოებამ, სასაქონლო გაზის მოპოვებამ 2020 წელს წარმოება 14 მლნ კუბურ მეტრამდე შემცირდა. 2021 წელს კი ჯამური წარმოება 16 მლნ კუბური მეტრი იყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ადგილობრივი გაზის მოპოვება ძალიან მცირეა (ჯამური წლიური მოხმარების 0,5%-ზე ნაკლები). (წყარო: https://forbes.ge/rusuli-gazis-tsili-saqarthveloshi-gaormagda/)

ნავთობის ექსპორტმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით 2023 წლის იანვარ-ივნისში 113,713 მილიონი ბარელი შეადგინა, რაც 6,2%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია თურქულ კომპანია.კომპანიის მონაცემებით, ივნისში BTC ნავთობსადენით 19,658 მილიონი ბარელი იყო ტრანსპორტირებული (+11,3% 2022 წლის ივნისიდან). 2022 წელს BTC ნავთობის ექსპორტმა შეადგინა 225,445 მილიონი ბარელი (+12,6% 2021 წელთან შედარებით). (წყარო: BOTAS International Limited)[1]

2021 წელს ბაქო-სუფსის გავლით გადაქაჩული ნავთობის მოცულობამ 4,2 მლნ ტონა შეადგინა, რაც 2020 წელთან შედარებით 0,1%-ით ნაკლებია. აზერბაიჯანული კონდენსატით ნავთობის მთლიან ექსპორტში ამ მილსადენის წილმა 2021 წელს 14,9% შეადგინა. მილსადენში ნაკადი 2022 წელს მარტში დროებით შეჩერდა, ხოლო მაისში მთლიანად შეწყდა. მიზეზად დასახელდა შავ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოების რისკები, რასაც უკრაინის ომის შედეგად თავისუფლად მცურავი ნაღმები იწვევდა. ნავთობის მთელი მოცულობა, რაც თვეში 3 მილიონ ბარელ

[1] https://www.businessinsider.ge/ka/bako-tbilisi-jeihanit-6-tveshi-navtobis-gadazidvis-machvenebeli-62-it-gaizarda

ნავთობს შეადგენს და უკრაინის ომამდე ბაქო-სუფსით გადაიქაჩებოდა,ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენზე გადამისამართდა.[1]

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის განცხადებით:

2023 წლის იანვარ-აპრილის თვეებში სანავთობო ბიტუმის იმპორტმა შეადგინა 30,6 ათასი ტონა, რაც 15 ათასი ტონით ანუ 96,1%-ით მეტია 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (15,6 ათასი ტონა) შედარებით.

2023 წლის 4 თვის განმავლობაში სანავთობო ბიტუმის იმპორტის ყველაზე დიდი მოცულობა განხორციელდა რუსეთიდან - 14,8 ათასი ტონა, რაც მთელი იმპორტის 48,4%-ს შეადგენს. შემდეგ მოდიან: ერაყი - 7,9 ათასი ტონა (25,8%); თურქეთი - 6,7 ათასი ტონა (21,9%); აზერბაიჯანი - 1,2 ათასი ტონა (3,9%);

2023 წლის იანვარ-აპრილის თვეებში გათხევადებული აირების (LPG) იმპორტმა შეადგინა 14,48 ათასი ტონა, რაც 4,97 ათასი ტონით ანუ 52,3%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან (9,51 ათასი ტონა) შედარებით.

2023 წლის 4 თვის განმავლობაში გათხევადებული აირების (LPG) იმპორტის 99,7% (14,44 ათასი ტონა) განხორციელდა რუსეთის ფედერაციიდან.[2]

სქემაზე 1 მოცემულია საქართველოს მილსადენი ტრანსპორტის კლასტერი. მილსადენი ტრანსპორტის კლასტერის წარმოდგენისას დავეყრდნობით მისი ცნობილი მკვლევარის ო.სოლველის მოდელს. სქემაზე 1 მოცემულია ავტორის მიერ შემოთავაზებული კლასტერის მოქმედი ძირითადი მხარეები, მათ შორის: მმართველი ორგანიზაციები, უნივერსიტეტები, ინდუსტრია, ფინანსები, მასმედია და კოლაბორაციის ორგანიზაციები.

სქემა 1.

კლასტერების ძირითადი მოქმედი მხარეები ო. სოლველის მიხედვით



წყარო: ო.სოლველი, 2009, გვ.16

[1] https://www.bpn.ge/article/108774-qazaxuri-navtobis-transportirebistvis-bako-supsis-milsadeni-unda-avamokmedot-alievi/
[2] https://oilnews.ge/index.php?menuid=9&lang=1&id=11353

საქართველოში მილსადენი სატრანსპორტო კლასტერის ძირითადი მოქმედი მხარეები ზემოთ მოცემული სქემის მიხედვით იქნება:

1. **მრეწველობა: საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია** (GOGC) ბუნებრივი გაზის იმპორტი, მაგისტრალური მილსადენების სისტემის გამოყენებით ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების უზრუნველყოფა,, შვილობილი კომპანიების მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოება და მიწოდება. ახალი მაგისტრალური გაზსადენების და ნავთობსადენების დაპროექტებას და მშენებლობას, იმპორტი და ტრანსპორტირება ნავთობისა და გაზის მთავარი მილსადენის სისტემის მეშვეობით, ახალი მთავარი გაზისა და ნავთობსადენის პროექტირება და მშენებლობა.

„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გარდა მოქმედებს 7 ნავთობკომპანია: „ნორიოს საოპერაციო კომპანია“; „ბლოკ ოფერეითინგ კომპანი“; ,,ქურა ბეისინ ოფერეითინგ კომპანი“; „ენ-ვი-პი ჯორჯია“; „ვესტ გალფ პეტროლიუმ ინჯინერინგ“; „ჯორჯია ქოალიშენ ენერჯი ლიმითედ“; „ოუ -ემ -ვი პეტრომი“.

ბრიტიშ პეტროლეუმი BP - უცხოელი ინვესტორი, რომელსაც ეწევა ენერგოტრანსპორტირებისა და საწვავის მიწოდების საქმიანობას. განხორციელებული აქვს გარემოს დაცვითი და საგანმანათლებლო პროექტები საქართველოში. 2022 წელს კომპანიამ დაიწყო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 30 პროექტი, 20 გარემოსდაცვითი, 147 ბიზნესის განვითარების პროექტი, რაც ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას.

„სოკარ ენერჯი ჯორჯია“- სოკარი აწარმოებს ნავთობპროდუქტების საბითუმო და საცალო გაყიდვებს საქართველოში. კომპანიას ქვეყნის მასშტაბით 110 გასამართი სადგური, 13 სერვის ცენტრი და 4 ნავთობ ტერმინალი აქვს, სადაც დასაქმებულია 1300 თანამშრომელი.

„რომპეტროლი“ - ნავთობის მოპოვება და გადამუშავებაა, რომლის დისტრიბუციას რუმინეთში, მოლდოვაში, ბულგარეთსა და საქართველოში ახორციელებს. KMG International ჯგუფის დაფუძნებული კომპანია „რომპეტროლ საქართველო“ ქვეყნის მასშტაბით საწვავის დისტრიბუციას 67 ავტოგასამართ სადგურზე ახორციელებს.

„ლუკოილი“ მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობისა და გაზის კომპანიაა, რომელსაც ეკუთვნის ნედლი წარმოების 2%-ზე მეტი. „ლუკოილ ჯორჯია“-ს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში 60-ზე მეტი ავტოგასამართი სადგური და 500-მდე დასაქმებული ჰყავს.

სამშენებლო კომპანია „ფერი“ - რთულ რელიეფურ პირობებში ჰიდროელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, მილსადენების და სხვა ობიექტების მშენებლობა.

2. **სამთავრობო დაწესებულებები**: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია - ახორციელებს ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორების საქმიანობის რეგულირებას და ზედამხედველობას, სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“ - გაზის მოპოვება, გადამუშავება. ახდენს მოპოვებული გაზის გადამცემ, გამანაწილებელ ან პირდაპირ მომხმარებლებამდე ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - შემოსავლების სამსახური ახორციელებს ნავთობის ხარისხის მონიტორინგს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო - სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი - უზრუნველყოფს სუფსის ნავთობის ტერმინალის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთ-კავკასიური გაზსადენისა და მათი ინფრასტრუქტურის ობიექტების დაცვასა და უსაფრთხოებას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სახელმწიფო საქვეუწყებო დეპარტამენტი ახდენს ქართულ საცალო ვაჭრობის სფეროში, ნავთობპროდუქტების ხარისხის მონიტორინგს.

3. **ფინანსები**: ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD), ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია (MCC), აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ინვესტიციები.

4. უნივერსიტეტი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ენერგო და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, ჰიდროენერგეტიკისა და მაგისტრალური მილსადენის სისტემების დეპარტამენტი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული ელიზბარ ერისთავის სახელობის ენერგეტიკის სასწავლო ცენტრი, სასწავლო კურსი - „ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირების საფუძვლები“

5. მედია: საზოგადოებრივი მაუწყებლობა და ადგილობრივი ტელევიზიები რეგიონებში.

6. ურთიერთთანამშრომელი ორგანიზაციები: შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“- ლიცენზირებული კომპანია, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება. თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „მაგისტრალური გაზსადენების ტექნიკური ექსპლუატაციის“, „მაგისტრალური გაზსადენების უსაფრთხო ექსპლუატაციის“ და „ბუნებრივი გაზის ბაზრის” წესებით.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიან ელექტროენერგიის განაწილება, შესაბამისი სადისტრიბუციო აქტივების ფლობა და ექსპლუატაცია.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია გენერაცია“, რომელიც აერთიანებს კომპანიის გენერაციის ობიექტებს.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი- ანტიკონტრაბანდული და ანტიფალსიფიკაციური საქმიანობა, კონკურენტუნარიანი ბიზნეს-გარემოს შექმნა და უფლებების დაცვა, ნავთობპროდუქტების წარმოების, იმპორტის და რეალიზაციის სფეროში არსებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და რეკომენდაციების მომზადება, მონიტორინგის განხორციელება, ნავთობპროდუქტების სექტორისათვის საინფორმაციო ბაზის შექმნა საწვავის ფასის, მოხმარების, იმპორტის, რეალიზაციის შესახებ.

„ენერგეტიკული გაერთიანება“ (Energy Community) - ორგანიზაცია რომლის მთავარი მიზანია ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის და ბაზრის პრინციპების გავრცელება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში.

„ენერგეტიკული ქარტია“ (Energy Charter) – დამოუკიდებელი საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია: უცხოური ინვესტიციების დაცვა, ენერგეტიკაში რისკების შემცირება, ენერგიის მიწოდების საიმედოობის უზრუნველყოფა მილსადენების, ქსელების და ტრანსპორტირების სხვა საშუალებების გამოყენებით. ენერგოეფექტური ღონისძიებების ხელშეწყობა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირება.

დასკვნები და რეკომენდაციები

სოლველის კლასტერებს შორის სისტემური კავშირების უზრუნველყოფა.

ლოგისტიკურ სერვისებთან დაკავშირებული დარგების მოზიდვის მიზნით კლასტერების ფარგლებში სამრეწველო ზონების ჩამოყალიბება სატრანზიტო დერეფანის გაციფროვნება და საინფორმაციო ტექნოლოგიები დანერგვა.

აუცილებელია ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებაში ჩართულ ყველა აქტორებთან, კერძოდ: მილსადენ, სარჯინიგზო და საზღვაო სატრანსპორტო კლასტერებთან ლოგისტიკური ჯაჭვის შექმნა და რეკომენდაციების გაწევა. აღნიშნულ პროცესებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკურ დიპლომატიას სატრანსპორტო დერეფნის მონაწილე სახელმწიფოებთან რათა, მოხდეს წარმოების და გადაზიდვების მიმართულებების კომპლექსური ანალიზი და პოტენციური ენერგო რესურსების დადგენა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., ბარათაშვილი ი., (2019) კლასტერების მენეჯმენტი, გამომც. „უნივერსალი“, 535 გვ. ISBN:9789941265976, თბ.
2. გაგნიძე ი., ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და კლასტერები: ისტორია და თანამედროვეობა, გამომც. „უნივერსალი“ 120 გვ., თბ., 2012. URL:https://dspace.tsu.ge/xmlui/handle/123456789/1371
3. გეჩბაია ბ., (2017) კლასტერები, როგორც აგრობიზნესის განვითარების

ფაქტორი და მისი ჩამოყალიბების პირობები. გლობალიზაცია და ბიზნესი #3, გვ. 96-99.URL: https://eugb.ge/uploads/content/N3/3-15.pdf
4. დანელია ირ., გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივები საქართველოში, 2019 თბ.
5. მარგალიტაძე ე., გეგეშიძე ე., სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე, გამომც. ტექნიკური უნივერსიტეტი, 2017 თბ.
6. სეფაშვილი ე., „ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერული განვითარების სტრატეგია“, ჟ. „ეკონომიკა“, საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, V ტომი, #1-4, თბ., 2007.
7. ტყეშელაშვილი გ., დუმბაძე ნ., ამანათაშვილი ი., შანიძე ჯ., კანკაძე ჯ., საქართველოს ტრანსპორტი, გამომც. ტექნიკური უნივერსიტეტი თბ.2021.
8. ყორღანაშვილი ლ., კლასტერიზაცია, როგორც რეგიონებისა და მცირე ბიზნესის განვითარების საშუალება. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებები რეგიონების აგროსამრეწველო სექტორში. ბათუმი 2007 წ. გვ., 53-54.
9. ჯელია ი., საქართველოს ეკონომიკის კლასტერიზაცია მსოფლიო გამოცდილების კონტექსტში, ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, #6(12), თბ. 2010.
10. ბრიტიშ პეტროლეუმი საქართველო. URL: https://www.bp.com/ka_ge/georgia/home/news.html
11. „ბოტას ინტერნეიშენელი“. URL: https://bil.gov.tr/
12. „ლუკოილ ჯორჯია“. URL:http://www.lukoil.ge
13. მსოფლიო ბანკი URL:https://www.worldbank.org/en/country/georgia/publication/georgia-country-partnership-framework-2019-2022
14. „ენერჯი ნიუს“. URL:https://energynews.ge/news/bunebrivi-airi/bunebrivi-gazis-seqtorshi-265-mln-laris-investitsia-gankhortsieldeba
15. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. URL:https://www.economy.ge/
16. ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირი. URL:https://oilnews.ge/
17. „რომპეტროლ ჯორჯია“. https://www.rompetrol.ge
18. საქართველოს ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022. URL:https://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/sos_statement_for_natural_gas/sos_statement_for_gas_georgia_geo.pdf
19. სს „ენერგო პრო ჯორჯია“. URL: https://www.energo-pro.ge/ka/article/ss-energo-pro-jorjia-reorganizaciis-procesi-dasrulda-/77
20. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. URL: https://www.gogc.ge/ka/page/activities-fields/natural-gas/6/
21. საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია. URL: https://www.ggtc.ge/ka/page/kompania
22. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. URL: https://www.geostat.ge/ka
23. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო URL: https://www.mof.ge/4506
24. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო URL: https://police.ge/ge/lepl/momsakhurebis-saagento/kontaqti
25. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. URL: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1254070?publication=0
26. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. URL: https://gnerc.org/user-page/useful-information-for-customers
27. „სოკარ ენერჯი ჯორჯია“.URL::https://socar.ge/about-us/
28. ფორბსი საქართველო.URL: https://forbes.ge/saqarthveloshi-moqmedi-nav/
29. Sölvell, Ö. (2015), “On strategy and competitiveness: 10 recipes for analytical success”, First edition, Stockholm: Ivory Tower Publishers and SIR, Sweden. ISBN 978-91-974783-6-6 (PDF), ISBN 97891-86797-21-8 (printed) available at: URL:https://irpcdn.multiscreensite.com/bcb8bbe3/files/uploaded/doc_3540.pdf (accessed 8 July 2022).
30. Sölvell, Ö. (2009) “Clusters - Balancing Evolutionary and Constructive Forces”. Ivory Tower Publisher, ISBN 978-91-974783-3-5, Second Edition. pp.7.

Challenges of Forming of Pipeline Transport Cluster in Georgia

Mariam Churchelauri
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Amid the transport corridor of Europe - Caucasus and Asia, Georgia is gaining considerable international economic function. A significant part of the corridor runs on the South Caucasus, including Georgia, is the shortest route for various transport links. The decision was made to strengthen the Georgia's transit corridor function when projects of two large regional pipelines - Baku-Tbilisi-Ceyhan and Baku-Supsa and Baku-Tbilisi-Erzurum (Shah-Deniz) - Baku-Tbilisi-Erzurum had been implemented, allowing energy supplies to connect Asia from Central Asia to Europe. The pipeline that transit gas to Russia is a major priority for Georgia and Armenia, thus strengthening the transit function and coordinated functioning of the transport sector is one of the country's main priorities. This requires a complex approach that can be achieved by cluster development of transport infrastructure, which will facilitate Georgia to be transformed into a transport-logistics hub and play an important role both at the regional and international levels.

Keywords: *pipeline transport, transport corridor, transit function, transport cluster.*

მსოფლიო მოაზროვნეები ვაჭრობის შესახებ

ჯემალ ხარიტონაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შრომის სამი დიდი საზოგადოებრივი დანაწილებიდან დასკვნითი იყო ვაჭრობის გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან. ვაჭრობის გამოყოფამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში. მაგრამ არა გადამწყვეტი. ამიტომ მსოფლიო ისტორიაში გამოჩენილი მოაზროვნეები დელიკატურად განიხილავდნენ ვაჭრობის როლს საზოგადოების განვითარების საქმეში. რა თქმა უნდა, აღიარებდნენ მის მნიშვნელობას, მაგრამ პრიმატს წარმოენას ანიჭებდნენ.

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო, მოაზროვნე, ვაჭრობა, წარმოება*

ეკონომიკური აზრის ისტორია გვიჩვენებს, რომ ძველად გამოთქმული ეკონომიკური იდეები დავიწყებას არ ეძლევა. ცხოვრება პერიოდულად დღის წესრიგში აყენებს წინარე ეპოქაში არსებული ეკონომიკური იდეების ახელბურად გამოყენების საჭიროებას. ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ ძველი ეკონომიკური აზრი სხვადასხვა სიტუაციაში ახალი ძალითა და ფორმით წარმოჩინდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური აზრის სათანადოდ ცოდნა დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს. იგი საშუალებას იძლევა სხვადასხვა დასაშვები ვარიანტიდან, საჭიროების შემთხვევაში, ესა თუ ის მოძღვრება ამორჩეული იქნეს და მისი სათანადო რეალიზაციით ხელი შეეწყოს საზოგადოებრივ პროგრესს.

ვაჭრობის საკითხზე მსჯელობა დღესაც იმისათვისაა აქტუალური, რომ ჩვენში პატიოსნად ვაჭრობა, განსაკუთრებით საცალო ვაჭრობაში ჟერ კიდევ ნაკლოვანია.

მასალები და მეთოდები

მსჯელობა ვაჭრობაზე შეინიშნება ძველ ინდურ თხზულებაში **„არტჰაშასტრა“** რომელიც შედგენილია კაუტილიას მიერ(IV-III სს. ჩვ. წ.აღ-მდე).ნ იქ ლაპარაკია ფასების რეგულირებაზე იმ მხრივ, რომ საქონელი ბაზარზე სეზონის მიხედვით მიაწოდონ, რათა ფასებმა საქონლის სიმცირის გამო არ აიწიოს. აქ საქმე საქონელთა მარაგების შექმნას ეხება. „არტჰაშასტრაში“ გამოთქმული აზრი ვაჭრობის რეგულირების, სასაქონლო მარაგების შექმნის შესახებ აქტუალობას ჩვენს სინამდვილეშიც იძენს. XX ს. მეორე ნახევარში, თბილისში, ლილოში იყო ხილბოსტნეულის შესანახი უზარმაზარი ბაზა, რომელშიც -1 ტემპერატურაზე ინახებოდა საზოგადოებრივი მეურნეობებიდან შემოტანილი ხილი და ბოსტნეული. ისინი, რეგულარულად გამოიტანებოდა და სახელმწიფო სავაჭრო ქსელში იყიდებოდა. ეს პროცესი ხელს უწყობდა მტკიცე ფასების შენარჩუნებას(1, 21).

* * *

ძველი ბერძენი მოაზროვნე პლატონი იმ აზრს ანვითარებდა, რომ რადგან შრომის დანაწილება არსებობს, გაცვლაც უნდა არსებობდეს. მას დასაშვებად მიაჩნდა ვაჭრობა, მაგრამ ამ საქმიანობასაც ის უყურებდა როგორც ხელოსნობას. მისი აზრით, ვაჭრობა გარკვეულ ჩვევებსა და ნიჭს მოითხოვს, თითქმის თანდაყოლილსაც კი. ვაჭრობა ხელობაა, მაგრამ არა საპატიო. ვაჭრობას მხოლოდ უცხოელები უნდა ეწეოდნენო. თუ ათენის მოქალაქე ვაჭრობას დაიწყებს მაშინ მასზე,

პირველყოვლისა, დარწმუნებით, რჩევით უნდა იმოქმედო, რათა მან ვაჭრობა მიატოვოს. ხოლო თუ ეს მასზე ვერ იმოქმდებს, მის მიმართ უფრო მკაცრ ღონისძიებებს უნდა მიმართოო. პლატონის თქმით, ვაჭრები მოკლებულნი არიან აზროვნების უნარს და არ შეუძლიათ სახელმწიფოს უხელმძღვანელონ.

არისტოტელე მსხვილ ვაჭრობას უარყოფითად უცქერის, წვრილს კი დადებითად. იგი ვაჭრებისა და მევახშეების მიერ მოგებისთვის ფულის გამოყენებას არაბუნებრივად თვლიდა(1, 28-29).

* * *

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ფართოდაა წარმოდგენილი ეკონომიკური კატეგორიები-ფული, ფასი, ვაჭრობა, ყიდვა, გაყიდვა, მოგება, წაგება და სხვ. შ. რუსთაველი ფართო მასშტაბით განიხილავს გაცვლის, ფულისა და ვაჭრობის როლს და მის გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე.

შ. რუსთაველის მიერ ვაჭრობა აღიარებულია გამდიდრების საშუალებად. შ. რუსთაველი სიმდიდრის სწრაფად შეძენაში ვაჭრობას წინ აყენებს მიწათმოქმედებასთან შედარებით .

შ. რუსთაველს ფართო მასშტაბით აქვს დახასიათებული გაცვლის, ფულისა და ვაჭრობის როლო და მისი გავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. XI-XIII საუკუნეებში საკმარისად განვითარებულია სავაჭრო კაპიტალი. შ. რუსთაველი ხაზს უსვავს ვაჭართა დიდ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეორეს მხრივ, შ. რუსთაველი აღნიშნავს ვაჭართა უარყოფით მხარეებსაც. მათთვის წინა პლანზე დგას სარგებლიანობისა და მოგების მიღება, რისთვისაც გატეხენ ფიცს, სჯულს, სიმტკიცეს, დაარღვევენ ყოველგვარ პირობას. შ. რუსთაველის მიხედვით ვაჭრობა დიდად მაცდურია, ადამიანს ავიწყებინებს ცხოვრების ნამდვილ მიზნებს. შ. რუსთაველი სახსრების მოპოვების ერთადერთ სინდისიერ საშუალებად მიწათმოქმედებას თვლიდა. შ. რუსთაელი მიწათმოქმედებასთან ერთად მომხრეა ვაჭრობის განვითარების, სიმდიდრის დაგროვების, ქვეყნის სიუხვის(2, 143-162).

* * *

მუსლიმანების საღმრთო წიგნი „ყურანი“ მოითხოვს რომ მორწმუნე ხარბი არ იყოს და უზომოდ გამდიდრებისკენ არ ისწრაფვოდეს. ამასთან, ყურანი საზოგადოებრივი უთა-ნასწორობის ღვთიურ წინასწარგანსაზღვრულობას, საზოგადოებაში მდიდრების და ღარიბების არსებობას ასაბუთებს.

მუჰამედი და მისი მიმდევრები დიდ ყურადღებას უთმობდნენ ვაჭრობას.მართალია, არაბეთში „ვაჭრობა დიდად განვითარებული არ იყო, მაგრამ „ყურანის“ შემდგენლები ფიქრობდნენ, რომ ვაჭრობის განვითარება მუსლიმანური რელიგიის გავრცელებას ხელს შეუწყობდა.

„ყურანში“ მინიშნებულია, რომ მუსლიმანებმა ვაჭრობაში განსაზღვრული წესები დაიცვან. „დაიცავით სისწორე ზომასა და წონაში, ხალხს ზარალი არ მიაყენოთ მათს ქონებაში“ – აღნიშნულია „ყურანში.“ ვაჭრობაში მოგებას „ყურანი“ ბუნებრივ მოვლენად თვლის, მაგრამ მევახშეობას და სარგებელს გმობს. თუმცა, ისიც დასაშვებად მიაჩნია, ოღონდ მის მოწესრიგებას მოითხოვს. იგი კრძალავდა მაღალი პროცენტის ამოღებას (15).

* * *

ცნობილი ფრანგი მოაზროვნე ფრანსუა მარი შარლ ფურიე კაპიტალიზმის ბოროტებათა საკვანძო პუნქტად ვაჭრობას თვლიდა. იგი წერდა, რომ კაპიტალიზმის დროს ვაჭრობისთვის დამახასიათებელია ეგოიზმი, სიცრუე, თაღლითობა, თვითნებობა ფასების განსაზღვრაში, სპეკულაცია და სხვ. ვაჭრობაში დასაქმებული ადამიანები წარმოებით პროცესს ჩამოცილებულნი არიან. კაპიტალისტური ვაჭრობა წარმოებასა და მოხმარებას, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ურთიერთკავშირს არღვევს, კაპიტალიზმისთვის დამხასიათებელ ანარქიას აღრმავებს. შ. ფურიე მდიდარი ვაჭრის ოჯახში დაიბადა. ერთხანს ისიც ვაჭრობას ეწეოდა, იმის მიუხედავად, რომ ეს საქმიანობა სძულდა. როგორც თვით შ. ფურიე ამბობდა „ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები სიცრუის სახელოსნოებში გავატარეო“(16, 391).

* * *

ვაჭრობას დიდ როლს აკუთვნებდნენ მერკანტილისტები.

მერკანტილიზმმა დააჩქარა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება. მათი აზრით, მხოლოდ საგარეო ვაჭრობას შეეძლო მოეტანა სიუხვე და კმაყოფილების განცდა. უ. სტაფორდის, თ. მენის, ჟ. ბ. კოლბერის, ა. მონკრეტიენის აზრით, ვაჭრობა გამდიდრების უმოკლესი გზაა.

მერკანტილისტები ყველაზე მაღლა აყენებდნენ სახელმწიფოს ძლიერებას. ეკონომიკურ ბაზისად მიაჩნდათ სიმდიდრე. სიმდიდრის მთავარ ფორმად თვლიდნენ ძვირფას ლითონებს; უპირატესობას ანიჭებდნენ აგარეო ვაჭრობას, სამრეწველო მოღვაწეობას; ისინი გამოდიოდნენ მიმოქცევის სფეროდან და ამიტომ საზოგადოებრივ განვითარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვაჭრობას, რომელის ასრულებდა საქონლის მიმოქცევის ფუნქციას (2, 158).

ფრანგი ჟან ბატისტ კოლბერის აზრით, საგარეო ვაჭრობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო იმისათვის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობა ყოფილიყო. ანტუან მონკრეტიენსაც საგარეო ვაჭრობა ეკონომიკური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიაჩნდა(9).

* * *

ცნობილი ქართველი მოაზროვნე ილია ჭავჭავაძე თავის წერილში „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიკური ცხოვრებისა“ აღნიშნავდა: „ვაჭრობა არ ქმნის სიმდიდრეს“. „ნუ დავივიწყებთ, -წერდა იგი, - რომ ჩვენ საქმე გვაქვს ჩარჩულ ფულთან, რომელიც ყოველ სხვა ფულზე უფრო უღონოა. ჩარჩული ფული ბუნებით მხდალია, იმიტომ რომ ქუდბაცაცაა. იქა მკის საცა არ უთესია. იგი გასამრჯელოს იქ იღებს, საცა არ ირჯება. იგი სუქდება მით, რომ სხვას ამჭლევებს, აჭლექებს. იგი თვითონ ივსება და სხვას აცარიელებს.“ „ჩარჩული ფული არ ქმნის სარჩო-საბადებელს და მარტო თვლის თამასუქებს და სად ვის რა ასცინცლა. იგი ეკონომიკური წარმოებისთვის მკვდარია და, მაშასადამე მკვდარია იმისთანა მოქმედებისთვის, რომელიც ერთადერთი სამართლიანი და მიუწვდომელი წყაროა გაღონიერების და თუნდ გაფულიანებისაც, რაკი დღეს ფულია სიმდიდრედ აღიარებული“. ამას ამბობს თავადი ილია ჭავჭავაძე.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს ვაჭრობის დადებით მხარეებს. იგი მიუთითებს საქონელმიმოქცევის უდიდეს როლზე საზოგადოებრივ განვითარებაში, მისი თქმით, ეს არის ერთადერთი მხოლობითი ეკონომიკური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიკური დამოკიდებულება არ იცის.“

ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭრობას, როგორც ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე საქონლის განაწილების საშუალებას, რომლის დანიშნულებაც არის წარმოებული სქონლის დაყვანა მომხმარებლამდე. „ვაჭრობა რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისთვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდან, საცა მეტია, იქ - საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორგებას ყველგან“.

ვაჭრობის დადებითი მხარეების გარდა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს მის უარყოფით მხარეებზეც. ვაჭრობა, თვლის იგი, გარდაქმნის ადამიანის ბუნებას და პირადი ცხოვრების პრინციპებს, და ერი მარტო ვაჭრობით თუა დაკავებული არის „გაქსუებული, გაფანტული.“ ი. ჭავჭავაძის აზრით ვაჭრობაში არის კიდევ ერთი უარყოფით მხარე, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში ყველა ვაჭარი ცდილობს დაძაბულობა შექმნას მიწოდება- მოხმარებას შორის და რაც შეიძლება ღირებულებაზე მაღლა გაყიდოს საქონელი.

ასეთი პრეცედენტი მოხდა საქართველოში 2022 წ. მარტში. საგარეო პოლიტიკური კლიმატის დაძაბვით ისარგებლა ზოგიერთმა ბიზნესმენმა და პანიკა შექმნა. კერძოდ, შაქრის დეფიციტი შექმნეს და ამით ისარგებლეს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ: „არ არის გამორიცხული, ეს იყო ხელოვნურად ორგანიზებული პანიკის მცდელობა და გარკვეული ძალები ამით სარგებლობდნენო“(10). მასმედიაშიც ასევე აღინიშნა, რომ ერთმა ბიზნესმენმა მოახდინა ამის ინსცენირება. მას შემოტანილი ქონდა დიდი რაოდენობით შაქარი, რომელსაც მარტის ბოლოს ვადა გასდიოდა. ჯერ ფასი ააგდო, შემდეგ დასწია და თავისი მარაგი სრულად ამოყიდაო.

* * *

დასკვნა. ნათქვამია: „გზა წინასი უკანასთვის ხიდიაო“. დიდი ილია, იმიტომ იყო დიდი, რომ მისი აზრები თავის დროს ხომ ქუხდა, დღესაც აქტუალურია. ვინაიდან, ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში ადგილი აქვს ეპოქის განმეორებას, სასურველია გავითავლისწინოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ეკონომიკური იდეები, რომლებიც გზის მანათობელ ლამპარად შეიძლება გამოდგეს.

დღესაც არ არის დახვეწილი, პატიოსანი ვაჭრობა. არც თუ იშვიათია ვაჭრების მხრიდან წონაში, ფასში მოტყუება. ვაჭრები, განსაკუთრებით „ხელს ითბობენ“ ექსტრემალურ სიტუაციებში: ეკონომიკური კრიზისების, საომარი კონფლიქტების, ეპიდემია-პანდემიის დროს. ნაცვლად იმისა, რომ მოყვასს გაჭირვება გადაატანინონ, უსაშველოდ ააგდებენ ფასებს და ცდილობენ სული ამოჰხადონ მყიდველებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარიტონაშვილი, ჯ., (2019). ეკონომიკური ზრის ისტორია, თბილისი
2. ჩანტლაძე, ვ., (1992),შოთა ეკონომიკური შეხედულებები, თბილისი
3. Архашастра или наука о политике, М., 1959.
4. Платон,(1972), Политика или Государство, Соч. т. 3, ч. 2, М.,
5. არისტოტელე,(1981) რიტორიკა, თბ.,
6. Аристотель,(1911) Политика, Соч., т.4, СПБ
7. ყურანი, თბ., 1994; 2015ა.
8. სილაგაძე ,ა., (2010), ეკონომიკური დოქტრინები, თბ.

9. ხარიტონაშვილი, ჯ., (2015), ანტუან მონკრეტიენი(1575-1621) პოლიტიკური ეკონომიის სათავეებთან, (დაბადებიდან 440 წელი), ჟურნ., „ეკონომიკა და ბიზნესი“, N I
10. ხარიტონაშვილი, ჯ.,(2002) ალექსანდრე ამილახვარის მერკანტილისტური იდეები, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“. N5
11. История экономической мысли, т.1, М., 1961.
12. Всемирная история экономической мысли, т.1, М., 1987.
13. ჭავჭავაძე, ი., თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, ტ. III, V, VII.
14. ჭავჭავაძე, ი.,(1987), წოდებათა თანასწორობა , რჩ. ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V,თბ.
15. წმინდა წიგნი ყურანი და მისი შინაარსობრივი თარგმანი. სტამბოლი 1434/2013
16. Фурие Ш., (1950), Избранные сочинения, М.

World Thinkers about Trade

Jemal Kharitonashvili
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

From the three major social divisions of labor concluding was the separation of trade from agriculture. The separation of trade has played an important but not crucial role in the progress of society. This is why prominent thinkers in world history have delicately considered the role of trade in the development of society. Of course they recognized its importance, but gave primacy to production.

Effective Use of Renewable Energy Resources is a Determining Factor of Sustainable Economic Development

Lali Khikhadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The whole history of mankind is related to development of fuel-energy because deficit and abundance of energy resources significantly determines economic and political development of any country. Global financial, energy and environmental crisis has drastially changed the view about future of fule-energy develoment. Civilized world now bilieves that following 40-50 years we will face absolute exhaustion of resources and there will be difficulties in application of such resources with respect to environment. Therefore, countries are challanged to pursue energy-saving policy, to focus on new renewable energy sources due to lack of fuel resources which may delay effecient consumption of natural fuel-energy resources.

Currently, energy safety and fuel-energy policy represents a significant and critical problem not only for Georgia but for the whole world because demand of states for oil and natural gas is steadily increasing and political leaders of those countries that have no such resources, face a big dilemma on how to meet their state's needs for energy at a reasonable price and to observe sustainable energy safety. Countries that own or have access to large amounts of energy supplies seek to use this advantage as a foreign policy tool.

Keywords:. *renewable energy resources, global heating and energy policy, global warming, sustainable economic development.*

Today, the global energy balance is distributed as follows: oil consumption – 36%, natural gas – 28%, coal – 18%, hydro resources – 14%, atomic power – 3% and non-conventional energy resources – 1%. Intensive use of organic fuel resources is exactly the cause of increase in greenhouse effect on the earth and global warming, besides these sources are exhaustible and non-renewable and sooner or later should be replaced with alternative (renewable) resources. Notable is the fact that global annual oil production is 3,4 billion tons while world oil reserve amounts to 140 billion tons. In the long-run, oil prices will significantly rise and there will be a risk of exhaustion of oil reserve, as if consider current production rate, oil reserve will be sufficient for 40-50 years. Production of natural gas is 2-3 trillion m^3 and it is estimated that consumption of natural gas will reach its maximum by 2030 suggesting rise in prices and reduction in natural gas reserves.

In modern world, dynamics of development of fuel-energy system and above noted trends point to beginning of a new stage characterized by partial transition from use of conventional organic fuel energy resources (coal, oil, natural gas and others) to use of alternative energy sources. Specifically, in view of meeting increasing demands on energy resources and minimizing dependency on import, renewable, ecologically claen sources play an important role such as: hydro resuprces, geothermal waters, solar, wind, biomass energy. Adoption of mentioned non-conventional renewable resources and rational use in the near future will significantly enhance fuel-energy complex of any country. Alternative resources differ from organic resources in two important qualities: they are essentially unexhaustible, do not disturb ecological balance and are less harmful to the global environment. Expansion of scales of nontradional types of energy requires exploration of more effective technical instruments, development of material-technical base and manufacturing of specialized equipment.

Energy resources may be divided in two categories: renewable (alternative) and non-renewable (conventional) resources. The first category includes solar (helio), wind (eolo), geothermal waters, biomass and sea waves. The second category covers conventional energy resources – hydro, fuel and atomic energy. Scientific studies demonstrate that rational adoption and efficient use of renewable resources will notable improve condition of fuel-energy system of any country in the world.

Advantages of renewable energy resources:

- No adverse impact on environment and ecological balance;
- Completely renewable and unexhaustible;
- Use of renewable energy resources and introduction of innovative technologies will reduce emission of harmful hydrocarbons and global greenhouse effect;
- Each country itself controls and regulates own consumption.

Disadvantages of renewable energy resources:

- Completely renewable though seasonal. Specifically, during winter, solar energy resources are minimum and disproportionate (at night) and generation of electric power is too small, in summer during droughts potential of hydro-energy potential of rivers (high water level) is reduced and less electric power is generated.
- Tree cutting, biomass collection, storage and processing is rather costly, besides construction of small, medium and large hydropower stations requires investments and operational expenses.

Georgia is not rich in oil and natural gas deposits but the country has a potential of unique renewable resources like solar, wind, geothermal waters, biomass.

Hydro resources occupy an important place among the natural resources of Georgia. The wide branched river network is combined with the high mountainous terrain and the abundant atmospheric precipitation determines the large supply of water energy. The annual total runoff is 66 km3, which is unevenly distributed throughout the country. Annual runoff of total rivers in western Georgia is 49.7 km3 per year, and the share rivers of eastern Georgia is 16.3 km3 per year.

Georgian rivers are characterized by high hydropower potential. The potential capacity of all rivers in the country is 26.1 million kw which corresponds to 159.4 billion kWh power per year. The largest reservoirs in the country - Enguri, Rioni, Mtkvari, Kodori, Bzipi, Tskhenistskali, Aragvi and Khrami - are used for hydropower purposes from 26,500 rivers. Further exploitation of Georgia's hydropower resources is still inexhaustible, as only 20% of Georgia's hydropower resources are exploited, and the country suffers from a large shortage of fuel, electricity and is mainly dependent on energy imports. Thus, it is extremely important to accelerate the use of the energy potential of the rivers of Georgia, which will naturally benefit both the population and the improvement of the socio-economic problems of the country.

Out of 23 deposits of geothermal waters of our country, 17 are being processed. These are Kindghi-Mokvi, Rechkhi, Saberio, Zugdidi-Tsaishi, Kvaloni, Menji, Samtredia, Vani, Tbilisi, Bichvinti, Kharagauli, Alazani, Kardanakhi, Jandari, Kvareli and Eniseli.

Geothermal waters are used for thermal energy purposes in communal farms, greenhouses, for technological needs in tea industry, at balneological resorts and more. However, the use of thermal waters is highly unsatisfactory. The level of use of geothermal waters does not exceed 30-35% while the forecast stock is 220-250 mln. cubic meters per year. The rest of the water is spilled and causes both thermal and ecological pollution of the nearby area. In case of utilization of geothermal resources in Georgia, it will be possible to save 2.5 million tons of conditional fuel, which has economic and significant environmental effects. It should be noted that geothermal energy is used in energy by more than 20 countries in the world, including Iceland, France, USA, Australia, New Zealand and others. Even in developed countries, the share of geothermal water energy in total

energy is very small, but the prospects for the development of this type of energy are important. The huge reserves of the earth's geothermal waters are almost practically inexhaustible, their thermal potential is determined at 2.94X1024 joules.

Currently, geothermal energy is being developed in more than 50 countries. Countries that depend on oil imports have the most success in geothermal energy. For example, the Philippines, El Salvador, Argentina, Ecuador, as well as highly developed countries - the US, Japan, Italy and others. Geothermal water in Georgia can be used for energy, greenhouses, commercial structures and homes for heating and hot water supply through geothermal systems.

Helio resource - the sun is the largest source of energy with a capacity of $4X10^{23}$ kWh, with about 10^{14} kW capacity on Earth or 34 billion tons of conventional fuel per year. On average 1 kW falls on 1 m^2 of illuminated earth surface.

Using solar energy for heating installations is undoubtedly rational but when it comes to getting electricity - it is still an expensive source, although significant work is being done in developed countries in this regard. Currently, more than 8 million homes in Japan receive solar-heated water, with a total capacity of 3.2 million kW. More than 50 solar power plants with tens of thousands of kilowatts have been built in the USA, France, Spain, Italy and Japan.

In most parts of Georgia, the annual duration of sunshine is quite long and ranges from 200 to 250 days. At the same time, it should be noted that the regions of Eastern Georgia are sunnier than the Black Sea and Kolkheti lowlands. The highest rate of sunshine during the year is observed in Rodionovka (2633 hours), the lowest in Sairme (1147 hours), in winter months the average sunshine is 80-120 hours (maximum 25-40%), and in summer months sometimes 225-300 hours (50- 65%) and 300-360 hours (70-75%) in favorable years.

Specific indicator of solar energy on 1 sq.m. of the territory of Georgia is theoretically 1500-1800 kWh per year, and the total energy potential for the entire area of the country is estimated at 10 billion kWh. that is equivalent to 34 billion tons of conditional fuel. With the help of solar thermal collectors, use of solar panels can save 7 million tons of conventional fuel equivalent to energy per year, which is almost half of the organic fuel consumed in the country for energy purposes. The maximum effect of the use of solar energy in accordance with natural resources can be obtained in the mountains of southern Georgia and the lowlands of eastern Georgia, as well as in Kolkheti, the coast of Abkhazia and Adjara.

The main disadvantage of solar energy is its seasonality and unevenness (at night, in cloudy weather, in winter), so it is necessary to create backup units and batteries. Currently, the use of solar energy in Georgia is only in its infancy, but in the future it should become essential.

In the next decade, significant attention should be paid to the inclusion of constantly renewable solar energy in Georgia's fuel and energy balance. Considering the practice and experience of the world's leading countries in terms of solar energy production, solar energy is considered a top priority in the fuel and energy system of Israel, Germany, Italy, Belgium, USA, China.

Use of wind (eolo) energy. There has been a renewed interest in wind energy in the 1970s due to the crisis in world energy, resulting from rising prices for organic fuels, especially oil. During this period, the conditions for maintaining the ecological balance of the environment were also aggravated, emitting large amounts of harmful emissions, which are obtained during the combustion of organic fuels.

Currently, developed capitalist countries have made great achievements in the use of wind energy: Denmark, the Netherlands, France, England, Sweden, China, and the United States. In these countries, wind power plants have been developed and operated in large quantities, at the same time they are being developed, and in some places the introduction (of the USA, Denmark) of the construction of high-capacity wind power units. State programs for the use of wind energy have been developed and implemented in these countries, with the

aim of increasing the share of electricity generated by wind in total demand. Developed capitalist countries aspire to restore their energy balance by 15-20% at the expense of wind energy.

Georgia is a unique country in terms of wind energy use. It possesses significant energy potential of wind energy. In particular, it is possible to generate 4 billion kWh of electricity annually. In our country there are all conditions for the use of wind, which will have a significant impact on the development of the fuel-energy system, as well as in solving environmental and socio-economic problems. Scientific studies show that the theoretical resources of wind energy production on the territory of Georgia can be estimated at 1012 kWh. In fact, the share of wind energy can be 2-3 billion kWh per year. electricity which indicates a promising development of wind energy.

There are rather favorable conditions for the development of wind energy in Georgia: 165 meteorological stations have accumulated vast statistics on wind speeds and directions for decades. Based on these directions, the magnitude of the wind potential is estimated, its spatial distribution is studied, and the country is zoned according to the magnitude of the wind potential, where the magnitude of the wind potential corresponds to the large wind energy requirements. Based on these data, it is permissible to start designing and building a wind plant at several specific locations. In particular, it is the backyard of Mta-Sabueti meteorological station located on the Likhi range, Poti port mall, the outskirts of Kapandibi meteorological station in Kakhaberi lowland and others.

Due to favorable climate, Georgia has the greatest potential for the creation of biomass power plants, especially for obtaining hot water and heating. Biomass is considered an important source of energy supply in the regions and rural areas. In addition, 40% of the country is covered by forests.

biomass energy Georgia's core biomass energy potential is 12.5 billion kWh. For comparison, it should be noted that the generation by the power system does not exceed 8-10 billion kWh. The use of biomass is currently found in the form of firewood consumption and can even lead to ecological disaster. It is necessary to turn the great potential of biomass into a source of electricity generation in order to clean the country from agriculture and urban waste. At the same time, it should be noted that the country has chosen the development of international tourism as a priority strategic direction, which requires maximum compliance with special aesthetic rules and sanitary regulations.

The efficient use and vast utilization of the above-mentioned renewable (alternative) energy resources - hydro resources, solar, wind, geothermal waters, and biomass resources will contribute to the development of the country's fuel-energy system and reduction of dependence on imports, development of electricity and heat supply for high mountainous resorts and tourist areas, industrial, agricultural and communal farms.

Continuously rising prices of organic fuels – oil, natural gas and electric power, import of such resources from politically unstable countries, deterioration of ecological balance makes more efficient use of energy resources more and more relevant that implies solution of ecological problems of fuel-power complex and possibility of getting cheap electric power. The following should also be considered – monetary and material expenses incurred with regard to transition to a new system of power consumption, organic fuel cutbacks, cost of accompanying precious products, and reduction of losses resulting from environmental pollution.

Conclusion.The current financial, energy and ecological crisis in the world has completely changed the imagination on the future of development of fuel-energy. Civilized humanity has convinced that 4-5 decades later we will deal with the principled resources, and in ecological point of view we will have difficulties in their use. Therefore, it became necessary for countries to implement policy of energy saving, fuel resource depletion makes orientation on new energy repairing sources, the use of which can slow down the inefficient spending of natural energy resources, along with it the energy safety and fuel and energy policy today is the actual and a severe problem for the whole world.

For today the energy balance of the world is allocated as following: 36% - on oil consumption, 28%- on natural gas, 18%- on coal, 14%- on hydro resources, 3% - on nuclear power and 1% - on non-traditional energy resources. The intensive use of organic fuels causes the growth of heat and global warming on The Earth, and these sources belong to the exhaustible and non-renewable category, so soon or later we will have to replace with alternatives (renewable resources). Besides, it should be taken into account that annual oil production in the world is 3.4 billion tones, if we consider that the world's oil reserves are estimated at 140 billion tonnes. In the long-term perspective prices will be sharply rising on oil and the danger will be set on exhausting oil supplies, as oil supplies will be sufficient for 40-50 years in view of modern extraction. Natural gas extraction is 2-3 trillion m3, forecast indicators suggest that the share of natural gas consumption will reach to maximum by 2030, which indicates to the price increase and reduction of natural gas reserves.

The dynamics of the development of the fuel-energy system in the modern world indicates the beginning of a new phase that is characterized by partial transition on the use of renewable sources (alternative) of energy from traditional energy (coal, oil, natural gas and other) consumption.

Renewable resources differ from organic resources in two important features: they are practically inexhaustible, their effective use does not disturb the ecological balance and causes less damage to the global environment, which is an important factor determining a sustainable economy.

The development of a sustainable economy implies a system where the effective use of renewable energy resources and the maximum consideration of the interests of natural environment protection ensure the well-being of society, raising the standard of living, and at the same time do not endanger future generations in the optimal use of limited energy resources and the maintenance of ecological balance on a global scale.

References

1. 1.G. Mukhigulashvili. & T. Kvaratskhelia.(2013). Renewable Energy Sources and Thier Development, Tb ., Experience;
2. D. Chomakhidze.(2015). Tb., Georgian Energy System;
3. 4.L.Khikhadze**.** (2011).Potencial of Renewable Energetic Resources and its Utilization perspectives in Georgia, International Scientific-practical Conference, Sokhumi State University, Tb., p., 123-127, 18-19 November;
4. 5.L.Khikhadze.(2017). Advantages and Isadvantages of Using Renewable Energy resources in the Development of the Heating and Energy System: World Experience and Practice for Georgia. Collection of Works: Structural and Innovative Problems of Economic Development. Tb.,TSU, Paata Gugushvili Research Economics Institute. E ISSN 2587 4691

   www.energy. gov.ge

   www.energenow. com

   www. bioenergy.ge

განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება მდგრადი ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი

ლალი ხიხაძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორია დაკავშირებულია სათბობ-ენერგეტიკის განვითარებასთან, რადგანაც ენერგეტიკული რესურსების დეფიციტი და სიუხვე მკვეთრად განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარების დონეს. მსოფლიოში მიმდინარე ფინანსურმა, ენერგეტიკულმა და ეკოლოგიურმა კრიზისმა სავსებით შეცვალა წარმოდგენა სათბობ-ენერგეტიკის განვითარების მომავალზე.

თანამედროვე მსოფლიოში ცივილიზებული კაცობრიობა დარწმუნდა, რომ 4-5 ათწლეულის შემდეგ საქმე გვექნება პრინციპულად ამოწურულ რესურსებთან, ხოლო ეკოლოგიური თვალსაზრისით სიძნელეები გვექნება მათ გამოყენებაში. ამიტომ ქვეყნების წინაშე წარმოიშვა აუცილებლობა ენერგომომჭირნეობის პოლიტიკის განხორციელებისა, სათბობი რესურსების გამოფიტვა ორიენტაციას აკეთებს ენერგიის ახალ აღმდგენად წყაროებზე, რომელთა გამოყენებამაც შეიძლება შეანელოს ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ხარჯვა.

მსოფლიოს ენერგეტიკული ბალანსი ასეა განაწილებული: ნავთობზე მოდის მოხმარების-36%, ბუნებრივ აირზე-28%, ქვანახშირზე-18%, ჰიდრორესურსებზე-14%, ატომურ ენერგეტიკაზე-3%, ხოლო არატრადიცულ ენერგორესურსებზე მოდის 1%. სწორედ ორგანული სათბობი რესურსების ინტენსიური გამოყენება იწვევს დედამიწაზე სითბური ეფექტის ზრდას და გლობალური დათბობის პროვოცირებას, ამასთან ეს წყაროები ამოწურვად და არაგანახლებად კატეგორიას განეკუთვნება, ამდენად ადრე თუ გვიან მოგვიწევს მათი ჩანაცვლება ალტერნატიული (განახლებადი რესურსებით). ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ყოველწლიური ნავთობის მოპოვება მსოფლიოში შეადგენს 3,4 მლრდ. ტონას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნავთობის მსოფლიო მარაგი შეფასებულია 140 მლრდ, ტონად. გრძელვადიან პერსპექტივაში მკვეთრად გაიზრდება ფასები ნავთობზე და საშიშროება იქმნება ნავთობის მარაგის ამოწურვაზე, რადგანაც თანამედროვე მოპოვების თვალსაზრისით ნავთობის მარაგი საკმარისი იქნება 40-50 წლის მანძილზე. ბუნებრივი აირის მოპოვება 2-3 ტრილიონ კუბ. მ. შეადგენს, საპროგნოზო მაჩვენებლებით ნავარაუდევია, რომ ბუნებრივი აირის მოხმარების ხვედრითი წილი 2030 წლისათვის მაქსიმუმს მიაღწევს, რაც მიგვანიშნებს ფასების ზრდაზე და ბუნებრივი აირის მარაგების შემცირებაზე.

თანამედროვე მსოფლიოში სათბობ-ენერგეტიკული სისტემის განვითარების დინამიკა და ზემოთაღნიშნული ტენდენციები მიუთითებს ახალი ეტაპის დასაწყისზე, რომელიც ხასიათდება ნაწილობრივი გადასვლით ტრადიციული ორგანული წარმოშობის სათბობი (ქვანახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი და სხვა) ენერგორესურსების მოხმარებიდან ენერგიის განახლებადი წყაროების გამოყენებაზე. კერძოდ, ენერგორესურსებზე მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირების თვალსაზრისით გარკვეული როლი ეკისრება განახლებად, ეკოლოგიურად სუფთა წყაროებს: ჰიდრორესურსებს, გეოთერმული წყლებს, მზის, ქარის, ბიომასის ენერგიას. აღნიშნული არატრადიციული განახლებადი რესურსების ათვისება და მათი რაციონალური გამოყენება ახლო მომავალში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნებისმიერი ქვეყნის

სათბობ-ენერგეტიკის კომპლექსს. განახლებადი რესურსები, ორგანული წარმოშობის რესურსებისაგან, განსხვავდება ორი მნიშვნელოვანი თვისებით: ისინი პრაქტიკულად ამოუწურავია, მათი ეფექტიანი გამოყენება ეკოლოგიურ წონასწორობას არ არღვევს და გლობალურ გარემოს ნაკლებ ზიანს აყენებს, რაც მდგრადი ეკონომიკის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მდგრადი ეკონომიკის განვითარებარისეთ სისტემას გულისხმობს, როდესაც განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ბუნებრივი გარემოს დაცვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებასა და ამასთან ერთად საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს შეზღუდული ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში და მსოფლიო მასშტაბით ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში.

საკვანძო სიტყვები: *განახლებადი ენერგეტიკული რესურსები, გლობალური სათბობ-ენერგეტიკული პოლიტიკა, გლობალური დათბობა, მდგრადი ეკონომიკური განვითარება.*

ეროვნული შემოსავლის ზრდის დემოეკონომიკური ფაქტორები

მერაბ ხმალაძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოსახლეობის აღწარმოებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები. თავის მხრივ, მოსახლეობა და მასში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესებიც ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. ამ ურთიერთკავშირის პირველი მხარე: ეკონომიკა-დემოგრაფია საკმაოდ მაღალ დონეზეა შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით მეორე მხარეზე: დემოგრაფია-ეკონომიკა. ამ მდგომარეობას განაპირობებს ორი გარემოება: პირველი - დემოეკონომიკური კავშირების შეუფასებლობა. დემოგრაფიული პროცესების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე ხშირად დაიყვანება მხოლოდ ადვილად დასანახ შედეგზე, კერძოდ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაზე, ამასთან არსებობს უფრო ნაკლებგამოხატული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები. მათი შესწავლა ძნელია, მაგრამ აუცილებელი. ამ სირთულეს განაპირობებს ის გარემოება, რომ რეალობაში ეკონომიკურ-დემოგრაფიული და დემოგრაფიულ- ეკონომიკური ურთიერთობები ფუნქციონირებენ ერთდროულად, გადახლართულნი არიან ერთმანეთში და მათი დაყოფა პირობით ხასიათს ატარებს.

დემოეკონომიკური პროცესების შეუსწავლელობის მეორე და არანაკლები მიზეზი არის უშუალო სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა მოცემულ საკითხზე. ეკონომიკური განვითარების დემოგრაფიული ფაქტორების გამოყოფა დანარჩენებისგან რთულია, ხოლო თანამედროვე სტატისტიკის თეორიით განსაკუთრებით რთული, რამდენადაც დემოეკონომიკური პროცესის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი სტატისტიკის წინაშე არც დასმულა. ამის შედეგად პრობლემის კვლევისას იძულებული ვართ მივმართოთ ზოგიერთ პირობითობას როგორც კვლევის მეთდიკის, ისე პრობლემის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *დაბადებულთა რიცხვი; მოკვდაობა; ეროვნული შემოსავალი; მოკვდაობის ალბათობა; შრომოს მწარმოებლურობა.*

დემოეკონომიკური პროცესების შესწავლის აუცილებლობამ წარმოშვა სტატისტიკის ერთ-ერთი ახალი დარგი-ეკონომიკური დემოგრაფი. მისი საგნის განსაზღვრის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. ერთნი თვლიან, რომ ის შეისწავლის მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივ სტრუქტურას წარმოებასთან და მოხმარებასთან კავშირში; მეორეთა აზრით, ეკონომიკური დემოგრაფია შეისწავლის ეკონომიკური და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთკავშირის მექანიზმს.

ჩვენი აზრით, ეკონომიკური დემოგრაფია შეისწავლის დემოგრაფიული პროცესების გავლენას ეკონომიკაზე.

მოვიტანთ იმ საკითხების არასრულ ჩამონათვალს, რომლებიც ხვდებიან ეკონომიკური დემოგრაფიის შესწავლის არეალში: მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა წარმოების და მოხმარების მოცულობაზე, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და შრომის მწარმოებლურობა, ეროვნული შემოსავლის ზრდის დემოგრაფიული ფაქტორები, დემოგრაფიული ინვესტიციები (დემოგრაფიული კაპდაბანდებები - ა.სოვი) - ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც მიდის მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების უზრუნველსაყოფად და მისი ანალიზი, ეროვნული შემოსავლიდან მოხმარების და დაგროვების ფონდების ფორმირებაზე მოქმედი დემოგრაფიული ფაქტორები, დემოგრაფიული

ოპტიმუმი, სამუშაო ძალის რიცხოვნობის, შემადგენლობის და დინამიკის დემოგრაფიული ასპექტები, დასაქმების დამოგრაფიული ასპექტები და ა.შ.

დემოეკონომიკური კავშირების ასეთი ფართო სპექტრიდან კვლევისთვის ავიღეთ შემდეგი შეუსწავლელი საკითხი: **რაიმე წელს დაბადებული თაობის მიერ შექმნილი მოსალოდნელი ეროვნული შემოსავლის მოცულობა, ხოლო წლების მიხედვით - მისი დინამიკა.**[1]

ფაქტობრივად, თუ გვინდა დავადგინოთ, რა ეკონომიკურ შედეგს მიაღწევს ან სხვანაირად რომ ვთქვათ, რა მოცულობის ეროვნულ შემოსავალს შექმნის რაიმე წელს დაბადებულთა სტატისტიკური ერთობლიობა, პრაქტიკულად გადაულახავ წინააღმდეგობას წავაწყდებით, რომელიც შემდგომში მდგომარეობს: რაიმე წელს დაბადებულები შრომით საქმიანობას დაიწყებენ 15-20 წლის შემდეგ. შრომითი საქმიანობის დასაწყისისთვის მათი პირვანდელი რიცხოვნობა შემცირდება მოკვდაობის შედეგად. გარკვეულ კორექტივს შეიტანს მიგრაციაც. მათი გარკვეული ნაწილი დასაქმდება და შექმნის ეროვნულ შემოსავალს. შრომითი საქმიანობის დაწყებიდან დამთავრებამდე შეიცვლება ასევე მოკვდაობა, მიგრაცია, დასაქმების დონე და საერთოდ ეკონომიკური ვითარება, რომელიც დაახლოებით 50 წელი გაგრძელდება (15-65 წელი).

რამდენადაც ასეთი ხანგრძლივობის პროგნოზში ვარიანტების გათვალისწინება შეუძლებელია, შობადობის ეკონომიკური შედეგის დასადგენად, მოდელირების მეთოდის გამოყენებით, გამოვთვლით მოსალოდნელი ეროვნული შემოსავლის „პირობით მოცულობას“. **ესაა მოსალოდნელი ეროვნული შემოსავლის ის მოცულობა, რომელსაც თავისი შრომითი საქმიანობის პერიოდში შექმნიდა მოცემულ წელს დაბადებულთა თაობა იმ პირობით, თუ მომავალში შენარჩუნებული იქნება ის დემოეკონომიკური სიტუაცია, რომელიც არსებობს მოცემულ წელს.**

დაბადებულთა რიცხოვნობის გარდა, დემოგრაფიულ სიტუაციაში ვგულისხმობთ მოკვდაობას, რომელიც ამცირებს შრომით საქმიანობაში მონაწილეობის ხანგრძლივობას. შრომითი საქმიანობა, ანუ ეკონომიკური აქტიურობის დასაწყისი შრომის საერთაშორისო ორგანზაციის (შსო) რეკომენდაციით განსაზღვრულია 15 წელი. ზედა ზღვარი განსაზღვრული არ არის. გავითვალისწინეთ რა დასაქმების ფაქტობრივი ასაკობრივი დონე, შესაძლებლად ჩავთვალეთ შრომითი საქმიანობის ხანგრძლივობად აგვეღო 15-65, ე.ი. 50 წელი.

გამოთვლებისათვის საჭირო ყველა ემპირიული სტატისტიკური მონაცემები მოგვაქვს ქვემომოტანილ ცხრილ 1-ში. პერიოდი მოიცავს 2010-2022 წლები. ცხრილში მოტანილი გამოთვლები ლოგიკურად მარტივი და თანმიმდევრულია.

ცხრილი 1

მოცემულ წელს დაბადებულების მიერ წარმოებული მოსალოდნელი
მთლიანი ეროვნული შემოსავლის გასაანგარიშებლად საჭირო
მონაცემები 2010-2022 წლებში[2]

	2010	2022
მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მლრდ. ლარი)	20,1	67,2
15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა (ათასი)	3114,8	2988,9

[1] აღნიშნული საკითხის მეთოდოლოგიური მხარის დამუშავების პირველი ცდა ჩვენს მიერ განხორციელდა: მერაბ ხმალაძე. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1994. გვ. 175-186. დემოგრაფიული ლექსიკონი.

[2] გაანგარიშებები ეყრდნობა: საქართველოს სტატისტიკური წელწადეული 2022, გვ. 42, 125. Ceostat.ge 15-65

3. დასაქმებულთა რიცხვი (ათასი)	1167,6	1283,7
4. დასაქმების დონე (%%) 3 : 2	37,5	42,9
5. დაბადებულთა რიცხვი (ათასი)	55,2	42,3
6. დაბადებულთაგან 15 წლამდე მიღწევის ალბათობა	0,97759	0,98972
7. დაბადებულთაგან 15 წელს მიაღწევს (ათასი) 5 X 6	54,0	41,9
8. აქედან დასაქმდება (ათასი) 7 X 4	20,24	17,96
9. შრომითი ასაკის ფაქტობრივი საშუალო ანგრძლივობა (წლები)	42,85	43,33
10. შრომით ასაკში მოსალოდნელი ნაცოცხლები წლების რიცხვი (ათასი) 8 X 9	867,1	778,2
11. შრომის მწარმოებლურობა (ათასი ლარი) 1: 3	17,2	52,3
12. მოცემულ წელს დაბადებულების მიერ წარმოებული მოსალოდნელი მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მლრდ ლარი) 10 X 11	14,91	40,7

კვლევისათვის საჭირო წინასწარი მოსამზადებელი გაანგარიშებები შემდეგია:

- დასაქმებულთა რიცხვის და 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაზე დაყრდნობით გაანგარიშებულმა დასაქმების დონემ 2010 წ. -შეადგინა 37,5%, ხოლო 2022 წელს- 42,9%;
- დაბადებულთა რიცხვი 2010- 2022 წლებში 55,2 ათასიდან შემცირდა 42,3 ათასამდე;
- მოკვდაობის ცხრილების გათვალისწინებით ვადგენთ, რომ 2010 წელს დაბადებულებიდან 15 წელს მიაღწევს 54,0, ხოლო 2022 წელს - 41,9 ათასი. ამისთვის საჭიროა დაბადებულების როცხვის გამრავლება 15 წლამდე მიღწევის ალბათობაზე;
- ვითვალისწინებთ რა დასაქმების არსებულ დონეს, შეგვიძლია გამოვთვალოთ, რომ 15 წელს მიღწეულთაგან მომავალში დასაქმდება 2010 წელს დაბადებულებიდან 20, 25, ხოლო 2022 წელს დაბადებულებიდან 17,72 ათასი;
- საჭიროა გამოვთვალოთ, დასაქმებულებიდან თითოელი საშუალოდ რამდენს იცოცხლებს შრომით ასაკში. შესაბამისი წლების მოკვდაობის ცხრილებზე დაყრდნობით, ჩვენი გაანგარიშებით მან შეადგინა: 2010 წელს 42,85, ხოლო 2022 წელს 43,33 წელი.დანაკარგები 1 დაბადებულზე 2010 წელს შეადგენს 7,15, (50-42,85) ხოლო 2022 წელს 6,67 წელს;
- თუ დასაქმებულთა რიცხვს გავამრავლებთ შრომითი ასაკის ფაქტობრივ საშუალო ხანგრძლივობაზე, მივიღებთ შრომით ასაკში მოსალოდნელი ნაცოცხლები წლების რიცხვს, ხოლო თუ ამ უკანასკნელს გავამრავლებთ შრომის მწარმოებლურობაზე, მივიღებთ მოცემულ წელს დაბადებულების მიერ წარმოებული მოსალოდნელი მთლიანი ეროვნული შემოსავლის მოცულობას.
- მოვახდინოთ მოცემული მსჯელობის ფორმალიება, შემოვიტანოთ სიმბოლოები:

  N – დაბადებულთა რიცხვი;

  q - დაბადებულთაგან 15 წლამდე მიღწევის ალბათობა (ასეა მოკვდაობის ცხრილებში);

  d - დასაქმების დონე;

  $\bar{p}$ - სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შრომით ასაკში;

  V - შრომის მწარმოებლურობის დონე;

Q - მოცემულ წელს დაბადებულების მიერ წარმოებული მთლიანი ეროვნული შემოსავალი. მაშინ:

Q = $\Sigma = N \cdot q \cdot d \cdot \bar{p} \cdot V$

გამოვთვალოთ ეროვნული შემოსავალი 2010 -2022 წლებში.

Q_{2010} = 55,2 $\cdot 0{,}97759 \cdot 0{,}375 \cdot 42{,}85 \cdot 17{,}2 = 14{,}91$ *მლრდ.ლარი*;

Q_{2022} = 42,3 $\cdot 0{,}98972 \cdot 0{,}429 \cdot 43{,}33 \cdot 52{,}3 = 40{,}7$ *მლრდ.ლარი*.

როგორც გამოთვლებმა გვიჩვენა, 2010-2022 წლებში დაბადებული თაობების მიერ შექმნილი მოსალოდნელი ეროვნული შემოსავალი 14,91-დან 40,7 მლრდ.ლარამდე, ე.ი. 2,7297-ჯერ (272,97%-ით) გაიზარდა.

ფაქტია, რომ მოცემულ ზრდაში მონაწილეობს 5 ფაქტორი. აქედან 3 დემოგრაფიული: დაბადებულთა რიცხვი, ე.ი. შობადობა, მოკვდაობის დონე: 15 წლამდე მიღწევის ალბათობა და შრომითი ასაკის საშუალო ხანგრძლივობა და 2 ეკონომიკური ფაქტორი: დასაქმების დონე და შრომის მწარმოებლურობა, რომლებიც ფაქტობრივად **დემოეკონომიკურ ფაქტორებს წარმოადგენენ.**

განხილული ფაქტორებიდან თითოეულს შეაქვს თავის წვლილი, რის დასადგენადაც ჯერ გამოვთვლით ეროვნული შემოსავლის საერთო ინდექსს, ხოლო შემდეგ თითოელი ფაქტორის სუბინდექსს, რითც დავადგენთ თითოეული ფაქტორის როლს ეროვნული შემოსავლის ზრდაში.

ქვემოთმოტანილი ინდექსები შექმნილია ჩვენს მიერ.

კერძოდ:

- ეროვნული შემოსავლის საერთო ინდექსი:

$$\mathfrak{I}_Q = \frac{\Sigma N_I \; q_I \; d_I \; \bar{p}_I V_I}{\Sigma N_0 \; q_0 \; d_0 \; \bar{p}_0 V_0};$$

- შობადობის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_N = \frac{\Sigma N_I \; q_I \; d_I \; \bar{p}_I V_I}{\Sigma N_0 \; q_I \; d_I \; \bar{p}_I V_I};$$

- 15 წლამდე მიღწევის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_q = \frac{\Sigma N_0 \; q_I \; d_I \; \bar{p}_I V_I}{\Sigma N_0 \; q_0 \; d_I \; \bar{p}_I V_I};$$

- დასაქმების ინდექსი:

$$\mathfrak{I}_d = \frac{\Sigma N_0 \; q_0 \; d_I \; \bar{p}_I V_I}{\Sigma N_0 \; q_0 \; d_0 \; \bar{p}_I V_I};$$

- შრომითი საქმიანობის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_{\bar{p}} = \frac{\Sigma N_0 \; q_0 \; d_0 \; \bar{p}_I V_I}{\Sigma N_0 \; q_0 \; d_0 \; \bar{p}_0 V_I};$$

- შრომის მწარმოებლურობის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_V = \frac{\Sigma N_0 \; q_0 \; d_0 \; \bar{p}_0 V_I}{\Sigma N_0 \; q_0 \; d_0 \; \bar{p}_0 V_0}.$$

ინდექსების თეორიის თანახმად, ეროვნული შემოსავლის ინდექსი მისი შემადგენელი სუბინდექსების ნამრავლის ტოლია:

$$\mathfrak{I}_Q = \mathfrak{I}_N \cdot \mathfrak{I}_q \cdot \mathfrak{I}_d \cdot \mathfrak{I}_{\bar{p}} \cdot \mathfrak{I}_V$$

რაც ელემენტარულად მტკიცდება.

შესაბამისი გამოთვლების შედეგად მივიღეთ:

- ეროვნული შემოსავლის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_Q = \frac{40,7}{14,91} = 2,7297\ (272,97\%),$$

აბსოლუტური მატება 25,79 მლრდ.ლარი.

- შობადობის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_N = \frac{40,7}{53,1} = 0,7665\ (76,65\%),$$

აბსოლუტური მატება - 12,4 მლრდ.ლარი.

- 15 წლმდე მიღწევის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_q = \frac{53,1}{52,5} = 1,0114\ (101,14\%),$$

აბსოლუტური მატება 0,6 მლრდ.ლარი.

- დასაქმების ინდექსი:

$$\mathfrak{I}_d = \frac{52,5}{45,9} = 1,1438\ (114,38\%),$$

აბსოლუტური მატება 6,6 მლრდ.ლარი.

- შრომის საქმიანობის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი:

$$\mathfrak{I}_{\bar{p}} = \frac{45,9}{45,4} = 1,011\ (101,1\%),$$

აბსოლუტური მატება 0,5 მლრდ.ლარი.

- შრომის მწარმობლურობის ინდექსი

$$\mathfrak{I}_V = \frac{45,4}{14,91} = 3,0449\ (304,49\%);$$

აბსოლუტური მატება 30,49 მლრდ.ლარი.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენს მიერ ჩატარებული საინდექსო ანალით 2010-2022 წლებში დაბადებულების მიერ მოსალოდნელი წარმოებული ეროვნული შემოსავლის მიმართ გავაკეთეთ შემდეგი დასკვნები:

- ეროვნული შემოსავალი 14,91 მლრდ-დან იზრდება 40,7 მლრდ-მდე, ე.ი. 25,79 მლრდ.ლარით;
- აღნიშნული მატება კომპონენტების მიხედვით შემდეგნაირად დაიშლება;
- დაბადებულთა რიცხვის შემცირება ეროვნულ შემოსავალს ამცირებს 12,4 მლრდ.ლარით;
- მოკვდაობის შემცირება 15 წლამდე ასაკში ეროვნულ შემოსავალს ზრდის 0,6 მლრდ.ლარით;
- დასაქმების დონის ზრდა ეროვნულ შემოსავალს ზრდის 6,6 მლრდ.ლარით.
- 15-65 წლის ასაკში მოკვდაობის შემცირება ეროვნულ შემოსავალს ზრდის 0,5 მლრდ.ლარით;
- შრომის მწარმოებლურობის ზრდა ეროვნულ შემოსავალს ზრდის 30,49 მლრდ. ლარით;

- შობადობის ზრდას და მოკვდაობის დონის შემცირებას ექნება არა მარტო სოციალურ-დემოგრაფიული, არამედ ეროვნული შემოსავლის ზრდის მნიშვნელოვანი ეფექტი.
- იმის დასადგენად, რომ ჩვენი გამოთვლები სწორია, ეროვნული შემოსავლის საერთო მატება მისი შემადგენელი კომპონენტების მატების ჯამის ტოლი უნდა იყოს. მართლაც:
- 25,79 = -12,4 + 0,6 + 6,6 + 0,5 + 30,49
- ასევე ეროვნული შემოსავლის ინდექსი ცალკეული ფაქტორების ინდექსების ნამრავლის ტოლია. მართლაც: 2,7297 = 0,7665 · 1,0114 · 1,1438 · 1,011 · 3,0449

Demo-economic Factors of Growth of National Income

Merab Khmaladze
Doctor of Economic Sciences

SUMMARY

This issue was first raised by us in statistical-demographic science. Specifically: how much national income a generation born in a given year will produce in the future during its labor activity, provided that the demo-economic situation of a given year is maintained in the future.

With the help of index methods developed by us, for 2010-2022 it was established that the expected national income produced by those born in the given years would increase from 14.91 billion GEL to 40.7 billion GEL. Among them:

- As a result of the decrease in the number of births, the expected national income would decrease by 12.4 billion GEL;

- As a result of the reduction of mortality rate of uder 15 years-old population (i.e. until reachging economically active age) the expected national income would increase by 0.6 billion GEL;

საქართველოში ეკოლოგიური მდგომარეობის ანალიზისათვის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების კონტექსტში

მამუკა ხუსკივაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლია თოთლაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მთელი რიგი გარემოსდაცვითი მოთხოვნების უგულებელყოფამ და სხვა კვაზიეკოლოგიურმა პროცესებმა საფუძველი ჩაუყარა ტექნოგენური განვითარების ტიპს. რაც უფრო გაღრმავდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში, გაიზარდა გარემოზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედება და ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუარესდა ეკოლოგიური ვითარება, როგორც ლოკალური ისე გლობალური ეკოლოგიური პრობლემების ზეგავლენით. ამჟამად ქვეყანაში შექმნილი ეკოლოგიური მდგომარეობა მოითხოვს დარღვეული წონასწორობის აღდგენას და ეკოლოგიური განვითარების ისეთი მოდელის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარებას.

აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და კლიმატის ცვლილების მაჩვენებლები საქართველოში და მათი მნიშვნელობების საფუძველზე გაანალიზებულია არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები. *კლიმატის ცვლილება, მდგრადი განვითარება, ჰაერის დაბინძურება, ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი.*

დედამიწაზე ეკოლოგიური პრობლემები წარმოიშვა გაცილებით ადრე, თუმცა მათი გააზრება და აქტუალიზაცია სამეცნიერო საზოგადოების მიერ დაიწყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდისათვის გახდა ის სოციუმის მომავალი არსებობისათვის უკიდურესი საფრთხის შემცველი. წარმოჩინდა გლობალური ეკოლოგიური პრობლემები, როგორიცაა: კლიმატის ცვლილება, ოზონის შრის შემცირება, გაუდაბნოება, ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია და სხვა. ამან ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დააყენა ჩამოყალიბებული ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ტენდენციების საფუძვლიანი ანალიზისა და გლობალური და რეგიონული განვითარების ეკოლოგიაზე ორიენტირებული ახალი მოდელის შემუშავების საკითხები.

ეკოლოგიურ ფაქტორებზე ფოკუსირების და მისი მნიშვნელობის გათავისების მიმართულებით დიდი როლი შეასრულა რომის კლუბის მოხსენებებმა, სადაც შემოთავაზებულია დებულებები ეკონომიკური ზრდის შენელებისა და მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციის შესახებ. რომის კლუბის იდეოლოგიის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ-ეკოლოგიური განვითარების ისეთი კონცეფცია, როგორიცაა **ეკოტოპია,** რომელიც მოიცავს შეზღუდვებს ეკონომიკურ განვითარებაზე, უარის თქმას ტექნოლოგიურ მიღწევებზე და ყველა იმ გზაზე, რომელიც გამოიწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის დეგრადაციას. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში „მწვანეთა“ პარტიის პროგრამები აგებულია ამ კონცეფციაზე, მის საფუძველზე მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ტრაექტორიის შეცვლა არარეალურია. თუმცა

ამგვარი კონცეფციების არსებობა ადასტურებს პლანეტაზე სასიცოცხლო პირობების გაუარესებას და არსებული ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ტრადიციული მოდელის შეცვლის აუცილებლობას.

ეკოლოგიური იმპერატივის რეალიზაციის კონტექსტში მნიშვნელოვანი იყო 1987 წელს ბრუტლანდის ანგარიში სახელწოდებით „ჩვენი საერთო მომავალი", სადაც პირველად გაჟღერდა მდგრადი განვითარების შესახებ და ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა მის თანამედროვე გაგებას. გაეროს ეგიდით კონფერენციაზე 1992 წელს, რიო-დე-ჟანეიროში აღინიშნა, რომ ეკოტევადი განვითარების შენარჩუნების პირობებში ცივილიზაციის მონაპოვარი, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ჩათვლით განწირულია გაქრობისათვის და მიღებული იქნა გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციის შესახებ და შესაბამისად, მდგრადი განვითარება მიღებული იქნა როგორც კაცობრიობის განვითარების უალტერნატივო მოდელი. 2012 წელს, ისევ რიო--დე-ჟანეიროში ჩატარდა გაეროს ეგიდით მორიგი კონფერენცია RIO+20, შედეგი - ინტეგრალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა „მომავალი, რომელიც ჩვენ გვინდა", ფაქტობრივად აყალიბებს მსოფლიოს განვითარების ახალ ეკონომიკურ-ეკოლოგიურ წესრიგს.

მიუხედავად მსოფლიო თანამეგობრობის ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვითი პრობლემების დაძლევისაკენ მიმართული ძალისხმევისა, ჯერ-ჯერობით სახეზეა მწვავე გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური პრობლემები. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად კლიმატის ცვლილება, უფრო გლობალურ ხასიათს იძენს და ხდება მსოფლიო პოლიტიკის პრიორიტეტი. ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში დღის წესრიგში დგება წარმოებისა და მოხმარების ეკოლოგიზაციის ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრას ემსახურება ეკონომიკის ისეთი მიმართულებების ჩამოყალიბება, როგორიცაა: დაბალნახშირბადიანი ეკონომიკა, ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე ეკონომიკა, ენერგოეფექტური ეკონომიკა, ცოდნის ეკონომიკა, ინოვაციური ეკონომიკა და ლურჯი ეკონომიკა.

მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში „XXI საუკუნის დღის წესრიგი" შემოთავაზებულ იქნა მეთოდიკა, რომლის კრიტერიუმები და ინდიკატორები ახასიათებენ მდგრად განვითარებას და ქვეყანაში შექმნილ ეკოლოგიურ მდგომარეობას ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ინსტიტუციურ ასპექტებში. აღნიშნული მეთოდიკით მდგრადი განვითარება ეკონომიკურ ასპექტში იზომება ორი მაჩვენებლით: ა) კონკურენტუნარიანობის ინდექსით; ბ) ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით; მდგრადი განვითარების შეფასება ეკოლოგიურ ჭრილში კი ხდება ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსით (EPI); ხოლო სოციალური-ინსტიტუციური თვალსაზრისით მდგრადი განვითარება ხასიათდება ორი ინდექსით: ა) ადამიანის განვითარების ინდექსი; ბ) ცხოვრების ხარისხი.

საქართველო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისს შეხვდა სხვადასხვა სახის გარემოსდაცვითი პრობლემებით. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული ეკონომიკური სიტემისათვის მთავარი იყო ინდუსტრიული ზრდა და ეკოლოგია არ განიხილებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების სიტემაში. ამავე დროს, ჩვენს ქვეყანაში, საბაზრო გარდაქმნების საწყის ეტაპზეც, უპირატესი ორიენტირი იყო ეკონომიკური შედეგების მიღება და არა მდგრადი განვითარების პრინციპებისათვის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მორგება.

ეკოლოგიურ ასპექტში მდგრადი განვითარების შესაფასებლად გამოიყენება ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი (EPI), რომელიც შემუშავდა იელის უნივერსიტეტის, კოლუმბიის უნივერსიტეტისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ. ამ ინდექსით საქართველო 2022 წელს 180 ქვეყანას შორის არის 103 ადგილზე 39,1 ბალით და ჩამორჩება არა მხოლოდ რეიტინგის ათეულში მყოფ ქვეყნებს, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც (ნახ. №1).

ნახ.□1

ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსის დინამიკა საქართველოში 2008-2022 წლებში

წლები	ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი EPI	**ადგილი რეიტინგში**
2008	82,2	**37**
2010	68,0	**47**
2012	47,0	**68**
2014	47,23	**101**
2016	64,96	**111**
2018	55,69	**94**
2020	41,3	**102**
2022	39,1	**103**

წყარო: http://epi.yale.edu

არასახარბიელო მდგომარეობა აქვს საქართველოს ეკოსისტემების სიცოცხლისუნარიანობის (138-ე ადგილი), ბიომრავალფეროვნების (130-ადგილი), ეკოსისტემების ჯანმრთელობის (96-ე ადგილი), ჰაერის ხარისხის (124-ე ადგილი), კლიმატის ცვლილების (72-ე ადგილი) მიმართულებებით (https://epi.yale.edu/epi-results/2022/component/epi).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში ზრდადი ტენდენციით ხასიათდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისია. ამას ადასტურებს ცხრილი □2-ში მოცემული ინფორმაცია საქართველოში სტაციონარულ წყაროებში მავნე ნივთიერებების წარმოქმნისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ.

ცხრილი 2

სტაციონარულ წყაროებში მავნე ნივთიერებების წარმოქმნისა და ატმოსფერული ჰაერის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები (ათასი ტონა)

	2005	2010	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
წარმოქმნილი მავნე ნივთიერებები, სულ	**57.3**	**661.0**	**802.2**	**772.5**	**950.3**	**871.2**	**1164.4**	**1203.0**	**1241.7**
დაჭერილი მავნე ნივთიერებები	33.2	630.7	757.3	728.0	907.3	822.7	1125.4	1157.6	1178.2
დაჭერილი მავნე ნივთიერებების წილი წარმოქმნილ მავნე ნივთიერებებში (%)	57.9	95.4	94.4	94.2	95.5	94.4	96.6	96.2	94.9

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დონის დასადგენად ერთ-ერთ გავრცელებული მაჩვენებელია ჰაერის ხარისხის ინდექსი-AQI. როცა მისი მნიშვნელობა აღემატება 100-ს, ითვლება, რომ ის უკვე ძალზედ საშიშია ჯანმრთელობისათვის. 2020 წელთან შედარებით 2021 წელს ამ ინდექსის მნიშვნელობა საქართველოში გაუარესდა ერთი პუნქტით და შეადგინა 69 (Word-air-quality-report-2021-en.pdf), რითაც ქვეყანა 42-ე პოზიციაზეა 118 ქვეყანას შორის, ხოლო ჰაერის ცალკეულ კომპონენტთა კონცენტრაციები საგრძნობლად აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტებს. მაგალითად, PM2,5მყარი ნაწილაკების, რომლებიც ძალზედ საშიშია ჯანმრთელობისათვის, კონცენტრაციამ შეადგინა 21 მკგ/მ^3, რაც ჩამორჩება საქართველოში ზღვრულად დასაშვებ ნორმას (25 მკგ/მ^3, რაც ევროკავშირის სტანდარტიცაა), მაგრამ 2-ჯერ აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმატივს (10 მკგ/მ^3)(WHO annual average $PM_{2,5}$air quality guideline value is mg/m^3).

სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ ატმოსფერული ჰაერის და შენობის შიდა ჰაერის გაჭუჭყიანების ნეგატიური ზეგავლენის ეფექტი ადამიანების ჯანმრთელობასა და შესაბამისად სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გაცილებით მეტია საქართველოში, ვიდრე ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool). შეიძლება ითქვას, რომამ კვლევის შედეგების პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს ჯანდაცვისა და დაბინძურების გლობალური ალიანსის კიდევ ერთი გაანგარიშება, რომლის მიხედვითაც ევროპის კონტინენტზე 100 000 ადამიანზე დაბინძურების შედეგად გარდაცვლილი ადამიანების მიხედვით საქართველო არის მეორე ადგილზე (http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას გააჩნია არა მხოლოდ ნეგატიური ეკოლოგიური, არამედ ნეგატიური ეკონომიკური შედეგებიც (რაც ვლინდება ეკონომიკური ზარალის სახით) და შესაბამისად, მაკროეკონომიკური ეფექტი. ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში შექმნილი კრიზისული ვითარების გააზრების შედეგად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წელს მიღებული დადგენილება „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების„ დამტკიცების შესახებ, რომელიც ასახავს ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის ზღვრულ მნიშვნელობებს (https://greenalt.org/ge).

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ჰაერის სისუფთავის მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, ვინაიდან ის 2023 წლისათვის ითხოვს ქვეყნის სამართლებრივი ბაზის ჰარმონიზებას ევროკავშირის ექვს დირექტივასთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხის რეგულირების სფეროში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიღებული ინდიკატორული გაზომვის სტანდარტზეა დამყარებული მონიტორინგის სისტემა, რომელიც გამოიყენება საქართველოში. ჰაერის ახალი ავტომატური მონიტორინგის ქსელი ფუნქციონირებს თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისსა და ზესტაფონში, ხოლო ჰაერის ნიმუშების

შედგენა ხდება კვარტალურად 25 სხვადასხვა ქალაქში, რის შედეგადაც 2019 წლიდან ჰაერის ხარისხობრივი პარამეტრების შესახებ მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება www. Air.gov.ge-ზე. უფრო მეტიც, ევროპის დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ ინფორმაცია ევროპულ პორტალზეც უწყვეტ რეჟიმში ვრცელდება. ჰაერის სისუფთავის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიება საქართველოს გარემოს და ჯანმრთელობის 2018-2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ატმოსფერული და შენობის შიდა ჰაერის დაბინძურების მავნე ზემოქმედების შემცირება. ჰაერის დაცვის მიმართულებით საქართველოში ხორციელდება გარკვეული დადებითი ცვლილებები, თუმცა არასაკმარისი. ამიტომ, ჰაერის დაბინძურება კვლავ რჩება საქართველოსათვის პროგრესირებად გარემოსდაცვით გამოწვევად ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტში.

2019 წელს მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გლობალური რისკების და გამოწვევების შეფასებისას სამეულში ტერორიზმისა და კიბერუსაფრთხოების გვერდით დასახელდა გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილება. ამასთან, სწორედ ამ წელს ერთ-ერთმა ყველაზე ფართოდ გავრცელებულმა სათბურის აირმა ნახშირბადის დიოქსიდმა (CO_2) ახალი რეკორდი დაამყარა.

კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენა ეროვნულ ეკონომიკასა და საზოგადოების ცხოვრებაზე სახეზეა საქართველოშიც. ყველაზე სწრაფად დათბობის პროცესი მიმდინარეობს დედოფლისწყაროში, სადაც სტატისტიკური დაკვირვებით ბოლო 60 წლის მანძილზე საშუალო ტემპერატურამ მოიმატა 0,73^{0}C-ით, ხოლო ნალექები თითქმის 15%-ით შემცირდა. ფაქტობრივად სახეზეა გაუდაბნოების შეუქცევადი პროცესი და სხვადასხვა პროგნოზული შეფასებით ამგვარი ტრენდის შენარჩუნების პირობებში მთლიანდ კახეთი შეიძლება დადგეს გაუდაბნოების საფრთხის წინაშე, რაც ცხადია უდიდესი გამოწვევა იქნება ქვეყნისათვის სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით. ცხადია, თუ ვერ იქნება მიღწეული პროგრესი სათბური აირების ემისიის შეზღუდვაში, კლიმატის ცვლილების ნეგატიური შედეგი არ იქნება მხოლოდ გაუდაბნოება, ის გახდება სხვა საფრთხეების და რისკების მულტიპლიკატორი. გაძლიერდება ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია, შემცირდება მტკნარი წყლის მარაგები, გაიზრდება იძულებითი მიგრაცია, შესუსტდება ტურიზმის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის განვითარება.

2017 წელს საქართველო შეუერთდა რა პარიზის ხელშეკრულებას, აიღო საერთაშორისო ვალდებულება მიიღოს მონაწილეობა და თავისი წვლილი შეიტანოს გლობალური დათბობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში. ეს გულისხმობს გლობალური საშუალო ტემპერატურის წინაინდუსტრიულ მაჩვენებელთან შედარებით 2^{0}C-მდე, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში 1,5^{0}C-მდე შემცირებას. გარდა პარიზის ხელშეკრულებისა, საქართველო როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის და კიოტოს ოქმის მონაწილე სახელმწიფო, ვალდებულია გაითვალისწინოს ამ საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები და განახორციელოს ეროვნული დონისათვის განსაზღვრული წვლილით (NDC) ნაკისრი ვალდებულებები. პარიზის შეთანხმების მიხედვით მონაწილე ქვეყნებმა მინიმუმ ხუთ წელიწადში ერთხელ უნდა წარადგინონ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის განახლებული დოკუმენტი. საქართველომ 2021 წელს დაამტკიცა ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი, რითაც ჩაანაცვლა 2015 წლის დოკუმენტი. განახლებული დოკუმენტით ქვეყანამ აიღო ვალდებულება 2030 წლისათვის საბაზისო 1990 წელს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით 35%-ით შეამციროს სათბურის აირების ემისია (2015 წლის დოკუმენტით ეს მიზნობრივი მაჩვენებელი იყო 15%). აბსოლუტური მნიშვნელობით 2030 წლისათვის სათბურის აირების ემისია საქართველოში არ უნდა აჭარბებდეს 29, 25 მგტ CO_2-ის ეკვივალენტს.

საქართველოში სათბური აირების ემისიებს და ამ პროცესში ჩამოყალიბებულ ტენდენციებს, ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე ამ აირების ემიტენტი ეკონომიკის დარგებში შექმნილი კრიზისების ფონზე მოხდა მათი ემისიების მკვეთრი კლება, ხოლო 2002 წლიდან დაიწყო მატება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით დასტურდება (ნახ. 3), რომ 2002-2016 წლებში სათბური აირების ემისია თანდათანობით იზრდება. უმნიშვნელო კლებას აქვს ადგილი 2016 წელთან შედარებით 2017 წელს (ბოლო წლებში არ არსებობს ინფორმაცია სათბური აირების ემისების შესახებ).

ნახ. 3



წყარო: geostat.ge

ემისიების დიდი წილი მოდის ენერგეტიკის სექტორზე, რომელშიც შედის საწვავის წვისაგან მიღებული ემისიები, ელექტროენერგიის გენერაცია, მრეწველობა, ტრანსპორტი, კომერციული და რეზიდენტული შენობები სოფლის მეურნეობაში და აქროლადი ემისიები და შეადგენს 60,1%. 23% კი მოდის ტრანსპორტის დარგზე, რაც ნათლად ადასტურებს მის მნიშვნელობას ჯამურ ემისიაში. თუ 2016 წლამდე ამ დარგიდან სათბური აირების ემისიები იზრდებოდა, 2016 წლიდან 2019 წლამდე მდგომარეობა შეიცვალა. ზოგიერთ ნაშრომში (დომუზაშვილი, 2022) ამის მიზეზებად დასახელებულია 2016 წლის შემდეგ განხორციელებული ისეთი ღონისძიებები: როგორიცაა: წიაღისეულ საწვავზე აქციზის ზრდა, ჰიბრიდული და ელექტრომანქანების ხელშეწყობა (იმპორტისა და აქციზის გადასახადის შემცირება) და საგზაო ავტომანქანების გზისათვის ვარგისიანობის შემოწმება (ტექდათვალიერება). 2019 წელს ავტოტრანსპორტის დარგში ემისიებმა ისევ დაიწყო ზრდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების ზეგავლენის ხარისხი შემცირდა და საჭირო ხდება ახალი მიდგომებისა და ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება. სამრეწველო პროცესების სექტორში ემისიების მოცულობა შეადგენს 11,2%-ს. დინამიკაში ამ სექტორში ემისიები ხასიათდება ზრდადი ტენდენციით, თუმცა თითქმის ორჯერ ჩამოუვარდება 1990 წლის დონეს.

Covid-19 პანდემიის გავრცელებამ საქართველოს მთავრობა აიძულა შემოეღო სხვადასხვა სახის შეზღუდვები და აკრძალვები მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ღონისძიებებმა გამოიწვია

ეკონომიკის რიგი დარგების ფუნქციონირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერება და მივიღეთ ეკონომიკური რეცესია. ამავდროულად, საქართველოში განმეორდა პანდემიის ეკოლოგიური ეფექტის ფენომენი, რაც დამახასიათებელი იყო ისტორიულად არსებული პანდემიებისათვის. მაგალითად, საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, დედაქალაქში პანდემიის პირობებში ჰაერის შემადგენლობაში დამაბინძურებელი მყარი ნაწილაკების შემცველობა შემცირდა 45%-ით. მყარი ნაწილაკების (PM_{10}) კონცენტრაცია შემცირდა აგრეთვე რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში. ცხოვრების „დაპაუზებამ“ შეამცირა სათბური აირების ემისიები, თუმცა ატმოსფეროში მათი საკმაოდ დიდი რაოდენობა არის დაგროვებული, ამიტომ პანდემიამ ხანმოკლე ვადით შეანელა გლობალური დათბობის პროცესი. ანუ, საქართველოში სათბური აირებისა და სხვა გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ემისიის შეზღუდვა და გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირება მოხდა არა სისტემური გარდაქმნების შედეგად, არამედ კორონა ვირუსის წინააღმდეგ შემუშავებული იძულებითი ღონისძიებების განხორციელების გამო, რასაც ვერ ექნება გრძელვადიანი ეფექტი. შეიძლება ითქვა, რომ კორონავირუსის პანდემიამ უფრო მეტი შედეგი მოიტანა, ვიდრე ბოლო წლების ეკოლოგიურმა ძალისხმევამ.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოში გარემოს სისუფთავის მდგომარეობა არასახარბიელოა და ეკოლოგიური განვითარების ოპტიმალური მოდელის ფორმირების პროცესი გარკვეული წინააღმდეგობებით ხასიათდება. მთავარი დადებითი მოვლენა არის ის, რომ ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან სულ უფრო მეტად ხდება ეკოლოგიური პრობლემების გააზრება, არასაკმარისად, მაგრამ მაინც იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გარემოსდაცვითი პროგრამების განხორციელებაზე, ღრმავდება საერთაშორისო თანამშრომლობა ამ მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური პოლიტიკა ვერ ჩაითვლება ეფექტიანად, რაც დღის წესრიგში აყენებს ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროს რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფის საკითხს და მისი ევროკავშირისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ანალოგიურ პოლიტიკებთან კონვერგენციის და ჰარმონიზაციის აუცილებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დომუზაშვილი დ. (2022). ტრანსპორტის სექტორში სათბური გაზების შემცირების ღონისძიებების გავლენის შეფასება არსებულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით. ხელმისაწვდომია: https://idfi.ge/ge/assessing_the_impact_of_greenhouse_gas_emission_reduction_measures_in_the_transport_sector;
2. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2022). ურბანიზაციისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების დამოკიდებულების ანალიზისათვის. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „მსოფლიო და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პრობლემები პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალისწინებით“ მასალათა კრებული, თბილისი, 2023;
3. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2022). ადამიანკაპიტალის გაზომვის კონცეპტუალური ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, #3. ISSN 1987-5789, ESSN2587-5426; *https://doi.org/10.56079/20223/5;*

4. *სათბურის გაზების ემისიების საქართველოს ეროვნული ინვენტარიზაცია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხელმისაწვდომია: https://unfccc.int/documents/196360;*
5. *ACEA ევროპის საგზაო ტრანსპორტის კვლევა. ხელმისაწვდომია: https://www.acea.auto/figure/motorisation-rates-in-the-eu-by-country-and-vehicle-type/*
6. Piketty, Thomas. 2006. The Kuznets Curve, Yesterday and Tomorrow. In *Understanding Poverty*. New York: Oxford University Press, pp. 63–72;
7. Stiglitz, Joseph. (2009). The global crisis, social protection, and jobs. *International Labour Review* 148: 1–2;

For the Analysis of the Ecological Situation in Georgia in the context of Air Pollution and Climate Change

Mamuka Khuskivadze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Lia Totladze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

From the second half of the 20th century in Georgia, the neglect of a number of environmental requirements and other quasi-ecological processes laid to technogenic development. As the process of post-communist transformation deepened, the negative anthropogenic impact on the environment increased and the ecological situation in the country significantly worsened due to the influence of both local and global ecological problems. The current ecological situation in the country requires the restoration of the disturbed balance and the formation of a model of ecological development that ensures the harmonious development of society and nature.

Based on the relevance of the above mentioned issue, the paper discuss the indicators of air pollution and climate change in Georgia. The current ecological situation is analyzed based on indicators.

Keywords. *Climate change, Sustainable development, Air pollution, Ecological Performance Index.*

გლობალიზაციის მომავალი ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში

ნიკო ხუციშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გლობალიზაცია ხელს უწყობს ადამიანებს, კავშირი ჰქონდეთ ერთმანეთთან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. პროცესს კიდევ უფრო აჩქარებს თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები, ტრანსპორტი და საკომუნიკაცი სისტემები. გლობალიზაციამ შესაძლებელი გახადა ერთმანეთისთვის დაეკავშირებინა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნები. საინტერესოა იმაზე მსჯელობა, თუ როგორი იქნება გლობალიზაცია ხელოვნური ინტელექტის პირობებში. დაეხმარება ხელოვნური ინტელექტი სამყაროს გლობალიზაციაში, თუ უფრო ნაკლებად გლობალურს გახდის სამყაროს? უამრავი სამუშაო, რომელსაც დღეს ადამიანები ვასრულებთ, მომავალში ხელოვნური ინტელექტის საშუალებით გახდება ავტომატიზებული.

ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის თანამედროვე მიღწევები და მისი დადებითი და უარყობითი მხარეები გლობალიზაციურ პროცესებში. ასევე განხილულია ეკონომიკის ის დარგები, სადაც დანერგილია ხელოვნური ინტელექტი და აქტიურად ხდება მისი გამოყენება

განხილვის შედეგად მიღებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ გლობალიზაციის მდგრად განვითარებას ხელოვნური ინტელექტის პირობებში.

***საკვანძო სიტყვები**: გლობალიზაცია, ხელოვნური ინტელექტი, ეკონომიკა*

გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ქვეყნები სულ უფრო მეტად ურთიერთდაკავშირებული და დამოკიდებული ხდებიან ერთმანეთზე (Baldwin, 2016). ამის გამომწვევი მრავალი მიზეზია, მათ შორის თანამედროვე ტექნოლოგიები, ტრანსპორტი და მარტივი საკომუნიკაციო სისტემები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებული ავტომატიზაციაა, რაც გულისხმობს მის გამოყენებას ამოცანების ავტომატიზაციისთვის, რომლებსაც ადამიანები ვასრულებთ (Frey & Osborne, 2013). ეს გამოწვეულია ხელოვნური ინტელექტის ისეთი მიღწევებით, როგორიცაა მანქანათმცოდნეობა და ბუნებრივი ენის დამუშავება.

გლობალიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის კომბინაცია დიდ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე. ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება დავალებების ავტომატიზაციისთვის ინდუსტრიების ფართო სპექტრში, როგორიცაა წარმოება, მომხმარებელთა მომსახურება და ფინანსები (Autor, 2015). ეს იწვევს პროდუქტიულობისა და ეფექტურობის ზრდას, ხოლო სამუშაო ადგილების კლებას.

გლობალიზაციისა და ხელოვნური ინტელექტის გავლენა სამუშაოს ძალის მომავალზე საკმაოდ მნიშვნელოვანია და ხშირად ადამიანებში შეშფოთებასაც იწვევს (Autor, Dorn, Katz, Patterson, & Reenen, 2020). ექსპერტები თვლიან, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოიწვევს მასობრივ უმუშევრობას, რადგან ჭკვიან ხესაწყოებს შეეძლებათ შეასრულონ სამუშაოს უმეტესი ნაწილი, რასაც დღეს ადამიანები ვასრულებთ (Ford, 2015). ამ იდეის საპირისპიროდ არსებობს მოსაზრება, რომ ხელოვნური ინტელექტი შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, რადგან ის საშუალებას მისცემს ადამიანებს ფოკუსირება მოახდინონ უფრო კრეატიულ და სტრატეგიულ ამოცანებზე (Brynjolfsson & McAfee, 2014).

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციისა და ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებული ავტომატიზაციის მომავალი გაურკვეველია. თუმცა, ცხადია, რომ ეს ორი ძალა დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოზე და ასე გაგრძელდება მომავალში.

აზრი იყოფა ორად იმაზე მსჯელობისას, თუ რა გავლენას მოადენს ხელოვნური ინტელექტი გლობალიზაციაზე. ერთის მხრივ ხელოვნური ინტელექტი გამოიწვევს უფრო დეგლობალიზებულ მსოფლიოს, რადგან დიდი კომპანიები ცდილობენ ავტომატიზირება მოახდინონ იმ დავალებების, რომლებსაც ადამიანები ასრულებენ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში (Baldwin, 2016). როდესაც მანქანები შეძლებენ იმ სამუშაოს შესრულებას, რასაც ადამიანები დღემდე ასრულებენ, კომპანიებს ნაკლები სტიმული ექნებათ სამუშაო შეისყიდონ ისეთ ქვეყნებში, სადაც დაბალი შემოსავლებია (McKinsey Global Institute, 2017). მანქანების განთავსება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი და მათ არ სჭირდებათ ხელფასები ან შეღავათები, როგორც დასაქმებულებს. შედეგად, კომპანიებს შესაძლებლობა უჩნდებათ განათავსონ საწარმოები ისეთ ქვეყნებში, სადაც მაღაკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი შრომის ბაზარია.

მეორეს მხრივ, ხელოვნურმა ინტელექტმა შესაძლოა გამოიწვევიოს უფრო გლობალიზებული სამყარო, რადგან ის საშუალებას აძლევს კომპანიებს უფრო ადვილად იმოქმედონ საზღვრებს გარეთ (Frey & Osborne, 2013). ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია გლობალიზაციის ზოგიერთი გამოწვევის დასაძლევად. მისი გამოყენება შესაძლებელია ენების სათარგმნად, რაც კომპანიებს გაუადვილებს სხვა ქვეყნების მომხმარებლებთან და პარტნიორებთან კომუნიკაციას. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება შესაძლებელია ახალი პროდუქტებისა და სერვისების შესაქმნელად, რაც შეუძლებელია ტრადიციული ტექნოლოგიებით. ეს ახალი პროდუქტები და სერვისები შეიძლება გაიყიდოს მომხმარებლებზე მთელ მსოფლიოში, რაც ხელს შეუწყობს გლობალური ვაჭრობის გაძლიერებას (World Economic Forum, 2020).

ხელოვნური ინტელექტის გავლენა გლობალიზაციაზე დამოკიდებული იქნება უამრავ ფაქტორზე, როგორიცაა ტექნოლოგიური წინსვლის მაჩვენებელი, ხელოვნური ინტელექტის ღირებულება და მთავრობების პოლიტიკა.

მეთოდოლოგია

ნაშრომში განხილულია თანამედროვე კვლევები ხელოვნურ ინტელეზე, მის გავლენაზე ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე, დადებით და უარყოფით მხარეებზე გლობალიზაციის ჭრილში. ასევე ნაშრომში განხილულია ხელოვნური ინტელექტის უახლესი მიდგომები, ბუნებრივი ენის დამიშავების კუთხით. განხივლის შედეგად მიღებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს გლობალიზაციის მდგრად განვითარებას ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში.

კვლევითი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტის ავტომატიზაცია არის სწრაფად განვითარებადი ტექნოლოგია, დიდი შესაძლებლობებით, რომელსაც დიდი გავლენა ექნება გლობალიზაციაზე. განვიხილოთ რამდენიმე დადებითი მხარე, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი მოახდენს გლობალიზაციაზე.

- დაჩქარებული ეკონომიკური ზრდა და გაზრდილი პროდუქტიულობა - ხელოვნური ინტელექტის საშუალებით სამუშაოების ავტომატიზირება ეკონომიკური ზრდის და გაზრდილი პროდუქტიულობის საწინდარია. ეს სარგებელს მოუტანს, როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებს. მეწარმეებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენეონ ხელოვნური

ინტელექტი წარმოებაში, მომხმარებელთა მომსახურებასა და ფინანსებში ამოცანების ავტომატიზაციისთვის (McKinsey Global Institute, 2017).

- გაზრდილი საერთაშორისო ვაჭრობა - ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია გაუადვილოს კომპანიებს მუშაობა სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ისეთი ამოცანების ავტომატიზაციის გზით, როგორიცაა თარგმანი, კომუნიკაცია და ლოჯისტიკა. ეს დამატებითი შესაძლებლობა იქნება გლობალური ვაჭრობისა და ინვესტიციების გასაზრდელად.
- გლობალური მიწოდების გაუმჯობესებული ჯაჭვი - ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესაძლებელია გლობალური მიწოდების ჯაჭვების ოპტიმიზაცია რეალურ მსოფლიოსთან. მისი დახმარებით შესაძლებელია მოთხოვნის პროგნოზირება, ინვენტარის მართვა და ტრანსპორტირების დაგეგმვა. ეს თავის მხრივ მომხმარებელს შეუმცირებს ხარჯებს და დროს მიწოდების პერიოდში (World Economic Forum, 2018).
- ახალი სამუშაო ადგილები - ხელოვნური ინტელექტი ასევე ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და შესაძლებლობებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტის განვითარება. ეს ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების დანაკარგების კომპენსირებას, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი გამოიწვევს.

გარდა დადებითი მხარეებისა, ხელოვნურმა ინტელექტმა, შესაძლოა უარყოფითი გავლენაც იქონიოს გლობალიზაციაზე.

- სამუშაო ადგილების გაქრობა - ხელოვნური ინტელექტი საკმაოდ სწრაფად ინერგება წარმოებასა და მომსახურების სფეროში. ამ სფეროებში ადამიანები ძირითადად განვითარებად ქვეყნებში არიან დასაქმებულები, რადგან მათ არ აქვთ სათანადო კვალიფიკაცია მაღალანაზღაურებადი სამუშაოს შესასრულებლად.
- გაზრდილი უთანასწორობა - ხელოვნურმა ინტელექტუალმა შეიძლება გააძლიეროს არსებული უთანასწორობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. განვითარებულ ქვეყნებს უფრო მეტად აქვთ ხელოვნურ ინტელექტში ინვესტირების რესურსები, რაც მათ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს განვითარებად ქვეყნებთან შედარებით.

იმისთვის რომ უფრო ნათლად დავინახოთ რა გავლენას იქონიებს ხელოვნური ინტელექტი მომავლის მსოფლიოზე, განვიხილოთ ის დარგები, სადაც დიდწილად უკვე ხდება მისი გამოყენება.

წარმოებაში ხელოვნურ ინტელექტზე ორიენტირებული ავტომატიზაცია გამოიყენება ისეთი ამოცანების ავტომატიზაციისთვის, როგორიცაა ხარისხის კონტროლი და ლოგისტიკა. McKinsey Global Institute-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია 2030 წლისთვის წარმოების სფეროში სამუშაო ადგილების 30%-მდე ავტომატიზაცია მოახდინოს.

მომხმარებელთა მომსახურებაში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება ისეთი ამოცანების ავტომატიზაციისთვის, როგორიცაა მომხმარებელთა კითხვებზე პასუხის გაცემა, მათი პრობლემების გადაჭრა და სხვა სახის მხარდაჭერა. მომხმარებლის კმაყოფილების გაუმჯობესების და ხარჯების შემცირების გარდა ეს იწვევს სამუშაო ადგილების დაკარგვას. 2025 წლისთვის შესაძლებელი იქნება ზემოაღნიშნული სამუშაოების 95%-ის შესრულება ხელოვნური ინტელექტის მიერ (Lauder, 2017).

ჯანდაცვის სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოიყენება ხდება ისეთი ამოცანების ავტომატიზაციისთვის, როგორიცაა დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმების შემუშავება და ქირურგიული ჩარევა. ამ ყველაფრის შედეგია პაციენტთა მომსახურების გაუმჯობესება და ჯანდაცვის სისტემების ხარჯების შემცირებას (World Economic Forum, 2020).

ხელოვნური ინტელექტი ფინანსურ სფეროში გამოიყენება ისეთი ამოცანების ავტომატურად შესასრულებლად, როგორიცაა ვაჭრობა, რისკის შეფასება და თაღლითობის გამოვლენა ფინან-

სურ ინდუსტრიაში, რაც იწვევს ფინანსური ინსტიტუტების ეფექტიანობას და მოგების ზრდას. თუმცა ამ შემთხვევაშიც შემთხვევაშიც საქმე გვაქვს სამუშაო ადგილების დაკარგვასთან. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2030 წლისთვის შესაძლებელი იქნება ფინანსურ სფეროში 10 მილიონამდე სამუშაო ადგილზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენება.

ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება სატრანსპორტო ინდუსტრიაში ტრაფიკის სამართვად. გზებზე საცობების შესამცირებლად, შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რომელიც თავად განსაზღვრავს საუკეთესო მარშრუტებს სამოძრაოდ. ქალაქ თბილისში დაგეგმილია 2021-2024 წლებში, ქალაქის სრულად აღჭურვა ჭკვიანი შუქნიშნებით, რამაც უნდა შეამციროს ქუჩების დატვირთვა და გააძლიეროს მათი კონტროლი (მღებრიშვილი, 2021). გარდა ამისა ადამიანები ყოველდღიურობაში ვიყენებთ აპლიკაციებს (Google Maps, Optimo Route, Madbox), რომლებიც ხელოვნური ინტელექტის საშუალებით განსაზღვრავენ ჩვენთვის საუკეთესო მარშრუტებს, კონკრეტულ ლოკაციაზე მისასვლელად.

კიდევ ერთი მნიშნველოვანი სფერო სადაც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შესაძლებელია რევოლუციის მოხდენა, არის სოფლის მეურნეობა. კაცობრიობის განვითარება სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარებით იწყება და სააუკუნეების განმავლობაში, მხოლოდ ადამიანის გონება იყო ჩართული მასში. დღეს უკვე შესაძლებელია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მცენარისა და ცხოველის კონტროლი, პროდუქტიულობის გაზრდა, მიწების მართვა, ავტომატური ჰიდრატაცია და სხვ (Rajendra, Ram, & Sudhir, 2020). საუკუნეების მანძილზე სოფლის მეურნეობა პირველი დარგი იყო დასაქმების მხრივ, რაც ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შეიცვალა და McKinsey Global Institute-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია 2030 წლისთვის სოფლის მეურნეობის სექტორში სამუშაო ადგილების დამატებით 80%-ის ავტომატიზაცია მოახდინოს.

კიდევ ერთი ახალი სფერო, სადაც ფეხს იკიდებს ხელოვნური ინტელექტი, არის ციფრული ხელოვნება. ონლაინ დასაქმების პორტალები, როგორიცაა Fiver ან Upwork, ხელს უწყობს გლობალიზაციას. ეს არის პლატფორმები, სადაც მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან დამსაქმებელს შეუძლია დაიქირავოს დასაქმებული. ამ საიტებზე საკმაოდ მაღალია მოთხოვნა ციფრულ ხელოვნებაზე და შესაბამისად მაღალია მიწოდება გლობალური ბაზრიდან. საშუალო ფასების დიაპაზონი ასეთ საიტებზე მერყეობს 50-200 დოლარის ფარგლებში თითო ნამუშევარზე. ამის პარალელურად რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ, როგორიცაა Microsoft, Adobe, Midjourney შექმნა ონლაინ პლატფორმა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, მარტივად ადგენს ჩვენს მოთხოვნას და ქმნის ციფრულ სურათს, ვუდეოს ან ხელოვნების სხვა ნიმუშს (Analytics Vidhya, 2023). ამ ეტაპზე ეს პროგრამები კონკურენციას ვერ გაუწევენ ადამიანის მიერ გაწეულ სამუშაოს, თუმცა რამდენიმე წლის ან თუნდაც თვის შემდგომ, შესაძლოა ეს ფაქტიც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

ეს მცირედი ჩამონათვალია იმ სფეროებისა, სადაც ხელოვნური ინტელექტის გავლენა მაღალია და კიდევ უფრო გაიზრდება დროთა განმავლობაში. ხელოვნური ინტელექტი არის მომავლის ტექნოლოგია, რომელიც შეცვლის ჩვენს ყოველდღიურობას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მისი გამოყენება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ხელოვნური ინტელექტი განსაზღვრავს მომავლის დასაქმების ბაზარს, ამიტომ მნიშვნელოვანი ამ ფაქტორის გათვალისწინება პროფესიის არჩევისას.

ხელოვნური ინტელექტის ავტომატიზაციაზე საუბრისას ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედების გარდა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მისი ეთიკური შედეგები. სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოყენებული

იყოს სამართლიანად და პასუხისმგებლობით. ხელოვნური ინტელექტის საშუალებით არ უნდა ხდებოდეს კონფიცენციალურობის და უსაფრთხოების შემცირება.

დასკვნები და რეკომენდაციები

ცალსახად რთულია იმის თქმა, როგორი იქნება გლობალიზაციის მომავალი ხელოვნური ინტელექტის პირობებში, თუმცა კვლევები აჩვენებს რომ ხელოვნური ინტელექტი დიდ გავლენას ახდენს გლობალურ ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე. ხელოვნურ ინტელექტი ამცირებს სამუშაო ადგილებს და ზრდის უთანასწორობას, თუმცა ამასთან ერთად აქვს შესაძლებლობა დააჩქაროს ეკონომიკური პროცესები და გაზარდოს პროდუქტიულობა.

დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მარტივი გახდება მსჯელობა ხელოვნური ინტელექტის ნეგატიურ ზემოქმედებაზე და მის გადაჭრის გზებზე. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანს მიუწვდებოდეს ხელი მასზე.

იმისთვის, რომ ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ქვეყნები არ ჩამორჩენ გლობალიზაციის ტემპს, მნიშვნელოვანია შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- ინვესტიციები განათლებასა და ტრეინინგებში, რაც დაეხმარება დასაქმებულებს მომზადებულები შეხვდნენ მოსალოდნენ ცვლილებებს. სწავლება უნდა მოიცავდეს დასაქმებულებისთვის იმის ახსნას, თუ რა არის ხელოვნური ინტელექტი, როგორ მუშაობს და რა მიმართულებით შეეძლებათ მისი გამოყენება.
- ადამიანები ყოველდღიურად უნდა ეცნობოდნენ ინფორმაციას ხელოვნური ინტელექტის შესახებ. ჩვენ ვიმყოფებით იმ ეპოქაში, სადაც ახალი ველოსიპედის გამოგონებას არ სჭირდება თვეები და წლები. ნებისმიერ წამს შეიძლება გაჩნდეს, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ახალი ხელსაწყო და მნიშვნელოვანია, რომ საწყის ეტაპზე მოხდეს ჩვენი მხრიდან მისი შესწავლა, რათა კონკურენტუნარიანები ვიყოთ გლობალურ ბაზარზე.
- აუცილებელია შესაბამისი ნორმების და რეგულაციების შექმნა როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო მასშტაბებით, რაც ხელს შეუწყობს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიან გამოყენებას. მნიშნელოვნია კონტროლდებოდეს მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა ხელოვნური ინტელექტის პირობებში და გამჭვირვალე იყოს მისი ფუნქციონირება, რათა არ გამოიწვიოს უნდობლობა ადამიანებში.

ამ ნაბიჯების გადადგმით ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუწყოთ ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში მდგრადი გლობალიზაციის შექმნას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Analytics Vidhya. (2023, September 29). *10 Best AI Image Generator Tools to Use in 2023*. Retrieved from Analytics Vidhya: https://www.analyticsvidhya.com/blog/2023/08/ai-image-generators/
2. Autor , D. (2015). Why Are There Still So Many Jobs? The History and Future of Workplace Automation. *Journal of Economic Perspectives*, pp. 3-30.
3. Autor, D., Dorn, D., Katz, L., Patterson, C., & Reenen, J. (2020, May). The Fall of the Labor Share and the Rise of Superstar Firms. *The Quarterly Journal of Economics, Volume 135, Issue 2*, pp. 645–709.
4. Baldwin, R. (2016). *The Great Convergence: Information Technology and the New Globalization.* Cambridge: Harvard University Press.
5. Brynjolfsson, E., & McAfee, A. (2014). *The Second Machine Age.* New York: W. W. Norton & Company.

6. Ford, M. (2015). *Rise of the Robots: Technology and the Threat of a Jobless Future.* New York: Basic Books.
7. Frey, C. B., & Osborne, M. (2013, September 17). The Future of Employment. *Published by the Oxford Martin Programme*, pp. 1-70.
8. Lauder, E. (2017, May 11). *AI will power 95% of customer interactions by 2025*. Retrieved from AI Business: https://aibusiness.com/automation/ai-will-power-95-of-customer-interactions-by-2025
9. McKinsey Global Institute. (2017). *JOBS LOST, JOBS GAINED: WORKFORCE TRANSITIONS IN A TIME OF AUTOMATION.* New York: McKinsey Global Institute.
10. McKinsey Global Institute. (2017). *The Future of Work: Automation, Employment, and Productivity.* McKinsey & Company.
11. Rajendra, P. S., Ram, L. R., & Sudhir, K. S. (2020, 24 September). Applications of Remote Sensing in Precision Agriculture: A Review. *Remote Sensing*.
12. World Economic Forum. (2018). *The Future of Jobs Report.* Geneva: World Economic Forum.
13. World Economic Forum. (2020). *The Future of Jobs Report 2020.* Geneva: World Economic Forum.
14. მღებრიშვილი, ვ. (2021 წლს 16 January). *როდის დაიწყება თბილისში ჭკვიანი შუქნიშნების პროექტი, რომელსაც KFW €80 მლნ-ით აფინანსებს*. მოპოვებული Business Media: https://bm.ge/news/rodis-daiwyeba-tbilisshi-chkviani-shuqnishnebis-proeqti-romelsac-kfw-80-mln-it-afinansebs/73493-დან

The Future of Globalization in the Age of Artificial Intelligence

Niko Khutsishvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Globalization helps people to connect with each other around the world. The process is accelerated by modern technological advances, transportation and communication systems. Globalization has made it possible to connect developed and developing countries. It is interesting to discuss what globalization will look like under artificial intelligence. Many jobs that we humans do today will be done by artificial intelligence in the future.

The paper discusses the modern achievements of artificial intelligence and its positive and negative aspects in globalization processes. Conclusions and recommendations have been made as a result of the discussion, which should contribute to the sustainable development of globalization in the conditions of artificial intelligence.

Keywords: *Globalization, Artificial Intelligence, Economy.*

ეკონომიკური ზრდის თეორიული საფუძვლები

მერაბ ჯულაყიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში განხილულია ერთ მოსახლეზე შემოსავლების დონის უშუალოდ განმსაზღვრელი დეტერმინანტები: ფაქტორების დაგროვება, ტექნოლოგია და ეფექტიანობა. გაანალიზებულია ქვეყნის სიღარიბის დონზე მოქმედი ფაქტორები: სამთავრობო პოლიტიკა, შემოსავლების უთანაბრობა, კულტურის თავისებურებანი და გეოგრაფიული ფაქტორები. დასაბუთებულია, რომ ქვეყნისთვის უფრო ადვილია კაპიტალის დაგროვება იმ პირობებში, როცა მას უკვე გააჩნია გარკვეული კაპიტალი, კაპიტალის დაგროვება ზღუდავს ზრდის ტემპს ღარიბ ქვეყნებში, ამიტომ რამდენიმე ათწლეულია საჭირო კაპიტალის დაგროვებით შემოსავლის დონის გაზრდისთვის მდიდარი ქვეყნების შემოსავლის დონემდე. დაბოლოს, მომავალი ეკონომიკური ზრდის შესაძლო განვითარების ზოგიერთი ტენდენცია წარმოდგენილია გლობალიზაციის, ტექნოლოგიური პროგრესის შენელების, მოსახლეობის დაბერების და ბუნებრივი რესურსების უკმარისობის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: *დაზოგვა, მწარმოებლურობა, ტექნოლოგია, ეფექტიანობა, კორელაცია, ინსტრუმენტული ცვლადი, მიზეზ-შედეგობრიობა.*

ქვეყნის განვითარების დონე ძირითადად ერთ მოსახლეზე მთლიანი შიგა პროდუქტით (მშპ) იზომება. ქვეყანაში საქონელი და მომსახურება ორი ფაქტორის ხარჯზე იწარმოება. ერთია შრომა, მეორე - ინსტრუმენტები, მოწყობილობები, შენობები, ფინანსები, რომელთაც ერთად აღებულს **კაპიტალი** ეწოდება. რაც მეტ კაპიტალს ფლობს მუშაკი, მით მეტს აწარმოებს. ერთ მუშაკზე მოსული კაპიტალის რაოდენობაში განსხვავების მიზეზი **ინვესტიციაა** - ანუ საქონელი და მომსახურება მიმართული ახალი კაპიტალის საწარმოებლად და არა მოხმარების სფეროში. ინვესტიცია ახალ კაპიტალში ქვეყნის მასშტაბით თავისთავად წარმოადგენს ამ ქვეყნის მოქალაქეების მიერ განხორციელებულ **დანაზოგს.** თუ ქვეყანა მიზნად ისახავს მოკლე დროში განვითარების მაღალი დონის მიღწევას, ამისათვის ინვესტიციების ნორმა უნდა გაზარდოს, რომელიც საკუთარი შემოსავლის წილია, რომლის ინვესტირებასაც ახდენს.

ინვესტიციებში განსხვავებამ შეიძლება ახსნას ქვეყნებს შორის შემოსავლებში განსხვავების ზოგიერთი მაგრამ არა ყველა მიზეზი. დანარჩენი განსხვავება შედეგია არა იმდენად იმისა, თუ რა მოცულობის კაპიტალი გააჩნია ქვეყანას, არამედ **მწარმოებლურობის** ანუ გამოშვების მოცულობის, რომელიც წარმოებულია კაპიტალის ყოველ ერთეულზე. მწარმოებლურობას განსაზღვრავს **ტექნოლოგია** - არსებული ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაერთიანდეს წარმოების ფაქტორები პროდუქციის საწარმოებლად. ტექნოლოგიური პროგრესი ქვეყანას საშუალებას აძლევს მეტი პროდუქცია აწარმოოს რესურსების იმავე რაოდენობის პირობებში. მწარმოებლურობაში განსხვავების ნახევარი ტექნოლოგიის დონით არის გამოწვეული, განსხვავების მეორე ნახევარი მოქმედ კანონმდებლობასა და ქცევის წესებში მდგომარეობს: დასაქმებულები მუყაითად მუშაობენ, პროდუქციის ხარისხი მაღალია. ამ არასტაბილურ, მაგრამ მნიშვნელოვან ატრიბუტს **ეფექტიანობა** ეწოდება. აქ იგულისხმება თუ როგორ გამოიყენება ფაქტიურად ხელმისაწვდომი ტექნოლოგია და წარმოების ფაქტორები პროდუქციის საწარმოებლად. მწარმოებლურობა ტექნოლოგიის და ეფექტიანობის ნამრავლია.

ასე, ქვეყნის სიღარიბის დონე შემდეგი სამი მიზეზით აიხსნება: ინვესტირების დაბალი დონე (განაპირობებს კაპიტალის ნაკლებ რაოდენობას), უარესი ტექნოლოგია და დაბალი ეფექტიანობა. განვითარების დაბალი დონე გამოწვეულია დაბალი დაზოგვით, რაც კაპიტალის დაბალ დაგროვებას იწვევს, ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შეუძლებლობით, ხელმისაწვდომი კაპიტალის და ტექნოლოგიის არაეფექტიანი გამოყენებით. ტექნოლოგიაში იგულისხმება სამეცნიერო კვლევები, ცოდნის გავრცელება და სამეცნიერო პროგრესი, ხოლო ეფექტიანობაში - ეკონომიკური ორგანიზაცია, ინსტიტუტები და სხვა.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რაში გამოიხატება ეს ფაქტორები თავისთავად? შესაძლოა ქვეყნებს სხვადასხვა კულტურა ჰქონდეთ (დაზოგვის მიმართ ან იმ ძალისხმევაში, რასაც ისინი მიმართავენ შრომის პროცესში) ან კიდევ გადასახადები, ტარიფები, რეგულაციები ან გეოგრაფიული განსხვავება (ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე, კლიმატი ან მსოფლიო ბაზრებთან სიახლოვე) სიღარიბის დაძლევის ფაქტორებია. დაგროვებული კაპიტალის სიმცირე, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და არაეფექტიანობა ქვეყნის ჩამორჩენის მიზეზია.

ეკონომიკა მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენს წარმოდგენას სამყაროს შესახებ თეორიული მსჯელობებისა და მონაცემთა გამოკვლევების საშუალებით. ეკონომიკური თეორიები ხშირად **ეკონომიკური მოდელების** ფორმით არის გადმოცემული, რომელიც სინამდვილის გამარტივებული წარმოდგენაა, შეიძლება გამოვიყენოთ იმის გასაანალიზებლად თუ როგორია გარკვეული ეკონომიკური ცვლადები, ერთი ცვლადის ცვლილება რა გავლენას მოახდენს სხვებზე და ა.შ. მაგალითად, მოთხოვნა-მიწოდების მოდელი გამოიყენება იმის გასაანალიზებლად თუ როგორ განისაზღვრება გაყიდული საქონლის რაოდენობა და ფასი. შეგვიძლია ვისარგებლოთ მოთხოვნა-მიწოდების მოდელით რათა პასუხი გავცეთ კითხვას რა მოუვა მოხმარებული პურის რაოდენობას თუ ფქვილის ფასი გაიზრდება. ეს მოდელი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ იმის შესასწავლად ეკონომიკური პოლიტიკა (დაბეგვრის ცვლილება, ფასების ზედა ზღვრის განსაზღვრა) როგორ მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. მონაცემთა გამოყენების ერთ-ერთი მიმართულება ეკონომიკური თეორიების ტესტირებაში გამოიხატება. მოთხოვნა - მიწოდების თეორია მარტივია, კარგადაა შემოწმებული და ეჭვს თითქმის არ იწვევს, მაგრამ სხვა თეორიები აქტიური განხილვის საგანია. ეკონომიკური თეორიით ნავარაუდევი ჰიპოთეზის შედარებით იმასთან, რასაც ფაქტები გვიჩვენებენ, შეგვიძლია თეორიის სიზუსტის შეფასება.

ეკონომისტები ასევე მონაცემებს იყენებენ იმისათვის, რომ ეკონომიკურ მოდელში შემვალ ცვლადებს რიცხვითი მნიშვნელობები მიანიჭონ. ამას **რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი** ეწოდება. მოთხოვნა-მიწოდების თეორიიდან ვიცით, რომ პურზე ფასის ზრდა გამოიწვევს მოთხოვნილი პურის რაოდენობის შემცირებას, მაგრამ რომ ვიცოდეთ რამდენად დიდი იქნება პურის რაოდენობის შემცირება ფასების კონკურენტული ზრდის შედეგად, ე. ი. რამდენად მკვეთრადაა დახრილი მოთხოვნის მრუდი - მოითხოვს დამატებით მონაცემებს. ასევე თუ გვსურს შევაფასოთ კონკრეტული პოლიტიკის რაოდენობრივი შედეგები (მაგალითდ, რამდენი შემოსავალი შეგროვდება ერთი რომელიმე გადასახადით) დაგვჭირდება დამატებითი მონაცემების შესწავლა და ანალიზი.

ამ მიზეზებიდან გამომდინარე ეკონომისტები მონაცემთა ინტენსიური მომხმარებლები არიან, მაგრამ ისინი ასევე აცნობიერებენ მონაცემთა გამოყენების დროს არსებულ მრავალ სიძნელეს რომელიმე მოვლენის შესწავლისას. ერთი პრობლემა ისაა, რომ ეკონომისტებს არასდროს არა აქვთ საკმარისი რაოდენობის სათანადო მონაცემები, ხოლო ბევრი რამ, რის ცოდნაც ეკონომისტებს სურთ, არ იზომება. მაგალითად ბევრი ეკონომიური თეორია ეფუძვნება ბედნიერების იდეას ანუ სარგებლიანობის თეორიას, როგორც მას ეკონომისტები უწოდებენ. მაგრამ ინდივიდუალურ ბედნიერებაზე პირდაპირ დაკვირვება შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში მოვლენები, რომლებიც გვინდა ვიცოდეთ, არასწორადაა გაზომილი. სხვადასხვა ქვეყნებიდან მიღებულ მონაცემთა გან-

ხილვისას არსებობს დამატებითი პრობლემა, რომ ქვეყნები ინფორმაციას სხვადასხვა ფორმით აგროვებენ, ან მონაცემთა დამახინჯებისადმი მიდრეკილება აქვთ.

სხვა პრობლემაა, რომ ეკონომისტების განკარგულებაში არსებული მონაცემები თითქმის ყოველთვის **დაკვირვებადია** ექსპერიმენტულისგან განსხვავებით. ეკონომისტებს შეუძლიათ დაკვირვება აწარმოონ გარემომცველ სამყაროზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ძალუძთ კონტროლირებადი ექსპერიმენტის ჩატარება მცირედი გამონაკლისის გარდა, რაც ართულებს იმის დადგენას თუ რომელი ცვლადია მიზეზი და რომელი შედეგი.

ეკონომისტები მონაცემებს ხშირად წერტილოვანი დიაგრამების საშუალებით სწავლობენ, სადაც ყოველი დაკვირვება ერთი წერტილითაა წარმოდგენილი. ეს საშუალებას იძლევა ვნახოთ ორ ცვლადს შორის ურთიერთკავშირი, ასევე დავადგენთ თუ რომელი დაკვირვებაა თავსებადი საერთო ტენდენციასთან და რომელია მის მიღმა. მონაცემებს შორის კავშირის დადგენის ფუნდამენტური ინსტრუმენტია **კორელაცია,** რომელიც აღწერს ხარისხს, რომლითაც ორი ცვლადი ერთად ცვლილების ტენდენციით ხასიათდება: ორი ცვლადი დადებით კორელაციაშია თუ ერთის ცვლილების მაღალი მაჩვენებელი მეორის ცვლილების მაღალ მაჩვენებელთან ასოცირდება, უარყოფითი კორელაციის დროს ერთის ცვლილების მაღალი მაჩვენებელი მეორის ცვლილების დაბალ მაჩვენებელთან ასოცირდება. ორ ცვლადს შორის კორელაციის ხარისხი კორელაციის კოეფიციენტით იზომება. ორ ცვლადს შორის კორელაციის განხილვა ხშირად სასარგებლო ამოსავალი წერტილია იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ კავშირშია ეს ცვლადები ერთმანეთთან, მაგრამ კორელაციის ინტერპრეტაციისას ზოგჯერ სიფრთხილეა საჭირო.

წერტილოვან დიაგრამაზე თუ ვიცით, რომ X განაპირობებს Y-ს და არა პირიქით, ტრადიციულად X გამოსახული იქნება ჰორიზონტალურ ღერძზე და Y -ვერტიკალურზე. თუმცა ჰორიზონტალურ ღერძზე ცვლადის განლაგება სულაც არ ადასტურებს რომ ის სხვა ცვლადის მიზეზი იყოს. იმ შემთხვევაში, როცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ორივე მიმართულებით მოქმედებს, ან მისი მიმმართულება ცნობილი არაა, მაშინ სულ ერთია რომელი ცვლადი იქნება ჰორიზონტალურ ღერძზე და რომელი - ვერტიკალურზე. შესაძლოა ორ ცვლადს შორის არ არსებობდეს პირაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მაგრამ მესამე ცვლადი განაპირობებდეს ორივეს, ასეთ ცვლადს გამოტოვებული ცვლადი ეწოდება.

არსებობს კორელაციის კორელაციის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის ხერხები. გამოტოვებული ცვლადის შემთხვევაში მრავლობითი რეგრესიის ტექნიკა საშუალებას იძლევა გამოვყოთ მესამე ცვლადის ზემოქმედება იმ ორ ცვლადს შორის დამოკიდებულებიდან, რომელიც გვაინტერესებს. ასევე არსებობს მეთოდი რომ გამოყვანილი იქნეს მიზეზობრივი კავშირი კორელაციიდან. ამ მიზნით არსებობს **ინსტრუმენტული ცვლადის** გამოყენების ხერხი. ინსტრუმენტული ცვლადის მეთოდი წრფივი მოდელის პარამეტრების ძალმოსილი შეფასების საშუალებას იძლევა, როდესაც ერთი ან მეტი ამხსნელი ცვლადი ენდოგენურია. ინსტრუმენტულ ცვლადს ორი თვისება უნდა ჰქონდეს: (1) ის ეგზოგენური უნდა იყოს, ანუ კორელაციაში არ უნდა იყოს სტრუქტურული განტოლების შეცდომის წევრთან; (2) ის კერძო კორელაციაში უნდა იყოს ენდოგენურ ამხსნელ ცვლადთან. ამოცანა მდგომარეობს ვიპოვოთ ასეთი თვისებების მქონე ცვლადი. ორბიჯიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდი (OLS), რომელიც ამხსნელ ცვლადებზე მეტი ინსტრუმენტული ცვლადების გამოყენების საშუალებას იძლევა, რეგულარულად გამოიყენება ემპირიულ სოციალურ მეცნიერებაში. სწორად გამოყენების შემთხვევაში ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სხვა თანაბარ პირობებში შევაფასოთ არსებული ენდოგენური ამხსნელი ცვლადების ეფექტები, მაგრამ როცა სუსტი ინსტრუმენტები გვაქვს - რაც ნიშნავს, რომ ისინი კორელირებუ-

ლია შეცდომის წევრთან და მხოლოდ სუსტად არის კორელირებული ენდოგენურ ცვლადთან ან ორივე ერთად - მაშინ ორბიჯიანი OLS უფრო ცუდ შედეგებს იძლევა, ვიდრე ორდინალური OLS.

მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შეიძლება გამოვიდეს კორელაციიდან ექსპერიმენტის მეშვეობით - ერთი ცვლადის ცვლილება გამოიწვევს თუ არა ცვლილებას მეორეში. ამ მეთოდების გარდა ეკონომიკური თეორია და ჯანსაღი აზრი ასევე შეიძლება იქნეს ჩართული მონაცემთა ინტერპრეტაციის პროცესში. მართალია კორელაცია უშუალოდ არ გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, მაგრამ იგი კარგი საშუალებაა დაკვირვების საწყის ეტაპზე.

ეკონომიკური ზრდის ინსტრუმენტების განხილვისას შეიძლება გამოვყოთ სამი შედეგი:

პირველი, ქვეყნის შემოსავალი ერთ მოსახლეზე შეიძლება წარმოვადგინოთ წარმოების ფაქტორების დაგროვების და მწარმოებლურობის სახით, რომლითაც გამოიყენება არსებული საწარმოო ფაქტორები.

მეორე, ქვეყნებს შორის მწარმოებლურობაში განსხვავება გამოწვეულია ერთის მხრივ ტექნოლოგიის და მეორეს მხრივ ეფექტიანობის დონით;

მესამე, ეკონომიკური ზრდის სრული გაგება მოითხოვს ძირითადი საწარმოო ფაქტორების (შრომა და კაპიტალი) გამოკვლევას, რომლებიც ქვეყნებს შორის განსხვავების უშუალო მიზეზებს განსაზღვრავენ.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია ზრდის არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც. მხოლოდ მაღალხარისხიანი ეკონომიკური ზრდა შეიძლება გადაიზარდოს ეკონომიკურ განვითარებაში. თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდა მაღალი ხარისხისაა, თუ იგი მდგრადია და თან სტრუქტურული გაუმჯობესება და ინოვაციები ახლავს.

ჩატარებული გამოკვლევის შედეგად ჩვენ შევეცადეთ აგვეხსნა თუ რამდენად მდგრადია საქართველოს ეკონომიკა და არის თუ არა საქართველოს მთავრობის მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა საკმარისად ადექვატური და თანმიმდევრული ეკონომიკური ზრდისათვის. რა დამატებითი ინსტიტუციონალური ცვლილებები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა შეუქცევად პროცესი გახდეს.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად, როდესაც ეკონომიკის ზრდა და გაჯანსაღება ყოველი მოქალაქის კეთილდღეობაზე რეალურად აისახება. ეკონომიკური და სოციალური განვითარების სამთავრობო პროგრამის პუნქტები დროში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი, რათა მოსახლეობას საშუალება ქონდეს რეგულარული მონიტორინგი აწარმოოს თუ რა შესრულდა და რა - არა, რაც მორიგი არჩევნებისას გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა კონკრეტული პარამეტრებით შეფასდეს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დღევანდელი მდგომარეობა და მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევის დრო და საშუალებები საკუთარი და მოზიდული რესურსების გამოყენების საფუძველზე ზრდის ტრაექტორიის კორექტირების გზით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Weil David N. (2014). Economic Growth. Brown University. 3rd Edition.
2. Wooldridge M. Jeffrey (2013). Introductory Econometrics. A Modern Approach. Fifth Edition.

Theoretical Foundations of Economic Growth

Merab Julakidze
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

This study discusses the direct determinants of income per capita: factor accumulation, technology, and efficiency. It also analyzes the factors affecting the poverty rate in a country, including government policy, income inequality, cultural peculiarities, and geographic factors. The study demonstrates that it is easier for a country to accumulate capital when it already has some level of capital. Capital accumulation can limit the growth rate in poor countries, requiring several decades to increase income levels to those comparable to developed countries through capital accumulation. Finally, the paper presents possible future trends in economic growth under conditions of globalization, technological progress slowdown, population aging, and the insufficiency of natural resources.

Keywords: *saving, productivity, technology, effectiveness, correlation, instrumental variable, causation.*

Charging Options for Batteries of Electric Cars based on Customers' Evaluation: an Empirical Study Report

Gunter Hofbauer
Professor, Doctor of Science
Technical University Ingolstadt/Germany

The scope of this scientific article is to do a suggestion for a standardized and unified activation process for charging stations of electric cars. The purpose of this empirical study is to show specific problems and challenges of getting access to charging stations, which are based on technological as well as customer-oriented requirements. Actually, the number of cars is growing more rapidly than the number of charging stations. But there is another severe problem inherent in the charging system: there is a variety of suppliers with a multiplicity of activation technologies.

With regard to this unsatisfactory situation, the underlying working hypothesis was stated, that there are currently too many different technologies and technological dependencies. In order to investigate this problem, an empirical, internet-based study was conducted to find out the supply as well as the requirements of the customers. The applied methodology was theoretical, empirical, analytical and included a profound literature review, examining current and future charging technologies. The results of this research were matched into a solution for suggestion. The methodology applied, lead to a deductive approach of a customer-based proposition for unification of the activation process for charging stations. Selective literature research on the basis of current national and international sources lead to a solid basis for the introduction of adequate technologies. Secondary statistical data were used to display the development of electric cars. Because there was a lack of accessible data in literature of car drivers' preferences about activation technologies of charging stations, a primary study was conducted to find out preferences of customers. An internet-based questionnaire was used to collect empirical data with more than 400 respondents.

An evidence-based proposition towards a unification of the access to charging stations for electric vehicles was evaluated. The most preferred technology was plug & charge.

Keywords: *Electrification, Technologies, Charging, Activation, Unification*

Introduction

The intention of the European Commission is to reduce CO2 emissions in order to protect the environment. Thus, cars with internal combustion engines (ICE) shall be banned and rapidly replaced by electrical cars. To achieve this goal, a variety of subsidies and incentives, new taxes and other levies are planned (Finke 2020a). All theses measures are reflected in an increasing demand of battery electric vehicles (BEV). During the last few years, the number of first registrations of BEV in Germany rapidly increased from 63.281 (2019), 194.163 (2020), 355.961 (2021), 470.559 (2022) (Kraftfahrt-Bundesamt 2023; Kords 2022) up to an estimated number of 533.000 first registrations in 2023. In total, there are currently 1,8 million BEV registered in Germany (Statista 2023). The absolute number seems impressive, but it is a percentage of 4,3 percent of total cars. The growth in share will continue in the future and the number of registered cars with electric drives will increase rapidly (Finke 2020b). Regardless of the rising number of electric cars, many disadvantages of electric vehicles emerge and cause reasons to reject. Despite the subsidies there are relative high purchase costs for electric

cars (E-Autos 2022). In addition to that, many respondents criticize the low battery range, the low number of charging stations available as well as a variety of systems to get access to the charging stations. Once the charging station is reached, 15 % of respondents criticize the user-unfriendliness (Deloitte 2022). Another 14 % criticize the lack of uniform payment systems of different the charging stations (DATW 2022). It can be assumed that the problem will get worse, when the number of electric cars is increasing and concurrently the growth rate of the number of charging stations does not keep up. Another problematic reason for an increase of criticism will appear as soon as the lengths of run will increase and the drivers need to search a charging station in unknown places instead of their own wall box at home.

The activation of charging stations and the payment for charging are often linked and cannot be defined independently of each other (Abel & Burkart 2019). Some charging stations cannot be used if not activated by a specific defined mean. For example, some charging stations located in parking garages must be activated with the parking ticket. The fees for parking and charging must be paid together when the car driver wants to leave the parking garage (Weemaes 2021a). Increasing numbers of users in search of power and an increasing variety of activation options will accelerate discontent. In addition to the mentioned parking tickets for activating a charging station, customers also have the possibility of using a variety of other options. A large number of charging stations must be activated before they can be used for charging. This is often done by an authentication of the car driver as a valid user (Hilchenbach 2021). Currently, there are different types of activating solutions, which are used with varying frequency (Weemaes 2021a).

All these findings lead to the working hypothesis that there are too many different technologies and proprietary dependencies provided for the time being. Currently it is a matter of fact that there is no unified standard for the activation process. Various different technologies, methods, processes and applications are offered. Providers are searching for feasible applications and implementation of new charging technologies. No one has asked customers and potential users yet about their needs and wants to charge their electric cars. Customers are used to quick and easy refuelling at the gas station. This expectation in combination with the diversity of applications leads to low acceptance as well as frustration of disappointed customers, who are in search of electricity for their cars. These problems are getting worse as more electric cars are used for long distances and as diversity increases. With reference to this situation, the question of research can be formulated as follows: Is there a preferred technology for users to activate the charging process? In order to answer this fundamental question, the main requirements from the customers' point of view have to be considered for the sought technology. There is no comparable research available to answer this question. Thus, these requirements will be analysed on the basis of respondents' answers surveyed in an internet-based questionnaire. Substantiated on these answers, a suggestion for all stakeholders can be derived.

Results

The results of the research are twofold: firstly, the research on actual and potential access technologies for charging stations and secondly, the empirical research in terms of an internet-based survey covering 412 fully completed questionnaires of respondents. The matched results lead to answer the question of research with a clear vote of the respondents to unify the access technology with high preference for plug and charge technology.

Results of research on technologies

The research on technology showed a lot of different solutions currently available. In addition to that, new technologies are in sight for future applications. Table 1 shows the types of technologies, grouping them into existing and future technologies.

Some existing activation solutions are based on RFID technology. Such RFID chips store the data relevant to the charging station and can be read with the help of readers attached to the charging station. Charging cards are often used for this purpose. These are similar in size and shape to ordinary credit cards or member cards. As soon as the cards are contacted to the reader, the charging process will be started and the necessary data can be read. For this reason, ordinary bank or credit cards are also frequently used for charging purposes. RFID chips are also often integrated in key fobs in order to enable charging in the same way as charging cards. The only difference is the shape of the activation object, but not the technology behind it (Metriax 2021).

Table 1

Existing technologies				Future technologies	
•	RFID charging card	•	Hotline	•	Biometry
•	RFID key fob	•	Bank card	•	Login method
•	Smartphone application	•	Park ticket	•	Other RFID NFC wearables
•	Website	•	Plug & Charge	•	Biohacking
•	SMS			•	Code scanner

A similar technology called near field communication (NFC) is often used in wearables. They contain also chip, which can be coded. This is often used by smartwatches to replace traditional bank cards (Gildemeister 2021). There are also smartphone apps that can be used to activate the charging function. For example, a code can be scanned at the charging station, which signalises the charging request at the charging station (Degner 2019). It is also theoretically possible to use the NFC chip in the smartphone to activate the charging station in the same way as the RFID card, including the identification and transaction process (Visa Europe Services 2022). The traditional use of the SMS and telephone function can also be used to activate the charging station by writing a SMS or calling a number noted on the charging station. In response, the user receives a code that must be entered at the charging station and then unlocks the charging station (Weemaes 2021a).

Websites are also sometimes offered for the activation of charging stations. The handling is only slightly different from the apps, with the difference that the respective web page of the provider has to be opened manually in the web browser (Weemaes 2021a).

Plug & Charge relies on a control unit installed in the vehicle to activate charging stations. The only thing drivers have to do is to connect the car to the charging station with a charging cable (Babcicky 2021). The vehicle then sends the necessary data to the charging station itself. Additional confirmation or other steps as with other methods are normally not necessary (Weemaes 2021b). The problem for customers with this high number of activation methods is that these methods often do not work across different providers. With the increa-

sing number of RFID cards and apps (Degner 2019) for charging station activation in use of individual customers, customer confusion can increase, because they have to look for the right charging card for the charging station they are standing in front of, or they have to adapt to a new activation process.

In addition, there are other potential authentication methods, which are not yet used for charging stations, but are used in other contexts. They can be possibly adapted to the usage for charging stations. However, the advantages and disadvantages of the following methods must be evaluated.

It is also possible to use a code scanner for authentication. This could involve requesting an individual code from the charging station operator. This code would then have to be scanned with a code scanner at the charging station.

In Germany one million public charging points are planned to be available by 2030. Currently, there are just about 60,000 charging points accessible to the public (Holzer 2022). Regardless of whether the expansion of the charging point infrastructure proceeds at the current average rate or as planned by the German government, the number of charging points will increase rapidly (Springer Fachmedien München 2022). That is why it is so important to set a standard now in the early development phase.

Due to the large number of different activation methods for charging station, the intention of this work is to recommend a uniform activation method. This should be oriented to the needs and wants of all the users. The handling should be simple and convenient. At the same time, it must be safe to protect personal data as well as to prevent misuse. This includes a physical durability as well as a security of the stored data. In the context of this work, individual attributes are to be evaluated by the importance to future users.

Results of empirical research

After the successful conduction of 412 fully completed questionnaires, the data can be analysed. First, it has to be examined how the individual activation methods were evaluated among the respondents. The respondents were asked to evaluate all methods on a scale between "1" and "10" according to general criteria. The higher number, the better the evaluation. For the evaluation in the context of this work, the respective mean score was used. The mean scores given can be taken from Table 2.

In addition, the responses of individual subject groups were considered to determine differences, if any. This includes subdividing the subjects according to the drive type of their vehicles, their corresponding mileage and purchase price. As Table 2 shows, Plug & Charge was rated the best among other activation methods overall groups. It is followed by the charging cards, key fobs, smartphone apps and bank cards. Hotline, SMS and website were rated the worst.

Table 2

Activations Technologies	Overall Ranking	Vehicle dependent rating			Mileage dependent rating		Purchase price dependent rating	
		ICE	BEV/PHEV	No car	Below avg.	Above avg.	Below avg.	Above avg.
Charging card	7.238	7.127	7.333	7.768	7.368	6.970	7.260	7.080
RFID key fob	7.121	7.049	7.063	7.571	7.347	6.659	7.177	6.720
Wearable	6.075	6.019	5.646	6.750	6.116	5.993	6.033	6.380
Bank card	6.308	6.305	6.042	6.554	6.336	6.252	6.273	6.560
Smartphone application	7.148	7.276	6.125	7.321	7.260	6.919	7.224	6.600
Website	3.867	3.906	3.271	4.161	3.953	3.689	3.917	3.500
SMS	3.648	3.659	2.875	4.250	3.888	3.156	3.680	3.420
Hotline	2.374	2.477	2.104	2.036	2.484	2.148	2.395	2.220
Park ticket	4.752	4.893	4.396	4.286	4.852	4.548	4.840	4.120
Plug & Charge	8.325	8.240	8.563	8.589	8.238	8.504	8.285	8.620
Login	5.352	5.601	3.604	5.482	5.556	4.933	5.539	4.000
Code scanner	5.862	6.058	4.604	5.857	6.022	5.533	5.970	5.080

Since there appears to be a similarity in scores between the groups, the scores within the groups were tested for correlation between the expressions. The Pearson correlation coefficient can be seen in Table 3. This coefficient is above 0.9 in all cases shown, indicating a strong dependence between the various expressions. This means that the respondents' opinions are independent of their vehicle's drive type, mileage and purchase price. Here it is particularly important to note that the opinions of drivers of vehicles with an internal combustion engine and an electric car hardly differ. Thus, the statements of ICE drivers can also be transferred to the result of this work.

Table 3

ICE-Electric Vehicle	ICE-no car	Mileage	Purchase price
0.942914	0.977415	0.989227	0.958322

In the next step, some properties were presented to the respondents and they had to rate the respective importance on the same scale as before. It was explained to the respondents that these properties belong to a possible activation solution. Table 4 shows the mean ratings.

Table 4

Activations Technologies	Overall Ranking	Vehicle dependent rating			Mileage dependent rating		Purchase price dependent rating	
		ICE	BEV/PHEV	No car	Below avg.	Above avg.	Below avg.	Above avg.
Simplicity of handling	9.153	9.039	9.667	9.339	9.148	9.163	9.157	9.120
Fast activation (in terms of time)	9.175	9.068	9.542	9.446	9.162	9.200	9.193	9.040
Same handling at all charging stations	8.604	8.536	8.563	9.018	8.588	8.637	8.641	8.340
Ergonomics	6.869	6.740	7.063	7.411	6.715	7.185	6.826	7.180
Physical durability from wear and tear, etc.	7.381	7.292	7.479	7.786	7.300	7.548	7.370	7.460
Security against data misuse	8.600	8.552	8.688	8.786	8.603	8.593	8.655	8.200
Security against theft	8.699	8.669	8.375	9.143	8.744	8.607	8.798	7.980

The handling simplicity and the fast activation were rated above average by the respondents. The respondents placed the least value on ergonomics and physical durability. The data show that there is also only a little difference between the ratings of different respondent groups. Table 5 shows that the Pearson correlation coefficient is above 0.9 between all investigated groups. That means, that there is no difference between the opinions of the individual groups as well.

Table 5

ICE-Electric Vehicle	ICE-no car	Mileage	Purchase price
0.949872	0.99319	0.99313	0.915974

The same findings apply in the following evaluations of the answers. The respondents were shown the same activation methods and attributes as before. They had to decide which activation method complies the attributes the best. Plug & Charge was selected the most times with a large difference to the second placed for each attribute. Table 6 shows only a selection of the activation method. The selection consists of some of the methods chosen the most by respondents. Furthermore, the respondents answered the questions similarly regardless of their vehicle, mileage and purchase price.

Table 6

	Handling simplicity	Fast activation	Handling equality	Ergonomics	Physical durability	Data security	Theft security
RFID-charging card	54	61	53	49	41	43	24
RFID key fob	48	58	29	48	32	23	18
Bank card	17	14	25	15	12	29	16
Smartphone application	62	38	79	68	77	33	49
Park ticket	13	6	17	11	21	82	39
Plug & Charge	180	190	142	153	151	109	159
Login	7	3	21	8	18	25	36
Code scanner	9	17	20	12	18	20	18

Suggestion for a customer-based unified concept

After analysing the survey responses, a customer-oriented solution, based on the results of the analysis, was designed. Plug & Charge was rated best by the respondents (Table 2 and 6). The features selected by the surveyed persons for the unlocking methods, such as the deactivation form, the novelty of the technology, the ownership and data entry are also met the best by Plug & Charge, as chosen by the respondents. Therefore Plug & Charge served as the basis of the future customer-oriented activation concept. The next step was to check whether Plug & Charge already met the customers' needs. If not, it should be adapted for this purpose. Since Plug & Charge is defined in many aspects by the ISO 15118 standard (Spanheimer 2020), this already creates uniform communication options between the charging stations and the vehicles to be charged. Due to the fact that only the plugging in of the charging cable is necessary for successful charging with already completed registration, there are few design options compared to other methods. Due to the necessary registration, a payment method is currently stored at Plug & Charge. However, in the future, registration should not depend on individual companies, to avoid that only their charging stations can be used. Instead, only the driver's general data required for authentication and payment of the charging process will be stored. The features (Table 4) rated best by the surveyed respondents can be implemented without restrictions by Plug & Charge. As described above, Plug & Charge activates the charging station by simply connecting the user's own vehicle to the charging point using a charging plug. Compared to other methods, which require additional steps to be performed in addition to plugging in the charging cable, Plug & Charge is therefore the fastest activation method in terms of time. But Plug & Charge is not supported by many car models for the time being. Even though the companies can upgrade their charging stations to support Plug & Charge, a large amount of car models supporting this system is expected in 2025.

Conclusions and Recommendations

The underlying working hypothesis that there are too many different solutions for the activation procedure of charging stations has been confirmed. Thus, complexity of the activation of charging stations should be avoided in order to increase customer satisfaction. In order to answer the question of research, a comprehensive understanding of the general situation regarding the activation of charging stations was provided first. Existing enabling methods were described in detail. In addition, potentially usable approaches were pointed out. The subsequent evaluation of all these methods reduced the shortlist. The evaluation was based only on generally objective criteria. In order to get insight into customers' needs and wants, a questionnaire was the best way to figure out. The survey was answered by a total of 412 respondents, who fully completed the questionnaire. As verified before, this number exceeds the necessary number of respondents for a representative result on a significance level of 95%.

After accurate analysis of the survey results, Plug & Charge was designed as the long-term method for the most preferred customer-oriented deployment. According to the answers of the respondents, it is assumed the safest, most convenient and easiest method to use. However, this technology is not yet supported by enough vehicles for the time being. So, the critical mass has not yet been reached and this technology cannot be used to a large extent. Sufficient penetration of this technology among electric vehicles is not expected before 2025.

To sum up, the central research question "Is there a preferred technology for users to activate the charging process?", was answered. A customer-oriented activation solution for charging stations in the form of Plug & Charge was found out. This is both, simple and convenient to use from the respondents' point of view. At the same time, it is secure with regard to theft and data misuse.

References

1. Abel, S. & Burkart, G. (2019). Citation: Frequently Asked Questions (FAQ) [Online]. Retrieved from: https://www.poll-pool.com/faq?locale=de (Accessed: 29 September 2023).
2. Babcicky, P. (2021). Citation: E-Auto - Welches Kabel passt für Ladestationen und Ladesäulen? [Online]. Retrieved from: https://www.e-mobileo.de/e-auto-welches-kabel-passt-fuer-ladestationen-und-ladesaeulen/ (Accessed: 29 September 2023).
3. Degner, J. (2019). Citation: 5 Apps zum Laden Deines Elektroautos, die Du kennen musst! [Online]. Retrieved from: https://www.smartphonepiloten.de/apps/diese-5-apps-zum-laden-deines-elektroautos-musst-du-kennen (Accessed: 26 September 2023).
4. Deloitte (2022). Citation: Elektromobilität in Deutschland [Online]. Retrieved from: https://www2.deloitte.com/de/de/pages/consumer-industrial-products/articles/elektromobilitaet-in-deutschland.html (Accessed: 13 September 2023).
5. DATW (2022). Citation: Deutsche Akademie der Technikwissenschaften, Was spricht in Ihren Augen dagegen, sich zurzeit ein Elektroauto zu kaufen? [Online]. Retrieved from: https://de-statista-com.thi.idm.oclc.org/statistik/daten/studie/1179994/umfrage/umfrage-zu-gruenden-gegen-den-kauf-eines-elektroautos-in-deutschland/ (Accessed: 6 August 2023).
6. E-Autos.de Deutschland GmbH (2022). Citation: Vorteile von Elektroautos [Online]. Retrieved from: https://www.e-autos.de/vorteile-elektroautos/ (Accessed: 6 September 2023).

7. Finke, C. (2020a). Citation: Strenge Regeln in EU-Metropolen: Fahrverbote & Umweltzonen: Europa/Ausland [Online]. Retrieved from: https://www.autozeitung.de/fahrverbote-umweltzonen-europa-ausland-195731.html (Accessed: 6 August 2023).
8. Finke, C. (2020b). Citation: Was spricht für, was gegen Stromer?: Elektroautos: Vor- und Nachteile [Online]. Retrieved from: https://www.autozeitung.de/elektroautos-vorteile-nachteile-199320.html (Accessed: 6 August 2023).
9. Gildemeister, M. (2021). Citation: Wearable Payment: Kontaktloses bezahlen mit unscheinbarem Sch muck [Online]. Retrieved from: https://www.money2gocard.de/blog/schmuck-als-kreditkarte-der-zukunft (Accessed: 29 September 2023).
10. Hilchenbach, S. (2021). Citation: Ladekarten und Ladeapps [Online]. Retrieved from: https://www.ratgeber-elektroautos.de/ladekarten-und-ladeapps.php (Accessed: 25 August 2023).
11. Holzer, H. (2022). Citation: Langsamer, aber beständiger Ausbau: Immer mehr Ladesäulen für Elektroautos [Online]. Retrieved from: https://www.autohaus.de/nachrichten/politik/langsamer-aber-bestaendiger-ausbau-immer-mehr-ladesaeulen-fuer-elektroautos-3121947?utm_source=Newsletter&utm_medium=Newsletter-ah&utm_campaign=Newsletter-ah (Accessed: 13 September 2023).
12. Kords, M. (2023). Citation: Anzahl der Neuzulassungen von Elektroautos in Deutschland von 2003 bis 2022 [Online]. Retrieved from: https://de-statista-com.thi.idm.oclc.org/statistik/daten/studie/244000/umfrage/neuzulassungen-von-elektroautos-in-deutschland/ (Accessed: 13 September 2023).
13. Kraftfahrt-Bundesamt (2023). Citation: Mitteilung Nr. 02/2023: Fahrzeugzulassungen im Juni 2023 [Online]. Retrieved from: https://www.kba.de/DE/Presse/Pressemitteilungen/Fahrzeugzulassungen/2023/pm02_2023_komplett.html;jsessionid=E701981B7F297EABA81923C953C1B76E.live21324 (Accessed: 9 Juli 2023).
14. Metriax GmbH (2021). Citation: RFID & NFC Lösungen für Ihre Anwendung [Online]. Retrieved from: https://www.xn--rfid-ladesulen-fib.de/ (Accessed: 29 September 2023).
15. Spanheimer, R. (2020). Citation: Stellungnahme: Plug & Charge mittels ISO 15118 – Herausforderungen bei der Umsetzung [Online]. Retrieved from: https://www.bitkom.org/sites/default/files/2020-05/200507plugncharge.pdf (Accessed: 28 August 2023).
16. Springer Fachmedien München (2022). Citation: Autohaus [Online], Retrieved from: https://www.autohaus.de (Accessed: 1 September 2023).
17. Statista (2023). Citation: Anzahl der Neuzulassungen von Elektroautos in Deutschland von 2003 bis August 2023, [Online], Retrieved from: https://www.statista.com (Accessed: 1 October 2023).
18. Visa Europe Services (2022). Citation: Mobiles Bezahlen mit Visa [Online], Retrieved from: https://www.visa.de/bezahlen-mit-visa/genutzte-technologien/mobiles-bezahlen.html (Accessed: 29 September 2023).
19. Weemaes, G. (2021a). Citation: Laden an öffentlichen Ladepunkten [Online], Retrieved from: https://www.goingelectric.de/wiki/Laden-an-oeffentlichen-Ladepunkten/ (Accessed: 6 August 2023).
20. Weemaes, G. (2021b). Citation: GoingElectric: Elektroauto Forum [Online], Retrieved from: https://www.goingelectric.de/forum/ (Accessed: 6 August 2023).

გამოცემაზე იმუშავეს

ლელა წიკლაურმა, ხათუთა ბადრიძემ და ნინო ებრალიძემ

Prepared for publication by:

Lela Tsiklauri, Khatuta Badridze, Nino Ebralidze

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
https://www.tsu.ge/ka/publishing-house

UNIVERSITAS TPHILISENSIS
1918